ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

# გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

## შრომების კრებული

V INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

# CHALLENGES of GLOBALIZATION in ECONOMICS and BUSINESS

## PROCEEDINGS



Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Economics and Business Faculty

# გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

# CHALLENGES OF GLOBALIZATION IN ECONOMICS AND BUSINESS

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**Economics and Business Faculty**

**The 5 th International Scientific Conference**

# CHALLENGES OF GLOBALIZATION IN ECONOMICS AND BUSINESS

**Proceedings**

**Georgia, Tbilisi**
**November 6, 2020**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

**V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

# ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ

**შრომების კრებული**

**საქართველო, თბილისი**
**6 ნოემბერი, 2020**

*თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უკვე მეხუთედ ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". წელს, როგორც არასდროს გამოჩნდა გლობალიზაციის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტები. გლობალურმა პანდემიამ შეცვალა არსებული ეკონომიკური მოდელები. პირველად მსოფლიო ისტორიაში, მოხდა ეკონომიკური აქტივობის სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შეჩერება. აღნიშნული საკითხი ცხადია ცალკე შესწავლას მოითხოვს.*

*ადგილობრივი, და უცხოელი მეცნიერები, ახალგაზრდა მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ გლობალიზაციის პროცესის გამოწვევებზე, ასევე ეძებენ ახალი ეკონომიკური პრობლემების გაუმჯობესების ქმედითუნარიან მექანიზმებს. გლობალური პროცესების თანამდევი მოვლენები სულ უფრო მეტ ასახვას პოვებს ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაზე, ამიტომ ისეთი საკითხები, როგორიცაა: განათლების სისტემის სრულყოფა, საქართველოს ეკონომიკური მოდელი, უმუშევრობის დაძლევის მექანიზმები, საქართველოს ეკონომიკაში ერთობლივ მოთხოვნაზე ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების ზემოქმედების თავისებურებები, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, კლასტერული პოლიტიკის ფორმირებისა და სახელმწიფო საწარმოთა მართვის აქტუალური საკითხები, ინოვაციური პროცესების დანერგვის თავისებურებები სხვადასხვა სფეროში, ტურისტული პოტენციალის ათვისების პერსპექტივები, სოციო-კულტურული გამოწვევები და სხვა. არამხოლოდ თეორიულ ინტერესის სფეროს განეკუთვნება, არამედ წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების პრაქტიკული ასპექტების ანალიზს. წელს კონფერენციის ჩატარება პანდემიის ფონზე მოგვიწია. Covid 19-მა მსოფლიო და ცალკეული ქვეყნები ატიპიური კრიზისის წინაშე დააყენა. მიმდინარე შეუქცევადმა პროცესებმა მწვავე ეკონომიკური გამოწვევები გააჩინა, რომელთა დაძლევაზეც დღევანდელი მსოფლიო ჯერ კიდევ აქტიურად მუშაობს. მეორე მხრივ, პანდემიამ ახალი შესაძლებლობებიც გამოაჩინა განსაკუთრებით, დისტანციური მომსახურების სფეროში. დღევანდელი კონფერენცია ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რა დასკვნები აქვთ როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოელ ექსპერტებს განვითარებული მოვლენების დადებით და უარყოფით მხარეებზე და პანდემიის საბოლოოდ დაძლევის გზებზე.*

***გიორგი ღაღანიძე*** - თსუ პროფესორი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი

It is already the fifth year that TSU Faculty of Economics and Business hosts the international conference on the Challenges of Globalization in Economics and Business. This year, as never before, both positive and negative aspects of globalization have appeared. The global pandemic has changed existing economic models. For the first time in world history, economic activity has been restricted by the state, and in some cases suspended. This issue obviously requires a separate study.

Both local and foreign scientists, young researchers focus on the challenges of globalization processes; in addition, they seek to identify effective mechanisms for solving new economic problems. The consequences of global processes are more and more reflected on the development of any country, therefore, the issues like the improvement of education system, the economic model of Georgia, the unemployment reduction mechanisms, the peculiarities of the impact of fiscal and monetary instruments on the aggregate demand of Georgia, the foreign direct investments implemented in Georgia, important issues of formation of cluster policy and management of state enterprises, peculiarities of the introduction of innovative processes in different areas, perspectives of utilization of tourism potential, socio-cultural challenges and others belong not only to the area of theoretical interest, but they represent the practical analysis of the aspects of economic development. This year we have to hold a conference in the background of a pandemic. Covid 19 has put the world and individual countries facing an atypical crisis. The current irreversible processes have created acute economic challenges that the world still actively work to overcome. On the other hand, it has also revealed new opportunities especially in the field of remote services. This year the conference is especially interesting in this regard, what are the conclusions made by the field experts from Georgia as well as other countries on the pros and cons of the current situation and the ways to finally overcome the pandemic.

***Giorgi Gaganidze*** **- TSU Professor**
**Dean of the Faculty of Economics and Business, TSU**

The authors' style is preserved
Стиль аторов соблюдён

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020
© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2020

ISBN 978-9941-13-952-9 (pdf)

**კონფერენციის სარედაქციო კოლეგია:**

**გიორგი ღაღანიძე** - თსუ-ის პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;
**ვლადიმერ პაპავა** - თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი;
**ავთანდილ სილაგაძე** - თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი;
**ელგუჯა მექვაბიშვილი** - თსუ-ის პროფესორი, თსუ თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი" მთავარი რედაქტორი;
**რევაზ გოგოხია** - ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი" მთავარი რედაქტორის მოადგილე;
**რამაზ აბესაძე** - ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი;
**იური ანანიაშვილი** - თსუ-ის პროფესორი, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი;
**თეიმურაზ ბერიძე** - თსუ-ის პროფესორი;
**სიმონ გელაშვილი** - თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
**რევაზ გველესიანი** - თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
**ნუგზარ თოდუა** - თსუ-ის პროფესორი, მაკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი;
**ირაკლი კოვზანაძე** - თსუ-ის პროფესორი, ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის ხელმძღვანელი;
**დავით ნარმანია** - თსუ-ის პროფესორი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი;
**ინტა ოსტროვსკა** - პროფესორი, ლატვია
**ლევან საბაური** - თსუ პროფესორი, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი;
**დემურ სიჭინავა** - თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელი;
**ტატიანა სობოლიევა** - ასოცირებული პროფესორი, ვადიმ გეტმანის სახელობის კიევის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**იაცეკ სტროინი** - პროფესორი, რჟეცოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პოლონეთი
**მირიან ტუხაშვილი** - თსუ-ის პროფესორი;
**თემურ შენგელია** - თსუ-ის პროფესორი; საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი;
**ეთერ ხარაიშვილი** - თსუ-ის პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
**იოსებ ხელაშვილი** - თსუ-ის პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი;
**გუნტერ ჰოფბაუერი** - პროფესორი, გერმანია
**ნინო ფარესაშვილი** - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
**მარინა ჩავლეიშვილი** - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
**თამაზ ზუბიაშვილი** - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი;
**მანანა ლობჟანიძე** - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურის უფროსი.

**კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:**

**გიორგი ღაღანიძე** - თსუ-ის პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;
**ნინო ფარესაშვილი** - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, თავმჯდომარის მოადგილე;
**მანანა ლობჟანიძე** - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურის უფროსი;
**ლალი ჩიკვილაძე** - თსუ-ის სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**უჩა გოგრიჭიანი** - თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
**აკაკი მიქაბერიძე** - თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი;
**ტარიელ ლომია** - თსუ-ის დოქტორანტი;
**ნინო ლობჟანიძე** - თსუ-ის დოქტორანტი;
**რუსუდან მაისურაძე** - თსუ-ის დოქტორანტი;
**ზვიად სიგუა** - თსუ-ის დოქტორანტი;
**დავით ნერგაძე** - თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ბონდო კაკუბავა** - თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

**Editorial Board:**

**Giorgi Gaganidze** - TSU Professor, Dean of the Faculty of Economics and Business;
**Vladimer Papava** - TSU Professor, Academician;
**Avtandil Silagadze** - TSU Professor, Academician, Head of the Department of International Economics and History of Economic Thought;
**Elguja Mekvabishvili** - TSU Professor, Head of the Department of Theoretical Economics, Chief Editor of the Faculty magazine "Economics and Business";
**Rezo Gogokhia** - TSU Professor, Deputy Chief Editor of the Faculty magazine "Economics and Business";
**Ramaz Abesadze** - Doctor of Economic Sciences, Director of the Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
**Iuri Ananiashvili** - TSU Professor, Head of the Department of Econometrics;
**Teimuraz Beridze** - TSU Professor;
**Simon Gelashvili** - TSU Professor, Head of the Department of Economic and Social Statistics;
**Revaz Gvelesiani** - TSU Professor, Head of the Department of Economic Policy;
**Nugzar Todua** - TSU Professor, Head of the Department of Marketing;
**Irakli Kovzanadze** - TSU Professor, Head of the Department of Finance and Banking;
**Davit Narmania** - TSU Professor, Head of the Department of Management and Administration;
**Inta Ostrovska** - Dr. paed., Daugavpils University, Institute of Humanities and Social Sciences, Republic of Latvia;
**Levan Sabauri** - TSU Professor, Head of the Department of Accounting and Auditing;
**Demur Sitchinava** - TSU Professor, Head of the Department of Information Technologies in Economics and Business;
**Tetiana Sobolieva** - Associate Professor, Kyiv National Economic University named after Vadym Hetman;
**Jacek Strojny** - Rzeszow University of Technology, Faculty of Management, Poland;
**MirianTukhashvili** - TSU Professor;
**Temur Shengelia** - TSU Professor, Head of the Department of International Business;
**Eter Kharaishvili** - TSU Professor, Head of the Department of Microeconomics;
**Ioseb Khelashvili** - TSU Professor, Head of the Department of Tourism and Hospitality Management;
**Gunter Hofbauer** - Professor für Marketing und Technischer Vertrieb, Technische Hochschule Ingolstadt, Germany;
**Nino Paresashvili** - TSU Associate Professor, Deputy Dean of the Faculty of Economics and Business;
**Marina Chavleishvili** - TSU Associate Professor, Deputy Dean of the Faculty of Economics and Business;
**Tamaz Zubiashvili** - TSU Associate Professor;
**Manana Lobzhanidze** - TSU Associate Professor, Head of the Department for Scientific Research and Development.

**Organizing Committee:**

**Giorgi Ghaghanidze** - TSU Professor, Dean of the Faculty of Economics and Business, Chairman;
**Nino Paresashvili** - TSU Associate Professor, Deputy Dean of the Faculty of Economics and Business;
**Manana Lobzhanidze** - TSU Associate Professor, Head of the Department for Scientific Research and Development;
**Lali Chikviladze** - Chief Specialist of the Department for Scientific Research and Development;
**Akaki Mikaberidze** - Financial Managerat the Faculty of Economics and Business;
**Ucha Gogrichiani** - Head of Public Relations Service atthe Faculty of Economics and Business;
**Tariel Lomia** - Ph.D. student, TSU;
**Nino Lobdzhanidze** - Ph.D. student, TSU;
**Rusudan Maisuradze** - Ph.D. student, TSU;
**Zviad Sigua** - Ph.D. student, TSU;
**Davit Nergadze** - Chief Specialist of Public Relations Service at the Faculty of Economics and Business;
**Bondo Kakubava** - Head of Resource Management Service at the Faculty of Economics and Business.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

**Victor Ababii** - Stability of the Banking Sector ........ 19
**ვიქტორ აბაბი** - საბანკო სექტორის სტაბილურობა ........ 19

**ნინო აბესაძე** - ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა პოსტპანდემიის პერიოდში ........ 27
**Nino Abesadze** - Statistics of tourism expectations in the post-pandemic period in Georgia ........ 27

**Igor Ariefjew, Tea Munjishvili** -Экономический анализ производства с помощью графо-аналитический методом ........ 34
**Igor Ariefjew, Tea Munjishvili** - The Economic analysis of production using graph-analytical method ........ 34

**იოსებ არჩვაძე** - სახელმწიფო პანდემიის პირობებში საზოგადოებრივი აუცილებლობისა და მოქალაქეთა თავისუფლების ოპტიმალური თანაფარდობის ძიებაში ........ 42
**Joseph Archvadze** - Government in search of the optimal relationship between social necessity and freedom of citizens in the context of the coronavirus pandemic ........ 42

**თეიმურაზ ბაბუნაშვილი**, საქართველოში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობის შესაძლებლობები საერთაშორისო ვაჭრობაში........ 50
**Teimuraz Babunashvili**, Opportunities for Small and Medium-sized Businesses in Georgia to Participate in International Trade........ 50

**ჟანა ბალახაშვილი, რუსუდან ქინქლაძე** - კორპორატიული მენეჯმენტის საკანონმდებლო უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში ........ 55
**Zhana Balakhashvili, Rusudan Kinkladze** - Problems of Legislative Support of Corporate Management in Georgia ........ 55

**ევგენი ბარათაშვილი, ირმა ბარათაშვილი, რამაზ ოთინაშვილი** - კონკურენტუნარიანობის მარკეტინგული სტრატეგია ........ 61
**Evgeni Baratashvili, Irma Baratashvili, Ramaz Otinashvili** - Competitive Marketing Strategy ........ 61

**გიორგი ბენაშვილი** - პოსტპანდემიური პერიოდის ტენდენციების გავლენა საერთაშორისო ეკონომიკაზე ........ 68
**Giorgi Benashvili** - Influence of Post Pandemic trends on the International Economy ........ 68

**ვანო ბენიძე** - დამამუშავებელი მრეწველობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე: შეფასება ლეონტიევის „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) მოდელის საშუალებით ........ 75
**Vano Benidze** - Using the Leontief Input-Output Model to Estimate the Impact of Manufacturing Sector on Georgian Economy ........ 75

**ხათუნა ბერიშვილი** - პერსონალის მოტივაციის ბიზნესზე ზეგავლენის ემპირიული კვლევა ........ 89
**Khatuna Berishvili** - Empirical research of the impact of staff motivation on business ........ 89

ირაკლი გაბრიაძე - საკუთრების უფლება, ინსტიტუციების ხარისხი და ფინანსური სექტორის განვითარება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ..... 94
Irakli Gabriadze - Property Rights, Institutional Quality and Financial Development in Post-Soviet Union Countries ..... 94

ინეზა გაგნიძე - ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის ფუნქციონირების აღმწერი პრინციპები და მართლმადიდებლური სწავლება ..... 105
Ineza Gagnidze - The Principles Describing how the Economy as a Whole System Works and Orthodox Teaching ..... 105

სიმონ გელაშვილი, გოგიტა თოდრაძე - დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით ..... 112
Simon Gelashvili, Gogita Todradze - Gender imbalance in employment and wages by economic activities ..... 112

სიმონ გელაშვილი, მარიამ ოქრუაშვილი - შრომის ანაზღაურების გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით ..... 120
Simon Gelashvili, Mariam Okruashvili - Gender disproportion of remuneration by administrative regions of Georgia ..... 120

სოფიკო გელაშვილი - ინფორმაციული კულტურა ..... 128
Sophiko Gelashvili - Information Culture ..... 128

ნაზი გვარამია - აუდიტი და რისკების მართვა ..... 135
Nazi Gvaramia - Audit and risk management ..... 135

Tamara Gvenetadze - Impact of COVID-19 on Consumer Behavioral Economics ..... 141
თამარა გვენეტაძე - COVID-19-ის გავლენა მომხმარებლის ქცევით ეკონომიკაზე ..... 141

ირინა გოგორიშვილი - რა განასხვავებს კათოლიციზმსა და პროტესტანტობას მართლმადიდებლობისაგან (ეკონომიკური ასპექტი) ..... 144
Irina Gogorishvili - What is the difference between Catholicism and Protestantism from Orthodoxy(economic aspect) ..... 144

ზ. გ. გოიშვილი, მ. თ. კილაძე, მ. ს. თანანაშვილი - მწვანე ეკონომიკა და საქართველოს პოტენციალი ..... 152
Zaza Goishvili, M. T Kiladze, M. S Tananashvili - Green Economy and Georgia's Potential ..... 152
რა ქვიათ?

ნოდარ გრძელიშვილი - ათონის წმინდა მთის ვატოპედის მონასტრის სამეურნეო მენეჯმენტი ..... 156
Nodar Grdzelishvili– Economos Management of the Holy Mountain Vatopedi Monastery in Athos ..... 156

Emir Eteria - The EU-Georgia DCFTA in the light of Economic Integration Theories ..... 164
ემირ ეთერია - საქართველო-ევროკავშირის DCFTA ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიების ჭრილში ..... 164

**გულნაზ ერქომაიშვილი** - აგრარული პოლიტიკის განხორციელების შედეგები და პრობლემები საქართველოში პოსტკრიზისულ პერიოდში ........ 170
**Gulnaz Erkomaishvili** - Consequences and problems of agrarian policy implementation in Georgia in the post-crisis period ........ 170

**ლალი ვარდიშვილი** - შემოსავლების უთანასწორობა და მისი დაძლევის გზები ........ 175
**Lali Vardishvili** - Inequality of Incomes and Ways to Overcome It........ 175

**ნაირა ვირსალაძე** - ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, როგორც უნივერსალური სტატისტიკური ინსტრუმენტის, განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები ........ 182
**Naira Virsaladze** - Important aspects of the development of the National Accounting System as a universal statistical instrument ........ 182

**ვაჟა ზეიკიძე, მაია ლომიშვილი**- მწვანე ობლიგაციების ეფექტიანი მართვის საკითხები ........ 189
**Vaja Zeikidzre, Maia Lomishvili** - Issues of effective management of green bonds ........ 189

**ნინო ზურაშვილი** - კორონავირუსის გავლენა სამშენებლო ინდუსტრიაზე (ევროკავშირი და საქართველო) ........ 193
**Nino Zurashvili** - Corona Virus influence on construction industry (Euro union and Georgia) ........ 193

**ნუგზარ თოდუა** - საქართველოს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის შეფასება ........ 201
**Nugzar Todua** - Service Quality Evaluation provided by Georgian Tourism Destinations ........ 201

**ნატო კაკაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე** - სამეწარმეო რისკების დაზღვევის თავისებურებები საქართველოში ........ 209
**Nato Kakashvili, Khatuna Barbakadze** - Peculiarities of entrepreneurial risk insurance in Georgia ........ 209

**Tamar Kanashvili, Sophio Beridze, Natia Kuparadze** - Why Hybrid Learning model – is the New Reality ........ 213
**თამარ კანაშვილი, სოფიო ბერიძე, ნათია ყუფარაძე** - რატომ არის ჰიბრიდული სწავლების მოდელი ახალი რეალობა ........ 213

**ნიკო კვარაცხელია, ნინო დამენია** - შიდა ტურიზმის ეკონომიკური განვითარების თავისებურებები საქართველოში ........217
**Niko Kvaratskhelia, Nino Damenia** - The economic features of the development of domestic tourism in Georgia ........217

**ელგუჯა კონჯარია** - ბიზნესი როგორც ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი, რეგულირების საფუძვლები და მისი კლასიფიკაცია ........ 226
**Elguja Konjaria** - Business as an inseparable part of economics, principles and classification of its regulation ........ 226

**ილია კოჟორიძე** - გადაზღვევის მნიშვნელობა ფინანსური სისტემის მდგრადობაში ........ 232
**Ilia Kozhoridze** - The Importance of reinsurance in sustainability of financial system ........ 232

**Владимир Кубіній, К. И. Латинін, И.В. Чекан** - Императивы Стратегического Управления Как Основы Конкурентоспособности Экономической Системы ..... 236
**V. Kubiniy, K. Latynin, I. Chekan** - Imperatives of strategic management as the basis of competitiveness of the economic system ..... 236

**Кубиний Н.Ю., Оксана Данайканич, Наталиа Белей,** - Образование И Его Влияние На Экономическое Развитие В Украине ..... 245
**N. Kubiniy, O. Danaikanych, N. Beley** - Education and its impact on economic development in Ukraine ..... 245

**თამარ ლაზარიაშვილი,** ბიოპროდუქტების წარმოების შესაძლებლობები საქართველოში და მისი როლი აგრარული სექტორის განვითარებაში ..... 254
**Tamar Lazariashvili,** Opportunities for Organic Production in Georgia and its Role in Agricultural Sector Development ..... 254

**Л. О. Лигоненко, Лилиана Жукова** - Обучающиеся организации: базовые теоретико-методологические положения концепции и актуализация ее внедрения ..... 259
**ლ. ო. ლიგონენკო, ლ.ლ. ჟუკოვა** - სასწავლო ორგანიზაციები: კონცეფციის ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური დებულებები და მისი განხორციელების რეალიზაცია ..... 259

**მერაბ ლომინაძე** - საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების თავისებურებები განვითარებად ქვეყნებში ..... 267
**Merab Lominadze** - Peculiarities of investment activities in developing countries ..... 267

**მარინა მაისურაძე, მარიამ ვარდიაშვილი** - კონტროლის კონცეფციის ძირითადი საკითხები საწარმოთა გაერთიანებისას ფასს 10-ის მიხედვით ..... 273
**Marina Maisuradze, Mariam Vardiashvili** - The main issues of the control concept when merging entities according to IFRS 10 ..... 273

**ნინო მაღრაძე** - COVID-19-ის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ..... 279
**Nino Maghradze** - Impact of COVID-19 on Foreign Direct Investmentsin Countries with Economies in Transition ..... 279

**პავლე მაღრაძე** - დასაქმების რეალური ზრდის მოდელი ..... 288
**Pavle Magradze** - Real employment growth model ..... 288

**მარიამ მელიქიძე** - გლობალიზაციის გავლენა განათლებაზე და დისტანციური სწავლების გამოწვევები საქართველოში ..... 294
**Mariam Melikidze** - Impact of Globalization in Education and remotestudy challenges in Georgia ..... 294

**მერაბ მიქელაშვილი** - ბიბლია სიმდიდრისა და სიღარიბის შესახებ ..... 302
**Merab Mikelashvili** - The Bible on Wealth and Poverty ..... 302

**ბაბულია მღებრიშვილი** - მომგებიანად მუშაობისა და სიმდიდრის მართლმადიდებლური ფილოსოფია ..... 306
**Babulia Mghebrishvili** - Orthodox christian philosophy of profitable work and wealth ..... 306

**Zumrud Nadjafova, Natiq Gurbanov** - The process of formation and stages of development of technoparks in Azerbaijan ........ 312
**ზუმრუდ ნადჯაფოვა, ნატიკ გურბანოვ** - აზერბაიჯანში ტექნოპარკების ფორმირების პროცესი და განვითარების ეტაპები ........ 312

**დავით ნარმანია, გიული ქეშელაშვილი, ეკა ჩოხელი, მანანა ხარხელი** - დაგროვებითი საპენსიო მოდელის ანალიზი და საპენსიო აქტივების მენეჯმენტის პრობლემები ........ 318

**Davit Narmania, Giuli Keshelashvili, Eka Chokheli, Manana Kharkheli** - Analysis of the Defined Contribution Pension Model and Problems of Management of the Pension Assets ........ 318

**მზია ნოზაძე, ლილი პეტრიაშვილი** - ლიზინგი და მასთან დაკავშირებული ფუნქციების ინტეგრაცია მიწოდების ჯაჭვთან ........ 328
**Mzia Nozadze, Lili Petriashvili** - Leasing and related functions Integration in the supply chain ........ 328

**ნუგზარ პაიჭაძე** - ადამიანური რესურსების მართვა როგორც ორგანიზაციის წარმატების ფაქტორი ........ 334
**Nugzar Paichadze** - Human Resource Management as the Factor of Organization Success ........ 334

**თინათინ ჟორჟოლიანი, ბონდო გასვიანი** - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ტურიზმის სექტორზე: საქართველოს მაგალითზე ........ 339
**Tinatin Zhorzholiani, Bondo Gasviani** - The Effect of Foreign Direct Investment On Tourism Sector: The case of Georgia ........ 339

**ლევან საბაური, ნადეჟდა კვატაშიძე** - ბიოლოგიური აქტივების აღიარებისა და შეფასების საკითხები ........ 347
**Levan Sabauri, Nadejda Kvatashidze** - Issues for the Recognition and Evaluation of Biological Assets ........ 347

**უშანგი სამადაშვილი** - პოსტ პანდემიური მსოფლიო და საქართველო: გამოწვევები და ახალი შესაძლებლობანი ........ 353
**Ushangi Samadashvili** - Post pandemic World and Georgia: Challenges and New Opportunities ........ 353

**გიორგი სანაძე** - ეკონომიკის რეალური სექტორი და მრეწველობა: თეორიების განვითარება ........ 361
**Giorgi Sanadze** - Real sector of economy and industry: evolution of theories ........ 361

**რუსუდან სირბილაძე** - კორონავირუსის გავლენა ეკონომიკაზე და რელიგიაზე ........ 367
**Sirbiladze Rusudani** - The impact of the coronavirus on the economy and religion ........ 367

**დავით სიხარულიძე, შოთა შაბურიშვილი, ლეილა ქადაგიშვილი, თეა მუნჯიშვილი, რუსუდან მაისურაძე, ხატია უდესიანი** - ინოვაციების გავლენა მწარმოებლურობაზე ფირმების ზომის მიხედვით საქართველოში ........ 372
**Davit Sikharulidze, Shota Shaburishvili, Leila Kadagishvili, Tea Munjishvili, Rusudan Maisuradze, Khatia Udesiani** – Impact of innovations on productivity by firm size in Georgia ........ 372

**Т.А. Соболева, К. В. Якубова -** Интеллектуальные активы как объект стратегического управления в организации ............ 385
**T.A.Soboleva, K.V. Yakubova -** Intellectual Assets as an Object of Strategic Management in Organization ............ 385

**სესილი ტაბატაძე, თამარი ბარბაქაძე -** კოვიდ-19 პანდემიის გავლენა საქართველოს ტურიზმის სექტორზე ............ 391
**Sesili Tabatadze, Tamari Barbakadze -** The Impact of the Covid-19 pandemic on the tourism industry in Georgia ............ 391

**მირონ ტუღუში -** შრომისა და დასაქმების რეგულირების ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის შესახებ ............ 396
**Miron Tugushi -** About some organizational issues of Labor and Employment Regulation ............ 396

**ეკა, უროტაძე, ჩარიტა ჯაში -** COVID 19-ის პანდემიის ეპოქის მარკეტინგული ასპექტები ............ 407
**Eka Urotadze, Charita Jashi -** Marketing Aspects of COVID-19 Epoch ............ 407

**ნარგიზა ქარქაშაძე -** თაობათა მარკეტინგის გამოწვევები საქართველოს რეალობაში ............ 415
**Nargiza Karkashadze -** Generational marketing challenges in the reality of Georgia ............ 415

**ქუჯი ბიჭია -** შეზღუდული რაციონალურობის ქცევითი გადახვევები კორონომიკაში ............ 423
**Quji Bichia -** Bounded Rationality Behavioral Shifts in Coronomics ............ 423

**გიორგი ღავთაძე, დავით შავიანიძე -** ქართული ტრადიცია-ჩვეულებები და ეთნოეკონომიკის ზოგიერთი საკითხი (უახლესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) ............ 429
**George Gavtadze, Davit Shavianidze -** Some Issues Related to Ethno-Economics and Georgian Traditions and Customs (according to latest ethnographic materials) ............ 429

**თამარ ღამბაშიძე -** პანდემიური ეკონომიკური ცვლილებები და გამოწვევები ............ 438
**Tamar Ghambashidze -** Pandemic Economics Changes and challenges ............ 438

**მაკა ღანიაშვილი -** საპენსიო სისტემა კორონაეკონომიკაში (საქართველოს მაგალითზე) ............ 443
**Maka Ghaniashvili -** Pension System during Covid Ecnomics (Case of Georgia) ............ 443

**ნაირა ღვედაშვილი -** სამკურნალო ტურიზმის განვითარების სტრატეგია ............ 449
**Naira Ghvedashvili -** Medical Treatment Tourism Development Strategy ............ 449

**ალექსანდრე შარაშენიძე -** კოვიდ-19 პანდემიის კონკურენტიანობაზე ზეგავლენის ცალკეული ასპქეტები ............ 453
**Alexander Sharashenidze -** Some aspects of the impact of the Covid-19 pandemic on competitiveness ............ 453

**თემურ შენგელია -** ოკუპირებულ აფხაზეთში ბიზნესის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები ............ 456
**Temur Shengelia -** Business Development Trends and Prospects in Occupied Abkhazia ............ 456

**გიორგი შიხაშვილი, ნიკოლოზ ბაკაშვილი -** სინერგიული ეკონომიკური განვითარებისა და მართვის თემატიკა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებაში ........ 464
**Giorgi Shikhashvili, Nikoloz Bakashvili -** Sinergistic Economic Development and Management Topics in the Theological-doctrinal Creativity of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II ........ 464

**მიხეილ ჩიკვილაძე,** 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა და 2021 წლის პროგნოზი........ 471
**Mikheil Chikviladze,** Implementation of the 2020 state budget and the forecast of 2021 ........ 471

**ქეთევან ჩიტალაძე -** COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს ტურიზმზე ........ 475
**Ketevan Chitaladze -** Impact of the COVID-19 pandemic on Georgian tourism ........ 475

**Nika Chitishvili -** Food Security During Pandemic – The World and Georgia ........ 485
**ნიკა ჩიტიშვილი -** სასურსათო უსაფრთხოება პანდემიის პერიოდში – მსოფლიო და საქართველო ........ 485

**მალხაზ ჩიქობავა -** მონეტარული სისტემის მეტამორფოზა თანამედროვე პანდემიის ფონზე ........ 490
**Malkhaz Chikobava -** Metamorphoses of the monetary system against the background of a modern pandemic ........ 490

**ნიკოლოზ ჩიხლაძე, პაატა კოღუაშვილი -** წმინდა გრიგოლ ხანძთელი, როგორც მენეჯერი ........ 501
**Niko Chikhladze, Paata Koguashvili -** Saint Grigol Khandzteli As A Manager ........ 501

**მურმან ცეცხლაძე, ხათუნა თურმანიძე -** ქვეყნის ეკონომიკაზე ქრისტიანული ეთიკის ზეგავლენის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ........ 507
**Murman Tsetskhladze, Khatuna Turmanidze -** Some aspects of the influence of christian ethics on the country's economy annotation ........ 507

**ლია ძებისაური -** COVID-19 და საქართველოს საგარეო სექტორის მოკლე სტატისტიკური რეტროსპექტივა ........ 514
**Lia Dzebisauri -** COVID-19 and brief statistical retrospective of Georgian external sector ........ 514

**იზოლდა ჭილაძე -** ინდივიდის არჩევანი სულიერსა და მატერიალურს შორის მზადყოფნის ეკონომიკის პრიზმაში ........ 520
**Izolda Chiladze -** Natural Disasters, Pandemics, Readiness Economics and God ........ 520

**ეთერ ხარაიშვილი -** გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების გავლენა სასურსათო ბაზრის განვითარებაზე ........ 526
**Eteri Kharaisvili -** The Impact of Modern Challenges of Globalization on the Food Market Development ........ 526

**რაისა ხაჩატურიანი -** პანდემიის ეკონომიკური შოკები და ანტიკრიზისული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი ........ 532
**Raisa Khachaturian -** Economic shocks of the pandemic and some aspects of anti-crisis policy ........ 532

**იოსებ ხელაშვილი,** პოსტპანდემიური პერსპექტივები საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის მდგრადი განვითარების შესახებ ........ 537
**Ioseb Khelashvili,** Post-Pandemic Persspectives on Sustainable Development of Iinternational Tourism in Georgia ........ 537

**ლალი ხიხაძე** - გლობალიზაციის პირობებში საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების აქტუალური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები ........ 543
**Lali Khikhade** - Current problems of regulating Georgia's foreign trade policy in the conditions of globalization and the ways to solve it ........ 543

**მერაბ ხმალაძე** - დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში და სტუდენტთა დემოგრაფიული ორიენტაციები ........ 549
**Merab Khmaladze** - Demographic situation in Georgia and demographic orientations of students ........ 549

**მარინე ხუბუა** - ბანკების ფინანსური მდგომარეობის და შედეგების ანალიზის სრულყოფის საკითხები ........ 558
**Marine Khubua** - Issues of Improvement of Analysis of Banks' Financial Conditions and Results ........ 558

**მარიამ ხურციძე** - COVID-19 - დეგლობალიზაციის თუ გლობალიზაციის ახალი ტალღის განვითარების მიზეზი? ........ 563
**Mariam Khurtsidze** - COVID-19 an accelerant for deglobalization or a new wave of globalization? ........ 563

**დიმიტრი ჯავახაძე** - პანდემიის გავლენები ელექტრონულ ბიზნესზე ........ 568
**Dimitri Javakhadze** - Impacts of pandemic on e-business ........ 568

**Günter Hofbauer** - An Updated Approach for the Value Chain in Times of Digital Transformation ........ 575
გიუნტერ ჰოფბაუერი - განახლებული მიდგომა ღირებულების ჯაჭვისადმი ციფრული ტრანსფორმაციის დროში ........ 575

# STABILITY OF THE BANKING SECTOR


**Victor Ababii**
***PhD Student, Academy of Economic Studies of Moldova***
***Senior Economist at National Bank of Moldova***



*Global financial crises, the current COVID19 pandemic, political instability, corruption, bank fraud are factors that negatively influence the banking system, which is the sole guarantor of a country's sustainable economic growth. The aim of the research arises from the importance of ensuring financial stability of the banking sector, which is a precondition for the financial system to provide quality-lending services characterized by lack of imbalances that could cause a negative correction of financial markets. The analysis of the stability of the banking sector aims at examining theories on bank risk management, based on feedback from supervisors. The Implementation Directorate aims to analyze the level of systemic risk and banking resilience, including assessments of changes in market structure, interconnection by applying a set of macro-prudential instruments. The objectives of the macro-prudential policy are to: reduce and prevent excessive credit growth and leverage; reduce and prevent excessive non-correlation of maturities and lack of liquidity in the market; limit concentrations of direct and indirect exposures; limit the systemic impact of misaligned incentives to reduce moral hazard; strengthen the resilience of financial infrastructures. The conditions established on the financial market indicate the importance of aligning the regulatory and supervisory requirements applicable to the banking and non-banking sectors with international standards and practices in the field. A financially stable banking system is a precondition for a sustainable economic growth.*



***Keywords:*** *economy, stability, capital buffers, banking system, regulations.*
***JEL: G20, G21***


## 1. INTRODUCTION

Globalization, money circulation, the mobilization of all funds in the economy and their management for the normal development of socio-economic activity have imposed a number of challenges in setting up a functioning banking system based on a market economy, adapted to the international Community regulations. The challenges of the economic system in the transition phase, political instability, high levels of corruption, bank fraud and regional and international economic crises (the 2008 economic crisis, the COVID-19 2020 pandemic) led to the stagnation of the economic system, with this, the functioning of the banking system, which needed to be reformed, has also suffered. The relaunch and increase of the economic-financial performances of the banks will be achieved due to the observance of the legal activity framework and the orientation towards the following topics: (1) the supervision of the financial-banking sector, the macro-financial ties and the financial crises; (2) the business model of banks; (3) market and interest rate risk; (4) credit risk; (5) IMF financial stability indicators; (6) liquidity and financing risk; (7) macro-prudential stress testing of solvency indicators; (8) country risk; (9) the time dimension of systemic risk; (10) systemic liquidity risk.

The topicality of this topic arises from the need that the banking system is one of the most important active tools in stimulating the economic activity of a state. Financial stability is a key condition for the functioning of the national economy and can be defined as a situation of the economy, characterized by lack of imbalances that could trigger a negative correction of the financial markets, a systemic financial crisis or the inability of financial institutions in maintaining ta smooth conduct of financial operations. Financial stability is maintained through adequate regulation of current and potential risks, through the efficient management of risk and redistribution mechanisms

and by ensuring public confidence in the financial system. Improving the banking perspective requires the transposing and promoting the EU values and regulations, applicable to banks in the research process with the subsequent dissemination of their results. Thus, the analysis of the efficiency of the economic system in terms of banking must become a key priority for the government, academia, civil society and external donors.

The role of the research derives from the importance of ensuring financial stability of the banking sector, which is a precondition for the financial system to provide credit services, ensuring sustainable economic growth. The global financial crisis has clearly highlighted the need for macro-prudential oversight to prevent and reduce systemic risk. The banking supervision and regulation mechanism is established according to a series of specific requirements, stipulated in normative acts and adapted to the Community values and regulations, in particular adaptation to best practices and recommendations from the Basel Committee on Banking Supervision and European Union Directives.

The banking sector has recently adopted a series of changes in the activity of commercial banks, by highlighting well-established parameters of major importance:

- capital requirements, requirements for owners and the level of shares held;
- establishing and monitoring compliance with prudential requirements to ensure that risk exposure is limited;
- ensuring a system conducive to the activity of banks for solving problems of banks with increased vulnerabilities.

Therefore, the research problem would be the insufficient knowledge of the concept of quality of banking activity in conditions of regional uncertainties and risks, as well as of the consequences of the application of European prudential regulations Basel on the crediting of the national economy by the domestic banking system. At the same time, the analysis will focus on identifying the methods and instruments of financial stability of the economy.

## 2. THE CONCEPTUAL FRAMEWORK

*Banking activity* involves deposit-attraction activity from the public, funds from individuals and legal entities, and allocation of these funds for granting credits, on the bank's own behalf, terms, and risk via opening and servicing accounts of individuals and legal entities.[1]

Therefore, "banking activity means the organizing and conducting the banking operations, bank records and banking control in accordance with the strategies and management of banks and ensuring the role of intermediation between those who have capital and entrepreneurs".[2]

Broadly, financial stability can be assessed in terms of the financial system's ability: (a) to facilitate both an efficient allocation of economic resources both spatially and especially intertemporally and the effectiveness of other economic processes (such as wealth accumulation, economic growth, and ultimately social prosperity); (b) to assess, price, allocate, and manage financial risks; and (c) to maintain its ability to perform these key functions even when affected by external shocks or by a buildup of imbalances primarily through self-corrective mechanisms.

A definition consistent with this broad view is as follows: A financial system is in a range of stability whenever it is capable of facilitating (rather than impeding) the performance of an economy, and of dissipating financial imbalances that arise endogenously or as a result of significant adverse and unanticipated events.[3]

---

1 Law on the activity of banks, https://bnm.md/files/legea_202-2017.pdf

2 Căpraru, Bogdan, „Activitatea bancară – sisteme, operaţiuni şi practice", Iaşi, Editura C.H. Beck, 2010, 368 p. ISBN 978-606-18-0319-4.

3 Garry J. Schinasi, „Defining Financial Stability", IMF Working Paper, 2004, 19 p, WP/04/187.

Financial stability is a state in which the financial system, i.e. the key financial markets and the financial institutional system is resistant to economic shocks and is fit to smoothly fulfil its basic functions: the intermediation of financial funds, management of risks and the arrangement of payments.[1]

## 3. RESEARCH METHODS

To achieve the objectives set, author aimed to apply the best methods of analyzing the financial stability of the banking sector, starting from assessing the resilience of banks, based on their progress in setting up regulatory buffers and the results of stress tests. The research methodology is oriented on two directions: theoretical and applied. The theoretical direction aims at examining theories on bank risk management, based on feedback from supervisors. The Implementation Directorate aims to analyze the level of systemic risk and banking resilience, including assessments of changes in market structure, interconnection, risk correlations and international banking.

In this sense, the following methods will be used: analysis and synthesis, these will be used during the research, for analyzing the banking regulatory framework both at the community and national level, the level of systemic financial risk, the prudential requirements with impact on banks' financial results , and respectively, applying the synthesis method, the information will be exposed in a unitary and coherent way, by generalizing the literature sources and the normative-legal basis, at the same time expressing author's own point of view regarding the analyzed phenomenon. Induction and deduction are also two other methods that will be used for economic research, as induction involves the transition from the particular to the general, deduction implies the opposite. The method of content analysis involves structuring the research into three chronological poles: pre-analysis, material exploitation, processing and interpretation of results.

## 4. RESEARCH RESULTS AND DISCUSSIONS

Safeguarding the stability of the financial system as a whole is the ultimate goal of macro-prudential policy, including strengthening the resilience of the financial system and reducing the accumulation of systemic risks, thereby ensuring a sustainable contribution of the financial sector to economic growth. Thus, the application of macro-prudential instruments oriented towards preventing and reducing risks aims the following:

— reducing and preventing excessive credit growth and leverage;

— reducing and preventing excessive non-correlation of maturities and lack of liquidity on the market;

— limiting the concentrations of direct and indirect exposures;

— limiting the systemic impact of misaligned incentives in order to reduce moral hazard;

— strengthening the resilience of financial infrastructures.

The crisis has revealed that many banks do not maintain adequate capital buffers and liquidity to cope with stressful macro-financial conditions. In response to regulatory requirements, the global banking sector has increased its resistance to negative shocks through a substantial strengthening of capital positions. Thus, the applied macroprudential instruments can be classified as follows:

---

1 Barth, James; Gerard Caprio, and Ross Levine, "Bank Regulation and Supervision in 180 Countries from 1999 to 2011," (Washington, DC) , 2013, 111 p.




Figure 1. The Macroprudential instruments.[1]

***Source:*** *Created by the author based on "Instruments of macroprudentialPolicy A Discussion Paper Bank of England"*

The analysis of the capital conservation buffer for both the Republic of Moldova and Georgia shows a rate of 2.5 percent (Table 1) from the total amount of banks' exposure to risk. The full activation of the shock absorber was taken starting from the high level of capitalization of the banks at the time of the application of the new capital requirements (compliant with Basel III). The purpose of the institution is to ensure that banks build capital buffers outside periods of stress, reserves that can be used to cover losses that may later arise from the banking activity. The requirement is based on simple capital conservation rules designed to avoid breaches of the minimum capital requirements.

Table no.1. Macroprudential instruments

| Macroprudential instruments | National Bank of Georgia | National Bank of Moldova | Parameters |
|---|---|---|---|
| *Capital Conservation Buffer* | 2.5 % | 2.5 % | 2.5 % extra CET1 capital cushion |
| *Countercyclical Buffer* | 0 % | 0 % | 0-2.5 % extra CET1 capital cushion in boom times |

***Source:*** *Created by the author based on data from the National Bank of Moldova and National Bank of Georgia*

For the analyzed period of 2015- QII 2020, the credit cycle in Moldova and Georgia (Figure 1) shows a positive trend of increasing the loan portfolio granted to households. However, the level of lending falls below the level of economic growth and new loans to the private sector are easily absorbed into the economy.

1 Bank of England, „Instruments of macroprudential Policy" Discussion Paper Bank of England 2011, 42 p. ISSN 1754–4262.




**Figure 1.** Evolution of loans granted to households 2015-2020*[1].

***Source:** Created by the author based on data from the National Bank of Moldova and National Bank of Georgia*

The situation described above indicates that currently there is no sign of cyclical systemic risks related to excessive credit growth and confirms the desirability of keeping the countercyclical capital buffer rate to a minimum for both countries (Table 1). The basic objective of the countercyclical capital buffer is to increase the resilience of the banking sector against the potential losses caused by the contraction, after an excessive increase, of aggregate lending. The buffer is set up during the period of excessive credit growth in order to absorb potential losses and can be released during the contraction phase.

The shock absorber for the systemically important company (the O-SII shock absorber) aims to ensure a higher degree of protection in the case the systemically important companies - companies with the potential to destabilize the financial system, face financial difficulties. Thus, the rate of the shock absorber related to the systemically important company (O-SII shock absorber), for banks identified as O-SII type companies from the Republic of Moldova and Georgia (Table 2), is equal to:

**Table no.2. Systemic Buffer Requirement for 2020**

| Republic of Moldova | Georgia |
|---|---|
| 1.5% MOLDOVA-AGROINDBANK | 2.0% TBC BANK |
| 1.0% MOLDINCONBANK | 2.0% BANK OF GEORGIA |
| 1.0% VICTORIABANK | 1.2% LIBERTY BANK |

***Source:** Created by the author based on data from the National Bank of Moldova and National Bank of Georgia*

[1] *- the data are for 6 months of 2020

Banks did not need additional capital to comply with the new macro-prudential measures on additional capital requirements, their level of capitalization being well above the minimum level of capital requirements (own funds rate and capital buffers).

According to the Financial Stability Committee, “systemically important institutions (SIFIs) are financial institutions whose failure has occurred due to their size, complexity and systemic interconnection and can cause significant disruptions throughout the financial system and the entire national economic activity”.

The identification methodology of SIFI is based on 5 principles:

1. the size of the institution;
2. degree of interconnection;
3. complexity of the activity;
4. global activity;
5. lack of substitutability;

Each principle is assessed in the light of pre-established indicators, which are given a weight depending on their relevance to the banking system. Each supervisory authority is also entitled to establish additional requirements for the identification of banks of national systemic importance.

Taking into account the potential systemic risks of the banking sector's transition to new banking regulation and supervision requirements, in line with the volatile macroeconomic situation, the NBM has established an individualized systemic risk rate for all banks, in the amount of 1 percent of the amount of risk exposure of banks, that applied to exposures located in the Republic of Moldova, in order to prevent and reduce non-cyclical systemic risk, aiming to prevent and reduce non-cyclical systemic risk manifested in the long term.

Inadequate governance and management of banking risks have been evident in many banks due to the poor results during crises. The need for robust risk management has become crucial, especially in our current times of economic recession and uncertainty (COVID 19) related to future banking. Market-based indicators are often used to assess the bank's performance and risk. Specifically, market indicators provide an insight into the perception of market participants about the solvency and risk of failure of an individual bank, the adequacy and risk of profitability and the correlation with other (listed) banks. Market indicators can provide a useful complement to the book values and are timelier. However, they are not without limitations as indicators of banking risk. Moreover, market indicators provide only limited information on systemic risk and are not representative of banking systems with a high share of companies that are not publicly traded.

The ability of banks to generate profits and accumulate capital through retained earnings is essential for the future provision of intermediation activities and for their resilience. It is also important for accessing external capital through equity markets. Banks operate on the basis of profitability, permanently aiming to obtain net profit in conditions of specific risks: economic evolution of the market, regulations imposed by the central bank, the financial structure of the bank, insolvency and liquidity.

The stability of banking systems depends not only on the resilience and risk-taking of individual banks, but also on the properties of the system. These include the structure of the banks within the system and the potential for suffering to spread between banks, either through direct contractual links or indirectly through externalities of fire sales, information contagion and / or joint exposures. The report section focuses on the impact of changes in market structure, banking interconnections, risk correlations and international banking.

## 5. CONCLUSIONS

The global financial crisis and the COVID 19 pandemic, highlighted the need for macro-prudential oversight to prevent and reduce systemic risk. Ensuring sustainable economic growth is achieved only through a financial system that provides quality credit services being a key condition of financial stability. The Moldovan and Georgian financial sectors have a low level of systemic financial risk for 2019 due to the slow recovery of lending, which shows no signs of overheating. The precarious global financial situation in 2020, characterized by economic downturn and the uncertainty of the COVID 19 pandemic, forced banks to apply non-cyclical macro-prudential instruments.

The set of macro-prudential instruments expected to be applied to meet the objectives of the macro-prudential policy in the next period includes measures to limit the excessive indebtedness of debtors, but also liquidity requirements. Defining prudential limits that would set the maximum share of credit payments in the debtor's income (debt-to-income ratio - DSTI) or the degree of coverage with credit pledge (ratio of loans to collateral - LTV) aims to reduce vulnerabilities in lending. These measures aim to prevent over-indebtedness of vulnerable debtors and, respectively, to protect banks by reducing the risk of default. At the same time, in order to reduce the risks that may arise from banking, it is important to establish an indicator of leverage, which will limit the ability of banks to excessively increase the volume of assets on account of borrowed funds. From the perspective of maintaining sufficient liquidity to serve banking activities, but also in order to ensure a stable financing of the activity, the regulatory framework is to be completed with two liquidity requirements - the liquidity coverage ratio and the requirement on net stable funding ratio. Hence, the need for liquidity stress testing, where it determines the size of liquid assets that must be maintained by the bank to be able to meet its obligations in a situation of major difficulty. The impact forecast must be modeled for a period of at least 12 months, but it should be noted that the longer the period, the greater the risk of erroneous forecasting.

Several indicators and the results of stress tests suggest that globally banks have improved their resilience to negative shocks by significantly building capital and liquidity buffers. Banks from advanced economies appear to be at lower risk by switching to more stable and active sources of financing that are less complex or usually imply lower risk. Feedback from supervisors indicates that banks' risk management has improved considerably - for example, the emphasis of banking boards on risk and receiving better risk information, while risk functions have become more influential. Even so, supervisors have indicated that there are still significant opportunities to improve banks' risk management.

The current crisis has brought many problems, but also many opportunities, which have not been exploited before. It's not too late yet!

**REFERENCES:**

Law on the activity of banks, https://bnm.md/files/legea_202-2017.pdf.

Căpraru, Bogdan, „Activitatea bancară – sisteme, operaţiuni şi practice”, Iaşi, Editura C.H. Beck, 2010, 368 pg. ISBN 978-606-18-0319-4.

Garry J. Schinasi, „Defining Financial Stability”, IMF Working Paper, 2004, 19 pg, WP/04/187.

Barth, James; Gerard Caprio, and Ross Levine, “Bank Regulation and Supervision in 180 Countries from 1999 to 2011,” (Washington, DC) , 2013, 111 pg.

Bank of England, „Instruments of macroprudential Policy” Discussion Paper Bank of England 2011, 42 pg. ISSN 1754–4262.

Ranciere, Romain, Aaron Tornell, and Frank Westermann, “Decomposing the Effects of Financial Liberalization: Crises vs. Growth,” Journal of Banking and Finance, 2006, 21 pg. 30(12): 3331-3348.
Sturzenegger, Federico and Jeromin Zettelmeyer, „Debt Defaults and Lessons from a Decade of Crises”, Great Britain, Cambridge: MIT Press, 2006, 360 pg.
Council Regulation (EU) No 1024/2013 of 15 October 2013, L287/63
European Banking Authority, Annual Report, various issues
National Bank of Georgia, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2&lng=eng.
National Bank of Moldova, http://bnm.md/bdi/.

# ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა პოსტპანდემიის პერიოდში საქართველოში

**ნინო აბესაძე**

***ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,***
***თსუ-ის ასოცირებული პროფესორი***

*Covid-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. რთულია იმის განსაზღვრა, პოსტპანდემიის პირობებში რამდენად დარჩება საქართველო კვლავ მიმზიდველ ქვეყნად საერთაშორისო ვიზიტორებისათვის. საერთაშორისო ტურიზმი ეკონომიკურად განუსაზღვრელობის სტადიაზეა, შიდა ტურიზმმა კი დაიწყო გამოცოცხლება. ფაქტია, რომ მეტ-ნაკლებად ყველა ტურისტულ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ტურიზმის ტენდენციები და ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები. საერთაშორისო ტურიზმის აღმავლობა მუდმივად მზარდი ტენდენციების ფონზე, ბუნებრივია, რთული პროცესი იქნება, რადგან პოსტპანდემიის პროცესი გარკვეული რეგულაციების მკაცრად დაცვას მოითხოვს, ეს კი ტურიზმს აუცილებლად მოაქცევს გაუთვალისწინებელ ჩარჩოებში. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურისტული ბაზრისათვის მნიშვნელოვანია მაღალხარისხიანი ტურისტული პროდუქტების შექმნა და მსოფლიო ტურისტული ბაზრებიდან მოსახერხებელი, უსაფრთხო დერეფნისა და ხელმისაწვდომი საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის უზრუნველყოფა.*

*ტურისტული ნაკადების მოლოდინების განსაზღვრის მიზნით სოციალური ქსელების პლატფორმის საფუძველზე ჩვენ მიერ ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგებიც ანალიზდებოდა პროგრამების – „MS excel"-ისა და „SPSS 20"-ის – საშუალებით.*

*შედეგები: პანდემიის გამოცხადებამდე შეინიშნებოდა საერთაშორისო და შიდა ტურიზმის მაჩვენებლების ზრდის ტენდენცია; პანდემიის პერიოდში გამოცოცხლებულია შიდა ტურიზმი; ტურისტებს შორის ჭარბობს ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობა; რესპონდენტთა 67,5% ჰქონდა საზღვარგარეთ მოგზაურობის ისტორია და ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (58%) პირველად ქვეყნის დატოვების პირობებში მოგზაურობდა მეგობრებსა და ნათესავებთან ერთად, შიდა ტურიზმის დროს კი ოჯახის წევრებთან ერთად; საქართველოს რეზიდენტები მოგზაურობისას განთავსების საშუალებებიდან უპირატესობას ანიჭებენ სასტუმროებსა და სასტუმრო სახლებს, შიდა ტურიზმის დროს მაღალია ახლობლების ბინით სარგებლობის მაჩვენებელი; რესპონდენტთა დიდი ნაწილისათვის გამგზავრების მიზანი დასვენება, გართობა და რეკრეაციაა და ა.შ. მოგზაურობისათვის სასურველ ქვეყნებს შორის დასახელდა: იტალია, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი, შვეიცარია. შიდა ტურიზმის დროს სასურველ ლოკაციებად დასახელდა: უშგული, მარტვილისა და ოკაცეს კანიონი, აბუდელაურის ფერადი ტბები, ბახმარო, გომის მთა, დაშბაშის კანიონი, ყაზბეგი და ა. შ.*

*საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, კვლევა, ტენდენცია, მოლოდინი, ანალიზი.*

2020 წელმა მთელი მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეიცვალა ცხოვრების წესი და რიტმი, საზოგადოება კი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში კომუნიკაციების ახალ ეტაპზე გადავიდა. ჩაიკეტა საზღვრები, შეჩერდა ქვეყნებს შორის გადაადგილება, აქტიური გახდა ონლაინ პლატფორმების გამოყენება და ა. შ. ფაქტია, რომ პანდემიამ ყველაზე მწვავე გავლენა სწორედ ტურიზმზე იქონია. ამიტომ, მეტ-ნაკლებად ყველა ტურისტულ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ტურიზმის ტენდენციები და ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები. ცხადია, ამ პროცესებს ვერ ასცდა საქართველოც. ტურიზმი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტსა და მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილისათვის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა, მხოლოდ შიდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების იმედად დარჩა. პოსტპანდემიის პირობებში რამდენად დარჩება საქართველო კვლავ მიმზიდველ ქვეყ-

ნად საერთაშორისო ვიზიტორებისათვის, რთული სათქმელია. მაგრამ შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და ის ფაქტი, რომ საქართველო უსაფრთხო ქვეყნებს შორისაა, ტურიზმის აღორძინების მიმართ პოზიტიურ მოლოდინებს აყალიბებს.

ტურისტული ნაკადების მოლოდინების განსაზღვრის მიზნით, სათანადო მონაცემების შეგროვება, თანამედროვე კომპიუტერული პროგრამებისა და ონლაინპლატფორმების გამოყენების საფუძველზე სტატისტიკური და სხვა მაჩვენებლების გაანგარიშება რთული, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელი პროცესია.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისათვის გამოყენებულ იქნა სოციალური ქსელების პლატფორმა. შეირჩა კვლევის ხერხები, დიზაინი, განისაზღვრა მოცვის არეალი და ჩატარების ვადები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 438 რესპონდენტმა. კვლევა ჩატარდა ხუთი თვის განმავლობაში (აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო) და მოიცავდა საქართველოს რეზიდენტი 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას, რომელმაც სამიზნე პერიოდის განმავლობაში განახორციელა ვიზიტი საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით.

რესპონდენტებიდან მიღებული პასუხები გამოყენებულ იქნა განზოგადებული სახით სტატისტიკური კვლევის მიზნით, ამიტომ სრულად იქნა დაცული კონფიდენციალობის პირობა და შეგროვებული მონაცემები დამუშავდა ანალიტიკური მიზნებისთვის.

რას უნდა ველოდეთ მომავალში? საქართველო ხომ იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ეკონომიკაც მნიშვნელოვანწილადა დამოკიდებულია ტურიზმის სექტორზე. დღეს, შეიძლება ითქვას, შიდა ტურიზმი საქართველოში გამოცოცხლებულია, მაგრამ საერთაშორისო ტურიზმი ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაშია. ამიტომაც შეიცვალა ტურიზმის ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები და ტენდენციები. საერთაშორისო ტურიზმის აღმავლობა მუდმივად მზარდი ტენდენციების ფონზე, ბუნებრივია, რთული პროცესი იქნება, რადგან პოსტპანდემიის პერიოდი გარკვეული რეგულაციების მკაცრად დაცვას მოითხოვს, ეს კი ტურიზმს აუცილებლად მოაქცევს გაუთვალისწინებელ ჩარჩოებში. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურისტული ბაზრისათვის მნიშვნელოვანია მაღალხარისხიანი ტურისტული პროდუქტების შექმნა და მსოფლიო ტურისტული ბაზრებიდან მოსახერხებელი, უსაფრთხო დერეფნისა და ხელმისაწვდომი საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის უზრუნველყოფა.

პანდემიამდე საქართველო მზარდი ტემპებით ტურისტულად მიმზიდველი ქვეყანა იყო. 2019 მონაცემებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 9 357 964 მიაღწია, რაც 7,8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რიცხვი 7 725 774 -ს გაუტოლდა, ეს კი 7,3%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებლებზე. ყველაზე დიდი მატების ტემპი დაფიქსირდა ევროპისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით, რამაც შესაბამისად 9,5% და 8,8% შეადგინა.

საერთაშორისო გამავალი ტურიზმის გარდა, შიდა ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკური შეფასებისათვის ჩვენ მიერ ჩატარდა შიდა ტურისტული ბაზრის სუბიექტების კვლევაც. რესპონდენტებიდან მიღებული მონაცემები პარალელურად ერთიან ბაზაში იტვირთებოდა და ანალიზდებოდა პროგრამების – „MS excel“-ისა და „SPSS 20“-ის – საშუალებით.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი, 69,6%, აღმოჩნდა ქალი, შესაბამისად, 30,4% - მამაკაცი. გამოკითხულთა 45% 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, 26,3% – 15-24 წლის იყო, ხოლო 45 – 64 წლის ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდა მათი 26,3 %. გაცილებით ნაკლები იყო 65 და უფრო ხანდაზმული რესპონდენტთა წილი (2,5%) გამოკითხულთა 58,8% დაქირავებული მომუშავე იყო, 29,2% – სტუდენტი, 5% – თვითდასაქმებული, 2,5% – პენსიონერი, 2,5% – უმუშევარი, ხოლო 2,0% – დიასახლისი (ნ. აბესაძე, 2020).

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, რესპონდენტთა 67,5% ჰქონდა მოგზაურობის ისტორია. ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (58%) პირველად ქვეყნის დატოვების პირობებში მოგზაურობდა მეგობრებსა და ნათესავებთან ერთად, ხოლო განმეორებითი ვიზიტებისას კი რესპონდენტებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ნათესავებთან ერთად (42%) და მარტო (18%) მოგზაურობის დროს.

საერთაშორისო ტურიზმის დროს რესპონდენტთა 43,2%-ისათვის გამგზავრების მიზანი დასვენება, გართობა და რეკრეაცია იყო, 16.9%-ისათვის მკურნალობა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება, 25,4%-თვის პროფესიული საქმიანობა, 8.5%-თვის კი ნათესავებისა და ახლობლების მონახულება (ნ. აბესაძე თბ.,2020).

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, რესპონდენტთა 43% ფიქრობს, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ აუცილებლად გაემგზავრება საზღვარგარეთ. მოგზაურობაზე უარი განაცხადა მხოლოდ 12.3%-მა. რესპონდენტთა უმრავლესობა, 64,9%, საქართველოდან გასამგზავრებლად უცხოური ავიახაზების მომსახურებით ისარგებლებს.

დიაგრამა 1. რესპონდენტთა განაწილება სამოგზაუროდ სასურველი ქვეყნების არჩევის მიხედვით




***წყარო:*** *აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.*

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა 30% სწორედ ვირუსის ყველაზე მწვავედ გამოვლენილ ქვეყნებში აპირებს მოგზაურობას. სასურველი ქვეყნების სამეულს უპირობოდ ლიდერობს იტალია, რომელსაც მოჰყვება ესპანეთი და საფრანგეთი. თუ მოგზაურობის ისტორიებს გავაანალიზებთ, როგორც საერთაშორისო გამსვლელი, ისე შემომსვლელი ტურიზმისათვის 2020 წლამდე მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენცია ვლინდება[1] (ნ. აბესაძე, რ. ქონქლაძე, ო. აბესაძე., 2020). შეკითხვაზე, ხვალ რომ მოგიწიოთ გამგზავრება, რომელ ქვეყანას აირჩევდით სამოგზაუროდ, რესპონდენტთა 29,1%-მა უპირატესობა მიანიჭა იტალიას, 19%-მა გერმანიას, 17,7%-მა ესპანეთს, 15,2%-მა შვეიცარიას, 11,4%-მა აშშ-ს, 10,1%-მა საფრანგეთს და ა.შ. (იხ. დიაგრამა 1) რესპონდენტთა 38% ფიქრობს, რომ მოგზაურობისას დახარჯავს 1000-1500-მდე, 27,8%- კი დახარჯავს 1500 ლარზე მეტს.

შიდა ტურიზმის შემთხვევაში კი, როგორც კვლევამ აჩვენა, მიმდინარე წელს რესპონდენტთა 60,5% ჰქონდა შიდა ტურიზმის ისტორია. მათი დიდი ნაწილი (58%) მოგზაურობდა მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად, მარტო -14%, ხოლო ოჯახის წევრებთან ერთად გამოკითხულთა 11%.

---

[1] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერ. კონფ. შრ. კრებული

დიაგრამა 2. ვიზიტორების განაწილება მიმზიდველი ლოკაციის მიხედვით




***წყარო:*** *აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.*

შიდა ტურიზმით მოგზაურთა თითქმის 60%-ისათვის გამგზავრების მიზანი იყო დასვენება, გართობა და რეკრეაცია,, 14%-თვის კი - ნათესავებისა და ახლობლების მონახულება, 16%-ისათვის - მკურნალობა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება, 10%-თვის - პროფესიული საქმიანობა. შიდა ვიზიტორ რესპონდენტთა უმრავლესობა, (53%), უპირატესობას ანიჭებს სასტუმროს, როგორც განთავსების ყველაზე პოპულარულ საშუალებას, 8% – ჰოსტელს, 10% -სასტუმრო სახლს, 21% - ახლობლის სახლს. რესპონდენტთა 38%-მა მოგზაურობისას დახარჯა 500 ლარამდე, 22%-მა კი - 1000 ლარამდე. შეკითხვაზე, ხვალ რომ მოგიწიოთ გამგზავრება, რომელ ტერიტორიულ ლოკაციას აირჩევდით სამოგზაუროდ, რესპონდენტთა 20%-მა უპირატესობა მიანიჭა სვანეთის რეგიონს, განსაკუთერებით მიმზიდველი აღმოჩნდა უშგული, 14%-მა უპასუხა, რომ გაემგზავრებოდა სამეგრელოში მარტვილისა და ოკაცეს კანიონების სანახავად, აბუდელაურის ფერადი ტბების მოსანახულებლად გაემგზავრებოდა 12%, ბახმაროში - 18%, ჯომარდობა ფასანაურში მომხიბვლელი აღმოჩნდა 8%-ისთვის, გომის მთა-5%-ისთვის, დაშბაშის კანიონი-3%-სთვის, ყაზბეგი-8%-სთვის, ბაკურიანი-9%-სთვის, აჭარის რეგიონს, რაჭასა და კახეთს შესაბამისად მინახულებდა რესპონდენტთა 15%, 7% და 10% და ა.შ.

რესპონდენტთა 22%-ს იზიდავს სათავგადასავლო ტურიზმი, 17%-ს – ეკო და აგრო ტურიზმი, დაცული ტერიტორიების მონახულების ტურისტული პაკეტი მომხიბვლელია 8%-ისათვის, მთის ტურიზმი კი - 37%-სთვის, ღვინის ტური მოსწონს რესპონდენტთა 11%-ს.

შიდა ტურიზმის კვლევისას რესპონდენტთა 42% 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, 38% - 15-24 წლის იყო, ხოლო 45 – 64 წლის ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდა მათი 10 %; გაცილებით ნაკლები იყო 65 და უფრო ხანდაზმული რესპონდენტთა წილი (2%). საქართველოს რეზიდენტების შიდა ტურიზმის დროს გატარებული ღამეების რაოდენობა 1-3-მდე მერყეობს ვიზიტორთა 17%-თვის, 4-7 დღემდე - 31%-ისთვის, 19% აპირებს, რომ იმოგზაუროს 7-9 დღე, ხოლო 23% მოგზაურობას 10 დღეზე მეტს გეგმავს.

**დიაგრამა 3. შიდა ვიზიტორების განაწილება**
**მოთხოვნადი ტურისტული პროდუქტების მიხედვით**




***წყარო:** აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.*

**დასასრულს შეიძლება ითქვას:**

**• პანდემიის გამოცხადებამდე აღინიშნებოდა საერთაშორისო და შიდა ტურიზმის მაჩვენებლების ზრდის ტენდენცია;**

**• პანდემიის პერიოდში გამოცოცხლებულია შიდა ტურიზმი;**

**• ტურისტებს შორის ჭარბობს ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობა;**

**• რესპონდენტთა 67,5% ჰქონდა საზღვარგარეთ მოგზაურობის ისტორია და ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (58%) პირველად ქვეყნის დატოვების პირობებში მოგზაურობდა მეგობრებსა და ნათესავებთან ერთად; შიდა ტურიზმის დროს კი ოჯახის წევრებთან ერთად;**

**• საქართველოს რეზიდენტები მოგზაურობისას განთავსების საშუალებებიდან უპირატესობას ანიჭებენ სასტუმროებსა და სასტუმრო სახლებს, შიდა ტურიზმის დროს მაღალია ახლობლების ბინით სარგებლობის მაჩვენებელი;**

**• რესპონდენტთა დიდი ნაწილისათვის გამგზავრების მიზანი დასვენება, გართობა და რეკრეაციაა;**

**• პანდემიის გამოცხადებამდე რესპონდენტთა 65% გეგმავდა საზღვარგარეთ გამგზავრებას. ყველაზე მეტი, 24,1%, აპირებდა იტალიაში გამგზავრებას;**

**• რესპონდენტთა 43% ფიქრობს, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ აუცილებლად გაემგზავრება საზღვარგარეთ;**

**• მოგზაურობისას სასურველ ქვეყნებს შორის დასახელდა: იტალია, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი, შვეიცარია. რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი აპირებს, რომ მოგზაურობისას დახარჯოს 1000-1500-ლარამდე.**

**• შიდა ტურიზმის დროს სასურველ ლოკაციებად დასახელდა: უშგული, მარტვილისა და ოკაცეს კანიონი, აბუდელაურის ფერადი ტბები, %, ბახმარო, გომის მთა, დაშბაშის კანიონი, ყაზბეგი და ა. შ.**

**• რესპონდენტთ ყველაზე მეტად იზიდავს სათავგადასავლო ტურიზმი და ეკო და აგროტურიზმი.**

**ლიტერატურა:**


1. აბესაძე ნ., (2020) საქართველოდან გამყვანი ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა კორონომიკის პირობებში. III ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები", შრომების კრებული.
2. აბესაძე ნ., მინდორაშვილი მ., ფარესაშვილი ნ. (2018) უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯები საქართველოში. მონოგრაფია, 35-40.
3. აბესაძე ნ., ქინქლაძე რ., აბესაძე ო. (2020) ევროკავშირიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების სტატისტიკური კვლევა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები, შრომების კრებული, მეორე ნაწილი.
4. ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა, პრეზენტაცია.
5. კვლევის – საქართველოდან გამყვანი ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა კორონომიკის პირობებში - შედეგები.
6. კვლევის - შიდა ტურიზმის მოლოდინების პოსტპანდემიის პირობებში - შედეგები.
7. Abesadze,N., Kinkladze,R., N Paresashvili N.(2019) ,Increasing Trends of Tourist Flows from the European Countries to Georgia. Scientific Conference on Economics and Entrepreneurship Proceedings.Riga, 4-11
8. Quliyev,A., Abesadze, N.,Abesadze, O., Amanova L. (2019) Statistical Aspects Of Trade Relations Between Azerbaijan And Georgia. Economic and Social Development: Book of Proceedings. Baku, 51-56


# Statistics of tourism expectations in the post-pandemic period in Georgia


**Nino Abesadze**

***Academic Doctor of Economics, Associate Professor***

***Iv. Javakhishvili Tbilisi State University***



S u m m a r y

The Covid-19 pandemic posed new challenges to the world. It is difficult to determine how much Georgia will remain an attractive country for international visitors in the post-pandemic conditions. International tourism is in a stage of economic uncertainty, while domestic tourism has begun to revive. The fact is that in more or less all tourist countries, tourism trends and key statistical characteristics have changed significantly. The rise of international tourism in the face of ever-increasing trends will naturally be a difficult process, as the post-pandemic process requires strict adherence to certain regulations, which in turn will inevitably bring tourism into an unforeseen framework. At the same time, it should be noted that it is important for both the international and domestic tourism markets to create high-quality tourism products and to provide a convenient, safe corridor and accessible air and land traffic from the world tourism markets.

In order to determine the expectations of tourist flows, we conducted a survey based on the social networking platform, the results of which were analyzed through programs - "MS excel" and "SPSS 20".

Results: Prior to the announcement of the Pandemic, there was a growing trend in international and domestic tourism; Domestic tourism has been revived during the pandemic period; Young people are dominated by young people; 67.5% of respondents had a history of traveling

**abroad and the highest proportion (58%) traveled with friends and relatives for the first time when leaving the country; During domestic tourism with family members; Residents of Georgia prefer hotels and guesthouses for accommodation during travel, the rate of use of relatives' apartments during domestic tourism is high; For the majority of respondents, the purpose of travel is to relax, have fun and recreate; etc. Named among the countries preferred for travel: Italy, Germany, Spain, France, Switzerland. The following are the preferred locations for domestic tourism: Ushguli, Martvili and Okatse canyons, Abudelauri colored lakes,%, Bakhmaro, Gomi mountain, Dashbashi canyon, Kazbegi and others. Sh.**

***Keywords:** tourism, research, trend, expectations, analysis.*

# Экономический анализ производства с помощью графо-аналитический методом

**Igor Ariefjew**
***Maritime University. Szczecin, Poland***
***e-mail:i.aeriefiew@am.szczecin.pl,***

**Tea Munjishvili**
***Iv. JavakhishviliTbilisistateuniversity***
***e-mail:tea.munjishvili@tsu.ge***

*Любому экономическому объекту можно графо-матричным способом дать вполне обоснованную оценку или изделию по совокупности его выявленных и вычисленных параметров (показателей). При этом, поступая аналогичным образом, когда удаётся обосновать меры и характер различных факторов состояния объекта, вполне допустимо провести и его многофакторный анализ. Одним из методов прогнозирования и оценки состояния и поведения объектов социально-экономического типа (фирма, завод, предприятие и т.п.) является метод сетевого планирования и управления типа «время-ресурсы», адаптированный средствами классического интегро-дифференциального математического аппарата в теорию интегральных характеристик.*

***Ключевые слова:*** *экономический анализ, контроль, объект, граф, параметр, показатель, фактор.*

## 1. INTRODUCTION

**Любой процесс управления производство связан с адекватной оценкой состояния и поведения объекта, его элементов, правильным выбором математической модели описания этого экономического объекта, эталонных характеристик контроля и прогнозирования его состояния, что в конечном итоге приводит к выработке управляющего воздействия с целью не допустить перехода объекта в положение, исключающее эффективную работу этого объекта между двумя последовательными моментами контроля.**

**Одним из методов прогнозирования и оценки состояния и поведения объектов социально-экономического типа (фирма, завод, предприятие и т.п.) является метод сетевого планирования и управления типа «время-ресурсы», адаптированный средствами классического интегро-дифференциального математического аппарата в теорию интегральных характеристик.**

**Формализация процесса управления конкретным производственным объектом характеризуется выделенным для этой цели набором функций, определяющих соответственно функциональные подсистемы.**

**Назовём типовые функциональные подсистемы ИАСУ производственными объектами и процессами:**

**- техническая подготовка производства (ТПП),**
**- оперативное управление (ОУ),**
**- технико-экономическое планирование и прогнозирование (ТЭП),**
**- материально-техническое снабжение (МТС),**
**- бухгалтерский учёт (БУ),**
**- учёт, анализ и распределение кадров (К),**
**- маркетинг, реализация и сбыт продукции (РСП),**
**- транспортировка - доставка продукции и сырья (Т)**
**- управление качеством (УК),**

- вспомогательное производство (ВП),

- контроль и исполнение текущих заданий (КИ).

Трудным моментом стратнгочново и оперативного управления является

создание метода определения оптимальной частоты контроля и аппарата прогнозирования состояния экономичиских процессов по времени начального и последующих шагов контроля.

## 2. FORMULATIONOFTHEPROBLEM

Анализ любого экономического процесса и анализаначинается с выявления множества параметров, по которым необходимо оценить его состояние. Дать такую оценку на бесконечном множестве параметров для всех элементов нереально. Этот процесс зависит от степени изученности параметров, технических, теоретических и статистических вычислений, измерений и инструментальных средств определения реальной оценки каждого из них. Степень недостоверности измерений и вычислений параметра определено допусками (колебаниями) которые исследователь может принять за возможную ошибку ($\Delta x_{ijf}$). Обычно выбирают группу наиболее значимых параметров с их допусками: 5-7% от измеряемой величины. Их принимают за критерии оценки состояния объекта (показатель). Остальные же трактуются, как ограничения формируемой модели объекта. Такой подход приводит к тому, что нарушение любого ограничения рассматривается как факт неработоспособности объекта (брак, ненадёжность, низкое качество и т.п.). По правилам Теории Сиситем, такой объект (элемент, изделие) считается неэффективным [7,8]. Искать на этом пути множество Парето не имеет смысла, т.к. оно само является подмножеством эффективных решений по $x_{ij}$(Рис.1).

Следоваельно, найти оптимум качества объекта можно только по группам критериальных характеристик [1].

Остальные характеристики объекта определяют показатели, которые фиксируют факт неработоспособности, ненадёжности, отклонения контролируемой величины от заданной. Это вызывает отбраковку данного изделия.Здесь необходима декомпозиция структуры объекта (судна) и элементаризация изделий по контролируемым параметрамна каждом из уровней (фактор).




**Рис. 1.** Схема факторного анализа состояния объекта

На начальном уровне диагностики рассматриваются факторы (Е), определяющие общее состояние объекта.(производство) Такое решение выгодно отличает логико-рефлексивный метод от других методов, в том числе и логико-вероятностных. Он позволяет оперативно исключать (включать) дополнительные факторы при прогнозировании, избегая вероятностные оценки.Следующий этап декомпозиции относится к функциональным комплексам (Х). Наконец, диагностируются параметры конкретных процессов, элементов, блоков (S). На каждом

из уровней допустима процедура замены, реновации, регуляции, если изделие не соотвествует заданным техническим условиям. Указанные технические условия (размеры, характеристики, уровень износа) принимаются за эталон либо одного изделия, либо комплекса или конструкции в целом. Здесь важно отметить. что технология выборахарактеристик элементов и обоснование их значенийдля Баз Данных на каждомуровне аналогична. В связи с этим остановимся на исходном уровне оценки состояния исследуемого объекта–организация контроля параметров отдельных изделий и деталей, составляющих комплексы и конструкции судна.

Эффективным способом решения таких здач диагностики можно считать семантическую сеть, когда для пары вершин i и j соотвествует дуга величины к(i,j) Є [0,1]. Эта величина определяет степень принадлежности данной пары нечёткому отношению. В реальности, указанный процесс характеризует неполноту знаний субъекта, который осознаёт причинно-следственную связь i – j, но не может объяснить промежуточные звенья рассуждений. Интуитивно понятно, что между i и j существует множество подобных пар, но для их идентификации исследователь не обладает соотвествующими знаниями и данными [2]. К тому же, семантическая сеть упрощённо носит линейно-плоский (двумерный) характер. В таких случаях формальная модель принимает вид

$$F = < S , M r >$$

где S – выявленное множество свойств объекта с конкретными значениями, а $Mr$ –нечёткое отношение „причина – следствие” на множестве S. Семантика заключается в том, что если $z_i = (q_i , v_i)$, $z_j = (q_j , v_j)$, $(q_i q_j)$ Є S, i ≠ j, когда $v_i , v_j$– значения свойств $q_i q_j$ то для каждой пары $(z_i z_j)$соответствует число к $(z_i, z_j)$ Є [0,1], определяющее степень принадлежности пары нечётеому отношению.

Вместе с тем, отказавшись от строгого математического решения при многопараметрической оценке состояния объекта, логично ввести в модель некоторую систему условных кодов. Тогда каждый известный или потенциально допустимый параметр считается равноценным в представлении показателей состояния объекта [5]. Качество состояния объекта будет определено по конечному множеству его показателей в соотвествии с обоснованным эталоном. Данное кодирование следует заложить в модель выявленных групп параметров $x_{ij}$как некоторую совокупность показателей $Y_i$. Следовательно, эталонным можно считать такое состояние объекта (изделия), когда все его факторы E выявлены и однозначно соотвествуют системе заданных показателей $y_i$. В основу приведённого вывода положены рассуждения, основанные на модифицированной схеме N.Viniera (Рис.2).

Действительно, если за объект диагностики принимается некоторая система (OS), то не трудно определить эталон её состояния E в каждый момент времени или на определённом интервале его эксплуатации.




OS – объект уп|

E – эталон (модель) объекта управления

BD – блок принятия решения о состоянии объекта

IS – информационно - измерительная система

W – внешние воздействия среды на объект

**Рис. 2.** Модифицированная схема N. Viniera

В реальных процессах управления и За такой эталон можно принять набор заранее заданных или расчитанных факторов $E = \{Y_i\}$ ($i = 1,I$). Они имеют фиксированные значения: I – число обоснованных факторов оценки состояния объекта[3].прогнозирования нет смысла давать вероятностную оценку этим значениям. Любое отклонение от эталонного ($+\Delta y_i, -\Delta y_i$) есть ошибка, снижающая качественную характеристику элемента по отношению к эталону. Она должна учитываться как расчётная величина, полученая на основании оценок X, S. Она принимает абсолютное значение $y = |y - \Delta y_i|$. Для этого следует определить группу показателей $y_i$($y_i = \{X_{ij}\}$, $j = 1,J$), формирующих данный объектный фактор и дать ей оценку по каждому из показателей $y_i$.

Проявление любой совокупности ΔY, полученной по данным IS трактуется как нарушение условия E и требует соответствующей реакции BD в оценке состояния OS. Следовательно, необходимо в оценку каждого из показателей $X_{ij}$ ввести конечное множество групп параметров $S_{ijf}$, когда $x_{ij} = \{S_{ijf}\}$ при $f = 1,F$, где F – число исходных параметров оценки состояния объекта (База Данных). На этом уровне конкретный параметр рассматривается как величина измерения (вычисления). Она оценивается по реальным выходным показателям функционирования объекта на данный момент или за установленный промежуток времени(интервала контроля, периода прогнозирования, времени жизни объекта и т.п). Здесь нужно указать, что показатели о состоянии объекта должны быть обоснованы измерениями параметров, показаниями датчиков или документированной информацией с числовыми значениями.

Примем за меру качества объекта результат сравнения процедур последовательной оценки фиксированных групп параметров, показателей и факторов данного с их эталоннами, установленными заказчиком (пользователем).

## 3. GRAPH-ANALYTICAL METHOD FOR DIAGNOSING AN OBJECT

С позиции Теории систем, за эталон состояния диагностируемого объекта можно принятькомплекс факторов, свободных от ошибок (отклонений) их показателей и параметров. Они прошли контрольные процедуры,т.е. $\Sigma\Delta Y_i = 0$. Утверждение справедливо при $W = 0$ (Рис.2). Здесь сразу возникает смысловая проблема. Элементы, составляющие анализируемую систему (производство, процесс, управление и т.д.), практически всегда имеют разную физическую природу, измерительные характеристики, методы определения и контроля. Это чётко проявляется даже в элементарных системах массового производства микросхем, метиза, крепежа и т.д. Следовательно, схема оценки факторов показатель – параметр по принципу допусков, вероятностных условий, статистических расчётов носит приблизительный характер. При этом, методы многофакторного анализа слишком грамоздки и сложны для простых объектов, выпускающих малоценную продукцию. Но уже на следующем шаге оценки состояния объекта задача усложняется: каждый из параметров может сохранять своё постоянное значение, но только в пределах частной задачи. Переход к другому варианту выпуска продукции или при изменении задачи (переналадка оборудования, смена инструментария), параметр, как паравило, меняет своё значение. На пример, чистота поверхности при обработке вала для контрольно - измерительной аппаратуры является основным параметром, а при производстве редукторов носит второстепенный характер.

Понятно, что ошибка измерения присутствует в обоих вариантах приведённого примера и не может быть нулевой ($\Delta \neq 0$). Поэтому она всегда учитывается, как отрицательная ошибка в оценке как данного показателя, так и параметра (фактора). Не трудно сделать вывод, что оценка состояния любого объекта или технологического процесса представаляет

собой тернарную систему последовательных операций, которую схематично можно представить в виде линейного алгоритма (Рис. 1).

Однако, утверждать, что совокупность показателей Y есть эталон E в такой энтерепритации не справедливо. Каждый $Y_i$ характеризует конкретную группу Yi (i=1,I). Эти группы разномерны по шкале измерений физических, экономических, информационных и др. факторов. Для наиболее эффективного результата принятия решения в BD о состоянии объекта необходимо изменить систему кодирования исходных данных по факторам и привести их к единой логике параметрического представления. В такой интерпритации и рассмотрим двух-шаговую процедуру реализации указанного предложения:

1. Логика системного анализа диктует условие многофакторности объектов и явлений. Тогда исследователь находится в весьма трудном положении. Учесть все возможные факторы оценки объекта нереально из-за невозможности сформировать многофакторную Базу Данных из-за ограниченного объёма знаний, парка контрольно-измерительной техники, отсутствия методов и средств вычислений ($S \in X$, $X \in Y$, $Y \in E$). К тому же факторы могут быть различной природы и противоречивы: безопасность, экономия, экология и т.п. Необходимоввести относительную меру для каждого из множества известных для данного объектазначения S, X,Y по условной шкале измерения ($0 \le E \le 1$).

Предположим, что известно (вычислено, установлено) эталонное значение каждого параметра $S_{ijf}$в последовательности $s_{ij1}, s_{ij2}, s_{ij3}, s_{ij1}, \ldots s_{ijF}$( f = 1,F ). Если значения параметров S располагать линейно по временной оси абсцисс, а величины показателей X – на оси ординат, то они сольются в неупорядоченную прямую линию. Их сравнимость на уровне факторов E окажется случайной.Плоско-парное расположение параметров X даёт адекватную оценку только для данной пары показателей и не решает задачу оценки состояния объекта через характеристики групп по фактору E в целом [9].

Будем считать, что в оценке качества объекта каждый выявленный параметр равноважен по отношению к другим при оценке показателя j.Тогдаможно перейти от абсолюной шкалы их представления к относительной (единичной) форме:

Решив традиционное уравнение перехода к относительной шкале, получим значение каждого параметра на единичной шкале измерения:

$$z_{ijf} = s''_{ijf} \bullet 1{,}0 \, / \, s_{ijf}$$

2. Представим полученные результаты в табличной форме. Примем её за Базу Данных для оценки состояния объекта по параметрическому анализу (Таблица 1). Данные Таблицы 1 подразумевают конечность числа параметров $S_{ijf}$в каждой группе показателей$X_{ij}$.

Table 1. База Данных оценки состояния объекта по параметрам

| № | Параметр ($s_{ijf}$) | Код параметра | Абсолютное значение | Относительное значение |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | Определение параметра $s_1$ | *ij1* | $s_{ij1}$ | $z_{ij1}$ |
| 2 | Определение параметра $s_2$ | *ij2* | $s_{ij2}$ | $z_{ij2}$ |
| 3 | Определение параметра $s_3$ | *ij3* | $s_{ij3}$ | $z_{ij3}$ |
| ... | ................................. | ............... | .................. | .................. |
| f | Определение параметра $s_f$ | *ijf* | $s_{ijf}$ | $z_{ijf}$ |

Следует заметиь, что в предлагаемой модели любое отклонение параметра $X_{ij}(\pm\ \Delta X_{ij})$ указывает на снижение качества показателя и фактора состояния объекта в целом [7].Тогда модель состояния объекта может быть представлена набором значений групп параметров и показателей, составяющих систему оценки принятия решения по конечному множеству факторов [3].На пример, если конкретный показатель оценивается по 8 параметрам, то распределим их равномерно по окружности ($45^0$). Длина каждого вектора соотвествует величине параметра по относительной (единичной) шкале измерения (Рис.3). Следовательно:

$$r = 1{,}0;\ D = 2{,}0;\ L = 2\pi,\ P = \pi$$

Можно утверждать:

1. Чем больше изучен элемент (изделие, объект), тем большевекторов в единичной окружности.
2. Длина каждого вектора определяется текущим значением параметра.




Рис. 3. Пример графо-аналитической модели оценки состояния объекта.

3. Чем больше вектор, тем ближе объектпо параметру $S_{ijf}$к эталонной оценке ($S_{ijf} = 1$).

Рассуждая подобным образом, установим, что при $x_{ij}\infty$ качество состояния элемента объекта теоретически может быть установлено с вероятностью P = 1,0 как по совокупности параметров, так и по производным от него показателям $y_i$ и фактору E. Это решение так же эффективно для моделипрования состояния объекта при внезапном отказе (полном или частичном) одного из его элеиментов. Достаточно либо исключить вектор – показатель $l_j$ данного элемента, либо уменьшить этот вектор на соотвествующую величину (Рис. 3).

Для оценки состояния объекта в целом, достаточно соотнести теоретическую длину единичного круга $L^0$ с длиной ломаной линии, соединяющей вершины векторов реальной оценки параметров ($L_f$):

$$L^0 = \pi D = 3{,}14 \cdot 2 = 6{,}28$$

$$L_f = \Sigma l_{ijf} (f = \overline{1,F})$$

Рассуждая подобным образом, получим гиромат (Рис.4).




**Рис.4. Гиромат состояния объекта управления Fig.4. Gyromat state of the control objectnull**

Основываясь на логике гиромата, по единичной шкале диагностируется объекткак в целом, так и на каждом из его уровней:

$L^0$= 6,28 – абсолютный эталон качества исследуемого объекта.

$L^0 - L_{ij} = \Delta L_{ij}$ – параметрическая мера состояния исследуемого объекта.

$L^0 - L_i = \Delta L_i$ – показательная мера состояния исследуемого объекта.

$L^0 - L_E = \Delta L_E$ – факторная мера состояния исследуемого объекта.

## 4. CONCLUSION

Таким образом, для каждого экономическо-объектного фактора, учитывая его оригинальность (специфику), можно графо-матричным способом дать вполне обоснованную оценку экономическому объекту или изделию по совокупности его выявленных и вычисленных параметров (показателей). При этом, поступая аналогичным образом, когда удаётся обосновать меры и характер различных факторов состояния объекта, вполне допустимо провести и его многофакторный анализ.

**REFERENCES:**


1. Арефьев И.Б., Коровяковский Е.К. Принцип распознавания проблемных ситуаций на базе интегральных характеристик // Гибридные и сенергетические интеллектуальные систем.2016. Калининград, Изд-во БФУ им. Канта. С. 206-217.
2. Арефьев И.Б. Логико-рефлексивное представление моделей древовидных структур. // Системный анализв проектированиии управлени. 2014. СПб, Изд-во СПГТУ. С. 56-60.
3. Ariefiew I. Forecasting and control object of management in the environment of system PERT. Maritime University, Szczecin., Biblioteka cyfrowa., 2012.. 293 p.
4. АрефьевИ.Б. Элементыметодалогико-рефлексивногомоделирования. Из-во „LAMBERTakademik publishing”, Riga. 2019. 68 p.
5. Карпов А.В. Психология рефлексивных механизмов деятельности. // М. Изд-во «ИП РАН», 2004.- 31 с.
6. Кант Э. Критика чистого разума. М: Мысль. Соч. том 3. 1964,.].
7. Чебышёв П.Л. Полное собрание сочинений.— Изд-во АН СССР, 1948.— Т.III.— С. 404

8. Мунджишвили Т., Логико-вероятностнаямодельоценки финансового состояния предприятия, Труды Тбилисского Университета, прикладная математика и компьютерные науки, #364 (24), стр. 216-229, Тб., 2005
9. JackHeidel; ZhangFu (1999). “Nonchaoticbehaviourinthree-dimensionalquadraticsystemsII. The conservativecase”. Nonlinearity.12(3): 617 – 633

# The Economic analysis of production using graph-analytical method

**Igor Ariefjew**
***Maritime University. Szczecin, Poland***
***e-mail:i.aeriefiew@am.szczecin.pl***

**Tea Munjishvili**
***Iv. JavakhishviliTbilisistateuniversity***
***e-mail:tea.munjishvili@tsu.ge***

Summary

One of the methods for predicting and assessing the state and behavior of objects of socio-economic type (firm, plant, enterprise, etc.) is the method of network planning and management of the "time-resources" type, adapted by means of the classical differential mathematical apparatus into the theory of integral characteristics.

Of the economic - object factor taking into account its originality (specificity), it is possible to give a well-grounded assessment of an economic object or product using a graph-matrix method based on the totality of its identified and calculated parameters (indicators). At the same time, acting in a similar way, when it is possible to substantiate the measures and nature of various factors of the state of the object, it is quite acceptable to carry out its multivariate analysis.

***Keywords:*** *economic analysis, control, object, graph, parameter, indicator, factor.*

# სახელმწიფო პანდემიის პირობებში საზოგადოებრივი აუცილებლობისა და მოქალაქეთა თავისუფლების ოპტიმალური თანაფარდობის ძიებაში

**იოსებ არჩვაძე**
***ეკონომიკის დოქტორი,***
***ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი***

*სტატიაში განხილულია სახელმწიფოს როლი და ფუნქციები კორონავირუსის პანდემიის პირობებში, ოპტიმალური თანაფარდობის ძიების აუცილებლობა სახელმწიფოს კონტროლისა და მართვის ფუნქციებს, ერთი მხრივ, და საზოგადოების წევრთა თავისუფლებას შორის, მეორე მხრივ; სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში, საქმიანობასა და ყოფაში სახელმწიფოსა და მისი სტრუქტურების შეჭრის, კონტროლისა და რეგულირების მასშტაბები და პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ეკონომიკის რეგულირების გამკაცრებისა და შეზღუდვის მასშტაბები.*

*საკვანძო სიტყვები: კორონავირუსის პანდემია, სახელმწიფოს ფუნქცია, გლობალიზაცია, მოქალაქეთა თავისუფლება და უფლებები.*

კორონავირუსის პანდემიის პირობებში სახელმწიფომ იტვირთა თითქმის აბსოლუტური პასუხისმგებლობა სამედიცინო პროცესების მართვასა და ამ ასპექტით საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ამ თვალსაზრისით მისი როლი და მნიშვნელობა ფასდაუდებელი და პოზიტიურია. კრიზისმა სრულად დაგვანახა ის რეალობა, რომ *ეკონომიკური კრიზისის დროს ბაზრის უკიდეგანო თავისუფლების მომხრეები ისევე ნაკლებად გვხვდებიან, როგორც ომის დროს - სანგარში ათეისტები.*

მაგრამ ნათქვამია, „წამალსა და საწამლავს შორის განსხვავება დოზაა!" - კორონავირუსთან ბრძოლის საბაბით სახელმწიფოს მიერ ყველა საბაზრო რისკის თავის თავზე დაკისრებისას არ უნდა გადაილახოს ზღვარი, რომელიც ყოფს აუცილებელ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს ეკონომიკის ტოტალური გასახელმწიფოებრიობისაგან. აქ საჭირო იქნება საზოგადოებრიობის მხრიდან მუდმივი მონიტორინგი, რათა სახელმწიფოს ჩარევა არ იქცეს საბაზრო ურთიერთობებისა და ეკონომიკური ზრდის, მთლიანად განვითარების შემზღუდავ ფაქტორად. სახელმწიფომ უსაფრთხოების მოთხოვნითა და საბაბით არ უნდა იმოქმედოს საზოგადოების წევრთა თავისუფლებისა და დემოკრატიული ფასეულობების შეზღუდვის მიმართულებით. მეორე მხრივ, თავისუფლების მოთხოვნამ არ უნდა გადაწონოს უსაფრთხოების მოთხოვნა (დაწვრილებით ამის თაობაზე იხილეთ [1]). ფაქტობრივად, ჩვენ ახლა ვადევნებთ თვალს პროცესს, რომელიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, წარმოადგენს კრიზისის დროს ეკონომიკის უსაფრთხო, უდანაკარგოდ გავლის სახელმწიფო მხარდაჭერის სცილასა და მის ტოტალურ გასახელმწიფოებრიობის ქარიბდას შორის. ამ მხრივ საკუთარი თავისუფლების ნაწილის დათმობაზე უფრო მეტი რაციონალურობისა და უსაფრთხოებისათვის მზაობა ჯერჯერობით ყველაზე მკაფიოდ ევროკავშირის ქვეყნებში ვლინდება.

პანდემიის პირობებში სახელმწიფოს როლის ზრდა უნდა ითვალისწინებდეს ორ მნიშვნელოვან გარემოებას:

ჯერ ერთი, ყოველმხრივ უნდა იქნას წახალისებული საერთაშორისო თანამშრომლობა სამედიცინო სფეროში, ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შემუშავებასა და დაავადებათა პროფილაქტიკის მიმართულებით ეროვნული სახელმწიფოების მიერ მიღწეული წარმატებებისა და დაგროვილი გამოცდილების გაზიარების მიზნით;

მეორე, სახელმწიფოს მიერ ეროვნული პროდუქტის გადანაწილება და გაზრდილი სახელმწიფო დაკვეთები უნდა ხორციელდებოდეს სამართლიანად, გამჭვირვალედ, რომელიმე ბიზნესისა თუ ბიზნესჯგუფისათვის პრივილეგირებული, სასათბურე პირობების შექმნის გარეშე.

პანდემიამ ნეოლიბერალიზმსა და ბაზრის ყოვლისშემძლეობის თეორიას მნიშვნელოვანი, თუმცა არასასიკვდილო, დარტყმა მიაყენა. ამავე დროს, ვერ ვიტყვით, რომ გლობალიზაციის პროცესი დასრულდა. ობიექტურად რომ შევაფასოთ სიტუაცია, უნდა ვაღიაროთ, რომ **დასრულდა ზე- თუ ჰიპერგლობალიზაციის პროცესი** და ეროვნული სახელმწიფოები თანდათან იბრუნებენ თავიანთ იმანენტურ, ინსტიტუციურ თუ პოლიტიკურ პოზიციებს. რა თქმა უნდა, **პოსტპანდემიურ პირობებში სახელმწიფოთა სუვერენიტეტის წინა პლანზე წამოწევა სრულებითაც არ ნიშნავს გლობალიზაციის პროცესის დასრულებას. პირიქით, ის ახალი ფორმებით, ასპექტებითა და მიმართულებებით იქნება წარმოდგენილი.**

ასეთ პირობებში **ინფორმაციის** როლი და მნიშვნელობა განუზომლად იზრდება. ხატოვნად რომ ვთქვათ, თუკი ***„თავისუფლების კუნძული"*** ათეული წლების განმავლობაში კუბის თიკუნს წარმოადგენდა, პანდემიის პირობებში გლობალიზაციის ყველაზე ტევად მახასიათებლად, თავისებურ **„თავისუფლების კუნძულად"** (სივრცედ, ასპექტად) **ინფორმაცია** და მისი გავრცელების გლობალური ქსელი იქცა. სწორედ ინფორმაციის გავრცელებამ უნდა შეუშალოს ხელი ასეთ რთულ ვითარებაში, „მღვრიე წყალში თევზის ჭერის" მსურველებს, მათ შორის ნაციონალისტური განწყობილებების ზრდას და ანტიგლობალისტური მოძრაობისათვის სისტემური და მძლავრი ხასიათის მიცემას, იმ სკეპტიკოსების შეხედულების დაძლევას, რომლებიც გლობალიზაციის პროცესის დასრულებას უკვე დე ფაქტოდ მომხდარ ფაქტად მიიჩნევენ. როგორ შეიძლება გლობალიზაციის დასრულებაზე ვისაუბროთ, როდესაც ხელოვნური ინტელექტი, რობოტები, ინტერნეტი სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ საზოგადოების ცხოვრებაში, ეკონომიკაში კი მათი როლი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც, მაგალითად, რესტორნის სამზარეულოში - შეფ-მზარეულისა. ამიტომ მსოფლიო ეკონომიკასა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში მიმდინარე პროცესებს პირობითად **„ახალი გლობალიზაციაც"** კი შეიძლება ეწოდოს.

პანდემიამ „ზოგი ჭირი მარგებელიას" პრინციპით საგრძნობლად დააჩქარა ბევრი იმ პრობლემის გადაჭრა, რომლებითაც საზოგადოებრივი ურთიერთობები მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისედაც იყო დამძიმებული. ეს ეხება როგორც ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ ასპექტებს, გლობალურ კონკურენტუნარიანობას, ისე სამეცნიერო ხედვებს, ახალი ტექნოლოგიების და პრეპარატების შემუშავებას და, რაც მთავარია, ახალი სოციალური ურთიერთობების ფორმირების პროცესს.

პანდემიამ ერთდროულად მოაწყო სამმაგი გამოცდა, ტესტირება: **ბაზრის**, როგორც საქმიანი ურთიერთობების მარეგულირებელი მექანიზმის, ეფექტიანობის - ამ ურთიერთობებში ჩართული **ინსტიტუტებისა** და კომპეტენტურობის – გადაწყვეტილებების მიმღები **სუბიექტებისა.**

კორონავირუსის პანდემიის დაძლევა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციის, მოსახლეობის მაღალი მობილურობის პირობებში, დღევანდელი გადასახედიდან, პრაქტიკულად გადაუწყვეტელ ამოცანას წარმოადგენს. შესაბამისად, კაცობრიობამ, სახელმწიფოებმა, ცალკეულმა სოციალურმა ჯგუფებმა და კონკრეტულმა ადამიანებმა უნდა ისწავლონ ცხოვრება და საქმიანობა აღნიშნული ავადობის პერმანენტული საფრთხის პირობებში. მეორე მხრივ, თუ რეალობას თვალებს გავუსწორებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ COVID-19 ემუქრება ცალკეული ადამიანების სიცოცხლეს და არა კაცობრიობას, როგორც ბიოლოგიურ ნაირსახეობას. შესაბამისად, უნდა გადაიხედოს საკარანტინო რეჟიმის ქოლგის ქვეშ დიდი და ხალხმრავალი დასახლებული პუნქტების მოქცევის კონცეფცია და ფაქტობრივად გატარებული სამედიცინო სოციალურ-ეკონომიკური ტერორიზმის ნაცვლად აქცენტი გაკეთდეს სამედიცინო დატვირთვის სოციალურ-ეკონომიკურ თერაპიაზე.

ამ კონტექსტში საუბარი კორონავირუსის „მეორე ტალღაზე" სიმწვავეს მეტწილად კარგავს. - როგორი მასშტაბურიც და ხანგრძლივიც უნდა იყოს იგი, ის ფსიქოლოგიური,

ემოციური შოკი, რომელიც კაცობრიობამ უკვე განიცადა „პირველი ტალღისას", აღარ განმეორდება. თანაც, მაღალი ალბათობით, ქვეყნებში, სადაც პირველი ტალღისას მოსახლეობა და ბიზნესი შედარებით უდრტვინველად იტანდა იზოლაციისა და კარანტინის მოთხოვნებს, ასეთივე შემრიგებლური, კონფორმისტული აღარ იქნება შეზღუდვების მეორე ტალღისას, რაც კარგად გამოჩნდა, მაგალითად, 2020 წლის 29 აგვისტოს ბერლინის ცენტრში მრავალათასიანი საპროტესტო აქციის დროს და რომელსაც ღიად გამოხატავენ არა მარტო სოციალურ ქსელებში, არამედ ოფიციალური ტრიბუნებიდანაც. თანაც, ინფექციის გავრცელების მასშტაბებსა და სიჩქარეს უპირისპირდება სამედიცინო პერსონალის მიერ ბოლო თვეებში შეძენილი გამოცდილება, მკურნალობის ეფექტიანი მეთოდების გავრცელება და თვით ანტივირუსული ვაქცინების გამოყენებაც.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ზემოხსენებულ გარემოებას გულისხმობდა, როდესაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (რომლის რეპუტაციამ პანდემიასთან ბრძოლაში, რბილად რომ ვთქვათ, გამოცდას აშკარად ვერ გაუძლო) საგანგებო დაავადებათა ქვეგანყოფილების უფროსის, მარია ვან კერკხოვეს (Maria Van Kerkhove), პირით განაცხადა, **რომ არავითარი ხელმეორე ტოტალური კარანტინი, მიუხედავად COVID-19-თან დაკავშირებული ეპიდმდგომარეობისა, არ უნდა იქნას შემოღებული.**[1] ამის ნაცვლად, მან ქვეყნებს მოუწოდა, გამოიყენონ ამ დროისათვის მათ ხელთ არსებული ინდივიდუალური, სპეციფიკური, ლოკალიზებული ინსტრუმენტები (კონტაქტების გამოვლენა, ფართო ტესტირება, სამედიცინო მოწყობილობებით საავადმყოფოების აღჭურვა, ფიზიკური დისტანცირება, პირბადეების ტარება) ინფექციის ახალი კლასტერების შესაკავებლად (იხ. [3]). მეტიც: მაგალითად მოჰყავთ შვედეთი, სადაც ხელისუფლებამ კორონავირუსის წინააღმდეგ საკმაოდ ლიბერალური მეთოდები აირჩია და სადაც დაავადებათა გავრცელების ინტენსივობა მეზობელ დანიასა და ნორვეგიაზე ჯერადად მეტია. - კერძოდ, ყოველ 100 ათას კაცზე ინფიცირებულთა რაოდენობა შვედეთში იყო 865, დანიაში - 355, ნორვეგიაში - 227; ლეტალური შემთხვევების რაოდენობა ყოველ 100 ათას კაცზე იყო: შვედეთში - 57.9, დანიაში - 10.9, ნორვეგიაში 4.9 (იხ. ქვემორე დიაგრამა, რომლის შესაქმნელად გამოყენებულია: [5]; [6]).

**COVID-19-ით ინფიცირებულთა და გარდაცვალებათა რაოდენობა მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე შვედეთთან შედარებით 2020 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით**




---

1 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია არ გაითვალისწინა ისრაელმა, რომელმაც 2020 წლის სექტემბრის შუა რიცხვებიდან ქვეყანაში საყოველთაო სამკვირიანი კარანტინი შემოიღო და საკუთარ მოქალაქეებს საცხოვრებლიდან 500 მეტრის დაშორებით გადაადგილებაც კი აუკრძალა.

მოსახლეობის ერთსა და იმავე რაოდენობაზე, 2020 წლის 13 სექტემბრის მდგომარეობით, შვედეთში 2.4-ჯერ მეტი იყო COVID-19-ით დაავადებულთა რაოდენობა მეზობელ დანიასთან შედარებით, ხოლო ლეტალური შემთხვევის რაოდენობა - 5.3-ჯერ მეტი; ნორვეგიასთან შედარებით მეტობა იყო, შესაბამისად, 3.8-ჯერადი და 11.9-ჯერადი, ხოლო საქართველოსთან შედარებით - 12.5-ჯერადი და 111.1-ჯერადი...

რა თქმა უნდა, **კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლამ არ უნდა მიგვიყვანოს მთელი ეკონომიკისა და არც არაკოვიდური მედიცინის მკვლელობამდე.** პიროვნების ჯანმრთელობა, თუ იგი საფრთხეს არ უქმნის სხვა ადამიანების ჯანმრთელობას, მისი პერსონალური პასუხისმგებლობის ზონაა (ამის საპირისპიროდ: თუ ადამიანის ქცევა საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სწორედ იქ აქტიურად უნდა ჩაერიოს სახელმწიფო). თუ სახელმწიფო ადამიანებს წაართმევს იმის უფლებას, რომ თავად განკარგონ საკუთარი სიცოცხლე და პირადად აგონ პასუხი საკუთარ ჯანმრთელობაზე, ამით ფაქტობრივად უბიძგებს მათ, ნაკლები პასუხისმგებლობით (ფაქტობრივად კი - უპასუხისმგებლოდ) მოეკიდონ სხვათა ჯანმრთელობასაც. კარანტინებმა კი მთელი საზოგადოების მასშტაბით სხვადასხვა ქვეყანაში ამ ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ასეულობით მილიონი ადამიანი, უკვე მიიყვანა გაღარიბებამდე, შიმშილამდე და ამით გამოწვეული კორონავირუსთან დაუკავშირებელ სხვა დაავადებებით გამოწვეულ ლეტალურ შედეგებამდე. COVID-19-მა არა მარტო ეკონომიკას დაარტყა, გამოიწვია გლობალური მასშტაბით მისი შეკუმშვა, მოსახლეობის დასაქმებისა და, შესაბამისად, კეთილდღეობის შემცირება, არამედ სერიოზული გავლენა მოახდინა მილიონობით ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე აღნიშნული ვირუსის პანდემიით გამოწვეულ საფრთხეებზე ფიქრით, შიშითა და შფოთით, აგრეთვე ჩვეული, ყოველდღიური სოციალური ურთიერთობების შეზღუდვით. ამიტომ, **ბალანსის ძებნა ბიზნესსა და სანიტარულ უსაფრთხოებას შორის, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა, ფაქტობრივად შეფარული ბრძოლაა ინსტიტუციონიზებულ უკეთესი ცხოვრების ადამიანურ სურვილსა და ადამიანისეულივე ფიზიოლოგიურ შიშს შორის.** ზოგადად კი, სოციალური წესრიგი - ეს ყოველთვის საკმაოდ რთული ბალანსია შიშს, ძალადობას, თავისუფლებას, კოლექტიურ და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას შორის.

მართალია, მთავარი ფასეულობაა ადამიანის სიცოცხლე და ღირებულება, მაგრამ ამ ღირებულებას სწორედ ეკონომიკური შესაძლებლობები, დოვლათის წარმოების და მოხმარების პოტენციალი სძენს რეალურ შინაარსს. სახელმწიფოს მიერ ადამიანებში არსებული შიშის ჯერ „კრისტალიზაცია“, შემდეგ მონოპოლიზება და „ნაციონალიზაცია“ , საბოლოოდ კი მონეტიზაცია, ცალსახად არ ზრდის ადამიანთა უსაფრთხოებას, მეტიც - ზღუდავს მათ ეკონომიკურ აქტიურობას. ეკონომიკური პროცესების შეზღუდვა ამცირებს შექმნილი დოვლათის მოცულობას და ღირებულებას, საბოლოოდ კი ადამიანის სიცოცხლის ღირებულებითი კომპონენტის დევალვაციასაც იწვევს. ასე მაგალითად, აშშ-ის მოქალაქის სიცოცხლეს ექსპერტები აფასებენ 14.5 მლნ. აშშ დოლარად [7]. საქართველოში, ჩვენი შეფასებით, ეს დაახლოებით 500 ათასი აშშ დოლარია (ლარი/დოლარის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით - თითქმის 1.5 მლნ. აშშ დოლარი). თითოეული ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებულია უსაფრთხოებასა და თავისუფლებას შორის არსებულ ბალანსზე სახელმწიფოს, საზოგადოებისა და თვით ამ ადამიანს შორის. - **უსაფრთხოებას არ შეუძლია, მთლიანად ჩაანაცვლოს თავისუფლება როგორც თავისუფლების, ისე უსაფრთხოებისათვის ნეგატიური შედეგების დადგომის გარეშე.** - უსაფრთხოების ზომები ადამიანებს იმაზე მეტად არ უნდა ემუქრებოდეს, ვიდრე ის, რისგანაც მათ დაცვას აპირებს სახელმწიფო. **ადამიანთა უსაფრთხოებისათვის ბრძოლამ არ უნდა გადააქციოს თავად ცხოვრება უფრო სახიფათოდ.** და რადგანაც ჯანდაცვა, პრინციპში, არ არის მხოლოდ სამედიცინო ცნება და წმინდა საექიმო პრობლემა, იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს ექსკლუზიურად მხოლოდ „სამედიცინო მონოპოლიის“ ობიექტს. ამიტომ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებმა ხელი უნდა შეუწყონ

პანდემიის გამო საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაჩენილ ფსიქოზისა და ტოტალური შიშის დაძლევას და არა - გაღვივებას, რაც ხელისუფლებას აძლევს საბაბს, გააძლიეროს ტოტალური მონიტორინგი ჯანდაცვის საერთო მდგომარეობაზე და ცალკეულ შემთხვევაში, თავად გამოდის ზემოხსენებული ფსიქოზისა და ტოტალური შიშის უნებლიე თუ ნებაყოფლობითი მძევალი. შიშით გარკვეული ვადით შესაძლებელია ადამიანთა შეკავება, მათი მორჩილებაში ყოლა, მაგრამ შეუძლებელია ქვეყნის განვითარება, სიღრმისეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრა.

აღნიშნულის გამო კი, რას ვხედავთ დღეს?! - გვაქვს სიტუაცია, როდესაც სახელმწიფო პანდემიასთან ბრძოლის საბაბით ღრმადაა შეჭრილი საზოგადოების წევრთა პირად სივრცეში და ამით გარკვეულწილად, ზღუდავს მათ ინდივიდუალურ და კოლექტიურ თავისუფლებას მართალია, მთლად არა ფანტომური, მაგრამ არც მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეგზისტენციური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით. - თითქმის ყველა ქვეყნის ხელისუფლებას უკვე აქვს სრული ინფორმაცია ისეთ კონტინგენტზე, როგორიცაა: კორონავირუსით დაინფიცირებულები, მათთან კონტაქტში მყოფი პირები, უცხოეთიდან დაბრუნებული და ორკვირიან კარანტინში მოხვედრილი ადამიანები, 65 წელს გადაცილებულნი, საზოგადოების წევრებთან ინტენსიური კონტაქტისა და, შესაბამისად, მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პირები - გამყიდველები, ტაქსის მძღოლები, პოლიციელები და ა.შ.

რა მოიტანა კორონავირუსმა? - საზოგადოების წევრთა ფსიქოლოგიური შფოთვა, შიში ხვალინდელ დღეზე, პიროვნებათაშორისი ყოფითი და სოციალური კონფლიქტების ალბათობის ზრდა. მაგრამ **შიში** თავადაა პრობლემა და არა პრობლემის გადაჭრა. შიში, განგაში, ჩაკეტილი სივრცე 24/7-იან რეჟიმში, უშუალო სოციალური კავშირების გაწყვეტა (სატელეფონო კავშირები და სოციალური ქსელების მეშვეობით კონტაქტები ცოცხალი, უშუალო ურთიერთობების მხოლოდ სუროგატია), შიში ხვალინდელ დღეზე - სამუშაოს შენარჩუნებასა და, მით უფრო, შოვნაზე. ამას უნდა დაემატოს ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ პანდემიის პირველ ეტაპზე კარანტინისა და (თვით)იზოლაციის რეჟიმმა ბევრ ოჯახში გაამწვავა მანამდე უკვე ლატენტური ან მდორედ მიმდინარე კონფლიქტები. ბევრმა წყვილმა ხანგრძლივად კარანტინში ერთობლივად ყოფნას ვერ გაუძლო: მეტისმეტად ახლო და მეტისმეტად ხანგრძლივმა კონტაქტმა მისი რაიმე პერიოდით შეწყვეტის პერსპექტივის გარეშე, ადამიანებში მანამდე მინავლებული, დამალული თვისებები ამოატივტივა ზედაპირზე, გამაღიზიანებელი ყოფითი ჩვევებიდან დაწყებული და ძალადობისადმი მიდრეკილებით დამთავრებული.

შემთხვევითი არაა, რომ, მაგალითად, რუსეთში 2020 წლის აგვისტოში (როცა პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები მოიხსნა) განქორწინებათა რაოდენობამ (45.8 ათასი) 2.5-ჯერ გადააჭარბა მაისის ანალოგიურ მაჩვენებელს (როდესაც ხსენებული შეზღუდვები მოქმედებდა). [8].

ასეთ პირობებში საზოგადოების ერთ ნაწილში გაიზარდა ვირუსის შინაგანი უარყოფისა და მისგან დაცვის პირობების უარყოფის ფსიქოლოგიური განწყობა. მათი განწყობა ეყრდნობა განცდას, რომ, მართალია, კორონავირუსი არაა დამარცხებული, მაგრამ იგი მას, მის ნაცნობებსა და „ნაცნობების ნაცნობებსაც“ კი არ შეხებია. - აი, საქართველოში, კორონავირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა 2020 წლის 26 თებერვალს, მაგრამ გავლილი ნახევარი წლის მანძილზე ამ ვირუსით დაავადებულთა რაოდენობამ ჯამში მხოლოდ 2400-ს მიაღწია, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობამ - მხოლოდ 19-ს (ეს მაშინ, როდესაც გარდაცვალებათა საერთო ყოველდღიური რაოდენობა საქართველოში საშუალოდ 130-ია), ანუ ამ ხნის მანძილზე საქართველოში ყოველი 1.5 ათასი გარდაცვლილიდან მხოლოდ ერთია კორონავირუსის მსხვერპლი. ეს თვით *„ექვსი ხელის ჩამოხ-*

*თმევის თეორიის“*[1] მიხედვითაც კი საკმაოდ ოპტიმისტური მაჩვენებელია და სიმკაცრის ნორმების შესუსტებისა და, მეტიც, იგნორირებისაკენ უბიძგებს ადამიანებს. რა გამოდის?! - ვირუსი არის ტელევიზორში, ინტერნეტში, სოციალურ ქსელებში, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ის ფაქტობრივად თითქოს არ არსებობს. ამგვარი სოფიზმი განსაკუთრებით გავრცელებულია რეგიონებში, სადაც ადგილი აქვს პირბადეების მასობრივ იგნორირებას და სოციალური ჰიგიენისა და დისტანცირების მასობრივ უგულებელყოფას. ამ უკანასკნელით სცოდავს დედაქალაქიც, სადაც მარტ-აპრილში სავაჭრო ობიექტების შესასვლელთანაც კი მოსახლეობა მასობრივად იცავდა სოციალური დისტანცირების რეკომენდებულ (1.5-2.0 მეტრი) ნორმებს. ამჟამად სავაჭრო ობიექტებში შესვლის ლიმიტი ფაქტობრივად საყოველთაოდ უგულებელყოფილია, ხოლო 1.5-მეტრიანი დისტანციის ნაცვლად, განსაკუთრებით კომუნალურ ტრანსპორტში, მიღწევად ისიც ითვლება, თუ სხვა ადამიანი არ გეხება. შედეგად ვიღებთ ინფექციის სწრაფ გავრცელებას და დაავადებულთა ახალი კლასტერების აღმოცენებას.

ადამიანები, რომლებიც პანდემიისგან მომავალ საფრთხეს აბსოლუტურად სერიოზულად აღიქვამენ და სამედიცინო თუ სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვის ნებისმიერ ღონისძიებას მათ ფსიქიკურ განწყობასა და მოლოდინებთან საკმაოდ მაღალი კორელაცია აქვთ, მწვავედ რეაგირებენ თანამოქალაქეთა ასეთ „მოშვებულობასა“ და სოციალური პასუხისმგებლობის უგულებელყოფაზე, რაც არანაკლებ ემუქრება საზოგადოებრივ სიმშვიდესა და სტაბილურობას, ვიდრე დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების ერთმანეთის საწინააღმდეგო ვერბალური თავდასხმები მედიასაშუალებებსა თუ სოციალურ ქსელებში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში, სოციალური ქსელების წარმოშობამ და დომინირებამ ადამიანთა შორის ურთიერთობების საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციული ფორმები თანდათანობით ჩაანაცვლა ვირტუალური კონტაქტებით და მეგობრობით. კორონავირუსის პანდემიამ კი ამ პროცესს, როგორც იტყვიან, „დამწვარზე მდუღარე დაასხა“.[2] სამედიცინო სფეროს ძირითადი ყურადღება ამჟამად კონცენტრირებულია კორონავირუსის გავრცელების პროფილაქტიკისა და უკვე დაავადებულთა მკურნალობაზე. თუმცა ის ადამიანები, რომლებიც არ არიან დაავადებულნი, მაგრამ იმყოფებიან სტრესულ მდგომარეობაში დაავადების საფრთხის გაცნობიერებისა თუ მოლოდინის გამო, აქედან წარმოქმნილი ფსიქიკური თუ ნევროლოგიური აშლილობით, მეტწილად ჯანდაცვის სფეროს ყურადღების მიღმა რჩებიან, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, სოციალურ ჯგუფებსა და შინამეურნეობებში. ასეთთა რაოდენობა, ექსპერტული შეფასებით, ამ კატეგორიის მოსახლეობაში შეიძლება 75 პროცენტზე მეტიც კი იყოს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფოს ერთდროულად უწევს პროცესების მენეჯერის, „მთავარი თერაპევტისა“ და სოციალური მედიატორის ფუნქციის შესრულება. იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად შეძლებს ის ამ ფუნქციების შესრულებას, დამოკიდებული იქნება COVID-19-ის დამარცხებაც, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანაც და ამ უკანასკნელის დინამიკური განვითარების უზრუნველყოფაც.

---

1 „ექვსი ხელის ჩამორთმევის თეორია“ – სოციოლოგიური თეორია, რომლის მიხედვითაც დედამიწაზე ნებისმიერი ორი ადამიანი ერთმანეთისაგან დაშორებულია არა უმეტეს საერთო ნაცნობობის ხუთი დონით (შესაბამისად, კავშირების ექვსი დონით).

2 უაღრესად მრავლისმეტყველია ამ მხრივ ევროსტატის მიერ ახლახან გამოქვეყნებული მონაცემები. – ევროკავშირში 2020 წლის ივლისში წინა წლის ივლისთან შედარებით ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტექსტილის რეალიზაცია შემცირდა 23.7%-ით, მაშინ, როდესაც საფოსტო და ინტერნეტმომსახურება გაიზარდა 19.0 %-ით. [4].

## დასკვნა

როგორც ეკონომიკურად, ისე ფუნქციონალურად ძლიერი სახელმწიფოს აუცილებლობას თავად ცხოვრებისეული დიალექტიკა განაპირობებს: კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ ტურბულენტურ პროცესებს საზოგადოებაში, ამგვარი პრობლემებისადმი გამკლავება (როგორც ეკონომიკური, ისე ადმინისტრაციული მეთოდებით), მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს ძალუძს.

მაგრამ ამ პოზიტიური ტენდენციების პარალელურად, აუცილებელია, დავინახოთ გარკვეული საფრთხეებიც, რაც სახელმწიფოს სტატუსისა და ფუნქციების გაძლიერებას შეიძლება მოჰყვეს.

კორონავირუსის პანდემიამ საზოგადოება სამმაგი არჩევანის გაკეთებისა და მათ შორის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენის აუცილებლობის წინაშე დააყენა: 1. მოქალაქეთა უფლებები, საზოგადოების წევრთა თავისუფლება; 2. სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში, საქმიანობასა და ყოფაში სახელმწიფოსა და მისი სტრუქტურების შეჭრის, კონტროლისა და რეგულირების მასშტაბები; 3. პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ეკონომიკის რეგულირების გამკაცრებისა და შეზღუდვის მასშტაბები.

ამ ამოცანების გადაწყვეტასა და მათ შორის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენაზე მეტწილადაა დამოკიდებული საზოგადოების დინამიკური განვითარებისა და მისი წევრების სიმშვიდისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ფაქტობრივად, თანამედროვე „გაციფრებული“ ცივილიზაცია და „ელექტრონული სახელმწიფოები“ აღმოჩნდნენ ციფრული კონტროლის შესაბამისი, ახალი პარადიგმის შესატყვისი სამართლებრივი და ეთიკური ნორმებისა და კანონების შემუშავების აუცილებლობის წინაშე.

ნებისმიერ შემთხვევაში, ის რასაც შეუქცევადი ხასიათი ექნება, არის სახელმწიფოს როლის ზრდა, რაც გამოვლინდება ეროვნული პროდუქტის მზარდ გადანაწილებაში, საჯარო სექტორის ზრდაში, სახელმწიფოსა და ბიზნესის მეტ კოოპერირებასა და კოორდინაციაში, ეკონომიკური თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტებისათვის წლების წინ „ნებაყოფლობით“ გადაცემული ფუნქციების დაბრუნებაში, ეროვნული სახელმწიფოსათვის ფორმალური და რეალური სუვერენიტეტის განმტკიცებაში.

წინ - პანდემიით გამოწვეული ზარალის სრულმასშტაბიანი დაძლევა, ეკონომიკის, ქვეყნის წელში გამართვა და ახალი ჰორიზონტებისკენ სვლაა. როგორც ეკლესიასტე ამბობს, არს „ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა“. დასრულდა „ქვათა მიმოფანტვის“ - რწმენის, იმედის, აპათიის, უკანდახევის პერიოდი; მინდა მჯეროდეს, რომ დგება ჟამი „ქვათა შეგროვების“ - ეკონომიკური წინსვლის, თავდაჯერებულობის ამაღლების, ინდივიდუალური და კოლექტიური შრომის შედეგით კმაყოფილების, სახელმწიფოთი და მისი მოქალაქეობით სიამაყის პერიოდი...

**ლიტერატურა:**


1. იოსებ არჩვაძე. კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები. თბილისი, „მწიგნობარი“, 2020.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. – Geostat.ge
3. Exclusive: Top WHO disease detective warns against return to national lockdowns. – The Telegraph, 1.08.2020.
4. Eurostat newsrelease N132, 3.09.2020.
5. worldometers.info
6. Countries in the world by population (2020). - https://www.worldometers.info/world-population/population-by-country/
7. Прививка от застоя. – Lenta.ru, 12.06.2020.

8. В России после самоизоляции стали чаще разводиться. Газета.ru, 25.08.2020

# Government in search of the optimal relationship between social necessity and freedom of citizens in the context of the coronavirus pandemic

**Joseph Archvadze**
***Doctor of economics, professor of Kutaisi University***

Summary

In the context of the coronavirus pandemic, the state has assumed almost absolute responsibility for managing the processes against COVID-19 and ensuring the appropriate safety of the population. In these conditions, the risk of blurring the line between the necessary anti-crisis measures and totalitarian state control increases.

The pandemic has severely damaged the theory of neoliberalism and market omnipotence. At the same time, it is not globalization that has ended, but super- or hyper-globalization, and nation-states are regaining their immanent institutional and political positions.

***Key words:*** *Coronavirus pandemic, Function of the State, Globalization, freedom and citizens' rights.*

# საქართველოში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობის შესაძლებლობები საერთაშორისო ვაჭრობაში

**თეიმურაზ ბაბუნაშვილი**
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

*ნაშრომში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი საქართველოს ეკონომიკის კუთხით ევროკავშირთან ექსპორტის განხორციელების საქმეში. ამ პროცესში საქართველოს ჩართულობა განსაკუთრებით ბოლო პერიოდის განმავლობაში საკმაოდ გააქტიურებულია, რაც განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პირობების გაუჯობესების ღონისძიებებით, მიუხედავად მსოფლიოში არსებული მძიმე პროცესებისა, ნაშრომში ასევე ყურადღება გამახვილებულია საქართველოში არსებული, მცირე და საშუალო ბიზნესის საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობაზე.*

*საკვანძო კითხვები: საერთაშორისო ვაჭრობა, მცირე და საშუალო ბიზნესი, ექსპორტი, ევროკავშირი.*

თამამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ურთულეს ეკონომიკურ პირობებში გააქტიურებულია ყველა ქვეყნის მხრიდან საერთაშორისო ვაჭრობის მრავალი ღონისძიებების დაანონსება, რომელიც მსოფლო პანდემიამ გამოიწვია. მსოფლიო ეკონომიკა ურთულესი დილემის წინაშე დადგა და ქვეყნები ცდილობენ ეტაპობრივად აამუშაონ მათთვის პრიორიტეტული ის დარგები, რომლებიც მსოფლიო და ევროპის ბაზარზე მომხმარებელთა მოთხოვნაზეა ორიენტირებული. ამ პროცესში ჩვენი ქვეყანაც ცდილობს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ჩაერთოს და მისცეს საშუალება მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესსუბიექტების წარმომადგენლებს მაქსიმალურად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ტენდენციას საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს.

1990-2015 წწ. მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა 5,2-ჯერ გაიზარდა. იმ დროს როცა მშპ მხოლოდ 2,7-ჯერ. ამაში დიდი როლი ითამაშა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდამ, რომელიც მიიღეს მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობაში მონაწილე ქვეყნებმა.

საქართველო 1991 წლიდან საბჭოური ეკონომიკიდან გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე და საგარეო ვაჭრობაში ფასების ლიბერალიზაცია გახდა განხორციელებული ეკონომიკური ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა ქართულ ეკონომიკაზე.

საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის სისტემაში განხორციელებული ინტეგრაციის პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს, სახელმწიფო ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესში მონაწილე სუბიექტების კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებში. ამ პროცესმა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა საქართველოსა და ევროკავშირს შორის საყოველთაოდ ცნობილი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რომელშიც საქართველომ აიღო ძალზედ სერიოზული ვალდებულებები, რომელშიც მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული პრიორიტეტული დარგები.

ცნობილია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის სავაჭრო საინვესტიციო პოლიტიკა შემუშავებულია და ხორციელდება ევროკომისიის გენერალური დირექტორატის მიერ, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მსოფლიო მასშტაბით ბაზრების გახსნაში 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. ევროპული ეკონომიკის აღორძინებაში, ძალზედ საინტერესოა როგორი შედეგები იქნება მსოფლიო პანდემიის კრიზისის შემდეგ.

ევროპის თანამეგობრობის შექმნამ დასაბამი მისცა იმას, რომ საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ გახდა ევროკავშირის კომპეტენცია, რომელმაც განსაზღვრა საგარეო ვაჭრობის სამი ძირითდი პრინციპი - ერთიანი საგარეო ტარიფი, ერთიანი სავაჭრო შეთანხმებები ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრები და ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ სავაჭრო ინსტრუმენტების ერთნაირი გამოყენება. ეს ხელს არ უშლიდა წევრ ქვეყნებს სხვა სახელმწიფოებთან გაეფორმებინათ ხელშეკრულებები, მაგრამ დაინტერესებულ სახელმწიფოს არაწევრ სახელმწიფოსთან სავაჭრო შეთანხმება უნდა მოეხდინა შესაბამისი პროცედურებით ევროკომისიის მეშვეობით და მოლაპარაკება გაეგრძელებინათ სანამ, მანამ წევრი ქვეყანა არ იქნებოდა კმაყოფილი, აღნიშნულის გარეშე არ მოხდებოდა რატიფიცირების პროცედურა.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებისთანავე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მცირე და საშუალო საწარმოების ხელშემწყობ ღონისძიებებს, რომელშიც განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივების საკითხები, ეს საკითხი ისევ პრიორიტეტულად დარჩა მთავრობის მიერ შემუშავებულ საშუალო ვადიან გეგმაშიც. „ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2018-2020 წწ. ეროვნული სამოქმედო გეგმა“. ამ მიმართებით ჯერ კიდევ 2014 წელს ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა ორი ახალი სააგენტო, რომელთა ძირითადი მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა. აქვე უნდა აღინიშნოს „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს დაფუძნება, რომელიც დღიდან დაარსებისა დღესაც აქტიურად არის ჩართული კერძო სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაში, რომელიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პირველი სახელმწიფო უწყებაა. ასევე უნდა აღინიშნოს სააგენტოს სამი მიმართულება: პროგრამა „სტარტაპსაქართველო“, მცირე გრანტები და თანადაფინანსების გრანტი.

საქართველოს მთავრობის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძიებებიდან გასაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებამ, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წელს 1 ივლისიდან დააწესა ახალი პრევენციული ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც წარმოადგენს შედარებით სიახლეს, რასაც ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან სამ ქვეყანასთან იყენებს: საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისაგან განსხვავებით DCFTA გულისხმობს, როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანომდებლობასთან.

2009 წელს პრაღის სამიტზე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორმატის ფარგლებში ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს სთვაზობდა ახალ პროგრამას „თითქმის სრულ წვდომას“ ევროკავშირის შიდა ბაზართან. ევროკავშირის სამართლებ-

რივი აქტებისა და კანონმდებლობის გადმოღების სანაცვლოდ. დღეისათვის პოლიტიკური დიალოგი და სტრატეგიები ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებით ინიცირებულია ყველა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებთან ბელარუსის გარდა და ამასთანავე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თითოეულ ქვეყანასთან არის განსხვავებული მიდგომები, რომლებიც ასახულია შეთანხმებებში.

2018 წელს ჩატარდა საქართველოში მომქმედი მცირე და საშუალო საწარმოების კვლევა „საქართველო ევროპულ გზაზე" პროექტის ფარგლებში. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ქართველ მწარმოებლებს აქვთ სურვილი ამ ბაზარზე შესვლის და იღებენ მათთვის არსებულ გამოწვევებს. გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს 9 რეგიონში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელთაც DCFTA ფარგლებში ევროკავშირის ერთიან ბაზარზე აქვთ ან შეუძლიათ გაუჩნდეთ ექსპორტის პოტენციალი.

თუ რამდენად აქვს საქართველოში მოქმედ მცირე და საშუალო ბიზნესს მსოფლიო სავაჭრო ფასებთან და პროდუქციის შიდა ფასებს შორის ვაჭრობის შესაძლებლობა, აქ გამოიყო საექსპორტო საქონლის ჯგუფები, რომლებიც კონკურენციას უწევენ იმპორტულ პროდუქციას შიდა ბაზარზე. ვინაიდან საერთაშორისო კონკურენციის სარეალიზაციო საქონლის ფასები გარკვეულ ზეგავლენას ახდენს შიდა ფასებზე, ეს არ უდნა იყოს მნიშვნელოვნად დიდი, ვინაიდან ქართული ფასები შეიძლება გარკვეულწილად იყოს უფრო მაღალი, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე, რაც განპირობებულია სავაჭრო ხარჯების არსებობით.

მაღალ საბაზრო კონცენტრაციის ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ინტეგრირებული სტრუქტურების არსებობას შეუძლიათ გარკვეულ პირობებში ქართველი მეწარმეების ხელშეწყობა შიდა ბაზარზე ძალაუფლების მოსაპოვებლად. საქართველოს ინდუსტრიაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქიმიური მრეწველობის, შავი მეტალურგიის, აზოტის მრეწველობის, ღვინომასალებისა და ხილ-ბოსტნეულის, წვენებისა და საკვები პროდუქტების საექსპორტო პოტენციალი.

არის მოსაზრება, რომ პროდუქციის მსოფლიო ბაზარი სრულყოფილი კონკურენციით ხასიათდება. ეს კი იძლევა იმის საფუძველს, რომ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირი მოსაზრება, რომელთა სამართლიანობის ანალიზი წარმოადგენს ერთგვარ ინტერესს სამუშაო მიზნების თვალსაზრისით, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ არსებობს ერთგვაროვან საექსპორტო პროდუქტზე შიდა და მსოფლიო ფასებს შორის დადებითი დიფერენციაცია, ეს შეიძლება ჩაითვალოს შიდა ბაზარზე ადგილობრივ მწარმოებლებს შორის არაჯანსაღ კონკურენციად. სრულყოფილად კონკურენტული შიდა ბაზრის შემთხვევაში პროდუქციის შიდა ფასი უნდა იყოს მსოფლიო ფასზე ნაკლები და ფასთა სხვაობა უნდა შეესაბამებოდეს საქონლის ერთეულის ექსპორტთან დაკავშირებულ საერთო ხარჯებს.

საერთაშორისო ვაჭრობა და სახელმწიფო საგარეო სავაჭრო რეგულირება, დიდ გავლენას ახდენს არა მარტო ფასებზე, არამედ შიდა გაყიდვების მოცულობებზე. ამავდროულად შესაძლებელია გამოვყოთ ვაჭრობის მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზეგავლენა, რომელიც მოქმედებს დარგის წარმოების სტრუქტურაზე და ჩართულია საგარეო სავაჭრო საქმიანობაში. მსოფლიო და შიდა ბაზარზე სრულყოფილი კონკურენციის შემთხვევაში საექსპორტო ბაზრების შემცირებამ ხელი უნდა შეუწყოს შიდა ბაზარზე მიწოდების მოცულობის ზრდას, რაც უცხოეთიდან საქონლის მიწოდების ხარჯზე ხდება. უცხოეთიდან მიწოდება მატულობს მაშინ, როცა ადგილი აქვს შიდა მწარმოებლების მიერ პროდუქციის გამოშვების ერთგვარ შემცირებას, რაც ჩვენდა სამწუხაროდ საქართველოს რეალობაა. საერთაშორისო ვაჭრობა საწარმოს უქმნის არა მარტო მასშტაბის ცვლილებებს, არამედ ზრდის დარგში მონაწილე მეწარმეთა რაოდენობასაც. ეს დამოკიდებულება ვერ შესრულდება იმ დარგებისთვის, სადაც დანახარჯები რეკლამაზე და სამეცნიერო კვლევებზე საკმაოდ მნიშვნელოვანია და საგრძნობ გავლენას ახდენენ კომპანიების შედარებით კონკუ-

რენტუნარიანობაზე. ის ფირმები, რომლებიც ცდილობენ ბაზარზე შესვლას, იწყებენ კონკურენციის შესაბამისი მათი ეკონომიკური შესაძლებლობების მოცულობების მიხედვით, რითაც ისინი საკუთარი თავისთვის უზრუნველყოფენ მაქსიმალური მოგების მოცულობას ბაზრიდან გასვლის შემდეგაც. ანუ ისინი იწვევენ კონცენტრაციის შემცირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შედეგი შენარჩუნებულია ოლიგოპოლიური მოდელების დიდი კლასისათვის, მიუხედავად იმისა ესა თუ ის კომპანია აწარმოებს თუ არა რამოდენიმე დასახელების პროდუქციას, დარგის ფირმების ურთიერთქმედების მიმართულებები დამოკიდებულია ბაზარზე შესვლის თანმიმდევრობაზე. საქართველოს სამრეწველო დარგებში შეიძლება დავადგინოთ, წარმოების კონცენტრციის ცვლილებებში ზოგადი ტენდენციების არსებობა, კერძოდ: დაგროვილი მტკიცებულებები და ახალი მონაცემები. აქ უნდა მოხდეს აღრიცხვა საბაზრო რეფორმების შემდეგ დაგროვილი მონაცემების წარმოების კონცენტრაციის ცვლილებების ზოგად ტენდენციებზე, რაც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ რამდენად ტიპიურია ესა თუ ის ცვლილება დარგების ორგანიზაციულ სტრუქტურაში. კონცენტარაციის ზრდა ხდებოდა ისეთ დარგებში, რომლებსაც გააჩნდათ შედარებით დაბალი თავდაპირველი კონცენტრაციის დონე, მაშინ როცა კონცენტარაციის შემცირება ხდებოდა იმ დარგებში, სადაც ფიქსირდებოდა კონცენტრაციის მაღალი დონე. ამავე დროს საქართველოში წარმოების კონცენტრაციის ზრდის ზოგადი ტენდენცია დომინირებს, პროდუქციის კონცენტრაციის განსახილველ პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციებში განხილული 18 დარგიდან 12-ში შეინიშნებოდა კონცენტრაციის ზრდა, ხოლო 6 დარგში დაფიქსირებული იქნა კონცენტრაციის შემცირება.

საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესში მონაწილე კომპანიების ქცევებზე, შიდა სასაქონლო ბაზარზე, ზოგიერთ შემთხვევაში სასაქონლო ბაზრებზე კომპანიების საფასო პოლიტიკის შესწავლამ, საერთაშორისო შედარებების ჩატარებამ შეიძლება მისცეს დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული ბაზრების ფუნქციონირების თავისებურებათა კომპანიების საბაზრო ძალაუფლების ფლობისა და საერთაშორისო კონკურენციის ინტენსივობის შესახებ.

ქართულ ბაზარზე საქონლით ვაჭრობით მონაცემების მიხედვით განხორციელებული ანალიზით, ბოლო 10 წლის განმავლობაში შეიმჩნევა მსოფლიო ბაზრის ფასების და საქონლის შიდა ფასების დაახლოება. თუმცა ერთიანი ფასის კანონი ყოველთვის არ სრულდება. ექსპორტირებული საქონლის ჯგუფები საშუალოდ ასახავს საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტების მიხედვით შიდა ფასების უფრო მაღალ ელასტიურობას ვიდრე იმპორტირებული საქონლის ჯგუფები. ესპორტირებულ პროდუქციაზე საქართველოში ფასების შემცირების პერიოდში ბიზნესსუბიექტები ნაკლები ენთუზიაზმით მიჰყვებიან მსოფლიო ფასებს ვიდრე ფასების ზრდის პერიოდში.

საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის სისტემაში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს განსაკუთრებით მისი სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანი მუშაობის შედეგად, რომელიც ორიენტირებულია ქართველი მეწარმეების კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, ეს კი გარკვეულ წილად ხელს უწყობს საქართველოში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესში მონაწილე სუბიექტების აქტიურ ჩართვას საერთაშორისო ვაჭრობაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლე-ბისთვის.
2. www.gestat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
3. თ. შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბ., 2018.
4. ი. გაგნიძე, ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა; გამო. „უნივერსალი“, თბ., 2012.
5. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვ-ლისმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ და საქართველო, თბ., 2014.
6. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“.
7. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება 2014.

# Opportunities for Small and Medium-sized Businesses in Georgia to Participate in International Trade

**Teimuraz Babunashvili**
*Doctor of ekonomik and ciencens, professor*

S u m m a r y

The paper discusses the role of small and medium businesses in the Georgian economy in exporting to the European Union. The author believes that Georgia's involvement in this process has recently become more active, which is because of the improvement of the conditions conducive to small and medium-sized businesses by the state.

The paper also focuses on the participation of Georgian small and medium businesses in international trade.

Key questions: International Trade, Small and Medium Business, Export, EU.

# კორპორატიული მენეჯმენტის საკანონმდებლო უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში

**ჟანა ბალახაშვილი**
***ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი,***
***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი***

**რუსუდან ქინქლაძე**
***ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,***
***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი***

*სტატიაში - „კორპორატიული მენეჯმენტის საკანონმდებლო უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში" - განხილულია სააქციო საზოგადოებების, როგორც კორპორაციების, მარეგულირებელი კანონები, საკანონმდებლო აქტები და გამოთქმულია შენიშვნები. აღნიშნულია, რომ, მართალია, საქართველოში მოქმედი სააქციო საზოგადოებები რიცხობრივად მთელ საწარმოთა მხოლოდ 0,4%-ს შეადგენს, მაგრამ მათი როლი ეკონომიკის ზრდაში განმსაზღვრელია, რადგანაც პროდუქციის უდიდეს ნაწილს ისინი აწარმოებენ. ასევე საჭიროა ითქვას ისიც, რომ საქართველოს სააქციო საზოგადოებებს აქციონერული წესით მუშაობის არც დიდი გამოცდილება აქვთ და არც დიდი თეორიული ცოდნა. ამდენად, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ფორმატში ევროკავშირიდან საქართველოს კორპორაციებისთვის შემოთავაზებული რჩევები სასურველია, იყოს სავალდებულოდ დასანერგი და არა სარეკომენდაციო.*

*ამის გარდა, სტატიაში აღნიშნულია „კორპორაციული მართვის კოდექსის" და საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" არათავსებადობის შესახებ კორპორაციული მართვის კონტექსტში და მოყვანილია სათანადო დასაბუთება. შეთავაზებულია თითოეული ამ საკანონმდებლო აქტის სრულყოფის ავტორისეული წინადადებებიც.*

***საკვანძო სიტყვები:*** *კორპორაცია, სააქციო საზოგადოება, კორპორაციული მართვა, კორპორაციული მართვის კოდექსი, აქციონერი, კორპორაციული მართვის კანონმდებლობა.*

## ძირითადი შინაარსი

საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ" საქართველოში დაშვებულია ორი ტიპის კაპიტალური საზოგადოება. ესენია: სააქციო საზოგადოება და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ამასთან, რადგან აქციების გამოშვების უფლება ამავე კანონით მიცემული აქვს მხოლოდ სააქციო საზოგადოებას, ამიტომ მხოლოდ ის ითვლება კორპორაციულ საწარმოდ.

2019 წლის ინფორმაციით, საქართველოში ფუნქციონირებს 2410 სააქციო საზოგადოება [1, გვ. 25]. მართალია, საწარმოთა საერთო რაოდენობაში მათი ხვედრითი წილი მცირეა (0,4%), მაგრამ, პროდუქციის ძირითად მასას ისინი აწარმოებენ და, ამდენად, მათი უზრუნველყოფა გამართული კანონმდებლობით ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

კორპორაციების საქმიანობას საქართველოში არეგულირებს კანონი „მეწარმეთა შესახებ" და „კორპორაციული მართვის კოდექსი". ამასთან, აღვნიშნავთ, რომ „კორპორაციული მართვის კოდექსი" 2009 წელს შემუშავდა ბანკებისთვის და ყველა დანარჩენ არასაბანკო სააქციო საზოგადოებებს მიეცათ მისით სარგებლობის უფლება. მაშინ იყო ვარაუდი, რომ ასეთივე კოდექსი არასაბანკო კორპორაციებისთვისაც მალევე შეიქმნებოდა, მაგრამ იგი დღესაც არ არსებობს. მართალია, სააქციო საზოგადოების მენეჯმენტი, განურჩევლად იმისა, თუ ეს სააქციო საზოგადოება რა პროფილისაა, ერთნაირი პრინცი-

პებით იმართება. მაგრამ, ჩვენი აზრით, თუ ეს ინიციატივა ბანკებმა გამოიჩინეს, როცა ქვეყანაში სულ 19 ბანკია, რატომ არ უნდა გამოიჩინონ სამშენებლო, სამრეწველო და სხვადასხვა დარგის კორპორაციებმა, როცა მათი რიცხვი 10-ჯერ მეტია. ჩვენი აზრით, ქვეყანაში ან ერთი უნივერსალური კოდექსი უნდა არსებობდეს, ან ყველა დარგს ჰქონდეს თავისი.

ცნობილია, რომ კორპორაციული მართვა განსხვავდება რიგით საწარმოთა მართვისგან. კორპორაციული მმართველობის ძირითადი პრინციპია კომპანიის ადმინისტრაციასა, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის ეფექტური ურთიერთობების ჩამოყალიბება. მაშასადამე, კორპორაციული მმართველობა არის სისტემა, რომელიც ვრცელდება სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს, აქციონერებსა და საზედამხედველო საბჭოს ურთიერთობებზე და აწესებს ამ ურთიერთობების ჩარჩოებს [2, გვ. 7]. კორპორაცია უნდა ზრუნავდეს არა მხოლოდ საკუთარი მიზნების და მისიის შესრულებაზე, არამედ, უპირველესად, აქციონერების უფლებების დაცვაზე. ეს უფლებები ეხება საკუთრების დაცვას, აქციების გასხვისებას, აქციონერთა კრებებზე ხმის მიცემას, მოგებაში მონაწილეობას და ა. შ. ეს უფლებები პრინციპების სახით არის ჩამოყალიბებული OCЭP-ის მიერ შექმნილ საერთაშორისო ნორმატიულ აქტში „კორპორაციული მართვის პრინციპები“, რომლის გამოყენების რეკომენდაცია ყველა ქვეყანას აქვს მიცემული. ეს პრინციპები მსოფლიოში ერთ-ერთ სტანდარტად ითვლება, რომელთა გატარება ხელს უწყობს კორპორაციებში სტაბილურობის ამაღლებას. ამ პრინციპების ჩამონათვალში შედის: აქციების გასხვისების უფლება, მართვის ორგანოში არჩევის უფლება, კომპანიიდან ინფორმაციის მიღების უფლება, გამჭვირვალობა და სხვა [3, გვ. 22].

კორპორაციული მართვის თემატიკაზე არსებული ლიტერატურის გაცნობით [4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11] ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ მსოფლიოში არ არსებობს კორპორაციული მართვის ერთიანი მოდელი და ის პრინციპებიც, რომელიც OCЭP შეიმუშავა, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა და არა სავალდებულო. OCЭP-ის განმარტებით, ეს ხდება იმიტომ, რომ კორპორაციებს ზედმეტი რეგულირება თავიდან ააცილოს. ჩვენი აზრით, განვითარებადი ქვეყნების კორპორაციებს, რომელთა რიცხვშია საქართველოს სააქციო საზოგადოებები, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და სააქციო სტრუქტურების ფორმით ფუნქციონირების მცირე გამოცდილება აქვთ. XX საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს ყოველი მსხვილი ფაბრიკა-ქარხანა სავალდებულო წესით ისე გააქციონერეს, რომ მათ დირექტორებს არ ჰქონდათ არანაირი ცოდნა სააქციო საზოგადოების მართვის შესახებ. შედეგად, მათი 70-80% გაკოტრდა. ისინიც, ვინც დარჩნენ „ბნელში ხელის ცეცებით“ იკვლევენ გზას და ასეთი გამოცდილებით ისინი ვერ გადაწყვეტენ, ეს რეკომენდაციები აირჩიონ, თუ არ აირჩიონ. ჩვენი აზრით, მათთვის ეს რეკომენდაციები სავალდებულოდ შესასრულებელი უნდა იყოს, განსაკუთრებით სახელმწიფო საწარმოებისთვის.

იმავეს ვიტყვით ევროკავშირის მიერ „მოქმედებათა გეგმაზე“ [12, გვ. 44]. ამ გეგმაში მოცემულია მართვის საუკეთესო წესები და მართვის მოქნილი ჩარჩო პირობები. ეს გეგმაც როგორც ევროპის ქვეყნებს, ისე სხვა ქვეყნებს 10 ღონისძიებას აძლევს სარეკომენდაციოდ. ჩვენი აზრი აქაც იგივეა, რაც OCЭP-ის რეკომენდაციების მიმართ.

დღეს საქართველოს სახელმწიფო კორპორაციები მხოლოდ ტვირთია სახელმწიფოსათვის, რომლებსაც არსებითი სარგებელი არ მოაქვთ [13, გვ. 67]. საქართველოში სახელმწიფო კორპორაციებს თითქოს ქონების მართვის სააგენტო უნდა მართავდეს, მაგრამ მას ეს საწარმოები მართვის უფლებით გადაცემული აქვს სხვადასხვა სამინისტროსთვის. 4 კორპორაცია, კერძოდ, საქართველოს რკინიგზა, თელასი, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა და საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაცია - საერთოდ საკუთრებაში აქვს გადაცემული საპარტნიორო ფონდს. სახელმწიფო სააქციო საზოგადოებები სხვადასხვა უწყებიდან, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირად იმართებიან. ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში არ არსებობს კორპორაციების მართვის მაკოორდი-

ნებელი ორგანო. თავის დროზე ქონების მართვის სააგენტოს ეს ფუნქციაც ევალებოდა, მაგრამ დღეს ეს ეკონომიკის და განვითარების სამინისტროსთვის აქვს მიანდობილი და კორპორაციების მართვაში საერთოდ არ მონაწილეობს.

საქართველოს არა აქვს შემუშავებული კორპორაციული მართვის ერთიანი პოლიტიკა, რომელიც გავრცელდება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საკუთრების სააქციო საზოგადოებებზეც. დასახვეწია და სრულყოფას საჭიროებს ის კანონებიც, რომლებიც არეგულირებენ საქართველოში სააქციო საზოგადოებების საქმიანობას. ჩვენ, განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას „კორპორაციული მართვის კოდექსზე" და საქართველოს კანონზე „მეწარმეთა შესახებ". ეს საკანონმდებლო დოკუმენტები ურთიერთავსებადიც არ არიან. მაგალითად, დასახელებული კოდექსის მე-3 საკითხის - აქციონერთა უფლებები - მესამე პუნქტში ჩაწერილია, რომ „სამეთვალყურეო საბჭომ და აგრეთვე დირექტორატმა უნდა უზრუნველყონ როგორც უმცირესობაში მყოფი, ისე უცხოელი აქციონერების თანაბარი მოპყრობა და პასუხსიმგებელი იყვნენ მათ უფლებების დაცვაზე" [14]. ასეთ დროს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54 მუხლში ჩაწერილია შემდეგი - „აქციონერთა კრება არ არის საჭირო, თუ გადაწყვეტილებას მიიღებს ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი [15]. აქ ხომ აშკარად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში, არა თუ დაირღვევა, არამედ საერთოდ უგულებელყოფილი იქნება ხმების 25%-ის მქონე აქციონერები?

კორპორატიული კოდექსის მე-6 საკითხის ბ პუნქტში არის ჩანაწერი, რომლის შინაარსი ასეთია: „მმართველი ორგანოების წევრთა შრომის ანაზღაურება უნდა იყოს საკმარისი, ანუ ზომიერი, მაგრამ არა გაუმართლებლად დიდი, ანაზღაურების თითოეულ კომონენტზე უნდა დაწესდეს მაქსიმალური ზღვარი" [14]. ჩვენი აზრით, კორპორაციული მართვის კოდექსი საკანონმდებლო დოკუმენტია. მასში ყველაფერი ცხადი უნდა იყოს. რადგან ეს მონაკვეთი შრომის ანაზღაურებას, ე. ი. ხელფასს ეხება, აქ ისეთი ეპითეტების გამოყენება, როგორიცაა „საკმარისი", „ზომიერი", „არაგაუმართლებლად დიდი", სრულიად ზედმეტია. საკანონმდებლო დოკუმენტში, კანონი იქნება ის თუ კოდექსი, უნდა დაფიქსირდეს არა შრომის ანაზღაურების სიდიდე, არამედ - მისი ინდექსირება ინფლაციის ფაქტორით.

საქართველოს სააქციო საზოგადოებების მმართველობის საკითხებში პრობლემები საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-მაც აღმოაჩინა. ამ ტიპის კვლევა მან საქართველოში 2004, 2008 და 2010 წლებში ჩაატარა.

IFC-ის კვლევით დადგინდა, რომ საქართველოს კომპანიების მხოლოდ 50%-შია ხელმისაწვდომი აქციონერების მიერ ბალანსის გაცნობა, 41,3%-ში - მოგება-ზარალის ანგარიშის გაცნობა, 25,3%-ში - კაპიტალში ცვლილებების გაცნობა, 19,3%-ში - 50%-ზე მეტ აქციათა საკონტროლო პაკეტების მფლობელ აქციონერთა ვინაობა, 18,7%-ში დირექტორატის წევრების შრომის ანაზღაურება, 16%-ში - სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურება, 14,7%-ში - კორპორაციული მართვის პოლიტიკა, 12%-ში - აქციათა ინსაიდერული ვაჭრობის პოლიტიკა და ა. შ [15].

აქციონერთა უფლებების დარღვევაა ისიც, რომ კანონმდებლობის მიხედვით გარე აუდიტორის კანდიდატს უნდა ამტკიცებდეს აქციონერთა საერთო კრება (სამეთვალყურეო საბჭოს ან აუდიტის კომიტეტის წარდგენით). ფაქტობრივად, საქართველოში კომპანიათა მხოლოდ 72,5%–ში მიმდინარეობს ეს პროცესი კანონის დაცვით. კომპანიათა 27,5%-ში მას დირექტორატი წყვეტს.

აქციონერთა მორიგი კრება ყოველ წელს უნდა გაიმართოს. 2010 წელს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია IFC-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კომპანიათა ხვედრითი წილი, რომლებმაც კრების დაწყებამდე აქციონერებს წლიური ანგარიში მიაწოდეს, 48,9% შეადგინა [16].

აქციონერთა კრებაზე ხმების დათვლის სიზუსტისთვის კომპანიამ უნდა შექმნას ხმის დამთვლელი კომიტეტი. IFC-მა ამ სფეროშიც აღმოაჩინა პრობლემა. მისი გამოკვლევით კომპანიათა 62,8%-ში ხმების დათვლის სიზუსტეს ნოტარიუსი ხელმძღვანელობდა [16].

კენჭისყრის შედეგები აქციონერებს ან სიტყვიერად უნდა ეცნობოს აქციონერთა კრებაზე, ანდა მათ ფოსტით დაეგზავნოს. ასეთ დროს IFC-მა დაადგინა, რომ გამოკვლეული 170 კომპანიიდან 23,4%-ში საერთო კრების შედეგები აქციონერებს საერთოდ არ ეცნობებათ [16].

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კორპორაციებს კორპორაციული მდივანი ჰყავთ. საქართველოში ეს საკითხი ჯერ კიდევ ფიქრის და განსჯის დონეზეა. IFC-ის გამოკვლევით, კომპანიათა 66,7% ფიქრობს, რომ ასეთი პირი საჭიროა აქციონერებთან ურთიერთობისთვის, 20% ფიქრობს, რომ იგი საჭიროა კორპორაციული კონფლიქტების გადასაჭრელად, 70%-ს მიაჩნია, რომ იგი საჭიროა აქციონერთა ყოველწლიური კრების ჩასატარებლად და ა. შ.

კომპანიებს უფლება აქვთ, ჰყავდეთ როგორც შიგა აუდიტორი, ისე გარე აუდიტორი. ეს საჭიროა კომპანიის ფინანსური სიჯანსაღის უზრუნველსაყოფად. გარე აუდიტორს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება. 2010 წელს გამოკვლევით დადგინდა, რომ საქართველოში შემოწმებულ კომპანიათა 30,1%-ში შემოწმება საერთოდ არ ტარდება, 17,5%-ში შემოწმებას ატარებს შიდა აუდიტი, 3,5%-ში - მთავარი ბუღალტერი, 12,6%-ში - სამეთვალყურეო საბჭო და ა. შ. [16].

2008 წლის გამოკვლევთ საქართველოს კომპანიების მხოლოდ 24%-ში არის აუდიტის კომიტეტი, 11,3%-ში სტრატეგიული დაგეგმვის კომიტეტი, 8%-ში კომერციული მართვის კომიტეტი, გამოკითხულ კომპანიათა 58,7%-ში არანაირი კომიტეტი არ არის შექმნილი.

კომპანიების გამჭვირვალობის და ინფორმაციის საჯაროობის საუკეთესო საშუალებაა ინტერნეტი. სამწუხაროდ, საქართველოში კომპანიათა ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს ვებგვერდი. 2008 წელს ჩატარებულმა IFC-ის კვლევამ აჩვენა, რომ ვებგვერდი ჰქონდა კომპანიათა მხოლოდ 32%-ს. ეს კომპანიებიც ვებგვერდზე, ძირითადად, ათავსებდნენ ინფორმაციას დირექტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ. ნაკლებად მჟღავნდება ფინანსური ინფორმაცია. ასეთ დროს საჯაროდ უნდა ქვეყნდებოდეს არა მხოლოდ წლიური ფინანსური ანგარიშგება, არამედ - გარე აუდიტორის დასკვნაც. გამოკვლეული კომპანიების 22,5%-მა გამოაცხადა, რომ ინფორმაციის გასაჯაროებიდან თავს იკავებს ბიზნესმიზნებიდან გამომდინარე.

ასეთ დროს, არა მხოლოდ აქციონერებს, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებას აინტერესებს საქართველოს კომპანიების შესახებ ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა:

- ა) ბალანსი;
- ბ) მოგება-ზარალის ანგარიში;
- გ) ფულის ნაკადების ანგარიში;
- დ) ინფორმაცია კაპიტალის ცვლილების შესახებ;
- ე) გარიგებების ჩამონათვალი და მოცულობა;
- ვ) აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელ ბენეფიციართა სია;
- ზ) ბენეფიციართა ვინაობა და სხვა.

ალბათ, ბევრი დრო უნდა გავიდეს, რომ ქართულ კომპანიებში ისეთი კულტურა ჩამოყალიბდეს, რომ მათ ისწავლონ ყველა ამ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება.

საქართველოს კორპორატიულ სექტორში დღეს ბანკები დომინირებენ. საკუთარი სექტორის გარდა, კომერციული ბანკები შვილობილი კომპანიების მეშვეობით, ანდა აქციების შესყიდვით თანდათან შედიან სხვა პროფილის კორპორატიულ მმართველობაშიც და ხმების უმრავლესობით საკითხებს თავისი ინტერესებით წყვეტენ. ასეა სადაზღვევო ბიზნესში, სალიზინგო ბიზნესში, საქართველოს საფონდო ბირჟაზე და სამშენებლო ბიზნესში. ასეთი პრაქტიკა არის გერმანიაში და ისინი ამას გამართლებულად მიიჩნევენ [17]. ჩვენი აზრით, საქართველოსთვის ეს არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან საქართველოს მსხვილი ბანკები ყველა მათთვის სასურველი სფეროს მონოპოლიზებას ახდენენ და თავისუფალ კონკურენციას ზღუდავენ. ეს ვითარება დღეს უკვე სახეზეა.

**დასკვნა.** ამრიგად, საქართველოს კორპორატიული მართვის საკითხების განხილვით ვაკეთებთ დასკვნას, რომ მას დაუყოვნებლივ სჭირდება სრულყოფა. პირველ რიგში, შესამუშავებელია ერთიანი კორპორატიული მართვის კოდექსი, შესაჯერებელია არსებული საკანონმდებლო აქტები და ა. შ. ჩვენი აზრით, ამის მიზეზია კორპორატიული მართვის თეორიის ცოდნის დაბალი დონე, რის გამოც საჭიროდ მივიჩნევთ, რომ ევროკავშირიდან საქართველოს კორპორაციებს რჩევები ეძლეოდეს არა რეკომენდაციების სახით, არამედ სავალდებულო დასანერგად, რადგან მათ ამის კარგი პრაქტიკა აქვთ და მათი რჩევები ჩვენთვის სასარგებლო იქნება.

**ლიტერატურა:**


1. ბიზნესსექტორი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019.
2. ხორნი ჯ„ ვაჰოვიცი ჯ., ფინანსური მენეჯმენტი, გვ. 7, გამომც. „საქართველოს მაცნე", თბ., 2008.
3. Annotations to the OECD Principles of Corporate covernance, 2004, foreword by Donald J. Johntnon.
4. ჭანტურია ლ., კორპორატიული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006.
5. ლაზვიაშვილი ნ., კორპორაციული მენეჯმენტი, თბ., 2013.
6. კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საქართველო, IFC, სექტემბერი, 2010.
7. ბიწაძე კ., კორპორაციული მართვა და საქართველო, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", ივლისი-აგვისტო, 2010.
8. კორპორაციული მართვის კვლევა საქართველოს კომპანიებში, IFC, თბ., 2008.
9. Christine A. Mallin, corporate Governanse Second Edition, 2007, Oxford Universituy.
10. მახარობლიშვილი გ., კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, იურისტების სამყარო, თბ., 2005.
11. ჰოპტი კ., კორპორატიული მართვა ევროპაში, თბ., 2010.
12. Modetnising Company Lpw and Enhancing comporate Governance in the Europan Union-A plan Move Forwand, Brussels, 2003.
13. ჟღენტი კ., კორპორატიული მართვის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები საქართველოში, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული (24-25 ივნისი, 2015 წელი), ბათუმი, 2015.
14. კორპორაციული მართვის კოდექსი, საქართველოს ბანკების ასოციაცია, თბ., 2009.
15. კორპორაციული მართვის კვლევა საქართველოს კომპანიებში, გვ. 47, IFC, თბ., 2008.
16. კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, IFC, გვ. 147, 151, თბ. 2010.
17. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ", თბ., 2016.
18. Bainbridge S. The New corporate Covernance In Theopy and Practice, Oxford University Press, 2008.


# Problems of Legislative Support of Corporate Management in Georgia


**Zhana Balakhashvili**
*Business Administration Academic Doctor*
*Georgian Technical University, Assistant Professor*

**Rusudan kinkladze**
*Academic Doctor of Economics*
*Georgian Technical University, Associate Professor*



Summary

The article - "Problems of Legislative Support of Corporate Management in Georgia" - discusses the laws of joint stock companies as corporations, regulatory acts, legislative acts and

comments. It is noted that although joint stock companies operating in Georgia make up only 0.4% of the total number of enterprises, their role in economic growth is crucial, as they produce most of the products. It should also be noted that Georgian joint stock companies have neither extensive experience nor extensive theoretical knowledge. Thus, the advice offered to Georgian corporations from the EU to Georgia in the EU Association format should preferably be implemented and not recommended.

In addition, the statute refers to the Corporate Governance Code and the Law of Georgia on Entrepreneurship in the context of corporate governance and provides appropriate justification. Author's proposals for the perfection of each of these legislative acts are also offered.

***Keywords:*** *corporation; Joint stock company; Corporate governance; Corporate Governance Code; Shareholder; Corporate governance legislation.*

# კონკურენტუნარიანობის მარკეტინგული სტრატეგია

**ევგენი ბარათაშვილი**
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,*
*სტუ-ს პროფესორი*

**ირმა ბარათაშვილი**
*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*

**რამაზ ოთინაშვილი**
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,*
*სტუ-ს პროფესორი*

*სტატიაში „კონკურენტუნარიანობის მარკეტინგული სტრატეგია“ აღნიშნულია, რომ ეფექტიანი კონკურენტული სტრატეგიების შესამუშავებლად უნდა ვფლობდეთ მაქსიმალურად საჭირო ინფორმაციას. მუდმივად ვაკონტროლოთ საკუთარი პროდუქცია/-მომსახურება, ფასების დინამიკა და გასაღების სტიმულირების არხები. მნიშვნელოვანი მომენტია დროული რეაგირება საბაზრო ცვლილებებზე. ზოგიერთ სფეროში კონკურენტები შეიძლება ჰარმონიულად მოქმედებდნენ მაშინ, როდესაც იგივე კომპანიები სხვებთან მიმართებით მუდმივ ბრძოლაში იმყოფებოდნენ. თუ კონკურენტული ბრძოლა ჯანსაღია და მიმდინარეობს სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვით - იმარჯვებს ძლიერი. სიძლიერე კი გამოიხატება წარმოებისა და რეალიზაციის მაღალ მასშტაბებში, მოწინავე ტექნიკასა და ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობებში, მასალებისა და ნედლეულის შედარებით დაბალ ფასად შეძენაში, რაც საბოლოოდ აისახება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში. კონკურენტული სტრატეგიის ოპტიმალური რეცეპტი ბუნებაში არ არსებობს. თითოეულმა კომპანიამ დასახული მიზნებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს მისთვის მისაღები სტრატეგია.*

*საკვანძო სიტყვები:* *ბიზნესი, კონკურენცია, სტრატეგია, მენეჯმენტი, კომპანია.*

კონკურენტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მათი საქმიანობის უკეთ გაცნობა გადამწყვეტ უპირატესობებს იძლევა ბიზნესში. სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში მათი ძლიერი და სუსტი მხარეების ცოდნა გვეხმარება. სამომავლო სტრატეგიების გააზრება საშუალებას გვაძლევს, გავითვალისწინოთ მომავალი საფრთხე ან მისი წარმოშობის შესაძლებლობა.

კონკურენტუნარიანი მარკეტინგის სტრატეგიების (Competitive marketing strategies) მეშვეობით შესაძლებელია მყარი პოზიციონირება და ძლიერი სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება. კომპანიის ტოპმენეჯმენტმა უნდა გადაწყვიტოს, ყველაზე მეტად რომელი კონკურენტების წინააღმდეგ განახორციელებს მძლავრ იერიშს.

**ძლიერი თუ სუსტი კონკურენტები.** კომპანიას შეუძლია ყურადღების გამახვილება კონკურეტების ერთ ან რამდენიმე ჯგუფზე. უმეტესობას ურჩევნია სუსტ კონკურენტებთან ბრძოლა, რისთვისაც შედარებით ნაკლები რესურსი და დროა საჭირო. მაგრამ ამ პროცესში ბიზნესობიექტი შესაძლოა მცირე მოგებაზე გავიდეს.

თუ კომპანიას სურს მყარი უპირატესობის მოპოვება, ძლირებს უნდა შეერკინოს. მათაც გააჩნიათ გარკვეული სუსტი მხარეები, ხოლო მათი დამარცხება ხშირად დიდი წარმატების მომტანია.

კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების საყურადღებო მეთოდია მომხმარებელთა ფასეულობის ანალიზი. მისი მიზანია იმ სარგებლის განსაზღვრა, რო-

მელსაც სამიზნე მომხმარებლები მიიჩნევენ ფასეულად. ანალიზის ჩატარებისას კომპანია თავდაპირველად ადგენს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებსაც მომხმარებლები მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. შემდეგ კი აფასებს საკუთარ და უშუალო კონკურენტების მიერ გაწეულ ძალისხმევას ამ მახასიათებლების მიხედვით.

**ახლოს ან შორს მდგომი კონკურენტები.** კომპანიების უმეტესობა კონკურენციას უწევს უშუალო კონკურენტებს - ისეთებს, რომლებიც მათ ყველაზე მეტად ჰგვანან. მაგალითად, „ნაიკი“ უფრო მეტად „ადიდასს“ მიიჩნევს კონკურენტად, ვიდრე „ტიმბერლენდს“. ისე როგორც ლუდის და გამაგრილებელი სასმელების კომპანია „ყაზბეგის“ ახლოს მდგომი და უშუალო კონკურენტი „ნატახტარია“ და ა.შ.

**ე. წ. „კარგი“ თუ „ცუდი“ კონკურენტები.** ისე, როგორც პროფესიონალ სპორტსმენს, მუდმივად ფორმაში ყოფნისთვის ბიზნესისთვისაც აუცილებელია მეტოქეები, რათა მუდმივად შევინარჩუნოთ კონკურენტუნარიანობის სათანადო დონე. მათ არსებობას მოსდევს რამდენიმე სტრატეგიული დადებითი შედეგი:

- კონკურენტებმა შესაძლოა გაინაწილონ ბაზრისა და პროდუქტის განვითარების ხარჯები და გახადონ ახალი ტექნოლოგიები აღიარებული და სწრაფად რეალიზებადი;

- მოემსახურონ ნაკლებად მიმზიდველ სეგმენტებს ან მოახდინონ საქონლის უფრო მეტი დიფერენციაცია, რაც კონკურენტების თანამშრომლობის სახელითაა ცნობილი;

- შეუძლიათ გაზარდონ საერთო მოთხოვნა. ერთ ადგილას განთავსებული ერთი და იგივე ბიზნესები, ბაზრობები, სუპერმარკეტები ზრდიან მოთხოვნას. მაგალითად„თბილისში „კიდობანი“, „თბილისი-მოლი“ და ა.შ.

თუმცა, კომპანიმ არ უნდა მოიაზროს ყველა კონკურენტი სასარგებლო მეტოქედ. ამ სფეროში ხშირად არსებობენ ე.წ. კარგი და ცუდი კონკურენტები. კარგი კონკურენტები იცავენ სამართლიან წესებს. ცუდები კი მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას, მათ შორის, არაკანონიერ ხერხებსაც მიმართავენ.

**ახალი საბაზო სივრცის ძიება.** მეტოქეებთან პირდაპირი კონკურენციის მაგივრად, მრავალი კომპანია ეძებს აუთვისებელ პოზიციებს ისეთ საბაზრო სეგმენტებზე, სადაც კონკურენცია ნაკლებია. ცდილობენ, შექმნან შედარებით ახალი პროდუქტები და მომსახურება, რომელსაც, ფაქტობრივად, კონკურენტი არ ეყოლება. ამას ეწოდება ე.წ. „ცისფერი ოკეანის სტრატეგიან, მისი მიზანია, კონკურენცია არარელევანტური გახადოს.

ახალი საქონლის შექმნა რთული და სარისკოა, მაგრამ თუ ამ პროცესმა წარმატებით ჩაიარა, კომპანიებს ახალი ბაზრების ათვისების და კონკურენტულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვების დიდი შანსი ეძლევათ. აშშ-ში ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ახალი პროდუქტები სულ უფრო ხშირად განიცდიან მარცხს. ერთ-ერთი წყაროს შეფასებით, ბაზარზე ახალი საქონლის მხოლოდ 10% რჩება სამი წლის შემდეგ. მეორე კვლევით დგინდება, რომ საკვები, სასმელი, სილამაზისა და ჯანმრთელობისათვის გამიზნული ახალი პროდუქტების მხოლოდ 40% იქნება გამოყენებული მომავალი 5 წლის განმავლობაში. მეტიც, დადგენილია, რომ ახალი ნაწარმის მარცხის დონე უკვე 50%-ს შეადგენს და, როგორც სხვა შეფასებებიდან ჩანს, ეს მაჩვენებელი 95%-მდე გაიზრდება.[1]

მიუხედავად აღნიშნული მონაცემებისა, ახალი საქონლის წარმოება სარისკო, მაგრამ ობიექტურად აუცილებელი პროცესია, რომელსაც კომპანიისთვის დიდი მოგების მოტანა შეუძლია.

**კონკურენტუნარიანი სადაზვერვო სისტემის შექმნა.** უნდა მოხდეს კონკურენტების შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება-გააზრება, გავრცელება და გამოყენება. ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და დიდ დროს მოითხოვს. შედეგად, კომპანიამ უნდა შექმნას კონკურენტუნარიანი სადაზვერვო სისტემა. აღნიშნული სისტემის ფარ-

[1] *კოტლერი ფ., არმსტრონგი გ.*,მარკეტინგის საფუძვ.-ი,მე-14 გამოც., თბ., 2015, გვ.720.

გლებში თავდაპირველად დგინდება კონკურენტების შესახებ საჭირო ინფორმაციის ტიპები და წყაროები.

წყარო შეიძლება იყოს: გაყიდვების თანამშრომლები, დისტრიბუციის არხები, მომწოდებლები, მარკეტინგული კვლევის ფირმები, ვებგვერდები და სავაჭრო ასოციაციები, ასევე, გამოქვეყნებული მონაცემებიდან სამთავრებო გამოცემები და ონლაინმონაცემთა ბაზები. ამის შემდეგ, სისტემა ამოწმებს ინფორმაციის შესაბამისობა-ვალიდურობას და სანდოობას, უკეთებს ინტერპრეტაციას და ორგანიზებას სათანადო ფორმით. ბოლოს ფასეულ ინფორმაციას აგზავნის შესაბამის პასუხისმგებელ მენეჯერთან და რეაგირებს მათ მოთხოვნებზე.

აღნიშნული სისტემის მეშვეობით, მენეჯერები ღებულობენ დროულ ინფორმაციას კონკურენტების შესახებ ანგარიშების, ელექტრული შეტყობინებების, სატელეფონო ზარების, სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციებისა და პრესის მეშვეობით. მენეჯერებს, ასევე, შეუძლიათ სისტემასთან დაკავშირება, როდესაც მათ სურთ, გაიგონ, რატომ გადადგა ამა თუ იმ კომპანიამ უეცარი ნაბიჯი კონკურენტის სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენის დროს, ან როგორ რეაგირებს კონკურენტი კომპანიის მიერ დაგეგმილ ნაბიჯზე.

პატარა კომპანიები, რომლებიც ფინანსურად ვერ ახერხებენ ინფორმაციის შეგროვებისათვის შესაბამისი დანაყოფის გახსნას, ავალებენ კონკრეტულ პირებს, თვალ-ყური ადევნონ ამა თუ იმ კონკურენტს. ამდენად, ის მენეჯერი, რომელიც მუშაობდა ერთ მოცემულ კონკურენტზე, თავისუფლად შეძლებს მის დაკვირვებას. პარალელურად იგი ასრულებს „შიდა ექსპერტისნ მოვალეობას და ნებისმიერ მენეჯერს, რომელსაც სურს, გაიგოს, რა ხედვები აქვს კონკურენტს, მას მიმართავს.

მას შემდეგ, რაც დავადგენთ, ვინ არიან უშუალო და ირიბი კონკურენტები და გვეცოდინება ყველაფერი მათ შესახებ, დროა, შევქმნათ სტრატეგია კონკურენტუნარიანი უპირატესობის მოსაპოვებლად. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი *მაიკლ პორტერი* პოზიციონირების 4 სტრატეგიას გვთავაზობს:

ა. ლიდერობა დაბალი დანახარჯებით: კომპანია მაქსიმალურად ცდილობს, შეინარჩუნოს პროდუქტისა და დისტრიბუციის ყველაზე დაბალი ხარჯები. აღნიშნული მას საშუალებას აძლევს, კონკურენტებზე ნაკლები ფასები დაადოს საქონელსა და მომსახურებას და ამით გაზარდოს საბაზრო წილი. მაგალითად, ცნობილი კომპანია „ვოლმარტი" (Walmart) ამ სტრატეგიის წამყვანი მიმდევარია.

ბ. დიფერენციაცია: კომპანია კონცენტრირებას ახდენს დიფერენცირებული სასაქონლო ხაზისა და მარკეტინგული პროგრამის შექმნაზე, რათა ლიდერად მოგვევლინოს სწორად შერჩეულ ვიწრო საბაზრო სეგმენტში. მომხმარებელი ასეთი ბრენდის საქონელს დიდი სიამოვნებით იძენს, თუ მისი ფასი ძალიან მაღალი არ იქნება. მაგალითად, ცნობილი ამერიკული კომპანია აი-ბი-ემი (IBM) ამ სტრატეგიის მიმდევარია.

გ. ფოკუსირება ანუ ყურადღების გამახვილება კონკრეტულ სეგმენტზე: ამ დროს კომპანია მთელ ძალისხმევას მიმართავს რამდენიმე საბაზრო სეგმენტის მომსახურებაზე და არა მთელ ბაზარზე. მაგალითად, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის" სამიზნეა გადახდისუნარიანი, კორპორაციული და ჩვეულებრივი მოგზაურების ზედა 10%. ტატრა ფუდი (Tetra Food) უზრუნველყოფს აკვარიუმის ტროპიკული თევზების საკვების 80%-ს, ხოლო ჰონერი (Hohner) ფლობს ჰარმონიული ტიპის საკრავი ინსტრუმენტების ბაზრის 85%-ს.

დ. საბაზრო ნიშანზე მომუშავე (Marker nicher): ესაა კომპანია, რომელიც მყიდველთა ისეთ მცირე სეგმენტებზე მუშაობს, რომელიც სხვებს ნაკლებად აინტერესებთ.

**საბაზრო წილის დაცვა.** საბაზრო მოთხოვნის ზრდასთან ერთად, წამყვანმა კომპანიამ უნდა დაიცვას ბიზნესი მეტოქეთა შემოტევებისაგან: ნიკორამ - სმარტისგან; ავერსმა - პსპ-გან; მაგთიმ - ჯეოსელისგან და ა.შ.

რა უნდა მოიმოქმედოს ბაზრის ლიდერმა საკუთარი პოზიციის დასაცავად? დააფიქსიროს და თავიდან აიცილოს ის სისუსტეები, რომლებიც კონკურენტებს უქმნის შესაძლებლობებს. ყოველთვის უნდა შეასრულოს დანაპირები. მისი ფასი მომხმარებლებისათვის მისაღები უნდა იყოს და შეესაბამებოდეს იმ ფასეულობას, რომელსაც ისინი ბრენდში ხედავენ. დაუღალავად უნდა მუშაობდეს ღირებულ მომხმარებლებთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად. შედეგად, ლიდერი ისე უნდა მოიქცეს, რომ კონკურენტებს არ მისცეს საშუალება, მისი სუსტი მხარეებით ისარგებლონ.

თუმცა, თავდაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმაა და უკეთესი რეაგირება მუდმივი ინოვაციაა. ლიდერს არ უნდა აკმაყოფილებდეს არსებული და მუდმივად აუმჯობესებდეს პოზიციებს კონკრეტულ სფეროებში: ახალ პროდუქტებში, მომხმარებელთა მომსახურებაში, დისტრიბუციის ეფექტურობაში, რეკლამასა და ხარჯების შემცირებაში. როდესაც მასზე იერიშს მიიტანენ, იგი მყისეულად უნდა რეაგირებდეს. მაგალითად, სარეცხი საშუალებების პროდუქტების კატეგორიაში ბაზრის ლიდერი „არიელი" უმოწყალოდ ებრძვის მის ისეთ კონკურენტს, როგორიცაა „ტაიდი".

ბაზარზე შესვლის პირველ ეტაპს წარმოადგენს კონკურენტების შესწავლა - ვინაა უშუალო კონკურენტი? ვინაა ირიბი (სუბსტიტუტ-საქონლის მწარმოებელი)? და ა.შ. ამის საუკეთესო საშუალებაა, პირადად გავხდეთ კონკურენტების „კლიენტები", ანუ შევიძინოთ მათი საქონელი, ვისარგებლოთ მათი მომსახურებით, საკუთარ თავზე გამოვცადოთ უშუალო კონკურენტების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ეფექტიანი კონკურეტული სტრატეგიების შესამუშავებლად უნდა მივიღოთ მაქსიმალურად საჭირო ინფორმაცია. მუდმივად ვაკონტროლოთ საკუთარი პროდუქცია/მომსახურეობა, ფასების დინამიკა, გასაღების სტიმულირების არხები კონკურენტების ანალოგიურ მაჩვენებლებთან, რითიც გამოვავლენთ კონკურენტულ უპირატესობებს ან პირიქით - ნაკლოვანებებს.

დავუშვათ, ფირმამ დაადგინა ძირითადი კონკურენტები, შეარჩია მიზნობრივი მომხმარებლების მიმართ განაწილების არხები და მარკეტინგული კომპლექსი. ეს, ფაქტობრივად, არის ის სტრატეგიული ჯგუფი, რომელსაც მიეკუთვნება თავად აღნიშნული კომპანია. მან უნდა დაადგინოს ის უშუალო კონკურენტები (ან კონკურენტი), რომლებსაც ენერგიულად შეუტევს.

XX საუკუნის 90-იან წლებში მოტოციკლებისა და მოტოროლერების მწარმოებელი ცნობილი იაპონური ფირმა „ჰონდა" (Honda) დიდ ინვესტიციებს აბანდებდა აშშ-ში ახალი ქარხნის მშენებლობაში. ამიტომ დროებით შეამცირა ნაწარმის გამოშვება ადგილობრივ ბაზარზე. მისმა კონკურენტმა „იამაჰამ" (Yamaha) ჩათვალა, რომ დადგა ხელსაყრელი დრო. გამოუშვა ბაზარზე მოტოციკლების ახალი მოდელი და დაიწყო აქტიური სარეკლამო კომპანია.

მიუხედავად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, Honda-ს ტოპ-მენეჯმენტმა ამ გამოწვევას მყისიერად უპასუხა. შეამცირა უცხოური ინვესტიციების მოცულობა, შემობრუნდა ადგილობრივი ბაზრისკენ და ერთი წლის განმავლობაში, ყოველ თვეს, უშვებდა მოტოციკლის ახალ მოდელს. შედეგად, Yamaha-მ ვერ გაუძლო კონკურენტულ ბრძოლას და შეეშვა აღნიშნულ საბაზრო სეგმენტს.

ძირითადი კონკურენტების გამოვლენის პროცესში მარკეტოლოგებმა უნდა გასცენ პასუხი კითხვებს: რა არის კონკურენტის მიზანი ბაზარზე? როგორია მისი ქცევა დღეს და როგორი იქნება მომავალში?

კონკურენტების ქმედებების მონიტორინგიდან გამომდინარე, შეიძლება მივიღოთ გადაწყვეტილება შეტევის ან პირიქით საბაზრო სეგმენტის დაცვის შესახებ. თუ კონკურენტი ითვისებს ახალ სეგმენტს, ეს შეიძლება ჩაითვალოს როგორც შეტევის დასაწყებად კარგი შესაძლებლობა. ხოლო თუ აღმოვაჩენთ, რომ მეტოქე ცდილობს თქვენს სეგმენტში შეღწევას, უნდა გადახვიდეთ თავდაცვით სტრატეგიაზე. „ვინც ინფორმი-

რებულია, ის შეიარაღებულია". ყველა ბაზრის მოთამაშე თავისებურად რეაგირებს კონკურენტის საპასუხოდ. ზოგი ნელა და სუსტად, ზოგი კი - დაუყოვნებლივ.

საავტომობილო ბაზარზე განვითარებული ტენდენციების დაგვიანებული შეფასების კლასიკურ მაგალითად ითვლება გასული საუკუნის 70-იანი წლების ამერიკული ავტომწარმოებლების „დიდი სამეულის" - General Motors, Ford Motor Co. და Chrysler-ის ცნობილი შემთხვევა. მსოფლიო ბაზარზე საწვავზე ფასის მკვეთრმა ზრდამ და საშუალო შემოსავლებისა და მცირერიცხოვანი ოჯახების სიმრავლემ საავტომობილო ბაზარზე მოთხოვნები მკვეთრად შეცვალა.

გაჩნდა მოთხოვნა მცირელიტრაჟიან ავტომობილებზე ეკონომიური ძრავით. სანამ ზემოაღნიშნულმა ამერიკულმა კომპანიებმა შექმნილ გარემოებებზე ირეაგირეს, იაპონელებმა, რომლებმაც შეისწავლეს აშშ-ის საავტომობილო ბაზრის განვითარების ტენდენციები, სწრაფად უპასუხეს მოთხოვნებს და დაიკავეს ამერიკული ბაზრის მცირეგაბარიტიანი ავტომობილების ნიშა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო პირველად ამერიკა-იაპონიას შორის ცნობილი „სავაჭრო ომები" და მოგვიანებით კი ამოქმედდა სანქციები.

ასევე მნიშვნელოვანი მომენტია დროული რეაგირება საბაზრო ცვლილებებზე. მაგალითად, სამხრეთ კორეული კომპანია Samsung-ის ანალიტიკოსმა ერთ-ერთ ამერიკულ ადგილობრივ გაზეთში შემთხვევით ამოიკითხა უკანასკნელი ამერიკული გიტარის მწარმოებელი ქარხნის დახურვის შესახებ. ეს ინფორმაცია მან გადასცა კომპანიის სათავო ოფისის ტოპმენეჯმენტს. მათ გააანალიზეს მიღებული ინფორმაცია და გადაწყვიტეს საწყობში არსებული გიტარების მარაგების სწრაფად და დაუყოვნებლივ აშშ-ში ექსპორტირება. მოლოდინმა გაამართლა - აშშ-ს მთავრობამ ტარიფები გაუზარდა იმპორტირებულ პროდუქტს, რათა წაეხალისებინათ ადგილობრივი მწარმოებლები. მაგრამ Samsung-მა სწრაფად იმოქმედა: მას ამერიკის ტერიტორიაზე უკვე დიდი მარაგები ჰქონდა შექმნილი, შესაბამისად, ახალი ტარიფების შემოღებით უფრო გაზრდილი მოგება მიიღო.

ზოგიერთ სფეროში კონკურენტები შეიძლება ჰარმონიულად მოქმედებდნენ მაშინ, როდესაც იგივე კომპანიები სხვებთან მიმართებით მუდმივ ბრძოლაში იმყოფებოდნენ. შესაძლო რეაქციების ცოდნა მეტოქეებს იმის „გასაღებს" აძლევს, თუ როგორ იმოქმედონ: დაიწყონ შეტევა თუ პოზიციების დაცვა.

ბრძოლისას ხშირად ბიზნესაგენტები ერთნაირ ან განსხვავებულ სტრატეგიას ირჩევენ. აღნიშნული თამაშთა თეორიის სფეროს განეკუთვნება. მაგალითად, ლუდის ჩამომსხმელმა ფირმებმა „ყაზბეგმა" და „ნატახტარმა" აირჩიეს შეჯიბრის ერთნაირი სტრატეგია - აწარმოებენ „საფასო ომს", ე. ი. მიმართავენ ფასის მიერ კონკურენციას. ამისთვის მათ ეტაპობრივად შეამცირეს ფასი.

თუ კონკურენტული ბრძოლა ჯანსაღია და მიმდინარეობს სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვით, - იმარჯვებს ძლიერი. სიძლიერე კი გამოიხატება წარმოებისა და რეალიზაციის მაღალ მასშტაბებში, მოწინავე ტექნიკასა და ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობებში, მასალებისა და ნედლეულის შედარებით დაბალი ფასებით შეძენაში, რაც საბოლოოდ აისახება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში. შედეგად, იმარჯვებს ის, ვისაც ნაკლები უჯდება ერთეული ნაწარმის წარმოება.

კონკურენციის პროცესში ერთ-ერთმა კომპანიამ შეიძლება შეცვალოს სტრატეგია და, სათანადო ანალიზის შემდეგ, აირჩიოს ბრძოლის განსხვავებული ტაქტიკა *ო. ბისმარკის* მიხედვით, *„ისწავლე სამყაროს სხვანაირად ხედვა, ვიდრე შენი კონკურენტები ხედავენ"*.

XX საუკუნის 50-60-ან წლებში საათების გლობალურ ბაზარზე შეიქმნა გასაღების ახალი არხები, მასობრივი მარკეტინგის განვითარებამ საშუალება მისცა ამერიკულ კომპანიებს - „ტაიმექსს" და „ბულოვს" რეალიზაციის მოცულობით გადაესწროთ თავისი შვეიცარიელი კონკურენტებისათვის, როგორებიცაა: Audemars Piguet; Blancpain; Breitling.

მოგვიანებით, 70-იან წლებში, ნახტომი მოხდა ელექტრონული საათების წარმოების ბიზნესში, რამაც საშუალება მისცა იაპონურ ფირმებს „სეიკოს", „სიტიზენს", ხოლო

შემდეგ „კასიოს", წინ გაქრილიყვნენ. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ „პირველი მერცხლები", ვინც ტექნოლოგიის ან საქონლის ერთი თაობის ლიდერები გახდნენ, თაობათა ცვლისას, ბაზრის ახალი ტენდენციების არასათანადო შეფასების შედეგად, შესაძლებელია, წაგებაში აღმოჩნდენ, რადგან მათ შრომით ჩვევებსა და ინვესტიციებს სპეციფიკური ბუნება აქვთ.

კონკურენტული ბრძოლისას საკმარისი არაა, იყო პიონერი ამა თუ იმ ბიზნესში. ამასთან, აუცილებელია სწორად შერჩეული სტრატეგია და მისი შესაბამისი კონკურენტული ანალიზი - განსჭვრიტო ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივები. ამერიკულმა ფირმებმა ელექტრონული საათების გამოშვება თითქმის პირველებმა დაიწყეს. მათ გათვლა გააკეთეს ე.წ. ნათებად ინდიკაციურ საათებზე, მაგრამ ეს ტექნოლოგია მოდელების ღირებულებით ჩამოუვარდებოდა თხევად კრისტალურ ინდიკატორებს და ტრადიციულ ისრებიან კვარცის მექანიზმიან საათებს უფრო ძვირად ღირებულ და პრესტიჟულ მოდელებში. შედეგად, ამერიკული კომპანიების ინოვაციებს წარმატება არ მოჰყოლია. მათ ვერ შეძლეს კონკურენტული უპირატესობის მოპოვება აღნიშნულ ბიზნესში კონკურირებად საბაზრო სეგმენტებზე.

საბაზრო „მოთამაშეების" ნაწილი რეაგირებს მხოლოდ გარკვეული სახის შემტევ ქმედებებზე, დანარჩენს კი აიგნორებს. ზოგი სწრაფად და მკვეთრად პასუხობს კონკურენტის ყველა ქმედებას. ასევე არიან კომპანიები, რომლებიც იყენებენ ისეთ სტრატეგიულ მენეჯმენტს, რომ მათი რეაქციებისა და სამომავლო გეგმების გათვლა ძალიან რთულია.

კონკურენტული სტრატეგიის ოპტიმალური/შუალედური წერტილის უნივერსალური რეცეპტი ბუნებაში არ არსებობს. თითოეულმა კომპანიამ, დასახული მიზნებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს მისთვის მისაღები სტრატეგია. თუმცა ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- მკაცრად დაიცავით კომერციული საიდუმლოებები;
- კარგად განსაზღვრეთ და ეფექტურად გამოიყენეთ კონკურენტული უპირატესობები;
- გახსოვდეთ, რომ კონკურენტულ ბრძოლაში მთავარი მაჩვენებელი გაყიდვების ზრდაა;
- მუდმივად გაზარდეთ მომსახურების ხარისხი და სისწრაფე;
- მოახდინეთ ძალისხმევის კონცენტრაცია ახალი საბაზრო სეგმენტების შესაქმნელად;
- გაამრავალფეროვნეთ ნაწარმისა და მომსახურების ასორტიმენტი;
- მუდმივად გაზარდეთ გამოშვებული ნაწარმის (მომსახურების) სამომხმარებლო ფასეულობა;
- გაუმჯობესდეს კომპანიის მენეჯმენტი - კონკურენტებთან თანაბარი პოზიციის შემთხვევაში, მართვაში, მცირედი სიახლეების დანერგვაც შეიძლება გახდეს გრძელვადიანი წარმატების დასაწყისი;

ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ქართული ბაზრის მრავალ ბიზნესსეგმენტში კონკურენციის ინტენსივობა სულ უფრო იზრდება. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ საცალო ვაჭრობა შესაბამისი სავაჭრო ცენტრებით: „კიდობანი", „თბილისი მოლი", „კარფური" და ა.შ., სამშენებლო ბაზარი: არქი, აქსისი, $m^2$. აგრეთვე სამედიცინო და სატრანსპორტო მომსახურების ბაზრები და ა.შ.

ლიტერატურა:


1. ბარათაშვილი ე., მახარაშვილი ი., კვაბზირიძე თ., ღამბაშიძე თ., „შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია", საქართველოს საინჟინრო აკადემია, 2016;

2. კოტლერი ფ., არმსტრონგი გ., მარკეტინგის საფუძვ.-ი, მე-14 გამოც., თბ., 2015, გვ.720.
3. ოთინაშვილი რ., უშვერიძე ლ., კონკურენცია ბიზნესში“, მონოგრაფია, თბ., 2019, 230 გვ.
4. Rocha L., The 5 steps of the Intelligence Cycle, 2015, https://countuponsecurity.com/2015/08/15/the-5-steps-of-the-intelligence-cycle/;
5. Porter M., Competitive Strategy. Techniques for Analyzing Industries and Competitors, 2008.- 432 pg.
6. Котлер Ф. Маркетинг-менеджмент. Пер. сангл. М., 2005.
7. http://www.consultingmag.com/sites/cmag/2017/10/15/the-2017-global-leaders-in-onsulting/?slreturn=20180508070436
8. .http://www.consultingmag.com/sites/cmag/2017/10/15/the-2017-global-leaders-in-consulting/?slreturn=20180508070436
9. http://www.intelligence101.com/an-introduction-to-the-intelligence-cycle/

# Competitive Marketing Strategy

**Evgeni Baratashvili**
***Doctor of Economics, GTU Professor***

**Irma Baratashvili**
***Doctor of Business Administration***

**Ramaz Otinashvili**
***Doctor of Economics, GTU Professor***

S u m m a r y

The article "Competitive Marketing Strategy" declares that in order to develop effective competitive strategies it is important to have much information, constantly monitor own products / services, price dynamics and key incentives channels. An important moment it is timely response to market changes. In some areas, competitors can act harmoniously compare to the same companies that are in a battle with others. If the competitive battle is healthy and ongoing process in the frame of the legal and ethical norms - wins strong. The strength is expressed on a large scale of production and sale of advanced equipment and technology introduction capabilities, to purchase materials at a low price which will ultimately be reflected In reducing costs of the products. There is no recipe in nature for the optimal competitive strategy. Each company has to set goals depending on the capabilities and individual strategy acceptable to him.

***Keywords:*** *Business, Competition, Strategy, Management, Company.*

# პოსტპანდემიური პერიოდის ტენდენციების გავლენა საერთაშორისო ეკონომიკაზე

**გიორგი ბენაშვილი**
***ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი***

*COVID-19-ის, ანუ კორონავირუსის, მსოფლიო პანდემიად გამოცხადებიდან თითქმის ნახევარი წლის შემდეგ ვირუსმა იმსხვერპლა 900 000-ზე მეტი ადამიანი, ინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ კი 28 მილიონს გადააჭარბა. გარდა ვირუსის გავრცელების ფართო მასშტაბისა, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, იგი თანამედროვე რეალობის ყველაზე დიდ გამოწვევად იქცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.*

*ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინისა და მასთან ბრძოლის ეფექტიანი კლინიკური საშუალებების არარსებობის პირობებში სოციალური დისტანცირება ვირუსის წინააღმდეგ ერთადერთ რეკომენდებულ საშუალებად რჩება. ეს უკანასკნელი კი, მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ეკონომიკისთვის. შექმნილი მდგომარეობა, ეკონომიკური პოლიტიკის ხელახალი გააზრების აუცილებლობის გარდა, დღის წესრიგში აყენებს საერთაშორისო ვაჭრობასა და ეკონომიკაში ახალი ტენდენციების ჩამოყალიბების საკითხსაც. პოსტპანდემიურ პერიოდში ჩამოყალიბებული რეალობა, რომელიც, შესაძლოა, საერთაშორისო ვაჭრობის საწარმოო ჯაჭვის ცვლილებისა და შრომის ბაზრის ახალი განაწილების საფუძველი გახდეს, საერთაშორისო ეკონომიკაში მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს, რასაც სიღრმისეული კვლევა და ანალიზი სჭირდება.*

*ნაშრომის მიზანია იმ ზოგიერთი ზემოხსენებული საკითხის გაანალიზების მცდელობა, რომლებიც არსებული ემპირიული მონაცემების საფუძველზე იქნება წარმოდგენილი.*

***საკვანძო სიტყვები:*** *კორონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა, საერთაშორისო ვაჭრობა.*

## შესავალი

კორონავირუსის პანდემია, რომელმაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში 27 მილიონზე მეტი ადამიანის ინფიცირება გამოიწვია, უკვე იქცა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად. ვირუსმა, ჯანდაცვისა და ეროვნული ეკონომიკის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, დღის წესრიგში დააყენა ზოგადად ეკონომიკის, მათ შორის საერთაშორისო ეკონომიკისა და ვაჭრობის, საკითხებიც.

მსოფლიო განვითარების ისტორიისთვის, ეკონომიკური და ფინანსური სისტემების ჩამოყალიბებასთან ერთად სისტემური კატაკლიზმები არ ახალია. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში კრიზისები ყოველთვის იქმნებოდა. თუმცა გლობალიზაციისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდასთან ერთად თანამედროვე კრიზისები, საკუთარი მასშტაბიდან გამომდინარე, უფრო ეფექტურია. იგი სცდება ეროვნული ეკონომიკის მასშტაბს და დღის წესრიგში აყენებს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების სიღრმისეულ განხილვას.

დიდი დეპრესიის შემდეგ დაწყებულმა ყველაზე მსხვილმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც 2008 წელს კვლავ აშშ-ში ჩამოყალიბდა და მალევე გლობალური მასშტაბის რეცესია და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, იმ დროისთვის არსებული ფინანსური სისტემა სრულიად ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. განსხვავებით წინა პერიოდის მიკრო თუ მაკრო დონის კრიზისებისგან, 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მრავალ ქვეყანას შეეხო, ამან კი ქვეყნებს ბიძგი მისცა, რომ ეკონომიკური საკითხების გან-

ხილვა უფრო გლობალურ ჭრილში დაეწყოთ, რამაც ფინანსური და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვნად გააძლიერა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციების როლი.

ვირუსის გავრცელებისა და იმ ტოტალური შეზღუდვების დაწესების ფონზე, რომელიც ჩინეთში ეპიდემიის გამოცხადებიდან მალევე დაიწყო, მრავალი ფირმის საწარმოო ჯაჭვს მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა. ვირუსის გავრცელების შემდეგ ჩინეთი პირველი ქვეყანა იყო, სადაც ტოტალური კარანტინი გამოცხადდა. რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა სხვადასხვა პროვინციაში მდებარე იმ მსხვილი საწარმოების საქმიანობა, რომლებიც პროდუქციითა თუ ნედლეულით აშშ-ის და სხვა ქვეყნების ეკონომიკას უზრუნველყოფდნენ. ჩამოყალიბდა მიწოდების დეფიციტი, რამაც მალევე იქონია გავლენა იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, რომელთა საწარმოო ჯაჭვშიც ჩინეთის სამუშაო ძალას დიდი წილი ეკავა.

ჩინეთზე მზარდი ეკონომიკური დამოკიდებულება დასავლეთის არაერთი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში მწვავე მსჯელობის საგანს წარმოადგენს. სადაც ჩინეთის ეკონომიკურ პოლიტიკაში ექსპანსიონიზმისა და ეკონომიკური დომინაციის ნიშნებს ხედავენ. თუმცა მოქნილი საწარმოო პროცესის ხარჯზე ჩინეთი დღემდე ინარჩუნებს მსოფლიოს მთავარი საწარმოო ჰაბისა და ზომით მსოფლიოს მეორე ეკონომიკის როლს. ვირუსით გამოწვეული პანდემიამ, რომელიც უკვე გახდა ეკონომიკაში არაერთი საკითხის ხელახალი გააზრების საბაბი, (Benashvili, 2020) დღის წესრიგში დააყენა ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გადახედვის საკითხიც, რასაც ადასტურებს მსოფლიო ლიდერების განცხადებები და ქმედებები.

დასავლეთის სახელმწიფოებსა და პეკინს შორის კონფრონტაციის გაგრძელებისა და ინდუსტრიული სექტორის ჩინეთიდან გამოსვლის შემთხვევაში ახალი შესაძლებლობა უჩნდებათ განვითარებად ქვეყნებს, რათა აღნიშნულ ფირმებს ალტერნატიული წარმოების ბაზრები შესთავაზონ. ეს მნიშვნელოვნად შეცვლის მსოფლიო საწარმოო ჯაჭვს და, შესაძლოა, საერთაშორისო ეკონომიკაში ძალთა ბალანსის ცვლილების საფუძველიც გახდეს.

დასავლეთისა და ჩინეთს შორის ეკონომიკური კონფრონტაცია ბოლო წლებია პერმანენტულად მიმდინარეობს. ამ მხრივ, განსაკუთრებით თვალსაჩინოა ვაშინგტონსა და პეკინს შორის არსებული სავაჭრო ომი, რომელმაც განვითარების არაერთი ეტაპი გაიარა. პოსტპანდემიურ პერიოდში მსგავსი დაძაბულობის შენარჩუნების შემთხვევაში სავარაუდოა, რომ ამ დაპირისპირებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მსოფლიო ეკონომიკაზე

კორონომიკულ კრიზისს, რომლის აქტუალურობაც COVID-19 ვირუსის ეპიდემიის გავრცელებიდან მალევე დადგა დღის წესრიგში, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავებული ანატომია ახასიათებს. მიმდინარე კრიზისი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა კრიზისებისგან, რომელთაც ნათლად ჩამოყალიბებული ფინანსურ-ეკონომიკური საფუძველი ჰქონდათ,. ამჯერად კრიზისის მიზეზი არა ფინანსური, ეკონომიკური ან პოლიტიკური საფუძველია, არამედ პრობლემა მედიცინაში უნდა ვეძიოთ. არსებული მდგომარეობა ეკონომიკას მედიცინის მძევლად აქცევს (პაპავა, 2020), რაც აქამდე არსებული მოვლენებისგან მკვეთრად განსხვავებული ფენომენია. თუმცა, მსგავსად 2008 წლის ფინანსური კრიზისისა, ფაქტია, რომ 2020 წელს კორონაკრიზისი გასცდა ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მასშტაბს და იგი გლობალური მნიშვნელობის კრიზისად ჩამოყალიბდა.

უეჭველია, კრიზისსა და მის შემდგომ პერიოდს აუცილებლად ექნება გავლენა საერთაშორისო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებსა და ტენდენციებზე, რომლებსაც ემპირიული კვლევა და ანალიზი სჭირდება.

## საერთაშორისო ეკონომიკისა და ვაჭრობის გეოეკონომიკური ტენდენციები პოსტკრიზისულ ეპოქაში

გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2018 წლის მდგომარეობით, მსოფლიო საწარმოო გამოშვების უდიდესი წილი ჩინეთზე მოდის (იხ. დიაგრამა 3). იაფი მუშახელისა და მაღალი საწარმოო სიმძლავრეების არსებობის გამო ბოლო ათწლეულია ჩინეთი მსოფლიო წარმოების ჰაბად ჩამოყალიბდა. ჩინეთის ეკონომიკური აქტივობის ზრდამ მის მიმართ მრავალი ქვეყნის ვაჭრობის დეფიციტის ჩამოყალიბება გამოიწვია, რასაც გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა, პეკინის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის მსოფლიოს მასშტაბით ზრდა მოჰყვეს (Benashvili, 2020).

**მსოფლიო საწარმოო სიმძლავრეები 2018 წ. %**

**დიაგრამა 1**




*წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, გაეროს სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით (26.04.2020)*

იაფი სამუშაო ძალისა და მოქნილი წარმოების პროცესის ხარჯზე ჩინეთში არსებული მრავალი ქვეყნის წარმოება არაკონკურენტუნარიან მდგომარეობაში აღმოჩნდა, რითაც ისინი ჩინეთზე დამოკიდებულნი გახდნენ.

პანდემიამ ეს კიდევ უფრო ცხადყო, როცა ვირუსის გავრცელების პერიოდში არაერთი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა კრიტიკულად აუცილებელი სამედიცინო პროდუქციის წარმოების უნარს მოკლებულიც კი აღმოჩნდა.

ეკონომიკური ფაქტორის გარდა, კორონომიკამ პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებიც წამოსწია, რაზეც, პირველ ყოვლისა, მიუთითებს მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერების მიერ წამოწყებული ანტიჩინური რიტორიკაც. „ჩინური ვირუსის" მიზეზით გამოწვეული პანდემიის დასრულების შემდეგ მოსალოდნელია, რომ ამ პერიოდში დაწყებული ტენდენციები საერთაშორისო ეკონომიკაზე პოსტკორონომიკულ ეპოქაშიც აისახება, რაც, პირველ ყოვლისა, ჩინეთისადმი დანარჩენი მსოფლიოს დამოკიდებულების შეცვლას მოჰყვება.

ბოლო წლებია ჩინეთთან ვაჭრობის პოლიტიკის დილემა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების დღის წესრიგში ისედაც მწვავედ დგას. ამ მხრივ აღსანიშნავია აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომი, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკაში მიმდინარე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. ჩინეთიდან დაწყებული მსოფლიო პანდემიის ფონზე არაერთი ქვეყანა უკვე აანონსებს ჩინეთში არსებული საკუთარი წარმოების მობილობას. ამ მიმართულებით ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იაპონიამ გადადგა, რომელმაც ჩინეთიდან

მანუფაქტურული წარმოების გამოტანის ხელშეწყობისთვის, ადგილობრივი კომპანიების სტიმულირებისთვის $2-მილიარდიანი ფონდი შექმნა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით კი, პანდემიის დასრულების შემდეგ ჩინეთთან თანამშრომლობა ისეთი ვეღარ იქნება, როგორიც ეს მის დაწყებამდე იყო. ამასთან, დასავლეთის ქვეყნები ჩინეთს ვირუსთან დაკავშირებით მსოფლიო თანამეგობრობისთვის ინფორმაციის დამალვაშიც ადანაშაულებენ, რაც პოლიტიკური ლიდერების მწვავე განცხადებებითაც დასტურდება. რამდენად გახდება COVID-19 ვირუსი მსოფლიოში ახალი „ცივი ომის" დაწყების მიზეზი, ეს ვირუსის დამარცხების შემდეგ გამოჩნდება, თუმცა, უკვე ცხადია, რომ კორონომიკა შესაძლოა, ამის საკმაოდ მყარი საფუძველი გახდეს.

დასავლეთის სახელმწიფოებსა და პეკინს შორის კონფრონტაციის გაგრძელებისა და ინდუსტრიული სექტორის ჩინეთიდან გამოსვლის შემთხვევაში ახალი შესაძლებლობა უჩნდებათ განვითარებად ქვეყნებს, რომ აღნიშნულ ფირმებს ალტერნატიული წარმოების ბაზრები შესთავაზონ. ეს მნიშვნელოვნად შეცვლის მსოფლიო საწარმოო ჯაჭვს და შესაძლოა, საერთაშორისო ეკონომიკაში ძალთა ბალანსის ცვლილების საფუძველიც გახდეს.

## საერთაშორისო ვაჭრობის გამოწვევები კრიზისისა და მის შემდგომ პერიოდში

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ, რომელიც საკუთარი მასშტაბის წყალობით ზოგიერთი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი განვითარებადი სახელმწიფოებისთვის, ჰუმანიტარული კრიზისის ტოლფასია, მსოფლიო ახალი ტიპის გამოწვევის წინაშე დააყენა. არსებული კრიზისი საკუთარი არსით მრავალწახნაგოვანია. იგი უკავშირდება სამედიცინო, ეკონომიკურ, სოციალურ, ჰუმანიტარულ და ფსიქოლოგიურ საკითხებს.

გლობალური კრიზისის ფონზე ქვეყნებს შორის საერთაშორისო კონსოლიდაციის განსამტკიცებლად და მოქალაქეთა სოციო-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად საგარეო ვაჭრობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. შესაძლებელია, გამოვყოთ ორი ფაქტორი, რომლებიც აღნიშნული მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს:

- არსებული ვაჭრობის ნაკადების შენარჩუნება უკვე ჩამოყალიბებული მიწოდების ჯაჭვებისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნის გარეშე.
- კრიტიკულად აუცილებელი სამედიცინო საქონლისა და სხვა სამომხმარებლო პროდუქციის შეუფერხებელი მიწოდება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში გამოქვეყნდა, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საშუალო მშპ, 2019 წლის მეოთხე კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით, საშუალოდ 13%-ით შემცირდა. (OECD) რაც უპრეცედენტო ვარდნაა მსოფლიოს ისტორიაში. მიუხედავად ცენტრალური ბანკებისა და მთავრობების მიერ გამოყოფილი ეკონომიკის სტიმულირებისა და დახმარების პაკეტებისა, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა უკვე შევიდა რეცესიაში. თუმცა შესაძლოა, ეს სულაც არ იყოს კორონაკრიზისის ყველაზე უარესი სცენარი, რადგან ვირუსის გავრცელებიდან 9 თვის შემდეგ ჯერ კიდევ არ არსებობს მისი საწინააღმდეგო ვაქცინა ან მკურნალობის ეფექტიანი საშუალებები. რაც ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს, შესაბამისად, რთულდება ეკონომიკის აღდგენის ოპტიმისტური სცენარის განხორციელებაც.

პანდემიის შეკავების მიზნით დაწესებული შეზღუდვების ფონზე მნიშვნელოვნად შეიზღუდა სხვადასხვა სახის ტრანსპორტით გადაადგილება. ცხადია, ამან საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვაზეც მოახდინა გავლენა. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ რეგულარული ავიარეისების შეზღუდვის შემდეგ გართულდა საჰაერო ტვირთების გადაზიდვაც. აუცილებელ პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდისა და მიწოდების შეზღუდვის

გამო დაახლოებით 30-60%-ით გაიზარდა ტვირთების საჰაერო გადაზიდვების ღირებულებაც, ამასთან, გაიზარდა მიწოდების დროც. (Curran, 2020)

შეზღუდვების დაწესება პანდემიის საწყის ეტაპზევე უარყოფითად აისახა საზღვაო-საკონტეინერო გადაზიდვებზეც. თვალსაჩინოა, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში მნიშვნელოვანი საზღვაო პორტების წლიური ტვირთბრუნვა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 10–20%ით შემცირდა. (Baschuk, 2020). ამასთან, 50-ზე მეტმა ქვეყანამ შეიცვალა საზღვაო პორტის ოპერირების პროტოკოლი, რაც, პირველ ყოვლისა, მიღებული ტვირთების დახარისხებას და უსაფრთხოების მიზეზების გამო მათ დამატებით შემოწმებას გულისხმობდა.

გრაფიკი 2: საჰაერო და სატვირთო გადაზიდვების დინამიკა 2018-2020




*წყარო: oecd.org*

მსოფლიოს დიდ საზღვაო პორტებში საოპერაციო პროცედურებისა და შესაბამისი პერიოდის ზრდამ, რასაც დაერთო ჩინეთის პორტებიდან კონტეინერების გადაადგილების შეზღუდვა, საზღვაო-საკონტეინერო მომსახურების ფასის მატება გამოიწვია. ლოგისტიკური სირთულეების ჯაჭვის ჩამოყალიბებამ, საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შექმნას ჩაუყარა საფუძველი, რამაც უდავოდ იმოქმედა პანდემიამდე არსებულ სავაჭრო ურთიერთობებზე და მიწოდების ჯაჭვებზე.

საერთაშორისო ვაჭრობაში გაჩენილი ტექნიკური ბარიერების ფონზე დღის წესრიგში დადგა ექსპორტისა და მიწოდების შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხებიც. ამის ნათელი მაგალითია კრიტიკული სამედიცინო დანიშნულების პროდუქცია, რომელზეც მაღალი მოთხოვნის გამო არაერთმა ქვეყანამ საექსპორტო კვოტები დააწესა.

## საერთაშორისო ვაჭრობა პოსტკრიზისულ პერიოდში

განსხვავებით 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისისგან, რომლის ერთ-ერთი პირველი "მსხვერპლი" საერთაშორისო ვაჭრობა გახდა, კორონავირუსის პანდემიის ფონზე დაწესებულმა შემზღუდავმა ღონისძიებებმა მსოფლიო იმპორტის მხოლოდ 1%-ის შემცირება გამოიწვია. მიუხედავად მსგავსი განსხვავებისა, მიმდინარე კორონკრიზისი ეკონომიკის მრავალ სექტორსა და ელემენტზე ახდენს გავლენას, რაც პირდაპირ ან ირიბად აისახება საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკაზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.

პოსტკრიზისულ პერიოდში საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების შესახებ ეკონომისტთა წრეებში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მკვლევართა ნაწილი მიიჩ-

ნევს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა კრიზისამდე პერიოდს დაუბრუნდება, მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ვირუსის დამარცხების შემდეგ შესაძლოა, საერთაშორისო ვაჭრობაში აქამდე არსებული ტენდენციები შეიცვალოს, რაც, პირველ ყოვლისა, მიწოდების ჯაჭვების ნაციონალიზაციითა და ექსპორტის შემცირებით გამოიხატება. საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ფლუქტუაციის გავლენის შესამცირებლად, შესაძლოა, მთავრობები და ფირმები შეეცადონ, გადახედონ აქამდე არსებულ შეხედულებებს სტრატეგიული საქონლის, საწარმოო ჯაჭვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

პოსტპანდემიურ პერიოდში საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციების ცვლილება მნიშვნელოვანი ახალი შესაძლებლობაა მცირე და განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომ იმ ფირმებს, რომელთაც პანდემიამდე არსებული საწარმოო ჯაჭვის ცვლილება სურთ, ალტერნატიული წარმოების ბაზრები შესთავაზონ. ეს მნიშვნელოვნად შეცვლის მსოფლიო საწარმოო ჯაჭვს და შესაძლოა, საერთაშორისო ეკონომიკაში ძალთა ბალანსის ცვლილების საფუძველიც გახდეს.

**ლიტერატურა:**


1. Alwis, Ajith (2020). Coronomics – plan your eggs and basket, Daily FT, http://www.ft.lk/columns/Coronomics---Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109 (last seen 05.06.2020)
2. Baschuk, B. (2020), "A Trade Collapse that's Heading Into the History Books", *Bloomberg*,- https://www.bloomberg.com/news/articles/2020-03-26/supply-chain-latest-a-trade-plunge-worthy-of-the-history-books (Last seen 08.09.2020)
3. Benashvili, Giorgi (2020). China's one belt and road initiative its prospects for Georgia, Ecoforum, Volume 9, Issue 1(21)http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1043 (last seen 28.04.2020)
4. Makris, Miltos (2020) Coronomics: how a pandemic can impact world economics University of Kent News Centre, https://www.kent.ac.uk/news/society/24809/coronomics-how-a-pandemic-can-impact-world-economics last seen 28.04.2020)
5. Calder, Simon (2020)Airlines preparing for future with fewer passengers and higher fares, Independent.co.uk https://www.independent.co.uk/travel/news-and-advice/coronavirus-flight-prices-airline-passengers-fares-a9464821.html (last seen19.04.2020)
6. Curran, E. (2020), "Urgent Demand for Medical Equipment is Making Air Cargo Fees "Absolutely Crazy"", *Bloomberg*, https://www.bloomberg.com/news/articles/2020-03-30/-absolutely-crazy-air-cargo-fees-highlight-supply-chain-squeeze (Last seen 09.09.2020)
7. Evenett, S. (2020), "Tackling COVID-19 Together", *Global Trade Alert*, University of St. Gallen, Switzerland, https://www.globaltradealert.org/reports (Last seen 10.09.2020)
8. OECD (2020), COVID-19 and international trade: Issues and actionshttp://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/covid-19-and-international-trade-issues-and-actions-494da2fa/ (Last seen 10.09.2020)
9. Reynolds, Isabela (2020) Japan to fund firms to shift production out of China, Bloomberg https://www.bloomberg.com/news/articles/2020-04-08/japan-to-fund-firms-to-shift-production-out-of-china (last seen24.04.2020)
10. Mello-Théry, Neli & Théry, Hervé. (2020). The geopolitics of COVID--19. Espaço e Economia. https://journals.openedition.org/espacoeconomia/11224 (27.04.2020)
11. Papava, Vladimer & Charaia, Vakhtang. (2020). The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy. Rondeli Foundationhttps://www.gfsis.org/publications/view-opinion-paper/136 (last seen 24.04.2020)
12. Papava, Vladimer. (2020). Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine. eurasiareview, https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/(last seen 25.04.2020)
13. პაპავა, ვლადიმერ&სილაგაძე, ავთანდილ. (2019). როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი "GROSS DOMESTIC PRODUCT". 203-204. გლობალიზაცია და ბიზნესი https://www.researchgate.-

net/publication/334897039_rogor_unda_itargmnos_kartulad_termini_GROSS_DOMESTIC_PRODUCT (25.04.2020)
14. Creitz, Charles (2020) Pompeo blames China, Fox News https://www.foxnews.com/media/pompeo-china-coronavirus-coverup-loss-of-life (last seen25.04.2020)
15. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2018 https://gnta.ge/ge/publication/2018-geo/ (last seen 20.04.2020)
16. Rodrik, Dani (2020) Will COVID-19 Remake the World? Project Syndicatehttps://www.project-syndicate.org/commentary/will-covid19-remake-the-world-by-dani-rodrik-2020-04(27.04.2020)
17. El-Erian, Mohamed (2020) Saving the developing world from COVID-19 Project Syndicate https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-aid-to-developing-countries-by-mohamed-a-el-erian-2020-04 (last seen 28.04.2020)
18. Economic Impact Reports, World Travel & Tourism council wttc.org/Research/Economic-Impact(last seen 24.04.2020)
19. World Bank Database https://data.worldbank.org/indicator/SH.XPD.CHEX.GD.ZS (last seen 26.04.2020)

## Influence of Post Pandemic trends on the International Economy

**Giorgi Benashvili**
***Doctoral student***
***Iv. Javakhishvili Tbilisi State University***

S u m m a r y

More than half an year passed since the novel Coronavirus declared as a pandemic and virus already killed more than 900 000 people, while bringing the total number of infections to more than 28 millions. Aside from widen spread of the virus, it can already be boldly said that virus has become the biggest challenge of modern reality since the WWII.

Nearly half a year after COVID-19, or the global coronavirus, was declared a pandemic, the virus has already killed more than 400,000 people, bringing the total number of infections to more than 8 million. Aside from the widespread spread of the virus, it can already be boldly said that it has become the biggest challenge of modern reality since World War II.

Without vaccine and effective clinical treatments agains the virus, social distancing remains the only recommended tool agains the virus. The latter is a significant challenge for the modern economy.The current situation, in addition to the necessity of rethink economic policy also puts into the agenda the issue of establishing new trends in the international trade and economy. The reality in the post-pandemic period, which may lead to changes in the international supply chain and a new dealing out of the supply market, will lead to significant changes in the international economy that requires in-depth research and analysis.

The aim of the paper is to analyze some of the above issues, which will be presented on the based of existing empirical data.

***Keywords:*** *Coronamic; international economics;international trade.*
***JEL Codes:*** *E60, E61, E65, G18*

# დამამუშავებელი მრეწველობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე: შეფასება ლეონტიევის „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) მოდელის საშუალებით


**ვანო ბენიძე**

***კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი***

***თსუ-ის ეკონომიკის მიმართულების დოქტორანტი***



*მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ძირითად ამოცანას ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა და, შესაბამისად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევაში ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, რომელსაც ინდუსტრიალიზაციის შედეგად ხდებოდა აგრარული ეკონომიკების ტრანსფორმაცია და მუშახელის სოფლის მეურნეობიდან მაღალპროდუქტიული დამამუშავებელი მრეწველობის დარგში გადანაცვლება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინდუსტრიალიზაციის თვალსაზრისით მდგომარეობა სავალალოა და, შესაბამისად, დამამუშავებელი მრეწველობის პოტენციალის ამაღლებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სამომავლო ეკონომიკური განვითარების საქმეში.*

*სამეცნიერო ლიტერატურაში დამამუშავებელი მრეწველობის დარგის ბევრ განსაკუთრებულ მახასიათებელს გამოყოფენ, რაც ამ დარგს ეკონომიკის სხვა დარგებისგან გამოარჩევს და მის განვითარებას მეტად პრიორიტეტულს ხდის ეკონომიკური პოლიტიკის გადმოსახედიდან. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რატომაც დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება უპირატესია, არის ამ დარგის მჭიდრო სექტორული კავშირები ეკონომიკის სხვა დარგებთან. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ დარგის განვითარება მთლიანად ეკონომიკის მეტად წინსვლას გამოიწვევს. ნაშრომის მიზანი სწორედ იმ სექტორული კავშირების დათვლაა, რომლებიც დამამუშავებელი მრეწველობის დარგს აქვს საქართველოს ეკონომიკაში დღეს.*

*ანალიზისთვის გამოყენებული იქნა ვასილი ლეონტიევის მიერ შექმნილი „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) მოდელი, რომელიც ხშირად გამოიყენება იმიტომ, რომ დადგინდეს, რა ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს ერთი კონკრეტული დარგის მახასიათებლის შეცვლამ მთლიანად ეკონომიკაში. ამ მოდელის საშუალებით მეცნიერების მიერ შეფასებულია ამერიკის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების და სხვა არაერთი განვითარებადი თუ განვითარებული ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა და სექტორული კავშირები.*

*კვლევაში მიღებული შედეგები კიდევ ერთხელ ცხადყოფს დამამუშვებელი მრეწველობის დარგის განვითარების მნიშვნელობას საქართველოსთვის. კერძოდ, დარგის უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი 2018 წელს 1.25-ის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ დარგის მიერ 1 ლარის ღირებულების პროდუქციის წარმოება, ეკონომიკაში დამატებით 25 თეთრის გენერირებას გამოიწვევს. თუმცა აღსანიშნავისა, რომ უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი უფრო მაღალი იქნება, თუ დარგი მეტად განვითარდება და ნაკლებ იმპორტირებულ შუალედურ საქონელს მოიხმარს სხვა დარგებისგან საბოლოო პროდუქციის წარმოებისათვის. მეორეს მხრივ, დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი ძალიან მაღალია და 2018 წელს 5.33-ს უდრის, რაც იმას ნიშნავს, რომ დარგის მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე დიდია მოთხოვნა ეკონომიკის სხვა დარგების მიერ, შესაბამისად, მისი განვითარება ძალზედ პრიორიტეტულია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად.*



***საკვანძო სიტყვები:*** *დამამუშავებელი მრეწველობა, სტრუქტურული ტრანსფორმაცია, დანახარჯები-გამოშვების მოდელი, სექტორული კავშირები*

## შესავალი

ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაცია მისი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია. სტრუქტურული ტრანსფორმაცია გულისხმობს სამუშაო ძალის გადაადგილებას ეკონომიკის პირველადი სექტორიდან, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების მოპოვება, დამამუშავებელი მრეწველობის დარგში (განვითარების ინდუსტრიული ფაზა), ხოლო შემდგომ, განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაში, სამუშაო ძალის დამამუშავებელი მრეწველობიდან ეკონომიკის მესამეულ სექ-ტორში (სერვისები) გადანაცვლებას (Lewis, 1954, Clark, 1940; Fisher, 1935) (იხ. გრაფიკი №1). იკვეთება ისიც, რომ განვითარების ამ ვექტორზე სვლა, სწორედ ასეთი თანმიმდევ-რობითაა აუცილებელი. (Rodrik, 2017) აღნიშნავს, რომ განვითარების კლარკ-ფიშერის ვექ-ტორზე სვლა აუცილებელია თანმიმდევრობის დაცვით და თითქმის შეუძლებელია განვი-თარებული ქვეყნის სტატუსის მიღწევა ან მათთან კონვერგენცია პირველი ეტაპიდან გან-ვითარების პირდაპირ მესამე ეტაპზე გადასვლით, ინდუსტრიალიზაციის გარეშე. ინდუს-ტრიალიზაცია, ერთი მხრივ, გულისხმობს მუშახელის დასაქმების წილის ზრდას დამამუშა-ვებელი მრეწველობის დარგში, ხოლო, მეორე მხრივ, დამამუშავებელი მრეწველობის წი-ლის ზრდას მშპ-ში. საინტერესოა საქართველოს გამოცდილება ამ მიმართულებით.

საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სტრუქტურული ტრანსფორმა-ცია არასწორი მიმართულებით წარიმართა. გარდამავალი პერიოდის დასაწყისში საქარ-თველოში განხორციელდა უამრავი წარუმატებელი რეფორმა და ქვეყანამ გადაიტანა რამდენიმე ომი. შედეგად, განადგურდა ინფრასტრუქტურა, დაიწყო ჰიპერინფლაცია, ჩა-მოიშალა საგადასახადო სისტემა, ქვეყანა დადგა ენერგოკრიზისის წინაშე, გაიზარდა კო-რუფცია და კრიმინალი. ამის ფონზე, გაქრა ამ ქვეყანაში ბიზნესის კეთების და ინვესტი-ციის განხორციელების ყოველგვარი სურვილი, რამაც დეინდუსტრიალიზებული სექტო-რებიდან გამოთავისუფლებულ უმუშევრად დარჩენილ სამუშაო ძალას თავის რჩენის მიზ-ნით სოფლის მეურნეობაში გადანაცვლებისკენ უბიძგა. მიუხედავად მნიშვნელოვანი რე-ფორმებისა, რომლებიც 2003 წლის შემდგომ განხორციელდა, ინდუსტრიალიზაციის თვალსაზრისით მდგომარეობა დღესაც სავალალოა. შრომის საერთაშორისო ორგანიზა-ციის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა 42.7% მუშაობს, რაც გაცილებით მეტია განვითარებული ქვეყნების იმავე მაჩვენებელზე, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც სოფლის მეურნეობა, 2019 წლის მო-ნაცემების მიხედვით, მშპ-ს მხოლოდ 6.35% ქმნის. იმავე მონაცემების მიხედვით, დამამუ-შავებელი მრეწველობის დარგშიკი დასაქმებულთა მხოლოდ 5.9%-ია დასაქმებული და დარგი მშპ-ს 10.2%-ს ქმნის. მსოფლიო ბანკისა და ILOSTAT-ის 2018 წლის მონაცემების მიხედვით, შესაბამისი მაჩვენებლები დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში არის 6.0% და 8.1%, საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში - 11.3% და 15.4%, საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში - 17.5%და 20.7%, ხოლო მაღალი შემოსავლის მქო-ნე ქვეყნებში - 12.4% და 14.1%. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლის ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, ქვეყანა დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნე-ბის მსგავსი დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარების დონეზეა, რაც ამ დარგის განვითარების აუცილებლობაზე მიანიშნებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართვე-ლომ ბოლო წლების განმავლობაში მოახერხა ფუნდამენტური ფაქტორების მეტ-ნაკლე-ბად გაუმჯობესება (ადამიანური კაპიტალი, ინფრასტრუქტურა, ინსტიტუტები, ა.შ.), დარ-გის განვითარების გარეშე, საქართველოს ეკონომიკური ზრდა იქნება სტაბილურად ნე-ლი, რაც ბუნებრივია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესე-ბას ვერ გამოიწვევს (იხ. სქემა №1). ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, არ შევჩერ-დებით დამამუშავებელი მრეწველობის სამომავლო როლის განხილვაზე საქართველოს და ზოგადად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური წინსვლის საქმეში, თუმცა უნდა

აღინიშნოს, რომ მსოფლიო სამეცნიერო ეკონომიკური ლიტერატურა ამ დარგის განვითარებას სხვა დარგებზე პრიორიტეტულად მიიჩნევს (Chang, 1994; Chang 2016; Kaldor, 1967; Verspagen, 2000; Reinert, 2008).

**გრაფიკი №1:** კლარკ-ფიშერის განვითარების მოდელი




*წყარო: ავტორის მიერ, კლარკ-ფიშერის მოდელზე დაყრდნობით*

**სქემა №1:** ეკონომიკური ზრდის მოდელები და შედეგები

<table>
<tr><td colspan="2" rowspan="2"></td><td colspan="2">სტრუქტურული ტრანსფორმაცია (ინდუსტრიალიზაცია)</td></tr>
<tr><td>ნელი</td><td>სწრაფი</td></tr>
<tr><td rowspan="2">ინვესტიციები ფუნდამენტურ შესაძლებლობებში (ადამიანური კაპიტალი, ინსტიტუტები)</td><td>დაბალი</td><td>(1)<br>არ იზრდება</td><td>(2)<br>ეპიზოდური ზრდა</td></tr>
<tr><td>მაღალი</td><td>(3)<br>ნელი ზრდა<br>(საქართველო)</td><td>(4)<br>მდგრადი, სწრაფი ზრდა<br>(სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონგ-კონგი)</td></tr>
</table>

*წყარო: (McMillan et al. 2017: 7)*

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რატომაც დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება უპირატესად მიიჩნევა, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგების, არის ამ დარგის მჭიდრო სექტორალური კავშირები ეკონომიკის სხვა დარგებთან (Yülek, 2019).ეკონომიკაში პროდუქცია და მომსახურება ხშირად იწარმოება არა მხოლოდ იმიტომ, რომ დააკმაყოფილოს საბოლოო მოთხოვნა (მოსახლეობის, სახელმწიფოსი, ინვესტორების და უცხოელი მყიდველების), არამედ იმისთვისაც, რომ დააკმაყოფილოს სხვადასხვა დარგის შუალედური მოთხოვნა, რომელიც მათ სჭირდებათ საბოლოო სახით პროდუქციისა და მომსახურების წარმოებისათვის. ასევე, როდესაც იზრდება ეკონომიკის რომელიმე დარგი, ის

ქმნის დამატებით მოთხოვნას მთლიანად ეკონომიკაში, როგორც შუალედური, ისე საბოლოო მოხმარების სახით. მაგალითად, როდესაც შენდება ახალი სასტუმრო, ის ქმნის მოთხოვნას მშენებლობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე, რაც, თავის მხრივ, ქმნის ახალ მოთხოვნას ამ დარგების მიერ სხვა დარგების ნაწარმოებ პროდუქციასა და მომსახურებაზე. ამრიგად, იქმნება გადაცემის უწყვეტი ჯაჭვი და ერთი დარგის ზრდას მოჰყვება სხვა დარგებისა და მთლიანად ეკონომიკის ზრდა. მიიჩნევა, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგს ზოგადად მაღალი სექტორალური კავშირები გააჩნია და შესაბამისად ამ დარგის განვითარება მთლიანად ეკონომიკის მეტად წინსვლას გამოიწვევს. ამ ნაშრომის მიზანი სწორედ იმ მულტიპლიკატორული გავლენის შეფასებაა, რომელიც დამამუშავებელ მრეწველობას გააჩნია საქართველოს ეკონომიკაზე.

## დამამუშავებელი მრეწველობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

კონკრეტული დარგის ეკონომიკაზე ზეგავლენის დასადგენად ხშირად გამოიყენება „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) მოდელი, რომელიც 1936 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა, ვასილი ლეონტიევმა (1906-1990), შექმნა, რათა დეტალურად შეესწავლა ამერიკის ეკონომიკა და მასში არსებული შიდასექტორული კავშირები (Leontief, 1986). მას შემდეგ მოდელი ხშირად გამოიყენება იმიტომ, რომ დადგინდეს, რა ცვილილებები შეიძლება გამოიწვიოს ერთი კონკრეტული დარგის მახასიათებლის შეცვლამ მთლიანად ეკონომიკაში. გამომდინარე იქედან, რომ „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) ანალიზის საშუალებით შესაძლებელია სექტორული დამოკიდებულების დათვლა, მოდელი საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ თითოეული სექტორის მნიშვნელობა მთლიანად ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ამ მოდელის საშუალებით მეცნიერების მიერ შეფასებულია ამერიკის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების და სხვა არაერთი ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა და სექტორალური კავშირები (Botrii, 2013; Humavindu 2013; Temursho, 2016; Surugiu, 2009). ასევე აღსანიშნავია, რომ მოდელის მეშვეობით ქართველი მკვლევრების მიერ შეფასებელია კავშირგაბმულობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და ტურიზმის დარგის გაველნა საქართველოს ეკონომიკაზე (ბრეგაძე, 2018; მოსახლიშვილი და მიქელაძე, 2019).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს საქართველოს ეკონომიკის გამოყენებისა და რესურსების ცხრილებს. რესურსებისა და გამოყენების ცხრილები უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მათი გამოყენების დეტალური ანალიზის შესაძლებლობას. ცხრილები შედგენილია მატრიცის სახით ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მიხედვით. 2017 წლამდე ცხრილები ხელმისაწვდომია 15 საქმიანობისა და მათი შესაბამისი 15 პროდუქტის მიხედვით, ხოლო 2018 წლისთვის - 21 საქმიანობისა და მათი შესაბამისი პროდუქტის მიხედვით (იხ. ცხრილი №1,№2).

რესურსებისა (გამოშვების) და გამოყენების ცხრილების არსებობა შესაძლებელს ხდის „დანახარჯები-გამოშვების“ (IO) ანალიზის ჩატარებას საქართველოს ეკონომიკისთვის. თავის მხრივ, გამოშვების (supply) ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დარგის მიერ პროდუქციის გამოშვების შესახებ. ასევე იმპორტის, სავაჭრო და სატრანსპორტო დარიცხვების, გადასახადებისა და სუბსიდიების შესახებ. სტრიქონების ჯამი კი გვაწვდის ინფორმაციას ჯამური გამოშვების შესახებ *(გამოშვება + იმპორტი + სავაჭრო და სატრანსპორტო დარიცხვა + გადასახადები პროდუქციაზე - სუბსიდიები = ჯამური გამოშვება)* (იხ. სქემა №2).

**ცხრილი №1:** საქმიანობები გამოყენებისა და რესურსების ცხრილებში 2018 წლამდე

| | |
|---|---|
| A | სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა |
| B | მეთევზეობა, თევზჭერა |
| C | სამთომოპოვებითი მრეწველობა |
| D | დამამუშავებელი მრეწველობა |
| E | ელექტროენერგიის, აირის და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება |
| F | მშენებლობა |
| G | ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი საგნების რემონტი |
| H | სასტუმროები და რესტორნები |
| I | ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა |
| J | საფინანსო საქმიანობა |
| K | ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა |
| L | სახელმწიფო მმართველობა |
| M | განათლება |
| N | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება |
| O+P | სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება; შინამომსახურება |

***წყარო:*** *ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით*

**ცხრილი №2:** საქმიანობები გამოყენებისა და რესურსების ცხრილებში 2018 წელს

| | |
|---|---|
| A | სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა |
| B | სამთომოპოვებითი მრეწველობა |
| C | დამამუშავებელი მრეწველობა |
| D | ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება |
| E | წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები |
| F | მშენებლობა |
| G | საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების შეკეთება |
| H | ტრანსპორტი და დასაწყობება |
| I | განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები |
| J | ინფორმაცია და კომუნიკაცია |
| K | საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები |
| L | უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები |
| M | პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები |
| N | ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები |
| O | სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება |
| P | განათლება |
| Q | ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები |
| P | ხელოვნება, გართობა და დასვენება |
| S | სხვა სახის მომსახურება |
| T | შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის |
| U | ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები |

***წყარო:*** *ავტორის მიერ, GeoStat-ის მონაცემებზე დაყრდნობით*

გამოყენების (use) ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დარგის მიერ პროდუქციის გამოყენების შესახებ - როგორც შუალედური გამოყენების სხვადასხვა დარგის მიერ, ისე საბოლოო გამოყენების, მთლიანი კაპიტალის ფორმირებისა და ექსპორტის შესახებ. სტრიქონების ჯამი კი გვაწვდის ინფორმაციას მთლიანი მოხმარების შესახებ *(შუალედური მოხმარება + საბოლოო მოხმარება + ექსპორტი + მთლიანი კაპიტალის ფორმირება = მთლიანი მოხმარება)* (იხ. სქემა №3).

**სქემა №2:** გამოშვების (რესურსების) ცხრილის სტრუქტურა (Supply Table)

| დარგი / პროდუქტი | j=1,2,3... M | იმპორტი | სავაჭრო და სატრანსპ. დარიცხვები | გადასახადები პროდუქციაზე | სუბსიდიები პროდუქციაზე | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| i=1<br>2<br>3<br>...<br>N | ინფორმაცია j დარგის მიერ iპროდუქტის გამოშვების შესახებ | ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის პროდუქტი შემოვიდა იმპორტის სახით. ასევე, სავაჭრო და სატრანსპორტო დარიცხვები, გადასახადები პროდუქციაზე და სუბსიდიები პროდუქციაზე | | | | ჯამური გამოშვება |
| ჯამი | თითოეული დარგის შეჯამებული მონაცემები | შეჯამებული მონაცემები | | | | |

***წყარო:** ავტორის მიერ, Eurostat (2008) დაყრდნობით*

**სქემა №3:** გამოყენების ცხრილის სტრუქტურა (Use Table)

| დარგი / პროდუქტი | j=1,2,3...M | ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე | ექსპორტი | მთლიანი კაპიტალის ფორმირება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| i=1<br>2<br>3<br>...<br>N | ინფორმაცია შუალედური მოხმარების შესახებ, რომელიც j დარგმა მოითხოვა iპროდუქტისგან | ინფორმაცია ეკონომიკის მთლიანი საბოლოო მოხმარების შესახებ კატეგორიების მიხედვით | | | ინფორმაცია მთლიანი მოხმარების შესახებ |
| დამატებული ღირებულება | დამატებული ღირებულება დარგების მიხედვით | | | | |
| ჯამი | თითოეული დარგის შეჯამებული მონაცემები | ჯამური ინფორმაცია გამოყენების შესახებ კატეგორიების მიხედვით | | | |

***წყარო:** ავტორის მიერ, Eurostat (2008) დაყრდნობით*

ამ ორი ცხრილის შერწყმით შესაძლებელია მივიღოთ ე.წ. „დანახარჯები-გამოშვების" მატრიცა. კონკრეტულად, გამოშვებისა და გამოყენების ცხრილების „დანახარჯები-გამოშვების" მატრიცად გარდაქმნისთვის გამოვიყენებთ საერთაშორისო მეთოდოლოგიას, რომელიც მოცემულია „Eurostat Manual of Supply, Use andInput-Output Tables"-ში (Eurostat, 2008). მატრიცის ასაგებად, ვუშვებთ, რომ თითოეულ პროდუქტს აქვს საკუთარი

სპეციფიკური გაყიდვის სტრუქტურა, იმ ინდუსტრიის მიუხედავად, სადაც ის იწარმოება. შესაბამისად, ცხრილებზე ვატარებთ შემდეგ მათემატიკურ გარდაქმნას:

$$T=V*inv[diag(q)] \; B=T*U$$

სადაც T ტრანსპონირების მატრიცაა, V ტრანსპონირებული მიწოდების მატრიცა, *diag*(*q*) პროდუქციის გამოშვების სვეტის ვექტორი, U შუალედური გამოყენების მატრიცა, B შუალედური წარმოების მატრიცა. გარდაქმნის შედეგად, ვიღებთ „დანახარჯები-გამოშვების" მატრიცას, რომელიც უჩვენეს პროდუქციის დინებას ქვეყანაში დარგებს შორის (იხ. სქემა №4).

**სქემა №4:** „დანახარჯები-გამოშვების" მატრიცის სტრუქტურა (Input-Output Table)

| დარგი \ დარგი | J=1,2,3 … M | ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე | ექსპორტი | მთლიანი კაპიტალის ფორმირება | მთლიანი გამოყენება |
|---|---|---|---|---|---|
| I=1<br>2<br>3<br>…<br>M | ინფორმაცია შუალედური მოხმარების შესახებ, რომელიც j დარგმა მოითხოვა iდარგისაგან | ინფორმაცია ეკონომიკის მთლიანი საბოლოო მოხმარების შესახებ | | | ინფორმაცია მთლიანი გამოყენების შესახებ |
| იმპორტი<br>სავაჭრო-სატრანსპორტო დარიცხვა<br>გადასახადები პროდუქციაზე<br>სუბსიდიები პროდუქციაზე<br>დამატებული ღირებულება | შესაბამისი ინფორმაცია თითოეული დარგისთვის | ცარიელია | | | |
| მთლიანი გამოშვება | ინფორმაცია მთლიანი გამოშვების შესახებ | | | | |

***წყარო:*** *ავტორის მიერ, Eurostat (2008) დაყრდნობით*

ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა „დანახარჯები-გამოშვების" მატრიცის პირდაპირი საჭიროების ცხრილად გარდაქმნა (direct requirement table), რაც ცხრილის თითოეული უჯრის მნიშვნელობის აღნიშნული მნიშვნელობისა და მთლიანად სვეტის მონაცემთა ჯამის თანაფარდობის ჩანაცვლებითაა შესაძლებელი:

$A=T*U*inv[diag(q)$

სადაც *diag*(*q*) ინდუსტრიების გამოშვებების დიაგონალური მატრიცაა. მიღებული პირდაპირი საჭიროებების ცხრილი გვიჩვენებს თითოეული შემსყიდველი დარგის იმ მიწოდების რაოდენობას, რომელიც საჭიროა სხვადასხვა მიმწოდებელი დარგებისგან ერთი ერთეული პროდუქტის საწარმოებლად. საქართველოს ეკონომიკისთვის, 2017 წლის პირდაპირი საჭიროების ცხრილი ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი №3).

**ცხრილი №3:** პირდაპირი საჭიროებების მატრიცა (A), საქართველო, 2017

| | A | B | C | D | E | F | G | H | I | J | K | L | M | N | O+P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | 0.09 | 0.00 | 0.01 | 0.03 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.01 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.02 | 0.01 | 0.01 | 0.01 |
| B | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| C | 0.00 | 0.01 | 0.00 | 0.02 | 0.09 | 0.01 | 0.02 | 0.01 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.00 |
| D | 0.13 | 0.02 | 0.04 | 0.12 | 0.03 | 0.36 | 0.60 | 0.25 | 0.12 | 0.06 | 0.03 | 0.14 | 0.08 | 0.12 | 0.13 |
| E | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.05 | 0.02 | 0.09 | 0.02 | 0.01 | 0.01 | 0.02 | 0.01 | 0.01 | 0.01 | 0.02 |
| F | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.12 | 0.13 | 0.02 | 0.01 | 0.01 | 0.02 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.03 |
| G | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.01 | 0.08 | 0.00 | 0.01 | 0.02 | 0.02 | 0.01 | 0.00 | 0.00 | 0.04 |
| H | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.01 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.00 | 0.04 |
| I | 0.02 | 0.00 | 0.01 | 0.01 | 0.04 | 0.01 | 0.10 | 0.05 | 0.04 | 0.02 | 0.05 | 0.01 | 0.00 | 0.03 | 0.06 |
| J | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.03 | 0.01 | 0.07 | 0.05 | 0.01 | 0.00 | 0.04 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.01 |
| K | 0.01 | 0.03 | 0.00 | 0.01 | 0.03 | 0.03 | 0.59 | 0.07 | 0.03 | 0.19 | 0.08 | 0.02 | 0.04 | 0.03 | 0.08 |
| L | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| M | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.02 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| N | 0.01 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.02 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.02 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| O+P | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.05 | 0.00 | 0.02 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.01 | 0.01 | 0.00 | 0.00 | 0.02 |

*წყარო: ავტორის მიერ, Eurostat (2008) და GeoStat -ის მონაცემებზე დაყრდნობით*

ანალიზისთვის, მათემატიკური გარდაქმნით შესაძლებელია მივიღოთ ე.წ. „ლეონ-ტიევის მატრიცა“, რომელიც ასე მიიღება

$$L=(I-A)^{-1} \quad 0<A<1$$

სადაც L ლეონტიევის მატრიცაა, ზემოთ მოცემული A მატრიცა, ხოლო I - ერთეულოვანი მატრიცა. ლეონტიევის მატრიცა საქართველოს ეკონომიკისთვის 2017 წელს ასე გამოიყურება (შედეგებს წარმოგიდგენთ მხოლოდ დამამუშავებელი მრეწველობის დარგისათვის) (იხ. ცხრილი №4).

**ცხრილი №4:** ლეონტიევის მატრიცა (L), დამამუშავებელი მრეწველობა, 2017

| | A | B | C | D | E | F | G | H | I | J | K | L | M | N | O+P | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | | | 0.03 | | | | | | | | | | | | |
| B | | | | 0.00 | | | | | | | | | | | | |
| C | | | | 0.02 | | | | | | | | | | | | |
| D | 0.17 | 0.03 | 0.05 | 1.15 | 0.08 | 0.48 | 0.91 | 0.33 | 0.17 | 0.11 | 0.09 | 0.18 | 0.10 | 0.16 | 0.24 | **4.25** |
| E | | | | 0.01 | | | | | | | | | | | | |
| F | | | | 0.01 | | | | | | | | | | | | |
| G | | | | 0.00 | | | | | | | | | | | | |
| H | | | | 0.00 | | | | | | | | | | | | |
| I | | | | 0.01 | | | | | | | | | | | | |
| J | | | | 0.01 | | | | | | | | | | | | |
| K | | | | 0.02 | | | | | | | | | | | | |
| L | | | | 0.00 | | | | | | | | | | | | |
| M | | | | 0.00 | | | | | | | | | | | | |
| N | | | | 0.00 | | | | | | | | | | | | |
| O+P | | | | 0.00 | | | | | | | | | | | | |
| ჯამი | | | | **1.26** | | | | | | | | | | | | |

*წყარო: ავტორის მიერ, Eurostat (2008) და GeoStat -ის მონაცემებზე დაყრდნობით*

მიღებული მატრიციდან, შესაძლებელია დამამუშავებელი მრეწველობის დარგის მულტიპლიკატორული ეფექტის დათვლა. თავის მხრივ, მულტიპლიკატორული ეფექტის აღსაწერად ორგვარი მიმართულება გამოიყენება - უკუდამოკიდებულების და წინადამოკიდებულების. დარგის უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი (backward linkage) აღწერს, თუ რამდენად გაიზრდება ამ დარგის მოთხოვნა ეკონომიკის დანარჩენ ნაწილში ნაწარმოებ პროდუქციაზე, თუ ეს დარგი წარმოებას 1 ერთეულით გაზრდის. დარგის უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი გამოითვლება ლეონტიევის მატრიცის სვეტის მონაცემების დაჯამებით. მეორეს მხრივ, დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი (forward linkage) ასახავს იმას, თუ რამდენად იზრდება ამ დარგის მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე მოთხოვნა, როდესაც ეკონომიკის დანარჩენ ნაწილში წარმოება 1 ერთეულით იზრდება. დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტის დასათვლელად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, თუმცა ჩვენ გამოვიყენებთ Rasmussen (1956) მეთოდს, რომლის თანახმადაც წინადამოკიდებულების კოეფიციენტი ლეონტიევის მატრიცის რიგის ჯამს წარმოადგენს.

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ დამამუშავებელი მრეწველობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. 2017 წლისთვის, დამამუშავებელი მრეწველობის დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი 1.26-ის ტოლი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დამამუშავებელი მრეწველობის დარგი აწარმოებს 1 ლარის ღირებულებით პროდუქციას, ეს დამატებით გამოიწვევს 26 თეთრის გენერირებას ეკონომიკაში და ჯამში დანახარჯი 1.26 ლარით გაიზრდება. უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი ზომავს დამამუშავებელი მრეწველობის დარგის მნიშვნელობას როგორც მომთხოვნის წარმომქმნელს ეკონომიკაში (მოთხოვნის მხარე). მეორეს მხრივ, 2017 წლის დამამუშავებელი მრეწველობის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი 4.25-ის ტოლი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ეკონომიკის სხვა დარგები აწარმოებენ 1 ლარის ღირებულების პროდუქციას, ეს მათ მიერ 3.25 ლარით ზრდის დამამუშავებელი მრეწველობის დარგის მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე მოთხოვნას. წინადამოკიდებულების კოეფიციენტი ზომავს დამამუშავებელი მრეწველობის დარგის მნიშვნელობას როგორც მიმწოდებელი ეკონომიკაში (მიწოდების მხარე).

ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიით ასევე შეფასდა დამამუშავებელი მრეწველობის დარგის უკუდამოკიდებულებისა და წინადამოკიდებულების კოეფიციენტები 2012-2018 წლებისათვის. შედეგები წარმოდგენილია ცხრილში №5. წლების ჭრილში კოეფიციენტებს შორის მკვეთრი ცვლილება არ შეიმჩნევა, გარდა 2018 წლისა, როდესაც დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი 4.26-დან 5.33-მდე იზრდება. ზოგადად ანალიზიდან იკვეთება, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტები ბევრად მაღალია, ვიდრე მისი უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები. ასევე, დარგის უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი 1-ზე მეტია, არც თუ ისე მაღალია საქართველოს ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, თუმცა დარგს გააჩნია ყველა სხვა დარგზე მაღალი წინადამოკიდებულების კოეფიციენტები. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან დღეს დამამუშავებელი მრეწველობის დარგი განუვითარებელია და ეკონომიკის სხვა დარგებში ნაკლებად ქმნის მოთხოვნას საბოლოო პროდუქციის წარმოებისათვის, ნაწილობრივ იმის გამო, რომ დარგი იმპორტირებულ საქონელზეა დამოკიდებული. თუმცა, მეორე მხრივ, ძალიან მაღალი წინადამოკიდებულების კოეფიციენტი მიუთითებს იმაზე, რომ ამ დარგის მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე მოთხოვნა ძალიან დიდია ეკონომიკის სხვა დარგებისგან და მნიშვნელოვანია ამ დარგის განვითარება, რათა ეკონომიკაში დამატებითი დოვლათი შეიქმნას.

**ცხრილი №5:** წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები დამამუშავებელი მრეწველობის დარგისათვის, საქართველო, 2012-2018 წლები

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი | 1.27 | 1.28 | 1.27 | 1.26 | 1.27 | 1.26 | 1.25 |
| წინადამოკიდებულების კოეფიციენტი | 4.69 | 4.47 | 4.26 | 4.13 | 4.14 | 4.26 | 5.33 |

*წყარო: ავტორის მიერ, Eurostat (2008), Rasmussen (1956), GeoStat -ის მონაცემებზე დაყრდნობით*

დამამუშავებელი მრეწველობის დარგის გავლენის მეტად სიღრმისეული შეფასებისათვის ზემოთ აღწერილი „დანახარჯები-გამოშვების" ანალიზის ჩატარება შესაძლებელია დარგის სხვადასხვა საქმიანობის კოეფიციენტების დათვლისათვის. ამისათვის ვიყენებთ საქსტატის მიერ მოწოდებულ 2018 წლის გამოყენებისა და დანახარჯების ცხრილებს, რომლებიც მოიცავს 38 სახის საქმიანობას შესაბამისი პროდუქტის მიხედვით. ცხრილების „დანახარჯები-გამოშვების" მატრიცად გარდაქმნა და შემდეგ შესაბამისად უკუდამოკიდებულებისა და წინადამოკიდებულების კოეფიციენტები დაანგარიშდება იმავე მეთოდით, რომელიც ზემოთ არის აღწერილი. 2018 წლის შედეგები დამამუშავებელი მრეწველობის დარგის 13 სხვადასხვა საქმიანობისთვის წარმოდგენილია ცხრილში №6. მიიჩნევა, რომ რაც უფრო მაღალია დარგის როგორც უკუდამოკიდებულების, ისე წინადამოკიდებულების კოეფიციენტები, მით მეტად პრიორიტეტულია დარგი ეკონომიკისთვის, შესაბამისად, დარგების პრიორიტეტულობა შესაძლებელია გამოისახოს გრაფიკი №2-ის სახით. იკვეთება, რომ დარგები A,G,H დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ასევე C, M, E დარგებიც მაღალი უკუდემოკიდებულების და წინადამოკიდბულების კოეფიციენტებით გამოირჩევა. შედარებით ნაკლები ზეგავლენა აქვს ეკონომიკაზე F,L,I,K,J, და B დარგებს. ხოლო D დარგი, მიუხედავად დაბალი უკუდამოკიდებულების კოეფიციენტისა, გამოირჩევა მაღალი წინადამოკიდებულების კოეფიციენტით.

**ცხრილი №6:** წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები დამამუშავებელი მრეწველობის დარგის სხვადასხვა საქმიანობისთვის, 2018 წელი

| | საქმიანობა | უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი (Type I) | წინადამოკიდებულების კოეფიციენტი (Type I) |
|---|---|---|---|
| A | კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს პროდუქტები | 1.509 | 2.035 |
| B | ტექსტილი, ტანსაცმელი და ტყავის პროდუქტები | 1.103 | 1.172 |
| C | ხის და ქაღალდის პროდუქტები; მომსახურება ბეჭდვით | 1.225 | 1.674 |
| D | კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები | 1.009 | 2.188 |
| E | ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები | 1.225 | 1.377 |
| F | ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტები და ფარმაცევტული პრეპარატები | 1.086 | 1.319 |
| G | რეზინის, პლასტმასის და სხვა არალითონური მინერალური პროდუქტები | 1.376 | 1.909 |

| | | | |
|---|---|---|---|
| H | ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი, მანქანების და მოწყობილობების გარდა | 1.412 | 1.691 |
| I | კომპიუტერები, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქცია | 1.001 | 1.175 |
| J | ელექტრომოწყობილობები | 1.058 | 1.145 |
| K | მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 1.010 | 1.119 |
| L | სატრანსპორტო მოწყობილობები | 1.002 | 1.228 |
| M | ავეჯი; სხვა სამრეწველო საქონელი; მომსახურება მანქანების და მოწყობილობების შეკეთება | 1.185 | 1.377 |

***წყარო:** ავტორის მიერ, Eurostat (2008), Rasmussen (1956), GeoStat -ის მონაცემებზე დაყრდნობით*

***გრაფიკი №2:** დამამუშავებელი მრეწველობის 13 სხვადასხვა საქმიანობის წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები, 2018 წელი*




***წყარო:** ავტორის მიერ*

ანალიზიდან იკვეთება, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე. კერძოდ, დარგის უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი 2018 წელს 1.25-ის ტოლია, რაც იმას ნიშნავს რომ დარგის მიერ 1 ლარის ღირებულების პროდუქციის წარმოება ეკონომიკაში დამატებით 25 თეთრის გენერირებას გამოიწვევს. თუმცა აღსანიშნავისა, რომ უკუდამოკიდებულების კოეფიციენტი უფრო მაღალი იქნება, თუ დარგი მეტად განვითარდება და ნაკლებ იმპორტირებულ შუალედურ საქონელს მოიხმარს სხვა დარგებისგან საბოლოო პროდუქციის წარმოებისათვის. მეორე მხრივ, დარგის წინადამოკიდებულების კოეფიციენტი ძალიან მაღალია და 2018 წელს 5.33-ს უდრის, რაც იმას ნიშნავს, რომ დარგის მიერ ნაწარმოებ პროდუქციაზე ძალიან დიდია მოთხოვნა ეკონომიკის სხვა დარგების მიერ, შესაბამისად, დარგის განვითარება ძალზე პრიორიტეტულია.

დამამუშავებელი მრეწველობის 13 სხვადასხვა საქმიანობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ დარგის 6 საქმიანობას (A,G,H,C,M,E) განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს ეკონომიკაზე, ვიდრე დარგის სხვა დანარჩენ 7 საქმიანობას (F,L,I,K,J,B,D). შესაბამისად, ეს საქმიანობები შესაძლებელია, პრიორიტეტულად მივიჩნიოთ ეკონომიკური პოლიტიკის გადმოსახედიდან. თუმცა აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ საქმიანობას შესაძლებელია, დღეს არ ჰქონდეს დიდი გავლენა ეკონომიკაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საქმიანობა განუვითარებელია და დაბალი წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ საქმიანობების განვითარება ნაკლებად პრიორიტეტული უნდა იყოს, თუმცა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა სტრუქტურულად ბოლომდე ფორმირებული არ არის. მაგალითად, ელექტრომოწყობილობების, სატრანსპორტო მოწყობილობების და მანქანების, ასევე მოწყობილობების დარგების გავლენა ეკონომიკაზე არც თუ ისე დიდია დღეს, რადგან ეს დარგები განუვითარებელია, თუმცა მათი განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის სამომავლო წინსვლისათვის.

## დასკვნა

ნაშრომში შეფასებული იქნა დამამუშავებელი მრეწველობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ლეონტიევის „დანახარჯები-გამოშვების" (IO) მოდელის საშუალებით" 2012-2018 წლების პერიოდისათვის და დათვლილი იქნა ამ დარგის წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები. ასევე, იმავე მეთოდით დეტალურად გაანალიზდა დამამუშავებელი მრეწველობის 13 სხვადასხვა საქმიანობის სექტორული კავშირები ეკონომიკის სხვა დარგებთან. ანალიზმა უჩვენა, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგის განვითარება მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის სამომავლო განვითარებისათვის, რადგან ამ დარგს და მის სხვადასხვა საქმიანობას აქვს მაღალი წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დარგის ზოგიერთი საქმიანობა, არ გამოირჩევა მაღალი კოეფიციენტებით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ განვითარებაზე უარი უნდა ვთქვათ, რადგან დაბალი წინადამოკიდებულებისა და უკუდამოკიდებულების კოეფიციენტები სწორედ ამ საქმიანობების განუვითარებლობით შეიძლება იყოს გამოწვეული.

**ლიტერატურა:**

1. Botrii, Valerija. “Identifying Key Sectors in Croatian Economy Based on Input-Output Tables.” SSRN Electronic Journal, 2013. https://doi.org/10.2139/ssrn.2553763.
2. Chang, Ha-Joon, and Antonio Andreoni. “Industrial Policy and The Future of Manufacturing.” SpringerLink. Springer International Publishing, September 16, 2016. https://link.springer.com/-article/10.1007/s40812-016-0057-2.
3. Chang, Ha-Joon. The Political Economy of Industrial Policy. Macmillan, 1994.
4. Clark, Colin. The Conditions of Economic Progress. London: Macmillan , 1940.
5. Eurostat. “Eurostat Manual of Supply, Use and Input-Output Tables.” Eurostat , 2008. https://ec.europa.eu/eurostat/documents/3859598/5902113/KS-RA-07-013-EN.PDF/b0b3d71e-3930-4442-94be-70b36cea9b39.
6. Fisher, Alan GB. The Clash of Progress and Security. London: Macmillan and Co., 1935.
7. Humavindu, Michael N, and Jesper Stage. “Key Sectors of the Namibian Economy.” Journal of Economic Structures 2, no. 1 (2013). https://doi.org/10.1186/2193-2409-2-1.
8. Kaldor, Nicholas. Strategic Factors In Economic Development. New York State School of Industrial and Labor Relations, 1967.
9. Leontief, Wassily. Input-Output Economics. New York; Oxford University Press, 1986.

10. Lewis, W. Arthur. Economic Development With Unlimited Supplies of Labour. University of Manchester, 1954.
11. McMillan, Margaret, Dani Rodrik, and Claudia Sepúlveda. Structural Change, Fundamentals, and Growth: A Framework and Case Studies. IFPRI Library. Washington, D.C.: International Food Policy Research Institute (IFPRI), 2017. http://ebrary.ifpri.org/cdm/ref/collection/p15738coll2/id/131168.
12. Rasmussen, P. N. Studies in Inter-Sectoral Relations. Amsterdam: North-Holland, 1956.
13. Reinert, Erik S. How Rich Countries Got Rich and Why Poor Countries Stay Poor. New York: Public Affairs, 2008.
14. Rodrik, Dani. "Growth Without Industrialization?" Global Policy Journal, December 21, 2017. Growth Without Industrialization?
15. Surugiu, Camelia. "The Economic Impact of Tourism. An Input-Output Analysis." Romanian Journal of Economics. Institute of National Economy, 2009. https://ideas.repec.org/a/ine/journl/v2y2009i38p142-161.html.
16. Temursho, Umed. "Backward And Forward Linkages And Key Sectors In The Kazakhstan Economy ." https://www.adb.org/, 2016.
17. Verspagen, Bart, 2000. "Growth and Structural Change: Trends, Patterns and Policy Options," Research Memorandum 015, Maastricht University, Maastricht Economic Research Institute on Innovation and Technology (MERIT).
18. Yülek, Murat A. How Nations Succeed: Manufacturing, Trade, Industrial Policy, and Economic Development. Palgrave Macmillan, 2019.
19. ბრეგაძე, გიორგი. Dissertation. ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტები, 2018. https://bit.ly/3eP6FrL.
20. მოსახლიშვილი, აკაკი, and ლევან მიქელაძე. "კავშირგაბმულობის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე - შეფასება ლეონტიევის „ნედლეული-გამოშვების' (IO) მოდელის მიხედვით." ეკონომიკა და საბანკო საქმე 6, no. 1 (2019): 37–43. https://www.nbg.gov.ge/-uploads/journal/2019/01/31.pdf.
21. https://www.geostat.ge/ka
22. https://data.worldbank.org/
23. https://ilostat.ilo.org/

# Using the Leontief Input-Output Model to Estimate the Impact of Manufacturing Sector on Georgian Economy

**Vano Benidze**

***Associate Professor of Economics at Caucasus University***
***Ph.D. Candidate in Economics at Tbilisi State University***

S u m m a r y

The main goal of every nation around the world is to achieve high economic growth rates and therefore, improve the socio-economic conditions of its people. Without exception,countries that have achievedthis goal, have done so through industrialization - a process that refers to the transfer of labor and inputs from low productivity activities (agriculture, mining) to high productivity ones (manufacturing). There is a clear consensus among economist that industrialization – the development of manufacturing sector – plays a key role in development. It is worth notingthat Georgia's experience with industrialization has so far been very disappointing. Therefore, the development of manufacturing sectors still remains as a major issue facing the country's economy.

As is well recognized in the economic literature, there are many reasons why pursing industrialization has positive effects on economic development. One of the main arguments of proponents of manufacturing development is that manufacturing has very strong linkages to the other sectors of the economy. Consequently, sectors with strong linkages and thus production interdependencies within the economy is likelyto promote overall economic development. In this context, it is interesting and important to explore the linkages of manufacturing sector with the other sectors of the Georgian economy. The aim of this paper is to evaluate the impact of manufacturing sector on the Georgian economy as a whole.

To conduct the analysis, an Input–output model, developed by American economist Wassily Leontiefin 1936, has been used. The model is frequently used by economists in order to evaluate the impact of one specific sector on the economy as a whole.Using this model economist have assessed the sectoral linkagesin the economies of many countries around the world, including the United States and several EU countries to name a few.

Our findings reinforce theimportance of manufacturing sector development for the Georgian economy.More specifically, backward linkage multiplier of manufacturing sector in 2018 was 1.25, meaning that 1$ of output by this sector would generate additional 25 cents for the Georgian economy. However, it is worth noting that, backward linkage of manufacturing sector could be even higher if it uses fewer imported good as intermediate inputs in the production process. On the other hand, forward linkage multiplier of manufacturing sector was higher than that of any other sector of the economy, equaling 5.33 in 2018. This means that there is a substantial demand for the goods produced by this sector from the other sectors of the economy, therefore, its development could generate high economic growth.

***Keywords:*** *Manufacturing, Structural Transformation, Input-Output Model, Sectoral Linkages*
***JEL Codes:*** *O14, O4, L6*

# პერსონალის მოტივაციის ბიზნესზე ზეგავლენის ემპირიული კვლევა

**ხათუნა ბერიშვილი**
*ეკონომიკის დოქტორი,*
*თსუ-ის ასოცირებული პროფესორი*

*ბიზნესპროცესებში აუცილებელი ხდება მოტივაციისადმი ახალი მიდგომების შესწავლა და გაანალიზება. მოტივაციისა და სტიმულირების ახალი მეთოდები არსებით ზეგავლენას ახდენს ბიზნესის ეფექტიანობის ზრდაზე. ქართულ ბიზნესში არსებული მოტივაციის მეთოდები სათანადო შედეგებს არ იძლევა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს მოტივაცია ბიზნესსაქმიანობის განვითარების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. პერსონალის მოტივაციის ამაღლება შესაძლებლობას გვაძლევს, ოპტიმალურად გამოვიყენოთ შრომითი რესურსები და მოვახდინოთ საკადრო პოტენციალის მობილიზება დასმული ამოცანების რეალიზაციის მიზნით. მოტივაციის უმთავრესი მიზანია არსებული შრომითი რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება, რაც ზრდის ბიზნესის რენტაბელობას.*

*საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, მოტივაცია, თეორიული მიდგომა, პრაქტიკული ასპექტი, ემპირიული კვლევა, შინაგანი და გარეგანი მოტივები.*

### მოტივაციის როლი შრომის სტიმულირებაში

ბიზნესის მართვაში ყველაზე რთულია, დაარწმუნო თანამშრომლები, იმუშაონ წარმოების საერთო მიზნების მისაღწევად. ამიტომაც, დამქირავებლები უპირატესობას ანიჭებენ სამუშაო ადგილის იმ მაძიებლებს, რომლებიც მზად არიან, იშრომონ კომპანიის საკეთილდღეოდ, ანუ ასაქმებენ მათ, ვინც უკეთ „მოტივირებულია“. იმისათვის, რომ შრომა მწარმოებლური, ხარისხიანი და ეფექტიანი გახდეს, აუცილებელია პერსონალის სტიმულირება. აქ აუცილებელია, ოპტიმალური ბალანსი მოიძებნოს შრომის მატერიალურ და მორალურ სტიმულებს შორის. თუ სიტყვიერი შექება მორალური სტიმულირების მეთოდია, ფასიანი საჩუქრები, პრემიები, ფულადი ჯილდოები მატერიალური სტიმულირების არსებითი არსენალია. გარდა ამისა, მასტიმულირებელ როლს ასრულებს შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკა, რასაც მიმართავს ცალკეული კომპანია და რაც უფრო მოტივირებულს ხდის პერსონალს. ამის შედეგად დასაქმებული მაქსიმალურად ცდილობს, თავისი შრომის შედეგები ნაყოფიერი გახადოს, აიმაღლოს კომპანიაში დამკვიდრებული სტატუსი [1, გვ. 127- 136].

ემპირიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ სტიმულირება ყოველთვის არ იწვევს კომპანიაში პერსონალის შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას. ამასთან, დაუგეგმავმა ფაქტორებმა შეიძლება არსებითი გავლენა იქონიონ შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, რაციონალური და ირაციონალური ფაქტორების თანაფარდობა თანაბრად არსებითია მწარმოებლურობის ზრდაში.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მოტივაცია და არა მხოლოდ სტიმული მართავს ადამიანის მოქმედებას. ამასთან, სტიმული ადამიანების შინაგანი მახასიათებელია, ის შეიძლება გახდეს ან არ გახდეს მოტივაციის საგანი. სტიმულის ტრანსფორმაცია მოტივაციაში, ადამიანის შინაგან მოთხოვნილებასთანაა დაკავშირებული და ის შეიძლება წავახალისოთ მოტივაციის რაციონალური კონსტრუირებით. როგორც მიუთითებს ცნობილი მეცნიერი რ. ტომსონი: „თუ მამალმა კურდღელმა დაკარგა მდედრი, მას არა მარტო ჭამის, არამედ არსებობის სურვილიც უქრება, ამიტომ მას სტაფილო (სტიმული) ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ მას არანაკლებ უყვარს სტაფილო, ამიტომ (სტაფილო) გამოდგება როგორც ანტიდეპრესანტი“ [3, გვ. 71-95]. რ. ტომსონმა ამ მაგალითით გამოხატა მოთხოვ-

ნილებებისა და მოტივაციის კონფლიქტი. ამდენად, მოტივაცია არის „შინაგანი“ (სტიმულისა) და „გარეგანი“ ფაქტორების თანხვედრა. ფსიქოლოგების აზრით, მოტივაცია არის გასაგნებული მოთხოვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოტივაცია არამატერიალურია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის გამოწვეულია მატერიალური სტიმულებით, ის ადამიანის თანმხვედრი თვისებაა.

მენეჯმენტი უნდა ზრუნავდეს პერსონალის მოტივაციის ამაღლებაზე, ამის მთავარი მამოძრავებელი ძალა კი არის ადამიანური მოთხოვნილებების გამოვლენა და შემდგომ მათი დაკმაყოფილება. ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ა. მასლოუს ადამიანის „მოთხოვნილებათა იერარქიის“ მიხედვით, მოთხოვნების დაკმაყოფილებას აქვს მზარდი ხასიათი, რაც დაკავშირებულია მის იერარქიულ სტრუქტურასთან [4, გვ.122-147]. რიტორიკულია მასლოუს მიერ მოყვანილი მაგალითი: უკიდეგანო ზღვაში დასახრჩობად განწირული ადამიანი, რომელსაც წყალში უგდებენ მაშველ რგოლს და მილიონ დოლარს მსხვილი კუპიურებით; როგორ იქცევა ის? რა თქმა უნდა, უპირველესად, ის მაშველ რგოლს დაწვდება და როცა თავს უსაფრთხოდ იგრძნობს, მერე შეიძლება მილიონსაც გადაწვდეს. თუ ადამიანი მსგავს სიტუაციაში პირიქით მოიქცევა, მისი საქციელი ანომალიურია [4, გვ.147-148].

პერსონალის არამატერიალური სტიმულირება გულისხმობს: ჯერ ერთი, სტიმულების იერარქიულ და თანმიმდევრულ დალაგებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი სტიმულების გამოყენება არ იმუშავებს პრაქტიკაში და მეორე, თუ საბაზისო მოთხოვნები ფრუსტრირდება კომპანიის გარეგანი ან შინაგანი ფაქტორებით მაშინ დაქირავებულის ქცევის რეგულაციაში მოთხოვნები პირველ ადგილზე გადმოდის, ხოლო სტიმულები, რაც უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზეა, მით უფრო კარგავს მოქმედების ძალას.

## მოტივაციის ემპირიული კვლევა

აშშ-ის მეცნიერებმა ჩაატარეს მოტივაციის გამოვლენაზე ორიენტირებული ექსპერიმენტები [5, გვ. 134-138]. საცდელი სუბიექტები ორ ჯგუფად გაიყო: პირველი ერთი საათის განმავლობაში ასრულებდა ტანვარჯიშის მარტივ ილეთებს, მეორე ამავე დროში ავარჯიშებდა ცნობიერებას (კომპიუტერული ამოცანები, კროსვორდების ამოხსნა და სხვ.)

ორივე ჯგუფისთვის გამოიყო სამი კატეგორიის პრემია:

1. მცირე - დადგენილი შედეგის შემთხვევაში პერსონალი იღებდა დღიური ანაზღაურების ტოლფას პრემიას;
2. საშუალო - პრემიის მოცულობა იზრდებოდა კვირეული წახალისების დონემდე;
3. დიდი - პრემიის მოცულობა იზრდებოდა ნახევარი წლის ანაზღაურების დონემდე.

კვლევის შედეგები შეიძლება ავსახოთ გრაფიკულად ( იხ. გარფიკი №1)

გარფიკი №1

შრომის შედეგებისა და პრემიის მოცულობა




*წყარო: [5, გვ. 137]*

გრაფიკში წარმოდგენილი ზედა ხაზი ახასიათებს იმ ადამიანების ჯგუფს, რომლებიც მარტივ ფიზიკურ ვარჯიშებს ეწეოდნენ, ქვედა კი ახასიათებს ინტელექტუალურ მუშაკებს. ექსპერიმენტით დადგინდა, რომ მარტივ ამოცანაზე (ფიზიკური ვარჯიშების შესრულებაზე) კონცენტრირებული მუშაკები ორიენტაციას იღებდნენ მცირე და დიდ ბონუსებზე, მაშინ, როდესაც „ინტელექტუალური მუშაკები“ ორიენტირებულნი იყვნენ მხოლოდ მცირე და საშუალო პრემირებაზე. ეს ექსპერიმენტატორებმა იმით ახსნეს, რომ „ინტელექტუალური მუშაკები“ ბევრს ფიქრობდნენ მანამ, სანამ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას კომპანიის გრძელვადიან ამოცანებთან დაკავშირებით. ისინი კონცენტრირებას ახდენდნენ სამუშაოს შესრულებაზე და ნაკლებად რისკიანები იყვნენ. ისინი, ვინც ეწეოდა ფიზიკურ აქტიურობას, შესასრულებელ სამუშაოს მარტივად უდგებოდა.

ამ ექსპერიმენტით დადგინდა პარადოქსი, რომ „ინტელექტუალური მუშაკებისათვის“ მატერიალური წახალისების ზრდა, ხშირ შემთხვევაში მათ დემოტივაციას იწვევს.

ამდენად, დამქირავებლის ძირითადი ამოცანაა ხელფასისა და პრემიის იმ ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა, რომელიც იწვევს მუშაკების მოტივაციის ზრდას. ის დამატებითი რეკომენდაციები, რომელიც განისაზღვრა ექსპერიმენტით, შემდეგია:

- დიდი ბონუსები უმჯობესია, გაიცეს თანმიმდევრულად და მცირე მოცულობით;
- პრემია უნდა გაიცეს ინდივიდუალური შრომის შედეგებით, კოლექტიური პასუხისმგებლობა სამუშაოს შესრულებაზე არა თუ ზრდის მოტივაციას, არამედ იწვევს კონფლიქტებს;
- მოტივაცია უნდა იყოს მუშაკებისთვის მარტივი და გასაგები.

მეცნიერულად დადგენილია, ცალკეულ შემთხვევაში ადამიანები იღებენ სამუშაოსგან დიდ მორალურ კმაყოფილებას. ღრმა და სასიამოვნო დაკმაყოფილება შრომის პროცესისგან ხშირ შემთხვევაში იწვევს მუშაკების დროის ბიუჯეტის არარეგლამენტირებულ გამოყენებას. ეს ფენომენი შეისწავლა ცნობილმა მეცნიერმა მიხაი ჩიკცენტმიხაიმ, რაც საფუძვლად დაედო „ნაკადის“ თეორიას. ის ასახავს ადამიანის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ადამიანს არ ესაჭიროება გარე მოტივების არსებობა სამუშაოს სტიმულირებისთვის.

იმის დასადგენად, შეუძლია თუ არა ადამიანს ამ შრომითი „ტრანსის“ მდგომარეობის მიღწევა, მეცნიერმა აშშ-ში ჩაატარა რიგი ექსპერიმენტი [7], სადაც მონაწილეობდა რამდენიმე ათასი ადამიანი. ექსპერიმენტის დროს ადამიანები თავიანთ სამუშაოში ჩართულობის დროს აფიქსირებდნენ. სამუშაოთი ღრმა ჩართულობის დრო ორჯერ უფრო მეტად ფიქსირდებოდა, ვიდრე შესვენების ეტაპი. ასეთი მუშაკებისთვის სამუშაოთი მორალური კმაყოფა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დასვენება. დადგინდა, რომ ადამიანი სამუშაოსგან მორალურ კმაყოფას იმ შემთხვევაში იღებს, თუ:

- მის წინაშე არის დასმული რთული ამოცანები, მაგრამ მას შუძლია მათი დაძლევა;
- ამოცანებს გააჩნიათ წარმატების მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმი;
- შესაძლებელია, გავაკონტროლოთ მიზნის მიღწევის კრიტერიუმი;
- მკაფიოდ გვესმის, სად მივაღწევთ დადებით შედეგებს და სად არა;
- არსებობს სასტარტო პირობები, რომლითაც ვაღწევთ ამოცანებზე კონცენტრირებას.

აქ მნიშვნელოვანია პირველი პირობის არსებობა: „დასმულია რთული ამოცანები, მაგრამ შეგვიძლია მათი დაძლევა“. თუ ჩვენ წინაშე დასმული ამოცანები ცოდნის მარაგს ჩამორჩება, მაშინ სამუშაო მოსაწყენი და რუტინულია. თუ შესასრულებელი სამუშაოს სირთულე ცოდნის მარაგს აღემატება, ადამიანს შფოთვის ფენომენი უჩნდება, ის შესაძლებელია, ჩავარდეს პანიკურ მდგომარეობაში.

„ნაკადის თეორიამ“ საფუძველი დაუდო სრულიად ახალ - მოტივაციის გეიმიფიკაციის მიმართულებას - „საქმიანი თამაშების“ მიდგომების გამოყენებას მოტივაციის დადგენის პროცესში.

კვლევის შედეგებით დადგინდა რეკომენდაციები:

1. იმ ამოცანების სირთულე, რომელიც უნდა გადაწყდეს შრომის პროცესში, უნდა შეესაბამებოდეს მუშაკის კვალიფიკაციას;
2. ხელმძღვანელის და ქვეშევრდომის ფუნქციები უნდა იყოს რეგლამენტირებული, დაუშვებელია მათი ხშირი ცვლა;
3. ადამიანი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას შრომით საქმიანობაში, დაუშვებელია აქ უმოტივაციო ჩარევა;
4. მუშაკი უნდა იღებდეს შესრულებულ სამუშაოზე ოპერატიულ და ადეკვატურ გამოხმაურებას;
5. დაქირავებულს უნდა გააჩნდეს დამქირავებლის კეთილგანწყობის მოლოდინი;
6. დამქირავებლის კეთილგანწყობა უნდა გამოიხატოს სტიმულირების სისტემაში.

**მოტივაციის ფაქტორი კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიაში"**

მოტივაციის კონკრეტული მექანიზმების გამოყენების თეორიული განზოგადოებები პრაქტიკულად აისახება კონკრეტულ კვლევებში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ის კვლევა, რომელიც ჩატარდა სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიაში", რომლის ძირითადი მიზანი იყო, დაგვედგინა მოტივაციის როლი სამუშაოს მიზიდულობის ზრდაში. კომპანიის იმ მუშაკების შედარება, რომლებიც საქმიანობენ გაყიდვების და აიტის დეპარტამენტებში, აისახა შემდეგ ცხრილში (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1**

კომპანიის მუშაკების მოტივაციის შედარება, გაყიდვების და აიტის დეპარტამენტებში

| მიზიდულობის კრიტერიუმი | გაყიდვების დეპარტამენტი | აიტი-ს დეპარტამენტი | კომენტარი |
|---|---|---|---|
| სირთულე, ცოდნა, განვითარების პერსპექტივა | 1 | 0 | აიტი დეპარტამენტში სამუშაო არის რუტინული, განვითარების პერსპექტივა დაკავშირებულია კარიერულ ზრდასთან. გაყიდვების დეპარტამენტში სპეციალისტი კრეატიულია, წყვეტს ახალ ამოცანებს, პროფესიული ზრდა და კარიერა დაჩქარებულად მიმდინარეობს. |
| ამოცანები წარმატების საწინდარია | 1 | 1 | არსებობს ტოლფასი პირობები |
| განსაზღვრულია პასუხისმგებლობის ზონა | 1 | 1 | |
| არსებობს ოპერატიული უკუკავშირი | 1 | 1 | |
| სამუშაოზე კონცენტრირების პირობები | 0 | 1 | გაყიდვების დეპარტამენტის მუშაკების მოტივაციისადმი ტრადიციული მიდგომა მათ სანარდო, პრემიალურ ანაზღაურებაში ასტიმულირებს. |
| ჯამი | 4 | 4 | |

კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ გაყიდვების დეპარტამენტში მოტივაცია და მოლოდინი უფრო მაღალია, ვიდრე აიტი დეპარტამენტში. ამასთან, აიტი დეპარტამენტში პროფესიული ზრდა პოზიტიურად მოქმედებს კარიერაზე.

**შინაგანი და გარეგანი მოტივების როლი მოტივაციაში**

უმნიშვნელოვანესია შინაგანი და გარეგანი მოტივაციის იმ დონის დადგენა, რომელიც იწვევს მუშაკის სტიმულირებას.

ჩრდილო კაროლინას (აშშ-ი) კერძო კვლევითი - დიუკის .უნივერსიტეტის თანამშრომლებმაა ჩაატარეს შემდეგი კვლევა [7, გვ. 123-164]: რესპონდენტთა ჯგუფს მიეცა ტექსტი, სადაც მათ უნდა დაეთვალათ ერთ გვერდზე ასოების რაოდენობა. შრომის შედეგი ფასდებოდა ორი ფორმით:

- შრომის შედეგების ყურადღებით გაცნობა და მორალური წახალისება.
- შრომის შედეგის არგაცნობა და მხოლოდ ფაქტის დაფიქსირება.

ექსპერიმენტის შინაარსში მეცნიერებს უნდა დაედგინათ, თუ შეფასების რომელი სისტემა ასტიმულირებდა შრომას. კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ შრომის შეფასებისას მოტივაცია ორჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე არშეფასების პროცესში, ანუ მუშაკებისათვის მნიშვნელოვანია შრომის მნიშვნელობის აღქმა, რაც ზრდის მის შინაგან მოტივაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის სტიმულირების პროცესში აუცილებელია, დავადგინოთ შინაგანი და გარეგანი მოტივების სისტემა და ვმართოთ ის.

**ლიტერატურა:**


1. მეგრელიშვილი ს., (2011), პერსონალის მოტივაციისა და სტიმულირების ფსიქოლოგიური ასპექტები, ჟურნ., „ეკონომიკა და ბიზნესი“, #4, 2011.
2. შენგელია თ., (2018), გლობალური ბიზნესი, თბ., გამომც. „უნივერსალი“.
3. Rosemary Thomson (2002). “Managing People”, Third edition 2002, ISBN 0 7506 5618 2, 71-95
4. Ricky W. Griffin., Gregory Moorhead (2011). Organizational Behavior, Cengage Learning, Jan 1, 2011 - 586 pages
5. Dan Ariely (2016). Margaret Heffernan, TED Books Box Set: The Business Mind: Beyond Measure, Payoff, and Why We Work.
6. Dan Ariely, Payoff (2016). The Hidden Logic That Shapes Our Motivations (TED Books).
7. Mihaly Csikszentmihalyi (2002), Flow: The Psychology of Happiness: The Classic Work on How to Achieve Happines


# Empirical research of the impact of staff motivation on business


**Khatuna Berishvili**

***Doctor of Economics***

***Associate Professor***

***of Ivane Javachishvili Tbilisi State University***



S u m m a r y

Empirical experience makes clear that incentives do not always lead to increased productivity of staff in the company. However, unplanned factors can have a significant impact on labor productivity growth. Given the above, the ratio of rational and irrational factors is equally essential in increasing labor productivity.

Psychologically, motivation and not just stimulus drives human action. Herein, stimulus is an internal characteristic of people, it may or may not become a subject of motivation. The transformation of a stimulus into a motivation is related to a person’s inner need, and it can be encouraged by rationally constructing a motivation.

Modern studies of motivation confirm that methodologies that exist today require perfection. It is necessary to approach this issue in a complex way, take into consideration that material incentives are only one of the factors that lead to an increase in labor productivity.



***Keywords:*** *Business, Motivation, Theoretical Approach, Practical Aspect, Empirical Research, Internal and External Motives.*

# საკუთრების უფლება, ინსტიტუციების ხარისხი და ფინანსური სექტორის განვითარება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

**ირაკლი გაბრიაძე**
***დოქტორანტ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი***

*პოსტკომუნისტური ქვეყნების ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებიდან თითქმის 30 წლის შემდეგ ეს ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეკონომიკური განვითარების დონით. სამეცნიერო წრეებში საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ეფექტური ფინანსური სისტემა არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი დეტერმინანტი და აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია ფინანსური სექტორის დეტერმინანტები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. კერძოდ, შესწავლილია ზოგადი ინსტიტუციური გარემოს ხარისხის და საკუთრების უფლების დაცვის მნიშვნელობა ქვეყნის ფინანსური სექტორის განვითარებისთვის.*

*იმისათვის, რომ მხედველობაში მივიღოთ ფინანსური სექტორის კომპლექსურობა და გავზომოთ მისი განვითარების ხარისხი, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული ფინანსური განვითარების ინდექსების მონაცემთა ბაზა. ბაზა შედგება 9 ინდიკატორისგან და მოიცავს ინფორმაციას 180, მათ შორის ყველა პოსტკომუნისტური ქვეყნის, შესახებ. ანალიზში გამოყენებულია ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ინდექსი და მისი სამი ქვეკატეგორია: ფინანსური ინსტიტუტების სიღრმე - სასესხო რესურსის მოცულობა, ხელმისაწვდომობა - ფინანსურ სერვისებზე წვდომის სიმარტივე და ეფექტიანობა - სექტორის უნარი, დაბალი დანახარჯებით დააკავშიროს დამზოგველები და საინვესტიციო პროექტები.*

*ქვეყნის ინსტიტუციების ხარისხის გაზომვისთვის გამოვიყენეთ მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების ბაზა. ბაზა მოიცავს ექვს ინდიკატორს მმართველობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ. ქვეყნის ზოგადი ინსტიტუციური ხარისხის გასაზომად დათვლილია ექვსივე ცვლადის საშუალო მაჩვენებელი. საკუთრების უფლების დაცვის ინსტიტუციების გასაზომად კი კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი. რეგრესიულ ანალიზში დამატებით გამოყენებულია ეკონომიკური ცვლადები, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე და ვაჭრობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, ასევე, ქვეყნის ფინანსური ლიბერალიზაციის ინდექსი.*

*მონაცემების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე ამ ქვეყნების ნაწილმა მოახერხა, ჩამოეყალიბებინა ფუნქციონირებადი ფინანსური სექტორები, ხოლო მეორე ნაწილმა ეს ვერ შეძლო. ასევე აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყნებში ფინანსური სექტორი ძირითადად დაფუძნებულია ფინანსურ ინსტიტუტებზე (ბანკები), ხოლო ფინანსური ბაზრების (საფონდო ბირჟა) მექანიზმი დაბალგანვითარებულია. პრობლემატურია ფინანსური სექტორის სიღრმის საკითხი, რომელიც ეფექტურობასა და ხელმისაწვდომობისაგან განსხვავებით საკმაოდ დაბალ დონეზეა. ასევე, სახეზეა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებში ფინანსური სექტორი ხასიათდება უფრო დაბალი განვითარების დონით ვიდრე დანარჩენ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.*

*ფინანსური სექტორის განვითარების დეტერმინანტების კვლევისას, ჯვარედინი მონაცემების რეგრესიული ანალიზის შედეგად ვაჩვენეთ, რომ გაქვს საკმაოდ ძლიერი კავშირი სექტორის განვითარებასა და ინსტიტუციების ხარისხს შორის. აქვე ვნახეთ, რომ საკუთრების დაცვის ინსტიტუციები მნიშვნელოვანია თითქმის ყველა შემთხვევაში, გარდა ფინანსური ინსტიტუტების სიღრმის განსაზღვრისა, სადაც გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარების ხარისხი. პანელურმა რეგრესიამ დაადასტურა ჯვარედინი რეგრესიის შედეგები. დამატებით პანელურმა რეგრესიამ გამოკვეთა ფინანსური ლიბერალიზაციის როლი ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტების განვითარებისთვის.*

*შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფინანსური სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინსტიტუციების ხარისხი. შესაბამისად, ეკონომიკური*

*განვითარების პროცესში ფინანსური სექტორის სრული პოტენციალის უტილიზაციისთვის მხოლოდ ამ სექტორის რეფორმირება არაა საკმარისი. საჭიროა უფრო კომპლექსური მიდგომა და სექტორის მხარდამჭერი ინსტიტუტების ტრანსფორმაცია.*

*საკვანძო სიტყვები: ფინანსური განვითარება, პოსტკომუნისტური სივრცე, ინსტიტუციები*

## შესავალი

პოსტკომუნისტური ქვეყნების ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებიდან თითქმის 30 წლის შემდეგ ეს ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეკონომიკური განვითარების დონით. აღნიშნული განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ტრანსფორმაციის სტარტზე ეს ქვეყნები თითქმის ერთნაირი განვითარების დონით ხასიათდებოდნენ. შედეგად, აქტუალურია კითხვები, რატომ შეძლო ქვეყნების ერთმა ნაწილმა და მიაღწია სწრაფ განვითარებას, მაშინ, როცა მეორე ნაწილმა ეს ვერ შეძლო და რისი სწავლა შეუძლიათ წარუმატებელ ქვეყნებს წარმატების მაგალითებიდან.

სამეცნიერო წრეებში საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ეფექტური ფინანსური სისტემა არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი დეტერმინანტი და აუცილებელი შემადგენელი ნაწილი (იხ. Levine et al., (2000) ან Loayza et al., (2017)). ძირითადი მიზეზი, რატომაც ფინანსური სისტემის გამართული მუშაობაა აუცილებელი, არის მისი უნარი, მოახდინოს ფონდების ალოკაცია დამზოგველებიდან საინვესტიციო პროექტებამდე. ამ პროცესში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს სექტორის ფუნქცია, განახორციელოს კრედიტის შეფასება და რისკის მართვა ანალიზის და მონიტორინგის სხვადასხვა მექანიზმით. უფრო კონკრეტულად, Schaeck and Cihák, (2012) გამოჰყოფს ხუთ ფუნქციას, რომლებსაც ფინანსური სექტორი ასრულებს მსესხებლების და გამსესხებლების დაკავშირების პროცესში. პირველი არის სექტორის უნარი, დაამუშაოს და შეინახოს ინფორმაცია სხვადასხვა საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებით და უზრუნველყოს ეს პროექტები კაპიტალური რესურსით. მეორე, საინვესტიციო პროექტების მონიტორინგი და რესურსების მიზნობრივად განკარგვის კონტროლი. მესამე, სექტორი ინვესტორებს საშუალებას აძლევს, იყიდონ და გაყიდონ აქციები და მოახდინო საკუთარი პორტფელიოს დივერსიფიკაცია, შესაბამისად, განახორციელონ ეფექტური რისკმენეჯმენტი. მეოთხე, ახდენს დანაზოგების მობილიზებას. მეხუთე, ამარტივებს საქონლისა და მომსახურების გაცვლის პროცესს სხვადასხვა ფინანსური სერვისის შეთავაზებით. შედეგად, კარგად ფუნქციონირებადი ფინანსური სექტორი სასესხო ბაზარზე ამცირებს ასიმეტრიულ ინფორმაციას და მორალურ რისკებს, და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კომპონენტს ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად.

პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობამ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უარი თქვა გეგმიურ ეკონომიკაზე და დაადგა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გზას. შედეგად საჭირო გახდა ფინანსური სექტორის რადიკალური გარდაქმნა, რადგან გეგმიური ეკონომიკის ფინანსური სისტემა ძირეულად განსხვავდება საბაზრო ეკონომიკისთვის საჭირო სისტემისგან. გეგმიურ ეკონომიკაში ფინანსური სისტემის ძირითადი ფუნქცია აღრიცხვა, ანგარიშგება და სახელმწიფო საწარმოებს შორის გადახდების წარმოება იყო. შედეგად მათ არ ჰქონდათ გამოცდილება საინვესტიციო პროექტების შეფასების და შემდეგ მათი მონიტორინგის, რამაც ტრანსფორმაციის პირველ ეტაპზე მრავალი პრობლემა შექმნა Bonin and Wachtel, (2003).

Bonin, Hasan, and Wachtel (2012) ამ ქვეყნების ფინანსური სექტორის ტრანსფორმაციის პროცესს სამ ნაწილად ჰყოფს. საწყისი ათი წლის განმავლობაში გამოუცდელობის შედეგად მრავალი ფინანსური ინსტიტუტი გაკოტრდა. შემდეგი დეკადა დაკავშირებულია სწრაფ განვითარებასთან, რაც უცხოური ბანკების დაინტერესებას და ბაზარზე უცხოური კაპიტალის გამოჩენას უკავშირდება. ბოლო პერიოდის გარდამავალი ეკონომიკების ფი-

ნანსური სექტორი კი ძალიან ჰგავს განვითარებული ქვეყნების საფინანსო სექტორს. თუმცა, როგორც Kakhkharov and Akimov (2018) აღნიშნავენ, გარდამავალ ეკონომიკებში კვლავ არის ჰეტეროგენულობა ფინანსური სექტორის განვითარების დონის მხრივ. ზოგი ქვეყანა ძალიან წინწასულია, ზოგი კი ჯერ კიდევ ბევრი პრობლემის წინაშეა, განსაკუთრებით ყოფილი წევრი ქვეყნები. შედეგად, ძირითადი კითხვა, რომელსაც მოცემული ნაშრომის ფარგლებში გამოვიკვლევთ, არის ის, თუ რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ფინანსური სექტორის განვითარების ხარისხზე.

როდესაც ფინანსური სექტორს განვიხილავთ, ფაქტია, რომ ეს სექტორი არ ფუნქციონირებს ვაკუუმში და ქვეყანაში არსებული ინსტიტუციები ამ სექტორზე დიდ გავლენას ახდენს. La Porta et al. (2000) აჩვენებს, რომ საკუთრების უფლების დაცვის ინსტიტუციების გაუმჯობესება დადებითად მოქმედებს ფინანსურ განვითარებაზე. უფრო ზოგადი დამოკიდებულება ფინანსურ განვითარებასა და ინსტიტუციებს შორის კი მოცემულია Beck and Levine (2008). სადაც, ასევე ნაჩვენებია, რომ რაც უფრო განვითარებულია ქვეყანაში არსებული ინსტიტუციები, მით მეტადაა განვითარებული ფინანსური სექტორიც. მსგავსი შედეგები ასევე მოცემულია La Porta et al. (1998) Levine (2002) და Pistor, Raiser, and Gelfer (2000) მიერ წარმოდგენილ კვლევებში, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია გამართული სამართლებრივი ინსტიტუციების პოზიტიურ როლზე.

შესაბამისად, ნათელია, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში ქვეყნები ორმაგი გამოწვევის წინაშე იდგნენ. ერთი მხრივ, მათ უნდა შეეცვალათ ფინანსური სისტემა და მიეღოთ ამ სისტემის ფუნქციონირებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. მეორე მხრივ, უნდა უზრუნველეყოთ შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩო, რათა ამ სისტემას ემუშავა გამართულად. როგორც აღმოჩნდა, ორივე ამ პირობის შესრულება საკმაოდ გაუჭირდათ ქვეყნებს და შედეგად მივიღეთ სუსტი ფინანსური სისტემა, რომელიც ვერ იყენებს სრულ პოტენციალს ეკონომიკური აქტივობის წახალისებისათვის.

მოცემულ ნაშრომში გამოვიკვლევთ ფინანსური ინსტიტუტების დეტერმინანტებს. ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება ინსტიტუციების ხარისხზე. გამოვიკვლევთ, როგორც ქვეყანაში არსებულ საერთო ინსტიტუციური გარემოს ხარისხის გავლენას ფინანსურ განვითარებაზე, ასევე შევაფასებთ საკუთრების უფლების დაცვის მნიშვნელობას. დამატებით, რეგრესიულ ანალიზში გამოყენებული იქნება ეკონომიკური განვითარების და ქვეყნის ლიბერალიზაციის მაჩვენებლები, რომლებიც ასევე გავლენას ახდენენ ფინანსური სექტორის განვითარებაზე.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია მონაცემები და წარმოდგენილია არსებული მდგომარეობის აღწერა. შემდეგ მოცემულია რეგრესიული მოდელი, როგორც ჯვარედინი, ისე პანელური მონაცემების გამოყენებით. ბოლო ნაწილში წარმოდგენილია დასკვნა.

## მონაცემები და არსებული მდგომარეობის აღწერა

ტიპური ემპირიული კვლევები ფინანსური სექტორის განვითარების საზომად იყენებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორებიცაა კერძო სექტორზე ბანკების მიერ გაცემული კრედიტის წილი ან საფონდო ბირჟის კაპიტალიზაციის წილი მშპ-სთან მიმართებით. ორივე ნახსენები ინდიკატორი ზომავს სექტორის სიღრმეს, ანუ სასესხო რესურსის მოცულობას, რომელიც შეიძლება, მიმართულ იქნას საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად. თუმცა ისინი მხედველობაში ვერ იღებენ ფინანსური სექტორის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა ხელმისაწვდომობა და ეფექტიანობა. ხელმისაწვდომობაში იგულისხმება, თუ რამდენად მარტივად შეუძლიათ კერძო პირებს და კომპანიებს, ჰქონდეთ წვდომა ფინანსურ სერვისებზე. ეფექტიანობა კი გულისხმობს სისტემის უნარს, დაბალი დანახარჯებით მოახდინოს ფონდების ალოკაცია და, ამავე დროს, იყოს მომგებიანი. შესაბამისად, მხოლოდ ერთი მხრიდან სექტორზე დაკვირვებამ შეიძლება მცდარი წარმოდგენა შეგვიქმნას მისი განვითარების დონის შესახებ. მაგალითად, პრაქტიკაში შეიძლება იყოს სიტუა-

ცია, როცა ქვეყანაში ხელმისაწვდომია ფინანსური რესურსი, ანუ სიღრმე მაღალია, თუმცა სისტემა არაა ხელმისაწვდომი და არაეფექტიანად მართავს რესურსებს. ასეთი ფინანსური სისტემა ვერ შეძლებს ეკონომიკური განვითარებისთვის ხელის შეწყობას.

იმისათვის, რომ მხედველობაში მივიღოთ ფინანსური სექტორის კომპლექსურობა და გავზომოთ მისი განვითარების ხარისხი, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული ფინანსური განვითარების ინდექსების მონაცემთა ბაზა. მონაცემთა ბაზა შედგება 9 ინდიკატორისგან და მოიცავს ინფორმაციას 180, მათ შორის ყველა პოსტკომუნისტური, ქვეყნის შესახებ. როგორც გრაფიკი 1-დან ჩანს, მთავარი მაჩვენებელია ფინანსური განვითარების ინდექსი (FD), რომელიც მიიღება ორი, ფინანსური ბაზრების (საფონდო ბირჟა) და ფინანსური ინსტიტუტების (ბანკები) განვითარების ინდექსების აგრეგირებით. თავის მხრივ, ფინანსური ინსტიტუტების (FI) და ბაზრების (FM) ინდექსები იყოფა სამ ნაწილად, რომლებიც ზომავენ მათ სიღრმეს, ეფექტიანობას და ხელმისაწვდომობას. თითოეული ეს ინდექსი არის ნორმალიზებული მაჩვენებელი და მერყეობს 0 დან 1-მდე, სადაც, ინდექსის ზრდა ნიშნავს მის გაუმჯობესებას.

გრაფიკი 1: ფინანსური განვითარების საზომი ინდექსების მონაცემთა ბაზა (IMF)




ფინანსური ინსტიტუტების სიღრმის, ხელმისაწვდომობის და ეფექტიანობის ინდექსები თავის მხრივ, დაფუძნებულია სხვადასხვა ტრადიციულ ცვლადზე.[1] კერძოდ, ფინანსური ინსტიტუტების სიღრმის ინდექსი თავის თავში აერთიანებს ოთხ მაჩვენებელს: კერძო სექტორის საბანკო კრედიტი მშპ-ს მიმართ, საპენსიო ფონდების მოცულობა მშპ-ს მიმართ, ორმხრივი ფონდების მოცულობა მშპ-ს მიმართ და აკუმულირებული სადაზღვევო პრემია მშპ-ს მიმართ. ფინანსურ ინსტიტუტებზე ხელმისაწვდომობა მხედველობაში იღებს ბანკების ფილიალების და ბანკომატების რაოდენობას 100,000 მცხოვრებზე. რაც შეეხება ეფექტიანობას, აქ გათვალისწინებულია საბანკო სექტორის წმინდა შემოსავლის ზღვარი (NetInterest Margin), დეპოზიტის და სესხის პროცენტის სხვაობა (Lending Deposit Spread), არასაპროცენტო შემოსავლის წილი მთლიან შემოსავალში, ზედნადები ხარჯების წილი მთლიან კაპიტალში, აქტივების და კაპიტალის შემოსავლიანობა (ROA, ROE). შედეგად, რეგრესიულ ანალიზში განხილული ინდექსების გამოყენება, ინდივიდუალური საზომისგან განსხვავებით, საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ ფინანსური განვითარების მრავალწახნაგოვანი შეფასება.

---

[1] პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ძირითადად დომინირებენ ფინანსური ინსტიტუტები (ბანკები). შესაბამისად, კვლევის განმავლობაში ძირითადი ყურადღება სწორედ ამ მიმართულების განხილვას დაეთმობა. აქედან გამომდინარე, ქვეთავში დეტალურად მხოლოდ ამ მიმართულების ინდექსებს განვიხილავთ.

ქვეყნის ინსტიტუციების ხარისხის გაზომვისთვის ვიყენებთ მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების ბაზას (Kaufmann et al. (2010)). ბაზა მოიცავს ექვს ინდიკატორს მმართველობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ, ესენია: მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესში ჩართულობა (Voiceand Accountability), პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა (Political Stabilityand Absenceof Violence/Terrorism), მთავრობის ეფექტურობა (Government Effectiveness), რეგულირების ხარისხი (Regulatory Quality), კანონის უზენაესობა (Rule of Law) და კორუფციის კონტროლი (Controlof Corruption). ამ მაჩვენებლებიდან ზოგადი ინსტიტუციური განვითარების გასაზომად გამოვიყენებთ მათ საშუალოს. საკუთრების ინსტიტუტების ხარისხის საზომად გამოვიყენებთ კორუფციის კონტროლის ინდექსს. თითოეული ინდექსი ნორმალიზებულია და მერყეობს -2.5-დან 2.5-მდე შუალედში, სადაც ინდექსის ზრდა ნიშნავს ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამ მაჩვენებლებთან ერთად რეგრესიულ ანალიზში ასევე გამოვიყენებთ ეკონომიკურ ცვლადებს, როგორებიცაა რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე და ვაჭრობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში. ყველა ეს მაჩვენებელი აღებულია მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზებიდან. ასევე გამოვიყენებთ ქვეყნის კაპიტალური ანგარიშების ლიბერალიზაციის ინდექსს (Chinn and Ito (2006)). საზომი დაფუძნებულია რამდენიმე ინდიკატორზე, როგორებიცაა გაცვლითი კურსის ცვალებადობა, მიმდინარე ანგარიშების ტრანზაქციებზე შეზღუდვები, კაპიტალური ანგარიშების ტრანზაქციებზე შეზღუდვები და ექსპორტის პროცედურები. შესაბამისად ინდექსი საკმაოდ კარგი საზომია კაპიტალის მოძრაობის შეზღუდვის. ინდექსი მერყეობს 0 დან 1 მდე, სადაც, 1 წარმოადგენს სრულად ღია ქვეყანას.

განხილული ცვლადების შესახებ ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შემაჯამებელი სტატისტიკა. როგორც ცხრილიდან ჩანს, საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში 10 ათასი დოლარია. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს სლოვენიას, ხოლო ყველაზე დაბალი ტაჯიკეთს. რაც შეეხება საშუალო ინსტიტუციების ხარისხს, ლიდერობს ესტონეთი, ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს თურქმენეთს. ანალოგიური მდგომარეობაა საკუთრების უფლების დაცვის მხრივაც. ორივე ამ მაჩვენებლის სტანდარტული გადახრა დაახლოებით თანაბარია. ჩვენი დაკვირვების ქვეყნებიდან ყველაზე კარგი ფინანსური ინსტიტუტებია ხორვატიაში, ხოლო ყველაზე ცუდი - თურქმენეთში. ტენდენცია უცვლელია ფინანსური ინსტიტუტების განვითარების სხვა საზომებისთვის. ამ საზომებიდან ყველაზე დიდი ვარიაციით ფინანსურ ინსტიტუტზე ხელმისაწვდომობა ხასიათდება, ხოლო ყველაზე მცირე ვარიაცია ფინანსური ინსტიტუტების სიღრმეს აქვს.

**ცხრილი 1: ნაშრომში გამოყენებული ცვლადების აღწერითი სტატისტიკა (2017)**

| ინდიკატორი | საშუალო | სტანდარტული გადახრა | მინიმუმი | მაქსიმუმი | დაკვირვება |
|---|---|---|---|---|---|
| *მშპ ერთ სულზე* | 10,294 | 7,163 | 1,025 | 25,722 | 25 |
| *ინსტიტუციები* | 0.0002 | 0.75 | -1.41 | 1.19 | 25 |
| *საკუთრების უფლება* | -0.21 | 0.76 | -1.48 | 1.24 | 25 |
| *ფინანსური ინსტიტუტები* | 0.47 | 0.14 | 0.22 | 0.69 | 25 |
| *ფინ. ინსტ. სიღრმე* | 0.18 | 0.1 | 0.05 | 0.36 | 25 |
| *ფინ. ინსტ. ხელმისაწვდომობა* | 0.5 | 0.23 | 0.12 | 0.93 | 25 |
| *ფინ. ინსტ. ეფექტურობა* | 0.68 | 0.12 | 0.38 | 0.83 | 25 |
| *ვაჭრობის წილი მშპ-ში* | 106.9 | 39.5 | 45.7 | 188 | 25 |
| *ლიბერალიზაცია* | 0.65 | 0.32 | 0.17 | 1 | 23 |

გრაფიკი 2 წარმოადგენს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ფინანსური ინსტიტუტებისა და ფინანსური ბაზრების განვითარების ტენდენციებს. როგორც ვხედავთ, საფინანსო ინსტიტუტების განვითარების დონე საგრძნობლად აღემატება ფინანსური ბაზრების განვითარების დონეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ფინანსური ინსტიტუტების განვითარებას ახა-

სიათებს აღმავალი ტენდენცია, ხოლო ფინანსური ბაზრები განიცდიან სტაგნაციას. ამ ტენდენციის ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ გლობალურ სამყაროში ფინანსური ბაზრების ხელმისაწვდომობის ხარისხი ძალიან მაღალია. შედეგად, განუვითარებელი ბაზრის პირობებში პატარა ქვეყნებში კომპანიები ამჯობინებენ, გამოიყენონ უკვე განვითარებული მსოფლიო ფინანსური ცენტრების მომსახურება აქციების შეთავაზებისა თუ ობლიგაციების გამოშვების მიზნით. ეს, თავის მხრივ, განუვითარებელი ბაზრისთვის განვითარების სტიმულს ამცირებს.

გრაფიკი 2: ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების განვითარება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში




გრაფიკი 3 წარმოგვიდგენს ფინანსური ინსტიტუციების განვითარების ტენდენციებს ინდივიდუალურად, ქვეყნების მიხედვით. ერთი მხრივ, გრაფიკზე ჩანს, რომ საკმაოდ დიდია ვარიაცია განვითარების დონეებს შორის. მეორე მხრივ, ვხედავთ, რომ ქვეყნების ერთ ჯგუფს აქვს პოზიტიური ტრენდი, მეორე ჯგუფი განიცდიდა სტაგნაციას მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო მესამე ჯგუფმა დადებითი დინამიკის შემდეგ განიცადა ფინანსური ინსტიტუტების გაუარესება. ყველაზე დიდი პროგრესი 1996 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში, ფინანსური ინსტიტუტების განვითარების მხრივ, ჰქონდა საქართველოს, მას მოსდევს რუსეთი, ხოლო შემდეგ ხორვატია.

სასესხო რესურსის ნაკლებობის ძირითად მიზეზად შეიძლება დასახელდეს უმეტეს ქვეყანაში გამართული დაგროვებითი საპენსიო სისტემის, ორმხრივი ფონდებისა და განვითარებული სადაზღვევო სისტემის არარსებობა, რაც იწვევს საინვესტიციოდ გამოსადეგი ფინანსური რესურსის ნაკლებობას და სიძვირეს.

როცა ამ ქვეყნების ჯგუფს ვაანალიზებთ, აუცილებლად გასათვალისწინებელია განსხვავებები საბჭოთა კავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის. არაწევრი ქვეყნები უფრო გვიან გადავიდნენ გეგმიურ ეკონომიკაზე. მათ უმეტესობას ასევე ამ ტრანზიციამდე ჰქონდა ჩამოყალიბებული მეტნაკლებად ფუნქციონირებადი ფინანსური სისტემა. დამატებით, ამ ქვეყნებმა შედარებით ადრე დაიწყეს გეგმიური ეკონომიკის რეფორმირება და შედეგად უფრო სწრაფად მოახდინეს ადაპტაცია.

ამ ყველაფრის შედეგი მოცემულია გრაფიკ 5-ზე, სადაც ვხედავთ ამ ორი ჯგუფის ქვეყნების ფინანსური ინსტიტუტების განვითარების საშუალო დონეებს შორის დიდ სხვაობას. გრაფიკზე ასევე ასახულია, რომ ეს სხვაობა წლების განმავლობაში სტაბილურია და ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს არ უახლოვდება.

**გრაფიკი 3: ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ხარისხი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (1996-2017)**




[

**გრაფიკი 4: ფინანსური ინსტიტუტების სიღრმე, ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში**




**გრაფიკი 5: ფინანსური ინსტიტუტების განვითარება ყოფილ წევრ და არაწევრ ქვეყნებში**



## რეგრესიული ანალიზი

**ცხრილი 2: ჯვარედინი მონაცემების რეგრესიის შედეგები**

| | (1) | (2) | (3) | (4) | (5) | (6) | (7) | (8) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დამოკიდებული | FI | FI | FID | FID | FIA | FIA | FIE | FIE |
| | | | | | | | | |
| ინსტიტუციები | 0.111** | | 0.0526** | | 0.134 | | 0.0864** | |
| | -0.0395 | | -0.0223 | | -0.0801 | | -0.039 | |
| საკუთრების უფლება | | 0.0921** | | 0.0337 | | 0.125* | | 0.0790** |
| | | -0.0362 | | -0.0212 | | -0.0701 | | -0.0342 |
| FI -1998 | 0.534** | 0.561** | | | | | | |
| | -0.209 | -0.214 | | | | | | |
| FID -1998 | | | 0.354** | 0.382** | | | | |
| | | | -0.168 | -0.179 | | | | |
| FIA - 1998 | | | | | 0.871*** | 0.919*** | | |
| | | | | | -0.265 | -0.259 | | |
| FIE - 1998 | | | | | | | 0.237* | 0.227* |
| | | | | | | | -0.119 | -0.117 |
| რეალური მშპ | -4.25E-06 | -2.71E-06 | 3.93E-06 | 5.39e-06** | -1.37E-05 | -1.32E-05 | 1.36E-06 | 2.41E-06 |
| | -4.91E-06 | -4.80E-06 | -2.52E-06 | -2.52E-06 | -8.72E-06 | -8.25E-06 | -4.59E-06 | -4.11E-06 |
| მუდმივი | 0.363*** | 0.359*** | 0.108*** | 0.0976*** | 0.429*** | 0.438*** | 0.549*** | 0.560*** |
| | -0.0549 | -0.0569 | -0.0255 | -0.0283 | -0.0973 | -0.0978 | -0.055 | -0.0563 |
| | | | | | | | | |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| R კვადრატი | 0.653 | 0.636 | 0.808 | 0.783 | 0.498 | 0.505 | 0.603 | 0.609 |
| ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა | | | | | | | | |
| *** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1 | | | | | | | | |

რეგრესიულ ანალიზს, პირველი ყოვლისა, დავიწყებთ ჯვარედინი მონაცემების განხილვით. გამოვიყენებთ შემდეგ რეგრესიის მოდელს:

$$\text{ფინ. ინსტ.}_i = \beta_0 + \beta_1 \text{ინსტიტუციები}_i + \beta_3 \text{ფინ. ინსტ.}_{i1998} + \beta_4 \text{მშპ}_i + \epsilon_i$$

სადაც, დამოკიდებული ცვლადია ფინანსური ინსტიტუტები, ძირითადი ამხსნელი ცვლადია ინსტიტუციების ზოგადი ხარისხი და საკუთრების დაცვის ინსტიტუციები. ასევე რეგრესიულ მოდელში გამოყენებულია ფინანსური ინსტიტუტების განვითარების საწყისი დონე.[1] მშპ კი აღნიშნავს რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს მოსახლეობის ერთ სულზე. ანალიზში გამოყენებულია 2017 წლის მონაცემები.

ცხრილ 2-ში მოცემულია ჯვარედინი მონაცემების რეგრესიის შედეგები. პირველ ორ სვეტში დამოკიდებული ცვლადია ფინანსური ინსტიტუტების ხარისხი. როგორც ვხედავთ, ინსტიტუციებიც და საკუთრების უფლების დაცვაც მასზე დადებით გავლენას ახდენს და კოეფიციენტები მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე. შემდეგ ორ სვეტში დამოკიდებული ცვლადია ფინანსური ინსტიტუტების სიღრმე. ამ შემთხვევაში ვხედავთ, რომ ინსტიტუციების კოეფიციენტი მნიშვნელოვანია, ხოლო საკუთრების დაცვის - არა, თუმცა ამ რეგრესიაში ვხედავთ, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ადამიანები სესხს ბანკიდან იღებენ მიუხედავად იმისა, როგორაა დაცული საკუთრების უფლება. ასევე ადამიანების ჩართვა საპენსიო სქემებში, როგორც წესი, სავალდებულოა და ის არაა დამოკიდებული საკუთრების დაცვის ინსტიტუციების ხარისხზე. ასევე ლოგიკურია, რომ რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, მით უფრო მეტი რესურსია ხელმისაწვ-

---

[1] 1998 წელი, რადგან ყველა ქვეყნის მაჩვენებლის გაზომვა დაწყებულია აღნიშნული წლიდან და არა 1996-დან.

დომი საინვესტიციო პროექტებისთვის. შებრუნებული სიტუაცია გვაქვს მეხუთე და მეექვსე სვეტებში, სადაც დამოკიდებულ ცვლადად მოცემულია ფინანსური ინსტიტუტების ხელმისაწვდომობა. მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ხელმისაწვდომობა ძირითადად გულისხმობს ფიზიკური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას ქვეყნის მასშტაბით. ფიზიკური ინფრასტრუქტურის შემთხვევაში საკუთრების უფლების შელახვა უფრო მარტივია, შესაბამისად ისეთ ქვეყნებში, სადაც ეს უფლება სათანადოდ არაა დაცული, ფინანსური ინსტიტუტები ამჯობინებენ, არ განავითარონ ეს ინფრასტრუქტურა.

ჯვარედინ რეგრესიაში დაკვირვებათა რიცხვი საკმაოდ მცირეა, შედეგად, არ გვაქვს საშუალება, გამოვიყენოთ ბევრი საკონტროლო ცვლადი თავისუფლების ხარისხის დაკარგვის გამო. ამ პრობლემის გადასაჭრელად და დროთა განმავლობაში დაგროვილი ცოდნის უტილიზაციისთვის გამოვიყენებთ პანელური რეგრესიის მოდელს. რეგრესია მოიცავს მონაცემებს 1996 წლიდან 2017 წლის ჩათვლით. მოდელი ასეთია:

$$\text{ფინ. ინსტ.}_{t,i} = \beta_0 + \beta_1 \text{ინსტიტუციები}_{t,i} + \beta_2 \text{ლიბერალიზაცია}_{t,i} + \boldsymbol{X}_{t,i} + \gamma_i + \epsilon_{t,i}$$

ჯვარედინი რეგრესიისგან განსხვავებით, მოდელში გამოყენებულია დამატებით მაკონტროლებელი ცვლადი, როგორიცაა ფინანსური სექტორის ლიბერალიზაცია. ასევე შეცდომის ნაწილი იყოფა ორად. პირველი ესაა ქვეყნისთვის დამახასიათებელი ფიქსირებული ეფექტები და მეორე ნაწილი იდიოსინკრეტული შეცდომა. ფიქსირებული ნაწილის პრობლემის მოსაგვარებლად გამოვიყენებთ პანელური რეგრესიის შეფასებას ფიქსირებული ეფექტებით. ასევე, ეკონომიკურ ცვლადად რეგრესიაში მშპ-სთან ერთად გამოვიყენებთ ვაჭრობის წილს მშპ-ს მიმართ.

ცხრილი3: პანელური რეგრესიის მოდელის შედეგები

| | (1) | (2) | (3) | (4) | (5) | (6) | (7) | (8) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დამოკიდებული | FI | FI | FID | FID | FIA | FIA | FIE | FIE |
| | | | | | | | | |
| ინსტიტუციები | 0.145*** | | 0.0255** | | 0.267*** | | 0.102*** | |
| | -0.0161 | | -0.0114 | | -0.0277 | | -0.0237 | |
| საკუთრების უფლება | | 0.0935*** | | 0.0123 | | 0.171*** | | 0.0720*** |
| | | -0.012 | | -0.00835 | | -0.0207 | | -0.0174 |
| ლიბერალიზაცია | 0.124*** | 0.129*** | 0.0483*** | 0.0491*** | 0.191*** | 0.201*** | 0.100*** | 0.104*** |
| | -0.0167 | -0.017 | -0.0118 | -0.0118 | -0.0287 | -0.0293 | -0.0246 | -0.0246 |
| რეალური მშპ | 2.31e-05*** | 2.50e-05*** | 1.10e-05*** | 1.15e-05*** | 3.10e-05*** | 3.46e-05*** | 2.25e-05*** | 2.37e-05*** |
| | -1.60E-06 | -1.58E-06 | -1.13E-06 | -1.10E-06 | -2.75E-06 | -2.72E-06 | -2.36E-06 | -2.29E-06 |
| ვაჭრობა | -0.000264* | -0.000332** | 0.000204* | 0.000192* | -0.000547** | -0.000672** | -0.000429* | -0.000477** |
| | -0.00016 | -0.00016 | -0.00011 | -0.00011 | -0.00027 | -0.00028 | -0.00023 | -0.00023 |
| მუდმივი | 0.167*** | 0.176*** | 0.0165 | 0.0159 | 0.103*** | 0.119*** | 0.405*** | 0.414*** |
| | -0.0145 | -0.0154 | -0.0102 | -0.0107 | -0.0249 | -0.0265 | -0.0214 | -0.0223 |
| | | | | | | | | |
| დაკვირვება | 504 | 504 | 504 | 504 | 504 | 504 | 504 | 504 |
| R-კვადრატი | 0.649 | 0.636 | 0.427 | 0.424 | 0.577 | 0.558 | 0.389 | 0.388 |
| ქვეყანა | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა | | | | | | | | |
| *** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1 | | | | | | | | |

ცხრილი 3 წარმოადგენს პანელური რეგრესიის შედეგებს. ინსტიტუციების ხარისხის გავლენას თუ შევხედავთ, შედეგები ჯვარედინი რეგრესიის მსგავსია. დამატებით პანელური რეგრესია გვთავაზობს ფინანსური ლიბერალიზაციის როლის შეფასებას ფინანსური ინსტიტუტების განვითარებისთვის. ყველა სპეციფიკაციაში ამ ცვლადის კოეფიციენტი დადებითია და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი 1%-იან დონეზე. არხები, რომლის საშუალებითაც ლიბერალიზაცია გავლენას ახდენს ფინანსური ინსტიტუტების განვითარებაზე, არის გაზრდილი კონკურენცია და ცოდნის გადაცემა. ორივე ამ ფაქტორს შეუძლია დადებითი როლის თამაში ფინანსური სისტემის გაჯანსაღების პროცესში.

## დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ ფინანსური სექტორის დეტერმინანტები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ვნახეთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, ამ ქვეყნების ნაწილმა მოახერხა, ჩამოეყალიბებინა ფუნქციონირებადი ფინანსური სექტორები და შედეგად მიაღწიეს სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას. ხოლო მეორე ნაწილმა ეს ვერ შეძლო. ამ ქვეყნებში ფინანსური სექტორი ძირითადად დაფუძნებულია ფინანსურ ინსტიტუტებზე და ფინანსური ბაზრების მექანიზმი დაბალგანვითარებულია. პრობლემატურია ფინანსური სექტორის სიღრმის საკითხი, რომელიც ეფექტურობასა და ხელმისაწვდომობისაგან განსხვავებით საკმაოდ დაბალ დონეზეა. ასევე, სახეზეა ის ფაქტი რომ საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებში ფინანსური სექტორი ხასიათდება უფრო დაბალი განვითარების დონით, ვიდრე დანარჩენ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.

ფინანსური სექტორის განვითარების დეტერმინანტების კვლევისას, ჯვარედინი მონაცემების რეგრესიული ანალიზის შედეგად ვაჩვენეთ, რომ გაქვს საკმაოდ ძლიერი კავშირი სექტორის განვითარებასა და ინსტიტუციების ხარისხს შორის. აქვე ვნახეთ, რომ საკუთრების დაცვის ინსტიტუციები მნიშვნელოვანია თითქმის ყველა შემთხვევაში, გარდა ფინანსური ინსტიტუტების სიღრმის განსაზღვრისა, სადაც გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარების ხარისხი. პანელურმა რეგრესიამ დაადასტურა ჯვარედინი რეგრესიის შედეგები. დამატებით, პანელურმა რეგრესიამ გამოკვეთა ფინანსური ლიბერალიზაციის როლი ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტების განვითარებისთვის.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფინანსური სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინსტიტუციების ხარისხი. შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების პროცესში ფინანსური სექტორის სრული პოტენციალის უტილიზაციისთვის მხოლოდ ამ სექტორის რეფორმირება არაა საკმარისი. საჭიროა უფრო კომპლექსური მიდგომა და სექტორის მხარდამჭერი ინსტიტუტების ტრანსფორმაცია.

**ლიტერატურა:**


1. Beck, T., Levine, R., 2008. Legal Institutions and Financial Development, in: Handbook of New Institutional Economics. https://doi.org/10.1007/978-3-540-69305-5_12
2. Bonin, J., Wachtel, P., 2003. Financial Sector Development in Transition Economies: Lessons from the First Decade. Financ. Mark. Institutions Instruments 12, 1–66. https://doi.org/10.1111/1468-0416.t01-1-00001
3. Bonin, J.P., Hasan, I., Wachtel, P., 2012. Banking in Transition Countries, in: The Oxford Handbook of Banking. https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199640935.013.0033
4. Chinn, M.D., Ito, H., 2006. What matters for financial development? Capital controls, institutions, and interactions. J. Dev. Econ. https://doi.org/10.1016/j.jdeveco.2005.05.010
5. Kakhkharov, J., Akimov, A., 2018. Financial Development in Less-Developed Post-Communist Economies. Probl. Econ. Transit. 60, 483–513. https://doi.org/10.1080/10611991.2018.1551031
6. Kaufmann, D., Kraay, A., Mastruzzi, M., 2010. The worldwide governance indicators : methodology and analytical issues. World Bank Policy Res. Work. Pap.
7. La Porta, R., Lopez-de-Silanes, F., Shleifer, A., Vishny, R., 2000. Investor protection and corporate governance. J. financ. econ. 58, 3–27. https://doi.org/10.1016/S0304-405X(00)00065-9
8. La Porta, R., Lopez-de-SIlanes, F., Shleifer, A., Vishny, R.W., 1998. Law and Finance. J. Polit. Econ. 106, 1113–1155. https://doi.org/10.1086/250042
9. Levine, R., 2002. Bank-Based or Market-Based Financial Systems: Which Is Better? J. Financ. Intermediation 11, 398–428. https://doi.org/10.1006/JFIN.2002.0341
10. Levine, R., Loayza, N., Beck, T., 2000. Financial intermediation and growth: Causality and causes. J. Monet. Econ. https://doi.org/10.1016/S0304-3932(00)00017-9
11. Loayza, N. V., Ouazad, A., Ranciere, R., 2017. Financial development, growth, and crisis: is there a trade-off ?
12. Pistor, K., Raiser, M., Gelfer, S., 2000. Law and finance in transition economies. Econ. Transit. https://doi.org/10.1111/1468-0351.00047
13. Schaeck, K., Cihák, M., 2012. Banking Competition and Capital Ratios. Eur. Financ. Manag. https://doi.org/10.1111/j.1468-036X.2010.00551.x

# Property Rights, Institutional Quality and Financial Development in Post-Soviet Union Countries

**Irakli Gabriadze**
***PhD Candidate***

S u m m a r y

*30 years after the dissolution of the Soviet Union and fall of the communist systems in eastern Europe, transition economies differ significantly in the level of economic development. There is wide consensus among economists that one of the most important determinants of this heterogeneity is differences in the development of financial sector. In the paper, we studied the determinants of the development of financial sector in transition economies. We will put into perspective the importance of the quality of institutional arrangement and protection of property rights and assess relative importance of this factors for different dimensions of financial sector.*

*To account for the complexity of financial sector and measure the development correctly the paper employees the financial development index database developed by International monetary fund. The dataset consists of nine different indicators and cover 180 countries, including all transition economies. We will use the index of financial institutions development and three of its sub measures, depth – measuring the availability of credit money, access – measuring the ease of access to financial services and efficiency – measuring the ability of the sector transform money from savers to investment projects with low cost. To measure the institutional quality of a country Word Bank's Worldwide Governance Indicators were used. There are six indicators measuring different aspect of governance. For general institutional development of a country, unweighted average of all the indicators was calculated. Wile to proxy the development of property rights institutions control of corruption measure was used. In addition, as a control variables GDP per capita and Share of trade in GDP is uses from the world bank database. Liberalization of financial markets also is included in the panel regressions.*

*Data analysis revealed that part of the countries in our sample managed to put in place functional financial sector, while other are still struggling. Also, the financial sector of these countries is largely based on financial institutions (banks) rather than financial markets (stock exchange). Another characteristic is the lack of the depth of the financial institutions compared to access and efficiency. In addition, there is huge gap between former member states and satellite countries in terms of the development of financial sector and this gap is nor decreasing over time.*

*Cross section regression analysis revealed strong positive relationship between general institutional quality and development of financial institutions. Protection of property rights is also important determinant in almost all cases except from the depth, where the effect of economic development prevails. Panel regression confirmed the results of cross section and underlined the role of financial liberalization for financial institutions.*

*Overall, development of financial institutions depends heavily of the institutional arrangement of a country. Therefore, to utilize full potential of the financial sector for economic development, it vital to support its development by right set of institutions.*

***Key Words:*** *Financial Development, Post-Communist area, Institutions*

# ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის ფუნქციონირების აღმწერი პრინციპები და მართლმადიდებლური სწავლება

**ინეზა გაგნიძე**
***ეად., თსუ-ის ასოცირებული პროფესორი***

*ნაშრომი ეხება გ. მენქიუს სახელმძღვანელოში „ეკონომიკის პრინციპები“ მოცემული ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის, მუშაობის აღმწერი პრინციპების გააზრებას მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით. ცნობილი ათი პრინციპიდან ბოლო სამ მათგანში ხაზგასმულია მწარმოებლურობის, ფასების, ინფლაციისა და უმუშევრობის, ასევე, სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი. ეს პრინციპები ნაშრომში პარალელური თხრობით ახსნილია ძველი და ახალი აღთქმიდან მოცემული ციტატებითა და იგავებით.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ეკონომიკის პრინციპები, მწარმოებლურობა, მართლმადიდებლური სწავლება.*

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, გრეგორი მენქიუს, ნაშრომი „ეკონომიკის პრინციპები“ მსოფლიოშია ცნობილი, თარგმნილია ოც ენაზე და გაყიდულია მილიონზე მეტი ტირაჟით. იგი ეკონომიკის საფუძვლების შესწავლის თანამედროვე სტანდარტია და ერთ-ერთი აუცილებელი სასწავლო ლიტერატურაა ეკონომისტი-სტუდენტებისთვის მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. ქართულ ენაზე ის ორჯერ გამოიცა.

„ეკონომიკის პრინციპების“ ავტორი გამოყოფს ეკონომიკაში მოქმედ **ათ ძირითად პრინციპს** და წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა მრავალწახნაგოვანია, მას რამდენიმე ცენტრალური იდეა აერთიანებს“ [1, გვ. 4] „თვით ყველაზე რთული ეკონომიკური ანალიზიც კი ამ ათ პრინციპზეა აგებული“ [1, გვ. 14]. **მათ შორის პირველი ოთხი მათგანი ეხება იმას, თუ როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს (#1-4), სამი მათაგნი ახასიათებს ადამიანების ურთიერთქმედებას (#5-7), ხოლო დანარჩენი სამი კი იმას, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკა, როგორც მთლიანი სისტემა (#8-10).** აღნიშნული პრინციპებიდან პირველი შვიდი მათგანისა და მართლმადიდებლური სწავლების თანაკვეთაზე ადრე გამოვაქვეყნეთ მოსაზრებები როგორც ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში [2; 3, გვ. 21-41], ისე უცხოეთში გამართული კონფერენციების მასალებში [4, გვ. 26-28]. ამჯერად, მესამე ჯგუფის, ანუ ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის მუშაობის აღმწერი პრინციპების (#8-10) მართლმადიდებლური ასპექტით განხილვას შევეცდებით.

ვიდრე საკითხის უშუალო განხილვაზე გადავალთ, გვსურს აღვნიშნოთ, რომ ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ავტორი წერს ეკონომიკის თეორიისა და მართლმადიდებლური (ქრისტიანული) სწავლების პარალელებზე [5-26].

გ. მენქიუ ეკონომიკის პრინციპებს შორის მერვეს ასე აყალიბებს: **„ქვეყნის ცხოვრების დონე დამოკიდებულია საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარზე“.**

ამ პრინციპის ახსნისას ავტორი წერს: „რით აიხსნება ცხოვრების დონეების განსხვავება როგორც სხვადასხვა ქვეყანაში, ისე დროის სხვადასხვა მონაკვეთში? პასუხი მეტად მარტივია. ***ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების მიზეზი უნდა ვეძიოთ ქვეყანათა მწარმოებლურობაში - ანუ დროის ერთეულში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაში...*** მწარმოებლურობისა და ცხოვრების დონის ურთიერთდამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო პოლიტიკისთვისაც, როდესაც ვფიქრობთ, როგორ იმოქმედებს ესა თუ ის პოლიტიკა ცხოვრების დონეზე, მთავარია გავიგოთ, თუ როგორ იმოქმედებს ეს პოლიტიკა ჩვენს უნარზე, ვაწარმოოთ საქონელი და მომსახურებაწ[1, გვ. 12].

განვიხილოთ, როგორ უწყობს ხელს მართლმადიდებლური სწავლება მწარმოებლურობის ამაღლებას, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ინდივიდების მხრიდან

შრომისმოყვარეობაზე, მატერიალური და ადამიანური რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, პასუხისმგებლობაზე, ღვთისმოყვარეობასა და ღვთისადმი მინდობაზე. ამ საკითხებს ეძღვნება ძველი და ახალი აღთქმის მრავალი მუხლი.

უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ, რას ამბობს წმიდა წერილი შრომისადმი დამოკიდებულებაზე - „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ“ (II თეს.3;10). ამგვარად, შრომა გარდაუვალი მოთხოვნაა, ვინაიდან საკვების მიღება ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელია. დასაქმებულთან დამოკიდებულებისას უფალი ამბობს, რომ „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა“ (მათე 10;10; ლუკა 10;7).

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დაქირავებული შრომის უბრალოდ ანაზღაურების გაცემაზე არ მოგვიწოდებს უფალი, არამედ დასაქმებულთა შრომის შედეგების მიხედვით სტიუმულირებაზეც, რაც აღნიშნულია მათეს სახარებაში ტალანტების შესახებ იგავში (მათე 25; 14-29). სახარების ამ ნაწილში მოთხრობილია იმ დამქირავებლის შესახებ, რომელიც დავალებას გასცემს დაქირავებულთა შესაძლებლობების მიხედვით, ანუ ძლიერს - რთული ამოცანა და სუსტს - მარტივი, შესაბამისია ტალანტების რაოდენობაც 5, 2 და 1. დავალების შესრულების შემდგომ ჯილდო შრომის შედეგების მიხედვით გაიცა და ყველაზე წარმატებულნი დამქირავებლის სიხარულის გამზიარებელთა რიგებშიც მოხვდნენ - „კეთილ მონაო და სახიერო და სარწმუნოო! მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“ (მათე 25; 23). აღნიშნულის შესახებ დაწვრილებით ადრე დავწერეთ [3, გვ. 36-38].

თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ირგვლივ ბევრია უქნარა, ფუქსავატი, ყბედი და შურიანი ადამიანი, რომლებსაც შეუძლიათ მოკლან ნებისმიერი საღი აზრი, ჩაახშონ სხვათა ენერგია და კეთილი მისწრაფებები. სწორედ ამის გამოა, რომ სახარება გვეუბნება - „განმრავლებითა უსჯულოებისათა განხმეს სიყუარული მრავალთა“ (მათე 24;12). აღნიშნულის გამო უფალი ასეთ ადამიანებთან ურთიერთობისას მიგვითითებს - „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ (მათე 7;6).

ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში გვხვდებიან საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების მქონე ინდივიდები. ასეთებს უფალი არიგებს: „ყოველსავე, რასაცა იქმოდით, გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა და ნუ ვითარცა კაცთასა“ (კოლ. 3; 24), ხოლო მათთვის, ვისაც კეთილი საქმის კეთება ეზარება, ამბობს: „რომელმან იცოდის კეთილისა საქმე და არა ქმნეს, ცოდვა არს მისა (იაკ. 4;17), ასევე, „რომელმან მოაქციოს ცოდვილი გზისაგან საცთურისა მისისა, იხსნეს სული თვისი სიკუდილისაგან და დაფაროს სიმრავლე ცოდვათაი“ (იაკ.5;20).

საზოგადოდ, ადამიანთა საქმიანობა მძიმე ტვირთია და უფალი მიგვითითებს, რომ: „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალ. 6;2). თუმცა, აქვე აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ტვირთის ტარება ყველას თავისი მოეთხოვება და არა სხვისთვის გადაბარება, „რამეთუ კაცად-კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“ (გალ. 6;5).

ვინაიდან გ. მენქიუს ეკონომიკის პრინციპებიდან ბოლო ორი მათგანი #9-10 შინაარსობრივად ერთმანეთის მსგავსია და მთავრობის საქმიანობის შედეგებს აანალიზებს, მათ მართლმადიდებლური ასპექტით ერთად განვიხილავთ.

**პრინციპი #9 ფასები იზრდება, როდესაც მთავრობა ძალიან ბევრ ფულს ბეჭდავს;**

„რა იწვევს ინფლაციას? დიდი და ხანგრძლივი ინფლაციის თითქმის ყველა შემთხვევაში დამნაშავეა ფულის რაოდენობის ზრდა, როდესაც მთავრობა ეროვნული ვალუტის დიდ რაოდენობას უშვებს, ფულის ღირებულება მცირდება“.

**პრინციპი #10. მოკლევადიან პერიოდში საზოგადოება დგას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის წინაშე.**

ამ პრინციპის სათაურში აღნიშნული „ეს მოკლევადიანი არჩევანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანი აქტივობის ციკლის - ეკონომიკური აქტივობის არარეგულარული და მოულოდნელი ცვლილებების - ანალიზის საქმეში, რომელიც გაიზომება საქონლისა და მომსახურების წარმოების ან დასაქმებულთა რაოდენობით... პოლიტიკოსებს შეუძლიათ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებულ ამ ალტერნატივას სხვადასხვა პოლიტიკური იარაღებით გაუმკლავდნენ...ის, *თუ როგორ გამოიყენონ პოლიტიკოსებმა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ეს პოტენციური უძლიერესი ინსტრუმენტები ეკონომიკის კონტროლისთვის, ან საერთოდ გამოიყენონ თუ არა ისინი, დაუსრულებელი დებატების საგანია*“ [1, გვ. 13].

ამ პინციპის ასეთი ნორმატიული მიდგომით ახსნისას გვახსენდება ამავე ავტორის მიერ აღნიშნული „ჩვენი პოზიტიური შეხედულებები სამყაროს მოწყობის შესახებ ჩვენსავე ნორმატიულ შეხედულებებზე მოქმედებს. ნორმატიული დებულებების შესაფასებლად არა მხოლოდ ფაქტებია საჭირო, *არამედ გარკვეული ფასეულობითი ორიენტირებიც*"[1, გვ. 29].

მათთვის, ვინც სახელმწიფოს მართავს, უფალი ამბობს: „სამართალი და წყალობა და სარწმუნოება; ესე ჯერ იყო საქმედ და იგი არა დატევებად“ (მათე 23;23), „მისცემდით უკუე ყოველთა თანანადებსა: სახარკოსა – ხარკი, საზუერესა – ზუერი, საშინელსა – შიში, პატივსა – პატივი“ (რომ. 13;7). „ნუ სჯით თუალთ-ღებით, არამედ სამართალი სასჯელი საჯეთ“ (იოანე 7;24)). ასევე, უფალი მიგვითითებს, რომ სამართლიანად უნდა მოვექცეთ ყველას, მათ შორის იმათაც, ვინც ჩვენ გვექვემდებარება, რადგან: „უფალი ეგე სამართალსა და სწორსა მისცემდით მონათა მათ; უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალივე გივის ცათა შინა“ (კოლ. 4;1).

უფალი მათ, ვისაც ხელმძღვანელობა სურს, ურჩევს ემსახურონ ხალხს და ამისთვის პირად მაგალითს აძლევს: „ხოლო იესუ მოუწოდა და ჰრქუა მათ: უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი ჰგონებედ მთავრად წარმართთა, უფლებედ მათ ზედა, და დიდ-დიდნი მათნი ხელმწიფებედ მათ ზედა? ხოლო არა ეგრე იყოს თქუენ შორის, არამედ რომელსა უნდეს დიდ ყოფაი თქუენ შორის, იყოს თქუენდა მსახურ;და რომელსა უნდეს თქუენ შორის პირველ ყოფაი, იყოს ყოველთა მონა. რამეთუ ძე კაცისაი არა მოვიდა ვითარმცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სულითვისი სახსრად მრავალთა“ (მარკოზი, 10; 42-45). ასევე, „ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა“ (ლუკა 16;15) „ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი ამაღლდეს“ (მათე 10;10. ლუკა 10;7).

როგორც ამ ბოლო პრინციპის ახსნისას წერს გ. მენქიუ - მთავრობას შეუძლია ეკონომიკურ გამოწვევებს სხვადასხვა პოლიტიკური იარაღით გაუმკლავდეს. ამ მრავალფეროვან არჩევანში მავანმა შესაძლებელია, მართვის მეთოდები პირადი გამორჩენის მიზნით გამოიყენოს და ასეთი პიროვნებები გარკვეულწილად არიან ქურდობის ან ქრთამის აღების საცდურის წინაშე. ამ შემთხვევებისთვის უნდა გავიხსენოთ იოანე ნათლისმცემლის პასუხები მებაჟეთა და სამხედროთა შეკითხვებზე: იგი არიგებს მათ, რომ „მათთვის დაწესებულზე მეტს ნუ აიღებენ“. აქვე უნდა გავიხსენოთ ასევე უფლის მე-8 მცნება - „არ იპარო“.

მათ, ვინც შეცდომა დაუშვა, უფალი გამოსავალს უჩვენებს, როცა ამბობს: „განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ“ (კოლ. 3; 9). ასევე, „განიშორეთ თქუენგან პირველისა მისებრ სვლისა თქუენისაძველი იგი კაცი, განხრწნილი გულისთქუმისა მისებრ საცთურისა, და განახლდებოდეთ თქუენ სულითა მით გონებისა თქუენისაითა და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი, ღმრთისა მიერ დაბადებული სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისაითა. ამისთვის განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცად კაცადი მოყუსისა თვისისა თანა, რამეთუ ვართ ურთიერთას ასოებ... ნუ სცემთ ადგილ ეშმაკსა.

მპარავი იგი ნუღარა იპარავნ, არამედ უფროისღა შურებოდენ და იქმოდენ კეთილსა თჳსითა ხელითა, რაითა აქუნდეს მიცემად, ვის იგი უხმდეს“ (ეფეს. 4; 22-28).

აქ ვგულისხმობთ სარწმუნოებას არა ფარისევლურად, არა გარეგნულად და მხოლოდ სხვათათვის შესამჩნევად, არამედ საქმით, რადგან „სარწმუნოება, უკუეთუ არა აქუნდენ საქმენი, მკუდარ არს იგი ხოლო. რამეთუ ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაი თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკ. 2;17; 26).

საუფლო წესების დაცვისას უფალი წყალობას აღუთქვავს მორწმუნეებს და ძველ აღთქმაში გვეუბნება: „თუ ივლით ჩემს წესზე და დაიცავთ ჩემს მცნებებს და შეასრულებთ მათ, თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანთ ნაყოფს. ლეწვა თესვაზე ადრე დაგიდგებათ, რთველი თესვაზე ადრე, ძღომაზე შეჭამთ თქვენს პურს, თქვენს ქვეყანაში მშვიდად იცხოვრებთ.

მშვიდობას ჩამოვაგდებ ქვეყანაზე და მოსვენებული იქნებით. აღარ იქნება დამაფრთხობელი, მიწისგან აღვგვი სასტიკ მხეცებს და მახვილი არ გაივლის თქვენს ქვეყანაზე. გარეკავთ თქვენს მტრებს და მახვილით დაეცემიან თქვენს წინაშე.

ასს გარეკავს ხუთი თქვენგანი და ასი თქვენგანი ათიათასს გარეკავს. მახვილით დაეცემიან თქვენი მტრები თქვენს წინაშე. მოგხედავთ და ნაყოფიერს გაგხდით, გაგამრავლებთ და შევასრულებ თქვენთვის მოცემულ აღთქმას.“ (ლევ. 26; 3-9).

გავიხსენოთ, რომ დიდგორში, შამქორსა თუ ბასიანში ქართველები ყოველთვის უმცირესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ მტერზე წარმატებული სტრატეგიით იმარჯვებდნენ. წმ მეფე დავით აღმაშენებელს სამოციქულოს წიგნი ერთი წლის განმავლობაში 24-ჯერ ჰქონდა წაკითხული, რასაც ამდენივე დასმული ჯვარი ადასტურებდა [27], რაც იმას ნიშნავდა რომ „გალობანი სინანულისანის“ ავტორი, დიდი მეფე, წმიდა წერილს განუწყვეტლივ კითხულობდა (ისიც ცნობილია ისტორიიდან, რომ წმ წერილის კითხვაში გართულ მეფეს მტერი დაესხა თავს, თუმცა მათ მას ვერაფერი ავნეს). გელათის აკადემია დიდმა მეფემ სულიერების და გონიერების ჰარმონიული სიმბიოზის მიზნით დააარსა.

წმ თამარ მეფე საკვებისთვის საჭირო თანხას საკუთარი ხელსაქმით გამოიმუშავებდა, სამეფოში ქურდობა აღარ იყო და ამ პერიოდში ქართველები 12 მილიონს შეადგენდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ოქროს ხანას საქართველოში წმ მამა გრიგოლ ხანძთელის სულიერი ღვაწლის თითქმის საუკუნოვანი ეპოქა უძღოდა წინ. რადგან უფალი გვარიგებს „სარწმუნოებისა თქუენისაებრ გეყავნ თქუენ!“ (მათე 9;29) და „უკუეთუ ძალ-გიც რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა“ (მარკ. 9;23) „და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ" (მათე 21;22)

ეს ყველაფერი უფლის აღთქმისამებრ მაშინ ხდებოდა, როდესაც ქართველები „ეძიებდნენ ქრისტესთვის სიკვდილს“, რაც წმ მეფე ვახტანგ გორგასლის ანდერძშია აღნიშნული. საქართველოს ისტორიის ეს მცირე ეპიზოდები ნათლად აჩვენებს, რომ ქვეყნის მართვაში სარწმუნოებრივი ღირებულებების მატარებელი ლიდერები ნორმატიულ საკითხებსაც (რაც გადამწყვეტია ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის, გამართულად ფუნქციონირებისათვის) ამ საფუძველზე წყვეტდნენ.

ამრიგად, ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის, შესახებ გ. მენქიუს პრინციპების მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით განხილვამ ნათლად გვიჩვენა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი მიზეზი მართლმადიდებლური მცნებებით ცხოვრებაში უნდა ვეძებოთ.

ორი გამორჩეულად წარმატებული ქვეყანა იაპონია და ისრაელი არის სარწმუნოებისა და ტრადიციების დამცველი და შემნახველი და, იმავდროულად, წარმატებული ეკონომიკის მქონე, რაც იმას ადასტურებს, რომ სარწმუნოებით ცხოვრება ეკონომიკის წარმატებას ხელს სრულიადაც არ უშლის.

**ლიტერატურა:**

1. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები. გამომც. „დიოგენე“, თბ., 2008, 835 გვ.
2. Gagnidze. I. (2019) Principles of economics related to human interaction from the perspective of orthodox teaching. The 4th International Scientific Conference Challenges of Globalization in Economics and Business. Proceedings. TSU. Tb. Georgia. pp. 36-39. https://dspace.tsu.ge/handle/123456789/488?locale-attribute=en
3. Gagnidze, I. (2013) Orthodoxy and Economy. Publishing House "Universali". Tb. Georgia. (in Georgian) http://eprints.tsu.ge/580/
4. Гагнидзе И. (2020) Некоторые принципы экономики по Грегори Мэнкью и православное учение, Сборник статей участников IV Международной научно-практической конференции «Социуми-христианство» 24–26 января 2020 г., Минск ст. 26-28, http://era-oikonomos.org/wp-content/uploads/2020/02/Sbornik.Sotsium-i-hristianstvo.2020.pdf
5. ბაბუნაშვილი, ე. „კაცობრიობის კეთილდღეობის აქსიომა კაცობრიობის ხსნაში“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 23-30 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
6. გოგორიშვილი, ი.„ მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის იდეა“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 35-40 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
7. გოგორიშვილი, ი. „მდგრადი მოხმარება როგორც ქრისტიანული ფასეულობა და მისი დამკვიდრების აუცილებლობა საქართველოში“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ. 36-39 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
8. გრძელიშვილი, ნ. „პილიგრიმული ტურიზმი - "წმინდა ანდრიას გზა"- სულიერი, სოციალური, ეკონომიკური ასპექტები“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016გვ. 59-64 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
9. გრძელიშვილი, ნ. „რელიგიური ტურიზმი, როგორც მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის ფაქტორი“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 41-48 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
10. დეკანოზი ნიკოლოზი (ნიკოლაიშვილი), ბაბუნაშვილი, ე. „ვინ, რატომ და რისთვის“ თანაფარდობა „რა, როგორ და ვისთვის“-თან“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ.17-24 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
11. მიქელაშვილი მ. „სამეურნეო საქმიანობის პრინციპები ძველი აღთქმის მიხედვით“, VII სამეცნიეროკონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 69-75 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
12. მიქელაშვილი მ. „ბიბლია და გადასახადები, როგორც მორალური კატეგორია“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ. 74-81 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
13. მღებრიშვილი ბ. „ქრისტიანობა და ფიტოთერაპიის განვითარება საქართველოში“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 გვ. 102-105 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
14. მღებრიშვილი, ბ. „ვაზი, საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანული კულტურა“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 76-79 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
15. სურმანიძე ზ. „ინტერნეტეკონომიკა და ქრისტიანობა“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 გვ. 148-151

https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
16. პაპაჩაშვილი ნ. „შრომისადმი ქრისტიანთა დამოკიდებულების ასპექტები", VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 86-89.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
17. შავიანიძე დ. „რელიგიურობა - ქართველი მეურნის მენტალობის მთავარი ნიშანი (დასავლეთ საქართველოს ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)" IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 გვ. 152-156
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
18. შიხაშვილი გ. „თეოლოგიური ეკონომიკის არსი, მიზანი და ამოცანები", VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 107-112
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
19. შიხაშვილი გ. სვანიძე ი.„ბიბლიური მოძღვრება, როგორც მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ეროვნული კონცეფციის საფუძველი", VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ. 129-134
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
20. ჩიხლაძე ნ., კოღუაშვილი პ., „აგროპროდუქცია, როგორც ძღვენი, საზრდელი და გადასახადი წმინდა წერილში" VII სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა" მოხსენებათა კრებული, თბილისი-გორი, 2013, გვ.
58-64
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
21. ჩიხლაძე ნ., კოღუაშვილი პ., „რესურსების შეზღუდულობა - თეოლოგიურ–ეკონომიკური გააზრებისათვის", IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა" მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016, გვ. 70-75.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
22. ცეცხლაძე მ. „თავისუფლების მართლმადიდებლური გაგება და ეკონომიკა"VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ. 157-163
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
23. ცეცხლაძე მ. „ქრისტიანული თავისუფლება და ბაზრის უხილავი ხელი" IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 გვ. 176-181
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
24. ჭანიძე ქ. „მევახშეობა - უძველესი დროიდან დღემდე, მისი ტრანსფორმაცია და გავლენა საზოგადოებაზე", IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 გვ. 183-187
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
25. ჭილაძე ი. „რწმენის გავლენა აღრიცხვის ობიექტურობის ხარისხზე" VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013, გვ. 149-153.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
26. ჭილაძე ი. „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ქრისტიანობა",VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ. 169-175
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/statiebi/wmina_mefr_daviT_aRmaSenebeli.htm

# The Principles Describing how the Economy as a Whole System Works and Orthodox Teaching

**Ineza Gagnidze**

S u m m a r y

The paper deals with the analysis of the principles that describe how the economy as a whole works provided in the Principles of Economics by G. Mankiw in terms of orthodox teaching. The last three of the ten well known principles highlight the issues like productivity, prices, inflation and unemployment, as well as some issues concerning economic policy of the government. The paper suggests the explanation of these issues by providing the quotations and parables from the Old and New Testaments.

***Keywords:*** *Principles of Economics, productivity, Orthodox Teaching.*

# დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით

**სიმონ გელაშვილი**
*ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი*
*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**გოგიტა თოდრაძე**
*ეკონომიკის დოქტორი,*
*საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის*
*აღმასრულებელი დირექტორი*

*სტატიაში განხილულია მსოფლიოსა და საქართველოში დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების დისბალანსი გენდერულ ჭრილში, ნაჩვენებია ანაზღაურებადი შრომის უთანაბრობა და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები, გამოვლენილია დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე 64 ქვეყნის ყოველი ჯგუფიდან მინიმალური და მაქსიმალური შრომის ანაზღაურების ქვეყნები.*

*განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომის ანაზღაურების სტატისტიკურ ანალიზს ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით გენდერულ ჭრილში. სათანადო მაჩვენებლების (შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის) გაანგარიშების შედეგად დადგენილი მაღალი დისპროპორცია შრომის ანაზღაურებაში ეკონომიკური საქმიანობის ცალკეული სახეების მიხედვით. გამოვლენილია ის სექტორები, რომლებშიც შრომის ანაზღაურების მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში მაქსიმალური და მინიმალურია, ასევე მათ შორის არსებული ვარიაციის დიაპაზონი.*

*სტატიის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია ანალიზის შედეგად ფორმირებული კონკრეტული დასკვნები და რეკომენდაციები.*

*საკვანძო სიტყვები:* *გენდერი, დასაქმების დონე, შრომის ანაზღაურება, გენდერული დისბალანსი, ეკონომიკური საქმიანობა.*

## შესავალი

**შრომის ბაზრის პროცესების კვლევა აქტუალურია ყველა ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც. ამ თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას იძენს შრომის ანაზღაურების უთანაბრობის სტატისტიკური ანალიზი გენდერულ ჭრილში. აღნიშნული საკითხი ყურადღების ცენტრშია თვით გაეროს არაერთ დოკუმენტში, მათ შორის მდგრადი განვითარების პროგრამაში, რომლის მე-8 მიზნის თანახმად, თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის ადამიანებმა უნდა მიიღონ თანაბარი ანაზღაურება. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლში ასევე დაფიქსირებულია, რომ სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის მიხედვით, „სამართლიანი ხელფასი და ტოლფასი შრომისათვის თანასწორი ანაზღაურება, რაიმე ნიშნით განსხვავების გარეშე, ქალებისათვის ქმნის შრომის ისეთი პირობების გარანტიას, რომელიც მამაკაცის შრომის პირობებზე უარესი არ იქნება და თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანასწორი ანაზღაურების შესაძლებლობას იძლევა [5, მუხლი 7].**

**2018 წელს მსოფლიოს 64 ქვეყნის მიხედვით ჩატარებული ხელფასების გამოკვლევით დადასტურდა, რომ ყველაზე მაღალშემოსავლიანი ქვეყნებიდან უთანასწორობა მინიმალურია შვედეთში, ხოლო მაქსიმალურია ჩილეში; რაც შეეხება დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებს შორის უთანასწორობას, მაქსიმალურია სამხრეთ აფრიკასა და ნამიბიაში, ხოლო მინიმალური - სომხეთსა და მონღოლეთში [11].**

მაღალშემოსავლიან ქვეყნებშიც კი ბევრი ქალი, რომლებიც გადაწყვეტენ მუშაობის დაწყებას, ხშირად ამჯობინებს ნახევარ განაკვეთიან სამსახურს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ხშირია არაფორმალური დასაქმება, რაც ასევე საქართველოშიც საკმაოდ მაღალია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, არაფორმალური დასაქმება ქალებისათვის 29.2%-ს, ხოლო მამაკაცებისათვის 39.3%-ს შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანია კვირის განმავლობაში ნამუშევარი საათების რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ კაცები, ქალებთან შედარებით, კვირაში საშუალოდ 1.2-ჯერ მეტ დროს უთმობენ სამსახურს. ეს კი მათი ანაზღაურების დისბალანსს განაპირობებს. შრომის ბაზარზე უთანასწორობის მთავარი გამომწვევი მიზეზი აუნაზღაურებელი სამუშაოა, რომელსაც ძირითადად ქალები ასრულებენ. 2018 წლის მონაცემებით, აშშ-ში ქალები ყოველდღიურად 1.55-ჯერ მეტ აუნაზღაურებელ შრომას ასრულებენ, კაცებთან შედარებით. აუნაზღაურებელი შრომით ძირითადად დაკავებულნი არიან დაოჯახებული ზრდასრული პირები, რომლებიც ასრულებენ საოჯახო საქმეებს, მცირეწლოვანი ბავშვების, ოჯახის წევრების, ავადმყოფების მოვლას. მსოფლიოს 25 ქვეყნის მონაცემების მიხედვით, აუნაზღაურებელი სამუშაოთი ქალები დღეში საშუალოდ 266 წუთი, ხოლო მამაკაცები 128 წუთით არიან დაკავებულნი, რაც იმას ნიშნავს, რომ აუნაზღაურებელი სამუშაოს 67.5%-ს ქალები ასრულებენ [10].

შრომის ანაზღაურებაში უთანასწორობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დაკავებული თანამდებობრივი პოზიციები და ნამუშევარი საათებია. ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია ხშირად არ იძლევა იმის საშუალებას, რომ კომპლექსურად გაანალიზდეს გენდერული სახელფასო სხვაობა, რადგან ანგარიშვალდებული სუბიექტები, უმეტეს შემთხვევაში, ნაკლებად იძლევიან ინფორმაციას დასაქმებულთა განათლებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. ამიტომ მწირი ინფორმაციით კომპანიებში შეუძლებელია დადგინდეს შიგაჯგუფური ვარიაციის ხარისხი [3].

## ძირითადი შინაარსი

მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის სტატისტიკური კვლევა შეუძლებელია შრომის ანაზღაურების მაჩვენებლების ანალიზის გარეშე. რა თქმა უნდა, სანამ ამ მაჩვენებლებს გავიანგარიშებთ და შევაფასებთ კონკრეტული საქმიანობის სახეების მიხედვით, მანამდე მიზანშეწონილია მთლიანად ქვეყნის მიხედვით არსებული მდგომარეობის ანალიზი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ნომინალური საშუალო ხელფასის სიდიდე გაანგარიშდება სხვადასხვა ჭრილში, მათ შორისაა ხელფასი სქესის მიხედვით, რაც წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 1. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გენდერულ ჭრილში [9]

| საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წლების მიხედვით, გენდერულ ჭრილში (ლარი) | | |
|---|---|---|
| წლები | ქალი | კაცი |
| 2010 | 426.6 | 742.8 |
| 2011 | 460.2 | 771.1 |
| 2012 | 517.9 | 859.6 |
| 2013 | 585.0 | 920.3 |
| 2014 | 617.9 | 980.0 |
| 2015 | 692.5 | 1 074.3 |
| 2016 | 731.2 | 1 116.6 |
| 2017 | 770.2 | 1 197.4 |
| 2018 | 822.6 | 1 280.7 |
| 2019 * | 934.0 | 1 448.4 |

** წინასწარი მონაცემები.*

როგორც ცხრილიდან ჩანს, გენდერული უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში ძალიან დიდია. საქართველოში 2010-2019 წლებში ხელფასები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა განსხვავებული ტემპებით: თუ მამაკაცების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 195%-ით გაიზარდა, ქალების ხელფასის ზრდამ შეადგინა 219%, ანუ საანალიზო პერიოდში ქალების ხელფასი უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდა, ვიდრე მამაკაცების. მაგრამ თუ გავაანალიზებთ აბსოლუტურ სიდიდეებს, აღმოჩნდება, რომ 2019 წელს მამაკაცთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 514.4 ლარით, ანუ 55.1%-ით აღემატება ქალთა ხელფასს. ამ განსხვავების მრავალი მიზეზი არსებობს, როგორებიცაა: სოციალური, რელიგიური, კულტურული და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია ცხოვრების სტილისადმი განსხვავებული მიდგომა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ქალები ცხოვრების ხარისხსა და სამუშაოდან მიღებულ სიამოვნებას უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე მაღალ ხელფასს. ამ თეორიას ადასტურებს ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის, ა. შევალიეს, მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც მოიცავდა 10 000 ადამიანს. კვლევით დადასტურდა, რომ კაცები თავს ამბიციურ პიროვნებებად თვლიან და უპირატესობას ანიჭებენ კარიერულ წინსვლასა და ფინანსურ მოგებას, ხოლო ქალები უპირატესობას ანიჭებენ სამუშაოდან მიღებულ კმაყოფილებას, თანამშრომლების კეთილგანწყობასა და მათი სამუშაოს სოციალურ მნიშვნელობას [2].

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, შრომის ანაზღაურების სტატისტიკური ანალიზი ადასტურებს ძლიერ დიფერენციაციას, განსაკუთრებით გენდერულ ჭრილში (იხ. შემდეგი ცხრილი):

ცხრილი 2. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური
ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით (ლარი) [9]

| | სულ | | ქალი | | კაცი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2015 | 2019 | 2015 | 2019 | 2015 | 2019 |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| სულ | **900.4** | **1 204.0** | **692.5** | **934.0** | **1 074.3** | **1 448.4** |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა | 586.8 | 736.1 | 455.4 | 640.6 | 624.3 | 767.7 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 1 047.4 | 1 521.9 | 956.8 | 1 154.8 | 1 058.9 | 1 566.7 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 767.1 | 1 069.7 | 554.9 | 759.1 | 875.8 | 1 264.4 |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 1 117.2 | 1 331.3 | 1 083.5 | 1 387.2 | 1 124.6 | 1 319.7 |
| მშენებლობა | 1 182.0 | 1 850.1 | 887.7 | 1 367.5 | 1 207.2 | 1 906.9 |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება | 783.9 | 1 096.7 | 592.1 | 829.3 | 953.7 | 1 343.2 |
| სასტუმროები და რესტორნები | 563.0 | 956.9 | 470.4 | 853.0 | 705.9 | 1 106.9 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 1 189.4 | 1 555.7 | 1 013.2 | 1 349.5 | 1 250.6 | 1 634.6 |
| საფინანსო საქმიანობა | 1 691.4 | 2 030.0 | 1 243.0 | 1 533.0 | 2 379.0 | 2 850.7 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 1 055.0 | 1 630.1 | 931.1 | 446.9 | 1 136.9 | 1 750.0 |
| სახელმწიფო მმართველობა | 1 259.4 | 1 421.0 | 1 252.9 | 1 405.0 | 1 261.6 | 1 427.2 |
| განათლება | 483.3 | 663.7 | 453.2 | 637.5 | 589.6 | 761.0 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 844.6 | 1 087.3 | 730.6 | 945.6 | 1 144.3 | 1 476.9 |
| კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 785.1 | 1 036.2 | 733.8 | 900.9 | 834.3 | 1 164.5 |

შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი განსხვავებულია როგორც დროის, ისე საქმიანობის სახეების მიხედვით: თუ 2015 წელს საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი იყო 900.4, 2019 წელს მან მიაღწია 1204 ლარს, ანუ მატებამ შეადგინა 33.7%. ასევე, ანალოგიური მაჩვენებელი ქალების მიხედვით იყო, შესაბამისად, 692.5 და 934 ლარი (მატება 34.9 %), ხოლო კაცების მიხედვით - შესაბამისად, 1074.3 და 1448.4 ლარი, ანუ მატება 34.8%. მართალია, მატების ტემპი ქალებისა და კაცების მიხედვით თითქმის თანაბარია, მაგრამ აბსოლუტური მაჩვენებლებით მაღალი უთანასწორობა შეიმჩნევა: აღნიშნულ პერიოდში ქალების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა 241.5 ლარით, მაშინ, როდესაც, ანალოგიური მაჩვენებელი კაცების მიხედვით არის 374.1ლარი, ანუ 55%-ით მეტი.

რაც შეეხება საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის სიდიდეს საქმიანობის სახეების მიხედვით, მდგომარეობა ასეთია: 2015 წელს ქალების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო სახელმწიფო მმართველობასა და საფინანსო საქმიანობაში (შესაბამისად, 1252.9 და 1243 ლარი), ხოლო 2019 წელს - საფინანსო საქმიანობაში და ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევაში (შესაბამისად, 1533 და 1446.9 ლარი). ანალოგიური მაჩვენებელი, კაცების მიხედვით, 2015 წელს ყველაზე მაღალი იყო საფინანსო საქმიანობასა და სახელმწიფო მმართველობაში (შესაბამისად, 2379 და 1261.6 ლარი), ხოლო 2019 წელს - საფინანსო საქმიანობასა და მშენებლობაში (შესაბამისად, 2379 და 1261.6 ლარი). მიგვაჩნია, რომ ასეთი განსხვავებული განაწილება, დროისა და სქესის მიხედვით, დამოკიდებულია განათლების დონეზე, პროფესიულ ორიენტაციასა და სპეციალიზაციის სფეროზე [4, გვ. 124].

სტატისტიკური ანალიზის შედეგად ვლინდება ძლიერი ვარიაცია როგორც ცალკეული სექტორის შიგნით, ისე სხვადასხვა სექტორის მიხედვით. ჩვენმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ ხელფასის ყველაზე დიდი დისბალანსი აღინიშნება საფინანსო საქმიანობებში, სადაც მამაკაცთა ხელფასი 130,1%-ით მეტია ქალთა ხელფასზე. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საფინანსო საქმიანობებში ხელფასი მაქსიმალურია როგორც ქალებისათვის, ისე მამაკაცებისათვის. 2019 წელს ქალების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საფინანსო სექტორში 1533, ხოლო მამაკაცების - 2379 ლარია. რაც შეეხება მინიმალურ ანაზღაურებას ორივე სქესისათვის, ეს არის განათლების სექტორი: ქალებისათვის 637.5, ხოლო კაცებისთვის - 761 ლარია. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ სექტორში დასაქმებულთა უმეტესობა ქალია.

შრომის ანაზღაურებაში უთანასწორობის რაოდენობრივი კვლევა გულისხმობს ვარიაციის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას და ინტერპრეტირებას. ვარიაციის კოეფიციენტის გასაანგარიშებლად ჯერ აუცილებელია საშუალო არითმეტიკული სიდიდისა და სტანდარტული გადახრის გამოთვლა ნომინალური ხელფასის მონაცემების საფუძველზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოთვლების შედეგებს წარმოვადგენთ შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი 3. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ვარიაციის მაჩვენებლები, საქმიანობის სახეების მიხედვით, გენდერულ ჭრილში

| | ვარიაციის კოეფიციენტი, % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | ქალი | | კაცი | |
| | 2015 | 2019 | 2015 | 2019 | 2015 | 2019 |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| სულ | 88.8 | 89.6 | 88.9 | 81.8 | 94.6 | 97.9 |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა | 75.7 | 59.2 | 75.2 | 59.9 | 85.5 | 62.8 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 90.1 | 64.3 | 70.6 | 89.4 | 94.1 | 66.6 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 71.7 | 66.4 | 75.3 | 72.6 | 73.0 | 65.0 |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 50.7 | 66.6 | 40.9 | 55.6 | 55.8 | 71.5 |
| მშენებლობა | 99.2 | 69.2 | 103.1 | 74.5 | 101.7 | 76.3 |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება | 97.3 | 121.0 | 98.4 | 98.6 | 110.0 | 141.5 |
| სასტუმროები და რესტორნები | 83.4 | 75.2 | 85.2 | 68.0 | 92.3 | 85.8 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 84.8 | 87.5 | 84.9 | 66.8 | 88.9 | 99.9 |
| საფინანსო საქმიანობა | 53.3 | 43.4 | 45.5 | 41.3 | 69.9 | 49.4 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 126.6 | 115.0 | 132.7 | 105.1 | 146.3 | 132.0 |
| სახელმწიფო მმართველობა | 39.3 | 37.4 | 41.6 | 41.6 | 40.8 | 37.3 |
| განათლება | 57.4 | 55.3 | 53.2 | 49.1 | 67.2 | 74.9 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 61.5 | 68.3 | 59.1 | 65.3 | 88.2 | 85.3 |
| კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 85.0 | 85.0 | 92.5 | 87.0 | 84.9 | 86.8 |

*წყარო: ცხრილში წარმოდგენილი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ავტორთა მიერ.*

მე-2 და მე-3 ცხრილებში მოტანილ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია, შევადგინოთ საქმიანობის სახეების სექტორთა 3 ჯგუფი საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მიხედვით, გენდერულ ჭრილში (2019 წლის რანჟირებული მონაცემებით):

I ჯგუფი - სექტორები საშუალო ხელფასის სიდიდეზე მაღალი დონით;

II ჯგუფი - სექტორები ხელფასის საშუალო დონით;

III ჯგუფი - სექტორები საშუალო ხელფასის სიდიდეზე დაბალი დონით.

ასეთი კლასიფიკაციით, **ქალების მიხედვით, პირველ ჯგუფში მოხვდება** (რანჟირებული მონაცემებით): 1. საფინანსო საქმიანობა, 2. ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა, 3. სახელმწიფო მმართველობა, 4. ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება.

**მეორე, ჯგუფში მოხვდება:** 1. მშენებლობა, 2. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, 3. სამთომოპოვებითი მრეწველობა, 4. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, 5. კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა.

**ხოლო მესამე, არასასურველ ჯგუფში კი** - 1. სასტუმროები და რესტორნები, 2. ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება, 3. დამამუშავებელი მრეწველობა, 4. სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, 5. განათლება.

**კაცების მიხედვით კი ასეთი სახის დაჯგუფება მივიღეთ** (რანჟირებული მონაცემებით):

**I ჯგუფი:** 1. საფინანსო საქმიანობა, 2. მშენებლობა, 3. ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა, 4. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

**II ჯგუფი:** 1. სამთომოპოვებითი მრეწველობა, 2. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, 3. სახელმწიფო მმართველობა, 4. ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების შეკეთება, 5. ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება.

**III ჯგუფი:** 1. დამამუშავებელი მრეწველობა, 2. კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა, 3. სასტუმროები და შეკეთება, 4. სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, 5. განათლება.

მაშასადამე, შრომის ანაზღაურების მიხედვით საქმიანობის სახეების დაჯგუფებისას გენდერულ ჭრილში განსხვავებული სიტუაცია გამოვლინდა, გარდა მე-3 ჯგუფისა, რომელშიც ქალებისა და კაცების მიხედვით ერთი და იგივე სექტორები მოხვდა (მხოლოდ ერთია განსხვავებული).

სტანდარტული გადახრის საფუძველზე გაანგარიშებულმა ვარიაციის კოეფიციენტმა აჩვენა, რომ საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, საქმიანობის სახეების მიხედვით, გენდერულ ჭრილში საკმაოდ არაერთგვაროვანია, რაც როგორც ქალების, ისე კაცების მიხედვით ხელფასების ძალიან მაღალ უთანასწორობაზე მიუთითებს. მაგალითად, საფინანსო სექტორში დასაქმებული მამაკაცების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის სიდიდე თითქმის 4-ჯერ მეტია განათლების სექტორში დასაქმებული მამაკაცის ხელფასზე. მაგრამ ისეთ სფეროებშიც კი, რომლებშიც ქალები დომინირებენ, კაცების ხელფასი მაინც მკვეთრად ჭარბობს ქალების ხელფასს [1, გვ. 17].

და ბოლოს, თანამედროვე ეტაპზე კორონავირუსის პანდემიის შედეგად როგორც გლობალურად, ისე ლოკალურად (ცალკეულ ქვეყნებში) მიმდინარეობს კომპლექსური კრიზისი, რომელმაც მოიცვა არა მხოლოდ მოსახლეობის ჯანდაცვა, არამედ ეკონომიკა, პოლიტიკა, საზოგადოების ცხოვრების წესი, ბიზნესი და, საერთოდ, ყველა სფერო. დღემდე შეუსწავლელია ამ კრიზისის გენდერული ასპექტები, განსაკუთრებით დასაქმებისა და უმუშევრობის, შრომის ანაზღაურების და სხვა მიმართულებით. თუმცა, აქ ერთმნიშვნელოვანი ზოგადი შეფასებით, პანდემიის უარყოფითი შედეგები უფრო მეტად შეეხო ქალთა დასაქმებასა და, შესაბამისად, მათ შრომის ანაზღაურებას. აქ საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ტურიზმის სექტორი, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა (2020 წლის ივლისში, წინა წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 95.6%-ით შემცირდა). ამ სექტორში დასაქმებული ქალების რიცხვი დაახლოებით 2-ჯერ მეტი იყო კაცებზე. პანდემიის შედეგად უფრო მეტად გაიზარდა გენდერული დისპროპორცია დასაქმებასა და შრომის ანაზღაურებაში ეკონომიკის ბევრ სხვა სექტორშიც. ამ მიმართულებით აუცილებელია დამატებითი სტატისტიკური კვლევების ჩატარება, განსაკუთრებით სექტორულ ჭრილში შექმნილი გენდერული უთანასწორობის გამოსავლენად.

## დასკვნა

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიუხედავად (საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს თანასწორობის უფლება, ასევე 2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, ხოლო 2014 წელს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ), გენდერული უთანასწორობის პრობლემა დღესაც აქტუალურია და, პირდაპირ თუ ირიბად, ხშირად ხდება სქესის მიხედვით დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე.

2019 წლის ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონე ქალებისათვის - 10.1%, ხოლო კაცებისათვის 12.8% იყო. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია ბევრი განვითარებული ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ქვეყნებში მაღალი უმუშევრობის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია უმუშევრობის არცთუ მცირე შემწეობა, რის გამოც მოსახლეობის ნაწილი ხშირად უარს ამბობს დასაქმებაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში. საქართველოში მსგავსი სახის დახმარება არ არსებობს, ამიტომაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მზად არის, შემოსავლის, ანუ შრომის ანაზღაურების, მინიმალურ სიდიდესაც დასთანხმდეს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გადაწყვეტილების მიმღებ მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულთა უმეტესობა მამაკაცია. ასევე, მაღალანაზღაურებად საქმიანობებშიც უფრო ხშირად დასაქმებულები არიან კაცები (მაგალითად, სახელმწიფო მმართველობა და მშენებლობა). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთსა და იმავე სექტორში დასაქმებულთა ხელფასის სიდიდეც გენდერულ ჭრილში საკმაოდ განსხვავდება.

ასეთი უთანასწორობა დიდ დაბრკოლებას უქმნის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მთლიანი სამამულო პროდუქტის მაჩვენებელი მოსახლეობის 1 სულზე საკმაოდ მაღალია და ეკონომიკური ზრდა მზარდი ტენდენციით ხასიათდება, გენდერული უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში შედარებით ნაკლებად აღინიშნება. სწორედ ამიტომ განვითარებად ქვეყნებს სწრაფი ეკონომიკური ზრდისათვის ესაჭიროება ადამიანური კაპიტალის რაციონალურად გამოყენება, გენდერული დისპროპორციის მინიმიზაცია, რაც ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი საწინდარია.

აღნიშნული დასკვნიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი რეკომენდაციები, რომელთა განხორციელების შედეგად, ჩვენი აზრით, გენდერული დისბალანსი საქართველოს შრომის ბაზარზე საგრძნობლად შემცირდება:

- უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგვარდეს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი დისკრიმინაცია აკრძალულია, უთანასწორობა შრომის ბაზარზე ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირია. ამიტომ უნდა გაძლიერდეს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მუდმივი მონიტორინგი;
- მენეჯერულ პოზიციებზე უნდა დასაქმდნენ განათლებისა და უნარ-ჩვევების შესაბამისად და არა ცრუ შეხედულებებით, რომ ქალებს გადაწყვეტილების მიღება უჭირთ;
- უნდა განხორციელდეს ხელფასების სახელმწიფო რეგულირება და დაწესდეს გონივრული მინიმალური ზღვარი, რათა ორივე სქესის წარმომადგენელმა მიიღოს თანაბარი ანაზღაურება თანაბრად გაწეული შრომისათვის;
- ორივე სქესისათვის პროფესიული ტრენინგების თანაბრად უზრუნველყოფა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა;
- იმ სექტორებში, რომელშიც დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი უფრო მაღალია, მაქსიმალურად უნდა შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, განსაკუთრებით ქალებისთვის;

➢ აუცილებელია კორონავირუსის პანდემიის შედეგად გამოწვეული კრიზისის გენდერული ასპექტების თვისებრივი და ხარისხობრივი კვლევა ეკონომიკის, ბიზნესისა და სოციალურ სფეროებში.

ლიტერატურა:


1. აბესაძე ნ. შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსები საქართველოში. სამეცნიერო გამოცემა „სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში“. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2019.
2. ბერიშვილი ხ., გენდერული დისბალანსისა და ფემინიზმის როლი გლობალურ ბიზნესში. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.tsu.ge/data/file_db/economist-_faculty/global.pdf
3. გაეროს ქალთა ორგანიზაცია. გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე, 2020, მარტი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2020/gender%20pay%20gap%20georgia%20geo.pdf?la=en&vs=4411
4. გელაშვილი ს., ჩარექიშვილი ლ., გენდერული სტატისტიკის საკითხები. გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2016.
5. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 7. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/ 1483577?publication=0
6. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11. თბილისი, 2018.
7. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, თბილისი, 2010.
8. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. თბილისი, 2014. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=1
9. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხელფასების მაჩვენებლები. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi
10. Charmes J. The Unpaid Care Work and the Labour Market. An analysis of time use data based on the latest World Compilation of Time-use Surveys. International Labour Organization. Geneva, 2019. Available at: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/dgreports/gender/documents/publication/wcms_732791.pdf
11. International Labour Organization, Global Wage Report 2018/19. What lies behind gender pay gaps. Available at: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/dgreports/dcomm/publ/documents/-publication/wcms_650553.pdf


## Gender imbalance in employment and wages by economic activities


**Prof. Dr. Simon Gelashvili,**
**Dr. Gogita Todradze**



S u m m a r y

The article discusses the imbalance of employment and wages in the world and in Georgia in terms of gender, shows the inequality of unpaid labor and its main causes, identifies the minimum and maximum wages from each group of 64 low-, middle- and high-income countries.

Particular attention is paid to statistical analysis of wages by type of economic activity in terms of gender. As a result of the calculation of the appropriate indicators (relative, average and variation), a high disproportion in the remuneration of labor according to certain types of economic activity was found. The sectors in which wage rates are maximum and minimum in terms of gender are identified, as well as the range of variation between them.

The last part of the article presents the specific conclusions and recommendations formed as a result of the analysis.



***Keywords:*** *Gender, Employment Level, Remuneration, Gender Imbalance, Economic Activity.*

# შრომის ანაზღაურების გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით

**სიმონ გელაშვილი**
*ეკონ. მეცნ. დოქტ., პროფესორი*
*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**მარიამ ოქრუაშვილი**
*თსუ-ის დოქტორანტი*

*სტატიაში განხილულია საქართველოში დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების დისბალანსი გენდერულ ჭრილში, ნაჩვენებია აუნაზღაურებელი შრომის უთანაბრობა და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები.*

*განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომის ანაზღაურების დისპროპორციის ანალიზს საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით, რომლის დროსაც გაანგარიშებული იქნა სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებელი, როგორიცაა: შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის. ანალიზის შედეგად გამოვლინდა შრომის ანაზღაურების ძლიერ განსხვავებული რეგიონული ტენდენციები გენდერულ ჭრილში.*

*ჩატარებული გამოთვლების საფუძველზე განხორციელდა რეგიონების დაჯგუფება საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მიხედვით, გენდერულ ჭრილში და გამოვლინდა 3 განსხვავებული ჯგუფი.*

*სტატიის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია ანალიზის შედეგად ფორმირებული კონკრეტული დასკვნები და რეკომენდაციები.*

*საკვანძო სიტყვები: გენდერი, შრომის ანაზღაურება, ადმინისტრაციული რეგიონი, გენდერული დისბალანსი, ვარიაციის კოეფიციენტი.*

**შესავალი**

**შრომის ბაზრის პროცესების თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა აქტუალურია ყველა ქვეყანაში, მიუხედავად მათი სოციალური თუ ეკონომიკური განვითარების დონისა. ამ მიმართულებით მეტად საინტერესოა ამა თუ იმ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) შრომის ანაზღაურების დისბალანსის სტატისტიკური ანალიზი გენდერულ ჭრილში. ეს საკითხი ყურადღების ცენტრშია თვით გაერო-ს არაერთ დოკუმენტში. მაგალითისთვის მოვიყვანოთ მდგრადი განვითარების პროგრამა და მისი მე-8 მიზანი, რომლის თანახმადაც, თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის ადამიანებმა უნდა მიიღონ თანაბარი ანაზღაურება. გარდა ამისა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის „ა" პუნქტის მიხედვით, „სამართლიანი ხელფასი და ტოლფასი შრომისათვის თანასწორი ანაზღაურება, რაიმე ნიშნით განსხვავების გარეშე, ქალებისათვის ქმნის შრომის ისეთი პირობების გარანტიას, რომელიც მამაკაცის შრომის პირობებზე უარესი არ იქნება და თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანასწორი ანაზღაურების შესაძლებლობას იძლევა." [5]**

**მსოფლიოს 64 ქვეყნის მიხედვით ხელფასების გამოკვლევით დასტურდება, რომ ყველაზე მაღალშემოსავლიანი ქვეყნებიდან უთანასწორობა მინიმალურია შვედეთში, ხოლო მაქსიმალური - ჩილეში; რაც შეეხება დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებს შორის უთანასწორობას, მაქსიმალურია სამხრეთ აფრიკასა და ნამიბიაში, ხოლო მინიმალური - სომხეთსა და მონღოლეთში [10].**

**მაღალშემოსავლიან ქვეყნებშიც კი ბევრი ქალი, რომლებიც გადაწყვეტენ მუშაობის დაწყებას, ხშირად ამჯობინებს ნახევარგანაკვეთიან სამსახურს, ხოლო განვითარებად**

ქვეყნებში ხშირია არაფორმალური დასაქმება, რაც საქართველოშიც საკმაოდ მაღალია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, არაფორმალური დასაქმება ქალებისათვის 29.2%-ს, ხოლო მამაკაცებისათვის 39.3%-ს შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანია კვირის განმავლობაში ნამუშევარი საათების რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ კაცები, ქალებთან შედარებით, კვირაში საშუალოდ 1.2-ჯერ მეტ დროს უთმობენ სამსახურს. ეს კი მათი ანაზღაურების დისბალანსს განაპირობებს. შრომის ბაზარზე უთანასწორობის მთავარი გამომწვევი მიზეზი აუნაზღაურებელი სამუშაოა, რომელსაც ძირითადად ქალები ასრულებენ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული სამუშაო დროის გამოყენების გამოკვლევის მონაცემებით, ქალები საშუალოდ 2-3-ჯერ მეტ დროს უთმობენ აუნაზღაურებელ შრომას. დისბალანსი განსხვავებულია ასევე ქვეყნების განვითარების დონის მიხედვით, განვითარებულ ქვეყნებში უთანასწორობა გაცილებით ნაკლებია. 2016 წლის მონაცემებით, აშშ-ში ქალები ყოველდღიურად გასწევენ 1.55-ჯერ მეტ აუნაზღაურებელ შრომას კაცებთან შედარებით. აუნაზღაურებელი შრომით ძირითადად დაკავებულნი არიან დაოჯახებული ზრდასრული პირები, რომლებიც ასრულებენ საოჯახო საქმეებს, უვლიან მცირეწლოვან ბავშვებს, ოჯახის წევრებს, ავადმყოფებს. მსოფლიოს 25 ქვეყნის მონაცემებით, აუნაზღაურებელი სამუშაოთი ქალები დღეში საშუალოდ 266 წუთით, ხოლო მამაკაცები 128 წუთით არიან დაკავებულნი, რაც გულისხმობს იმას, რომ აუნაზღაურებელი სამუშაოს 67.5%-სქალები ასრულებენ [11].

შრომის ბაზრის ანალიზში ტერმინი „შუშის ჭერი“ პირველად შემოიღო ე. მორისონმა 1987 წელს. ეს არის საუკეთესო მეტაფორა ქალისა და მამაკაცის უთანასწორობის ანალიზისათვის შრომის ბაზარზე. ის გვიჩვენებს, რომ შრომის ბაზარზე არსებობს უხილავი ბარიერი, რომელიც ქალებს ხელს უშლის, განათლების, გამოცდილებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მიუხედავად, დაიკავონ მაღალი თანამდებობა. მმართველობით პოზიციაზე დასაქმებულ ქალთა რაოდენობა საშუალოდ 2-ჯერ ნაკლებია მამაკაცებზე [12].

დაკავებული პოზიციები და ნამუშევარი საათები კი ხელფასების უთანასწორობის უმთავრესი მიზეზია. საათობრივ ანაზღაურებას შორის განსხვავებას სქესობრივ ჭრილში გენდერულ სახელფასო სხვაობას უწოდებენ. შეუსწორებელი, ანუ ნედლი გენდერული სახელფასო სხვაობის დროს მამაკაცისა და ქალის ხელფასებს შორის რეალური განსხვავება გამოიყენება, ხოლო შესწორებელი გენდერული სახელფასო სხვაობის დროს გათვალისწინებულია სხვადასხვა მახასიათებელი, როგორებიცაა განათლება და სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა მახასიათებლები. ორგანიზაციის დონეზე მოპოვებული ინფორმაცია ხშირად არ იძლევა საშუალებას, რომ შესწორდეს გენდერული სახელფასო სხვაობა, რადგან ორგანიზაციები უმეტეს შემთხვევაში იძლევიან ინფორმაციას თანამშრომლების საშუალო ნამუშევარი საათების შესახებ და ნაკლებად იძლევიან ინფორმაციას მათი განათლებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ, რაც ამ სხვაობის შესწორების საშუალებას მოგვცემს. სწორედ ამიტომ ამ ინფორმაციით ორგანიზაციებს შორის ვარიაციის დადგენაა შესაძლებელი და არა კომპანიების შიდა ვარიაციის [3].

გენდერული უთანასწორობის პრობლემა დღესაც საკმაოდ აქტუალურია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. მიუხედავად არსებული კანონმდებლობისა, როგორებიცაა, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წელს მიღებული კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2014 წელს მიღებული კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ [6, 7], პირდაპირ თუ ირიბად, მაინც ხშირად ხდება სქესის მიხედვით დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე.

## ძირითადი შინაარსი

საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური კვლევა შეუძლებელია შრომის ანაზღაურების მაჩვენებლების ანალიზის გარეშე. რა თქმა უნდა, სანამ ამ მაჩვენებლებს გავიანგარიშებთ და შევაფასებთ, მანამდე მიზანშეწონილია მთლიანად ქვეყნის მიხედვით არსებული მდგომარეობის ანალიზი.

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის სიდიდე გაიანგარიშება საშუალო არითმეტიკულის ფორმულით, რაც გულისხმობს დასაქმებულთა ხელფასების ჯამის შეფარდებას დასაქმებულთა მთლიან რაოდენობასთან. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ხელფასის სიდიდე გაანგარიშდება სხვადასხვა ჭრილში, მათ შორისაა ხელფასი სქესის მიხედვით, რაც წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 1. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი
წლების მიხედვით, გენდერულ ჭრილში [8]

| საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წლების მიხედვით, გენდერულ ჭრილში (ლარი) | | |
|---|---|---|
| წლები | ქალი | კაცი |
| 2010 | 426.6 | 742.8 |
| 2011 | 460.2 | 771.1 |
| 2012 | 517.9 | 859.6 |
| 2013 | 585.0 | 920.3 |
| 2014 | 617.9 | 980.0 |
| 2015 | 692.5 | 1 074.3 |
| 2016 | 731.2 | 1 116.6 |
| 2017 | 770.2 | 1 197.4 |
| 2018 | 822.6 | 1 280.7 |
| 2019* | 934.0 | 1 448.4 |

*შენიშვნა: 2019 წლისთვის წინასწარი მონაცემებია.*

როგორც ცხრილიდან ჩანს, შრომის ანაზღაურებაში გენდერული უთანასწორობა ძლიერ მაღალია. საქართველოში 2010-2019 წლებში ხელფასები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა განსხვავებული ტემპებით: 2019 წელს მამაკაცთა ხელფასი 55%-ით აღემატება იმავე პერიოდის ქალთა ხელფასს. ამ განსხვავების მრავალი მიზეზი არსებობს, როგორებიცაა: რელიგიური, კულტურული, ტრადიციული და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია ე. წ. ცხოვრების სტილისადმი განსხვავებული მიდგომა - ინდივიდუალური უპირატესობა. უპირატესობის თეორია ეკუთვნის კ. ჰაკიმის, რომლის თანახმადაც, ქალთა მიერ ცხოვრების სტილისადმი განსხვავებული მიდგომა მათი დასაქმებულობის უკეთესი საზომია, ვიდრე განათლება. უპირატესობის თეორია ხსნის შრომის ბაზარზე სქესის მიხედვით არსებულ განსხვავებებს და, მათ შორის, ხელფასების უთანასწორობასაც. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ქალები ცხოვრების ხარისხსა და სამუშაოდან მიღებულ სიამოვნებას უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე მაღალ ხელფასს. ამ თეორიას ადასტურებს ლონდონის უნივერსიტეტის მეცნიერ-ეკონომისტის, პროფესორ არნო შევალიეს მიერ ჩატარებული გამოკვლევა, რომელიც მოიცავდა 10 000 ადამიანს. გამოკვლევით დადასტურდა, რომ კაცები უპირატესობას ანიჭებენ კარიერულ წინსვლასა და ფინანსურ მოგებას, ასევე თავს ამბიციურ პიროვნებებად თვლიან, ხოლო ქალები უპირატესობას ანიჭებენ სამუშაოდან მიღებულ კმაყოფილებას, თანამშრომლების კეთილგანწყობასა და მათი სამუშაოს სოციალურ მნიშვნელობას [2].

საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით, შრომის ანაზღაურების სტატისტიკური ანალიზი ადასტურებს ძლიერ დიფერენციაციას, განსაკუთრებით გენდერულ ჭრილში (იხ. შემდეგი ცხრილი):

ცხრილი 2. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო
თვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების მიხედვით, გენდერულ ჭრილში

| დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გენდერულ ჭრილში (ლარი) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეგიონის დასახელება | სულ | | ქალი | | კაცი | |
| | 2015 | 2019* | 2015 | 2019* | 2015 | 2019* |
| ქ. თბილისი | 1078 | 1433 | 867 | 1156 | 1238 | 1664 |
| აჭარის ა. რ. | 771 | 1028 | 559 | 775 | 945 | 1247 |
| გურია | 515 | 697 | 375 | 552 | 670 | 886 |
| იმერეთი | 590 | 766 | 452 | 597 | 724 | 957 |
| კახეთი | 493 | 739 | 364 | 548 | 655 | 991 |
| მცხეთა-მთიანეთი | 738 | 945 | 496 | 686 | 963 | 1184 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 435 | 577 | 358 | 483 | 508 | 695 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 597 | 786 | 418 | 565 | 759 | 1000 |
| სამცხე-ჯავახეთი | 524 | 747 | 401 | 573 | 670 | 945 |
| ქვემო ქართლი | 707 | 897 | 477 | 605 | 904 | 1162 |
| შიდა ქართლი | 548 | 753 | 437 | 557 | 670 | 992 |

*წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ, საქსტატის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე [7].*
*შენიშვნა: 2019 წლისთვის წინასწარი მონაცემებია.*

შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი განსხვავებულია როგორც დროის, ისე რეგიონების მიხედვით. 2015 წელს საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ყველაზე მაღალი იყო ქ. თბილისში, აჭარის ა. რ.-სა და მცხეთა-მთიანეთში. 2019 წელს სიტუაცია არ შეცვლილა და საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ისევ ყველაზე მაღალი, აღნიშნულ 3 რეგიონში დაფიქსირდა.

2019 წელს შედარებით მაღალი უთანასწორობა დაფიქსირდა ქვემო ქართლში, სადაც მამაკაცების ხელფასი 92%-ით მეტია ქალთა ხელფასზე, ხოლო მინიმალურია თბილისში (სხვაობა 43.9%-ს შეადგენს). აღსანიშნავია, რომ ხელფასი ორივე სქესისათვის მინიმალურია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სადაც ქალებისათვის 483, ხოლო მამაკაცებისათვის 695 ლარია. ორივე სქესისათვის ხელფასი მაქსიმალურია თბილისში: აქ ქალების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1 156, ხოლო მამაკაცების 1 664 ლარია.

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, ქალთა ხელფასი, კაცებისგან განსხვავებით, შედარებით ერთგვაროვანია: მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს შორის სხვაობა, ანუ ვარიაციის დიაპაზონი, ქალებისათვის შეადგენს 673 ლარს, ხოლო მამაკაცებისათვის - 968 ლარს.

საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით, შრომის ანაზღაურებაში უთანასწორობის რაოდენობრივი კვლევა გულისხმობს ვარიაციული მაჩვენებლების გაანგარიშებას და ინტერპრეტირებას. ჩვენ მიერ ჩატარებული გამოთვლების შედეგები წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი 3. საშუალო თვიური ნომინალური
ხელფასის ვარიაცია რეგიონების მიხედვით, გენდერულ ჭრილში

| რეგიონის დასახელება | საშუალო დონიდან გადახრა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | ქალი | | კაცი | |
| | 2015 | 2019 | 2015 | 2019 | 2015 | 2019 |
| ქ. თბილისი | 442.0 | 581.5 | 393.9 | 510.9 | 446.5 | 598.1 |
| აჭარის ა. რ. | 135.0 | 176.2 | 85.9 | 130.1 | 153.5 | 181.7 |
| გურია | -121.0 | -154.9 | -98.1 | -93.4 | -121.5 | -180.1 |
| იმერეთი | -46.0 | -85.4 | -21.1 | -48.2 | -67.5 | -108.9 |
| კახეთი | -143.0 | -113.0 | -109.1 | -97.5 | -136.5 | -74.6 |
| მცხეთა-მთიანეთი | 102.0 | 93.1 | 22.9 | 40.6 | 171.5 | 118.6 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | -201.0 | -274.4 | -115.1 | -162.2 | -283.5 | -370.3 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | -39.0 | -65.6 | -55.1 | -80.1 | -32.5 | -65.9 |
| სამცხე-ჯავახეთი | -112.0 | -104.5 | -72.1 | -71.8 | -121.5 | -120.5 |
| ქვემო ქართლი | 71.0 | 45.3 | 3.9 | -40.2 | 112.5 | 95.9 |
| შიდა ქართლი | -88.0 | -98.3 | -36.1 | -88.2 | -121.5 | -74.0 |
| სტანდარტული გადახრა | 172.8 | 218.3 | 137.5 | 177.7 | 194.0 | 238.4 |
| ვარიაციის კოეფიციენტი (%) | 27.2 | 25.6 | 29.1 | 27.5 | 24.5 | 22.4 |

*წყარო: ცხრილში წარმოდგენილი ყველა მაჩვენებელი გაანგარიშებულია ავტორთა მიერ.*

მე-2 და მე-3 ცხრილებში წარმოდგენილი მაჩვენებლების საფუძველზე შესაძლებელია შევადგინოთ მოცემული რეგიონების 3 ჯგუფი საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მიხედვით (2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით):

**I ჯგუფი:** რეგიონები ხელფასის დაახლოებით საშუალო დონით;

**II ჯგუფი:** რეგიონები საშუალო ხელფასის სიდიდეზე მაღალი დონით;

**III ჯგუფი:** რეგიონები საშუალო ხელფასის სიდიდეზე დაბალი დონით.

ასეთი კლასიფიკაციით, **პირველ ჯგუფში** რანჟირებული რიგითობით მოხვდება: 1. ქვემო ქართლი, 2. სამეგრელო-ზემო სვანეთი, 3. იმერეთი და 4. შიდა ქართლი.

**მეორე,** შედარებით უფრო სასურველ ჯგუფში, ასევე რანჟირებულად, მოხვდება: 1. ქ. თბილისი, 2. აჭარის ა. რ. და 3. მცხეთა-მთიანეთი.

ხოლო მესამე, **არასასურველ ჯგუფში** კი (ასევე რანჟირებული რიგითობით) - 1. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, 2. გურია, 3. კახეთი და 4. სამცხე-ჯავახეთი.

მაგრამ თუ დაჯგუფებას მოვახდენთ გენდერულ ჭრილში, ანუ ცალ-ცალკე ქალებისა და კაცების მიხედვით, მაშინ სურათი შეიცვლება (გარდა მე-2 ჯგუფისა).

**ქალების მიხედვით რეგიონები ასე დაჯგუფდება:**

**I ჯგუფი** ნაწილობრივ შეიცვალა (რანჟირებულად): 1. ქვემო ქართლი, 2. იმერეთი, 3. მესამე პოზიციაზე აღმოჩნდა სამცხე-ჯავახეთი, 4. ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთმა მეორედან მეოთხეზე გადაინაცვლა.

**II ჯგუფი** არ შეცვლილა, ანუ მასში მოხვდა იგივე რეგიონები და იმავე რიგითობით, რომლითაც წინა შემთხვევაში.

**III ჯგუფი** ნაწილობრივ შეიცვალა (რანჟირებულად): 1. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, 2. მეორეზე აღმოჩნდა კახეთი, 3. გურია და 4. შიდა ქართლის პოზიცია გაუარესდა და პირველი ჯგუფიდან (საშუალო დონე) აღმოჩნდა მესამეში - საშუალოზე დაბალი დონის ჯგუფში.

**კაცების მიხედვით რეგიონები ასე დაჯგუფდება:**

**I ჯგუფი** ნაწილობრივ შეიცვალა (რანჟირებულად): 1. ქვემო ქართლი, 2. სამეგრელო-ზემო სვანეთი, 3. შიდა ქართლი და 4. კახეთი.

**II ჯგუფი** მოხვდა იგივე რეგიონები და იმავე რიგითობით, რომლითაც ქალების შემთხვევაში.

**III ჯგუფი** ნაწილობრივ შეიცვალა (რანჟირებულად): 1. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, 2. გურია მეორეზე აღმოჩნდა, 3. სამცხე-ჯავახეთი, და 4. იმერეთის პოზიცია აქ მკვეთრად გაუარესდა და პირველი ჯგუფიდან (საშუალო დონე) აღმოჩნდა მესამეში - საშუალოზე დაბალი დონის ჯგუფში, ბოლო პოზიციაზე.

ცხრილ 3-ში წარმოდგენილი მაჩვენებლები ნათლად ადასტურებს საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მიხედვით მნიშვნელოვან არა მხოლოდ შიდარეგიონულ, არამედ რეგიონთაშორის გენდერულ უთანასწორობას.

შრომის ანაზღაურებაში არსებული მნიშვნელოვანი რეგიონული დისპროპორციის მასშტაბის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორია დასაქმების შედარებით დაბალი დონის რეგიონებში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, განსაკუთრებით ქალთა შორის უმუშევრობის დონის შემცირების მიზნით.

## დასკვნები და რეკომენდაციები

გენდერული უთანასწორობის პრობლემა დღესაც საკმაოდ აქტუალურია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. მიუხედავად არსებული კანონმდებლობისა, ჯერ კიდევ გვხვდება სქესის მიხედვით დისკრიმინაციას შრომის ბაზარზე.

უთანასწორობის გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აუნაზღაურებელი შრომა, რომელსაც ქალები ოჯახში ასრულებენ. აღსანიშნავია, რომ ქალთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1.55-ჯერ ნაკლებია მამაკაცთა ხელფასზე. უთანასწორობა აღინიშნება საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვითაც. იგი ყველაზე მაღალია ქვემო ქართლში, სადაც მამაკაცთა ხელფასი 92%-ით მეტია ქალების ხელფასზე.

ასეთი დისპროპორცია საკმაოდ დიდ დაბრკოლებას უქმნის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მთლიანი სამამულო პროდუქტის მაჩვენებელი მოსახლეობის 1 სულზე საკმაოდ მაღალია და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება, გენდერული უთანასწორობა ნაკლებად აღინიშნება. სწორედ ამიტომ, განვითარებად ქვეყნებს სწრაფი ეკონომიკური ზრდისათვის ესაჭიროება ადამიანური კაპიტალის რაციონალურად გამოყენება, რაც ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი პირობაა.

აღნიშნული დასკვნიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი რეკომენდაციები, რომელთა განხორციელების შედეგად გენდერული დისბალანსი საქართველოს შრომის ბაზარზე საგრძნობლად შემცირდება:

➢ უპირველეს ყოვლისა, უნდა აღმოიფხვრას შრომის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი დისკრიმინაცია აკრძალულია, უთანასწორობა შრომის ბაზარზე ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირია;

➢ მაქსიმალური სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა დედებს და, მით უმეტეს, მარტოხელა დედებს, რომ მოახერხონ საკუთარი თავის რეალიზაცია;

➢ უნდა მოხდეს ხელფასების რეგულირება, ორივე სქესის წარმომადგენელმა უნდა მიიღოს თანაბარი ანაზღაურება თანაბრად გაწეული შრომისათვის;

➢ რეგიონებში, სადაც გენდერული დისბალანსი უფრო მაღალია, ორივე სქესისათვის, განსაკუთრებით კი ქალებისათვის, მაქსიმალურად უნდა შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები;

➢ სასოფლო დასახლებებში ადამიანური კაპიტალი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის მიგრაციის შემცირებას და სოფლად დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას.

**ლიტერატურა:**


1. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, თბილისი, 2014. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.parliament.ge/-uploads/other/75/75600.pdf
2. ბერიშვილი ხ., გენდერული დისბალანსისა და ფემინიზმის როლი გლობალურ ბიზნესში, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf
3. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე, 2020, მარტი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2020/ gender%20pay%20gap%20georgia%20geo.pdf?la=en&vs=4411
4. გელაშვილი ს., ჩარექიშვილი ლ., გენდერული სტატისტიკის საკითხები, თბილისი, 2016.
5. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 7. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/ 1483577?publication=0
6. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, თბილისი, 2010.
7. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, თბილისი, 2014. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=1
8. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხელფასების კალკულატორი, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/salarium/?lang=ka
9. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხელფასების მაჩვენებლები. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/ khelfasebi
10. Eurofound, International Labour Organization, Working conditions in a global perspective, Geneva, 2019. Available at: https://www.eurofound.europa.eu/sites/default/files/ef_publication/field_ef_document/ef18066en.pdf
11. International Labour Organization, Global Wage Report 2018/19. What lies behind gender pay gaps. Available at: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms_650553.pdf
12. International Labour Organization, Charmes J. The Unpaid Care Work and the Labour Market. An analysis of time use data based on the latest World Compilation of Time-use Surveys, Geneva, 2019. Available at: https://www.ilo.org/gender/Informationresources/Publications/WCMS_732791-/lang--en/index.htm
13. JANEEN BAXTER - University of Tasmania; ERIK OLIN WRIGHT - University of Wisconsin–Madison. THE GLASS CEILING HYPOTHESIS. A Comparative Study of the United States, Sweden, and Australia. Available at: https://www.ssc.wisc.edu/~wright/GenderGap.pdf

# Gender disproportion of remuneration by administrative regions of Georgia

**Prof. Dr. Simon Gelashvili,**
**Mariam Okruashvili**
***PhD Student***

S u m m a r y

The article discusses the imbalance of employment and remuneration in Georgia in terms of gender, shows the inequality of unpaid labor and its main causes.

Particular attention is paid to the analysis of the disproportion of labor remuneration by administrative regions of Georgia, during which various statistical indicators were calculated, such as relative, average and variation. The analysis revealed different regional trends in wages in terms of gender.

Based on the calculations, the regions were grouped according to the average monthly nominal wage, by gender, and 3 different groups were identified.

The last part of the article presents the specific conclusions and recommendations formed as a result of the analysis.

***Keywords:*** *Gender, Remuneration, Administrative region, Gender imbalance, Coefficient of variation.*

# ინფორმაციული კულტურა

**სოფიკო გელაშვილი**
*თსუ-ის დოქტორანტი*

*ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელშიც დასაქმებულია ერთზე მეტი პიროვნება, გააჩნია კულტურა და, შესაბამისად, ინფორმაციული კულტურაც. ინფორმაციული კულტურა გულისხმობს ნებისმიერ საქმიანობას და ქცევას, რომელიც დაკავშირებულია რაიმე გზით ცოდნასთან, კომუნიკაციასთან, ინფორმაციასთან და მონაცემებთან. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც ინფორმაცია მოგების ძირითადი წყაროა კომპანიების უმეტესი ნაწილისათვის. ამიტომ გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ ინფორმაციული კულტურა მთავარ როლს ასრულებს ორგანიზაციების წარმატებით ფუნქციონირებაში.*

*ნაშრომის მიზანია, ინფორმაციული კულტურის ზოგადი მიმოხილვა, მისი განვითარების მნიშვნელობა და პერსპექტივები. ნაშრომი ცხადყოფს, რამდენად მნიშვნელოვანია ორგანიზაციული კულტურის ამაღლება თანამშრომლებში, რაც ხელს უწყობს თავად ორგანიზაციის წარმატებულ ფუნქციონირებას.*

*საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული კულტურა, ორგანიზაცია, ორგანიზაციული კულტურა, ინფორმაციული კულტურა ორგანიზაციებში.*

თანამედროვე ქვეყნების განვითარება მიმდინარეობს ინფორმაციული საზოგადოების შექმნის მიმართულებით, ე.ი. ისეთი საზოგადოების შესაქმნელად, რომელშიც მომუშავეთა დიდი ნაწილი დაკავდება ინფორმაციის წარმოებით, შეკრებით, შენახვითა და გამოყენებით. დღითიდღე აქტუალური ხდება ტერმინი - ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციული კულტურა. ინფორმაციული საზოგადოებისათვის პრიორიტეტულია არა საქონლის წარმოება და მომსახურება, არამედ ინტელექტისა და ცოდნის წარმოება და მოხმარება, რასაც ლოგიკურად მივყავართ გონებრივი შრომის წილის ზრდისაკენ. ამ ყველაფერთან ერთად კი იზრდება ცოდნაზე და შემოქმედებით უნარზე მოთხოვნილება. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც ინფორმაცია ძალაუფლება და მოგების ძირითადი წყაროა კომპანიების უმეტესი ნაწილისათვის, ხოლო ინფორმაციული საზოგადოების არსებობა კულტურის მაჩვენებელია. ამიტომ უმნიშვნელოვანესია ორგანიზაციებში ინფორმაციული კულტურის განვითარება და ხელშეწყობა, მოსახლეობაში ინფორმაციული საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ამ კუთხით განათლების პოპულარიზაცია. სტატიაში ყურადღებას სწორედ ამ საკითხებზე გავამახვილებთ.

კულტურა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიტყვაა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე ყოფით მეტყველებაში. მას მრავალი მნიშვნელობა აქვს, რაც განპირობებულია თვით კულტურის ფენომენის სირთულითა და მრავალფეროვნებით.

თანამედროვე მნიშვნელობით, ტერმინი კულტურა XVII საუკუნიდან გამოიყენება. მიჩნეულია, რომ დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის სახით ის პირველად გამოიყენა გერმანელმა იურისტმა და ისტორიკოსმა სამუელ პუფენდორფმა (1632-1694), რომელიც კულტურას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას უპირისპირებდა. ტერმინი კულტურა აღმოცენდა ლათინური სიტყვიდან (kultura), რაც ნიშნავს ნიადაგის დამუშავებას, მის კულტივირებას, ე.ი. აღნიშნავს ბუნებრივ ობიექტში ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეულ ცვლილებას, განსხვავებით იმ ცვლილებებისგან, რაც გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით. სიტყვა კულტურა პრაქტიკულად თითოეული ადამიანის ლექსიკონში გვხვდება, მაგრამ ამ ცნებაში სრულიად სხვადასხვა აზრს დებენ. ერთნი მხოლოდ სულიერი ცხოვრების ფასეულობებს გულისხმობენ, მეორენი - უფრო ავიწროვებენ ამ ცნებას და მიაკუთნებენ მხოლოდ ხელოვნებას, ლიტერატურის ნიმუშებს, მესამენი ზოგადად მოიაზრებენ გარკვეულ იდეოლოგიას.

კულტურა ადამიანის და მისი შემოქმედების ერთობლიობაა. ეს ცნება კონტექსტში „შექმნილს", „არაბუნებრივს" ნიშნავს. კულტურის სამყარო, მისი ნებისმიერი საგანი ან მოვლენა აღიქმება არა როგორც ბუნებრივი ძალების შედეგი, არამედ როგორც შედეგი ადამიანთა ძალისხმევისა, რომელიც მიმართულია უშუალოდ ბუნებისაგან ბოძებულის სრულყოფის, დამუშავებისა და გარდასახვისაკენ, სწორედ ამიტომ კულტურა ადამიანის გარეშე არ არსებობს. დასაბამიდან ის დაკავშირებულია ადამიანთან და აღმოცენებულია იმ მიზნით, რომ მუდმივად მიისწრაფვოდეს თავისი ცხოვრების და მოქმედების მიზნის ძიებისაკენ, საკუთარი თავის და იმ სამყაროს სრულყოფისაკენ, სადაც ცხოვრობს (2, გვ. 34).

კულტურა საზოგადოების წევრ პიროვნებებს აყალიბებს, ამით გარკვეული დოზით მათ ქცევებს არეგულირებს. კლიფორდ გირტცი (1973) კულტურას უწოდებს „მარეგულირებელი მექანიზმების სისტემას, სადაც იგულისხმება გეგმები, მითითებები, წესები, ინსტრუქციები, რომელთა საშუალებებითაც იმართება ქცევები". მას მიაჩნია, რომ კულტურის გარეშე ადამიანებს ამ სამყაროში ორიენტირება გაუჭირდებათ (10, გვ. 17).

კულტურის მოდელებით განუპირობებელი ადამიანების ქცევა, პრაქტიკულად, უმართავი გახდებოდა. ის უაზრო სპონტანურ ქცევებს, შეუკავებელ ემოციებს გაუტოლდებოდა, ადამიანს, ფაქტობრივად, რაიმე გამოცდილება არ დაუგროვდებოდა.

საინფორმაციო საზოგადოებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური და ეკონომიკური ცვლილებები - მათ შორის, ცხოვრების წესი, მოხმარების სტრუქტურა, შემეცნების სახეები და გამოცდილება - კულტურული ცვლილებების თანმხლები გახლავთ.

ინფორმაციულ კულტურაზე და მის საწყისებზე საუბრისას აუცილებელია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ინფორმაციულმა კულტურამ მთელი მსოფლიო შეცვალა. ინფორმაციული კულტურა გამოხატავს ადამიანის ცოდნის იმ დონეს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, თავისუფლად ორიენტირდე საინფორმაციო სივრცეში, მიიღო მონაწილეობა მის ფორმირებაში და ხელი შეუწყო ინფორმაციათა ურთიერთკავშირს. ამავდროულად, ადამიანს შესწევს უნარი, ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღების, დაგროვების, კოდირებისა და გადამუშავების საფუძველზე შექმნას და, პრაქტიკულად, გამოიყენოს თვისებრივად ახალი ინფორმაცია. ინფორმაცია დღითიდღე მნიშვნელოვანი და ფასეული რესურსი ხდება, როგორიცაა ტრადიციული ბუნებრივი, შრომითი თუ ადამიანური რესურსები. ამიტომ ინფორმაციის გადამუშავების პროცესი მატერიალური რესურსების დამუშავების პროცესთან ურთიერთკავშირში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტექნოლოგია.

დასაწყისისთვის იმის გააზრება და აღიარება, რომ კარგ ინფორმაციულ ქცევას შეუძლია გაზარდოს სამუშაო კმაყოფილება (დამწყებთათვის თუნდაც უქმად დახარჯული დროის შემცირება), ურიგო არ იქნებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში ინფორმაციული კულტურის არსებობა, მის განვითარებასა და დახვეწაზე მუშაობა (5, გვ. 775).

ინფორმაციული კულტურის ფორმირება და მისი შემდგომი განვითარება შეუქცევადი პროცესია და ის მიმართულებას აძლევს კულტურას. რაც დრო გადის, ახალი ტექნოლოგიების განვითარების ზეგავლენით, კულტურა შინაარსობრივ სახეცვლილებას განიცდის. ამის ნათელი მაგალითია მასობრივი ინფორმაციული კულტურის ჩამოყალიბება და განვითარება 21-ე საუკუნეში, რომელიც გათვლილია ფართო აუდიტორიაზე და ვრცელდება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით (3, გვ. 15). მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა კაცობრიობის საინფორმაციო კულტურის აკუმულირება მოახდინა. ესაა ყოვლისმომცველი რევოლუცია არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ სოციალური კუთხითაც ადამიანთა აზროვნებაში, მათ შრომასა და დასვენებაში. მასობრივი ინფორმაციული კულტურა გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია და ის რადიკალურად ცვლის ადამიანთა საკომუნიკაციო კულტურას, ახდენს დროისა და ძალისხმევის მინიმიზაციას და აადვილებს ადამიანთა ცხოვრებას. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებით ერ-

თმანეთს დაუკავშირდა სხვადასხვა ქვეყანა, სხვადასხვა დრო, განსხვავებული ეროვნებები და რასები.

კომუნიკაციის თეორეტიკოსთა და მოაზროვნეთა ნაწილი (ჰაროლდ ადამს ინისი და ჰერბერტ მარშალ მაკლუჰენი) თვლის, რომ კაცობრიობის ისტორიაში ძირეული ცვლილებები დაკავშირებულია კომუნიკაციის ახალ ტექნიკურ საშუალებებთან და ტექნოლოგიური (ტექნიკური)რრევოლუცია განსაზღვრავს საზოგადოების ისტორიის განვითარებას (7, გვ. 11). ამ მოსაზრების წარმომადგენლები ცივილიზაციის განვითარებაში სამ პერიოდს გამოყოფენ:

პირველყოფილი - ზეპირსიტყვიერი კულტურა (ბეჭდვის კულტურამდე არსებული პერიოდი), რომელიც დაფუძნებული იყო არსებული რეალობისა და ცხოვრების გააზრების კოლექტიურ პრინციპებზე; საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ეტაპზე კომუნიკაცია ზეპირი საშუალებებით იყო განპირობებული;

მეორე - ბეჭდვითი კულტურის ეტაპი; ამ ეტაპმა საფუძველი ჩაუტარა, თავის მხრივ, ნაციონალიზმის, ინდივიდუალიზმისა და დიდაქტიკის ეპოქას. ამ კულტურის შედეგია „ტიპოგრაფიული და ინდუსტრიული" ადამიანი. რადგან ბეჭდვითი კულტურა გამორჩეული და ელიტური იყო, ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ განათლებული ადამიანებისათვის. ბეჭდვითი კომუნიკაციის სპეციფიკურობა ისაა, რომ შესაძლებელია სმენისა და მხედველობის ცალ-ცალკე არსებობა. ანუ შესაძლებელი გახდა (წა)კითხვა „ჩემთვის". თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამით ზეპირმა დიალოგმა უწინდელი მნიშვნელობა დაკარგა;

და ბოლოს, მესამე ეტაპის ფორმირებაში უდიდესი როლი შეასრულა ელექტრობამ. ელექტრონული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით შესაძლებელი გახდა სივრცისა და მანძილის გადალახვა. ადამიანებს შეუძლიათ მყისიერად დაუკავშირდნენ ერთმანეთს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ეს კი, ჰ. მაკლუჰენის აზრით, სამყაროს გარდაქმნის „ერთ დიდ გლობალურ სოფლად (სივრცედ)" (9, გვ. 45). მსოფლიო შედარებით დაპატარავდა და მის ერთ ბოლოში მიმდინარე ცვლილებებმა და პროცესებმა უშუალო ზეგავლენის მოხდენა დაიწო მსოფლიოს სხვა, მოშორებული კუთხეების არა მარტო ეკონომიკურ, არამედ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. საოცრად დაჩქარდა და გლობალური ხასიათი შეიძინა იდეების გაცვლამ. მე-20 საუკუნეში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მზარდმა განვითარებამ შეცვალა ადამიანების აღქმა და საფუძველი ჩაუყარა ახალი, ვირტუალური სამყაროს ფორმირებას. ელექტრონული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით კვლავ აქტუალური ხდება კოლექტიურობის განცდა და სამყაროს მრავალფეროვანი როგორც ხმოვანი, ასევე ვიზუალური აღქმა. კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები: ტელეგრაფი, რადიო, ტელეფონი, ტელევიზია და კომპიუტერი ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და, შესაბამისად, გავლენას ახდენს და გარდაქმნის ადამიანის ფსიქიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს.

ადამიანის ინფორმაციული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია საინფორმაციო რესურსების ცოდნა (მათი თავისუფლად მიღების შესაძლებლობა). ჩვენს ქვეყანაში ბევრი ორგანიზაცია ჩართულია ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების პროცესში (ბიბლიოთეკები, სტატისტიკური ცენტრები, საინფორმაციო სამსახურები და მედიის წარმომადგენლები).

ამერიკული ბიბლიოთეკის ასოციაციამ ინფორმაციულ წიგნიერებად მიიჩნია ადამიანის ისეთი უნარები, როგორებიცაა: ინფორმაციის იდენტიფიკაცია, მოძიება, შეფასება და საბოლოოდ მისი ეფექტურად გამოყენება (2, გვ. 292).

Н. Х. Насыровой თავის ნაშრომში გამოყოფს ინფორმაციული კომპეტენტურობის შემდეგ განმარტებებს:

○ ცოდნისა და უნარების მიღების ინტერესი, მოტივაცია და საჭიროება ტექნიკურ, პროგრამულ და ინფორმაციულ სფეროში;

- სოციალური, ფიზიკური და ტექნიკური ცოდნის გაერთიანება, რომელიც აისახება თანამედროვე საინფორმაციო სისტემებში;
- ინფორმაციული საფუძვლის კომპონენტების ცოდნა საძიებო, კოგნიტური საქმია-ნობისთვის;
- გზები და ქმედებები, რომელბიც განსაზღვრავს ოპერაციულ საზღვრებს საძიებო, კოგნიტური საქმიანობისთვის;
- საძიებო საქმიანობის გამოცდილება პროგრამული და ტექნიკური რესურსების სფეროში;
- „ადამიანი-კომპიუტერის" ურთიერთკავშირის გამოცდილება.

ინფორმაციულ კულტურაში გამოიყოფა შემდეგი კომპონენტები (6, გვ. 84):

- ინფორმაციის გამოყენების კულტურა (გააზრებულად მოხდეს ინფორმაციის შერჩევა ყოველდღიური ცხოვრებიდან, სიახლეებიდან, ლიდერობიდან გამომდინარე);
- ინფორმაციის ამორჩევის კულტურა (საზოგადოებრივი ცხოვრების ინფორმაციუ-ლი გარემოს სისტემატური მონიტორინგი, ინფორმაციული გარემოს ანალიზის უნარი);
- ძიების კულტურა (შემოთავაზებული ინფორმაციული სერვისების დიაპაზონის ცოდნა, სხვადასხვა საძიებო სისტემის მოძიება, გაცნობა და გამოყენება);
- ინფორმაციის დამუშავების კულტურა (ანალიტიკურ-სინთეზური საქმიანობა);
- ინფორმაციის განვითარებისა და გამოყენების კულტურა (გამოცემები, სამეცნიე-რო ღონისძიებებში მონაწილეობა, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამო-ყენება);
- კულტურის ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის შექმნა;
- კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის გამოყენების კულტურა;
- ინფორმაციასთან ურთიერთობის კულტურა;
- ინფორმაციის გავრცელების კულტურა.

განისაზღვრება ინფორმაციული კულტურის ოთხი ტიპი (8, გვ.175):

- ფუნქციური კულტურა: მენეჯერები იყენებენ ინფორმაციას, სხვებზე ზეგავლენისა და ძალაუფლებისათვის;
- კულტურის გაზიარება: მენეჯერები და დამსაქმებლები ენდობიან ერთმანეთს ინ-ფორმაციის გამოყენებისას, რათა გააუმჯობესონ შესრულების ხარისხი;
- გამოკითხვის კულტურა: ხელმძღვანელები და თანამშრომლები ეძებენ ინფორ-მაციას, რათა უკეთ შეიცნონ მომავალი და ცვლილებების გზები, თუ რა უნდა გააკეთონ სამომავლო ტენდენციების/მიმართულებებისთვის;
- აღმოჩენების კულტურა: ხელმძღვანელები და თანამშრომლები მზად არიან ახა-ლი გამოწვევებისთვის და სიახლეების სწავლისთვის კრიზისებისა და რადიკალური ცვლილებების შესახებ და ეძებენ გზებს, რათა შეიქმნას კონკურენტული უწყვეტობა.

ინფორმაციული კულტურის შესწავლა უნდა მოხდეს ადამიანის ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და ჩვევებიდან გამომდინარე. აღნიშნუ-ლიდან გამომდინარე, პიროვნების ინფორმაციულ კულტურაში შეიძლება გაერთიანდეს კულტურის შემდეგი კომპონენტები (1, გვ. 15-17):

- ინფორმაციის მოძიების;
- ინფორმაციის წაკითხვისა და აღქმის;
- დიდი მოცულობის ინფორმაციული მასივების დამუშავების;
- საკუთარი საძიებო-საცნობარო სისტემების შექმნის;
- პიროვნებათა შორის პროფესიული ურთიერთობების დამყარების;
- კომუნიკაციური კომპეტენტურობის ამაღლებისადმი სწრაფვა;
- თავის თავში სხვისი შეხედულებებისადმი მომთმენლობის უნარის აღზრდა და ცოდნის მიღებისა და გაცემის უნარი;

- ტელესაკომუნიკაციო არხების გამოყენებით ერთობლივი საქმიანობისათვის პარტნიორების მოძიების უნარი;
- უნარი, მკაფიოდ და დამაჯერებლად გადმოსცე საკუთარი საქმიანობის შედეგები.

ინფორმაციის წარმოების, გადაცემისა და მოხმარების პროცესში არსებობს შემდეგი ბარიერები (4, გვ. 1-2):

- **გეოგრაფიული** - ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე პირდაპირპროპორციულ კავშირშია მანძილზე, რომელიც ჰყოფს ურთიერთდაკავშირებულ ობიექტებს;
- **ისტორიული** - ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე, ასევე, პროპორციულ კავშირშია დროის ინტერვალზე, რომელიც ჰყოფს ნებისმიერ მოვლენას და მის შესახებ ცნობებს;
- **საზოგადოებრივ-პოლიტიკური** რეჟიმი - ინფორმაცია, რომელიც მიეკუთვნება გარკვეულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და არ ექვემდებარება გასაჯაროებას, შესაბამისად, საზოგადოების უდიდეს ნაწილს არ აქვს ამ ინფორმაციაზე წვდომა;
- **უწყებრივი** - ინფორმაციის გარკვეული ნაწილი გაურკვეველი მიზეზების გამო დაყოვნდა ზოგიერთი სააგენტოსა და ორგანიზაციის უყურადღებო თანამშრომლების გამო;
- **ეკონომიკური** - ზემოქმედებს მაშინ, როდესაც უსახსრობის გამო ვერ ხერხდება ინფორმაციის ფართოდ წარმოება, გავრცელება და სწავლება, ასევე, კადრების მომზადება;
- **ტექნიკური** - ახალი ტექნოლოგიების ნაკლებობა იწვევს ინფორმაციის მოძიების შეფერხებას და დროის და ძალისხმევის ფუჭად გაფლანგვას;
- **ტერმინოლოგიური** - დღევანდელ დროში უამრავი ტერმინია, რომელთა გაგებაც შესაძლებელია სხვადასხვანაირად და არ არის ყოველთვის ხელმისაწვდომი ფართო სპექტრის ინფორმაციის მომხმარებლებისათვის;
- **ენობრივი** - ინფორმაციის გაცვლისას შეიძლება წარმოიშვას პრობლემა არც ისე ფართოდ გავრცელებულ ენებში;
- **ფსიქოლოგიური** - აქ იგულისხმება ადამიანის თავისებურებები, აღქმის უნარი, მეხსიერება, შეხედულებები და ადამიანის ფსიქოლოგიის სხვა ასპექტები;
- **რეზონანსული** - ინფორმაცია ყოველთვის არ ემთხვევა ინდივიდუალურ საჭიროებებს და არ მოდის მასთან თანხვედრაში.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით ინფორმაციის თავსებადობას, აღმოვაჩენთ არა მხოლოდ ზემოთ მოყვანილ ბარიერებს, არამედ დიდი რაოდენობით წყაროებს, საიდანაც მოსალოდნელია სხვადასხვა ბარიერის წამოქმნა. სახეზეა ინდივიდების სუბიექტური ჩარევა, რომლებიც სპეციალურად ცდილობენ ინფორმაციის დამახინჯებას, ჩანაცვლებას ან განადგურებას, რათა გავლენა მოახდინონ ადამიანების ინტერესებზე და ემოციებზე.

არსებობს ბარიერები, რომლებიც ნებისმიერი სახის ინფორმაციული ზეგავლენის მიუხედავად, მაინც ინარჩუნებენ თავის უარყოფით ღირებულებას. სისტემა მდგომარეობს შემდეგში:

პირველ ბარიერს შესაძლოა ეწოდოს ნიშნების (ენა) ბარიერი. თუ ინფორმაცია მოწოდებულია ისეთი ფორმით, რომელიც მიმღებისათვის გასაგები არ არის და არ შეუძლია ინფორმაციის გაგება, ბარიერის გადასალახად საჭიროა შუამავლის გამოყენება, რომელსაც შეუძლია თარგმნოს ინფორმაციის შინაარსი უცხო (დახურული) ფორმიდან მიმღებისათვის ნაცნობ ფორმაში.

მეორე ბარიერი - წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც ნიშნების ბარიერი გადალახულია და შინაარსი ხელმისაწვდომია. შესაძლებელია ამ ინფორმაციის ყოველთვის გამოყენება ინფორმაციული პროცესების ობიექტად? არ უნდა გამოვრიცხოთ სიტუაცია, როდესაც ყველა (ან თითქმის ყველა) სიტყვა ნაცნობი და გასაგებია, თუმცა ინფორმაციის

მნიშვნელობა მაინც გაურკვეველი დარჩეს იმის გამო, რომ ინფორმაცია ეხება ისეთ საკითხს, რომელიც მოითხოვს დამატებით ცოდნას.

მესამე ბარიერი, როდესაც ნიშნების ბარიერიც გადალახულია და შინაარსიც გასაგებია, მაგრამ არ მიმღები არ ეთანხმება ინფორმაციის შინაარსს.

მეოთხე - სიტუაციური ბარიერი, როდესაც სიტუაცია შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთი, რომ ობიექტმა ვერ შეძლოს ინფორმაციის გამოყენება.

ზემოაღნიშნული ბარიერები გადაულახავი არ არის, მაგრამ საჭიროა სერიოზული მუშაობა, რათა გაანალიზდეს სიტუაცია და დაისახოს მისი გადაჭრის გზები, ასევე, გათვალისწინებულ იქნას მომავალში მსგავსი პრობლემების თავიდან აცილებისათვის.

ინფორმაციის მოძიებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი და ხშირად გამოყენებადი გახლავთ ბიბლიოთეკები, რომლებიც უამრავ ინფორმაციას მოიცავენ თითქმის ყველაფერზე. თუმცა დღეს სულ უფრო იზრდება ინტერნეტრესურსების მომხმარებელთა რაოდენობა, იქმნება ინტერნეტბიბლიოთეკები და არქივები. ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია თითქმის ყველანაირი ინფორმაციის მოძიება და ეს ბევრად უფრო მოხერხებულია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანს არ უწევს ბიბლიოთეკაში წასვლა და სხვადასხვა პროცედურის გავლა. ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია სასურველ ინფორმაციაზე სწრაფად, დისტანციურად წვდომა და შემდგომ მისი სურვილისამებრ გამოყენება. ინფორმაციული კულტურის ცნების მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ ბიბლიოთეკები და საგანმანათლებლო დაწესებულებებიც, რომლებიც ცდილობენ, მომხმარებელი ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიებას შეაჩვიონ. ევროპის უმეტეს ქვეყანაში ბიბლიოთეკები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის მოძიება როგორც წიგნების, ასევე ინტერნეტსაშუალებით. ტარდება სხვადასხვა ტრენინგი და გადასამზადებელი პროგრამები, რათა ადამიანებმა შეძლონ ახალი ტექნოლოგიების ათვისება და მუშაობის პროცესის გამარტივება. რამდენიმე წლის წინ საქართველოშიც დაინერგა პროგრამა, რომელიც მსურველებს საოფისე პროგრამების უფასოდ შესწავლისა და ინტერნეტთან მუშაობის საშუალებას აძლევდა. დღეს ინტერნეტთან და კომპიუტერთან მუშაობის უნარი თითქმის ყველა ადამიანს მეტნაკლებად განვითარებული აქვს. ყველა ცდილობს, განივითაროს კომპიუტერული უნარ-ჩვევები, რადგან ამის გარეშე დღეს რეალურად შეუძლებელია თავის დამკვიდრება. ამ უნარ-ჩვევის არმქონე ადამიანი ყოველთვის ერთი ნაბიჯით უკანაა იმასთან შედარებით, ვინც კარგად ფლობს კომპიუტერს და შეუძლია ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე მოიძიოს სასურველი ინფორმაცია და იყოს ყოველთვის ინფორმირებული. ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, კომპიუტერული განათლება და ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ უნარ-ჩვევების გამოყენება ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

ინფორმაციის გაცვლის საუკეთესო არხების გამოყენება, ღია და გამარტივებული კომუნიკაციების ფორმები, ასევე, ნდობის მაღალი დონე თანამშრომლებში და კარგად აგებული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების უფრო სწრაფ, ეფექტიან წარმართვას, დაქირავებულთა ჩართულობის დონის ამაღლებას და, შესაბამისად, უფრო წარმატებულ საქმიანობას.

თანამედროვე სამყაროში დღითიდღე იზრდება როგორც ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებაზე მოთხოვნილება, ასევე მოთხოვნა იმ კადრებზე, რომლებიც კომპიუტერულ უნარებს ფლობენ, შეუძლიათ ინფორმაციის სწრაფად მოძიება და დამუშავება, რაც საბოლოოდ შედეგზე აისახება. ამავდროულად, იზრდება დამსაქმებლების მოთხოვნილება ამ კუთხით დასაქმებულების მიმართ. ვინც ვერ ფლობს კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, ფაქტობრივად, თავის შესაძლებლობებს სრულყოფილად ვერ იყენებს. დღეს თითქმის ყველა დამსაქმებელი მოითხოვს ელექტრონულ რეჟიმში განაცხადის გაკეთებას ამა თუ იმ ვაკანსიაზე, საოფისე პროგრამების ცოდნას, ინტერნეტში თავისუფლად ორიენტირებას. ამიტომ, უპირატეს მდგომარეობაშია ის, ვინც ამ უნარებს ფლობს, ხოლო ისინი, რომ-

ლებიც, მართალია, საკუთარი საქმის პროფესიონალები არიან, აქვთ შესაბამისი ცოდნა--განათლება, მაგრამ მიეკუთვნებიან ძველ თაობას და ვერ ფლობენ ამ უნარებს, საერთო მასიდან განზე დგანან და ხდება საზოგადოების ფენებად დაყოფა.


ლიტერატურა:

1. ინფორმაციული მენეჯმენტი დამხმარე სახელმძღვანელო/მურთაზ მაღრაძე; რედ. ენვერ ლაგვილავა.
2. Vick, T. E., Nagano, M. S., Popadiuk, S. (2015). Information culture and its influences in knowledge creation: Evidence from university teams engaged in collaborative innovation projects. International Journal of Information Management. 35(3), 292-298.
3. Wright, T. (2013). Information culture in a government organization. Records Management Journal, 23(1), 14-36.
4. Oliver, G. (2011), Organizational Culture for Information Managers. Chandos Publishing.
5. Choo, C.W. (2013). Information culture and organizational effectiveness. International Journal of information management, 33, 775-779.
6. Choo, C. W., Bergeron, P., Detlor, B., & Heaton, L. (2008). Information culture and information use: An exploratory study of three organizations. Journal Of The American Society For Information Science & Technology, 59(5), 792-804
7. Castells, Manuel. The rise of the network society: The information age: Economy, society, and culture. Vol. 1. John Wiley & Sons, 2011.
8. Marchand, D., Kettinger, W., & Rollins, J. (2001). Information orientation: The link to business performance. New York : Oxford University Press.
9. Cameron, K. S., & Quinn, R. E. (2011). Diagnosing and changing organizational culture: Based on the competing values framework . Reading, MA : Jossey Bass.
10. Oliver, G. (2011). Organizational Culture for Information Managers. Chandos Publishing.


# Information Culture


**Sophiko Gelashvili**

***Doctoral student***

***Ivane Javakhishvili Tbilisi State University***



S u m m a r y

Any organization that employs more than one person has a culture and therefore an information culture. Information culture refers to any activity and behavior that is related in any way to knowledge, communication, information and data. We live in an era where information is a major source of profit for most companies. It is therefore not surprising that information culture plays a key role in the successful functioning of organizations.

The aim of the paper is to provide an overview of information culture, the importance and perspectives of its development. The paper demonstrates the importance of raising the organizational culture among employees, which contributes to the successful functioning of the organization itself..



***Keywords:*** *Information Culture, Organization, Organizational Culture, Information Culture in Organizations.*

# აუდიტი და რისკების მართვა

**ნაზი გვარამია**
***ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,***
***ასოცირებული პროფესორი,***
***სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი***

*სამეცნიერო ნაშრომში მოცემულია თანამედროვე ეტაპზე რისკების გამოვლენისა და შეფასების საკითხები აუდიტორულ საქმიანობაში. წარმოდგენილია ზოგადი განმარტებები რისკების შესახებ და განხილულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმა. გაანალიზებულია რისკის შეფასება და აუდიტი, როგორც რისკების შეცნობის ის სისტემური გზა, რომელსაც კომპანიები აწყდებიან თავიანთ საქმიანობაში. მოცემულია რისკის აუდიტის, როგორც კომპანიის შიდა ფუნქციის უპირატესობა, რომელიც კომპანიის მოლოდინისა და ნორმების შესაბამისად, სათანადო ტექნიკური ენის გამოყენებით ჩატარებული შეფასებაა. ნაშრომში გაანალიზებულია რისკის აუდიტის ოთხი სტადია. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ავტორისეული ხედვა, თუ როგორ უნდა აიგოს კომპანიებში რისკის შეფასების სტრუქტურა.*

*საკვანძო სიტყვები: აუდიტი, სტანდარტები, რისკები, შეფასება, მართვა.*

**თანამედროვე ეტაპზე დიდ ინტერესს იწვევს კომპანიებში რისკების შეფასებისა და აუდიტის საკითხები. თეორიულ დისციპლინებში, რომლებიც ორგანიზაციის მართვის საკითხებს ეხება, რისკს ზოგადად განკერძოებულად განიხილავენ, თუმცა, ამავდროულად, ხორციელდება კვლევები იმ მიმართულებით, თუ როგორ უკავშირდება რისკი ორგანიზაციის შიდა საქმიანობას. აქედან გამომდინარე, რისკის მართვაში და კონტროლის მართვის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, ხოლო შიდა კონტროლი, თავის მხრივ, კორპორაციული მართვის მნიშვნელოვანი ნაწილი. თუ ჩვენ მხოლოდ სინანულით, უმოქმედოდ ვაკვირდებით წარსულში მომხდარ მოვლენებს და არაფერს ვცვლით, შიდა კონტროლის სისტემამ შეიძლება ვერ შეძლოს რისკების სათანადოდ გაკონტროლება. ამიტომ, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია, ორგანიზაციამ შეიცნოს და რაოდენობრივად შეაფასოს ის რისკები, რომლებსაც აწყდება თავის საქმიანობაში.**

**ზემოთ აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში ყურადღებას დავუთმობთ სწორედ რისკების შეფასების ძირითად ასპექტებს.**

**როგორც ცნობილია, არსებობს ზოგადი წარმოდგენა რისკის შესახებ და, შესაბამისად, საზოგადოებაც შემოიფარგლება გარკვეული ცოდნით აღნიშნული საკითხის გარშემო. კერძოდ, რისკის ერთ-ერთი ქმედითი და პრაქტიკული განმარტება შემდეგია: „რისკი არის არარეალიზებული სამომავლო ზარალი, რომელიც წარმოიქმნება მიმდინარე პერიოდის რომელიმე ქმედებიდან ან უმოქმედობიდან“. საშუალოდ, უკუგება (მოგება) არის რისკის ფუნქცია. „რისკის წილი“ ფულადი საშუალებები ის საშუალებებია, რომელთაც დიდი რაოდენობის შესაძლო შედეგი შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ ყველაზე დიდი უკუგების მიღების შესაძლებლობა უნდა იყოს საუკეთესო სცენარი, რომელიც მოცემულ სიტუაციაშიშეიძლება გათამაშდეს (მაგალითად, ინვესტიციის დაბანდება კომპანიებში). რისკი აუდიტის მნიშვნელოვანი ფაქტორია და ის ორ კატეგორიად იყოფა: [1]**

- **კონკრეტული დავალების რისკი (ე.წ. აუდიტორული რისკი);**
- **ბიზნესის (კომპანიის) რისკი, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ დამკვეთთან და შეიძლება თანდაყოლილი რისკის ნაწილი იყოს, აქედან გამომდინარე კი, გავლენას იქონიებს აუდიტზე.**

რისკი აუდიტორულ საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი საკითხია. აუდიტის ჩატარების ყველაზე მეტად გავრცელებული მიდგომა გულისხმობს ამ რისკების შეცნობას.

უდიტის საერთაშორისო სტანდარტებში (ასს 300) „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა" აღნიშნულია: „აუდიტორის მიზანია, იმგვარად დაგეგმოს აუდიტი, რომ ის, რაც შეიძლება ეფექტიანად ჩატარდეს". აღნიშნული სტანდარტი ეხება ორ დოკუმენტს: აუდიტის საერთო სტრატეგიას და აუდიტის გეგმას. უდიტის საერთო სტრატეგიის დოკუმენტში ზოგად ასპექტებშია ჩამოყალიბებული, თუ როგორ ჩატარდება აუდიტი. შესაბამისად, აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: [2]

გარიგების (დავალების) სპეციფიკა;

❖ მოცემული გარიგების საანგარიშგებო მიზნები, აუდიტის ვადები და საჭირო ინფორმირების ხასიათი;

❖ მნიშვნელოვანი ფაქტორები, გარიგების გაფორმებამდე ჩასატარებელი წინასწარი სამუშაოების შედეგები და მოცემული დამკვეთისათვის შესრულებული სხვა გარიგებებიდან მიღებული ცოდნა და გამოცდილება;

❖ მოცემული გარიგების შესასრულებლად საჭირო რესურსების ხასიათი, მოცულობა და მათი გამოყენების დროის განსაზღვრა.

აუდიტის გეგმაში დეტალიზებულია კონკრეტული პროცედურები, რომლებიც უნდა შესრულდეს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და აუდიტის ჩასატარებლად. შედარებით მცირე მასშტაბის კომპანიებში, სავარაუდოდ, აუდიტის სტრატეგია წარმოდგენილი იქნება მოკლე ჩანაწერების სახით, ხოლო აუდიტისგეგმა – აუდიტის რამდენიმე სტანდარტული ადაპტირებული პროგრამით. უდიტის სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტში აღწერილი იქნება აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება მტკიცებულებების შესაკრებად. ერთ-ერთ ძირითად ასპექტს ამ მიმართულებით წარმოადგენს რისკზე დაფუძნებული აუდიტი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს აუდიტის ჩატარების ისეთი მეთოდიკის შემუშავებას, რომელიც განკუთვნილია აუდიტში რისკის ფაქტორებზე რეაგირებისათვის. ამ შემთხვევაში აუდიტორები პროფესიულ განსჯას მიმართავენ იმის დასადგენად, თუ რა დონის რისკი უკავშირდება დამკვეთის სისტემის სხვადასხვა სფეროს, რის საფუძველზეც გეგმავენ შესაბამის აუდიტორულ ტესტებს.

ზემოთ აღნიშნულმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ აუდიტორების განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული იქნება ფინანსური ანგარიშგების ისეთ სფეროებზე, სადაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი უზუსტობების არსებობა, რაც ცხადია, შეცდომების გამოვლენის ალბათობას ზრდის და, ამავდროულად, ამცირებს ზედმეტი დროის ხარჯვას „უსაფრთხო" სფეროების ტესტირებაზე. რისკზე დაფუძნებული აუდიტის ტექნიკის ფართოდ გამოყენებას განაპირობებს ორი ფაქტორი:

❖ სამეწარმეო გარემოს მნიშვნელოვანი და მუდმივად მზარდი ტენდენცია, თავის მხრივ, ზრდის თაღლითობისა და უზუსტობების წარმოქმნის შესაძლებლობებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: კომპიუტერული სისტემების ფართოდ გამოყენება და კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ზრდა;

❖ აუდიტის დამკვეთების ზეწოლის გაძლიერება აუდიტორებზე, რაც გულისხმობს პროფესიული მომსახურებისათვის ანაზღაურების დაბალ ტარიფებს, ხოლო მომსახურების ხარისხის მაღალ დონეს.

შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელსაც აპროექტებს და ნერგავს კომპანიის ზედა რგოლების ხელმძღვანელი პერსონალი, რომლებიც სწორედ იმ მიზნით არიან დანიშნულნი, რომ ეფექტიანად მართონ კომპანია. დაკისრებული პასუხისმგებლობის შესასრულებლად, მენეჯერებმა უნდა წარმოადგინონ იმის გარანტია, რომ კომპანიაში მოქმედებს კორპორაციული მართვის მკაცრი პრინციპები და მათ აქვთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ კომპანია მუშაობს შეთანხმებული სტრატეგიის ანუ დასახული მიზნების შესა-

ბამისად. მაგალითად, კორპორაციული მართვის პრინციპების ერთ-ერთი მოთხოვნა მდგომარეობს შემდეგში: კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ:

❖ კომპანიაში არსებობს ფინანსური ანგარიშგების მომზადების საიმედო პროცესი და ეს პროცესი ეფექტიანად მუშაობს;

❖ მიღწეული იქნება მომსახურების დასახული დონეები;

❖ ყველა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნა შესრულდება.

შიდა კონტროლის დანიშნულებაა, მინიმუმადე დაიყვანოს რისკები, რომელსაც კომპანია ექვემდებარება და თუ რისკები მაინც წარმოიქმნება, ეს ხელს ვერ შეუშლის კომპანიას სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს 315) - „არსებითი უზუსტობების რისკების გამოვლენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით" – აღნიშნულია: „აუდიტორის მიზანია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების გამოვლენა და შეფასება ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ასევე, მტკიცების დონეზე, სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის, მისი შიდა კონტროლის შესწავლის გზით, რისი საშუალებითაც უზრუნველყოფს საფუძველს არსებითი უზუსტობის შეფასებული რისკების მიმართ საპასუხო ქმედებების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის". ამ მიზნის მისაღწევად აუდიტორს მოეთხოვება რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარება, რომელიც უნდა მოიცავდეს:

❖ ხელმძღვანელობის გამოკითხვას;

❖ ანალიზურ პროცედურებს;

❖ დაკვირვებასა და დათვალიერებას.

შიდა კონტროლი მოიცავს კონტროლის ყველა სფეროს და მოითხოვს რომ აუდიტორმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას სამეურნეო სუბიექტის შიდა კონტროლის გარემოს შესახებ. სტანდარტში გამოყენებული ტერმინოლოგიის თანახმად, შიდა კონტროლი ხუთი ელემენტისგან შედგება:

❖ კონტროლის გარემო;

❖ სამეურნეო სუბიექტის მიერ გამოყენებული რისკის შესაფასებელი პროცესი;

❖ საინფორმაციო სისტემა, მათ შორის, მასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების შესაფერისი ბიზნესპროცესები და ინფორმირება;

❖ მაკონტროლებელი საქმიანობა;

❖ კონტოლის პროცედურების მონიტორინგი.

სამეურნეო სუბიექტის შესახებ ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, აუდიტორმა უნდა შეისწავლოს, ერთი მხრივ, შიდა კონტროლის სტრუქტურა, რათა გაიგოს, რომ ის ეფექტურია არსებითი უზუსტობის თავიდან აცილების და/ან გამოვლენის თვალსაზრისით; მეორესმხრივ, ხორციელდება თუ არა პრაქტიკულად მაკონტროლებელი საქმიანობა, რათა დარწმუნდეს, რომ მოცემული პერიოდის მანძილზე სათანადოდ მუშაობდა კონტროლის სისტემა. [6]

რისკის შეფასება და აუდიტი არის იმ რისკების შეცნობის სისტემური გზა, რომელსაც კომპანია აწყდება თავისი საქმიანობის პერიოდში. იმის გამო, რომ დიდი რაოდენობის და მრავალი ტიპის რისკები არსებობს, ლოგიკურია რისკის შეფასება და მისი აუდიტი რთული და კომპლექსური პროცესი იყოს. ფინანსური აუდიტისგან განსხვავებით, რისკის აუდიტის ჩატარება კომპანიებისათვის სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთ მაღალ დონეზე რეგულირებად სექტორებში (მაგალითად, როგორიცაა საბანკო საქმე და საფინანსო მომსახურება), ბევრ ქვეყანაში გარკვეული ფორმით, რისკის შეფასება და აუდიტი სავალდებულოა. ზოგიერთი კომპანია იწვევს შიდა რისკების სპეციალისტებს რისკის „შიდა" აუდიტის ჩასატარებლად, სხვა შემთხვევაში ამ

ფუნქციას გარე კონსულტანტები ასრულებენ. ცხადია, ორივე მიდგომას გააჩნია როგორც უპირატესობები, ასევე, ნაკლოვანებები.

რისკის აუდიტის, როგორც კომპანიის შიდაფუნქციის უპირატესობა ისაა, რომ აუდიტორები, სავარაუდოდ, კარგად იცნობენ აღნიშნულ კომპანიას, მის სისტემებს, პროცედურებს, მარეგულირებელ გარემოსა და კულტურას, რაც გულისხმობს კომპანიის მოლოდინისა და ნორმების შესაბამისად, საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, სათანადო ტექნიკური ენის გამოყენებით ჩატარებულ შეფასებას. ნაკლოვანება კი გამოიხატება ისეთი საფრთხეების წარმოქმნაში, როგორიცაა: დამოუკიდებლობის შელახვა და ზედმეტი ინფორმირებულობით განპირობებული თავდაჯერილობა. ამ მიზეზით კომპანიები ამჯობინებენ, რისკის შეფასება და აუდიტი გარე მხარეებს მიანდონ.

რისკის ნებისმიერი ტიპის აუდიტს (შიდას თუ გარეს) ოთხი სტადია ახასიათებს:

- რისკის დადგენა;
- შეფასება;
- მიმოხილვა;
- ანგარიშის მომზადება.

რისკის აუდიტის პირველი ეტაპია რისკების დადგენა. რისკების წარმოშობასა და არსებობას განაპირობებს კომპანიების საქმიანობის ცვალებადი ბუნება, ასევე, იმ გარემოს მუდმივი ცვალებადობა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ახალი რისკები ჩნდება და ძველი ქრება, ამიტომ, ცხადია, რისკების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომპანიებისათვის, რომლებიც ცვალებად და არაპროგნოზირებად გარემოში ფუნქციონირებენ. [5]

შემდეგი ეტაპი რისკის შეფასებაა. ნებისმიერი გამოვლენილი რისკი უნდა შეფასდეს ორცვლადთან მიმართებით: რისკისრეალიზების (მატერიალიზების) ალბათობა და რისკის გავლენა, ანუ რა შედეგი ან საფრთხე მოჰყვება, თუ რისკი რეალიზდება. ეს არის ორი საინტერესო კოორდინატთა ღერძი, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ალბათობის/გავლენის წერტილების კოორდინატების დასადგენად და ინდივიდუალური რისკის ქცევის შესახებ თეორიული წარმოდგენის შესაქმნელად. „თეორიული", რადგან ზოგჯერ შეუძლებელია საკმარისი ინფორმაციის მოპოვება რისკის შესახებ, რათა მისი გავლენის და/ან ალბათობის ზუსტი სურათი მივიღოთ. რისკის შეფასების ასეთი სტრატეგია გამოიყენება მრავალ სიტუაციაში, აქციების პორტფელის მართვით დაწყებული ინტერნაციონალურ სტრატეგიულ კურსზე რისკების გავლენის შესაცნობად. რისკის აუდიტის ჩატარებისას აუდიტორი განიხილავს ყველა ღონისძიებას, რომელიც კომპანიამ გაატარა თითოეულ გამოვლენილ და შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის.

მიმოხილვის სტადიაზე აუდიტორი აანალიზებს კონტროლის იმ საშუალებებს, რომლებიც კომპანიას აქვს იმ შემთხვევისათვის, თუ რისკი მატერიალიზდება. მაგალითად, როდესაც აუცილებელია, აუდიტორმა შეიძლება შეამოწმოს დაზღვევა და მისი პირობები, თუ რა დონეზეა რისკის პორტფელი დივერსიფიცირებული და ნებისმიერი სხვა კონტროლის საშუალება, რომელიც რისკთან არის დაკავშირებული. რისკებისათვის, რომელიც კომპანიასთავის თავზე აქვს აღებული, აუდიტორი ამოწმებს იმ ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანობას (როგორიცაა, მაგალითად, ევაკუაცია, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება და ა.შ.), რომლებიც მაშინ გატარდება, როდესაც რისკი მატერიალიზდება. მიმოხილვა უნდა იყოს არსებითი ამოცანა, რადგან თითოეულ შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის გატარებული ღონისძიება მიმოხილვის ნაწილია და შეიძლება პრაქტიკაში ბევრი რისკი იყოს განსახილველი.

ფინალურ ეტაპზე მიმოხილვის შედგების მიხედვით დაიწერება ანგარიში და გადაეცემა დამკვეთს, რომელიც ხშირად წარმოადგენს ხოლმე თავად იმ კომპანიის საბჭოს, რომლის აუდიტიც ტარდება. ხელმძღვანელობას სჭირდება ინფორმაცია, ძირითადი რისკების დონის შესახებ (კერძოდმ რისკები, რომელთაც წარმოშობის დიდი ალბათობა გააჩ-

ნიათ; რისკები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ და განსაკუთრებით ისეთი რისკები, რომელთაც გააჩნიათ დიდი ალბათობაც და გავლენაც), რისკების შეფასება და სახეზე არსებული კონტროლის საშუალებების ეფექტიანობა. ნათელია, რომ ნებისმიერი არაეფექტური კონტროლის საშუალება ანგარიშის ძირითადი კომპონენტი იქნება და მათ დაუყონებლივ უნდა მიაქციოს ყურადღება ხელმძღვანელობამ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომში შევეცადეთ, გადმოგვეცა რისკების შეფასების და აუდიტის ზოგადი მიმოხილვა, საკვანძო საკითხები და წარმოგვედგინა წინადადებები, თუ როგორ უნდა აიგოს კომპანიებში რისკების შეფასების სტრუქტურა მათი საქმიანობის შესაბამისად. ჩვენი აზრით, გონივრული იქნება სეგმენტირება კომპანიების სპეციფიკიდან გამომდინარე. აუდიტორული საქმიანობის საერთაშორისო პრაქტიკა და არსებული ტენდენციები, კერძოდ, რისკების შეფასების და აუდიტის სფეროში დაგროვილი დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიზნესის სფეროში კომპანიების საქმიანობის სწორად დაგეგმვას, რისკების სწორად შეფასებას, შიდა კონტროლის სისტემის დახვეწას, რაც, ცხადია, იქნება ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი.


**ლიტერატურა:**

1. ნ. გვარამია, ნ. ძიმცეიშვილი. აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობის ზოგიერთი ასპექტი. ევროპის სამეცნიერო ფონდის ინოვაციის ინსტიტუტი, XII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება და ეკონომიკა", პირველი პოლონურ-უკრაინული ფორუმი. ორგანიზატორები - პოლონეთის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტრო, კუიავო-პომორსკის ვოევოდსტვოს, ევროპული ინტეგრაციის რეგიონული ცენტრი და ქ. ვლოცლავეკის მერია. 21-24 მაისი, ვლოცლავეკ-კანიევო, პოლონეთი, 2015.წ.გვ. 291-295
2. ACCA წიგნი P7. აუდიტი დამარწმუნებელი მომსახურება (საერთაშორისო პროგრამა, უმაღლესი დონე). სახელმძღვანელო, თარგმნილი საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) მიერ, 2010 წ.
3. ნ. გვარამია. აუდიტის მსოფლიო კონცეფციები და განვითარების ტენდენციები საქართველოს საბანკო სექტორში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 6-7 აპრილი, თბილისი, 2012 წ.
4. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. ჟ. ბუღალტრული აღრიცხვა, #11, თბილისი, 2010 წ.
5. საქართველოს კანონი შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ. 2010 წ. 26 მარტი, თბილისი.
6. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ. ქუთაისი, 8 ივნისი 2016 წ. N5386-II ს
7. А. Кушнареев. Журнал «Аудит»; #2-3, 2011 г.


## Audit and risk management


**Nazi Gvaramia**



Summary

The scientific work highlights the role and importance of tourism as one of the priority directions in the 21st century. It as the quite profitable field of world economy has become an important factor of successful development of the national economy and business of our country. Development of tourism is directly connected to social, cultural, educational and economic spheres, and at the same time it greatly stipulates economic relation between states. Hence, the sphere mentioned in the studies is characterized as an interfiled complex which simultaneously

fulfils double (both entrepreneurial and non-entrepreneurial) function in a country's economy. High multiplicative effect is characteristic to tourism. It can equalize the levels of development of economy in different regions. Somehow, development of tourism plays a role of stimulator (a catalyst). That is why this field, in comparison with other fields of economy, can bring more important positive social-economic effect.

The work gives us the analysis of the mechanisms of effective functioning of travel agencies from the view of registry, risk evaluation and audit; in particular, the elements of internal control, the requirements of international standards of audit are presented and the advantage of audit of risks as of internal performance of a company is given, correspondingly, this means the evaluation carried out considering company's expectations and norms, following legislative requirements, using a proper technical language. Four stages are characteristic to any type of audit (internal or external) of risk. According to the above mentioned, in our opinion, the issues of risk evaluation and audit in travel agencies attract great interest which is highlighted in the presented scientific work. The studies are about the existed general approaches to risks and one of the practical explanations is analyzed, accordingly, returnas the description of the function of risks and the best scene of possibilities of its making is presented.

As the world politics show, with the purpose of enhancement of a country's social-economic development as well as providing effective performance of separate economic subjects, the stability of a country's economic system is of great importance. One of the prerequisites of this is the creation of the system of risk evaluation and audit. Without this system it is impossible to develop economy. Hence, we think the application of the above mentioned system in travel agencies in Georgia will guarantee their effective performance.

***keywords:*** *audit standards, risk, assessment, management.*

# Impact of COVID-19 on Consumer Behavioral Economics

**Tamara Gvenetadze**
***Ph. D. student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University***
***Faculty of Economics and Business***

*The motive behind this work is to discuss the latest global panic buying behavior of customers. Factors such as what are the reasons of panic buying? What is the cause of unusual buying behavior? What could be economic effects of panic buying will be highlighted. Panic buying is considered to be a behavior marked by a rapid growth in purchased amounts by customers. The negative outcomes of panic buying is the creation of uncontrollable demand leading to the shortage of supply thus typically causing the price increase.*

*Key words:* *Panic buying, Coronavirus COVID-19 pandemic, Shortage, Demand, E-commerce.*

The world is currently facing a major health concern. On March 12, 2020 the World Health Organization has officially declared the outbreak of coronavirus disease COVID-19 as pandemic.

The worldwide spread of the disease in rapid terms has caused a noticeable change in consumer behavior worldwide. One such shift is expressed in consumer behavior of panic buying.

Left alone with the fear of the rapidly spreading coronavirus a change in consumer behavior was inevitable and they commenced making purchases of frequently consumed items in large volumes. Consumers were stocking up goods in the fear of not being able to purchase them other time, possible increase in selling price of the product or due to the fact that products would disappear from the market at all.

The nature of consumer buying behavior has been researched by numerous scholars throughout the years. It has been concluded that buying behavior is highly influenced by emotional factors (Leverin&Liljander, 2004; Yu &Bastin, 2010).

The above has opened a new world of opportunities for the companies operating in the fields of healthcare, personal care items, hygienic and cleaning product categories, just to mention a few. While some companies now have products in high demand, others are struggling to find ends and reach some sales.

As for the revenues of companies producing the products that have high demand at current stage, of course it spikes revenues right now but it is unlikely to continue in the long run since the demand is created due to the present pandemic situation that will reach its decline. If customers will notice that, the amount of their stock has reached ridiculous volumes they will simply just stop buying until their stock runs out and only after it make further purchases.

Problems of supply chain management and product allocation in retail stores could urge consumers to panic buying. Retailer decisions about imposing purchasing quotas can help in managing the demand. For example, in Australia consumers had to experience the shortage of consumer products and after this fact limitation was set to the amount of hygienic items that could have been purchased by a customer. Retailers in U.K. have limited sales of hand sanitizer products per customer.

Panic buying can sometimes be considered as sensible because consumers get afraid after noticing empty shelf spaces in stores and get the fear that other customers will be first to obtain the products thus it explains the reason why they want to rush to the stores and stock up the essential items. Studies researching consumer behavior outline the importance of attitudes, perceptions and motivation of consumers (Haq&Abbasi, 2016).

Panic buying caused by the global pandemic is the reason of the worldwide change in consumer behavior leading to increase of demand on canned food, bottled water, medical masks, hand sanitizers and even toilet paper from the side of consumers. Customers are buying adequate products in order to protect themselves and stay healthy in current conditions.

In the period of national lockdowns when consumers are advised to stay home for the sake of human welfare, E-commerce gains more and more importance. Quarantine restrictions are keeping consumers away from the traditional channels and retailers, thus opening new gates for the companies engaged in e-trade.

As the impact of coronavirus continues to unfold it is necessary for the companies to research the market needs of customers, control supply and demand and provide superior value to the customers. Due to the coronavirus, consumers as well as the manufacturers are facing complex challenges. Interest towards behavioral economics stays to be an actual topic. In order to avoid the negative effects of panic buying and protect the customers it is recommended to take into consideration the main aspects of "rational expectancy" doctrine principles (Silagadze A., Atanelishvili T., Silagadze N. (2010).

Time will pass and coronavirus pandemic will have been long gone but the world will be left with totally new trends of consumer behavior since customers all around the world will change their usual buying habits. Thus, companies should be flexible and must manage to adapt to the environmental changes. Since context and pattern in which people live changes, companies should search for new and innovative ways of selling and adding value for consumers.

**References:**


1. Haq, M., & Abbasi, S. (2016). Indirect impact of hedonic consumption and emotions on impulse purchase behavior: A double mediation model. Journal of Management Sciences, 3(2), 108–122.https://doi.org-/10.20547/jms.2014.1603202 [Crossref], [Google Scholar]
2. Leverin, A., & Liljander, V. (2004). Journal of business & Industrial marketing. Journal of Business & Industrial Marketing Management Decision International Journal of Bank Marketing Iss Journal of Product &amp Brand Management, 19(11), 5–14.
3. Silagadze A., Atanelishvili T., Silagadze N. (2010). Economic Doctrines. Georgian National Academy of Sciences. Tbilisi. (In Georgian).
4. World Health Organization (2020). Global research on coronavirus disease: https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/global-research-on-novel-coronavirus-2019-ncov
5. Yu, C., & Bastin, M. (2010). Hedonic shopping value and impulse buying behavior in transitional economies: A symbiosis in the Mainland China marketplace. Journal of Brand Management, 18(2), 105–114.https://doi.org/10.1057/bm.2010.32 [Crossref], [Google Scholar]


## COVID-19-ის გავლენა მომხმარებლის ქცევით ეკონომიკაზე


**თამარა გვენეტაძე**

*თსუ-ის დოქტორანტი*



რ ე ზ ი უ მ ე

ნაშრომში „COVID-19-ის გავლენა მომხმარებლის ქცევით ეკონომიკაზე", განხილულია მომხმარებლის ქცევასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, პანიკური ყიდვითი ქცევა და მასზე მოქმედი ფაქტორები. ნაშრომში საუბარია კორონავირუსის გლობალურ პანდემია-ზე, რომლის გამოჩენის შედეგად გარდაუვალი აღმოჩნდა მომხმარებლის ქცევის შეცვლა ბა-

ზარზე გაჩნდა განსხვავებული ტიპის მოთხოვნები - გაიზარდა საბაზრო მოთხოვნა ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების მიმართ. მოთხოვნის მკვეთრად ზრდამ ბაზარზე სიმცირე წარმოშვა, რამაც საბაზრო ფასების ზრდაზე იქონია გავლენა. ქცევითი ეკონომიკის შესწავლა კვლავ არ კარგავს აქტუალობას. შესაბამისად, ავტორი ურჩევს კომპანიებს, ბაზარზე გამოჩენილი სრულიად ახალი შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებას, აგრეთვე, ბაზრის შესწავლას და მომხმარებლებისათვის საუკეთესო ფასეულობის შექმნასა და მიწოდებას. ავტორის აზრით, კორონავირუსის პანდემიასთან გამკლავების შემდეგ მომხმარებლებს დარჩებათ შეცვლილი ქცევა, გაუჩნდებათ ახალი მისწრაფებები და კომპანიები ამ ახალ გამოწვევებს უნდა გაუმკლავდნენ. მრავალი კომპანიისათვის საჭირო გახდება ინტერნეტვაჭრობის პროცესის დანერგვა და მართვა, რადგან მომხმარებლების მხრიდან მოთხოვნა აღნიშნული სერვისის მიმართ მზარდია.

***საკვანძო სიტყვები:*** *მომხმარებლის ქცევა, კორონავირუსი COVID-19, პანიკური ყიდვა, მოთხოვნა, ელექტრონული კომერცია.*

# რა განასხვავებს კათოლიციზმსა და პროტესტანტობას მართლმადიდებლობისაგან (ეკონომიკური ასპექტი)

**ირინა გოგორიშვილი**
***თსუ-ის ასოცირებული პროფესორი***

*ნაშრომში განხილულია ის ძირითადი განსხვავება, რომელიც კათოლიკურ, პროტესტანტულსა და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის არსებობს, რაც განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკაზე აღმსარებლობის ზემოქმედების შედეგებს. კვლევაში დახასიათებულია მაქს ვებერის მოსაზრებები პროტესტანტული ეთიკის შესახებ, რომელმაც ხელი შეუწყო კაპიტალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის სწრაფ განვითარებას. გაანალიზებულია უთანასწორობის ტენდენცია მსოფლიოში და მისი შეზღუდვის აუცილებლობა საქართველოში.*

*საკვანძო სიტყვები:* *მართლმადიდებლობა, პროტესტანტიზმი, კათოლიციზმი, მაქს ვებერის პროტესტანტული ეთიკა, ქრისტიანობის ზემოქმედება ეკონომიკაზე.*

**დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანულ არეალის საერო ცხოვრებაში არსებულმა ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტებმა (რომლებიც ბიზანტიის იმპერიის ჩამოყალიბებამ და გაძლიერებამ კიდევ უფრო გააღრმავა) ქრისტიანულ ეკლესიაში განხეთქილება გამოიწვია. სწორედ ამ პროცესმა და მოვლენებმა ჩამოაყალიბეს კათოლიციზმი. იგი „პაპი ცეზარიზმის" პოლიტიკური სისტემის ხელშემწყობი და დამაარსებელია. ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ავტორი წერს ეკონომიკის თეორიისა და მართლმადიდებლური (ქრისტიანული) სწავლების პარალელებზე [1-21].**

**მართლმადიდებლობა განსხვავდება კათოლიციზმისაგან და მითუმეტეს პროტესტანტიზმისგან. ამავდროულად, კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს განსხვავება საკითხის ფილოსოფიისა და პრაქტიკული მხარის თვალსაზრისით, დაწვრილებით განხილვას მოითხოვს. განსხვავება ეკლესიებს შორის არსებობს სიმბოლიკის ტრადიციებისა და დოგმატურ ნაწილებში, რაც ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტების შედეგად წარმოიშვა. განხილვა წარმოქმნილი განსხვავებებისა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისინი საზოგადოების კულტურის (საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემის) საფუძველია, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ ინტერესთა წარმომქმნელია. ჩვენ განვიხილავთ ძირითად და მთავარ განსხვავებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ნაციონალური ეკონომიკური განვითარების ისტორიას. განხილვას ვიწყებთ უმნიშვნელოვანესი საკითხით, რადგან მის საფუძველზე განხორციელდა ქრისტიანული ეკლესიის წიაღში განხეთქილება.**

## „Filioque"

**ძირითადი დოგმატური განსხვავება კათოლიკურსა და მართმადიდებლურ ეკლესიებს შორის არსებობს Filioque-სთან (Filioque -„და ძე" ლათ.) დაკავშირებით. ის არის დამატება ლათინურიდან რწმენის სიმბოლოს თარგმანისთვის, რომელიც მიიღო დასავლურმა (რომის) ეკლესიამ XI საუკუნეში წმინდა სამების დოგმატისთვის სულიწმიდის გარდმოსვლის შესახებ არა მხოლოდ მამა ღმერთისგან, არამედ „მამისაგან და ძისაგან".**

**პაპმა ბენედიქტ VIII-ემ 1014 წელს „Filioque" რწმენის სიმბოლოში ჩართო, რითიც მართლმადიდებელ თეოლოგთა აღშფოთება გამოიწვია. სწორედ „Filioque" გახდა განხეთქილების საფუძველი, რასაც საბოლოოდ 1054 წელს ქრისტიანული ეკლესიის გაყოფა მოჰყვა. ამ მოვლენამ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ერთმანეთს დააშორა ქრისტიანული აღმსარებლობის მქონე ადამიანები და შეზღუდა მათი შესაძლებლობები ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. საქართველოსთვის ეს განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა. პრობლემის მოხსნა ეკონომიკური და პოლიტიკური (სამხედრო) ურთი-**

ერთდახმარებით იყო შესაძლებელი, რასაც გენიალური ქართველი მოაზროვნე სულხან-საბა ორბელიანი ეცადა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ამ სარბიელზე (სწორედ რელიგიური დაპირისპირების გამო) ფიასკო განიცადა. ბიზანტიის იმპერიამ რამდენიმე საუკუნე მართლმადიდებლურ კულტურულ-ეკონომიკურ არეალში განვითარების სტიმულირებისა და რეგულირების ფუნქცია შეასრულა, მაგრამ მისი დაცემის შემდეგ ეს არეალი საყრდენგამოცლილი აღმოჩნდა და ქრისტიანული კულტურული და ეკონომიკური განვითარებისთვის სრულიად უცხო და მიუღებელი ეკონომიკური ინტერესების ზეწოლის სარბიელი გახდა. მეოცე საუკუნემდე საქართველო ევროპელთა ეკონომიკური ინტერესებისთვის ნაკლებად საინტერესო იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რადენიმე უცხოელმა მოგზაურმა (მისიონერებმა) პოლიტიკური დაკვეთით მაინც შექმნეს საინტერესო ნაშრომები. (22).

თანამედროვე კათოლიკურ თეოლოგიაში დამოკიდებულება „Filioque“-ს მიმართ მნიშვნელოვნად შეიცვალა. 2000 წლის 6 აგვისტოს კათოლიკურმა ეკლესიამ გამოაქვეყნა დეკლარაცია „Dominus Jesus”. ამ დეკლარაციის ავტორი იყო იოზეფ რატცინგერი, შემდგომში პაპი ბენედიქტ XVI. ამ დოკუმენტის შესავალი ნაწილის მეორე აბზაცში მოყვანილ ტექსტში რწმენის სიმბოლოს რედაქცია მოცემულია „Filioque“-ს გარეშე. თარგმანში ქართულ ენაზე ასეა ჩამოყალიბებული: „....და სული, უფალი და სიცოცხლის მომნიჭებელი, რომელიც **გამომდინარეობს მამისაგან** და რომელსაც მამასა და ძესთან ერთად უნდა ვცეთ თაყვანი და ვადიდოთ, რომელიც წინასწარმეტყველთა მეშვეობით გვამცნობდა...“ („...I believe in the Holy Spirit, the Lord, the giver of life, who proceeds **from the Father**. With the Father and the Son he is worshipped and glorified.ლათინურად: „Et in Spiritum Sanctum, Dominum et vivificantem, **qui ex Patre procedit**, qui cum Patre et Filio simul adoratur et conglorificatur, qui locutus est per prophetas...“). (23).

ამავდროულად, უნდა აღვნიშნოთ, რომ დეკლარაციას არ მოჰყვა არც ერთი ოფიციალურად (საეკლესიო კრებაზე) შეთანხმებული გადაწყვეტილება. ამიტომ სიტუაცია „Filioque"-სთან დაკავშირებით არ შეცვლილა. სამაგიეროდ შეიცვალა დამოკიდებულება ევროკავშირის ქვეყნებისა საქართველოს მიმართ, რაც გამოიხატა და დადასტურდა 2014 წლის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA).

**მთავარი განსხვავება** მართლმადიდებლურ ეკლესიასა და კათოლიკურ ეკლესიას შორის არის ის, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურია იესო ქრისტე, ხოლო კათოლიციზმში ეკლესიას სათავეში უდგას იესო ქრისტეს ნაცვალი, მისი ხილული მმართველი (Vicarius Christi) რომის პაპი. რომის პაპის ძალაუფლება საყოველთაოა და უნიტარულ ხასიათს ატარებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, რომის პაპის წარმომადგენელი კარდინალი შვეიცარიაში გამართულ მ. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის მოლაპარაკებას ესწრებოდა. მან, ალბათ, თავისი წვლილი შეიტანა ვატიკანის (კათოლიკური ეკონომიკური არეალის) ეკონომიკური ინტერესების დაცვის საქმეში. ყოველ შემთხვევაში, დღეს მართლმადიდებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე ეს მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებობდა. ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანებს შორის ეკონომიკურ აღზევებასა და კრეატიულ ეკონომიკურ განვითარებაში მოწინავე და წამყვან პოზიციებს პროტესტანტული ეკლესიის აღმსარებლები ფლობენ. ცხადია, რომ ამ წარმატების საფუძველს პროტესტანტული ეკლესია კალვინისტური ფრთის ასკეტური ცხოვრების წესს, მომჭირნეობასა და ლიბერალურ ტრადიციებში ხედავს. ამავე დროს, ვერც კათოლიკური ეკლესია და ვერც პროტესტანტული ვერასდროს მოიშორებს საზარელი დანაშაულების შესახებ არსებულ ისტორიულ მეხსიერებას, რომელიც უკავშირდება ინკვიზიციას, ბართლომეს ღამეს, ნაციზმსა და ა.შ.

რელიგიის ურთიერთობა ეკონომიკასთან სოციალურ მეცნიერებებში განიხილება სამი თვალსაზრისით.

პირველი, იგი აანალიზებს ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების უშუალო გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე: ეს მოიცავს, მაგალითად, ეკლესიის დოქტრინებს ეკონომიკურ საკითხებზე, ზნეობრივ წესებსა და ქცევის კოდექსებს (ეკონომიკაში ეკლესიის მიერ სოციალურად მნიშვნელოვანი მომსახურებების მიწოდება). შესწავლილია ეკლესიის როლი შრომის ბაზარზე: მაგალითად, კათოლიკური „Caritas“-ი და ლუთერული „Diakonie“[1] დიდი დამსაქმებლები არიან გერმანიაში. ეკლესიებს/რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ იმოქმედონ, როგორც ეკონომიკური დარგის აგენტებმა. ისინი ზემოქმედებენ მოთხოვნის ან მიწოდების ფორმირებაზე, იყენებენ გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს და ა.შ., შესაბამისად, მათ შეაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი სახელმწიფოს ეკონომიკაში.

მეორე, მეცნიერები სწავლობენ რელიგიის არაპირდაპირ გავლენას სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაზე. ისინი შეისწავლიან სოციალურ ინსტიტუტებს, ქრისტიანულ რელიგიაში მოქმედ მკაფიო და იმპლიციტურ წესებს, რომლებიც შემდეგ უფრო ფართო საზოგადოებრივ გარემოში მკვიდრდება. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ჩამონათვალი:

• სატრასტო ფონდების შექმნა;

• რელიგიური თემის წევრებისთვის უპროცენტო სესხების გაცემა;

• საჩუქრების გადაცემის ქსელების განვითარება მრევლს შორის;

• მნიშვნელოვანია რელიგიური ორგანიზაციების ისტორიული წვლილი მათი მიმდევრების სოციალურ კაპიტალში;

• რელიგიური ორგანიზაციების წევრების საქმიანი რეპუტაციის შეფასება;

• ეკონომიკის ცალკეულ დარგებში აუცილებელი უნარების ჩამოყალიბება;

• რელიგიური ორგანიზაციების ბრძოლა მანკიერების წინააღმდეგ, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს ოჯახებისა და მთელი ტერიტორიების კეთილდღეობის შეზღუდვაზე;

• რელიგიურ თემებში მონაწილეობა ოჯახების შენარჩუნებისა და კაპიტალის გაზრდის მიზნით;

• რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის გაანალიზება ხალხის ნდობის განმტკიცებისათვის, ერთმანეთის მიმართ, გარკვეულ ინსტიტუციებში და ა.შ.

მესამე, არაპირდაპირი გავლენის ანალიზის ფარგლებში, მეცნიერებმა ასევე გააანალიზეს ქრისტიანული რელიგიის გავლენა საზოგადოებაზე. გამოკვლეულია მისი გავლენა საზოგადოებრივ ეთიკაზე, ღირებულებებზე, შრომასა და სამეწარმეო საქმიანობის მოტივაციის ამაღლებაზე. ამ მესამე მიმართულების კლასიკური ნაშრომია მაქს ვებერის კვლევა „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება", რომელმაც, ამავე დროს, გავლენა მოახდინა ურთიერთობის „რელიგია-ეკონომიკა" გაგების სხვა სფეროებში. „პროტესტანტული ეთიკის" მნიშვნელობა არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს, რადგან ბოლო ასი წლის განმავლობაში დაიწერა უამრავი ნაშრომი „პროტესტანტული ეთიკის" შესახებ. (24)

ვებერის მოსაზრებით, მოცემულ რეალობას განაპირობებენ ფაქტორები, რომლებიც შორეულ წარსულშია საძიებელი და რომელთა შემთხვევაშიც კონფესიური კუთვნილება ეკონომიკური მოვლენების მიზეზს კი არ წარმოადგენს, არამედ გარკვეულწილად უმალ მის შედეგად გვევლინება. ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობა წინაპირობად გულისხმობს ნაწილობრივ კაპიტალის მფლობელობას, ნაწილობრივ - ძვირად ღირებულ აღზრდას (განათლებას), ნაწილობრივ და უპირატესად კი - ორივეს ერთად. ის დღეს მიჯაჭვულია მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრის მფლობელობაზე ან კიდევ გარკვეულ

---

[1] Caritas (კათოლიკური ეკლესიის) და Diakonie (ლუთერანული ეკლესიის) არის რელიგიური საქველმოქმედო ორგანიზაციები გერმანიაში.

შეძლებულობაზე. სწორედ ჩვენი სახელმწიფოს უმდიდრესი, ბუნებრივი პირობებითა და ტრანსპორტის მიმოსვლისათვის ხელსაყრელი ადგილმდებარეობით განებივრებული და ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული რეგიონების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით კი მდიდარი ქალაქების უმეტესობა შემოტრიალდა XVI საუკუნეში პროტესტანტიზმისაკენ და ამის გამოძახილი იყო ის, რაც პროტესტანტებს დღემდე სასიკეთოდ ადგებათ არსებობისათვის ეკონომიკურ ბრძოლაში. ოღონდ ამის შედეგად იბადება ისტორიული ხასიათის კითხვა: მაინც რა საფუძველი ჰქონდა საეკლესიო რევოლუციისათვის ეკონომიკურად ყველაზე ძლიერად განვითარებული რეგიონების ამ განსაკუთრებულ მიდრეკილებას? და აქ პასუხი ვებერის მოსაზრებით არამც და არამც არ არის ისეთი მარტივი, როგორც ეს შეიძლება კაცს თავდაპირველად მოეჩვენოს. იგი თვლის, რომ ცხოვრებაზე ეკლესიურ-რელიგიური ბატონობის არა მოჭარბებულობა, არამედ უკიდურესი სიმცირე წარმოადგენდა სწორედ იმას, რასაც ის რეფორმატორები მიიჩნევდნენ საძრახისად, რომლებიც ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში იშვნენ. მაინც როგორ მოხდა, რომ იმჟამად ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულმა ქვეყნებმა, და როგორც ამას შემდგომში დავინახავთ, მათი საზღვრების ფარგლებში იმ დროისათვის ეკონომიკურად აღმავლობის გზაზე მდგომმა „ბურჟუაზიულმა" საშუალო წოდების კლასებმა, მანამდე მათთვის ჯერ კიდევ უცნობი პურიტანული ტირანია არამცთუ მხოლოდ აიტანეს, არამედ მისი დაცვისას იმგვარი გმირობა გამოავლინეს, როგორიც ბურჟუაზიულ კლასებს, როგორც ასეთს, მანამდე იშვიათად, ხოლო შემდეგ კი აღარასოდეს გამოუმჟღავნებიათ? ეს იყო ჩვენი გმირობის უკანასკნელი გამონათება („the last of our heroisms").

მაქს ვებერს მიაჩნია, რომ **კათოლიკე უფრო მშვიდია, მოგების უფრო ნაკლები ჟინით შეპყრობილი, უპირატესობას უფრო შეძლებისდაგვარად მყარ, თუნდაც ნაკლებშემოსავლიან კარიერას ანიჭებს, ვიდრე ხიფათიან, მშფოთვარე, მაგრამ რიგ შემთხვევებში პატივისა და სიმდიდრის მომტან ცხოვრებას. ხალხს ხუმრობით უთქვამს: ან კარგი ჭამა, ან მშვიდი ძილიო. მოცემულ შემთხვევაში პროტესტანტს ურჩევნია კარგად ჭამოს მაშინ, როდესაც კათოლიკეს მშვიდი ძილი სურს. სრულიად ნათელია, რომ მართლმადიდებლებში (კათოლიკების მსგავსად) ამგვარი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი კიდევ უფრო ძლიერია.** „პროტესტანტულ ეთიკაში" მართლმადიდებლობა დახასიათებულია როგორც „მისტიკა." ვებერის დამოკიდებულებაში მართლმადიდებლობისადმი ვლინდება როგორც იმდროინდელი მოაზროვნეების დამოკიდებულება, ასევე ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრთა პოზიციაც. ვებერმა შემოიტანა დაპირისპირება ე.წ. „ასკეტიზმი - მისტიკა". იგი აღწერს მართლმადიდებლობას როგორც სპეციფიკურ მისტიკას, რომელიც ეფუძნება გარდაუვალობის რწმენას იმის შესახებ, რომ ძმური სიყვარული და წყალობა არის ის ადამიანური ურთიერთობები, რომლებიც იხსნის და გადაარჩენს სულს. ამ მხრივ მორჩილება ახასიათებს მისტიკოსის ამქვეყნიურ საქმიანობას - ის ყოველთვის ცდილობს, დატოვოს ამქვეყნიური ვნებები (მათ შორის, მოგების მიღების დიდი სურვილი) და ცხოვრების გზაზე იმოგზაუროს მშვიდობით და განმარტოებით (სადაც გრძნობს ღმერთთან სიახლოვეს). ასკეტი (თუ ის სრულად შეესაბამება ვებერის მიერ აღწერილ ტიპს) დარწმუნებულია, რომ იგი მსახურობს ღვთის ინსტრუმენტად. აქედან გამომდინარე, საექვოა „მორჩილებისნ აუცილებლობა, რადგანაც იგი მტკიცეა მხოლოდ სათანადო ცოდნითა და უნარებით, რომელიც მას ღვთისგან აქვს დაკისრებული. მის საქმიანობაში წარმატება ხომ ღმერთის წარმატებაა, ღმერთმა ამაში შეიტანა წვლილი. ჭეშმარიტი მისტიკოსისთვის ამქვეყნიური საქმიანობაში წარმატება მნიშვნელოვანი ვერ იქნება მისი ხსნის საქმეში. პირიქით, ჭეშმარიტი თავმდაბლობა და მორჩილება ერთადერთი გარანტიაა იმისა, რომ მისი სული არ განიცდის სამყაროს ცდუნებას. რაც უფრო მეტად ეჯაჭვება იგი სამყაროს, მით უფრო უჩინარდება მისი ხსნისა და სულის გადარჩენის შესაძლებლობა. ასკეტისთვის ხსნისა

და გადარჩენის რწმენა ყოველთვის დასტურდება რაციონალური გზით (რაც გულისხმობს მისი მოწოდებისა და პროფესიული ზრდის რეალიზაციას).

მაქს ვებერს, როგორც პროტესტანტური ეთიკის დამკვიდრების „პოპულარიზატორს", ფართო აკრიტიკებდნენ რელიგიის ისტორიისა და ეკონომიკური სკოლის მეცნიერები (სამუელსონიკ, 1964; რობერტსონი, 1933; მაკკინონი 1988; კოენი 1980 და სხვ.). (25)

ცხადია, რომ საბაზრო ეკონომიკაში მნიშვნელოვანია წარმატებისკენ სწრაფვა, პროფესიონალიზმი და რაციონალურობა, მაგრამ, ამავდროულად, რელევანტური ბაზრის არსებობისთვის აუცილებელია, რომ ადამიანმა უპირატესობა მიანიჭოს სახელმწიფოს, მაშინ როდესაც წესებს მხოლოდ ის იცავს (სხვა ყველა კი წესებს არღვევს). რელიგიურად დამკვიდრებული რწმენა, რომ უსამართლობის ტოლერანტობა უკეთესია, ვიდრე უსამართლობა, უფრო მეტ ნდობას იწვევს ადამიანების ქცევასთან დაკავშირებით, რაც ზრდის წესების საყოველთაო დაცვის ალბათობას. მხოლოდ რწმენა აფერმკრთალებს ეთიკისა და ეკონომიკის ნაკლოვანებებს (უზრდელობა, თავხედობა, ცილისწამება, მომხვეჭელობა, თვითმარქვიობა და სხვა.) და ამით ქრისტიანობა საბაზრო ურთიერთობებს ამკვიდრებს. ქრისტიანული მორალი გვიცავს ჩვენ უთანასწორობის საფუძველზე დამკვიდრებული მავნე და ყალბი სტერეოტიპებისაგან, როგორიცაა, მაგალითად: ელიტარული უბანი, ელიტარული სახლი, ელიტარული ნომერი (მანქანის), ელიტარული რესტორანი და ა.შ.

სოციალური უთანასწორობა საქართველოში დღეს საკმაოდ მწვავე პრობლემაა. CIA-ის (აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო) ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2008 წელს საქართველოში მოქალაქეთა უმდიდრესი ჯგუფის 10%-ის შემოსავალი 15,6-ჯერ აღემატებოდა უღარიბესი 10%-ის შემოსავალს. იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წელს ჯინის კოეფიციენტი შემცირდა ამ პერიოდთან (2008წ.) შედარებით, მდიდარი მოქალაქეების შემოსავლის დონესა და მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის დონეს შორის სხვაობაც 13-მდე დაეცა. მაგალითად, შვედეთში ეს მაჩვენებელი 4-ია, საშუალოდ ევროპაში - არაუმეტეს 6-7, ხოლო აშშ-ში - 9. ამავე დროს, ითვლება, რომ შემოსავლებს შორის განსხვავება „5-10 ჯერ" ოპტიმალურია სოციალური სტაბილურობის ბალანსისა და მაღალი შრომითი წახალისების თვალსაზრისით. ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო ყოფილ საჭოთა ქვეყნებს შორის მხოლოდ რუსეთს ჩამორჩება. (26)

საერთაშორისო კლასიფიკაციის თანახმად, ეს არის უმძიმესი სიტუაცია, რომელიც ინკლუზიური და მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევასთან მნიშვნელოვნად დაგვაშორებს. ჩვენს ქვეყანაში უთანასწორობის ხარისხი მაღალია და არ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელიც არსებობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მსურველ საზოგადოებასა და ქვეყანაში. ამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან, რომელსაც ეხლა კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული პანდემია და ეკონომიკური ვარდნაც დაემატა, მხოლოდ სულის უკვდავებისა და ღმერთის მტკიცე რწმენით მოტივირებული თავდაუზოგავი შრომა გამოგვიყვანს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ისტორიულად ყოველთვის იდგა სამშობლოს ინტერესების დაცვის მოწინავე პოზიციებზე. იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი დღესაც, ახალი გამოწვევების შესაბამისად, ახალი ვალდებულებებისა და ფუნქციების შეძენით, მდგრადი და ინკლუზიური განვითარების მიზნების განხორციელებას დიდად შეუწყობს ხელს.

ლიტერატურა:

1. ბაბუნაშვილი ე., „კაცობრიობის კეთილდღეობის აქსიომა კაცობრიობის ხსნაში", VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, გვ. 23-30, თბილისი-გორი, 2013. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf

2. Gagnidze. I. (2019) Principles of economics related to human interaction from the perspective oforthodox teaching. The 4th International Scientific Conference Challenges of Globalization inEconomics and Business. Proceedings. TSU. Tb. Georgia. pp. 36-39.
https://dspace.tsu.ge/handle/123456789/488?locale-attribute=en
3. Gagnidze, I. (2013) Orthodoxy and Economy. Publishing House "Universali". Tb. Georgia. (inGeorgian) http://eprints.tsu.ge/580
4. Гагнидзе И. (2020) Некоторые принципы экономики по Грегори Мэнкью и православное учение, Сборник статей участников IV Международной научно-практической конференции «Социум и христианство» 24–26 января 2020 г., Минск ст. 26-28.
http://era-oikonomos.org/wp-content/uploads/2020/02/Sbornik.Sotsium-i-hristianstvo.2020.pdf
5. გოგორიშვილი ი., „მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის იდეა", VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული,. გვ. 35-40, თსუ, თბილისი-გორი, 2013
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
6. გოგორიშვილი ი., „მდგრადი მოხმარება, როგორც ქრისტიანული ფასეულობა და მისი დამკვიდრების აუცილებლობა საქართველოში", VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, გვ. 36-39, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
7. გრძელიშვილი ნ., „პილიგრიმული ტურიზმი - " წმინდა ანდრიას გზა" სულიერი, სოციალური, ეკონომიკური ასპექტები", IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, . გვ.59-64, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
8. გრძელიშვილი ნ., „რელიგიური ტურიზმი, როგორც მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის ფაქტორი", VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, გვ. 41-48, თსუ, თბილისი-გორი, 2013.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
9. დეკანოზი ნიკოლოზი (ნიკოლაიშვილი), ბაბუნაშვილი ე., „ვინ, რატომ და რისთვის" თანაფარდობა „რა, როგორ და ვისთვის"-თან", VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, გვ.17-24, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
10. მიქელაშვილი მ., „სამეურნეო საქმიანობის პრინციპები ძველი აღთქმის მიხედვით", VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, გვ. 69-75, თსუ, თბილისი-გორი, 2013.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
11. მიქელაშვილი მ., „ბიბლია და გადასახადები, როგორც მორალური კატეგორია", VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, გვ. 74-81, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
12. მღებრიშვილი ბ., „ქრისტიანობა და ფიტოთერაპიის განვითარება საქართველოში", IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, გვ. 102-105, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
13. მღებრიშვილი ბ., „ვაზი, საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანული კულტურა", VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, გვ. 76-79, თსუ, თბილისი-გორი, 2013.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
14. სურმანიძე ზ., „ინტერნეტეკონომიკა და ქრისტიანობა", IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, გვ. 148-151, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
15. პაპაჩაშვილი ნ., „შრომისადმი ქრისტიანთა დამოკიდებულების ასპექტები", VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, გვ. 86-89, თსუ, თბილისი-გორი, 2013.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf

16. შავიანიძე დ., „რელიგიურობა - ქართველი მეურნის მენტალობის მთავარი ნიშანი (დასავლეთ საქართველოს ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, გვ. 152-156, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 .
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
17. შიხაშვილი გ. „თეოლოგიური ეკონომიკის არსი, მიზანი და ამოცანები“, VII სამეცნიერო კონ-ფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 107-112.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
18. შიხაშვილი გ., სვანიძე ი., „ბიბლიური მოძღვრება, როგორც მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლო-გიური განვითარების ეროვნული კონცეფციის საფუძველი“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, გვ. 129-134, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
19. ჩიხლაძე ნ., კოღუაშვილი პ., „აგროპროდუქცია, როგორც ძღვენი, საზრდელი და გადასახადი წმინდა წერილში“, VII სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული, გვ. 58-64, თბილისი-გორი, 2013.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
20. ჩიხლაძე ნ., კოღუაშვილი პ., „რესურსების შეზღუდულობა - თეოლოგიურ–ეკონომიკური გააზ-რებისათვის“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და. ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული, გვ. 70-75, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
21. ცეცხლაძე მ., „თავისუფლების მართლმადიდებლური გაგება და ეკონომიკა“, VIII საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, გვ. 157-163, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
22. ცეცხლაძე მ., „ქრისტიანული თავისუფლება და ბაზრის უხილავი ხელი“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, გვ. 176-181, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
23. ჭანიძე ქ., „მევახშეობა - უძველესი დროიდან დღემდე, მისი ტრანსფორმაცია და გავლენა საზოგადოებაზე“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, გვ. 183-187, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
24. ჭილაძე ი., „რწმენის გავლენა აღრიცხვის ობიექტურობის ხარისხზე“, VII სამეცნიერო კონფე-რენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, გვ. 149-153, თსუ, თბილისი-გორი, 2013.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
25. ჭილაძე ი., „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ქრისტიანობა“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა რებული, გვ. 169-175, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
26. ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, გამომც. ფედერაცია, 1938.
http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/6385/3/samegrelos%20agcera.pdf
27. First Council of Constantinople, Symbolum Constantinopolitanum: DS 150. DECLARATION"DOMINUS IESUS".
http://www.vatican.va/roman_curia/congregations/cfaith/documents/rc_con_cfaith_doc_20000806_dominus-iesus_en.html
28. მაქს ვებერი, ნარკვევები რელიგიის სოციოლოგიის შესახებ, ქართული თარგმანი, მთარგმნელები: ნინო ფირცხალავა და ემზარ ჯგერენაია, საგამომცემლო სახლი „მარსი“, 2004.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/158500/1/NarkvevebiReligiisSociologiisSesaxeb.pdf
29. Макс Вебер. Протестантская этика и дух капитализма. русский перевод.
https://gtmarket.ru/laboratory/basis/3637/3640
30. Robertson H.M. Aspects of the Rise of Economic Individualism: A Criticism Max Weber and His School. New York, 1933; Samuelson K. Religion and Economic Action. A critique of Max Weber.New York, 1964.

Mackinnon M. Calvinism and the InfallibleAssurance of Grace. The British Journal of Sociology.1988.
Cohen J. Rational Capitalism in Renaissance Italy. The American Journal of Sociology, 1980;
31. Gini Index (World Bank estimate)-Middle Income.
https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI?locations=XP

# What is the difference between Catholicism and Protestantism from Orthodoxy (economic aspect)

Irina Gogorishvili

S u m m a r y

The article identifies the main differences between Protestantism, Catholicism and Orthodoxy, determining the consequences of the influence of religion on the country's economy. The study characterizes Max Weber's views on Protestant ethics that fueled the rapid development of capitalism and the market economy. It also analyzes the trend of inequality in the world and the need to reduce it in Georgia.

***Key words:*** *Orthodoxy, Protestantism, Catholicism, Max Weber's Protestant ethics, the influence of Christianity on the economy.*

# მწვანე ეკონომიკა და საქართველოს პოტენციალი

**ზ. გ. გოიშვილი**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

**მ. თ. კილაძე**
*ინჟინერიის აკადემიური დოქტორი*

**მ. ს. თანანაშვილი**
*მშენებლობის აკადემიური დოქტორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია მწვანე ეკონომიკის საკითხები საქართველოში, გაანალიზებულია პირობები და შესაძლებლობები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის ასეთ ტიპებთან საქართველოს პირობებისადმი. მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ გაიარა ევოლუცია ეკოლოგიურ საკითხებში მდგრადი განვითარებიდან „მწვანე ეკონომიკამდე“. მაგრამ საქართველოს მთავრობა სათანადო ყურადღებას არ უთმობს „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებას. „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებამ და აგრეთვე ქვეყნის მოდერნიზაციამ მთლიანად ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო -კერძო პარტნიორობას. ასეთი პროექტების საფუძველი შეიძლება იყოს ეკოლოგიური ინვესტიციები და „ორმაგი“ ტექნოლოგიური, ანუ ეკონომიკური და ეკოლოგიური, მოგება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *“მწვანე ეკონომიკა“, მდგრადი განვითარება, ეკოლოგიური პირობები, სასურსათო უსაფრთხოება, მწვანე ინვესტიციები.*

**მწვანე ეკონომიკა ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. კლასიკური ეკონომიკის თანახმად, იგი განიხილება დამოუკიდებლად, როგორც მეცნიერების კომპონენტი კერძოდ, მიიჩნევენ, რომ ტრადიციულად მიწა, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორი, მოიცავს ბუნებრივ კაპიტალს და დაკავშირებულია წარმოების მეორე ფაქტორთან, შრომასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ბრეტონ ვუდსის სისტემის მთავარმა ინსტიტუტებმა, მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა დიდი დაინტერესება გამოხატეს მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შეფასების მიმართ, რაც მის აქტიურ დაფინანსებას გულისხმობს.**

**მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. ის ეკონომიკის სხვა დარგებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება.**

**მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, გლობალურ დათბობას, გარემოს დეგრადაციას და აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, გაეროს გლობალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ, მოეხდინათ ეკონომიკური ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ. შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტები, რაც რამდენიმე კომპონენტს ითვალისწინებს:**

- **განახლებად ენერგიაზე გადასვლა;**
- **მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდა;**
- **მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერა;**
- **ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.**

**საქართველოს აქვს პოტენციალი, ამ მიმართულებით გახდეს მოწინავე ქვეყანა.** ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მაღალი კაპიტალიზაციის მქონე მიმართულება, რომელსაც ძალიან დიდი პერსპექტივა გააჩნია. ევროპული ქვეყნების უმრავლესობა სწორედ ამ გზას დაადგა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მჭიდრო კავშირში უნდა იყოს გარემოს დაცვასთან, რადგან ეს ურთიერთკავშირი ემსახურება ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობას. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია ქვეყანაში მწვანე ბიზნესის წახალისება, ინვესტიციების მოზიდვა, თანამედროვე, მწვანე ტექნოლოგიების შემოტანა და დანერგვა, საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

პირველ ყოვლისა, მწვანე ეკონომიკა ეყრდნობა ტყის რესურსების რაციონალურ მართვას. ამ მიზნით საქართველოსთვის შვეიცარიელი და ავსტრიელი პარტნიორების დახმარებით შემუშავებული სოფლის მეურნეობის სტრატეგია, მათ შორის ტყის რესურსის მართვის კუთხით, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი მწვანე საფარის მდგრად განვითარებას და ძალიან დიდი ეკონომიკური ეფექტის მიღებას მართვის ამ მოდელისგან. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავსტრიის წარმატება, რომელიც ტყის მართვის ამ მოდელზე გადავიდა და ეკონომიკამ რამდენიმე ასეული მილიონი ევროს დამატებითი შემოსავალი მიიღო.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელსაც მწვანე ეკონომიკა ეყრდნობა არის სოფლის მეურნეობის ორგანული პროდუქციის წარმოებაა. საქართველო უნდა გახდეს მწარმოებელი მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის ორგანული პროდუქციის, რომელზეც მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ყოველთვის იქნება ძალიან დიდი მოთხოვნა მსოფლიო ბაზრებზე, მათ შორის ევროკავშირის ბაზარზე, რომელთანაც თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება გვაკავშირებს.

**საქართველოში მწვანე ეკონომიკის მნიშვნელოვანი პოტენციალია მზის და ქარის განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ეფექტური გამოყენება.** მზე ენერგიის სუფთა წყაროა და მის ათვისებას ბევრი დადებითი მხარე აქვს, კერძოდ, მზის ენერგიის გამოყენება დიდ როლს ასრულებს ელექტროენერგეტიკის ეფექტიანობაში. ენერგოეფექტიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ არ გამოვიყენოთ გენერირებული ენერგია. ამ თვალსაზრისით კი მწვანე ეკონომიკის პირობებში მზის პანელები და გამაცხელებლები ღირებული ტექნოლოგიებია.

საქართველოს გააჩნია ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის მეშვეობით ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება საორიენტაციოდ 4 მლრდ. კვტ.სთ-ით, ხოლო დადგმული სიმძლავრე 1500 მგვტ-ით არის შეფასებული. ქარის ენერგეტიკული ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით, საქართველოს ტერიტორია დარაიონებულია მაღალ, საშუალო და დაბალსიჩქარიან ზონებად, სადაც ქარის სიჩქარე წელიწადში 2,5 მ/წმ-დან 9,0 მ/წმ-მდე მერყეობს, სამუშაო დროის ხანგრძლივობა წელიწადში 4000-5000 სთ შეადგენს. შერჩეულია ქარის ელექტროსადგურების განთავსების საუკეთესო ადგილები, რომლებიც საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავს.

განახლებადი ენერგიის წყაროებით წარმოებული ელექტროენერგიის გამოყენება რეგიონული მასშტაბით მნიშვნელოვანი წინაპირობა სათბური გაზების ემისიის შემცირებისათვის და დედამიწის კონტინენტზე გლობალური დათბობის თავიდან ასაცილებლად.

საქართველში მწვანე ეკონომიკის ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორია მდგრადი სატრანსპორტო სისტემის განვითარება. ტრანსპორტი საქართველოში ჰაერის დაბინძურების ყველაზე მსხვილი წყაროა – NOx-ის გაფრქვევების 70 % და აქროლადი ორგანული ნაერთების 40% სატრანსპორტო სექტორზე მოდის. ეს გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს ავტოპარკი მოძველებული და ცუდ მდგომარეობაშია. ავტომანქანების 45.5%-ზე მეტი 20 წლის და მეტი ასაკისაა. გარდა ამისა, ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება იმპორტირებული ავტომანქანების რაოდენობა იმ პირობებში, როდესაც იმპორტირებული

ავტომანქანების გამონაბოლქვის სტანდარტები საქართველოში არ არსებობს. ამიტომ, იმპორტირებული ავტომანქანებისთვის გამონაბოლქვის ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტების დანერგვა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული ამოცანა უნდა გახდეს.

საქართველოს მწვანე ეკონომიკის და მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს ბუნების ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება წარმოადგენს. ეს საქმიანობა მრავალი კომპონენტისგან შედგება, თუმცა მათ შორის უმნიშვნელოვანესია: ველური ბუნების რესურსების მდგრადი მართვა. ველური ბუნების შენარჩუნება და კონსერვაცია უზრუნველყოს მდგრადი ეკოტურიზმის განვითარებას, რაც სამომავლოდ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღების გარანტია.

ევროპის მდგრადი განვითარების სტრატეგია მწვანე პროდუქციის ხელშეწყობის მიზნით ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან სტიმულირების მექანიზმებს, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს მწვანე პროდუქციის შეძენის პრივილეგირებას. აღნიშნულ სტრატეგიასთან ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა თავიანთი კანონმდებლობა ჰარმონიზაციაში მოიყვანეს. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს გამოცხადებულ ტენდერებში ერთ-ერთ კრიტერიუმად გარემოზე ზემოქმედების ფაქტორიც არის გათვალისწინებული. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები 2010 წელს მნიშვნელოვნად დაიხვეწა, რაც შესყიდვების ელექტრონულად განხორციელების მექანიზმის დანერგვაში აისახა. აღნიშნულმა ხელი შეუწყო კონკურენციის განვითარებას და მნიშვნელოვანი ფინანსური დანაზოგი მოუტანა სახელმწიფოს.

2016 წლის ნოემბერში საქართველო მიუერთდა „მწვანე ზრდის დეკლარაციას“, რომლის შესაბამისად, ქვეყნები აცხადებენ, რომ გააძლიერებენ მწვანე ზრდის სტრატეგიებზე მუშაობას იმის გათვალისწინებით, რომ მათში ერთდროულად იყოს მოაზრებული „მწვანე“ და „ზრდა“, ასევე ხელს შეუწყობენ მწვანე ინვესტირებას.

საქართველოს მწვანე ეკონომიკის განვითარების პრინციპები გულისხმობს მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისათვის და მთავრობის ანგარიშვალდებულებისათვის.

**ლიტერატურა:**


1. Green Growth and Developing Countries A Summary for Policy Makers. (2012). Retrieved from https://www.oecd.org/dac/50526354. pdf
2. Green Growth Indicators 2017. (2017). https://doi.org/10.1787/9789264268586-en
3. მწვანე ეკონომიკის განვითარება ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში (EaP GREEN). (2017). მწვანე ეკონომიკა. Retrieved from www.recp.ge;
4. განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველო, 2019წ.

# Green Economy and Georgia's Potential

**Z. G Goishvili**
***Academic Doctor of Economics***

**M. T. Kiladze**
***Academic Doctor of Engineering***

**M. S Tananashvili**
***Academic Doctor of Construction***

S u m m a r y

The article discusses the issues of green economy in Georgia, analyzes the conditions and opportunities related to such types of economy and the conditions in Georgia. Many countries around the world have evolved from sustainable development to a "green economy", but the Georgian government does not pay proper attention to the development of the "green economy". The development of the "green economy" as well as the modernization of the country should fully promote the state-private partnership.

Such projects can be based on environmental investments and "double" technological or economic and environmental profits.

***Key words:*** *Green Economy", sustainable development, environmental conditions, food security, green investments.*

# ათონის წმინდა მთის ვატოპედის მონასტრის სამეურნეო მენეჯმენტი

**ნოდარ გრძელიშვილი**
***ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი.***
***ახალი უმაღლესი სასწავლებელი (საქართველო)***

*ნაშრომში განხილულია ათონის წმინდა მთის - ვატოპედის მონასტრის სამეურნეო ცხოვრება. ყურადღება გამახვილებულია მონასტერში არსებულ სხვადასხვა სამეურნეო საწარმო პროცესსა და სამეურნეო მენეჯმენტზე. აღნიშნულია, რომ მამები თავდაუზოგავი ღვაწლით ნათელ მაგალითს აძლევენ მონასტერში მისულ მომლოცველებს, იმისა, თუ როგორ შეიძლება ლოცვის და შრომის შეთავსება სულიერ ზრდასთან.*
*საკვანძო სიტყვები: ათონის წმინდა მთა, ვატოპედის მონასტერი, სამეურნეო მენეჯმენტი.*

***„შრომა ეს კურთხევაა, ეს ღვთის წყალობაა,***
***ის ამხნევებს სხეულს და ახალისებს გონებას"***
***- ათონელი ბერი, წმ. მამა პაისი***

ვატოპედის მონასტერი დაარსდა მეოთხე საუკუნეში იმპერატორ თეოდოსი დიდის მიერ. მას შემდეგ, რაც ის დაინგრა და დაცარიელდა, აღდგენილ იქნა სამი ახალი ქტიტორის - ნიკოლოზის, ათანასესა და ანტონის მიერ მე-10 საუკუნის დასასრულს. ვატოპედი საუკუნეების განმავლობაში იყო მართლმადიდებლობის ერთ-ერთი უდიდესი კერა, სადაც მრავალი წმინდანი აღიზარდა და მოღვაწეობდა. სავანე, მიუხედავად თავისი ისიქასტური ცხოვრების წესისა, პარალელურად მრავალმისიონერულ საქმიანობას ახორციელებდა, როგორც საბერძნეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ვატოპედი ათონის წმიდა მთის მეორე ყველაზე უფრო ძველი მონასტერია დიდი ლავრის შემდეგ და, 1046 წლის მთაწმიდის მეორე ტიპიკონის მიხედვით, იკავებს, წმიდა მთის მონასტრების იერარქიაში მეორე ადგილს. ვატოპედის სავანეს აყვავების ხანა დაუდგა და გაძლიერდა ბიზანტიელი იმპერატორების – კომნენოსების მეფობის წლებში. თუმცაღა მოგვიანებით, ის ძალიან დაზიანდა კატალონიელი მეკობრეების თავდასხმებისა და თურქების შემოსევების გამო, რომლებიც უმოწყალოდ არბევდნენ სავანეს. [6]

სავანე წმინდა მთის უდიდეს შენობა-ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენს. X საუკუნეში აშენდა მონასტრის მთავარი ტაძარი - ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების სახელობისა. მისი უძველესი ფრესკები (რომლებიც XVIII-XIX საუკუნეებში გადაღებეს) მიეკუთვნება XIV საუკუნეს. ვათოპედს აქვს 12 ტაძარი შიგნით და 19 - გარეთ. მონასტრის სამრეკლო 1427 წელს აიგო და ითვლება წმინდა მთის უძველეს სამრეკლოდ. [1 - გვ. 90-97]

წმიდა მონასტრის შემწეობითა და მეთვალყურეობით, 1749 წლიდან დაიწყო არსებობა „ათონის აკადემიამ", ათონის წმიდა მთის საეკლესიო სკოლამ „ათონიადამ", რომელიც იმ დროისათვის დაპყრობილი ერის ყველაზე მნიშვნელოვანი სასწავლებელი იყო. აკადემიაში მრავალი გამოჩენილი პიროვნება აღიზარდა: წმიდა მოციქულთა სწორი, კოზმა ეთოლიელი, რიგას ფერეოსი და ერის მრავალი სხვა სულიერი მასწავლებელი.[2]

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების შემდგომ ათონის წმ. მთაზე აღინიშნებოდა ბერ-მონაზონთა სიმცირე, რის გამოც სავანემ განიცადა, როგორც სულიერი, ისე მატერიალური დეგრადაცია. 1990 წ. მსოფლიო საპატრიარქოს და ათონის წმიდა მთის წმიდა კინოტის გადაწყვეტილებით, ვატოპედის მონასტერი გადაკეთდა იდიორითმულიდან კინოვიურად (საერთო საცხოვრებლად). მასში დასახლდა 18 მონაზონი, ბერი

იოსების (ნეასკიტი) სულიერი ხელმძღვანელობის ქვეშ. მღვდელ-მონაზონი ეფრემი არჩეულ იქნა პირველ იღუმენად.

ახალმა ძმობამ უპირველეს მიზნად დაისახა სავანის სულიერი აღორძინება. ასევე მათი მთავარი საზრუნავი გახდა იმ მატერიალური საქმიანობების შესრულება, რომელთა განხორციელებაც სავანეში აუცილებელი იყო. დღეისათვის მონასტერი ითვლის 110 მონაზონს 12 ქვეყნიდან.

მონასტრის წინამძღვრი მამა ეფრემი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „მას შემდეგ, რაც 1990 წელს 18 მონაზონისაგან შემდგარი საძმო ჩემი სულიერი წინამძღოლობით მოვიდა ვატოპედის მონასტერში, იგი გარდაიქმნა საერთო საცხოვრებლად. ეს საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მონასტერი თითქმის დანგრეული იყო, უმრავლესობა შენობებისა მიტოვებული, საცხოვრებლად გამოუსადეგარი დაგვხვდა. ასევე დაკარგვის და განადგურების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ფასდაუდებელი წმინდა ნაწილები, ხელნაწერები, უძველესი ნაბეჭდი წიგნები, ისტორიული დოკუმენტები და ა.შ. ჩვენ ვითავეთ 35 ათას კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული, თითქმის გაუკაცრიელებული და დანგრეული მონასტრის (რომლის მთლიანი ფართობი მიმდებარე ტერიტორიებითურთ 70 ათას კვადრატულ მეტრზე მეტია) აღდგენა. ამასთან ერთად, დავიწყეთ ზრუნვა მონასტრის ძველი დიდების დაბრუნებისთვისაც. დაიწყო შესაბამისი კვლევითი სამუშაოების წარმოება, მონასტრის აღმშენებლობა და ევროგაერთიანების დაფინანსების პროგრამებიდან თანხების მოძიება".[9]

ვატოპედის მონასტერი წარმოადგენს ნაგებობათა უზარმაზარ კომპლექსს, რომელიც მოიცავს 35.000 კვადრატულ მეტრს. მონასტრისადმი დაქვემდებარებული სკიტები და კელიები განფენილია 50.000 კვადრატულ მეტრზე მეტ ტერიტორიაზე. მონასტერს საკუთრება გააჩნია ასევე ათონის მთის გარეთაც. 1990 წლიდან დღემდე მონასტრის დაახლოებით ერთი მესამედია აღდგენილი, რაზეც დახარჯული იქნა 45 მილიონი ევრო. ასევე აუცილებელია კარიესში მდებარე წმიდა ანდრიას სკიტის (სერაი), წმიდა დიმიტრის სკიტის, ძველი ათონური აკადემიისა და მრავალი კელიის აღდგენა, რომელთა ნაწილის აღდგენა - რესტავრაცია მიმდინარეობს კიდეც.

მონასტერში ლოცვას დილის 3-4 საათზე იწყებენ, აღასრულებენ შუაღამიანს, ცისკარს, ჟამნებს, 8 საათზე წირვას აყენებენ. შემდეგ მცირე ხანს ისვენებენ, ტრაპეზობენ და 11-დან 16 საათამდე მორჩილება აქვთ (ზოგი ბოსტანში მუშაობს, ზოგიც ხელსაქმობს...). 16 საათზე მორჩილებას წყვეტენ და საღამოს ლოცვისთვის ემზადებიან მე-9 ჟამით, ამას მწუხრი, ტრაპეზი და სერობა მოსდევს, რომელშიც ღვთისმშობლის დაუჯდომელია ჩართული. ყოველდღიურად ემთხვევიან წმინდა ნაწილებს (ათონზე უამრავი სიწმინდეა: იოანე ოქროპირის თავის ქალა უხრწნელი ყურით, რომელშიც პავლე მოციქული ჩასჩურჩულებდა, როდესაც მისი ეპისტოლეების განმარტებებს წერდა; გრიგოლ ღვთისმეტყველის წმინდა ძვლები, წმინდა გიორგის, წმინდა მარინეს, წმინდა თეოდორე ტირონის, წმინდა მღვდელმთავრებისა და მამების წმინდა ნაწილები). საღამოს მსახურება 8 საათისთვის სრულდება. [3]

მონასტერი სამკუთხედის ფორმისაა, მისი ეზო დაქანებული და მოკირწყლულია. მონასტრის ჩრდილოეთის მხარეს ლაზარეთია, იგი ერთადერთი დაწესებულებაა, რომლის ფასადი სამხრეთისკენაა მიმართული

ლაზარეთი 25 ფართო, საკმაოდ სუფთა ოთახისგან შედგება. აფთიაქში არის თითქმის ყველანაირი მედიკამენტი და აუცილებელი სამედიცინო მოწყობილობა, აქ არიან ექთნები და მომსახურე პერსონალი. პერიოდულად აქ მოღვაწეობენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე გამოცდილი ექიმები.

მონასტრის უზარმაზარი შიდა ეზოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს კათოლიკონი (მონასტრის მთავარი, საკრებულო ტაძარი), რომლის გუმბათები ეყრდნობა გრანიტისგან გამოთლილ დიდ ბოძს. მონასტრის სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 145

ნაბიჯია, მისირ სამივე ფრთის სიმაღლე კი, გალავანში ქვევით არსებული კელიებით, თითქმის 150 მეტრს შეადგენს! კათოლიკონის სიდიადე ვერცხლისა და ოქროს ჭაღების ელვარებაშია გამჟღავნებული, სასანთლეები და კანდელები მდიდრულია.რრ

კათოლიკონის სტოაში აღმართულია ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სასწაულ-თმოქმედი ხატი.

ეზოში, კათოლიკონის მოპირდაპირე მხარეს,რ განთავსებულიარ საერთო სატრაპე-ზო. მისი სიგრძე 40 ნაბიჯს უდრის, ხოლო სიგანე 18 ნაბიჯამდე აღწევს. ეს სატრაპეზო და-ახლოებით 1761 წელს განაახლეს. მისი ყოველი მხარერ დიდი მოცულობის ფრესკებითაა გამშვენებული. სატრაპეზოში ორ წყებად დაწყობილი 29 მარმარილოს მაგიდაა, ხოლო სიღრმისკენ, რომელიც საკურთხევლის ფორმას იმეორებს, მდებარეობს ნახევარსფეროს ფორმის მარმარილოს მაგიდა, რომელიც წინამძღვრებისთვის და მაღალი სასულიერო იერარქებისათვისაა განკუთვნილი. სასადილოს მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს ძა-ლიან დიდი სამზარეულო და ზეითუნის ზეთის საწყობები. ჟამნის მახლობლად, არსებობს ფიალა, რომელიც 17 მარმარილოს კოლონითაა გარშემორტყმული.[10]

აღმოსავლეთით მდებარეობს სადურგლო სახელოსნო, სადაც საერო ხელოსანნი და მათი შეგირდი მონაზონნი მოღვაწეობენ. ეს უკანასკნელნი ხელობას სწავლობენ. სადურგლო საამქროში განსაკუთრებულ ნივთებს ამზადებენ, რომლებიც მონასტრის საჭიროებისათვისაა გამიზნული. სავანის სამი მხარე (ფრთა, ფლანგი) ოთხი და ხუთი მაღალი სართულისგან შედგება.

მონასტერი იდიორითმულია – განმარტოებითი ცხოვრების წესის მიმდევარია. მაშა-სადამე, იღუმენთა დარბაზი (ანუ სათათბირო) არ არსებობს, არსებობს სინოდიალური დარბაზი, რომელიც არაჩვეულებრივადაა შემკული და მოიცავს იმპერატორთა და მეფეთა დიდი მოცულობის გამოსახულებებს.

მშვენიერი სინოდიალური დარბაზის და ასევე სხვა ოთახების შემდეგ მდებარეობს ეგრეთ წოდებული სტუმართა მისაღები ოთახი ("არხონდარიკი"), რომელიც არ გამოირ-ჩევა სიმდიდრით, თუმცა ძალიან ფართო და საკმაოდ სუფთაა. მონასტერში სტუმრებს უხვი და მდიდრული ტრაპეზით უმასპინძლდებიან და დასაძინებლად კი კარგად მოწყობილ ოთახს სთავაზობენ.

მამები განურჩეველი პატივით ეგებებიან, როგორც ბერძნებს, ისე ყველა ეროვნების სტუმარს (მომლოცველს). მათი ყოველი ქცევიდან გამომდინარე, ისინი მადლიერებას იმსახურებენ.

მონასტერში ინახება 3.500 ხატი, 2.200 ხელნაწერი, 350.000 დოკუმენტი (სიგელები, ქარტიები), 40.000 „ინკუნაბულა“ (ხელნაწერი წიგნები 1458 წლიდან - 1830 წლამდე), უამ-რავი ხელოვნების ნიმუში - ოქრომკედით შესრულებული ნაქარგობა, ოქროსა და ვერცხ-ლის ნაკეთობები - რომელთა ისტორიული და კულტურული ღირებულება შეუფასებელია. ყოველივე ეს ათეული წლების განმავლობაში მიტოვებული იყო და იმყოფებოდა და-ზიანებისა და განადგურების საფრთხის ქვეშ. ამ სიწმიდეთა შესანახად და მათი გამო-ფენისათვის აშენდა ორი ახალი საცავი. რესტავრაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნა კათოლიკონის (მთავარი ტაძრის) კედლის მხატვრობა (ფრესკები), რომელიც შესრუ-ლებულია მანუელ პანსელინოს მიერ (1312წ). ასევე რესტავრაცია ჩაუტარდა ასობით ხატს, ხელნაწერს და მრავალ სხვადასხვა საგანს, რომლებიც გამოიყენება ღმრთისმსა-ხურებაში. [5]

მონასტრის შვიდი მაღალი კოშკიდან ერთ-ერთში ჩინებული ბიბლიოთეკაა გან-თავსებული. საეკლესიო ლიტერატურის და ასევე სხვა მრავალი მნიშვნელოვანი წიგნის ეს საგანძური კოშკშია განთავსებული. წიგნები შუშისგან დამზადებულ 12 თხელ ყუთშია მოთავსებული, რომლებიც ფართო ოთახში თანმიმდევრობითაა დაწყობილი. ყუთებს ზედამხედველობს ორი ადამიანი. არსებობს შიდა და გარე საცავი. შიდა საცავი პერგა-მენტზე ხელნაწერი, მრავალრიცხოვანი საეკლესიო წიგნითაა დაკომპლექტებული, რო-

მლებიც მეცხრე საუკუნემდეა დათარიღებული. ამ წიგნების უმრავლესობას შემოუნახავს მრავალრიცხოვანი, დიდი ღირებულების მქონე ხატები, რომლებზედაც დაკვირვება დიდ აღფრთოვანებას იწვევს, თუნდაც იმიტომ, რომ ამდენი საუკუნის განმავლობაში მათ კვლავ შენარჩუნებული აქვთ მაღალი ხარისხის ცოცხალი ფერები. გარე საცავი მოიცავს ბერძნული ფილოლოგიისა და საეკლესიო ისტორიის უამრავ ბეჭდურ გამოცემას. თხზულებათა სრული კრებულის წიგნები მოოქრულია და კარგად შენახული. ბიბლიოთეკის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია მაგიდა, რომ მსურველი გაეცნოს მათთვის საინტერესო წიგნს. აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ ამ სტატიის ავტორის წიგნსაც „რელიგიური ტურიზმი". მონასტრის ბიბლიოთეკა ძველად და სახელოვნადაა მიჩნეული.

მონასტრის პუბლიკაციები სასულიერო, სამეცნიერო და საგალობლების თემაზე, დაჯილდოვებულ იქნა ათენის აკადემიისა და სხვადასხვა ევროპული საგამომცემლო სააგენტოს მიერ. ისინი წარმოადგენს სასულიერო და კულტურულ ღირებულებას, როგორც წმიდა მთისათვის, ისე მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლობისათვის.

როგორც მამა ეფრემი ბრძანებს: „ნებისმიერ მართლმადიდებლურ ქვეყანაში მონასტრები ის ადგილებია, სადაც საუკეთესო ეროვნულ და სულიერ ტრადიციებს იცავენ. ვატოპედიც ერთ-ერთი მათგანია. იგი ინარჩუნებს ეროვნულ ტრადიციებს და ემსახურება მართლმადიდებლობას. ვფიქრობ, უდიდესი მისიაა წარმოადგენდე ჩვენს ერს და მართლმადიდებლური ტრადიციის საუნჯეს. ჩვენი სტუმრებისთვის, იქნებიან ეს ჩვეულებრივი ადამიანები თუ ერის წინამძღოლები, სწორედ ეს არის ჭეშმარიტად საბერძნეთის ღირსება". [9]

გვსურს აქვე აღვნიშნოთ, რომ ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ავტორი წერს ეკონომიკის თეორიისა და მართლმადიდებლური (ქრისტიანული) სწავლების პარალელებზე. [11-28].

ახლა კი კვლავ დიად კათოლიკონს (მთავარი საკრებულო ტაძარი) მივუბრუნდეთ, სადაც ბრილიანტით შემკულ სკივრებში წმინდანთა ძვირფასი ნაწილები ინახება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის წმინდა და პატიოსანი სარტყელი, ცხოველმყოფელი ჯვრის წმინდა ნაწილი და იასპი (იმპერატორ არკადის სასმისი). მართლმადიდებლური რელიქვიები მრავალფეროვან, ძვირფას ქვასთან ერთად მითიურ და სულიერ სიმდიდრეს ამზეურებს. მათი სიკაშკაშე და სიდიადე თვალისმომჭრელია. აქვე ინახება კათოლიკონის მრავალრიცხოვანი ვერცხლის ტალანტების აღჭურვილობა, მათ შორის არის წირვის შემდეგ სეფისკვერების დასარიგებლად განკუთვნილი ვერცხლის წმინდა სინები თავისი სასმისებით, რომლებიც ჩვეულებრივზე უფრო დიდი, მოოქრული და ბრილიანტებით შემკობილია. მრავალი პატიოსანი ქვით შემკული წმინდა სახარება, სხვა უამრავი ნივთი, იქ ასევე შესაძლებელია შესამოსლების დიადი სიმდიდრის ხილვა.

მონასტერში განთავსებული ოთახების რაოდენობა 1600-მდე აღწევს. მონასტერი ერთი მთლიანი ქალაქივითაა, რომელშიც მონაზონნი განმარტოებით მოღვაწეობენ, მათ შორის ზოგიერთი მონასტრის სკოლაში სწავლობს, სხვა მონასტრის სამიწათმოქმედო სამუშაოებით არის დაკავებული და ამ საქმიანობით ფინანსური სარგებელი მოაქვს.რ[8]

ვატოპედის მონასტერი მნიშვნელოვან საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა.

ყოველწლიურად მონასტრის სუფთა შემოსავლის 50% იხარჯება:

- სტუდენტთა სტიპენდიებისათვის;
- ღარიბი ოჯახების დახმარებისათვის;
- უმწეოთა სამედიცინო დახმარებისათვის;
- ღარიბ პატიმართა გასათავისუფლებლად და მათი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად;
- ნარკოტიკების მომხმარებელთა რეაბილიტაციისათვის;

- მონასტრების ფინანსური დახმარებისთვის, როგორც საბერძნეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

- საეკლესიო ორგანიზაციების, ბანაკების და სხვადასხვა დაწესებულების ფინანსური დახმარებისათვის საბერძნეთში, კვიპროსზე, ამერიკაში, რუსეთში, რუმინეთში, სერბეთში, აფრიკასა და მსოფლიო საპატრიარქოს სხვადასხვა ეპარქიაში.

სავანეს ყოველ წელს დაახლოებით 25.000 - 30 000- მდე მომლოცველი სტუმრობს. სტუმრების (მომლოცველებს) საჭმლით და მოსასვენებელი ოთახით უფასოდ უზრუნველყოფენ. სავანეში, ასევე 150 მომუშავე პერსონალია დასაქმებული. სტუმრების და მომუშავეთა დაკმაყოფილების ხარჯები საკმაოდ დიდია. მხოლოდ საჭმელი, ყოველდღიურად საჭიროა დაახლოებით 700 ულუფა. კვირაში დაახლოვებით 400 კგ. პური ცხვება. [6]

მონასტერს აქვს მეურნეობა, სადაც მოჰყავთ სხვადასხვა სახის ბოსტნეული და ხილი საჭმელად და გასაყიდად, მათ შორის მარწყვი, ზეთისხილი, მანდარინი, ყურძენი და ვაშლი. მეურნეობაში მორჩილებას ასრულებენ როგორც ბერები, ისე მომლოცველები. მეურნეობაში მოღვაწეობს ქართველი მამა ტრიფონი. (ალბათ ეს შემთხვევითი არცაა, რადგან მოგეხსენებათ, წმინდა ტრიფონი მევენახეთა და მებაღეთა მფარველია. წმინდანს საგანგებოდ ევედრებიან მცენარეთა დაცვას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის პირობების გაუმჯობესებასა და მოსავლიანობის გაზრდას. პირველ თებერვალს, წმინდანის პატივსაცემად, ვაზს არ სხლავენ. გარდა ამისა, ამ დღეს ვაზს ნაკურთხ წყალს ასხამენ, რათა მან კარგი ნაყოფი მოგვცეს). [7]

სულ ბაღებს, მეურნეობას, ტყეს - 2400 ჰექტარი ტერიტორია უჭირავს.

მონასტერს აქვს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი თევზის ფერმა, რომელიც მონასტერთან ახლოს, ზღვაშია, განთავსებული. თევზის ფერმას ხელმძღვანელობს ქართველი ბერი, მამა ნექტარი, და ასევე მამა თეოდორე. ყოველ პარასკევს 2 ტონამდე თევზი ამოჰყავთ, რომელიც ხმარდება როგორც ვატოპედის მონასტერს, ისე იგი ეგზავნებათ სხვა მონასტრებსაც, ხოლო ნაწილი სადისტრიბუციო ქსელში გადის როგორც სალონიკში, ისე უახლოეს ქალაქ ურანოპოლში. მიღებული თანხა კი ხმარდება როგორც მონასტერს, ისე სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებას.

მონასტრის ეზოში განთავსებულია მაღაზია, სადაც იყიდება ბერების მიერ შესრულებული ხატები, სხვადასხვა საეკლესიო ნივთი. აქვე იყიდება მონასტრის მეურნეობაში წარმოებული თაფლი, ღვინო, ზეითუნის ზეთი, საკმეველი. მონასტერში ამზადებენ ასევე საპონს.

მონასტერი წელიწადში დაახლოებით 20 ტონა ღვინოს მოიხმარს: ტრაპეზისას, ლიტურგიისთვის და გასაყიდად.

ბერები ტრაპეზობენ დღეში ორჯერ. მათი ტრაპეზი მეტად მოკრძალებულია. ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, უზეთო საკვებს მიირთმევენ ღვინის გარეშე. მხოლოდ კვირა დღეს, ლიტურგიის შემდეგ, მცირეოდენ ზეთს და თითო ჭიქა ღვინოს იღებენ და მათი ზეთით ხსნილი ტრაპეზიც ისევ მკაცრდება მთელი კვირით. ზოგჯერ დღეში ერთხელ ტრაპეზობენ. არის დღეები, როცა საერთოდ არ იკვებებიან და მთელ დროს იესოს ლოცვას უთმობენ. უნდა ითქვას ისიც, რომ ბერები და მომლოცველები ერთ სატრაპეზოში ტრაპეზობენ, თუმცა სხვადასხვა მაგიდებზე. [3]

როგორც აღვნიშნეთ, ვატოპედის მონასტერი არ არის კინოვიური – საერთო საცხოვრისის ცხოვრების ტიპის მიმდევარი, არამედ იდიორითმულია – განმარტოებითი ცხოვრების წესის მიმდევარია.

მონასტერი არის სახელმწიფო სამართლის იურიდიული პირი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი არ არის კერძო, არამედ საზოგადოებრივი დაწესებულებაა, ხალხის ქონება და საკუთრებაა.

ყოველი მონასტერი თავისი მოძრავი თუ უძრავი ქონებით ცდილობს, უზრუნველყოს საკუთარი კვების, სტუმრების მიღების, შენობების აღდგენისა და სიწმინდეთა რესტავ-

რაციის ხარჯები. აგრეთვე ცდილობს, განახორციელოს მისიონერული და საქველ-მოქმედო საქმიანობანი. მონასტრების წინამძღვრებს უფლება აქვთ და მათი მოვა-ლეობაა, მართონ თავიანთი მონასტრის ქონება და ეს არ არის აკრძალული საეკლესიო კანონებით. მათ უნდა ამოძრავებდეს მონასტრისთვის სარგებლისმომტანი მიზანი და არა პირადი ინტერესები.

ბერ-მონაზვნებს არც პირადი ინტერესები აქვთ და არც სხვათა ინტერესს ემსა-ხურებიან. მკაფიოდ უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან კინოვიურ (საერთო საცხოვ-რებელ) მონასტერში მცხოვრები მონაზვნის უპოვრება და მონასტრის ქონება. აშკარაა, თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს, რომ კინოვიაში მცხოვრებ მონაზვნებს, ისევე როგორც მათ წინამძღვრებს, არ გააჩნიათ კერძო საკუთრება (პირადი ქონება).

„წმინდა სავანეთა მთელი ქონების მართვა-განგებაზე ზრუნავს თითოეულ მათგანში მკვიდრი საძმო.“

„კინოვიალურ (საერთო საცხოვრებელ) მონასტრებში იღუმენს მცირე საბჭოსთან („ეპიტროპი“- უხუცესთა საბჭოს ორი ან სამი წარმომადგენლისაგან შემდგარი მცირე საბჭო) ერთად, ხოლო იდიორითმულ მონასტრებში - მმართველ საბჭოს უპყრია სალაროს გასაღები და სავანის ბეჭედი. მათვე აკისრიათ მისი [ე.ი. სავანის] მართვა - განგება შიდაგანაწესის მიხედვით. ზოგადი ხასიათის საკითხების გადაწყვეტა როგორებიცაა: სასამართლო საქმეები, სესხის აღებ-მიცემაზე შეთანხმება, ქონების გაცვლა, ვალის გადახდა, ახალ ნაგებობათა შენება ან არსებულ შენობათა მნიშვნელოვანი აღდგენა-შეკეთება, მორჩილთა მიღება, მონაზონთა აღკვეცა, ხარისხში აყვანა და ზოგადად ხელდასხმანი, მეტოქის იკონომოსთა დანიშვნა, მისიონერული საქმიანობა, სიწმინდე-რელიქვიათა ან ქონების შეძენა, ნებისმიერი გაყიდვა-გაქირავება ხორციელდება სინაქსის (მონასტრის უხუცესთა საბჭოს) მიერ, განხილვის შედეგად, რომელიც არის კომპეტენტური [ამგვარ საკითხთა] გადაწყვეტისა.“

მონასტერში მოღვაწეობენ ქართველი მამები. ბერ-მონაზონის ურთიერთობა ადა-მიანებთან ეყრდნობა მართლმადიდებელ წმინდა მამათა ნაქადაგებ უანგარობასა და ჭეშმარიტ სიყვარულს. ათონის წმიდა მთის მომლოცველებს ამ სიყვარულის გამოც-დილება აქვთ. მონასტრიდან მათთან მიაქვთ სულიერი საზრდო და მას გადასცემენ საკუ-თარ ოჯახებს, მრევლს და ამ გზით - ოჯახი, საზოგადოება და მთელი მსოფლიო ილოცება და იკურთხება.

ვსარგებლობ შემთხვევით და ამ წმინდა მამების მიმართ გამოვთქვამ უსაზღვრო მადლიერებას იმ სტუმართმოყვარეობის გამო, რომელიც ჩემ მიმართ გამოიჩინეს.

აქვე უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი ფაქტი, მონასტრის წინამძღვრის არქი-მანდრიტ ეფრემის სურვილისამებრ, ათონის წმინდა მთაზე ქართული მონაზვნობის, მისი ტრადიციებისა და ქართული წირვა-ლოცვის აღსადგენად ვატოპედის მონასტერთან ახ-ლოს გამოიყო მთავარანგელოზთა სახელობის კელია, რომელიც ფაქტობრივად ახლიდან აშენდა (მქონდა პატივი, ერთი აგური მეც დამედო მშენებლობისას) შემდეგ იკურთხა, და სადაც სადღესასწაულო დღეებში წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინება. [4]

***P.S. იბეჭდება წმინდა ათონის მთის ვატოპედის მონასტრის კურთხევით***

ლიტერატურა:


1. გრძელიშვილი ნ. -„ რელიგიური ტურიზმი" სახელმძღვანელო. 2018
2. http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/atoni/vatopedi.htm
3. http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/bermonazvnoba/5922-athonis-mtha-umthavresad-shinagan-locvas-gvthavazobs.html
4. http://www.ambioni.ge/male-atonze-qartuli-monasteri-gveqneba
5. https://www.vatopedi.gr/

6. https://azbyka.ru/palomnik/%D0%9C%D0%BE%D0%BD%D0%B0%D1%81%D1%82%D1%8B%D1%80%D1%8C_%D0%92%D0%B0%D1%82%D0%BE%D0%BF%D0%B5%D0%B4_%28%D0%90%D1%84%D0%BE%D0%BD%29
7. http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/religia-da-mecniereba/2933-dadga-dro-rom-soflis-meurneobashi-locvam-adgili-daibrunos.html
8. https://hranitel.club/1699-vatopedskij-monastyr
9. http://www.diakonima.gr/2010/10/26/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1/
10. https://www.pemptousia.ge/2013/01/28/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1/
11. Gagnidze, I. (2013) Orthodoxy and Economy. Publishing House "Universali". Tb. Georgia. (in Georgian) http://eprints.tsu.ge/580/
12. Gagnidze. I. (2019) Principles of economics related to human interaction from the perspective of orthodox teaching. The 4th International Scientific Conference Challenges of Globalization in Economics and Business. Proceedings. TSU. Tb. Georgia. pp. 36-39. https://dspace.tsu.ge/handle/-123456789/488?locale-attribute=en
13. გოგორიშვილი, ი. „მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოს სახელმწიფოს მშენებ-ლობის იდეა", VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრე-ბული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 35-40 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_fa-culty/konf13.pdf
14. გრძელიშვილი, ნ. „პილიგრიმული ტურიზმი - "წმინდა ანდრიას გზა"- სულიერი, სოციალური, ეკონომიკური ასპექტები", IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016გვ. 59-64 https://www.tsu.ge/-data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
15. გრძელიშვილი, ნ. „რელიგიური ტურიზმი, როგორც მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის ფაქტორი", VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 41-48 https://www.-tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
16. მიქელაშვილი მ. „სამეურნეო საქმიანობის პრინციპები ძველი აღთქმის მიხედვით", VII სამეც-ნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 69-75 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
17. მიქელაშვილი მ. „ბიბლია და გადასახადები, როგორც მორალური კატეგორია", VIII საერ-თაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ. 74-81 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristia-noba_Da_Ekonomika_2015.pdf
18. მღებრიშვილი ბ. „ქრისტიანობა და ფიტოთერაპიის განვითარება საქართველოში", IX საერ-თაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 გვ. 102-105 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/-konf16.pdf
19. მღებრიშვილი, ბ .„ვაზი, საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანული კულტურა", VII სამეც-ნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 76-79 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
20. სურმანიძე ზ. „ინტერნეტეკონომიკა და ქრისტიანობა", IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 გვ. 148-151 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
21. პაპაჩაშვილი ნ. „შრომისადმი ქრისტიანთა დამოკიდებულების ასპექტები", VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 86-89. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
22. შავიანიძე დ. „რელიგიურობა - ქართველი მეურნის მენტალობის მთავარი ნიშანი (დასავლეთ საქართველოს ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)" IX საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 გვ. 152-156 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
23. შიხაშვილი გ. „თეოლოგიური ეკონომიკის არსი, მიზანი და ამოცანები“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 107-112 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
24. შიხაშვილი გ. სვანიძე ი. „ბიბლიური მოძღვრება, როგორც მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ეროვნული კონცეფციის საფუძველი“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ. 129-134 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_-Ekonomika_2015.pdf
25. ჩიხლაძე ნ., კოღუაშვილი პ., „აგროპროდუქცია, როგორც ძღვენი, საზრდელი და გადასახადი წმინდა წერილში“ VII სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ შრომების კრებული, თბილისი-გორი, 2013, გვ. 58-64https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
26. ჩიხლაძე ნ., კოღუაშვილი პ., „რესურსების შეზღუდულობა - თეოლოგიურ–ეკონომიკური გააზრებისათვის“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ შრომების კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016, გვ. 70-75. https://www.tsu.ge/-data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
27. ცეცხლაძე მ. „ქრისტიანული თავისუფლება და ბაზრის უხილავი ხელი“ IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 გვ. 176-181 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
28. ჭილაძე ი. „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ქრისტიანობა“,VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ. 169-175 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf

# Economos Management of the Holy Mountain Vatopedi Monastery in Athos

**Nodar Grdzelishvili**
*Doctor of Economics, Professor.*
*New Higher Education Institute (Georgia)*

S u m m a r y

The paper discusses the economos life of the Vatopedi Monastery on Mount Athos. The focus is on the various economos processes and economosmanagement in the monastery. It is noted that the Fathers, through their selfless devotion, set a clear example to the pilgrims who came to the monastery of how it is possible to combine prayer and labor with spiritual growth.

***Keywords:** Mount Athos, Vatopedi Monastery, EconomosManagement.*

# The EU-Georgia DCFTA in the light of Economic Integration Theories

**Emir Eteria**
***Doctor of Economics, Associate Professor***
***Caucasus University***

*This article aims to analyze the EU-Georgia Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) in light of economic integration concepts. According to economic integration concepts, the integration process can take several forms and economic integration processes differ considering the depth, speed, and scope of the integration. In contrast to other bilateral trade agreements of the EU, DCFTA is a new type of bilateral trade agreement, which aims at gradual economic integration with the EU. The EU-Georgia DCFTA is the best mechanism available to Georgia to promote trade with the EU as well as to increase the investment attractiveness of the country.*

*Keywords: EU, Georgia, Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA), Economic Integration;*

## Introduction

The EU-Georgia Association Agreement envisages the creation of the Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA). The EU-Georgia DCFTA aims to gradual economic integration of Georgia with the EU through trade liberalization, progressive legal approximation (including dynamic approximation), and regulatory convergence. However, which stage of economic integration would be achieved between the EU and Georgia after the proper implementation of the DCFTA remains ambiguous. The EU-Georgia DCFTA goes beyond "simple" Free Trade Area (FTA), which is the initial stage of economic integration, however, DCFTA is not about the creation of the Customs Union (CU) between the EU and Georgia or Common Market (CM), which are following and therefore, more advanced forms of economic integration. Moreover, economic integration concepts differentiate integration processes based on depth, speed, scope, and institutional aspects of integration. Therefore, this article intends to review the EU-Georgia DCFTA in light of economic integration concepts to clarify the degree of the DCFTA induced economic integration.

## Major concepts of economic integration: a short review

In general, economic integration refers to increased cooperation between two or more countries on economic issues to enhance economic growth through trade liberalization and increased investment attractiveness, which could be considered as one of the most important goals of economic integration. Various aspects (economic, political, social, etc.) of economic integration have been widely discussed among scholars since the 1950s [1-10; etc.].[1]

Noteworthy that Balassa distinguishes economic integration from the cooperation between countries and describes economic integration both as a process and as a state of affairs [6, p. 174]. According to Machlup economic integration is a process of combining separate economies into a

[1] For a detailed review of economic integration theories see Hosny (2013). Theories of Economic Integration: A Survey of the Economic and Political Literature, International Journal of Economy, Management and Social Sciences, 2(5), P. 133-155.

larger economic region [7]. El-Agra argues that economic integration "is concerned with (a) the discriminatory removal of all trade impediments between at least two participating nations, and with (b) the establishment of certain elements of cooperation and coordination between them" [10, p.1]. The major feature of all definitions of economic integration envisages the removal of obstacles in economic relations, especially in trade relations, as well as a certain level of coordination of economic policies. Consequently, economic integration could be described as a process of abolition of obstacles in economic relations between two or more countries, which in turn via increased cooperation and coordination in various areas increases interdependence between contracting parties.

It is clear, that all definitions of economic integration depend on the degree of intended or already achieved step of integration. According to Balassa economic integration can take several forms such as Free Trade Area (FTA), Customs Union (CU), Common Market (CM), Economic Union, and Complete Economic Integration [6]. These forms of economic integration refer to various aspects of integration and envisage a different degree of economic integration. Free Trade Area and Customs Union foresee trade integration and therefore, deal with trade issues, while more advanced forms of economic integration include factor integration and economic policy integration.

It should be noted, that among above-mentioned forms of economic integration, only FTA and Customs Union are envisaged by the General Agreement on Tariffs and Trade (GATT) (XXIV article). In addition to that, according to World Trade Organization (WTO), there are differences between Preferential Trade Arrangements (PTAs) and Regional Trade Agreements (RTAs). PTAs refer to unilateral trade preferences, while RTAs are reciprocal Preferential Trade Agreements. However, WTO in its publication on Preferential Trade Agreements notes that these terms (Preferential Trade Agreements and Regional Trade Agreements) are often used interchangeably in the literature [11, p. 58]. Moreover, other international economic institutions such as the World Bank describing regional integration processes apply the term Preferential Trade Agreements [12]. Noteworthy that trade policy scholars [8; 9; etc.] prefer the term Preferential Trade Agreements rather than Regional Trade Agreements and as Panagariya pointed out PTAs "has the additional advantage of being wider in that it can be used to describe FTAs, CUs and arrangements involving partial trade preferences [9, p. 2].

Noteworthy, that there are concepts of "shallow" and "deep" integration, which describe issues encompassed by integration agreements [13]. A "shallow" integration agreement deals with tariffs and other barriers to trade occurring at the border, while "deep" integration also envisages issues "behind the border", which impede trade between or among member states of economic integration. Moreover, considering some institutional aspects of economic integration Tinbergen differentiates between "positive" and "negative" integration [2]. According to Tinbergen negative integration refers to the removal of trade obstacles, while positive integration requires modification or creation of new institutions and instruments, which enhances economic integration. However, according to El-Agra this distinction is oversimplistic considering that all forms of integration need some elements of positive integration [10, p. 2]. Furthermore, economic integration could be Market-Led integration or Policy-Led integration [14]. The major distinction between these two notions is whether the integration process is based on and developed by market forces or integration is initiated by governments to achieve some economic or non-economic goals and therefore, economic integration is mostly a political process rather than an economic.

Regarding the economic effects of integration, scholars distinguish static and dynamic effects of integration. The notion "static" effects belong to Viner and refer to the immediate or short-run welfare effects of integration, such as trade creation or trade diversion [1]. The concept of dynamic

effects of economic integration was developed by Balassa via including analysis of long-term effects of economic integration such as "large-scale economies, technological change, as well as the impact of integration on market structure and competition, productivity growth, risk and uncertainty, and investment activity" [15, p. 139].

As the above-mentioned short review of economic integration concepts demonstrates there are various approaches to analyze economic integration as a process or as a result. Economic integration as a process could be described as a process of the gradual removal of trade and other barriers impeding trade and factor mobility, while economic integration as a result is a stage of economic integration that would be achieved after integration processes.

## The EU DCFTA as a unique trade agreement

The EU's trade policy transformation towards comprehensive bilateral trade agreements is the result of the failure of the so-called "Doha Development Round" in the framework of the WTO and increased competition in the globalizing world economy. It should be noted that the EU's new trade strategy, reflected in the Commission of the European Communities communication on "Global Europe: Competing in the World" envisaged possibilities of negotiations on bilateral trade agreements with specific country/country groups based on economic criteria (economic size and the level of protection against EU export). Moreover, regarding the content of trade agreements, according to communication new trade agreements should be comprehensive and ambitious as well as new agreements should include issues of regulatory convergence where possible [16].

A term Deep and Comprehensive Free Trade Agreements for the first time appeared in the communication "A Strong European Neighborhood Policy" [17]. According to this communication, this type of trade agreement is considered as the best available instrument to increase the economic integration of the European Neighborhood Policy (ENP) countries with the EU. Moreover, in this communication, the EU stated that new trade agreements with ENP countries should include legally-binding provisions on regulatory issues in trade and economic areas.

Noteworthy, that the EU DCFTAs belong to more advanced forms of trade agreements, which goes beyond the so-called "First generation" and "New generation" trade agreements of the EU. According to the respective communication of the European Commission "First Generation" trade agreements focus on trade liberalization, while "New generation" trade agreements "aim to develop stronger rules-based and values-based trade regimes..." [18, p. 5]. Noteworthy, that "new generation" trade agreements do not envisage economic integration with the EU, while DCFTAs final goal is gradual integration of the respective ENP countries with the EU.

In general, the EU DCFTAs are complex and multidimensional agreements, which, besides pure trade-related issues envisage many areas of increased cooperation, which affects economic relations between parties in direct or indirect ways and represents an instrument for gradual economic integration with the EU. Therefore, DCFTA goes beyond trade-related "border issues" and includes "behind the border" areas. Moreover, DCFTA includes so-called "Singapore issues" (trade and investment, trade and competition policy, transparency in government procurement, and trade facilitation), which makes DCFTAs as a proper instrument to advance the EU's trade policy priorities on a bilateral level. As Woolcock pointed out "the EU has generally succeeded in including the Singapore issues in the PTAs it negotiates with middle-income and developed economies" [19, p.727]. Accordingly, DCFTAs also represent the best tool to export the EU's regulations and standards in many areas to respective countries.

The EU concluded DCFTAs, as part of Association Agreements, with three "Eastern Partnership" countries (Ukraine, Moldova, and Georgia). Notable, that the European Commission describes DCFTA as "a unique type of trade agreement" [20, p. 14]. A uniqueness of DCFTAs could

be defined based on three features of this agreement, which distinguishes DCFTAs from other types of the EU's trade agreements. The first peculiarity of the DCFTA is the conditional nature of the agreement, which means the gradual opening of the EU market after all necessary preconditions, including issues of legal and regulatory convergence, are met. Second, DCFTA envisages legally binding regulatory convergence in many areas, which are directly or indirectly related to trade. Finally, DCFTAs envisage not only static legal and regulatory convergence, defined in the annexes of the agreement but also a dynamic approximation of legislation with those of the EU. These three features of DCFTAs, which are supporting factors of integration with the EU, also characterize the complexity of the agreements to implement.

## The EU-Georgia DCFTA as an instrument of economic integration

The EU is Georgia's major trade partner, while Georgia's share in the EU's trade is less than 1%. Hence, according to the economic criteria of the EU's new trade strategy, Georgia as well as other "Eastern Partnership" countries were not among priority countries to conclude a new comprehensive trade agreement. However, as the EU communication on "A Strong European Neighborhood Policy" stated "Spreading peace and prosperity across the borders of the EU prevents artificial divisions and creates benefits for the ENP partners and the EU alike" [17, p. 1]. Therefore, DCFTAs "in contrast to the EU's other trade agreements were driven mostly by geography and politics (geographical proximity and stable neighborhood), rather than economic considerations" [21, p. 49). Thus, in terms of "market" or "policy" led agreement the EU-Georgia DCFTA is a policy-led agreement and reflects the EU's foreign policy priorities on a stable and prosperous neighborhood.

Noteworthy, that the EU-Georgia DCFTA besides trade liberalization (elimination of tariff and non-tariff barriers), envisages progressive approximation and regulatory convergence in many areas of the economy, such as intellectual property rights, sanitary and phytosanitary measures, customs legislation, trade in services and electronic commerce, public procurement, technical barriers to trade, standardization, accreditation and conformity assessment, competition policy, etc. Thus, the EU-Georgia DCFTA includes the so-called "behind the border" issues and therefore, represents a "deep" rather than a "shallow" integration scheme. Moreover, considering Georgia's commitment on legal approximation, including dynamic approximation with respective EU legislation, the EU-DCFTA is an instrument of economic integration as a process, not as a result of economic integration, even after proper implementation of the agreement.

The EU-Georgia DCFTA, as an important part of the Association Agreement, also foresees the creation of a new joint institution (Association Council, Association Committee, respective Subcommittees) to oversee implementation of the agreement including processes of legal approximation and regulatory convergence as well as to introduce amendments to the agreement considering new developments in respective law of the EU. Hence, "Altogether the regulations are also aimed at liberalisation, approximation to the standards of the EU under monitoring of the joint committees with the final objective to arrive at a more Europe-like regulatory environment in the DCFTA countries" [22, p. 23]. Considering the creation of new joint institutions to supervise and enhance implementation of the agreement the EU-Georgia DCFTA represents not only a "deep" integration scheme but also a "positive" integration scheme.

Noteworthy, that according to the EU-Georgia DCFTA provisions Georgia preserves the independence of trade policy, however, Georgia could not enter a customs union with third countries. Moreover, the EU-Georgia DCFTA is about trade integration, not about factor integration or economic policy integration. The DCFTA includes provisions on capital movement

[23, p. 62, article 138], while the labor movement is restricted and therefore, the EU-Georgia DCFTA foresees partial factor integration. In addition to that, Georgia is obliged to harmonize some aspects of economic policy based on regulatory convergence commitment, however, the degree of convergence could not be considered as economic policy integration, which has more broad meaning, rather than regulatory convergence in many economic areas. Consequently, the EU-Georgia DCFTA is an agreement on trade integration with imperfect factor and economic policy integration. As a result, in terms of economic integration stages, the EU-Georgia DCFTA is a Free Trade Area with limited components of the Common Market.

## Conclusions

The EU-Georgia DCFTA aims at the gradual economic integration of Georgia with the EU and represents a new type of trade agreement. The EU-Georgia DCFTA goes beyond "pure" trade issues and foresees progressive legal approximation and regulatory convergence, which in the long run will increase the compatibility of Georgia's economy with the EU. In light of economic integration concepts, the EU-Georgia DCFTA is a "policy led", "deep" and "positive" integration scheme. In addition to that, the EU-Georgia DCFTA as an integration instrument combines trade integration with limited factor integration and economic policy integration. Therefore, DCFTA is more than a "simple" Free Trade Area as a stage of economic integration and includes some aspects of the Common Market.

**References:**


1. Viner, J. (1950). The Customs Union Issue. New York: Carnegie Endowment for International Peace
2. Tinbergen J. (1954), International Economic Integration, Elsevier.
3. Meade, J. E. (1955). The theory of customs unions. Amsterdam: North Holland
4. Myrdal, G. (1956). An international economy: Problems and prospects. New York: Harper.
5. Röpke, W. (1959). International Order and Economic Integration. Springer Netherlands
6. Balassa, B. 1961. The Theory of Economic Integration. Homewood, Illinois: Richard D. Irwin
7. Machlup, F. (1977). A history of thought on economic integration. New York: Columbia University Press.
8. Bhagwati, J. and Panagariya A. 1996. The theory of preferential trade agreements: Historical evolution and current trends. The American Economic Review 86 (2): pp. 82-87.
9. Panagariya, A. 1998. The regionalism debate: An overview. University of Maryland.
10. El-Agraa, A.M. (2011), The European Union: Economics and Policies, ninth edition
11. World Trade Organization (WTO). (2011). World Trade Report: The WTO and preferential trade agreements: From co-existence to coherence.
12. Chauffour, J. P. and Maur, J. C. (eds). (2011). Preferential Trade Agreement Policies for Development: A Handbook. The World Bank.
13. Lawrence, RZ (1996) Regionalism, multilateralism, and deeper integration (Washington, DC: Brookings Institution)
14. Goode, W. (2003). Dictionary of Trade Policy Terms. Fourth edition.
15. Hosny A. (2013). Theories of Economic Integration: A Survey of the Economic and Political Literature, International Journal of Economy, Management and Social Sciences, 2(5), P. 133-155
16. Commission of the European Communities. (2006), Communication on "Global Europe: Competing in the World." COM (2006) 567, Brussels.
17. Commission of the European Communities. (2007), Communication on "A Strong European Neighborhood Policy." COM (2007) 774. Brussels.
18. European Commission. (2019), Report from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions on Implementation of Free Trade Agreements, 1 January 2018 - 31 December 2018, COM (2019) 455 final.
19. Woolcock S. (2014), EU Policy on Preferential Trade Agreements in the 2000s: A Reorientation towards Commercial Aims, European Law Journal, Vol. 20, No. 6, pp. 718–732.

20. European Commission. (2017). Report from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions on Implementation of Free Trade Agreements. 1 January 2016 - 31 December 2016, COM (2017) 654 final.
21. Eteria, E. (2019). EU's Trade Policy Developments and Economic Dimension of EU-Georgia Association Agreement, Eastern European Journal of Regional Studies (EEJRS), Volume 5, Issue 2, pp. 44-59
22. Adarov, A. and Havlik, P. (2016), Benefits and Costs of DCFTA: Evaluation of the Impact on Georgia, Moldova and Ukraine, Joint Working Paper.
23. Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, (2014), Official Journal of the European Union, Volume 57 (L 261), English edition.


# საქართველო-ევროკავშირის DCFTA ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიების ჭრილში


**ემირ ეთერია**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*

*კავკასიის უნივერსიტეტი*



რ ე ზ ი უ მ ე

საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმება გაანალიზებულია ეკონომიკური ინტეგრაციის კონცეფციების კონტექსტში. ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიების თანახმად, ინტეგრაცია სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობს და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები განსხვავდება ინტეგრაციის სიღრმის, სისწრაფის და მასშტაბის მიხედვით. ევროკავშირის ორმხრივი ვაჭრობის შესახებ სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, DCFTA წარმოადგენს ახალი ტიპის სავაჭრო შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირთან საქართველოს თანმიმდევრულ ეკონომიკურ ინტეგრაციას. საქართველო-ევროკავშირის DCFTA წარმოადგენს ევროკავშირთან ვაჭრობის ზრდისა და ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების საუკეთესო მექანიზმს.



***საკვანძო სიტყვები:*** *ევროკავშირი, საქართველო, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DCFTA), ეკონომიკური ინტეგრაცია.*

# აგრარული პოლიტიკის განხორციელების შედეგები და პრობლემები საქართველოში პოსტკრიზისულ პერიოდში

**გულნაზ ერქომაიშვილი**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში გადმოცემულია აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობა, აგრარული პოლიტიკის განხორციელების შედეგები და პრობლემები პოსტკრიზისულ პერიოდში საქართველოში. აღნიშნულია, რომ საქართველოს აგრარულ სექტორს სახელმწიფოს სწორი პოლიტიკითა და ხელშეწყობით შეუძლია, ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციით გასვლა. ჩამოთვლილია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარებას. განხილულია სოფლის მეურნეობის განვითარების ანტიკრიზისული გეგმა. მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები.*

*საკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი, სოფლის მეურნეობა, აგრარული პოლიტიკა, სოფლის მეურნეობის განვითარების ანტიკრიზისული გეგმა.*

სწორი აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაშიც სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აგრარული პოლიტიკა სოფლის მეურნეობის ქვესექტორების განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ამავე დროს, მთავრობას სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებით, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნითა და საგადასახადო შეღავათების მეშვეობით მათი განვითარების დაჩქარება შეუძლია. ამ პროცესმა აგრარული სექტორის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში უნდა გაზარდოს.

2019 წლის მონაცემებით, საქართველოში სოფლის მოსახლეობის წილი ქვეყნის მოსახლეობაში 41,3%-ია. თუმცა, ამ სფეროს წილი მთლიან სამამულო პროდუქტში მხოლოდ 7,7%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 2015 წელს იყო - 9.1%, 2016 წელს - 9%, 2018 წელს - 7,8%, ანუ ყოველწლიურად მცირდება [6]. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, სოფლად მცხოვრებ ერთ ოჯახზე საშუალოდ ერთ ჰექტრამდე მიწა მოდის. მცირემიწიანობა მიწის ნაკვეთების არაეფექტიანად გამოყენებას იწვევს.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე იმ ქვეყნებმა, რომლებსაც საერთაშორისო ბაზარზე თავის დამკვიდრება სურთ, კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოება და ექსპორტი უნდა შეძლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქვეყნები განვითარებული ქვეყნების აგრარულ-სანედლეულო პროდუქციის დანამატად გადაიქცევიან. აგრარული სექტორის განვითარების მიზნობრივი მხარდაჭერა ქვეყნის სავალუტო შემოსავლების მიღებისა და განვითარების საფუძველია.

საქართველოს აგრარულ სექტორს სახელმწიფოს სწორი პოლიტიკითა და ხელშეწყობით შეუძლია ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ასევე წარმატების მიღწევა და გასვლა მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციით. მსოფლიო ბაზარზე დღითიდღე იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები ამის განხორციელების სერიოზულ შესაძლებლობას იძლევა. ქართულმა პროდუქციამ პოპულარობა, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი, უცხოეთში უნდა მოიპოვოს [1, გვ.88].

საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია [6]. ამის გამო ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღე-

ბული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. ქვეყანაში სიღარიბე და უმუშევრობა ჯერ კიდევ უმძიმეს პრობლემად რჩება.

ძალზე მცირეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ დარგი რისკიანი და დაბალმომგებიანია, აგრარული წარმოების შედეგები კვლავაც არაპროგნოზირებადია: გვალვა, წყალდიდობა, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებები და მავნებლები აგრარულ სექტორს კაპიტალის ჩადებისათვის შედარებით მაღალრისკიან სფეროდ აქცევს. უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის აკრძალვამაც შეაფერხა დარგში ინვესტიციების, ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების შემოსვლა.

ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება. 2012 წლის მარტში შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა ათი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის უპირატეს განვითარებას, ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი და მდგრადი აგროსასურსათო სექტორის ფორმირების გეგმას, რომელიც დაემყარებოდა საწარმოთა ღირებულებების ჯაჭვის განვითარების ერთიან კომპლექსს.

2011-2015 წლებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს და მიზნებს შორის არის სოფლის მეურნეობის განვითარება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულია დოკუმენტი - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020. იგი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის განვითარებას მცირე ფერმერთა გაძლიერებითა და წარმოების ზრდის ხელშეწყობით.

შემდეგ წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწეყობის მიზნით რამდენიმე პროექტი განხორციელდა. მათ შორის წარმატებით მიმდინარეობს: შეღავათიანი აგროკრედიტი, აწარმოვე საქართველოში, ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD), აგროდაზღვევა.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით, 2018 წლიდან დაიწყო სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - „ახალგაზრდა მეწარმე“, რომლის ამოცანაა ახალგაზრდებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევის გზით რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და სიღარიბის შემცირება; მიზანია - რეგიონებში კერძო სექტორის განვითარება, ახალგაზრდების ბიზნესში ჩართულობის ხელშეწყობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის ჯაჭვში ინვესტიციების განხორციელება.

2013-2019 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის სახელმწიფომ 1,5 მილიარდი ლარი დახარჯა. ეს თანხა განაწილდა შეღავათიან აგროკრედიტზე, უფასო ხვნა-თესვაზე, საწარმოების დაფინანსებაზე, პროექტ „დანერგე მომავალზე“, ქართული ჩაის აღდგენის პროგრამაზე, აგროდაზღვევაზე, ყურძნისა და ციტრუსის ფასის სუბსიდირებაზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, დარგში მეცნიერულ კვლევებზე და ა.შ. 300 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენასა და აშენებაზე. ევროკავშირსა და ბევრ სხვა ქვეყანაში საბაჟო გადასახადის გარეშე გააქვთ პროდუქცია. უამრავი დონორი ეხმარება სოფლის მეურნეობას გრანტებით, მაგრამ სოფლის მეურნეობაში, ზრდის ნაცვლად, კლება გვაქვს. ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობის საშუალო ზრდის ტემპი 1.5% იყო, რაც ეკონომიკის საშუალო ზრდის მაჩვენებელზე სამჯერ ნაკლებია [10].

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ უპრეცედენტო ძვრები გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკაში. განსაკუთრებით სერიოზული ეკონომიკური ზარალი მიადგა ისეთ ქვეყნებს, რომელთა ეკონომიკაში დიდი ადგილი ტურიზმს ეკავა. ასეთ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც.

დღევანდელ ურთულეს პირობებში ადგილობრივი წარმოების განვითარება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა. ქვეყანა უნდა ეცადოს, აწარმოოს ის

პროდუქცია და მომსახურება, რისი რესურსიც აქვს ან გარკვეულ შეფარდებით უპირატესობას ფლობს. გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა ისე უნდა შეიცვალოს, რომ იგი ძირითადად ერთ ინდუსტრიაზე არ იყოს დამოკიდებული.

პოსტკრიზისულ პერიოდში აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა. მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის (24.04.2020) მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია სოფლის მეურნეობაზე ზრუნვა. კერძოდ, სოფლად მცხოვრებ ადამიანს, რომელიც გადაწყვეტს, ელემენტარული მცირე ბიზნესის წამოწყებას, სახელმწიფო 30 000 ლარის გრანტს გამოუყოფს. მიკრო საგრანტო სისტემა სახელმწიფომ რამდენიმე წლის წინ დაიწყო და ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა. აღნიშნული პროგრამა დაიწყო 5000 ლარიდან, შემდგომ გახდა 15 000, 20 000 ლარი და დღეს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და ეს ზღვარი 30 000 ლარამდე აწია. ეს არის რეალური დახმარება სოფლად მცხოვრები ადამიანისთვის, რომელიც გადაწყვეტს, ელემენტარული მცირე ბიზნესის წამოწყებას [9].

დღეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება პირველადი სასურსათო პროდუქტების წარმოება, სასურსათო ბაზის შექმნა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სახელმწიფომ ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის 50 000 000 ლარი გამოყო. აგროკრედიტით სარგებლობას კი 5000 ფერმერი შეძლებს. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რამეთუ ერთწლოვანი კულტურები არის სწრაფი ეკონომიკური ეფექტის მქონე, მაგრამ, ამავე დროს, მაღალი ეკონომიკური რისკების შემცველი, ამიტომ, სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ფერმერებს მხარში დაუდგეს და დაეხმაროს.

სოფლის მეურნეობის განვითარება მიწის სისტემური რეგისტრაციის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია. იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, 3 წლის განმავლობაში მოხდეს 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია. დღეის მდგომარეობით ეს ის მიწებია, რომლებიც დარჩენილია სისტემური რეგისტრაციის გარეშე და ამის შემდგომ, საქართველოში მიწის სისტემური რეგისტრაციის პრობლემა საბოლოოდ იქნება გადაწყვეტილი.

გარდა ამისა, სამელიორაციო საქმიანობის მხარდაჭერისთვის მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის დაგროვილი სარწყავი წყლის გადასახადი გაუქმდეს, ჩამოეწეროს მათ და 2020 წლის სამელიორაციო საფასურისგან სრულად გათავისუფლდებიან.

საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა (12.05.2020) წარადგინა, რომელიც მცირე, საშუალოდ და მსხვილი ფერმერული მეურნეობების დახმარებას ისახავს მიზნად. პროგრამის ბიუჯეტი 300 მილიონ ლარამდეა და ის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ფაქტობრივად თითოეული ეტაპის სუბსიდირებას ან თანადაფინანსებას გულისხმობს. მათ შორის გათვალისწინებულია სუბსიდირების პროგრამა დიზელის საწვავის შესაძენად, ასევე, სუბსიდირება ქიმიკატების შესაძენად, სუბსიდირება მცირემიწიანი ფერმერებისთვის მიწების დასამუშავებლად და სხვა. პროექტი, ასევე, ითვალისწინებს რამდენიმე უკვე არსებული პროგრამის, მათ შორის აგროდაზღვევის, იაფი აგროკრედიტის, „დანერგე მომავლის" და სხვა პროგრამების დაფინანსებების გაფართოებას.

აგრარული სექტორის განვითარებას ხელს უშლის სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დაბალი დონე. კომერციული ბანკები, აღნიშნული სექტორის რისკებიდან გამომდინარე, თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან. ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგზე საბანკო კრედიტების 2%-ზე ნაკლები მოდის. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფერმერებზე განსაკუთრებით ზრუნავენ, რაც უწინარესად უპროცენტო სესხის გამოყოფით გამოიხატება. ქართველ გლეხობასა და ფერმერებს ასეთი დახმარებები დღემდის არ ჰქონია.

რაც მეტად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა (12.05.2020) ითვალისწინებს ახალ საბანკო შეღავათებს აგროწარმოებისთვის. კერძოდ: საბრუნავი საშუალებების კომპონენტი - 5 000 ლარი - 100 000 ლარი, სრული თანადაფინანსება - 17%, თანადაფინანსების პერიოდი - 6 თვე. ძირითადი საშუალებების და ლიზინგის კომპონენტი - 20 000 ლარი - 1 500 000 ლარი, თანადაფინანსება - 11-12%; თანადაფინანსების პერიოდი - 48 თვე. სასურსათო მრეწველობის ხელშეწყობის კომპონენტი - 1 500 001 ლარი - 5 000 000 ლარი, თანადაფინანსება - 10%, თანადაფინანსების პერიოდი - 24 თვე. იზრდება ერთწლიანი კულტურებისთვის სესხის 6 თვის საპროცენტო განაკვეთი სრულად დაფინანსდება: 8%-ის ნაცვლად, სესხის თანადაფინანსების კომპონენტი ხდება 11%; ლიზინგის თანადაფინანსება, 9%-ის ნაცვლად, ხდება 12%; ბიუჯეტი 74 მილიონი - დამატებით გამოიყო 7.4 მილიონი ლარი[9].

აგრარული პოლიტიკის პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მეურნეობის ოპტიმალური ზომის განსაზღვრა და მისი განვითარების ხელშეწყობა. რიგი ქვეყნის მაგალითი გვიჩვენებს, რომ მრავალ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა მცირე ზომის მეურნეობებში უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილში. არსებობს მოსაზრება, რომ განსხვავება მცირე და მსხვილი მეურნეობების ეფექტიანობაში მიწის ხარისხობრივი მონაცემებით არის განპირობებული. დიდ მეურნეობებს ხშირად დაბალი ხარისხის მიწები აქვთ. დიდი ფერმების დაბალი პროდუქტიულობა რიგ შემთხვევაში დაქირავებული შრომის გამოყენებითაცაა განპირობებული. მცირე საოჯახო მეურნეობებში ოჯახის წევრთა შრომა უფრო იაფია და უფრო ეფექტიანი. ოჯახის წევრები შემოსავლიდან თავის წილს იღებენ და უფრო მოტივირებული არიან.

საქართველოში სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის აუცილებელია წვრილგლეხური მეურნეობების გაერთიანება, მათი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, შხამქიმიკატებით უზრუნველყოფა, მოსავლის დაბინავების და რეალიზაციის უზრუნველყოფა, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა.

წარმოებასთან ერთად ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა პროდუქციის რეალიზაცია. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ თვითონ ფერმერი დაიწყებს პროდუქციის რეალიზაციაზე ზრუნვას, იგი ვერც თავის მეურნეობას განავითარებს და ვერც რეალიზაცია გამოუვა მომგებიანი. ამ მხრივ საქართველოში სავალალო მდგომარეობაა. წვრილი გლეხები ან წვრილი გადამყიდველები, ყოველგვარი აღრიცხვის, სურსათის უვნებლობის და სხვა ნორმების დარღვევით ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას. ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს შუალედური კომპანიები მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეგროვებას, მომხმარებლებისათვის სასურველი სასაქონლო სახის მიცემას, უვნებლობის კონტროლს და ნორმალურ დისტრიბუციას.

საქართველოს აგრარული პოლიტიკა პოსტკრიზისულ პერიოდში მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

• საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

• ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება;

• ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;

• საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;

• სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;

• აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება.

• აგრარული სექტორის განვითარებისათვის აუცილებელია:

• ფერმერებისათვის დაბალპროცენტიან და გრძელვადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობა;

• სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგება, მანქანა-ტრაქტორების ცენტრების შექმნა და ლიზინგის განხორციელება;

• სახელმწიფოს მიერ ფერმერთა პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა;

• საშუამავლო სტრუქტურების შექმნა, რომლებიც ფერმერს რეალიზატორებთან დააკავშირებს;

• ფერმერების საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების გაფართოება და მომსახურების თანამედროვე ფორმათა დანერგვა, მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული წარმოების უზრუნველყოფა;

• საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიების დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება;

• ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების გამოყენება სურსათის წარმოებისთვის;

• სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე ყურადღების გამახვილება.

**ლიტერატურა:**


1. ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი, 2016
2. ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD –GEORGIA), 2013
3. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2018, სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2019.
4. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2012-2022 წწ. თბილისი, 2011.
5. E. Kharaishvili, G. Erkomaishvili, M. Chavleishvili, Trends of Agro-Food Production and Export Stimulating Economic Policy in Georgia, International Journal of Economics and Management Engineering, Vol:13, No:1, 2019
6. www.geostat.ge
7. www.moa.gov.ge (საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ.)
8. www.mepa.gov.ge (საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027)
9. http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75972 მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა (24.04.2020)
10. https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-soplis-meurneobis-sektorshi-2012-2019-clebshi-arsebuli-ziritadi-tendenciebi


# Consequences and problems of agrarian policy implementation in Georgia in the post-crisis period


**Gulnaz Erkomaishvili**

***Academic Doctor of Economics, Associate Professor***

***Ivane Javakhishvili Tbilisi State University***



S u m m a r y

The paper presents the current situation in the agrarian sector, the results of the implementation of agrarian policy and problems in the post-crisis period in Georgia. It is noted that the agricultural sector of Georgia, with the right policy and support of the state, can meet local needs and enter the world market with competitive agricultural products. The factors that hinder the successful development of agriculture are listed. The anti-crisis plan for agricultural development is discussed. Conclusions and recommendations are given.



***Keywords:*** *Agrarian sector, Agriculture, Agrarian policy, Agricultural development anti-crisis plan.*

# შემოსავლების უთანასწორობა და მისი დაძლევის გზები

**ლალი ვარდიშვილი**
***ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი***
***ასოცირებული პროფესორი***
***მილენიუმის სასწავლო უნივერსიტეტი***

*შემოსავლების უთანასწორობა არის ფულადი შემოსავლების განსხვავება მოსახლეობის სხვადასხვა ფენასა და ჯგუფს შორის. უთანასწორობა იწვევს სოციალურ კრიზისებს და არსუსტებს საჯარო სერვისებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.*

*არსებობს მრავალი ფაქტორი, რომლებიც იწვევს მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვან უთანასწორობას, კერძოდ:*

*შემოსავლების და ქონების არათანაბარი განაწილება;*

*განათლება;*

*უნარები;*

*ტექნოლოგიური პროგრესი;*

*გენდერი;*

*მემკვიდრეობა;*

*დასაქმებულთა დაბალი ხელფასები, უმუშევრობა.*

*საპენსიო უფლებები.*

*შემოსავლების დიფერენციირების ზრდის სერიოზული ფაქტორი არის ასევე ინფლაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ინდექსირებული არ არის.*

*ადამიანის შემოსავალი დამოკიდებულია მის შესაძლებლობებზე, ნიჭზე, უნარზე, ადამიანურ კაპიტალზე, დისკრიმინაციაზე, მთავრობის როლზე, შემოსავლების სწორად განაწილებაზე. შემოსავლების უთანასწორობის დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების გამოყენებას, რაც იწვევს მრავალ სოციალურ პრობლემებს: იზრდება კრიმინალი, აღინიშნება პოლიტიკური არასტაბილურობა, უარყოფითად მოქმედებს ჯანდაცვაზე, განათლებაზე და ა.შ. კვლევებმა გვიჩვენეს, რომ არსებობს უთანასწორობის გარკვეული ოპტიმალური დონე, რომელიც ხალხს არ უკარგავს მუშაობის სურვილს, მათში არ კლავს ინიციატივას, სტიმულს აძლევს ეფექტურად მუშაობაში და, რაც მთავარია, არ იწვევს მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღარიბებას, რომელიც ვერ მიიღებს კარგ განათლებას, ვერ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვას და ვერ შეძლებს საკუთარი ბიზნესის ამუშავებას. სხვადასხვა ქვეყანაში შემოსავლების ნორმალური უთანასწორობის დონე სხვადასხვაა. მაგ. აშშ - ში 14 ითვლება; საქართველოში 7 და ა.შ.*

*შემოსავლების დიფრენციაციის გასაზომად გამოიყენება მრავალი ინდიკატორი, კერძოდ:*

*მედიანური მოხმარება*

*სიღარიბის დონე*

*ჯინის კოეფიციენტი*

*შემოსავლების დიფერენციაციის კოეფიციენტი*

*აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ერთი ინდიკატორის მიერ უთანასწორობის ანალიზი ვერ უზრუნველყოფს ობიექტურ სურათს და არ იძლევა საშუალებას, შესწავლილი იქნას მისი თვისებები და გავლენა ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და სოციალურ პროცესებზე.*

*სახელმწიფომ უთანაბრობის შესამცირებლად შესაბამისი პოლიტიკა უნდა გაატაროს. ამისთვის არსებობს რამდენიმე გზა, კერძოდ :*

*ადამიანური კაპიტალის გაძლიერება.*

*ღირსეული ანაზღაურების დაწესება - ეს მოქალაქეთა მსყიდველუნარიანობითი შესაძლებლობაა. დღევანდელი მდგომარეობით, ყველაზე დაბალი შემოსავალი საარსებო მინიმუმზე დაბალია, რომელიც, იმავდროულად, იზრდება. მდიდარსა და ღარიბს შორის უთანასწორობა ძალიან შესამჩნევია. მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის შემოსავალი 10-ჯერ*

*აღემატება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის შემოსავალს, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს განსხვავება ბევრად დაბალია. (3 - 4 ).*

*ფულის უკანონო გადინების შეჩერება;*

*ეფექტური საგადასახადო სისტემა. პროგრესული საშემოსავლო გადასახადი სასურველია განისაზღვროს არა მარტო მათი შემოსავლების მიხედვით, არამედ ოჯახის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით. ეკონომიკური თვალსაზრისითა არსებული გადასახადები არაეფექტურია და აღინიშნება კაპიტალის გადინება. ევროპაში მიღებულ მთლიან შემოსავალზე საგადასახადო განაკვეთების ჩვენთან დანერგვა პროგრესული მასშტაბით ბევრ პრობლემას გადაჭრის, კერძოდ: შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, გაიზრდება პენსიები, ხელფასები. გაეზრდებათ შემოსავალი დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სამამულო პროდუქციის ყიდვაზე, ანუ გაიზრდება მოთხოვნა, რაც დადებითად აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. მაღალშემოსავლიანი ადამიანები უფრო მეტს გადაიხდიან სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც ნიშნავს ქვეყანაში უკეთეს საჯარო მომსახურებას, კერძოდ: უკეთეს განათლებას; ჯანდაცვას; ინფრასტრუქტურას და ა.შ.*

*ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გაფართოება.*

*საკუთრების დაცვა.*

*იმისთვის, რომ ავაშენოთ უფრო სამართლიანი და მდგრადი ეკონომიკური მოდელი, საჭიროა შრომის ბაზრის რეგულირება, გადასახადების პროგრესული სისტემის შემოღება, პატიოსანი სასამართლო სისტემა, უმუშევრობის შემცირება. მოგების მაქსიმიზაცია მოხდეს არა ხელფასების შემცირებით, არამედ ტექნოლოგიური პროგრესით, რაც შესაძლებელია სოციალურად პასუხისმგებლიანი სახელმწიფოს ფორმირებით.*

*საკვანძო სიტყვები: შემოსავლის უთანასწორობა; სიღარიბის დონე; ჯინის კოეფიციენტი; საგადასახადო სისტემა.*

**შემოსავლების უთანასწორობა არის ფულადი შემოსავლების განსხვავება მოსახლეობის სხვადასხვა ფენასა და ჯგუფს შორის. უთანასწორობა იწვევს სოციალურ კრიზისებს და ასუსტებს საჯარო მომსახურებას, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.**

**არსებობს მრავალი ფაქტორი, რომლებიც იწვევს მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვან უთანასწორობას, კერძოდ:**

- **შემოსავლების და ქონების არათანაბარი განაწილება;**
- **განათლება - თითოეული ინდივიდის მიერ მიღებული განათლების დონე განსხვავდება, არა ფინანსური შესაძლებლობების გამო, არამედ თანდაყოლილი თვისებებით.**
- **უნარი - თანდაყოლილი შესაძლებლობები გარკვეულ როლს ასრულებს ინდივიდის განსაზღვრაში. ადამიანებს, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობა, შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული დონის სიმდიდრე. აქვე აღვნიშნავ, რომ ერთნაირი შესაძლებლობის შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეთ სრულიად განსხვავებული პრიორიტეტები, რაც შესაბამისად იწვევს შემოსავლების განსხვავებას.**
- **ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც, თავის მხრივ, ითხოვს გამოცდილ მუშაკებს. ეს ავტომატურად იწვევს ხელფასების ზრდას უნარშეზღუდულ მუშაკებთან შედარებით და ხელს უწყობს უთანაბრობის გაღრმავებას.**
- **გენდერი - სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები მამაკაცებისას და ქალებისთვის და მიიღოს ზომები უთანაბრობის აღმოსაფხვრელად.**
- **მემკვიდრეობა - ადამიანები, რომლებიც უკვე ფლობენ სიმდიდრეს, აქვთ იმის რესურსი, რომ ინვესტიცია განახორციელონ ან ისარგებლონ სიმდიდრის დაგროვებით, რაც ახალ სიმდიდრეს ქმნის.**

• დასაქმებულთა დაბალი ხელფასები, უმუშევრობა.

• საპენსიო უფლებები.

შემოსავლების დიფერენცირების ზრდის სერიოზული ფაქტორი არის ასევე ინფლაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ინდექსირებული არ არის.

ადამიანის შემოსავალი დამოკიდებულია მის შესაძლებლობებზე, ნიჭზე, უნარზე, ადამიანურ კაპიტალზე, დისკრიმინაციაზე, მთავრობის როლზე, შემოსავლების სწორად განაწილებაზე. [1. გვ 411] შემოსავლების უთანასწორობის დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების გამოყენებას, რაც იწვევს მრავალ სოციალურ პრობლემას: იზრდება კრიმინალი, იწვევს პოლიტიკურ არასტაბილურობას, უარყოფითად მოქმედებს ჯანდაცვაზე, განათლებაზე და ა.შ. კვლევებმა გვიჩვენეს, რომ არსებობს უთანასწორობის გარკვეული ოპტიმალური დონე, რომელიც ხალხს არ უკარგავს მუშაობის სურვილს, მათში არ კლავს ინიციატივას, სტიმულს აძლევს ეფექტურად მუშაობაში და რაც მთავარია არ იწვევს მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღარიბებას, რომელიც ვერ მიიღებს კარგ განათლებას, ვერ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვას და ვერ შეძლებს, ჰქონდეს საკუთარი ბიზნესი. სხვადასხვა ქვეყანაში შემოსავლების ნორმალური უთანასწორობის დონე სხვადასხვაა. მაგ., აშშ-ში 14 ითვლება; საქართველოში 7 და ა.შ. ნორმალური უთანასწორობა ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას, ხოლო გადაჭარბებული კი პირიქით ამუხრუჭებს. კვლევებმა აჩვენეს, რომ არსებობს კავშირი უთანასწორობას, პოლიტიკურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის.

შემოსავლების დიფერენციაციის გასაზომად გამოიყენება მრავალი ინდიკატორი, კერძოდ:

მედიანური მოხმარება - ქვეყანაში ერთი ადამიანის საშუალო ყოველთვიური მოხმარების, 60 და 40 პროცენტზე ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი; საქსტატის მონაცემების მიხედვით, მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით საქართველოს მოსახლეობის თითქმის 20% -ია.

სიღარიბის დონე - სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა; სიღარიბის გასაზომად სამ კონცეფციას ეყრდნობიან. ესენია: აბსოლუტური, შედარებითი და სუბიექტური კონცეფციები. საქართველოში მიმართავენ აბსოლუტურ კონცეფციას. აბსოლუტური კონცეფცია ეყრდნობა მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობას ქვეყანაში კანონმდებლობით დადგენილ საარსებო მინიმუმთან.

ცხრილი N 1

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი, %

| წლები | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რაოდენობა | 26,2 | 23,5 | 21,6 | 22,0 | 21,9 | 20,1 | 19,5 |

სიღარიბის სურათის დადგენისას მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული საშუალო თვიური ხელფასის დადგენა. მის დასადგენად საჭიროა გაცემული სახელფასო ფონდის გაყოფა ხელფასის მიმღებთა და გამოსათვლელი პერიოდის თვეთა რიცხვზე. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველოში მინიმალური ხელფასი ყველაზე დაბალია და მინიმუმ 9-ჯერ ჩამორჩება მეზობელი ქვეყნების ხელფასს. მაგ., აზერბაიჯანში მინ. ხელფასი 76$-ია; სომხეთში 114$; მოლდოვაში 115%; უკრაინაში 123$; რუსეთში 132$; ბელორუსიაში 155$.

**დიაგრამა N 1**

**საშუალო თვიური მინიმალური ხელფასი**




აქვე აღვნიშნავ, რომ შემოსავლის საფუძველი არ უნდა იყოს მხოლოდ ხელფასი. სიღარიბის გამოსაკვლევად ასევე საჭიროა მინიმალური პენსიის საკითხიც. სიღარიბეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამომხმარებლო ინდექსი, რომელიც ახასიათებს გარკვეული დროის განმავლობაში ფიქსირებულ სამომხმარებლო კალათას. სიღარიბის მაჩვენებლის გაზომვისას ასევე მნიშვნელოვანია ჯინის კოეფიციენტი, რომლის მიხედვითაც უთანასწორობა 0-დან 1-მდე იზომება. ჯინის კოეფიციენტის მიხედვით უთანაბრობის ყველაზე დაბალი დონე არის 33-ზე ნაკლები. ყველაზე მაღალი დონე 41-ზე ზევით. საქართველოში ჯინის კოეფიციენტი 0,39 % -ია, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში უთანაბრობა მაღალია. ჯინის კოეფიციენტის გაანგარიშებისთვის ჯერ ვითვლით მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემოსავლების ხვედრით წონებს, ხოლო შემდეგ ხშირადობათა ნაზარდ ჯამებს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემოსავლების მიხედვით. ქვეყანაში უნდა იყოს აღრიცხვის სწორი მეთოდები, რათა გაკეთდეს სწორი დასკვნები შემოსავლების უთანასწორობის შესახებ. დაბალგანვითარებულ ქვეყნებში საარსებო მინიმუმის გაანგარიშება ხდება არასწორად. მაგ. საქართველოში საარსებო მინიმუმი არ მოიცავს საბინაო ხარჯებს (ქირა, შეძენა და ა.შ.). უთანასწორობა ისე, რომ გაიზომოს, როგორც ევროპაში, მაშინ მოსახლეობის ნახევარზე მეტი ღარიბთა კატეგორიაში მოხვდებოდა.

სიღარიბის განსაზღვრაში ასევე მნიშვნელოვანია შემოსავლების დიფერენციაციის კოეფიციენტი, რომელიც აჩვენებს, რამდენია განსხვავება მოსახლეობის ყველაზე მდიდარ 10% -სა და ყველაზე ღარიბ 10% -ს შორის.

სიღარიბის დონე უნდა იყოს ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება სხვადასხვა სუბსიდიები და გადასახადები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ერთი ინდიკატორის მიერ უთანასწორობის ანალიზი ვერ უზრუნველყოფს ობიექტურ სურათს და არ იძლევა საშუალებას, შესწავლილი იქნას მისი თვისებები და გავლენა ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და სოციალურ პროცესებზე.

სახელმწიფომ უთანაბრობის შესამცირებლად შესაბამისი პოლიტიკა უნდა გაატაროს. ამისთვის არსებობს რამდენიმე გზა, კერძოდ :

1. ადამიანური კაპიტალის გაძლიერება.

2. ღირსეული ანაზღაურების დაწესება - ეს მოქალაქეთა მსყიდველუნარიანობითი შესაძლებლობაა. დღევანდელი მდგომარეობით, ყველაზე დაბალი შემოსავალი საარსებო მინიმუმზე დაბალია, რომელიც, იმავდროულად, იბეგრება. მდიდარსა და ღარიბს შორის უთანასწორობა ძალიან შესამჩნევია. მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის შემოსავალი 10 - ჯერ აღემატება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის შემოსავალს, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს განსხვავება ბევრად ნაკლებია. (3 - 4 ).

3. ფულის უკანონო გადინების შეჩერება;

4. ეფექტური საგადასახადო სისტემა - მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის არაეფექტურია, რასაც გვიჩვენებს, როგორც საერთაშორისო, ისე ქართული გამოცდილება. როდესაც სხვადასხვა რაოდენობის შემოსავლების დაბეგვრა ერთნაირად ხდება ირღვევა სამართლიანობის პრინციპი. ეს ადამიანებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს, რაც უარყოფითად აისახება დაბალშემოსავლიანი ადამიანების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. პროგრესული საშემოსავლო გადასახადი სასურველია, განისაზღვროს არა მარტო მათი შემოსავლების მიხედვით, არამედ ოჯახის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით. ეკონომიკური თვალსაზრისითაც არსებული გადასახადები არაეფექტურია, აღინიშნება კაპიტალის გადინება. ჩვენთან ევროპაში მიღებულ მთლიან შემოსავალზე პროგრესული მასშტაბის საგადასახადო განაკვეთების დანერგვით ბევრი პრობლემა გადაიჭრება, კერძოდ: შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, გაიზრდება პენსიები, ხელფასები. გაეზრდებათ შემოსავალი დაბალი შემოსავლის მქონე იმ ჯგუფებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სამამულო პროდუქციის ყიდვაზე ანუ გაიზრდება მოთხოვნა, რაც დადებითად აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. მაღალშემოსავლიანი ადამიანები უფრო მეტს გადაიხდიან სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც ნიშნავს ქვეყანაში უკეთეს საჯარო მომსახურებას, კერძოდ: უკეთეს განათლებას; ჯანდაცვას; ინფრასტრუქტურას და ა.შ

5. ინფრასტრუქტურის გაფართოება - უკეთესი გზები; შენობა - ნაგებობები; ხიდები და აეროპორტები, რომლებსაც შეუძლიათ, გააუმჯობესონ პროდუქტიულობა და კეთილდღეობა, როგორც ბიზნესის მეპატრონეებისთვის, ისე მუშაკებისთვის.

6. საკუთრების დაცვა.

იმისთვის, რომ ავაშენოთ უფრო სამართლიანი და მდგრადი ეკონომიკური მოდელი, საჭიროა შრომის ბაზრის რეგულირება, გადასახადების პროგრესული სისტემის შემოღება, უმუშევრობის შემცირება, პატიოსანი სასამართლო სისტემა. მოგების მაქსიმიზაცია უნდა მოხდეს არა ხელფასების შემცირებით, არამედ ტექნოლოგიური პროგრესით, რაც შესაძლებელია სახელმწიფოს პროაქტიური პოლიტიკის გატარებით.

**ლიტერატურა:**


1. მენქიუ გრ. „ეკონომიკის პრინციპები“, თბილისი. 2008 წ.
2. „უთანასწორობა თომას პიკეტის პერსპექტივიდან“ www.european.ge; 03. 11. 2017 წ.
3. „ვიცით, რომ ნამდვილად ღარიბები ვართ, მაგრამ რამდენად ღარიბები?“ www. Tabula.ge 28. 02. 2018
4. *Шевяков А.* „Неравенство и бедность:причины и пути преодоления существующих диспропорций“www. Index.org.ru 2005 г
5. www. Geostat. ge

# Inequality of Incomes and Ways to Overcome It

**Lali Vardishvili**
*Doctor of Economics*

S u m m a r y

The inequality of incomes represents a difference between diverse layers and groups of population. Inequality causes social crises and undermines public services that have a negative influence on the economic development of a country.

There are many factors that cause sharp inequality between the population's incomes, for example:

- Uneven distribution of revenues and property;
- Education;
- Skills;
- Technology progress;
- Gender;
- Heritage;
- Low salaries of employees, unemployment;
- Pension-related rights.

An important factor for the differentiation of the increase in the revenues is inflation, as it is not indexed in our country.

A person's income depends on his/her abilities, talents, skills, human capital, discrimination, government role, due distribution of incomes. When revenues show inequality, most of the population fail to use their abilities that cause various social problems: namely, increased crime rate, political instability, negative impact on healthcare, education and others. The studies show that there is a specific optimal level of inequality that does not deprive people of the desire to work, does not kill their motivation, encourages them to efficiently work and does not cause the poverty of the great part of the population so that the population will not fail to receive good education, ensure healthcare and succeed in having their own business. Various countries show different levels of normal inequality of incomes. For example, it is 14 points in the US, while it reaches 7 in Georgia and others.

Many indicators are used to measure the differentiation of incomes; in particular:

- Medianic consumption
- Poverty level
- Gini coefficient
- Incomes' differentiation coefficient

We should note that the analysis of only one indicator inequality cannot ensure an objective, dispassionate situation and does not allow us to study its features and impact on the demographic, economic and social processes.

For the reduction of inequality, states are to conduct relevant policies. They are free to choose several ways, for example:

1. Strengthening the human capital;
2. Establishment of due, honourable remuneration - It means the capacity of the citizens to buy. Currently, the lowest income is below the minimum cost of living, that is also subject to taxes. Inequality between the rich and poor is obviously detected. The incomes of the population with high revenues are ten times more than the incomes of the population with low revenues (3 -4).
3. Termination of illegal outflows of money;

4. An efficient tax system. It is advisable to define the progressive income tax not only by incomes, but under the special circumstances of a family. Economic taxes are inefficient and capital outflows occur. The introduction of tax rates per total income, that is approved in Europe, can solve many problems and provide progressive results. In particular, it will lead to creation of new jobs, increased pensions and salaries. People belonging to the low-income groups will have increased wages. They focus on purchasing local production, i.e., the demand will increase and positively influence the economic development of Georgia. People with high income will pay more to the state budget and it means better public service in the country including better education, healthcare, infrastructure and others.

4. Improvement and expansion of infrastructure;

5. Protection of property.

For the construction of fairer and sustainable economic model, it is necessary to regulate the labor market, establishment of the labor market, introduction of a progressive system of taxes, fair judiciary system, reduction of unemployment. The profit maximization should take place not by reduction of salaries, but technology progress that is possible via formation of a socially responsible state.

***Keywords:*** *Inequality of incomes; poverty level; Gini coefficient; tax system.*

# ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, როგორც უნივერსალური სტატისტიკური ინსტრუმენტის, განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები

**ნ.გ. ვირსალაძე**

***ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,***
***ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და***
***ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი***

*მიმდინარე ეტაპზე ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მთავარი ინფორმაციული ინსტრუმენტია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მონიტორინგისა და შეფასებისათვის. ესაა ქვეყნის ეკონომიკის მაკროსტატისტიკური მოდელი და ეკონომიკური ანალიზის მრავალი მიმართულებისათვის საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სტატისტიკური ჩარჩო. სტატიაში „ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, როგორც უნივერსალური სტატისტიკური ინსტრუმენტის, განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები" ყურადღება გამახვილებულია ეროვნული ანგარიშიანობის განვითარების ეტაპებზე, მისი დანერგვის საერთაშორისო პრაქტიკაზე და ეას-ის ახალი მეთოდოლოგიის (SNA2008) საქართველოში დანერგვით განხორციელებულ ცვლილებებზე. სტატიაში აღნიშნულია, რომ ეროვნულ ანგარიშთა ახალი მეთოდოლოგია რიგით მეოთხეა, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის ამსახველი პროცესის ადეკვატურია. მისი მეშვეობით ყალიბდება რიცხვები, მონაცემები, რომლებსაც შემდეგ ხდებიან დასკვნების, შეფასებებისა და მოქმედების მნიშვნელოვანი საფუძველი. დღეს, როდესაც არა მარტო საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო კორონავირუსით გამოწვეულ გლობალურ კრიზისზე საუბრობს და მის შედეგებს აანალიზებს, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რადგან ეს სისტემა წარმოადგენს კონცეპტუალურ და ფაქტობრივ ინსტრუმენტს იმ უდიდესი სტატისტიკური ინფორმაციის შესაბამისობაში მოსაყვანად, რომელიც გვაწვდის ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ეროვნულ ანგარიშთა თანამედროვე სისტემა, ურთიერთდაკავშირებულ განზოგადებულ მაჩვენებელთა სისტემა, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგია, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება.*

**ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის კვალიფიციური რეგულირებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა უტყუარი ეკონომიკურ-სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ობიექტურად ასახავს კვლავწარმოების პროცესის წინაპირობებს, მიმდინარეობასა და შედეგებს და ურთიერთდაკავშირებულ განზოგადებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც რეგულარულად ასახავს ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს და კანონზომიერებებს. მიმდინარე ეტაპზე ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მთავარი ინფორმაციული ინსტრუმენტია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად, მისი განვითარების მონიტორინგისა და შეფასებისათვის. ესაა ქვეყნის ეკონომიკის მაკროსტატისტიკური მოდელი და ეკონომიკური ანალიზის მრავალი მიმართულებისათვის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტატისტიკური ჩარჩო. მას იყენებენ დანახარჯები-გამოშვების ცხრილების, საგადასახდელო ბალანსის, საჯარო ფინანსების, მონეტარული სტატისტიკისა და ეკონომიკური ანალიზის ისეთ მიმართულებებში, როგორებიცაა ეკონომიკური ზრდის ტემპები, გასატარებელი სახელმწიფო პოლიტიკა, საგადასახადო შემოსავლები და სხვ.**

**ეროვნულ ანგარიშთა სისტემას, როგორც საერთაშორისო სტატისტიკურ მეთოდოლოგიას, განვითარების გრძელი ისტორია აქვს. ეროვნული ანგარიშიანობის განვითარე-**

ბას მთავარი იმპულსი ომებმა და საომარმა ვითარებამ მისცა. მას განიხილავდნენ, როგორც რაოდენობრივ სქემას, რომელიც დაეხმარებოდა ქვეყანას ეროვნული რესურსების მობილიზაციასა და მიღებული ზარალის გამოსწორებაში. პირველი ეროვნული ანგარიშები ჯერ კიდევ 300 წლის წინ, მე-17 საუკუნეში, შეიმუშავა უილიამ პეტიმ. 1665 წელს მის მიერ გამოქვეყნებული კვლევა მიზნად ისახავდა ეროვნული ანგარიშების შედგენას ინგლისისა და უელსისათვის, რათა რესურსების მობილიზება მოეხდინათ ინგლის-ჰოლანდიის ომის დროს, 1664-1667 წლებში. მას მოჰყვა გრეგორი კინგის უფრო დეტალური ეკონომიკური და დემოგრაფიული ხასიათის ანგარიშები და ა. შ. მრავალი სხვა გამოკვლევა.

ეროვნულ ანგარიშთა თანამედროვე სისტემის შექმნა უკავშირდება მეოცე საუკუნის 30-40-იან წლებს, როდესაც მთელ მსოფლიოში მთავარი პრობლემა ეკონომიკური კრიზისი და მისი გადაჭრის გზების ძიება იყო. კრიზისმა დიდი გამოცდილება მისცა მსოფლიოს. მან თვალნათლივ დაანახვა „ეკონომიკის მამებს“ მაკროეკონომიკური გაანგარიშებების შეზღუდულობა და კონიუნქტურის თეორიის განვითარების აუცილებლობა; ამ პერიოდიდან საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას დაეკისრა მთავარი როლი, კრიზისის შედეგად დაზარალებულმა სახელმწიფოებმა გამოიტანეს დასკვნები და შეიმუშავეს კრიზისისგან თავდაცვის ღონისძიებები, ეს ქვეყნები მიხვდნენ, რომ ძალიან საშიშია, დამოკიდებული იყო სხვა ქვეყანაზე, ამიტომ დაწესდა კონტროლი უცხოურ კაპიტალზე და შეიქმნა ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო სექტორი. გატარებული რეფორმების შედეგად დაძლეულ იქნა კრიზისი და ქვეყნებმა საოცარ წინსვლას მიაღწიეს. ამასთან, მომავალი კრიზისების მძიმე შედეგების თავიდან აცილებისა და დროულად დაძლევის მიზნით მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერ-ეკონომისტებმა დაიწყეს ფიქრი, შეექმნათ სტატისტიკური ანალიზის ისეთი სისტემა, რომელიც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას უზრუნველყოფდა საჭირო ინფორმაციით. მისი შექმნის საჭიროება პრაქტიკულად გააჩინა ეკონომიკის კონიუნქტურული ცვლილებების შეფასებისა და ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციის არსებობამ. ყველა სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა, ეპასუხა მის წინაშე არსებული გამოწვევებისათვის, დროულად დაეძლია კრიზისებით გამოწვეული სხვადასხვა სახის პრობლემა, შეექმნა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის და წინსვლის ისეთი სტრატეგია, რომელიც განაპირობებდა ქვეყნის მდგრად განვითარებას. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო თანამედროვე ეროვნული ანგარიშიანობის განვითარება, რომელიც ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ, მეორე მსოფლიო ომამდე და მისი შემდგომი პერიოდი.

- ეროვნული ანგარიშიანობის ფორმირების პირველი ეტაპი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. იგი სტიმულირებული იყო 1929-1933 წლების „დიდი დეპრესიით" და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გაზრდილი მოთხოვნილებით ინფორმაციაზე, ეკონომიკის კრიზისული მოვლენების (ინფლაცია, უმუშევრობა და სხვა) დასაძლევად. ამ ეტაპზე ჩამოყალიბდა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების პრინციპები და შემუშავდა მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და ეროვნული შემოსავლის (ეშ) ერთიან სისტემაში გაანგარიშების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. ეროვნული შემოსავლის პირველი ოფიციალური სტატისტიკა გამოქვეყნდა აშშ-ში 1934 წელს საიმონ კუზნეცის (ნობელის პრემია, 1971) მიერ და გაერთიანებულ სამეფოში 1941 წელს რიჩარდ სტოუნის (ნობელის პრემია, 1984) მიერ. ამ შემთხვევაშიც მთავარი მოტივაცია იყო ომში რესურსების მობილიზაციის და მშვიდობიანობის პერიოდში რეკონსტრუქციის მიზნით რაოდენობრივი სქემის შემუშავება.
- მეორე ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც გაიზარდა მოთხოვნილება ისეთ მაკროეკონომიკურ სტატისტიკაზე, რომელიც უზრუნველყოფდა ეკონომიკური პროცესების სხვადასხვა ასპექტით აღწერას. 1947 წელს რიჩარდ სტოუნმა ერთა ლიგის ეროვნული შემოსავლის ქვეკომიტეტისათვის დაწერა

ანგარიში „Definition and measurement of thenational income and related totals“, რაც პირველი ნაბიჯი იყო ანგარიშთა საერთაშორისო სისტემისაკენ. შემდეგ სტოუნი მიიწვიეს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (შემდგომში ეთგო), რათა ეროვნულ ანგარიშთა ისეთი სისტემა შეემუშავებინა, რომელიც, მარშალის[1] გეგმის მიხედვით, ევროპის ქვეყნების ომისშემდგომი განვითარების კონტროლის საშუალებას შექმნიდა. სტოუნის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგად შეიქმნა ეროვნული ანგარიშების სტანდარტული სისტემა, რომელიც ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ 1952 წელს გამოქვეყნდა. ეს არის ეას-ის ოფიციალური დაბადების წელი და ამ პერიოდიდან იქცა იგი ეროვნული ეკონომიკებისათვის უნივერსალურ სტატისტიკურ ინსტრუმენტად.

1953 წლიდან დაიწყო გაეროს სტანდარტულ ანგარიშთა სისტემის I ვერსიის გამოყენება, რომელსაც მოჰყვა ეას-ის II (1968 წელს) და მესამე (1993 წელს) ვერსია. ამჟამად კი მოქმედებს 2008 წელს შემუშავებული მეოთხე ვერსია.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მაკროეკონომიკური ანგარიშების თანმიმდევრული (კოჰერენტული) დაინტეგრირებული (ურთიერთდაკავშირებული) ნაკრებია საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კონცეფციების, განმარტებების, კლასიფიკაციების და აღრიცხვის წესების საფუძველზე [2, გვ. 15].

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ სისტემას ეყრდნობა სახელმწიფოს მაკროეკონომიკური,რსექტორალურირთუ დარგობრივი საქმიანობის შედეგების ამსახველი ინდიკატორები. მისი დახმარებით ხდება ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე მიღებული აღრიცხვის მონაცემების შეჯამება მთელი ეკონომიკის მასშტაბით. ეას-ის მაჩვენებლები უნიფიცირებულია, ანუ შესაბამისობაშია საგადასახდელო ბალანსისა და დარგთაშორისი ბალანსის მაჩვენებლებთან.

გლობალიზაციის პირობებში სტატისტიკის ერთიან საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე გადასვლა ნებისმიერი ქვეყნისათვის შესანიშნავი საშუალებაა უტყუარი, შესადარისი და ყველასათვის გასაგები ინფორმაციის მისაღებად. იგი ხელს უწყობს მთელ მსოფლიოში საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტეგრაციული პროცესების გაფართოებას. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის მთავარი იდეა კი სამყაროს გადარჩენა და შემდგომი რაციონალური და თანმიმდევრული განვითარების უზრუნველყოფაა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სტატისტიკური სამსახურების ცალკეული თავისებურება არ არღვევს საერთაშორისო მეთოდოლოგიური პრინციპების ერთიანობას.

საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ეკონომიკის კონიუნქტურა შეფასება მეურნეობის ბალანსის გამოყენებით ფასდებოდა. ეას-ის კრებსითი ანგარიშების შედგენის პირველი ექსპერიმენტული სამუშაოები აქ (1990-1992 წლების მონაცემების მიხედვით) 1992 წლის იანვარში დაიწყო და 1993 წლის ბოლოსათვის დასრულდა. საბაზრო ურთიერთობების დანერგვამ მოითხოვა ეროვნული სტატისტიკის გადასვლა გაეროს რეკომენდებულ მეთოდოლოგიაზე, შესაბამისად, 1997 წლიდან დაიწყო ეას-ის 1993 წლის ვერსიის დანერგვა, რამაც შესაძლებელი გახადა ინფორმაციის მოპოვების და ეკონომიკური საქმიანობის შედეგების აღრიცხვის მეთოდების ერთიანობა და ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელთა შესადარისობა მსოფლიო მასშტაბით.

საბაზრო ეკონომიკა, მუდმივმოძრავი ხასიათიდან გამომდინარე, ითხოვს სტატისტიკური სისტემის მოქნილობას, მის კორექტირებას შექმნილი მდგომარეობისა და საინფორმაციო წყაროების ცვალებადობის გათვალისწინებით. შესაბამისად, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მუდმივად იხვეწება და იცვლება ახლი მოთხოვნების (ეკონომიკური

---

[1] მარშალი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი იყო, რომელმაც ამომწურავი გეგმა შეიმუშავა მეორე მსოფლიო ომით დაზარალებული ევროპის ქვეყნებისა და კანადის ფინანსური დახმარების მიზნით.

ძვრების) გათვალისწინებით. შესაბამისად, 2009 წელს გადაწყდა, რომ 1993 წლის ეას-მა 2008 წლის ვერსიით ჩაენაცვლებინათ[1]. ახალ მეთოდოლოგიაზე სხვადასხვა ქვეყანა ეტაპობრივად გადავიდა: აშშ-მა, ავსტრალიამ, ისრაელმა, მექსიკამ და კანადამ ის 2013 წელს დანერგეს, კორეამ კი - 2014 წლის მარტში, ევროკავშირის ქვეყნებმა - 2014 წლიდან, 2015 წელს ამ ქვეყნებს შეუერთდა სომხეთი, თურქეთი, უკრაინადა ბელორუსი. საქართველოში ეს პროცესი, საერთაშორისო ექსპერტების აქტიური ჩართულობით, 2017 წელს დაიწყო. ეას-ის დანერგვის საერთაშორისო პრაქტიკა ცალკეული წლის მიხედვით ნაჩვენებია #1 გრაფიკზე.

**გრაფიკი #1**




***წყარო: file:///C:/Users/User/Desktop/SNA-2008-presentation_15.11.pdf***

როგორც გრაფიკიდან ჩანს, ამჟამად, გაეროს წევრი 193 ქვეყანა იყენებს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვადასხვა ვერსიას (ამ ქვეყნებიდან 44 - განვითარებული და 137 - განვითარებადია). ახალი მეთოდოლოგიით შედგენილ სისტემას (SNA 2008), საქართველოს გარდა, იყენებს მსოფლიოს 80-მდე ქვეყანა[4, 1].

ეას-ის ახალ მეთოდოლოგიაზე (SNA 2008) გადასვლამ ეროვნულ ანგარიშებში მთელი რიგი ცვლილებები განაპირობა, რაც, ერთი მხრივ, უკავშირდებოდა სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გაანგარიშებას ახალი სტანდარტის შესაბამისად, მეორე მხრივ, მონაცემთა წყაროს არსებით გაუმჯობესებას, დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შეფასებისა და ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით. ძველ და ახალ მეთოდოლოგიას შორის არსებული განსხვავებები ძირითადად დაკავშირებულია:

ა. ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM) გაანგარიშებით გამოწვეულ ცვლილებასთან;[2]

ბ. კვლევებსა და დამუშავებასთან (R&D) დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციასთან (დაახლოებით 90 მლნ ლარი);

---

[1] მისი მეთოდოლოგიური საფუძველია გაეროს, ევროსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საერთაშორისო სახელმძღვანელო (System of National Accounts (SNA), 2008).

[2] ძველი მეთოდოლოგიით, FISIM შეფასებული იყო 685 მლნ ლარის ფარგლებში და ის მთლიანად შედიოდა შუალედურ მოხმარებაში, ახალი მიდგომით, მისი მოცულობა 2 130 მლნ ლარი გახდა და აქედან 700 მლნ მიეკუთვნა საბოლოო მოხმარებას, ხოლო დანარჩენი გადავიდა შუალედურ მოხმარებაში.

გ. საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის გაანგარიშების ცვლილებასთან ( 2018 წლის 993 მლნ ლარის ნაცვლად, მიღებულია დაახლოებით 3300 მლნ ლარი).

გაანგარიშების მეთოდოლოგიური ცვლილების შედეგად მშპ გაიზარდა 3,0%-ით, მონაცემთა წყაროს გაუმჯობესების საფუძველზე - 5,6%-ით, საერთო ზრდამ შეადგინა 8,6%. ძველი და ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, გაანგარიშებული მშპ მიმდინარე ფასებში მოცემულია #1 ცხრილში.

ცხრილი #1

მშპ-ს დინამიკა მიმდინარე ფასებში, მლრდ ლარი
(2012-2018 წლებში)

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი მეთოდოლოგიით (SNA2008) | 27.2 | 28,6 | 31,1 | 33,9 | 35,8 | 40,8 | 44,6 |
| ძველი მეთოდოლოგიით ( SNA 1993) | 26,2 | 26,8 | 29,2 | 31,8 | 34,0 | 37,8 | 41,1 |

*წყარო: საქსტატი,file:///C:/Users/User/Desktop/SNA-2008-presentation_15.11.pd*

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ახალი სტანდარტით განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, კერძოდ: ეროვნულ ანგარიშებში დაინერგა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და პროდუქტების ახალი კლასიფიკატორები (NACE Rev. 2 და CPA 2008), მშპ-ს გაანგარიშების დაფუძნება რესურსებისა და გამოყენების ცხრილებზე, გაუმჯობესდა არასაბაზრო პროდუქციის გამოშვების გაანგარიშება, მარაგების ცვლილების შეფასების გაუმჯობესება, დაზღვევის გამოშვების გაანგარიშების ცვლილება, დეფლირების დროს გამოყენებული ფასების ინდექსების წყაროების გაუმჯობესება, საბაზისო პერიოდის ცვლილება (2010 წლის ნაცვლად 2015), გადასახადების აღრიცხვისას დარიცხვის მეთოდის გამოყენება და ა. შ.

გრაფიკი #2

მშპ-ს დინამიკა მიმდინარე ფასებში (მლრდ.ლარი)
2012-2018 წწ.




*წყარო: საქსტატი,file:///C:/Users/User/Desktop/SNA-2008-presentation_15.11.pd*

მონაცემთა წყაროს გაუმჯობესების საფუძველზე გაიზარდა დაუკვირვებადი ეკონომიკის გავლენა მშპ-ზე, ასევე მოხდა მასში არალეგალური საქმიანობის გამოშვების გათვალისწინება და სხვა ცვლილებები. სულ 2008 წლის ეას-ში 50-ზე მეტი ცვლილება შევიდა. შედეგად, ძველი სტანდარტით გაანგარიშებული 2012 წლის მშპ-ს საერთო მოცულობა 26,2 მლრდ ლარიდან გაიზარდა 27, 2 მლრდ ლარამდე. 2018 წლისათვის კი - 41,1 მლრდ ლარიდან - 44,6 მლრდ ლარამდე, ანუ 108,5 %. 2012-2018 წლებში ძველი მეთოდოლოგიით მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 156,8%, ხოლო ახალი მეთოდოლოგიით 163,9%. მშპ-ს რეალური ზრდა ნაცვლად 4,7%-ისა მოხდა 4,8 %-ით.

ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, მშპ-ს ცვლილების შესაბამისად, შეიცვალა მისი მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით და 2018 წლისათვის, ნაცვლად 4 346 აშშ დოლარისა, შეადგინა 4 722 დოლარი. დინამიკაში ეს მაჩვენებელი ასე გამოიყურება (იხ გრაფიკი #3).

**გრაფიკი #3**




*წყარო: საქსტატი,file:///C:/Users/User/Desktop/SNA-2008-presentation_15.11.pd*

ამრიგად, ეროვნულ ანგარიშთა ახალი მეთოდოლოგია რიგით მეოთხეა, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების და საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის ამსახველი პროცესის ადეკვატურია. მისი მეშვეობით ყალიბდება რიცხვები, მონაცემები, რომლებიც შემდეგ ხდებიან დასკვნების, შეფასებებისა და მოქმედების მნიშვნელოვანი საფუძველი. დღეს, როდესაც არა მარტო საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო კორონავირუსით გამოწვეულ გლობალურ კრიზისზე საუბრობს და მის შედეგებს აანალიზებს, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რადგან ეს სისტემა წარმოადგენს კონცეპტუალურ და ფაქტობრივ ინსტრუმენტს იმ უდიდესი სტატისტიკური ინფორმაციის შესაბამისობაში მოსაყვანად, რომელიც გვაწვდის ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად.

ლიტერატურა:

1. მარშავა ქ. მინდორაშვილი მ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, თსუ., 2008, გვ. 300.
2. მინდორაშვილი მ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, ლექციების კურსი, თსუ. 2018, გვ.266.
3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ, მეორე გამოცემა. ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი (თარგმანი), ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015, გვ.605.
4. ეას-ის ახალი მეთოდოლოგია, გოგიტა თოდრაძე, 18 დეკემბერი, 2019. ეკონომიკა. https://forbes.ge/news/7532/erovnul-angariSTa-sistemis-axali-meTodologia
5. საქსტატი, საქართველოს ეას-ის განვითარების ეტაპები და ახალი სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილებები, SNA 2008
6. https://www.ghn.ge/news/235524-erovnul-angarishta-akhali-sistema-gvadzlevs-srul-adekvatur-da-obiektur-informatsias-kveqnis-ekonomikaze-ioseb-archvadze

# Important aspects of the development of the National Accounting System as a universal statistical instrument

**N. Virsaladze**

***Academic Doctor of Economics***

***Ass. Professor of Kutaisi AkakiTsereteli State University and Kutaisi University***

S u m m a r y

**At present, the system of national accounts is the main information tool for monitoring and evaluating the economic development of the country. It is a macro-statistical model of the country's economy and a universally recognized international statistical framework for many areas of economic analysis. The article "Important Aspects of the Development of the National Accounting System as a Universal Statistical Instrument" focuses on the stages of development of the National Accountability, its international practice and the changes introduced by the introduction of the new National Accounting System methodology (SNA2008) in Georgia. The article notes that the new methodology of national accounts is the fourth in a row, which is adequate to reflect the ongoing changes in public life and the modern stage of market economy development. Through it, numbers and data are formed, which then become an important basis for conclusions, estimates and actions. Today, when not only Georgia but the whole world is talking about the global crisis caused by the coronavirus and analyzing its consequences, the system of national accounts becomes even more important, as this system is a conceptual and factual tool to bring the greatest statistical information in balance, which provides the key macroeconomic indicators for economic policy development.**

***Key words:*** **Modern system of national accounts, system of interconnected generalized indicators, universally recognized international statistical methodology, state regulation of the economy.**

# მწვანე ობლიგაციების ეფექტიანი მართვის საკითხები

**ვაჟა ზეიკიძე**
***ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,***
***ასოცირებული პროფესორი***

**მაია ლომიშვილი**
***აგროინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი,***
***ასისტენტ-პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი***

*სტატიაში განხილულია ფინანსური ბაზრების განვითარების მნიშვნელობა და მისი როლი ფინანსური რესურსების ეფექტიან გადანაწილებაზე. აღნიშნულია მწვანე ობლიგაციების ბაზრის მიზნის შესაბ და მის როლზე პროექტების დაფინანსებაში. განსაზღვრულია მწვანე ობლიგაციების მთავარი არსი. ასევე, აღწერილია საქართველოში მწვანე ობლიგაციებით დაინტერესების შესახებ.*

*ნაშრომის ბოლოს დასკვნის სახით მოცემულია, რომ მწვანე ბანკის ან ფონდის დაფუძნება ხელს შეუწყობს პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას.*

*საკვანძო სიტყვები: ფინანსური ბაზრები, მწვანე ობლიგაციები, ანგარიშგება, ემიტენტი.*

**დღეისათვის გლობალიზაციის არნახული ტემპების პირობებში,ჰ ეკონომიკური წარმატების მიღწევა თითქმის შეუძლებელია ეფექტიანად ფუნქციონირებადი ფინანსური ბაზრების გარეშე. ფინანსური ბაზრები ხელს უწყობენ ფინანსური რესურსების ეფექტიან გადანაწილებას, რაც საბოლოოდ ეროვნული კეთილდღეობის ზრდაში აისახება. ფინანსური ბაზარი მოიცავს ბირჟას, სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტით დაფინანსებული აქტივებით ვაჭრობას, ფინანსური რისკების მართვას და ინვესტიციების ხელშეწყობას.**

**მწვანე ობლიგაციების ბაზარი მიზნად ისახავს, განავითაროს კაპიტალის ბაზრის როლი ისეთი პროექტების დაფინანსებაში, რომელთაც წვლილი შეაქვთ გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველყოფაში. მწვანე ობლიგაციის პრინციპები რეკომენდაციას უწევს გამჭვირვალობას, ინფორმაციის საჯაროობასა და ანგარიშგებას. მოპ-ის მიზანია, დაეხმაროს ემიტენტებს, გახადონ თავიანთი ბიზნესმოდელი გარემოსდაცვით მდგრადობაზე უფრო მეტად ორიენტირებული, ძირითადად, ობლიგაციების ემისიიდან მიღებული თანხების კონკრეტულ პროექტებში დაბანდებისათვის.**

**ობლიგაციების გამოშვება მოპ-ის მიხედვით ნიშნავს ინვესტიციის განხორციელებას ისეთ პროექტში, რომელსაც მწვანე მახასიათებლები აქვს. რეკომენდაციას უწევს რა ემიტენტებს, მოახდინონ მწვანე ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენების ანგარიშგება, რაც საშუალებას იძლევა, უფრო გამჭვირვალე გახდეს გარემოსდაცვით პროექტებში ფულადი სახსრების მოძრაობის მონიტორინგი.**

**მწვანე ობლიგაციის პრინციპები შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისაგან:**

1. **ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენება;**
2. **პროექტის შეფასებისა და შერჩევის პროცესი;**
3. **ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების მართვა;**
4. **ანგარიშგება.**

**მწვანე ობლიგაციების მთავარი არსია ობლიგაციების ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენება მწვანე პროექტების დასაფინანსებლად, რაც, თავის მხრივ, ფასიანი ქაღალდების სამართლებრივ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს აღწერილი. მწვანედ მიჩნეულ ყველა პროექტს უნდა გააჩნდეს მკაფიო როგორც გარემოსდაცვითი სარგებელი, ისე რაოდენობრივი მახასიათებლები.**

მოპ-ი ცალსახად განსაზღვრავს მწვანე პროექტის რამდენიმე ფართო კატეგორიას, რომლებიც ემსახურება ისეთ გარემოსდაცვით მიზნებს, როგორებიცაა: კლიმატის ცვლილების შერბილება, კლიმატის ცვლილებასთან შეგუება, ბუნებრივი რესურსების დაცვა, ბიო-მრავალფეროვნების კონსერვაცია, დაბინძურების პრევენცია და კონტროლი.

მწვანე ობლიგაციის ემიტენტმა ინვესტორს უნდა გააცნოს შემდეგი საკითხები:

- მდგრადი გარემოსდაცვითი მიზნები;
- პროცედურა, რომლის მიხედვითაც ემიტენტი განსაზღვრავს პროექტების შესაბამისობას მწვანე კატეგორიებთან;
- შესაბამისი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება პროექტებთან დაკავშირებული პოტენციური მატერიალური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასებასა და მართვაში.

ემიტენტმა მწვანე ობლიგაციის ემისიიდან მიღებული წმინდა შემოსავლები ან ამ წმინდა შემოსავლის ეკვივალენტი თანხა უნდა ჩარიცხოს ცალკე ანგარიშზე, გადაიტანოს ცალკე პორტფელში და ხარჯვა განკარგონ შესაბამისი წესებით. მწვანე ოპერაციების პრინციპები მიესალმება მაღალი დონის გამჭვირვალობას და რეკომენდაციას უწევს ემიტენტს, ობლიგაციების ემისიიდან მიღებული თანხების მართვისას გამოიყენონ აუდიტორი ან სხვა მესამე მხარე, რათა გადამოწმდეს შიდა აღრიცხვის მეთოდი და მწვანე ობლიგაციების ემისიიდან მიღებული თანხების განაწილება.

ემიტენტებმა მუდმივად უნდა იქონიონ და მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი გახადონ უახლესი ინფორმაცია ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების გამოყენების შესახებ და წარმოადგინონ წლიური ანგარიში.

საქართველოში კერძო სექტორის ინვესტიციების მობილიზება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მოითხოვს სხვადასხვა სტრუქტურას შორის ურთიერთქმედების გაძლიერებას. ეს მოიცავს პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციის ჩადებას პროექტებში, სახელმწიფო დაფინანსებას ბანკების და ფონდების შუამავლობით (როგორიცაა: განვითარების ბანკების მიერ გაფართოებული საკრედიტო ხაზები), მარეგულირებელ და ფინანსურ სტიმულებს, უკეთეს საინვესტიციო პირობებს, პოტენციალისა და ცოდნის გაფართოებას.

სათანადოდ ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრის განვითარებას საქართველოში დიდი პოტენციალი აქვს ფინანსური არხების დივერსიფიცირების, დაბალი საინვესტიციო ხარჯების და დამატებით საბანკო კრედიტების კუთხით, რამაც შესაძლოა, გააუმჯობესოს კაპიტალის მოდინება, მათ შორის, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის. ამჟამად საქართველოში კაპიტალის ბაზრის როლი მოკრძალებულია. კომერციული ბანკები 2015 წელს ფლობდნენ ფინანსური სექტორის აქტივების 91.9%-ს, მიკროსაფინანსო ინსტიტუტები და საკრედიტო კავშირები ფლობდნენ 5.9%-ს (MoESD, 2016). საჯარო და კერძო სექტორები უზრუნველყოფენ კაპიტალში ინვესტიციებს, კერძოდ, მსხვილმასშტაბიანი განახლებადი ენერგიის პროექტებში, ძირითადად, ჰიდროენერგეტიკაში. მათ გაცილებით ნაკლები ინვესტიციები ჩადეს მცირემასშტაბიან, არაჰიდროგანახლებად და ენერგოეფექტიან პროექტებში.

საქართველოში იზრდება მწვანე ობლიგაციებით დაინტერესება, თუმცა დღემდე არც ერთი არ გამოშვებულა (ვანბილსენი, 2017).OECD ანალიზი ასახავს, რომ გლობალურად ობლიგაციების გამოშვების გზით დაფინანსებამ განახლებადი ენერგორესურსებისთვის, ენერგოეფექტიანი და დაბალი გამონაბოლქვების მქონე

სატრანსპორტო საშუალებებისთვის შესაძლოა, 2035 წლისთვის მიაღწიოს 620-720 მილიარდ აშშ დოლარს წელიწადში. ეს მაჩვენებელი 2016 წელს 95 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს (OECD, 2017b). კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა: პროექტების მასშტაბურება და საქართველოს დამწყები ობლიგაციების ბაზარი. საქართველოს მთავრობა საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით განიხი-

ლავს მწვანე ობლიგაციის სტანდარტის შემუშავებას ან კიდევ მიიღებს სხვა ინსტიტუტებისგან ქვეყნების მიერ შემუშავებულ სტანდარტებს.

არასაბანკო დაფინანსების არხებს დიდი პოტენციალი გააჩნიათ, თუმცა ამჟამად მცირედ გამოიყენება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის, როგორიცაა ენერგოეფექტიანობა. ისინი მოიცავენ იჯარის, მომწოდებლის კრედიტების და კერძო სექტორის ენერგოსერვისულ კომპანიებს. აღნიშნულ არხებსა და ინსტრუმენტებს დიდი პოტენციალი გააჩნიათ ენერგოეფექტიანობის საქმიანობების რისკი-შემოსავლიანობის პროფილის გაუმჯობესებაში.

საქართველოს საპენსიო სისტემა, რომელიც რეფორმის პროცესშია, შესაძლოა იყოს კლიმატთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსების მომავალი წყარო პირდაპირი ინვესტიციის გზიდან მწვანე ობლიგაციების შესყიდვით. საპენსიო ფონდის აქტივების აკუმულაცია, სავარაუდოდ, გაიზრდება 313 მილიონი ლარიდან (128.8 მილიონი აშშ დოლარი) 2018 წელს 29.7 მილიარდ ლარამდე (12.2.მილიარდი აშშდოლარი) 2035 წლისთვის (ფარეშიშვილი, 2017). თუმცა საჭიროა დამატებითი განმარტებები, იქნება თუ არა კლიმატთან დაკავშირებული პროექტები ან მწვანე ობლიგაციები შესაბამისი აქტივის კლასი საქართველოს საპენსიო ფონდებისთვის.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალი მწვანე ბანკის (ან ფონდის) დაფუძნება ხელს შეუწყობს პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას ან რისკის შერბილების ინსტრუმენტებს, ან ორივე მათგანს, კლიმატთან დაკავშირებული პროექტებისთვის. LEDS და NEEAP დამოუკიდებლად წარმოადგინეს ოფციონები საჯარო ორგანიზაციის შექმნის თაობაზე, სპეციალური მანდატით მწვანე დაფინანსებაზე. საქართველოში მოქმედმა ინვესტორებმა, კომერციულმა ბანკებმა და კორპორაციებმა შესაძლოა, სარგებელი მიიღონ ასეთი ეროვნული დაფინანსების ორგანიზაციიდან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის მათი ინვესტიციების რისკებისგან დაცვის მიზნით.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი ყველასთვის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. ერთი მხრივ, კომპანიებისათვის აფართოებს კაპიტალის ბაზარს და არ არის დამოკიდებული მხოლოდ საბანკო კრედიტებზე ან ინვესტიციებზე, მეორე მხრივ, მოსახლეობას სურვილი უჩნდება, თანხა დაზოგოს, აქტივები და ობლიგაციები შეიძინოს. შესაძლებელია ერთი ლარის მფლობელიც კი ინვესტორი გახდეს. რაც უფრო მეტია ერში დაზოგვისადმი მიდრეკილება, მით მეტი ინვესტიცია ხორციელდება და, შესაბამისად, ზრდის ტემპი მაღლდება.

ლიტერატურა:


1. ასლანიშვილი დ., საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქარალდები, თბ., 2015 წ.
2. ბაქრაძე ხ., ასლანიშვილი დ., ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ელექტრონული ლექციების კურსი, თბ., 2014 წ.
3. ასლანიშვილი დ., საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების ისტორია და გაკვეთილები (1997-2012 წწ.), თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ეკონომიკა და განათლება, ტ. 2, თბ., 2012 წ.
4. ასლანიშვილი დ., საქრთველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მიზანი, სიტუაციური ანალიზი და პერსპექტივა, თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ჟურნალი „ეკონომისტი", # 4, თბ., 2013 წ.

# Issues of effective management of green bonds

**Vaja Zeikidzre**
***Department of Transport and mechanical engineering,***
***Doctor of Economics, Associate Professor, Georgian Technical University***

**Maia Lomishvili**
***Department of Agro-Engineering, PhD,***
***Georgian Technical University***

Summary

**The article discusses the importance of developing financial markets and its role in the effective redistribution of financial resources. It mentions the purpose of the green bond market, its role in financing projects. The main essence of green bonds is defined. It also describes the interest in green bonds in Georgia.**

**The conclusion of the paper is that the establishment of a green bank or fund will facilitate direct investment.**

***Keywords - Financial Markets, Green Bonds, Reporting, Issue.***

# კორონავირუსის გავლენა სამშენებლო ინდუსტრიაზე (ევროკავშირი და საქართველო)

**ნინო ზურაშვილი**
***ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი,***
***ასისტენტ-პროფესორი,***
***შპს „მიდენიუმი“***

*სამშენებლო სექტორი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანეს ინდუსტრიას. სამშენებლო ინდუსტრიის მდგომარეობა აჩვენებს, თუ რა პერსპექტივება გააჩნია ქვეყნის ეკონომიკას. კორონავირუსის პანდემიამ ნეგატიური გავლენა მოახდინა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებზე. კოვიდ-19-ის გავლენამ შეანელა სამშენებლო ბიზნესის განვითარება მსოფლიოს მასშტაბით. წინამდებარე სტატიაში ასახულია კოვიდპანდემიის გავლენის პირველადი შედეგების ანალიზი ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს ეკონომიკაზე.*

*საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, მშენებლობა, კორონავირუსი, კოვიდ-19, დიდი ბრიტანეთი, საქართველო*

## შესავალი

**კორონავირუსის შეკავების მიზნით დაწესებულმა შეზღუდვებმა დამანგრეველი ეფექტი მოუტანა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკას. კრიზისი შეეხო თითქმის ყველა ინდუსტრიას. მსოფლიო მონეტარული ფონდის პროგნოზის მიხედვით, მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტი 3%-ით შემცირდება 2020 წლის ბოლოსთვის. ზიანი მიადგა სამშენებლო ინდუსტრიას. სამშენებლო ბიზნესი განსხვავდება თავისი ხასიათით, მოთხოვნითა და ფასებით მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა, ფაქტია, რომ კორონავირუსის შედეგები მსოფლიოს ყველა წერტილში უარყოფითად აისახა სამშენებლო ინდუსტრიაზე. ზოგიერთ ქვეყანაში კი უფრო დამანგრეველი იყო კორონავირუსის შედეგები. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამშენებლო სექტორში დაიკარგა ძალიან ბევრი სამუშაო ადგილი, შეჩერდა მშენებლობები, გაკოტრდნენ კომპანიები. კორონავირუსს დამანგრეველი გავლენა ჰქონდა სამშენებლო ინდუსტრიაზე სამხრეთ ევროპის ქვეყნებში. იტალიასა და ესპანეთში კრიტიკულად შემცირდა სამშენებლო სექტორში გაკეთებული ინვესტიციების რაოდენობა. ევროპის ქვეყნებში, სადაც კორონავირუსი ფართოდ იყო გავრცელებული, მშენებლობები შეჩერდა რამდენიმე თვით. სამშენებლო კომპანიებმა დაკარგეს უამრავი მომხმარებელი.**

**2020 წლის ივნისის თვეში ევროკავშირში სამშენებლო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 2.9%-ით წინა თვესთან შედარებით და დაეცა 5.8%-ით 2019 წლის ივნისის თვესთან მიმართებაში. ევროკავშირში სამშენებლო ინდუსტრიის ზრდა 2020 წლის მაისისთვის იყო 4,0%, ხოლო წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით კი შემცირდა 5.9%-ით.**

**დიაგრამაზე დავინახავთ, რომ ყველაზე დიდი ჩავარდნა აპრილში დაფიქსირდა. ეს არის პერიოდი, როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ შემოღებული შეზღუდვები იყო ყველაზე მძიმე, ხოლო ვირუსი კი მთელი ძალით მძვინვარებდა ევროპის კონტინენტზე. აპრილის შემდგომ პერიოდში, როდესაც აკრძალვები ნელ-ნელა მოიხსნა, სამშენებლო ინდუსტრიამ ვეღარ შეძლო 2020 წლის თებერვლის მდგომარეობას დაბრუნებოდა. დიაგრამაზე ასახულია ევროკავშირის სამშენებლო სექტორის მდგომარეობა მთლიანად, თუმცა ევროკავშირის ქვეყნების ზარალი სხვადასხვაგვარი იყო, გამომდინარე მათი ეკონომიკის მდგომარეობიდან.**

დიაგრამა 1. სამშენებლო პროდუქტის განვითარება, იანვარი - ივნისი, 2020




*წყარო: https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=File:EU-27,_development_of_construction_production,_January_-_June_2020.png*

**კოვიდ-19-მა ზიანი მიაყენა საფრანგეთისა და ლუქსემბურგის სამშენებლო ინდუს-ტრიას. პიკის პერიოდში (თებერვლიდან აპრილის ჩათვლით) სამშენებლო სექტორის გამოშვება საფრანგეთში დაეცა 64,8%-მდე, ხოლო ლუქსემბურგში კი – 57,7%-მდე. აღსა-ნიშნავია, რომ იტალიის სტატისტიკური მონაცემები ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი. შემდგომ პერიოდში როდესაც მოიხსნა შეზღუდვები, მშენებლობის სექტორში ზრდამ საფრანგეთში 159,7% შეადგინა. თებერვლიდან აპრილამდე სამშენებლო სექტორის შემცირება საშუალო იყო ფინეთსა და შვედეთში. ამ პერიოდში ინდუსტრია მცირედით გაიზარდა კიდეც ნიდერლანდებსა და რუმინეთში, თუმცა, შემდგომ პერიოდში – აპრი-ლიდან ივნისამდე – შემცირდა. ევროკავშირის მრავალი ქვეყნის სტატიტიკური მონაცე-მები ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი, თუმცა ყველა ქვეყანაში სამშენებლო ბიზნესზე უარყოფითი გავლენა იქონია პანდემიამ. გამონაკლისი იყო ნიდერლანდები. [1]**

**2020 წლამდე პერიოდში გერმანიის სამშენებლო ინდუსტრია განიცდიდა აღმავლო-ბას. პანდემიის გავლენის პირველი ნიშნები გერმანიის სამშენებლო ინდუსტრიამ გამო-ავლინა მარტში. სამშენებლო ინდუსტრიის პროდუქტზე მოთხოვნა 7%-ით შემცირდა 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. 8%-ით შემცირდა სამშენებლო ინდუსტრიის შემო-სავალი. საოჯახო მეურნეობების მიერ განხორციელებული შესყიდვები შემცირდა, აღ-ნიშნული კი განპირობებულია მიმდინარე გარემოში არსებული გაურკვევლობის მაღალი დონითა და უმუშევრობის დონის ზრდით. უმუშევრობა წინა წლის ამავე პერიოდთან შე-დარებით 19%-ით გაიზარდა. აპრილის ბოლოსთვის დაიკარგა 10 მილიონამდე ნახევარ-განაკვეთიანი სამუშაო ადგილი.[2]**

**კორონავირუსმა სამშენებლო ინდუსტრიაზე უარყოფითი გავლენა იქონია საქარ-თველოშიც. აკრძალვების პერიოდში მთავრობა ყველანაირად ცდილობდა ინდუსტრიის ხელშეწყობას. ეს კი გამოიხატებოდა მთავრობის გადაწყვეტილებაში, სამშენებლო კომ-პანიებს კვლავ განეგრძოთ მუშაობა მაშინ, როდესაც სხვა ყველა სახის კომპანია დაკეტი-ლი იყო (გარდა სასურსათო მაღაზიებისა და აფთიაქების). ხელშეწყობის სტრატეგიამ და-დებითი გავლენა იქონია ინდუსტრიაზე, რათა სრულად შეჩერებულიყო სამშენებლო ობიექტები.**

## 1.1 კორონავირუსის გავლენა სამშენებლო ინდუსტრიაზე (ინგლისის მაგალითი)

**სამშენებლო სექტორი წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიზნესინდუსტრიას დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში. მშენებლობის გამოშვება 2020 წლის პირველ კვარტალში 29,5**

მილიარდი ევრო იყო. სამშენებლო ინდუსტრია შეადგენს დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის 6%-ს. ეს ინდუსტრია ქმნის 2,3 მილიონ სამუშაო ადგილს, რაც არის დიდი ბრიტანეთის სამუშაო ადგილების 7%.

2019 წლის ბოლოს და 2020 წლის დასაწყისში შეინიშნებოდა ინვესტორთა გააქტიურება სამშენებლო ინდუსტრიაში. ამ პერიოდს დაემთხვა დიდი ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან. დიდი ბრიტანეთის მთავრობა მხარს უჭერს სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთის რეგულაციები საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნია მშენებლების მიმართ. 2020 წლის დასაწყისი იყო პერიოდი, როდესაც მშენებლები ელოდნენ მოთხოვნისა და შესაბამისად მოგების ზრდას. ზუსტად ამ პერიოდს დაემთხვა კორონავირუსის ადრეული გავრცელება, რომელმაც თავიდანვე ნეგატიურად აისახა დიდი ბრიტანეთის სამშენებლო ინდუსტრიაზე.

23 მარტიდან დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ დაეწესებინა აკრძალვები მოსახლეობის კონტაქტების შესამცირებლად და ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ამავე პერიოდში მთავრობის გადაწყვეტილებით შეჩერებული იყო სხვა კომპანიების მუშაობა, თუმცა სამშენებლო კომპანიები კვლავ აგრძელებდნენ მუშაობას, ვინაიდან ბრიტანეთში მიცემული სამშენებლო ვადის გადაცილების შემთხვევაში დიდი ჯარიმა ეკისრება ორგანიზაციას. ვირუსის გამძვინვარებასთან ერთად გაიზარდა დასაქმებულთა დაავადების რისკი, ამიტომ კომპანიის მესვეურებმა მიიღეს გადაწყვეტილება, შეეჩერებინათ მშენებლობები.

მთავრობის მიერ სამშენებლო ინდუსტრიის ხელშეწყობის მიზნით, სამშენებლო საბჭომ ჩამოაყალიბა დოკუმენტი, სადაც იყო გაწერილი პროცედურები, თუ როგორ უნდა ემუშავათ დასაქმებულებს დისტანციის დაცვით ობიექტზე, რათა არ მომხდარიყო ინფიცირება. ამავე დოკუმენტში მოცემული იყო ადამიანთა ლიმიტირებული რაოდენობა, რომელთაც შეეძლოთ ობიექტზე ერთდროულად მუშაობა. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები კი აწარმოებდნენ მონიტორინგს, რათა აღსრულებულიყო მშენებლობის საბჭოს მიერ დაწესებული მოთხოვნები.

მაშინ როდესაც დაიწყო კორონავირუსის პანდემია, სამშენებლო სექტორს ძალიან გაუჭირდა რისკების შეფასება. კომპანიების უმრავლესობა არ აღმოჩნდა მზად ასეთი შეზღუდვებისთვის. სამშენებლო კომპანიების უმეტესობის ორგანიზაციული სტრუქტურა და სტრატეგია არ იყო საკმარისად მოქნილი, რომ სწრაფად მორგებოდნენ ახალ რეალობას და ემოქმედათ სამთავრობო რეგულაციების კვალდაკვალ. სამთავრობო სტრუქტურებისა და სპეცილისტების ჩართვით შემუშავდა რეგულაციები, რომელთა პირობებშიც შესაძლებელი იქნებოდა მუშაობის გაგრძელება.

კორონავირუსის შედეგი ძალიან სწრაფად აისახა ინგლისის სამშენებლო სექტორზე. მხოლოდ აპრილის თვეში 45,2%-ით დაეცა სამშენებლო პროდუქტის გამოშვება. ასეთი დაღმასვლა არ ჰქონია ბრიტანულ სამშენებლო სექტორს 2010 წლის იანვრის შემდგომ.

აპრილში შესაძლებელი გახდა სამუშაოების გაგრძელება ახალი რეგულაციების მიხედვით, თუმცა, სამშენებლო პროდუქტის გამოშვება კვლავ დაეცა 44,2%-მდე. მოთხოვნა დრამატულად შემცირდა საცხოვრებელ, არასაცხოვრებელ და სხვა სახის სამშენებლო პროდუქტზე. [4]

პანდემიის გავრცელების შემცირებასთან ერთად ამოქმედდა ბრიტანეთის სამშენებლო ბიზნესი. ივლისში 17,6%-ით გაიზარდა სამშენებლო პროდუქტის გამოშვება, თუმცა ეს მაჩვენებელი 11,6%-ით ჩამორჩება 2020 წლის თებერვლის მაჩვენებელს, როდესაც პირველად დააწესა შეზღუდვები ბრიტანეთის მთავრობამ.

სამშენებლო სექტორის გამოშვება 10,6%-ით დაეცა ბოლო სამ თვეში. ივლისში შეადგინა 11 922 მილიონი ევრო. თუმცა სამშენებლო სექტორი რჩება ბევრად უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე იყო 2020 წლის თებერვალში პანდემიის დაწყებამდე იმყოფებოდა.

დიაგრამა 2. სამშენებლო პროდუქტის ივლისის თვის გამოშვება ბოლო 10 წლის მანძილზე




*წყარო: Office for National Statistics – Construction Output and Employment*

**როგორც ვხედავთ, ბოლო 10 წლის განმავლობაში, გამოშვებამ ყველაზე დაბალ ნიშნულს ივლისში მიაღწია და ეს კი იმ ფონზე, როცა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები მოიხსნა და ბრიტანეთის მთავრობამ სამშენებლო სექტორის მხარდამჭერი და მასტიმულირებელი აქტივობები განახორციელა.**

**ბრიტანეთის სამშენებლო ბიზნესი შეფერხდა ყველა მიმართულებით. 2020 წლის თებერვლის მდგომარეობასთან შედარებით ივლისში 18,7%-ით შემცირდა კორპუსების მშენებლობა, რაც გულისხმობს ინვესტიციების შემცირებას 103 მილიონი ევროთი; 15,8%-ით შემცირდა კერძო სახლების მშენებლობა, ამან კი სამშენებლო ბიზნესი დააზარალა 447 მილიონი ევროთი. დადებითი მაჩვენებელი ჰქონდა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ მშენებლობებს, რომლებიც 2020 წლის თებერვლის შემდგომ დაიწყო. ინფრასტრუქტურული პროდქტები 6,1%-ით გაიზარდა, რაც წარმოადგენდა 113 მილიონი ევროს ეკვივალენტის შესრულებულ სამუშაოს. 14,3%-ით შემცირდა საჯარო სექტორის მიერ დაწყებული მშენებლობები, რამაც 122 მილიონი ევროს ზარალი მოუტანა ბიზნესს; კერძო ინდუსტრიული მშენებლობები შემცირდა 29,9%-ით, მისი ზარალი იყო 130 მილიონი ევრო; კერძო კომერციული ფართის მშენებლობები შემცირდა 12,2%-ით, რასაც მოჰყვა 286 მილიონი ევროს ზარალი. [6]**

**როგორც ვხედავთ, ძალიან დიდია ზარალი, რომელიც განიცადა ისეთი ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანამ, როგორიც არის დიდი ბრიტანეთი. მთავრობის მიერ სამშენებლო ბიზნესის ხელშეწყობის მიუხედავად, პანდემიამ გავლენა მოახდინა მშენებლობის პროცესზეც და ასევე შეამცირა მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები პანდემიის პერიოდში ეზრუნათ და შეემუშავებინათ ინდუსტრიის ხელშემწყობი პოლიტიკა.**

## 1.2 კორონავირუსის გავლენა სამშენებლო ინდუსტრიაზე (საქართველოს მაგალითი)

**კორონავირუსის გავლენა უარყოფითი იყო საქართველოს ეკონომიკაზე. პანდემიის მიმდინარეობის დროს, როდესაც მთავრობამ დააწესა შეზღუდვები მოსახლეობის გადაადგილებასთან დაკავშირებით. მუშაობა შეაჩერა თითქმის ყველა სახის კომპანიამ, გარდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანიზაციებისა, როგორებიც იყო აფთიაქები,**

**სასურსათო მაღაზიები, პოლიცია, სასწრაფო და, ასევე, გამონაკლისს წარმოადგენდა სამშენებლო სექტორი.**

**2020 წლის პანდემიის ნეგატიური გავლენა აისახა 2020 წელს გაცემული სამშენებლო ნებართვებისა და სამშენებლო ფართობის მაჩვენებლებში წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით.**

ცხრილი 1. მშენებლობაზე გაცემული ნებართვები რეგიონების მიხედვით

| რეგიონი | 2019 | | 2020 იანვარ-ივნისი | |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | ფართობი, $მ^2$ | რაოდენობა | ფართობი, $მ^2$ |
| **საქართველო - სულ** | 10,749 | 7,538,398 | 4,169 | 2,576,801 |
| თბილისი | 5,248 | 2,779,877 | 2,336 | 1,169,770 |
| აჭარის არ | 1,261 | 3,045,775 | 262 | 767,715 |
| გურია | 167 | 46,069 | 52 | 24,060 |
| იმერეთი | 610 | 324,231 | 268 | 143,413 |
| კახეთი | 534 | 200,260 | 222 | 99,167 |
| მცხეთა-მთიანეთი | 661 | 239,416 | 249 | 81,941 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 42 | 11,040 | 29 | 8,971 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 474 | 172,708 | 144 | 40,158 |
| სამცხე-ჯავახეთი | 289 | 161,099 | 99 | 66,221 |
| ქვემო ქართლი | 1,142 | 441,698 | 399 | 134,924 |
| შიდა ქართლი | 321 | 116,225 | 109 | 40,461 |

*წყარო: www.geostat.ge*

**იმის მიუხედავად, რომ 2020 წელი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, შეუძლებელია დარჩენილ პერიოდში მოხერხდეს 2019 წლის მონაცემებთან მიახლოება და მისი გადაფარვა. 2019 წელს გაცემული ნებართვების რაოდენობა საქართველოს მასშტაბით 2-ჯერ აღემატება 2020 წლის მონაცემებს, ხოლო ასაშენებელი ფართობი კი 3-ჯერ მეტია 2020 წლის მონაცემებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი სამშენებლო ნებართვა გაიცა თბილისში. ხოლო ნებართვებიდან კი 1839 ეკუთვნოდა საცხოვრებელი შენობის ნებართვას, რომელიც 1 906 082 კვ. მეტრს წარმოადგენს. 65 ნებართვა გაიცა სავაჭრო ობიექტების ასაშენებლად, 43 – ადმინისტრაციული შენობების, 46 – სასტუმროების ასაგებად და ა.შ.**

ცხრილი 2. დასრულებული ობიექტები რეგიონების მიხედვით

| რეგიონი | 2019 | | 2020 იანვარ-ივნისი | |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | ფართობი, $მ^2$ | რაოდენობა | ფართობი, $მ^2$ |
| **საქართველო - სულ** | **2,508** | **2,547,924** | **810** | **758,779** |
| თბილისი | 870 | 1,530,113 | 237 | 423,833 |
| აჭარის არ | 130 | 451,839 | 20 | 46,987 |
| გურია | 80 | 39,481 | 27 | 12,462 |
| იმერეთი | 205 | 111,036 | 98 | 59,441 |
| კახეთი | 355 | 104,995 | 117 | 33,817 |
| მცხეთა-მთიანეთი | 203 | 63,163 | 68 | 58,909 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 33 | 5,738 | 4 | 1,072 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 105 | 30,222 | 74 | 52,985 |
| სამცხე-ჯავახეთი | 132 | 83,474 | 43 | 40,697 |
| ქვემო ქართლი | 241 | 87,572 | 76 | 20,298 |
| შიდა ქართლი | 154 | 40,291 | 46 | 8,278 |

*წყარო: www.geostat.ge*

კორონავირუსის უარყოფითი გავლენა სამშენებლო ბიზნესზე აისახა 2020 წლის მაჩვენებლებზე დასრულებული ობიექტების რაოდენობისა და ფართობის მიხედვით. 2019 წლის მაჩვენებლები დასრულებული ობიექტების რაოდენობით 3-ჯერ აღემატება 2020 წლის მაჩვენებლებს. იგივე ითქმის სამშენებლო კომპანიების მიერ აშენებული ფართის შესახებ.

**დიაგრამა 3. მშენებლობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი**




*წყარო: www.geostat.ge*

2020 წელს მშენებლობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა. პირველ კვარტალში შემცირება ჯერ კიდევ არ იყო საგრძნობი, ვინაიდან ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გაცნობიერებული კომპანიებსა და მომხმარებელს პანდემიის სიმძიმე და შესაძლო შედეგები. თუმცა, 2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემები უფრო ნაკლებია, ვიდრე 2019 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებლები. დასაქმებულთა რაოდენობა 11 100-ით შემცირდა 2020 წლის მეორე კვარტალში. ეს კი საკმაოდ დრამატული ცვლილებაა დროის ასეთ მცირე პერიოდში, მაშინ, როდესაც მე-2 კვარტალში მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციები შემსუბუქებული იყო და სამშენებლო კომპანიები ჩვეულ რეჟიმში განაგრძობდნენ მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ პანდემიას ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია დასაქმებულთა ანაზღაურების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის მეორე კვარტალში სამშენებლო სექტორში მომუშავეების ნაწილმა დაკარგა სამუშაო ადგილი, მათ შეუერთდა სხვა სექტორებში დასაქმებულები, ვინც პანდემიის გამო დარჩა უმუშევარი, შესაბამისად, უნდა გაზრდილიყო სამუშაო ძალის მიწოდება, რაც განაპირობებდა ხელფასის შემცირებას. თუმცა 2020 წლის პირველ კვარტალში მცირედით მოიმატა საშუალო ხელფასმა, ხოლო მეორე კვარტალში კი მხოლოდ 100 ლარით შემცირდა. მეორე მხრივ, ხელფასების იმავე დონეზე დარჩენა შეიძლება შევაფასოთ, როგორც რეალური ხელფასის შემცირება, ვინაიდან კორონავირუსის პანდემიის პერიოდში მკვეთრად გაიზარდა ინფლაციის დონე და 2020 წლის პირველ კვარტალში 6,2% შეადგინა.

ამგვარად, როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, პანდემიის გავლენა ქართულ სამშენებლო ბიზნესზე არ ყოფილა დრამატული. საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულმა რეგულაციებმა და სამშენებლო ბიზნესის ხელშეწყობამ განაპირობა ბიზნესის ძირითადი ტემპის შენარჩუნება. თუმცა მნიშვნელოვანი საკითხია, როგორი იქნება კორონავირუსის გავლენა გრძელვადიან პერიოდ-

**ში სამშენებლო ბიზნესზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოხერხდება ბიზნესის ფუნქციონირება, თუ კვლავ აქტიურ ფაზაში შევიდა კორონავირუსის პანდემია.**

## დასკვნა

**დასკვნის სახით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, რომ კორონავირუსის პანდემიის პირველ ტალღას ძალზედ ნეგატიური შედეგები მოჰყვა მსოფლიოს მასშტაბით. პანდემიამ დიდი ზარალი მიაყენა მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებს. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც შეძლო სწრაფად გამოფხიზლებულიყო და თავდაპირველი შოკის შემდეგ მეორე კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტიც კი გაეზადა 3,2%-ით, იყო ჩინეთი. ჩინეთმა სწრაფად აუღო ალღო ვირუსის მოქმედებას და გადავიდა დეფიციტური პროდუქტების წარმოებაზე (პირბადე, ხელთათმანები, ანტიბაქტერიული საშუალებები), რის შედეგადაც მეორე კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2,5%-ით მეტი ჰქონდათ, ვიდრე სტატისტიკოსების მიერ იყო პროგნოზირებული [7].**

**კორონავირუსს უარყოფითი გავლენა ჰქონდა სამშენებლო ინდუსტრიაზე. ქვეყნებში, სადაც ფართოდ გავრცელდა ვირუსი და დიდხანს გაგრძელდა შეზღუდვები, უფრო დიდია მიყენებული ზარალი. ქვეყნებმა, სადაც მთავრობებმა გაატარეს სამშენებლო ინდუსტრიის ხელშემწყობი პოლიტიკა, შედარებით მსუბუქად გადაიტანეს პანდემიის უარყოფითი გავლენა. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ წინ არის პანდემიის მეორე ტალღა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აკეთებს განცხადებებს, რომ კოვიდ-19 ჯერ არსად აპირებს წასვლას და შემოდგომიდან უნდა ველოდოთ მეორე ტალღას. განვითარებული ქვეყნების მთავრობებმა შეიმუშავეს პოლიტიკა, თუ რა უნდა მოიმოქმედონ პანდემიის მეორე ტალღის შემთხვევაში, რათა პანდემიის დასრულების შემდგომ სწრაფად დაუბრუნდნენ იმ ნიშნულს, რომელზეც იყვნენ პანდემიის დასაწყისში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია კითხვა: როგორ გაუძლებს ქართული სამშენებლო ბიზნესი პანდემიის ახალ ტალღას, რა სამოქმედო გეგმა გააჩნია მთავრობას სამშენებლო ბიზნესის გადასარჩენად?!**

ლიტერატურა:


1. EU-27, development of construction production, January – June 2020 https://ec.europa.eu-/eurostat/statistics-explained/index.php?title=File:EU-27,_development_of_construction_production,_January_-_June_2020.png
2. Impact of Covid-19 crisis on construction 2020 https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Impact_of_Covid-19_crisis_on_construction#Covid-19_containment_measures_in_Europe
3. Schober K. "The German construction industry must act not to gear up for an uncertain future and be in a position to shape it actively" 2020 https://www.rolandberger.com/en/Point-of-View/The-coronavirus-crisis-will-cause-significant-delays-to-the-construction.html
4. Falconer Th. "Shaky Foundations: Covid 19 and the UK Construction sector", 2020 https://www.ibisworld.com/industry-insider/coronavirus-insights/shaky-foundations-covid-19-and-the-uk-construction-sector/
5. Office for National Statistics – Construction Output and Employment
6. Construction output in Great Britain: July 2020 https://www.ons.gov.uk/businessindustryandtrade/-constructionindustry/bulletins/constructionoutputingreatbritain/july2020
7. Yao K. "China's economy has rebounded after a steep slump – but challenges lie ahead" https://www.weforum.org/agenda/2020/07/chinas-economy-rebounds-after-steep-slump-u-s-tensions-weak-consumption-raise-challenges/
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი: www.geostat.ge

# Corona Virus influence on construction industry (Euro union and Georgia)

**Nino Zurashvili**
***Business administration academic doctor***

S u m m a r y

**The construction sector is the most important industry for the country's economy. The state of the construction industry shows what prospects the country's economy has. The coronavirus pandemic has had a negative impact on the economies of countries around the world. The influence of Covid 19 has slowed the development of the construction business worldwide. This article presents an analysis the primary consequences of Covid Pandemic impact on EU countries' economies and on the economy of Georgia.**

***Key Words: Euro Union, construction, Corona virus, Covid 19, Great Britain, Georgia.***

# საქართველოს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის შეფასება

**ნუგზარ თოდუა**
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში ნაჩვენებია დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის როლი ტურისტულ ბიზნესში. მარკეტინგული კვლევის საფუძველზე შესწავლილია დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის ცალკეული მაჩვენებლებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულება. შემუშავებულია ტურისტული მომსახურების ხარისხის შეფასების ახალი მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით დადგენილია საქართველოს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის კომპლექსური მაჩვენებელი. დისპერსიული ანალიზის დახმარებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხზე მისი ცალკეული მაჩვენებლების (საიმედოობის, **რეაგირების სისწრაფის, დამაჯერებლობის, ემპათიის და მატერიალურობის)** გავლენას.*

*საკვანძო სიტყვები: საქართველოს ტურისტული დესტინაციები, მომსახურების ხარისხი, ხარისხის შეფასება, ხარისხის კომპლექსური მაჩვენებელი, მარკეტინგული კვლევა*

***პრობლემის აქტუალობა და შესწავლის დონე.*** **თანამედროვე ბიზნესგარემოში მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში ტურისტული დესტინაციებისათვის კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად გადაიქცა ხარისხი. არსებობს მთელი რიგი განმარტებები, რომლებიც აღწერს მომხმარებლის მიერ ხარისხის აღქმას [1-4]. მომსახურების ხარისხი განისაზღვრება, როგორც მყიდველის მოლოდინსა და მის მიერ მიღებულ მომსახურების აღქმას შორის სხვაობა [5]. აღსანიშნავია, რომ კმაყოფილებასა და მომსახურების ხარისხს ბევრი საერთო ნიშანი აქვს, მაგრამ კმაყოფილება უფრო ფართო ცნებაა, ხოლო მომსახურების ხარისხი ფოკუსირებულია მომსახურების სპეციფიკურ განზომილებებზე [6]. პარასურამანმა, ცაიტამლმა და ბერიმ შეიმუშავეს მომსახურების ხარისხის მოდელი [5]. მასში მოცემულია მაღალხარისხიანი მომსახურების ძირითადი პარამეტრები და ხუთი სახის ხარვეზი, რომლებიც აზიანებს კომპანიას. ესენია: კლიენტის მოლოდინსა და კომპანიის მენეჯმენტის აღქმას შორის სხვაობა, კომპანიის მენეჯმენტის აღქმასა და მომსახურების ხარისხის სპეციფიკურობას შორის სხვაობა, მომსახურების ხარისხის სპეციფიკურობასა და მიწოდების ფორმას შორის სხვაობა, მომსახურების მიწოდებასა და გარე კომუნიკაციებს შორის სხვაობა, მიწოდებულ მომსახურებასა და მოლოდინს შორის სხვაობა. აღნიშნულ მოდელზე დაყრდნობით მკვლევარებმა ჩამოაყალიბეს SERVQUAL-ის სკალა, რომელიც მოიცავს მომსახურების ხარისხის ხუთ მაჩვენებელს: საიმედოობას, რეაგირების სისწრაფეს, დამაჯერებლობას, ემპათიას და მატერიალურობას [7]. ტურიზმის შესახებ ლიტერატურაში აღწერილია სხვადასხვა ხასიათის მცდელობები, თუ როგორ აფასებენ ტურისტები მათთვის შეთავაზებული მომსახურების ხარისხს [8-12], აგრეთვე ტურისტული სააგენტოების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხს [13], სასტუმროების ხარისხს [14] და ა.შ.**

**მომხმარებელთა ქცევის შესწავლას განსაკუთრებული როლი ენიჭება საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში, რომელიც ხელს უწყობს დარგში მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოყალიბებას. მართალია, უკანასკნელ ხანებში საქართველოში მომხმარებელთა ქცევის მიმართულებით შესრულებულია გარკვეული სამუშაოები [15-31], მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი საქართველოს ტურისტულ**

ბაზარზე დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის შეფასების საკითხები, რაც სათანადო მეცნიერულ დამუშავებას მოითხოვს. ამიტომ წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის ცალკეული მაჩვენებლების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების დადგენა, რისთვისაც ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა.

*კვლევის მეთოდოლოგია.* კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად, რომელიც თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს დაეფუძნა. პირველ ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომელიც მოიცავდა ფოკუს ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდებს [32]. თვისებრივი კვლევის მონაწილეები შეირჩა ისე, რომ მოგვეცვა მიზნობრივი ბაზრის ყველა კატეგორია. ამ ეტაპზე მოხდა ჰიპოთეზების ფორმულირება და შემდგომი კვლევისათვის პრიორიტეტების დადგენა. მეორე ეტაპზე ვისარგებლეთ მომხმარებელთა გამოკითხვის მეთოდით, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურიზებული კითხვისგან შედგებოდა. ანკეტა მოიცავდა ინფორმაციას რესპონდენტის თანხმობისა და კონფიდენციალობის შესახებ, აგრეთვე კვლევის განმარტებებს და შევსების ინსტრუქციებს. ანკეტაში გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი სკალა. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული და პირისპირ ინტერვიუს მეთოდებით. კვლევაში გამოვიყენეთ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვის მეთოდი, რათა თავიდან აგვეცილებინა ინტერვიუერის სუბიექტურობით გამოწვეული შეცდომები. შერჩევის ფორმირება მოხდა საალბათო მეთოდის საფუძველზე. კვლევის არეს წარმოადგენდა ქალაქი თბილისი. 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, სულ გამოიკითხა 18 წელზე მეტი ასაკის 600 რესპონდენტი (მათ შორის მამაკაცი იყო 43%, ქალი - 57%). მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის საშუალებით. კვლევაში ჩამოყალიბებულია ხუთი ჰიპოთეზა (H), რომლებშიც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მომხმარებლების მიერ ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე.

H1: საიმედოობა დადებით გავლენას ახდენს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხზე.

H2: რეაგირების სისწრაფე დადებით გავლენას ახდენს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხზე.

H3: დამაჯერებლობა დადებით გავლენას ახდენს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხზე.

H4: ემპათია დადებით გავლენას ახდენს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხზე.

H5: მატერიალურობა დადებით გავლენას ახდენს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხზე.

*კვლევის შედეგები.* ანამედროვე მომხმარებლები ბევრად უფრო გათვითცნობიერებულნი არიან, ვიდრე ოდესმე და მათი გაკვირვება შეთავაზებული მომსახურებით თითქმის შეუძლებელია. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შემოთავაზებული მომსახურების ცალკეულ დეტერმინანტებს ისინი განსხვავებულად აღიქვამენ. ამიტომ საინტერესოა იმის დადგენა, თუ რომელი მაჩვენებელია მათთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ზოგადად, ტურისტული მომსახურების ხარისხის შეფასებისას. ტურისტული მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების სიხშირეები, რომლებიც მიღებულია SERVQUAL-ის მოდელის საფუძველზე, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, ნაჩვენებია პირველ ნახაზზე. კვლევა ცხადყოფს, რომ რესპონდენტების უმრავლესობა (37,2%) ასეთ მაჩვენებლად ასახელებს სანდოობას, 28,7% - დამაჯერებლობას, 15,5% - რეაგირების სისწრაფეს. გამოკითხულთა 10,8% თვლის, რომ ტურისტული მომსახურების დროს მნიშვნელოვანია

**მომსახურების გამწევი ორგანიზაციის მხრიდან ყურადღებისა და თანაგრძნობის გამოხატვა (ემპათია), ხოლო 5,1% უპირატესობას ანიჭებს მატერიალურობას.**

**ნახ. 1**

ტურისტული მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების სიხშირეები




**ტურისტული მომსახურების ხარისხის ცალკეული მაჩვენებლების წონადობის კოეფიციენტის განსაზღვრა მოვახდინეთ შემდეგი ფორმულის გამოყენებით [33]:**

$$K_i = \frac{2}{n} \times \left(1 - \frac{r_i}{n+1}\right), \quad (1)$$

**სადაც** $K_i$ **არის** $i$ **-ური მაჩვენებლების წონადობის კოეფიციენტი,** $n$ **– მაჩვენებელთა რაოდენობა,** $r_i$ **-** $i$ **-ური მაჩვენებლების რანგი. გაანგარიშებით მიღებული შედეგები მოცემულია 1-ლ ცხრილში.**

**ცხრილი 1**

ტურისტული მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების შეფასების სიდიდეები

| მაჩვენებლები | შეფასების სიდიდეები | | |
|---|---|---|---|
| | სიხშირეები | რანგები | წონადობის კოეფიციენტები |
| საიმედოობა | 223 | 1 | 0,333 |
| რეაგირების სისწრაფე | 93 | 3 | 0,200 |
| დამაჯერებლობა | 172 | 2 | 0,267 |
| ემპათია | 65 | 4 | 0,133 |
| მატერიალურობა | 45 | 5 | 0,067 |

**საქართველოს ტურისტულ ბაზარზე არსებული მომსახურების ხარისხის განსაზღვრისათვის რესპონდენტებს ვთხოვეთ, ხარისხის თითოეული მაჩვენებლები შეეფასებინათ 1-დან 5-მდე სკალით, მნიშვნელობების ზრდადობის მიხედვით (1=ძალიან დაბალი დონე, 2=დაბალი დონე, 3=საშუალო დონე, 4=მაღალი დონე და 5=ძალიან მაღალი დონე). შეფასების შედეგები ნაჩვენებია მე-2 ნახაზზე. რესპონდენტების შეფასებების განზოგადებისათვის გამოვიყენეთ გასაშუალოების მეთოდი, რომლის შედეგადაც განისაზღვრა საქართველოს ბაზარზე ტურისტული მომსახურების ხარისხის ცალკეული მაჩვენებლის შეფასების საშუალო არითმეტიკული სიდიდე. მიღებული შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: საიმედოობა - 4,5; რეაგირების სისწრაფე - 4,0; დამაჯერებლობა - 4,3; ემპათია - 3,4 და მატერილურობა - 3,2. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის მაჩ-**

**ვენებლების შეფასებისას რესპონდენტები მაღალ შეფასებას აძლევენ საიმედოობას, დამაჯერებლობას და რეაგირების სისწრაფეს. ამასთან, დისპერსიული ანალიზი ცხადყოფს, რომ რესპონდენტების მიერ ქართული ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის აღქმაზე გავლენას ახდენს რესპონდენტთა ასაკი (F=1.143, P=0.005), ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი (F=1.579, P=0.017) და განათლება (F=2.173, P=0.015), ხოლო სქესი ასეთ გავლენას არ ახდენს (F=12.342, P=0.897).**

**წონადობის კოეფიციენტისა და ხარისხის ცალკეული მაჩვენებლის გასაშუალოებული შეფასების მეშვეობით შეიძლება განვსაზღვროთ ტურისტული მომსახურების ხარისხის კომპლექსური მაჩვენებელი შემდეგი ფორმულით:**

$$Q = \sum_{i=1}^{n} m_i \, q_i \, , (2)$$

**სადაც Q არის ტურისტული მომსახურების ხარისხის კომპლექსური მაჩვენებელი, $m_i$ – $i$-ური მაჩვენებლის წონადობის კოეფიციენტი, $q_i$ - ხარისხის $i$-ური მაჩენებლის გასაშუალოებული მნიშვნელობა, $n$ – მაჩვენებელთა რაოდენობა.**

**(2) ფორმულის გამოყენებით საქართველოს დესტინაციებში ტურისტული მომსახურების ხარისხის კომპლექსური მაჩვენებელი იქნება:**

**Q=4.5X0,333+4,0X0,2+4,3X0,267+3,4X0,133+3,2X0,067=4,1**

**ნახ. 2**

რესპონდენტების მიერ საქართველოს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის მაჩენებლების დონის შეფასების სიხშირეები




**ამრიგად, მომხმარებლებმა საქართველოს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხი, უმეტესად, მაღალ დონეზე შეაფასეს. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ძირითადი ხარვეზები, რომლებიც მაღალხარისხიან მომსახურებას ზიანს აყენებს. ასეთი ხარვეზების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება განვსაზღვრეთ ე. პარასურამანის, ლ. ბერის და ვ. ცაიტამლის მოდელის მიხედვით [5]. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული შესაბამისი სიხშირეები მოცემულია მე-3 ნახაზზე. კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტების უმეტესობა (35%) ასეთ ხარვეზად ასახელებს ტურისტული მომსახურების ბაზარზე მოქმედი კომპანიის მიერ შეთავაზებულ მომსახურებასა და მომხმარებლის მოლოდინს შორის სხვაობას, 24% - კომპანიის მენეჯმენტის აღქმასა და მომსახურების ხარისხის სპეციფიკურობას შორის სხვაობას, 18% - მომხმარებლის მოლოდინსა და კომპანიის მენეჯმენტის აღქმას შორის სხვაობას, 12,7% - მომსახურების ხარისხის სპეციფიკურობასა და შეთავაზების ფორმას შორის სხვაობას, ხოლო 10,3% - მომსახურების შეთავაზებასა და გარე კომუნიკაციებს შორის სხვაობას.**

როგორც კვლევამ აჩვენა, რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში ტურისტული მომსახურების გამოცდილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, რესპონდენტებს ვთხოვეთ, შეედარებინათ საქართველოში არსებული ტურისტული მომსახურების ხარისხი სხვა ქვეყნებში არსებულ შესაბამის მომსახურებასთან. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 2,1%-მა საქართველოს ტურისტულ ბაზარზე შემოთავაზებული მომსახურება, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მაღალი დონით შეაფასა. 42,7%-მა აღნიშნა, რომ საქართველოში გაწეული მომსახურება უცხოურის მსგავსია, 34%-ის აზრით ასეთი მომსახურება უცხოურს მცირედით ჩამოუვარდება. გამოკითხულთა 17,7% თვლის, რომ საქართველოს ტურისტულ სექტორში არსებული მომსახურების დონე, უცხოურთან მიმართებით, დაბალია, ხოლო 3,5%-ის აზრით, ძალიან დაბალია.

**ნახ. 3**

**მაღალხარისხიანი ტურისტული მომსახურების დამაზიანებელი ხარვეზები**




ზემოთ ჩამოყალიბებული H1 – H5 ჰიპოთეზების დასამტკიცებლად გამოვიყენეთ One Way ANOVA F-Test. დავადგინეთ, თუ რამდენად მოქმედებს მომსახურების ხარისხის ცალკეული მაჩვენებლები (საიმედოობა, რეაგირების სისწრაფე, დამაჯერებლობა, ემპათია და მატერიალურობა) მთლიან ხარისხზე. დისპერსიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ დასახელებული მაჩვენებლების გავლენა მომხმარებლების მიერ ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხის შეფასებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1**

**ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ხარისხზე მისი ცალკეული მაჩვენებლების გავლენის დისპერსიული ანალიზი**

| დამოუკიდებელი ცვლადები | დამოკიდებული ცვლადი: მომსახურების ხარისხი | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კვადრატების ჯამი | DF | საშუალო კვადრატი | F | P |
| საიმედოობა | 10.666 | 3 | 3.555 | 4.319 | .005 |
| რეაგირების სისწრაფე | 9.809 | 3 | 3.270 | 3.472 | .016 |
| დამაჯერებლობა | 16.915 | 3 | 5.638 | 4.487 | .004 |
| ემპათია | 12.774 | 3 | 4.258 | 3.773 | .010 |
| მატერიალურობა | 17.724 | 3 | 5.908 | 4.279 | .005 |
| ცდომილება | 1438.609 | 1042 | 1.381 | 1438.609 | |

ჩვენ მიერ ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მომხმარებლების უმეტესობა კმაყოფილია ტურისტული დესტინაციების მიერ შეთავაზებული მომსახურების ხარისხით. ამასთან, საქართველოს ტურისტულ ბაზარზე არსებული ხარვეზების მიუხედავად, მომხმარებლები ქართული დესტინაციების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ლოიალურად განწყობილი მომხმარებლები კი გამოთქვამენ მზადყოფნას, თავიანთი დადებითი გამოცდილება სხვებსაც გაუზიარონ. თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ყოველი მეშვიდე ტურისტი შემოთავაზებულ მომსახურების ხარისხსა და ფასს შორის შეუსაბამობაზე მიუთითებს. ასეთმა სიტუაციამ კი გრძელვადიან პერიოდში საქართველოს ტურისტულ ბიზნესში დასაქმებული კომპანიები შეიძლება ცუდ შედეგებამდე მიიყვანოს. ამიტომ საქართველოს ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულმა კომპანიებმა კარგად უნდა გააცნობიერონ არსებული სიტუაცია და მომხმარებლებისათვის შექმნან ისეთი დამატებითი სარგებელი (მაგალითად, პერსონალის მომსახურების ხარისხის ამაღლება, დესტინაციის ატმოსფეროს გაუმჯობესება, ფასწარმოქმნის პოლიტიკის სრულყოფა და სხვა), რაც მათ კმაყოფილების უფრო მაღალ ხარისხს მიანიჭებს და შესაბამისი კომპანიის მიმართ ლოიალურობის სურვილს გაუჩენს.

მადლობა. ავტორი მადლობას უხდის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგული კვლევის ცენტრს მარკეტინგული კვლევის ჩატარებაში გაწეული მხარდაჭერისთვის.

ლიტერატურა:


1. Berry, L.L., Zeithaml, V.A., and Parasuraman, A. (1985). Quality counts in services too. Business Horizons, May–June, pp. 44–52.
2. Grönroos, C. (1984). A service quality model and its marketing implications. European Journal of Marketing, 18(4), 36-44.
3. Mackay, K.J., and Crompton, J.L. (1990). Measuring the quality of recreation services. Journal of Park and Recreation Administration, 8(3), 47–56.
4. Takeuchi, H., and Quelch, J.A. (1983). Quality is more than making a good product. Harvard Business Review 61(4), 139–145.
5. Parasuraman, A., Zeithaml, V.A., and Berry, L.L. (1985). A conceptual model of service quality and its implications for future research. Journal of Marketing, 49(Fall), 41–50.
6. Zeithaml, V., Bitner, M., and Gremler, D. (2006). **Services Marketing: Integrating Customer Focus Across the Firm**. 4th edition, New York: McGraw-hill.
7. Zeithaml, V.A., Parasuraman, A., and Berry, L.L. (1990). Delivering quality service: Balancing customer perceptions and expectations. New York: Free Press.
8. Atilgan, E., Akinci, S., and Aksoy, S. (2003). Mapping Service quality in the tourism industry. Managing Service Quality, 13(5), 412-422.
9. Frochot, I. (2004). An investigation into the influence of the benefits sough by visitors on their quality evaluation of historic houses' service provision. Journal of Vacation Marketing, 10(3), 223-237.
10. Hudson, S., Hudson, P., and Miller, G. A. (2004). A measurement of service quality in the tour operating sector: A methodological comparison. Journal of Travel Research, 42, 305-312.
11. Vogt, C., and Fesenmaier, D. R. (1995). Tourists and retailers' perceptions of services. Annals of Tourism Research, 22(4), 763-780.
12. Weirmair, K., and Fuchs, M. (1999). Measuring tourist judgment on service quality. Annals of Tourism Research, 26(4), 1004-1021.
13. Ryan, C., and Cliff, A. (1997). Do travel agencies measure up to customer expectations? An empirical investigation of travel agencies service quality as measured by SERVQUAL. Journal of Travel and Tourism Marketing, 6(2), 1-32.
14. Suh, S. H., Lee, Y. H., Park, Y., and Shin, G. C. (1997). The impact of consumer involvement on the consumer's perception of service quality - Focusing on the Korean hotel industry. Journal of Travel and Tourism Marketing, 6(2), 33-52.

15. Apil, A. R., Kaynak, E., and Todua, N. (2009). Product Preference Differences of High and Low Ethnocentric Consumers in Georgia. In Proceedings of the 18th World Business Congress "Management Challenges in an Environment of Increasing Regional and Global Concerns". International Management Development Association, pp. 531-539. .
16. **Jashi, C.,** and **Todua, N. (2013). Behavior Changing through of Social marketing (Georgian Case).** In Proceedings of third World Social Marketing Conference. Toronto (Canada). pp. 95-97.
17. Todua, N., Babilua, P., and Dochviri, T. (2013). On the Multiple Linear Regression in Marketing Research. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 7, No. 3, pp. 135-139.
18. Todua, N., and Dotchviri, T. (2015). On the Marketing Research of consumer prices and inflation process. British Journal of Marketing Studies. Vol. 3, No. 2, pp. 48-57.
19. Todua, N., and Jashi, Ch. (2015). Some Aspects of Social Media Marketing (Georgian Case). International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering, Vol. 9, No. 4, pp. 1160-1163.
20. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, J. (2015). Georgian consumer attitudes towards genetically modified products. International Journal of Management and Economics, Vol. 46, No. 1, pp. 120-136.
21. Todua, N. (2016). Main Aspects of Service Quality in the Hotel Industry of Georgia. In Proceedings of 4th International Conference on Contemporary Marketing Issues, 22-24 June 2016, Heraklion, Greece. pp. 431-435.
22. Todua, N., and Jashi, Ch. (2016). Conceptual and Practical Aspects of Peace Marketing in Tourism (Georgian Case). In Book: „Peace Marketing" (chapter XXVII), Publisher „Editura universitara" (Bucharest), 2016, pp. 346-356.
23. Todua, N., Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). Main aspects of formation of legal environment on the Georgian food market. In Proceedings of International Scientific-Practical Conference "Challenges of Globalization in Economics and Business". Universal, Tbilisi, pp. 250-256.
24. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, B. (2017). Georgian Farmers Attitudes towards Genetically Modified Crops. Economics World, Vol. 5, No. 4, pp. 362-369.
25. Todua, N. (2017). Influence of Food Labeling Awereness on healthy behavior of Georgian Consumers. Ecoforum Journal, Vol. 6, No. 2.
26. Todua, N. (2017). Social Media Marketing for Promoting Tourism Industry in Georgia. In Proceedings of 22nd International Conference on Corporate and Marketing Communications: Challenges of Marketing Communications in a Globalized World. Zaragoza, Spain, pp. 168-171.
27. Seturi, M., and Urotadze, E. (2017). About Marketing Process Model and Relationship Marketing. In Proceedings of International Workshop „Model-Based Governance for Smart Organizational Future", Sapienza University of Rome, Italy, pp. 169-171.
28. Todua, N., and Jashi, Ch. (2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 12, No. 2, pp. 183-190.
29. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. Globalization and business. Vol. 7, pp. 39-48.
30. Urotadze, E. (2020). The role of social media marketing in attitude towards Georgian consumers to travel agencies. In Proceedings of 7th Business Systems Laboratory International Symposium „Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era", University of Alicante, Spain, pp. 236-241.
31. Seturi, M., and Urotadze, E. (2020). **Some opinions about sustainable development and tourism (case of Georgia)**. In Proceedings of 5th International Scientific and Practical Conference „Strategic imperatives of modern management", Kyiv National Economic University named after Vadym Hetman, Kjiv, pp.286-289.
32. Malhotra, N. K. (2004). Marketing research: An applied orientation, 4th ed., Pearson Education, Inc, New Jersey.
33. Beliaevski I., Kulagina, G. and Korotov A. (1995). Market statistics of goods and services. Moskow, Finance and statistics (in russian language).

# Service Quality Evaluation provided by Georgian Tourism Destinations

**Nugzar Todua**
***D.Sc. Professor,***
***Ivane Javakhishvili Tbilisi State University***

Summary

**The article shows the role of service quality provided by destinations in the tourism business. Based on marketing research, the attitude of consumers to separate the index of the service quality provided by destinations was studied. A new method for quality evaluation of tourist services has been developed. By using this method, a complex index of service quality provided by Georgian Tourism Destinations was established. Through analysis of variance statistically significant values were obtained that reflect the influence of individual index of service quality (Reliability, Responsiveness, Assurance, Empathy, and Tangibles) on the complex index of service quality which was provided by Georgian Tourism Destinations.**

***Key words: Georgian tourism destinations, service quality, quality evaluation, complex index of service quality, marketing research***

# სამეწარმეო რისკების დაზღვევის თავისებურებები საქართველოში


**ნატო კაკაშვილი**
*ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,*
*თსუ ასისტენტ-პროფესორი*

**ხათუნა ბარბაქაძე**
*ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,*
*თსუ ასოცირებული პროფესორი*



*სამეწარმეო რისკების დაზღვევა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რადგან სამეწარმეო რისკების დაზღვევის მექანიზმი გვაძლევს საშუალებას, თავიდან ავირიდოთ მოსალოდნელი ზარალი გამოწვეული ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან, ავტოსაგზაო შემთხვევებისას, ტრანსპორტირების პერიოდში საქონლის დაზიანებისას, თანამშრომლების ავადმყოფობის, გარდაცვალების ან უბედური შემთხვევის გამო.*

*სამეწარმეო საქმიანობის რისკი დაკავშირებულია ყველა სახის სამეწარმეო საქმიანობასა და პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების გამოშვებასთან, მათ რეალიზაციასთან, კომერციასთან, სასაქონლო-ფინანსური ოპერაციებსა და ასევე სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების განხორციელებასთან [8.www.lari.ge].*



*საკვანძო სიტყვები: სამეწარმეო რისკები, რისკების მართვა, რისკების მართვის მეთოდები, რისკების მართვის ეტაპები, ანალიზი, მართვა, კონტროლი,რისკების გაზომვისა და შეფასების მეთოდები.*


**რისკების მართვა მნიშვნელოვანია ეკონომიკური საქმიანობისათვის, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის მენეჯერთა მხრიდან გამოყენებულ მეთოდებზე ეკონომიკურ, იურიდიულ და ორგანიზაციულ გარემოში. რისკების მართვის ეტაპებია: ანალიზი. მართვა. კონტროლი, ხოლო რისკების იდენტიფიკაციისთვის ინფორმაციის მოპოვების მეთოდებს განეკუთვნება ორგანიზაციის ფიზიკური დათვალიერება, დოკუმენტაციის შესწავლა, ტექნოლოგიური პროცესების უწყვეტობის სქემები, გასაუბრება თანამშრომლებთან. რისკის გამოვლენის შემდეგ იწყება მათი შეფასება - წარმოქმნილი რისკების რაოდენობრივ მახასიათებელთა, მოსალოდნელი ზარალის ალბათობისა და მოცულობის განსაზღვრა.**

**რისკების გაზომვა შესაძლებელია მაღალ, საშუალო და დაბალ რისკებად. მაღალი რისკის შემთხვევაში ყოველწლიურად მოსალოდნელი რისკის ალბათობა 25%-ზე მეტია. საშუალო რისკის დროს გათვალისწინებულია რისკის მოსალოდნელი ალბათობა 10 წლის განმავლობაში, ამ შემთხვევაში რისკის დადგომის ალბათობა 25%-ზე ნაკლებია. დაბალი რისკის შემთხვევაში კი მინიმუმამდეა დაყვანილი რისკის დადგომის ალბთობა გრძელვადიან პერიოდში. ამ შემთხვევაში ალბათობა 2%-ზე ნაკლებია [1, გვ.13].**

**კონკრეტული რისკების შემთხვევაში საუკეთესო მეთოდის არჩევის შემდეგ შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მართვის ოპტიმალური სტრატეგია, როდესაც შესაძლებელია განისაზღვროს ფინანსური და ადამიანური რესურსი, მენეჯერებს შორის დაკისრებული მოვალეობების გადანაწილება, საბაზრო სექტორის ანალიზის ჩატარება, კონსულტაციების გამართვა შესაბამისი კომპეტენციის ექსპერტებთან. რისკის მართვის მეთოდებს განეკუთვნება აღმოფხვრა, შემცირება, დაკავება და გადაცემა.**

**საქართველოს სადაზღვევო კომპანიები მომხმარებლებს სთავაზობენ სამეწარმეო რისკების დაზღვევასა და მომსახურების თითქმის სრულ სპექტრს მოიცავენ, კერძოდ: ქონების დაზღვევა. მანქანა-დანადგარების დაზღვევა. ავტომობილების დაზღვევა. პასუ-**

ხისმგებლობის დაზღვევა. უბედური შემთხვევის დაზღვევა. საქმიანობის შეფერხების დაზღვევა. მაგალითად, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი" ახორციელებს უძრავი და მოძრავი ქონების დაზღვევას. საწარმოო საქმიანობის შეჩერებით გამოწვეული ზარალისგან დაზღვევას. მარაგების დაზღვევას. მანქანა-დანადგარების დაზღვევას. ტვირთების დაზღვევას. სამშენებლო რისკების დაზღვევას [6.www.Aldagi.ge]. თითქმის ანალოგიურ მომსახურებას გვთავაზობს სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი": ქონების დაზღვევას. მანქანა-დანადგარების დაზღვევას. ბიზნესის შეფერხების დაზღვევას. კორპორაციული ავტომობილების დაზღვევის პაკეტს. „საყოველთაო დაზღვევა" კი კორპორატიული დაზღვევის ორ ძირითად მიმართულებას გვთავაზობს: ერთია ქონებრივი რისკების დაზღვევის პაკეტი: ქონების დაზღვევა, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ბიზნესის შეფერხების დაზღვევა; მეორე - პასუხიმგებლობის დაზღვევის კორპორაციული პაკეტი: სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. ბიზნესისVIP პერსონების დაზღვევა, თანამშრომელთა საკომპენსაციო დაზღვევა [5.https://mygpi.ge/]. ამასთან, სადაზღვევო კომპანია „TBC Insurance"-მა მომხმარებლებს COVID-19-ის გართულებისაგან დაზღვევა შესთავაზა. სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის ღირებულება 19 ლარით განისაზღვრა. დაზღვეულის გარდაცვალებისას, მის კანონის მიერ მემკვიდრეს ერთჯერადად გადაეცემა 50000 ლარი, თუ საავადმყოფოში ყოფნისას, დაზღვეულის მდგომარეობა ხასიათდება COVID-19-ის მძიმე მიმდინარეობით, მასზე ერთჯერადად გაიცემა 10000 ლარი, თუმცა დაზღვეულმა ხელი უნდა მოაწეროს განაცხადს, რომლითაც ადასტურებს, რომ დაზღვევის გაფორმების თარიღისთვის ის არ ელოდება პასუხს COVID-19-ის ტესტზე, ან აღნიშნულ ტესტზე მას არ აქვს მიღებული დადებითი პასუხი, ასევე, მას არ აწუხებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი სისტემის, ონკოლოგიური დაავადებები, დამბლა, ინსულტი და/ან დიაბეტი. 18-დან 65-წლამდე საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები ადამიანები მიიღებენ ამ მომსახურებას. სამწუხაროდ, ამ მომსახურებამ დიდი რეპუტაციით ვერ ისარგებლა, რადგან ახალ სადაზღვევო პროდუქტს წარმოადგენს ქართული საზოგადოებისთვის.

2018 წლის 1 მარტს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ძალაში შევიდა დადგენილება, რომლითაც მასობრივი თავშეყრის ობიექტები, 100 ნომერზე დიდი სასტუმროები სავალდებულო წესით უნდა იყოს დაზღვეული. სავალდებულო დაზღვევით უნდა ისარგებლონ ავტოგასამართმა სადგურებმაც [3. მუხლი 1]. მასობრივი თავშეყრის ობიექტის მფლობელი ვალდებულია, სავალდებულო დაზღვევის პოლისის წლიური სადაზღვევო ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, დააზღვიოს სავალდებულო სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვევის პერიოდის უწყვეტობის პრინციპის დაცვით [9.www.tabula.ge].

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 17 სადაზღვევო კომპანიაა და მათგან 13 აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო, მათ შორის, სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი", დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო", „არდი დაზღვევა", სადაზღვევო კომპანია „ალფა", სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფი", „პსპ ჯგუფი", სადაზღვევო კომპანია „უნისონი", სადაზღვევო კომპანია „პრაიმი", საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „კამარა", „თიბისი დაზღვევა", სადაზღვევო კომპანია „ალდაგი", რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია" და საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი" [4.http://insurance.gov.ge]. გარდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პასუხისმგებლობის დაზღვევისა უცხონომრიანი ავტომობილების მძღოლებისთვის სავალდებულო გახდა ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას, თუ ისინი ქვეყანაში არანაკლებ 15 დღე დარჩებიან.

სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს სავალდებულო დაზღვევის პოლისში მითითებული ვადით. ამასთან, სავალდებულო დაზღვევის პოლისი ძალაში შედის შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდის შემდეგ სადაზღვევო ხელშეკრულების დადების დღის 24 საათიდან და სრულდება სადაზღვევო ხელშეკრულების დამთავრების დღის 24 საათზე

[11. www.versia.ge]. ცენტრს უფლება აქვს, დაზარალებულისთვის სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ, რეგრესის წესით წაუყენოს მოთხოვნა ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს შემდეგ შემთხვევებში: ა. ზიანის განზრახ მიყენებისას; ბ. ავტოსატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვისას; გ. ავტოსატრანსპორტო საშუალების არაკანონიერად მართვისას: დ. ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების გარეშე მართვისას; ე. დაუზღვეველი ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას [2, გვ.7]. საქართველოს სადაზღვევო კომპანიების მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ 2019 წელს ქონების დაზღვევის მიმართულებით 88,39 მლნ ლარი შეადგინა.

სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგმა" 2017 წელს ბავშვთა სამყაროში გაჩენილი ხანძრის შედეგად შეიმუშავა მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. პროგრამის ფარგლებში, დაზღვევის ღირებულების 50%-ს სადაზღვევო კომპანია აფინანსებს. ბიზნესპოლისით, რომელიც „ჯიპიაი ჰოლდინგის" ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, 6 000-ზე მეტი მეწარმე სარგებლობს და ღირებულება 15 ლარიდან იწყება. პოლისი 50 000 ლარამდე ზარალს ანაზღაურებს, მათ შორის, ბანკის სესხის პროცენტს და საქმიანობის შეფერხების შედეგად მიყენებულ ზარალს [12.http://old.pia.ge]. სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგმა", წინა პერიოდის ანგარიშის მიხედვით, ყველაზე მეტი ზარალი - 61 მილიონი ლარი აანაზღაურა და ამ კუთხით ლიდერია სადაზღვევო კომპანიებს შორის. კომპანია დღეში საშუალოდ 150 000 ლარამდე ზარალს ანაზღაურებს. ყველაზე დიდი ზარალი სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგმა" ოთხი მილიონი ლარი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას აუნაზღაურა. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დაზღვეული იყო „ქონების დაზღვევის" პოლისით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სადაზღვევო კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია სამეწარმეო რისკების ეფექტურად მართვა, სადაც მნიშვნელოვანი როლი სადაზღვევო კულტურის მაღალ დონესა და მექანიზმებს ენიჭება. სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტი მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის შედარებით ახალი მიმართულებაა. ვფიქრობთ, ქართული სადაზღვევო კომპანიები, მათ შორის, მსხვილი კომპანიებიც, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ რისკების იდენტიფიცირებასა და ანალიზს.

საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იზრდება განუსაზღვრელობა, სამეწარმეო რისკების რაოდენობა და მათი მართვის მექანიზმები. შესაბამისად, საქართველოშიც იზრდება რისკების მართვის მნიშვნელობა და კომპანიების მხრიდან ამ პროცესების შეუფასებლობამ შეიძლება შეაფერხოს მისი განვითარება.

ლიტერატურა:


1. ვერულავა თ., „რისკების მართვა", თბ., 2013.
2. საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ", 15 დეკემბერი, 2017.
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №579, 2017 წლის 28 დეკემბერი.
4. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ყოველწლიური ანგარიში 2015-2019.
5. http://insurance.gov.ge
6. https://mygpi.ge/
7. http://aldagi.ge/ge/
8. https://tbcinsurance.ge/
9. http://www.lari.ge/
10. www.tabula.ge
11. www.versia.ge
12. http://old.pia.ge/

# Peculiarities of entrepreneurial risk insurance in Georgia

**Nato Kakashvili**
***Candidate of Economic Sciences,***
***TSU Assistant Professor***

**Khatuna Barbakadze**
***Candidate of Economic Sciences,***
***Associate Professor at TSU***

S u m m a r y

**In a market economy, it is important for insurance companies to effectively manage entrepreneurial risks, where a high level of insurance culture and mechanisms play an important role. Entrepreneurial risk management is a relatively new field of world economic science and practice.We think that Georgian insurance companies, including large companies, pay less attention to risk identification and analysis.Entrepreneurial risk insurance is one of the most pressing issues in a market economy, as the entrepreneurial risk insurance mechanism allows us to avoid the expected losses caused by natural disasters, road accidents, damage to goods during transport, accidental illness or employee illness.**

***Keywords: Entrepreneurial Risks, Risk Management, Risk Management Methods, Risk Management Stages, Analysis, Management, Control, Risk Measurement and Evaluation Methods.***

# Why Hybrid Learning model – is the New Reality

**Tamar Kanashvili**
***GTU, PhD student***

**Sophio Beridze**
***TSU, Master student***

**Natia Kuparadze**
***a graduate of TSU***

*In the stage of globalization in 2020, we could be under a technological revolution that might be caused by the pandemic situation. The accelerated innovation-transformation experience provides in the world the rapid change at the level of organizational, business, and training industries. The complex future is difficult to predict and is perceived as immediate technological change, training, retraining, and even re-learning.*

*Globalization requires the development of human capital from developing countries. The development of human resources in the country helps to attract foreign investment. Developing countries need rapid training and development of skills that are globally in demand through the business industry. The human development factor can be critically important for a country like Georgia. In the current context, achieving this goal globally is considered through a hybrid learning model. At the same time, remarkably little is known about what countries can do to increase national skills quickly.*

*The economic literature stresses the importance of investments in the hybrid learning model in education (at all levels), but skills development also takes place outside the formal educational system, particularly in vocational and professional training institutions and within corporations. Experts suggest that improving national skills requires a concerted national effort by involving multiple institutions, policies, and private-public sector collaborations.*

**Keywords:** *earning and development, training, hybridlearning model, globalization, technological change.*

**Education and technology are the key components of economic development and stability.**

**Education increases the level of political and civic involvement and attracts international investment. Two main tools are used for economic development globally: human capital and the country's territorial resources.**

**Human capital needs an educated and experienced workforce, while the state needs infrastructure such as enterprises, technologies, buildings, roads, etc. In both cases, education remains a prerequisite for creating and maintaining high-quality products and services.**

**It should be noted that history has shown that education can be even a greater resource than natural resources.We can also discussthe example of Singapore, which is out of natural resources but has a stronger economy than the countries with richer natural resources, such as Nigeria, Venezuela, or others. At the scientific level, a study by Smith and Rademacker (1999) showed a positive correlation between education and economic advancement.**

**In our paper, we will focus on a hybrid learning model of blended learning that can be found as a learning platform where more than one type of learning is used.**

**The motive for the initial creation of the primary hybrid model could have been the goal of optimization learning outcomes and reduction learning costs, increase accessibility, and now it is noteworthy that during the pandemic, we acquired more roles and workload.**

**Despite the urgent need for mixed learning today, there are many barriers to implementing this model in the real life.**

**These barriers could be: lack of social interaction between the lecturer and the student, technical shortcomings as the need for technological change has occurred faster than its full provision, moreover the problem of concentration is also one of the barriers at home.**

**Also, the hybrid modelrequires administrative help and a lot of attention. Besides, the hybrid model depends on the motivation of the students. Training course design control, presentations, materials, video recording quality, academic grading system tailored to participants, and maintained also should be considered.**

**A lack of assessment or a poorly generated program can also contribute to a deterioration in the level of education. (Al-Adwani and Smedli, 2012; Rema and Milishevska, 2010). Appropriate equipment infrastructure is required, which should be equipped by a pupil, student, teacher, lecturer, trainer - the person involved in all these teaching methods. Proper bandwidth, servers, software memory, camera, or minimum standards are vital.**

**The hybrid model makes it possible to train online during a pandemic. The future may develop in the direction of hybrid learning, which includes the following benefits: unlimited access to materials, videos, while participants can independently and at any time master the training materials they need. The hybrid model is considered to increase access to education because it saves on infrastructure costs and can be implemented anywhere where basic software is available.**

**As the hybrid model is the subject of greatest interest globally, Georgia aspires to build on a hybrid model 2020-2021, so it is necessary to thoroughly examine all the risks, advantages, barriers, and have solutions to the challenges. Possible challenges the hybrid model will face are lack of adequate infrastructure; Learning through technology requires reliable hardware, easy-to-use software, and a high-bandwidth network connection.**

**To make the system easy and simple for students and teachers, seminars should be held regularly and at a convenient time for both parties. E-learning involves the processing of large amounts of data between students, tutors, and servers, which requires a high throughput of the database and a large amount of software memory. Maintaining integrity and reliability requires user authentication, reliable and secure connections. To avoid these problems, allocating sufficient financial resources is essential.**

**Making financial investments in a hybrid learning platform in the future will give us access to education everywhere and long-term economic value. As technological advances expand, internet bandwidth, reliable and affordable hardware, experienced labor force, and support become less relevant.**

**A further barrier might be global: fear of technology and lack of involvement, which is normal. One year is not enough for a person to overcome resistance for completely unexpected changes. It takes time for an individual to get acquainted with new technology and recognize it, to reap its enormous benefits. E-learning makes the learning process more dramatic by increasing student engagement and student interests. Relationships between students and their peers, as well as tutors and students, are growing through the use of the forum, email, chat, wiki, blogs, video conferencing, YouTube, e-portfolio, and e-polls. It is necessary to provide extensive technology and training in the use of new technology.**

**Globally, it is essential to provide timely training in the introduction of a hybrid model for everyone teachers, lecturers, tutors, trainers, and those who are involved. It is necessary to promote engagement, which includes encouraging any question, discussion, comment from the student, participant. Wilson (2004) argues that the extracurricular activities of a student determine the learning outcome rather than just the classroom process or strategy, so it is**

**essential to take care of the motivation of those involved in the platform and maintain a high level of interest in them.**

**When introducing a hybrid model, one may feel some apathy in society, a less positive attitude towards e-learning, which has its objective reasons. Until 2020, the benefits of E-learning were less relevant, and public or private structures were reluctant to invest in online learning. There is also a large number of teachers, lecturers, who prefer to traditionally conduct classes in classrooms, auditoriums and oppose change. It is important to explain in detail the benefits of e-learning at all levels to ensure community support for the hybrid model. This can be done through the media, with the involvement of experts, pilot programs, training, surveys, and various information campaigns.**

**Through E-learning, time, paper, energy can be saved for the assessment of pupils, students. Some programs will immediately give feedback to the participant involved in the platform and such programs are available globally: Google Classroom, Moodle, Adobe Activate, TCExam and iSpring and others. On the other hand, there may be an increased risk to the confidentiality and security of the assessments, students' disclosure of assignments to each other, and attention to this process as well. Special arrangements are required for the midterm and final examinations, which are protected and reliable. Servers are needed to verify the identity of each student and the intervals at the start of the exam. Small pilot experiments are required before large numbers of tests can be performed.**

**Conclusion. The world is facing growing challenges through Covid-19. One of the main tasks of the state and the business sector today is to create a learning-development strategy that will be able to stand the conditions of the pandemic and continue the development progress of education in the country.**

**The global information and communication technology industry offer a discussion of the possibility of hybrid learning that is achievableand successfully implemented through global collaboration. The hybrid model requires additional research, the involvement of experts, teachers, lecturers, and those involved. Factors affecting the barriers of a hybrid model are explored. Infrastructural, technological problems are to be overcome and there is work to be done with the attitude of the community that opposes or finds it difficult to take advantage of online learning. If the hybrid model is properly planned and implemented, some traditional teaching methods may even be replaced forever in this way.**

**The technological revolution in just a few months put the field of education in the digital age. On the one hand, the hybrid model has brought great benefits to the world, and on the other hand, new barriers to the learning process have emerged, which must be overcome through the constant acquisition and exchange of global experience, to take on a new reality and prepare for change.**

Literature:


1. **Koike, "Globalization, Competitiveness and Workers' Skills"; Kuruvilla,"Globalization and Employment Relations: A Framework for Research**
2. **Chen, C. and Jones, K. (2007), "Blended Learning vs. Traditional Classroom Settings: Assessing Effectivenessand Student Perceptions in an MBA Accounting Course", Journal of Educators Online, 4 (1), 1-15.**
3. **Fetch, L. (2006), "A study of Blended Learning at Metropolitan Research University", DAI-A, 66 (10), 3615-3625.**
4. **Blended Learning Barriers: An Investigation, Exposition andSolutionsMohamed Sayed and Faris Baker**
5. **Harvey 2002; Harvey, Matt & Milord 2002; Jackson 2002; Kamoche 2002; Kamoche, Debrah, Hortwiz&Muuka 2004; Kraak 2005**
6. **https://trainingindustry.com/- The leading information portal in the training industry**

# რატომ არის ჰიბრიდული სწავლების მოდელი ახალი რეალობა

**თამარ კანაშვილი**
*სტუ, დოქტორანტი*

**სოფიო ბერიძე**
*თსუ, მაგისტრანტი*

**ნათია ყუფარაძე**
*თსუ -ს კურსდამთავრებული*

რ ე ზ ი უ მ ე

გლობალიზაციის დღევანდელ პირობებში, შესაძლოა, ჩვენ ვართ ტექნოლოგიური რევოლუციის მომსწრენი, რადგან პანდემიით შექმნილმა პირობებმა, მსოფლიოში დააჩქარა ინოვაციურ-ტრანსფორმაციული გამოცდილება ორგანიზაციულ, ბიზნეს- და ტრენინგინდუსტრიის დონეზე. მომავალი, რომელიც კომპლექსურია, რთულია პროგნოზირებისთვის და მოიაზრებს როგორც დაუყოვნებლივ ტექნოლოგიურ ცვლილებებს, ტრენინგებს, გადამზადებას, სწავლებას, ასევე, ახლიდან სწავლებასაც.

2020 წელს ტრენინგინდუსტრიაში ჰიბრიდული მოდელის წლადაც მოიხსენიებენ, როდესაც გლობალურად იწყება ახალ რეალობაზე გადაწყობა ტრადიციული სწავლებიდან, რომელიც მოიაზრებს საკლასო ოთახებში გაკვეთილების ჩატარებას, აუდიტორიაში ლექციებს, პირისპირ ტრენინგებს. წარმოიშვა ონლაინშერეული, ჰიბრიდული მოდელის შემოტანის საჭიროება, რომელიც შეამცირებს Covid-19-ის გავრცელების რისკს და თავის ადგილს დაიკავებს ახალი მომავლის ფორმირებაში.

გლობალიზაცია განვითარებადი ქვეყნებისგან მოითხოვს ადამიანური კაპიტალის განვითარებას. ქვეყანაში ადამიანური რესურსის განვითარება ეხმარება უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. განვითარებად ქვეყნებს სჭირდებათ სწრაფი გადამზადება და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც გლობალურად მოთხოვნადია ბიზნესინდუსტრიაში. ადამიანური განვითარების ფაქტორი შეიძლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყოს საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის. დღევანდელ პირობებში აღნიშნულის მიღწევა გლობალურად, ჰიბრიდული მოდელის საშუალებით განიხილება.

მიუხედავად იმისა, რომ უნარ-ჩვევების განვითარება მნიშვნელოვანი და შესაძლოა გადამწყვეტი ფაქტორიც იყოს განვითარებადი ქვეყნებისთვის, ამავდროულად, ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ ამისათვის ქვეყნებმა.

ეროვნულ დონეზე, უნარების სწრაფად გაზრდისთვის, ექსპერტები ხაზგასმით მიუთითებენ განათლებაში, კერძოდ, ჰიბრიდულ მოდელში, ინვესტიციების მნიშვნელობაზე. აღსანიშნავია, რომ ამაში არ მოიაზრება მხოლოდ ფორმალური განათლება, არამედ ასევე აქცენტი კეთდება სწორედ პროფესიული სასწავლების განვითარებაზე და ტრენინგინდუტრიის მნიშვნელობაზე ქვეყანაში ყველა დონეზე, როგორც საჯარო სფეროში, ასევე კერძო ბიზნესსექტორში.

ქვეყანაში ჰიბრიდული მოდელის განვითარება მოითხოვს საერთო ძალისხმევას და მრავალი ინსტიტუტის ჩართვის პოლიტიკის გატარებას, კერძოდ, საჯარო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობას და ერთობლივ ქმედებათა სერიას.

*საკვანძო სიტყვები: სწავლა და განვითარება, ტრენინგი, ჰიბრიდული სწავლების მოდელი, გლობალიზაცია, ტექნოლოგიური ცვლილებები.*

# შიდა ტურიზმის ეკონომიკური განვითარების თავისებურებები საქართველოში

**ნიკო კვარაცხელია**
***ისტორიის დოქტორი, პროფესორი***

**ნინო დამენია**
***ბიზნესის მართვის დოქტორი, პროფესორი***
***საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია***
***პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი***

*სტატიაში განხილულია საქართველოში შიდა ტურიზმის განვითარების სხვადასხვა ასპექტები: განვითარების დინამიკა, მოსახლეობის ადრეული ასაკიდან (საბავშვო ბაღი, სკოლა) შიდა ტურიზმში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობები, უცხოეთის მაგალითების საფუძველზე ტურიზმის, როგორც თავისუფალი დროის ეკონომიკის და პედაგოგიკის კუთხით შეფასების მცდელობა.*

*დაყენებულია საკითხი, რომ მხოლოდ მოწოდებებით შიდა ტურიზმით დაინტერესება არ არის საკმარისი. ამისთვის საჭიროა სათანადო ღონისძიებების დასახვა და მათი თანმიმდევრულად განხორციელება.*

*სტატიაში გაანალიზებულია სტატისტიკა და კვლევები შიდა ტურიზმში, საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, უცხოეთის ქვეყნების სტატისტიკური მიმოხილვა, შიდა ტურიზმის მოთხოვნა-მიწოდების დეტერმინანტები და სხვ.*

*აღნიშნულია, რომ გაცილებით მწირია ლიტერატურა საქართველოში თავისუფალი დროის შიდა ტურიზმის მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით, მწირია მონაცემები შიდა ტურიზმისთვის სპეცია-ლური ინფრასტრუქტურის გამოყენების საფუძველზე შექმნილი ტურისტული პროდუქტის შესახებ.*

*კვლევა ეფუძნება გერმანულენოვან ქვეყნებში შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით გატარებულ ღონისძიებების მიმოხილვას.*

*სტატიაში დასაბუთებულია, რომ კვლევის მიზანი არაა საქართველოში გერმანული მოდელის გადმოღება მაგრამ, ამასთანავე აუცილებელია განათლების ევროპული მოდელის გათვალისწინება, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ექსკურსიებს, ტურიზმს და მხარეთმცოდნეობას უჭირავს.*

*საკვანძო სიტყვები: შიდა ტურიზმი; ტურიზმის ეკონომიკა; თავისუფალი დრო და ტურიზმი.*

**შიდა ტურიზმის ეკონომიკა. ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს. ამ დარგის ეკონომიკური განვითარების შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის. საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) გამოკვლევების მიხედვით, ტურიზმი შედის მსოფლიო ქვეყნების 83%-ის მსხვილ საექსპორტო დარგთა ხუთეულში, ხოლო ქვეყნების 38%-ში პირველი ადგილი უჭირავს.**

**საქართველოში, ტურიზმი ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს და მის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნიული სამსახურის მონაცემებით 2019 წელს ტურიზმის წილი მშპ-ში 8,1%-ია. უკანასკნელ წლებში ტურიზმის განვითარების დინამიკა არსებითად შეიცვალა. ეს სფერო სწრაფი ტემპით ვითარდება. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ტურიზმის სექტორის ზრდის მიხედვით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა.**

**შიდა ტურიზმი აღნიშნული ინდუსტრიის მნიშვნელოვანი სფეროა. მას თან ახლავს სერიოზული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სარგებელი. მოსახლეობას სა-**

შუალება ეძლევა გაეცნოს თავისი ქვეყნის ისტორიას, ბუნებას, კულტურას. საკუთარ ქვეყანაში ხარჯავს თანხას, რაც ხელს უწყობს საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებას, რადგან მოსახლეობის მიერ საკუთარი სახსრების ხარჯვა მათსავე ქვეყანაში ამცირებს ქვეყნიდან გასული ვალუტის ოდენობას. შიდა ტურიზმის განვითარება ასევე ხელს უწყობს სამუშაო ადგილების ზრდას და ბიზნესის განვითარებას.

საქართველოს კანონში ტურიზმისა და კურორტების შესახებ შიდა ტურიზმი ასეა განმარტებული: „შიდა ტურიზმი – საქართველოში მცხოვრები ფიზიკური პირებისათვის გაწეული ტურისტული მომსახურება მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, ქვეყნის საზღვრებში“ [1].

2018 წელს შიდა ტურიზმის დანახარჯების წილმა მსოფლიოში ტურიზმის მთლიან გამოშვებაში 71.2% შეადგინა, ხოლო საერთაშორისო ტურიზმის ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 28.8% იყო [2].

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით 2019 წლის ჯამური ვიზიტების რაოდენობამ 14.3 მილიონი შეადგინა, რაც 8.4%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. 2019 წელს შიდა ვიზიტების 24.2% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, შემდეგ მოდის იმერეთი (17.5%) და აჭარა (13.9%). დასვენების მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს შორის ყველაზე ხშირად მონახულებადი რეგიონები იყო: მცხეთა-მთიანეთი (25.6%), აჭარა (23.5%,) სამცხე-ჯავახეთი (17.6%) და კახეთი (10.1%) (დიაგრამა 1).

**დიაგრამა 1**




შიდა ვიზიტორების უმრავლესობა წარმოადგენდნენ დაქირავებულ მომუშავეებს. შიდა ვიზიტების 30.6% სწორედ მათ მიერ განხორციელდა. შემდეგ მოდის თვითდასაქმებული (16.2%) და უმუშევარი (14.9%) კატეგორია (დიაგრამა 2) [3].

შიდა ტურიზმის სოციალური ასპექტები. ტრადიციული საშვებულებო დასვენება გერმანიაში ტრენდულია - ტურისტული ჩამოსვლები როგორც გერმანული მიწებიდან და ისე საზღვარგარეთიდან წლებია დინამიურად მატულობს. გერმანელთა დაახლოებით მეოთხედმა შარშან შვებულება გაატარა საკუთარ ქვეყანაში. სტატისტიკის ფედერალური ოფისის თანახმად, ბავარია ყველაზე პოპულარული დესტინაციაა შიდა ტურისტებისთვის. 2019 წელს ბავარიული რესტორნები და სასტუმროები დაახლოებით ოცდაათმა მილიონმა ვიზიტორმა მოინახულა.

**დიაგრამა 2**




მიუნხენის ოქტობერფესტი და ნეუშვანშტეინის ციხესიმაგრე ამ მიწის მთავარი ტურისტული მიმზიდველობაა, ხოლო ბავარიის მეფის ლუდვიგ II-ის ყოფილი რეზიდენცია ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მონახულებადი ღირსშესანიშნაობაა. სხვა პოპულარული ფედერალური მიწებია ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია, სადაც დაახლოებით 19 მილიონი ვიზიტორი ჩავიდა და ბადენ-ვიურტემბერგში კი დაახლოებით 18 მილიონი.

გერმანელი ექსპერტების შეფასებით რიგითი გერმანელები საკმაოდ სკეპტიკურად გრძნობენ თავს კოვიდ-19-ის მიზეზით საზღვარგარეთ დასვენების შეუძლებლობის გამო. სპეციალისტთა ვარაუდით თუ ეს ადამიანები გადაწყვიტენ თავიანთი შვებულება უცხოეთის ნაცვლად გერმანიაში გაატარონ, მაშინ 2020 წლის ტურიზმის დანაკარგები შეიძლება ოდნავ მაინც შემცირდეს. [4].

ტურიზმი - თავისუფალი დროის ეკონომიკა. არის თავისუფალი დრო თავისუფალი? გერმანელისთვის თავისუფალი დრო ხელშეუხებელი და წმინდაა. ეს არის დრო სპორტისა სა გაჯანსაღებისათვის. თავისუფალ დროს მან უნდა აკეთოს ზუსტად ის, რისი სურვილიც აქვს, ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე, მისთვის არ არსებობს შეზღუდვები ან გარე კონტროლი. ასეთი იდეალური წარმოდგენები ჯერ კიდევ არსებობს რეალობაში.

დასვენებამდე გერმანელთა უმეტესობა ბევრს აკეთებს ჰობის, ან მეგობრებისთვის. დასვენებისას ბევრი მათგანი ასევე პროდუქტიულია და აკეთებს იგივეს. ასეთივე განსხვავებები არსებობს ქალსა და მამაკაცს შორის. კვლევები აჩვენებს, რომ მნიშვნელოვნად მეტი ქალი (94% და 57%) კვლავ შინამეურნეობაზე და შესყიდვებზე (89% დან 70%). მეორეს მხრივ, მამაკაცები თავისუფალ დროს უფრო ხშირად უთმობენ კომპანიას (21% 13%), მეტს მუშაობენ სამსახურისთვის (15% -მდე 11%) და უფრო მეტად ზრუნავენ თვითგანვითარებაზე (23% დან 17%).

გერმანელი მოქალაქეების სურვილები დასვენებისთვის: ახალი განცდები, რეკრეაცია და დასვენება.

უფსკრული დასვენების სურვილებსა და ფაქტობრივ შედეგებს შორის ჯერ კიდევ დიდია. თუ შევადარებთ სურვილებს და ყველაზე გავრცელებულ დასასვენებელ საქმიანობას, ის ნათლად აჩვენებს, რომ დასვენება, რომელზეც გერმანელი ოცნებობდა, თითქმის არ შეესაბამება დასვენების სურვილებს. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ გერმანელებს თუ რა დასასვენებელი აქტივობა უფრო ხშირად მოსწონთ, ფიზიკური ვარჯიში,

სერფინგი, თუ მედია საშუალებების ისეთი ფორმები, როგორიცაა ტელევიზია, ინტერნეტი ან სხვა, აღმოჩნდა, რომ გერმანელებს სურთ მეტი სპონტანურობა, ექსკურსიები და რომ მეტი დრო ქონდეთ მეგობრებისთვის. მაგრამ ამასთანავე მათი მოთხოვნილება დასვენების უპირატესობის შესახებ აშკარად გამოხატულია. უმრავლესობას სურს უფრო მეტად იძინოს, ან უბრალოდ არაფერი აკეთოს.

რეინჰარდტი: "თავისუფალი დრო სულ უფრო და უფრო სტრესული ხდება. ზოგს ეშინია რაღაცის დაკარგვის, სამსახურთან თუ მეგობრებთან ურთიერთობის გაფუჭების, ზოგი წუხს საკუთარი მოთხოვნილებების ან სხვის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გამო. კიდევ ერთი თავსატეხია დასასვენებელი დროის ოპტიმიზაცია და მოკლე დროში უფრო მეტი შთაბეჭდილობის მიღების შესაძლებლობა. შედეგად, დასვენების, კმაყოფილების და სიამოვნების მიღების სანაცვლოდ, ვიღებთ სტრესს და უსიამოვნო განცდებს" [5].

ტურიზმი - თავისუფალი დროის პედაგოგიკა. დასასვენებელი განათლება, ანუ განათლება დასვენების პირობებში გაჩნდა, როგორც პედაგოგიკის დამოუკიდებელი ფორმა, რომელიც გვევლინება როგორც სოციალური მდგომარეობის იდენტიფიკატორი.რასე მაგალითად, შვედეთში 60-იანი წლების შუა პერიოდის პედაგოგები დაატრენინგეს დასვენების ლიდერებად და მათ დააკისრეს ბავშვთა და მოზარდთა თავისუფალი დროის შეიმუშავების საგანმანათლებლო პასუხისმგებლობა. ნარშტედტის (Nahrstedt) მიერ 1975 წელს გამოქვეყნებულ წიგნში "დასვენება შვედეთში" განხილულია განათლების პოლიტიკის როლი, მისი დაგეგმვა და კვლევა.

ევროპაში შვედეთი გამორჩეულია კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკით. აქ ყველაფერი კეთდება დასასვენებელი პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. გადაწყვეტილებები და პოლიტიკური ზომები მიიღება შვედეთის რაიხსტაგის (Reichstag), პარლამენტის მიერ.

თავისუფალი დროის ლიდერების ტრენინგი ტარდება ინტერდისციპლინარულ პრინციპებზე და ემყარება მეცნიერულ საფუძველს. მასწავლებლები და სტუდენტები იზიარებენ პასუხისმგებლობას ტრენინგზე. სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი სწავლის დაგეგმვაში და აქვთ შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ მუშაობის ფორმებზე.რ

ტრენინგი მოიცავს 80 კრედიტს, რომელიც იყოფა შემდეგნაირად;

10 კრედიტი- მულტიკულტურული საზოგადოება;

10 კრედიტი - ადამიანი შესაწავლის ობიექტი;

10 კრედიტი - პროფესიონალური სფერო;

10 კრედიტი - პროფესიის როლი ადამიანის ცხოვრებაში;

20 კრედიტი - ერთ-ერთი ოლქის, მხარის გაღრმავებული შესწავლა;

20 კრედიტი - ადგილობრივი საზოგადოების გაფართოებული შესწავლა.

შესასწავლი თემებია: დასვენება; მთები, როგორც საზაფხულო დასვენების ობიექტი; თავისუფალი დრო საზოგადოებაში; ვარჯიში დასასვენებელ ადგილებში; ადამიანის ბიოლოგია; საზოგადოების ცოდნა; სწავლება მაგალითით; გავიცნოთ ერთმანეთი; დასვენების კონცეფცია ფართო გაგებით; სამთო ლაშქრობის ტექნოლოგიის ტრენინგი - სოციალური ტრენინგი; დასასვენებელი პარკების პედაგოგიკა და მეთოდოლოგია; ფიზიოლოგია; ანატომია; ვარჯიშის თეორია; კვება; მუნიციპალური დასვენების პოლიტიკა [6].

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დებულება - „სახელმძღვანელო სკოლის ექსკურსიებისთვის“ მიღებულია 2005 წლის 4 ნოემბერს, ბოლო ცვლილება მასში შეტანილია 2007 წლის 2 ოქტომბერს (9211-51 406/30). ეს არის ერთერთი ყველაზე სრულყოფილი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება სამაგალითო იყოს იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ამ სფეროში მოწესრიგებული კანონმდებლობა. დებულება შედგება 16 მუხლისაგან: 1. ზოგადი ინფორმაცია; 2. სასკოლო ექსკურსიის ხანგრძლივობა; 3.სასკოლო ექსკურსიების დაგეგმვა და ჩატარება; 4.ხელმძღვანელობა და

ზედამხედველობა; 5.მონაწილეობა; 6.მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო ექსკურსიების დაგეგმვასა და მომზადებაში; 7. მშობელთა ჩართულობა; 8.სასკოლო ექსკურსიების დამტკიცება; 9.ხელშეკრულებები; 10.სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება; 11. ცურვა და ბანაობა; 12. ღონისძიებები სპორტული დატვირთვით; 13.პირველი დახმარება, უბედური შემთხვევები; 14. დაზღვევები ავარიისა და უბედური შემთხვევებისათვის; 15.პასუხისმგებლობა; 16.დებულების ძალაში შესვლა [5].

მხოლოდ ეს მოკლე ჩამონათვალიც კი საკმარისია იმის მტკიცებულებად, თუ როგორი გულისყურით და ზედმიწევნით გამართულად აქვთ შესწავლილი და შედგენილი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს (ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და კულტურის სამინისტროს) დებულება - „სახელმძღვანელო სკოლის ექსკურსიებისთვის", რომელიც სავალდებულოა ქვეყნის ყველა ტიპის სკოლებისათვის. ქვემოთ მოყვანილია მხოლოდ ნაწილი გერმანული დებულებებისა, რომლებიც მივიჩნიე სანიმუშოდ და სამაგალითოდ:

- სასწავლო მიზნებით ორგანიზებული საკლასო ექსკურსიები და მოგზაურობები- განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი ნაწილი სასკოლო განათლებისა და სწავლების პროცესისა, [აქაც და ქვემოთ ხაზი ჩემია ნ.კ.] მიუხედავად მოსწავლეთა გენდერული კუთვნილებისა და ფიზიკური მდგომარეობისა, ის უნდა პასუხობდეს ყველა მოსწავლის მზადყოფნას თანაარსებობაზე და ურთიერთგაგებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მზადყოფნა დახმარებისათვის, პასუხისმგებლობის გრძნობა და ტოლერანტობა. ექკურსიამ უნდა გამოუმუშაოს მოსწავლეს წარმოქმნილი კონფლიქტების გადაჭრის უნარი, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სოციალურ თანაარსებობას. სკოლის გარეთ სწავლის ადგილების დათვალიერებამ საშუალებას მისცეს მათ ჰქონდეთ საკუთარი ხედვა საექსკურსიო ობიექტებზე.
- გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სასკოლო ექსკურსიის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს მაქსიმუმ ერთი სასწავლო დღის ოდენობით. ხოლო სასკოლო მოგზაურობები დაწყებითი კლასებისათვის კლასები უნდა იყოს მაქსიმუმ სამი კალენდარული დღე, მაღალი კლასებისათვის კი მოგზაურიბა შესაძლებელია განხორციელდეს მაქსიმუმ 5 კალენდარული დღის განმავლობაში.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ან საორგანიზაციო მიზეზების გამო სპორტზე ფოკუსირებული მოგზაურობები. მათი ორგანიზება შესაძლებელია მშობლებთან შეთანხმებით, როგორც ერთდღიანი, ასევე ხანგრძლივი მგზავრობით.
- სასკოლო ექსკურსიების დიდი ნაწილი რა თქმა უნდა ტარდება გერმანიაში. გარდა გამართლებული გამონაკლის შემთხვევებისა. საზღვარგარეთ გასვლა შესაძლებელია მაშინ, თუ კლასი მიემგზავრება პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, მეზობელ რეგიონებს შორის თანამშრომლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, სპეციალურ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად, ან, მაგალითად სათხილამურო სასწავლო კურსის გავლის მიზნით. თუმცა აქაც დადგენილია მაქსიმუმი - 10 კალენდარული დღე.
- სკოლები სკოლამდელი ექსკურსიების ჩატარების პრინციპებს თვითონ ადგენენ (სასკოლო ექსკურსიების კონცეფცია). § 40, მუხლი 6-ით დადგენილი წესების მიხედვით.
- ყველა სასკოლო ექსკურსიის ჩატარებისას განუხრელად უნდა დაცულ იქნას ეს პრინციპები.
- სკოლამ ექსკურსიები უნდა დაგეგმოს და განახორციელოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.
- შესაძლებელია ფინანსური მხარდაჭერაც სახელმწიფოს მხრიდან ამის აუცილებლობის დასაბუთების შემთხვევაში.

• გადამზიდველის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

• კვირაობით, ან რელიგიური დღესასწაულების დღეებში მოგზაურობისას, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ რელიგიურ დღესასწაულებში.

• სასკოლო მოგზაურობის მართვა და მასზე ზედამხედველობა უნდა დაეკისროს სკოლის მასწავლებელს. პასუხისმგებელ თანამშრომელს, ან დირექტორს შეუძლია შეცვალოს მასწავლებელი იმ შემთხვევაში, თუ მას არ შეუძლია ექსკურსიაზე მოსწავლეების თანხლება. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანებით დაკისრებული პირი ვალდებულია წერილობით აცნობოს თანხმობა.

• ავარიების თავიდან ასაცილებლად კარგი შედეგი მოაქვს აქტიურ, უწყვეტ ზედამხედველობას. საფრთხე იზრდება, როცა ექსკურსიები ატარებენ სპორტული ღონისძიების ხასიათს. როგორიცაა მაგალითად ველოტურები, საცურაო შეჯიბრებები, ზამთრის სპორტული ღონისძიებები, ლაშქრობებები. ასეთ შემთხვევებში ზედამხედველობა გაძლიერებულ უნდა იქნას და რაც მთავარია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზედამხედველთა კვალიფიკაციას.

• პედაგოგები და სხვა თანმხლები პერსონალი იმავე სახლებში უნდა იყვნენ განთავსებულნი, სადაც მოსწავლეები რჩებიან ღამისთევით.

• მშობელთა მონაწილეობა, როგორც წესი, წინასწარ, მოგზაურობამდე რამდენიმე დღით ადრე ეწყობა მშობელთა შეხვედრა, რომელზეც განიხილავენ დაგეგმილი სასკოლო ღონისძიების გეგმას და მოსალოდნელ ხარჯებს. კლასის მშობელთა შეხვედრაზე წყდება ყველა საჭირბოროტო საკითხი.

• მშობელთა თანხმობა მრავალდღიან ექსკურსიაზე მოსწავლის მონაწილეობის შესახებ უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებამდე და ექსკურსიაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. სავარაუდო ხარჯების შესახებ თანხმობას წერილობით ადასტურებენ შესაბამისი განცხადებით.

• მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კონტრაქტების გაფორმება სატრანსპორტო კომპანიებთან და საცხოვრებელ დაწესებულებებთან.

• ავარიებისა და უბედური შემთხვევისას ექსკურსიაზე მონაწილეებმა უნდა მიიღონ პირველადი სამედიცინო დახმარება. ამასთანავე პედაგოგებმა და რაც შეიძლება ბევრმა მოსწავლემ უნდა გაიაროს სპეციალური თეორიული და პრაქტიკული მომზადება.

• დაზღვევა უბედური შემთხვევისა და ავარიის შემთხვევაში: ექსკურსიაზე მყოფი თითოეული პირი დაზღვეულ უნდა იქნას სადაზღვევო კომპანიის მიერ და მათ თან უნდა იქონიონ სადაზღვევო პოლისი.

• საზღვარგარეთ მოგზაურობისას ასევე უზრუნველყოფილ უნდა იქნას ჯანმრთელობის

დაზღვევა შესაბამისი პირობებით.3 [3] 3 http://cms.ukrlp.de/_media/wanderer-lass05.pdf

ეს მოკლე ამონარიდი ნათლად ადასტურებს, რომ პასუხისმგებლობა სასკოლო ექსკურსიის ორგანიზებაზე ენიჭება სკოლას, რომელიც მოქმედებს ზემდგომი ორგანოს, ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და კულტურის სამინისტროს დებულების შესაბამისად! ამ წესის შესაბამისად სასკოლო ექსკურსიების ორგანიზებისას ბევრად მცირდება რისკი და ექსკურსიის ორგანიზატორის მხრიდან თვითნებური ინტერპრეტაციის განხორციელების შესაძლებლობა.

"DJH" – Deutsche Jugendherberge (გერმანიის ახალგაზრდული ჰოსტელები) – არის ახალგაზრდული ჰოსტელი. თუმცა თარგმანი სრულყოფილად არ გადმოსცემს მის შინაარს. სინამდვილეში ეს არის გერმანულენოვან ქვეყნებში და დასახლებებში (გერმანია,

ავსტრია, შვეიცარია, სამხრეთ ტიროლი) გავრცელებული ინდივიდუალური და ჯგუფური მოგზაურებისთვის განთავსების სპეციალიზირებული იაფი საშუალება, სადაც ნომრებთან ერთად გათვალისწინებულია საკლასო ოთახები თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად. მას, როგორც წესი, ასევე აქვს სხვადასხვა ხანგრძლივობის ქვეითი და სატრანსპორტო ტურები შემოგარენში ძირითადი ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

რა უპირატესობები გააჩნია DJH სისტემას ჩვეულებრივი ჰოსტელისგან განსხვავებით? პირველ რიგში იგი გამოირჩევა ხელმისაწვდომი ფასებით, სპეციალურად დამუშავებული სამოგზაურო პროგრამებით, დამატებით აღჭურვილი საკლასო ოთახებით მეცადინეობებისა და შეხვედრების ჩასატარებლად. როგორც წესი, ამ ქსელის სასტუმროთა უმრავლესობა განთავსებულია ისტორიული მნიშვნელობის მქონე სასახლეებსა და ციხესიმაგრეებში, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის იქ ცხოვრებას. მაგრამ დიდ ქალაქებში, სადაც ეს შესაძლებელი არ არის - ჰოსტელები თანამედროვე შენობებშია განთავსებული. ჰოსტელში ცხოვრების პირობები და შეთავაზებული პროგრამები ტიპურია გერმანული ახალგაზრდული ჰოსტელებისათვის, რომლის ერთერთი მაგალითია მონშაუს ციხე-სიმაგრე. აქ ახალგაზრდები თავს გრძნობენ შუასაუკუნეების გარემოში რაინდებისა ჰერცოგების გარემოცვაში. აქედან ახალგაზრდებს შეუძლიათ დატკბნენ უნიკალური პანორამული ხედით - ქალაქის ულამაზესი სახურავებით. ისტორიულ ქალაქ მონშაუს დაუვიწყარს ქმნის ძველი ქალაქი თავისი მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით და პატარა რურზე გადასასვლელი ხიდებით. ახალგაზრდებს ელოდებათ ექსკურსიები ძველ ქალაქში, ღია ცის ქვეშ მუზეუმში, კომერნში, აახენამდე, ან ბელგიამდე. ეგრეთწოდებულ ირმის სახლში არის 5 ოჯახური ბინა - რუდუნებით და სიყვარულით მორთული. საოჯახო მეგობრული დაწესებულება სტუმრებს სთავაზობს მყუდროებას და კომფორტს. აღჭურვილობა არის უბრალო და ქმნის თბილ ატმოსფეროს, ავეჯი არის ნათელი და ფუნქციონალური. სულ ჰოსტელში 20 ოთახია 103 საწოლით.

კვება ჰოსტელში ხორციელდება შვედური მაგიდის პრინციპით და სრულად აკმაყოფილებს ახალგაზრდა სტუმრების სურვილებს. არის შესაძლებლობა დააკმაყოფილონ ვეგეტარიანელთა და მორწმუნეთა კვების სპეციალური მოთხოვნები, აგრეთვე შეუკვეთონ რაინდთა კვება, ან მწვადი. საღამოს ასევე შესაძლებელია მოეწყოს კონცერტი ახალგაზრდული საერთო საცხოვრებლის გუნდის შესრულებით. ექსკურსიებისთვის მოსახერხებელია განსაკუთრებით გემრიელი შეფუთული სადილების შეკვეთა.

თამაშები და დასვენება. შესაძლებელია შუა საუკუნეების ისტორიის განცდა: ამისთვის გამოიყენება ციხის ეზოები სხვადასხვა დონეზე, კოშკები, მიწისქვეშა სარდაფები და ბრძოლების იმიტაცია. ახალგაზრდული ჰოსტელი სთავაზობს სტუმრებს მრავალფეროვან დასასვენებელ აქტივობებს - სპორტული, მუსიკალური, კულინარიული და სხვა.

ღირსშესანიშნაობები. ისტორიული ქალაქი მონშაუ ულამაზესია თავისი შუასაუკუნეების პეიზაჟებით, ვიწრო ქუჩებითა და მშვენიერი ნახევარწრიული სახლებით, უზარმაზარი ციხე-სიმაგრე შთამბეჭდავად ადგას თავზე. ულამაზეს ქალაქს და ახსენებს მის 800 წლიან ისტორიას. სპეციალური შეთავაზებები:

- "შუასაუკუნეების მარგალიტი: ქალაქი მონშაუ" (3 წთ. ფეხით, 300 მ)
- ”დიდი ბურჟუაზიული საცხოვრებელი კულტურა:” წითელი სახლი, მუზეუმი (10 წთ. ფეხით, 500 მ)
- "ვენ ბადი - Venn Bad" (10 წთ. ფეხით, 700 მ)
- "ნამდვილი სიმწარე: მდოგვის ისტორიული წისქვილი (20 წთ. ფეხით, 1.5 კმ)
- "გიგანტური მთა: რორენის საზაფხულო საციგურაო ტრასა (90 წთ. ფეხით, 7 კმ)
- "ბუნების სურვილები: Hohes Venn Mützenich (15 წთ. საზოგადოებრივი ტრანსპორტით)
- ბელგიელი მეზობლები: ბუნების ისტორიის მუზეუმი „ჰაუს ტერნელი“ (20 წუთი ავტობუსით)

- "აემგზავრეთ ზღვაზე: რურსი" (20 წუთი ავტობუსით)

საკონფერენციო და სემინარული მომსახურება. კონფერენციისა და სემინარის დაკვეთის შემთხვევაში, DJH-ის საკონტრაქტო მომსახურება სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს სემინარების დარბაზების უზრუნველყოფას, საკონფერენციო სივრცის მოწყობას, მიწოდების ხანგრძლივობასა და აღჭურვილობას, მათ შორის, წინასწარ შეთანხმებულ ტექნიკურ ან სხვა მოწყობილობებს: მაგ. კალმები, მარკერი, ქაღალდი, ხმის გამაძლიერებელი სისტემა, მულტიმედია პროექტორი, ეკრანი, სკამების და მაგიდების სპეციფიური განლაგების უზრუნველყოფა და სხვა სერვისები [7].

სანიმუშო პროგრამა მეშვიდე და შემდგომი კლასის მოსწავლეებისათვის რაინ-ვესტფალიის მიწაზე. აქ შესაძლებელია მრავალფეროვანი ბუნების აღმოჩენა და დაცული ტერიტორიები ტრადიციები: იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები, ქალაქების ინდუსტრიული კულტურა, რომაული ისტორია და საერთაშორისო შეხვედრების ადგილები. ამ მიწაზე 34 ახალგაზრდული ჰოსტელია. უნიკალური სასტუმრო ქსელი არსებობს უკვე 110 წელია. ეს არის ახალგაზრდული ტურიზმის მრავალწლოვანი ტრადიცია, რაც თავისთავში გულისხმობს საზოგადოების დაუვიწყარ გამოცდილებას, რომელსაც საფუძვლად უდევს ტოლერანტობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება. სათავგადასავლო სახალისო მოგზაურობა გულისხმობს ლაშქრობებს,, კლდეზე ასვლას, ან სხვა თავგადასავალს. მოსწავლეები სწავლობენ ბუნებაში მოგზაურობის გამოცდილება, ამსათანავე მოგზაურობენ დროში, ან გუნდურ პროექტებში.

სასკოლო მოგზაურობის ყველა პროგრამა აკმაყოფილებს NRW (ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის) სკოლის კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარანტიაა აკრედიტებული სამოგზაურო პროგრამები: "დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმის მხარდაჭერა", "STEM-ის მხარდაჭერა" და "კლასი [CLASS] - უკეთ ისწავლეთ გუნდში!" არსებობს სამოგზაურო პროგრამების კიდევ მრავალი ვარიანტი. Rhineland– ის ახალგაზრდული ჰოსტელები მოსწავლეებს სთავაზობენ სერტიფიცირებულ პროგრამებს, პროგრამის პარტნიორები აკმაყოფილებდეს ტექნიკურ და საგანმანათლებლო მოთხოვნებს. სასკოლო მოგზაურობისთვის ახალგაზრდული ჰოსტელები თავაზობენ მრავალფეროვან ვარიანტს, სასკოლო მოგზაურობისთვის. სასტუმრო მომსახურებას კვებით. მოგზაურობის უსაფრთხოების სერტიფიკატი გააჩნია ყველა კლასის მოგზაურობას, ბუნებრივია, იგი შეიცავს მოგზაურობის დაზღვევის მოწმობასაც [8].

ამრიგად, იმ ქვეყნებში, სადაც შიდა ტურიზმი შესამჩნევად აქტიურია, არსებობს მრავალწლიანი ტრადიცია და სახელმწიფოს მიერ შექმნილი პირობები მოსახლეობის შიდა ტურიზმით დაინტერესებისათვის:

- მოსახლეობის ჩართვა შიდა ტურიზმში ადრეული ასაკიდან: საბავშვო ბაღებსა და სკოლებში სასკოლო ექსკურსიების სავალდებულო-სასწავლო კომპონენტად აღიარება;
- სპეციალური ინფრასტრუქტის შექმნა: გერმანულენოვან ქვეყნებში სკოლის ასაკის ბავშვების მოგზაურობისათვის არსებობს ე.წ. ახალგაზრდული ტურბაზა - Jugendherberge, რომელიც გარდა იმისა, რომ ძალიან იაფია, ამასთანავე აღჭურვილია საკლასო ოთახებით და სკოლის ინვენტარით სასწავლო ექსკურსიების დროს სათანადო მეცადინეობის ჩასატარებლად;
- ზოგადად ტურიზმის და კერძოდ, შიდა ტურიზმის გააზრება, როგორც თავისუფალი დროის ეკონომიკის, ისე თავისუფალი დროის პედაგოგიკის კონტექსტში. აქ მნიშვნელოვანია, თუ თავისუფალი დროის რა ნაწილი ეთმობა ტურიზმს და რა როლს ასრულებს ოჯახი და სკოლა სამოგზაურო მოტივაციების შექმნასა და ტრადიციად ჩამოყალიბებაში.

**ლიტერატურა:**

1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370?publication=11
2. World Travel &Tourism Council (2019):"The Economic Impact of Travel & Tourism 2019"
3. შიდა მოგზაურობა საქართველოში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2019;
4. https://de.statista.com/infografik/22041/ankuenfte-von-inlandstouristen-in-beherbergungsbetrieben
5. www.stiftungfuerzukunftsfragen.de
6. https://duepublico2.uni-due.de/servlets/MCRFileNodeServlet/duepublico_derivate_00026533/1995_2_3_Graessler_Holz_FZPSchweden.pdf
7. https://www.djh-rheinland.de/docs/monschau/hausprospekt_monschau-burg.pdf
8. https://www.djh-rheinland.de/docs/kataloge/klasseaktiv2021.pdf

# The economic features of the development of domestic tourism in Georgia

**Niko Kvaratskhelia**
*Professor at Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia*

**Nino Damenia**
*Professor at Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia*

S u m m a r y

**The article discusses the study deals with the vast aspects of the development of domestic tourism in Georgia: Particularly, the dynamics of the development, the opportunities for the population to be actively involved in domestic tourism from the early stages (kindergarten and school ages), and the attempt to assess tourism as a leisure activity viewed from economic and pedagogical angles, based on foreign examples. Brought forward in the article is the idea that raising interest in domestic tourism by calls only is not enough. For this, proper measures have to be taken and they should be executed consistently.**

**The article analysed the statistical review of Georgian tourism; the statistical review of foreign countries, the demand-supply determinants of domestic tourism, etc.**

**It is mentioned that, there is much scarcer literature on the use of leisure time for domestic tourism in Georgia, There is also scarce data on tourism products created on the basis of the use of special infrastructure for domestic tourism.**

**Our study is based on an overview of measures taken to promote domestic tourism in German-speaking countries.**

**It is substantiated that the purpose of the study is not to prove the necessity of adopting the German model in Georgia. But, at the same time, it is necessary to take into account the European model of education, in which, tourism and local studies occupy an important place**

***Keywords: Domestic tourism; Tourism economy; Free time and Domestic tourism.***

# ბიზნესი როგორც ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი, რეგულირების საფუძვლები და მისი კლასიფიკაცია

**ელგუჯა კონჯარია**
***ეკონომიკის დოქტორი***
***შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გაენათის“***
***ასოცირებული პროფესორი***

*თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც გლობალიზაციას უფრო მეტად განიცდის, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობა და მისი განვითარება.*

*მცირე და საშუალო ბიზნესი თანამედროვე ეტაპზე გვევლინება ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სფეროდ ეკონომიკის სტიმულირებისთვის, ბიზნესის მხარდაჭერა და მისი სრულყოფა უნდა იყოს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, რადგან სწორედ ბიზნესის განვითარების შედეგად ვითარდება ქვეყანა, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური კუთხით.*

*მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენ ქვეყნისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებისთვის, იგი უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, ხელს უწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, ამცირებს სიღარიბეს, ქმნის გარემოს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისთვის.*

*საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, მეწარმეობა, ეკონომიკა, სტრატეგია, ინოვაცია.*

**სიტყვა ბიზნესის განმარტება „მეწარმეობის“ იდენტურია. ეს არის ინიციატივიანი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საკუთარი ან ნასესხები სახსრების გაწევით ხორციელდება მთავარი მიზნის - მოგების მისაღებად.**

**პროფესორ ო. ქეშელაშვილის მიხედვით, „ბიზნესი არის ცოდნისა და კომერციული საქმიანობის კონკრეტული საქმიანობის მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია პიროვნების მიერ საქონლის გამოშვებაზე, რომელსაც აქვს მომხმარებლისთვის სასარგებლო თვისებები, აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს და ეს ყველაფერი მოგების მიღებას უკავშირდება. [1. გვ.201 ].**

**„ბიზნესი არის საქმიანობა, რომელიც მიმართულია გარკვეული სამომხმარებლო თვისებების მქონე საქონლის წარმოებასა და რეალიზაციაზე მოგების მიღების მიზნით.**

**ბიზნესი უკავშირდება ორ ძირითად სტიმულს და მოტივაციას: ადამიანის თავისუფლებასა და დამოუკიდებელ საქმიანობას და მოგების მიღებას. ბიზნესი წარმოების, ორგანიზაციის, მართვისა და ანალიზის ახალი საფეხურია, წარმოების ორგანიზაციის უახლესი სტადიაა, რომელიც დაკავშირებულია კერძო საკუთრების არსებობასთან, ხორციელდება კონკურენციის პირობებში და დაკავშირებულია რისკთან [2. გვ.14 ].**

**„ბიზნესი არის სამეურნეო საქმიანობა, რომლის შედეგად დოვლათი ან მისი ნაწილი იწარმოება არა საკუთარი მოხმარებისთვის, არამედ გასაცვლელად და ამ გზით რაიმე სარგებლის მიღებისთვის. უფრო მოკლედ, ბიზნესი ფართო გაგებით არის საქონელწარმოება“ [3 გვ.19]**

**„ბიზნესი არის ინდივიდის, ან ინდივიდთა ჯგუფის ან სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ინდივიდუალური ან ჯგუფური სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, რომელიც ეფუძნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების მრავალგვარობას, ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, უზრუნველყოფს მრავალფეროვან პროდუქციაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ცალკეული ინდივიდის, ინდივიდთა ჯგუფის ან სახელმწიფოსთვის მოგების მიღების წყაროს წარმოადგენს.“ [4 გვ. 23]**

„ბიზნესი არის დამოუკიდებელი, საკუთარი რისკით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების სისტემატიურ მიღებაზე ქონების გამოყენების, საქონლის გაყიდვის სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის გზით იმ პირების მიერ, რომლებიც დარეგისტრირებული არიან დადგენილი წესის თანახმად. [ 5 გვ. 21]

ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ადამიანების მართვას მიიჩნევდნენ ყველაზე რთულ და ამაღლებულ ხელოვნებად. მართლაც დღეისათვის მეწარმისა და ბიზნესმენის პროფესია მეტად რთული საქმეა. ამ პროფესიას უწოდებენ კომპლექსურს, იმიტომ რომ, ის ადამიანისგან მოითხოვს მრავალი და განსხვავებული სიახლის შემუშავებასა და წინასწარხედვის უნარების ფლობას.

„ბიზნესის“ სამშობლოდ აღიარებულია ამერიკის შეერთებული შტატები. დღეისათვის ამ ტერმინმა მთელი მსოფლიო მოიცვა და ჩვენი აზრით, უამრავ მონათესავე ტერმინთა მნიშვნელობა შეითავსა; ის არის პროფესია, საქმე, მეწარმეობა, გარიგება, საქმიანი წრეები, საქმიანი ცხოვრება, უბრალოდ შემოსავლის წყარო და ა. შ.

ბიზნესი მყარი გარანტიაა იმისა, რომ მისი მფლობელისთვის, დასაქმებულისთვის, მთელი საზოგადოების არსებობისთვის შექმნას ღირსეული ცხოვრების პირობები.

ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის არსებით და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. „ბიზნესი და ეკონომიკა“ ურთიერთდაკავშირებული ცნებებია.

„ეკონომიკა“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „ბიზნესი“, ის მოიცავს მიკრო, მაკრო, მეზო და მეგაეკონომიკურ დონეებს, მოთხოვნა-მიწოდების მიკროეკონომიკურ, ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მაკროეკონომიკურ კონცეფციებს. „ბიზნესი“ არის ეკონომიკურ ურთიერთობათა უფრო კონკრეტული ფორმა, რომელიც ვითარდება განსაზღვრულ სუბიექტებს შორის, ინდივიდუალური და ჯგუფური კონკურენციის საფუძველზე.

ბიზნესს გააჩნია სტრატეგია და ტაქტიკა. ბიზნესის სტრატეგია მდგომარეობს მოგების მაქსიმალიზაციაში, მისი ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვის გზით. ტაქტიკური მიზანია, სტრატეგიული მიმართულების რეალიზაცია თითოეულ კონტრაგენტთა მიმართებაში, კონკრეტული ხერხების და მეთოდების გამოყენებით.

ტერმინი „მცირე მეწარმეობა“ ფართოდ დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში. მეწარმეობა გულისხმობს ბიზნესის ფორმას, რომელიც გვევლინება ეკონომიკურად განკერძოებულ სუბიექტთა სახით წარმოდგენილი საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურაწარმოქმნილ ფაქტორად, რომელიც აყალიბებს სტრუქტურას, წარმოებასა და გაყიდვების მოცულობას, საქონელსა და მომსახურებაზე სამომხმარებლო მოთხოვნის ზემოქმედებით, რომლის საბოლოო მიზანსაც მოგებისთვის, როგორც გაწეული რისკისთვის, ჯილდოს მიღებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინები „ბიზნესი“ და „მეწარმეობა“ შინაარსობრივად ერთმანეთთან ახლოსაა. ამასთან, ცნება „ბიზნესი“ გაცილებით ფართოა, ვიდრე „მეწარმეობა“. ბიზნესის ამოსავალი წერტილია მეწარმეობა. დღეისთვის ძალზე რთულია და თითქმის არც არსებობს მეწარმეობის აღიარებული განსაზღვრება. ზოგადად კი მეწარმეობა არის რაღაც ახლის შექმნის პროცესი, რომელსაც აქვს ღირებულება, ხოლო მეწარმე კი არის ადამიანი, რომელიც ამისთვის ხარჯავს დროს და ენერგიას, კისრულობს ფინანსურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ რისკს, ჯილდოს იღებს ფულის სახით და მიღწეულით კმაყოფილდება. მეწარმე არის შემოქმედი, მნგრეველი, რომელიც ამსხვრევს ძველ წესებს, მაგრამ, იმავდროულად, ქმნის ახალს.

ბიზნესი მიჩნეულია ისეთ მოვლენად, რომელიც მკვეთრად არის დამახასიათებელი საბაზრო ეკონომიკისთვის. ბიზნესი იწყება პირველყოფილი თემური წყობილებით და თანდათან ვითარდება.

კაცობრიობის ისტორია წარმოუდგენელია წარმოებისა და მომსახურების გარეშე. ბიზნესი საზოგადოების არსებობის საფუძველია. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ

ბიზნესი უზრუნველყოფს საზოგადოებას კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, ბინით, სამედიცინო მომსახურებით, ტრანსპორტით, ასევე საქონლითა და მომსახურებით. ამით თითოეული ჩვენგანის ჩვეული ცხოვრება უმჯობესდება.

ბიზნესის ცნების მრავალფეროვნებასა და მისი არაერთგვაროვანი განმარტებების სიმრავლეს განაპირობებს თვით ბიზნესის არაერთგვაროვნება სიდიდისა და პარამეტრების მიხედვით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში განიხილება ბიზნესის სამი ძირითადი ზომა: მცირე, საშუალო და მსხვილი. ბიზნესის მოცემულ ფორმათაგან მცირე ბიზნესი თავისი მოცულობით ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს სექტორს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნეს-სისტემის, ისე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი პირველწყაროა.

მცირე ბიზნესი, როგორც ტერმინი, წარმოდგება არა იქიდან, რომ მცირე ბიზნესი ერთობლიობაში პროდუქციის მცირე რაოდენობას ქმნის, არამედ იქიდან, რომ მის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მცირე საწარმო. მცირე ბიზნესი თითქმის ყველა უძველეს კულტურაში ყვაოდა. არაბები, ბაბილონელები, ეგვიპტელები, ებრაელები, ბერძნები, ფინიკიელები და რომაელები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამ საქმეში.

საბაზრო მექანიზმის სფეროში მცირე ბიზნესის როლი იმით ვლინდება, რომ იგი ახერხებს ბრძოლას მონოპოლიასთან, რასაც აღწევს ცვალებად საზოგადოებრივ მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობით.

მცირე ბიზნესის ამოცანაა ხელი შეუწყოს საქონლისა და მომსახურების სრულყოფილი ბაზრის ჩამოყალიბებას. იგი საბაზრო სისტემის პირველი წყაროა, რომელიც ფუნქციონირებს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მთლიანი ეროვნული პროდუქტის სტრუქტურას, დასაქმების ზრდას, საქონლისა და მომსახურების ახალი სახეების წარმოშობასა და მომხმარებლებისთვის მიწოდებას.

მცირე და საშუალო საწარმოები მოქნილნი არიან და სწრაფად ეგუებიან ბაზრის ახალ კონიუნქტურას. განასხვავებენ ბიზნესის კონცეფციის სამ მიმართულებას: პოზიტიური, კრიტიკული და პრაგმატული.

პოზიტიური - ბიზნესი გაგებულია, როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რომელსაც ეწევიან ადამიანები თავიანთი ინიციატივით და რომლის მიზანია საქონლისა და მომსახურების წარმოება სხვა ადამიანებისთვის.

კრიტიკული - კონცეფციის მთავარი ამოსავალი იდეოლოგია არის ის, რომ საბაზრო სტრუქტურების ურთიერთობებს გააჩნია ერთნაირი მიმართულება, რაც ნიშნავს ადამიანების ერთი ჯგუფის გამდიდრებას სხვების ხარჯზე, მისი დებულების თანახმად, ბიზნესი დამახასიათებელია მხოლოდ ეკონომიკისთვის.

პრაგმატული - კონცეფციის თანახმად, ბიზნესი არის საზოგადოებისთვის აუცილებელი ეკონომიკის განვითარებისთვის გარდაუვალი მოვლენა. საქართველოს კანონმდებლობით, არ განისაზღვრება „ბიზნესის" ცნება, ხოლო „მეწარმეობას" განმარტავს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ".

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო ბიზნესს და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მეწარმეობის ზრდას და განვითარებას. კერძო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალ მეწარმეობის, განვითარების მხარდაჭერა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაა - საქართველო 2020, აგრეთვე, სამთავრობო პროგრამები, „ძლიერი ეკონომიკა ერთიანი საქართველოსთვის."

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია შემუშავებულა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) აქტიური თანამ-

შრომლობითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) მხარდაჭერით.

მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არის მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრის ერთნაირი სტანდარტი. ერთადერთი, რაზეც ყველა მკვლევარი თანხმდება, ესაა მცირე საწარმოების წარმოების სიმყიფე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების არასრულყოფა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. მსოფლიოს მასშტაბით საწარმოს „მცირე საწარმოდ" მიკუთვნებისთვის ყველაზე ხშირად შემდეგ კრიტერიუმებს იყენებენ:

1. პერსონალის რაოდენობა;
2. ბრუნვის მოცულობა;
3. აქტივების სიდიდე;
4. საწესდებო კაპიტალის სიდიდე;
5. საკუთრების სტრუქტურა:

არსებობს საწარმოს სიდიდის განსაზღვრის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიდგომები. ორივე მიდგომა ემყარება სუბიექტურ მსჯელობასა და გამოცდილებას.

მცირე საწარმოების განსაზღვრის ხარიხსობრივი კრიტერიუმების სისტემები, პირველ ყოვლისა, თეორიული კვლევისთვის გამოიყენება. პრაქტიკაში ასევე გამოიყენება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიდგომების გაერთიანებით მიღებული კომბინირებული სისტემა.

კომბინირებული სისტემის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მცირე ფირმის განსაზღვრა წარმოდგენილი ბოლტონის (ინგლისი) კომიტეტის მოხსენებაში 1971 წ. ბიზნესის კრიტერიუმები და განსაზღვრებები წარმოდგენილია გაეროს ეკონომიკური კომისიის მიერ.

მცირე ბიზნესის კრიტერიუმები: ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა, აქციების ოდენობა და სხვა პარამეტრები.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად (ბელგია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი) მცირე საწარმოთა დაბეგვრისას გამოიყენება კორპორაციათა შემოსავალზე გადასახადების შემცირებული განაკვეთები.

სამეწარმეო ბიზნესი ისეთი ბიზნესია, რომლის საფუძველს წარმოადგენს წარმოება როგორც მატერიალური, ისე ინტელექტუალური, სულიერი წარმოების ჩათვლით. სამეწარმეო ბიზნესი განეკუთვნება ყველაზე რთულ, სერიოზულ, საზოგადოებრივად აუცილებელ და, ამავე დროს, ბიზნესის ძნელ სახეობას. ბევრი ადამიანის წარმოდგენით, ბიზნესი ასოცირდება ვაჭრობასა და არა წარმოებასთან, რაც დიდი შეცდომაა. ბიზნესი ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია წარმოებასთან. რომ არ იყოს საწარმოო ბიზნესი, სავაჭრო ბიზნესი დაკარგავდა მატერიალურ, ნივთობრივ საფუძველს და იქნებოდა მხოლოდ იმპორტული საქონლით ვაჭრობა.

სამეწარმეო ბიზნესი ყველაზე მეტად დაკავშირებულია საწარმოს შექმნის იურიდიულად გაფორმების აუცილებლობასთან. ფართო გაგებით, საწარმოო ბიზნესი არის ნებისმიერი სასარგებლო პროდუქტის შექმნა, რომელიც აუცილებელია მომხმარებლებისთვის და შეიძლება გაიყიდოს ფასით ან გაიცვალოს სხვა საქონელზე.

სავაჭრო ბიზნესი - სავაჭრო ბიზნესს უწოდებენ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ყიდვა - გაყიდვასთან, სასაქონლო-ფულად ოპერაციებთან. კომერცია სიტყვის ვიწრო გაგებით, ვაჭრობაა, ხოლო კომერსანტი ვაჭარი, ადამიანი, რომელიც ვაჭრობს, მაგრამ, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენთან ვაჭრობა პრაქტიკულად სახელმწიფოებრივი იყო, კომერსანტებს უწოდებდნენ კერძო ან იატაკქვეშა მოვაჭრეებს და კომერციას აიგივებდნენ სპეკულაციასთან.

სავაჭრო ბიზნესი მოიცავს ნებისმიერი სახისა და ტიპის საქონლის მოძიებას, შესყიდვას, ტრანსპორტირებას, მიტანას სავაჭრო წერტილში, გაყიდვას და გაყიდვის შემ-

**დგომ მომსახურებას. სავაჭრო ბიზნესი, როგორც ბიზნესის სახეობა, გულისხმობს, საქონლის უფრო მეტი ფასით გაყიდვის შესაძლებლობას შესყიდვის ფასთან შედარებით და ამ გზით მოგების მიღებას.**

**ოფიციალური სავაჭრო ბიზნესის კერებია: მაღაზიები, ბაზრები, ბირჟები, აუქციონები, ფარდულები.**

**საფინანსო ბიზნესი - გამოიყოფა ბიზნესის დამოუკიდებელ სახედ, რადგან ამ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის ფრიად სპეციფიკური საქონელია ფული, უცხოური ვალუტა, ფასიანი ქაღალდები. საფინანსო ბიზნესში მთავარია ოპერაციათა გაცილებით ფართო წრე, რომელიც მოიცავს ფულის, ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და სხვა სახეების გაყიდვასა და გაცვლის ყველა მრავალფეროვნებას ფულზე, უცხოურ ვალუტაზე, ფასიან ქაღალდებზე. საკრედიტო ფასიან ბიზნესს შეუძლია, მოგება მოუტანოს მოქალაქეს არანაკლები ოდენობით, ვიდრე სავაჭრო ბიზნესს, მაგრამ ბიზნესის მოცემული სახეობა უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს ბიზნესმენებს, ფულადი სახსრების გამყიდველებსა და მყიდველებს. საფინანსო ბიზნესის გამოცდილება საქართველოში ცხადყოფს მის მონაწილეთა მაღალ რისკს, რადგან ჯერ კიდევ ჩვენი მოქალაქეებისთვის ეს ბიზნესი ახალი და არაჩვეულებრივია.**

**სადაზღვევო ბიზნესი - ბიზნესთან უშუალო დამოკიდებულება აქვს ისეთ ფორმებს, როგორებიცაა ქონების დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა, ბიზნესს საქმე აქვს მსგავსი დაზღვევის მხოლოდ ნებაყოფლობით ფორმებთან. საქართველოში არსებობს სადაზღვევო ბაზარი, რომელზეც ყიდვა-გაყიდვის საგანია განსაკუთრებული მომსახურება სადაზღვევო დაცვის სახით.**

**ყველაზე ცნობილია დაზღვევის სამი სახე: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ქონების, პასუხისმგებლობის დაზღვევა. სიცოცხლის დაკარგვის ხელშეკრულებაში შეთანხმებული თანხა ეძლევა დაზღვეულის მემკვიდრეს. პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნებაში გაიგება დავალიანების დაზღვევა, ე.ი. მოვალეობის პასუხისმგებლობა.**

**ამრიგად, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებები, მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასტაბილურდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მყარი გარანტიები, ბუნებრივია, ქვეყნის დაბალანსებული ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების რეალური საფუძველი გახდება.**

ლიტერატურა:


1. ქეშელაშვილი ო, ბიზნესის ძირითადი პრობლემები, მოტივაციები და განვითარების ტენდენციები საქართველოში. საქართველო - ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბ., 1997. გვ. 201.
2. ერქომაიშვილი გ. „ბიზნესი - ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები“ თბ., 2007 გვ.14.
3. სამადაშვილი უ, „ბიზნესის საფუძვლები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., გვ.19.
4. შურღაია ო, „მცირე ბიზნესის საფუძვლები“ გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., გვ. 23.
5. მესხია ი, „ბიზნესის საფუძვლები“, თბ., გვ.21.

# Business as an inseparable part of Economics, principles and classification of its regulation.

**Elguja Konjaria**
***Doctor in Economics, Associate Professor***
***Ltd University "Gaenati"***

S u m m a r y

**In the modern world, which is experiencing more globalization the development of small and medium entrepreneurship is important. Small and medium business appears to be as one of the most perspective spheres at the modern stage.**

**One of the top priorities of state should be business support and its perfection, because the country is developing as a result of business development both economically and socially.**

**Small and medium-sized businesses are one of the most important factors for the development of the country and general economy. It provides job creation and promotes gross domestic product (GDP), reduces poverty, creates an environment of economic and political stability.**

***Key words: business, entrepreneurship, economic, strategy, innovation.***

# გადაზღვევის მნიშვნელობა ფინანსური სისტემის მდგრადობაში

**ილია კოჟორიძე**
*დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია გადაზღვევის არსი და მნიშვნელობა, მისი ფორმები. რამდენადაც გადაზღვევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკაში რისკების გადანაწილების და შემცირების პროცესში, ის გვევლინება, როგორც სადაზღვევო კომპანიების მზღვეველი, როდესაც გარკვეული ოდენობის რისკების ცედირებას ახდენენ გადამზღვეველებზე. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში გადაზღვევის ოპერაციებთან ერთად მზარდი ტემპებით ვითარდება კატასტროფის ობლიგაციები, რომლებიც წარმოადგენენ რისკების ტრანსფერის სახეობას. ტრადიციული გადაზღვევის ნაკლოვანებების აღმოფხვრის საქმეში, ასევე, დიდი დახმარების გაწევა შეუძლია სეკურიტიზაციას, რომელიც აპრობირებული მეთოდია განვითარებულ ქვეყნებში. გადაზღვევის ბაზრის განვითარების ტენდენციების შესაფასებლად სტატიაში გამოყენებულია პრემიების ცედირების კოეფიციენტი და ანაზღაურებულ ზარალებში გადამზღვეველის პროცენტული მაჩვენებელი. გადაზღვევა მარეგულირებელი თვალსაზრისით უფრო ნაკლებად ექვემდებარება მკაცრ წესებს, ვიდრე დაზღვევა, მაგრამ ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.*

*საკვანძო სიტყვები:* *გადაზღვევა, კატასტროფის ობლიგაცია, სეკურიტიზაცია, ცესია.*

**გადაზღვევა არის დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებისთვის. ის წარმოადგენს რისკების გარკვეული რაოდენობის ტრანსფერს ან „ცედირებას" დაზღვევის სხვადასხვა სახეობაში, რომლებსაც სადაზღვევო კომპანიები გადასცემენ გადამზღვეველებს. გადაზღვევა არის ძალიან რთული საერთაშორისო ბიზნესის ფორმა.**

**გადაზღვევის ბიზნესი თანდათანობით ვითარდება. ტრადიციულად გადაზღვევის ოპერაციები ხორციელდებოდა ორ სადაზღვევო სუბიექტს შორის: პირველადი მზღვეველი, რომელიც ახდენს სადაზღვევო პოლისების რეალიზაციას და გადამზღვეველი. პირველად მზღვეველებს და გადამზღვეველებს შეუძლიათ სადაზღვევო პრემიების და ზარალების განაწილება, ასევე, შესაძლოა გადამზღვეველმა მიიჩნიოს, რომ უნდა მოხდეს პირველადი მზღვეველების ზარალების ანაზღაურების ლიმიტირება.**

**დღეს სხვადასხვა სახეობის რისკები, განსაკუთრებით, ბუნებრივი კატასტროფების რისკები იყიდება პირველად მზღვეველებისა და გადამზღვეველების მიერ ინსტიტუციურ მზღვეველებზე კატასტროფის ობლიგაციების ან ალტერნატიული რისკების გამანაწილებელი მექანიზმების საშუალებით. იზრდება ტენდენცია, როდესაც ახალი პროდუქტები გავლენას ახდენს გადამზღვეველებისა და საინვესტიციო ბანკების თანდათანობით შერევაზე. [7]**

**საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ გადაზღვევას განმარტავს, როგორც ოპერაციას, რომლის დროსაც მზღვეველი, გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული ასეთი ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით, ახორციელებს სადაზღვევო რისკის და მასთან დაკავშირებული ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველი კომპანიისთვის.**

**გადაზღვევა, ფორმის მიხედვით, შეიძლება იყოს ფაკულტატური, ობლიგატორული და შერეული. ფაკულტატური გადაზღვევა გულისხმობს რისკის მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას. მზღვეველი იღებს რისკს და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გადამზღვეველი იღებს გადაწყვეტილებას რისკის მიღების თაობაზე. ობლიგატორული**

გადაზღვევის დროს მზღვეველი ვალდებულია, გადასცეს ვალდებულებების ნაწილი, ხოლო გადამზღვეველი ვალდებულია, მიიღოს ყოველი ცესია. ამ დროს პირობები წინასწარ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებაში. შერეული გადაზღვევის დროს ცედენტს აქვს უფლება, გადასცეს გადასაზღვევად არა ყველა, არამედ გარკვეული რისკები, თავის მხრივ, გადამზღვეველი ვალდებულია, მიიღოს ცესია.[4]

ქართული სადაზღვევო კომპანიები უპირატესობას ანიჭებენ ობლიგატორულ გადაზღვევას, ხოლო ფაკულტატურ გადაზღვევას მიმართავენ აუცილებლობის შემთხვევაში. [1]

როგორც ინდუქსტრია, გადაზღვევა ნაკლებად მკაცრად რეგულირდება, ვიდრე დაზღვევა ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის. ეს იმიტომ, რომ გადამზღვეველების მყიდველები, ძირითადად, პირველადი დაზღვევის კომპანიები არიან.

ყველა მზღვეველი მარეგულირებელს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშგებას, რომლებიც აკონტროლებენ მათ ფინანსურ სიჯანსაღეს. ფინანსურ სიჯანსაღეში იგულისხმება, რომ სადაზღვევო კომპანიების მიერ აღებული რისკი მათი კაპიტალის შესაბამისი უნდა იყოს. გადამზღვეველისთვის გადაზღვევის ძირითად ღირებულებას მარეგულირებელი თვალსაზრისით წარმოადგენს გადამზღვეველის ფინანსურ ანგარიშგებაში მათი ვალდებულებების შემცირების აღიარება ორი ანგარიშის ფორმით: გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვები და ზარალების რეზერვები. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია შეიძლება გაიცეს გადაზღვევის საქმიანობაზეც, სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევასთან ერთად.

კატასტროფის ობლიგაცია არის სპეციალური დაცვის საშუალება, რაც ზრდის მზღვეველების შესაძლებლობას, უზრუნველყონ სადაზღვევო დაცვა ობლიგაციების ინვესტორებზე რისკების ტრანსფერით. კატასტროფის ობლიგაციები, მიმოიქცევიან რა ფასიანი ქარალდების ბაზარზე, ქმნიან პოტენციურ ოფშორებს, სადაც დაბეგვრის და მარეგულირებელი ნორმები შეიძლება გახდეს უფრო ხელსაყრელი. კატასტროფის ობლიგაციებზე იხდიან მაღალ საპროცენტო განაკვეთებს, მაგრამ როდესაც სადაზღვევო შემთხვევა დადგება, შესაძლებელია, ინვესტორებმა დაკარგონ პროცენტი და ასევე ძირი თანხა, რომლებიც გამოიყენება მზღვეველების ზარალების ასანაზღაურებლად.

გავრცელებული მეთოდია „კატასტროფიდან გამოსვლის" ობლიგაციები, რომლებიც ემსახურებიან იგივე მიზანს, რასაც ბიზნესიდან შემოსავლების სადაზღვევო პოლისები, რომლებიც სამთავრობო სუბიექტებს თუ პოლისის მფლობელებს კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციაში ეხმარება. ეს განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც დაზღვევის შეღწევადობა დაბალია.

სადაზღვევო ინდუსტრიაში რისკების დივერსიფიკაციის და ტრანსფერის ტრადიციულ მეთოდს წარმოადგენს რისკების „საწყობი". ამ დროს მზღვეველები და გადამზღვეველები ემსახურებიან ეკონომიკაში რისკების შეწოვის ან დასაწყობების ფუნქციას. ტრადიციული გადამზღვეველები უზრუნველყოფენ რისკების დივერსიფიკაციისა და რისკმენეჯმენტის პროდუქტებს.

ტრადიციული გადაზღვევის მოდელი ეფექტიანად ვერ ფუნქციონირებს, როდესაც რისკები კორელირებენ, ასევე ძლიერ არიან დაკავშირებული გადამზღვეველის სააქციო კაპიტალთან. ამ დროს იზრდება კაპიტალის ღირებულება ასიმეტრიული ინფორმაციის გამო, რომელიც არსებობს კაპიტალის ბაზარსა და გადამზღვეველებს შორის.

სეკურიტიზაცია შესაძლოა, დაეხმაროს გადაზღვევის ბაზარს არაეფექტიანობის აღმოფხვრაში რამდენიმე გზით:

- რისკები, რომლებიც კორელირებენ დაზღვევის და გადაზღვევის ბაზრებს შორის შესაძლოა, არ კორელირებდნენ ეკონომიკაში სხვა რისკებთან;
- მზღვეველების და გადამზღვეველების სააქციო კაპიტალი არის მნიშვნელოვნად მცირე მთლიანად კაპიტალის ბაზრებზე განხორციელებულ ფასიანი ქაღალდების

**ოპერაციებთან შედარებით, ამ დროს უფრო ეფექტიანი გზა იქნება, თუ გარკვეული ტიპის რისკების ტრანსფერი მოხდება პირდაპირ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე;**

- **სეკურიტიზებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია გადაზღვევის პოლისებთან. [5]**

**გადაზღვევა, რისკის გაზიარების და ფინანსირების ინსტრუმენტი სადაზღვევო კომპანიებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მარტო შემოსავლების სტაბილიზებაში და ზარალების შემცირებაში, არამედ სადაზღვევო ბაზრისთვის დამატებითი კაპიტალის მობილიზებაში. გადაზღვევის ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია პრემიების ცედირების კოეფიციენტი. გადაზღვევის ბაზარზე ცესია არის რისკების ის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი გადასცემს გადამზღვეველს. აღნიშნული კოეფიციენტი გამოითვლება, როგორც გადაზღვევის პრემიის შეფარდება მთლიან მოზიდულ პრემიასთან, გამოსახული პროცენტულად. პრემიების ცედირების კოეფიციენტი შეიძლება გამოვიყენოთ ქვეყნის, კონკრეტული ბაზრის, ბიზნესის სახეობის ან კონკრეტული სადაზღვევო კომპანიის დონეზე. [6]**

**2017 წელს სადაზღვევო კომპანიების მთლიანმა მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 425,11 მლნ ლარი, 2018 წელს - 523,43 მლნ ლარი, ხოლო 2019 წელს - 602,53 მლნ ლარი. რაც შეეხება გადაზღვევის პრემიას, მისი მოცულობა 2017 წელს იყო 94 მლნ ლარი, 2018 წელს - 126,41 მლნ ლარი და 2019 წელს - 115,76 მლნ ლარი [3]. მონაცემების საფუძველზე პრემიების ცედირების კოეფიციენტი 2017 წელს იყო 22,1%, 2018 წელს - 24,2% და 2019 წელს - 19,2%. რაც უფრო დაბალია პრემიების ცედირების კოეფიციენტი, მით მეტია ადგილობრივი სადაზღვევო ბაზრის ტევადობა რისკების დაფარვის თვალსაზრისით.**

**გადაზღვევის მნიშვნელობის შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტად შეიძლება გამოვიყენოთ ანაზღაურებულ ზარალებში გადამზღვეველის წილი. მაგალითად, 2019 წელს სადაზღვევო კომპანიების მთლიანმა ანაზღაურებულმა ზარალებმა შეადგინა 534,02 მლნ ლარი, ხოლო გადამზღვეველის წილი იყო 258,32 მლნ ლარი, რაც პროცენტულად შეადგენს 49%-ს. შედარებისთვის 2017 წელს ანაზღაურებულ ზარალებში გადამზღვეველის წილი პროცენტულად იყო 11%, ხოლო 2018 წელს - 23%. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოიკვეთა ანაზღაურებულ ზარალებში გადამზღვეველის წილის ზრდის ტენდენცია, რაც ფინანსური თვალსაზრისით წარმოადგენს უპირატესობას მზღვეველებისთვის.**

ლიტერატურა:


1. კაკაშვილი ნ., სადაზღვევო კომპანიების გადაზღვევის ფორმების სრულყოფისთვის, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, თბ., 2019.
2. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, თბ., 1997.
3. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური და ფინანსური მაჩვენებლები.
4. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ., სადაზღვევო საქმე, გვ. 436, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012.
5. Cummins, J., & Trainar, P. (2009). Securitization, Insurance, and Reinsurance. The Journal of Risk and Insurance, 76(3), 463-492.;
6. Jean W., Wolfram l., Analytical Tools for the Insurance Market and Macro-prudential surveillance, OECD journal, 2016;
7. Insurance Handbook, Insurance Information Institute https://www.iii.org/ublications/nsurance-handbook/regulatory-and-financial-environment/reinsurance;

# The Importance of Reinsurance in Sustainability of Financial System

**Ilia Kozhoridze**
***PhD Student,***
***Georgian Technical University***

Summary

**This article reviews the importance and definition of reinsurance also its forms. While reinsurance plays critical role in the economy to transfer and reduce risks, it seems as an insurer of insurance companies when some of the risks of insurer are ceding to the reinsurers. In the developed countries alongside reinsurance it's also widely spread and are developing catastrophe bonds, which are the kind of risk transferring mechanisms. In order to reduce traditional reinsurance's inefficiencies there's valuable instruments such as securitization, which is appropriate method in developed countries. We can assess reinsurance market development tendencies by the ratio of premium ceding, also the article reviews the share of reinsurers in paid losses. Reinsurance by regulatory purposes are less strictly regulated sector than insurance, but it is one of the best instruments to ensure sustainability of financial system.**

***Keywords: Reinsurance, Catastrophe bond, Securitization, Cession.***

# ИМПЕРАТИВЫ СТРАТЕГИЧЕСКОГО УПРАВЛЕНИЯ КАК ОСНОВЫ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ СИСТЕМЫ

**В.В. Кубіній**
*к.э.н., доцент*

**К. И. Латинін**
*аспирант*

**И.В.Чекан**
*аспирант*
*Ужгородский национальный университет (Украина)*

**Стратегическое управление – вид деятельности, направленной на создание конкурентных преимуществ экономической системы в будущем.**

**В современных условиях хозяйствования, когда конкуренция не только становится нормой деловой жизни, но и определяет жизнеспособность экономического актора, основной задачей стратегического управления выступает вируальный фрейминг и адекватное современным вызовам видение контента будущего состояния экономической системы, которая овладеет существенными отличиями от позиций конкурентов.**

**Для реализации указанных задач стратегическое управление рекомендовано строить с учетом следующих императивов (рис.1.)**




**Рис. 1.** Императивы стратегического управления экономической системой (составлено авторами)

**Значение первого императива состоит в следующем:**

**- системный подход к конструированию стратегического управления обеспечивает целенаправленное функционирование каждого элемента, инструмента администрирования.**

**- Системный подход сохраняет целостность экономического субъекта, его целевую ориентацию, служит способом отсечения чужеродных или же неэффективных в данных условиях компонентов.**

**- Системный подход к построению стратегического управления выполняет роль методологического, мировоззренческого базиса, определяющего не только управленческие задачи, но и смысл существования экономической организации в целом.**

**- Системный подход позволяет определить взаимоотношение данного субъекта с окружающей средой, а это влияет в свою очередь на управление внешними факторами (прямое в случае возможности или же опосредованное).**

**Важным фактором успешного стратегического управления выступает сочетание кибернетического и синергетического подходов. В системах с интегрированным влиянием кибернетики и синергетики происходит поддержка развития: аттрактор выступает как самоорганизующаяся цель развития, требует целесообразности согласования саморазвития системы с кибернетическим целеполаганием; точки бифуркации как переломные моменты функционирования системы влияют на стратегию, которая выбирает путь развития.**

**Таким образом, наибольший эффект достигается при конвергенции кибернетического подхода к построению системы и синергетики, что показано на рис.2.**




**Рис.2.** Стратегическое управление как система (составлено авторами)

**Вторым императивом определена эффективность стратегического управления, значение которого состоит в следующем:2,**

**- измеряет результат (плановый или фактический) соотношения результата и затрат, что служит инструментом контролинга за достижением поставленных целей.**

**- Мотивирует управление на организацию работы системы таким образом, чтобы уровень эффективности возрастал, что приносит дополнительное экономическое конкурентное преимущество.**

**- Способствует усилению стратегического потенциала развития данной экономической системы и мегасистемы, которая включает экономического игрока как элемент. Значение стратегического управления потенциалом подчеркнута Абесадзе Н., Парасашвили Н., которые исследуют влияние человеческих ресурсов на потенциал развития в Грузии и утверждают, что «в настоящее время неэффективная занятость населения Грузии является основным препятствием для социально-экономического развития, регулирования торговых соглашений и формирования цивилизованного рынка труда в стране» [1]. При этом**

значение таких факторов, как образование, знания, человеческого капитала в достижении эффективного управления потенциалом развитии экономики подчеркнута рядом грузинских исследователей [2, 5].

Таким образом эффективность рассмотрена в данном контексте достаточно широко: определяет эффект, воздействие субъекта не только на собственный потенциал, но и на потенциал окружающего мира. Для того, чтобы императив эффективности действовал в сфере потенциала, рекомендовано учитывать следующие принципы, представленные Кубиний Н.Ю., Маргитич В.В., Косовилка Т.И.: 1. «Концептуальность - наличие четко сформированного видения перспектив функционирования системы и мегасистеми как единого поля потенциала развития. 2. Эмпатия как принцип - это способность руководства системы и мегасистемы чувствовать, прогнозировать организационный и экономический потенциал, получаемые в результате управленческих решений. 3. Полезность управленческих акций. Разработка стратегии будущего потенциала не должна быть направлена только на построение определенных идеальных моделей, а должна иметь конкретный практический результат. 4. Разнообразие. Механизмы, задействованные в процессе разработки, должны охватывать различные области и методы управления» [3].

Далее авторы утверждают, что императив эффективности (при условии, что регион выступает мегасистемою по отношению к предприятию или же национальная экономика – к региональной) реализуется при соблюдении следующих условий:

- «Предоставление экономических преференций предприятиям, входящим в круг стратегических региональных игроков, обеспечение региональной конкурентоспособности и человеческого развития. В этом случае они выступают локомотивами для усиления социально-экономического потенциала и его трудовых элементов.

- Информационная поддержка, создание мониторингового консультационного центра, который будет предоставлять информацию существующим и потенциальным инвесторам и др.

- Внедрение стратегического управления, которое в первую очередь включает определение видения, концепции развития региона, разработку стратегии и обоснование ее реализации» [4].

Взаимосвязь эффективности стратегического управления и потенциала развития, потенциала конкурентоспособности реализуется в преимуществах, которые отражаются в «гармонизация рыночных отношений между регионом и его участниками; повышении эффективности хозяйственной деятельности ...; снижение уровня риска инновационных инноваций; концентрация капитала на инновациях; повышении гибкости хозяйственной деятельности и принятия экономических решений»[4], что придает принципу эффективности стратегическое звучание.

Следующим императивом выделена функциональная результативность стратегического управления развитием и конкурентоспособностью экономической системы.

Значение данного императива состоят в следующем:

Во-первых, позволяет использовать функциональный анализ, который, в свою очередь, исследует возможные и реальные преобразования из функций управления.

Во-вторых, дает возможность применять функционально-стоимостной анализ стратегических товаров или же стратегических проектов, что служит обеспечению принципа эффективности в стратегически определенном периоде. Функционально-стоимостной анализ позволяет определить соотношение между стоимостью и полезностью, которая является неотъемлемым элементом эффективности.

Функции стратегического управления имеют определенные особенности [8]:

1. В функциях находит отражение сути объекта, его назначение. В контексте стратегического управления функции обеспечивают общее развитие хозяйства и его конкурентоспособность в условиях глобальной конкуренции.

2. Функции выступают социально, технологически и экономически значимыми составными контента стратегического управления. Это означает, что их неадекватное наполнения или ошибочное направление может привести к негативным последствиям в обществе, сформировать модель инновационного развития национальной экономики, ориентированной, например, на реализацию военного догмата и построении экономики, основанной на военно-промышленном комплексе.

3. Функции стратегического управления по содержанию являются динамическими, их направленность и задачи зависят от уровня развития государства и его национальной экономики, от состояния и структуры национального хозяйства, от этапа экономического развития государства, от ее общей стратегии и т.д.

4. Функции стратегического управления инновационным потенциалом носят объективный характер, которой определяется внутренней и внешней экономической и технологической конъюнктурой.

5. Функции стратегического управления инновационным потенциалом национальной экономики должны носить системный характер, они как по внутреннему составу является системным комплексом действий, так й по логике взаимодействия с другими функциями.

Следующим императивом стратегического управления выделена инновационность, как «системное состояние экономических объектов и процессов, определяющее принцип их жизнеспособности, векторной направленности экономического роста и целесообразной деятельности века по созданию вещественных и невещественных форм товаров, процессов, знаний, методов и услуг». [9]

Значение инновационности как императива стратегического управления вытекает из следующей аргументации:

- предполагает постоянное обновление, без чего невозможно построение конкурентных преимуществ;

- является категорией стратегического управления, так как требует стратегического анализа будущего поведения инновации, спроса на него, эффективности продаж и т.д.

Пулянович О. та ее соавторы предлагают учитывать в процессе стратегического управления следующие виды инноваций: «1. Технико-технологические инновации..., обеспечивающие скорость достижения оперативных целей при экономии ресурсов, в том числе и человеческих. 2. Политические новации, которые формируют благоприятную внешнюю среду для осуществления поставленных задач. 3. Организационно-управленческие инновации, которые мотивируют участников действий. К таким новациям отнесем институт мобильности решений и непредсказуемости действий, институт фетиша и институт знаний. 4. Экономические инновации, предполагающие нетрадиционные экономические решения. Совокупность указанных направлений составляет основу инновационного стратегического управления, которое в свою очередь направлено на создание конкурентных преимуществ» [7.

Инновационный императив имеет множество форм проявления, но наиболее плодотворно реализуется через факторы развития экономической системы.

Во-первых, инновационный фактор закладывается на стадии формирования стратегии функционирования экономического субъекта, исходя из того, что стратегии делятся на таки, что в основе лежит инновационное направление и таки, что видят будущее в использовании традиционных методов ведения хозяйственной деятельности.

Во-вторых, инновационный фактор - это цивилизационный рычаг, то есть, новация может выступать эндогенной составляющей, но для ее успешной реализации, трансформации в инновацию нужно соответствующее технологическое, культурное, потребительское и другое окружение.

В-третьих, инновационный фактор является результатом креативной деятельности, которая возможна только при наличии креативных ресурсов, которые, в свою очередь,

формируются при определенной системе подготовки трудовых ресурсов, начиная с раннего детства будущих работников и ко времени их интеграции в хозяйственную деятельность.

Наконец, инновационный фактор действует в определенной системе управления, которая определяет конкретную модель инновационного развития.

Стратегическое управление представляет собой систему факторов, которая состоит из группы инбоксингових (входящих) факторов, формирующих контент стратегии развития региональной экономики, и аутбоксинговых факторов, производных от имплементации стратегии и обеспечивающих создание конкурентных региональных преимуществ.

Инбоксингови факторы в свою очередь делятся на факторы внешней среды и внутренней региональный потенциал и его составляющие. Аутбоксингови фаторы - факторы, которые созданы в результате реализации стратегии и обеспечивают реализацию всей и задач развития территории и создания системной региональной конкуренто-способности.

Инбоксингови и аутбоксингови факторы являются элементами одной системы в результате последующей аргументации. Инбоксингови факторы являются результатом предыдущих управленческих акций региональной и национальной власти, усилий бизнеса и общества региона и одновременно формируют платформу стратегических действий, направленных на активизацию аутбоксингових факторов. Иными словами, развитие системы, будь то регион или стратегическое, или текущее управление им, невозможно без базиса, опоры дальнейших трансформаций, а содержание опоры составляют инбоксингови факторы. Так же развитие системы предусматривает формирование факторов, которые являются следствием развития, или составляют содержание развития.

Инновационные факторы имеют направленность на:

- цель стратегических трансформаций;
- качество развития;
- управление развитием и конкурентоспособностью;
- формирование институтов и культуры;
- развитие технологий;
- ресурсного базу, содержащую и креативные источники развития.

Императивом стратегического управления в современных условиях выделено обеспечение институциональной поддержки стратегических решений. Под институциональной поддержкой понимаем такое стратегическое управление, которое учитывает наличие институтов, как внутри данной системы, так и в системе более высокого порядка, контролирует их роль в достижении целей данным экономическим субъектом, обеспечение эффективности при реализации стратегических планов и т.д.

Значение императива иституциональности состоит в следующем:

- определяет правила поведения участников экономического взаимодействия, что снижает транзакционные издержки и тем самым усиливает действие принципа эффективности.
- создает законодательные основы действий экономических субъектов.
- создает культуру инновационности и борьбы за лидерство, за конкурентные преимущества.

В процессе стратегического управления целесообразно не только рассматривать сущность и роль институтов, но и определять «атмосферу», в какой они функционируют. Примером такого подхода можно назвать результаты исследования британского ученого Альтмана Й., изучавшего доверие как институт обеспечения эффективного управления. Указанный автор утверждает, что «доверие, играя роль фактора развития и усиления конкурентоспособности, зависит от типа социального потенциала; исходя из принципа

**деления общества на холодные и теплые, социальный потенциал предприятия в данной работе разделен на холодный, теплый и переходный». [6] Холодным социальным потенциалом определен такой, где правила установлены и четко соблюдаются, теплым – потенциал, в котором социальные связи и взаимоотношения имеют большее значение, чем установленные правила, переходные – общества, в которых наблюдается трансформация теплого потенциала в холодный.**

**В современных условиях важным институтом, который создает фундамент для конкурентных преимуществ, выступает институт знаний. Институт знаний представляет собой совокупность норм, правил, традиций, в рамках которых знания производятся, сохраняются и используются.**

**Учет действия институтов в соответствии со средой, полем, на котором они функционируют, является дополнительным фактором конкурентоспособности.**

**Важным моментом стратегического управления является сочетание императивов, что усиливает позиции субъекта. Примером такой интеграции императивов (инновационности и институциональности) выступает региональная и национальная инновационная система, сочетающая в себе правила функционирования инновационных акторов со стратегической направленностью на конкурентные преимущества. Как показано в предыдущих наших исследованиях, выбор формы и модели инновационной системы зависит от принципиального выбора метода развития инновационного потенциала и страны в целом.**

**В первую очередь, это направление на осуществление инновационного прорыва, которой предусматривает формирование и активное использование фундаментальной науки, которая обеспечивает возможность создания радикальных инноваций.**

**Вторым выступает метод «эффективного заимствования» или импорта инноваций, которой является не только более экономичным, но и за лагом инновационного процесса предполагает меньшие затраты времени, также усиливает действие принципа эффективности.**

**Исходя из этого, доказано, что вероятными являются два пути построения национальной инновационной системы ( НИС).**

**Первый предполагает развитие национальной инновационной системы путем предоставления первоочередной поддержки подсистеме генерации знаний с целью увеличения количества проведенных научных исследований и разработок. Второй, оптимальный вариант предусматривает развитие национальной инновационной системы путем осуществления комплекса мер по устойчивому развитию всех подсистем национальной подсистемы, поддержки инновационной активности отечественных субъектов хозяйствования на всех стадиях инновационного процесса, стимулирование спроса на результаты научных исследований, квалифицированный персонал, создание благоприятных условий для производства инновационной продукции с высоким уровнем добавленной стоимости.**

**Следующим примером интеграции императивов можно привести инновавционные кластеры. Основной целью программы формирования инновационных кластеров как важного стратегического управления инновационным потенциалом, является усиление интеграционных процессов между модераторами идей и производителями инновационной продукции. В процессе кластеризации проходит создания таких форм взаимосвязи между наукой, образованием и производством обеспечивающих ускоренное и эффективное генерирования и внедрения технико-технологических и гуманитарно-институциональных инноваций.**

**Логика конвергенции показана на рис.3.**




**Рис.3. Логика конвергенции императивов стратегического управления (составлено авторами)**

**Сочетание императивов стратегического управления проводится с помощью дизайн-метода, который:**

**1. Позволяет изучить разнообразие потребностей потребителей, что в следующем способствует формированию продукта, которой будет их учитывать. Так, например, на уровне туристического региона дизайн-мышления аналитика позволяет исследовать и сформировать учет посетителя региона с его интеллектуальными, эмоциональными, эстетическими и другими характеристиками.**

**2. Сконструировать продукт, который может быть предложен, например, туристам региона, учитывая одновременно индивидуальные пожелания и требования туризма как индустрии услуг.**

**Дизайн – метод предполагает широкое разнообразие форм изложения, одним из которых является морфологическая таблица, представленная в таблице 1. В данном случае проводится морфологический анализ, состоящий в идентификации основных частей задачи – морфологических признаков (в нашем примере – цель и стратегии развития) и определяются императивы, определяющие решение указанных задач. В связи с тем, что морфология – это наука о строении и форме, в качестве морфологических признаков выделяются основные с позиции задач и целей проводимого исследования.**

**Таблиця 1.**

**Морфологическая таблица формирования стратегического управления на основе указанных императивов**

| Морфологический признак | Индекс | Императив | Варианты | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | ... |
| Цель развития | А | 1<br>2<br>... | | | | |
| Инновационная стратегия | Б | (аналогично выделяются императивы) | | | | |
| Кадровая стратегия | В | | | | | |
| Ресурсная стратегия | Г | | | | | |
| Социальная стратегия | Д | | | | | |
| ... | | | | | | |

**Далее определяются варианты решений для каждого морфологического признака с учетом преобладания того или иного императива. При этом возможны различные варианты определения морфологических признаков. В связи с тем, что первичным аспектом является стратегическое управление, в качестве морфологических признаков, то есть признаков строения изучаемого явления, выделены виды стратегий. Если же задача будет стоять в методологическом обосновании развития экономической системы, целесообразно выделить морфологическими признаками императивы управления развитием. Применение императивов в планировании, построение морфологических таблиц дизайн-метода позволяют выявить широкий круг стратегических решений и на основе их анализа принять оптимальное стратегическое решение. Таким образом, императивы из сферы методологии и теорий развития, конкурентоспособности и стратегического управления переходят в практическую площадь. Практическая направленность конвергенции императивов представляет собой один из наиболее сложных моментов стратегического управления. Фактически, принципы расположены в сфере методологии и философии и их имплементация в реальной жизни стыкается со многими обструкциями.**

**К таким препонам отнесены:**

1. **Невысокая вероятность моделирования такого состояния системы в будущем, которое будет абсолютно адекватным условиям жизни в долгосрочной перспективе. Предвидеть состояние мира и его политических и экономических параметров в будущем – задача крайне сложная и практически невыполнимая.**
2. **Отсутствие четкой и структурированной системы законодательных актов, которые регулируют реализацию указанных принципов и их необоснованно большое количество. Так, в Украине принято более 200 законодательных актов, качающихся инновационной деятельности, что вносит сумбур в ее проведение.**
3. **Отсутствие четко сформированной национальной инновационной системы, что тормозит трансформацию новаций в инновацию и удлиняет инновационный процесс.**
4. **Высокая стоимость ресурсов, низкий уровень автоматизации, что приводит к удорожанию производства и реализации продукции, а это понижает уровень эффективности.**
5. **Низкая стоимость рабочей силы, что не является стимулом ее развития и ограничивает возможности инвестиций в человеческий капитал, который является условием эффективного и функционально результативного стратегического управления.**
6. **Отсутствие должной финансовой поддержки бизнеса, высокая стоимость кредитов, сложность получения грантов и финансирования из национальных или региональных фондов.**
7. **Игнорирование государственным управлением необходимости формирования культуры, направленной на поддержку предпринимательства, инновационную деятельность, борьбу за лидерство, развитие.**
8. **Отсутствие кадров квалификации, необходимой для успешного функционирования стратегического управления в турбулентной среде.**

**Таким образом, для успешного построения конкурентоспособной экономической системы необходимым условием является**

**Литература:**


1. Abesadze N., Parasashvili N. (2018) Gender Aspects of Youth Employment in Geporgia – ECOFORUM, Volume 7, Issue 1(14).
2. Gagnidze, I. (2018), "The role of international educational and science programs for sustainable development (systemic approach)", Kybernetes, Vol. 47 No. 2, pp. 409-424

3. Kubiniy N., Marhitich V., Kosovilka T. Modern Content of Strategic Regional Development Potential. Economics and Business.2020. №1. URL: http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=eng&adgi=945&title==Modern%20Content%20of%20Strategic%20Regional%20Development%20Potential
4. Kubiniy N., Marhitich V., Kosovilka T. Potential of strategic development of regional economy / Natalya Kubiniy, Viktoria Marhitich, Tamila Kosovilka // Challenges of Globalization in Economics and Business (The 4th International Scientific Conference. Georgia, Tbilisi, November 1-2, 2019 Proceedings). –Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Economics and Business Faculty, 2019.- С. 237-242.
5. Nino Paresashvili, Nanuli Okruashvili, (2017), The Main Challenges Of Higher Education System Management In Georgia, Conference: Borders Without Borders: Systemic Frameworks And Their Applications For Sustainable Well-Being In The Global Era, Volume 1, pg. 5-8
6. Алтман Й. Виды доверия и их оценка [Текст] / Й. Алтман, Н. Ю. Кубиний // Науковий вісник Ужгородського університету : серія: Економіка; збірник наукових праць / редкол.: В.П. Мікловда, В.І. Ярема та ін. – Ужгород : Вид-во УжНУ "Говерла", 2016. – Вип. 2 (48). – С. 148–152.
7. Кубиний Н.Ю. Институализация инновационных стратегий: ретроспектиивный бекграунд [Текст] / Н. Ю. Кубиний, Е. В. Пулянович, Т. И. Косовилка // Науковий вісник Ужгородського університету : Серія: Економіка / редкол.: В.П. Мікловда (голов. ред.), В.І. Ярема , Н.Н.Пойда-Носик та інші. – Ужгород : Говерла, 2017. – Вип. 2 (50). – С. 83–86. – Бібліогр.: с.86 (7 назв). – Рез. укр., англ.
8. Кубіній Н. Ю. Концептуальний підхід до моделювання інноваційного розвитку економічної системи країни, регіону та підприємства / Н. Ю. Кубіній, В. В. Кубіній, Т. В. Теличко // Науковий вісник Ужгородського університету. Серія : Економіка. - 2015. - Вип. 1(3). - С. 78-83. - Режим доступу: http:/nbuv.gov.ua/UJRN/Nvuuec_2015_1%283%29__16
9. Латыпова К. Д. Инновационность как фактор развития предприятий автомобильной промышленности // Вестник Казанского технологического университета. 2012. №4. URL: https://cyberleninka.ru/article/n/innovatsionnost-kak-faktor-razvitiya-predpriyatiy-avtomobilnoy-promyshlennosti (дата обращения: 24.09.2020).

## Imperatives of Strategic Management as the Basis of Competitiveness of The Economic System

**V. Kubiniy**
**K. Latynin**
**I. Chekan**

S u m m a r y

**It is declared that strategic management is a type of activity aimed at creating competitive advantages of an economic organization in the future. To successfully build competitiveness, strategic management is based on the following imperatives: consistency, efficiency, functional performance, innovation, institutional support. Each imperative carries a certain semantic and managerial load, and their interaction increases the ability of the economic system to develop at a faster pace than competitors.**

***Key words: competitiveness, imperative, consistency, function, innovation, efficiency, institution.***

# ОБРАЗОВАНИЕ И ЕГО ВЛИЯНИЕ НА ЭКОНОМИЧЕСКОЕ РАЗВИТИЕ В УКРАИНЕ

**Н.Ю. Кубиний**
*к.э.н., проф. кафедры экономики и предпринимательства*
*ГВУЗ «Ужгородский национальный университет»*

**О.В. Данайканич**
*ст. преподаватель кафедры экономики и предпринимательства*
*ГВУЗ «Ужгородский национальный университет»*

**Н.П. Белей**
*ст. преподаватель кафедры экономики и предпринимательства*
*ГВУЗ «Ужгородский национальный университет»*

Социально-экономические процессы, которые происходят в мире сегодня, указывают на существенный рост роли образования во всех сферах общественной жизни, в том числе и в системе экономики знаний. Без преувеличения можно сказать, что экономика знаний, к которой стремится весь цивилизованный мир, играет важнейшую роль в развитии производительных сил. Именно за счет экономики знаний формируется современное информационное общество, а также целостная система ресурсообеспечения производства.

Развитие экономики в целом и экономики знаний в частности является едва ли не самым примечательным признаком современной жизни в глобальном мире. Эти процессы коренным образом меняют традиционные представления о природе и характере общественного производства, факторы его развития, пути достижения высокого уровня благосостояния людей и вообще о мире, в котором живет и действует современный человек. Эффективная экономическая трансформация во многих странах Центральной и Восточной Европы убедительно подтверждает, что экономический рост, дальнейший общественно-экономический прогресс возможны только при условии перехода к экономике знаний, в которой «сравнительные преимущества стран» все меньше определяются богатством природных ресурсов и все больше – техническими инновациями и конкурентным применением знаний или их сочетанием

В свою очередь построение конкурентоспособной экономической модели, которая базируется на знаниях, зависит от уровня образования и потенциала науки в стране и регионе. Система образования должна создавать человеческий капитал нового качества и обеспечивать потребности в нем государства, науки и бизнеса, эффективное взаимодействие со всеми составляющими национальной инновационной системы. Необходим системный поиск решений проблем институционального, инвестиционного и инновационного характера, учитывая новые возможности коммерциализации интеллектуальной собственности [12].

Знания также выступают как ресурс опережающего развития, что является условием формирования конкурентоспособности экономической системы. До последнего времени существовало три ключевых источника богатства – земля вместе с природными ресурсами, капитал и труд, оптимальное сочетание которых обеспечивает процессы создания товаров и услуг. В экономике знаний к традиционным экономическим фактором добавляется новый – знание, а накопление человеческого капитала, его рациональное использование приобретают форму стратегического ресурса общественного развития. Роль знаний в сочетании с социальным капиталом становятся ключевыми факторами создания конкурентных пре-

**имуществ, формирование экономической стоимости, главным источником благосостояния общества.**

**Согласно концепции информационного общества, общества знаний, экономическое развитие государств будет основываться не на материальных активах, а прежде всего на качестве и количестве знаний о процессах, которые будут происходить в социально-экономической среде, что также обусловливает рост значения образования как весомого фактора социально-экономического развития стран на данном этапе. Действительно, в условиях глобального интенсивного технологического развития образование не только позволяет овладеть старыми, уже накопленными знаниями, но и способствует получению новых знаний в процессе труда, а также обеспечивает условия для их производства в будущем [5].**

**Знания, находя свое выражение в квалификации рабочей силы, представляют собой необходимое условие построения инновационной экономики, что подтверждено М.Кросслаковой и ее одно думцами, рассматривающие инновации и знания как базис формирования «газелей», которые «contribute significantly to competitiveness of given economies» [1]. Знания также способствуют активизации инновационной активности в сегменте малого бизнеса [8], который, как признано в современных исследованиях, является наиболее эффективным при генерации новых знаний и их преобразовании в инновации.**

**Безусловно, экономическая роль образования реализуется, прежде всего, по отношению к экономическому росту. Поскольку развитие человека, его интеллектуального потенциала – продукт системы образования, который увеличивает новые знания, обеспечивает инновационно-технологическое совершенствование производства, то его воплощение в прирост общественного продукта обеспечивает экономический рост государства, что в свою очередь будет влиять на рост или снижение ВВП (ВРП) страны табл.1.**

**Таблица 1**

Валовый внутренний продукт (ВРП) как показатель
экономического роста Украины и Закарпатской области [3, 4, 10]

| №п.п | Показатель | 2017г. | | 2018г. | | Темп роста (уменьшения) 2018/2017гг., % | | Абсолютный прирост (уменьшение) 2018/2017гг. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | Украина | Закар-патская обл. | Украина | Закар-патская обл. | Украина | Закар-патская обл.. | Украина | Закар-патская обл. |
| 1 | Валовый внутренний (региональ-ный) продукт, млн. грн. | 2982920 | 43043 | 3558706 | 52445 | 19,303 | 21,843 | 575786 | 9402 |
| 2 | Числен-ность населения, тис. чел. | 42386,4 | 1258,1 | 42153,2 | 1256,8 | -0,550 | -0,103 | -233,2 | -1,3 |
| 3 | Валовый внутренний (региональ-ный) продукт в рассчете на одн. чел., грн. | 70374,5 | 34212,7 | 84423,2 | 41729,0 | 20,0 | 22,0 | 14048,7 | 7516,3 |

Объем валового внутреннего продукта в Украине в 2018г. составил 3558706 млн. грн., что на 575786 млн. грн. (или 19,303%) больше значения предыдущего года. Часть Закарпатской области в формировании ВВП в 2017г. составила 1,44%, в 2018г. - 1,47%. В абсолютном измерении ВРП за 2017-2018гг. увеличился на 9402 млн. грн. (21,843%), то есть темп прироста ВРП по отношению к ВВП является высоким и свидетельствует об активизации экономического роста региона.

Относительно динамики среднего показателя – ВВП (ВРП) в расчете на одного человека – она сохраняется положительной: ВВП на душу населения увеличился на 19,963%, а ВРП на душу населения – на 21,963%. Но целесообразно отметить отрицательную динамику численности населения в Украине и Закарпатской области: за рассматриваемый период она уменьшилась на 233,2 тыс. чел. и 1,3 тыс. чел. соответственно. Кроме того, причиной недостаточно высокого роста эко-номики является игнорирование роли образования и науки как ресурса организационного и экономического потенциала трансформаций «regional productive forces, configurational, structural and process-organizational elements that ensure the sustainable development of the region, the formation of its key competitive advantages and the implementation of the regional development strategy» [2]. Также одной из причин недостаточно высоких темпов развития является отсутствие политического внимания к построению культуры, которая в определенной степени представляет собой «институт знаний, опыта. Знание как часть общей культуры» [6] будет служить аттрактором креативной и мобильной молодежи, представляющей основной ресурс будущего развития.

Соотношение процесса образования и квалификационного роста работников в соответствии с современными потребностями обусловливает необходимость инвестиций в развитие системы знаний научного фонда общества, в фундаментальные и прикладные исследования, квалификационный рост и улучшение структуры научно-педагогического состава работников учебных заведений, усиление их социальной защищенности в условиях рынка, то есть всего того, что позволяет научным знанием становиться более доступными и помогает получать более высокую отдачу специалистам при реализации инновационных проектов [7].

Стратегия социально-экономического развития Украины предусматривает существенное наращивание и повышение качества образовательного потенциала населения страны.

Базой этого является надлежащее качество общего среднего образования. В контексте наци-ональных целей развития тысячелетия необходимо обеспечить равный доступ к качественному среднему образованию всем детям школьного возраста независимо от места проживания и материального состояния семьи, и соблюдение государственных гарантий высоких – единых для всего населения – стандартов образовательных услуг. Так, в учебных заведениях в Украине в 2018г. обучалось 7097 тыс. человек, что на 63 тыс. больше предыдущего года (таблица 2). В учебных заведениях Закарпатской области обучается 241 тыс. человек, что составляет 3,4% от общего показателя.

**Таблица 2**

Количество учебных заведений и слушателей в них в
Украине и Закарпатской области [4, 10, 13]

| № п.п | Показатель | 2016г. | | 2017г. | | 2018г. | | Темп прироста (уменшения) 2018/2017 гг., % | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | Украина | Закар-патская обл. | Украина | Закар-патская обл. | Украина | Закар-патская обл. | Украина | Закар-патская обл. |
| 1 | Количество заведений дошкольного образования (к концу года), тыс. | 14,9 | 0,582 | 14,9 | 0,589 | 14,9 | 0,592 | 0,000 | 0,509 |
| | в них детей, тыс. | 1300 | 48 | 1304 | 47,8 | 1278 | 46,6 | -1,994 | -2,510 |
| 2 | Количество заведений общего среднего образования (на начало учебного года), тыс. | 16,858 | 0,667 | 16,18 | 0,668 | 15,521 | 0,665 | -4,073 | -0,449 |
| | в них учеников, тыс. | 3846 | 159,1 | 3922 | 160,6 | 4042 | 164,8 | 3,060 | 2,615 |
| 3 | Количество заведений профессионального (профессионально-технического) образования (на конец года) | 787 | 16 | 756 | 16 | 736 | 16 | -2,646 | 0,000 |
| | в них учеников, слушателей, тыс. | 286 | 6,3 | 269 | 6 | 255 | 5,8 | -5,204 | -3,333 |
| 4 | Количество заведений высшего образования (на начало учебного года) | 657 | 14 | 661 | 14 | 652 | 14 | -1,362 | 0,000 |
| | в них студентов, тыс. | 1587 | 22,6 | 1539 | 23,7 | 1522 | 23,8 | -1,105 | 0,422 |

**Количество учреждений дошкольного образования в Украине за 2016-2018гг. осталась неизменным – 14,9 тыс. учреждений, а численность детей в них уменьшилось на 22 тыс. чел. По Закарпатской области наблюдается незначительное их увеличение до 592 учреждений в 2018г. (2016г. – 582 учреждения), а численность детей в них уменьшилась до 46,6 тыс. чел.**

**Больше всего заведений общего среднего образования: в 2018г. в Украине – 15521 ед., количество учащихся в них – 4042 тыс. чел.; в Закарпатской области – 665 учреждений и 164,8 тыс. учеников. Наблюдается динамика по уменьшению численности заведений, но количество учеников увеличивается, поэтому необходимо наращивать мощности для создания подходящих условий для всех желающих учиться.**

**В Украине количество учреждений профессионального (профессионально-технического) образования и высшего образования за исследуемый период значительно не изменилась: соответственно уменьшились на 6,5% и 0,76%. Численность учащихся и слушателей в 2018г. составляла 255 тыс. человек, что на 31 тыс. чел. меньше 2016г., а численность студентов также уменьшилось на 65 тыс. чел. или 4,1%, причиной чего является ряд экономических, социальных и других проблем.**

**Повышение уровня образования населения является самостоятельной и вполне самодостаточной ценностью в контексте человеческого развития. Но при недостатке бюджетных средств, вполне возможным представляется вариант, когда за счет бюджетного финансирования готовятся кадры только в соответствии с прогнозом потребностей экономики.**

В этом контексте следует выделить еще один важный вопрос – имманентным признаком высшего образования должно быть тесное переплетение учебного и научного процессов, высшее образование должно основываться на научных исследованиях, а научная работа должна проводиться на высоком уровне и органично интегрироваться в учебный процесс. Так, в Украине подготовкой научных кадров занимается: третий уровень образования (аспирантура) – 431 научное учреждение (заведение высшего образования); четвертый (докторантура) – 270 учреждений (таблица 3). В Закарпатской области их соответственно 3 и 1 учреждение (данные 2018г.).

Таблица 3

Количество научных учреждений, занимающихся подготовкой научных кадров третьего и четвертого уровня образования [9]

| №п.п | Показатель | 2017г. | | 2018г. | | Абсолютный прирост (уменьшение) 2018/2017гг. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | Украина | Закар-патская обл. | Украина | Закар-патская обл. | Украина | Закар-патская обл. |
| 1 | Количество научных и высших учебных заведений, которые имеют аспирантуру / докторантуру, всего ед. | 475 / 277 | 3 / 1 | 431 / 270 | 3 / 1 | -44 / -7 | 0 / 0 |
| 2 | Количество аспирантов / докторантов, чел. | 24786 / 1646 | 425 / 20 | 22829 / 1145 | 517 / 18 | -1957 / -501 | 92 / -2 |
| 3 | Среднее количество аспирантов / докторантов, чел. / ед. | 52 / 6 | 142 / 20 | 53 / 4 | 172 / 18 | 1 / -2 | 31 / -2 |
| 4 | Количество лиц, зачисленных в аспирантуру / докторантуру | 7274 / 493 | 165 / 5 | 7172 / 544 | 164 / 11 | -102 / 51 | -1 / 6 |
| 5 | Количество лиц, окончивших аспирантуру / докторантуру | 6087 / 543 | 59 / 3 | 6401 / 963 | 98 / 13 | 314 / 420 | 39 / 10 |

Количество аспирантов в Украине в 2018г. составляло 22829 человек, в том числе были зачислены 7172 чел., а закончили - 6401 чел., по сравнению с 2017г. уменьшилась на 1957 чел. В Закарпатской области в аспирантуре обучалось 517 чел., что на 92 чел. больше предыдущего года и на 158 чел. больше, чем в 2016г.

Общее количество докторантов в Украине в 2018г. составляла 1145 чел. (уменьшилось на 501 чел. по сравнению с 2017г.). В Закарпатской области 18 чел. обучаются в докторантуре, в 2018р. 11 чел. были зачислены, а 13 чел. закончили докторантуру.

Результаты анализа социальной стратификации населения экономически развитых стран свидетельствуют о том, что именно высокий уровень образования и квалификации является сейчас основным фактором конкурентоспособности на рынке труда и высоких заработков, вхождение к среднему классу и элиты общества. Следовательно, повышение уровня образования населения является одной из главных задач в деле формирования среднего класса, преодоления бедности, развития гражданского общества и обеспечения социальной стабильности в Украине.

Высокая образовательная подготовка населения, в частности профессиональная, является бесспорным приоритетом государственной социальной политики. Стратегия

социально-экономического развития Украины предусматривает существенное наращивание и повышение качества образовательного потенциала населения страны. Государство, если оно заинтересовано в инвестициях, должно быть заинтересованным и в рабочей силе высокого качества. Однако при отсутствии соответствующих инвестиций и низкой заработной плате квалифицированные экономически активные граждане Украины неизбежно будут искать лучшей судьбы за рубежом, то есть – помимо всех прочих крайне негативных последствий – это значит, что украинский бюджет будет финансировать подготовку рабочей силы для других стран.

Сегодня государство финансирует все имеющиеся в Украине виды образования (табл. 4). В 2018г. расходы государственного бюджета на образование составляли 210032,3 млн. грн., или 5,9% ВВП. Этот процент абсолютно сопоставим, и даже выше, чем в некоторых развитых странах мира. При этом «львиная» доля расходов направляется на финансирование общего среднего и высшего образования. Однако низкий объем украинского ВВП не позволяет должным образом финансировать данную отрасль.

Таблица 4

Расходы на образование по различным
видам учебных заведений в Украине [11]

| | | Дошкольное образование | Общее среднее образование | Профессионально-техническое образование | Высшее образование |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | Расходы на образование, млн. грн.: | | | | |
| | 2016г. | 20115,5 | 56532 | 6182,3 | 35233,6 |
| | 2017г. | 28210,1 | 84346,3 | 8278,9 | 38838,2 |
| | 2018г. | 31786,3 | 101690,6 | 10004 | 44243,6 |
| 2 | Количество соответствующих заведений: | | | | |
| | 2016г. | 14900 | 16858 | 787 | 657 |
| | 2017г. | 14900 | 16180 | 756 | 661 |
| | 2018г. | 14900 | 15521 | 736 | 652 |
| 3 | Размер расходов в расчет на одно учреждение, млн. грн.: | | | | |
| | 2016г. | 1,350 | 3,353 | 7,856 | 53,628 |
| | 2017г. | 1,893 | 5,213 | 10,951 | 58,757 |
| | 2018г. | 2,133 | 6,552 | 13,592 | 67,858 |
| 4 | Количество слушателей, обучающихся тыс. чел.: | | | | |
| | 2016г. | 1300 | 3846 | 286 | 1587 |
| | 2017г. | 1304 | 3922 | 269 | 1539 |
| | 2018г. | 1278 | 4042 | 255 | 1522 |
| 5 | Размер расходов в расчете на одного слушателя, грн.: | | | | |
| | 2016г. | 15473,5 | 14698,9 | 21616,4 | 22201,4 |
| | 2017г. | 21633,5 | 21505,9 | 30776,6 | 25236,0 |
| | 2018г. | 24871,9 | 25158,5 | 39231,4 | 29069,4 |

Самый высокий уровень расходов в расчете на одно учреждение за исследуемый период отмечается в высшем образовании: 2016г. – 53,63 млн. грн.; 2017г. – 58,76 млн. грн.;

**2018г. – 67,86 млн. грн. Однако, если рассматривать расходы в расчете на одного человека, который получает образование, то самым высоким является показатель для учеников, слушателей профессионально-технического образования, что связано с незначительным количеством лиц, получающих данное образование.**

**Большую проблему представляет также повышение эффективности использования средств, для чего необходимы изменения в системе управления. Финансирование осуществляется из Государственного и местных бюджетов, в состав которых включены средства общего (собственно бюджетные средства) и специального фонда (рис. 1). Последний формируется из средств, поступающих из других источников – платы за обучение по контрактам, оплаты дополнительных образовательных услуг и тому подобное.**




Рис. 1 Структура расходов на образование в Украине по видам бюджетов [11]

**Наибольшую долю совокупных бюджетных расходов на образование занимают государственный, районный бюджеты, бюджеты АРК, областные, городские и городов республиканского, областного значения. За 2016-2018гг. существенных изменений в структуре расходов на образование по видам бюджетов не произошло. Следует отметить уменьшение доли государственного бюджета с 26,91% в 2016г. до 21,10% в 2018г. А в связи с процессами децентрализации в Украине доля объединенных территориальных общин увеличилось: с 2,24% в 2016г. до 9,64% в 2018г.**

**Таким образом, можно констатировать, что только та страна, которая способна обеспечить приоритетное развитие науки (продуцировать новые знания) и опережающее образование, обеспечивает индивидуальное развитие человека, его социализации, помогает адаптироваться в стремительно меняющихся условиях, сможет претендовать на достойное место в мировом сообществе, быть конкурентоспособной. Для достижения необходимых позитивных изменений в объемах и динамике макроэкономических показателей и вхождения в группу наиболее развитых стран мира, Украине необходимо перейти к инновационной модели структурной перестройки экономики. Для этого, прежде всего нужно создать действенную национальную систему развития экономики знаний, что**

**требует нового качества человеческого капитала, а следовательно – создание адекватной и динамической системы образования, которая должна основываться на принципах всеохватности, непрерывности, доступности и обновления. Современное образование должно быть интегрированным с наукой, производством и бизнесом [12].**

**Итак, образование является определяющим институтом человеческого развития не только потому, что уровень образования населения непосредственно влияет на уровень человеческого развития, а прежде всего потому, что качественное образование предопределяет расширение возможностей людей во всех сферах жизни, а, следовательно, и повышение эффективности всех видов человеческой деятельности. Важной предпосылкой гармоничного и устойчивого человеческого развития в Украине является совершенствование системы образования как активного фактора стабилизации социально-экономического состояния.**

**литература:**


1. Dynamics of high growth enterprises–"gazelles"–in Czech Republic /M. Krošláková, V. Kubičková, L. Jurkovičová, N. Kubiniy// Business Perspectives. – 2015. – №2. – p.27-35 https://www.researchgate.-net/profile/Lujza-_Jurkovicova/publication/282679988_Dynamics_of_high_growth_enterprises-gazelles-in_Czech_Republic/links/56585f9708ae1ef9297db26a/Dynamics-of-high-growth-enterprises-gazelles-in-Czech-Republic.pdf
2. Kubiniy N., Marhitich V., Kosovilka T. Modern Content of Strategic Regional Development Potential. Economics and Business.2020. №1. URL: http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=eng&adgi=945&title=-Modern%20Content%20of%20Strategic%20Regional%20Development%20Potential
3. Валовий внутрішній продукт. https://index.minfin.com.ua/ua/economy/gdp/2019/.
4. Головне управління статистики в Закарпатській області. http://www.uz.ukrstat.gov.ua/-statinfo/statinfo.html.
5. Жукова В.О. Вища освіта як чинник розвитку національної економіки. Наукові праці КНТУ. Серія: Економічні науки. Випуск 15. 2009. С275-279 https://core.ac.uk/download/pdf/55293893.pdf.
6. Кубиний Н. Ю. Институализация инновационных стратегий: ретроспективный бекграунд / Н. Ю. Кубиний, Е. В. Пулянович, Т. И. --Косовилка // Науковий вісник Ужгородського університету. Серія : Економіка. - 2017. - Вип. 2. - С. 83-86. - Режим доступу: http://nbuv.gov.ua/UJRN/Nvuuec_2017_2_12
7. Лавриненко Л.М. Освіта як чинник соціально-економічного розвитку держави https://conf.ztu.-edu.ua/wp-content/uploads/2017/12/143.pdf.
8. Малий бізнес як фактор розвитку конкурентоспроможності регіону : монографія / [В. П. Мікловда, А. В. Ступко, І. Г. Брітченко, Н. Ю. Кубіній]. – Полтава : ТОВ «Фірма «Техсервіс», 2012. – 200 с.
9. Наукова та інноваційна діяльність України, 2018 Статистичний збірник Державна служба статистики України, Київ 2019.
10. Регіони України, 2019 Державна служба статистики України Вернер І. Є. (за редакцією), Київ, 2019 http://www.ukrstat.gov.ua/druk/publicat/kat_u/2019/zb/12/zb_ru1ch2019.pdf;
11. Статистичний збірник: «Бюджет України - 2018» Підготовлено відділом статистики державних фінансів Департаменту державного бюджету Міністерства фінансів України https://mof.gov.-ua/storage/files/Budget%20of%20Ukraine%202018%20(for%20website).pdf.
12. Турчіна С.Г. Розвиток економіки знань в умовах інтеграції України до світового господарства. Вісник УжНУ. Серія Міжнародні економічні відносини та світове господарство, Випуск 13. Ч.2, 2017. С. 133-136 http://www.visnyk-econom.uzhnu.uz.ua/archive/13_2_2017ua/31.pdf.
13. Україна в цифрах 2019 Статистичний збірник Київ, 2020 http://www.ukrstat.gov.ua/druk/-publicat/kat_u/2020/zb/07/zb_Ukraine%20in%20figures_u.pdf.

## Education and its impact on  Economic Development in Ukraine

**N. Kubiniy**
**O. Danaikanych**
**N. Beley**

Summary

**The role of education and science in economic development and the formation of a competitive economic system is revealed. The growth rates of gross domestic product and indicators characterizing the state of education in Ukraine are analyzed which made it possible to reveal the main factors inhibiting education in Ukraine, and as result - knowledge economy. Proposals for the development of the country's economy based on the use of the resource of knowledge and science are grounded.**

***Key words: education, economic development, knowledge economy, competitiveness.***

# ბიოპროდუქტების წარმოების შესაძლებლობები საქართველოში და მისი როლი აგრარული სექტორის განვითარებაში

**თამარ ლაზარიაშვილი**
***ასისტენტ პროფესორი***
***ივანე ჯავახიშვილის სახელობის***
***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის***
***ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის***
***მიკროეკონომიკის კათედრა***

*დღეს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის პრიორიტეტია ორგანული ბიომეურნეობის განვითარება. საქართველოს, მისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს კარგი პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისთვის. ეფექტიანი ბიოწარმოების შექმნითა და შესაბამისი სარეკლამო კამპანიით შესაძლებელია მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრება.*

*სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოების შესაძლებლობები და ნაჩვენებია მისი როლი აგრარული სექტორის განვითარებაში. შესწავლილია ამ პროდუქტებით მოსახლეობის დაინტერესების დონე და დასახელებულია ამ სახეობის პროდუქტის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები, ბიოპროდუქტების ბაზრის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.*

*საკვანძო სიტყვები: ბიოპროდუქტების წარმოება, აგრარული სექტორი, ბიოპროდუქტების ბაზარი, კონკურენტუნარიანობა, კონკურენციის დონე.*

ბოლო წლებში სწრაფად იზრდება მოთხოვნა ბიოპროდუქტებზე. საქართველოს აქვს რესურსული პოტენციალი და დიდი პერსპექტივა, იყოს ბიოპროდუქტების სერიოზული მწარმოებელი და კონკურენცია გაუწიოს სხვა, ევროკავშირის ექსპორტიორ ქვეყნებს. ბიოპროდუქტებით ქვეყნის თვითუზრუნველყოფა, საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოება და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება, საქართველოს აგრარული სექტორის ძირითადი ორიენტირია. ბოლო წლების მონაცემებით ბიოპროდუქტების მსოფლიო ბაზარი 3-ჯერ და მეტად გაიზარდა, ექსპერტების პროგნოზით კი 2020 წლისათვის ამ ბაზრის ბრუნვა 200-250 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს [1]. საქართველოში ბიოპროდუქტების ბაზარი განუვითარებელია, თუმცა, უკვე გამოიკვეთა ბიოპროდუქტების მომხმარებელთა ფენის ჩამოყალიბების ტენდენცია [2]. ასეთი მომხმარებელი მზად არის გადაიხადოს განსხვავებული ფასიც [3, გვ.8]. მით უმეტეს, რომ მოსახლეობის შემოსავლები თანდათან იზრდება. ასევე, სხვადასხვა კვლევით დასაბუთებულია ქართველი მომხმარებლების ჯანსაღი კვების მიმართ მყიდველობით დამოკიდებულებაც [4]. საქართველოში უპირატესად მოთხოვნაა ადგილობრივი წარმოების პროდუქტებზე - მომხმარებელს მიაჩნია, რომ ისინი ნაკლებად შეიცავენ კონსერვანტებსა და სხვა მავნე ნივთიერებებს [5]. საქართველოს თავისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე კარგი შესაძლებლობა აქვს, რომ ბიოპროდუქტების სულ უფრო მზარდ ბაზარზე გარკვეული სეგმენტი დაიკავოს. საქართველოში 3 მილიონ ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწაა. ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი 14,8% შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას არ აქვს პროდუქციის დიდ ფართობებზე წარმოების საშუალება, სასურველია აქცენტი პროდუქციის ხარისხზე და არა რაოდენობაზე იყოს აღებული. საქართველოს აგრარულ სექტორში დღეს მთელი რიგი გამოწვევებია. მთავარ გამოწვევად რჩება დარგში მწარმოებლურობის დაბალი დონე. მაგალითად, საქართველო-

ში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ქვეყნის მთლიან მიწის ფონდში შეადგენს 49%-ს, ისრაელში 20%-ს. ე.ი ისრელს საქართველოსთან შედარებით 2-ჯერ და მეტად ნაკლები სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი აქვს. მიუხედავად ამისა, ისრაელის სოფლის მეურნეობა მსოფლიო ექსპერტების მიერ შეფასებულია როგორც ფენომენი, ამის დასადასტურებლად ისიც საკმარისი, რომ მიწის ფონდის ასეთი შეზღუდული რესურსის პირობებში ისრაელში ფერმერთა 3,7% თითქმის 95%-ით აკმაყოფილებს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს. საქართველოში დაბალია ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები (საშუალოდ 35-60%-ის ფარგლებში) და სასურსათო უსაფრთხოების მხრივ პრობლემებია [6].

საქართველოში ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობებს იძლევა. აგრარულ სექტორში კვების პროდუქტების მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობა გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტრადიციული სისტემის ალტერნატიური გზის მოძებნის აუცილებლობას. მომხმარებელთა მოთხოვნების საფუძველზე ევროპაში სულ უფრო იზრდება ორგანული საკვების წარმოება [7].

დღეს ქვეყანაში მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს [8]. მოსახლეობისრკეთილდღეობისრშესახებ ჩატარებული კვლევით სიღარიბის დონე ბოლო წლებში შემცირდა, თუმცა, მოსახლეობის 2.1% კვლავაც უკიდურეს სიღარიბეშია [9, გვ.6]. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სოფლის მოსახლეობა თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად აქტიურად ეძებს შემოსავლისა და დასაქმების ახალ გზებს, განსაკუთრებით მათთვის მიმზიდველია ის დარგები, სადაც საქმიანობის გამოცდილება აქვთ. ასეთ დარგთა შორის უპირველესად განიხილება სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული დარგები. უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებით სწრაფად იზრდება მოთხოვნა ბიოპროდუქტებზე. ბიომეურნეობაში არ გამოიყენება ქიმიური პრეპარატები, სასუქები და სხვა მსგავსი ნივთიერებები ან მეთოდები, რომლებიც უარყოფითად აისახება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. თუ ადრე ბიოპროდუქცია მხოლოდ ელიტარულ მომხმარებელზე იყო გათვლილი, დღეს უკვე გაჩნდა ამ პროდუქციით რიგითი მომხმარებლის დაინტერესების ტენდენცია და გაიზარდა კონურენციაც. დღეისათვის აფრიკის, ლათინური ამერიკის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სერიოზულ განაცხადს აკეთებენ ბიობაზარზე და სწორი საექსპორტო პოლიტიკით დიდ წარმატებასაც აღწევენ. ბიობაზრის განვითარება დღეს საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსახლეობის 42.8% (1,591.9 ათასი ადამიანი) სოფლად ცხოვრობს (2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით), ხოლო 2015 წელს დასაქმებულთა 48.6% სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა, თევზჭერა, მეთევზეობაშია დასაქმებული. 2017 წელს სოფლის მეურნეობის დარგის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 8,9% იყო. (სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია საქართველოში). წარმოებული პროდუქტები კონკურენციას ვერ უწევს იმპორტულ აგროსასურსათო პროდუქტებს. ასეთი მეურნეობები ორიენტირებულია მხოლოდ საკუთრი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ამიტომ ბიოპროდუქტების წარმოებას საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ბიოფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია მაღალი ხარისხი, შესაბამისი კვალიფიკაცია და კარგი მოტივაცია ფერმერების მხრიდან. დღეს საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 16,2%-ია გამოყენებული სახნავსა და მრავალწლიანი ნარგავებისათვის. მოსახლეობის ერთ სულზე 0,15 ჰა სახნავი მოდის. საქართველოს მოსახლეობის დაახლოვებით 50% ფერმერია, ფერმერობა მეტად მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში, მაგრამ საჭიროებს მთავრობის სრულ მხარდაჭერას [10].

ქართველი ფერმერების უმრავლესობა საქონელს ადგილობრივ ბაზარზე ასაღებს. საქართველო ახორციელებს საკვების დიდი ნაწილის იმპორტირებას საზღვარგარეთის

ქვეყნებიდან, არადა არსებობს ადგილობრივი წარმოების გაზრდის ძალიან კარგი პოტენციალი.ქართველი ფერმერების 50%-ზე მეტი, პროდუქციის წარმოებისთვის ისევ იყენებს ჭარბი შემცველობის ქიმიკატებს, ქვეყანას, თავისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, კარგი პოტენციალი აქვს, რომ ბიოპროდუქციის მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი გახდეს ევროკავშირის ქვეყნებისთვის. პრობლემას ისიც წარმოადგენს, რომ ფერმერების ნაწილი აწარმოებს ისეთ პროდუქციას, რომლის სიჭარბეცაა ადგილობრივ ბაზარზე, შესაბამისად, პროდუქტის ფასი დაბალია, ან საერთოდ არ იყიდება. ფერმერების გარკვეული ნაწილი დეფიციტურ პროდუქტს აწარმოებს, რაც თავის მხრივ თვითღირებულებას ზრდის და კონკურენციას ვერ უწევს იმპორტირებულ პროდუქციას. შესაბამისად, ფერმერი იძულებულია თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაყიდოს პროდუქცია, რის გამოც ზარალდება. პრობლემიდან გამოსავალს სპეციალისტები ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერატივების შექმნაში ხედავენ.

მცირემიწიანობის პირობებში, აგროპროდუქტის წარმოება არაეფექტიანია. წარმოების მასშტაბების გამსხვილებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომელიც უზრუნველყოფს მიწების გამსხვილების პროცესს; სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გაუმჯობესებას. ასევე ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველოში  ბიოაგროწარმოების განვითარების დიდი შესაძლებლობებია. პროდუქციის რაოდენობით დიდ ქვეყნებს კონკურენციას ვერ გავუწევთ, მაგრამ ამ პროდუქციის მაღალი ხარისხით ბიოაგროწარმოებას განვავითარებთ [11]. საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოება და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება, სამამულო პროდუქციის სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფა საქართველოს აგრარული სექტორის ძირითადი ორიენტირია.ბიომეურნეობა განსაკუთრებული ნიშაა საქართველოსთვის მსოფლიო ეკონომიკის ბაზარზე. სოფლებს სჭირდებათ ეკონომიკური შესაძლებლობები, იმისათვის რომ, მოსახლეობამ არ დატოვოს სოფლები და არ გადასახლდეს სხვა ქალაქებში და ქვეყნებში.

საქართველოს მთავრობამ აგროსექტორის განვითარება უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად აღიარა. შემუშავდა ქვეყანაში აგრარული პოლიტიკის სტრატეგია, რომლის განხორციელების ფარგლებში (შემთხვევაში-აგროკავკასია): დარეგულირდება მიწათსარგებლობის საკითხები; სასოფლო-სამეურნეო სექტორი უზრუნველყოფილი იქნება მომსახურებითა და ნედლეულით; მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით; გაიზრდება აგრარულ სექტორში მწარმოებლურობა, რენტაბელურობა და კონკურენტუნარიანობა; გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები; ჩამოყალიბდება აგრარული განათლებისა და მეცნიერების, კონსულტირებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემა; ქართული პროდუქცია დაბრუნდება შიდა ბაზარზე, თუმცა ბიომეურნეობების განვითარებისათვის აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ფერმერებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა და კვალიფიკაცია, იმის შესახებ თუ რას ნიშნავს ბიომეურნეობა, ბიოპროდუქტი. რა პერსპექტივები აქვს ამ დარგს;
- მიზანშეწონილია ბიო წარმოების შესახებ შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება ბიო ფერმერული კოოპერატივების განვითარებისა და ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის;
- მეტი ყურადღება უნდა მიიმართოს დამწყები ფერმერების მიმართ, რათა მაქსიმალური მოსავალი მიიღონ და კონკურენცია გაუწიონ ადგილობრივ ბაზარზე, დემპინგური ფასით შემოსულ პროდუქტს, ამისათვის კი საჭირო იქნება სახელმწიფო დახმარების პროგრამის ამოქმედება;

**• ბიომეურნეობის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლოდნორმატიული ბაზის არსებობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროსტანდარტებთან;**

**• უნდა მოხდეს ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებულთათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა რომ დასაქმებულებს საშუალება მიეცეთ დაიკმაყოფილონ ძირითადი მოთხოვნილებები, იმუშაონ ჯანსაღ გარემოში, მიიღონ თავიანთი შრომის ადეკვატური ანაზღაურება და შესაბამისად შექმნან მაღალი ხარისხის პროდუქცია;**

**• საჭიროა შემუშავდეს ბიო პროდუქტების გაყიდვებისა და მარკეტინგული მხარდაჭერის პროგრამები; სასურველია მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა პროდუქტის ბრენდირება და პოპულარიზაცია, რეგულარული ლოკალური ბაზრობების გამართვა.**

**ბიომეურნეობების განვითარება მოგვცემს შესაძლებლობას ვაწარმოოთ კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქცია, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებას და საექსპორტო შემოსავლების ზრდას, რაც სურსათზე ადგილობრივი მოთხოვნილების დასაბალანსებლად იმპორტული პროდუქციის შესყიდვის საშუალებას იძლევა. ამავე დროს, უნდა ვააწარმოოთ მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა და მრავალფეროვანი პროდუქცია, რომელიც ყოველმხრივ დააკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას სურსათზე. საქართველოს, მისი იშვიათი ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე, აქვს ძალიან დიდი პერსპექტივა, რომ გახდეს ბიოპროდუქტების რეალური მწარმოებელი ქვეყანა და ასევე, კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისთვის.**


გამოყენებული ლიტერატურა:

1. დუნდუა თ., გიგაური მ., „გლობალური მიმართულებები ბიოწარმოებასა და ბაზარზე“, 2017, http://agronews.ge/ratom-irchevs-momkhmarebeli-bioproduqtsias/;
2. სახოკია ე., „ევროკავშირი - სიდიდით მეორე ბიო ბაზარი მსოფლიოში“, 2017, http://eugeorgia.info/ka/article/608/evrokavshiri---sididit-meore-bio-bazari-msoflioshi/;
3. სირბილაძე გ., მემარნიშვილი ნ., „საქართველოს ფერმერთა კოოპერატივებისთვის კვლევის ანგარიში, 2016, გვ. 38 http://www.elkana.org.ge/uploads/98/Cooperative%20Research%20Georgia-Geo.pdf;
4. თოდუა ნ., „გლობალიზაციის გავლენა ჯანსაღი კვებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულებაზე“ http://eprints.tsu.ge/399/1/The%20Impact%20of%20Globalization%20on%20the-%20Attitude%20of%20Georgian%20Consumers%20to%20Healthy%20Nutrition.pdf;
5. ხარაიშვილი ე., “Challenges of sustainable food security”, 2017;
6. ხარაიშვილი ე., სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები საქართველოსა და ისრაელში: ინოვაციური მიდგომები და მოდელები, ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“, #1-2, 2018;
7. Kharaishvili E., Lazariashvili T., Natsvlishvili I., Bio-products market in Georgia: current challenges and development perspectives. Int. J. Markets and Business Systems, Vol. X, No. Y, xxxx. Copyright © 20XX Inderscience Enterprises Ltd;
8. საქართველოს მოსახლეობა, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 წელი, www.geostat.ge;
9. საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა მეოთხე ეტაპი, 2015 წელი, გვ. 6;
10. გიგუაშვილი გ., აზმაიფარაშვილი მ., /ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია/2020;
11. ლაზარიაშვილი თ. ბიოპროდუქტების ბაზარი: მსოფლიო გამოცდილება და გამოწვევები საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: გეოგრაფიული მეცნიერება გლობალურ კონტექსტში: მიღწევები და გამოწვევები, 2017.

# Opportunities for Organic Production in Georgia and its Role in Agricultural Sector Development

**Tamar Lazariashvili**
***Assistant Professor***
***Ivane Javakhishvili Tbilisi State University***
***Faculty of Economics and Business***
***Departement of Microeconomics***

S u m m a r y

**The development of organic organic farming is a priority for most countries in the world today. Due to its unique natural conditions, Georgia has a good prospect of becoming a serious producer of organic products and a competitive exporter to EU countries. By creating effective organic production and relevant advertising campaigns, it is possible to establish itself in the world market.**

**The article analyzes the possibilities of producing organic products in Georgia and shows its role in the development of the agricultural sector. The level of public interest in these products has been studied and the problems related to the production of this type of product have been named, conclusions have been made based on the analysis of the organic products market and relevant recommendations have been proposed.**

***keywords: Production of organic products, agricultural sector, market of organic products, competitiveness, level of competition.***

# Обучающиеся организации: базовые теоретико-методологические положения концепции и актуализация ее внедрения

**Л. О. Лигоненко**
*доктор экономических наук, профессор*
*Киевский национальный экономический*
*университет имени Вадима Гетьмана*

**Л. Л. Жукова**
**аспирантка**
*Киевский национальный экономический*
*университет имени Вадима Гетьмана*

**Актуальность Непредсказуемость изменений и связанная с ней неопределенность среды единодушно признаются исследованиями в качестве основного вызова современной экономики. Появление нового фактора влияния во внешней среде создает ряд требований к формированию бизнес-организациями стратегий адаптаций. Как известно, в условиях изменений выживают не самые сильные и не самые умные, а самые восприимчивые, гибкие и быстрые. Способность правильно идентифицировать возможности, отличить скрытую суть проблемы от внешнего факта события, управлять не стратегиями, а потенциалами изменений, - далеко не полный перечень новых компетенций современного управления. В результате эффективность - как человека, так и бизнес-организации - зависит не столько от рутинного багажа знаний и опыта, сколько от развития собственных и/или коллективных умений создавать эффективные решения и выборы в каждой конкретной ситуации. Именно эта идея является ключевой в концепции обучающейся организации. Как сформулировал П. Сенге, создатель этой концепции, обучающаяся организация «*сможет* решать проблемы и *использовать* возможности сегодняшнего дня..., поскольку ее члены постоянно сосредоточены на повышении и расширении своего коллективного сознания и возможностей» [1].**

**Как справедливо заметил П. Сенге, краеугольным камнем перехода к пониманию эффективно функционирующей организации (в основе которой лежит стратегическое видение, реинжиниринг, реструктуризация, инновации и т.п.) как «обучающейся» организации, является кардинальный пересмотр того, что собой представляет процесс, понимаемый как обучение (имеется в виду- корпоративное).**

**Цель данной статьи состоит в том, чтобы систематизировать основные теоретические положения и выделить основные отличительные характеристики обучающейся организации как наиболее эффективной организационной формы бизнеса в условиях экономики знаний и ее креативной парадигмы.**

**Изложение материалов исследования Сама идея обучения не является новой ни в экономике, ни в менеджменте. Ежегодно ей посвящается сотни публикаций, в частности наших грузинских коллег- [2,3]. Однако вернемся к истокам.**

**Еще Тейлор обращал внимание менеджеров на необходимость обучать и развивать рабочего: «Точно так же максимальное благосостояние для каждого работника означает не только более высокую заработную плату, чем обычно получают люди его класса, но, что еще более важно, это также означает развитие каждого человека до его состояния максимальной эффективности, чтобы он мог выполнять, вообще говоря, самую высокую степень работы, для которой его природные способности подходят ему, и это далее означает предоставление ему, когда это возможно, этого класса работы». [4, с.8]**

**П. Друкер в своих трудах неоднократно возвращается к теме обучения в контексте роли знания, как основного фактора повышения производительности в экономике знаний. В связи с этим, он акцентирует внимание на появление новых целей обучения: «В обществе знаний люди должны учиться тому, как учиться» [5, с.211], (т.е. речь идет об организации и методическом обеспечении данного процесса). Решение этой задачи он видит в том, чтобы перейти от стратегий быстрого обучения навыкам, к стратегиям глубокого обучения, в которые вовлечены все мотивационные и познавательные возможности человека.**

**В своем последнем труде «Менеджмент нового времени: простые механизмы, ведущие к росту, инновациям и доминированию на рынке» Э. Деминг обосновал идею необходимости трансформации традиционного менеджмента, с которым он связывал огромные потери, ведущие экономику к упадку. Для решения этой задачи он разработал концепцию «глубинных знаний», и указал, что обучение есть процесс, обеспечивающий трансформацию понимания, как управлять. [6, с.18-19]**

**Таким образом, Ф. Тейлор связывает обучение с развитием квалификации и эффективности, Э. Деминг понимает обучение как обеспечение качественных трансформаций, а П. Друкер указывает на кардинальное изменение цели обучения и способа ее реализации. Все эти утверждения подготавливают понимания основных отличий задач обучения в обучающейся организации от традиционной.**

**П. Сенге пишет об этих задачах так: «Производите ли вы знание? Знание в данном случае означает способность к эффективному действию. Показывает ли ваша организация возможности, которых у нее не было раньше, и чувствуете ли вы, что то, что вы узнали, качественно отличается – "добавленной стоимостью" - от данных, которые вы исследовали?» [1, с.59]**

**В обучающейся организации, которая является субъектом интеллектуальной экономики (экономики знаний), производящий труд имеет характер мышления. Формами, посредством которых этот труд реализуется, являются все когнитивные процессы человека, а также речь, умение общаться и умение учиться. Это, как справедливо заметил С. Вирно "происходит именно тогда, когда мысль становится основным источником производства богатства. Мышление перестает быть невидимой деятельностью и становится чем-то внешним или "публичным" с того момента, когда оно вторгается в производственный процесс» [7, с.115].**

**П. Сенге определяет это по-своему: «Как только мы начнем осознавать, как мы думаем и взаимодействуем, и начнем развивать способности думать и взаимодействовать по-другому, мы уже начнем изменять наши организации к лучшему». [8, с.58].**

**Похожую мысль высказал М. Кастельс: «То, что мы думаем и как мы думаем, находит выражение в товарах, услугах, материальной и интеллектуальной продукции, будь то пища, кров, транспортные и коммуникационные системы, компьютеры, ракеты, образование, здравоохранение или образы» [9].**

**Все утверждения определяют новую, характерную для интеллектуального производства причинно-следственную связь: первичность мысли – вторичность экономических результатов, как ее объективаций. Они же объясняют, почему в обучающихся организациях основное внимание уделяется практикам изменения ментальных моделей, системному мышлению и производству знаний. В таблице 1 нами систематизированы наиболее известные концепции обучения, и их влияние на теорию обучающейся организации.**

Таблица 1. Систематизация идей, положенных в основу концепции обучающейся организации.

| Автор | Содержание идеи | Что вобрала в себя обучающаяся организация |
|---|---|---|
| Ф. Тейлор | Признание необходимости обучения рабочего для освоения им принципов организации труда, что способствует повышению эффективности. | Обучение как основа повышения квалификации и эффективности. |
| П. Друкер | В обществе знаний знание является источником производительности. Трансформация идеи обучения от training к learning. Обучение через знание способствует и обеспечивает рост производительности. | Обучение как основа повышения производительности в обществе знания. |
| Э. Деминг | Концепция «глубинных знаний» | Обучение как основа трансформации и непрерывного совершенствования. |
| К. Арджирис | Когнитивные карты и межличностное общение. | Роль когнитивных моделей в создании знаний, роль открытого межгруппового взаимодействия в обмене достоверной информацией. |
| Э. Шайн | Концепция культуры организационного обучения. | Наличие культуры как набора рутин, определяющих операционные процедуры обучения. |
| П. Сенге | Концепция обучения, связанная с пятью дисциплинами. | Метальные модели, исполнительское мастерство в решениях, групповое обучение. |
| Д. Форрестер | Обучение как смена интеллектуальных моделей. Привлекается эксперт. | Обоснование необходимости влияния извне. |
| Т.Бойдел | Создание климата, способствующего обучению и групповой работе. | Организация внутренней среды и атмосфера доверительных взаимодействий. |

***Собственная разработка авторов***

**Классическое определение «обучающейся организации», которое интегрирует все, дал П.Сенге. По его словам «обучающаяся организация» – это организация, которая постоянно и непрерывно генерирует идеи, приобретает и распространяет знания, изменяет и совершенствует свое поведение на основе изучения собственного ментального, межличностного и группового коммуникативного опыта, создает новые продукты и услуги, постоянно используя идеи сотрудников и анализируя знания клиентов и партнеров. [1,8]**

**По мнению основателя концепции Питера Сенге переход к обучающей организации базируется на пяти «умениях» или «дисциплинах», которые практикуются в рамках непрерывного совершенствования:**

**1) Личное мастерство:**

**– обучение расширению личных возможностей для достижения результатов, которые больше всего желательны;**

**– создание организационной среды, которая поощряет всех ее членов развивать себя в направлении целей и задач, которые ими выбраны.**

**2) Ментальные модели:**

**– размышление, постоянное прояснение и улучшение персональных картин мира;**

**– развитие умения осознавать, как они формируют персональные действия и решения.**

**3) Формирование общего видения:**

**– развитие чувства приверженности к группе путем разработки общих образов;**

**– овладение принципами и практиками, с помощью которых эти образы воплощаются.**

**4) Групповое обучение:**

**– трансформация навыков общения и коллективного мышления;**

**– техники развития межличностного общения и интеллектуальных способностей, результатом чего является развитие коллективных способностей, суммарно превышающих способности любого отдельного члена команды.**

**5) Системное мышление:**

**– способ мышления и язык для описания и понимания сил и взаимосвязей, которые формируют поведение систем;**

**– дисциплина создает возможность управлять организацией, как системой.**

**Все «умения» или «дисциплины» представляют собой единое целое, однако каждая имеет свои рычаги воздействия на эффективность организации. Например:**

**– личное мастерство в качестве рычага воздействия использует инструментарий гармонизации личных целей персонала с целями организации, формирование внутренней долгосрочной нематериальной мотивации участия в деятельности организации;**

**– построение ментальных моделей способствуют обновлению и усовершенствованию когнитивного инструментария персонала, приобретению интеллектуальных и творческих компетенций, рефлексии;**

**– развитие общего видения является предпосылкой формирования корпоративной культуры доверия и творчества, способствующей открытым взаимодействиям, поощряющей свободное высказывание идей, обмен информацией, знаниями, гипотезами и т.д.;**

**– командное обучение формирует эффект синергии командного взаимодействия, формирование коллективного «разума» организации, что является труднокопируемыми уникальными организационными компетенциями;**

**– системное мышление создает способность прогнозировать и проектировать реакции организации, как целостной структуры.**

**Такое понимание важнейших составляющих «обучающейся организации» можно идентифицировать как базовую (или американскую) модель обучающей организации.**

**Ее логическим развитием является европейская модель. Она раскрывает специфику обучающейся организации в более четком перечне наиболее значимых характеристик, которые должны быть реализованы в организации для идентификации ее, как «обучающейся»:**

**1.«Обучающийся» подход к выработке стратегии – стратегия требует непрерывного развития и трансформации на основе результатов «обучения» - оценки результатов ее внедрения, а также лучших практик стратегического управления;**

**2.«Коллективная» политика управления – привлечение персонала к выработке стратегии и всем стратегически важным решениям;**

**3. Информационная открытость – создание условий для демократизации информации, которая понимается как создание открытой базы данных для решений;**

**4. Учет и контроль деятельности организации - финансовая информация открыта и используется в качестве данных для анализа при выработке стратегических и тактических решений;**

**5. Внутренний обмен услугами – каждое подразделение одновременно выступает и как поставщик услуги, и как ее потребитель, что подразумевает различные ролевые и этические взаимодействия, оценку ценности отдельных подразделений- участников бизнес-процессов;**

**6. Гибкие механизмы вознаграждения – основной принцип справедливого вознаграждения – меритократический, предусматривающий оценку деятельности как сотрудников, так и подразделений по их вкладу в полученный результат;**

**7. Гибкая структура – в управлении применяются гибкие процедуры и регламенты, поощряются и проводятся различные эксперименты в области организационного дизайна;**

**8. Постоянное «сканирование» окружающей среды – в целях анализа возможностей развития стимулируется постоянное сканирование внешней и внутренней среды бизнес-организации по широкому перечню факторов и индикаторов раннего выявления угроз и возможностей;**

**9. Совместные проекты организации и связанных с нею групп – активное партнерство со всеми группами стейкхолдеров, в частности в вопросах совместного обучения, обмена знаниями и информацией;**

**10. Корпоративная среда, способствующая обучению – особое внимание уделяется созданию атмосферы межличностных коммуникаций, которая способствует свободному обмену информацией, знаниями и идеями; ошибки допускаются и не наказываются, поскольку рассматриваются как возможности переосмыслений и новых идей;**

**11. Постоянное саморазвитие каждого сотрудника – на каждого работника планируется индивидуальный бюджет развития, который он инвестирует в индивидуальную траекторию обучения и карьеры.**

**Дальнейшая конкретизация элементов, требований и отличительных особенностей «обучающейся организации» представлена в работе В.А. Спивака [10]:**

- **Ориентация на клиента (или клиенто-ориентированный подход) предполагает, что любые субъекты, вступающие во взаимодействие, рассматривают друг друга как клиенты, что повышает ценностную и этическую составляющую общения;**
- **Бенчмаркинг - изучение передового опыта с целью его ассимиляции в своей бизнес-организации, знакомство с передовыми идеями, инсайтами и направлениями для их последующего осмысления с целью внедрения или творческого использования;**
- **Структура, основанная на командах – на смену жесткой иерархической организационной структуре приходят организационные команды, которые наделяются правами полной автономии и ответственности, самостоятельно вырабатывают принципы решения поставленных задач и их делегирование;**
- **Инновационная культура - каждый сотрудник имеет индивидуальный план развития компетенций личностного и профессионального роста, участвует в генерации инновационных идей и поиске решений имеющихся проблем или использования новых возможностей;**
- **Непрерывное обучение сотрудников - наличие бюджета обучения как на уровне предприяия в целом, так для каждого сотрудника, что позволяет формировать и реализовывать индивидуальные траектории обучения;**
- **Развитие потенциала – наличие творческого потенциала признается за каждым сотрудником, организация обязуется предоставить все возможности для его раскрытия и развития;**
- **Менеджмент знаний – обеспечивается высокое качество управления знаниями на уровне бизнес-организации, осуществляется переход от тацитного знания к имплицитному;**
- **Открытость и доступ информации для сотрудников – поддерживается атмосфера прозрачности, доступ к информации рассматривается как условие генерирования правильных идей и принятия качественных решений.**

**Таким образом, представленные сегодня в научной и учебной литературе модели «обучающейся организации» не являются антагонистическими. На наш взгляд, происходит**

**развитие и конкретизация идей П. Сенге, даются более четкие параметры обучающей организации, которые в последующем могут быть положены в основу идентификации степени зрелости при внедрении данной концепции в конкретных предприятиях и организациях.**

**Таблица 2 характеризует важнейшие отличия классической (иерархической) организации от «обучающейся».**

Таблица 2. Основные характеристики двух типов организаций

| Характеристики | Классическая (иерархическая) организация | Обучающаяся организация |
|---|---|---|
| Цели | Выживание, достижение конкурентных преимуществ | Развитие творческих потенциалов каждого, создание обучающегося сообщества, что позволяет сформировать долговременные трудно копируемые конкурентные преимущества. |
| Стратегия | Реактивное построение стратегий | Определяется как трансформационное бесконечное развитие. |
| Тип лидерства | Лидерство, основанное на власти | Неформальное, меритократия. |
| Взаимодействие с внешней средой | Конкурентная борьба | Сотрудничество и обмен информацией с целью определения и максимального использования возможностей развития. |
| Мотивации | Материальные стимулы и поощрения персонала | Нематериальная мотивация творческого развития (креативности) не только персонала организации, но и стейкхолдеров (клиентов, партнеров) |
| Задачи обучения | Вооружить знаниями, сформировать навыки. | Обучение анализу собственные когнитивных процессов, целенаправленной их трансформации и рефлексивному управлению ими. |
| Основные методы обучения персонала | Традиционные: курсы, тренинги, кружки, инструктажи | На уровне индивида (работника предприятия) - развитие персонального профессионального мастерства, успешная карьерная траектория, удовлетворенность собственной жизнью, осознание ценности для общества;<br>на уровне организации - открытое групповое взаимодействие. |
| Принцип принятия решений | Решения опираются на правила и процедуры | Решения принимаются на основании индивидуального или группового видения, часто интуитивны. |
| Коммуникации | Информация формализована и недоступна | Стимулируются неформальные коммуникации, открытость, доверие. Информация носит демократический характер, прозрачна, используется как основа для принятия решений. |
| Менеджмент знаний | Знания и процедуры их использования формализованы | Применяется управление знаниями как целостный процесс перевода неформальных знаний в формальные. |

***Собственная разработка авторов***

**Как видно из приведенной таблицы, имеются существенные различия в характеристиках традиционной и обучающейся организаций. На наш взгляд, они обусловлены различными целями, ради которых эти организации создаются. Можно сказать, что в целях, задачах и принципах функционирования традиционной организации в лучшем случае отображено понимание персонала как существенного интеллектуального ресурса предприятия. В то время**

**как обучающаяся организация рассматривает персонал в качестве субъекта интеллектуальной деятельности, что существенно повышает экономическую отдачу от его действий.**

**Сама идея привлечения людей к размышлению и развитию их собственных мыслительных процессов, лежащая в основе создания обучающихся организаций, показывает экономическую состоятельность и формирует возможности для повышения организационной адаптивности. Создание условий для обучения людей «личному мастерству зависит от отказа от предположения, что люди в первую очередь мотивированы деньгами, признанием и страхом. Вместо этого предполагается, что в правильной атмосфере люди будут вносить свой вклад и брать на себя обязательства, потому что они хотят учиться, делать хорошую работу ради нее самой и быть признанными как люди» [6, с.8-9]. Как создать правильную атмосферу – это вопрос создания мотиваций, которые являются в обучающихся организациях совершенно особенными.**

**Четыре из пяти дисциплин учитывают то, что в традиционных организациях никогда не входит в круг интересов собственников.**

**Дисциплина «Развития персонального мастерства» основана на разработке целостного личного видения — результатов, которых человек больше всего хочет создать в своей жизни. «Это порождает творческое напряжение, которое при культивировании может расширить вашу способность делать лучший выбор и достигать большего количества результатов, которые вы выбрали.» [1, с.8-9].**

**Дисциплина «Ментальные модели» является дисциплиной рефлексии и навыков исследования, она сосредоточена на развитии осознания установок и восприятий, что является ведущим навыком для работника знаний. Поскольку большинство ментальных моделей в образовании часто “неразборчивы” и скрыты от глаз, одним из важнейших действий для обучающейся организации является развитие способности безопасно и продуктивно говорить об опасных и неудобных объектах и темах. Следовательно, конфликт, противоречие задействуются в обучающихся организациях как источник активации рефлексии и исследования, что влияет на формирование творческих умений персонала в анализе экономических проблем.**

**Дисциплина «Общее видение:» - это коллективная дисциплина, которая устанавливает фокус на взаимной цели. «Люди с общей целью могут научиться воспитывать чувство приверженности в группе или организации, разрабатывая общие образы будущего, которое они стремятся создать, а также стратегии, принципы и руководящие практики, с помощью которых они надеются достичь этого.» [1, с.8-9].**

**Дисциплина «Командное обучение:» - это дисциплина группового взаимодействия. С помощью таких методов, как диалог и умелое обсуждение, небольшие группы людей преобразуют свое коллективное мышление, учатся мобилизовывать свою энергию и действия для достижения общих целей.**

**Итак, обучающаяся организация предоставляет своему персоналу целый спектр мотивов, которые наполняют жизнь человека смыслом и создают ему ощущение причастности к миссии и самоценность. На наш взгляд мотивационный аспект организационной культуры обучающихся организаций является наименее исследованной темой, хотя и служит вполне логичным объяснением их высокой адаптивности.**

**Выводы. Таким образом, можно констатировать, что отличительными характеристиками, специфицирующими обучающуюся организацию, как новый организационный феномен, отличающийся высокой инновационностью, креативностью, адаптивностью и гибкостью, являются:**

**1. В целевой функции – ориентация на мышление, как производящий труд в экономике знаний и ее креативной парадигме.**

**2. В методической функции – ориентация на развитие специфических функций мышления, как производящего труда, через преодоление когнитивных барьеров посредством практик «пяти дисциплин».**

**3. В коммуникативной функции - формирование культуры межличностных и групповых взаимодействий, как условия доступа к достоверной информации и создания добавленной стоимости интеллектуальных продуктов средствами мышления.**

**4. Структурные особенности организации адаптированы к выше рассмотренным функциям и представляют собой плоские горизонтальные структуры, ориентированные на партисипативное управление.**

**5. В силу приоритета исследования проблематики мышления как производящей формы труда, обучающаяся организация способна применить полный цикл управления знаниями от тацитной к имплицитной стадии, что является ее ключевым конкурентным преимуществом.**

**Наши дальнейшие исследования будут направлены на углубленное изучение феномена обучающейся организации, а также условий, необходимых для трансформации традиционной организации в обучающуюся.**

**Литература:**


1. Senge P. Schools That Learn / Peter M. Senge., 2012. – 608 с.
2. Nino Paresashvili, Nanuli Okruashvili, (2017), The Main Challenges Of Higher Education System Management In Georgia, Conference: Borders Without Borders: Systemic Frameworks And Their Applications For Sustainable Well-Being In The Global Era, Volume 1, pg. 5-8
3. Nino Paresashvili, Nanuli Okruashvili, (2017), The Main Challenges Of Higher Education System Management In Georgia, Conference: Borders Without Borders: Systemic Frameworks And Their Applications For Sustainable Well-Being In The Global Era, Volume 1, pg. 5-8
4. Taylor F. The Principles of Scientific Management / Frederick Taylor., 2006. – 76 p.
5. Drucker P. Post-Capitalist Society / Peter F. Drucker., 2011. – 244 с.
6. Деминг Э. Менеджмент нового времени: простые механизмы, ведущие к росту, инновациям и доминированию на рынке / Эдвардс Деминг., 2019. – 182 с.
7. Вирно П. Грамматика множества. К анализу форм современной жизни / П. Вирно., 2013. – 293с.
8. Senge P. The Fifth Discipline Fieldbook, Strategies and Tools for Building a Learning Organization / Peter M. Senge., 2014. – 608 p.
9. Кастельс М. Информационная эпоха: экономика, общество и культура / Кастельс. - Москва: Изд. дом ГУ-ВШЭ, 2000. - 608 с.
10. Спивак В. А. Организационное поведение: учебное пособие / Владимир Александрович Спивак. – Москва: Эксмо, 2009. – 410 с.

# საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების თავისებურებები განვითარებად ქვეყნებში

**მერაბ ლომინაძე**
***თსუ დოქტორანტი***

*ნაშრომში შესწავლილია საინვესტიციო საქმიანობების განხორციელების როლი და აუცილებლობა განვითარებადი ქვეყნებისათვის, შეფასებულია მეცნიერთა შეხედულებები საინვესტიციო საქმიანობის მართვის ეფექტიანობისა და მეთოდოლოგიურ საკითხებზე. სტატიაში წარმოჩენილია განვითარებადი ქვეყნების სირთულეები საინვესტიციო პოლიტიკის კუთხით, დასაბუთებულია ინვესტიციების როლი ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანასა და ეკონომიკურ განვითარებაში.*

*გაანალიზებულია ინვესტიციებსა და ადამიანურ განვითარებას შორის კავშირები, ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა კვლევაში ამ თვალსაზრისით გამოვლენილ პრობლემებზე. დასაბუთებულია, რომ საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანად მართვა უზრუნველყოფს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას, როგორც მოკლე, ასევე, გრძელვადიან პერსპექტივაში.*

*ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ინვესტიციების ეფექტიანი განხორციელების მექანიზმები ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, გაზრდის სხვა ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებს და სხვა. საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით შემუშავებულია რეკომენდაციები საინვესტიციო პროცესების ეფექტიანი წარმართვის გზებზე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *საინვესტიციო პროცესი, ეფექტიანი მართვა, საინვესტიციო პოლიტიკა, ეკონომიკური განვითარება.*

**მსოფლიოს არა ერთი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპები მასშტაბური კაპიტალდაბანდებების აუცილებლობით ხასიათდება, რაც გამოწვეულია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში არსებული საწარმოო სიმძლავრეების გადაიარაღების აუცილებლობით. აღნიშნული, თავის მხრივ, იწვევს სახელმწიფოს მხრიდან იმ ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფს სწორი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას ქვეყანაში, პრიორიტეტული დარგების განვითარებას და, ზოგადად, დასმული ამოცანებისა და მიზნების მიღწევას ეკონომიკაში. სწორედ ამიტომ, როგორც განვითარებად, ასევე, განვითარებულ ქვეყნებში მართებული საინვესტიციო პოლიტიკის გატარება წარმოადგენს სახელმწიფოს ფუნქციონირების მნიშვნელოვან ელემენტს. აქვე აღსანიშნავია, რომ თითოეული ქვეყნის შემთხვევაში ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამა თუ იმ სახელმწიფოს ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური, ეროვნული და სხვა სპეციფიკა.**

**საინვესტიციო პოლიტიკაზე სახელმწიფო ზემოქმედების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებად ქვეყნებში, სადაც სოციალურ-ეკონომიკური საკითხები განსაკუთრებით მწვავედ არის დასმული და არსებობს ობიექტური აუცილებლობა ეკონომიკის დარგების მნიშვნელოვანი წინსვლისა და განვითარებისათის. მსგავს შემთხვევებში სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ როგორც დარგების პრიორიტეტებს, ასევე, ამ დარგებში სახსრების დაბანდებას. აქვე უნდა ითქვას, რომ განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთ ძირითდ სირთულეს საინვესტიციო პოლიტიკის კუთხით წარმოადგენს საკუთარი საინვესტიციო აქტივების ნაკლებობა და მათი გარე წყაროებიდან მოზიდვის აუცილებლობა. აუცილებელია, ხაზი გაესვას განვითარებად ქვეყნებში საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებისას ისეთ სირთულეებს, როგორებიცაა კვალიფიციური კადრები, ხშირ შემთხვევაში, არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო და საკანონმდებ-**

ლო ბაზა ბიზნესის წარმართვისათვის. სწორედ დასახელებული გარემოებები იწვევს იმ ობიექტურ აუცილებლობას, რომელიც მდგომარეობს სახელმწიფოს მხრიდან საინვესტიციო საქმიანობის გეგმაზომიერ მართვაში. აღნიშნული წარმოადგენს განვითარებად სახელმწიფოებში ყველაზე სუსტად წარმოჩენილ სახელმწიფო მმართველობის მხარეს, გამომდინარე თეორიული კვლევებისა და პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობიდან.

კვლევის მიზანია საქართველოს ეკონომიკაში საინვესტიციო პროცესების განხორციელების თავისებურებების გამოვლენა და თეორიული, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხების შემუშავებით მათი გათვალისწინების ეფექტიანი მექანიზმების დადგენა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დაისახა შემდეგი ამოცანები:

- ქვეყნის ეკონომიკაში საინვესტიციო პროცესების როლის განსაზღვრა;
- ინვესტიციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ძირითადი მეთოდების შეფასება;
- ინვესტიციების დაფინანსების წყაროების გამოვლენა;
- ინვესტიციების მიმართულებების განსაზღვრა ეკონომიკის სხვადასხვა დარგში;
- საქართველოში პრიორიტეტული მიმართულებებისა და ინვესტიციების დამატებითი წყაროების გამოვლენა;
- ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფო და კერძო სექტორების ოპტიმალური თანაფარდობის გამოვლენა.

დასაბუთებულია მოსაზრება, რომ განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციებიდან მიღებული ეფექტიანობა უფრო მაღალია, ვიდრე სააქციო კაპიტალისა და სესხების სახსრებიდან [1]. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის უარყოფით კავშირზე [1]. იგივე მოსაზრება დადასტურებულია ე.წ „ მესამე სამყაროსნ ქვეყნებში ჩატარებული კვლევითაც. კვლევის თანახმად, ინვესტიციები ქვეყნის სტაგნაციას იწვევს, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების შედეგად ხდება დარგის/ბაზრის მონოპოლიზაცია [2].

ინვესტიციებსა და ადამიანურ განვითარებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირზე ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა კვლევაში. მეცნიერთა მიერ დასაბუთებულია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის. ის საშუალებას იძლევა, ქვეყანამ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია წარმოაჩინოს [3].

საინვესტიციო საქმიანობების თავისებურებების ასახსნელად მნიშვნელოვანია მისი, როგორც ეკონომიკურკატეგორიის, მახასიათებლების შესწავლა. ინვესტიციები, უპირველესად, უნდა განვიხილოთ როგორც დაგროვილი კაპიტალის ეკონომიკურ პროცესში ჩართვის აქტიური ფორმა. გავრცელებულ თეორიებს შორის ამ მახასიათებელს ცენტრალური ადგილი უკავია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ინვესტიციების განხილვა, როგორც საბაზრო ურთიერთობათა ობიექტი. ინვესტიციები მეცნიერთა მიერ ხშირად ფასდება როგორც რისკისფაქტორი. რისკი ინვესტიციების განსაკუთრებული მახასიათებელია, რადგან რისკ-ფაქტორიანი ინვესტიციები გვევლინება, როგორც ინვესტორის სამეწარმეო საქმიანობაში მიღებული შემოსავლის წყარო.

საერთაშორისო კვლევებითა და პრაქტიკული გამოცდილებით აღიარებულია, რომ საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანად მართვა ხელს შუწყობს ქვეყნანაში ეკონომიკურ ზრდას, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში [4]. თუმცა, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და კაპიტალური ინვესტიციების დონეს შორის დადებითი კავშირის მიუხედავად, გასათვალისწინებელია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ამ პროცესის განხორციელებაზე. უპირველესად, გასათვალისწინებელია კაპიტალური დანახარჯების დინამიკა, თუმცა, არა მხოლოდ გამოყოფილი სახსრების მოცულობის მიხედვით, არამედ საინვესტიციო პროცესის განხორციელების ეფექტიანობის თვალსაზრისით. ამ ორი კომპონენტის გათვალისწინებით განისაზღვრება საინვესტიციო პროცესის განხორციელე-

ბის ხარისხიც. აღნიშნული კომპონენტების თანაარსებობის აუცილებლობაზე მიანიშნებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ შემოთავაზებული სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ეფექტიანობის შეფასების ჩარჩოც, ასევე, სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასებისა (სახელმწიფო ინვესტიციების მართვა - PI-11 და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის რეკომენდაციები [4].

ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ ინვესტიციები ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ზრდის სხვა ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებს და, რაც უფრო მთავარია, ეკონომიკური ზრდის მთავარი წყაროა [5, 172]. ინვესტიციებს, ასევე, დიდი როლი ენიჭება ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანასა და ეკონომიკურ განვითარებაში. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფომ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმდინარეობად განიხილოს ქვეყანაში ინვესტიციების საკანონმდებლო ხელშეწყობა და აუცილებელი გარემოს შექმნა საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის [6, გვ. 163].

საქართველოში ინვესტიციების დინამიკის შესახებ წარმოდგენას იძლევა დიაგრამა 1.

დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2007-2018 წლებში (მლნ აშშ დოლარი)[7, გვ. 2.]




როგორც დიაგრამიდან ჩანს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოში წლების განმავლობაში ცვალებადი და არათაბარზომიერია. 2018 წელს, წინა წლებთან შედარებით, შეინიშნება ინვესტიციების მოცულობის შემცირება. წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2020 წლის I კვარტალში 165.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტლის წინასწარ მონაცემებზე 41.7%-ით ნაკლებია (იხ. დიაგრამა 2). ინვესტიციების მოცულობის შემცირების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში.

დიაგრამა 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018-2020 წლებში (მლნ აშშ დოლარი) [8, გვ. 1]




საქართველოში 2013-2018 წლებში ცვალებადობით ხასიათდება ძირითადი ინვესტორი ქვეყნების მიხედვით განხორციელებული ინვესტირების მოცულობაც (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2018 წლის მიხედვით (მლნ აშშ დოლარი) [9, გვ. 4.]

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | **1 039.2** | **1 837.0** | **1 729.1** | **1 650.3** | **1 962.6** | **1 265.2** |
| მათ შორის: | | | | | | |
| აზერბაიჯანი | 84.6 | 340.5 | 581.7 | 555.1 | 462.0 | 246.4 |
| ნიდერლანდი | 159.2 | 420.5 | 164.9 | 77.3 | 354.5 | 208.4 |
| გაერთიანებული სამეფო | 55.2 | 108.9 | 398.8 | 85.2 | 247.5 | 178.8 |
| აშშ | 53.9 | 184.4 | 18.9 | 59.3 | 79.3 | 102.6 |
| ჩინეთი | 101.1 | 220.1 | 66.9 | 25.5 | 19.4 | 75.7 |
| ჩეხეთი | 43.6 | 52.0 | 16.7 | 87.5 | 129.1 | 75.0 |
| პანამა | 25.8 | 70.7 | 9.5 | 75.9 | 23.8 | 74.6 |
| რუსეთი | 7.8 | 87.9 | 52.4 | 28.4 | 51.3 | 69.7 |
| ლუქსემბურგი | 91.7 | 109.6 | 127.3 | 115.7 | 100.7 | 50.1 |
| თურქეთი | 51.4 | 72.3 | 74.9 | 220.7 | 256.1 | 49.6 |
| დანარჩენი ქვეყნები | 364.9 | 170.1 | 217.1 | 319.7 | 238.9 | 134.3 |

მონაცემებიდან ჩანს, რომ ინვესტიციების მოცულობა გაზრდილია აზერბაიჯანის, ნიდერლანდების, გაერთიანებული სამეფოს, რუსეთის, ჩეხეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნბიდან, ხოლო შემცირებულია ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა: ჩინეთი, თურქეთი და სხვ.

საინტერესო სურათს იძლევა ინვესტიციების მოცულობის დინამიკა ეკონომიკის სექტორების მიხედვით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2013-2018 წლებში (მლნ აშშ დოლარი) [10, გვ. 6]

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | **1 039.2** | **1 837.0** | **1 729.1** | **1 650.3** | **1 962.6** | **1 265.2** |
| მათ შორის: | | | | | | |
| საფინანსო სექტორი | 174.5 | 126.6 | 202.0 | 123.4 | 307.8 | 270.7 |
| მშენებლობა | 79.6 | 324.5 | 144.4 | 176.5 | 172.5 | 173.0 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 151.6 | 440.5 | 608.2 | 662.8 | 524.9 | 163.0 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 107.3 | 253.6 | 104.7 | 123.4 | 99.3 | 140.0 |
| უძრავი ქონება | 69.7 | 168.5 | 94.4 | 55.4 | 215.3 | 131.4 |
| ენერგეტიკა | 246.1 | 190.0 | 123.7 | 145.0 | 280.6 | 120.8 |
| სასტუმროები და რესტორნები | -6.6 | 140.6 | 170.2 | 120.2 | 106.9 | 77.8 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 43.7 | 45.3 | 88.0 | 49.7 | 51.8 | 62.2 |
| დანარჩენი სექტორები | 173.3 | 147.3 | 193.6 | 193.9 | 203.5 | 126.3 |

**სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2018 წელს 48.0% შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა საფინანსო სექტორში და ამ მაჩვენებელმა 270.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობის 21.4%-ს შეადგენს. ასევე, მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მშენებლობის სექტორს - 173.0 მლნ აშშ დოლარი, შემდეგ პოზიციაზეა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 163.0 მლნ აშშ დოლარით.**

**ლიტერატურა:**


1. Hecht, J., Razin, A. and Shinar N. (2002)Interactions Between Capital Inflows and Domestic Investment: International Panel Data
2. https://www.researchgate.net/publication/237438131_Interactions_Between_Capital_Inflows_and_Domestic_Investment_International_Panel_Data
3. Saltz, I. S. (1992). Foreign direct investment and the distribution of income. Atlantic Economic, Journal, 20(1). https://doi.org/10.1007/BF02303394
4. Colen, L.,Maertens, M. and J. Swinnen (2012) Private Standards, Trade and Poverty: GlobalGAP and Horticultural Employment in Senegal https://www.researchgate.net/publication/253240742_Private-_Standards_Trade_and_Poverty_GlobalGAP_and_Horticultural_Employment_in_Senegal
5. სახელმწიფო ინვესტიციების მართვის ეფექტიანობა: საერთაშორისო ჩარჩო და საქართველო - http://pbo.parliament.ge/ge/rs/theme/item/528-2019-07-12-14-48-35
6. ჯანჯღავა ქ., უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, თბ., 2012.
7. ჯაფარიძე დ., ინვესტიციურ-ინოვაციური პროექტების ეფექტიანობა, ზემოქმედი ფაქტორების მართვა, თბ., 2012.
8. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2018 წელი, თბ., 2019. https://www.geostat.ge/media/2-5519/ucxouri-investiciebi-2018-celi-%28geo%29.pdf
9. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2020 წ., I კვარტალი.
10. https://www.geostat.ge/media
11. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2020 წ., I კვარტალი
12. https://www.geostat.ge/media
13. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2018 წელი, გვ. 6, თბ., 2019,
14. https://www.geostat.ge/media/25519/ucxouri-investiciebi-2018-celi-%28geo%29.pdf

# Peculiarities of investment activities in developing countries

**Merab Lominadze**

S u m m a r y

**The paper examines the role and necessity of investment activities for developing countries, evaluates the views of scientists about the effectiveness and methodological issues of investment management. The article presents the difficulties of developing countries in terms of investment policy, substantiates the role of investments in economic development and bringing country out of crisis.**

**The article analyzes the links between investment and human development, focusing on the problems identified in this regard in various studies. It is argued that effective management of investment activities ensures economic growth in the country, both in the short and long term.**

**Based on the analysis, it is concluded that the mechanisms of effective implementation of investments will facilitate the introduction of new technologies, increase market opportunities and more. Taking into account the peculiarities of the implementation of investment activities, recommendations have been developed about the ways of effective management of investment processes.**

***Keywords: investment process, effective management, investment policy, economic development.***

# კონტროლის კონცეფციის ძირითადი საკითხები საწარმოთა გაერთიანებისას ფასს 10-ის მიხედვით


**მარინა მაისურაძე**
*თსუ ასოცირებული პროფესორი*

**მარიამ ვარდიაშვილი**
*თსუ ასოცირებული პროფესორი*



*ბიზნესისა და საზოგადოებისათვის მაღალი ხარისხის და ლოგიკურად ჩამოყალიბებული ინფორმაციის მიწოდება კომპანიის საქმიანობის შესახებ თანამედროვე კვლევების ერთ-ერთი აქტუალური თემაა.*

*ნაშრომში განხილულია თანამედროვე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი პრინციპი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად: იმის განსასაზღვრად, აქვს თუ არა ინვესტორს (მშობელი კომპანია) კონტროლი ინვესტიციაზე (შვილობილი კომპანიები).*

*კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის ინფორმაციის წარდგენას კომპანიების ჯგუფის შესახებ ისე, რომ ინფორმაცია რამდენიმე კომპანიის შესახებ აღიქმებოდეს, როგორც ერთიანი მოქმედი სუბიექტი. ნაშრომის მიზანია კონტროლის კონცეფციის გამოყენების ხასიათის შესწავლა, რომელიც საფუძვლად უდევს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.*

*საწარმოთა გაერთიანების დროს კონტროლის განხორციელების შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმები განხილულია ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" მიხედვით.*



*საკვანძო სიტყვები: კონტროლი, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, უფლებამოსილება, რისკები ცვლადი შემოსავლების მიღებასთან, შემოსავლების მიღებაზე გავლენის მოხდენა.*


**როდესაც ერთი კომპანია (მშობელი) ყიდულობს მეორეს (შვილობილს), ისინი იურიდიულად ცალ-ცალკე კვლავ განაგრძობენ ფინანსური ანგარიშგების მომზადებას. თუმცა, ეკონომიკურად ისინი წარმოადგენენ ერთიან ბიზნესსუბიექტს, ბიზნესკომბინაციას. კონსოლიდირებული ჯგუფის ქონებრივი და ფინანსურ მდგომარეობის, აგრეთვე, საანგარიშო პერიოდისთვის მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგების შესახებ გარკვეული წესებით მზადდება ფინანსური ანგარიშგება, რომლითაც ხდება ამ ჯგუფის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გაერთიანება და სინქრონიზაცია. სწორედ ამგვარი ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს ეწოდება ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია.**

**კონსოლიდაციისთვის აუცილებელია განისაზღვროს, რომელია მშობელი კომპანია, შემძენი, ვინ იყიდა და ვინ ვის აკონტროლებს. სტანდარტის თანახმად, მართავს ის, ვინც მას აკონტროლებს. მაგრამ რა არის კონტროლი? რა კრიტერიუმები უნდა გამოვიყენოთ კონტროლის განხორციელების შესაფასებლად? ამ კითხვებს პასუხობს ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება".**

**ფასს 10 განსაზღვრავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პრინციპებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც საწარმო აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს [2,1]. საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართვის ერთადერთი საფუძველი მხოლოდ კონტროლის არსებობაა, კონტროლი - კონსოლიდაციის მთავარი წინაპირობაა. ინვესტორი კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა ამზადებს იმ შემთხვევაში თუ კონტროლებს თავისი ინვესტიციის ობიექტს.**

ფასს 10-ის მიხედვით, თუ მშობელი კომპანია აკონტროლებს შვილობილ კომპანიას, მან უნდა მოახდინოს ანგარიშგების კონსოლიდაცია, შემდეგი გამონაკლისების გარდა:

• მშობელი საწარმო თვითონ წარმოადგენს სხვა საწარმოს სრულ ან ნაწილობრივ საკუთრებაში მყოფ შვილობილ საწარმოს და მისი მფლობელები თანხმდებიან, რომ იგი არ წარმოადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;

• მშობელი საწარმოს სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე;

• მშობელი საწარმო თავის ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში, ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების მიზნებისათვის;

• მისი საბოლოო მშობელი საწარმო, ან რომელიმე შუალედური მშობელი საწარმო ადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

სტანდარტი ასევე განმარტავს:

ა) კონტროლის პრინციპს და კონტროლის არსებობას განსაზღვრავს, როგორც კონსოლიდაციის საფუძველს;

ბ) კონტროლის პრინციპის გამოყენებას იმის დასადგენად, აკონტროლებს თუ არა ინვესტორი ინვესტირებულ საწარმოს და უნდა მოახდინოს თუ არა ინვესტორმა მისი კონსოლიდაცია;

გ) საინვესტიციო საწარმოს და ადგენს გარკვეულ გამონაკლისს საინვესტიციო საწარმოს ცალკეული შვილობილი საწარმოების კონსოლიდაციისთვის;

დ) ადგენს ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ინვესტორმა, მისი საწარმოში მონაწილეობის ხასიათის მიუხედავად, უნდა დაადგინოს, წარმოადგენს თუ არა ის მშობელ საწარმოს, რისთვისაც მან უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს.

კონტროლი არის საწარმოს ფინანსური და ოპერაციული (სამეურნეო) პოლიტიკის განსაზღვრის შესაძლებლობა მისი საქმიანობიდან სარგებლის მიღების მიზნით [3,221].

ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობით ცვალებადი (ცვლადი) შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

ამგვარად, ინვესტორი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ინვესტორს გააჩნია:

1. უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით;
2. ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან;
3. შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით.




სქემა 1.

ინვესტორმა უნდა განიხილოს ყველა ფაქტი და გარემოება, რათა დაადგინოს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს. თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებს, რომ შეიცვალა ზემოთ ჩამოთვლილი, კონტროლის არსებობის განმსაზღვრელი ერთი ან მეტი ელემენტი, ინვესტორმა ხელახლა უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს.

კონტროლის არსებობის ერთ-ერთი განმსაზღვრელია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. ინვესტორს მაშინ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, როდესაც აქვს მოქმედი უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების (ე.ი. საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე) მართვის შესაძლებლობას აძლევს. [2,3]

მაგალითად, საოპერაციო პოლიტიკის განსაზღვრა, ინვესტიციასთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღება, უფროსი მმართველი პერსონალის დანიშვნა, არსებითი ინვესტიციების მართვა.

უფლებამოსილება წარმოიშობა უფლებებიდან. ზოგჯერ მარტივია უფლებამოსილების დადგენა, მაგალითად, როდესაც ინვესტირებულ საწარმოში უფლებამოსილების მოპოვება ხდება პირდაპირ და მხოლოდ და მხოლოდ წილობრივი ინსტრუმენტებით მინიჭებული ხმის უფლებებით, როგორიცაა აქციები და მისი არსებობის დადგენა (შეფასება) შესაძლებელია აქციების ფლობით განპირობებული ხმის უფლებებით. სხვა შემთხვევაში, შეიძლება უფრო რთული იყოს უფლებამოსილების დადგენა და საჭირო გახდეს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, მაგალითად, როდესაც უფლებამოსილება წარმოიქმნება ერთი ან რამდენიმე სახელშეკრულებო შეთანხმებიდან [ 2, 3].

იმ შემთხვევაში, თუ ორ ან რამდენიმე ინვესტორს, თითოეულს აქვს ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას სხვადასხვა რელევანტური საქმიანობის ცალმხრივად მართვის შესაძლებლობას აძლევს, მაშინ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით იმ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება, რომელსაც აქვს მიმდინარე მომენტში იმის შესაძლებლობა, რომ მართოს ისეთი საქმიანობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე.

ინვესტორს, რომელიც ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტის მფლობელია, უფლებამოსილება გააჩნია შემდეგ სიტუაციებში:

ა) რელევანტური საქმიანობების მართვა ხორციელდება ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელის ხმის მიცემით;

ბ) მმართველი ორგანოს წევრების უმეტესობა, რომელიც მართავს რელევანტურ საქმიანობებს, ინიშნება ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელის ხმის მიცემით.[2,19]

იმისათვის, რომ ინვესტირებულ საწარმოში ხმის უფლებების ნახევარზე მეტის მფლობელ ინვესტორს, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილება გააჩნდეს, ინვესტორის ხმის უფლებები რეალური უნდა იყოს, და ინვესტორს აძლევდეს იმის შესაძლებლობას, რომ მიმდინარე მომენტში მართოს რელევანტური საქმიანობები, რაც ხშირად ხორციელდება ინვესტირებული საწარმოს საოპერაციო და საფინანსო პოლიტიკის განსაზღვრით. თუ სხვა საწარმოს აქვს ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას რელევანტური საქმიანობების მართვის უფლებას ანიჭებს და ეს საწარმო არ წარმოადგენს ინვესტორის რწმუნებულს, მაშინ ინვესტორს არ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით [2,19].

ინვესტორი შეიძლება არ იყოს ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელი, მაგრამ გააჩნდეს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. ინვესტორს, თუ ის არ არის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელი, უფლებამოსილება შეიძლება გააჩნდეს, მაგალითად :[2,19]

ა) ინვესტორსა და ხმის უფლებების სხვა მფლობელებს შორის დადებული სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე;

ბ) სხვა სახელშეკრულებო შეთანხმების შედეგად წარმოშობილი უფლებების საფუძველზე;

გ) ინვესტორის ხმის უფლებების მეშვეობით;

დ) პოტენციური ხმის უფლებების მეშვეობით; ან

ე) ერთობლივად.

მაგალითად, ინვესტორი იძენს ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 48%, დანარჩენი ხმის უფლებები ეკუთვნის ათასობით აქციონერს, მაგრამ ცალცალკე არც ერთ მათგანს არ გააჩნია ხმის უფლებების 1%-ზე მეტი. არც ერთ აქციონერს არა აქვს დადებული შეთანხმება არც ერთ სხვა აქციონერთან კონსულტაციების, ან კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების შესახებ. როდესაც ინვესტორი აფასებდა, შესაძენი ხმის უფლებების მქონე აქციების ხვედრით წილს აქციების სხვა პაკეტების სიდიდის საფუძველზე, ინვესტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 48% წილის შეძენა საკმარისი იქნებოდა კონტროლის მოსაპოვებლად.

ასეთ შემთხვევაში, მისი პაკეტის აბსოლუტური ზომისა და აქციების სხვა პაკეტების ფარდობითი ზომის საფუძველზე, ინვესტორი დაასკვნის, რომ მას საკმარისი დომინანტური წილი გააჩნია, რათა დააკმაყოფილოს უფლებამოსილების კრიტერიუმი ისე, რომ აუცილებელი არ იქნება უფლებამოსილების არსებობის სხვა მტკიცებულებების განხილვა.

რაც შეეხება ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებულ რისკებს, ინვესტორი მაშინ ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობით ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, თუ მისი მონაწილეობით განპირობებული შემოსავლები შეიძლება იცვლებოდეს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მიხედვით. ინვესტორის შემოსავლები შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი, მხოლოდ უარყოფითი, ან როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. მართალია, მხოლოდ ერთ ინვესტორს შეუძლია ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის განხორციელება, მაგრამ ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებს შეიძლება რამდენიმე მხარე იყოფდეს. მაგალითად, არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს შეუძლიათ მონაწილეობა მოგებაში, ან ინვესტირებული საწარმოს მიერ განხორციელებულ განაწილებებში.

**ინვესტორი მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ მას გააჩნია არა მარტო უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით და ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, არამედ იმავდროულად აქვს იმის უნარი, თავისი უფლებამოსილება გამოიყენოს ინვესტირებულ საწარმოში მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით. ამგვარად, ინვესტორმა, რომელსაც გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლებები, უნდა დაადგინოს, ის მარწმუნებელია თუ რწმუნებული. ინვესტორს, რომელიც რწმუნებულად მიიჩნევა არ გააჩნია კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე, როდესაც იყენებს მასზე დელეგირებულ გადაწყვეტილების მიღების უფლებებს.**

**ბევრ ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა სახის საოპერაციო და საფინანსო საქმიანობა. ასეთი საქმიანობების მაგალითებია:**

**ა) საქონლის, ან მომსახურების გაყიდვა და ყიდვა;**

**ბ) ფინანსური აქტივების მართვა მათი ვადის განმავლობაში (მათ შორის, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში);**

**გ) აქტივების შერჩევა, შეძენა, ან გასხვისება;**

**დ) ახალი პროდუქტების, ან პროცესების სამეცნიერო კვლევა და დამუშავება;**

**ე) დაფინანსების სტრუქტურის განსაზღვრა, ან დაფინანსების მოპოვება.**

**ამ ჩამონათვალში არ არის საქონლის წარმოება, იმიტომ, რომ თავად წარმოების პროცესი არაა შემოსავლების მომტანი, შემოსავლები წარმოიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაიყიდება წარმოებული საქონელი.**

ლიტერატურა:

1. ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანება“ 2019
2. ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ 2019
3. კვატაშიძე ნ., „კორპორაციული ანგარიშგება“ 2019, 1
4. https://nauchkor.ru/pubs/formirovanie-konsolidirovannoy-finansovoy-otchetnosti-transformatsiya-ponyatiya-kontrol-5a6f881b7966e12684ee9fc1
5. მაისურაძე მ., საწარმოთა გაერთიანების იდენტიფიცირება, აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება და შეფასება. 2014. economics_institute@yahoo.com

# The main issues of the control concept when merging entities according to IFRS 10

**Marina Maisuradze**
***TSU Associate Professor***

**Mariam Vardiashvili**
***TSU Associate Professor***

S u m m a r y

**The peculiarity and difficulty of presenting consolidated financial statements lies in the reflection of the results of the activities of the group of companies as a single operating entity of economic relations. According to the modern provisions of the international standards, the basis for presenting a group of companies "as a whole", is "control".**

**Thus, an investor controls an investee if and only the investor has:**

- **Power over the investee;**
- **Right to variable returns which are subject to the risks related to receiving the variable returns from its involvement in the investee;**
- **Ability to affect those returns through his power over the investee**

**If any fact or circumstance indicates a change in any of the three elements of control, then the investor must evaluate whether it has control over the investee**

**An investor may lose power if agreements are reached that allow other parties to conduct current operations, or, vice versa, the investor may gain power when the other party has exhausted the right to make decisions that previously prevented the investor from gaining control.**

**It follows from the above that if the investor has a control today, tomorrow the situation may change dramatically. Conversely, control can be transferred to the investor from another shareholder. Therefore, control must be a subject of permanent reviews.**

***Keywords: Control,Consolidated Financial Statements, Powers Risks to Variable Returns, Impact on Return.***

# COVID-19-ის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

**ნინო მაღრაძე**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის დოქტორანტი*

*ნაშრომში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი მხარეები და მისგან მიღებული სარგებელი. მოყვანილია მონაცემები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განხორციელებული ინვესტიციების, პარტნიორი ქვეყნების, საინვესტიციო სექტორებისა და ინვესტიციების შემადგენელი კომპონენტების შესახებ. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მიერ მომზადებულ მსოფლიო საინვესტიციო ანგარიშზე დაყრდნობით შემოთავაზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების პერსპექტივები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებსა და ასევე მსოფლიოს სხვა რეგიონებში, COVID-19-ის გავლენის გათვალისწინებით.*

*საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რეინვესტიცია, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, COVID-19.*

## შესავალი

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (პუი) სარგებელი მოაქვს მთელი ეკონომიკისათვის, როგორც ინვესტორებისათვის, ასევე მიმღებთათვის. ინვესტორები იღებენ დამატებით სარგებელს, რადგან მათ შეუძლიათ საკუთარი კაპიტალი განათავსონ სხვადასხვა ქვეყანაში, ეკონომიკასა და ინდუსტრიაში, რაც მათთვის რისკების შემცირებას უზრუნველყოფს. მიმღები კომპანიების სარგებელი კი ინვესტორებისაგან უახლესი ტექნოლოგიების, დაფინანსების ინსტრუმენტების, მართვის, აღრიცხვისა და კანონმდებლობის საუკეთესო პრაქტიკის მიღებაა. აღნიშნული პრაქტიკის დანერგვით უმჯობესდება დასაქმებულების სამუშაო პირობები. აქედან გამომდინარე, პუიდის მოცულობის გაზრდა ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ინტერესის სფეროა. სწორედ ამ მიზნის ხელშეწყობისა და განხორციელებისათვის აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობისა და სტრუქტურის ანალიზი სხვადასხვა რაოდენობრივი და თვისებრივი ნიშნის მიხედვით [1, გვ. 87].

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა ქვეყნის კარგი საინვესტიციო კლიმატი, აგრეთვე სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო. თუმცა შესაძლებელია სხვადასხვა კონკრეტულმა ფაქტორმა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული გავლენა იქონიოს, ან წარმოიქმნას ისეთი ფაქტორები, რომელთა ზეგავლენა საინვესტიციო გარემოზე, პრაქტიკულად, შეუსწავლელია. სწორედ ასეთ მდგომარეობას განეკუთვნება დღესდღეობით მსოფლიოში განვითარებული მოვლენები [2, გვ. 219]. 2020 წელს მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. COVID-19 მნიშვნელოვანი საფრთხე აღმოჩნდა არა, მხოლოდ, ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც., პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე,შეფასებულია,გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მიერ მომზადებულ 2020 წლის მსოფლიო საინვესტიციო ანგარიშში[1], რომლის თანახმად COVID-19-ის კრიზისი გამოიწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დრამატულ შემცირებას. 2019 წლის 1.54 ტრლნ აშშ დოლართან შედარებით, 2020 წელს ნავარაუდევია პუი-ის გლობალური ნაკადების შემცირება 40%-ით. ეს გამოიწვევს ინვესტიციების შემცირებას დაახლოებით 1 ტრლნ აშშ დოლარამდე.,ასეთი დაბალი მაჩვენებელი,იქნება პირველი შემთხვევა 2005 წლის შემდეგ. პროგნოზის მი-

[1] International ProductionBeyond The Pandemic, World Investment Report, 2020 https://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2020_en.pdf

ხედვით, 2021 წელს პუი-ის დონე ისევ შემცირდება 5-დან 10%-მდე. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლიდან,გაუმჯობესებას დაიწყებს.

## ძირითადი შინაარსი

COVID-19-ის გავლენა ყველგან მძაფრი, მაგრამ განსხვავებული იქნება რეგიონების მიხედვით. განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში მოსალოდნელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონის ყველაზე დიდი დაცემა, რადგან ისინი მეტწილად მოპოვებით ინდუსტრიაში გლობალურ ინვესტიციებზე არიან დამოკიდებული. ამ,ქვეყნებს არ შეუძლიათ ინდუსტრიისათვის ისეთივე დახმარების გაწევა, როგორიც განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს.

განვითარებულ ქვეყნებს შორის მოსალოდნელია, რომ პუი-ის ნაკადები ევროპაში შემცირდება 30-დან 45%-მდე, რაც მნიშნელოვნად მეტია, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკასა და სხვა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (შემცირება მოსალოდნელია საშუალოდ 20-დან 35%-მდე). ეს განპირობებულია იმით, რომ კრიზისმა რეგიონი თავიდანვე ძლიერად დააზარალა. გასულ 2019 წელს ინვესტიციების ნაკადები განვითარებული ქვეყნების ჯგუფისაკენ გაიზარდა 5%-ით და 800 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

წინასწარი პროგნოზით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები აფრიკაში 2020 წელს შემცირდება 25-დან 40%-მდე. უარყოფითი ტენდენცია გამწვავდება დაბალი სასაქონლო ფასებით. პუი-ის ნაკადები აფრიკაში 2019 წელსაც შემცირდა 10%-ით 45 მლრდ აშშ დოლარამდე.

ინვესტიციების ნაკადები განვითარებადი აზიისაკენ მნიშვნელოვნად მოიკლებს მისი დაუცველი, არამდგრადი მიწოდების ჯაჭვის გამო. პუი-ის შემცირება ნავარაუდევია 30-45%-ით. 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონში 5%-ით შემცირდა და 474 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, მიუხედავად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ჩინეთსა და ინდოეთში დაფიქსირებული მაღალი მაჩვენებლისა.

2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის ქვეყნებში განახევრდება. აღნიშნული მაჩვენებელი დაბალი იქნება, რადგან პანდემია გამოიწვევს პოლიტიკურ არეულობას და სტრუქტურულ შესუსტებას რამდენიმე ქვეყანაში. რაც შეეხება გასულ წელს, ინვესტიციების მოცულობა ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის ქვეყნებში 10%-ით გაიზარდა და 164 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირება მოსალოდნელია 30-დან 45%-მდე. აღნიშნული შემცირება მნიშვნელოვნად გადაფარავს 2019 წელს რეგიონში ინვესტიციების ნაკადების გაუმჯობესებას (59%-ით ზრდა 55 მლრდ აშშ დოლარამდე) რამდენიმეწლიანი დაბალი ნაკადების შემდეგ.

პუი-ის მაჩვენებელი სტრუქტურულად სუსტი და მოწყვლადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში უკიდურესად უარყოფითი იქნება. ბევრი ნაკლებად განვითარებული ქვეყანა დამოკიდებულია მოპოვებითი მრეწველობის დარგში განხორციელებულ ინვესტიციებზე, პატარა კუნძულებზე არსებული განვითარებადი სახელმწიფოები დამოკიდებულნი არიან ტურიზმში განხორციელებულ ინვესტიციებზე, ხოლო ზღვაზე გასასვლელის არმქონე განვითარებადი სახელმწიფოები არათანაბრად განიცდიან მიწოდების ჯაჭვის გავლენას. 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში 6%-ით შემცირდა და 21 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გლობალური უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 1.4%-ს წარმოადგენს.

განვიხილოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომელიც მოიცავს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ჩრდილოეთი მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი), დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (აზერბაიჯანი, ბელარუსი, თურქმენეთი, მოლდოვას რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ყირ-

გიზეთი) ქვეყნებსა და საქართველოს. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფი პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ვარდნის გამო მნიშვნელოვნად დაზარლდება. რუსეთის ფედერაციისათვის ნედლეულზე გლობალური მოთხოვნის ხანგრძლივად შემცირებამ, რასაც ახლდა ჭარბწარმოების მოუგვარებლობა, ძლიერი ზეგავლენა მოახდინა სასაქონლო ფასებზე. ტრადიციულად, ქვეყანაში პუი-ის დიდი ნაწილი მოპოვებით ინდუსტრიაში მიედინება. რუსეთსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში ბაზარზე ორიენტირებული პროექტები დაზარალდებიან ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებისთანავე. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და მოლდოვას რესპუბლიკაში შემავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დიდი ნაწილი მიმართულია ექსპორტზე ორიენტირებული საავტომობილო წარმოებისა და ტურიზმისაკენ. ორივე ინდუსტრიამ კორონავირუსის კრიზისის გამო მძიმე დარტყმა განიცადა. მთლიანად რეგიონში ინვესტიციების ნაკადების მოსალოდნელი შემცირება 2019 წელს ინვესტიციების ზრდას მოჰყვება (55 მლრდ აშშ დოლარი, 59%-ით ზრდა). აღნიშნული ზრდა განპირობებული იყო რუსეთის ფედერაციაში შემავალი ინვესტიციების ზრდით და აგრეთვე, შედარებით უფრო ნაკლები ხარისხით, უკრაინასა და უზბეკეთში განხორციელებული ინვესტიციების ზრდით. რეგიონის დანარჩენ ქვეყნებში ინვესტიციების ნაკადები უმეტესად უცვლელი დარჩა გასულ წელთან შედარებით.

2019 წელს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ზემოთ აღნიშნულია, გაიზარდა 59%-ით და 55 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა განპირობებული იყო რუსეთის ფედერაციაში, უკრაინასა და უზბეკეთში განხორციელებული ინვესტიციების ზრდით. რეგიონის დანარჩენ ქვეყნებში განხორციელებული ინვესტიციები მცირედით შემცირდა (3%-ით 18 მლრდ აშშ დოლარამდე). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დსთ-ის ქვეყნებსა და საქართველოში ერთობლივად 76%-ით გაიზარდა და 48 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ინვესტიციების ნაკადები, პრაქტიკულად, უცვლელი დარჩა და 7.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (შემცირდა 3%-ით). ზრდა დაფიქსირდა ბოსნია და ჰერცეგოვინასა და სერბეთში, ხოლო კლება დაფიქსირდა მონტენეგროსა და ჩრდილოეთ მაკედონიაში.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ჯგუფში 2019 წელს განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, პირველ ადგილზე არის რუსეთის ფედერაცია 31.7 მლრდ აშშ დოლარითა და 57.8%-იანი წილით, მეორე ადგილზეა სერბეთი 4.6 მლრდ აშშ დოლარით (8.3%), მესამე ადგილს იკავებს ყაზახეთი 3.1 მლრდ აშშ დოლარით (5.7%), მეოთხე ადგილზეა უკრაინა 3.1 მლრდ აშშ დოლარით (5.6%), ხოლო მეხუთე ადგილზეა უზბეკეთი 2.3 მლნ აშშ დოლარით (4.2%). საქართველო მე-10 ადგილზეა 17 ქვეყანას შორის 1.3 მლრდ აშშ დოლარით (2.3%) და წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა მოლდოვას რესპუბლიკა, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, ჩრდილოეთი მაკედონია, სომხეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამა N.1-ზე წარმოდგენილია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2019 წელს.

რუსეთის ფედერაციაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინება ორწლიანი შემცირების შემდეგ 2019 წელს 140%-ით გაიზარდა და 32 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. დაღმავალი ტენდენციის დროებითი შემობრუნება დაახლოებით 40% იყო, რაც უფრო დაბალია 2013 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით (53 მლრდ აშშ დოლარი). რეინვესტიცია 2019 წელს ისევ გაიზარდა 20 მლრდ აშშ დოლარამდე.

სერბეთში, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეორე ყველაზე მსხვილი მიმღები ქვეყანაა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის, 2019 წელს დაფიქსირდა 3.1%-იანი ზრდა და განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ 4.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა ძირითადად განაპირობა სააქციო კაპიტალის ზრდამ. რეინვესტიციის მოცულობა თითქმის უცვლელი დარჩა. ეკონომიკის სექტორების მიხედვით ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა მშენებლობის (28%), ტრანსპორტის (16%), ვაჭრობისა (8%) და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (5%)

**დარგებში. ქვეყანაში ასევე მიმზიდველი აღმოჩნდა ექსპორტზე ორიენტირებული საავტომობილო ინდუსტრია. ინვესტიციების 5% განხორციელდა რეზინისა და პლასტმასის პროდუქტებში, ასევე 5% განხორციელდა ავტომობილების წარმოებაში. მთლიანი ინვესტიციების ნახევარზე მეტი ევროკავშირის ქვეყნებიდან შევიდა.**

**დიაგრამა N.1**




**წყარო: გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია - UNCTAD.**

**ყაზახეთში, რომელიც შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით რეგიონში მესამე ადგილზეა, 2019 წელს ინვესტიციები ისევ შემცირდა და 3.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (17%-ით ნაკლები გასულ წელთან შედარებით). ამ წელს ქვეყანაში დაიწყო უდიდესი ჩინური პროექტის განხორციელება, რაც ქიმიურ წარმოებას უკავშირდება. ლითონების მოპოვება კვლავ დარჩა ინვესტორებისათვის ყველაზე მიმზიდველ სფეროდ, რასაც მოსდევს დამამუშავებელი მრეწველობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა. უმსხვილესი ინვესტორები იყვნენ აშშ, ჩინეთი და რუსეთის ფედერაცია.**

**უკრაინაში, ორწლიანი შემცირების შემდეგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები 2019 წელს 30%-ით გაიზარდა და 3.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. სააქციო კაპიტალი და რეინვესტიცია სტაბილური დარჩა, ხოლო სავალო ვალდებულებები თითქმის გაორმაგდა. ინვესტორებისათვის ყველაზე მიმზიდველი იყო საფინანსო, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სამთომოპოვებითი მრეწველობის, უძრავი ქონების, ელექტროენერგიისა და გაზმომარაგების სექტორები. ოფშორულ ზონებში გადატანილმა უკრაინულმა კაპიტალმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი წილი, დაახლოებით ერთი მესამედი შეადგინა.**

2019 წელს უზბეკეთში ინვესტიციების შემოდინება თითქმის სამჯერ გაიზარდა და 2.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (266%-ით მეტი გასულ წელთან შედარებით). სააქციო კაპიტალი და რეინვესტიცია ორივე ერთად გაიზარდა 231%-ით 2.1 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო სავალო ვალდებულებები უარყოფითი მაჩვენებლიდან დადებით მაჩვენებლად შეიცვალა (169 მლნ აშშ დოლარი). განხორციელებული ინვესტიციების ნაწილი დაკავშირებული იყო ლუკოილის (რუსული კომპანიის) მიერ ნავთობსა და გაზში მიმდინარე მსხვილ პროექტებთან. გარდა ამისა, დაიწყო რიგი ქიმიური წარმოების პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთის, სინგაპურის, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ის კომპანიებთან. ფრანგულმა კომპანიამ განახორციელა დიდი მოცულობის ინვესტიციები ურანის მოსაპოვებლად. ქსოვილებისა და ტანსაცმლის ინდუსტრიაში პროექტების განხორციელება დაიწყეს ჩინურმა, გერმანულმა, ინდურმა, კორეულმა, ტაილანდურმა და თურქულმა კომპანიებმა. უახლოეს მომავალში, მთავრობა გეგმავს ორიენტირდეს ინდუსტრიალიზაციაზე თავის ახლად დაარსებულ 21 თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში. არსებული ვითარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მომავალი დამოკიდებულია ქვეყნის შესაძლებლობაზე, მოიზიდოს უფრო დივერსიფიცირებული ნაკადები, რადგან შესაძლოა შემცირდეს ინვესტიციები ენერგეტიკის სექტორში.

საქართველო, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის მე-10 ადგილზეა ინვესტიციების მოცულობით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით[1], 2019 წელს საქართველოში განხორციელდა 1 310.8 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც წინა წელთან შედარებით 0.3%-ით მეტია. ქვეყნების ჯგუფების მიხედვით ყველაზე მეტი ინვესტიცია განახორციელეს ევროკავშირის ქვეყნებმა 656.3 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, რაც მთლიანი ინვესტიციების 50.1%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი არის ყველაზე მსხვილი ინვესტორი საქართველოსთვის, რაც ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ დიაგრამა N.2-ზე.

**დიაგრამა N.2**




*შენიშვნა: ქვეყნების ჯგუფებში არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ორგანიზაციები.*

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

[1] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

ცალკეული ქვეყნების მიხედვით შემდეგი ხუთი უმსხვილესი ინვესტორი გამოიყოფა: გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, ირლანდია, აშშ და ნიდერლანდები, რომელთა ჯამურმა ინვესტიციამ 757.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ინვესტიციების 57.8%–ია. უმსხვილეს ქვეყნებს შორის 2014-2018 წლების განმავლობაში შედიოდა აზერბაიჯანიც, რაც სამხრეთ კავკასიური გაზსადენის გაფართოების სამუშაოების პროექტს უკავშირდებოდა [3, გვ. 215]. სამუშაოების ფარგლებში დაახლოებით 2 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა[1]. თუმცა პროექტის დასრულების შემდეგ ამ ქვეყნიდან ინვესტიციების შემოსვლამ მნიშვნელოვნად მოიკლო.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით ყველაზე მეტი პუი განხორციელდა საფინანსო სექტორის დარგში, სულ 272.1 მლნ აშშ დოლარი, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 20.8%–ია. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი 261.6 მლნ აშშ დოლარითა და 20.0%–იანი წილით, ხოლო მესამეზე – ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი126.8 მლნ აშშ დოლარითა და 9.7%–იანი წილით.

საინტერესოა ინვესტიციების განხილვა ძირითადი კომპონენტების მიხედვით:

**ცხრილი N.1**

| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, ძირითადი კომპონენტების მიხედვით (%) | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
| სააქციო კაპიტალი | 51.6 | 62.6 | 74.3 | 109.4 | 56.0 | 64.3 | 52.7 |
| რეინვესტიცია | 26.6 | 17.6 | 9.1 | 18.8 | 31.2 | 33.2 | 48.4 |
| სავალო ვალდებულებები | 21.8 | 19.8 | 16.6 | -28.2 | 12.8 | 2.5 | -1.2 |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2017 წელს ძალაში შევიდა მოგების გადასახადის „ესტონური მოდელი", რაც ითვალისწინებს დაბეგვრას არა მოგების მიღებისთანავე, არამედ მოგების განაწილებისას, ანუ გულისხმობს რეინვესტიციის შემთხვევაში კომპანიის გათავისუფლებას მოგების გადასახადისგან [3, გვ.212]. სწორედ აღნიშნული რეფორმის შედეგია 2017 წლიდან საქართველოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რეინვესტიციის მნიშვნელოვანი ზრდა. 2019 წლის მონაცემებით, მისი წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში თითქმის ნახევარია (48.4%). აღნიშნული მაჩვენებლით, საქართველო მე-3 ადგილს იკავებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ჯგუფში.

გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყანაში, ისევე, როგორც სხვა რეგიონებში, რეინვესტიცია გადავა ტრანსნაციონალური კომპანიების უარყოფით საოპერაციო ბალანსში 2020 წლისათვის. ამ ქვეყნებში რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (88% - 2018 წელს, 66% - 2019 წელს) უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო წილი გლობალურად (დაახლოებით 50%), რაც გამოიწვევს განსაკუთრებით უარყოფით გავლენას რეგიონში შემავალ მთლიან ნაკადებზე. დიაგრამა N.3-ზე წარმოდგენილია რეინვესტიციის წილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 2019 წელს.

---

1 გაზის სამხრეთის დერეფანი, საქართველოს რეფორმების ასოციაცია, 2018 https://grass.org.ge/wp-content/uploads/2018/06/saboloo-versia-_gazis-samkhrethis-derephani.pdf

**დიაგრამა N3**




*შენიშვნა: მოცემულია მხოლოდ იმ ქვეყნების მონაცემები, რომლებიც რეინვესტიციის მაჩვენებელს განცალკევებით წარმოადგენენ.*

*წყარო:გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია - UNCTAD.*

**ინვესტიციების მდგომარეობის მიხედვით 2018 წლის ბოლოსათვის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ჯგუფისათვის ყველაზე მსხვილი ინვესტორები იყვნენ კვიპროსი 115 მლრდ აშშ დოლარით, რაც 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით 36.9%-ით მეტია, ნიდერლანდები 41 მლრდ აშშ დოლარით (25.5%-ით ნაკლები) და საფრანგეთი 35 მლრდ აშშ დოლარით (52.2%-ით მეტი).**

## დასკვნა

**გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 2019 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 59%-ით და 55 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, რეგიონში ყველაზე მსხვილი ქვეყნებია რუსეთის ფედერაცია, სერბეთი, ყაზახეთი, უკრაინა და უზბეკეთი. საქართველო მე-10 ადგილს იკავებს 2.3%-იანი წილით და წინ უსწრებს მოლდოვას რესპუბლიკას, ბოსნია და ჰერცეგოვინას, მონტენეგროს, ჩრდილოეთ მაკედონიას, სომხეთს, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მონაცემებით, მთლიან ინვესტიციებში რეინვესტიციის წილის მიხედვით, საქართველო მე-3 ადგილზეა რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის შემდეგ. რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობას, 2018 წლის ბოლოსათვის რეგიონში ყველაზე მსხვილი ინვესტორები იყვნენ კვიპროსი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ჩინეთი და გერმანია.**

**2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შემცირდება დაახლოებით 38%-ით. აღნიშნული შემცირება გამოწვეული იქნება COVID-19-ის გავლენით. მაჩვენებლის ზრდა მოსალოდნელია 2022 წლიდან. პანდემიამ გამოიწვია რეცესია, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ბაზარზე ორიენტირებულ ინვესტიციებზე. რუსეთის ფედერაციაში, რომელსაც რეგიონში ყველაზე დიდი ეკონომიკა აქვს, GDP-ის ზრდა ისედაც დაბალი იყო 2019 წელს (2%). პროგნოზის მიხედვით, აღნიშნუ-**

**ლი მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდება 2020 წელს, მიუხედავად მთავრობის სტიმულირებისა და მცირე და საშუალო ზომის ფირმების დასახმარებლად გატარებული ღონისძიებებისა. ეს, სავარაუდოდ, გამოიწვევს ბაზარზე ორიენტირებული ინვესტორების გეგმების ცვლილებას ინვესტირების შემცირების მიმართულებით. ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული პროექტების შემთხვევაშიც, ასევე, მოსალოდნელია კლების ტენდენცია, რადგან საქონელზე მოთხოვნა მცირდება, ხოლო ნავთობის ფასი, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო პროდუქტია რეგიონის ქვეყნებისათვის (აზერბაიჯანი, ყაზახეთი, რუსეთის ფედერაცია, უზბეკეთი), რჩება დაბალი, მიუხედავად ნავთობის მსხვილ მწარმოებლებს შორის ფასების ომის მოგვარების მცდელობისა.**

**სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და მოლდოვას რესპუბლიკაში ექსპორტზე ორიენტირებული პროექტები, რომლებიც განთავსებულია სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში, განიცდიან მნიშვნელოვან გავლენას. სიტუაცია განსაკუთრებით რთული შეიძლება აღმოჩნდეს საავტომობილო წარმოების დარგში, სადაც ზოგიერთ უცხოურ ფილიალებს უწევთ ოპერაციების შემცირება ან შეჩერება. საქმიანობის შენელება ასევე დაფიქსირდა ექსპორტზე ორიენტირებულ სხვა ინდუსტრიებშიც. რამდენიმე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკა დაზარალდება ტურიზმის ინდუსტრიაზე ფართო დამოკიდებულების გამო.**

**თუმცა, დამაიმედებელია ის ფაქტი, რომ კრიზისის პერიოდში გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადის მკვეთრი შემცირების მიუხედავად, საერთაშორისო წარმოების სისტემა განაგრძობს მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში. გლობალური უცხოური ინვესტიციების ნაკადები დარჩება დადებითი და კვლავ დაემატება ინვესტიციების არსებულ მდგომარეობას, რაც გასულ 2019 წლის ბოლოს 36 ტრლნ აშშ დოლარს შეადგენდა.**

ლიტერატურა:

1. გელაშვილი ს., მაღრაძე ნ., საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გეოგრაფიული სტატისტიკა, თსუ, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბ., 2018, 86-92 გვ.
2. თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ., Covid-19-ის გავლენა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები, 2020, 218-224 გვ.
3. ძებისაური ლ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები და სტატისტიკა საქართველოში, სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში, თსუ, 2018, 210-218 გვ.
4. UNCTAD - Foreign Direct Investment https://unctadstat.unctad.org/EN/BulkDownload.html
5. International Production Beyond The Pandemic, World Investment Report, 2020 https://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2020_en.pdf
6. Kimberly Amadeo, How FDI Affects Your Life, 2020 https://www.thebalance.com/foreign-direct-investment-fdi-pros-cons-and-importance-3306283
7. https://www.geostat.ge/
8. https://grass.org.ge/

# Impact of COVID-19 on Foreign Direct Investmentsin Countries with Economies in Transition

**Nino Maghradze**
***PhD Student, TSU***

S u m m a r y

**The article discusses positive sides and benefits of Foreign Direct Investment. Data on investments in countries with economies in transition, partner countries, investment sectors and components are presented. There are introduced prospects for the development of Foreign Direct Investments in countries with economies in transition, as well as in other regions of the world, taking into account the impact of COVID-19 based on the World Investment Report prepared by the United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD).**

***Keywords: Foreign Direct Investments, Reinvestment, Transition economies, COVID-19.***

# დასაქმების რეალური ზრდის მოდელი

**პავლე მაღრაძე**
***თსუ-ის დოქტორანტი***

*საქართველოში აქტუალობას არ კარგავს ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საკითხი, რაც დასაქმების ფონით არის განპირობებული. როგორც წესი, დაქირავებულთა ზრდამ სტიმული უნდა მისცეს თვითდასაქმებას, რამაც, თავის მხრივ, კიდევ უნდა გაზარდოს დასაქმება.*

*სტატიაში განხილულია, თვითდასაქმებულთა და დაქირავებულთა დამოკიდებულება რეალურად რამდენად ზრდის დასაქმებას. აღნიშნული დამოკიდებულება გაანგარიშებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდით Fixed Effect-ის მოდელის საფუძველზე პანელური მონაცემებით და გაანალიზებულია მიღებული შედეგები.*

*საკვანძო სიტყვები:* *დასაქმება, კროსსექციური მოდელი, პანელური მონაცემების მოდელი.*

*JEL CODE:* *Q 52, C 21, C 23.*

## შესავალი

**საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობა, მათი სოციალური თანასწორობა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რომელიც პირდაპირ კავშირშია დასაქმებასთან, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შედეგია, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს.[1] დასაქმება ხორციელდება როგორც თვითდასაქმებით, ასევე დაქირავებით. დაქირავებულთა ზრდამ, როგორც წესი, დადებითად უნდა იმოქმედოს თვითდასაქმებაზე, რაც განპირობებულია საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდით, ე. ი. დაქირავებულთა ზრდამ უნდა შექმნას ახალი სამუშაო ადგილები თვითდასაქმებულთა სახით, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი ურთიერთმიმართების კვლევა და ანალიზი, კონკრეტულად კი, იმ დამოკიდებულების ახსნა, თუ როგორ აისახება დასაქმებაზე დაქირავებულთა და თვითდასაქმებულთა ურთიერთგავლენა.**

**აღნიშნული დამოკიდებულების დასადგენად მნიშვნელოვანია სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ადეკვატური მოდელების აგება.**

## ძირითადი შინაარსი

**სტატისტიკური ინფორმაცია თვითდასაქმებულთა და დაქირავებულთა შესახებ რეგიონების მიხედვით აღებულია საქსტატიდან 2009-დან 2019 წლამდე პერიოდით[2]. აღნიშნული ინფორმაცია წაროდგენილია პანელური დროითი მწკრივის სახით გრაფიკზე.**

---

1 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, გვ.3
2 წყარო - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.




**გრაფიკზე ნათლად ჩანს, რომ თბილისში[1] (RegID 2) დაქირავებით დასაქმებულები მნიშვნელოვნად აღემატება თვითდასაქმებულებს, ხოლო დანარჩენ რეგიონებში პირიქითაა. ამიტომ უპრიანია, ამოვარდნილი მონაცემების ამოღება (კონკრეტულად თბილისის) და დანარჩენ რეგიონებზე ადეკვატური მოდელის შერჩევა, რისთვისაც განვიხილეთ კომბინირებული (Pooled OLS) (1), Fixed Effect (2), და Random Effect (3)მოდელები.**

$$Y_{it} = \alpha + \beta' X_{it} + \varepsilon_{it} \quad (1)$$

$$Y_{it} = \alpha_i + \beta' X_{it} + \varepsilon_{it} \quad (2)$$

$$Y_{it} = \alpha + \beta' X_{it} + u_i + \varepsilon_{it} \quad (3),$$

**სადაც** $i = 1, 2, \dots N$ **- კროსსექციური მონაცემებია;**

$t = 1, 2, \dots T$**- დრო;**

$Y_{it}$ **- დამოკიდებული ცვლადი დაკვირვების ყოველი** $i - თვის$ **და** $t$ **- პერიოდისთვის;**

$X_{it}$ **-** $i$ **- ური დამოუკიდებელი ცვლადი დროის** $t$ **- პერიოდისთვის;**

$\varepsilon_{it}$ **- ნარჩენობითი წევრი;**

$\alpha_i$ **- დაუკვირვებადი, დროში უცვლელი ინდივიდუალური ეფექტი;**

$u_i$ **- ინდივიდუალური ნარჩენობითი წევრი, რომელიც ერთეულზე დაკვირვების შემთხვევითი მახასითებელია.**

**პანელური მონაცემების საფუძველზე მოდელის შეფასებისას ყველაზე ოპტიმალური აღმოჩნდა Fixed Effect მეთოდი, რაზეც მეტყველებს ტესტები და სტატისტიკები, კერძოდ, ჰაუსმანის ტესტი და F-სტატისტიკა[2].**

Correlated Random Effects - Hausman Test
Equation: EQ01
Test cross-section random effects

| Test Summary | Chi-Sq. Statistic | Chi-Sq. d.f. | Prob. |
|---|---|---|---|
| Cross-section random | 8.354060 | 1 | 0.0038 |

**[1] კომპიუტერულ პროგრამა Eviews-ში პანელურ მონაცემებს, კერძოდ კი, რეგიონებს მიკუთვნებული აქვს აიდები: ID 1 - კახეთი, 2 - თბილისი, 3 - შიდა ქართლი, 4 - ქვემო ქართლი, 5 - ა/რ აჭარა, 6 - სამეგრელო-ზემო სვანეთი, 7 - იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, 8 - სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი.**

**[2] Chmelarova V., TheHausman test, and some alternatives, with heteroskedastic data, 2007, p.6.**

**რადგან 0.0038<0.05_ზე ნულოვანი ჰიპოთეზა შეგვიძლია უარვყოთ და ვთქვათ, რომ Fixed Effect მოდელია მისაღები, მეორე მხრივ, იმის გასარკვევად, თუ რომელი მოდელია უფრო მისაღები, Fixed Effect მოდელი თუ Pooled OLS-ხი რეგრესიულ განტოლებაში უნდა ჩავრთოთ Dummy (ჩუმი) ცვალდები და შევაფასოთ განტოლება, შემდეგ კი ამ ცვლადების წინ მდგომ კოეფიციენტებზე ჩავატაროთ ვოლდის ტესტი[1].**

Wald Test:
Equation: WALDTEST

| Test Statistic | Value | df | Probability |
|---|---|---|---|
| F-statistic | 134.4650 | (6, 69) | 0.0000 |
| Chi-square | 806.7900 | 6 | 0.0000 |

Null Hypothesis: C(3)=C(4)=C(5)=C(6)=C(7)=C(8)=0
Null Hypothesis Summary:

**რადგან 0.0000<0.05-ზე, შეგვიძლია ნულოვანი ჰიპოთეზა უარვყოთ და ვთქვათ, რომ Fixed Effect მეთოდია მისაღები.**

**აღნიშნულ მოდელში კოეფიციენტის სანდოობაზე მისი ალბათობები მეტყველებენ, ხოლო მოდელის ვარგისიანობაზე დეტერმინაციის კოეფიციენტი, F-სტატისტიკა და მისი შესაბამისი ალბათობა მიუთითებს.**

Dependent Variable: SEMP
Method: Panel Least Squares
Date: 09/14/20 Time: 17:54
Sample: 2009 2019
Periods included: 11
Cross-sections included: 7
Total panel (balanced) observations: 77

| Variable | Coefficient | Std. Error | t-Statistic | Prob. |
|---|---|---|---|---|
| HIRED | -0.744834 | 0.133057 | -5.597853 | 0.0000 |
| C | 169.8565 | 8.544091 | 19.88000 | 0.0000 |
| Effects Specification | | | | |
| Cross-section fixed (dummy variables) | | | | |
| R-squared | 0.939684 | Mean dependent var | 122.3961 | |
| Adjusted R-squared | 0.933565 | S.D. dependent var | 36.02067 | |
| S.E. of regression | 9.284297 | Akaike info criterion | 7.392619 | |
| Sum squared resid | 5947.674 | Schwarz criterion | 7.636132 | |
| Log likelihood | -276.6158 | Hannan-Quinn criter. | 7.490022 | |
| F-statistic | 153.5688 | Durbin-Watson stat | 0.572095 | |
| Prob(F-statistic) | 0.000000 | | | |

[1] **ZulfikarR.,Estimation Model And Selection Method Of Panel Data Regression : An Overview Of Common Effect, Fixed Effect, And Random Effect Model2018.p.1-10**

**ჰისტოგრამა**




**ნარჩენების ნორმალურ განაწილებაზე კი მისი შესაბამისი ჰისტოგრამა მეტყველებს შესაბამისი ალბათობით, სადაც ნულოვანი ჰიპოთეზა ნარჩენების ნორმალური განაწილების შესახებ დასტურდება 0.624>0.05-ზე.**

**შესაფასებელი მოდელის თანახმად გამოვიდა, რომ დაქირავებით დასაქმებულთა 100 ერთეულით ზრდა თვითდასაქმებას ამცირებს 74 ერთეულით. ამაზე მიუთითებს დამოუკიდებელი ცვლადის (დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა) წინ მდგომი კოეფიციენტის „-“ ნიშანი შესაბამის განტოლებაში[1]:**

$$Y_{it} = 169.9 - 0.74x_{it} + \varepsilon_{it}$$

**მივიღეთ ჩამოყალიბებული თეორიიდან გადახრა, რაც გულისხმობს იმას, რომ მაგალითად, თუ დაგეგმილია 100 ახალი თანამშრომლის დაქირავება, ეს რეალურად დასაქმებას „100+თვითდასაქმებულთა რაოდენობა“ (სადაც თვითდასაქმებულებში იგულისხმება დაქირავებულების ხარჯებით შექმნილი ახალი სამუშაო ადგილები თვითდასაქმებულების სახით) ერთეულით კი არ ზრდის, არამედ 26 ერთეულით, რომელიც წარმოდგენილია უმუშევართა რიგებიდან, ხოლო დანარჩენი 74 თვითდასაქმებულებიდან გადმოდიან დაქირავებულებში. აღნიშნულ დამოკიდებულებას ასახავს ქვემოთ მოცემული დიაგრამა.**




[1] **Y_თვითდასაქმებულთა რაოდენობა, X - დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა.**

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონებში თვითდასაქმებულებს აქვთ მიდრეკილება, მოხვდნენ დაქირავებულთა რიგებში. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ თვითდასაქმებას ხშირად მიმართავენ ის ადამიანებიც, რომლებიც საწყის ეტაპზე ვერ ახერხებენ საკუთარი ცოდნის რეალიზებას და არ მუშაობენ შესაბამისი პროფილით. აქედან გამომდინარე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ამ კატეგორიის თვითდასაქმებულებზე მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენს და გადაადგილდებიან დაქირავებულებში, რათა გარკვეული ხელფასის სახით გარანტირებულად ჰქონდეთ შემოსავალი, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება გააჩნდეთ საკუთარი საქმიანობის გაგრძელების დიდი სურვილი. თვითდასაქმებულები ვერ იღებენ იმ სარგებელს, რისი მოლოდინიც აქვთ. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულ ადამიანებს, რომლებსაც მოჰყავთ სხვადასხვა კულტურა, არა აქვთ გასაღების ნორმალური საშუალება, პროდუქციის ჩასაბარებელი ფასი იმდენად იაფია, რომ ზოგჯერ ვერც კი ფარავენ დანახარჯებს ან ღებულობენ ძალიან მცირე მოგებას. წაგება ასევე შეიძლება გამოიწვიოს მიბაძვით თვითდასაქმებამაც საქმეში არაკომპეტენტურობის გამო.

## დასკვნა

უმცირეს კვადრატთა მეთოდით აგებული მოდელის (Fixed Effect) შედეგი, რომელსაც საფუძვლად ედო ის, რომ დაქირავებულთა ზრდამ სტიმული უნდა მისცეს თვითდასაქმებას, რეალურად რეგიონების მიხედვით, გარდა თბილისისა, აღმოჩნდა პირიქით. აღნიშნული ვითარება გვიჩვენა მოდელში დამოუკიდებელი ცვლადის კოეფიციენტის „-“ ნიშანმა.

დასაქმების ზრდის რეალური შედეგი საპირისპირო აღმოჩნდა იმისა, რასაც ველოდით, რადგან იგი იზრდება არა იმ სიდიდით, რაც დაქირავებულებისა და თვითდასაქმებულთა სტიმულირების გზით არის მიღწეული, არამედ დაქირავებულთა ნაზრდზე უფრო ნაკლები რაოდენობით. აღნიშნული დისბალანსი გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისას, რომელსაც საფუძვლად უდევს დაქირავებულთა ზრდა და, ამავდროულად, თითქოს უმუშევართა შემცირება იმავე სიდიდით, რეალურად ახალი სამუშაო ადგილების შექმნისას დაქირავებულთა დიდი ნაწილი შეივსო თვითდასაქმებულთა რიგებიდან, ხოლო მცირე ნაწილი - უმუშევართა რიგებიდან. თვითდასაქმებულთა გადადინებას დაქირავებულებში ხელს უწყობს სხვადასხვა ფაქტორი, როგორიცაა: თვითდასაქმებიდან მიღებული მიზერული მოგება ან პროდუქტის სახით დარჩენილი შემოსავალი, არაკომპეტენტურობა, შეუსაბამო პროფილით მუშაობა და სხვა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება N 400, 2014 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი,საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველოს 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმება და უმუშევრობა, მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით რეგიონულ ჭრილში https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba
3. Chmelarova V., The Hausman test, and some alternatives, with heteroskedastic data, 2007
4. ZulfikarR.,Estimation Model And Selection Method Of Panel Data Regression: An Overview of Common Effect, Fixed Effect, And Random Effect Model, 2018.
5. Buck S., Notes to accompany fixed effects material, 2018.https://are.berkeley.edu/courses/EEP118/spring2014/handouts/Lecture_EEP118%20Spring%202014_panel%20data%20and%20fixed%20effects%20regression_student.pdf

6. Hsiao C., Panel Data Analysis — Advantages and Challengeshttps://www.uio.no/studier/emner/sv/-oekonomi/ECON5103/v10/undervisningsmateriale/PDAppl_14.pdf
7. https://are.berkeley.edu/courses/EEP118/spring2014/handouts/Lecture_EEP118%20Spring%202014_panel%20data%20and%20fixed%20effects%20regression_student.pdf

# Real employment growth model

**Pavle Magradze**

***Ivane Javakhishvili Tbilisi State University***

***PHD Student of Faculty of Economics and Business***

S u m m a r y

**The issue of socio-economic status of people, which is conditioned by employment, it does not lose relevant in Georgia. As a rule, the growth of employees should stimulate self-employment, which in turn should further increase employment.**

**The article discusses how the attitudes of the self-employed and employees actually increase employment. This relationship is calculated using the least squares model based on Fixed Effect Model with panel data and the results obtained are analyzed.**

***Keywords:Employment, Cross-Sectional Models,Panel Data Models.***

***JEL CODE:Q 52,C 21, C 23.***

# გლობალიზაციის გავლენა განათლებაზე და დისტანციური სწავლების გამოწვევები საქართველოში

**მარიამ მელიქიძე**
***თსუ-ის დოქტორანტი***

*გლობალიზაცია მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიღწევების გაცვლისა და გაზიარების პროცესია, ის აახლოებს ქვეყნებს, კონტინენტებს და ადამიანებს, რომლებიც დაკავშირებულები არიან ბიზნესის წარმართვასთან. გლობალიზაცია, ასევე, გულისხმობს ადამიანებისა და ბიზნესის ურთიერთკავშირს, რაც საბოლოოდ იწვევს გლობალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ინტეგრაციას. ის საშუალებას იძლევა, დავამყაროთ კომუნიკაცია მსოფლიოში არსებულ ყველა ქვეყანასთან საერთაშორისო ბიზნესის წარმოების მიზნით. გლობალიზაცია ეკონომიკური ძალაუფლების გადანაწილების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა მსოფლიო დონეზე და გვეხმარება სავაჭრო დეფიციტისა და საგადასახადო ბალანსის პრობლემების აღმოფხვრაში. ადამიანები თვლიან, რომ განათლება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომლის საშუალებითაც ხდება გლობალიზაციის ზოგიერთი შედეგის პოზიტიური მართვა, ასევე, საფრთხეების გარდაქმნა ინდივიდებისა და ადგილობრივი საზოგადოების განვითარების შესაძლებლობებად. გლობალიზაციის პოზიტიური ეფექტების მაქსიმალური ზრდა და უარყოფითი ზემოქმედების შემცირება თითოეული ქვეყნისთვის საგანმანათლებლო რეფორმების მთავარი საზრუნავია.*

*საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესი, Covid-19, დისტანციური განათლება.*

**აღსანიშნავია, რომ განათლების სისტემის ჯანსაღი ფუნქციონირება ხელს უწყობს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას. ის სტიმულს აძლევს არა მხოლოდ დოვლათის შექმნას ქვეყანაში, არამედ ხელს უწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის ტემპის ზრდას. განათლების თითოეული საფეხური არის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. უმაღლესი სასწავლებლების მიერ კონკრეტული განათლების დარგში სპეციალისტების მომზადების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყანაში სფეროს განვითარების დონესაც.**

**ხარისხიანი განათლების მიღება საზოგადოების თითოეული წევრისთვის მთავარი საზრუნავია. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას, ეპიცენტრს, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური, ასევე, ადამიანური განვითარების საფუძველს. თითოეული მოქალაქის განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შემოსავლების ზრდის ყველა დონისთვის სახელმწიფო სექტორის მთავარი მიზანი/ფუნქცია უნდა გახდეს. გლობალიზაციის უპირატესობაა, ცოდნის, უნარებისა და ინტელექტუალური აქტივების გლობალური გაზიარება, რაც აუცილებელია ქვეყნების მრავალმხრივი განვითარებისთვის.**

**მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაცია გულისხმობს არა მხოლოდ ტრადიციული ცოდნის დაუფლებას, არამედ საზოგადოების მიერ ახალი უნარების შეძენის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ განათლების დეფიციტი განვითარებად ქვეყნებში აშკარად შეიმჩნევა, განვითარებულ ქვეყნებში ის მთავარი საზრუნავია. მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის OECD–ის ქვეყნები თითოეულ მოსწავლეზე 100–ჯერ მეტს ხარჯავენ დაწყებით და საშუალო განათლებაზე, ვიდრე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები (იხ. (OECD) მიმოხილვა განათლებაში შეფასებისა და ატესტაციის სისტემების შესახებ). გასაკვირი არ არის, რომ ტერმინმა გლობალიზაციამ" განათლების ნაწილში მრავალი ემოციური დატვირთვა შეიძინა. ერთი მხრივ, ის განიხილება, როგორც დაუძლეველი და მთავარი მამოძრავებელი ძალა ეკონომიკური**

**აღმავლობის უზრუნველსაყოფად მთელ მსოფლიოში, მაშინ, როცა ეროვნული მთავრობები გამოყოფენ ადეკვატურ რესურსებს განათლების, ძირითადი ინფრასტრუქტურისა და გარემოსთვის, ქმნიან ინსტიტუციონალურ ჩარჩოს, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობასა და ახალ შესაძლებლობებს განათლების სფეროში.**

**აღსანიშნავია, რომ საქართველოში განათლების სფეროში დაგეგმილია განათლებასთან დაკავშირებული ხარჯების მშპ-ს 6%-მდე ზრდა 2022 წლიდან. (იხ. პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების პოლიტიკა საქართველოში). მიმდინარე რეფორმების მთავარი კომპონენტებია ახალი სკოლის მოდელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი. ეს ყველაფერი მიზნად ისახავს ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. განათლების სექტორში აკუმულირებული რესურსი საგრძნობლად გაიზრდება საშუალოვადიან პერიოდში, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო დაფინანსების ზრდას და განათლების სერვისებზე მზარდ მოთხოვნას.**

*ცხრილი N1.* საშუალოვადიანი დანახარჯების ჩარჩო (MTEF)
*(განათლების ფაქტობრივი, მოსალოდნელი და გაანგარიშებული ბიუჯეტი, 2017-2024 წლები ('000 ლარი)*

| მონაცემები '000 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| განათლების ბიუჯეტის ექსტრაპოლაცია 2020-2024 | ფაქტი | ფაქტი | მოსალოდნელი | პროგნოზი | შეფასებული | შეფასებული | შეფასებული | შეფასებული |
| განათლება | 1,199,131 | 1,243,492 | 1,354,118 | 1,539,730 | 1,583,943 | 3,725,118 | 4,047,900 | 4,400,067 |
| დაწყებითი განათლება | - | 1 | 100 | 200 | 206 | 484 | 526 | 572 |
| ზოგადი განათლება | 587,382 | 603,548 | 655,884 | 812,480 | 835,810 | 1,965,659 | 2,135,983 | 2,321,814 |
| საშუალო განათლება | 587,382 | 603,548 | 655,884 | 812,480 | 835,810 | 1,965,659 | 2,135,983 | 2,321,814 |
| პროფ. განათლება და მომზადება | 36,408 | 36,646 | 52,660 | 56,917 | 58,551 | 137,701 | 149,633 | 162,651 |
| უმაღლესი განათლება | 140,507 | 161,696 | 160,165 | 132,169 | 135,964 | 319,761 | 347,468 | 377,698 |
| უმაღლესი პროფ. განათლება | 12,572 | 210 | 210 | 210 | 216 | 508 | 552 | 600 |
| უმაღლესი აკადემიური განათლება | 127,935 | 161,486 | 159,955 | 131,959 | 135,748 | 319,253 | 346,916 | 377,098 |
| ბაკალავრიატის შემდგომი განათლება | 1,491 | 1,766 | 2,000 | 1,500 | 1,543 | 3,629 | 3,943 | 4,287 |
| დამხმარე საგანმანათლებლო სერვისები | 76,351 | 99,754 | 108,356 | 129,375 | 133,090 | 313,001 | 340,123 | 369,713 |
| კვლევები განათლების სფეროში | 63,718 | 70,273 | 41,690 | 41,750 | 42,949 | 101,007 | 109,759 | 119,308 |
| სხვა განუსაზღვრელი საქმიანობა განათლების სფეროში | 293,275 | 269,810 | 333,263 | 365,339 | 375,830 | 883,876 | 960,464 | 1,044,025 |

*წყარო:* ***www.mes.gov.ge****; პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების პოლიტიკა საქართველოში*

ძალიან მნიშვნელოვანია განათლების განვითარების თვალსაზრისით მთავრობის მხრიდან ჩადებული ინვესტიციები. განვითარებულმა და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებმა მუდმივად უნდა გაზარდონ განათლების დაფინანსება და მხარი დაუჭირონ ყველა იმ რეფორმის გატარებას, რაც ხელს შეუწყობს განათლების მიღებასა და მის გავრცელებას.

სხვადასხვა ქვეყანაში განათლებაზე გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების გადანაწილების სხვადასხვა მოდელი მოქმედებს. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას ისტორიულად ბევრი აქვს საერთო განსაკუთრებით კომუნისტური წარსულის მქონე სისტემებთან. საქართველოს უმაღლეს განათლებაში ჩართულობის მაჩვენებლები მეტნაკლებად ახლოსაა ევროპული ქვეყნების მაჩვენებლებთან. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში, 2019 წელს გამოცემული ანგარიშის მიხედვით, რომელიც 141 ქვეყანას მოიცავს, საქართველო ზოგადი და საუნივერსიტეტო განათლების ხარისხით 3,4 ქულით 125-ე ადგილს იკავებს. ცალკე აღებული ზოგადი განათლების კომპონენტში საქართველო 3,1 ქულით 122-ე ადგილზეა.

COVID-19 პანდემიის გრძელვადიანი გავლენა საქართველოს განათლების სექტორზე პოზიტიური იქნება და ხელს შეუწყობს: სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების დაჩქარებულ ადაპტაციას, რეგიონებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდას, მთავრობის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შინამეურნეობების მიერ განათლების ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას.

დისტანციური სწავლების შემოღებამ ხელს შეუწყობს საქართველოში მიღებული განათლების პოპულარიზაციას. საქართველოს სკოლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები მარტივად ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. პანდემიამ დააჩქარა სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენება: ქვეყნის მასშტაბით სტუდენტებისა და მასწავლებლების ინტერნეტზე წვდომის ზრდა, უმოკლეს ვადებში მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეთა ჩართვა ციფრულ სასწავლო პროცესში. ქვეყნის განათლების სექტორს სარგებელს მოუტანს პანდემიის დროს შექმნილი ახალი სასწავლო პლატფორმები, როგორებიცაა ელექტრონული ბიბლიოთეკა, ტელესკოლა, აბიტურიენტებისათვის ვებსკოლა, i-სკოლა და სხვა პლატფორმები.

ონლაინდისტანციური სწავლება შეიძლება გახდეს ძლიერი იარაღი განვითარებადი ქვეყნებისათვის - შემცირდება ძვირად ღირებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის საჭიროება უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და საშუალებას იძლევა, ინვესტიციები ჩაიდოს საკომუნიკაციო მოწყობილობებსა და სასწავლო პროგრამებში რეგიონის მასშტაბით. გლობალური დისტანციური სწავლების ქსელი (GDLN) ერთ-ერთი ასეთი ინიციატივაა. ეს არის მსოფლიო ინსტიტუტების ქსელი, რომელიც ავითარებს და იყენებს დისტანციური სწავლების ტექნოლოგიებსა და მეთოდებს, რომლებიც ორიენტირებულია განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაზე. ამგვარი ქსელები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ტექნოლოგიური შესაძლებლობების ამაღლებაში.

საქართველოს განათლების სისტემაში დისტანციური სწავლების დანერგვამ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მაღალი შეფასება დაიმსახურა. კერძოდ, ეკონომიკის განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის (OECD) ჩარჩო-დოკუმენტში Covid-19-ით შექმნილი გამოწვევების დაძლევის კუთხით, საქართველოში განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად დასახელდა. შექმნილი გამოწვევების დასაძლევად საქართველოს მთავრობის მიერ განათლების სფეროში გატარებულ ღონისძიებებს, ასევე, მაღალი შეფასება მისცა გაერო-ს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობამაც UNICEF). (იხ. ჩხენკელი მ. http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=10322)

## გლობალური საგანმანათლებლო სექტორი და დისტანციური სწავლების გამოწვევები

ბოლო დროს შექმნილმა მდგომარეობამ უპრეცედენტო შემთხვევის წინაშე დააყენა სრულიად საქართველო. შეიცვალა არა მხოლოდ საგანმანათლებლო სისტემა, არამედ ჩვენი ცხოვრების ჩვეული სტილიც.

თანამედროვე საზოგადოებაში, ინფორმაციისა და ტექნოლოგიური ზრდის მკვეთრი ზრდის ფონზე, სპეციალისტს სწავლა, პრაქტიკულად, მთელი ცხოვრების განმავლობაში სჭირდება. აუცილებელია, ვეძიოთ ახალი მეთოდები და ტექნოლოგიები ცოდნის გასაღრმავებლად. ინტერნეტტექნოლოგიების და დისტანციური სწავლების გამოყენება სრულიად ახალ შესაძლებლობებს აძლევს სპეციალისტებს როგორც უწყვეტი განათლების მისაღებად, ასევე სპეციალისტების გადასამზადებლად და მეორადი განათლების მისაღებად.

ონლაინსწავლა შესაძლებელია სახლიდან და ოფისიდან გაუსვლელად, ფაქტობრივად, ნებისმიერი ადგილიდან, სადაც კომპიუტერთან და ინტერნეტთან ხელი მიგვიწვდება. ეს შესაძლებელს ხდის, რომ თანამედროვე სპეციალისტმა ცოდნა მიიღოს სპეციალური მივლინებების, შვებულებების და მგზავრობის გარეშე, ისე რომ არ მოწყდეს თავის ძირითად საქმიანობას. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ეს სწავლის პროცესს ბევრად უფრო ხელმისაწვდომს და მარტივს ხდის, ვიდრე განათლების კლასიკური მეთოდები. სახეზეა ორგანიზაციულად მარტივი პროცესი, როგორც მოსწავლეთათვის, ასევე სასწავლო დაწესებულებისათვის. როგორც წესი, დისტანციური სწავლება უფრო იაფია ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით, რაც განპირობებულია ბევრი ისეთი ფაქტორების არარსებობით, როგორიცაა: მგზავრობის, ცხოვრების და თვით სწავლის პროცესის ორგანიზაციული ხარჯები. ონლაინსწავლების დროს, მომხმარებელი თავად ირჩევს სწავლების ტემპს. გამოცდილება აჩვენებს, რომ დისტანციური სწავლების სტუდენტი უფრო მეტი მობილურობით, დამოუკიდებლობით და პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევა. სწორედ ამიტომ, ასეთი განათლების მიღების შემდეგ იგი საკმაოდ მოთხოვნადი ხდება შრომის ბაზარზე.

დისტანციური სწავლების მიმართულებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ სკოლებს დისტანციური სწავლების ხელშეწყობისთვის Microsoft-ის 15-ზე მეტი პროდუქტის გამოყენების შესაძლებლობა შესთავაზა. EMIS-ის მეშვეობით, საქართველოს საჯარო სკოლების დაახლოებით 600 000 მოსწავლის პირადი მოხმარების პროფილი შეიქმნა (იხ. სუხიაშვილი ვ., დისტანციური სწავლება სკოლებში - კორონავირუსის კიდევ ერთი გამოწვევა). ასევე შექმნილია გზამკვლევები და პროგრამების წარმატებით გამოყენების მაგალითები. ეს საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს, მარტივად დაეუფლოს და სრულად გამოიყენოს Office 365-ის პროგრამები. ასევე, პანდემიის პირობებში განათლების სექტორში არსებული პრობლემების დასაძლევად, საქართველოში დაიწყო პროექტი „ტელესკოლა“, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს პირველ არხთან თანამშრომლობით ახორციელებს.

კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო, გარკვეული ღონისძიებების განხორციელება შეჩერდა და ჩანაცვლდა ღონისძიებით „კინოსკოლაში“, რომლის ფარგლებში კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ონლაინსაგანმანათლებლო აქტივობები. ამისთვის გამოყენებულ იქნა ვებ-პლატფორმა „კინოს კუთხე“ (THE FILM CORNER) და სპეციალურად გადამზადებული კინოსპეციალისტების ჯგუფი.

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OECD) 2020 წლის ანგარიშში, რომელიც COVID-19-ის პანდემიით განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევების დასაძლევად გამოაქვეყნა, 98 ქვეყანას შორის საქართველოს

მთავრობის მიერ განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეაფასა. კორპორაცია Microsoft-ის განათლების მიმართულების ვიცე-პრეზიდენტმა ენტონი სალსიტომ COVID-19-ის კრიზისის პირობებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს ასევე მაღალი შეფასება მისცა. საქართველომ ონლაინსწავლებას წარმატებით გაართვა თავი. (იხ. www.mes.gov.ge;https://www.mes.gov.ge/content.php?id=10318&lang=geo).

დისტანციური სწავლება არის ახალი გამოწვევა და ყველა ჩვენგანში გამოიწვია გარკვეული შიში, თუმცა მას ბევრი დადებითი მხარე აქვს, რასაც დღეს ნაკლებად ვამჩნევთ. ბევრი ოჯახი ინტერნეტთან წვდომის პრობლემას ასახელებს, ამიტომაც მასწავლებლები აქტიურად ეხმარებიან მოსწავლეებს ამ სიახლესთან დაკავშირებული ყველა პრობლემების აღმოფხვრაში. ეს სწავლების ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგიაა. დისტანციური სწავლება არის ეფექტური საშუალება იმისათვის, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ეროვნული გეგმის სტანდარტით გათვალისიწნებული განათლება. არის შემთხვევები, რომ მოსწავლეები ვერ ახერხებენ საგაკვეთილო პროცესში ჩართვას გარკვეული მიზეზების გამო. განსაკუთრებით ეს პრობლემა გამოიკვეთა მაღალმთიან რაიონებში. ამიტომაც საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დაიწყო „ტელესკოლან, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მოისმინონ ყველა გაკვეთილი შესაბამისი კომპენტენციის მქონე მასწავლებლებისგან.

## COVID-19 პანდემიის გავლენა განათლების დაფინანსებაზე

ანალიტიკოსების აზრით, კორონავირუსული პანდემია უპრეცედენტო გავლენას ახდენს საერთაშორისო განათლებაზე, სადაც სტუდენტები, პედაგოგები და მშობლები შინ და საზღვარგარეთ განიცდიან არა მხოლოდ უზარმაზარ ზეწოლას, არამედ გამოწვევების ერთად გადალახვის შესაძლებლობებსაც.

განათლება საერთო საზოგადოებრივი ძალაა, სამოქალაქო საზოგადოებას, მასწავლებლებს და აღმზრდელებს, თემებს, ოჯახებს, ახალგაზრდებს და ბავშვებს ყველას აქვს მნიშვნელოვანი როლი ხარისხიანი განათლების ჩამოყალიბებაში. განათლება წარმოადგენს უალტერნატივო ძალას ცხოვრების გასაუმჯობესებლად, განათლებას ძირითადი ადგილი ენიჭება სიღარიბის აღმოფხვრაში: ის ეხმარება ადამიანებს, მიიღონ კარგი დამსახურებული სამსახური, ზრდის მათ შემოსავლებს და იწვევს პროდუქტიულობის ზრდას, რაც ასაზრდოებს ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოში არსებული უმაღლესი დაფინანსების სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპის ქვეყნების დაფინანსების სისტემებისაგან, რთულია ისეთი მოდელის წარმოდგენა, რომელიც უმაღლესი განათლების ეროვნული მიზნების, თანაბარი ხელმისაწვდომობის და თანასწორობის პრინციპების შესაბამისი იქნება. შემოღებული უნდა იქნას საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების მექანიზმი, რომელთა მოცულობა დაფუძნებული იქნება შესრულების ინდიკატორებზე.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტუდენტების წვლილი ეკონომიკის განვითარებაში. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო ჯგუფები უფრო და უფრო ინტერნაციონალიზებული ხდება. ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოება მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, უნივერსიტეტები ეკონომიკური საზოგადოების წევრები არიან და მათზეც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა გარემოს ფაქტორი: გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, ფინანსური კრიზისები, ინოვაციები, წარმოების საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლობა და ყველაფერი ეს გაზრდილი კონკურენციის ფონზე.

ევროპაში უნივერსიტეტების მიერ საჯარო დაფინანსების მიღების ორი ძირითადი წესი მოქმედებს: ბლოკ-გრანტების მიღება და მუხლობრივი დაფინანსება. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ უნივერსიტეტებს თანხა გადაეცემათ კონკრეტული დანიშნულებით და, შესაბამისად, მათ უფლება არ აქვთ, საკუთარი სურვილების მიხედვით გაანაწილონ ეს თანხა. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მუხლობრივი დაფინანსების მექანიზმი სულ რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებს: (საბერძნეთი, ჩეხეთი, კვიპროსი, ბულგარეთი, ლატვია). ბლოკ-გრანტების შემთხვევაში კი უნივერსიტეტს პირდაპირ გადაეცემა გარკვეული თანხა დანიშნულების მითითების გარეშე. ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში სწორედ ბლოკგრანტები წარმოადგენს დაფინანსების მთავარ მექანიზმს და, შესაბამისად, თვითონ უნივერსიტეტის შიდა სტრუქტურები გადაწყვეტენ, თუ როგორ განაწილდეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება. როგორც წესი, ბლოკ-გრანტების ძირითადად ისეთი ხარჯები იფარება, როგორიც არის პერსონალის ანაზღაურება და მიმდინარე ხარჯები. ბევრ ქვეყანაში ბლოკ-გრანტები ასევე გამოიყენება კვლევის ხარჯების ასანაზღაურებლად. აღსანიშნავია, რომ ზოგ ქვეყანაში ბლოკ-გრანტების განკარგვა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიერ სახელმწიფოსათვის წინასწარ წარდგენილ სქემას (ბელგია, უნგრეთი, საფრანგეთი, ლიტვა).

მისასალმებელია, რომ განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანებმა დიდი ენთუზიაზმი გამოიჩინეს პანდემიის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა კონკრეტული მექანიზმი, ან საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციები ონლაინსწავლების განხორციელების შესახებ, ვფიქრობ, ჩვენმა საზოგადოებამ თვითორგანიზებითა და საკუთარი ინიციატივით შეძლო ეპასუხა ამ გამოწვევისთვის.

ლიტერატურა:

1. გალტ&თაგარტი, ივლისი, 2020, განათლების სექტორი საქართველოში.
2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიმოხილვა განათლებაში შეფასებისა და ატესტაციის სისტემების შესახებ, გვ. 14, საქართველო, 2019.
3. იაკობაძე მ., უმაღლესი განათლების დაფინანსების უცხოური გამოცდილება და საქართველოს პრაქტიკა, გვ. 9, 2019.
4. მაჩაბელი გ., განათლების სახელმწიფო პოლიტიკა და რეფორმების სტრატეგიული დაგეგმვა, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, ივლისი, 2020.
5. დისი ო., სიფრაშვილი თ., საღინაძე ლ., პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების პოლიტიკა საქართველოში, Refforom Assistance for Georgia, გვ 24, ცხრილი N1, დეკემბერი, 2019.
6. სუხიაშვილი ვ.,. დისტანციური სწავლება სკოლებში - კორონავირუსის კიდევ ერთი გამოწვევა, გაზეთი „ფაქტ-მეტრი", www.factcheck.ge, მაისი, 2020.
7. ჯოჯუა ნ., უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, ეროვნული თავდაცვის აკადემია, 2020.
8. ჩახაია ლ., უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა, 2020.
9. ქიტიაშვილი ზ., ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში, გვ. 120, 2016.
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge
11. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო www.mes.gov.ge;http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=10322
12. Sanni. Y, Akaninyene. O, Ronald L.(June 2020). Globalisation in the time of COVID-19: repositioning Africa to meet the immediate and remote challenges.
13. Jones, P. W. (1999). Globalisation and the UNESCO mandate: Multilateral prospects for educational development. International Journal of Educational Development, 19(1), 17-25.
14. Klor de Alva, J. (2000). Remaking the academy in the age of information. Issues in Science and Technology, 16(2), 52-58.
15. Lick, D. W. (1999). Transforming Higher Education: A New Vision, Learning Paradigm, and Change management. International Journal of Innovative Higher Education 1999, Fall, 13.

16. Little, A. W. (1996). Globalization and educational research: Whose context counts? International Journal of Educational Development, 16(4), 427-438.
17. McGinn, N. F. (1996). Education, democratization, and globalization: A challenge for comparative education. Comparative Education Review, 40(4), 341-357.
18. Patricia F, Stephen H (August 2011). The importance of globalization in higher education, Indiana University Purdue University Indianapolis, USA.
19. Masahisa Fujita, Nobuaki Hamaguchi (August 2020)Globalisation and the COVID-19 pandemic: A spatial economics perspective. Research Institute of Economy, Trade and Industry (RIETI) of Japan.
20. Alexis H. (April 2020). Global education sector urged to face pandemic challenges together. Daily global newspaper.
21. Steven A. Altman (May 20, 2020). Will Covid-19 Have a Lasting Impact on Globalization? Harvard Business Review.

# Impact of Globalization in Education and remotestudy challenges in Georgia

**Mariam Melikidze**
**Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Phd student**

S u m m a r y

**The term "globalization" means integration of economies and societies through cross country flows of information, ideas, technologies, goods, services, capital, finance and people. It considers the recent reforms of teacher education in Georgia and the extent to which they reflect a response to global economic pressures.Globalization enhances the student's ability to acquire and utilize knowledge..**

**The impact of globalization on culture and educational system is a major concern. Some people saw it as a treat for traditional institutions such as the family and the school, another argument saw benefits in overturning traditional and developing modern attitudes.**

**Effective education systems are the foundation of opportunities to lead a decent life. Ensuring that all children have adequate access to education is essential public sector function for countries at all income level. The large difference in opportunities in education between countries is one of the basic causes of global inequality. People can only contribute and benefit from globalization if they endowed with knowledgeand skills. These goals, can only be reached if national governments allocate adequate resources to education, basic infrastructure and the environment, and create the institutional framework which ensures broad access and opportunity.**

**Many people believe that, education is one of key local factors that can be used to moderate some impacts of globalization from negative to positive and convert threats into opportunities for the development of individuals and local community in the inevitable process of globalization. How to maximize the positive effects and minimize the negative impacts of globalization is a major concern in current educational reform for national and given the phenomenon of “globalization”, economic growth of the last decades has been accompanied by a worsening of inequalities in the world and in particular, inequalities of access to knowledge.**

**Integration into world economy today’s implies not only mastery of traditional knowledge but also the capacity to acquire the new skills required by a knowledge society. The uneducated and unskilled in industrialized countries face severe disadvantage in an increasingly competitive**

**global market. All countries which have benefited from globalization have invested significantly in their education and training systems.**

**The coronavirus pandemic is having an unprecedented impact on international education, with students, educators and parents at home and abroad facing not only tremendous levels of pressure but also opportunities to overcome the challenges together, according to analysts.**

**Various models of state financing and subsequent redistribution allocated to higher education in different countries. The states are guided by different principles when deciding how to distribute the funds allocated to higher education and in what form these funds are given. I believe that the preferred model of Georgia should be based on the experience of a successful European educational system, first of all Georgia is closer to cultural peculiarities with European countries; The educational system of Georgia has historically much in common with the systems of communist past.**

**The rapid spread of COVID-19 has demonstrated the importance of building resilience to face various threats, from pandemic disease to extremist violence to climate insecurity, and even, yes, rapid technological change. The pandemic is also an opportunity to remind ourselves of the skills students need in this unpredictable world such as informed decision making, creative problem solving, and perhaps above all, adaptability. To ensure those skills remain a priority for all students, resilience must be built into our educational systems as well.**

**The OECD estimated that over 421 million children are affected due to school closures announced or implemented in 39 countries. In addition, another 22 countries have announced partial "localized" closures.These risk-control decisions have led millions of students into temporary 'home-schooling' situations, especially in some of the most heavily impacted countries, like China, South Korea, Italy, and Iran. These changes have certainly caused a degree of inconvenience, but they have also prompted new examples of educational innovation.**

**In today's global economy and information society, knowledge and information are the keys to social inclusion and productivity, and connectivity is the key to global competitiveness. Countries need the communications infrastructure and the production system which can process and use information for development. That puts education and skills at the centre of a fair and inclusive globalization. Online distance learning could become a powerful tool for developing countries – reducing the need for expensive physical infrastructure for tertiary and vocational educational facilities and enabling investments to be made instead in communications equipment, with curricula and teaching provided through regional initiatives.**

***Keywords: Globalization, International Business, Covid-19, Distance Education.***

# ბიბლია სიმდიდრისა და სიღარიბის შესახებ

**მერაბ მიქელაშვილი**
***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,***
***ეკონომიკის აკადემიური დოქტორი***

*ეკონომიკისა და ზნეობრიობის კავშირი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე საზოგადოების მრავალრიცხოვანი ეკონომიკური და ზნეობრივი პრობლემების ფონზე. ამ პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია იმის ანალიზი, თუ როგორაა გააზრებული ეს საკითხები ქრისტიანული რელიგიური ეთიკის მიხედვით. ადამიანის დამოკიდებულება საკუთრების, სიმდიდრის, სიღარიბის, შრომის მიმართ მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მის რელიგიური ეთიკაზე და ღირებულებებზე. მთლიანობაში ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ადამიანის სამეურნეო საქმიანობაზე, მის მიერ აღიარებული რელიგიური დოქტრინის გავლენის ხარისხს, რაც ხდება ადამიანის სოციალური სტატუსის საფუძველი.*

*საკვანძო სიტყვები: ქრისტიანული სწავლება, ბიბლია, ზნეობა, სიმდიდრე, სიღარიბე.*

**სიმდიდრე და სიღარიბე, ზნეობრიობის თვალსაზრისით, სულერთია, რადგან არც სიმდიდრე და არც სიღარიბე თავისთავად ადამიანს ვერ ხდიან ვერც კეთილად და ვერ ბოროტად. ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის ღირებულებებზე და მის დამოკიდებულებაზე ამ კატეგორიებთან. ამიტომაც არის, რომ ეკლესიის მიერ აღიარებულ წმინდანებში ვხვდებით როგორც ღარიბებს, ასევე მდიდრებს. როგორც სიმდიდრეს, ასევე სიღარიბეს თავისი სარგებელი და უპირატესობა აქვს, ასევე, საფრთხეები და ცდუნებები. ტყუილად არ გვხვდება სოლომონის იგავებში სავედრებელი უფლისადმი: „ორ რამესა გთხოვ და უარს ნუ მეტყვი, სანამ მოვკვდებოდე: სიცრუე და ტყუილი მაშორე, ნურც სიღარიბეს მიმცემ და ნურც სიმდიდრეს, საარსებო პურით მასაზრდოვე, რომ გამაძღარმა არ უარგყო და არა ვთქვა, ვინ არის უფალიო? ხოლო გაღატაკებულმა არ ვიქურდო და ჩემი ღვთის სახელს არ შევცოდო. (ძველი აღთქმა, იგავნი სოლომონისა, თავი 30:7-9). როგორც ვხედავთ საშუალო მატერიალური კეთილდღეობა წარმოდგენილია, როგორც ყველაზე სასურველი ზნეობრიობის თვალსაზრისით.**

**ის, რომ სიმდიდრე და ყველანაირი საკუთრება ქრისტიანისთვის საძრახისი არ არის, იქიდან ჩანს, რომ თვითონ ღმერთმა მისცა ადამიანს მიწის ფლობისა და მასზე ბატონობის უფლება: „თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს.“ (ძველი აღთქმა, დაბადება, თავი 1:26). ქონების ფლობა განაპირობებს ადამიანის ზნეობრივი განსწავლულობის შესაძლებლობას და დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გარკვეული ხარისხის შეძენას, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობისათვის. ამასთან, ქონების ფლობა იძლევა ქველმოქმედების საშუალებასაც. ქონების ფლობის დროს აუცილებელია მისგან დამოუკიდებლობის შენარჩუნება და მისი ტყვეობისგან თავის არიდება: „არ დაამყაროთ იმედი მძარცველობაზე და მტაცებლობას ნუ გამოედევნებით; დოვლათი ოდეს გაიზარდოს, ნუ მიაქცევთ ყურადღებას“. (ძველი აღთქმა, ფსალმუნნი, თავი 61:11). ქონება კი არ უნდა ფლობდეს ადამიანს, არამედ ადამიანი უნდა ფლობდეს ქონებას და განკარგავდეს მას. ქონების უზნეო ფლობა და გამოყენება ვლინდება სიხარბეში, ანგარებაში, სიძუნწეში და მორალურ დაუდევრობაში, რაც გამოიხატება მის გაფლანგვაში: „მაშ, მოაკვდინეთ თქვენი მიწიერი ასონი: სიძვა, უწმინდურება, ვნება, ბოროტი გულისთქმა და ანგარება, რომელიც არის კერპთმსახურება.“ (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის ეპისტოლე კოლასელთა მიმართ, თავი 3:5). „ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც მემთვრალენი, ვერც მაგინე-**

ბელნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს.“ (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი 6:10). „არავის ძალუძს ორი ბატონის მონობა: რადგან ან ერთს შეიყვარებს და მეორეს შეიძულებს, ან კიდევ ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზიზღებს. ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც.“ (ახალი აღთქმა, მათეს სახარება, თავი 6:24).

მფლანგველის სახედ წმინდა წერილი წარმოგვიდგენს უძღები შვილის ისტორიას, რომელიც შორეულ მხარეს გაემგზავრა და იქ გაფლანგა მთელი თავისი ავლადიდება, ვინაიდან თავაშვებულად ცხოვრობდა. (ახალი აღთქმა, ლუკას სახარება, თავი 15:13). სიმდიდრისადმი ცრუ ნდობისა და მორალური დაუდევრობის ნიმუში კარგად ჩანს მდიდარი კაცის ისტორიაში, რომელიც დიდი მოსავლის აღების შემდეგ ეუბნება თავის სულს: „სულო, მრავალი სიკეთე გაქვს დაგროვილი და მრავალი წლის სამყოფი; განისვენე, ჭამე, სვი და იმხიარულე. უთხრა მას ღმერთმა: უგუნურო, ამაღამვე ამოგართმევენ სულს: ვისღა დარჩება შენი სარჩო-საბადებელი?

ასე მოუვა ყველას, ვინც თავისთვის იხვეჭს სიმდიდრეს და არა ღმრთისათვის“. (ახალი აღთქმა, ლუკას სახარება, თავი 12:19-21). პავლე მოციქული ტიმოთეს სახელით მიმართავს ქრისტიანებს: „მდიდართა ამა ქვეყნისათა ამცნე: ნუ ქედმაღლობენ, და ფუჭი სიმდიდრის იმედი ნუკი ექნებათ, არამედ ცოცხალი ღმრთისა, უხვად რომ გვაძლევს ყველაფერს სამხიარულოდ“ (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ თავი 6:17).

გამდიდრებისა და ქონების შეძენის ზნეობრივად გამართლებული წყარო მოცემულია ადამის სახით, რომელსაც უთხრა ღმერთმა: „პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“. (ძველი აღთქმა, დაბადება, თავი 3:19)

შრომა და მომჭირნეობა არის ქრისტიანის გამდიდრების წყარო. შრომაზე, როგორც მატერიალური კეთილდღეობისა და ყოველდღიური საზრდოს წყაროზე

ამახვილებს ყურადღებას პავლე მოციქული მეორე ეპისტოლეში თესანოლიკელთა მიმართ : „ჩვენ კი მცნებად გისახავთ, ძმანო, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, რომ განეშოროთ ყველა ძმას, უწესოდ მოარულს და არა იმ მოძღვრებისამებრ, ჩვენგან რომ მიგიღიათ.

რადგანაც თქვენ თვითონ იცით, თუ როგორ უნდა მოგვბაძოთ, ვინაიდან უწესოდ როდი ვიქცეოდით თქვენს შორის. არავის პური არ გვიჭამია მუქთად, არამედ დღედაღამ ვშრომობდით, რომ ტვირთად არ დავწოლოდით რომელიმე თქვენგანს.

იმიტომ კი არა, რომ ამის უფლება არ გვქონდა, არამედ იმიტომ, რომ მისაბაძნი მუშად დაგვესახა თქვენთვის თავი.

ვინაიდან თქვენთან ყოფნისას ამას გისახავდით მცნებად: ვისაც შრომა არ სურს, მაშინ ნურც ჭამს. მაგრამ გვესმის, რომ ზოგიერთი თქვენგანი უწესოდ იქცევა, არაფერს აკეთებს და ფუჭად ფაციფუცობს. ამნაირებს გამცნობთ და შევაგონებთ ჩვენს უფალ იესო ქრისტეში, რომ მშვიდი შრომით ჭამონ თავიანთი პური“ (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ, თავი 3:6-12). მომჭირნეობის მაგალითს თვითონ ქრისტე აძლევს თავის მოწაფეებს, როცა მიმართავს მათ, აკრიფონ ნარჩენები, რომ არ დაიკარგოს: „როცა გაძღნენ, თავის მოწაფეებს უთხრა, აეკრიფათ ნარჩენები, რომ არაფერი დაკარგულიყო.“ (ახალი აღთქმა, იოანეს სახარება, თავი 6:13). საკუთარი ქონების გამოყენება ქონების კიდევ უფრო გასაზრდელად, რა თქმა უნდა, დასაშვებია და ეს კარგად ჩანს იესოს მიერ მონათხრობ იგავში ტალანტების შესახებ. (ახალი აღთქმა, მათეს სახარება „თავი 25:14-30). ამასთან, ყველანაირი მევახშეობა,სრულიად მიუღებელია. არასამართლიანად ნაშოვნი ქონების დაბრუნების კარგი მაგალითია ზაქეს, მებაჟეთა უფროსის ისტორია. (ახალი აღთქმა, ლუკას სახარება, თავი 19: 1-10)

თუ მდიდრებს და ბევრის მქონეთ შინაგანი დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეთ სიმდიდრისგან, მაშინ ღარიბებს შინაგანი დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეთ სიღარიბესთან მიმართებით. ვინც იძულებულია, იცხოვროს სიღარიბეში, მათ შინაგანად უნდა მოინდომონ ღარიბი დარჩენა. საკვების და სამოსის ქონა მათი კმაყოფილებისთვის საკმარისია, მათ არაფერი მიუციათ სამყაროსთვის და, შესაბამისად, არაფრის წაღება არ შეუძლიათ სამყაროდან: „თუმცა ღვთისმოსაობა და თვითკმარობა მართლაც რომ დიდი შენაძენია. რადგან ამქვეყნად არაფერი მოგვიტანია და, რა თქმა უნდა, ვერც რას წავიღებთ. თუ საჭმელი და ტანსაცმელი მოგვეძებნება, ამას დავჯერდეთ". (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ, თავი 6: 7-8).

ამავდროულად ღარიბები უნდა აცნობიერებდნენ, რომ მატერიალური შეჭირვების დროსაც შეუძლიათ იყვნენ სულიერად მდიდრები. პავლე მოციქული ამბობს: „თითქოს მწუხარენი, მაგრამ მარადის მოხარულნი, თითქოს ღატაკნი, მაგრამ მრავალთა მამდიდრებელნი; თითქოს არას მქონენი, მაგრამ ყველაფრის მფლობელნი." (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი 6:10). იაკობის ეპისტოლეში ვკითხულობთ: „დე, თავმდაბალი ძმა იქადოდეს თვისი სიმაღლით, ხოლო მდიდარი - თვისი სიმდაბლით, რადგანაც მინდვრის ყვავილივით გადავა იგი." (ახალი აღთქმა ეპისტოლე იაკობისა, თავი 1:9-10)

სიღარიბეს აქვს თავისი საფრთხეები და ცდუნებები: ის იძლევა ტყუილის, ქურდობის, შურის, საკუთარი ბედით უკმაყოფილების, სიმხდალის და ღვთის წინაშე დრტვინვის საბაბს. ამასთან, სიღარიბეს ისეთი უპირატესობა აქვს, როგორიცაა ადამიანის განთავისუფლება სიმდიდრის ცდუნებებისგან: „ხოლო გამდიდრების მოსურნენი საცდურის მახეში ებმებიან და ბევრი შლეგური, მავნე და კაცთა წარმწყმედდამღუპველი გულისთქმის ტყვენი ხდებიან. რადგანაც ყოველგვარი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა, და ზოგიერთი, ვინც ამ ვნებას აჰყვა, რწმენას განუდგა და თავს დაიტეხა ურიცხვი ჭირი." (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ, თავი 6:9-10)

სიმდიდრესა და სიღარიბესთან ქრისტიანის დამოკიდებულების წესები, იმავდროულად, სახელმძღვანელო პრინციპებია ცხოვრებისეულ სარგებელთან და სიამოვნებებთან, აგრეთვე, უბედურებებთან, ტანჯვებთან და დაავადებებთან მისი დამოკიდებულებისა. ამიტომ ადამიანი ყველა შემთხვევაში უნდა ინარჩუნებდეს ზნეობრივ თავისუფლებას, თავის შინაგან დამოუკიდებლობას, უნდა იყოს თავისი ბედნიერებისა და უბედურების ბატონი და არა მონა. ყველანაირი ტანჯვა და ავადმყოფობა არის სააღმზრდელო საშუალება ღმერთის ხელში და მის გარეშე კაცობრიობის ზნეობრივი მდგომარეობა მრავალგზის უარესი იქნებოდა. უბედურებისა და მწუხარების დროს ქრისტიანმა ღმერთისგან ის კი არ უნდა იკითხოს, რის გამო დაიმსახურა ასეთი განსაცდელი, არამედ ის, რა უნდა მოიმოქმედოს, რომ შეასრულოს ღმერთის განზრახვა. (ახალი აღთქმა, იოანეს სახარება, თავი 9:1-3). ღმერთის განზარხვა კი იმაში მდგომარეობს, რომ მწუხარების ჟამს ადამიანი განიწმინდოს და გადაარჩინოს საკუთარი სული: „და რასაც შეჰხარით, თუმცა ამჟამად, ცოტა არ იყოს, შეჭირვებულნი იქნებით სხვადასხვაგვარი განსაცდელით, რათა თქვენი რწმენის გამოცდა, გაცილებით უფრო ფასეული, ვიდრე გამოცდა ოქროსი, თავისი ხრწნადობის მიუხედავად ცეცხლში რომ გამოიცდება, - საქები, სადიდებელი და სასახელო აღმოჩნდეს თქვენთვის, როდესაც გამოგეცხადებათ იესო ქრისტე" (ახალი აღთქმა პირველი პეტრესი, თავი 1:6-7).

უბედურება და განსაცდელი ადამიანს საკუთარ თავში ჩაღრმავებისკენ, ნაკლოვანებებისა და მანკიერებების ძიებისკენ აიძულებს. ამასთან, ის ასწავლის მოთმინებას, უანგარობასა და მიმტევებლობას. პავლე მოციქული ამბობს თავის თავზე: „თავს რომ არ გამსვლოდა გამოცხადების უჩვეულობით, ჩემდა საწამებლად მომეცა ნესტარი ხორცში, სატანის ანგელოზი, რათა დაეთრგუნა ჩემი ზვაობა სამგზის ვევედრე უფალს, მომაშორე-მეთქი. მომიგო: „შენთვის საკმარისია ჩემი მადლიც, რადგანაც ჩემი ძალა უფრო სრულად

ვლინდება უძლურებაშინ. ამიტომაც, მეტი ხალისით დავიქადი ჩემს უძლურებას, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში. ამიტომაც ვტკბები უძლურებით, შეურაცხყოფით, გაჭირვებით, დევნითა და შევიწროებით, რადგან როცა უძლური ვარ, მაშინა ვარ ძლიერი" (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი 12:7-10). თვით იესო ქრისტეზეა ნათქვამი: „და თუმცა ძე იყო, ტანჯვის გზით ისწავლა მორჩილება.ნ (ახალი აღთქმა, პავლე მოციქულის ეპისტოლე ებრაელთა მიმართ, თავი 5:8).

ბიბლია როგორც გამდიდრების, ასევე გაღარიბების წინააღმდეგია. ამის დასტურია შემდეგი ამონარიდი იგავისა: „სიცრუე და ტყუილი მაშორე, ნურც სიღარიბეს მიმცემ და ნურც სიმდიდრეს, საარსებო პურით მასაზრდოვე, რომ გამაძღარმა არ უარგყო და არა ვთქვა, ვინ არის უფალიო? ხოლო გაღატაკებულმა არ ვიქურდო და ჩემი ღვთის სახელს არ შევცოდო." (ძველი აღთქმა, იგავნი სოლომონისა, თავი 30:8-9).

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ადამიანს ღმერთმა უბოძა ყველაფერი, რაც აუცილებელია სრულყოფილი ცხოვრებისა და კეთილდღეობისთვის.:" კაცს ღმერთი აძლევს ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა.( ძველი აღთქმა, ეკლესიასტე, თავი 5:18)

## დასკვნა

რელიგიური ეთიკა სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პროცესში განმსაზღვრელ როლს ასრულებს. ზნეობრივი ღირებულებები და იდეალები ეკონომიკურ მიზნებთან ერთად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენენ. ადამიანის ჭეშმარიტ სიმდიდრედ სულ უფრო ხშირად მიიჩნევენ სულიერ სისუფთავეს, სიკეთის კეთების, დახმარების გაწევისა და სიყვარულის უნარს.

ეკონომიკისა და ქრისტიანული ზნეობის ურთიერთკავშირის კონცეფცია დღევანდელ ციფრულ ეპოქაში სულ უფრო აქტუალურია. ეკონომიკის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია პიროვნებისა და საზოგადოების ზნეობრივ ღირებულებებთან. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სამეურნეო საქმიანობის წესებსა და პრინციპებს.

ლიტერატურა:

1. ბიბლია, თბ., „პალიტრა L", 2013.
2. http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/igavni/igavni-30.htm

## The Bible on Wealth and Poverty

**Merab Mikelashvili,**
*Professor at Georgian Technical University,*
*Academic Doctor of Economics*

S u m m a r y

**The connection between economics and morale is very important nowadays, considering the background of plural (economical and moral) problems of modern society. To solve those problems, it's necessary to analyze how this issue is represented by the Christian religious ethics. A human's attitude towards property, wealth, poorness and labor is mainly stipulated from his religious ethics and values and all of this creates the basis of his social status.**

***Keywords: Christianity, Wealth, Poorness, Morale, Bible***

# მომგებიანად მუშაობისა და სიმდიდრის მართლმადიდებლური ფილოსოფია

**ბაბულია მღებრიშვილი**
***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი***

*სტატიაში განხილულია ქრისტიანული მართმადიდებლური შეხედულებები შრომის, მოგებისა და სიმდიდრის შესახებ. სტატიის ავტორის მიაჩნია, რომ ამ შეხედულებებში გარკვევა ადამიანებისთვის საჭიროა, რადგან, ერთი მხრივ, მოგება და სიმდიდრე გარკვეულ საფრთხეს უქმნის ადამიანების სწორად, ქრისტიანული მოთხოვნების შესაბამისად მოქცევას, მეორე მხრივ კი, სწორედ მოგების მიღება და სიმდიდრის დაგროვება უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას. სტატიაში, სახარებაზე დაყრდნობით და იგავის გამოყენებით, ხაზგასმულია, რომ მართმადიდებლური ქრისტიანობა მომგებიან და პატიოსან შრომას, რასაც სიმდიდრის დაგროვება მოყვება, სავალდებულოდ სთვლის. ამასთან, სტატიაში ნაჩვენებია, რომ სახარება, მიუხედავად სიმდიდრის ფლობისგან მომდინარე დიდი საფრთხეებისა, ადამიანების მიერ ამ საფრთხეების თავიდან აცილებას შესაძლებლად მიიჩნევს. ამისთვის კი, მართმადიდებლური სწავლების მიხედვით, საჭიროა, რომ მდიდარმა სიმდიდრის სწორად განკარგვა ისწავლოს, ღარიბი კი ბოღმითა და შურით არ აივსოს სხვისი სიმდიდრის გამო.*

***საკვანძო სიტყვები:*** *მომგებიანად შრომა, სიმდიდრე, სიმდიდრის განაწილება, მართლმადიდებლური ქრისტიანობა.*

## შესავალი

**საზოგადოების არსებობისა და განვითარების, მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფის საფუძველი მომგებიანად შრომაშია. თუ შრომის შედეგი არ აღემატება გაწეულ დანახარჯებს, ეკონომიკა ვერ განვითარდება. ამის გარეშე კი ადამიანების არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც საფრთხე შეექმნება.**

**მომგებიანად შრომა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ცალკეულმა საწარმოებმა განახორციელონ ინვესტიციები, დანერგონ მუშაობის ინოვაციური მეთოდები და ხერხები, შექმნან დანაზოგები, წაახალისონ მატერიალურად საკუთარი თანამშრომლები და ამით ხელი შეუწყონ მათი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, იყვნენ ქველმოქმედნი. მომგებიანად მუშაობის შედეგები ხელს უწყობს როგორც ცალკეული ადამიანის შემოსავლების გაზრდას, ისე საზოგადოებრივი სიმდიდრის დაგროვებას. ასე განვითარდა საზოგადოება დღემდე და ასე იქნება მომავალშიც. თუმცა, მოგების როლი წარმოების, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის, განვითარებაში სოციალისტური სისტემის თეორეტიკოსების მიერ, გარკვეულწილად, დაკნინდა. ეს მაშინ, როცა მომგებიანად მუშაობის აუცილებლობას სათანადო ყურადღება სახარებაშიც აქვს დათმობილი.**

**მომგებიანად მუშაობის საბოლოო შედეგი სიმდიდრის დაგროვებაა. ეს კარგია და ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია. მაგრამ, რეალობაა, რომ სიმდიდრე ადამიანებს ხშირად მხოლოდ თავისი ჰგონიათ. ასეთი აზროვნება სიმდიდრით ადამიანების დაღუპვის საფუძველი ხდება. სახარებაში ამ ფაქტზეც არის ყურადღება გამახვილებული. მაშასადამე, ერთი მხრივ, საჭიროა სიმდიდრის დაგროვება, რომ ქვეყნები განვითარდეს, ცხოვრება წინ წავიდეს, მეორე მხრივ, სიმდიდრის დაგროვებას ადამიანთა „გადაგვარება" მოყვება ხოლმე შედეგად. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, დაისმის კითხვა:**

როგორ უნდა მოვიქცეთ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მომგებიანად მუშაობისა და სიმდიდრის მართმადიდებლური ფილოსოფიის სათანადოდ გააზრებაშია. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ეს სტატია.

## კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული სტატიის მეთოდოლოგიური საფუძვლების როლი შეასრულეს ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებზე შექმნილმა ნაშრომებმა. ამ ტიპის ნაშრომებიდან ჩვენ გამოვყოფთ შემდეგს: ჩიხლაძე ნ., მოხმარების ზოგიერთი ძირითადი ასპექტი ქრისტიანულ და ეკონომიკურ სწავლებათა მიხედვით, (2010), [11]; მიქელაშვილი მ., სამეურნეო საქმიანობის პრინციპები ძველი აღქმის მიხედვით (2013) [4]; მღებრიშვილი ბ., (საეკლესიო ბიზნესის განვითარების მორალური საფუძვლები 2010) [5]; მღებრიშვილი ბ., ვაზი, საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანული კულტურა, (2013) [6]; მღებრიშვილი ბ., ქრისტიანობა და ფიტოთერაპიის განვითარება საქართველოში, (2016) [7]; შიხაშვილი გ., თეოლოგიური ეკონომიკის არსი, მიზანი და ამოცანები, (2013) [10]; ცეცხლაძე მ., შაინიძე ჟ., რელიგიის, ეთიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი, (2013) [11]; გაგნიძე ი., ადამიანთა ურთიერთქმედების შესახებ ეკონომიკის პრინციპები მართლმადიდებლური ასპექტით, (2019) [12]. მომგებიანად მუშაობისა და სიმდიდრის შესახებ მართმადიდებლური სწავლების გასააზრებლად შევეცადეთ, საფუძვლიანად გაგვეანალიზებინა მათეს, ლუკას, მარკოზისა და იოანეს სახარებებში ამ მიმართულებით განხილული იგავები და გამოთქმული მოსაზრებები. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გავეცანით წმინდა მამების შეხედულებებს. მიღებული ინფორმაცია ლოგიკურად და თანმიმდევრულად გაანალიზდა, ანალიზის შედეგები კი სინთეზის მეთოდის გამოყენებით შეჯერდა.

## კვლევის შედეგები

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადამიანის სამეურნეო საქმიანობა მისი არსებობის საფუძველია. ეკონომიკის შექმნა ადამიანთა საზოგადოებისთვის გარდაუვალი აუცილებლობაა. ეკონომიკური სფეროს იგნორირება და საკუთარი თავის მიჩნევა მხოლოდ „სულიერ" არსებად, ნამდვილად არაგონივრულია, ამიტომ აუცილებელია სამეურნეო საქმიანობის გააზრება ქრისტიანული ღირებულებების საფუძველზე [4, გვ. 69]. ადამიანის სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პრინციპები სათანადოდ არის ჩამოყალიბებული როგორც ახალ, ისე ძველ აღქმაში. მათი გათვალისწინებით განხორციელდა სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს განვითარება მსოფლიოში. სწორედ ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოება დაედო საფუძვლად საქართველოს ეკონომიკის შექმნისთვის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად, მევენახეობა-მეღვინეობა და ფიტოთერაპია. ვაზი და მისი ნაყოფისგან დამზადებული ღვინო ქრისტეშობამდეც იყო ცნობილი. მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოების პირობებში ვაზსა და ღვინოს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. ასეთმა მიდგომამ შედეგიც სათანადო გამოიღო - საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოდ ჩამოყალიბდა [6, გვ.76]. ქართული ღვინის წარმოება, ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე, მომგებიანად ხორციელდება და დიდი სარგებელი მოაქვს ქვეყნისთვის. სწორედ ამიტომ ეკონომიკის ეს დარგი საქართველოს მტრების სამიზნე იყო და არის დღესაც.

სახარება ადამიანებს მოუწოდებს, რომ ყოველთვის იფხიზლონ და იშრომონ მომგებიანად. ეს იგავის მეშვეობით ხორციელდება. მათეს სახარების მიხედვით, ამ იგავის შინაარსი ასეთია: ერთმა კაცმა გამგზავრებამდე მთელი თავისი ქონება მონებს ჩააბარა. ერთ მონას მან ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს ორი, მესამეს კი ერთი. ქონება მან

გაანაწილა მონების შესაძლებლობების გათვალისწინებით. თითოეული მონა პატრონისგან მიცემულ ვერცხლს განსხვავებულად მოექცა. „ხუთი ტალანტის მიმღები წავიდა და საქმეში დააბანდა ისინი და, ხუთი სხვა ტალანტიც მოიგო" [1, მათეს სახარება 25, 16]. „ასევე ორი ტალანტის მიმღებმა მოიგო ორი სხვაც" [1, მათეს სახარება 25, 17]. „ხოლო ერთი ტალანტის მიმღები წავიდა, მიწაში დაფლა ის, და დამალა თავისი პატრონის ვერცხლი" [1, მათეს სახარება 25, 18]. დაბრუნებისთანავე პატრონმა მონებს ანგარიში მოსთხოვა. „ეახლა ხუთი ტალანტის მიმღები ხუთი სხვა ტალანტიც მიართვა და უთხრა: ბატონო, შენ მომეცი ხუთი ტალანტი, და აჰა, მათი წყალობით, ხუთი სხვა ტალანტიც მოვიგე" [1, მათეს სახარება 25, 20]. მონის მომგებიანმა საქმიანობამ პატრონის მოწონება დაიმსახურა. მან მონას „სანდო და კეთილი" უწოდა [1, მათეს სახარება 25, 21]. ანალოგიური შეფასება დაიმსახურა პატრონისგან იმ მონამაც, რომელმაც მას მიცემული ორი ტალანტი მოგებით დაუბრუნა. ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა მესამე მონა, რომელმაც მიცემული ვერცხლი მიწაში დაფლა და მოგების გარეშე დაუბრუნა პატრონს. მესამე მონას პატრონმა „უკეთური და მცონარა" [1, მათეს სახარება 25, 26] უწოდა და უთხრა გაბრაზებით: „გმართებდა ვაჭრებისთვის მიგეცა ჩემი ვერცხლი, რათა დაბრუნებულს მიმეღო ჩემი სესხი მონაგებითურთ" [1, მათეს სახარება 25, 27]. კიდევ უფრო მკაცრად არის გადმოცემული მშიშარა მონის მიმართ ვერცხლის პატრონის დამოკიდებულება ლუკას სახარებაში. უწოდებს რა ვერცხლის მფლობელი მონას უკეთურს, პირდაპირ ითხოვს მისგან მომგებიან და სარგებლის მომტან საქმიანობას. „მერედა, რატომ ვაჭრებს არ მიეცი ჩემი ვერცხლი, რათა დაბრუნებულს მიმეღო ჩემი სესხი მონაგებითურთ [1, ლუკას სახარება 19, 22-23]. უნდა ითქვას, რომ ვაჭრობა ეკონომიკის ის დარგია, რომელზეც სახარებაში სათანადო ყურადღებაა გამახვილებული. ვაჭრობა, გ. მენქიუს მიხედვით, განხილულია იმ სფეროდ, რომელიც „ქვეყნებს საშუალებას აძლევს, აკეთონ ის, რაშიც საუკეთესონი არიან" [2, გვ. 37]. მაშასადამე, ვაჭრობის სფერო ქვეყნების ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირების შესაძლებლობებს აფართოებს და სიმდიდრის დაგროვებას უწყობს ხელს.

განხილული იგავი პირდაპირ მიანიშნებს ადამიანებს იმაზე, რომ უნდა იშრომონ და თანაც მომგებიანად. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ საქმე არ არსებობს რისკის გარეშე. მართალია, ერთი ტალანტის მფლობელმა ვერცხლის დაბანდება ვერ გაბედა მისი მფლობელის შიშით, მაგრამ გამოჩნდა, რომ შიში უნდა დაეძლია, უნდა გაერისკა და ვერცხლი დაებანდებინა. სიზარმაცეს და გაურისკაობას სიკეთე არ მოაქვს არც ცალკეული ადამიანისთვის და არც მთელი საზოგადოებისთვის. ადამიანმა უნდა იშრომოს და თან შეეცადოს, რომ მისი შრომა იყოს სარგებლის მომტანი. ასეთია შრომისა და მოგების მართმადიდებლური და სახარებისეული ფილოსოფია. ღირს იოანე სინელს შრომა შეაქვს მონაზვნობის ანბანში მორჩილებასთან, მარხვასთან, მღვიძარებასთან, აღსარებასთან, დუმილთან, სიმდაბლესთან, მხნეობასთან, ძმათა სიყვარულთან, სიკეთესთან და სხვა მაჩვენებლებთან ერთად [9, გვ.59]. ცხადია, რომ მას მხედველობაში პატიოსანი შრომა აქვს. მხოლოდ პატიოსანი შრომით მიღებული მოგება და საქმის პატიოსნად კეთება უნდა იყოს საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველი.

სარგებლის მომტან შრომას ცალკეული ადამიანები და ქვეყნები მიყავს სიმდიდრის დაგროვებისკენ. ასეთ პირობებში მოგების როლი საწარმოებისა და მთლიანად ქვეყნების განვითარებაში მაღლდება, რადგან მომგებიანი შრომისა და სიმდიდრის დაგროვების საბოლოო შედეგი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაა. აქ უკვე დაისმის ასეთი კითხვა: თუ მომგებიან შრომას და სიმდიდრის დაგროვებას ხალხის კეთილდღეობის ამაღლება მოყვება შედეგად, რატომ არის სიმდიდრე საშიში ადამიანებისთვის და თან როგორც მდიდრებისთვის, ისე ღარიბებისთვის?

მოგება და სიმდიდრე ერთმანეთთან უშუალოდ არის დაკავშირებული. ცალსახად ჩანს, რომ მატერიალური სიმდიდრე მომგებიანად მუშაობის შედეგია. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ზოგჯერ სიმდიდრე არასწორი გზით მოიპოვება. ასეთი სიმდიდრე

მართმადიდებლური სარწმუნოებისთვის მიუღებელია. ღირსი იოანე სინელი მხოლოდ ისეთ სიმდიდრეს აფასებს დადებითად, რომელიც პატიოსანი შრომით არის მოპოვებული. ამასთან დაკავშირებით ის ასე მიმართავს ადამიანს: „ჰოი კაცო, თავს ნუ იწონებ იმ სიმდიდრით, რომლის მოსახვეჭადაც შრომა არ დაგიხარჯავს“ [9, გვ. 62]. მაშასადამე, სათნოებათა კიბეზე ასასვლელად საჭიროა პატიოსანი შრომა. მხოლოდ პატიოსანი შრომით დაგროვებულმა სიმდიდრემ შეიძლება მიიყვანს ადამიანი სასუფეველში და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მას სწორად მოიხმარს. სახარების მიხედვით, მდიდარი ადამიანი „ძნელად თუ შევა სასუფეველში“ [1, მათეს სახარება19, 23]. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას არ აქვს შანსი სასუფეველში მოხვედრის. თუ ის უფლის მცნებებით იცხოვრებს, თუ არ იქნება ხარბი და მომხვეჭელი, თუ არ დაავიწყდება, რომ „ სიმდიდრე უფლის ძღვენია, რაც უცილობლად სხვასაც უნდა უწილადო [3, გვ.7], უფალი მას მისცემს სასუფეველში მოხვედრის შანსს. კაცთათვის ეს შეუძლებელია, მაგრამ არა ღმერთისთვის, ვინაიდან ყველაფერი შესაძლებელია ღმერთისთვის [1, სახარება მარკოზისა 10, 27]. მაშასადამე, სიმდიდრე კი არ არის საშიში მისი მფლობელი ადამია-ნისთვის, არამედ მისი მოპოვების მეთოდები და განაწილების წესი. ადამიანმა სიმდიდრე უფლის მცნებების შესრულებით უნდა დააგროვოს და მოიხმაროს [ 5, გვ.111]. ამაში ადამიანს ეკლესია დაეხმარება.

სიმდიდრის მიცემით უფალი ადამიანებს გამოცდას უწყობს. „ამიტომ გვეუბნებიან წმინდანები: როდესაც ქონება არა გაქვს, იმაზე კი არ უნდა ფიქრობდე, თუ როგორ აითვისო და მოიხმარო ის, არამედ იმაზე, რომ სწორედ განკარგო. ამიტომ გარკვეული აზრით, სიმდიდრე ძალიან საშიში რამ არის. სწორედ თუ მოიხმარე, ის ცხონების საშუალებად შეიძლება იქცეს, არასწორად მოიხმარ და მკაცრი სასჯელი წამოგეწევა [3, გვ.10-11]. ე.ი. მდიდარმა ადამიანმა უნდა ისწავლოს სიმდიდრის სწორად მოხმარება. მდიდარი ამპარტავნულმა აზრებმა არ უნდა შეიპყროს, მან არ უნდა ჩათვალოს სიმდიდრე თავისი უნიკალური „შესაძლებლობების“ შედეგად, არ უნდა დაივიწყოს, რომ უფლის ნების გარეშე ის სიმდიდრეს ვერ დააგროვებდა. მდიდარი თუ მართლმა-დიდებლურად იაზროვნებს, სიმდიდრესაც სწორად მოიხმარს და საკუთარ სულსაც არ შეუქმნის საფრთხეს.

როგორც უკვე ითქვა, სიმდიდრე საფრთხის შემცველია ღარიბებისთვისაც. ამ შემ-თხვევაში მხედველობაში სხვისი სიმდიდრეა. ცხადია, თუ მატერიალურად ღარიბი ადა-მიანი სულიერ ფასეულობებს ფლობს, მისთვის სხვისი სიმდიდრე საფრთხეს არ წარმო-ადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვისი სიმდიდრე ღარიბებისთვისაც საშიშია. ღარიბი ადამიანი თუ შურით და ბოღმით აივსება სხვისი სიმდიდრის გამო, სასუფეველში ვერ მოხვდება.

წმინდა თეოფანე დაყუდებული სიმდიდრის განაწილების შესახებ ადამიანებს ასეთ რჩევას აძლევს: „ადამიანს სიმდიდრე ღმერთისგან ეძლევა, ამიტომ მან ეს სიმდიდრე ღმერთს უნდა მიუძღვნას და მაშინ იქნება ეს წმინდა სიმდიდრე. რაც საჭიროზე მეტი გაქვს, გაუყავი გაჭირვებულებს, მაშინ გამოვა, რომ ღმერთისგან მოცემულს ღმერთსავე უბრუნებ. ვინც გლახაკს აძლევს, ის ღმერთს მიუბოძებს. ასეთი ადამიანი თითქოსდა ხარჯავს და აკლებს, მაგრამ სინამდვილეში ის ჭეშმარიტად მდიდრდება, მდიდრდება საქმეებით“ [8, გვ, 212-2 13].

მართმადიდებლური სარწმუნოება გვასწავლის, რომ მოგებისა და სიმდიდრის სა-ფუძველი პატიოსნად შრომაა. ამიტომ ბრძენი ადამიანები საზოგადოებას მოუწოდებენ, რომ შვილებს შრომა ასწავლონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი გაზარმაცდებიან, უშ-რომელად და უზრუნველად ცხოვრებას მიეჩვევიან და დიდი პრობლემების წინაშეც შე-იძლება აღმოჩნდნენ.

## დასკვნა

**ამრიგად, მომგებიანად მუშაობა და სიმდიდრის დაგროვება აუცილებელი, თუმცა ადამიანებისთვის საფრთხის შემცველი ფენომენია. მოგების მიღება და სიმდიდრის დაგროვება მართმადიდებლური სარწმუნოებით დაშვებულია, მხოლოდ მოგება და სიმდიდრე უნდა იყოს პატიოსანი შრომის შედეგი და სწორად განკარგული. ყველა ადამიანმა უნდა გაითავისოს მომგებიანად მუშაობისა და სიმდიდრის მართლმადიდებლური ფილოსოფია:**

- ✓ **ადამიანი შრომას ბავშვობიდანვე უნდა მიეჩვიოს;**
- ✓ **მომგებიანად შრომა საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველია;**
- ✓ **საშიში სიმდიდრეში კი არა, მისი განაწილების წესშია;**
- ✓ **ადამიანმა სიმდიდრის სწორად განკარგვა უნდა ისწავლოს, რომ თავიდან აიცილოს მისგან მოსალოდნელი საფრთხე;**
- ✓ **სხვისმა სიმდიდრემ ადამიანი არ უნდა გააბოროტოს;**
- ✓ **ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვები: „სიმდიდრე მხოლოდ იმისთვის გვეძლევა, რომ მისით ზეცა ვიყიდოთ“ [3, გვ. 7].**

**ლიტერატურა:**


1. ბიბლია, გვ. 939-1070, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989.
2. გაგნიძე ი., ადამიანთა ურთიერთქმედების შესახებ ეკონომიკის პრინციპები მართლმადიდებლური ასპექტით, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, გვ.36-39, თსუ, თბ., 2019. https://dspace.tsu.ge/handle/123456789/488?locale-attribute=en
3. მდიდრები და ღარიბები, შემდგენელი გალინა ხარებაშვილი. თბ., 2006.
4. მიქელაშვილი მ., სამეურნეო საქმიანობის პრინციპები ძველი აღქმის მიხედვით, VII სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, გვ. 69-75, თსუ, თბ., 2013.
5. მღებრიშვილი ბ., საეკლესიო ბიზნესის განვითარების მორალური საფუძვლები, ქრისტიანობა და ეკონომიკა, V სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, გვ. 109-115, თსუ, თბ., 2010.
6. მღებრიშვილი ბ., ვაზი, საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანული კულტურა; ქრისტიანობა და ეკონომიკა, VII სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, გვ. 75-79, თსუ, თბ., 2013.
7. მღებრიშვილი ბ. ქრისტიანობა და ფიტოთერაპიის განვითარება საქართველოში, ქრისტიანობა და ეკონომიკა, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, გვ.102-105, თსუ, თბილისი-ქუთაისი, https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
8. ქრისტიანული იგავები, შემდგენელი ვლადიმერ ჩხიკვაძე, ქუთაისი, 2015.
9. ღირსი იოანე სინელი, კიბე ანუ კლემაქსი, II ნაწილი, თბ., 2005.
10. შიხაშვილი გ., თეოლოგიური ეკონომიკის არსი, მიზანი და ამოცანები. ქრისტიანობა და ეკონომიკა, VII სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, გვ. 107-112, თსუ, თბ., 2013.
11. ჩიხლაძე ნ., მოხმარების ზოგიერთი ასპექტი ქრისტიანულ და ეკონომიკურ სწავლებათა მიხედვით, ქრისტიანობა და ეკონომიკა, V სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, გვ. 177-186, თსუ, თბ., 2010.
12. ცეცხლაძე მ., შაინიძე ჟ., რელიგიის, ეთიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი, ქრისტიანობა და ეკონომიკა, VII სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, გვ. 113-118, თსუ, თბ., 2013.

# Orthodox christian philosophy of profitable work and wealth

**Babulia Mghebrishvili**
***Ivane Javakhishvili Tbilisi State University***
***Associated Professor***

Summary

**The article provides Orthodox Christian views about labor, profit and wealth. Author regards that the people needs to clarify these views for themselves, as, on one hand, profit and wealth implies certain danger to proper conversion of peoples in accordance with Christian requirements and on the other hand, this is the profit generation and accumulation of wealth that ensures wellbeing of the society,**

**Based on the bible and using the myth, the article underlines that Orthodox Christianity regards that profitable and honest work is mandatory. In addition, the article demonstrates that the Gospel, irrespective of great dangers resulting from possession of riches, regards that these dangers could be avoided. And for this, according to Orthodox teaching, it is necessary that the rich people learned how to properly manage their property and the poor were not full of anger and envy for the wealth of the other people.**

***Keywords: profitable labor, wealth, wealth distribution, Orthodox Christianity***

# The process of formation and stages of development of technoparks in Azerbaijan

**Zumrud Nadjafova**
*The Lecturer of the "Economy" department,*
*Azerbaijan State Economic University (UNEC)*

**PhD, Natiq Gurbanov**
*The Lecturer of the "Economy" department,*
*Azerbaijan State Economic University (UNEC)*

*Technopark is a subject of scientific and innovative infrastructure that creates condit ions that positively affect the development of production...in the scientific and technical sp here, with highly qualified personnel and experimental facilities.*

*The development of the nonoil sector in Azerbaijan is a strategic goal. The governme nt of Azerbaijan is taking all possible measures to develop the production sector. These me asures include direct public investment and encouraging entrepreneurs to work actively in t he applied economy. In Azerbaijan, there are sufficient natural resources and qualified pers onnel that contribute to the development of the production sector.*

*Keywords: Development of industry, technopark, plant, state regulation, Azerbaijan.*

**Industry, which is the main sector of the economy of Azerbaijan. Since the middle of the last century, thanks to the activities of the national leader of the Azerbaijani people, Heydar Aliyev, metallurgy, mechanical engineering, fuel and energy, food, light, chemical and other industries have started to develop.**

The volume of industrial production at the enterprises of the Republic of Azerbaijan (AZN million)

| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|
| The entire industry, including: | 22564 | 27978 | 35027 | 34565 | 33898 | 35646 |
| Public sector | 5036 | 5575 | 6817 | 6875 | 6397 | 6893 |
| Private sector | 17528 | 2403 | 28210 | 27690 | 27501 | 27924 |
| Mining industry | 16460 | 20862 | 26894 | 25607 | 24655 | 5983 |
| Processing industry | 836,1 | 5735,7 | 6392,4 | 7031,8 | 7243,8 | 7126,1 |
| Production electric power | 1148,3 | 1225,5 | 1555,9 | 1724,3 | 1773,9 | 1765,4 |
| Water supply, and waste recycling | 119,5 | 154,5 | 184,3 | 201,7 | 225,1 | 223,4 |

***Source:** the table is based on the materials of the state statistics Committee of the Republic of Azerbaijan [33]*

**As we can see from the table, over the period of 2009-2014, the volume of industrial production actually increased by 3.5 times. In this direction, an important role was played by the reforms implemented at manufacturing enterprises.**

**The development of industry in Azerbaijan is a priority direction of the socio-economic policy that is being implemented in the country. Based on the Decree of the Head of state, 2014 was declared the "Year of industry" in Azerbaijan. [13. c. 338.]**

**In Azerbaijan, there are sufficient natural resources and qualified personnel that contribute to the development of the production sector.**

**The construction of a Technology Park in our country has created thousands of jobs. This improves the social level of the population.**

**In April 2009, the Law "on the establishment of Special economic zones in the Republic of Azerbaijan" was adopted. [1. p. 78-82.] As a result of the adoption of this law, it is expected to expand innovation activities in different regions of the country, solve socio-economic problems, develop the country's regions and lagging sectors of the economy, and increase the export potential of the country's non-oil sector.**

**Azerbaijan has the "State Program of the Republic of Azerbaijan On the national strategy for the development of science for 2009-2015", [4.p.82.] which provides for the development of technoparks in the Republic.**

**As a result, organizations such as UNESCO provide support to the Republic of Azerbaijan in the development of technoparks from organizations such as UNESCO. Technopark is a means of creating an innovative, knowledge-intensive and competitive economy**

**At the event held on March 12, 2014 in connection with the announcement of the year of industry, the idea of creating industrial quarters was first put forward. On April 8, 2014, President Ilham Aliyev signed a decree "on the establishment of industrial districts and the organization of their activities" [ 2 ]. This document stated that industrial districts are of great importance for the development of small and medium-sized businesses, the organization of the production process, strengthening cooperative ties,and other issues.**

**On the territory of industrial blocks, it is planned to create external and internal infrastructure, which is an advantage of the blocks. The advantage is to save money on creating infrastructure for your company.**

**Industrial districts will be created in such a format that they can function in small areas of the country. At the moment, it is planned to create one industrial quarter in each economic zone of Azerbaijan. After evaluating their activities, blocks will be created in other regions of the country.**

## The Sumgayit technopark

**Since the 70s of the XX century, the national leader Heydar Aliyev has laid the Foundation for the development of today's successful economy of Azerbaijan. President Ilham Aliyev, continuing this policy, implemented a large number of economic reforms, which led to favorable conditions for private entrepreneurs. In this regard, in the territory of the Republic of Azerbaijan, In the city of Sumgayit, in accordance with the relevant Decrees and Orders of President Ilham Aliyev, Azenco OJSC has built a giant Sumgayit Technology Park. STP is considered one of the largest technology parks in Europe.**

**Sumgayit was built immediately after the Second world war as a center of the chemical industry and aluminum industry. Decline 32 industrial production in the early 1990s strongly affected Sumgayit factories, but thanks to the purposeful policy of our state, Sumgayit began to reborn. Gradually, an aluminum plant was put into operation, then a pipe plant, and production began to improve.**

**In Sumgayit Technological Park, consisting of 17 plants. These factories create various types of products that play an important role for our country. This company is one of the largest tax payers, which contributes to the stable development of the economy of the Republic of Azerbaijan.**

Thanks to the construction of the Sumgayit Technological Park, thousands of jobs were opened, which led to an improvement in the social level of the population. Highly qualified specialists with extensive experience in this field are involved in the work at this Technopark. All actions to attract staff are fully in line with the overall socio-economic policy of the government of Azerbaijan.

The following enterprises are currently operating in the STP:

- Cable factory
- Plant, plastic pipe Plant, hot-dip galvanizing
- Precision machinery manufacturing plant heavy machinery Plant
- Plant for the production of electrical equipment
- Plant of technical gases.

All these plants have machines and equipment based on the latest technologies and purchased in developed industrial countries of the world - Japan, great Britain, Belgium, China, etc. Application at the factories of the latest technologies in the production of products is not limited only to internal needs, but also creates opportunities to export products, and does not harm the environment.

The products produced at the factories of the Sumgait Technological Park can meet the needs of the domestic Market, and it is also planned to export these products to other countries in the near future, since the products produced are competitive in the foreign market.

One of the promising plants on the territory of the Sumgait Technological Park which has been operating since December 2009. is a Plastic pipe Factory.[ 2 ] the Plant specializes in the production of water and gas pipes, drip irrigation pipes, telecommunications and drainage pipes, multi-layer polyethylene pipes with aluminum inserts for heating systems and other types polypropylene pipes. In addition to plastic pipes, various types of PE, PP fittings, polycarbonate sheets and PVC profiles are produced. The Plant has more than 80 different production lines.

Heavy Machinery plant, commissioned in 2011. This plant has become an important element in the development of the machine-building industry in Azerbaijan.

The annual capacity of the Heavy Machinery Plant is 120,000 tons. [ 4, page 5]

There are two areas within the plant: crane repair and crane manufacturing.




Figure 1. Composition of the Heavy Machinery Plant

The Foundation of the Press factory was laid on may 26, 2010 on the territory of STP covering an area of more than 11160 m2, and finally launched in August 2011. This plant uses high-tech lines and universal pressing equipment of well-known brands that meet international standards. The hydraulic press, which has no analogues in the country, is able to process various chassis parts and other parts for the automotive industry. This equipment is unique. The uniqueness lies in the ability to work not only in Autonomous mode, but also in combination with other equipment, the so-called tandem, and this, in turn, allows you to work on larger and larger

parts for cars. On the territory of the Sumgait Technopark there is a polymer products factory, which is the largest in the region.

## Evaluating the effectiveness of Azerbaijan's technoparks and industrial zones

The creation of technopolises abroad can be considered as one of the most ambitious social experiments in the twentieth century, covering a wide range of economic, technical and technological, research, communication, social and other problems that go far beyond the limits of today in their significance and consequences.

After analyzing the activities of technoparks around the world, you can see both positive and negative aspects in the work of technoparks. Positive aspects in the development of Technology Parks should be applied when creating a similar structure on the territory of our country.

Figure 2. Positive aspects of creating technoparks




1. The most important is the state's interest in the development of technology parks, allowing them to commercialize innovative ideas, and provide assistance and support to achieve results in various industries. This understanding leads to serious and high-quality support of technoparks from the state.

2. Serious support of the Technopark's resident companies from the management company, which attract "anchor residents" who could provide financial support by investing their capital, thereby enabling tremendous business development companies.

3. Developed system of services. Here we mean not only assistance and services to residents within the framework of business services, but also services aimed at business development. These services include:

- Assistance in forming a legal entity that is the owner of ideas;
- Learning the basics of doing business;
- To promote the implementation of R & d and implementation results.

In 2014, the industrial sector of Azerbaijan was under special attention. This year, more than 230 new industrial enterprises were put into operation, existing production facilities were expanded and the foundations for the future of the country's industrial industry were laid.

## The role of the state in the development of technoparks

The modern economy is extremely complex, and it is designed to create conditions for a wide variety of activities of people. Depending on how the economy is organized, on what principles this organization is built, you can determine what tasks it is able to solve, what interests of society and various social groups it can meet. The state plays an important role in ensuring the normal functioning of any modern economic system. The state throughout its

history, along with the tasks of maintaining order, law and order, and organizing national defense, has performed certain functions in the economic sphere.

State regulation of technoparks activity is a set of measures implemented by the state authorities of the subjects of the Republic of Azerbaijan and local self-government bodies aimed at establishing a legislative basis for the implementation of activities by technoparks, determining measures of state support for technoparks, ways to manage the activities of technoparks, developing requirements for technoparks and assigning the status of a Technopark.

The state authorities of the subjects of the Republic of Azerbaijan interact in the sphere of state regulation of technoparks by:

1) participation in the work of the interdepartmental Commission for coordinating the creation, operation and development of technoparks in the field of high technologies;

2) providing state support to technoparks, which is carried out by the bodies of the subjects of the Republic of Azerbaijan by providing property, financial resources, tax and other benefits, information support and other assistance to the management company of the Technopark, founders or residents of the Technopark;

3) providing information and consulting support, which is carried out by the bodies of the subjects of the Republic of Azerbaijan in order to establish relations with interested economic entities, promote the products of technoparks on the domestic and international markets, protect the results of intellectual activity, and create other measures to promote the development of technoparks.

The goals of state regulation for the creation and the purpose of technoparks is to accelerate the innovative development of the Republic of Azerbaijan, meet its needs for innovative products and services, increase the competitiveness of such products and services in the domestic and international markets, strengthen the integration of science, education and production, and solve other socio-economic problems.

For the development of national TPs, the government has developed special programs:

- "plan for the development of technopolises", which involves the provision of subsidies, low-interest loans for venture capital business, reduction of payments for the lease of industrial facilities and buildings.

- "plan for the location of scientific production", which presupposes the territorial concentration of regional industries and their association by specialization.

- a "basic research plan" that promotes the development of the enterprise in the early stages of its existence.

Figure 3. Special programs for the development of national TPs



**Policy conducted in the Republic of Azerbaijan aimed at the development of the industry, enhance the socio-economic level of the population, reduce poverty, increase oil production, creation of new production sectors, increasing the level of self-sufficiency in basic foodstuffs and construction materials.**

**Reference:**


1. State Program Of The Republic Of Azerbaijan " About national strategy for the development of science for 2009-2015"
2. information and cultural portal InCity. Sumgait industrial Park http://incity.az/
3. Materials of the Ministry of Economic development of Azerbaijan (www.economy.gov.az)
4. Technical assistance Programs with the participation of Azerbaijan //URL:http://www.trace-caorg.org/en/technical-assistance/
5. State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan http://www.stot.kuv.oz/menu/11/
6. Mechanism of state support of technoparks / / "Entrepreneurship" - 2007. - №5.
7. The Role of technoparks in the process of commercialization of technological innovations / / Integral-2007
8. Hajiyev Sh. "Azerbaijan on the way to world peace community:foreign economic development strategy". Kiev: 2018

# დაგროვებითი საპენსიო მოდელის ანალიზი და საპენსიო აქტივების მენეჯმენტის პრობლემები[1]

**დავით ნარმანია**
*პროფესორი*

**გიული ქეშელაშვილი**
*ასოცირებული პროფესორი*

**ეკა ჩოხელი**
*ასოცირებული პროფესორი*

**მანანა ხარხელი**
*ასოცირებული პროფესორი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში განხილულია საქართველოში დაგროვებითი საპენსიო რეფორმის მიმდინარეობის პროცესი. კერძოდ, რეფორმის მნიშვნელობა საპენსიო ასაკში მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის, დანაზოგებისა და ინვესტიციების ზრდისათვის, კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის. შესწავლილია არსებული სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაციისა და დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, საპენსიო სისტემების რეფორმირების უცხოური გამოცდილება და დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბების თანმდევი მოსალოდნელი საფრთხეები. გაანალიზებულია დასაქმებულთა და დამსაქმებელთა დამოკიდებულება საპენსიო რეფორმის მიმართ. გამოკვეთილია საპენსიო აქტივების მართვის პრობლემები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.*

*საკვანძო სიტყვები:* *საპენსიო რეფორმა, საპენსიო სააგენტო, აქტივების მართვა, მართვის პროცესი, მონიტორინგი.*

**შესავალი. საქართველოში არსებულმა ფინანსურმა, დემოგრაფიულმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა დღის წესრიგში დააყენა საპენსიო სისტემის რეფორმირების საკითხი. ახალი საპენსიო სისტემა შერეულ მოდელს უნდა დაეყრდნოს, რომელიც სახელმწიფო და კერძო, დაგროვებითი საპენსიო სისტემების შერწყმას გულისხმობს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მთელ მსოფლიოში შეინიშნება დაგროვებითი პენსიის ზრდისა და სახელმწიფო პენსიის შემცირების ტენდენცია. ამასთან, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საპენსიო რეფორმა თითოეული ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით გატარდა.**

**2018 წლის წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა და ნაწილობრივ ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ [3], რომლის მიხედვით, დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა დასაქმებულ ან თვითდასაქმებულ მოქალაქეს და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. კანონის საფუძველზე საპენსიო სქემის განხორციელების, მართვისა და ადმინისტრირებისათვის შეიქმნა საპენსიო სააგენტო. მართალია, ზემოაღნიშნული კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს დაგროვებითი საპენსიო სქემის ადმინისტრირების პროცესს, საპენსიო სააგენტოს ფუნქციებს, ეროვნული ბანკის უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, მაგრამ საქართველოში ამ მიმართულებით გამოცდილება მწირია, შეზღუდულია ფინან-**

[1] ნაშრომი მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კვლევითი პროექტის - „დაგროვებითი საპენსიო მოდელის ანალიზი და საპენსიო აქტივების მენეჯმენტის პრობლემები“ - ფარგლებში.

სური შესაძლებლობები, არსებობს სხვადასხვა კვლევის შედეგები, რომლებიც რეფორმის ეფექტიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ავლენს სხვადასხვა გამოწვევას, რომლის წინაშეც რეფორმის განმახორციელებლები დგანან [4].

რეფორმის განხორციელების ბოლო ეტაპი გათვალისწინებულია 2021 წლის 1 იანვრისათვის. ზემოაღნიშნული კანონის მიზანია, უზრუნველყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში საპენსიო აქტივების მართვა მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად. საპენსიო რეფორმა გულისხმობს წლების განმავლობაში გამომუშავებული ხელფასის პროპორციული თანხების დაგროვებას ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე და მის გაცემას მოქალაქისათვის საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020"-ში ხაზგასმულია საპენსიო რეფორმის განხორციელების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებას. აღნიშნულმა რეფორმამ სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად უნდა შექმნას ინვესტირების დამატებითი წყარო [5, გვ. 59-60].

საქართველოში არსებული საპენსიო სისტემის რეფორმის განხორციელების აუცილებლობა განაპირობა მრავალმა ფაქტორმა: დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებამ, ეროვნული ვალუტის არასტაბილურმა მდგომარეობამ, ეკონომიკურმა კრიზისებმა, სახელმწიფოს მხრიდან პენსიონერთა წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებისას წარმოქმნილმა ხარვეზებმა, არსებული საპენსიო განაკვეთის შეუსაბამობამ იმ სტანდარტებთან, რომელიც ხანდაზმული ადამიანების ნორმალური სიბერის უზრუნველყოფისათვისაა საჭირო.

ჯერ კიდევ 2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა საპენსიო რეფორმის სამსახური, რომელსაც დაეკისრა პასუხისმგებლობა დაგროვებითი საპენსიო სისტემის შექმნასა და რეფორმის გატარებაზე. თუ საქართველოში დღემდე მოქმედი საბაზისო საპენსიო სისტემა მხოლოდ ორი მონაწილის - სახელმწიფოს და პენსიონერის - მონაწილეობას გულისხმობდა, ამჟამად ახალი დაგროვებითი საპენსიო რეფორმის სისტემაში სამი მხარე მონაწილეობს: დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო. მათგან თითოეული ყოველთვიურად მოქალაქის დაუბეგრავი შემოსავლის 2-2%-ს უნდა რიცხავდეს საპენსიო ფონდში, ანუ ყველა ერთად უნდა რიცხავდეს 6%-ს. ამასთან, ამას უნდა დაემატოს ის სარგებელიც, რომელსაც საპენსიო სააგენტო თანხის ფასიან ქაღალდებში დაბანდების შედეგად მიიღებს. ახალი საპენსიო სისტემა თვითდასაქმებულებს ამ სისტემაში ჩართვას არ ავალდებულებს, თუმცა მათი მხრიდან ამ პროცესში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში თვითდასაქმებულებს ყოველთვიურად დაუბეგრავი შემოსავლის 4%-ის გადახდა მოუწევთ, სახელმწიფოს კი - 2%-ის. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროგრამაში მონაწილეობის ვალდებულება ნებაყოფლობითია 40 წლის ასაკის ზემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის და მხოლოდ დასაქმებულის სურვილის შემთხვევაშია დამსაქმებელი ვალდებული, რომ შეასრულოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები. დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, წლების განმავლობაში დაგროვილი თანხის გაცემა უნდა მოხდეს საპენსიო ასაკის დადგომისას სახელმწიფო პენსიასთან ერთად. პენსიაზე გასვლისას ამ პროგრამის მონაწილეს უფლება აქვს, რომ დაგროვილი თანხა ან მთლიანად გამოიტანოს, ან გადაანაწილოს საპენსიო წლებზე.

ზემოაღნიშნულმა რეფორმამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია. დაწყებულ რეფორმას ჰყავს როგორც მხარდამჭერები, ისე მოწინააღმდეგები. ამიტომ მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ამ მიმართულებით რიგი პრობლემის გაანალიზება.

1.საპენსიო სისტემის მართვის უცხოური გამოცდილება. თანამედროვე მსოფლიოს განვითარებულმა სახელმწიფოებმა დიდი ხანია, წარმატებით განახორციელეს საპენსიო სისტემის რეფორმა და დღეისათვის თითოეულ ქვეყანას უკვე მისთვის ეფექტიანი საპენსიო სისტემა აქვს.

თუ შევადარებთ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების პენსიონერთა ცხოვრების სტილს, მათ შორის აშკარა განსხვავებებია, რაც განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყანაში სოციალური პროგრამების განხორციელების დონით. განვითარებული ქვეყნების საპენსიო პროგრამაში ჩართული ადამიანები ორიენტირებულნი არიან, მაქსიმალურად მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება და მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება, რომლის დაგროვების შედეგად უზრუნველყოფენ საკუთარ მომავალს. ასეთი ადამიანები მთლიანად ორიენტირებულნი არიან სამუშაოს ეფექტიან შესრულებაზე, კარიერულ წინსვლაზე და სჯერათ, რომ საპენსიო ასაკის დადგომისას უზრუნველყოფილნი იქნებიან საკუთარი შრომის შედეგით. ცხადია, რომ ისინი ენდობიან დაგროვებითი პენსიის სისტემას და, ამავდროულად, ნდობა აქვთ სახელმწიფოს მიმართაც, რომელიც მათთვის სტაბილურობის გარანტია.

ბოლო წლების განმავლობაში ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა: დიდმა ბრიტანეთმა, შვედეთმა, გერმანიამ და იტალიამ მოახდინეს საკუთარი საპენსიო სისტემების ნაწილობრივი პრივატიზება. საფრანგეთმა რიგი ცვლილება განახორციელა სოლიდარული ანუ სახელმწიფო პენსიის სექტორში. საბერძნეთმა მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფო ვალის აღება საპენსიო უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. ჰიბრიდული სისტემა დაინერგა უნგრეთსა და პოლონეთში, რომელიც ითვალისწინებს ტრადიციული საპენსიო სქემის ეტაპობრივ გაუქმებასა და მის ჩანაცვლებას სავალდებულო დაგროვებითი შენატანებით.

ევროპული ქვეყნების საპენსიო სისტემა ეყრდნობა ე.წ. სვეტებიან სისტემას [1], [11]. ამ სისტემაში პირველი სვეტი აერთიანებს სოლიდარულ (სახელმწიფო) პრინციპზე დაფუძნებულ საპენსიო მოდელს, რომლითაც ხდება სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის გარკვეული სოციალური ჯგუფის პენსიით უზრუნველყოფა, მაგალითად, ფერმერების, საჯარო მოხელეების, ექიმების და სხვ. ეს არის საბაზისო, ანუ მინიმალური საპენსიო გარანტი. მეორე სვეტში ერთიანდება საპენსიო შენატანი დამსაქმებლის მხრიდან.რმესამე სვეტი კი მოიცავს ინდივიდუალურ შენატანებს.

ევროპის ქვეყნების საპენსიო სისტემებში საპენსიო დაზღვევის აუცილებლობა განსაზღვრულია კანონით. პენსიის ოდენობა ინდივიდუალურია ყველა დაზღვეულისთვის და დამოკიდებულია ხელფასის ოდენობასა და სისტემაში დაზღვეულად ყოფნის ხანგრძლივობაზე. ევროპული საპენსიო სისტემები ითვალისწინებს დამატებით სახელმწიფო დაფინანსებასაც დაახლოებით მთელი საპენსიო შენატანების 20%-ის ოდენობით. ამ დახმარებების მოცულობა იზრდება ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. [11], [12], [13], [14], [15] წყაროებზე დაყრდნობით, ნაშრომში გაანალიზებულია ევროპის ქვეყნების საპენსიო სისტემები.

მაგალითად, შვედეთში პენსია სამი კომპონენტისგან შედგება: პირობით-დაგროვებითი, დაგროვებითი და გარანტირებული (სავალდებულო მინიმუმი). პირობით-დაგროვებითი ყალიბდება მუშაკთა შენატანებით, რაც ხელფასის 16%-ია. ეს თანხა ანგარიშზე ირიცხება სახელმწიფო ვალდებულების სახით და იცვლება ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით. დაგროვებითი ნაწილი დამოკიდებულია მუშაკის ხელფასზე. შვედეთში საშუალო პენსია 1060 ევროა. ფინეთში პენსიების გამანაწილებელი სისტემა მოქმედებს, რომლის ბაზისური ნაწილი უზრუნველყოფს სახელმწიფო პენსიის მინიმალურ ოდენობას, სადაზღვევო ნაწილი კი ყალიბდება შენატანებით სადაზვეევო კომპანიაში ან საპენსიო ფონდში. ფინეთში მინიმალური პენსია 600 ევროს შეადგენს, საშუალო კი 1 200 ევროს. საპენსიო ასაკი ფინეთში 63 წელია როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის. ნორვეგიაში პენსია შედგება მინიმუმისგან, რომელსაც სახელმწიფო ყველა პენსიონერს ფიქსირებულად უხდის და დანამატისგან, რომელიც დამოკიდებულია შრომით სტაჟსა და ხელფასზე. ნორვეგიაში საშუალო პენსია 1 484 ევროს შეადგენს. დიდი ბრიტანეთის საპენსიო სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. ბრიტანელი პენსიონერები იღებენ როგორც საბაზისო პენსიას სახელმწიფოს-

გან, ისე პენსიას სადაზღვევო სისტემიდან, რომელიც მათ ხელფასსა და სტაჟზეა დამოკიდებული. ბრიტანეთში საბაზისო სახელმწიფო პენსიას იღებენ 65 წელს მიღწეული მამაკაცები და 60 წელს მიღწეული ქალები. პენსიის დონე და რაოდენობა განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ ინფლაციის დონის გათვალისწინებით. არსებობს კერძო პენსიების დაგროვების სხვადასხვა სისტემაც, მათ შორის, საწარმოებში არსებული კორპორატიული პროგრამები და ნებაყოფილობითი საპენსიო დაგროვების სისტემა. ბრიტანეთში საშუალო სახელმწიფო პენსია 600 ევროს შეადგენს.

გერმანიის საპენსიო სისტემა „თაობათა სოლიდარობის" პრინციპს ეფუძნება. დასაქმებული მოქალაქეები პენსიონერებისთვის განკუთვნილ თანხას სახელმწიფო ფონდში რიცხავენ, ხოლო საპენსიო ასაკის მიღწევისას, მათთვის პენსიას უკვე ახალი თაობა იხდის. საშუალო შენატანი საპენსიო ფონდში ყოველთვიური ხელფასის დაახლოებით 20%-ს შეადგენს, აქედან ნახევარს იხდის დამსაქმებელი. მოქალაქის არმიაში გაწვევის ან დეკრეტში გასვლის შემთხვევაში, აღნიშნული შენატანი შეაქვს სახელმწიფოს. სახელმწიფო პენსიის გარდა, გერმანიაში პენსიებს კომპანიებიც იხდიან, ბევრი დამსაქმებელი კერძო საპენსიო ფონდშია გაწევრიანებული. გერმანიაში საშუალო პენსია 1400 ევროს შეადგენს. დღეისათვის პოლონეთის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა ყველაზე უფრო მდგრად მოდელადაა მიჩნეული ევროპაში, რომელიც აერთიანებს III სხვადასხვა დონეს. სახელმწიფო პენსიები, ანუ I დონე, რომელიც სავალდებულო სოლიდარულ შენატანებს მოიცავს და სახელმწიფოს კუთვნილი სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის მფლობელობაში იმყოფება. საპენსიო ფონდში შეიტანება დასაბეგრი შემოსავლის 19.5%, რომელიც თანაბრად ნაწილდება დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. დასაქმებულის მიერ გადახდილი 9.75%-დან 2.3% ირიცხება მის პირად დაგროვებით ანგარიშზე, დანარჩენი ირიცხება სახელმწიფო პენსიის უზრუნველყოფისათვის განკუთვნილ სოლიდარულ ფონდში. თუ სისტემაში მოხვედრილი პენსიონერის პენსია საშუალოზე დაბალია, სახელმწიფო მას უზრუნველყოფს მინიმალური პენსიით. II დონედ ითვლება სავალდებულო ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშები და მას აქვს ღია საპენსიო ფონდის მსგავსი სტრუქტურა, რომელშიც სოციალური დაზღვევის ინსტიტუტიდან ირიცხება ბენეფიციარის დაბეგრილი შემოსავლის 2.3%. ღია ფონდი დამოუკიდებელი იურიდიული პირია, რომელიც შექმნილია სააქციო საზოგადოების ფორმით. *III დონედ ითვლება ნებაყოფლობითი პროფესიული პენსიები.* თუ დამსაქმებელი ჩამოაყალიბებს ნებაყოფლობით პროფესიულ სისტემას, ის ვალდებულია, გადაიხადოს გადასახადი თავისი თანამშრომლებისათვის, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დასაქმებულის შემოსავლის 7%-ს. ღია საპენსიო ფონდებისაგან განსხვავებით, ნებაყოფლობითი პროფესიული საპენსიო სისტემა სარგებლობს ინვესტირების უფლებით. ამასთან, პოლონეთში კერძო საპენსიო ფონდების მიერ ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციები მკაცრად კონტროლდება სახელმწიფოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში საპენსიო რეფორმებმა გაამართლა და სასურველი შედეგები მოიტანა, მაგრამ არც ერთი ევროპული ქვეყნის საპენსიო მოდელის უცვლელად გადმოტანა და ქართულ რეალობაზე მორგება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საჭიროებები.

2. დაგროვებითი საპენსიო სისტემის მართვის თავისებურებები საქართველოში. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020"-ში აღნიშნულია: „იმის გათვალისწინებით, რომ პენსიონერთა რაოდენობა მზარდია, გაეროს მონაცემებით, პენსიონერთა რაოდენობა 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის 25% იქნება, ადგილი ექნება სოციალური დანახარჯების მუდმივ ზრდას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ეტაპობრივად დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბაზისო პენსიის არამდგრადი ზრდისგან

გამოწვეული წნეხის შემსუბუქებას. ასევე მნიშვნელოვანია საბაზისო პენსიის ინფლაციასთან მიბმის პრინციპის შემოღება და პენსიის ზრდის ორიენტირება ყველაზე ღარიბ პენსიონერებზე, რაც დაიცავს პენსიის მსყიდველობითუნარიანობას და მოლოდინებს მისაღებ დონეზე შეინარჩუნებს" [5].

საპენსიო რეფორმის როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპებზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საპენსიო დანაზოგების დაგროვება ნებაყოფლობითი უნდა იყოს თუ სავალდებულო? რომელი სადაზღვევო ფონდი უნდა იყოს შექმნილი: სახელმწიფო თუ კერძო? საპენსიო შენატანების წარმოქმნა ხელს ხომ არ შეუშლის ბიზნესის განვითარებას, ან პრობლემებს ხომ არ წარმოქმნის ფინანსური ანგარიშგებისას შესაბამის უწყებებთან?

„დაგროვებითი პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, საპენსიო სისტემის მართვასა და ადმინისტრირებას ახორციელებს „საპენსიო სააგენტო". მისი სტრუქტურა, უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება საპენსიო სააგენტოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. „საპენსიო სააგენტოს" მართვის უმაღლესი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 3 წევრითა და საინვესტიციო საბჭოს თავჯდომარით. სამეთვალყურეო საბჭო კონკურსის წესით ნიშნავს სააგენტოს დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობისგანხორციელებაზე, ბიუჯეტის დაგეგმვასა და მესამე მხარეებთან ურთიერთობაზე. საპენსიო სააგენტოს საქმიანობის ზედამხედველობას, გარდა საინვესტიციო საქმიანობისა, ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო.

საპენსიო აქტივების ინვესტირების მიზნით სააგენტოში იქმნება საინვესტიციო საბჭო, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო პოლიტიკას. ის შედგება 5 წევრისგან. საინვესტიციო საბჭო პასუხისმგებელია როგორც საინვესტიციო სამსახურის საქმიანობაზე, ასევე, აქტივების მმართველი კომპანიების საქმიანობის მონიტორინგზე, რომელიც გულისხმობს „დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვას საპენსიო აქტივების მართვასთან დაკავშირებით.

საპენსიო სააგენტო ექვემდებარება ზედამხედველობას. სააგენტოს საქმიანობის ზედამხედველობას, საინვესტიციო საქმიანობის გარდა, ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს საპენსიო სქემის განხორციელებასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია სსიპ „საპენსიო სააგენტო", ხოლო საპენსიო აქტივების ინვესტირებაზე პასუხისმგებელია საინვესტიციო საბჭო, რომლის გადაწყვეტილებითაც საპენსიო აქტივები სხვადასხვა დონის რისკიანობის ფინანსურ აქტივებში უნდა განთავსდეს.

3. საზოგადოების დამოკიდებულება ახალ საპენსიო სისტემასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზი, რომელიც ეხება დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შეფასებას.

ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, კითხვარი მომზადდა როგორც დამსაქმებლებითვის, ისე დასაქმებულთათვის. გამოიკითხა 400 აპლიკანტი-დასაქმებული და 160 აპლიკანტი-დამსაქმებელი. გამოკითხვა ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. დასაქმებულთა კითხვარი შედგებოდა 12 კითხვისაგან, აქედან 3 კითხვის გარდა ყველა იყო დახურული. დამსაქმებელთა კითხვარი შედგებოდა 7 კითხვისგან, რომელთაგან 6 იყო დახურული, ხოლო 1 ღია კითხვა. პასუხები იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ახალი საპენსიო სისტემის შესახებ. კვლევა მოიცავდა კითხვებს საზოგადოების ინფორმირებულობაზე, რესპოდენტთა შეფასებებს სისტემის სამართლიანობასა და გამართულობაზე, პერსონა-

ლურ კითხვებს, ასევე, რესპოდენტების რეკომენდაციებს და წინადადებებს ახალ საპენსიო სისტემასთან დაკავშირებით.

კვლევამ გვაჩვენა, რომ საკმაოდ დაბალია საზოგადოების ინფორმირების დონე. კერძოდ, გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ 24% იყო სრულად ინფორმირებული ახალი საპენსიო სისტემის შესახებ, 56%-ს ნაწილობრივ ჰქონდა ინფორმაცია, ხოლო 20% საერთოდ არ ფლობდა ინფორმაციას რეფორმის შესახებ. ამასთან, ახალი საპენსიო სისტემის შესახებ ინფორმაცია მარტივად მხოლოდ საზოგადოების 15%-მა მიიღო, დანარჩენი 85%-სთვის ინფორმაციის მოპოვების პროცესი არც ისეთ მარტივი აღმოჩნდა. განისაზღვრა ინფორმაციის მოძიების რამდენიმე წყარო: საპენსიო სააგენტო, მედიასაშუალებები, ახლობელი ადამიანები და ინფორმაციის სხვა არხები, საიდანაც მიღებული ინფორმაცია პროცენტულად შემდეგნაირად განაწილდა: საპენსიო სააგენტო - 13%, მედიასაშუალებები - 38%, ახლობელი ადამიანები - 27%, ინფორმაციის მოპოვების სხვა არხები - 22%. ცხადია, რომ საზოგადოება არ ფლობს საჭირო ინფორმაციას და სათანადოდ ვერ აანალიზებს იმას, თუ რა შეიძლება შეცვალოს ახალმა სისტემამ უკეთესობისაკენ.

ახალი საპენსიო სისტემა სამართლიანად რესპოდენტთა მხოლოდ 15%-მა მიიჩნია, დანარჩენი 85%-თვის სისტემა სამართლიანი არ არის. ამასთან, გამოკითხულთა 92% თვლის, რომ საქართველოს მოქალაქეები საპენსიო სისტემაში ნებაყოფლობით უნდა მონაწილეობდნენ. რესპოდენტთა 8%-ს მიაჩნია, რომ საპენსიო სისტემაში სავალდებულო მონაწილეობის მოდელი სწორია.

საზოგადოება სრულიად არ არის მზად საპენსიო სისტემაში მონაწილეობისათვის გამოკითხულთა მხოლოდ 4%-ისთვის, ნაწილობრივ მზად მიაჩნია 41%-ს, ხოლო 55% თვლის, რომ ამ ეტაპზე საზოგადოება არ არის მზად სისტემაში მონაწილეობისათვის.

რაც შეეხება საზოგადოების მხრიდან ნდობის ფაქტორს, ეს საკმაოდ პრობლემატური საკითხია. კვლავ მაღალია მოსახლეობის უნდობლობის ხარისხი. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ საპენსიო სისტემაში ჩართვა უნდა იყოს ნებაყოფლობითი. რესპოდენტთა მხოლოდ 21% ჩაერთვებოდა სისტემაში ნებაყოფლობით, დანარჩენი 79% კი სისტემაში ჩართვისგან თავს შეიკავებდა.

ის რესპოდენტები, რომლებიც სისტემაში ნებაყოფლობით მონაწილეობაზე თანახმანი არიან, თავის გადაწყვეტილებას იმით ამყარებენ, რომ ისინი საკუთარი მომავლის დაგეგმვასა და უკეთესი სიბერის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობენ. ხოლო ისინი, რომლებიც სისტემაში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ, თავიანთი ნაგატიური დამოკიდებულების რამდენიმე მიზეზზე საუბრობენ: 64% არ ენდობა ხელისუფლებას, სისტემას გაუმართავად და დასახვეწად მიიჩნევს 20,9%, მომავალს უიმედოდ უყურებს 9,3%, ხოლო სხვა მიზეზს ასახელებს 5,8%.

გამოკითხულთა უმეტესმა ნაწილმა აღნიშნა, რომ დაგროვებით საპენსიო მოდელთან დაკავშირებით საზოგადოებაში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის საჭიროა მეტი კომუნიკაცია საზოგადოებასთან, უფრო მეტად ინფორმირება და ახსნა იმისა, თუ როგორ მუშაობს დაგროვებითი საპენსიო სისტემა და რა არის მისი უპირატესობა აქამდე არსებულ სისტემასთან შედარებით.

4. საპენსიო აქტივების მართვის პრობლემები. საპენსიო აქტივი არის საპენსიო სქემის მონაწილეთა ინდივიდუალურ ანგარიშებზე დაგროვილი საპენსიო შენატანები, რომელთა განკარგვის უფლება წარმოიშობა მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ. საპენსიო შენატანები აისახება სისტემის თითოეული მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, რომელიც ასახავს დამსაქმებლის, სახელმწიფოს და მონაწილის მიერ განხორციელებულ შენატანებს.

საპენსიო აქტივების მართვის პრობლემების გასაანალიზებლად შესწავლილ იქნა მსოფლიოში აპრობირებული მეთოდები და საერთაშორისო პრაქტიკა[8], [9], [10]. საერ-

თაშორისო პრაქტიკის მიხედვით, არსებობს აქტივების მართვის ორი სისტემა. პირველი სისტემა ითვალისწინებს დიდი გამოცდილების მქონე აქტივების მმართველი კომპანიების შერჩევას, რომლებზეც უნდა განაწილდეს საპენსიო შენატანები. მეორე სისტემა გულისხმობს მაღალი გამოცდილების მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტებული საინვესტიციო საბჭოს შექმნას, სადაც მიღებულ იქნება აქტივების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებანი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

აქტივების სამართავად კომპანიების შემოყვანა ითვალისწინებს აქტივების მმართველი კომპანიების საუკეთესო ალტერნატივის შერჩევას. აქტივების მმართველები არიან მსოფლიოში ყველაზე დიდი გამოცდილებისა და მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანიები. ამიტომ მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანიების შემოყვანამ უნდა განსაზღვროს საინვესტიციო საქმიანობის მაღალი სანდოობა. აქტივების მმართველები განსაზღვრავენ საინვესტიციო პოლიტიკას, იმას, თუ რა ოდენობის თანხები უნდა განათავსონ კონკრეტულ საინვესტიციო პორტფელებში. რაც შეეხება მოქალაქეებს, ისინი თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ აქტივების რომელი მმართველი ურჩევნიათ თანხების სამართავად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქტივების მართვის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელთა ჩარევა არ ხდება. საქართველოსათვის, რომელსაც საკმაოდ მწირი კაპიტალის ბაზარი გააჩნია, აქტივების მმართველი კომპანიების შემოყვანა საკმაოდ ძვირად ღირებულია.

რაც შეეხება საინვესტიციო საბჭოს შექმნას, ის მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკაა, რომელიც ითვალისწინებს აქტივების მართვის სფეროში საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტებული საინვესტიციო საბჭოს შექმნას, რომელმაც უნდა განსაზღვროს საპენსიო აქტივების საინვესტიციო პოლიტიკა. საბჭო არ არის მუდმივმოქმედი ორგანო. ის იკრიბება პერიოდულად, რათა მიიღოს მნიშვნელოვანი საინვესტიციო გადაწყვეტილებანი. ეს პროცესი მოიცავს როგორც საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას, სადაც განსაზღვრული იქნება საინვესტიციო სტრატეგია და პრინციპები, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება, ისე აქტივების განთავსების სტრატეგიის შემუშავება. საინვესტიციო საბჭოს შეუძლია თვითონ განახორციელოს პირდაპირი ინვესტირება ან აქტივების მმართველ კომპანიას გადასცეს საპენსიო აქტივები სამართავად. საინვესტიციო საბჭო იღებს ჩარჩო გადაწყვეტილებას, რომლის აღსრულებასაც ახდენს უფროსი საინვესტიციო ოფიცერი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქტივების მმართველი კომპანიების შერჩევას ახდენს საინვესტიციო საბჭო, რაც გამორიცხავს პოლიტიკური გავლენის არსებობას. თანხების განთავსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ხორციელდება ადგილობრივი ორგანოს მიერ. საინვესტიციო საბჭო თვითონ განსაზღვრავს ადგილობრივი ორგანოს მოქმედების თავისუფლების ხარისხს. აქტივების მართვის აღნიშნული ფორმის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც ქვეყანაში კაპიტალის ბაზარი მწირია და საინვესტიციო გადაწყვეტილებებში ცვლილებები მუდმივად არ ხორციელდება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ იქმნება შესაძლებლობა საფინანსო ბაზრის განვითარებასთან ერთად, უფრო მეტი თანხები წარიმართოს არაპირდაპირი ინვესტირების გზით აქტივების მმართველი კომპანიების მიერ, რაც საპენსიო აქტივების მართვის პროცესში ადგილობრივი კომპანიების ჩართვის საშუალებას იძლევა.

სახელმწიფო ფონდის შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტები ერევიან საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაში, უფრო მაღალია საპენსიო აქტივების დივერსიფიცირებისა და რეალური ამონაგების შემცირების რისკი. ქართულ რეალობაში სახელმწიფო ფონდში საპენსიო აქტივების განთავსება ხელს შეუწყობს პოლიტიკური მიზნებისთვის თანხების გამოყენებას. საინვესტიციო საბჭოს შემთხვევაში კი ინვესტირე-

ბა უფრო ნაკლებ ხარჯთან იქნება დაკავშირებული და ინვესტირების ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრის შესაძლებლობას მოგვცემს. ის ყველაზე ხარჯეფექტიანი მოდელია, უზრუნველყოფს საინვესტიციო საქმიანობის დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს და იძლევა აქტივების მმართველი კომპანიების თანდათან შემოყვანის შესაძლებლობას კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან ერთად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია საპენსიო აქტივების სამართავად საინვესტიციო საბჭოს შექმნა.

დასკვნები და რეკომენდაციები. დაგროვებითი საპენსიო მოდელის შესწავლამ და საპენსიო აქტივების მენეჯმენტის პრობლემების გაანალიზებამ გვაჩვენა, რომ:

➡ საქართველოში არსებული სოციალური საპენსიო სისტემიდან დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა გამოიწვევს ბიუჯეტიდან პენსიების ტვირთის გადანაწილებას დასაქმებულებზე და გადასახადის გადამხდელებს მომავალში გაცილებით მძიმედ დააწვებათ პენსიების ტვირთი;

➡ საეჭვოდ მიგვაჩნია საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების, გაზრდილი უმუშევრობისა და დაბალი ხელფასების პირობებში, საპენსიო ფონდში გადარიცხული 2%-დან „ღირსეული პენსიის" მიღება მომავალში;

➡ საპენსიო სისტემის ეფექტიანობა მწირია, პენსიის ზრდასთან ერთად (ნომინალურ მაჩვენებლებში) მნიშვნელოვნად იზრდება სამომხმარებლო კალათის ნომინალური ღირებულება;

➡ სწრაფად უნდა განხორციელდეს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მასში ინვესტიციების (სააგენტოში დაგროვებული თანხების) ჩადება;

➡ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში საპენსიო რეფორმებმა გაამართლა და სასურველი შედეგები მოიტანა. თუმცა, არც ერთი ევროპული ქვეყნის საპენსიო მოდელის უცვლელად გადმოტანა ქართულ რეალობაში მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია;

➡ საქართველოს მთავრობამ, კერძო საპენსიო ფონდების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებზე ისეთივე მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს, როგორც ამას პოლონეთის მთავრობა ახორციელებს;

➡ საქართველოსათვის, რომელსაც საკმაოდ მწირი კაპიტალის ბაზარი გააჩნია, აქტივების მმართველი კომპანიების შემოყვანა საკმაოდ ძვირად ღირებულია, ამიტომ მნიშვნელოვად მიგვაჩნია საპენსიო აქტივების სამართავად საინვესტიციო საბჭოს შექმნა;

➡ უნდა გაიზარდოს ქართული საზოგადოების ინფორმირებულობა დაგროვებითი საპენსიო მოდელის მიმართ და უზრუნველყოფილ იქნეს რეფორმის მიმართ მათი ნდობის ხარისხის ამაღლება, ვინაიდან დღეს გამოკითხულთა 85% ახალ საპენსიო სისტემას უსამართლოდ მიიჩნევს;

➡ სახელმწიფომ და საპენსიო სააგენტომ უნდა განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი როგორც დასაქმებულების, ისე დამსაქმებლების ინფორმირების ხარისხის გაზრდისთვის;

➡ რეფორმის შესახებ მაქსიმალურად ინფორმირებული უნდა იყოს პროცესში მონაწილე ყველა მხარე;

➡ უნდა გაუმჯობესდეს კომუნიკაციის პროცესი საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, რათა საზოგადოებამ დაინახოს ამ რეფორმის განხორციელების აუცილებლობა;

➡ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაგროვებითი საპენსიო რეფორმა საქართველოში აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

**ლიტერატურა:**


1. დევდარიანი დ., საპენსიო სისტემათა მსოფლიო მოდელები საქართველოს კონტექსტში, https://idfi.ge/ge/world-models-pension-schemes-georgia
2. ნარმანია დ., ჩოხელი ე., ქეშელაშვილი გ., ხარხელი მ., სარდლიშვილი ნ., თოფურია ბ., ილურიძე გ., დაგროვებითი საპენსიო სისტემა და მართვის გამოწვევები საქართველოში, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", გვ. 297-302, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 1-2 ნოემბერი, 2019. https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/534/Defined%20contribution%20pension%20system%20and%20management%20challenges%20in%20Georgia.pdf?sequence=1&isAllowed=y
3. საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4280127?publication=0
4. საპენსიო სისტემის რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი, IDFI, https://idfi.ge/ge/analysis-of-pension-system-reform
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020; http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი, https://www.geostat.ge/ka
7. David Amaglobeli, Hua Chai, Era Dabla-Norris, Kamil Dybczak, Mauricio Soto, and Alexander F. Tieman; The Future of Saving: The Role of Pension System Design in an Aging World; IMF staff discussion note, January, 2019
8. Davis E.P. (1995). Pension Funds, Retirement Income Security and Capital Markets;. Oxford University Press. Davis E. P.; 1995; An International Comparison of the Financing of Occupational Pensions; in eds. Z
9. Impavido, G., Musalem, A. R., & Tressel, T. (2002). Contractual Savings Institutions and Banks' Stability and Efficiency. (World Bank Policy Research Paper 2751). Washington DC: The World Bank.
10. Meng, C., & Pfau, W. (2010). The Role of Pension Funds in Capital Market Development;. GRIPS Policy Research Center.
11. Pension System In Poland, Pension Funds Online https://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/poland/81
12. Pension System In Germany, Pension Funds Online https://www.pensionfundsonline.co.uk/content/country-profiles/germany
13. Werner Eichhorst, Connie Nielsen, Maarten Gerard, Gerhard Rünstler, Michael J. Kendzia, Thomas Url, Christine Mayrhuber; Pension Systems in the EU – Contingent Liabilities and Assets in the Public and Private Sector, IZA Research Report No. 42, European Parliament, December, 2011 http://ftp.iza.org/report_pdfs/iza_report_42.pdf
14. European Union pension systems: Adequate and sustainable? Briefing, European Parliament, November, 2015 http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2015/571327/EPRS_BRI%282015%29571327_EN.pdf
15. Reforming the German Public Pension System, Axel H. Borsch-Supan and Christina B. Wilke, December, 2005 https://www.rand.org/content/dam/rand/www/external/labor/aging/rsi/rsi_papers/2006_axel1.pdf

# Analysis of the Defined Contribution Pension Model and Problems of Management of the Pension Assets


**Davit Narmania**
*Professor, Doctor of Economics*

**Giuli Keshelashvili**
*Associated professor, Doctorof Economics*

**Eka Chokheli**
*Associated professor, Doctor of Economics*

**Manana Kharkheli**
*Associate dprofessor, Doctor of Economics*



Summary

**The work considers the process of defined contribution pension reform in Georgia, in particular, the significance of the reform for social protection and wellbeing of the citizens who are of retirement age, growth of the savings and investments, development of the capital market. The process of the modification of the existing social pension system and formation of the defined contribution pension system, foreign experience of the pension systems reforms and expected dangers associated with formation of defined contribution pension system. Work analyzes attitude of the employers and employees to the pension reform. It identifies the problems of the pension assets management and provides relevant conclusions.**



***Keywords: pension reform, Pension Agency, assets management, management process, monitoring***

# ლიზინგი და მასთან დაკავშირებული ფუნქციების ინტეგრაცია მიწოდების ჯაჭვთან


**მზია ნოზაძე**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*
*საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი*

**ლილი პეტრიაშვილი**
*ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლოგისტიკის დეპარტამენტი*



*სტატიაში განხილულია ლიზინგის არსი და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა; ლიზინგთან დაკავშირებული ურთიერთობების კავშირი და ინტეგრაცია მიწოდების ჯაჭვთან. ლიზინგის ოპერაციაში მონაწილე სუბიექტების ინტერესები და სარგებელი, რომელსაც ისინი იღებენ ლიზინგთან დაკავშირებული გარიგებებიდან. ლიზინგთან დაკავშირებული საქმიანობა წარმოადგენს საფინანსო-საკრედიტო, საიჯარო, საინვესტიციო და მიწოდების ჯაჭვის ურთიერთობების სინთეზს.*

*ბოლო წლების განმავლობაში ბიზნესში, კერძოდ, ლიზინგის ოპერაციებში ფართოდ გამოიყენება მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის (Supply Cain Management - SCM) კონცეფცია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კონცეფციას წარმატებით იყენებენ როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციები, ისე საშუალო და მცირე ბიზნესის სუბიექტები.*



*საკვანძო სიტყვები: ლიზინგი; ფინანსური ლიზინგი; ოპერაციული ლიზინგი; ლიზინგის მიმღები; ლიზინგის გამცემი; მიწოდების ჯაჭვი.*


**შინაარსი**

**თანამედროვე გლობალური ეკონომიკის და მზარდი კონკურენციის პირობებში სამეურნეო სუბიექტებისათვის აქტუალურია ძვირად ღირებული აქტივების შეძენა და საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა, რაც დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან. სალიზინგო ურთიერთობების ხანგრძლივი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ მიზნით სამეურნეო სუბიექტებისათვის ლიზინგით ძირითადი აქტივების დროებით სარგებლობაში მიღება და მისი გამოყენება წარმოადგენს ეფექტიან და უალტერნატივო მეთოდს.**

**მსოფლიო პრაქტიკაში ტერმინი ლიზინგი (ინგლ. lease - ქირით გაცემა) დამკვიდრდა, როგორც აღჭურვილობის და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის იჯარაზე დაფუძნებული გარიგება.**

**ეკონომიკური თვალსაზრისით, ლიზინგი წარმოადგენს დაკრედიტების ფორმას ლიზინგის მიმღებისათვის, ლიზინგის ობიექტის საკუთრების უფლებით სარგებლობის გარეშე და გვევლინება როგორც ტრადიციული საბანკო დაკრედიტების ალტერნატივა.**

**იმისათვის, რომ უკეთესად განვსაზღვროთ ლიზინგის ეკონომიკური არსი და მისი მნიშვნელობა, პირველ რიგში, განვიხილოთ ლიზინგის ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტები, მათი ინტერესები და სარგებელი აღნიშნული ურთიერთობებიდან.**

**სალიზინგო ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტებს მიეკუთვნება:**

**ლიზინგის გამცემი (ლიზინგგამცემი) - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სალიზინგო საქმიანობას, იძენს საკუთარი სახსრებით ლიზინგის ობიექტს (აღჭურვილობას) და გარკვეული პერიოდით გადასცემს სხვა პირს დროებითი ფლობისა და გამოყენებისთვის, გარკვეული საფასურის მიღების მიზნით.**

ლიზინგის მიმღები (ლიზინგმიმღები) - პირი, რომელიც ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში იღებს ლიზინგის ობიექტის გამოყენების უფლებას.

მიმწოდებელი (გამყიდველი) - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ვალდებულია, ლიზინგის ობიექტი გადასცეს ლიზინგის მიმღებს ლიზინგის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. გამყიდველი შეიძლება, ამავდროულად, იყოს ლიზინგგამცემი.

ლიზინგით გარიგებებში ჩართულნი არიან, აგრეთვე, არაპირდაპირი მონაწილე სუბიექტები: კომერციული ბანკები და სადაზღვევო კომპანიები.

განასხვავებენ ლიზინგის ორ ძირითად სახეობას: 1. ოპერაციული ლიზინგი, როდესაც ლიზინგის ობიექტის გაცემა ხდება მოკლევადიანი პერიოდით. „ოპერაციული ლიზინგი - შეთანხმებაა, რომელიც გულისხმობს ლიზინგის აქტივის გამოყენებას და არა ამ აქტივზე საკუთრების უფლებას [1].

ფინანსური ლიზინგი (ზოგჯერ მას უწოდებენ ლიზინგს სრული ამორტიზაციით), რომელიც გულისხმობს ლიზინგის ობიექტის გადაცემას გრძელვადიანი პერიოდით და ითვალისწინებს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის ობიექტის საბოლოო გამოსყიდვას ნარჩენი საბალანსო ღირებულებით. ფინანსური ლიზინგი გრძელვადიანი სესხის ფორმაა და ხასიათდება შემდეგი ძირითადი თავისებურებებით: 1. ლიზინგგამცემი იძენს ლიზინგის ობიექტს კონკრეტულად ლიზინგით გარიგებისთვის; 2. ლიზინგგამცემს უფლება აქვს, აირჩიოს ლიზინგის ობიექტი; 3. ლიზინგის ობიექტის შემთხვევითი დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში რისკი ლიზინგმიმღებზე გადადის.

ბოლო პერიოდში ლიზინგის საკმაოდ გავრცელებულ სახეობას მიეკუთვნება უკულიზინგი, როდესაც სალიზინგო კომპანია იძენს კლიენტისაგან ლიზინგის ობიექტს, სანაცვლოდ აძლევს თანხას და უბრუნებს ამავე აქტივს სარგებლობის უფლებით.

ოპერაციული ლიზინგის ხელშეკრულების თანახმად, ლიზინგის აქტივი ლიზინგმიმღებს გადაეცემა შედარებით მოკლევადიანი პერიოდით, ვიდრე მისი სტანდარტული მომსახურების ვადა, რაც საშუალებას აძლევს ლიზინგ-გამცემს მისი განმეორებით ლიზინგის პირობით გაცემის შესახებ. ოპერაციული ლიზინგის საშუალებით, ლიზინგით გაცემული ობიექტის დაზიანების ან განადგურებით გამოწვეული ზარალი გადადის ლიზინგ-მიმღებზე. ამასთან, ფინანსურ ლიზინგთან შედარებით ოპერაციულ ლიზინგზე გადასახდელები შედარებით მაღალია, ლიზინგის ობიექტის დაზიანების შემთხვევაში ზიანის აღდგენის გარანტიის არარსებობის გამო.

ლიზინგის გარიგებაში მონაწილე სუბიექტების ინტერესები და გარიგებიდან მისაღები სარგებელი მდგომარეობს შემდეგში:

1. მიმწოდებელი ზრდის ლიზინგის ობიექტის და აღჭურვილობის გაყიდვების მოცულობას;

2. ლიზინგგამცემი (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგგამცემს წარმოადგენს კომერციული ბანკი) მოქმედებს როგორც გამქირავებელი, ლიზინგი წარმოადგენს მინიმალური რისკის პირობებში ფულის დაბანდების ალტერნატიულ სფეროს, რადგანაც ლიზინგის ობიექტი ლიზინგგამცემის საკუთრებაშია ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე და სალიზინგო გადასახდელების სრულად გადახდამდე. ამასთან, ლიზინგის ობიექტი, რომელიც გამოიყენება საწარმოო მიზნებისთვის, თვითონ ახდენს შემოსავლების გენერირებას ლიზინგის გადასახდელების სახით, რომლის სიდიდეც საკმაოდ მაღალია.

3. ლიზინგმიმღები მსხვილი კაპიტალდაბანდებების გარეშე ახორციელებს ძირითადი საშუალებების მოდერნიზაციას და შეუძლია ლიზინგის ობიექტის გამოსყიდვა ეტაპობრივად.

თუმცა, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ლიზინგს სარგებელთან და დადებით მხარეებთან ერთად, გააჩნია უარყოფითი მხარეებიც. „უნდა აღინიშნოს ლიზინგით სარ-

გებლობის უარყოფითი მხარეც, როგორც ლიზინგის გამცემის, ასევე ლიზინგის მიმღებისათვის. კერძოდ, ლიზინგის გამცემზე გადადის ქონების მორალური ცვეთის რისკი, თუ ლიზინგი ითვალისწინებს დაბრუნებას, ხოლო ლიზინგის მიმღებისათვის სალიზინგო გადასახდელები უფრო მეტია, ვიდრე ლიზინგის საგნის ღირებულება ან შესაბამისი საბანკო კრედიტი, რომელიც ამ საგნის შესაძენად იქნებოდა აღებული [2].

ლიზინგის მომსახურებით დაკავებულნი არიან სპეციალიზებული კომპანიები: საბროკერო ლიზინგის კომპანიები; კომერციული ბანკები; ფინანსური ლიზინგის კომპანიები.

ლიზინგის დანიშნულება ვლინდება მის შემდეგ ფუნქციებში: კვლავწარმოებითი რესურსდამზოგავი, ფინანსური.

გამომდინარე იქიდან, რომ სალიზინგო ურთიერთობები საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების ერთ-ერთი სახეობაა, ეს ურთიერთობები ყალიბდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე: სარგებლიანობა, ვადიანობა, დაბრუნებადობა.

ლიზინგის ობიექტის მიწოდების ოპერაციები დაკავშირებულია მიწოდების ჯაჭვის შემადგენელ კომპონენტებთან. უთანხმოება ლიზინგგამცემს, ლიზინგმიმღებს და მიმწოდებელს შორის წარმოიშობა არასათანადო ხარისხის ლიზინგის ობიექტის მიწოდების შემთხვევაში. ამ სიტუაციის სპეციფიკა თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც გამყიდველი არ წარმოადგენს ლიზინგის ობიექტის მწარმოებელს. ლიზინგის ობიექტზე არასათანადო ხარისხის აღმოჩენისას, ლიზინგმიმღებს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმა და გადახდილი თანხის დაბრუნება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ლიზინგმიმღების უფლება განისაზღვრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის უპირობო წესით მიღებაში, მით უმეტეს, რომ ის მონაწილეობდა ამ ხელშეკრულების შედგენაში. „სალიზინგო ურთიერთობების სისტემაში რისკების შეფასების თავისებურებები ვლინდება, სხვათა შორის, რისკების სათანადოდ განსაზღვრაში - სალიზინგო გარიგებების მონაწილეთა ჯაჭვის როგორც თითოეული მონაწილის, ასევე ცალკეული რისკების ნეგატიური შედეგების მიხედვით [3].

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიწოდების ჯაჭვის ეფექტური მართვა, რომელიც მოიცავს ერთიან ინტეგრირებულ, მომხმარებელზე ორიენტირებული დაგეგმარების, ფორმირების, შიდა და გარე მატერიალური ნაკადების მართვის სისტემას, სადაც დამატებითი ღირებულების ოპტიმალური მნიშვნელობა განისაზღვრება. მიწოდების ჯაჭვში მიმდინარე ყველა პროცესი, დაწყებული პროდუქციის წარმოებიდან მის საბოლოო მომხმარებლამდე, ურთიერთდაკავშირებული პროცესებია, რომლის მიზანია მომსახურებაზე გაწეული დროისა და ფინანსური მაჩვენებლების შემცირება. სწორად დაგეგმილი მიწოდების ჯაჭვი განსაზღვრავს ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო პოლიტიკას და საფინანსო ოპერაციების მართვის სტრატეგიას. საქართველოს, მისი გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვს ბუნებრივი ჰაბის ფუნქცია და წარმოადგენს აზიასა და ევროპას შორის დამაკავშირებელ ტრანზიტულ ქვეყანას, რომლის ძირითადი მიზანი ქვეყნებს შორის ტვირთების დამუშავებისა და მომსახურების ხელსაყრელი პირობების შექმნაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის ლოგიკური კითხვა: რა ურთიერთკავშირი არსებობს ლიზინგსა და მიწოდების ჯაჭვს შორის, რადგან სალიზინგო პროექტების განხორციელებისას მატერიალური ნაკადების მოძრაობა ხორციელდება ერთი მიმართულებით, ლიზინგის ობიექტის მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე.[4]

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ კომპანიების უმეტესობა მიწოდების ჯაჭვის ერთ-ერთი მთავარი რგოლის ტრანსპორტირების და დასაწყობებისას იყენებს ლიზინგს, რომლის შედეგი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:




ლიზინგის ოპერაციებთან დაკავშირებული რისკები შესაძლებელია დავყოთ შემდეგ ჯგუფებად: 1. რისკები, დაკავშირებული ლიზინგის ობიექტის არჩევასთან და მის ექსპლუატაციასთან; 2. რისკები, დაკავშირებული ლიზინგის მიმწოდებელთან; 3. რისკები, დაკავშირებული სალიზინგო კომპანიის მიერ დივერსიფიკაციასა და პორტფელის ფორმირებასთან; 4. რისკები, დაკავშირებული ლიზინგმიმღების ფინანსურ მდგომარეობასთან და მის გადახდისუნარიანობასთან. ჩამოთვლილი რისკებიდან პირველი ორი ჯგუფის რისკები თავისი აღწერით უკავშირდება მიწოდების ჯაჭვს.

ცნობილია, რომ ლიზინგს გასცემენ კომერციული ბანკები და ლიზინგური კომპანიები. თითოეულ მათგანს გააჩნია ლიზინგმიმღების შემოწმების განსხვავებული მეთოდები. კომერციულ ბანკებს ლიზინგურ კომპანიებთან შედარებით ლიზინგმიმღებისთვის დაწესებული აქვს შედარებით მაღალი მოთხოვნები.

ლიზინგის ხელშეკრულებაში განსაზღვრულია: ლიზინგის ობიექტის სპეციფიკური თვისებები; ლიზინგის მიწოდებასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი ხარჯები; ლიზინგის ობიექტის მიწოდების ვადების შეუსაბამობა ლიზინგმიმღების მოთხოვნებთან. ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებული ეს პირობები თავისი არსით აისახება მიწოდების ჯაჭვში. შინაარსობრივად ეს ვლინდება შემდეგი სახით:

სწორედ მიწოდების ჯაჭვი განსაზღვრავს ლიზინგის ოპერაციების დაგეგმვასთან დაკავშირებულ ძირითად მიმართულებებს და ახდენს ზეგავლენას სქემაზე, რომელიც განსაზღვრავს ლიზინგის ობიექტის, მარაგების და მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოძრაობას და ინფორმაციის მიწოდებას.

„მიწოდების ჯაჭვი მოიცავს ლიზინგის ყველა რგოლს და საქმიანობის სახეობებს, დაკავშირებულს საქონლის და ინფორმაციული ნაკადების გადაადგილებასთან. ამ თვალსაზრისით, ის ლიზინგის პროცესის განხორციელების სქემასთან სრულ შესაბამისობაშია [5].

ლიზინგის ოპერაციები სრულად შეიძლება განვიხილოთ შესყიდვების კონტექსტში. ლიზინგმიმღებს შეუძლია შეიძინოს დროებით მფლობელობაში ლიზინგის ობიექტი იმ პარამეტრებით, რაც შეესაბამება მის საწარმოო და ფინანსურ შესაძლებლობებს, რაც თავისთავად შეესაბამება მიწოდების ჯაჭვის პრინციპებს.

ლიზინგის პროცესში ჩართული საწარმოთა საქმიანობის ძირითადი ფუნქციური სფეროების ურთიერთკავშირი (მარკეტინგი, წარმოება, განაწილება) შესაძლებელია, უზრუნველყოფილი იყოს მართული მიწოდების ჯაჭვის გამოყენებით.

თანამედროვე ეტაპზე ცვალებადი ბიზნესსტრატეგიების არსებობა ხელს უწყობს სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობაში მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის სტიმულირებას.

21-ე საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიები დადებით ზეგავლენას ახდენს ახალი ეკონომიკური მოდელების შემუშავებაზე. მაღალტექნოლოგიური და მოდერნიზებული საწარმოო ფაქტორების გამოყენება ამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, რაც ზეგავლენას ახდენს მოთხოვნის და მიწოდების ბალანსზე. დაბალი ხარჯები იწვევს მიწოდების გაზრდას. ამ შემთხვევაში, საჭიროა მარკეტინგის ახალი და განაწილების ახალი მეთოდები მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასეთ შემთხვევაში წარმატებული მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების ნაკადების ზრდას. „ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ეკონომიკაში გადახდები ხორციელდება ელექტრონული სახით. ციფრული გარემოს გამოყენება ერთდროულად შესაძლებელია მილიონობით ადამიანისათვის. ციფრული ეკონომიკის განვითარება ხელს უწყობს ინფორმაციის უფრო სწრაფ და ეფექტურ გავრცელებას და, შესაბამისად, ლოჯისტიკური პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას[6].

ლიზინგის ბაზარზე კვლავწარმოებითი ურთიერთობების ფორმირების თავისებურებები ვლინდება იმით, რომ ლიზინგგამცემს, ლიზინგმიმღებსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ურთიერთობების ჯაჭვი დაფუძნებულია ლიზინგის პროცესის მონაწილეების ინტერესთა ურთიერთქმედებაზე. მაგალითად, ლიზინგგამცემი და მიმწოდებელი ცდილობენ, ლიზინგის გადასახდელების სახით მიიღონ, რაც შეიძლება მეტი სარგებელი. ხოლო ლიზინგმიმღები იღებს დროებით სარგებლობაში ლიზინგის ობიექტს იმაზე ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე აღჭურვილობის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები.

ლიზინგის გავლენა სხვადასხვა ქვეყნის და მისი რეგიონების ეკონომიკურ განვითარების პოტენციალზე პერსპექტიული და უმნიშვნელოვანესია. ის დიდ როლს ასრულებს საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებაში, ეკონომიკის განვითარებასა და მოდერნიზაციაში.

ლიტერატურა:


1. https://www.investopedia.com/terms/o/operatinglease.asp.
2. ბარბაქაძე ხ., ლიზინგი - საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, http://eprints.tsu.ge/1212/-1/LeasingThe Possibility for Optimization of Tax Process. pdf.
3. Ефремов А.А. Лизинговые отношения в формировании цепей поставок. Журнал проблемы современной экономики. 2011. N1, стр. 146.
4. Petriashvili L., Nozadze M. “Optimal management of material flows in supply chain” 10th International Research Meeting in Business and Management France, Nice (#IRMBAM-2019) https://ipag-irm.sciencesconf.org/data/IRMBAM2019_Program_in_details.pdf
5. Ефремов А А. Применение концепции управления цепями поставок в лизинговых операциях. Проблемы современной экономики, N4, 2010. Стр. 231.
6. Logistics and Supply Chain Management. http://ebooks.lpude.in/management/mba/term_4-/DMGT523_LOGISTICS_AND_SUPPLY_CHAIN_MANAGEMENT. P. 18.

# Leasing and related functions Integration in the supply chain


## Mzia Nozadze

***Academician Doctor of Economics, Associate Professor***
***Georgian Technical University.***
***Department of Finance and Banking Technologies.***

## Lili Petriashvili

***Doctor of Technical Sciences, Professor Georgian***
***Technical University, Department of Logistics.***



S u m m a r y

**In the conditions of modern global economy and growing competition, it is important for economic entities to purchase expensive assets and increase production capacity, which is related to their use of leasing. The subjects involved in the leasing relationship include: the lessor; Leasing Receiver and Supplier. Indirect participants are also involved in leasing transactions: commercial banks and insurance companies.**

**Leasing activities are financial-credit, lease, investment and provide a synthesis of the links in each link in the chain.**

**It is the supply chain that determines the main directions of planning leasing operations and influences the scheme that determines the movement of the leasing object, inventory and related cash flows and the delivery of information.**

**The impact of leasing on the potential for economic development of different countries and its regions is promising and significant. It plays a major role in the development of medium and small businesses, economic development and modernization.**



***Key Words: Leasing; Financial leasing; Operational leasing; Recipient of leasing; Leasing issuer; Supply chain.***

# ადამიანური რესურსების მართვა როგორც ორგანიზაციის წარმატების ფაქტორი

**ნუგზარ პაიჭაძე**
*ეკონომიკურ მენიჯმენტის დოქტორი*
*თსუ-ის ასოცირებული პროფესორი*

*სტატია ეძღვნება ორგანიზაციების წარმატებულ მუშაობაზე ადამიანური რესურსების მართვის გავლენის შესწავლას. მასში ყურადღება გამახვილებულია ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ისეთ ფაქტორებზე, რომელთა რეალიზაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანური რესურსების მართვის ხარისხზე.კერძოდ, მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური სამუშაო ძალით ორგანიზაციების უზრუნველყოფაზე; პერსონალის კარიერულ განვითარებაზე; პერსონალის მოტივაციასა და ორგანიზაციის ფასეულობებისადმი თანამშრომელთა ერთგულების ამაღლებაზე; წახალისების სისტემის სრულყოფაზე, ორგანიზაციულ კულტურაზე და ა. შ.*

*საკვანძო სიტყვები: ადამიანური რეურების მართვის წვლილი დამატებული ღირებულების გაზრდაში, ადამიანური რესურების მართვის წვლილ;ი ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის შექმნასა და შენარჩუნებაში, ადამიანური რსურსების მართვის გავლენა ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობაზე, ადამიანური რესურების მართვის გავლენა ორგანიზაციის მოგების გადიდებაზე.*

**მსოფლიოში მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში ეროვნული კონკურენტუნარიანობის მთავარი ფაქტორია არა მიწა, კაპიტალი და ბუნებრივი რეურსები, როგორც თვლიდნენ კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები, არამედ მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურები და სამეცნიერო ბაზა. ცხადია, ეს არ ამცირებს მიწის, კაპიტალისა და ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობას (პაჭაძე ნ. 2019, გვ. 10). საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ორგანიზაციათა მუშაობის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ადამიანური რესურსების მართვა.**

**ადამიანური რესურების მართვის საკითხების მკვლევარის მ. არმსტრონგის (.....) მიხედვით, ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში შესაბამისი დარგის ცნობილი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ნათლად დაადასტურა ის დიდი მნიშვნელობა, რაც აქვს ადამიანური რესურების მართვას ორგანიზაციათა (კომპანიების, ფირმების და ა. შ.) მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაში. მოცემულ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ისეთ გზებზე, როგორიცაა: ა)პერსონალის მოტივაციისა და ორგანიზაციისადმი თანამშრომელთა ერთგულების (თავდადებულების) ხარისხის ამაღლება; ბ)პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ცოდნისა და გამოცდილების ბაზის გაფართოება; გ)პასუხისმგებლობების თანამშრომლებზე დელეგირება, რომ მათ შეძლონ სრულად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების ამაღლება;; დ)კარიერული განვითარება და მომუშავეთა კომპეტენტურობის დონის ამაღლება; ე)წახალისების სისტემის სრულყოფა და ა.შ. (Artur, 1990, 1992, Beker tet al).**

**ადამიანური რეურსების მართვის წვლილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიერ დამატებული ღირებულების შექმნასა და მის გაზრდაში. საქმე ისაა, რომ დამატებული ღირებულება იქმნება ადამიანების მიერ და იგი შეიძლება გაიზარდოს მაღალი და საჭირო კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელთა ორგანიზაციაში მოზიდვისა და განვითარებისას, მომუავეთა მოტივაციის ამაღლების ეფექტური მეთოდებისა გამოყენებისა და მომუშავეთა ორგანიზაციის ფასეულობებისადმი მაღალი ერგულებისას, სტაბილური შრომითი ურთიერთობების აგებისა და შენარჩუნებისას და ა. შ, სწორედ აღნიშნული საკითხებითაა დაკავებული ორგანიზაციათა ადამიანური რესურსების მართვის**

სამსახურები. მისი წვლილი განსაკუთრებით დიდია ორგანიზაციების მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფაში, ხარისხიანი მუშაობის მასტიმულირებელი ორგანიზაციული კულტურისა და გარემოს შექმნაში.

დამატებული ღირებულების შექმნისა და მისი ზრდის მიმართულებით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია შეუძლია შემდეგი გზებით: 1)პროგრესული ცვლილებებისა და კლიენტებზე ორიენტირებული მუშაობის ხარისხისა და კულტურის მხარდაჭერა, ეფექტიანობის ამაღლების ინიციატივების რეალიზაციაში აქტიური მონაწილეობა და შესაბამისი სტრატეგიებისა და პროგრამების ინიცირება; 2)აქტიური მონაწილეობა ისეთ სამუშაოებში, როგორიცაა: ადამიანური რესურსების დაგეგმვა და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალით ორგანიზაციათა უზრუნველყოფა; 3)პერსონალის სწავლება და განვითარება, მატერიალური და მორალური წახალისება; 4)პერსონალის სწავლებასა და განვითარებაზე გაწეულ დანახარჯებზე ინვესტიციებისგან მიღებული შემოსავლის გადამეტების უზრუნველტოფა, რაც ზრდის დამატებულ ღირებულებას.

ადამიანური რესურსების მართვას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ორგანიზაციის მიერ კონკურენციული უპირატესობის შექმნასა და მის შენარჩუნებაში. ამ უკანასკნელის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი – ინოვაცია, ხარისხი და დანახარჯებში ლიდერობა, დამოკიდებულია ორგანიზაციის ადამიანური რესურსების ხარისხზე. საქმე ისაა, რომ ნიჭიერ და მაღალკვალიფიციურ მომუშავეთა ისეთი თვისებები, როგორიცაა: მაღალი მწარმოებლურობა და მუშაობისუნარიანობა, მდგრადობა, ინოვაციებისა და კლიენტთა მაღალ დონეზე მომსახურებისადმი უნარი გადამწყვეტ როლს თამაშობს ორგანიზაციის მიერ კონკურენციული უპირეტესობის მოპოვებაში. სწორედ ასეთ თანამშრომლებს შეუძლიათ შექმნან კონკურენტთა პროდუქციისაგან განსხვავებული უკეთესი პროდუქცია, რაც შესაძლებელია მხოლოდ ინტელექტუალური კაპიტალის გამრავლებით, თანამშრომელთა ცოდნისა და ჩვევების ამაღლებით. ცხადია, ზემოჩამოთვლილი ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორის შესწავლა და მათ რეალიზაციაში აქტიური მონაწილეობის მიღება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა.

დიდია ადამიანური რესურსების მართვის გავლენა ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობაზე. ამერიკულ საწარმოებში მოცემულ პრობლემაზე შესაბამისი მკვლევრების მიერ ჩატარდა მრავალი გამოკვლევა (M. ÀÀìÂÀîîãÖ). ჩატარებული კვლევების ერთ-ერთი მიზანი იყო განესაზღვრათ ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობის დამოკიდებულება სხვადასხვა ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: მომუშავეთა მუშაობაზე კონტროლი, ორგანიზაციის ღირებულებებისადმი თანამშრომელთა რერგულების ხარისხი, საკადრო პოლიტიკა და ა. შ. ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ორგანიზაციებში კონტროლის სტრატეგიის რეალიზაციას (როცა მთავარი ყურადღება გადატანილია სხვადასხვა სახეობის კონტროლზე) მივყავართ ისეთ უარყოფით შედეგებამდე, როგორიცაა მომუშავეთა იძულებითი მორჩილება დამკვიდრებული წესებისადმი, მათი ორგანიზაციიის მართვაში სუსტი ჩაბმულობა, ხელფასის დაბალი დონე და ა. შ. ამავე გამოკვლევებმა აჩვენა,რომ ორგანიზაციის ღირებულებებისადმი მომუშავეთა მაღალი ერგულების მქონე საწარმოებში მწარმოებლურობა და პროდუქციის ხარისხი უფრო მაღალი, ვიდრე დაბალი ერთგულების მქონე საწარმოებში. რაც შეეხება კადრების დენადობას, იგი მაღალი ერგულების მქონე საწარმოებში 2-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე დაბალი ერთგულების საწარმოებში.

ამავე პერიოდში ორგანიზაციების (კომპანიების, საწარმოების, ფირმების და ა. შ.) მუშაობის ეფექტიანობაზე ადამიანური რესურსების მართვის გავლენის საკითხებზე, თანამშრომელთა გამოკითხვის მეთოდით, კვლევა ჩაატარა ჰიუსლიდმმა (Хьюлид...). აღნიშნული კვლევის ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მუშაობის მაღალეფექტური მეთოდების გამოყენება, ორგანიზაციული სტრუქტურის შეთანაწყობა კონკურენტულ სტრატეგიასთან, მომუშავეთა ჩართულობა

ორგანიზაციაში მიმდინარე ეფექტიანობის ამაღლებისადმი მიძღვნილ სხვადასხვა პრგრამაში, თანამშრომელთა სამუშაოზე მიღებისა და მათი სამსახურებრივი და პროფესიული დაქინაურების არებული პრაქტიკა და ა. შ.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთდა შემდეგი დასკვნები: ა) კომპანიებში მაღალეფექტური მეთოდების გამოყენებისას ადგილი აქვს კადრების დენადობის მნიშვნელოვან შემცირებას და შრომის მწარმოებლურობისა და მოგების ზრდას; ბ) კადრების დენადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამშრომელთა კვალიფიკაცია და ორგანიზაციული სტრუქტურა; 3) მწარმოებლურობა მნშვნელოვანწილად განპირობებულია თანამშრომელთა მოტივაციით და ა. შ.

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ხელშესახებ გავლენას ახდენს მოგებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი ორგანულადაა შერწყმული მმართველობით ინფრასტუქტურაში და აქტიურად მონაწილეობს ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების დამუშავებასა და რეალიზაციაში, როგორიცაა: ა) ახალი პროდუქციის შემუშავება და მისი ათვისება მოკლე ვადებში; ბ) მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება; 3) კადრების დენადობის შემცირება, განსაკუთრებით მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებში და ა. შ.

სპეციალური გამოკვლევებით, ასევე, დადგენილია, რომ ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ისეთ ფაქტორები, როგორიცაა: 1) მომუშავეთა სამუშაოთი დაკმაყოფილებულობა; 2) ორგანიზაციული კულტურა; 3) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის გამართული მუშაობა; 4) ორგანიზაციის თანამშრომელთა მიზანდასახულობა. მაგალითად, ერთ-ერთი გამოკვლევის მიხედვით, ორგანიზაციის თანამშრომელთა სამუშაოთი დაკმაყოფილებულობის 5%-იანი სხვაობისას ადგილი აქვს კომპანიებს შორის მოგების მაჩვენებლის 16%-იან სხვაობას შრომის მწარმოებლურობაში. ორგანიზაციული კულტურის ასეთივე სხვაობისას კი ადგილი აქვს 10%-იან სხვაობას მწამოებლურობაში და 29%-იან სხვაობას მოგებაში. ადამიანური რესურსების მართვის სხვადასხვა დონის შემთხვევაშიკი ანალოგიური მაჩვენებლებია: 18 და 19% (Patte....gv.11). ამდენად, ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა განპირობებული ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის გამართულ მუშაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანური რესურების მართვა ორგანიზაციათა წარმატნბული მუშაობის მძლავრი ფაქტორია. იგი დაკავშირებულია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ისეთ ფუნქციებსა და ამოცანებთან, როგორიცაა: აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე მომუშავეთა მოზიდვა, პერსონალის კვალიფიკაციის დონის მაღლება და მათი გამოცდილების ბაზის გაფართოება, პერსონალის სასურველი მოტივაციის ჩამოყალიბება, თანამშრომელთა ორგანიზაციის ფასეულობებისადმი ერთგულების უზრუნველყოფა, ხელმძღვანელთა მიერ რიგი პასუხისმგებლობების თანამშრომლებზე დელეგირება, რომ მათ შეძლონ მოახდინონ თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების სრული რეალიზაცია, კარიერული განვითარება და მომუშავეთა კომპეტენტურობის დონის ამაღლება, წახალისების სისტემის სრულტოფა„ პროგრესული ცვლილებებისა და კლიენტებზე ორიენტირებული მუშაობის ხარისხისა და ორგანიზაციული კულტურის მხარდაჭერა და ა. შ.

ცხადია, ადამიანური რესურსესების ეფექტიანი მართვა შეუძლებელია პერსონალის მართვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გარეშე, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს მათ სათანადოდ მომზადებას. ამ მიზნით, როგორც 2012 წელს ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესში“ ჩემ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშია მითითებული, აღნიშნული სპეციალობით კადრების მომზადება საქართველოში დაიწყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე „შრომის ეკონომიკის სპეციალობის“ შემოღებით. მომდევნო წლებში იგი კიდევ უფრო გაფართოვდა და XXI-ე საუკუნის დასაწყისში ადამიანური რესურსების მართვითი საქმიანობის

**სფეროში უმაღლესი კვალიფიკაციის კადრები ბაკალავრებისა და მაგისტრების სახით მზადდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა სახელმწიფო და არა-სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში შემდეგი 3 სპეციალობით: „შრომის ეკონომიკა", „შრომითი რესურსების მართვა" და „პერსონალის მართვა". შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებზე მოთხოვნა და, შე-საბამისად. მათი მომზადების საჭიროება. ეს კი მოითხოვდა აღნიშნული პროფილის სპე-ციალისტთა მომზადებაზე უფრო მეტი ყურადღების გამახვილებას. მოხდა კი პირიქით. ქვეყნის ხელისუფლებაში „ნაციონალების" მოსვლის პირველ წლებიდანვე სრულიად უსაფუძვლოდ ქვეყანაში შეწყდა ადამიანური რესურსების მართვის სპეციალობით რო-გორც ბაკალავრების, ასევე, მაგისტრების მომზადება. აქედან გამომდინარე, მივუთი-თებდი, რომ ქვეყანაში ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის უზრუნველ-საყოფად სასურველია და აუცილებელიც საქართველოს შესაბამის უმღლეს სასწავ-ლებლებში, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯმაღლესი კვალი-ფიკაციის კადრები მომზადდეს ადამიანური რესურსების მართვის სპეციალობით, თუნ-დაც სპეციალიზაციის სახით (პაიჭაძე ნ., ადამიანური რესურების მართვის სპეციალისტ-თა როლი და მათი მომზადების აუცილებლობა, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი", ..გვ.235).**

**მისაალმებელია, რომ ახლახან თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ახლადშექმნილი „გლობალურ გარემოში მენეჯმენტის" კათედრის ინიციატივითა და ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა მაგისტრატურის საგან,ანათლებლო პროგრამა სპეციალობაში „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი", რაც წინგადადგმული ნაბიჯია ზემოაღნიშნული ხარვეზის შესამცირებლად.**

ლიტერატურა:


1. პაიჭაძე ნ. ადამიანური რესურების მართვა, თბ., 2019.
2. პაიჭაძე ნ. ადამიანური რეურსების მართვის სპეციალისტთა როლი და მათი მომზადების აუცილებლობა, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი", 2012., #1, გვ. 135.
3. პაიჭაძე ნ., პროფეიული კომპეტენტურობა როგორც საჯარო მოსამსახურეთა მუშაობის ეფექ-ტიანობის გადამწყვეტი ფაქტორი, ჟურნ, „ეკონომიკა და ბიზნესი", 2015,#2, გვ.35.
4. პაიჭაძე ნ., სახელმწიფო სამსახურში ადამიანური ადამიანური რესურების მართვის სრულ-ყოფისათვის, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი", 2017, #4, გვ. 17.
5. Армтронг М. Стратегическое управление человкческими ресурсами. Реревод с английского. М.,2002.
6. Huselid, M.A. (1995) The impact of human resource management practices on turnover, productivity and corporate Financial performance, Akadey of Management Jormal, pp.635-672.
7. Porter M/ E. (1985) Competitive Advantade: Greating and sustaning superior perfomanse, The Feee Press, Hew York.

# Human Resource Management as the Factor of Organization Success

**Nugzar Paichadze**
***Doctor of Economic Science, Associated Professor***
***Iv. Javakhishvili Tbilisi State University***

Summary

**This work is devoted to the study of human resource influence on the successful work of organizations. This work is focused on those factors and ways of successful work of the organizations, realization of which is significantly conditioned by the quality of human resource management. Particularly, it depends on provision of the organizations by highly qualified and competent work forces, their knowledge and working experiences, delegating the liabilities on the employees, their career development and raising the competent level of employees, increasing staff motivation and loyalty to the values of the organization, to improve the incentive system, to create an organizational culture that stimulates high-quality work, etc.**

***Keywords: Contribution of human resource management to increase value added, Contribution of human resource management to the creation and maintenance of competitiveness of the organization, Impact of human resource management on the efficiency of the organization, Influence of human resource management on increase of profit of the organization.***

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ტურიზმის სექტორზე: საქართველოს მაგალითზე

**თინათინ ჟორჟოლიანი**
***ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი***
***მოწვეული ლექტორი***
***ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი***

**ბონდო გასვიანი**
***ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი***
***მოწვეული ლექტორი***
***ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი***

*წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ტურიზმს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებსა და საქართველოს ეკონომიკურ ზრდას შორის პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირის შესწავლას 2010-2018 წლების პერიოდისთვის. სტატიაში შევეცადეთ, გავაანალიზოთ ტურიზმის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის გავლენა ეკონომიკაზე. მეთოდოლოგიურად, კვლევა იყენებს პირსონის კორელაციის კოეფიციენტს. შედეგები აჩვენებს, რომ ტურიზმის პუი-ამ ნამდვილად შეუწყო ხელი ეკონომიკის განვითარების ზრდას; დასკვნები, ასევე, აჩვენებს პოზიტიურ კავშირს ტურიზმის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის, რაც მხარს უჭერს ქვეყანაში ტურიზმის ზრდის ჰიპოთეზას.*

*საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მშპ, ტურიზმი, უცხოელი ინვესტორები.*

**ტურიზმის სექტორს დიდი ყურადღება ექცევა მრავალი განვითარებადი ქვეყნის მთავრობების მიერ, რადგან ის ხშირად აღიქმება როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების, ასევე, ადამიანის განვითარების ხელშეწყობის პოტენციურად პერსპექტიული წყარო. მართლაც, ტურიზმის სექტორი შეიძლება იყოს მთავარი გზა, რომლის საშუალებითაც ქვეყანას შეუძლია გაზარდოს ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები, შექმნას მრავალი სამუშაო ადგილი, როგორც პირდაპირ, ისე ირიბად (შექმნას სამუშაო ადგილები ახალგაზრდებისა და ქალებისათვის). უფრო მეტიც, ტურიზმის სექტორის განვითარება ქვეყანაში ხელს უწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას და ხელს უწყობს უფრო მეტად მომსახურებაზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებას. ამ თვალსაზრისით, ტურიზმის სექტორში პუი-მა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადგილობრივი ტურიზმის სექტორების განვითარებასა და გაფართოებაში განვითარებად ქვეყნებში, საქართველოს ჩათვლით, თუმცა საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარება დაიწყო ბოლო ოცწლეულის განმავლობაში. 2019 წელს ტურიზმის წილი მშპ-ში დაახლოებით 8.1% შეადგენდა და მომავალში ეს მაჩვენებელი გაიზრდება, მითუფრო, თუ გავითვალისწინებთ მთავრობის პოლიტიკას.**

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბევრი კვლევა არსებობს პუი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის პირდაპირი კავშირის გასაზომად, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღემდე არც ერთ კვლევაში არ შეფასებულა ტურიზმში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ეკონომიკური გავლენა. საქართველოს ტურიზმის სექტორში ჩატარებული კვლევები ძირითადად ეხება ტურიზმის მოთხოვნის განმსაზღვრელ ფაქტორებს ან ტურიზმის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. ამრიგად, საჭიროდ მივიჩნიეთ გავაანალიზოთ ტურიზმის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის გავლენა ეკონომიკაზე. ამ მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ფართოდ არის აღიარებული, რომ ტურიზმის ტრანსნაციონალური კორპორაციები (TNC) სასარგებლოა, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ აღ-**

ნიშნული ფირმები გარკვეულ შემთხვევებში გარკვეულ პრობლემებს ქმნიან. მაგალითად, უცხოური კაპიტალის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს გაცვლითი კურსის მაღალი მაჩვენებელი. ეს გამოიწვევს წარმოების რესურსების გადანაწილებას და საერთაშორისო კონკურენციის ქვეშ მყოფი სექტორის ნაკლებად კონკურენტუნარიანობას. ეკონომიკურ ლიტერატურაში მოიხსენება, როგორც „ჰოლანდიური დაავადების თეორია" (ეს მოდელი ჩატარებული კვლევების შედეგად შეიმუშავეს მკვლევრებმა 1984 წელს, რათა აჩვენონ ის უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, რაც შეიძლება ჰქონდეს უცხოური ვალუტის დიდ ნაკადს). გარდა ამისა, როგორც ამტკიცებენ მკვლევრები ნოვაკი და სხვები. [9, გვ. 245–258], შემომავალი ტურიზმის ზრდამ შეიძლება შეამციროს კეთილდღეობა, ნაცვლად იმისა, რომ კეთილდღეობა გაიზარდოს.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ არის აღიარებული, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები (TNC) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაში. რადგან ისინი მასპინძელ ქვეყნებში საერთაშორისო ტურისტული ქსელების ინტეგრირების საშუალებას იძლევიან, რომელიც საბოლოოდ იწვევს ტურისტების ნაკადის ზრდას და მეტი შემოსავალი მოაქვს ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობიდან. ამასთან, ასევე უდავოა, რომ ტურიზმის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წარმატებით მოზიდვისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია: პოლიტიკური სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარების დონე, სოციალურ-ეკონომიკური გარემო, ინდუსტრიის პრივატიზაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის რეჟიმის ლიბერალიზაცია, დაბეგვრა, ინვესტიციების წახალისება, მყარი და რბილი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა და ხარისხი, კორპორატიული სტრატეგიები ან კომპანიის სპეციფიკა [4, გვ. 600-614].

გარდა ამისა, ტურიზმის მიმართულებით პუი შეიძლება მრავალი წყაროდან მომდინარეობდეს და ეს საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია ისეთ აქტივობებთან, როგორიცაა: სასტუმროები, რესტორნები, ტურისტული სააგენტოები, კულტურული ღონისძიებები, რკინიგზის, საჰაერო, საზღვაო სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურება, სპორტული და სხვა რეკრეაციული მომსახურება.

პუი ტურიზმის სექტორში, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ სექტორში ხშირად განიხილება, როგორც ეკონომიკის განვითარების ეფექტური ძრავა. პუი განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი არხი, რომლის საშუალებითაც ხდება კაპიტალის, ტექნოლოგიისა და ნოუ-ჰაუს გადაცემა მასპინძელი ქვეყნისათვის. პუი ცოდნის გადაცემით, ჩვეულებრივ ზრდის მასპინძელი ქვეყნის მენეჯერულ და ორგანიზაციულ პრაქტიკას შრომითი ტრენინგის, თანამედროვე უნარ-ჩვევებისა და სიახლის გადაცემის გზით. პუი ასევე ხელს უწყობს უფრო მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებასში და ფირმების მიერ ქვეყანაში შიდა კაპიტალის დაგროვების გზით [7, გვ. 1–34]. უცხოური ტურისტული კომპანიები ასევე ხშირად ასრულებენ კატალიზატორის როლს მასპინძელ ქვეყანაში ახალი კაპიტალის შემოდინებისათვის, აგრეთვე უცხოური ტურ-ოპერატორებისა და ტურისტების მოზიდვაში და ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლებაში.

ტურიზმი, ასევე ზრდის ეფექტურობის დონეს მასპინძელ ქვეყანაში ტურისტულ ფირმებსა და სხვა საერთაშორისო ტურისტულ მიმართულებებს შორის კონკურენციის გზით. უფრო მეტიც, ვინაიდან ტურისტები მოითხოვენ ისეთ საქონელსა და მომსახურებას, როგორიცაა განსახლება, საკვები, სატრანსპორტო საშუალებები და გასართობი მომსახურება, იზრდება მოთხოვნა ადგილობრივი მწარმოებლების საქონელზე და მომსახურებებზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტურიზმის განვითარებას, უფრო ხშირად, თან ახლავს საერთო ჯამური ზრდის მიწოდება ეკონომიკაში, რამაც ერთად, შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლისა/გამომუშავებისა და დასაქმების ზრდა მასპინძელ ქვეყანაში [1, გვ. 877–884].

გარდა ამისა, შეიძლება პუი ასევე გახდეს სხვადასხვა გზით ტურიზმის სექტორში მასპინძელი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის სტიმულატორი. მაგალითად, პუი იწვევს

ეკონომიკის, შემოსავალის, ადგილობრივი დასაქმების, უცხოური ვალუტის ზრდას და შემოსავლის განაწილების გაუმჯობესებას. ასევე, იწვევს მიმღები ქვეყნების პროდუქტიული შესაძლებლობების განვითარებას თანამედროვე ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის პრაქტიკის გადაცემის გზით, გარეგანი მოვლენებით, შიდა ინვესტიციების სტიმულირებითა და შიდა ფირმების პროდუქტიულობის ზრდით, გლობალურ სამყაროში ინტეგრაციითა და კვლევისა და განვითარების და ინოვაციების მაჩვენებლების გაზრდით [12].

აღსანიშნავია ტურიზმის სექტორში პუი-ის როლი დასაქმების ასპექტში (მაგალითად, ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულია ადგილობრივი მოქალაქეები სასტუმროებში, რესტორნებში და გასართობ და ტურისტულ მომსახურებებში. ისინი ემსახურებიან უშუალოდ ტურისტებს) რაც, ასევე იწვევს მასპინძელი ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას მულტიპლიკატორის ეფექტის საშუალებით [10, გვ. 595–604]. გარდა ამისა, ტურიზმის სექტორში მომსახურების ხარისხის კონტროლისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით, არსებობს მუდმივი მოთხოვნა ტრენინგებზე, რომელიც ინდუსტრიაში მომუშავე ადგილობრივი თანამშრომლების უნარების განახლებას ემსახურება. ასევე, საერთაშორისო სასტუმროების მიერ ჩვევებისა და უნარების გადაცემაც მიღებული-თანმდევი პრაქტიკაა.

მნიშვნელოვანია ტურიზმის ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობით გამოწვეული მნიშვნელოვანი სარგებელი. მაგალითად, პუი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტურიზმის სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უნარების შემოდინებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ტექნოლოგიისა და უნარების დიფუზია მასპინძელ ეკონომიკაში. ეკონომიკური ლიტერატურის ერთი მიმართულება აღწერს, რომ ტურიზმთან დაკავშირებული ტრანსნაციონალური კორპორაციები (TNC) ხშირად ამყარებენ კავშირებს ადგილობრივ მომწოდებლებთან და დისტრიბუტორებთან, რაც მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკური აქტივობისა და ბიზნესის შესაძლებლობების ზრდაა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მრავალი განვითარებადი ქვეყანა ზედმეტად არის დამოკიდებული ტურიზმის სექტორზე, რომელსაც მოიაზრებენ, როგორც უცხოური ვალუტის წყაროს. მით უფრო, რომ ასეთი სავალუტო შემოსავლები ხშირად ემსახურება მასპინძელი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესებას [2, გვ. 550–560]. ასევე, მკვლევრები დ. რობუ და თ.ბალანი [11, გვ. 84–89] ვარაუდობენ, რომ მზარდი ეროვნული ტურიზმის სექტორი ხელს უწყობს ეროვნული შემოსავალისა და დასაქმების ზრდას, რაც იწვევს ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესებას.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ტურისტულ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს (TNC-ს) ასევე, შეუძლიათ წვლილი შეიტანონ მშენებლობის პროცესში და მოახდინონ მასპინძელ ქვეყანაში შენობების ადგილმდებარეობის პოზიტიური იმიჯის შექმნა/განმტკიცებაში, სადაც მათ სურთ უცხოური სასტუმროების ან რესტორნების ქსელის განთავსება. გარდა ამისა, ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, გარკვეულ ქვეყნებში ნაცნობი სასტუმროების არსებობა ხელს უწყობს პოტენციური ტურისტების მოძიების ხარჯების შემცირებას.

საქართველოში ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალია, თუმცა ეს რესურსი სრულყოფილად არ არის განვითარებული. მისი წილი ქვეყნის მშპ-ში ჯერ კიდევ მცირეა, თუმცა სტაბილურად იზრდება. სახელმწიფოს სტრატეგია მიმართულია ამ სექტორის განვითარებაზე. გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები საქართველოს როგორც მოწინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული ქვეყნის საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამაღლების და პოპულარიზაციის კუთხით, რის მიზანსაც ტურისტების მოზიდვა წარმოადგენს. საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა ტურისტული სექტორის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

2010-დან 2018 წლამდე პერიოდში საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში. საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 20,5%-ით იზრდებოდა. აღნიშნულ პერიოდში ვიზი-

**ტორთა მთლიანი რაოდენობა 310%-ით გაიზარდა და გადააჭარბა 8,3 მილიონს (იხ. დიაგრამა N1).**

დიაგრამა N 1. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ვიზიტების რაოდენობის შედარებითი გრაფიკები და ზრდის პროცენტული მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით, 2010-2019 წწ.




*წყარო: https://www.geostat.ge*

**საერთაშორისო ტურიზმით მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, სწორედ ამიტომ მისი ზრდის მიზეზების შესწავლა, მკვლევრებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინტერესის საგანია. ყოველწლიურად ვიზიტორების რაოდენობის ზრდის პარალელურად, ასევე გაიზარდა შემოსავლები ტურიზმიდან, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. 2010-2018 წლებში შემოსავლები ყოველწლიურად საშუალოდ 22.9%-ით იზრდებოდა და 2018 წელს 3222 074 ათას აშშ დოლარს გადააჭარბა (იხ. დიაგრამა N2).**

დიაგრამა N 2. შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2010-2019 წლებში (აშშ დოლარი)




*წყარო: https://www.geostat.ge*

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ფინანსური ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყაროა განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც შიდა ინვესტიციებს შედარებით ნაკლები წილი უჭირავს. როგორც აღვნიშნეთ, ის ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა, რაც მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობისთვის. პუის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, რადგანაც ინვესტიციას ფულად რესურსზე ბევრად მნიშვნელოვანი - მატერიალური და არამატერიალური აქტივები მოჰყვება. კერძოდ: თანამედროვე ტექნოლოგიები და ახალი მიდგომები ორგანიზაციისა და კადრების მართვაში. ამასთან, პუი-ს ზრდით გამოწვეული მოგების ზრდა ქვეყანაში**

**იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდასაც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2010-2018 წლებში არასტაბილური დინამიკით ხასიათდება, თუმცა აღნიშნულ პერიოდში მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში საშუალოდ 9.3%-ია. 2010 წელთან შედარებით, 2018 წელს პუი 50,9%-ით გაიზარდა და 1,306.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში პუი და მისი წილი მშპ-ში წარმოდგენილია N3 დიაგრამაზე:**

დიაგრამა N 3. პუი და მისი წილი მშპ-ში 2010-2019 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)




*წყარო: https://www.geostat.ge*

**საერთაშორისო და შიდა ტურიზმი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. უცხოელი მოგზაურების დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. ქვეყნის სერვისების ექსპორტის შემოსავლიდან დაახლოებით 72% ტურიზმზე მოდის. საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. 2018 წელს მისმა მოცულობამ 3,2 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა და მშპ-ში წილმა კი 18,3% შეადგინა [13 გვ. 6, 15].**

ცხრილი N 1. მშპ, პუი და უმუშევრობის დონე საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი)

| | 2010 წ. | 2011 წ. | 2012 წ. | 2013 წ. | 2014 წ. | 2015 წ. | 2016 წ. | 2017 წ. | 2018 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ (მილიონი აშშ დოლარი) | 21821.6 | 25478,7 | 27227,3 | 28593,0 | 31124,1 | 33935,0 | 35836,0 | 40761,7 | 44599,3 |
| სასტუმროებისა და რესტორნების წილი მშპ (მილიონი აშშ დოლარი) | 411,7 | 466,3 | 510,6 | 526,2 | 595,6 | 673,6 | 869,6 | 971,7 | 1089,5 |
| პუი (მილიონი აშშ დოლარი) | 865,6 | 1134,0 | 1048,2 | 1039,2 | 1837,0 | 1728,8 | 1652,6 | 1978,3 | 1306,3 |
| პუი წილი სასტუმროებსა და რესტორნებში (მილიონი აშშ დოლარი) | 23,923 | 30,387 | 25,550 | -6,595 | 140,648 | 170,20 | 119,912 | 109,486 | 82,259 |
| უმუშევრობის დონე | | | | 16,9 | 14,6 | 14,1 | 14,0 | 13,9 | 12,7 |

*წყარო: https://www.geostat.ge*

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2010-2018 წლების მონაცე-მებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია პუი-ის თანაფარდობა მშპ-სთან შედარებით (იხ. ცხრილი N 2). თუ გადავხედავთ ბოლო 9 წლის განმავლობაში მშპ გაორმაგდა, ასევე აღსანიშნავია, რომ მშპ-ს ყველაზე დიდი 13,7%-იანი ზრდა 2017 წელს დაფიქსირდა, სადაც პუი-ის წილმა 4,9% შეადგინა. შედეგად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 4,4%-ით განისაზღვრა. (იხ. დიაგრამა N4)**

დიაგრამა N 4. მშპ, პუი და უმუშევრობის დონე საქართველოში




**საქართველოში არა ერთი კვლევაა ჩატარებული პუი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის პირდაპირ კავშირზე, რის მნიშვნელობას და ურთიერთდამოკიდებულებასაც ადასტურებს სტატისტიკური მონაცემის ანალიზიც. გამომდინარე იქიდან, რომ მკვლევრების მხრიდან ნაკლებად არის შეფასებული (ჩვენ მიერ მსგავსი ანალიზი ვერ იქნა მოძიებული) ტურიზმში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და უმუშევრობის დონეზე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოგვეთვალა/დაგვედგინა კორელაცია დასაქმების დონესა და პუი-ის შორის, პირსონის კორელაციის კოეფი-ციენტის (Pearson correlation coefficient) ფორმულის გამოყენებით:**

$$r = \frac{\mu_{ii}}{b_x b_y} \qquad \textbf{(1)}$$

**მკვლევარი ჯ. კოჰენის მტკიცებით (1988), როდესაც პირსონის წრფივი კავშირი (r - კორელაცია) +1-ის ტოლი, ან მასთან მიახლოებული რიცხვია, ეს ნიშნავს, რომ ცვლადებს შორის კორელაცია პოზიტიური და დადებითია. ხოლო თუ კავშირი -1-ის ტოლი ან მასთან მიახლოებული იქნება, მაშინ ცვლადებს შორის უარყოფითი ან ძალიან უმნიშვნელო კორელაცია იქნება.**

**ჩვენ მიერ ჩატარებული გამოთვლებით, ტურიზმის სექტორში პუი-ის ნაკადებსა და უმუშევრობის დონეს შორის კორელაცია არის-0,61466. ამრიგად, ჩვენი გამოთვლებით დადასტურდა, რომ საქართველოში 2013-2018 წლებში ტურიზმის სექტორში პუი-ის ნაკადებსა და უმუშევრობის დონეს შორის არის უარყოფითი კორელაცია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ სექტორში პუი-ის ნაკადები დასაქმებაზე გავლენას არ ახდენს (ან გავლენა ძალიან უმნიშვნელოა). გარდა აღნიშნულისა, ჩვენ მიერ დაანგა-რიშდა 2010-2018 წლებში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ტურისტულ სექტორში პუი-ს ნაკადებს შორის კორელაცია, რომელმაც -0,456 შეადგინა, რაც დადებით წრფივ კორელაციას ნიშნავს და ადასტურებს ტურიზმში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობას, ურთიერთკავშირს/ზეგავლენას ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.**

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში პუი-ის ნაკადებს დასაქმების დონეზე გავლენას არ ახდენს, ან უმნიშვნელო გავლენა აქვს. თუმცა, მშპ-ზე გავლენის რეგრესიული მოდელი საპირისპიროს გვიჩვენებს და ადასტურებს ტურიზმის სექტორში პუი-ის ნაკადებსა და მშპ-ს შორის დადებითი კორელაციის არსებობას. ამრიგად, ერთი ცვლადის ცვლილება გამოიწვევს კორესპონდენტი ცვლადის ცვლილებასაც.

## დასკვნა

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2010-დან 2018 წლამდე პერიოდში საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში. საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 20,5%-ით იზრდებოდა. აღნიშნულ პერიოდში ვიზიტორთა მთლიანი რაოდენობა 310%-ით გაიზარდა და გადააჭარბა 8,3 მილიონს. ამასთან, ფაქტია, რომ საერთაშორისო და შიდა ტურიზმი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. უცხოელი მოგზაურების დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საგადამხდელო ბალანსზე. ქვეყნის სერვისების ექსპორტის შემოსავლიდან დაახლოებით 72 % ტურიზმზე მოდის. 2018 წელს მისმა მოცულობამ 3,2 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა და მშპ-ში წილმა კი 18,3% შეადგინა.

გარდა აღნიშნულისა, ჩვენ მიერ პირსონის კორელაციის კოეფიციენტის ფორმულის გამოყენებით მიღებულმა შედეგებმა მოგვცა მნიშნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა. კერძოდ, საქართველოში 2013-2018 წლებში ტურიზმის სექტორში განხორციელებული პუი-ის ნაკადები არ ახდენდა, ან ძალიან უმნიშვნელოდ ახდენდა გავლენას ქვეყანაში უმუშევრობის დონეზე. თუმცა, საპირისპირო შედეგი მოგვცა 2010-2018 წლებში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ტურისტულ სექტორში პუი-ს ნაკადებს შორის კორელაციის დადებითმა მონაცემმა, რომელმაც დაადასტურა ჰიპოთეზა ტურიზმის სექტორში პუი-ის შემოდინების პოზიტიური და მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირის შესახებ, როგორც ტურიზმის განვითარებაზე, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე.

ლიტერატურა:


1. Balaguer J and Cantavella-Jorda M (2002) Tourism as a long-run economic growth factor: theSpanish case.Applied Economics 34: 877–884.
2. Belloumi M (2010) The relationship between tourism receipts, real effective exchange rate andeconomicgrowth in Tunisia. International Journal of Tourism Research 12(5): 550–560.
3. Cohen, Jacob. 1988. Statistical power analysis for the behavioral sciences. Hillsdale, New Jersey: LawrenceErlbaum Associates
4. Kumi, Endo. 2006. Foreign direct investments in tourism- flows and volumes. Tourism management, pp. 600-614.
5. Sosic, Ivan. 2004. Statistika. Zagreb: Skolska knjiga.
6. Nunnenkamp, Peter, and Julius Spatz. 2004. FDI and economic growth in developing economies: howrelevant are host-economy and industry characteristics. Transnational Corporations 13, (3): 52-86.
7. De Mello LR (1997) Foreign direct investment in developing countries and growth: a selectivesurvey. TheJournal of Development Studies 34(1): 1–34.
8. Corden WM (1984) Booming sector and Dutch disease economics: survey and consolidation.Oxford EconomicPapers 36(3): 359–380.
9. Nowak J-J, Sahli M and Sgro P (2003) Tourism, trade and domestic welfare. Pacific EconomicReview 8(3):245–258.
10. Haley UCV and Haley GT (1997) When the tourists flew in: strategic implications of foreigndirect investmentin Vietnam’s tourism industry. Management Decision 35(8): 595–604.

11. Vasile Robu and Balan A (2009) The analysis of competitiveness in the tourism sector in theactual context ofeconomic crisis. Revista de Turism-studii si Cercetari in Turism 7: 84–89;
12. World Wide Fund for Nature Gland (WWF) (2003) Searching for the Holy Grail? Making FDIwork forSustainable Development. Analytical Paper, May 2003, Switzerland: WWF;
13. საქართველოსფინანსთასამინისტრო„მიმდინარეეკონომიკურიტენდენციები“, 2019 ნოემბერი.

# The Effect of Foreign Direct Investment On Tourism Sector: The case of Georgia

**Tinatin Zhorzholiani**
***Ph.D. in Business Administration, Guest Lecturer***
***Ivane Javakhishvili Tbilisi state university***

**Bondo Gasviani**
***Ph.D. in Business Administration, Guest Lecturer***
***Ivane Javakhishvili Tbilisi state university***

S u m m a r y

**The present study investigates the direct and indirect links between tourism, foreign direct investment, and Georgia's economic growth for the period 2010-2018. This paper attempts to address the important question of whether foreign direct investment (FDI) flowing into the tourism sector has served to enhance economic growth. Using a Pearson correlation coefficient the results show that tourism FDI has indeed contributed to fostering GDP growth. The findings also demonstrate a positive correlation between tourism development and economic growth, thus supporting the tourism-led growth hypothesis.**

***Keywords: FDI, GDP, tourism, foreign investors.***

# ბიოლოგიური აქტივების აღიარებისა და შეფასების საკითხები


**ლევან საბაური**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი*
*ივ.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ნადეჟდა კვატაშიძე**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*ივ.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*თემა: განხილულია ბიოლოგიური აქტივების კატეგორიის შინაარსი, შეფასების და ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახვისა და კლასიფიკაციის საკითხები ბასს 41-ით სოფლის მეურნეობის, შესაბამისად.*

*მიზანი და ამოცანები. სააღრიცხვო-საინფორმაციო სისტემის სრულყოფის მიზნებისათვის ბიოლოგიური აქტივების კატეგორიების შესწავლა და დაზუსტება-გაფართოება; რეალური ღირებულების ცვლილებებით მიღებული ფინანსური შედეგების მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შერჩეული მეთოდის დასაბუთება და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება; ბიოლოგიური აქტივების წარდგენის კლასიფიკაციის იერარქიის დახვეწა და შესაბამისი ინფორმაციის ასახვა.*

*მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს სახელმძღვანელო-სარეკომენდაციო მასალები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, სისტემატიზაციის და შედარების მეთოდები.*

*შედეგები: განზოგადოებულია ბიოლოგიური აქტივების ბუნება და მისი საკლასიფიკაციო ჯგუფები; დასაბუთებულია რეალური ღირებულების ცვლილებების ასახვის შესაძლებლობა სხვა სრულ შემოსავლებში; შემოთავაზებულია მმართველობითი აღრიცხვისათვის ბიოლოგიური აქტივების იერარქია.*

*საკვანძო სიტყვები: ბიოლოგიური აქტივები, ნაყოფის მომცემი მცენარეები, ცოცხალი ორგანიზმები, ბიოლოგიური ტრანსფორმაცია.*


## I. შესავალი

**ბიოლოგიური აქტივის სწორი განმარტება არის მისი სააღრიცხვო ობიექტად აღიარების, შეფასებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის საფუძველი. ბასს 41-ით - „სოფლის მეურნეობა“, ბიოლოგიური აქტივები არის ცხოველები და მცენარეები [1.პ.5]. სტანდარტის განმარტებებით და მიდგომებით უნდა ხელმძღვანელობდნენ არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის საწარმოები, არამედ სხვა დარგებიც, ვინაიდან ცხოველები და მცენარეები აქვთ არა მხოლოდ სოფლის მეურნეობას. მაგალითად, ქაღალდის წარმოებას აქვს ტყის მეურნეობა; ფარმაკოლოგიას წამლის საწარმოებლად - მცენარეების სათბურები და პლანტაციები; რძის და ხორცის წარმოებას - ფერმები; მეღვინეობას - ვენახები; კვების ობიექტებს - ფერმები, სათბურები, სატბორო მეურნეობები; საიუველირო წარმოებას და სათევზე მეურნეობა - მოლუსკების წარმოება (ცხოველების სამეფო); სასტუმრო ბიზნესს - ცხენები საჯირითოდ; შოუპროგრამებს და ზოოპარკებს - ცხოველები და მრავალი სხვა. აქვთ თუ არა ეს დარგები ან ბიოლოგიური აქტივები სოფლის მეურნეობის წარმოებას.**

## II. ბიოლოგიური აქტივების ცნების გაფართოება

**ბასს 41-ით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (agricultural activity) არის საწარმოს მიერ ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვა გაყიდ-**

ვის მიზნით, ან სოფლის მეურნეობის პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივებად გარდაქმნის მიზნით [1.პ.5].

სოფლის მეურნეობის არეალის გარეთაც არსებობენ ისეთი აქტივები, რომელიც ბიოლოგიური აქტივების არსებული განმარტებით, არ მიეკუთვნება ამ კეტეგორიას. მაგალითად, რად უნდა იქნეს აღიარებული სოკო, ბაქტერიები და ვირუსები. არც ერთი მადგანი არ არის მცენარე და ცხოველი და ბოლო ორი არ გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

ისეთ დარგებში, როგორიცაა პურის, რძის, ალკოჰოლური სასმელების წარმოება, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, ვეტირენარია და ბიზნესის სხვა სექტორები იყენებენ მიკროორგანიზმებს (ლაქტობაქტერია, ბიფიდოფაქტერიები, ლაქტოკოკი, ლეიკონოსტოკი, რძემჟავა და სხვა). ასევე, ფარმაკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებში სამედიცინო პრეპარატების საწარმოებლად ხდება ვირუსების გამოზრდა (ინტერფერონის, ვაქცინების). არის თუ არა ვირუსები და ბაქტერიები ბიოლოგიური აქტივები? ერთი ცხადია, რომ ისინი არიან ბიზნესსაქმიანობაში გამოყენებული ცოცხალი ორგანიზმები. ცოცხალი ორგანიზმები მჭიდრო კავშირშია დროსთან. სწორედ ამ პერიოდში ხდება მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლილებები, ე.წ. ტრანსფორმაციის პერიოდი; ამ დროს აქტივები იზრდება, მცირდება/ეცემა, მიმდინარეობს წარმოება, განვითარება, დამატებითი პროდუქციის მიღება. ამ აქტივებს დროსთან დაკავშირებული კიდევ ერთი თავისებურება აქვს - ცოცხლი ორგანიზმის სიცოცხლის შეწყვეტა და მისგან პროდუქციის (ნაყოფის) მიღება კონკრეტულ და შეზღუდულ პერიოდში. ბიზნესსაქმიანობა მართავს ამ პერიოდებს - ტრანსფორმაციასა და სიცოცხლის შეწყვეტას. პრაქტიკულად, დაკმაყოფილებულია ბასს 41-ის განმარტებული ბიოლოგიური აქტივების ცნება.

ვინაიდან სოფლის მეურნეობის საქმიანობის გარდა, ცოცხალი ორგანიზმების ტრანსფორმაცია იმართება სხვა დარგებშიც, ფართოვდება ბიოლოგიური აქტივების ცნებისა და გამოყენების არეალი. ბიოლოგიური აქტივი უნდა განიმარტოს არა მხოლოდ როგორც ცოცხალი მცენარეები და ცხოველები, არამედ როგორც ცოცხალი ორგანიზმები, რომელთა ბიოლოგიური ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვა ხორციელდება სამეურნეო სუბიექტის მიერ გაყიდვის, პროდუქციად ან დამატებით ცოცხალ აქტივებად გარდაქმნის მიზნით. ბიოლოგიური აქტივების ცნება აღრიცხვის მიზნებისათვის უნდა მოიცავდეს ცოცხალი ორგანიზმების სამეფოს ყველა დამოუკიდებელ ჯგუფს: მცენარეებს, ცხოველებს, სოკოს, ბაქტერიებს და ვირუსებს. ბიოლოგიური აქტივების ცნების გაფართოება თავისთავად უკვე მოიაზრებს ბიზნესის დარგების გაფართოებასაც და ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციის და ნაყოფის მიღების მართვა არ იქნება შემოფარგლული მხოლოდ სასოფლო სამეურნეო საქმიანობით.

## III. ბიოლოგიური აქტივების კლასიფიკაცია

ბიოლოგიური აქტივების კლასიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი არა მხოლოდ განმარტებით შენიშვნებში წარსადგენად და ინფორმაციის გამჟღავნებისათვის, არამედ სააღრიცხვო ობიექტების და ერთეულების განსაზღრისათვისაც. სტანდარტი იძლევა მითითებას - ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მოხმარებისათვის განკუთვნილი და ნაყოფის მომცემი ბიოლოგიური აქტივები, ხოლო ისინი, თავის მხრივ, შეიძლება დაჯგუფდეს ზრდადასრულებულ და ზრდადაუსრულებელ ბიოლოგიურ აქტივებად, გარემოებების მიხედვით. ამგვარი გამიჯვნა იძლევა ისეთ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს მომავალი ფულადი ნაკადების გარკვეული დროის შერჩევის შეფასებისას [1,პ.43]. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად მითითება არ არსებობს.

მოხმარებისათვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივები ისეთი აქტივებია, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით უნდა იქნეს მიღებული და/ან გაყიდული როგორც ბიოლოგიური აქტივი. მოხმარებისათვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივის მაგალითებია შინაური პირუტყვი, რომლის დანიშნულებაა ხორცის წარმოება, გასაყიდად

განკუთვნილი შინაური პირუტყვი, თევზი მეურნეობაში, მარცვლეული კულტურები, როგორიცაა სიმინდი და ხორბალი, ერთწლიანი ნაყოფის მომცემი კულტურების ნაყოფი და ასევე ხის მასალის მისაღებად გაშენებული ხეები.

ნაყოფის მომცემ ბიოლოგიურ აქტივებს განეკუთვნება ყველა ბიოლოგიური აქტივი, გარდა მოხმარებისათვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივებისა [1,პ.44]. ეს ისეთი აქტივებია, რომელიც იძლევა ერთზე მეტ მოსავალს, მაგალითად, შაქრის ლერწამი, ცოცხალი პირუტყვი, რომლიდანაც მიიღება რძე და ხეხილი, რომლიდანაც ხილი მიიღება.

ბიოლოგიური აქტივები შესაძლოა კლასიფიცირდეს ზრდადასრულებულ და ზრდადაუსრულებელ ბიოლოგიურ აქტივებად. ზრდადასრულებული ბიოლოგიური აქტივი ისეთი აქტივია, რომელსაც აქვს მოსავლისათვის დამახასიათებელი ნიშნები (მოხმარებისათვის განკუთვნილ ბიოლოგიურ აქტივებთან მიმართებით), ან შეუძლია რეგულარულად მოგვცეს მოსავალი (ნაყოფის მომცემ ბიოლოგიურ აქტივებთან მიმართებით) [1, პ.45].

მოხმარებისათვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით ნაყოფის მიღების დროს წყდება ამ აქტივის სასიცოცხლო ციკლი და უნდა შეწყდეს ამ აქტივის აღიარება. ანალოგიურად, ამ ბიოლოგიური აქტივის გაყიდვის დროს. ხოლო, ნაყოფის მომცემი ბიოლოგიური აქტივების მთავარ მახასიათებლად უნდა იქნეს მიჩნეული სტანდარტის მითითება, რომ ნაყოფის მომცემი ბიოლოგიური აქტივები სოფლის მეურნეობის პროდუქცია კი არ არის, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად არის განკუთვნილი [1,პ.44]. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ამ ჯგუფის აქტივები არის ხანგრძლივი გამოყენების, მათგან ნაყოფის მიღებით არ წყდება მათი სასიცოცხლო ციკლი.

სააღრიცხვო პოლიტიკაში უნდა დასაბუთდებულად იქნეს წარდგენილი ბიოლოგიური აქტივების აღიარების შემდგომი ხარჯების, ე.წ. ბიოტრანსფორმაციის, აღრიცხვის შერჩეული პოლიტიკის კრიტერიუმები. ასეთი ინფორმაციის დაჯგუფებულად ასახვა და დაგროვება საკალკულაციო ობიექტების მიხედვთ მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების დანახარჯ-მეთოდით დადგენისათვის. მაგრამ, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევებში რთულია და ძვირია ასეთი ინფორმაციის მიკუთვნება თუნდაც ძირითად და თანმდევ პროდუქციაზე (მაგალითად, მეფუტკრეობაში).

## IV. ბიოლოგიური აქტივების შეფასების გავლენა ფინანსურ შედეგებზე

ბასს 41 სოფლის მეურნეობას განიხილავს, როგორც პირველად წარმოებას. პირველადი წარმოებისათვის არის დამახასიათებელი გაწეული დანახარჯების კაპიტალიზება. მაგრამ ბასს 41 უშვებს გამონაკლისს და, წარმოებაში დანახარჯების აღრიცხვის ტრადიციული მიდგომისგან განსხვავებით, მან სოფლის მეურნეობაში შემოიტანა ბიოლოგიური აქტივების შეფასების რეალური ღირებულების მოდელი. სტანდარტის თანახმად, ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეფასდეს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, გარდა შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება. ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეფასდეს ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ გამოიყენება ბასს 2 – „მარაგები“, ან სხვა შესაფერისი სტანდარტი [1.პ.12-13]. რეალური ღირებულების დადგენისას, ძირითადი ბაზრის არასებობის შემთხვევაში, საწარმომ უნდა გამოიყენოს შესაბამისი აქტივისათვის ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის ფასები [2].

ბიოლოგიური აქტივების აღიარებისა და შეფასების დროს სტანდარტი აკეთებს გარკვეულ გამონაკლისს, გამონაკლის წარმოადგენენ:

- ბიოლოგიური აქტივები, რომელიც არ მიეკუთვნება სასოფლო სამეურნეო საქმიანობას;
- ნაყოფის მომტანი მცენარეები;
- აქტივები, რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.
- ბიოლოგიური აქტივები, რომელიც არ მიეკუთვნება სასოფლო სამეურნეო საქმიანობას არის ცხოველები და მცენარეები, რომელიც არ ღებულობენ მონაწილეობას ამ საქმიანობაში. ვინაიდან არ ხდება ასეთი აქტივების ბიოტრანსფორმაციის მართვა. ეს არის აქტივები, რომლის ბიოტრანსფორმაციას არ ახორციელებს ბიზნესი, მაგალითად, ზღვაში თევზჭერა, ტურიზმის და სპორტის მიმართულების ბიზნესში საჯირითო ცხენები, ცირკის ცხოველები და შოუს დელფინები, სადარაჯო ძაღლები და სხვა[7].
- ნაყოფის მომცემი მცენარეები

ბიოლოგიური აქტივების შეფასებაში გამონაკლისია მცენარეები, რომლebიც იძლევა ნაყოფს. გამონაკლისის მიზეზია ის, რომ ძნელია და არაპრაქტიკულია (რთულია და არ არის მიზანშეწონილი) თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ამ აქტივების რეალური ღირებულების დადგენა. ამდენად, ბასს 41-ით რეგულირდება მხოლოდ ასეთი მცენარეებიდან მიღებული ნაყოფის შეფასება, ხოლო თავად აქტივების აღრიცხვა რეგულირდება ბასს 16-ით - ძირითადი საშუალებები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამონაკლისი ეხება მხოლოდ მცენარეებს და არა ცხოველებს, ვინაიდან მათი რეალური ღირებულების დადგენა არ არის დაკავშირებული სერიოზულ სირთულეებთან.

სტანდარტის ამ მიზნებით ნაყოფის მომცემი კულტურა არის ცოცხალი მცენარე [1,პ.5]:

ა) რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად (მისაწოდებლად);

ბ) მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწევს ნაყოფს; და

გ) მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა.

პროდუქცია, რომელიც მცენარეებზე იზრდება და რომელიც უნდა იქნეს მოგროვილი, არის ბიოლოგიური აქტივი. მაგალითად, ჩაის ფოთლები, რომელიც იზრდება/მწიფდება ჩაის ბუჩქზე და შემდეგ უნდა იქნეს მოკრეფილი, იდენტიფიცირდება ბიოლოგიურ აქტივად. როგორც კი იქნება მოკრეფილი ჩაის ფოთლები, ისინი იდენტიფიცირდება სოფლის მეურნეობის პროდუქტად [3.გვ.6]. ამდებად, არსებობს ორი სააღრიცხო ერთეული: ძირითადი საშუალება და ბიოლოგიური აქტივი [4. გვ.3] .

ქვემოთ ჩამოთვლილი მცენარეები არ მიეკუთვნება ნაყოფის მომცემ კულტურებს [1.პ.5ა]:

ა) მცენარეები, რომლებიც იმისთვისაა გაშენებული, რომ გამოიყენონ, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქცია (მაგალითად, ხის მასალად გამოსაყენებლად გაშენებული ხეები);

ბ) მცენარეები, რომლებიც გაშენებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, თუ მცირე არ არის იმის ალბათობა, რომ საწარმო მოსავალსაც მიიღებს და მცენარესაც გაყიდის, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციას (მაგალითად, ხეები, რომლებიც გაშენებულია როგორც ნაყოფის მისაღებად, ასევე ხის მასალად გამოყენების მიზნით, რაც არ გულისხმობს ნარჩენების სახით თანმდევ გაყიდვებს);

გ) ერთწლიანი კულტურები (მაგალითად, ხორბალი და სიმინდი).

აქტივები, რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. ისეთი ბიოლოგიური აქტივი, რომელთა თავდაპირველი აღიარებისას არ არსებობს კოტირებული საბაზრო ფასები და რეალური ღირებულების ალტერნატიული შეფასებები

არასაიმედოა, უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით [1.პ.30]. ეს გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ თავდაპირველი აღიარების დროს. როდესაც შესაძლებელი გახდება ამგვარი ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, საწარმომ იგი უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით. ასეთი გამონაკლისი არ კეთდება სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის. საყურადღებია სტანდარტის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ყოველთვის შესაძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, მისი მოსავლად აღების მომენტისათვის [1.პ.32].

ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების მოდელით აღრიცხვა ნიშნავს ფინანსური შედეგების ასახვას საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში, ანუ გადაფასების შედეგები გავლენას ახდენს მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე. მიჩნეულია, რომ ასეთი მიდგომა უფრო გამართლებულია მიმდინარე და არა გრძელვადიანი აქტივებისათვის (მაგალითად, გასაზრდელი პირუტყვი). გრძელვადიანი გამოყენების აქტივების (ცხოველების) შეფასებით აღიარებული მოგება იქნება არარეალიზებული მოგება, რაც ერთის მხრივ არ არის საწარმოს დამსახურება [5, გვ.53-64] და, მეორე მხრივ, ქმნის არც თუ ისეთ რეალურ სურათს. მაგალითად, ძნელია იმის პროგნოზირება, თუ როდის იქნება რეალიზებული სარძევე მიმართულების ძროხებისა და სანაშენე საქონლის, კვერცხის მდებელი ქათმების, დედა-ფუტკრის შეფასებით წარმოქმნილი მოგება, ან საერთოდ თუ იქნება ეს მოგება რეალიზებული. ამდენად, გარდა იმისა, რომ ინფორმაცია არც იმდენად საიმედოა, ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს მოგების გადასახადზე და სადივიდენდო პოლიტიკაზე. ამდენად, კომპანიებს უნდა ჰქონდეთ აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებების ფინანსური შედეგების ასახვის მეთოდის შერჩევის შესაძლებლობა ბიოლოგიური აქტივების ბუნებრივი თავისებურებების, მათი გამოყენების ხასიათის (მიზნების, ხერხების, დანიშნულების) და არსებული საბაზრო პირობების გათვალისწინებით. კომპანიებს ასევე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა რეალური ღირებულების ცვლილებების შედეგები ასახონ არა მხოლოდ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, არამედ სხვა სრულ შემოსავლებშიც. ამით გადაწყდება საგადასახადო ტვირთის და საყოველთაოდ აღიარებული „შემოსავლების ვოლონტირების“ (Earnings volatility) - მოგების არასტაბილურობის საკითხიც [6, 33].

## დასკვნა

ბიოლოგიური აქტივების აღიარებისა და შეფასების საკითხების კვლევის შედეგად გავაკეთეთ შემდეგი დასკვნა:

- ბიოლოგიური აქტივების კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს ბაქტერიები და ვირუსები, რაც, თავის მხრივ, გაზრდის მათი აღიარების არეალს.
- ბიოლოგიური აქტივების სააღრიცხვო ობიექტებად და ერთეულებად კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს: ბიოლოგიური აქტივის სამეფო (ცხოველები, მცენარეები, სოკო, ბაქტერიები, ვირუსები); ბიოლოგიური აქტივის სამეფოს კლასები და ქვეკლასები; აქტივის სასიცოცხლო ციკლი - საანგარიშგებო პერიოდისათვის 12 თვემდე (მიმდინარე აქტივები) და 12 თვეზე მეტი გრძელვადიანი აქტივები); სიმწიფე - ზრდადასრულებული და ზრდადაუსრულებელი; ბიოლოგიური აქტივები, რომელთა აღრიცხვა რეგულირდება ბასს 16-ით.
- ბასს 41-ით გრძელვადიან ბიოლოგიურ აქტივებად მიჩნეულია მხოლოდ ის აქტივები, რომელთა გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია. ხოლო, რომელთა საიმედოდ შეფასება შეუძლებელია - მიკუთვნებულია ძირითად საშუალებებს.

**• ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასების პოლიტიკის გავლენის შესწავლა მოგების მაჩვენებლის სტაბილობაზე.**

**ლიტერატურა:**


1. ბასს 41 სოფლის მეურნეობა. ფასს საბჭო, 9 გვ. 2020. ლონდონი. https://saras.gov.ge/ka/-Ifrs/Pdf/373
2. PwC. IAS 41 – Agriculture.. PricewaterhouseCoopers LLP London. 2019. https://inform.pwc.com/-s/IAS_41_Agriculture/informContent/0936075103137352/Y/sec#ic_0936075103137352
3. Deloitte. Biological assets A transformation For private circulation only September London. 2016. https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/in/Documents/CIP/in-ind-as-biological-assets-
4. EY. Bearer plants – the new requirements. London. 2016 .https://www.ey.com/Publication/vwLUA-ssets/IFRS_Developments_Issue_84:_Bearer_plants_-
5. Hana Bonusova, Patrik Svoboda. Will the amendments to the IAS 16 and IAS 41 influence the value of biological assets? Agric. Econ. – Czech, 63, 2017 (2): doi: 10.17221/314/2015-AGRICECON. 53–64 პ.58
6. https://www.agriculturejournals.cz/web/agricecon.htm?type=article&id=314_2015-AGRICECON
7. https:// doi.org/10.17221/314/2015-AGRICECON
8. Eland, Charles. & Kathleen Herbohn. 2011. Implementing Fair Value in the Agricultural Sector. Scotland: SATER. 2011. https://www.icas.com/__data/assets/pdf_file/0019/10549/10-Implementing-Fair-Value-Accounting-In-The-Agricultural-Sector-ICAS.pdf
9. Levan Sabauri, Elena Kharabadze, Methods of Accounting and Assessment of the Biological Assets and Agricultural Products in the Absence of an Active Market (by the International Accounting Standards), Proceedings of International Academic Conferences, International Institute of Social and Economic Sciences, Austria, Vienna, 2015.


## Issues for the Recognition and Evaluation of Biological Assets


**Levan Sabauri**

***Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University***

**Nadejda Kvatashidze**

***Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University***



S u m m a r y

**Exploration of the recognition and evaluation of biological assets led us to the following conclusions:**

**• Bacteria and viruses should be categorized as biological assets. It will attribute to the expansion of the area for the recognition.**

**• Biological assets should be classified as accounted objects and units based on: the kingdom system of biological assets (animals, plants, fungus, bacteria, viruses); categories and subcategories of the kingdom of assets; the life cycle of biological assets- for the measurement period up to 12 months (current activities) and longer than 12 months (long-term assets); ripeness- ripe/unripe; Biological assets regulated under IAS 16.**

**• International Accounting Standards 41 recognizes the biological assets as the long-term assets only if we can determine the reduced actual cost for the measured expenditure for the sale. The assets, whose fair value cannot be reliably measured, belong to the main means.**

**• Exploration of the impact of fair value assessment policy on the stability of profit.**



***Keywords: biological assets, food-bearing plants, living organisms, biological transformation.***

# პოსტ პანდემიური მსოფლიო და საქართველო: გამოწვევები და ახალი შესაძლებლობანი

**უშანგი სამადაშვილი**
***ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,***
***თსუ-ის ასოცირებული პროფესორი***

*ნაშრომში გაანალიზებულია, თუ რა სოციალური და ეკონომიკური ზარალი მიაყენა კოვიდ პანდემიამ მთლიანად მსოფლიოს. ვირუსით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა რა გავლენა მოახდინა მსოფლიოს წამყვანი ბიზნესაქტივობის ისეთ ცენტრებზე, როგორებიცაა აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი, იაპონია და სხვა. დახასიათებულია, თუ რა მდგომარეობაა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ რუსეთში, რომელიც ქვეყნის მასშტაბისა და ევროკავშირისა და აშშ-ის მხრიდან დაწესებული სანქციების გამო შედარებით იზოლირებულია გარე სამყაროსგან.*

*დეტალურადაა გადმოცემული ის, თუ რა გამოწვევების წინშე დააყენა საქართველო კორონაპანდემიამ, ესაა: უმუშევრობის ზრდა, ქვეყნის წამყვანი დარგის - ტურიზმისა და მისი მომსახური ბიზნესების გაჩერება, საქართველოში ნომერი პირველი საექსპორტო პროდუქტის - სპილენძის გაიაფება, საგარეო სავაჭრო ბრუნვის შემცირება, ახალი კომპანიების რეგისტრაციის რაოდენობის მკვეთრი კლება, ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნა და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში ეპიდემიით გამოწვეული ეკონომიკის დაცემის აღდგენას და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.*

*საკვანძო სიტყვები: კრიზისი, მიწოდების ჯაჭვის ჩამოშლა, შიდა და გარე რისკები, გამოწვევები, უმუშევრობა, ტურიზმი, ეკონომიკის აღდგენა*

**კორონა პანდემიამ მოიცვა მსოფლიოს ყველა კონტინენტი ქვეყნებითურთ. ხაზგასასმელია, რომ კორონა პანდემია არ არის უპრეცედენტო. ამ დრომდე მსოფლიოს 60-მდე პანდემია აქვს გადატანილი. კოვიდ-19, მასშტაბით სადღაც შუაშია. თავად პანდემია იმდენად დამანგრეველი არ არის, რამდენადაც მიღებული ზომები, რომლებმაც უდიდესი ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ეს პანდემია, ალბათ, არ იქნება ისეთივე ცუდი, როგორიც 1918 წლის ესპანური გრიპი იყო, რომელმაც მსოფლიო მოსახლეობის 2-3 პროცენტი ანუ 50 მლნ ადამიანი შეიწირა [1]**

**ლოგიკურად იბადება კითხვა - რამ განაპირობა კორონა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი? - კორონა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი ძირითადად გამოიწვია მსოფლიოში სამი უმსხვილესი ეკონომიკის - შეერთებულ შტატების, ევროკავშირისა და ჩინეთის წარმოება-მიწოდების ჯაჭვების ჩამოშლამ . ამ სამი ეკონომიკის მსოფლიო იმპორტი 63%-ს და მსოფლიო ექსპორტი 64%-ს შეადგენს. აღნიშნული ზარალი გავლენას მოახდენს განვითარებად ქვეყნებზეც. მაგალითად, აფრიკელი ექსპორტიორები 2,4 მილიარდ დოლარზე მეტით დაზარალდებიან ჩინეთში, ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებში დაწესებული შეზღუდვების გამო. ამ დანაკარგების 70%-ზე მეტი გამოწვეულია ევროკავშირთან მიწოდების ქსელის მოშლით. ზოგადად, მსოფლიოში ყველა მცირე და საშუალო ბიზნესის 55%-ზე მეტი მნიშვნელოვნად დაზარალდა პანდემიით. მათი ორი მესამედი (67%) ამბობს, რომ კრიზისი დიდ გავლენას ახდენს ბიზნესოპერაციებზე. დიდი კომპანიების სეგმენტში კი ყველაზე მეტად დაზარალებულთა წილი 40%-ზე ნაკლებია [2].**

**სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის პროგნოზით ევროზონის ეკონომიკა მიმდინარე წელს 8%-ით შემცირდება, მაშინ როდესაც საქართველოს ეკონომიკის რეალური 4.8%-იანი კლების პროგნოზი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული იმავე პირველი კვარტლის**

პროგნოზთან შედარებით, რაც მინიმუმ 9 %-იან კლებას ითვალისწინებდა, ხოლო უკვე 2021 წელს ეკონომიკის 4.5%-იანი ზრდაა მოსალოდნელინ [3].

რა ზეგავლენა მოახდინა კორონა პანდემიამ ამომავალი მზის ქვეყანაზე - იაპონიაზე? იაპონიის ეკონომიკა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, 7.8% -ით შემცირდა. ეს არის ყველაზე დიდი დაცემა ქვეყნის ეკონომიკაში 1980 წლის შემდეგ, როდესაც კვარტლების მიხედვით შედარებით სტატისტიკური მონაცემები პირველად გამოქვეყნდა. წლიური გამოთვლის საფუძველზე, ეკონომიკა შემცირდა 27.8% -ით, რაც ასევე ანტირეკორდია. ეს მნიშვნელოვანი ვარდნა გამოწვეულია COVID-19 პანდემიით. კორონავირუსის გავრცელების გამო საჯარო ინსტიტუტების დახურვამ გამოიწვია სამომხმარებლო ხარჯების 8.2% -ით ვარდნა წლის დასაწყისთან შედარებით. ექსპორტის მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს იაპონიაში უცხოელი ტურისტების ხარჯებს, კვარტალში შემცირდა 18.5% -ით. შედარებისათვის, 2008–2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის გამო იაპონიის ეკონომიკის მაქსიმალურმა კვარტალურმა ვარდნამ 4,8% –ი შეადგინა. მიუხედავად ამისა, იაპონიის ეკონომიკა მიმდინარე კრიზისის შემდეგ უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე სხვა განვითარებული ქვეყნები. მაგალითად, აშშ-ის ეკონომიკა იმავე კვარტალში შემცირდა 9.5% -ით, გერმანიის ეკონომიკა - 10.1% -ით, ხოლო დიდი ბრიტანეთის - 20.4% -ით [4].

რა მდგომარეობაა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ რუსეთში, რომელიც ქვეყნის მასშტაბისა და ევროკავშირისა და აშშ-ის მხრიდან დაწესებული სანქციების გამო შედარებით იზოლირებულია? -უკვე მიმდინარე წლის აპრილში რუსეთი შევიდა ღმა სტრუქტურულ კრიზისში, რომელიც განაპირობა სამმა მიზეზმა, ესაა: კორონა ვირუსი; ნავთობისა და გაზის კრიზისი; შვიდწლიანი სტაგნაციის შედეგები. ყველაფერმა ამან ბოლო შვიდ წელიწადში გამოიწვია კაპიტალის გადინება, ძირითადი კაპიტალის დაძველება, ინვესტიციების შემცირება ადამიანურ კაპიტალში, რაც გაღრმავდა დემოგრაფიული კრიზისითა და სხვა ფაქტორებით.

აღნიშნულის გამო 2020 წელს რუსეთში იქნება საკმაოდ ღრმა სტრუქტურული კრიზისი. აკადემიკოს ა. აგანბეგიანის აზრით, მშპ შემცირდება დაახლოებით 8%-ით, რეალური განკარგვადი შემოსავლები - 8-10%-ით, სახელმწიფო ბიუჯეტი-1,5ჯერ, საწარმოთ ფინანსები-2-ჯერ. ღარიბთა რაოდენობა გაიზრდება 18 მილიონით და მიაღწევს მაქსიმუმ 30 მილიონს.

მოხმობილ ნეგატივებთან ერთად არის უნიკალური შესაძლებლობა, რომ რუსეთი გადავიდეს სოციალურ-ეკონომიკურ ზრდაზე. ამისათვის აუცილებელია მისი ორი მთავარი დრაივერის ფორსირებული გაუმჯობესება: ინვესტიციები ძირითად კაპიტალში და დაბანდებანი ცოდნის ეკონომიკაში, ანუ ადამიანურ კაპიტალში. თანაც, ისინი ყოველწლიურად უნდა გაუმჯობესდეს 10-15%-ით და მაშინ 2023 წელს რუსეთი შეძლებს, გადავიდეს 3%-იან ზრდაზე, 2025 წელს - 4%-იან ზრდაზე და თუ გაგრძელდება ასე, მაშინ 2030 წელს - 5%-იან ზრდაზე. მაგრამ ამისათვის ინვესტიციების წილი მშპ-ში 17-დან უნდა გაიზარდოს 22-25%-მდე 2023-2025 წლებში, 30%-მდე- 2030 წელს და მთავარია გაუმჯობესდეს ცოდნის ეკონომიკის წილი 14%-დან თუნდაც 20-25%-მდე, ხოლო 2025 წელს -30-35%-მდე, როგორც ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-შია[ 5,გვ 11-12].

აქვე ვიტყვით იმასაც, რომ მთელ მსოფლიოში საჰარეო და სახმელეთო ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვების გამო საწვავზე ფასები შემცირდა. ამიტომაც, აშშ-ის ზოგიერთი ნავთობკომპანია საწვავს ყიდის თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასში. ე.ი. ეს კომპანიები, როგორც ჩანს, გაკოტრების წინაშე დგანან და შესაძლოა, კრედიტორების საკუთრებაში გადავიდნენ. აღნიშნული აშშ-სთვის კატასტროფის მომასწავებელი არ არის. იქ ნავთობის წილი მშპ-ის მხოლოდ 1%-ია. რუსეთში კი იგივე მაჩვენებელი 51 %-ია. ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, რუსეთშიც უმთავრესი პრობლემა უმუშევრობის ზრდაა. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა დაასახელა სამი ფაქტორი, რომლებიც შეაკავებს

უმუშევრობას: 1. ხელფასების შემცირება; 2. არასრული სამუშაო დღით დასაქმების გაფართოება. 3. მუშაკთა უხელფასო შვებულებაში გაშვება.

კორონა პანდემიამ რა გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო და რა ახალი შესაძლებლობები წარმოშვა?

2020 წლის II კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.3 პროცენტი შეადგინა (საქსტატი). საქართველოში ყველაზე მთავარია უმუშევრობის ზრდის საფრთხე. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა ყველაზე დაუცველ მდგომარეობაშია, რადგანაც მისი ეკონომიკა უაღრესად არის დამოკიდებული ტურიზმზე, რომელიც ფატალურად არის დაზარალებული. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, 2018 წელს საქართველოს ტურიზმის სექტორის ეკონომიკაზე მოდიოდა მშპ-ის 9.3% . ამ მაჩვენებლის მიხედვით, რესპუბლიკა მსოფლიოში 26-ე ადგილზეა და პირველია რეგიონში. შედარებისთვის, სომხეთში მშპ – ში ტურიზმის სექტორის წილი 4,4%-ია (მსოფლიოში 67 – ეა), აზერბაიჯანში - 4.2%-ია და მსოფლიოში 74 – ეა. (უნდა აღინიშნოს, რომ, მსოფლიო ბანკის შეფასებით, ტურიზმის წილი საქართველოს მშპ-ში კიდევ უფრო მაღალია: 10%.) [6 ].

საქართველოში მთლიანად დასაქმებულთა 27% -ი ტურიზმის სექტორზე მოდის. თითქმის 500 ათასი ადამიანი ეწევა საქმიანობას, რომელიც ტურიზმთან ამა თუ იმ ფორმითაა დაკავშირებული. ამიტომ პანდემიის გამო ტურიზმის ჩამონგრევის შედეგად მიღებული დანაკარგები მნიშვნელოვნია, რაც სერიოზულად ამძიმებს რესპუბლიკის სოციალურ სფეროში არსებულ ვითარებას, რადგან ადამიანების დიდმა რაოდენობამ დაკარგა სამუშაო და შემოსავალი. შედეგად, რესპუბლიკაში არსებული არამშვიდი პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო მწვავდება [ 7].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპილენძის ფასი ეკონომიკის სიჯანსაღის მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რადგანაც სპილენძი ბევრი ინდუსტრიული პროდუქტის წარმოებაში გამოიყენება. სპილენძი საქართველოში ნომერი პირველი საექსპორტო პროდუქტია. ამასთან, ექსპერტები თვლიან, რომ საქართველოსა და სომხეთისთვის მნიშვნელოვანია გარე რისკები, რადგანაც ეს სახელმწიფოები სპილენძის მადნის ექსპორტიორები არიან და მათი მსოფლიო ფასები, ნავთობის ფასების მსგავსად, შემცირდა, თუმც არც თუ ისე დიდი მასშტაბით. ასე მაგალითად, ინტერნეტ რესურსის კავკაზ-უზელის თანახმად, თუ 2020 წელს ნავთობის ფასი საშუალოდ 50% -ით დაეცა, სპილენძის ფასი დაეცა - 16% -ით, რაც ძალზე შესამჩნევია საექსპორტო ქვეყნებისთვის [8]

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, შიდა რისკების გარდა, პანდემიის პირობებში განიცდიან გარე გამოწვევებს, რომელთა შორის განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეკონომიკური კრიზისის გავლენა სანედლეულო სასაქონლო ფასებზე. ამ გაგებით აზერბაიჯანი ყველაზე რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. მართალია, ქვეყანას, როგორც ნავთობის ექსპორტიორს, კიდევ უფრო ადრე შეექმნა პრობლემები ნავთობის ფასების ვარდნასთან დაკავშირებით, მაგრამ COVID-19 პანდემიის შედეგად ვითარება მნიშვნელოვნად გამწვავდა. სავარაუდოდ, თუ მსოფლიოში ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური იქნება, ნავთობის ფასები მოიმატებს. ამასთან, აზერბაიჯანი ამჟამად სერიოზულ ფინანსურ ზარალს განიცდის. შესაბამისად სასაქონლო ფასებისადმი მისი დაუცველობა EBRD- ს დასკვნაში შეფასებულია, როგორც მაღალი, განსხვავებით სომხეთისა, სადაც არის - საშუალო და განსხვავებით საქართველოსი, სადაც - დაბალია.

საქართველოს, ისევე როგორც მეზობელ სომხეთს, არ გააჩნია ენერგეტიკული რეზერვები, რაც შექმნიდა ე.წ. "უსაფრთხოების ბალიშს", ამიტომ COVID-19 გამოწვევებზე მისი წინააღმდეგობის ხარისხი ძალიან დაბალია. ასე მაგალითად, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2020 წლის მარტში რესპუბლიკაში ეკონომიკური ვარდნა შეადგენდა 2.7% -ს, ხოლო იანვარ-თებერვალში იყო ზრდა 1.5%. ყველაზე მეტად დაზარალდა სასტუმრო და რესტორნების ბიზნესი, ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა, საბი-

თუმო და საცალო ვაჭრობა, ფინანსები, დაზღვევა, ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის წარმოება და განაწილება, გადამამუშავებელი ინდუსტრია და უძრავი ქონება.

ამავე დროს, მკვეთრად შემცირდა რესპუბლიკის საგარეო სავაჭრო ბრუნვა. 2020 წლის იანვარ-ივლისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 6 030.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 17.6 პროცენტით ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 1 758.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (16.8 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 4 272.1 მლნ. აშშ დოლარი (17.9 პროცენტით ნაკლები). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2020 წლის იანვარ-ივლისში 2 513.6 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.7 პროცენტი შეადგინა [9].

ბიზნეს საქმიანობა მკვეთრად დაეცა - მარტის თვეში ახალი კომპანიის რეგისტრაციის რაოდენობა 48% -ით შემცირდა. ამავე დროს, აპრილში, როდესაც, ფაქტობრივად, სრულიად გაჩერდა ეკონომიკური საქმიანობა, ინდიკატორები კიდევ უფრო გაუარესდა [10].

ზოგადად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გ. გახარიას პროგნოზით, 2020 წლის ეკონომიკური ვარდნა ტოლი იქნება 4%-ის, დაგეგმილი 4.3% ზრდის ნაცვლად. ქვეყნის ბიუჯეტი დაკარგავს 1,8 მილიარდი ლარის შემოსავალს (560 მილიონი დოლარი), მიმდინარე ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები შემცირდება 300 მილიონი ლარით, 350 ათასი ადამიანი დაკარგავს სამუშაოს [11].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კორონავირუსმა ყველაზე მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ტურიზმს, საქართველოს ყველაზე წარმატებულ და სწრაფად მზარდ ინდუსტრიას. 2019 წელს ქვეყანაში ვიზიტორ ტურისტთა რაოდენობამ გადააჭარბა 9,3 მილიონს, რამაც 3.3 მილიარდი დოლარის შემოსავალი მოიტანა. თუმცა, საქართველოში ტურისტების იმპორტზე დამოკიდებულების გამო 3.3 მილიარდი დოლარიდან ქვეყანაში მხოლოდ 30%, ანუ დაახლოებით მილიარდი დოლარი, დარჩა, დანარჩენი კი იმპორტმა „გაიწოვა“ საზღვარგარეთის ქვეყნებში. პანდემიით გამოწვეული დაცემის შემდეგ ამ ინდუსტრიისათვის ძნელი იქნება მისი წინა იმპულსის დაბრუნება, ნებისმიერ შემთხვევაში სპეციალისტების პროგნოზები ნაკლებად დამაიმედებელია.

საქართველოს სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებლის - შ. ალავერდაშვილის თქმით, მაშინაც კი, თუ მთავრობა, როგორც დაპირებულია, გახსნის საზღვრებს 1 ივლისიდან, მომდევნო წლის განმავლობაში, ანუ, 2021 წლის ზაფხულამდე, ტურიზმის ბიზნესი იმუშავებს მოგების გარეშე, გადარჩენისთვის. საუკეთესო შემთხვევაში ტურისტული ნაკადი გამოჯანმრთელდება 2022 წლისთვის, მაგრამ ეს ასევე ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. კერძოდ, კრიზისის შემდეგ ტურისტული მომსახურება შეიძლება გაიზარდოს ფასებით და ამან შეიძლება შეაშინოს ტურისტების უმეტესი ნაწილი, რომელიც ქვეყანას აფასებს იაფი და შედარებით მაღალი ხარისხის მომსახურებით [12].

მთავრობა აპირებს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის აღორძინებას. შემუშავებულია ტურიზმთან დაკავშირებული კომპანიებისთვის ფინანსური დახმარების სპეციალური გეგმა, რომლის მოცულობა 200 მილიონი ლარია (დაახლოებით 70 მილიონი დოლარი). ქართული სტანდარტებით, ეს არის დიდი თანხა, მაგრამ არ იძლევა ინდუსტრიის სწრაფი აღდგენის იმედს. ტურიზმისთვის დახმარების გაწევა არის მთავრობის ანტიკრიზისული კრიზისული გეგმის ნაწილი, რომელიც მიმართულია ბიზნესისა და მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენების მხარდასაჭერად.

საქართველოს ანტიკრიზისული გეგმის ჯამური ღირებულება არის 3.5 მილიარდი ლარი, აქედან 1.3 მილიარდი დაგეგმილია, გაიხარჯოს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამებზე, 2.1 მილიარდი - ეკონომიკისა და ბიზნესის მხარდასაჭერად, 350 მილიონი - მოქალაქეების ჯანმრთელობის დასაცავად [13].

ვსაუბრობთ რა ახალ შესაძლებლობებზე, უნდა ითქვას, რომ კორონავირუსული პანდემიის შემდეგ ჩინეთს შეუძლია, წამყვანი როლი შეასრულოს მსოფლიო ეკონომიკის

გლობალურ აღდგენაში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთმა წინააღმდეგობა გაუწიოს გლობალიზაციის შეცვლისკენ მიმავალ ნებისმიერ ტენდენციას. ჩინეთის ბაზარი მისი ზომისა და განუწყვეტელი ზრდის შედეგად გახდა განვითარების მნიშვნელოვანი გლობალური ძრავა. არსებობს საფუძველი იმისა, რომ ქვეყანამ შეასრულოს ეკონომიკური ლოკომოტივის როლი გლობალურ გაჯანსაღების პერიოდში. მით უფრო, რომ აშშ თავის ნებით უარს აცხადებს ამ ფუნქციის შესრულებაზე. პეკინმა უნდა განაგრძოს მცდელობები ბაზარზე ორიენტირებული, ლეგალური და ინტერნაციონალიზებული ბიზნესგარემოს შექმნისთვის. დღეს ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მთავრობის ვალდებულება, რომ გახსნას კარი მსოფლიოს წინაშე, მიუხედავად კორონავირუსის კრიზისის შედეგად წარმოქმნილი სირთულეებისა. ღია ბაზრები არის ჩინეთის და, შესაბამისად, დანარჩენი მსოფლიოსა და მათ შორის საქართველოსთვის გრძელვადიანი ზრდის გასაღები, რადგანაც ჩინეთი საქართველოსთვის მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია თურქეთის შემდეგ [13].

იმ ქვეყნების გამოცდილების შესწავლით, რომლებიც ეპიდემიის წინაშე აღმოჩნდა უფრო ადრე, ვიდრე სხვები, შეგვიძლია გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები კორონავირუსის გავლენის შესახებ ეკონომიკურ დინამიკაზე და ეს დაგვეხმარება საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივის პროგნოზისთვის. პირველი, ჩვენ დავინახეთ, რომ ღონისძიებებმა, რომლებიც მიმართული იყო ეპიდემიის გავრცელების წინააღმდეგ, გამოიწვია ბიზნესაქტივობის უპრეცედენტო ვარდნა. მეტიც, მომსახურება უფრო მეტად დაზარალდა, ვიდრე ინდუსტრია, რაც ძალიან არატიპურია ჩვეულებრივი კრიზისებისთვის. მეორე, ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ საკარანტინო ზომების შემსუბუქება არ იწვევს მოთხოვნის სრულ აღდგენას კრიზისამდელ დონემდე და ეს კარგად ჩანს ჩინეთის მაგალითიდან.

ეკონომიკების გამოჯანმრთელების მთავარი ფაქტორი იქნება ის, თუ რამდენად ეფექტიანი იქნებიან მთავრობები, როგორც ეპიდემიის მიმართ, ისე პოსტპანდემიური პოლიტიკის გატარებაში, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ აღდგენას. რა თქმა უნდა, არსებობს უამრავი სხვა ფაქტორი, რომლებიც მნიშვნელოვანია რეცესიული ეკონომიკების აღდგენის პერსპექტივისთვის. მაგალითად, სასტარტო მდგომარეობა, ანუ ის, თუ სად იმყოფებოდა ქვეყნის ეკონომიკა კრიზისამდე. იმიტომ, რომ, თუ კრიზისამდე ქვეყანაში არსებობდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მაშინ კრიზისი კიდევ უფრო გაამძაფრებდა მათ და გაძნელდებოდა მისი აღდგენა. ასევე, აღდგენა დამოკიდებულია იმაზე, თუ კერძო სექტორი რამდენად ადაპტირებადია ახალ რეალობასთან, რამდენად მნიშვნელოვანია საბიუჯეტო დახმარების ღონისძიებები და სხვა [14].

წინამდებარე კვლევით ნაშრომში ჩვენთვის უმთავრესი საკითხია ეპიდემიით გამოწვეული დაცემის აღდგენა. ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვა - რა უნდა გაკეთდეს პოსტპანდემიურ საქართველოში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის?

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ ადამიანთა ჯანმრთელობა, არსებობა და განვითარება დამოკიდებულია არა მხოლოდ კორონა პანდემიასთან გამკლავებაზე, არამედ ადამიანთა არსებობისა და განვითარების განმსაზღვრელი სფეროს, ეკონომიკის პოსტკრიზისულ ამოქმედებაზეც. წინააღმდეგ შემთხვევაში კორონა ვირუსით გარდაცვლილ ადამიანებს დაემატება შიმშილით დაღუპული ადამიანები, რაც მასშტაბით ბევრად მეტი იქნება.

საქართველოს ეროვნული მეურნეობის პოსტპანდემიური კრიზისიდან გამოსვლა და მისი გააქტიურება კი მოითხოვს ტურიზმზე ორიენტირებული ეკონომიკის სტრუქტურის რეფორმირებას. ამისათვის აუცილებელია უფრო მნიშვნელოვანი ინვესტიციები ეკონომიკის რეალურ სექტორში და ადამიანურ კაპიტალში (მეცნიერებაში, განათლებასა და ჯანდაცვაში). ამასთან, მიზანშეწონილია ეკონომიკის რეალური სექტორის პრიორიტეტული დარგების შესაბამისად პროფესიონალებისა და სპეციალისტების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

მნიშვნელოვანია ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სოფლის მეურნეობის სტრუქტურის გარდაქმნა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ბიზნესცოდნა და ამის საფუძველზე მწარმოებლურობის. დღეს მთლიანად მსოფლიოში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში და, მათ რიცხვში საქართველოში, უაღრესად მწვავედ დგას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა (ცხადია, ტურისტული ნაკადების სისტემატიური ზრდის კვალობაზე ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდება!). ასეთ ვითარებაში ყოვლად შეუძლებელია საქართველოში ტურიზმის ნორმალური და მდგრადი განვითარება, რადგანაც, როგორც უკვე ითქვა, ქვეყანაში ტურისტების მიერ შემოტანილი ფულადი სახსრები და მასთან ერთად ახალი სამუშაო ადგილები პროდუქტის იმპორტიორებს გარეთ გააქვთ, რაც ამცირებს ქვეყანაში ტურისტების დახარჯული ფულადი სახსრების ცირკულაციისა და მულტიპლიკაციის ეფექტს. სწორედ ამიტომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება და სპეციალიზაცია ყოველმხრივ გააზრებულ, გონივრულ და ახლებურ მიდგომას მოითხოვს, რათა შესაძლებელი გახდეს საკუთარი რესურსების ხარჯზე წარმოებული კვების პროდუქტებით მოსახლეობის, ტურისტების უზრუნველყოფა და მისი ექსპორტირება. ამისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა არა უბრალოდ გლეხური ნატურალური მეურნეობა, არამედ ბაზარზე ორიენტირებული, ინდუსტრიული ფერმერული მეურნეობა, რომელიც დაფუძნებული იქნება სასოფლო სამეურნეო მუშაკებისათვის მომზადება-გადამზადების, მარცვლეულის ახალი სახეობების, სათესლე მასალის, გენეტიკურად პროდუქტიული ცხოველთა ჯიშების, წარმოების პროგრესული ტექნოლოგიების, აგროტექნიკის, შხამქიმიკატების, სასუქების, საირიგაციო სისტემის, საიმედო სადისტრიბუციო არხების, ბაზრებისა და ფინანსების ხელმისაწვდომობაზე. სოფლის მეურნეს ასევე უნდა მიეცეს თანამედროვე ცოდნა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აწარმოოს უფრო ეფექტიანად მოთხოვნადი პროდუქცია მისაღები სტანდარტებით; სად მოახდინოს უკვე მოყვანილი პროდუქტის რეალიზება. წელიწადის ნებისმიერ დროს ქართულ პროდუქციაზე ტურისტთა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე სასაწყობო მეურნეობა და შესაბამისი ლოგისტიკური ცენტრები.

აგრარულ სექტორში უნდა წახალისდეს წარმოების განვითარების შემდეგი მიმართულებები: ხორცის და რძის პროდუქტები, მარცვლეული, ბოსტნეული და ხილი, საკვების გადამუშავება. ამ მიმართულებით, საქართველოს აქვს 400 მლნ აშშ დოლარის ღირებულების იმპორტის ჩანაცვლებისა და ასევე ექსპორტის დივერსიფიცირების შესაძლებლობა. თუმც, ეს სრულიადაც არ ნიშნავს მრეწველობის დარგებისადმი უყურადღებობას. პირიქით, ქვეყნის საბოლოო მიზანი ინდუსტრიის უპირატესი განვითარებაა. მაგრამ ამ ეტაპზე კვების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ტურიზმისა და სხვათა ტემპების დაჩქარება დიდადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის დარგების, ანუ მთლიანად სოფლის ეკონომიკის, განვითრაებაზე. ამას აპირობებს თავად მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა, სადაც მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში კვების მრეწველობის პროდუქციას 40 პროცენტზე მეტი უკავია და იგი ძირითადად სოფლის მეურნეობის ნედლეულით მუშაობს. ამდენად, სოფლის მეურნეობის რიგი დარგების განვითარება თავისთავად უზრუნველყოფს ქვეყნის მრეწველობის განვითარების დაჩქარებას და საერთოდ საქართველოს ეკონომიკის აღმავლობას.

საქართველოში პოსტპანდემიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის, ასევე, მიზანშეწონილია, სამამულო საწარმოებმა განახორციელონ ინვესტიციები უკვე არსებული ტექნოლოგიების იმიტირებაში ან ახალ ტექნოლოგიებში. ცხადია, ამისათვის საჭიროა ჯანსაღი კონკურენცია, რათა ფირმებს გააჩნდეთ შესაბამისი სტიმულები, განდევნონ მეტოქეები და დაიმკვიდრონ თავიანთი ადგილი ბაზარზე, მუდმივად გააუმჯობესონ ან შესთავაზონ ახალი საკუთარი პროდუქტი, წარმოების ტექნოლოგიები. ეს ტექნოლოგიები მთელ ეკონომიკაში ვრცელდება, რაც ასტიმულირებს მწარმოებლურობის საერთო ზრდას.

ბუნებრივია, არსებული ტექნოლოგიების იმიტაცია და პრინციპულად ახლის გამოგონება, მოითხოვს განსხვავებულ განათლებას. პირველ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია საშუალო და გამოყენებითი საინჟინრო განათლება. მეორე შემთხვევაში კი, გაცილებით დიდ როლს ასრულებს ფუნდამენტური მეცნიერება. ამიტომ, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფმა დარგებმა შესაბამისად უნდა ააგონ თავიანთი საგანმანათლებლო სისტემები.

მოწინავე მსოფლიო ტექნოლოგიების იმიტაცია შეუძლებელია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, გლობალურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისა და უცხოური კვალიფიციური სამუშაო ძალის მოზიდვის გარეშე. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ყველაზე სწრაფად მზარდი ქვეყნების უმრავლესობა სწორედ ამ გზით აუმჯობესებს თავისი მოსახლეობის კეთილდღეობას. საგანმანათლებლო სისტემა უნდა აიგოს ისეთნაირად, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ბაზრის მოთხოვნები განვითარების მოცემულ ეტაპზე. მოწინავე ტექნოლოგიების ათვისება - პირველ ყოვლისა ციფრულ სფეროში - მწარმოებლურობის ზრდის აუცილებელი პირობაა. ზემოთქმულთან ერთად ეკონომიკური ზრდა მოითხოვს გარემოსადმი ფრთხილ, პატივისმცემლურ დამოკიდებულებას. მისი დაბინძურება არა მარტო აუარესებს მოსახლეობის კეთილდღეობას, არამედ აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, ზიანს აყენებს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწვება.

ლიტერატურა:


1. ნილ ფერგიუსონი. პანდემიაზე დამანგრეველი ის ეკონომიკური ზომებია, რომელიც მივიღეთ - ამერიკელი პროფესორი. 2020-06-11. წყარო: https://commersant.ge/ge/post/pandemiaze-damangreveli-is-ekonomikuri-zomebia-romelic-miviget-amerikeli-profesori
2. https://commersant.ge/ge/post/giorgi-cuqiridze-fitch-ma-yuradgeba-gaamaxvila-mtavrobis-antikrizisuli-gonisdziebebis-pozitiuri-zegavlenaze-mimdinare-procesebze.]
3. https://www.bpn.ge/article/70622-ra-zarali-miigo-msoplio-ekonomikam-pandemiisgan]
4. https://commersant.ge/ge/post/giorgi-cuqiridze-fitch-ma-yuradgeba-gaamaxvila-mtavrobis-antikrizisuli-gonisdziebebis-pozitiuri-zegavlenaze-mimdinare-procesebze]
5. Японская экономика пережила сильнейшее падение за 40 лет
6. А. Аганбегян. возможности перехода от кризиса к социально-экономическому росту. Международный научно-общественный журнал “мир перемен” 2/2020 с. 11-12].
7. Коронавирус и экономика стран Южного Кавказа. Предварительный обзор. – Кавказский Узел, 11.04.2020. URL: https://www.kavkaz-uzel.eu/blogs/83781/posts/42649 (дата обращения 29.04.2020)]
8. На туристический сектор Грузии приходится 1/10 часть ВВП страны. – International Investment, 03.05.2018. URL: https://internationalinvestment.biz/analitics/530-na-turisticheski... (дата обращения 09.05.2020).
9. В марте 2020 года спад экономики Грузии составил 2,7%. – Commersant.ge, 30.04.2020. URL: https://commersant.ge/ru/post/v-marte-2020- goda-spad-ekonomi... (дата обращения 02.05.2020).
10. Антикризисный план правительства Грузии – кому и чем помогут. – JAMnews, 25.04.2020 URL: https://jamnews.net/ru/антикризисный-план-правительства-гр/ (дата обращения 02.05.2020).
11. «Главное выжить» – задача туристического бизнеса Грузии на 2020 год. – Sputnik Грузия, 08.05.2020 URL: https://sputnikgeorgia.ru/tourism/20200508/248443716/Glavno... (дата обращения 09.05.2020).
12. Общая стоимость антикризисного плана составила 3,5 млрд. лари. – Commersant.ge, 24.04.2020. URL: https://commersant.ge/ru/post/obshaia-stoimost-antikrizisnogo-... (дата обращения 02.05.2020).
13. https://www.pravda.ru/news/ economics/1521468-shvejcarskij_ehkonomist/]
14. Татьяна Лысенко. Перспективы и риски на фоне глобальной рецессии. https://kursiv.kz-/news/ekonomika/2020-06/kak-ekonomika-postsovetskikh-stran-budet-vosstanavlivatsya-posle-krizisa]

# Post pandemic World and Georgia: Challenges and New Opportunities

**Ushangi Samadashvili**
***Associate Professor,***
***Doctor of Economic Sciences,***
***Iv. Javakhishvili Tbilisi State University***

S u m m a r y

**The article analyzes the social and economic damage the Covid pandemic has done to the world as a whole. How the economic crisis caused by the virus has affected the world's leading business centers such as the US, European Union, China, Japan and others. The situation in our northern neighbor Russia is characterized, which is relatively isolated from the outside world due to the size of the country and the sanctions imposed by the EU and the United States.**

**It details the challenges posed by the corona pandemic for Georgia: rising unemployment, shutting down the country's leading tourism businesses, rising reduction prices, Georgia's number one export product, declining foreign trade, A sharp decline in the number of new companies registered, transforming the structure of the economy and much more. Special attention is paid to overcoming the economic recession caused by the epidemic in Georgia and improving the socio-economic situation of the population.**

***Keywords: crisis, supply chain collapse, internal and external risks, challenges, unemployment, tourism, economic recovery***

# ეკონომიკის რეალური სექტორი და მრეწველობა: თეორიების განვითარება

**გიორგი სანაძე**
*თსუ-ის დოქტორანტი*

*სტატიაში განხილულია ეკონომიკის რეალურ სექტორთან და მრეწველობასთან დაკავშირებული უმთავრესი თეორიული მიდგომები და, ასევე, მათი განვითარების ზოგადი ტენდენციები. დღეს ეკონომიკის რეალურ სექტორთან და მრეწველობასთან დაკავშირებული არა ერთი კონცეპტუალური მიდგომა არსებობს, რომელთა ფარგლებშიც განსხვავებულად ხდება ეკონომიკის რეალურ სექტორთან და მრეწველობასთან დაკავშირებული გარემოებების სიტუაციური ანალიზი. წინამდებარე სტატიაში უწინარესი აქცენტი გაკეთებულია იმ ძირითად მიდგომებზე, რომელთა ავტორებიც არიან: კარლ მარქსი, მაქს ვებერი, იოზეფ შუმპეტერი, ჯონ მეინარდ კეინზი, ფრენკ ნაითი, კლაუს შვაბი და კარლოტა პერესი.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ეკონომიკის რეალური სექტორი, მრეწველობა, ინდუსტრიული რევოლუცია, „ბლოკჩეინ“ ტექნოლოგიები, COVID-19.*

ეკონომიკის რეალური სექტორი წარმოადგენს იმ ეკონომიკური დარგების ერთობლიობას, სადაც იქმნება რეალური (ფიზიკურად მოცემული) პროდუქტი ან მომსახურება [1, p. 3]. რაც შეეხება მრეწველობას, ის თავის თავში გულისხმობს ამა თუ იმ პროდუქტების ან მომსახურების ფართომასშტაბიან წარმოებას, საზოგადოებაში გაბატონებული მოთხოვნილებების შესაბამისად. ასევე, საგულისხმოა, რომ ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის უმთავრეს წინაპირობად განიხილება [1, p. 10].

გერმანელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი კარლ მარქსი (1818-1883) თავის უმთავრეს ნაშრომში „კაპიტალი“ მრეწველობას (რომელსაც მანუფაქტურას უწოდებს) განიხილავს როგორც კაპიტალის მფლობელის მიერ მუშახელის დაქირავების შედეგად წარმოქმნილ შრომით პროცესს, რომლის ფარგლებშიც იწარმოება დიდი მოცულობის პროდუქცია. ამ ტიპის მრეწველობას კარლ მარქსი კაპიტალისტურ მრეწველობადაც მოიხსენიებს. მარქსის თეორიის თანახმად, მრეწველობის ერთ-ერთ მთავარ ასპექტს წარმოადგენს კოოპერაციის (თანამშრომლობის) ცნება, რომელიც თავის რეალურ, კლასიკურ სახეს იღებს მრეწველობის დარგში, შრომის განაწილების პროცესის დროს. კოოპერაცია, როგორც კაპიტალისტური პროცესის დამახასიათებელი ფორმა, პირველად ფიქსირდება ევროპაში, მე-16 საუკუნის მეორე ნახევარიდან, სამრეწველო სფეროში. ეს ტერმინი გულისხმობს ერთსა და იმავე მმართველობის ქვეშ სხვადასხვა დარგის მუშახელის თანამშრომლობას. ცნება კოოპერაციის უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით, კარლ მარქსს მაგალითის სახით მოჰყავს ეტლის აწყობის პროცესი. კერძოდ, ეტლის ასაწყობად საჭიროა სამუშაო პროცესში სხვადასხვა ხელოსნის მონაწილეობა, მათ შორის: დურგლის, მეთუნუქის, მღებავის და ა.შ. ეს ოსტატები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, თუმცა, კოოპერაციის პროცესში, აღნიშნული ოსტატები ერთიანი მმართველობის ქვეშ არიან მოქცეულნი. შესაბამისად, მათ თავის კომპეტენციის ფარგლებში შეუძლიათ შექმნან ბევრი დეტალი, რომელიც აუცილებელია ბევრი ეტლის წარმოებისთვის. კარლ მარქსი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ამახვილებს მანუფაქტურის მეორე სახეზე, რომლის თანახმადაც, დიდი მოცულობის პროდუქციის წარმოების დროს, დასაქმებულთა შრომა შესაძლებელია, არათანაბრად იყოს განაწილებული. აქ, უწინარესად, იგულისხმება ის ფაქტი, რომ მანუფაქტურის პროცესში, საბოლოო პროდუქტისთვის საჭირო სხვადასხვა დეტალების შესაქმნელად, მუშახელის

დატვირთვა შესაძლოა განსხვავებული იყოს [2, pp. 270-273]. ამრიგად, მარქსის თვალთახედვით, სამრეწველო კაპიტალიზმის მეშვეობით ხდება დიდი მოცულობის დოვლათის წარმოება, რომელიც საზოგადოებაში არათანაბრად არის გადანაწილებული. ეს კი, თავის მხრივ, კონფლიქტის წარმოშობას უწყობს ხელს [2, pp. 525-526].

ეკონომიკის რეალურ სექტორთან და მრეწველობასთან დაკავშირებული, ამასთან, მნიშვნელოვნად განსხვავებული თეორიის ფუძემდებლად ითვლება გერმანელი ეკონომისტი, სოციოლოგი და პოლიტოლოგი მაქს ვებერი (1864-1920). თავის ნაშრომში „პროტესტანტული ეთიკა - კაპიტალიზმის სულისკვეთება" ვებერი აკრიტიკებს მარქსის იმ მოსაზრებას, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალისტებისა და მუშათა კლასის დაპირისპირებასთან და აცხადებს, რომ აღნიშნული დაპირისპირების შეფასება უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური და რელიგიური კონტექსტიდან გამომდინარე. კერძოდ, ვებერის აზრით, კაპიტალისტებისა და მუშათა კლასის კონფლიქტი წინასწარ განსაზღვრულია აბსტრაქტული ე.წ. „პროტესტანტული ეთიკის", ანუ გაბატონებული რელიგიური მიმდინარეობის (უპირატესად იგულისხმება პროტესტანტული შინაარსის რელიგიური მიმართულებები, ძირითადად კი - კალვინიზმი) ნორმებისა და ღირებულებების მეშვეობით [3p. 51]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვებერის მოსაზრება ეფუძნება პარადიგმას, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ყოფიერება წინასწარ განსაზღვრულია მისი ცნობიერების მიერ. პროტესტანტული ეთიკის ფარგლებში, მაქს ვებერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ე.წ. კაპიტალისტურ საწარმოზე. ვებერის თეორიის მიხედვით, პროტესტანტულ ეთიკაზე დაფუძნებული კაპიტალისტური საწარმოს მთავარი მიზანია მაქსიმალურად დიდი მოცულობის ფინანსური მოგება, რომელიც უნდა განხორციელდეს ეკონომიკური გაცვლის გზით. რა თქმა უნდა, მოგებაზე ორიენტირება უხსოვარი დროიდან კაცობრიობის მთავარი ამოცანა იყო, თუმცა ფინანსური მოგება მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთ ევროპაში იძენს გაცილებით ორგანიზებულ, სტრუქტურირებულ სახეს და ეფუძნება შრომის რაციონალურ ორგანიზებას. ამ უკანასკნელ ცნებაში მაქს ვებერი, უპირველესად, გულისხმობს ისეთ შრომას, რომელიც საწარმოს ადმინისტრაციაზეა დაქვემდებარებული [3, p. 11].

საინტერესო და უნიკალურია ამერიკელი და ავსტრიელი ეკონომისტის, იოზეფ შუმპეტერის (1883-1950) თეორიული მიგნებები მრეწველობის საკითხებთან დაკავშირებით. შუმპეტერის ხედვა მრეწველობის თეორიასთან მიმართებით საფუძვლიანად განსხვავდება სხვა მეცნიერთა შესაბამისი ხედვისგან. კერძოდ, შუმპეტერისთვის ცნება „მეწარმეს" ფუნქციონალური ხასიათი გააჩნია, რაც გულისხმობს იმას, რომ მეწარმე ორიენტირებულია იმ ფუნქციების შესრულებაზე, რომლებიც აუცილებელია და საჭირო პროდუქციის წარმოებისთვის. თუმცა, შუმპეტერის განმარტებით, ფუნქციები უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ინოვაციური პროდუქტის შექმნის მიზანს. შუმპეტერის მოსაზრებით, არ არის აუცილებელი, მეწარმე, ამავდროულად, იყოს საწარმოს მფლობელი. სავსებით შესაძლებელია, ის დაქირავებით მომუშავე იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეწარმე ხშირ შემთხვევაში საწარმოს მფლობელის მიერ საწარმოს სამართავად სპეციალურად დაქირავებული შესაბამისი უნარების და კვალიფიკაციის მქონე პირია [4, pp. 254-255]. შუმპეტერი თავის კონცეფციაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბანკო სისტემას და მის განვითარებას. ის აცხადებს, რომ საბანკო სისტემის როლი ინოვაციური პროდუქციის შექმნაში ერთ-ერთი უმთავრესია [4, p. 189]. შუმპეტერის თეორიის თანახმად, საწარმოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ინოვაციური პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისთვის აუცილებელი ახალი საშუალებების ძიება, წარმოებისთვის საჭირო შუალედური პროდუქტის მიწოდების ალტერნატიული წყაროების იდენტიფიცირების ჩათვლით. შუმპეტერი თავის თეორიაში ინოვაციას სხვა ტერმინით, კერძოდ, ახალ კომბინაციადაც მოიხსენიებს [4, p. 234]. შუმპეტერის თეორიის თანახმად, მეწარმე გარკვეულწილად პიონერს ჰგავს, რადგან ის მოქმედებს არსებული, უკვე ცნობილი სოციალური ნორმებისა და

ღირებულებების მიღმა იმ მიზნით, რომ შექმნას და დაამკვიდროს ახალი ტრადიცია, იგივე ახალი ინოვაციური პროდუქტი [4, p. 184].

ამდენად, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შუმპეტერის თეორიის ამოსავალ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს მეწარმე ინოვატორი, ხოლო წარმოების უმთარეს ორიენტირად კი - ინოვაციური პროდუქტის შექმნა.

მრეწველობისა და ეკონომიკის რეალური სექტორის შესახებ თეორიის განვითარებაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი ცნობილ ბრიტანელ ეკონომისტს ჯონ მეინარდ კეინზის (1883-1946).

კეინზის მოსაზრების თანახმად, კაპიტალისტურ სისტემას არ შესწევს უნარი, სრულიად შეამციროს უმუშევრობის დონე. უფრო მეტიც, იგი მიიჩნევს, რომ მრეწველობის უმთავრეს ამოსავალ წერტილს ინვესტიციების მოზიდვა უნდა წარმოადგენდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული ეკონომიკური სისტემა ვერანაირად ვერ განვითარდება. კეინზის თეორიის შესაბამისად, ამა თუ იმ საწარმოს ეფექტიანობა განისაზღვრება მის მიერ მიღებული და, ამასთან, რაციონალურად გამოყენებული ინვესტიციის მიხედვით [5, pp. 33-34]. კეინზის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია რაციონალურ გათვლებზე (პროგნოზებზე) დაფუძნებული მოლოდინები, რომლებიც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებენ ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. თავის მხრივ, მოლოდინები შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც ახლო, ისე გრძელვადიან გეგმებთან [5, p. 29]. მეტად საინტერესოა კეინზის მოსაზრება ეკონომიკურ კრიზისთან მიმართებით, რომლის თანახმად, ის განიხილება როგორც ახალგაზრდა, დამწყები მუშახელისთვის უნიკალური საშუალება, გამოიჩინონ თავი სამუშაო ადგილზე. იმის გამო, რომ დამწყები მუშახელი არ ითხოვს მაღალ ანაზღაურებას და თავის გამოჩენის მიზნით, ასრულებს იმაზე მეტ სამუშაოს, ვიდრე გამოცდილი კადრი განახორციელებდა, ეს, გარკვეულწილად, ამსუბუქებს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას ეკონომიკური კრიზისის დროს [5, pp. 155-156].

კეინზის თეორიაში გამორჩეული ადგილი უკავია ისეთ ცნებას, როგორიც არის ეკონომიკურ ოპტიმიზმი [5, pp. 781-82]. ის გულისხმობს გარკვეული ეკონომიკური რისკების გაწევას პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით (მაგალითად, იმ საწარმოს ინვესტირება, რომელსაც ჯერ არ მოუტანია ეკონომიკური მოგება, თუმცა ინვესტორი იმედოვნებს და, აქედან გამომდინარე, ოპტიმისტურად არის განწყობილი, რომ წინასწარ განსაზღვრულ დროს მიიღებს შესაბამის სარგებელს).

მეტად თავისებური და ფსიქოლოგიური ხასიათის მატარებელია ფრენკ ნაითის (1885-1972) თეორიული მიდგომა, რომელიც დაკავშირებულია მრეწველობის სფეროსთან.

ფრენკ ნაითის მოსაზრებით, მეწარმეობა პირდაპირ კავშირშია გაურკვევლობის განცდასთან, რისკთან და ბუნდოვან მომავალთან. ნაითი მეწარმეობას ადარებს ისეთ ქონებას, რომელიც არ არის დაზღვეული და მისი დაკარგვის ალბათობა ძალიან მაღალია. აქედან გამომდინარე, ნაითი მიიჩნევს, რომ მეწარმე არ შეიძლება ნებისმიერი ადამიანი გახდეს იმის გამო, რომ ყველას არ გააჩნია უნარი, მეწარმეობასთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორებთან გამკლავება. ნაითი ყურადღებას ამახვილებს რისკების გარკვეულ კონცეფციაზე, რომლის თანახმადაც გამოიყოფა ე.წ. გაზომვადი და არაგაზომვადი რისკების კატეგორია[6, pp. 197-198]. ნაითი მიიჩნევს, რომ გაზომვადი რისკების შეფასება შესაძლებელია სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდით. ნაითისეული თვალთახედვით, გაზომვადი რისკების კატეგორიას მიეკუთვნება:

- საქონლის ქურდობა;
- ხანძარი საწარმოში;
- საწარმოო ტრავმები;
- შემთხვევითი სიკვდილი.

აღნიშნული რისკები გაზომვადია იმის გამო, რომ წინასწარ ხდება მათი შეფასება და, შესაბამისად, დაზღვევა [6, pp. 200-201].

გარდა ზემოთ თქმულისა, არსებობს რისკების ისეთი კატეგორიაც, რომელთა წინასწარ პროგნოზირება შედარებით რთული ამოცანაა და მისი გამოთვლა საკმაოდ მაღალ კვალიფიკაციას და შესაბამის გამოცდილებას მოითხოვს. მსგავსი რისკების კატეგორია დაკავშირებულია პროდუქტებზე, მათ შორის, შუალედურ პროდუქტებზე არსებული ფასებისა და მოთხოვნა-მიწოდების სფეროში მოულოდნელ ცვლილებებთან [6, p. 284]. ნაითის თეორიაში მეწარმეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მოსალოდნელი ფინანსური მოგების მოლოდინი. ამრიგად, მეწარმე ირჩევს მხოლოდ ისეთი პროდუქციის წარმოებას, რომელიც საბოლოო ჯამში მეტი ფინანსური მოგების მომტანი გახდება მომავალში. ნაითის თეორიის მიხედვით, თუ მეწარმემ რისკი არ გაწია, მას მუდმივად ექნება გაურკვევლობის განცდა, რაც პირდაპირ კავშირიში იქნება შემცირებულ ფინანსურ მოგებასთან. ეს კი, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე [6, p. 288].

ეკონომიკის რეალურ სექტორთან მჭიდროდ დაკავშირებულია ვენესუელელი და ბრიტანელი მეცნიერის, კარლოტა პერესის (დაიბადა 1939 წელს) თეორია, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებს ტექნოლოგიური რევოლუციები. პერესის თეორიაში აღნიშნული პროცესი განხილულია როგორც ფინანსური კაპიტალის, ასევე ფინანსური ინოვაციისა და სოციალურ-პოლიტიკური ასპექტების ჭრილიდან გამომდინარე. კარლოტა პერესი თავის თეორიაში ეკონომიკის რეალური სექტორის განსავითარებლად და მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინოვაციური ტექნოლოგიური საშუალებების ფართოდ დანერგვასა და მათ გამოყენებას. პერესის თეორიის თანახმად, ტექნოლოგიური რევოლუცია სხვა არაფერია, თუ არა „ახალი და დინამიკური ტექნოლოგიებისა და მრეწველობის მძლავრი კლასტერი, რომელსაც შეუძლია გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინოს“. თავის თეორიაში პერესი გამოყოფს ეკონომიკურ-ტექნიკურ პარადიგმას და მას ახასიათებს როგორც „საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებულ მოდელს, რომელიც ემყარება საუკეთესო ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ პრინციპებს, მაღალტექნოლოგიური საშუალებებით შექმნილი პროდუქციის ან მომსახურების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზაციის მისაღწევად“ [7, pp. 30-40]. კარლოტა პერესის თეორიის თანახმად, ეკონომიკის რეალურ სექტორში ტექნოლოგიური რევოლუციის პარადიგმის ინტეგრაციას საბოლოოდ მივყავართ წარმოებისა და მომსახურების პროცესის სტრუქტურისა და საზოგადოების ქცევის ფუნდამენტურ ცვლილებებამდე [7, p. 46]. პერესის თეორიის ძალზე მნიშვნელოვან ასპექტად შეიძლება ჩაითვალოს ტექნოლოგიური ნიადაგზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარების დაყოფა ორ მთავარ ფაზად [7, p. 100]:

1. „დანერგვის ფაზა“;
2. „აგრესიის ფაზა“.

ზემოთ ჩამოთვლილი ფრაზებიდან პირველი გულისხმობს იდეების გენერირებას, ახალ ეკონომიკურ პროექტებს და მათ განსახორციელებლად საჭირო ინვესტიციებს. რაც შეეხება მეორე ფაზას, ის გულისხმობს უშუალოდ შედეგებს. ამასთან, აგრესიის ფაზას პერესი ყოფს ორ ქვეფაზად, „სინერგიად“ და „მოწიფულობად“ [7, pp. 100-113]. „სინერგიის“ ქვეფაზაში საზოგადოება ღებულობს შექმნილ პროდუქტს ან მომსახურებას, მათი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო „მოწიფულობის“ ქვეფაზაში საზოგადოებას უჩნდება ახალი მოთხოვნილება, შესაბამისად, ჰორიზონტზე უკვე ჩნდება ახალი ტექნოლოგიური ტალღა [7, pp. 180-181].

ეკონომიკის რეალური სექტორის ინოვაციურ, სამეცნიერო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას ცნობილი გერმანელი მეცნიერი კლაუს შვაბი (დაბადებულია 1938 წელს). მისი მოსაზრების თანახმად, დღეს კაცობრიობა უკვე შესულია სრულიად ახალი, ე.წ. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ეპოქაში, სადაც რეალური ეკონომიკის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს საინფორმაციო ტექნოლოგიები და მათი მეშვეობით შექმნილი საქონელი და მომსახურება წარმოადგენს. აქედან გამომ-

დინარე, კლაუს შვაბი მიიჩნევს, რომ ტექნოლოგიური განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებაში გაბატონებულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ქცევებზე. კლაუს შვაბის მოსაზრებით, მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია ძირეულ გავლენას ახდენს გლობალურ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ისეთებზე, როგორიცაა მთლიანი სამამულო პროდუქტი, ინვესტიციები, მოხმარება, ვაჭრობა, ინფლაცია. კლაუს შვაბის თეორიის შესაბამისად, ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა უნდა განაპირობონ ის უდიდესი ეკონომიკური ზრდა, რაც, თავის მხრივ, მილიონობით ადამიანს დააღწევინებს თავს სიღარიბეს[8, pp. 31-32].

ამრიგად, ეკონომიკურ მეცნიერებებში, ეკონომიკის რეალურ სექტორთან და მრეწველობასთან დაკავშირებული სხვადასხვა თეორიული მიდგომა არსებობს, რომლებიც თავისი შინაარსით უნიკალურია. ზემოთ განხილული თეორიული მიდგომების ფარგლებში განსხვავებულად ხდება ძირითადი ობიექტის დახასიათება და შეფასება. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ერთი თეორია „რეალური სექტორის" ან/და „მრეწველობის" ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე ამახვილებდეს ყურადღებას, ხოლო მეორე თეორია კი, შესაბამისად, სხვა მიმართულებაზე. მთლიანობაში, ზემოხსენებული თეორიები საბოლოოდ ემსახურებიან მიზანს, რომ ახსნან, თუ რა განაპირობებს საზოგადოების კეთილდღეობას, რა მიზნებია შესასრულებელი იმისთვის, რომ წარმოებული იქნას უფრო დიდი მოცულობის და ხარისხიანი პროდუქტი, რომელიც შემდგომში უნდა მოხმარდეს საზოგადოებას. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კაცობრიობამ ბოლო რამდენიმე ასწლეულში გამოიარა რიგი ინდუსტრიული რევოლუციებისა. ყოველი ასეთი რევოლუცია განაპირობებდა ინდუსტრიალიზაციული პროცესების ინოვაციურ მიდგომებს. აქედან გამომდინარე, უკვე შეინიშნება ის გარემოება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ კარს მომდგარია სრულიად ახალი ინდუსტრიული რევოლუცია, რომლის მთავარ ორიენტირს ხელოვნური ინტელექტის განვითარება და მისი შესაძლებლობების გაფართოება წარმოადგენს [9; 10]. პირველი ინდუსტრიული რევოლუციის ხანგრძლივობა დაახლოებით 100 წელს შეადგენდა. მეორე ინდუსტრიული რევოლუციის ხანგრძლივობა კიდევ უფრო ნაკლები - 50 წლით შემოიფარგლა. რაც შეეხება მესამე ინდუსტრიულ რევოლუციას, ჩემი აზრით, მისი ხანგრძლივობაც დაახლოებით 50 წლის ფარგლებში მერყეობდა. ამის ფონზე, ციფრული, განსაკუთრებით კი ონლაინტექნოლოგიების განვითარების შედეგად, 2011 წლიდან იწყება საუბარი ახალ - მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციაზე, ხოლო იმავე დეკადის ბოლოს კი - მეხუთე ინდუსტრიულ რევოლუციაზეც კი. ამ უკანასკნელის მთავარი ორიენტირი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ხელოვნური ინტელექტისა და მასთან ასოცირებული ტექნოლოგიური საშუალებების განვითარებაა [10], რომელთა შორის მოიაზრება სხვადასხვა აპლიკაცია, პროგრამული უზრუნველყოფები, ე.წ. „ბლოკჩეინ" ტექნოლოგიები, ასევე ე.წ. „დიდი მონაცემები"[1] და ა.შ.

ჩემი აზრით, ეს ე.წ. მეხუთე ინდუსტრიული რევოლუცია განსაკუთრებით დააჩქარა 2019 წლის ბოლოს 2020 წლის პირველ ნახევარში COVID-19 ახალი კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც დაგვანახა, რომ ეკონომიკური განვითარების ტრადიციული მიდგომები საჭიროებს ძირეულ გადახედვას და ცვლილებებს.

[1] დიდი მონაცემები, ანუ იგივე Big Data გულისხმობს სხვადასხვა შინაარსის მქონე როგორც სტრუქტურიზებულ, ისე არასტრუქტურირებულ მონაცემთა ფართო მასივებს, ასევე ამ მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგიურ საშუალებებს.

ლიტერატურა:


1. Krahn H. J., Lowe G. S., Hughes K.D., 1993. Work, Industry, and Canadian Society. Nelson, University of Alberta.
2. Marks C., 2001. Capital. Vol. 1, Moscow, AST Publishing (In Russian).
3. Weber M., 2005. The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism. New York and London, Routledge - Taylor & Francis group.
4. Clemence V.,ed., 2009.Joseph A. Schumpeter - Essays on Entrepreneurship, Innovations, Business Cyclesand the Evolution of the Capitalism.New Brunswick, New Jersey, Transaction Publishers.
5. Keynes J.M., 1936. The General theory of Employment, Interest and Money. London, UK, Palgrave Macmillan.
6. Knight F., 2006. Risk Uncertainty and Profit. Mineola, New York, Dover Publications.
7. Perez C., 2013. Technological Revolutions and Financial Capital. Moscow, "Delo Publishing" (In Russian).
8. Schwab K., 2016. The Fourth Industrial Revolution. Geneva, Switzerland, World Economic Forum.
9. Van Erden J., 2020. A Davos POV about a 5th Industrial Revolution. Real Leaders, January 23,<https://real-leaders.com/a-5th-industrial-revolution-what-it-is-and-why-it-matters/#:~:text=The%20leading%20light%2C%20what%20we,the%20champions%20of%20the%205th.>.
10. Nahavandi S., 2019. Industry 5.0—A Human-Centric Solution. Sustainability – Journal of Multidisciplinary Digital Publishing Institute (MDPI), No.11, August 13, <https://www.mdpi.com/2071-1050/11/16/4371/-htm>.


## Real sector of economy and industry: evolution of theories


**Giorgi Sanadze**
***PhD Student***
***Tbilisi State University***
***Faculty Economics and Business***



S u m m a r y

**The article defines main theoretical issues in terms of real sector of economy and industry, as well as general trends on the way of their evolution. Currently, there is a number of conceptual approaches in line to real sector of economy and industry, within the situational analysis of specifications related to the real sector of the economy and industry is performed differently. The following article includes overview of main theoretical concepts, namely of authors, such is: Carl Marks, Max Weber, Joseph Schumpeter, John Maynard Keynes, Frank Knight, Claus Schwab and Carlota Perez.**



***Key words: Real Sector of economy, Industry, Industrial Revolution, Blockchain technologies, COVID-19.***

# კორონავირუსის გავლენა ეკონომიკაზე და რელიგიაზე

**რუსუდან სირბილაძე**
***ეკონომიკის დოქტორი,***
***თსუ მოწვეული პროფესორი***

*სტატია ეხება კორონავირუსის წარმოშობას, მის ხელოვნურად შექმნას, გავლენას ეკონომიკაზე, რელიგიაზე, მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე. მსოფლიო ეკონომიკაზე, მათ შორის, განვითარებული, განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის მართებულ გადაწყვეტილებებზე, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დასკვნებზე და რეკომენდაციებზე, კორონავირუსის გავლენით ეკონომიკაზე მიყენებულ ზარალზე, გლობალური ეკოონომიკური ზრდის შემცირებაზე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *კორონავირუსი, ეკონომიკა, რელიგია, მართლმადიდებლური სარწმუნოება, საქრთველოს კათოლიკოს პატრიარქი, ეკონომიკური ზარალი, ეკონომიკური ზრდა.*

**2020 წლის დასაწყისში მთელ მსოფლიოში და საქართველოში გავრცელდა პანდემია: სახელად კორონა ვირუსი ანუ გვირგვინი ვირუსი-19. ვირუსმა მთელი მსოფლიო მოიცვა, მათ შორის, განვითარებული ქვეყნები, ამერიკა, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი, განვითარებადი რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და ჩამორჩენილი ქვეყნებიც. პანდემიის განვითარება დიდი ტემპებით დაიწყო და მოიცვა სრულიად მსოფლიო. ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია და მასთან ერთად ყველა ქვეყნის სამინისტრო იმუშავებდა რეკომენდაციებს და მათ დაცვას თხოვდა მთელ საზოგადოებას. ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად მოსახლეობას სთავაზობდნენ გაფრთხილებულიყვნენ, რის გამოც უნდა დაეცვათ სხვა-**




წყარო: https://oc-media.org/features/analysis-georgia-follows-the-japan-trajectory-for-now/

დასხვა სახის ნორმა. იკრძალებოდა 10-ზე მეტი ადამიანის შეკრება, მანქანით 3-ზე მეტი ადამიანის გადაადგილება, 70 წელს მიღწეულების სახლიდან გასვლა, აუცილებელი იყო დისტანციის დაცვა და ა.შ. ამ ნორმების დაცვა მოითხოვდა საეკლესიო რიტუალებისგან თავის შეკავებას, რაც ქართველი მორწმუნე მრევლისთვის წარმოადგენდა მიუღებელ ქმედებას, თუმცა ამის თქმა არ შეიძლება რუსულ ეკლესიაზე, რომელმაც, ძირითადად, შეაჩერა წირვა-ლოცვა და დახურა ეკლესიის კარი, იგივე გააკეთა რომის პაპმაც, რომელმაც დაითხოვა მრევლი და მარტო, დამოუკიდებლად ატარებდა მესას, კონსტანტინეპოლმაც შეზღუდა ღვთისმსახურება, ასევე, მოიქცა საბერძნეთი და ბევრი ქვეყანა. ათონის მთაზე დაიხურა მომლოცველების შესვლა, ქართველი მართლმადიდებელი მრევლი ელოდა თავისი წინამძღოლის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის გადაწყვეტილებას, რომელმაც ღვთისმსახურებაში არანაირი ცვლილება არ შეიტანა და ჩვეულ რიტმში გააგრძელა, რის გამოც მას ცილი დასწამეს, გამოაცხადეს მოქალაქეების და მორწმუნეების მტრად. თუმცა მორწმუნე მრევლისთვის მისი გადაწყვეტილება დიდი შვება იყო. ეს იყო დახმარება, განმტკიცება, დაფარვა, შენდობა და დიდი იმედი. თუმცა ბევრი საეკლესიო მსახურიც კი არ იზიარებდა უწმინდესის გადაწყვეტილებას და ჩირქს სცხებდნენ მას და მის გადაწყვეტილებას, როგორც ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხეების შემცველს. გამოჩნდნენ ისეთი მოძღვრებიც, რომლებიც სრულად იზიარებდნენ უწმინდესის რჩევებს წირვა-ლოცვის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელების შესახებ. ისინი არა მხოლოდ იზიარებდნენ მის მოსაზრებას, არამედ სრულად გვერდში დგომით ეხმარებოდნენ როგორც უწმინდესს გადაწყვეტილების მიღებაში და განმტკიცებაში, ასევე მრევლს სწორი შეხედულებების ჩამოყალიბებასა და ნუგეშისთვის. როდესაც ადამიანი ლოცულობს და მარხულობს მასში შედის სულიწმინდა და ასეთი ადამიანი ღვთივსათნოა უფლისთვის. ამის შემდგომ დიდი დარტყმა იყო ზიარების წესის შეცვლაზე, თუმცა ჩვენი ბრძენი მწყემსმთავარი იღებს გადაწყვეტილებას, რომ ზიარების წესსაც არ შეცვლის, რადგან ეს წესი დაწესებულია მე-10 საუკუნეში და მისი გადახედვა არ იგეგმება, რადგან ყოვლად მიუღებელია ამ წესზე უარის თქმა. თუმცა შესაძლებლად ჩათვალა, მამებმა იქადაგონ და ლექციები ჩაატარონ ონლაინრეჟიმში და დაიცვან რეგულაციები. როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე უცხოეთში შესაძლებელი გახდა ადამიანებს ესმინათ მართლმადიდებლურ რელიგიასთან დაკავშირებული ლექციები და ეს იყო მორწმუნეთათვის და საეკლესიო ერთობისთვის. მართლმადიდებელი ეკლესია ერთადერთი ჭეშმარიტი ეკლესიაა, რომელიც მოციქულებმა და 7-მა საეკლესიო კრებამ დაამოწმა. ეკლესიას სულ ჰყავდა მტერი - ეშმაკი, სატანა, და ის ადამიანები, ვინც ებრძვის ეკლესიას და ეს შემორჩა დღემდე, რასაც გლობალიზაციამაც შეუწყო ხელი, უნდათ დამყარდეს ახალი მსოფლიო წესრიგი და საყოველთაო ტოტალური კონტროლი კაცობრიობაზე. ეს კეთილდღეობით შეფუთულია. დგება უკანასკნელი ჟამი და ანტიქრისტეს გამეფების შესაძლებლობა. ბოლო ჟამს იქნება ომები, ეპიდემიები, მიწისძვრები, სხვა კატაკლიზმები. ამ მოვლენებით გადაღლილი კაცობრიობა ინატრებს მშვიდობას, რიც გამოც კიდევ მეტი იქნება ღმერთისგან განდგომა და კაცობრიობა სულიერად ცოდვისკენ მიდრეკილი გახდება. ბედნიერება და სიხარული მოაქვს უფალთან სულიერ და ხორციელ შერიგებას. მცირე იქნება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც სულიერი თვალი გახელილი აქვთ და უფლის წინასწარმეტყველებებს ხედავს. ქრისტე დედამიწაზე იყო მოსული ადამიანთა გამოსახსნელად. და იგი არა თუ არ ცნეს, ავაზაკივით ჯვარზე გააკრეს. ბოლო ჟამს მოვლენები ძალიან დაჩქარდება. წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ანტიქრისტეს, ეშმაკს ცოტა დრო აქვთ და ამიტომ აჩქარდა დრო. ეკლესიის საწინააღმდეგოდ შეგნებული კომპანიაა, ჭეშმარიტების და მართლმადიდებლობის მტრები აბნევენ საზოგადოებას, კორონავირუსი ნამდვილად რეალურია, მაგრამ ის არ არის ბუნებრივი, ხელოვნურად შექმნილი ვირუსია საზოგადოების დასამარცხებლად და შესამცირებლად. გამოდის, ადამიანის ხელი ურევია ამ უბედურებაში, სწორედ ისეთი ადამიანების, რომელთაც არანაირი საერთო არ აქვთ სარწმუნოებასთან

და ეკლესიურ ცხოვრებასთან. ისინი მოწოდებულნი არიან, ადვილად მართონ საზოგადოება. ახორციელებენ მასობრივ ტერორს საზოგადოებაზე. შემთხვევით არაფერი ხდება და ვირუსიც, ალბათ, უფალმა დაუშვა ბევრი სხვა უარესი პროცესის თავიდან ასაცილებლად. ცნობილია, რომ დიოკლეტიანეს მმართველობის დროს რომის იმპერიაში ბევრი სასარგებლო პროცესი მოხდა. უამრავი წმინდანი შეიძინა ეკლესიამ, განმტკიცდა სარწმუნოება, დევნის დროს უფრო ძლიერდება ეკლესია. „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, რათა ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას". დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია სულიერად სწორი ხედვა და არათუ ქრისტეს დაკარგვა, არამედ მასთან ძალიან დაახლოება, ეს კი შესაძლებელია ეკლესიასთან მჭიდრო კავშირში, წირვალოცვებზე დასწრებით, მარხვით, ლოცვით, აღსარებით, ზიარებით და ეკლესიური ცხოვრებით. რადგან საქართველოს და მართლმადიდებლობას ბევრი ისეთი საუნჯე აქვს, რომელიც ძნელია, მსოფლიოს ეკლესიებს შორის აღმოაჩინო. „ქებაი და დიდებაი ქართველთა ერისაი", „ამას შინა ენასა ლაზარე ჰქვია", წინასწარმეტყველები ამბობენ, რომ ქართული ენით მოხდება კაცობრიობის განკითხვა. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ახლოს არის მეორედ მოსვლა, ამიტომ საქართველოს. უბრალოდ. არ აქვს უფლება. მიიღოს არასწორი გადაწყვეტილებები და ჩვენი პატრიარქის სიბრძნე ყველა საკითხზე მათ შორის ქადაგებები სიყვარულზე, პატივისცემაზე, ურთიერთობებზე. მეტი ეკლესიური ადამიანი საზოგადოებას მაგალითს აძლევს, რადგან გამოირჩევა და განსხვავდება სხვა ადამიანებისგან დიდსულოვნებით, კანონმორჩილებით, სიმშვიდით, სათნოებებით, სიფრთხილით, სიფხიზლით. წმინდა ზიარება ცვლის ადამიანს და მიმართავს, დაწვას ცოდვის მიმართ მიდრეკილებანი. ამ მოვლენათა დადებითი მხარეები ჭეშმარიტი ღირებულებებია, რომლის შეძენის შემდეგ ის აღწევს ყველა სიმაღლეს და ერთგულებას ჭეშმარიტი სარწმუნოებისადმი. ამ მიწა-წყალზე ბოროტი ძალა ტახტს ვერ დაიდგამს. ივერია გაბრწყინდება სულიერად და გაბრწყინებული შეხვდება უფლის დიდებით მოსვლას. ღვთისმსახურების დროს ერთიანდება ცა და დედამიწა, ყველა ადამიანი ქრისტემოსილს ემსგავსება. ასეთი მადლი არც ერთმა ადამიანმა არ უნდა მოიკლოს და მის გარეშე არ უნდა დარჩეს. ზიარება თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თანაზიარი ხდება ქრისტეს უხრწნელი ხორცისა და სისხლისა. ბრძოლა საკუთარ თავთან და ცოდვებისგან განთავისუფლება მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს, რათა ადამიანმა სინათლე შემოუშვას თავის თავში და მოწესრიგებული დახვდეს უფალს. განსაკუთრებით კი იმ ადამიანებს, „ვისაც მეტი მიეცა, მეტიც მოეკითხება".

კორონა ვირუსის გავლენით მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა ყველა იმ ქვეყნის ეკონომიკას, სადაც ის იყო გავრცელებული. აშშ-ში დაეცა აქციებზე ფასები, ევროპაში ბევრ სექტორში უმუშევრობა იქცა დიდი პრობლემად. ტურიზმის შემცირებამ ავიარეისების გაუქმებამ სერიოზული ეკონომიკური ზარალი მიაყენა ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა სფეროს. გაჩერდა რესტორნები, სასტუმროები, ბაღები, მაღაზიები, ბაზრობები, მშპ შემცირდა. დაღი დაესვა მდგრად წარმოებას, ამან პირდაპირი ზემოქმედება იქონია საზოგადოების შემოსავლებზე და კეთილდღეობაზე. კვლევებით დასტურდება, რომ კორონავირუსმა 200-დან 400 მილიარდამდე ზარალი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. ასევე, გაეროს ბოლო კვლევები ადასტურებს, რომ გლობალური ეკონომიკური ზრდა დაეცა და ის 2,5%-ს შეადგენს. ჯამში, მეორე ტალღის შემდეგ ეკონომიკური ზარალი ტრილიონზე მეტი იქნება. ყოველივე ეს გამოწვეულია წარმოების და ვაჭრობის შემცირებით. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთში და ბევრ სხვა ქვეყანაში ვარდნას განიცდის, მცირდება ექსპორტი, იმპორტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. შემცირდა საგარეო ვაჭრობა, ევროკავშირის შეფასებები აცდა კოვიდის რეალობას. რუსეთში ეკონომიკური ზრდა 1.2 %-ით შემცირდა.




მსოფლიოს სიდიდით მეორე ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, ჩინეთში, არა ერთი კომპანია დაიხურა, მსგავსი სირთულეების წინაშე აშშ და ევროკავშირის განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიც დადგნენ [1, გვ. 14].

ფაქტია, რომ კორონავირუსმა ტურისტული სექტორი დააზარალა, სამგზავრო გადაზიდვებს ზიანი მიაყენა, საფონდო ბაზრებზე დაფიქსირებული ვარდნა კი ეკონომიკის რეალურ სექტორზე უშუალოდ აისახა [1, გვ. 14].

2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოცდილებიდან გამომდინარე, ეკონომისტების ხელთაა ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა: საგადასახადო შეღავათების დაწესება, ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირება და ლიკვიდურობის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება, მთავრობის მხრიდან მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული ნაწილის სოციალური დაცვის გაძლიერება [1, გვ. 14].

რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებების გარდა, პრიორიტეტულია მთავრობის მიერ ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდა [1, გვ. 14].

ის, თუ რამდენად საკმარისი იქნება ამ ღონისძიებების გატარება კორონომიკური კრიზისის პირობებში, დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მედიცინას კორონავირუსისგან სამკურნალო პრეპარატის, ასევე შესაბამისი ვაქცინის შექმნას, დამზადებასა და გავრცელებას [1, გვ. 14].

საყურადრებოა, რომ ჩამოთვლილი ღონისძიებები, საბოლოო ანგარიშით, გამოიწვევს საბიუჯეტო დეფიციტის ზრდას და, დიდი ალბათობით, ეს იქნება პანდემიით მოცული ყველა ქვეყნის საკმაოდ მნიშვნელოვანი პოსტკრიზისული პრობლემა [1, გვ. 14].

**ლიტერატურა:**

1. პაპავა ვ., 2020, კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი, ეკონომიკა და ბიზნესი, ტ. XII, გვ. 13-16.
2. მოძღვრების ქადაგებები.

## The impact of the coronavirus on the economy and religion

**Rusudan Sirbiladze**
*Doctor of Economics, TSU Visiting Professor*

S u m m a r y

**The study deals with the origin of the coronavirus, its artificial creation, its impact on the economy, religion, and the Orthodox faith. The current status of the world economy, including the under-developed, developing and developed countries, the decisions of the Catholicos Patriarch of Georgia, His Holiness, Metropolitan of Tskhum Abkhazia, Ilia II, the conclusions and recommendations of the World Health Organization, the economic impact of the coronavirus on the reduction of economic growth.**

***Keywords: Coronavirus, Economy, Religion, Orthodox Faith, Georgian Catholicos, Patriarch, Economic Loss, Economic Growth***

# ინოვაციების გავლენა მწარმოებლურობაზე ფირმების ზომის მიხედვით საქართველოში[1]

**დავით სიხარულიძე**
*ასოცირებული პროფესორი*

**შოთა შაბურიშვილი**
*ასოცირებული პროფესორი*

**ლეილა ქადაგიშვილი**
*ასისტენტ- პროფესორი*

**თეა მუნჯიშვილი**
*ასოცირებული პროფესორი*

**რუსუდან მაისურაძე**
*დოქტორანტი*

**ხატია უდესიანი**
*დოქტორანტი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია ინოვაციური საქმიანობის გავლენა ქართული ფირმების მწარმოებლურობაზე. კვლევაში გამოყენებულია მსოფლიო ბანკის მიერ 2019 წელს ფირმის დონეზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემთა ბაზა. ფართოდ გავრცელებული სტრუქტურული მოდელის (CDM მოდელი) საშუალებით შესწავლილ იქნა მწარმოებლურობაზე პროდუქტ/მომსახურებისა და პროცესების ინოვაციების გავლენა. მოდელი სამ ეტაპს მოიცავს: პირველ ეტაპზე მოხდა კვლევასა და განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა, მეორე ეტაპზე _ პროდუქტ/მომსახურებისა და პროცესების ინოვაციების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი, ხოლო მესამე ეტაპზე _ ინოვაციების გავლენა მწარმოებლურობაზე. ქართული ფირმების მაგალითზე ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევამ მოულოდნელი შედეგები აჩვენა: 1. კვლევასა და განვითარებას ინოვაციურ პროცესებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა აქვს; 2. ინოვაციების წვლილი შრომის მწარმოებლობაში არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ამასთან გამოვლინდა, რომ შრომის მწარმოებლურობაზე დადებით გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ინვესტიციები ძირითად კაპიტალში და დასაქმებულები.*

*საკვანძო სიტყვები: ინოვაციები,მწარმოებლურობა, ფირმის ზომა, კვლევა და განვითარება.*

## შესავალი

ეკონომიკურ თეორიაში აღიარებულია, რომ კეთილდღეობის უწყვეტი ზრდა და ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპების შენარჩუნება, წარმოუდგენელია მწარმოებლურობის გაუმჯობესების გარეშე. მწარმოებლურობა არის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ცხოვრების დონის გაუმჯობესების შესაძლებლობას (კრუგმა-

[1] კვლევა განხორციელდა თსუ-ს ეკონომიკსა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში.

ნი 1990). ეს ნიშნავს, რომ ქვეყნები უფრო მეტად უნდა დაეყრდნონ ადგილობრივ ინოვაციებს, როგორც ეროვნული ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ფაქტორს.

მსოფლიო ბანკი საქართველოში დაბალი მწარმოებლურობის მიზეზებს შორის ასახელებს ტრანსპორტის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურის ხარვეზებს, ნაკლოვანებებს სახელმწიფო ადმინისტრაციის შესაძლებლობებში, დაფინანსების წყაროებზე შეზღუდულ წვდომას და მწირ სამეწარმეო უნარებს. მიუხედავად იმისა რომ უკანასკნელ წლებში სატრანსპორტო კავშირი გაუმჯობესდა, კვლავ არსებობს ლოგისტიკის ხარვეზები, რაც ზრდის დანახარჯებს შიდა და საერთაშორისო ვაჭრობაში[1].

მსოფლიო ბანკის მიერ 2019 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ფირმების ინოვაციური პროცესების სიხშირის შესახებ მოცემულია ცხრილი 1-ში. როგორც ცხრილიდან ჩანს 578 გამოკითხული ფირმიდან უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მხოლოდ 43% ფირმამ დანერგა ახალი პროდუქტი/მომსახურება ან გააუმჯობესა არსებული პროდუქტი/ მომსახურება, ფირმების 17%-მა დანერგა ახალი ან გააუმჯობესა არსებული პროცესები, ფირმების მხოლოდ 23%-მა გაწია ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე.

ინოვაციური პროცესები მცირე, საშუალო და მსხვილ ფირმებში

**ცხრილი 1**

| | მცირე | | საშუალო | | მსხვილი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | % | რაოდენობა | % | რაოდენობა | % | სულ |
| უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თქვენს ორგანიზაციას თუ დაუნერგავს ახალი პროდუქტი ან მომსახურება ან გაუუმჯობესებია არსებული პროდუქტი ან მომსახურება | | | | | | | |
| არ ვიცი | 2 | | 0 | | 0 | | 2 |
| დიახ | 121 | 49,2 | 85 | 34,6 | 40 | 16,3 | 246 |
| არა | 198 | 60,2 | 96 | 29,2 | 35 | 10,6 | 329 |
| უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თქვენს ორგანიზაციას თუ დაუნერგავს ახალი ან გაუუმჯობესებია პროცესები: პროდუქტის წარმოების/მომსახურების მეთოდები; შემომავალი რესურსების, პროდუქტების/მომსახურების ლოჯისტიკისა და განაწილების მეთოდები დამხმარე საქმიანობა პროცესებისათვის. | | | | | | | |
| არ ვიცი | 2 | 66,7 | 1 | 33,3 | 0 | 0,0 | 3 |
| დიახ | 44 | 45,4 | 29 | 29,9 | 24 | 24,7 | 97 |
| არა | 275 | 57,7 | 151 | 31,7 | 51 | 10,7 | 477 |
| სულ | 321 | 55,6 | 181 | 31,4 | 75 | 13,0 | 577 |
| უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ორგანიზაციამ გაწია ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე? | | | | | | | |
| არ ვიცი | 0 | 0,0 | 0 | 0,0 | 1 | 100,0 | 1 |
| დიახ | 52 | 37,7 | 56 | 40,6 | 30 | 21,7 | 138 |
| არა | 269 | 61,4 | 125 | 28,5 | 44 | 10,0 | 438 |
| სულ | 321 | 55,6 | 181 | 31,4 | 75 | 13,0 | 577 |

ცხრილში ასევე მოცემულია ინოვაციური პროცესების მიმდინარეობა ფირმებში მათი ზომის მიხედვით. როგორც ცხრილი 1-დან ჩანს 246 ფირმიდან, რომელმაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დანერგა ახალი პროდუქტი/მომსახურება ან გააუმჯობესა არსებული, 50% მცირე ზომის ფირმაა, 34,6% საშუალო, ხოლო 16% მსხვილი. 97 ფირმიდან, რომელმაც დანერგა ან გააუმჯობესა პროცესები 45% მცირე ზომისაა, 30% საშუალო, ხოლო 24,7% მსხვილი. 138 ფირმიდან, რომელმაც გასწია ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე 37,7% მცირე ზომისაა, 40,6% საშუალო, ხოლო 22% მსხვილია.

[1] World Economic Forum: Georgia from reformer to performer. A Systematic Country Diagnostic.

კვლევის მიზანია საქართველოში პირველად ემპირიულად გამოვიკვლიოთ ფირმებში ინოვაციური პროცესების გავლენა მწარმოებლურობაზე მათი ზომის მიხედვით. ნაშრომი მოიცავს ლიტერატურის ანალიზს, თეორიულ და ემპირიულ მოდელს, ემპირიული კვლევის შედეგს.

## ლიტერატურის ანალიზი

ფირმაში ინოვაციური პროცესი წარმოადგენს მისი კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორს, რომელიც ფირმის მწარმოებლურობით განისაზღვრება. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ფირმის მწარმოებლურობაზე ინოვაციური საქმიანობის შეფასებით მრავალი მკვლევარი იყო დაინტერესებული, როგორც ინოვაციური პოლიტიკის გატარების, ასევე მისი ეკონომეტრიკული კვლევების კუთხით. საერთაშორისო დონეზე, ამ მიმართულებით არსებობს ემპირიული კვლევების მდიდარი ბაზა, რომელიც ზომავს როგორც პროდუქტის, ასევე პროცესების ინოვაციების გავლენას მწარმოებლურობაზე (Griliches, 1995). მიუხედავად ამისა, საქართველოში მწარმოებლურობაზე აღნიშნული ტიპის ინოვაციების გავლენა ემპირიულად შესწავლილი არაა.

მაკრო დონეზე ინოვაციური პრობლემები ძირითადად ეკონომიკური ზრდის შესახებ კვლევებში აისახებოდა, სადაც ეკონომიკური ზრდა განიხილებოდა, როგორც ენდოგენური ფენომენი (Romer, 1990); (Aghion, 1992); (Schumpeter, 1942); (Porter, 1985). სწორედ ამ კვლევებმა განაპირობეს ინოვაციების მიმართ ინტერესის ზრდა. აღნიშნულმა კვლევებმა, წარმოების ფუნქციის ცნების ფარგლებში წარმოების ინოვაციური კომპონენტი ცოდნის დაგროვებასთან დააკავშირა. ამ ნაშრომებზე დაყრდნობით მკვლევარმა (Kline J., 1986) ხაზი გაუსვეს ინოვაციის უკეთ გააზრების აუცილებლობას, მისი რთული და შემთხვევითი ხასიათის გამო. შუმპეტერი ინოვაციას განმარტავს, როგორც ახალი პროდუქტების, პროცესებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების სამეწარმეო ძიების შედეგს. ინოვაციური აქტივობების შედეგები განსხვავდება ფირმებს შორის, რამდენადაც მას შეუძლია ზოგიერთ ფირმას საბაზრო ძალაუფლება მიანიჭოს, ხოლო დანარჩენებს მხოლოდ ზღვრული მოგება შესთავაზოს. იმის გამო, რომ ინოვაციების სხვადასხვა ტიპი განსხვავებულ გავლენას ახდენს ფირმებზე, ინოვაციის სხვადასხვა ფორმების თანამედროვე გაგება, მხოლოდ ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა მიკრო დონეზე კვლევებით. მათი მეშვეობით შესაძლებელია ფირმების სხვადასხვა სახის ინოვაციური ძალისხმევის გაზომვა. ინოვაციური საქმიანობის ტრადიციული საზომები, როგორებიცაა დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე და პატენტების რაოდენობა, ჩაანაცვლა ფირმების წარმოების ინოვაციურმა კომპონენტებმა და წარმოების შედეგის პირდაპირმა საზომებმა.

ენდოგენური ზრდის მოდელებში მწარმოებლურობის ზრდა ნაწილობრივ განპირობებულია კვლევასა და განვითარებაზე გაწეული დანახარჯებით, რომელიც კომერციული მიზანშეწონილობის შემთხვევაში ხორციელდება. ინოვაცია კი არის კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ძალისხმევის შედეგი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ახალი შუალედური ან სამომხმარებლო საქონლის სახე. მათი მრავალფეროვნება კი ზრდის მწარმოებლურობას ან მომხმარებლის სარგებლიანობას.

ინოვაციების მიმართ მეცნიერების ინტერესი განსაკუთრებით 90-იანი წლების დასაწყისიდან გაიზარდა. მწარმოებლურობა ინოვაციური კომპონენტის ნაცვლად დააკავშირეს წარმოებაში განხორციელებული ინოვაციის შედეგებთან. ამან შესაძლებელი გახადა ინოვაციებზე დაფუძნებული მწარმოებლურობის საწარმოო ფუნქცია გაგვეერთიანებინა ცოდნის წარმოების ფუნქციასთან. ასეთი სტრუქტურული მოდელი თავდაპირველად შემოგვთავაზა (Pakes, 1980)-ის კვლევამ, რომლებმაც გამოიყენეს პატენტები, როგორც ინოვაციის შედეგი. მოგვიანებით ეს მოდელი დანერგეს მკვლევარებმა (Crepon, 1998), რომლებმაც პატენტები და ინოვაციების გაყიდვების წილი გამოიყენეს ინოვაციების შედეგის ალტერნატიულ საზომად, რაც CDM მოდელის სახელით გახდა ცნობილი. CDM

მოდელი კვლევასა და განვითარების და ინოვაციის შედეგის ენდოგენურობას ზომავს განტოლებათა სისტემით, სადაც ერთი ტოლობა გვიჩვენებს ინოვაციის ინტენსიურობას, ხოლო მეორე - მწარმოებლურობის ზრდის ტემპს. ამასთან, ფირმების ნაწილი საერთოდ არაა დაკავებული კვლევითა და განვითარებით და არაა ინოვაციური. CDM მოდელში შერჩევითობის ეს საკითხი ასევე წყდება “tobit” მოდელების ანუ ჰეკმანის ორსაფეხურიანი მიდგომის გამოყენებით. CDM სტრუქტურა იძლევა ბინარული და უწყვეტი მონაცემების გამოყენების საშუალებას ინოვაციური კომპონენტის და/ან შედეგისთვის.

თავდაპირველი CDM მოდელი წარმოადგენს რეკურსიულ მოდელს, რომელშიც არ არსებობს მწარმოებლურობის უკუკავშირი კვლევასა და განვთარებასთან. შესაძლოა მწარმოებლური ფირმები სწორედ იმიტომ არიან უფრო მეტად ინოვაციურები, რომ მათ შეუძლიათ ინოვაციური პროექტების დაფინანსება. ამის განსახორციელებლად იყო რამდენიმე მცდელობა ჩაერთოთ მწარმოებლურობა ინოვაციური კომპონენტის ან ინოვაციური შედეგების ტოლობაში (Baum C. H., 2017); (Raymond W. J., 2015); (Cainelli G., 2007). CDM მოდელის კიდევ ერთი განზოგადება უშვებს ლაგს ურთიერთკავშირში კვლევასა და განვითარებას, ინოვაციასა და მწარმოებლურობას შორის, ასევე მდგრადობას ინოვაციებსა და მწარმოებლურობაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დავუშვათ გამოუვლენელი ჰეტეროგენურობა რათა თავიდან ავიცილოთ მოჩვენებითი მდგრადობა. როგორც ჩანს მდგრადობა კორელაციაშია ინოვაციის ინტენსიურობასთან, რამდენადაც ის უფრო აშკარაა იმ ინოვაციურ ფირმებში, რომლებიც კვლევითა და განვითარებით არიან დაკავებული (Peters B. , 2009), მაღალტექნოლოგიურ დარგებში (Raymond W. P., 2010) და რადიკალ ინოვატორებში (Zhen, 2018) (Zhen, 2018).

(Peters B. M., 2013) თანახმად, გერმანიაში მაღალტექნოლოგიურ დარგებში სწორედ პროდუქტის ინოვაცია ზრდის მწარმოებლურობას, ხოლო დაბალტექნოლოგიურ დარგებში - პროცესის ინოვაცია. როგორც (Jaumandreu, 2017) კვლევა გვიჩვენებს, ძნელია ცალ-ცალკე სხვადასხვა ტიპის ინოვაციის შედეგის იდენტიფიცირება. იმის გამო, რომ ერთის მხრივ ინოვაციური შედეგის თითოეული ტიპის სხვადასხვა ცვლადით შესასწავლად ცოტა რამ ვიცით, ხოლო მეორეს მხრივ - სხვადასხვა ტიპის ინოვაციის დანერგვა ზოგჯერ ერთდროულად ხდება.

საფრანგეთის მონაცემებზე დაყრდნობით, (Mairesse J., 2005) გვიჩვენეს, რომ CDM მოდელით გამოანგარიშებული კვლევისა და განვითარების უკუგების ნორმა შესაბამისობაშია იმ მაჩვენებელთან რაც შეიძლება მიგვეღო შემოკლებული ფორმის მოდელით, სადაც კვლევა და განვითარება პირდაპირ წარმოების ფუნქციის ნაწილია. კვლევებმა ასევე ცხადყო, რომ განსაკუთრებით ნაკლებად ტექნოლოგიურ ფირმებში, მცირე და საშუალო ზომის ფირმებსა და განვითარებადი ქვეყნების ფირმებში, ინოვაციის პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ის ინოვაცია, რომელიც კვლევასა და განვითარებას არ უკავშირდება.

ცოდნის დონის ასამაღლებლად ეს ფირმები საკუთარ კვლევასა და განვითარებაზე დაყრდნობის ნაცვლად ყიდულობენ გარე ტექნოლოგიებს და ახორციელებენ ინვესტიციებს წარმოების მოწინავე ტექნოლოგიებში, ლიცენზირებასა და ტრენინგებში (Santamaría, 2009); (Huang, 2010).

მათი მოდელი საშუალებას აძლევს ფირმებს იყვნენ ინოვაციურები კვლევისა და განვითარების გარეშე; ფაქტობრივად, გერმანიის მონაცემებზე დაყრდნობით, მკვლევარები ასკვნიან, რომ ფირმების 22% იყენებს ამ მიდგომას. ფირმები, რომლებიც დაკავებულები არიან კვლევითა და განვითარებით უფრო მეტად ინოვაციურები არიან, მაგრამ კვლევა და განვითარება არ არის საკმარისი პირობა ინოვაციურობისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება მცირე და საშუალო ზომის ფირმებს და შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტიულობაზე ინოვაციის გავლენის არასათანადო შეფასება. ამ პრობლემის გადასაჭრელად, შემდგომ კვლევებში ინოვაციის კომპონენტების ნაცვლად ფოკუსირება ხდებოდა ინოვაციების შედეგზე. შესაბამისად, რეგრესულ განტოლებებში ინოვაციის კომპონენტებზე მეტად ითვალისწინებდნენ ინოვაციური პროცესების შედეგებს. ამ მსჯელობის საფუძველი მარტივია: იმ შემთხვევაში, თუ შე-

უძლებელია ფირმის მიერ გამოვლენილი ინოვაციური ძალისხმევის გაზომვა ფარული და არადაკვირვებადი ცვლადების არსებობის გამო, საჭიროა დავაკვირდეთ კვლევასა და განვითარებაზე დახარჯული ფინანსური რესურსების შედეგებს: ტრენინგი, ტექნოლოგიების ათვისება, ბაზრისთვის ან ფირმისათვის ახალი პროდუქტების გაყიდვა. ყველა ეს საქმიანობა შესაძლოა წარმატებული ინოვაციური ძალისხმევის ნიშანი იყოს, მაგრამ თუ მხოლოდ კვლევასა და განვითარებას განვიხილავთ, ბევრი ამ სახის არაფორმალური აქტივობა გამოგვრჩება ანალიზიდან. (Blundell, 1993), (Crépon, 1998), (Kleinknecht, 1987) თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოების კვლევისა და განვითარების ოფიციალურმა საზომებმა შესაძლოა არასათანადოდ შეაფასოს მათი ინოვაციური აქტივობები.

კერძოდ, (Parisi, 2006) ნაშრომში იტალიური ფირმების მაგალითზე CDM მოდელი მახასიათებლები გამდიდრებულია დროითი მწკრივებით. ისინი ასკვნიან, რომ პროცესის ინოვაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მწარმოებლურობაზე, სადაც კვლევასა და განვითარებას დადებითი კავშირი აქვს ახალი პროდუქტის დანერგვასთან, ხოლო პროცესის ინოვაციის ალბათობა პირდაპირ კავშირშია ინვესტიციების განხორციელებასთან კომპანიის ძირითად კაპიტალში.

(Peters B. M., 2013) მაღალტექნოლოგიურ დარგებში კვლევასა და განვითარებაზე მიღებული უკუგების საშუალო მაჩვენებელი 6,7%-ს შეადგენს, დაბალტექნოლოგიურ ინდუსტრიებში შესაბამისი მაჩვენებელი 2.8%-ია. მათ ასევე აღმოაჩინეს ჰეტეროგენურობა ფირმებს შორის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს (Baum C. H., 2017), რომლებიც მიიჩნევენ, რომ ურთიერთდამოკიდებულება ინოვაციასა და მწარმოებლურობას შორის განსხვავდება დარგების მიხედვით. შედარების მიზნით OECD-ის 18 ქვეყანაში ჩატარებული საერთაშორისო კვლევით ასევე დადგინდა ჰეტეროგენურობა ქვეყნებს, დარგის ტიპებსა და ფირმების ზომებს შორის - ზოგადად ინოვაციების გავლენა უფრო დიდი იყო საწარმოო სექტორში, ვიდრე მომსახურების (OECD, 2009). წარმოების ინოვაციურ კომპონენტს, ინოვაციურ შედეგსა და მწარმოებლურობას შორის დადებითი კავშირი ჩანს ლათინურ-ამერიკის ქვეყნების მონაცემებზე დაყრდნობით, მაგრამ მწარმოებლურობის ნახევრად ელასტიკურობა ინოვაციის დიქოტომიურ საზომებთან შედარებით უფრო მაღალია ლათინურ ამერიკაში, ვიდრე ევროპის ქვეყნებში და ასახავს შედარებით დიდ სხვაობას მწარმოებლურობაში, რომლის დაძლევაც ლათინური ამერიკის ქვეყნებში ინოვაციითაა შესაძლებელი (Crespi and Zuniga, 2012).

არსებობს სხვადასხვა სახის მტკიცებულება სხვადასხვა სახის ინოვაციებს შორის ურთიერთშევსებადობის არსებობის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ტიპის ინოვაციისგან მიღებული უკუგება გაიზრდება სხვა ტიპის ინოვაციის არსებობის შემთხვევაში. (Ballot, 2015) დაადგინეს გარკვეული სახის ურთიერთშევსებადობა პროდუქტისა და პროცესის ინოვაციებს შორის საფრანგეთსა და გაერთიანებულ სამეფოში. პროდუქტისა და ორგანიზაციულ ინოვაციას შორის ურთიერთშევსებადობა მხოლოდ საფრანგეთში დადგინდა.

Peters და სხვები (2017) ვერანაირ მტკიცებულებას ვერ პოულობენ, რომ პროდუქტისა და პროცესის ინოვაციის ერთდროულ დანერგვას რაიმე სახის დამატებითი ეფექტი ჰქონდეს გერმანულ ფირმებში. Schmidt და Rammer (2007) ასკვნიან, რომ პროდუქტისა და პროცესის ინოვაციები იწვევენ ხარჯების მეტად შემცირებას და მეტ ახალ (ბაზრისთვის ახალ) პროდუქტის ინოვაციებს, როცა ისინი ორგანიზაციულ და მარკეტინგულ ინოვაციებთან ერთად ხორციელდება.

## მონაცემები და კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში მსოფლიო ბანკის მიკრო მონაცემებია გამოყენებული. 2019 წელს მსოფლიო ბანკის ეგიდით საქართველოში სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის გამოყენებით საწარმოთა გამოკითხვა განხორციელდა.

გამოყენებული იყო სტრატიფიკაციის სამი დონე: დარგი, ორგანიზაციის ზომა და რეგიონი. დარგის სტრატიფიკაცია შემდეგნაირად განხორციელდა: გენერალური ერთობ-

**ლიობა დაიყო ორ სამრეწველო და სამ მომსახურების დარგად - საკვები და სასმელი (ISIC Rev. 3.1 კოდი 15), სხვა სახის მრეწველობა (ISIC კოდები 16-37), საცალო ვაჭრობა (ISIC კოდი 52), სასტუმროები და რესტორნები (ISIC კოდი 55), სხვა სახის მომსახურება (ISIC კოდები 45, 50, 51, 60-64, და 72).**

**საწარმოთა კვლევის სტანდარტის შესაბამისად, გამოკითხვა ეფუძნებოდა ზომის შემდგომ სტრატიფიკაციას: მცირე (5-დან 19-მდე დასაქმებული), საშუალო (20-99 დასაქმებული), და მსხვილი (100 ან მეტი დასაქმებული).**

**რეგიონული სტრატიფიკაცია განხორციელდა ხუთ რეგიონად: თბილისი; აღმოსავლეთი; აჭარა; გურია, სამეგრელო, ზემო სვანეთი; ცენტრალური რეგიონი.**

## ემპირიული მოდელი

**ემპირიული ანალიზი დაფუძნებულია კრეპონის (Crépon, 1998) მიერ შემუშავებულ ფართოდ გამოყენებულ სტრუქტურული მოდელის (CDM მოდელი) ადაპტირებულ ვერსიაზე. CDM მოდელი ხსნის ფირმის მწარმოებლურობას, რომელიც მიიღება ინოვაციების შედეგად, ხოლო ინოვაცია მიიღება კვლევასა და განვითარებაში გაწეული ინვესტიციების შედეგად. სტანდარტული CDM მოდელი მოიცავს ორ ტოლობას, რომელიც დაკავშირებულია კვლევას და განვითარებასთან. პირველი ინოვაციის ტოლობაა და მეორე ტოლობა განსაზღვრავს წარმოების ფუნქციას. სხვადასხვა კვლევებში სხვადასხვა ეკონომეტრიკულ მოდელებს ირჩევენ და შესაბამისად ამხსნელ ცვლადებსაც. კვლევაში ჩვენ ძირითადად გამოვიყენებთ გრიფიტის (Griffith, 2006) მოდელს. თუმცა, ამხსნელი ცვლადების ნაკრები მნიშვნელოვან წილად განსხვავებულია.**

**მოდელი, რომელსაც ჩვენ გამოვიყენებთ შეიძლება იყოს შემდეგნაირად ფორმულირებული. დავუშვათ *i* = 1, ... , N ფირმის ინდექსაციისათვის. ტოლობა (1) წარმოადგენს ფირმის ფარულ (დაუკვირვებადი) მიდრეკილებას ინოვაციისადმი $g_i^*$ :**

***სადაც***

$$g_i^* = \beta_0 x_{0i} + \varepsilon_{0i} \quad (1)$$

**აქ $x_{0i}$ არის ცვლადების ვექტორი, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციისადმი მცდელობას, $\beta_0$ არის მასთან დაკავშირებული კოეფიციენტის ვექტორი და $\varepsilon_{0i}$ შეცდომის წევრი. დავუშვათ $g_i$ არის დაკვირვებადი ინდიკატორული ცვლადი. ტოლობა, როდესაც 1-ის ტოლია, ფირმა ჩართულია კვლევა-განვითარების საქმიანობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში 0-ის ტოლია. ფირმა აბანდებს ინვესტიციებს კვლევასა და განვითარებაში (ზოგადად, ცოდნის გამომმუშავებელ საქმიანობაში ანუ $g_i$ =1) თუ $g_i^*$> c, სადაც c არის რაღაც კონსტანტა, რომელიც წარმოადგენს საწყის დონეს. შესაბამისად, თუ $g_i^* \leq c$, მაშინ $g_i = 0$. $g_i^*$-ს პირობა წარმოადგენს ინოვაციურ საქმიანობაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების კრიტერიუმს; მაგალითად, მოსალოდნელი შემოსავალი დაბანდებულ ინვესტიციებზე კვლევასა და განვითარებაში (Crépon . 2006).**

**თუ ფირმა ჩართულია ინოვაციურ საქმიანობაში (ანუ, თუ $g_i^* > c$), ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ *i* ფირმის მიმდინარე კვლევასა და განვითარებაზე გაწეულ ხარჯებს (ანუ მთლიან ინოვაციურ ხარჯებს), რომელსაც აღვნიშნავთ $r_i$. $r_i^*$ ცვლადი გვიჩვენებს კვლევის ფარულ ინტენსივობას *i* ფირმისათვის. ეს ორი ცვლადი $r_i$ და $r_i^*$ დაკავშირებულია მოდელის მეორე ტოლობასთან:**

$$r_i = \begin{cases} r_i^* = \beta_i x_{1i} + \varepsilon_{1\,i} if g_i = 1 \\ 0\ if g_i = 0 \end{cases} \quad (2)$$

**ჩვენ გამოვიყენებთ განზოგადებულ tobit მოდელს (1) და (2) ტოლობის შესაფასებლად. (2) ტოლობა გვიჩვენებს კვლევისა და განვითარების საქმიანობის ზომასა ან ინ-**

ტენსიურობას (მაგალითად კვლევასა და განვითარებაზე გაწეულ ხარჯებს ერთ დასაქმე-ბულზე). კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯების ნაცვლად ჩვენ გამოვიყენებთ ინოვაციურ საქმიანობაზე გაწეულ მთლიან ხარჯებს. ამის მიზეზია ის, რომ შედარებით მცირე რაოდენობის ქართული ფირმები არიან ჩართულნი კვლევა განვითარების საქმია-ნობაში.

ჩვენ განვსაზღვრავთ ამხსნელი ცვლადების $x_{0i}$ და $x_{1i}$ ვექტორს, როგორც

$$x_{0i} = l_i, f_i, m_i, I_i \text{ და } x_{1i} = f_i, m_i, c_i, o_i I_i$$

სადაც $\mathrm{l_i}$ არის ფირმის ზომა (დასაქმებულთა რაოდენობა ლოგარითმული სახით წარ-მოდგენილი), $\mathrm{f_i}$ ინვესტიციები განხორციელებული მანქანა დანადგარებში, $\mathrm{m_i}$ არის ბინარული ცვლადი, რომელიც გვიჩვენებს ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას (ვანიჭებთ 1 თუ ფირმა ძირითადად ჩართულია საერთაშორისო ბიზნესში); $c_i$ არის ბი-ნარული ცვლადების ვექტორი, რომელიც გვიჩვენებს ინოვაციური თანამშრომლობის სხვადასხვა მეთოდს;. $o_i$ არის ბინარული ცვლადების ვექტორი, რომელიც გვიჩვენებს სხვადასხვა დაბრკოლებებს ინოვაციისადმი და $I_i$ არის დარგების აღმნიშვნელი. მესამე ტოლობა წარმოადგენს ცოდნის ან ინოვაციის წარმოების ფუნქციას, რომელიც ცოდნის შედეგს (ინოვაციას) აკავშირებს ინოვაციაზე მოქმედ ფაქტორებთან:

$$t_i = a_K r_i^* + \beta_2 x_{2i} + \varepsilon_{2i} \text{ (3)}$$

სადაც, $t_i$ - ცვლადი არის ინოვაციის შედეგი ან ცოდნა, რომელიც წარმოადგენს პრო-დუქტის და პროცესების ინოვაციის ინდიკატორს (ბინარული ცვლადი), $x_{2i}$ - არის ამხსნელი ცვლადების ვექტორი, $\varepsilon_{2i}$ - შეცდომის წევრი. $x_{2i}$ ვექტორი = $f_i, m_i, c_i, o_i I_i$ .

ჩვენს მიერ გამოყენებულ მოდელში პროდუქტებისა და პროცესების ინოვაცია წარმოადგენს ბინარულ ცვლადს (Griffith 2006) ან მის ალტერნატივად შეიძლება იყოს გამოყენებული ახალი პროდუქტების გაყიდვები ერთ მუშაზე (Lööf, 2003). ჩვენ გამოვიყენებთ მესამე ტოლობას, როგორც ბინარულ Probit მოდელს, შესაბამისად დამოკიდებული ბინარული ცვლადი იქნება პროდუქტის $P_i$ და პროცესების $Q_i$ ინოვაცია.

მოდელის უკანასკნელი ტოლობა არის წარმოების ფუნქცია (მწარმოებლურობის ტოლობა) კობ- დუგლასის ტექნოლოგიური ფუნქცია, სადაც შრომასა და კაპიტალთან ერთად, შემომავალ რესურსად დამატებულია ინოვაცია (Crépon 1998); (Lööf. 2003). ამგვარად, წარმოების ფუნქცია შეიძლება იყოს ფორმულირებული როგორც:

$$q_i = a_T t_i + \beta_3 x_{3i} + \varepsilon_{3i} \text{(4)}$$

სადაც $q_i$ გვიჩვენებს მწარმოებლურობას რომელიც წარმოდგენილია ლოგარითმული სა-ხით (გაყიდვები ერთ დასაქმებულზე), $x_{3i}$ გვიჩვენებს სტანდარტული მაკონტროლებელი ცვლადების ვექტორს მწარმოებლურობის ანალიზისას, $\varepsilon_{3i}$ - არის შეცდომის წევრი, რომელიც გვიჩვენებს ნორმალურ განაწილებას ნულოვანი მნიშვნელობით და $\sigma_3^2$ ვარია-ციით. შემომავალი ცვლადების ვექტორი განისაზღვრება, როგორც $x_{3\,i} = k_i, l_i, P_i, Q_i, X_i$ , სადაც, $k_i$ - არის ფიზიკური კაპიტალი ერთ დასაქმებულზე ლოგარითმული სახით წარმოდგენილი. ($k_i = logK_i$), $P_i$, და $Q_i$ პროდუქტებისა და პროცესების ბინარული ცვლადის პროგნოზირების მაჩვენებელი, რომელიც მიიღება მეორე ეტაპიდან. $X_i$ არის ბინარული ცვლადი, რომელიც გვიჩვენებს ფირმა ჩართულია თუ არა საექსპორტო საქმიანობაში. მთლიანი მოდელი შემდეგნაირად შეიძლება შევაჯამოთ. პირველი ეტაპი მოიცავს ორ ტოლობიან მოდელს, რომელიც გვიჩვენებს ორ ეტაპიანი ინოვაციის შესახებ გადაწყ-

ვეტილების პროცედურას. პირველი ტოლობა წარმოადგენს ფირმის გადაწყვეტილებას დაკავდეს თუ არა ინოვაციური პროცესით, მეორე ტოლობა გვიჩვენებს მცდელობის ზომას. ეს ორი ტოლობა მოდელირებულია განზოგადოებულ tobit მოდელში. მეორე ეტაპზე Probit მოდელით შეფასდება პროდუქტებისა და პროცესების ინოვაციები.

## ემპირიული ანალიზის შედეგები

ცხრილი 2-ში მოცემულია ცოდნის წარმოების ფუნქციის რეგრესიის კოეფიციენტები. კვლევაში გამოყენებულია ბინარული Probit მოდელი პროდუქტისა და პროცესების ინოვაციების განმსაზღვრელი ფაქტორების შესასწავლად. როგორც ცხრილიდან ჩანს კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები უარყოფით გავლენას ახდენს როგორც პროდუქტის, ასევე პროცესების ინოვაციებზე.

ცოდნის წარმოების ფუნქცია შეფასებული Probit მოდელის საშუალებით

**ცხრილი 2**

| | დამოკიდებული ცვლადი: პროდუქტის ინოვაცია | | |
|---|---|---|---|
| ცვლადები | Coefficient | Std. Error | Prob. |
| კვლევა და განვითარება | -0.823950*** | 0.219671 | 0.0002 |
| კვლევასა და განვითარების სფეროში თანამშრომლობა | -0.265736 | 0.251384 | 0.2905 |
| ინვესტიციები | 0.019533 | 0.118042 | 0.8686 |
| საერთაშორისო კონკურენცია | 0.262088* | 0.117063 | 0.0252 |
| ფირმის ზომა | 0.081619 | 0.182187 | 0.6542 |
| დასაქმება (გალოგარითმებული) | -0.259406 | 0.242056 | 0.2839 |
| C | 1.220244 | 0.644523 | 0.0583 |
| დაკვირვება | 244 | | |
| Pseudo-$R^2$ | 0.072065 | | |
| Log-likelihood | -156.6658 | | |

კვლევასა და განვითარების სფეროში თანამშრომლობა უარყოფით დამოკიდებულებაში იმყოფება პროდუქტის ინოვაციასთან თუმცა, აღნიშნული ცვლადი არ არის სტატისტიკურად მნიშნელოვანი. ასევე დასაქმება რომელიც უარყოფით დამოკიდებულებაში იმყოფება პროდუქტის ინოვაციასთან არ არის სტატისტიკურად მნიშნელოვანი. მართალია მანქანა- დანადგარებში დაბანდებული ინვესტიციები, რომელიც გულისხმობს ამავე დროს ახალი ტექნოლოგიების შეძენას, დადებით გავლენას ახდენს პროდუქტის ინოვაციაზე, მაგრამ ცვლადი არ არის სტატისტიკურად მნიშნელოვანი. ამგვარად კვლევაში ჩართულ ცვლადებს შორის სტატისტიკურად მნიშნელოვანი აღმოჩნდა კვლევა და განვითარება, რომელიც უარყოფით დამოკიდებულებაში იმყოფება პროდუქტის ინოვაციასთან.

**ცოდნის წარმოების ფუნქცია შეფასებული Probit მოდელის საშუალებით**

**ცხრილი 3**

| | დამოკიდებული ცვლადი: პროცესების ინოვაცია | | |
|---|---|---|---|
| ცვლადები | Coefficient | Std. Error | Prob. |
| კვლევა და განვითარება | -0.69662*** | 0.223346 | 0.0018 |
| ინოვაციური თანამშრომლობა | 0.295600 | 0.253446 | 0.2435 |
| ინვესტიციები | 0.022345 | 0.123948 | 0.8569 |
| საერთაშორისო კონკურენცია | -0.054046 | 0.093606 | 0.5637 |
| ფირმის ზომა | -0.149282 | 0.231126 | 0.5184 |
| დასაქმება (გალოგარითმებული) | 0.367010 | 0.333979 | 0.2718 |
| C | 0.050885 | 0.672003 | 0.9396 |
| დაკვირვება | 243 | | |
| Pseudo-$R^2$ | 0.098122 | | |
| Log-likelihood | -122.4906 | | |

**ცხრილი 3. გვიჩვენებს ცოდნის წარმოების ფუნქციას შეფასებული Probit მოდელის საშუალებით. შედეგები დაახლოებით მსგავსია რაც მივიღეთ პროდუქტის ინოვაციებზე მოქმედი ფაქტორების შესწავლისას თუმცა, გვაქვს მცირე განსხვავებებიც. როგორც პროდუქტის ინოვაციის შემთხვევაში პროცესების ინოვაციაზეც კვლევა და განვითარების გავლენა არის უარყოფითი და სტატისტიკურად მნიშნელოვანი. ფირმებს შორის კვლევისა და განვითარების კუთხით თანამშრომლობა დადებითად აისახება პროცესების ინოვაციაზე, მაგრამ სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი. დადებით გავლენას ახდენს პროცესების ინოვაციაზე მანქანა - დანადგარების შეძენაზე გაწეული ინვესტიციები, მაგრამ აღნიშნული ცვლადი სტატისტიკურად არ არის მნიშნელოვანი. ასევე სტატისტიკურად მნიშნელოვანი არ არის საერთაშორისო კონკურენცია, ანუ ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვა ფირმებს არ უბიძგებს გააუმჯობესონ ბიზნეს პროცესები, რაც შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ საქართველოში მოქმედი ფირმების უმრავლესობა ირჩევს ისეთ ბაზრებს, სადაც სტანდარტების მკაცრი დაცვა არ მოეთხოვებათ და სადაც კონკურენცია ფასეულობის შექმნაზე არ არის ორიენტირებული. საერთაშორისო კონკურენციის ცვლადი უარყოფით გავლენას ახდენს პროცესების ინოვაციაზე, მაგრამ სტატისტიკურად არ არის მნიშნელოვანი. სტატისტიკურად არ არის მნიშნელოვანი ფირმის ზომაც, რომელიც ასევე უარყოფით გავლენას ახდენს პროცესების ინოვაციაზე.**

წარმოების ფუნქცია (მწარმოებლურობის ტოლობა)

**ცხრილი 4**

| დამოკიდებული ცვლადი: შრომის მწარმოებლურობა | Coef. | Std. Err. | P>t |
|---|---|---|---|
| პროდუქტის ინოვაცია | .0222608 | .1762879 | 0.900 |
| ინვესტიციები (გალოგარითმებული) | .226708*** | .0571103 | 0.000 |
| დასაქმება (გალოგარითმებული) | .6623367*** | .1074711 | 0.000 |
| შუალედური მოხმარება (გალოგარითმებული) | -.1957658** | .111185 | 0.083 |
| საერთაშორისო კონკურენცია | -.217801* | .1218912 | 0.079 |
| C | 2.537589 | .8843821 | 0.006 |
| $R^2$ | 0.6298 | | |
| დაკვირვება | 72 | | |

**ცხრილი 4 გვიჩვენებს წარმოების ფუნქციის (მწარმოებლურობის ტოლობას) შეფასებას. მწარმოებლურობა აქ შეფასებულია როგორც გაყიდვების თანაფარდობა გალოგარითმებული სამუშაო ძალის რაოდენობაზე. ცხრილიდან ჩანს, რომ პროდუქტის ინოვაცია დადებით გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობაზე, თუმცა აღნიშნული ცვლა-**

**დი არ არის სტატისტიკურად მნიშნელოვანი. კაპიტალი როგორც მოსალოდნელია, წარმოადგენს პოზიტიურ, სტატისტიკურად მნიშვნელოვან ცვლადს. დასაქმებულების რაოდენობაც (გალოგარითმებული) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადია, რომელიც დადებით გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობაზე. ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობა უარყოფითად არის დაკავშირებული შრომის მწარმოებლურობასთან, თუმცა აღნიშნული ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. გავრცელებული მოსაზრება რომ ექსპორტით დაკავებული ფირმები უფრო მეტად მწარმოებლურია, საქართველოში უარყოფილია. შრომის მწარმოებლურობის პროცესში შუალედური მოხმარების წვლილი არ სტატისტიკურად არის მნიშვნელოვანი.**

წარმოების ფუნქცია (მწარმოებლურობის ტოლობა)

**ცხრილი 5**

| დამოკიდებული ცვლადი: შრომის მწარმოებლურობა | Coef. | Std. Err. | P>t |
|---|---|---|---|
| პროცესების ინოვაცია | -.0593014 | .0670808 | 0.380 |
| ინვესტიციები (გალოგარითმებული) | .2279422*** | .056628 | 0.000 |
| დასაქმება (გალოგარითმებული) | .6673321*** | .1065826 | 0.000 |
| შუალედური (მოხმარება გალოგარითმებული) | -.2112931* | .1115742 | 0.063 |
| საერთაშორისო კონკურენცია | -.2007421 | .1221668 | 0.105 |
| C | 2.760738 | .8559241 | 0.002 |
| დაკვირვება | 72 | | |
| $R^2$ | 0,63 | | |
| Prob > F | 0,0000 | | |

**ცხრილი 5 აჩვენებს შრომის მწარმოებლურობაზე მოქმედ ფაქტორების გავლენას. გამოყენებულ ცვლადებს შორის კვლევის ინტერესს წარმოადგენს პროცესების ინოვაცია, რომელიც უარყოფით კავშირში იმყოფება შრომის მწარმოებლურობასთან, თუმცა როგორც პროდუქტების ინოვაციის შემთხვევაში აღნიშნული ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.**

**სტატისტიკურად მნიშნელოვანი ცვლადია კაპიტალი, ახალ მანქანა-დანადგარების შეძენაში დაბანდებული ინვესტიციები, რომელიც დადებით გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობაზე. შრომის მწარმოებლურობაზე დადებით და სტატისტიკურად მნიშნელოვან გავლენას ახდენს დასაქმების რაოდენობა (გალოგარითმებული). რასაც ვერ ვიტყვით შუალედურ მოხმარებასა და საერთაშორისო კონკურენციაზე, რომლებიც უარყოფით თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს შრომის მწარმოებლურობაზე.**

წარმოების ფუნქცია (მწარმოებლურობის ტოლობა)

**ცხრილი 6**

| დამოკიდებული ცვლადი: შრომის მწარმოებლურობა | Coef. | Std. Err. | P>t |
|---|---|---|---|
| კვლევა და განვითარება | .0458797 | .2078917 | 0.826 |
| ინვესტიციები (გალოგარითმებული) | .2277873 | .0574052 | 0.000 |
| დასაქმება (გალოგარითმებული) | .659615 | .1084833 | 0.000 |
| შუალედური (მოხმარება გალოგარითმებული) | -.1912582 | .1135867 | 0.097 |
| საერთაშორისო კონკურენცია | -.2190726 | .1209693 | 0.075 |
| C | 2.461603 | .9787942 | 0.014 |
| დაკვირვება | 72 | | |
| $R^2$ | 0,6300 | | |
| Prob > F | 0,0000 | | |

ასევე მნიშვნელოვანია შევისწავლოთ კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯების გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე. ცხრილი 6 გვიჩვენებს, რომ კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები დადებით გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობაზე, თუმცა აღნიშნული ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არაა შუალედური მოხმარება და საერთაშორისო კონკურენცია, რომლებიც უარყოფითად არის დაკავშირებული შრომის მწარმოებლურობასთან. ძირითადი კაპიტალი და სამუშაო ძალა დადებით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობაზე.

## დასკვნა

საქართველოში მიკრო დონეზე განხორციელებულმა პირველმა ემპირიულმა კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი შესაბამისობები ფირმების ზომის მიხედვით ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის. CDM მოდელის საშუალებით შესწავლილი იქნა, როგორც ინოვაციებზე მოქმედი ფაქტორები, ასევე ინოვაციების გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე. გამოვლინდა, რომ საქართველოში კვლევა და განვითარება ინოვაციებზე მოქმედი არსებითი ფაქტორი არაა. კერძოდ, კვლევა და განვითარება სტატისტიკურად მნიშვნელოვან უარყოფით დამოკიდებულებაში იმყოფება პროდუქტისა და პროცესის ინოვაციასთან. დადგინდა, რომ საქართველოში ინოვაციები არსებით გავლენას არ ახდენს მწარმოებლურობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებებთან. მწარმოებლურობაზე, სტატისტიკურად მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას ახდენს ძირითადი კაპიტალის ზრდა და დასაქმებულთა რაოდენობა. რაც დასტურდება გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშებში ასახული შედეგებით, რომლის მიხედვითაც საქართველო იმყოფება ეკონომიკური განვითარების „ეფექტიანობაზე ორიენტირებულ სტადიაზე“[1]. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქვეყანაში უნდა მოხდეს საინვესტიციოდან - მწარმოებლურობაზე ორიენტირებულ პროაქტიულ პოლიტიკაზე გადასვლა.


ლიტერატურა:

1. Aghion, P. H. (1992). A model of growth through creative destruction,. Econometrica,, pp. 323–51.
2. Ballot, G. F. (2015). The fateful triangle: Complementarities in performance between product, process and organizational innovation innovation in France and in the UK. Research Polic, pp. 217-232.
3. Baum, C. H. (2017). A new approach to estimation of the R&D-innovation-productivity relationship. Economics and Innovation and New Technology,, pp. 121-133.
4. Blundell, R. R. (1993). Knowledge Stocks, Persistent Innovation and Market Dominance: Evidence from a Panel of British Manufacturing Firms. Institute for Fiscal Studies.
5. Cainelli G., R. E. (2007). “Innovation and economic performance in services: A firm-level analysis". Cambridge Journal of Economics, pp. 435-458.
6. Crepon, B. D. (1998). Research, innovation and productivity: an econometric analysis at the firm level. Economics of Innovation and New Technology, pp. 115-58.
7. Griffith, R. H. (2006). “Innovation and productivity across four European countries. Oxford Review of Economic Policy, pp. 483–498.
8. Griliches, Z. (1995). “R&D and Productivity: Econometric Results and Measurement Issues”. Handbook of the Economics of Innovation and Technological Change (გვ. 52-89).-ში Oxford,.
9. Huang, C. A. (2010). How firms innovate: R&D, non R&D and technology adoption. UNU-MERIT working paper.


[1] World Economic Forum. The Global Competitiveness Report. 2019 http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf

10. Jaumandreu, J. a. (2017). Disentangling the effects of product and process innovation on cost and demand. Economics of Innovation and New Technology, pp. 150-167.
11. L. Kadagishvili (2018). Challenges of the Priority Sectors of Entrepreneurship in Georgia . Governing Business Systems, Springer, pp. 67-85.
12. Kadagishvili L., (2016). Systematic approach to develop small and medium-sized businesses in Georgia http://ir.kneu.edu.ua/bitstream/2010/20960/1/209-218.pdf,pp.2009-2018 .
13. Kvirkvaia M, Kikutadze V, Sikharulidze D, Shaburishvili S, Charaia V, STUDY OF FACTORS AFFECTING YOUNG PEOPLE , Globalization & Business, 2018-12-28, p. 233-242
14. Kleinknecht, A. (1987). "Measuring R&D in Small Firms: How Much are we Missing? The Journal of Industrial Economics, pp. 253-256.
15. Kline J., R. N. (1986). The Positive Sum Strategy: Harnessing Technology for Economic Growth. Washington: National Academy Press.
16. Lööf, H. H.-O. (2003). "Innovation and performance in manufacturing industries". The Icfaian Journal of Management Research, pp. 5–35.
17. Mairesse J., P. M. (2005). The importance of R&D and innovation for productivity: A reexamination in light of the 2000 French Innovation Survey. Annales d'Économie et de Statistique, pp. 487-527.
18. Pakes, A. G. (1980). Patents and R&D at the firm level: A first report. Economics letters,, pp. 377-381.
19. Parisi, M. L. (2006). Productivity, Innovation and R&D: Micro Evidence for Italy". European Economic Review,, pp. 2037-2061.
20. Peters, B. (2009). „Persistence of innovation: Stylized facts and panel data evidence". Journal of Technology Transfe, pp. 226-243. .
21. Peters, B. M. (2013). Estimating dynamic R&D demand: an analysis of costs and long-run benefits". Rand Journal of Economcs, pp. 409-437.
22. Porter, M. E. (1985). Competitive Advantage. New York: Free Press.
23. Raymond, W. J. (2015). Dynamic models of R&D, innovation and productivity : Panel data evidence for Dutch and French manufacturing . European Economic Review, pp. 285-306.
24. Raymond, W. P. (2010). Persistence of innovation in Dutch manufacturing: Is it spurious? Review of Economics and Statistics, pp. 495-504.
25. Romer, P. M. (1990). Endogenous technological change. Journal of Political Economy, pp. 71–102.
26. Santamaría, J. M.-G. (2009). Beyond formal R&D: Taking advantage of other sources of innovation in low- and medium-technology industries. Research Policy, pp. 507-517.
27. Schumpeter, J. A. (1942). Capitalism, Socialism, and Democracy. New York: Harper and Brothers.
28. Shaburishvili, S. (2011). Prospects for the Development of Innovative Entrepreneurship in Georgia. Problems and prospects of cooperation between countries of South-Eastern Europe within context of the BSEC and GUAM, pp. 840–845. Donetsk: DONNU.
29. Shaburishvili, Sh., Gaprindashvili, G., (2017). Features of Innovative Networks in the Context of Globalization. Foresight management: Formation and Transformation Adaptive Business Organizations. International collective monograph, Volume 2.Tbilisi-Kherson
30. Shaburishvili S.Kadagishvili L. (2018). Challenges to the development of small and medium business in Georgia. Bulletin of Khmelnytsky National University, Economic sciences N5(1), pp.14-18.
31. Sikharulidze D. (2018) R&D, Product Innovation and Exporting: Evidence Form Georgian Firms. International Scientific and Practical Conference «Ukraine, Bulgaria, EU: economic and social development trends»
32. Sikharulidze D, Kikutadze V., (2017) Innovation and Export Competitiveness: Evidence from Georgia firms. European Journal of Economics and Business studies. vol no 2.
33. Sikharulidze D., Shaburishvili Sh., Munjishvili T., Kadagishvili L., Maisuradze R., Udesiani kh., (2020). Total Factor Productivity Analysis According to the Size of Economic Activity and Sectors in Georgia. Journal Economics and Business. vol. no 3. http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge
34. Zhen, N. (2018). Employment dynamics, firm performance and innovation persistence in the context of differentiated innovation types: Evidence from Luxembourg.

# Impact of innovations on productivity by firm size in Georgia[1]

**Davit Sikharulidze**
*Associate Professor of TSU*

**Shota Shaburishvili**
*Associate Professor of TSU*

**Leila Kadagishvili**
*Assistant-Professor of TSU*

**Tea Munjishvili**
*Associate Professor of TSU*

**Rusudan Maisuradze**
*Doctoral student of TSU*

**Khatia Udesiani**
*Doctoral student of TSU*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

S u m m a r y

**The first micro-empirical study conducted in Georgia revealed significant correlations between innovation and productivity by firm size. The CDM model explores both the factors influencing innovation and the impact of innovation on labor productivity. It was revealed that research and development in Georgia is not an essential factor affecting innovation. In particular, research and development are statistically significant negatively correlated with product and process innovation. It was found that innovations in Georgia do not have a significant impact on productivity, which contradicts the widely held view. On productivity, a statistically significant positive affected by fixed capital growth and number of employees. This is confirmed by the results reflected in the Global Competitiveness Reports, according to which Georgia is in the "investment-oriented stage" of economic development. Based on the above, we can assume that the country should move from investment - to a proactive policy focused on productivity.**

***Keywords: Innovation, Productivity, Firm Size, Research and Development.***

[1] **The research was conducted within the framework of a scientific grant project of TSU Faculty of Economics and Business**

# Интеллектуальные активы как объект стратегического управления в организации

**Т.А. Соболева**
*к.э.н., доцент кафедры менеджмента,*

**К. В. Якубова**
*аспирантка кафедры менеджмента,*
*ГВУЗ «Киевский национальный экономический университет имени Вадима Гетьмана»*

**Интеллектуализация экономики обозначила человека, его потенциал, мощным фактором экономического развития. Основной ценностью становится развитие образовательного, интеллектуального и творческого потенциала человека, как основных источников возникновения интеллектуальной деятельности. В настоящее время большая часть ВВП развитых стран сформировано за счет технологий, которые в свою очередь были созданы с помощью новых знаний, идей. Признано, что научные знания и специализированные уникальные навыки их носителей становятся главным источником развития материального и нематериального производства, обеспечения постоянного экономического развития (Карпенко, 2014).**

**Интерес к вопросу интеллектуальных активов (ИА) был вызван смещением акцентов с материальных активов на процессы инноваций и инвестиций в развитие нематериальных и интеллектуальных активов. В научно-практической литературе нет единого понятия категорий «интеллектуальные активы», «нематериальные активы», «интеллектуальный капитал», что приводит к трудностям в управлении и в получении оптимальных результатов коммерциализации инноваций.**

**Под интеллектуальным капиталом понимают активный элемент, систему интеллектуальных ценностей (знания, навыки, опыт, творческие способности, информация и прочие нематериальные активы), которые непосредственно принимают участие в создании ценности и в процессе своего воспроизведения обеспечивают получение определенного результата и конкурентных преимуществ для индивида, предприятия и в целом страны (Карпенко, 2014). В интеллектуальном капитале можно выделить трёхкомпонентную структуру, состоящую из человеческого капитала (гуманитарные активы или индивидуальная компетентность); структурного капитала (активы инфраструктуры или внутренняя инфраструктура) и клиентского (потребительского) капитала. Под капиталом понимается все, что способно приносить доход, ресурсы, созданные людьми для производства товаров и услуг. Отсюда можно сделать вывод, что каждая составляющая интеллектуального капитала имеет возможность приносить прибыль как самостоятельно, так и при объединении совокупности своих свойств. При этом каждый элемент интеллектуального капитала имеет в своем составе активы.**

**Понятие активы имеет множество определений, например, «совокупность имущественных прав (материальных ценностей, денежных средств и т.д.), принадлежащих физическому или юридическому лицу» (Борисов, 2006). Критериями признания интеллектуальных активов, обозначенных в стандартах финансовой отчетности, являются следующие: ИА должны аккумулировать в себе будущую экономическую выгоду; должны контролироваться предприятием, стоимость может быть достоверно оценена (Ибрагимов, 2012).**

**Одной из главных характеристик интеллектуальных активов является наличие знаний. Интеллектуальные активы в процессе своего использования обеспечивают конкретные**

результаты интеллектуальной, умственной, духовной и творческой деятельности, то есть создают интеллектуальные продукты, основным компонентом которых является знание. Производство знаний, их капитализация, коммерциализация обусловила появление такого бизнес-процесса, как управление знаниями.

Интеллектуальные активы включают в себя две группы объектов – объекты интеллектуального капитала, отображенные в отчетах и имеющие форму нематериальных активов; объекты, не включенные в систему отчетности (Ляшенко, 2009). При этом нематериальные активы, которые не отображаются в бухгалтерской отчетности, называются гудвилом (разница между балансовой и рыночной стоимостью активов), который способен генерировать стоимость активов и синергетических эффектов.

Довольно часто в нормативных документах интеллектуальные активы понимают как составляющую нематериальных активов вместе с правами собственности или иными правами на данные активы. При этом не учитываются такие интеллектуальные активы как, например, квалификация работников при выполнении служебных обязанностей; наличие уникальной стратегии развития компании; квалифицированный менеджмент, способный реализовывать и развивать определенные стратегии компании. Также в этой связи можно указать проведение маркетинговых исследований для успешного вывода товара на рынок; взаимоотношения с покупателями и поставщиками; уникальные идеи, способствующие совершенствованию процесса производства, сокращения издержек; создание рекламных кампаний для более успешного продвижения продукции на рынке и пр.

Существует мнение, что к интеллектуальным активам следует относить те активы, которые удалось выявить, описать и отнести на баланс предприятия. Отсюда получается, что часть невыявленных и не отнесенных на баланс компании активов не смогут поддаваться управленческому влиянию, следовательно, не позволят получить дополнительные выгоды от их использования. Однако практика показывает, что использование интеллектуальных активов не обязательно связано с их отображением в балансе. Их идентификация уже позволяет выполнять эффективное управление ими в дальнейшем.

Интеллектуальные активы способны не только влиять на увеличение балансовой стоимости, а также обеспечивают капитализацию компании с возможностью дополнительного привлечения инвестиционных ресурсов. Интеллектуальные активы в современной экономике являются неотъемлемой частью потенциала развития организации, а также ее конкурентоспособности на рынке (Мошак и др., 2017) в долгосрочной перспективе. К интеллектуальным активам может быть отнесено много объектов, среди которых особое место занимают патенты, торговые марки и объекты авторского права. Интеллектуальные активы включают как зарегистрированную, так и незарегистрированную интеллектуальную собственность: коммерческие секреты, особенности бизнес-процессов, руководства, проектные спецификации, исходные коды программного обеспечения и другие неопубликованные ноу-хау. Также включаются национальные и международные патенты; произведения, охраняемые авторским правом; товарные знаки; промышленные образцы и другие формы зарегистрированной интеллектуальной собственности.

Создание, аккумулирование и эффективное использование интеллектуальных активов возможно лишь при условии наличия эффективной системы управления такими активами в организации. Поскольку интеллектуальные активы все больше способствуют росту бизнеса и экономики, каждая организация должна иметь стратегию управления интеллектуальными активами. Успешное управление портфелем интеллектуальных активов означает согласование интеллектуальной собственности с целями и задачами бизнеса. Если стратегия управления интеллектуальными активами отсутствует, существует высокий риск их потери, а также и конкурентных преимуществ. Управление интеллектуальными активами требует

комплексного подхода, который управляет активами на всем предприятии для получения максимальной выгоды.

Управление интеллектуальными активами - это гораздо больше, чем просто процесс патентования и лицензирования изобретений. В процессе управления должны учитываться все интеллектуальные активы. Для большинства компаний патенты - это лишь часть нематериальных активов. Активно используются также служебная информация, идеи и коммерческая тайна. Информация, которую также следует включить в перечень нематериальных активов, может содержать формулы продуктов, производственные процессы, планы запуска новых продуктов, особенности упаковки, состав продуктов, направления исследований, методы тестирования, бизнес-планы, стратегии, условия поставщиков, анализ конкуренции, списки клиентов, маркетинговые планы, прогнозы продаж, бюджеты, финансовые прогнозы, анализ цен и списки сотрудников.

Каждый этап управления интеллектуальными активами связан со следующим и предопределяет его, что приводит к большей эффективности осуществляемых действий. В результате обеспечивается синхронизация между сбором научно-технической информации, ее защитой, анализом патентов и лицензированием интеллектуальной собственности. В результате компания в ходе управления интеллектуальными активами достигает эффективности во многих бизнес-процессах.

Эффективный подход к управлению интеллектуальными активами направлен на решение следующих четырех задач (Fine, 2003):

1. Выявление нематериальных активов для систематизации информации о потенциальной интеллектуальной собственности, которую компания может использовать для увеличения дохода.
2. Защита нематериальных активов, чтобы гарантировать, что компания может сохранить свои имущественные права на эти активы.
3. Оптимизация стоимости активов организации.
4. Создание нематериальных активов, которые с наибольшей вероятностью увеличат прибыль.

Создание интеллектуальных активов - это целенаправленный процесс генерирования информации, которая приводит к созданию интеллектуальной собственности, которую можно коммерциализировать и получить прибыль.

Коммуникация и сотрудничество между всеми заинтересованными сторонами являются ключевыми в любом контексте бизнеса, особенно в создании среды, в которой стратегическое управление активами ИС будет успешным. Важным в данном контексте является уровень знаний персонала (Gagnidze, 2018) и создание организационной культуры (Paresashvili, 2016). Эффективное управление IP требует усилий всей организации. Создание повсеместной «культуры интеллектуальной собственности» является наиболее эффективным способом создания успешной стратегии (Krelitz et al, 2014). Чем больше информируются сотрудники о том, что делает руководство, и что нужно делать им для максимального увеличения эффективности портфеля интеллектуальных активов, тем более успешным будет реализация стратегии.

Важным этапом в любой организации, которая управляет интеллектуальными активами, является проведение мониторинга (аудита) существующих активов (Stobbe R., 2014). Это также очень важно для организаций, чей портфель ИС увеличился за счет, например, недавнего роста, приобретений, внутренних исследований и разработок или продажи активов. В процессе аудита нужно обратить внимание на права собственности на интеллектуальные активы, а именно какие объекты являются собственностью компании, а какие получены или переданы по лицензии. Нужно проводить обзор незапатентованных изобретений, патентных заявок, выданных патентов. Обратить внимание на права

**собственности и условия договоров по созданию программного обеспечения, разработанного организацией или для нее. Очень важным является выявление коммерческих секретов, сосредоточение внимания на закрытой информации, которая повышает ценность организации, включая интеллектуальные активы, такие как списки клиентов, процессы, прототипы на ранней стадии и стратегические планы. Нужно обратить внимание на зарегистрированные и незарегистрированные знаки, используемые организацией в разных юрисдикциях.**

**Этот процесс аудита может визуализироваться в виде простого списка активов или может детализироваться в более подробной таблице или электронном каталоге. Он может включать более сложные системы отслеживания, которые сопровождаются юристами по интеллектуальной собственности, которые позволяют отслеживать лицензионные платежи и соблюдение сроков продления действия прав на зарегистрированную интеллектуальную собственность.**

**Организация также должна информировать свой персонал о стратегической важности интеллектуальной собственности внутри организации. Это процесс повышения осведомленности о различных типах интеллектуальной собственности, а также политики организации в отношении этих активов. В этом процессе должно участвовать руководство организации, демонстрируя важность создания и защиты нематериальных активов компании. Стратегия управления интеллектуальной собственности должна быть интегрирована в общую бизнес-стратегию, а также включать внутренние элементы политики, такие как политика конфиденциальности и раскрытия информации об изобретениях. Политика конфиденциальности компании подчеркивает важность сохранения секретности до тех пор, пока не будет подана патентная заявка или усовершенствованный продукт не будет выставлен на продажу. Юристы по интеллектуальной собственности могут также играть важную роль в обучении и быть ресурсом для разработки внутренней политики, анализа соглашений и составления положений договоров, регулирующих правоотношения по вопросам интеллектуальной собственности.**

**Следующим важным моментом в управлении интеллектуальными активами является согласованность стратегии интеллектуальной собственности с общими целям и задачам бизнеса. Согласованность обязательно требует наличия хорошо сформулированного видения будущего бизнеса и способности определять и измерять их текущее использование (Krelitz, 2014). В связи с этим, первостепенное значение имеет разработка показателей эффективности использования интеллектуальных активов на различных этапах их жизненного цикла.**

**Кроме идентификации, учета, аудита, каталогизации и защиты, логичной целью управления интеллектуальными активами является их эффективное использование. Использование интеллектуальных активов может принимать различные формы. Компания может использовать свои активы, преследуя традиционную цель - добиться исключительности на рынке и не допустить конкурентов в свой сегмент. Монетизация интеллектуальной собственности с помощью лицензионных соглашений - обычная практика, используемая как коммерческими, так и некоммерческими организациями. Доступ к технологиям через совместные предприятия и стратегические альянсы может быть еще одной стратегией использования. Иногда использование интеллектуальных активов может быть просто преимуществом для связей с общественностью и не иметь ничего общего с потоком денежных средств. Например, IBM долгое время ставила перед собой цель быть лидером по количеству ежегодно выдаваемых патентов, чтобы повысить свою репутацию инновационной компании-изобретателя (Krelitz, 2014). Методы использования и монетизации портфеля интеллектуальной собственности постоянно расширяются. Некоторые из**

**вариантов включают получение займа под обеспечение ИС, патентные аукционы, судебные споры, прямую продажу или передачу прав на интеллектуальный актив.**

**Обеспечение соблюдения прав на интеллектуальные активы является наиболее затратным аспектом управления портфелем интеллектуальной собственности, который включает в себя как соблюдение прав посредством обязательных платежей, так и отстаивание прав в судебном порядке против действий нарушителей. Как и в других сферах бизнеса, чтобы получать больше с меньшими затратами, требуется планирование, сотрудничество и соответствующая стратегия. По мере того, как рынки становятся глобальными, затраты, необходимые для эффективного контроля и обеспечения соблюдения прав на торговые марки и патенты, становятся непомерно дорогими для некоторых компаний. Для тех, кто может себе это позволить, судебный процесс является предпочтительной стратегией, однако судебные разбирательства становятся все более дорогостоящими.**

**Таким образом, залогом успешного управления нематериальными активами в организации является согласование стратегии интеллектуальной собственности с ее бизнес-стратегией. Важными аспектами при этом выступают идентификация (аудит) ИС, ее каталогизация, согласование стратегии ИС со всем стратегическим набором в организации, эффективное использование ИС и обеспечение соблюдения прав на нее. Все эти этапы требуют концептуального системного подхода, планирования и использования современной успешной практики на рынке.**

Литература:


1. Борисов А. Б. (2006). Большой экономический словарь / А. Б. Борисов. – М. : Книжный мир, 2006. – 860 с.
2. Gagnidze, I. (2018), "The role of international educational and science programs for sustainable development (systemic approach)", Kybernetes, Vol. 47 No. 2, pp. 409-424
3. Ибрагимов Е. Е. (2012). Моделирование влияния интеллектуальных активов на эффективность корпоративного управления с ориентацией на знания / Е. Е. Ибрагимов // Формирование рыночных отношений в Украине. - 2012. - № 5/1 (132). - С. 119-124.
4. Карпенко А. В (2014). Державна стратегія ефективного використання економічних ресурсів в умовах світової глобалізації / А. В. Карпенко // Вісник Національного університету водного господарства та природокористування : збірник наукових праць. Економічні науки. – 2014. – Вип. 3(67). – С. 126-135.
5. Krelitz, Susan Prohofsky and Sellke, Alex, (2014) "Intellectual Asset Management at the Speed of Business," Cybaris®: Vol. 5: Iss. 1, Article 2. Available at: http://open.mitchellhamline.edu/cybaris/-vol5/iss1/2
6. Ляшенко Н. Є. Проблеми оцінки інтелектуальних активів в управлінні / Н. Є. Ляшенко // Управління проектами та розвиток виробництва. - 2009. - № 3. - С. 58-67. - Режим доступу: http://nbuv.gov.ua/UJRN/Uprv_2009_3_9.
7. Мошак С.М. и др. (2017). Стратегічне управління конкурентоспроможністю: системний метод та екзистенціальна експозиція: монографія [ Мошак С.М., Мікловда В.П., Шандор Ф.Ф., Кубіній Н.Ю., Кубіній В.В.] Мукачево: Карпатська вежа. – 2017. – 240с.
8. Paresashvili, Nino. (2016). Corporate Culture In Terms Of Labor Diversity. International Conference,-,Smart and Efficient Economy: Preparation for the Future Innovative Economy, (pp.321-327 pg.). Brno, Czech Republic
9. Stobbe R. Intellectual asset management best practices – part 1 [Електронний ресурс] / Richard Stobbe // Field Law. – 2014. – Режим доступу до ресурсу: https://www.lexology.com/library/detail.-aspx?g=172f939b-eee1-43ec-9413-ff45d0462cc4.
10. Fine N.R. (2003). Intellectual Asset Management: From Information to Intellectual Property to Profit / Naomi R. Fine // Pro-Tec Dat. – 2003. – Режим доступа: http://www.pro-tecdata.com/pdf/IAM-InfoIPProfit.pdf

## Intellectual Assets as an Object of Strategic Management in Organization

**T.A. Soboleva**
***PhD, Associate Professor of Management Department,***

**K.V. Yakubova**
***postgraduate student of Management Department,***
***SHEE "Kiev National Economic University named after Vadym Hetman"***

S u m m a r y

**Intangible assets such as technology, design, brands, as well as employee skills and management know-how are essential to the success of companies in dynamic, competitive markets. Organizations are constantly working to increase intangible capital as this allows them to strengthen their competitiveness. For the effective commercialization of intangible assets, the company must create favorable conditions for their creation, and also implement the management of intangible assets on an ongoing basis.**

# კოვიდ-19 პანდემიის გავლენა საქართველოს ტურიზმის სექტორზე

**სესილი ტაბატაძე**
*თსუ-ის დოქტორანტი*

**თამარი ბარბაქაძე**
*თსუ-ის დოქტორანტი*

*კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა კრიზისმა და საკარანტინე რეგულაციების შემოღებამ უარყოფითი გავლენა იქონია ტურიზმის ინდუსტრიაზე. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის პოტენციალი პანდემიამდე და მისი ზრდის ტემპი, რომელიც ასევე ნაჩვენებია სტატისტიკური პროგნოზის მეთოდის გამოყენებით. ასევე, შეფასებულია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები და გამოვლენილია დარგში არსებული ზოგადი პრობლემები, რომელიც არსებობდა პანდემიამდე და არსებობს დღესაც.*

*საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ინდუსტრია, კოვიდ-19, შემოსავლები, საპროგნოზო მაჩვენებელი.*

**2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ახალი პანდემიის Covid-19 ის წინაშე აღმოჩნდა. ეს არის გლობალური და ეროვნული ეკონომიკის კიდევ ერთი გამოწვევა. ტურიზმის სექტორი ერთ-ერთია იმ სექტორთაგან რომელმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო კოვიდ-19 სგან. განსაკუთრებული გავლენა კი იმ ქვეყნებზე ჰქონდა, რომელთა ეკონომიკაში ტურიზმს დიდი წილი უკავია და რომლის ეკონომიკური ზრდაც დიდწილად ტურიზმის სექტორიდან გამომდინარეობს.**

**ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (WTO) მონაცემებით, საშუალოდ ცხრიდან ერთი ადამიანი სწორედ ამ სექტორშია დასაქმებული და ბოლო წლების განმავლობაში ამ კონკრეტულ ინდუსტრიაში 235 მილიონი სამუშაო ადგილია შექმნილი. იგი შედგება მრავალი სეგმენტისგან და თითოეულს კარიერული წინსვლის შესძლებლობა აქვს, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში.**

**საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით,[1] 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები შემცირდება 58%-ით, რაც ნიშნავს, საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯებიდან მიღებული თანხების დაახლოებით 90 მილიარდი აშშ დოლარით შემცირებას. მსოფლიო ტურიზმის კრიზისი როგორც სხვა ქვეყნებში საქართველოზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდენა. საზღვრების ჩაკეტვამ, საკარანტინე რეგულაციების შემოღებამ, ისევე როგორც შიდა გადაადგილების შეზღუდვამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე.**

**მდგრადი ტურიზმის განვითარების უზრუნველყოფა და საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს, როგორც უნიკალური ტურისტული ქვეყნის პოზიციონირება უზრუნველყოფს ტურისტების რაოდენობის ზრდას და იგი პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.**

**ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა:**

- **2019 წლეს - 9.4 მლნ-მდე ვიზიტორი - 3.3 მილიარდი (დოლარი) შემოსავალი;**
- **2019 წელს - დასაქმებული 150 000 ადამიანი;**
- **მშპ-ში წილი - 11.5%**

**2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 9 357 964-ს მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 7.8%-ით მეტია.**

---

1 Galt & Taggart – „ტურიზმის გამოწვევები 2020 წელს“

**დიაგრამა N1: ვიზიტორთა რაოდენობა საქართველოშ 2019-2020 წლებში (მაისი-სექტემბერი)**




*წყარო: სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია gnta.ge*

**როგორც დიაგრამიდან ჩანს კოვიდ-19-ის გავლენის გამო, თვეების მიხედვით ვიზიტორთა რაოდენობა 94-96%-თ არის შემცირებული. იქიდან გამომდინარე, რომ არამხოლოდ საქართველოსთვის მსოფლიოსთვისაც მოულოდნელი იყო პანდემია და აღნიშნული საკითხის გათვალისწინება სტატისტიკურ პროგნოზირებაშიც შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენმა დაანგარიშებულმა პროგნოზმა რეალობისგან განსხვავებული მაჩვე-ნებლები მოგვცა. კერძოდ, პროგნოზის მიხედვით 2020 წლის II კვარტალში დაახლოებით 1,5 მლნ ტურისტი უნდა შემოსულიყო ქვეყანაში. აღნიშნული კვლევისთვის გამოვიყენეთ სტატისტიკური პროგნოზირების „მიამიტური მეთოდი“.**

**მოცემული მეთოდით საპროგნოზო მნიშვნელობა განისაზღვრება ბოლო დაკვირ-ვების წერტილის მნიშვნელობის მიხედვით. თუ ისტორიულ მონაცემებს აღვნიშნავთ როგორც** $Y_1, Y_2 \dots\dots\dots, Y_T$ **მაშინ საპროგნოზო მნიშვნელობა** $Y_T$ **იქნება. მიამიტური მეთოდით პროგნოზირებისას საქართველოში უცხოელი ტურისტების რაოდენობა 2020 წლის პირველი კვარტალის საპროგნოზო მნიშვნელობა ტოლი იქნება 1,500 ათასი ტურისტი.**

**დიაგრამა N2 საქართველოს ტურისტების რაოდენობა კვარტლების მიხედვით (ათასი)**




*წყარო: www.geostat.ge*

მიამიტური მეთოდით გაანგარიშებული საპროგნოზო მნიშვნელობა ხასიათდება რიგი უარყოფითი თვისებებით, კერძოდ: იგი არ ითვალისწინებს სეზონურობის, ტრენდის და ციკლურობის კომპონენტებს. თუმცა ამ უკანასკნელის გავლენა შედარებით უმნიშვნელოა.

დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს შემოსავლები ტურიზმის სექტორიდაბ, რომელიც ბოლო წლებში მზარდი ტენდებციით ხასიათდება. აღნიშნული პროგნოზიც ამტკიცებს, რომ მიმდინარე პერიოდში ტურიზმში უნდა განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი ზრდა და მზარდი უნდა ყოფილიყო მისგან მიღებული შემოსავლებიც.

დიაგრამა N3: საქართველოს შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2014-2019 წლებში




*წყარო:* www.nbg.ge

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ დარგმა მიიღო ყველაზე მძიმე პირველი დარტყმა Covid-19 პანდემიის დროს.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველომ ეკონომიკის მართვისა და აღდგენისთვის განახორციელა სხვადასხვა ნაბიჯები, რომელიც ასევე ეხებოდა ტურიზმს:

- ტურიზმთან დაკავშირებულ ბიზნესსუბიექტებს 4 თვის ქონებისა და საშემოსავლო გადასახადი გადაუვადდათ 2020 წლის 1 ნოემბრამდე, რომელიც შესაძლოა გადავადდეს წლის ბოლომდე.
- მცირე სასტუმროებს სახელმწიფომ გაუწია სუბსიდირება საბანკო სესხზე 6 თვით - სულ 2,200 სასტუმროს განაცხადი - ბიუჯეტი 10 მლნ. ლარი
- ზრუნვა დასაქმებულებზე - 6 თვის განმავლობაში 750 ლარამდე ხელფასი სრულად გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან.
- მოხდება ტურისტულ გამოფენებზე განთავსების ობიექტების თანამონაწილეობის თანხის სუბსიდირება.[1]

სულ ჯამურად სახელმწიფომ ამ ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყო 200 მლნ ლარი. შეიქმნა ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა, რომლის მიხედვითაც ტურიზმის ამოქმედება განხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით: უსაფრთხო ტურისტული ზონების შექმნითა და შიდა ტურიზმის ამოქმედებით. ასევე, ამ გეგმით გათვალისწინებული იყო საზღვრების გახსნა 1 ივლისიდან და ფრენების ეტაპობრივი აღდგენა, თუმცა Galt & Taggart-ის პროგნოზის თანახმად 2020 წელს, საქართველოში ტურიზმის სექტორში მოსალოდნელი დანაკლისი ოპტიმისტური სცენარის მიხედვითაც

[1] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა

**კი 1.2 მილიარდი აშშ დოლარი იქნება. შესაბამისად ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა განსახორციელებელი.**

**საჭიროა პანდემიის პირობებში რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანა დარგის პრიორიტეტებთან. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში შემომსვლელი ტურისტებისათვის საზღვრის გადმოკვეთა ზედმეტ ბარიერებსა და შეზღუდვებთან არ იყოს დაკავშირებული. ქვეყნის ბრენდინგი და ტურიზმის მიზნებისთვის რეკლამირება უნდა ხდებოდეს წინასწარ შემუშავებული გრძელვადიანი სტრატეგიის ფარგლებში.**

**სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ზემოაღნიშნული ღონისძიებები დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა ტურიზმის სფეროში პანდემიამდეც არსებობდა მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცა:**

- **ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების რეალური ეფექტის შეფასება არ ხდება;**
- **ახალი ტურისტული ადგილების გამოვლენისა და შემდგომში მათი განვითარების მიზნით, არ ხორციელდება სისტემატიური ღონისძიებები;**
- **ტურისტული რესურსების შესახებ არ არსებობს სრულყოფილი საინფორმაციო ბაზა პოტენციური და არსებული ტურისტებისთვის;**

**მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მაქსიმალურად მოახერხოს ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლების ქვეყნის მასშტაბით გენერირება. მეტი შემოსავლის მიღების მიზნით ასევე მნიშვნელოვანია ტურიზმის პოტენციალის სათანადოდ გამოყენება, ახალი და არსებული ტურისტულად მიმზიდველი ადგილების შემდგომში კვლევა და განვითარება. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ადგილობრივ წარმოებას და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას.**

**იქიდან გამომდინარე, რომ ტურიზმს არსებითი როლი აქვს ეკონომიკის განვითარებიაში, მნიშნელოვანია პოსტკრიზისულ ეტაპზე სახელმწიფომ მოახდინოს სტიმულირების პაკეტის ინიცირება და გაატაროს კომპლექსური ღონისძიებები დარგის ზრდის ტემპის შესანარჩუნებლად. არსებული სიტუაცია ცხადყოფს, რომ სფეროს გაუმჯობესებისთვის საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს Covid-19-ით გამოწვეული დანაკარგების აღდგენას და მეორე მხრივ, 2020 წლამდე არსებული პრობლემების მოგვარებას. კერძოდ, საჭიროა ტურიზმის სტრატეგიის გადახედვა, მოდიფიკაცია და ოფიციალურად დამტკიცება. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ეფექტის შეფასებლად საჭიროა მაკოორდინებელი უწყების როლის ზრდა და მის მიერ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ჩართვა.**

ლიტერატურა:


1. სიმონ გელაშვილი, სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში, წიგნი I, 2017
2. ნინო კვინტრაძე - ტურიზმის წილი ეკონომიკაში საქართველოსა და რეგიონის ქვეყნებში, 2017 წელი;
3. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2020-2023 წლების დოკუმენტი
4. Tourism Policy and Planning. Yesterday, today and tomorrow. David L. Edgell Srand Jason T. Swanson, 2008;
5. WTTC - Mobile Payments In Travel & Tourism: Unlocking The Potential, 2018
6. WTTC - Identifying the critical material issues for Travel & Tourism, 2017
7. “The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia”, Asian Development Bank, 6/03/2020.
8. “The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It.” UNCTAD, 9/03/2020.
9. www.nbg.ge
10. www.geostat.ge
11. www.Gnat.ge

# The Impact of the Covid-19 pandemic on the tourism industry in Georgia

**Sesili Tabatadze**
**PHD student at TSU**

**Tamari Barbakadze**
**PHD student at TSU**

Summary

**Tourism is one of the largest and fastest growing industries. There was negatively efect caused by the Covid-19 pandemic and the introduction of quarantine regulations. last year Revenues was growing from tourism in Georgia, it was $ 3.3 billion, and the number of tourists exceeded 9 million. Statistical forecasts showed that the number of tourists was expected to increase by 2020, however, as a result of the current situation, if we compare to last year, this figure has decreased by 96%. Despite the actions by the state, the tourism industry still suffers significant losses and needs to take effective events. In particular, it is necessary to review, modify and formally approve the tourism strategy, to assess the effect of tourism revenues, to increase the role of the coordinating agency and to involve relevant state agencies.**

***Keywords: Tourism Industry, Covid-19, Revenues, Forecast.***

# შრომისა და დასაქმების რეგულირების ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის შესახებ

**მირონ ტუღუში**
***ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გლობალურ ბაზრებში მენეჯმენტის კათედრის ასოცირებული პროფესორი***

*სტატიაში მოკლედ დახასიათებულია საქართველოში „ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს" ორგანიზაციული სტრუქტურისა და დებულების ცვლილების მდგომარეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. გაკეთებულია დასკვნა, რომ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს, როგორც დამოუკიდებელი სამთავრობო სტრუქტურის ჯანმრთელობის სამინისტროსთან გაერთიანების, მომდევნო წლებში კი მისი კიდევ უფრო გამსხვილების შედეგად შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემებისადმი ყურადღება საგრძნობლად შემცირდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დეტალურადაა დახასიათებული, რეფორმირების ცალკეულ ეტაპზე, ზემოაღნიშნული სამინისტროს დებულებაში შეტანილი ცვლილებები.*

*საქართველოში უმუშევრობის ეფექტიანი რეგულირებისათვის, რომელიც მოსახლეობის მიერ არაერთგზის, მთავარ პრობლემად იქნა აღიარებული, სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის განმტკიცება, კერძოდ, კი „დასაქმების შესახებ" კანონის მიღება, რომლის მოქმედება, 2006 წელს, სრულიად დაუსაბუთებლად იქნა შეჩერებული. ავტორი მიიჩნევს, რომ „შრომის კოდექსი", რომლის მიღებით „დასაქმების შესახებ" კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა, ვერ ცვლის (ფარავს) ამ კანონის ნორმებს, ისინი ერთმანეთს ავსებენ, ანუ ორივე საჭიროა.*

*ამჟამად, საქართველოში, შრომის, დასაქმებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სამინისტროს, როგორც დამოუკიდებელი სამთავრობო სტრუქტურის შექმნის მოთხოვნა არარეალურია. თუმცა, არსებული სამინისტროს აპარატში შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის სამსახურის განმტკიცება, შესაძლებელია. ავტორის აზრით, აუცილებელია „დასაქმების კანონის" მოთხოვნების სრულად რეალიზაციოდ, პირვანდელი ფუნქციებით აღდგეს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი, ასევე დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რაც შრომისა და დასაქმების კერძო სამსახურებთან ერთად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყანაში უმუშევრობის ეტაპობრივად დაძლევაში.*

*საკვანძო სიტყვები:* *შრომა, დასაქმება და უმუშევრობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, კანონი „დასაქმების შესახებ", დასაქმების სამსახური, შრომისა და დასაქმების პოლიტიკა.*

**შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის საკითხები ნებისმიერი ქვეყნისათვის მეტად აქტუალურია. პრობლემა მრავალასპექტიანია, რის გამოც მისი ეფექტიანი რეგულირება, ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოებისაგან მუდმივ ყურადღებასა და გაერთიანებულ ძალისხმევას მოითხოვს.**

**იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის ეფექტიანი მართვა-რეგულირება, აუცილებელია, მმართველი, შესაბამის თეორიულ ცოდნასთან, მაღალ კვალიფიკაციასა და პროფესიულ დონესათან ერთად ფლობდეს შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილებას, რათა შეძლოს იმ მრავალი ფაქტორის გათვალისწინება, რომელიც დაკავშირებულია ამ მეტად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ პროცესთან. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაქმების შესაძლებლობების გამოვლენა, რაც თავის**

**მხრივ, ინვესტიციების მოზიდვას, ბიზნესის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უკავშირდება. დასაქმების (უმუშევრობის) პრობლემა ვერ გადაწყდება თუ მომუშავეთა კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი არ ამაღლდება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, რაც თავის მხრივ, საგანმანათლებლო სისტემის (მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება) სრულყოფას მოითხოვს. ამასთან ერთად, დღისწესრიგში დგება შრომის პირობების, ხელფასის ორგანიზაციის, დასაქმებისა და უმუშევრობის საკანონმდებლო ბაზის, მათი აღრიცხვის, სადაზღვევო სისტემის და ა.შ. სრულყოფის საკითხები.**

**ერთი სიტყვით, შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემის რეგულირება მრავალ და საკმაოდ რთული საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს, რაც ხშირ შემთხვევაში, ვერ ხერხდება ძირითადად ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო და შედეგიც სახეზეა, რიგ შემთხვევაში არამხოლოდ განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც კი მაღლდება უმუშევრობის დონე, რაც მრავალ პრობლემას უქმნის დაუსაქმებელ მოსახლეობას, საბოლოო ანგარიშით კი მთლიანად ქვეყანას.**

**საქართველოში, „საქსტატის" მიერ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტის საფუძველზე გაანგარიშებული უმუშევრობის დონე მაღალია, მაგრამ ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობა არ გვაქვს, მითუმეტეს, რომ 2005 წლიდან მისი შემცირების ტენდენციაც შეინიშნება. (ცხრილი 1).**

საქართველოს მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის
მაჩვენებლები 1998-2019 წლებში (ათასი კაცი,%)

**ცხრილი 1**

| | 1998 წ. | 2000 წ. | 2005 წ. | 2010 წ. | 2015წ. | 2018წ. | 2019 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა | 1972,8 | 2049,2 | 1982,7 | 1970,9 | 2018,0 | 1939,9 | 1911,2 |
| დასაქმებულია სულ | 1728,5 | 1837,2 | 1683,0 | 1627,8 | 1733,8 | 1694,2 | 1690.2 |
| უმუშევარი | 244,2 | 212,0 | 299,7 | 343,1 | 284,2 | 245,7 | 221,0 |
| უმუშევრობის დონე (% ) | 12,4 | 10,3 | 15.1 | 17,4 | 14,1 | 12,7 | 11,6 |

*წყარო:. geostat.ge, დასაქმება და უმუშევრობა. 2016 წლის ჩათვლით შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, 2017 წელი - სამუშაო ძალის გამოკვლევა.*

*შენიშვნა: 1998-2000 წლების მონაცემები არ გადაანგარიშებულა, 2002-2016 წლის მონაცემები გადაანგარიშებულია 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, 2017 წლის შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.*

**პრობლემა ისაა, რომ ექსპერტთა ერთი ნაწილი (ნ.პაიჭაძე, მ.ცარციძე, მ. ტუხაშვილი, ი. არჩვაძე და სხვები) თვლის, რომ უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებელი საქართველოში (ერთსაათიანი დასაქმების, სოფლად მიწის ნაკვეთის მქონეთა დასაქმებულად ჩათვლისა და სხვათა გამო) მნიშვნელოვნად შემცირებულია, რასაც ჩვენც ვეთანხმებით (10). ზოგიერთი გათვლებით, საქართველოში უმუშევრობის ფაქტიური მაჩვენებელი ოფიციალურად შემოთავაზებულთან შედარებით 3-ჯერ მეტია (8), რაც მეტად საყურადღებოა. ამას ადასტურებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებიც, რომელთა მიხედვით უმუშევრობა ნომერ პირველ პრობლემადაა აღიარებული.**

**კორონავირუსის ფართოდ გავრცელებამ ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო გაამწვავა დასაქმების სფეროში არსებული ისედაც მძიმე მდგომარეობა. მეტნაკლები ზომით პრობლემები შეექმნა ეკონომიკისა და სოციალური სფეროს თითქმის ყველა დარგს, განსაკუთრებით ტურიზმისა და ვაჭრობის სფეროს, სარესტორნო ქსელს, დაიკეტა კინო-თეატრები, არასასურსათო საქონლით მოვაჭრე ობიექტები და ა.შ. შექმნილმა მდგომარეობამ ძლიერ დააზარალა მცირე ბიზნესი.**

რეცესიისაგან თავის დაღწევის მიზნით, მცირე და მიკრო ბიზნესის, ასევე მოსახლე-ობისათვის პირდაპირი ფულადი დახმარებით, საგადასახადო შეღავათებით, სესხების გადავადებაში შუამდგომლობით, ბინათმშენებელი კომპანიებისათვის ირიბი დახმარე-ბითა (სახელმწიფო სუსიდირების პროგრამით-სესხის პროცენტის მნიშვნელოვანი ნაწი-ლის დაფარვაში მონაწილეობით) და სხვა ღონიძიებების გატარების შედეგად გამოჩნდა ეკონომიკის ვარდნის შეჩერებისა და გამოცოცხლების პირველი ნიშნები. სამწუხაროდ, თითქმის მაშინვე გამოიკვეთა კორონავირუსის მეორე და გამორიცხული არაა უფრო მძლავრი ტალღის საშიშროება, რაც, ხელისუფლების ყველა შტოსა და მედიკოსების გა-ერთიანებული ძალისხმევის მიუხედავად, ჩვენი ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში აღმავლობის პროცესის დაწყებას აუცილებლად შეაფერხებს, გამორიცხული არაა უარე-სიც-ეკონომიკის რეცესიის გაღრმავება და გახანგრძლივება.

ამჟამად, ძალზე რთულია თუნდაც მოკლევადიანი და მეტნაკლებად დასაბუთებუ-ლი პროგნოზის გაკეთება, თუმცა, კორონავირუსის მასშტაბური გავრცელების გამო, უფ-რო მეტად, სავარაუდოა ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დაცემის პროცე-სის გახანგრძლივება, რაც დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების კიდევ უფრო გაუარესებას გამოიწვევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საეჭვოდ გვეჩვენება „საქსტატისნ ინფორმაცია, საქართველოში, 2020 წლის 7 თვეში უმუშევრობის მაჩვენებლის მხოლოდ 0.9 პროცენტული პუნქტის გაზრდის შესახებ.

ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის პრობ-ლემების არათუ გადაჭრა, შემსუბუქებაც კი, დამოუკიდებლად, არცერთ სახელისუფლებო სტრუქტურას არ შეუძლია. ამისათვის საჭიროა, ცენტრში და ადგილებზე ხელისუფლების ყველა შტოს სამსახურების (სამინისტროების, თვითმართველობის ადგილობრივი ორგა-ნოების და ა.შ.) ასევე ბიზნესის სექტორისა და საზოგადოების გაერთიანებული ძალის-ხმევა, ყველა რესურსის და რეზერვის მაქსიმალურად ამოქმედება. ამ საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს შესაბამისმა სამთავრობო სტრუქტურამ, კერ-ძოდ კი ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოცი-ალური დაცვის სამინისტრომ.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემების გადაჭრის საქმეში მაორგანიზებელი როლის შესრულების მიზნით ქვეყა-ნაში უმჯობესია არსებობდეს დამოუკიდებელი სამთავრობო სტრუქტურა სამინისტროს ან სხვა სახით. ასეა ყოფილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის (დსთ) თითქმის ყველა ქვეყანაში, მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში, ბელარუსში, ყაზახეთში, თურქმენეთში, აზერბაიჯანში, სადაც ფუნქციონირებს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სომხეთში-შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტრო, უზბეკეთში--დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების სამინისტრო, ტაჯიკეთში შრომის, მიგრაციი-სა და დასაქმების სამინისტრო.

ამ მხრივ, ყოფილი დსთ-ს ქვეყნები გამონაკლისი არაა, შრომისა და დასაქმების მი-მართულების დამოუკიდებელი სამინისტრო ფუნქციონირებს გერმანიაში - შრომისა და სოციალურ საქმეთა ფედერალური სამინისტროს, აშშ-ში, ავსტრიასა და რუმინეთში - შრომის სამინიტროს სახით და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილი ქვეყნების უმრავლესობას, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოსთან შედარებით, უკეთესი მაჩვე-ნებლები აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, პრობლემის უდიდესი მნიშვნელობიდან გა-მომდინარე, გადაწყვიტეს შეენარჩუნებინათ წლების განმავლობაში არსებული სამთავ-რობო სტრუქტურა. სამწუხაროდ, საქართველოში ეს ვერ მოხერხდა.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე არსებობდა შრომის კომიტე-ტი (როგორც დარგთაშორისი ურთიერთობების სამთავრობო სტრუქტურა), შემდეგ შრო-მისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 1991 წლიდან მას სახელი შეეცვალა და ჩამო-

ყალიბდა შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო, რომელსაც დაევალა „დასაქმების შესახებ“ საქართველოს 1991 წელს მიღებული კანონის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. შეიძლება ითქვას, რომ კანონის დასახელების შეცვლა მექანიკურად არ განხორციელებულა. კანონში, შრომის, დასაქმების, უმუშევრობისა და სხვა საკითხებთან ერთად, პირველად გამახვილდა ყურადღება ქვეყანაში არსებულ მძიმე დემოგრაფიულ სიტუაციაზე, რაც მაშინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო.

1999 წლის ბოლოს საქართველოში შრომის მიმართულების დამოუკიდებელი სამინისტროს არსებობა შეწყდა, რადგან ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება მისი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან გაერთიანების, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მიერთების და არა შეერთება/შერწყმის თაობაზე, რადგან მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ამ აქტით, შრომისა და დასაქმების ყოფილი სამთავრობო სტრუქტურა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკმაოდ რთულ ლაბირინთებში ჩაიკარგა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას აქტიურად შეეწინააღმდეგა ექსპერტთა ჯგუფი, მათ შორის ჩვენც (შესაბამის კანონპროექტზე მომზადდა დასკვნა, რომელშიც დასაბუთებული იყო მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები), მაგრამ ის მაინც იქნა მიღებული.

სანამ ამ გადაწყვეტილების ავკარგის შესახებ აღვნიშნავდეთ, ვფიქრობთ, საჭიროა ზოგადად მაინც შეფასდეს ზემოაღნიშნული სამინისტროების გაერთიანების ფაქტი. იშვიათია შემთხვევა, ორი სამთავრობო ერთეული გაერთიანდეს ისე, რომ რომლიმე მხარე არ დაზარალდეს. გასაგებია, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ყაირათიანად უნდა გამოიყენო და რაც უფრო მცირე იქნება სამინისტროების რიცხვი, ქვეყანას, მათი შენახვაც უფრო იაფი დაუჯდება, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ თუ რას მოიტანს ამგვარი ეკონომიის გაწევა? სამწუხაროდ, გამართლდა ჩვენი ეჭვები და დღეს, საქართველოში, რბილად, რომ ვთქვათ ამჟამინდელი „ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსნ დასახელებაში სიტყვა „შრომას“ მხოლოდ ფორმალური დატვირთვა აქვს, რადგან მასში მანამდე არსებული სამინისტროს მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და ა.შ. მინიმალურადაც კი აღარაა გათვალისწინებული. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა იმ ფაქტმა, რომ 2018 წელს „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“ შეუერთდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო“, რის გამოც მისი მართვა კიდევ უფრო გართულდა.

დავიწყოთ იმით, რომ მანამდეც და ზემოაღნიშნული გაერთიანებების შემდეგაც „ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“ ხელმძღვანელი იყო, დღესაც არის (და, ალბათ, მომავალშიც ასე იქნება) მედიცინის სფეროს წარმომადგენელი, რომელიც, ყოველთვის შეეცდება, სხვებთან შედარებით, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ინტერესების უფრო მეტად გათვალისწინებას (მითუმეტეს, რომ ამ დარგს დღესაც ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა აქვს) კადრების ამ სფეროდან შერჩევას და ა.შ. არადა, როგორც აღვნიშნეთ შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის მართვა-რეგულირება სპეციალურ ცოდნას საჭიროებს. გასაგებია, რომ შრომისა და დასაქმების სფეროს თავისი კურატორი ჰყავს, მაგრამ თუ ის სამინისტროების შეერთებიდან პირველ წლებში ამ სფეროს (შრომისა და დასაქმების) სპეციალისტი იყო, დღეს არც ეს მოთხოვნაა დაცული.

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შრომისა და დასაქმების პრობლემებისადმი არასაკმარის დამოკიდებულებზე ნათლად მიუთითებს სამინისტროს დებულებაში შეტანილი ცვლილებები. ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის 14 სექტემბერს №473 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“ დებულება (5) ბევრად განსხვავდება საქართველოს მთავრობის მიერ 2004

**წლის 7 ივნისს №47 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“ დებულებისაგან (), რომელშიც შრომისა და დასაქმების პრობლემების რეგულირების მიზნით გაცილებით მეტი და უფრო მნიშვნელოვანი მიზნები და ამოცანები იყო დასახული (6).**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2004 წლისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წელს დამტკიცებულ დებულებების შედარება

| 2004 წელს დამტკიცებული დებულება | 2018 წელს დამტკიცებული დებულება |
|---|---|
| **მმუხლი 2. სამინისტროს მმართველობის სფერო, ძირითადი ამოცანები**<br>**გ) დასაქმების სფეროში:**<br>გ.ა) დაინტერესებული სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მონაწილეობით **დასაქმების ეროვნული და სხვა მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კონტროლი;**<br>გ.ბ) დასაქმების სფეროს რეგულირება და კოორდინაცია;<br>გ.გ) სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად პროფესიული ორიენტაციის, კადრების მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობა;<br>გ.დ) შრომითი მიგრაციის პროცესების რეგულირება;<br>ე.ნ) ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული პროცესების ინფორმაციული ბანკის შექმნა;<br>ე.ო) დემოგრაფიული საკითხებით დაინტერესებულ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; | **მუხლი 2. სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები**<br>ე) შრომისა და დასაქმების სფეროში:<br>ე.ა) შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა;<br>ე.ბ) შრომითი მიგრაციის რეგულირება;<br>ე.გ) დასაქმების ხელშეწყობა, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის საკითხების კოორდინაცია; |
| **მუხლი 3. სამინისტროს კომპეტენცია**<br>კ) დასაქმების პროგრამების შემუშავება; | **მუხლი 3. სამინისტროს კომპეტენცია**<br>ფ) შრომისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამი სი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, სათანადო პროექტებისა და პროგრამების შემუშავება, განხორციელების ხელშეწყობა;<br>ქ) შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, წინადადებებისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;<br>ღ) შრომითი მიგრაციის რისკების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და, მათი შემცირების მიზნით, წინადადებების შემუშავება;<br>ყ) საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებითი კანონიერი დასაქმების შესაძლებლო ბებისა და ამ სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარება და შესაბამისი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტების მომზადება; |

| | |
|---|---|
| | შ) დასაქმებულთა შრომის უსაფრთხო პირობების დაცვის ხელშეწყობა და შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის პრევენცია; |
| **მუხლი 4. სამინისტროს სისტემა**<br>**5. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:**<br>გ) სოციალურ საკითხთა პოლიტიკის დეპარტამენტი;<br>დ) შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი;<br>ი) ადამიანური რესურსების განვითარების დეპარტამენტი. | **მუხლი 5. სამინისტროს სისტემა**<br>1. სამინისტროს სისტემის შემადგენლობაში არიან:<br>ა) პოლიტიკის დეპარტამენტი;<br>ზ) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი.<br>კ) სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო. |
| **მმუხლი 12. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი**<br>1. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:<br>ა) საქართველოს შრომითი რესურსების აღრიცხვა და პროგნოზირება, მათი დასაქმების სტრუქტურის შესწავლა და ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსახორციელებლად საჭირო რეკომენდაციებისა და წინადადებების, დასაქმების სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;<br>ბ) დასაქმების ტერიტორიული და მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისათვის უმთავრესი კრიტერიუმებისა და პრიორიტეტების მომზადება, აგრეთვე შრომითი ურთიერთობებისა და შრომის ანაზღაურების სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავების და მათი რეალიზაციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების მომზადება; | **მუხლი 8 პოლიტიკის დეპარტამენტი**<br>პოლიტიკის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და კომპეტენციაა მოსახლეობის შრო მისა და დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია, აგრეთვე დევნილთა, ეკომიგრანტთა სოციალური დაცვისა და განსახლების, საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის ხელშეწყობისა დასაერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გან ხორციელების კოორდინაცია. |
| **მმუხლი 23. ადამიანური რესურსების განვითარების დეპარტამენტი**<br>ადამიანური რესურსების განვითარების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:<br>ა) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევის მიმართულებების განსაზღვრა, სამინისტროს სისტემაში მომუშავე მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ორგანიზება;<br>ბ) სისტემაში განათლების კუთხით მიმდინარე პროცესების კვლევა და შეფასება და მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. | ამჟამად მოქმედ დებულებაში ადამიანური რესურსების განვითარების დეპარტამენტი გათვალისწინებული არაა. |

**ზემოაღნიშნული დებულებების მუხლებისა და მათში გათვალისწინებული ღონის-ძიებების უბრალო შედარებითაც კი ნათლად ჩანს, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამჟამად მოქმედი დებულების შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის ნაწილში წინა დებულებაში არსებული ბევრი მნიშვნელოვანი მიზანი, ამოცანა თუ ღონისძიება ან საერთოდ აღარაა გათვალისწინებული ან შეკვეცილი ფორმითაა წარმოდგენილი. ყურადღებას შევაჩე-რებთ ზოგიერთ მათგანზე.**

2004 წელს მიღებულ დებულებაში გათვალისწინებული იყო: დასაქმების ეროვნული და სხვა მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კონტროლი; დასაქმების სფეროს რეგულირება და კოორდინაცია (6, მუხლი 2) ამჟამად მოქმედ დებულებაში კი დასაქმების მხოლოდ ხელშეწყობაა მოხსენიებული. წინა დებულების ამავე მუხლში გათვალისწინებული იყო ქვეყანაში არსებული დემოგრაფული პროცესების შესახებ ინფორმაციული ბანკის შექმნა და ამ პრობლემებით დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება, რაც, ამჟამად მოქმედი დებულებიდან ამოღებულია.

2004 წელს მიღებულ დებულებში აღნიშნული იყო, რომ სამინისტროს კომპეტენციაა დასაქმების პროგრამების დამუშავება (6, მუხლი 3), ამჟამად მოქმედ დებულებაში კი პრიორიტეტად მიჩნეულია შრომისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. შრომისა და დასაქმების სპეციალისტებმა კარგად იციან დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემების გადაწყვეტაში თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს დასაქმების პროგრამებს, მათ გარეშე უმუშევრობის პრობლემის არსებითად დაძლევაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, ამჟამად მოქმედი დებულებით, როგორც აღვნიშნეთ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარი კომპეტენცია შრომისა და დასაქმების ნაწილში, „შრომის და დასაქმების ხელშეწყობით“ შემოიფარგლა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გასულ წლებში საქართველოში, მათ შორის რეგიონებში დამუშავებული დასაქმების პროგრამები (მხედველობაში გვაქვს 2006 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შემუშავებული „სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა პროფესიული მომზადების“ ე.წ. მიზნობრივი პროგრამა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სტუდენტთა დასაქმების პროგრამა, 2007 წლის ბოლოს მთავრობის მიერ განხორციელებული სტუდენტთა დასაქმების პროგრამა და ა.შ.), მრავალი ნაკლის გამო (არ არსებობდა შეფასების კრიტერიუმები, განსაზღვრული არ იყო ვადები და დაფინანსების წყაროები, არ ხორციელდებოდა ცალკეული ღონისძიებების რეალიზაციაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციებისა თუ პირების საქმიანობის მონიტორინგი, არ მოწმდებოდა დასრულებული პროგრამის შედეგები და ა.შ.) კრიტიკას იმსახურებდა და ამიტომაც იყო, რომ, მათ, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ სამართლიანად უწოდა „ცრუ პროგრამები“ (9). მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკასა და მწვავე შეფასებებს იმსახურებდა არა ზოგადად დასაქმების პროგრამები, როგორც უმუშევრობის დაძლევის უმიშვნელოვანესი და კარგად აპრობირებული მეთოდი, არამედ მათი დაბალპროფესიულ დონეზე დამუშავება, ინიციატორები და განმახორციელებლები.

ზემოაღნიშნული მწვავე შეფასების მიუხედავად, დასაქმების პროგრამების დამუშავება-რეალიზაციაზე უარისთქმა გაუმართლებელია. სამწუხაროდ, არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების ნაცვლად, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებას პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნა არჩია, გვერდზე გადგა და მხოლოდ მონაწილის სტატუსით შემოიფარგლა, რაც არასწორია.

აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ სამინისტროს დებულებით პოლიტიკის დეპარტამენტს მხოლოდ „შრომის, დასაქმებისა და შრომითი მიგრაციის რეგულირების მიმართულებითნ განსაზღვრული აქვს 35-მდე ძირითადი ამოცანა და კომპეტენცია, გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის სოციალური დაცვის და სხვა მიმართულებით. ძნელი წარმოსადგენია (თუ შეუძლებელი არა) ერთმა დეპარტამენტმა ამდენი, მათ შორის ბევრი ძალიან რთული ამოცანა გადაწყვიტოს. ჩვენი აზრით, სახეზეა შრომისა და დასაქმების საკითხებისადმი ზერელე დამოკიდებულების საუკეთესო ნიმუში. აი, ასეთი შედეგი მოიტანა ზემოაღნიშნულ სამინისტროში შრომის და დასაქმების პოლიტიკისა და სოციალური პოლიტიკის დეპატრამენ-

ტების გაერთიანებამ, ასევე ადამიანური რესურსების განვითარების დეპარტამენტის გაუქმებამ და მისი ფუნქციების მცირე ნაწილის სხვა სამსახურებზე გადანაწილებამ, რის გამოც, შრომისა და დასაქმების პრობლემებისადმი ყურადღება მკვეთრად შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 31 ოქტომბრის №01-110/ნ ბრძანების საფუძველზე ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტონ (7), რომლის დებულებაში მრავალი საინტერესო ღონისძიებაა გათვალისწინებული (მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც, სხვადასხვა ასპექტით პოლიტიკის დეპარტამენტიც სწავლობს), მაგრამ ჯერ ერთი წელიც არაა გასული მისი შექმნიდან და აქედან გამომდინარე საბოლოო დასკვნის გაკეთება ნაადრევია, თუმცა, შესაძლებელია გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება:

პირველი, სააგენტოს ფუნქციები თითქმის მიახლოებულია საქართველოში დამოუკიდებელობის აღდგენის შემდგომ შექმნილი შრომის სახელმწიფო ბირჟის (შემდეგ კი დასაქმების სამსახურის) ფუნქციებთან, თუმცა, წარმოუდგენელია სააგენტომ ეს ფუნქციები შეასრულოს, თუნდაც იმის გამო, რომ ქვეყანაში 2006 წლის შემდეგ აღარ მოქმედებს კანონი „დასაქმების შესახებნ, რომელიც, სხვასთან ერთად, შრომის ბირჟის (შემდეგ კი დასაქმების სამსახურის) საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენდა;

მეორე, დაზუსტებას საჭიროებს სააგენტოს დებულების ე) პუნქტი - „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაშიც იგულისხმება არა უშუალოდ დასაქმების პროგრამები, არამედ დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებები, რაც პროგრამებად ვერ ჩაითვლება;

მესამე, მისასალმებელია, რომ სააგენტო „შრომისა და დასაქმების, მათ შორის, ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში, შესაბამისი საერთაშორისო რეგულაციებისა და ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობაზე იზრუნებს“, მაგრამ მისი საქმიანობა მხოლოდ მიგრანტებისა და იმიგრანტების დასაქმებაზე ზრუნვით არ უნდა შემოიფარგლოს;

მეოთხე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ შექმნილი სააგენტოს საქმიანობა, ბუნებრივია, სამინისტროს მიერვე გაკონტროლდება, მაგრამ გაუგებარია მაკონტროლებელი ფუნქცია რომელმა სტრუქტურამ უნდა განახორციელოს, მაშინ, როცა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში აღარ არსებობს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი, რომელსაც შეეძლო პროფესიული მონიტორინგის განხორციელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში შრომისა და დასაქმების მართვა-რეგულირების სფეროში არსებული მდგომარეობა მძიმეა და გადაუდებლად საჭიროებს გაუმჯობესებას, რისთვისაც, პირველ რიგში, აუცილებელია:

1) კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით აუცილებელია დაზუსტდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის 30 დეკემბრის #662 დადგენილებით (დანართი1) დამტკიცებული „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების სტრატეგიის განხორციელების ვადები (3). ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო აღნიშნულ დანართში გათვალისწინებული ვადები უნდა გახანგრძლივდეს;

2) მიღებულ იქნეს საქართელოს კანონი „დასაქმების შესახებ“ (11). ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ 2006 წელს საქართველოში „შრომის კოდექსის“ მიღებისას „დასაქმების შესახებნ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადება მძიმე შეცდომა იყო. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი კანონი დღესაც მოქმედებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის იმ ქვეყნებშიც, სადაც დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელი, საქართველოში არსებულთან შედარებით, ბევრად უკეთესია. საქართველოს „შრომის კოდექსი“ ვერ ფარავს (ვერ ჩაანაცვლებს) „დასაქმების შესახებ“ კანონის ნორმებს, ეს, მათი მუხლების უბრალო შედარებიდანაც ნათლად ჩანს. ქვეყანაში „დასაქმების

**შესახებ“ კანონის მიღებით საკანონმდებლო ბაზა განუმტკიცდება როგორც ზემოაღნიშნული სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის შრომისა და დასაქმების ჯერ კიდევ არსებულ ქვედანაყოფებს, ასევე დასაქმების სახელმწიფო თუ კერძო სამსახურებს (ბირჟა იქნება თუ სააგენტო);**

**3) გასაგებია, რომ ამჟამად, ქვეყანაში შრომისა და დასაქმების დამოუკიდებელი სამინისტროს აღდგენა არ მოხდება, მაგრამ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შრომისა და დასაქმების სტრუქტურის (დეპარტამენტის დონეზე მაინც) აღდგენა-განმტკიცება, სრულიად შესაძლებელია. „დასაქმების შესახებ“ კანონის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული დეპარტამენტი შეძლებს ზედამხედველობა გაუწიოს დასაქმების სამსახურის (ბირჟის თუ სააგენტოს) საქმიანობას. ამასთან, სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის ამგვარი ცვლილება არ იქნება დაკავშირებული საბიუჯეტო ხარჯები ზრდასთან;**

**4) იმისათვის, რომ შრომისა და დასაქმების პრობლემებს ჯეროვანი ყურადღება დაეთმოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის, დასაქმებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხების კურატორს უნდა აუმაღლდეს სტატუსი, ანუ გახდეს მინისტრის პირველი მოადგილე. ამ თანამდებობაზე კი უნდა დაინიშნოს აღნიშნული დარგის კარგად მცოდნე სპეციალისტი, რომელიც შეძლებს შრომისა და დასაქმების პრობლემების წამოწევასა და მათი გადაწყვეტის აუცილებლობაში მინისტრთან ერთად საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის დარწმუნებას.**

**ხელისუფლებას მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს რომ მოსახლეობა, სხვადასხვა გამოკითხვებით, უმუშევრობას, უმთავრეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად მიიჩნევს და მის გადაწყვეტას მოითხოვს. აქვე კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ, რომ ქვეყანაში შრომის, დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემების ეტაპობრივი დაძლევის მეტად რთული ამოცანა ერთი რომელიმე სამინისტროს მონდომებითა და აქტიური საქმიანობით ვერ გადაწყდება, ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ხელისუფლების ყველა შტოს ცენტრალური და ადგილობრივი სამსახურების გაერთიანებული ძალისხმევითა და მოსახლეობის ფართო ჩართულობით, სხვადასხვა მიმართულებით შესაბამისი პროგრამების მომზადებისა და რეალიზაციის საფუძველზე.**

ლიტერატურა:


1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „დასაქმების შესახებ“, თბილისი, 1991 წლის 25 ივლისი, N 185;
2. საქართველოს კანონი „დასაქმების შესახებ“, თბილისი, საქართველოს კანონი „დასაქმების შესახებ“, თბილისი, 2001 წლის 28 სექტემბერი, N 1084- Iს;
3. საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია საქართველოს მთავრობის დადგენილება №662, დანართი 1, file:///C:/Users/user/Downloads/-matsne-4761408-0%20(3).pdf;
4. მოხსენება 2019 – 2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ 2019 – 2020 (სექტემბერი, 2019 - მაისი, 2020) http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/2019-2020.page
5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება, საქართველოს მთავრობის დადგენილება №473, 2018 წლის 14სექტემბერი, ქ. თბილისი;
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება, საქართველოს მთავრობის დადგენილება №47, 2004 წლის 7 ივნისი, ქ. თბილისი;
7. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-110/ნ, სსიპ-დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, 2019 წლის 31 ოქტომბერი, ქ.თბილისი;

8. არჩვაძე ი. (2013) შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მდგომარეობის მახასიათებელ ინდიკატორებზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, “უნივერსალი”, თბ.,;
9. პაპავა ვ. (2009)ოთხი წელი „ვარდისფერ პარლამენტში“, თბ.,;
10. ტუღუში მ., (2018) უმუშევრობის დონის ცვლილების ტენდენციები საქართველოში და მისი რეგულირების მიმართულებები,საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #5;
11. ტუღუში მ., (2018) სტატია, კანონი „დასაქმების შესახებ“ - ადამიანური რესურსების მართვის საკანონმდებლო ბაზის მნიშვნელოვანი კომპონენტი, სტატია პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში:„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები"თბ., 6-7 ივლისი.

# About some organizational issues of Labor and Employment Regulation

**Miron Tugushi**
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
*Associate Professor*

S u m m a r y

**Official indicator of the uunemployment level in Georgia (in 2019 – 11.6%, according to the 7 months of 2020 – 12.3%) calculated by the “Sakstati” of Georgia is not very high, but the Experts consider that in real life this figure is 3 times higher in the country, and we also agree to it. Proceeding from this, effective management and regulation of employment and unemployment of the population is the most significant problem of our country, which has been proven by numerous surveys.**

**The Ministry of Employment and Unemployment Affairs of Georgia had only existed a few years since the restoration of independence of the country, after several stages of reform it has gradually been expanded and at present the Ministry is established in the form of the "Ministry of Refugees from the Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs." Unfortunately, as a result of the above mentioned reformations the focus on managing the procedures of labor, employment, and unemployment has gradually diminished. This is clearly seen when comparing the articles of the Ministry's regulations at different stages of development.**

**We are well aware of the fact that the process of overcoming the labor, employment and unemployment issues in the country is a very complex and multifaceted problem and it could not be achieved only with the perfect organizational structure of the relevant Ministry and as a result of the functions provided in its regulations, but overcoming the issues of unemployment could not be managed without the relevant role of the appropriate Ministry.**

**Therefore, for the purpose of management and regulation of the processes in the sphere of employment and unemployment, for improvement of the current situation, first of all, it is necessary:**

**1.In view of the consequences of the Coronavirus pandemic-Covid-19, it is necessary to specify the deadlines for the implementation of the Georgian Labor and Employment Policy Strategy of 2019-2023 (Resolution # 662, Annex 1) approved by the Government of Georgia on December 30, 2019;**

**2. To be admitted the Law of Georgia “ About Employment”.**

**3. To restore the Department of Labor and Employment Policy in the Ministry of Refugees from the Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs;**

**4. In the above mentioned Ministry the status of the Curator of the Labor, Employment and Social Protection Affairs should be promoted up to the First Deputy Minister. Moreover, on this position of this field should be appointed an excellent specialist, who knows the specified field perfectly, who will be able to raise the problems of labor and employment and convince the necessity of solving these problems together with the Minister, the Parliament and the Government of Georgia.**

***keywords: Labor, Employment and Unemployment, Organizational structure, Law on Employment, Employment Service, Labor and employment policy.***

# COVID 19-ის პანდემიის ეპოქის მარკეტინგული ასპექტები

**უროტაძე ეკა**
***ასისტენტ-პროფესორი***

**ჯაში ჩარიტა**
***ასოცირებული პროფესორი,***
***თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი***

*გლობალურმა პანდემიამ რთული გამოწვევების წინაშე დააყენა ბიზნესკომპანიები მთელ მსოფლიოში, მნიშვნელოვნად შეცვალა მარკეტინგული გარემო და კომპანიების სტრატეგიები. მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვისა და პრევენციის უზრუნველსაყოფად საჭირო გახდა ისეთი ბიზნესსაქმიანობის ფორსირება, რაც მომხმარებლისთვის სრულიად განსხვავებული პროდუქტებისა და ახალი სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს. სტატია ეხება ორ მთავარ საკითხს, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია გლობალური ეპიდემიის დროს: 1. პანდემიის მიერ გამოწვეულმა ფაქტორებმა რადიკალურად შეცვალა მომხმარებლის ქცევა, მოხდა ფასეულობათა გადაფასება და სრულად განსხვავებული საქონლისა და მომსახურების წინწამოწევა. 2. მიმდინარე კრიზისის პერიოდში სოციალური მედიამარკეტინგი გახდა ძლიერი მარკეტინგული ინსტრუმენტი. სტატია დამყარებულია სხვადასხვა წყაროზე, განხილულია ის ლიტერატურა, ელექტრონული ვებგვერდი და სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც COVID 19-ის პანდემიის კონტექსტში მოცემულია მარკეტინგის ახალი მიდგომები და ხედვები. ნაშრომში გაანალიზებულია Nielsen-ისა და Mckeinsey-ის კვლევები, რაც ასახავს მომხმარებელთა ქცევის ცვლილებების სხვადასხვა ეტაპს, მომხმარებელზე მორგებულ და მოკლევადიან სარგებელზე გადასვლის თავისებურებებს. აქვე მოცემულია კორონავირუსის პერიოდის დამახასიათებელი ტენდენციები, როგორიცაა: სპეციფიკურ პროდუქტებზე ფასების ზრდა, ტრადიციული გლობალური ბრენდების მიმართ მომხმარებელთა ლოიალურობის შემცირება და ეროვნული ბრენდებისადმი უპირატესობის მინიჭება. სოციალური მედიამარკეტინგი განსაკუთრებულად აქტუალურია დღეს, ინტერნეტი და სოციალური ქსელები კომპანიასა და პროდუქტთან მარტივად წვდომის ძლიერ მარკეტინგულ პლატფორმად ჩამოყალიბდა და მილიარდობით ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. COVID 19-ის დროს მნიშვნელოვნად შეიცვალა გლობალური და ადგილობრივი კომპანიების მარკეტინგული სტრატეგია სოციალურ ქსელებში. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებულად დიდი რაოდენობის ინფორმაციის თავმოყრა სოციალურ ქსელებში. ზემოთ აღნიშნულს როგორც პოზიტიური, ასევე უარყოფითი ეფექტი გააჩნია. სოციალური მედიამარკეტინგის საშუალებით მომხმარებლები პანდემიის მიმდინარეობის შესახებ მეტად საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებენ, ისინი განსაკუთრებით ენდობიან მსოფლიო ჯანდაცვისა და ადგილობრივი ჯანდაცვის წარმომადგენელთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ ქსელებში ვრცელდება ნაკლებად სანდო, არადამაჯერებელი ე. წ. ფეიკინფორმაციები, რაც ხშირად უარყოფითად აისახება მომხმარებლის განწყობასა და ქცევაზე. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არ არსებობს ფეიკნიუსების დაბლოკვის ქმედითი ინსტრუმენტი, რის შედეგად მომხმარებელს უჩნდება გაურკვევლობისა და უიმედობის განცდა. გლობალური პანდემიის პირობებში მარკეტინგული სტრატეგიისა და მომხმარებელთა ქცევის რადიკალური ცვლილებები სერიოზულ გავლენას ახდენს საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის სისტემის კონსოლიდირებული ქმედებები წარმატებულად არის აღიარებული. ჯანდაცვის წარმომადგენელთა მაღალი პროფესიონალიზმი და სწრაფი რეაგირება პოზიტიურად შეაფასა როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე საერთაშორისო პარტნიორებმა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *გლობალური პანდემია, მარკეტინგული სტრატეგია, მომხმარებელთა ქცევის ცვლილებები, სოციალური მედიამარკეტინგი*

## შესავალი

2020 წლის კორონავირუსის პანდემიამ მოულოდნელი, ურთულესი ფაქტების წინაშე დააყენა მთელი მსოფლიო და სრულად შეცვალა მისი დღის წესრიგი. მთელი ყურადღება კონცენტრირდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის სწორ და ეფექტიან განხორციელებაზე. საზოგადოება, გარკვეული თვალსაზრისით, ალტერნატივის წინაშე დადგა: ჯანმრთელობა თუ ეკონომიკური პერსპექტივა? მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის ტენდენციებმა წარმოაჩინა, რომ „პანდემია გლობალური ფენომენია, იგი მოითხოვს ღირებულებათა და მიწოდებათა ჯაჭვების დივერსიფიცირებას, რამაც შესაძლო რისკების შემცირება უნდა მოახდინოს. საერთოდ, პანდემია შეეხო მოსახლეობის ყველა სპექტრს, საყოველთაო ჯანდაცვა უმთავრესი პრობლემა გახდა და შეიძლება ითქვას, რომ „კორონოვირუსმა ეკონომიკა მედიცინის მძევლად აქცია“ [1-2]. ბიზნესი სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა, ტრადიციულმა ბიზნესდარგებმა, რომლებიც მომხმარებელთა საყოველთაო მოთხოვნით გამოირჩეოდა, პოპულარულობა და რეიტინგი დაკარგა. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, კომპანიები დღეს ნაკლებად ფიქრობენ ბიზნესის გრძელვადიანი მოგების სარგებელზე. მომხმარებლის ნდობისა და ლოიალურობის შენარჩუნება კომპანიისათვის ბევრად მომგებიანია ბიზნესის შემდგომი განვითარებისათვის. მომხმარებლებთან ურთიერთკავშირის მთავარი ფორმა ელექტრონული გახდა, რამაც უფრო გააძლიერა ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობა. პანდემიამ ცხადყო, რომ მარტივია იმ პროდუქციის და მომსახურების მიწოდება, სადაც მყიდველი და გამყიდველი არაა აუცილებელი ურთიერთქმედებდნენ დროის რეალურ რეჟიმში, ანუ სხვა სიტყვებით, არაა საჭირო მომხმარებლის მზადყოფნა პროდუქციის ან მომსახურების მისაღებად [3]. წინამდებარე სტატიის მიზანია COVID-19–ის პანდემიის დროს არსებული მარკეტინგული გარემოს გამოწვევების ანალიზი, მომხმარებელთა ქცევის ცვლილებების ასახვა, სოციალური მედიამარკეტინგის როლის წარმოჩენა ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიის წარმართვისათვის. სტატიაში მოცემულია პრობლემები, რომელთა გაანალიზება განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ ფორსმაჟორულ სიტუაციაში. სტატია ემყარება ბოლო პერიოდში გამოცემული უახლესი მასალების ანალიზს. მარკეტინგის სფეროში ჩატარებული კვლევითი შრომები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიგნებები, საინტერესო ბლოგები და აკადემიური სტატიები ამ მიმართულებით გარკვეული განზოგადების საშუალებას იძლევა. გლობალური პანდემიის დასაწყისიდანვე თვალსაჩინოდ წარმოჩინდა მომხმარებელთა ქცევის შეცვლის მიზეზები და ფაქტორები. წლების განმავლობაში დომინირებული და აპრობირებული ქცევა, განსაკუთრებული და სპეციფიკური დამოკიდებულება მსოფლიოში აღიარებული ბრენდებისადმი, თითქოს, სადღაც გაქრა. პანდემიამ ახალი მარკეტინგული ლანდშაფტი შეიძინა, რამაც განაპირობა მომხმარებელთა განსხვავებული, არაორდინალური განწყობა და ქცევა [4].

## გლობალური პანდემია ძველი და ახალი რაკურსით

თუ თვალს გადავავლებთ ასი წლის წინ განვითარებულ მოვლენებს გრიპის პანდემიასთან დაკავშირებით, რამაც მოსახლეობის მესამედი შეიწირა და ისტორიაში შევიდა „სიკვდილის ხოლერის“ სახელით, ბევრ საერთო პარალელს დავინახავთ დღევანდელობასთან მიმართებით. მსოფლიოს ეკონომიკა და მოსახლეობის გენოფონდი უდიდესი დანაკარგის წინაშე აღმოჩნდა [5]. მრავალი წყარო მიუთითებს, რომ ინფორმაციის სრულ ვაკუუმში მყოფმა მოსახლეობამ როგორ და რა საშუალებებით შეძლო ამ განსაცდლიდან გამოსვლა. სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურების დეფიციტის პირობებში, საზოგადოებრივი ქცევის ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა სოციალური დისტანცია, იზოლაცია და პირადი ჰიგიენის მკაცრი კონტროლი, გარკვეული შედეგი

მოიტანა, აშშ-ის და ევროპის ბევრი ქალაქი გადაარჩინა კატასტროფას, შეამცირა გრიპის გავრცელების რისკი, ასევე ნაკლები გავლენა იქონია ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე. ის ქალაქები, სადაც სოციალური დისტანცირების მკაცრი შეზღუდვები დროულად მიიღეს, პანდემიის შემდგომ ეკონომიკის გაჯანსაღებას ნაკლები დრო დასჭირდა [6]. 2003 წელს მთელი ჩინეთი მოიცვა არატიპური პნევმონიის ვირუსმა - SARS-მა. მისი ლოკალიზება სწრაფად მოხდა და მასობრივად არ გავრცელდა. ვირუსის გავრცელების შედეგად შეიქმნა ელექტრონული ვაჭრობის გიგანტი კომპანია Alibaba, რომელმაც გრანდიოზულ წარმატებას მიაღწია. ჩინეთში ელექტრონული კომერციის წილი მთლიან ვაჭრობაში 36%-ს შეადგენს, რითიც ის მოწინავეა სხვა ქვეყნებს შორის [7-8]. თანამედროვე ტექნოლოგიურმა ბუმმა მომხმარებელთა შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გააძლიერა. დღეს მათ ბევრად უფრო მეტ ინფორმაციაზე, ციფრებსა და დეტალებზე მიუწვდებათ ხელი და უფრო მომთხოვნნი არიან. ისინი კარგად ადაპტირდებიან ცვალებად მარკეტინგულ გარემოსთან. პანდემიასთან დაკავშირებით ზღვა ინფორმაციის მოპოვებისა და ინტერაქციული კომუნიკაციის შესაძლებლობები გასცდა დაავადების აბსტრაქტულ აღქმასა და შეიძინა კონკრეტული გამომსახველობითი ფორმა COVID-19-ის ახალი ქცევის სახით. ჯანმრთელობის ინდუსტრიის უდიდესი მიღწევების ფონზე, COVID-19-ის ვირუსის პირობებში, დღესაც სამი მარტივი სლოგანია დომინანტური: სოციალური დისტანციის დაცვა, პირადი ჰიგიენის და ჯანმრთელობის კონტროლი. ამ პოსტულატებს დაეფუძნა მომხმარებელთა ქცევის ახალი ჩვევები [9-10]. მომხმარებელი უშუალოდ დამოკიდებული გახდა ციფრულ მარკეტინგზე და ელექტრონული გადახდის მეთოდებზე. Nielsen-ის მიერ 2020 წელს 100 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, პანდემიის გავრცელებამ გლობალურად შეცვალა მომხმარებელთა ქცევა, რომელმაც, მიუხედავად თითოეული ქვეყნის სპეციფიკისა, უნივერსალური ხასიათი მიიღო. ახალი საშიშროებიდან გამომდინარე, ეპიდემიის გავრცელების პირველ ეტაპზე მომხმარებლებმა აქცენტირება გააკეთეს იმუნიტეტის და ზოგადი ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატა პროფილაქტიკური და ჰიგიენის დამცავი საშუალებების მასობრივ შესყიდვაში, ასევე საკვები და სამედიცინო პრეპარატების შეძენაში. მესამე და მეოთხე ეტაპზე გაიზარდა ონლაინშესყიდვების რიცხვი და მომხმარებლებმა ფოკუსირება მარაგების შევსებაზე მოახდინეს. მეხუთე და მეექვსე ეტაპებზე თანდათანობით მოხდა შეზღუდვების მოხსნა და ყიდვის ჩვეულ რიტმში დაბრუნება. სამომხმარებლო პრიორიტეტები დამყარებულია აუცილებელ, ელემენტარულ მოთხოვნილებებზე, თუმცა, ამავდროულად, უპირატესობა მიენიჭა ონლაინგასართობ პროგრამებს, ლატარეებსა და გათამაშებებს (იხ. ცხრილი 1) [11].

**ცხრილი 1**

მომხმარებელთა ქცევის ექვსი ეტაპი COVID-19-ის პანდემიის დროს

| | | |
|---|---|---|
| 1-ლი ეტაპი<br>ქცევის ცვლილებების დასაწყისი<br>ფოკუსირება ჯანსაღ პროდუქტებზე და პირად კეთილდღეობაზე | მე-2 ეტაპი<br>ჯანმრთელობის პროცესის მართვა<br>სპეციფიკური პროდუქტების (პირბადეები, სადეზინფექციო საშუალებები, სამედიცინო პრეპარატები) შესყიდვები | მე-3 ეტაპი<br>მარაგის შევსება<br>სანგრძლივი მოხმარების პროდუქტების ყიდვის სიხშირე |
| მე-4 ეტაპი<br>ახალი ქცევა<br>ონლიანშესყიდვების ზრდა<br>შეზღუდვები მიწოდებაში | მე-5 ეტაპი<br>ფასების ზრდის ტენდენცია<br>შეფერხება ონლაინ მიწოდებაში | მე-6 ეტაპი<br>ჩვეულ რეჟიმში გადასვლა<br>სიფრთხილის გამოჩენა |

*წყარო: [11-12]*

**Mckeinsey-ის კვლევის თანახმად, კრიზისის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა მარკეტინგული მიდგომები, გრძელვადიანი სტრატეგიული მოთხოვნისა და სარგებლის დაკმაყოფილების ნაცვლად, უპირატესობა მიენიჭა მოკლევადიანი სარგებლით, კონკრე-**

ტულ მომხმარებელზე მორგებულ და პერსონალიზებულ მარკეტინგულ სტრატეგიებს. კვლევებმა აჩვენა, რომ მარკეტოლოგების 61% ირჩევს მომხმარებელზე ზემოქმედების მოკლევადიან სტრატეგიას, ამასთან, მხოლოდ % აპელირდება გრძელვადიან ცვლილებებზე [13]. კრიზისმა ამერიკელ მომხმარებელთა ქცევა შეცვალა, რამაც ბრენდის ლოიალურობაზე გავლენა მოახდინა, კერძოდ, მომხმარებელთა 36% ახალი ბრენდის ძიებაშია. თუ პანდემიამდე მომხმარებელთა 73% მოიხმარდა სხვადასხვა ბრენდს, დღეს ისინი გადართულნი არიან ახალ ბრენდებზე. Z თაობის და და მაღალი შემოსავლების მქონე მომხმარებლები განსაკუთრებით ორიენტირებულნი არიან ბრენდების ცვლილებებზე და ონლიანშესყიდვებზე. მომხმარებელთა 34%-ის აზრით, უპირატესობა ადგილობრივი წარმოების პროდუქტს ენიჭება. ამასთან, მომხმარებელთა 25% სანდო ბრენდებს, ხოლო 23% ეროვნული ბრენდებისაკენ იხრება [14]. არსებობს მოსაზრება, რომ პანდემიის დამარცხების შემდეგ შეიცვლება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, აქცენტი გაკეთდება ეროვნული რესურების მაქსიმალურ გამოყენებაზე [15]. კორონავირუსის პერიოდის დამახასიათებელ ტენდენციას წარმოადგენს გარკვეულ პროდუქტებზე ფასების ზრდა, რადგან ზოგიერთი კომპანია ცდილობს, მაქსიმალური მოგება მიიღოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ისეთ საქონელზე, რომელზედაც მომხმარებელთა მოთხოვნა საკმაოდ გაზრდილია. ზოგიერთ ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციები და კონკურენციის სააგენტოები რეაგირების გარკვეულ ფორმებს მიმართავენ, რათა უზრუნველყონ ფასების რეგულირება [16]. წარმატებული კომპანიები კარგად აცნობიერებენ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრობლემებს, აქცენტირებას ახდენენ ჰიგიენის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ასპექტებზე [17].

## სოციალური მედიამარკეტინგის როლი პანდემიის დაძლევის პროცესში

მარკეტოლოგები მომხმარებელთა ყურადღების მისაპყრობად და მოსაზიდად მიისწრაფვიან, რათა მათთან ურთიერთობა პოზიტიურად ემოციური გახადონ. ეს ეხება საიტის დიზაინის გამართვას, ნავიგაციის გაუმჯობესებას, მომხმარებლისთვის დამატებითი კომფორტის შეთავაზებას, რაც სოციალური პლატფორმების მეშვეობით ელექტრონული გაყიდვების მარტივად ზრდას განაპირობებს. სოციალურ მედიაში მომხმარებელთა ჩართულობის დინამიკურმა ზრდამ ხელი შეუწყო ბრენდის კონკურენტული უპირატესობების წარმოჩენას და ბაზარზე უკეთ პოზიციონირებას [18-19]. ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, რომ სოციალურ ქსელებში ფორმირებულ ურთიერთობას არა მხოლოდ ინტერაქტიული ხასიათი აქვს, არამედ - ინდივიდუალური, საზოგადოებრივი, ერთობლივი და კოლაბორაციულიც [20]. 2020 წლის იანვრის სტატისტიკის თანახმად, 4. 54 მლრდ ადამიანი აქტიური ინტერნეტის მომხმარებელია, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 59%-ს შეადგენს [21]. ყოველდღიურად, ადამიანები სოციალურ ქსელებში, საშუალოდ, 2 საათსა და 23 წუთს ხარჯავენ ახალი ინფორმაციების, საჭირო პროდუქტების მოძიებისა და მეგობრებთან ურთიერთობისათვის [22]. სოციალური მედია საშუალებას აძლევს კომპანიებს, დაუკავშირდნენ თავიანთ მომხმარებლებს, გააუმჯობესონ ბრენდების შესახებ ინფორმაცია, იმოქმედონ მომხმარებელთა დამოკიდებულებასა და განწყობაზე [23]. სოციალური არხები, როგორიცაა Facebook, Twitter, Instagram, Snapchat და LinkedIn, მარკეტინგის ძლიერ პლატფორმებს წარმოადგენენ. მარკეტოლოგების 73% სამართლიანად მიიჩნევს, რომ სოციალური მედია ბიზნესსტრატეგიის წარმართვის ეფექტიანი გზაა [24-26]. ბიზნესკომპანიები იყენებენ მრავალფეროვან პლატფორმებს, რათა დროულად დააკმაყოფილონ მიზნობრივი მომხმარებლების მოთხოვნები და მიზანმიმართული მარკეტინგული სტრატეგიები ეფექტიანად წარმართონ (იხ. ცხრილი 2) [32].

**ცხრილი 2**

**2020 წლის ყველაზე პოპულარული სოციალური მედიაპლატფორმები**




*წყარო: [32]*

**COVID-19-ის დროს მნიშვნელოვნად შეიცვალა გლობალური და ადგილობრივი კომპანიების მარკეტინგული სტრატეგიები სოციალურ ქსელებში. მთავარ ორიენტირად მომხმარებლებთან პარტნიორული ურთიერთობა და ნდობის ფაქტორი გახდა. პანდემიამ მნიშვნელოვნად გაზარდა ჯანდაცვის სფეროში მომუშავე უწყებების როლი. ჯანმრთელობის შესახებ ყოველდღიური ინფორმაციისა და რეკომენდაციების გაზიარება რეგულარულად ხდება სოციალურ სივრცეში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სოციალური მედიის 2020 წლის მოხსენება „COVID-19-ის გავლენა მარკეტინგზე", სადაც წარმოჩენილია მარკეტინგულ გარემოში მომხდარი ძვრები, მომხმარებელთა ქცევის ფოკუსირება ვირტუალურ სივრცეში და ბრენდების რეაგირება რეკლამის განთავსებაზე ინსტაგრამის პლატფორმაზე [33]. საინტერესოა ფეისბუკის მომხმარებელთა განწყობა და დამოკიდებულება პანდემიის დროს. უმეტეს შემთხვევაში, ფეისბუკზე მომხმარებელთა რეაქცია ნეიტრალურია, თუმცა, უარყოფითი კომენტარების რაოდენობის პიკი მარტისათვის შეადგენდა 38%-ს, რაც განპირობებული იყო იმ ემოციებსა და გაურკვევლობაზე, რომლებიც დაეუფლა მომხმარებლებს გლობალური პანდემიის პირველ და მეორე ეტაპებზე. შემდგომში პოზიტიური კომენტარების რაოდენობამ უარყოფით კომენტარებს გადააჭარბა [34-35]. ბიზნესკომპანიები სოციალური მედიის ყველა ინსტრუმენტს წარმატებით იყენებენ საქონლისა და მომსახურების წინსვლისა და მომხმარებელთან ინტერაქციისათვის. ჯანდაცვის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ თავიანთ პაციენტებთან სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით. მომხმარებლებში უკვე პოპულარობით სარგებლობს ჯანმრთელობის პროვაიდერების მხრიდან პანდემიის დროს დანერგილი ახალი ინიციატივები, როგორიცაა: ელექტრონული პლატფორმით სამედიცინო მომსახურების გაწევა, კონსულტაციებისა და რეკომენდაციების მიღება. სოციალურ ქსელებს ინტენსიურად იყენებენ ჯანდაცვისა და სოციალური კამპანიების წარმართვისათვის, რეკლამის განთავსებისა და სხვა აქტივობებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდვითი ინფორმაცია COVID-19-ის ვირუსთან დაკავშირებით უფრო აკადემიური და სანდოა, მომხმარებელი ბევრად უფრო კომფორტულად გრძნობს თავს სოციალურ პლატფორმებზე. სოციალურმა ქსელებმა ფართოდ გაუღო კარი მომხმარებელთა ფართო სეგმენტს. სოციალური ქსელების საშუალებით ვრცელდება მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია COVID-19-ის ვირუსის**

**შესახებ. თუმცა, მომხმარებლისათვის რთულია სწორი და ფეიკინფორმაციების გარჩევა. არსებობს მოსაზრება, რომ კორონავირუსის შესახებ მცდარი, არასწორი ინფორმაცია უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე თვით ვირუსის ინფექცია [36-38]. COVID-19-ის ვირუსის შესახებ დაუდასტურებელი, დამახინჯებული ინფორმაციების, მითებისა თუ კონსპირაციულ თეორიებზე აპელირება ხშირ შემთხვევაში იწვევს დაბნეულობისა და გაურკვევლობის სინდრომს. თუმცა, ზემოთ აღნიშნულის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები ნაკლებეფექტიანია როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. გლობალურ პანდემიასთან ბრძოლას საქართველომ წარმატებით გაართვა თავი, რომელიც აღიარებულია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თანამეგობრობის ქვეყნების მიერ [39-41]. COVID-19-მა რადიკალურად შეცვალა ქართველი მომხმარებლების ქცევა და მათი დამოკიდებულება ბრენდების მიმართ. სოციალური მედიამარკეტინგი წარმოჩინდა, როგორც მომხმარებლებთან პირდაპირი კომუნიკაციის ეფექტიანი საშუალება, რომელიც გამოიყენება ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის პრევენციისა და მკურნალობის, აგრეთვე მნიშვნელოვანი და სანდო ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოებრივი ურთიერთქმედებისათვის. ზემოთ აღნიშნული პრობლემები მოითხოვს სისტემატიურ და სიღრმისეულ მარკეტინგულ კვლევებს. იმედია, რომ უახლეს მომავალში COVID-19-ის ვირუსთან დაკავშირებით აკადემიურ დონეზე განხორციელდება მარკეტინგული კვლევები ქართულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ვფიქრობთ, ის დააინტერესებს, როგორც პრაქტიკოს მარკეტოლოგებს, ასევე მარკეტინგის სფეროში მომუშავე აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს.**

**ლიტერატურა:**


1. პაპავა, ვ., კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი, ეკონომიკა და ბიზნესი, N 2, 2020.
2. პაპავა ვ., ჭარაია ვ., კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა, GFSIS, No. 136, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-geo.pdf>.2020
3. ღაღანიძე, გ., მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ, ეკონომიკა და ბიზნესი, N2, 2020.
4. Hashem, T. (2020). Examining the Influence of COVID 19 Pandemic in Changing Customers' Orientation towards E-Shopping, Modern Applies Science 14(5) p: 59-76.
5. Taubenberger JK, and Morens DM.(2018). Influenza: the mother of all pandemics. Emerg Infect Dis. 2006Jan. http://dx.doi.org/10.3201/eid1209.05-097925
6. Sahoo, N. Lessons from Alibaba, previously hit by SARS, on handling a pandemic, www. Forbesindia.com.2020 .
7. Korreia, S., and Lick, St. (2020). How can we save lives and the economy? Lessons from the Spanish Flu pandemic,World economic Forum ,Covid Action Platform.
8. Huddleston, T. (2020). The SARS epidemic threatened Alibaba's survival in 2003—here's how it made it through to become a $470 billion company.
9. Stanciu, S., Radu, R., Sapira , V., Dumitrache, B., and Flore , A. (2020). Consumer Behavior in Crisis Situations. Research on the Effects of COVID-19 in Romania Article, www.eia.feaa.ugal.ro 2020
10. Rayner,G. ' (2020). Keep distance': New coronavirus slogan to run alongside 'Stay Alert', www. telegraph.co.uk.news. 2020.
11. Key consumer thresholds identified as the coranovirus outbreak evolves , www.nielsen.com › insights › article › key-consumer.2020\
12. Murrillo-Vargas, D. (2020). How the Covid-19 Pandemic- Influencing Consumer Behavior, www.contentserv.com › blog › how-covid-19-pandem,2020
13. https://www.mckinsey.com/business-functions/marketing-and-sales/our-insights/a-global-view-of-how-consumer-behavior-is-changing-amid-covid-19.2020
14. Nevilson, Cr. (2020). The Coronavirus Has Made Social Media Marketing Even More Important, Social media explorer.

15. სილაგაძე, ა., თვალჭრელიძე,ა. COVID-19 კორონავირუსის პანდემიის გავლენა ნედლი ნავთობის ფასზე წინასწარი სტატისტიკური ანალიზი. ეკონომიკა და ბიზნესი , N 2, 2020
16. Protecting online consumers during the COVID-19 crisis, , OECD Policy Responses to Coronavirus (COVID-19), 2020
17. Forbes, L. (2013). Does Social Media Influence Consumer Buying Behavior. Journal of Business & Economics Research, Vol. 11, No. 2, pp.107-112.
18. Jacobson, J., Gruzd, A., and Hernandez-Garcia (2020). Social media marketing: Who is watching the watchers? Journal of Retailing and Consumer Services, p:53, 2020
19. Ismagilova, E., Slade, N.P., Rana, Y.K., and Dwivedi . (2020). The effect of characteristics of source credibility on consumer behaviour: A meta-analysis. Journal of Retailing and Consumer Services,P: 53.
20. Mahoney , M. (2020). The Impact of Social Media on Business in 2020. Single Grain, www.singlegrain.com › blog-posts › impact-of-social.
21. ჯაში, ჩ., სოციალური მედიის ახალი მარკეტინგული კონტექსტი, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, პირველი ნომერი, თსუ. 2020
22. Donthu ,N., and Gustafsson, A. (2020). Effects of COVID-19 on business and research. Journal of Business Research 117.
23. Erkan,I., and Evan,L. (2016). The influence of eWOM in social media on consumers' purchase intentions. Computer in Human Behavior, pp. 47-55.
24. Alalwan, A., Rana, N., Dwivedi, Y., and Algharabat,R. (2017) . Social media in marketing: A review and analysis of the existing literature. Telematics and Informatics, 34 (7) , pp. 1177-1190.
25. Jashi, Ch., and Urotadze, E. (2019). Facilitation of online shopping Through Social media marketing. In Proceedings of the All Ukrainian Scientific and Practical Conference: Modern Marketing Challenges and Solutions, Odessa, Ukraine.
26. Todua, N. (2017). Social Media Marketing for Promoting Tourism Industry in Georgia. In Proceedings of 22nd International Conference on Corporate and Marketing Communications: Challenges of Marketing Communications in a Globalized World. Zaragoza, Spain, pp. 168-171.
27. Jashi, Ch. (2017). Impact of Social Media on Online Customer Behavior (Georgian Case). In Proceedings of the 22nd International Conference on Corporate and Marketing Communications: Challenges of Marketing Communications in a Globalized World, Zaragoza, Spain, pp: 307-309.
28. Todua, N. Impact of Social Media Marketing on Consumer Behavior in the Georgian Tourism Industry. International Academy Journal Web of Scholar,5(23), pp: 11-16. 2018
29. Todua, N., and Jashi, Ch. (2015). Some Aspects of Social Media Marketing (Georgian Case). International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering, Vol. 9, No. 4, pp. 1160-1163.
30. Mgebrishvili, B. (2019 ). Situation of Health Welfare in Georgia in the Context of Sustainable Development and Sustainable Marketing. Ecoforum ,Vol. 8, Issue 1.
31. Todua, N., and Jashi, Ch.(2013). Challenges of Social Marketing. TSU Science, Vol: 5 , pp:59-62.
32. www. statisc.com . Statista
33. Global Web Index Social Flagship Report, 2019
34. Social Media Trends Report: The Effects of COVID-19 on Marketing, 1Q Social Bakers,2020.
35. Appel,G., Grewal, L., Hadi, Rh. and Stephen .A. (2019). The Future of Social Media in Marketing, concpetual and practical paper. Journal of the Academy of marketing Science, pp:1-17.
36. Khan,M. (2019). The Impact of Perceived Social Media Marketing Activities: An Empirical Study in Saudi Context., International Marketing Journal, Vol. 11, No. 1; pp:134-149,
37. Kusumasond, J. (2018). The roles of message appeals and orientation on social media brand communication effectiveness, Asia Pacific Journal of Marketing and Logistics, 30 (4) pp. 1135-1158,
38. Duraisamy, B. Rathinaswamy,J., and Sengottaiiyan ,K. (2020). Social Media Reigned by Information or Misinformation About COVID-19: A Phenomenological Study. Electronic Journal p:585-602.
39. საქართველოში ახალი კორონავირუსის მიმდინარეობა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ანალიზი, 2020 ttps://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID
40. COVID19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები www.moh.gov.ge
41. World Health Organization. Novel coronavirus situation report-13. https://www.who.int/docs/default-source/coronaviruse/situationreports/20200202-sitrep-13-ncov-v3.pdf, 2020.

# Marketing Aspects of COVID-19 Epoch

**Eka Urotadze**
***Jashi Charita***

Summary

**The global pandemic has challenged business corporations all over the world; it has changed the marketing environment and the strategies of companies. Ensuring the safety and well-being of customers, companies have urgent needs to satisfy specific demands of the customers according to the regulation of COVID -19. This article focuses on two main issues which have become more relevant and significant during the global pandemic: 1) The harm caused by Covid-19 has dramatically changed the attitudes and views of buyers which led to the prioritization of totally unique products. 2) The social media marketing has become a powerful weapon during the crisis. This article is based on the latest online materials and scientific works, that demonstrate innovative approaches in marketing within this period. This paper reviews the researches provided by Nielsen and McKinsey companies that describes the different stages of customers' behavior and peculiarities of short-term benefits. This work focuses on the new trends such as sparking in the prices of specific products, decreasing loyalty towards traditional global brands and giving a preference for national brands. The social media marketing becomes more significant than ever. Social media companies have become the powerful marketing tool, which is a part of the routine for billions of customers every day. During the Covid-19 Global and National corporations have transformed their own marketing strategies on social platforms. The nowadays extensive amount of information is found in social media. It should be noted that the information has advantages and disadvantages itself. On the one hand customers are able to find favorable information about the pandemic rely on WHO and local healthcare organizations to provide useful recommendations. On the other hand it has to be mentioned that some information published on the internet is not reliable and can be considered as “fake news” which affects customers in a negative way. Unfortunately, social media platforms do not have effective tools to get rid of Fake news. Strategic changes in marketing throughout Covid-19 era have affected the development of international and domestic business. This article especially indicates successful collaboration between the Georgian government and healthcare organizations during the global pandemic. Their professionalism, support of public, and quick response facilitate positive reaction from both Georgian citizens and international partners. It is essential support more academic researches about this topic to prepare for post-COVID era which might contain even more obstacles.**

***Key words: global pandemic, marketing strategies, behavior change, social media marketing.***

# თაობათა მარკეტინგის გამოწვევები საქართველოს რეალობაში

**ნარგიზა ქარქაშაძე**
***ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,***
***ასოცირებული პროფესორი***
***აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი***

*სტატიაში „თაობათა მარკეტინგის გამოწვევები საქართველოს რეალობაში“ ყურადღება გამახვილებულია თაობათა მარკეტინგის მნიშვნელობაზე და მარკეტინგის კონცეფციის განვითარებაზე, რომელზეც გავლენას ახდენს სხვადასხვა ტენდენცია. ესენია:*

*დემოგრაფიული ვითარების შეცვლა;*

*ბაზრების მზარდი დიფერენციაცია და გაჯერება;*

*ტრადიციული საკომუნიკაციო არხების ეფექტურობის შემცირება, რომელიც გამოწვეულია მაღალი ინტენსივობის საინფორმაციო ნაკადებით;*

*ინტერნეტტექნოლოგიების და ვირტუალური სივრცის ფორმირება და განვითარება, რომელიც გავლენას ახდენს ბაზრების განვითარებაზე.*

*სტატიაში ნათლად არის დახასიათებული თითოეული თაობა და შედარებულია ისინი. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთებულია ანალიზი, რომლითაც მოხდა თაობებს შორის შეხედულებების, ღირებულებების განსხვავების იდენტიფიცირება, რომელიც აუცილებელია, გათვალისწინებული იქნას კომპანიების მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებისას, რაც უზრუნველყოფს მათ უდავო წარმატებას.*

*სტატიაში ნათქვამია, რომ თაობების მარკეტინგული სტრატეგიები ემყარება თაობათა კონცეფციას, თითოეული თაობის ძირითად მახასიათებლებს და მათ შორის არსებულ განსხვავებებს. აღნიშნულია, რომ თაობათა ბრენდინგი არის კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ამგვარი სტრატეგიების განხორციელება ცალკეული თაობებისათვის.*

*საკვანძო სიტყვები: თაობათა მარკეტინგი, თაობათაშორისი ურთიერთობები, თაობათა ღირებულებები, თაობათა ბრენდინგი*

**ყველა თაობა ერთნაირი არ არის და არც მარკეტოლოგები უნდა ეპყრობოდნენ მათ ერთნაირად. თაობათა მარკეტინგი არის ინდივიდუალური მოთხოვნებისა და ქცევების გადასაჭრელად მიღებული პრაქტიკა თაობათა ერთზე მეტი ჯგუფის მიერ, ამასთან ერთად, თაობა წარმოადგენს იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც დაიბადნენ და ცხოვრობენ დაახლოებით ერთსა და იმავე დროს.**

**როდესაც მარკეტინგი ითვალისწინებს თაობათა განსხვავებულ მახასიათებლებს და ქცევებს, უფრო ადვილი უნდა იყოს ურთიერთობების დამყარება, ნდობის მოპოვება და ბიზნესის წარმართვა. სინამდვილეში მრავალი თაობისთვის განკუთვნილი დაუბერებელი ბრენდების შექმნა მომდევნო 25 წლის მარკეტინგული ტენდენციების წამყვან ათეულში შედის. ამრიგად, მარკეტოლოგისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მრავალ თაობათა მარკეტინგის ცოდნა. ამ თვალსაზრისით ყურადღება უნდა გავამახვილოთ მარკეტინგის კონცეფციის განვითარებაზე, რომელზეც გავლენას ახდენს შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციები:**

**- დემოგრაფიული ვითარების შეცვლა, კერძოდ კი, მოსახლეობის დაბერება. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად, ეს პრობლემა აქტუალურია მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით კი ევროპის ქვეყნებისთვის, მომავალი ათწლეულების განმავლობაში საზოგადოების დაბერება მოიცავს მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონს;**

- ბაზრების მზარდი დიფერენციაცია და გაჯერება, რაც იწვევს მომხმარებლის ინდივიდუალური მოთხოვნების ზრდას და მასობრივი მარკეტინგის საშუალებების ეფექტურობის შემცირებას; საქონლის პერსონალიზაცია და კასტომიზაცია განსაზღვრავს მომხმარებელთან ურთიერთობის ინდივიდუალიზაციის საჭიროებას და «one-to-one» მარკეტინგული საშუალებების მთელი სპექტრის გამოყენებას.

- ტრადიციული საკომუნიკაციო არხების ეფექტურობის შემცირება, რომელიც გამოწვეულია მაღალი ინტენსივობის საინფორმაციო ნაკადებით და ზემოქმედებს მომხმარებელზე და, რაც, შესაბამისად, უფრო და უფრო მეტად არ აღიქმება მის მიერ, ასევე განსაზღვრავს ურთიერთქმედების ახალი და არასტანდარტული მეთოდების გამოყენებას, მათ შორის კომუნიკაციების პერსონალიზაციას.

- ინტერნეტტექნოლოგიების და ვირტუალური სივრცის ფორმირება და განვითარება, რომელიც გავლენას ახდენს ბაზრების განვითარებაზე, მომხმარებელთა ქცევაზე, საქონლის პოპულარიზაციისა და გაყიდვის მეთოდებზე და ასევე მომხმარებელთან კომუნიკაციის ფორმაზე. ეს ტენდენციები კლასიკურ მარკეტინგულ მიდგომებს განავითარებს, ხშირად კონცეფციების დანერგვით და ადაპტირებით სხვა სამეცნიერო სფეროებიდან, და ინოვაციური მარკეტინგის ტექნიკის გამოყენებით მარკეტინგული საქმიანობის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

ერთ-ერთი ასეთი კონცეფციაა თაობათა თეორია, რომლის პერსპექტივებს და გამოყენების პრობლემებს ბოლო დროს განიხილავენ მარკეტინგის სფეროში ექსპერტები. ამ ნაშრომის მიზანია თაობათა თეორიის დებულებების მარკეტინგში გამოყენების შესაძლებლობებისა და უპირატესობების ანალიზი.

ამ ნაშრომის ფარგლებში დადგინდა, რომ საქართველოში მცხოვრები ხუთი თაობიდან ოთხი ჯგუფი წარმოადგენს ქვეყნის მთავარი სამომხმარებლო ბაზრის რესურსს. ამავე დროს, მომავლის სამომხმარებლო პოტენციალის თვალსაზრისით მიზანშეწონილია სამი თაობის განხილვა, რომელთა ფასეულობათა მახასიათებლების შეფასებამ აჩვენა მნიშვნელოვანი სხვაობები მათ სოციალურ და პირად პოზიციებში, რაც გავლენას ახდენს მათ მიდგომაზე განათლებისადმი, პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენისა და ზოგადად სამუშაოსადმი. მოცემული სიტუაცია მოიცავს ნეგატიურ მომენტებსაც, ამიტომ მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის თაობათაშორისი ურთიერთობების დამყარება, მარკეტინგის განვითარების სწორი ვექტორის არჩევა, რომელიც მიმართული იქნება კომპანიის წარმატებით განვითარებაზე.

საქართველოში ნაკლებად ხელმისაწვდომია თაობათა სიღრმისეული კვლევები. ის კვლევები, რომლებიც ნაწილობრივ ფარავს თაობების თემას, საქართველოში მცხოვრები თაობების ზოგად მდგომარეობასა და ღირებულებებს ეხება.

ამ კუთხით 2012 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევა „თაობები და ღირებულებები" აჩვენებს საინტერესო სხვაობებს თაობათა შორის. გამოკითხვა ჩატარდა 2011 წელს თბილისში და საქართველოს ყველა რეგიონში. გამოკითხულ იქნა სამი თაობის, 18-24 წლის (მილენიალელები, ანუ თაობა Y), 40-50 წლის (თაობა X) და 60-70 წლის (ბეიბი ბუმერები), სულ 1058 ინდივიდი. აქ უმეტესად ყურადღება გამახვილებულია თაობებს შორის ღირებულებათა ცვლაზე, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია თაობათა შორის განსხვავებულობის. როგორც ზემოთ განვმარტეთ, თაობის ფორმირებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ დროითი მახასიათებლები, ასევე ფორმირდება და იცვლება ღირებულებებიც, თუმცა ამ ცვლილებას საკმაოდ დიდ დრო სჭირდება.

კვლევამ „თაობები და ღირებულებები" (2012) აჩვენა, რომ საქართველოში ტრადიციებისადმი ერთგულება, ოჯახური შეჭიდულობა და ბავშვის ისე გაზრდა, რომ იყოს დამჯერი, უფრო ღირებულია უფროსი თაობის ადამიანებისათვის, მაშინ, როდესაც ახალგაზრდა თაობა ხაზს უსვავს იმის მნიშვნელობას, რომ ადამიანი იყოს დამოუკიდებელი და მიზანსწრაფული. განათლება, რომელიც ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ერთად

დემოკრატიის განვითარების რესურს წარმოადგენს, საკმაოდ მაღალია. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი სარგებლობს კომპიუტერით და მათი ყველაზე დიდი წილი ახალგაზრდა თაობაშია. ახალგაზრდები, სხვა თაობებთან შედარებით, უფრო დადებითად აფასებენ საკუთარი ოჯახების ეკონომიკურ კეთილდღეობას და მეტ ეკონომიკურ ოპტიმიზმს იჩენენ. ახალგაზრდების შემოსავალი უფრო მეტადაა დამოკიდებული კერძო ბიზნესზე, ხოლო უფროსი თაობის - სახელმწიფო წყაროებზე. დამოკიდებულება დემოკრატიისადმი, როგორც მმართველობის ფორმისადმი, ისევე, როგორც მისი ისეთი კომპონენტებისადმი, როგორებიცაა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში, აზრის გამოხატვის შესაძლებლობა და კანონის წინაშე თანასწორობა, საყოველთაოდ დადებითია. ინტერესს პოლიტიკის მიმართ ყველაზე ნაკლებად ახალგაზრდებ იცენენ, ხოლო ყველაზე მეტად უფროსი თაობა. გენდერული თანასწორობა და უმცირესობების მიმართ ტოლერანტობა უფრო მაღალია ახალგაზრდებთან.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ იმ მახასიათებლებზე, რომლებიც დამახასიათებელია თითოეული თაობისათვის. მაგალითად, თაობა X–ის წარმომადგენლები, რომლებიც აღზარდეს დასაქმებულმა მშობლებმა ცვლილებებით აღსავსე ეპოქაში, ბავშვობიდანვე მიეჩვივნენ სწრაფად ცვალებად გარემოში დამოუკიდებლად მანევრირებას. ისინი გამოირჩევიან ინდივიდუალიზმით, პრაგმატიზმით, თვითდაჯერებულობით, აქვთ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი, გააჩნიათ პატრიოტიზმის შესუსტებული გრძნობა და უყვართ შენაძენების გაკეთება. ვინაიდან არიან პასუხისმგებლიანები და კეთილსინდისიერები, ისინი ძალიან აფასებენ ცოდნას და აგრძელებენ მუდმივად სწავლას და კარიერის შექმნას მთელი ცხოვრების განმავლობაში, ხოლო მათი განათლება საკმაოდ ღრმა და სისტემურია. ისინი უფრთხილდებიან დროს და მნიშვნელოვნად აფასებენ არჩევანის შესაძლებლობას. მათ აუცილებლად უნდა დაინახონ აზრი თავიანთ სამუშაოში, სჭირდებათ საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების მუდმივი რეალიზება და არასტანდარტული აზროვნების გამოვლენა; არიან ჯილდოზე ორიენტირებულნი, მაგრამ, ამავე დროს, არ არიან ზედმეტად ამბიციურები. მზად არიან ცვლილებებისთვის და დამატებითი ფუნქციონალის განხორციელებისთვის, რაც მათ მიერ აღიქმება, როგორც საკუთარი შესაძლებლობებისადმი ნდობა. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანურ ურთიერთობებს და, შესაბამისად, ყურადღებით ეკიდებიან ხალხს. ამასთან, მეტად ხელეწიფებათ წარმატებული ბიზნესკომუნიკაციების გაბმა. ამ თაობის წარმომადგენლები გამოირჩევიან გადაწყვეტილების მიღების უნარით, მაგრამ, ამავე დროს, მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმისას კონცენტრირებულნი არიან ახლობლების აზრზე. ეს ადამიანები არიან პოტენციური მეწარმეები, კარგი ლიდერები, ბრწყინვალე ექსპერტები და მრჩევლები, რომლებიც შესანიშნავად ფლობენ როგორც სამუშაო სისტემას, ისე პროფესიულ მეთოდოლოგიასაც. ისინი თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის მთავარი "მამოძრავებელი ძალაა", მაგრამ ამგვარ დატვირთვას გააჩნია მრავალი უარყოფითი მხარეც, მაგალითად, „გაქედვის“ მიდრეკილება - საშიშროება, რომ "სამსახურში გადაიწვან".

თაობა Y თავისი ჩამოყალიბების პროცესში ჩვენს ქვეყანაში ასევე მოესწრო გარდაქმნებით აღსავსე პერიოდს, თუმცა, მასზე მთავარი კვალი დააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და მშობლების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ გატარებულმა ბავშვობამ. შედეგად, მათი ერთ-ერთი მთავარი თვისებაა აზროვნების მოქნილობა და გამოცდილების სწრაფად დაგროვების უნარი, ციფრულ სივრცეში ძლიერი ჩართულობა და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების ცოდნის მაღალი დონე, მობილურობა და კომუნიკაბელურობა. ისინი განათლებას საკმაოდ ფორმალურად ეპყრობიან და არ ცდილობენ, მიიღონ სისტემური განათლება - მიუხედავად იმისა, რომ Y თაობის წარმომადგენლებს ხშირად აქვთ სხვადასხვა დიპლომი, ისინი ცოდნის მნიშვნელობას ძირითადად მისი პრაქტიკაში გამოყენების ასპექტებში ხედავენ და შეუძლიათ შეელიონ მას გამოცდილების შეძენისა და სასურველი სამსახურის გამო. საკუთარ ფასეუ-

ლობაში დაჯერებულობით აღზრდილები არიან თავდაჯერებულნი, ამბიციურები და ზოგჯერ კატეგორიულებიც კი. ამავე დროს, არიან ბევრად ნაკლებად დამოუკიდებელნი, ვიდრე მათი წინამორბედები, არ ცდილობდნენ სწრაფად ზრდას, გუნდურ მუშაობასა და მორჩილებას, ამიტომ ისინი ითვლებიან მართვადებად და გარკვეულწილად გულუბრყვილოებადაც კი. საკუთარი თავის შეცვლის სურვილი მათში გამოხატულია უნდობლობით შორეული პერსპექტივების მიმართ, ისინი ისწრაფვიან მხოლოდ ისეთი მიღწევებისკენ, რომლებიც მათ მოუტანთ დაუყოვნებლივ ჯილდოს. Y თაობის წარმომადგენლების ცხოვრების პრიორიტეტების სისტემა, პრინციპში, განსხვავებულად არის აგებული, ვიდრე X თაობის პრიორიტეტების სისტემა - აღიარებენ რა მოვალეობის და მორალის ფასეულობას, ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ცხოვრებისგან სიამოვნების მიღებას და სამუშაო მათთვის წარმოადგენს ამ მიზნის მიღწევის საშუალებას. ამიტომ შრომითი საქმიანობის სფეროში, პირველ ყოვლისა, მათ აინტერესებთ სამუშაო პირობები და შინაარსი. მათ შეუძლიათ, სრულად მოერგონ კორპორაციულ გარემოს, მაგრამ მათ სამსახურს არ უნდა სჭირდებოდეს მთელი მათი დრო, მიუხედავად იმისა, რომ მათ უნდა მოჰქონდეთ მოსალოდნელი სარგებელი. შედეგად: Y თაობის წარმომადგენლები ყოველთვის ეცდებიან, სამუშაო გარემო მოარგონ საკუთარ ცხოვრებას. მაგალითად, მათ ურჩევნიათ მოქნილი სამუშაო გრაფიკი და დავალების დისტანციურად შესრულება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს თაობა დაკმაყოფილდება უფრო მცირედით და არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდება, იმუშაოს უფრო მეტი და უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ამას ჩათვლის საჭიროდ.

თაობა Z–ის, გლობალიზაციისა და ინფორმაციული საზოგადოების პირმშოების პრინციპული მახასიათებელი არის მათი ორგანული არსებობა ვირტუალურ სამყაროში - შემთხვევითი არ არის, რომ ამ თაობას "ციფრულ თაობას" უწოდებენ. გარე სამყაროს მშფოთვარე ფონისა და მშობლებთან ასოცირებული ზედმეტი კონტროლის შედეგად, ისინი კიდევ უფრო ნაკლებად დამოუკიდებლი არიან და უფრო მეტად არიან ჩაკეტილი საკუთარ თავში, ვიდრე Y თაობის წარმომადგენლები; ისინი მეტად ფრთხილად ეკიდებიან ყველაფერ უცხოს. ამ თაობის წარმომადგენლები აბსოლუტურად თავისუფლად გრძნობენ თავს მხოლოდ ქსელის სივრცეში, მშვენივრად მოძრაობენ ხელოვნურად იმიტირებულ სიტუაციებში და განიცდიან მნიშვნელოვან სირთულეებს რეალურ გუნდურ ურთიერთობებში. არიან რა კომუნიკაბელურები და აქტიურები, მათ ურჩევნიათ კომუნიკაცია ძირითადად მობილური აპლიკაციებით. ისინი უფრო მგრძნობიარენი არიან ინფორმაციის მიმართ, ვიდრე მათი წინამორბედები და სწავლობენ მყისიერად და საკუთარი ნებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ცოდნა მათ საშუალებას აძლევს, შეიძინონ ახალი უნარები. იმავდროულად, ისინი არ ცდილობენ, დაიმახსოვრონ ყველაფერი, რადგან აქვთ ტექნოლოგიების იმედი. წარმოსახვითი აზროვნების გამო ამ თაობის წარმომადგენლები უკეთ სწავლობენ თამაშების ფორმით. დებულებებს, ინსტრუქციებსა და წესებს, რომლებსაც Z თაობის წარმომადგენლები, ჩვეულებისამებრ, იცავენ, ისინი ცდილობენ თავიანთ თავში გარდაქმნან ინფოგრაფიკულ ფორმატში, რომელიც მათთვის უკეთ არის გასაგები. ისინი პატივს სცემენ ავტორიტეტებს, მაგრამ მათთან ურთიერთობა ურჩევნიათ თანაბარ პირობებზე, ხოლო სხვისი გამოცდილების გაზიარებას და დასკვნების გამოტანას ყოველთვის ცდილობენ. ისინი მზად არიან, გამოხატონ მორჩილება, მაგრამ წინააღმდეგობას უწევენ ნებისმიერ მცდელობას, ვინმემ დაუწესოს მათ მკაცრი საზღვრები. ამიტომ, Y თაობის წარმომადგენლების მსგავსად, ისინი უფრო ხშირად ირჩევენ დისტანციურ სამუშაოს ან მოქნილ საათებს. მათ არ მოსწონთ მონოტონურობა და აფასებენ მრავალფეროვნებას. მათ შეუძლიათ, სწრაფად გადაიტანონ ყურადღება და ამიტომ მზად არიან მრავალფეროვანი სამუშაოს შესრულებისთვის. იმავდროულად, მათ წინაშე დასმულ ამოცანებს უნდა ჰქონდეს ძალიან მკაფიო და გასაგები ფორმა, რადგან მათი მუშაობის ეფექტურობა პრაქტიკულად პირდაპირ არის დამოკიდებული ამაზე. ამავე დროს, ისინი არიან შემოქმედები და შემქმნელები, რომლებიც თავიანთი მოქმედებით

ოცნებობენ, გარდაქმნან სამყარო; მათთვის მუშაობა არის ჰობის ან თამაშის მსგავსი - პირველ ყოვლისა, მათთვის მნიშვნელოვანია საინტერესო ამოცანები და მათთვის მიმზიდველი გლობალური მიზანი. Z თაობის წარმომადგენლები აფასებენ საკუთარ თავს და ცდილობენ, მოახდინონ საკუთარი ინდივიდუალობის რეალიზება. ახალგაზრდობაშივე ფიქრობენ მომავალზე და წინასწარ გეგმავენ კარიერას. ამ დროისთვის ეს ჯგუფი ფორმირების პროცესშია, ამიტომ მათი მრავალი მახასიათებლის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ პროგნოზების კონტექსტში, მისი ანალოგიური მდუმარე თაობის ფასეულობების ექსტრაპოლაციით, თეორიით დადგენილი ციკლის კანონზომიერებების გაითვალისწინეთ. მაგალითად, ექსპერტები ამ თაობის წარმომადგენლებს უწინასწარმეტყველებენ ოჯახური ფასეულობების განმტკიცებას და საკმაოდ მაღალ პატრიოტიზმის გრძნობას [1].

მოყვანილი თაობათა დახასიათებები ცალსახად მიუთითებენ თაობათა შორის არსებულ განსხვავებაზე. სხვადასხვა თაობებში არსებული ღირებულებების კვლევა თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან გვაძლევს ცოდნას კონკრეტულ საზოგადოებაში, კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში სხვადასხვა თაობის მამოძრავებელ ძალის, თაობებს შორის განსხვავებისა და მსგავსების შესახებ, მაგრამ იგი ასევე მნიშვნელოვანია, რადგან იძლევა საზოგადოების განვითარების შესაძლო ტრაექტორიის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს 20–'-"' წლების საქართველოში მცხოვრებ თაობებს შორის შეხედულებების, ღირებულებების განსხვავების იდენტიფიცირება, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს კომპანიების მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებისას, რაც უზრუნველყოფს მათ მნიშვნელოვან წარმატებას. გამოკითხვისათვის შევარჩიეთ ოთხი თაობის წარმომადგენლობითი სეგმენტი. სულ გამოკითხული იქნა 80 რესპონდენტი. შევიმუშავეთ ანკეტა, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: დემოგრაფიული კითხვები რესპონდენტების მიმართ, რესპონდენტების დამოკიდებულებას თანამედროვე ტექნოლოგიების, ანაზღაურების, სამუშაოს სტაბილურობის, კარიერული ზრდისა და განვითარების მიმართ. რესპონდენტების ოჯახური მდგომარეობის ანალიზი ასეთია: დაოჯახებულია 51%. დაოჯახებულთა რიცხვი ყველაზე დიდი რაოდენობით აღამოჩნდა უფროსი ასაკის თაობაში, კერძოდ 56-76 წლები, ხოლო დასაოჯახებელთა რაოდენობა 16-19 წლის ასაკში.

ასევე დამატებით გამოიკითხა მათი შეხედულებები განქორწინების შესახებ, საიდანაც 55 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის უმრავლესობა (55 პროცენტი) მიიჩნევს, რომ განქორწინება არ არის გამართლებული მაშინ, როცა 18- 35 წლის ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 43 პროცენტი და 36-55 წლის ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 45 პროცენტი იზიარებს ამავე მოსაზრებას.

განათლების მიხედვით რესპონდენტები გადანაწილებული არიან უმაღლესი, საშუალო და პროფესიული დონის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა უფროსი ასაკის რესპონდენტებს შორის, რაც გამოწვეულია მათ პერიოდში არსებული პროფესიული სასწავლებლების სიმრავლით და ხარისხობრივი მაჩვენებლით.

რაც შეეხება დასაქმების სფეროს, აქ ოთხივე თაობის ასაკობრივ კატეგორიაში ჭარბობენ კერძო სფეროში დასაქმებულები ჯამში 36%, უმუშევრობა ყველაზე მაღალი არის ახალგაზრდებში. დასაქმებულებში მაღალი შემოსავლები გააჩნიათ უფრო მაღალი ასაკის თაობას, რაც უფრო გამოცდილებისა და ასევე სანაცნობო კავშირების დამსახურებაც არის.

რესპონდენტები ასევე გამოიკითხნენ, თუ მმართველობის რომელ ფორმას უჭერდნენ მხარს. კვლევამ უჩვენა, რომ ოთხივე თაობის წარმომადგენელთა უმეტესობისათვის დემოკრატია და მისი ძირითადი მახასიათებლები, როგორებიცაა მონაწილეობა, საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, კანონის წინაშე თანასწორობა, მნიშვნელოვან ღირებულებებს წარმოადგენენ. გამოკითხულთა 85 პროცენტი დემოკრატიას მმართველობის საუკეთესო ფორმად მიიჩნევს. თუმცა აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანებიც, ძი-

რითადად უფროს თაობებში, რომლებიც მხარს უჭერენ ავტორიტარიზმს და ფიქრობენ, რომ სრული ძალაუფლება უნდა იყოს მთავრობის ხელში, რადგან „··-†‗——,—-‘ ისეთი ხალხი ვართ, რომ მხოლოდ ძალის ენა გვესმისნ.

რაც შეეხება ნდობას, რესპოდენტები მას განსაზღვრავენ, როგორც მოლოდინს იმის თაობაზე, რომ სხვა ადამიანები ზოგადად სანდო და პატიოსნები არიან. სწორედ ამ კუთხით დასმულ კითხვაზე, ენდობოდნენ თუ არა ადამიანები მათ გარშემომყოფებს, აღმოჩნდა რომ ოთხივე თაობაში უმრავლესობა არ ენდობა მათ ირგვლივ მყოფებს (58,8%), ხოლო ენდობა 22,5% და ნაწილობრივ ენდობა 18,8%. 59 პროცენტი ემხრობა მოსაზრებას, რომ სხვებთან ურთიერთობისას ადამიანს უფრო მეტი სიფრთხილე მართებს.

გამოკითხული დასაქმებული რესპონდენტებისთვის სამუშაო ადგილზე არსებულ გამოწვევებს შორის პირველ ადგილზეა შესრულებული საქმის შეუსაბამო ანაზღაურება - 44% (32). მაგალითად, გამოკითხულთა 21%-თვის (17) გამოწვევაა დაწინაურების შესაძლებლობის არქონა სამუშაო ადგილზე, ხოლო 17,5%-თვის (14) პროფესიული ზრდისა და განვითარების ნაკლები შესაძლებლობა. რესპონდენტთა 17,50% (14) ასევე ასახელებს სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ბალანსის არქონას ერთ-ერთი გამოწვევად.

ტექნოლოგიებთან გამოცდილების შესახებ ინფორმაცია მოცემული კვლევის ფარგლებში. 81% (65) მათგანი ადასტურებს, რომ სახლში კომპიუტერი აქვს, 11,5% (9) ამბობს, რომ აქვს, მაგრამ არ იყენებს, ხოლო 7,5%-ს (6) არ აქვს. ტექნოლოგიებთან დაკავშირებით მეორე შეკითხვა აზუსტებდა, რისთვის იყენებენ კომპიუტერს სხვადასხვა წყაროს (სოციალური ქსელი, WhatsApp, Viber და სხვ.), email-ზე მეტად. 26.25%-მა დაადასტურა, რომ უფრო მეტად სოციალურ ქსელს იყენებენ სამსახურებრივი კომუნიკაციისთვისაც.

კითხვაზე, ხართ თუ არა რელიგიური, გამოკითხულთა უმრავლესობამ 81,25%-მა უპასუხა, რომ ის მართლმადიდებელი ქრისტიანია. გამოკითხვის შედეგები მიუთითებენ რელიგიის დიდ მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. რესპონდენტთა უდიდესი ნაწილისათვის ქრისტიანობა უფრო მეტად წარმოადგენს თვითიდენტობის საფუძველს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეობა. [2]

თაობების მარკეტინგული სტრატეგიები ემყარება ზემოთ ჩამოყალიბებულ თაობათა კონცეფციას, თითოეული თაობის ძირითად მახასიათებლებს და მათ შორის არსებულ განსხვავებებს. თაობათა ბრენდინგი არის კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ამგვარი სტრატეგიების განხორციელება. შემდეგ კომპანიებს შეუძლიათ, შექმნან ისეთი პროდუქტები, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერება ამ თაობას. მაგალითად, Y თაობაზე ორიენტირებისას მარკეტოლოგებს შეუძლიათ, შემოგვთავაზონ პროდუქტები, რომლებიც ასახავენ იმ ღირებულებებს, რომლებიც შეესაბამება ამ თაობას. ყიდვის შესახებ გადაწყვეტილებები ხშირად ძლიერ არის დამოკიდებული ერთი თაობის წარმომადგენლებზე; კოლეგები ხშირად პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრავენ პროდუქტისა და ბრენდის არჩევანს. ახალგაზრდა უზარმაზარი ტექნოლოგიური მიღწევებითა და მომხმარებელთან კავშირებით, კომპანიებისთვის ადვილია, მოარგონ თავიანთი შეთავაზებები ახალგაზრდა მომხმარებლების უნიკალურ მოლოდინებს.

ახალგაზრდა თაობის ჯგუფები, სავარაუდოდ, მაღალ ფასებს უკავშირებენ კარგ ხარისხს და ღირებულებას. ისინი ასევე სავარაუდოდ ეჭვქვეშ აყენებენ ფასებს. თაობათა სხვა სხვაობებმა შეიძლება, გავლენა იქონიოს ფასწარმოქმნის გადაწყვეტილებებზე, კერძოდ, ფასის /ღირებულების გაგებაზე, ფასისა და ბრენდის მგრძნობელობასა და ფასდაკლებების უპირატესობაზე. სინამდვილეში, ფასებზე მგრძნობელობა მნიშვნელოვნად განსხვავდება თაობებს შორის. ამ დაკვირვებამ კომპანიებს უნდა უბიძგოს, როგორ მოერგონ სხვადასხვა თაობას ფასებზე.

თაობებთან დაკავშირებული მოსაზრებები ასევე გავლენას ახდენს საცალო ვაჭრობასა და მენეჯერებზეც. ამის უშუალო შედეგია ის, რომ ასორტიმენტი მუდმივად უნდა მოერგოს ცვალებად საჭიროებებს, მომხმარებელთა ყიდვის ქცევას და ჩვევებს. შენაძენი სხვადასხვა მნიშვნელობასა და ფორმას გადმოსცემს სხვადასხვა თაობისთვის.

მაგალითად, Y თაობა ასოცირდება ექსპერიმენტულ მოხმარებასთან, რაც აიძულებს მაღაზიის მენეჯერებს, სრულად გაიაზრონ, როგორ მართავენ თავიანთ სივრცეს, გააერთიანონ სენსორული მარკეტინგი და გართობა თავიანთ შეთავაზებებში და გარდაქმნან სავაჭრო ცენტრები და პატარა მაღაზიები ნამდვილ გასართობ ცენტრებად.

საცალო ვაჭრობის როლი და გავლენა ასევე განსხვავებულია სხვადასხვა თაობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვილი ბუმერებისთვის გამყიდველისადმი ნდობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თაობა Y- სთვის ეს მეორეხარისხოვანია. შესაბამისად, მენეჯერებმა თავიანთი მაღაზიები უნდა მოარგონ თითოეულ თაობას, სავაჭრო სტილისა და ორიენტაციის, დროისა და, ასევე, აგურისა თუ ნაღმმტყორცნების უპირატესობების მიხედვით, სხვადასხვა ონლაინ არხების გათვალისწინებით.

ბოლო დროს საცალო ვაჭრობამ გაითვალისწინა თაობათა განსხვავებები ციფრული გზით და უფრო მეტი მრავალარხიანი შესაძლებლობის შეთავაზებებით.

თითოეული თაობა და მედია ასევე მოქმედებს სარეკლამო სტრატეგიასა და ოპერაციებზე. მიუხედავად იმისა, რომ Y და Z თაობებისთვის ინტერნეტი გახდა ყოველდღიური პრაქტიკისა და რუტინის შემადგენელი ნაწილი, ეს სულაც არ არის საჭირო სხვა თაობებისთვის. რა თქმა უნდა, ბოლო პერიოდში ინტერნეტი და მობილური რეკლამა იქცა რეკლამირების გარდაუვალ გზად. ამასთან, ბოლოდროინდელი გამოკვლევები აჩვენებს, რომ მისი მიღება და ინტეგრაცია განსხვავდება თაობებში.

კომპანიებს შეუძლიათ, ცვალონ ინტერნეტის ჰედონური/უტილიტარული გამოყენება, ინფორმაციის წყაროები, გადახდის ვარიანტები და მომხმარებელთა ონლაინ უნარების მოთხოვნები სამიზნე თაობებში. უფრო ტრადიციულ სარეკლამო მედიასთან, როგორიცაა ტელევიზორი, ურთიერთობაც კი განსხვავდება თაობებში.

ახალ თაობებზე ორიენტირებისას ტრადიციული სარეკლამო არხების საშუალებით, კომპანიებმა ერთდროულად უნდა გამოიყენონ მათთან დაკავშირებული სოციალური ქსელები და პრიორიტეტი მიანიჭონ პრომოუშენის ინსტრუმენტებს, რომლებიც ახალგაზრდა ტელემაყურებელთა მიერ სოციალურ მოვლენებად განიხილება.

ლიტერატურა:


1. https://wmkagency.com/blog/generation-marketing-how-to-reach-consumers-at-every-age
2. კვლევის შედეგები


## Generational marketing challenges in the reality of Georgia


**Nargiza Karkashadze**

*Academic Doctor of Economics, Associate Professor*



S u m m a r y

**The article "Challenges of Generation Marketing in the Reality of Georgia" focuses on the importance of generational marketing and the development of the marketing concept, which is influenced by various trends.**

**These are:**

**• Changing demographic trends;**

**• Increasing market differentiation and saturation;**

**• Decreased efficiency of traditional communication channels caused by high-intensity information flows;**

**• Formation and development of Internet technologies and virtual space, which influences the development of markets. The article clearly describes each generation and makes comparisons between them. Based on the research, an analysis was made to identify the differences in views and values between the generations, which must be taken into account when developing marketing strategies for companies, which will ensure their undoubted success.**

**The article says that the marketing strategies of the generations are based on the concept of generations, the main characteristics of each generation and the differences between them. It is noted that generational branding is a concrete example of how such strategies can be implemented for individual generations.**

***Keywords: Generation Marketing, Intergenerational Relationships, Generations Values, Generations Branding.***

# შეზღუდული რაციონალურობის ქცევითი გადახვევები კორონომიკაში

**ქუჯი ბიქია**
*ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული დოქტორი*
*თსუ-ის და ევროპის უნივერსიტეტი*

*Covid-19-ის პანდემია ისტორიული მნიშვნელობის ეკონომიკური და სოციალური გამოწვევაა, რომლის დასაძლევადაც სასარგებლოა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას ქცევითი ეკონომიკის თეორიის გამოყენება. ჯგუფური ქცევა, დღევანდელი დღის მიმართ ტენდენციურობა, სტატუს-კვოს მიმართ მიკერძოებულობა, ფორმულირების ეფექტი და გადამეტებული ოპტიმიზმი არის ის ეფექტები, რომლებიც ადამიანთა ქცევაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს და მათზე დაყრდნობით შესაძლებელია სწორი ბიძგის მიმცემი პოლიტიკის გატარება ვირუსის შესაკავებლად.*
*საკვანძო სიტყვები: პანდემია, ქცევითი ეკონომიკა, ჯგუფური ქცევა.*

## შესავალი

პანდემიის გავრცელებამ დიდი კვალი დააჩნია როგორც ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას, ისე ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას. Covid-19-ის გავრცელებიდან ნახევარ წელზე მეტი გავიდა და საზოგადოებისათვის უკვე მეტწილად ცნობილია, რა ზომების მიღება შეუძლიათ მათ ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად ამისა, თითქოს გავრცელება, შენელების ნაცვლად, პირიქით, დაჩქარებულია და ძირითადი მარტივი თავდაცვის მექანიზმები ხშირად დაცული არაა. ასეთი შედეგის ახსნა ისევე, როგორც მისი გარკვეულწილად შეცვლა, შესაძლებელია ქცევითი ეკონომიკის დახმარებით, რომელიც განიხილავს რაციონალური ქცევიდან გადახვევის ფსიქოლოგიურ ფაქტორებს.

ადამიანთა დიდი ნაწილი არ არის აღჭურვილი ახალი, კომპლექსური და დროში გაწელილი პრობლემის ოპტიმალურად გადაჭრის უნარით. მათ მრავალი შეზღუდულობა ახასიათებთ, რის გამოც პრობლემის გადასაჭრელად სხვადასხვა ევრისტიკულ მეთოდს მიმართავენ. სწორედ ამიტომ რისკიანი და ჯანმრთელობისთვის საზიანო გადაწყვეტილებების ანალიზისათვის სასარგებლოა ქცევითი ეკონომიკის თეორიის მოშველიება. შედეგად შესაძლებელია ჯანდაცვის პოლიტიკის გატარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება და პანდემიის გავრცელების რისკის შემცირება.

ადამიანები რომ შეზღუდული რაციონალურობის პირობებში მოქმედებენ, ეს ნათლად აჩვენა მრავალმა ექსპერიმენტულმა კვლევამ [17]. მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია შეზღუდულობის რამდენიმე მიმართულება: ჯგუფური ქცევა, დღევანდელი დღის მიმართ ტენდენციურობა, სტატუს-კვოს მიმართ მიკერძოებულობა, ფორმულირების ეფექტი და გადამეტებული ოპტიმიზმი. მოყვანილია პანდემიის შესატყვისი მაგალითები და თითოეული ეფექტის სასარგებლოდ გამოყენების რეკომენდაციები.

## ქცევითი გადახვევები და მათი გამოყენება პოლიტიკის შემუშავებისას

ადამიანები განიცდიან სხვადასხვა სახის შეზღუდულობებს, რის საფუძველზეც ხშირად უწევთ არაოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება. ეს შეზღუდულობები მოიცავს როგორც ფინანსურ და დროით დეფიციტს, ისე გამოთვლით უნარებსა და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. ზოგჯერ ამ ფაქტორებს ინდივიდი არასასურველ გადაწყვეტილებამდე მიჰყავს, მაგრამ ქცევითი ეკონომიკის თეორიის მეშვეობით შემუშავებული პოლიტიკის დახმარებით შესაძლებელია ადამიანებისთვის სწორი მიმართულებით ბიძგის მიცემა.

ამისთვის უნდა გაანალიზდეს, თუ როგორ ახდენენ ინდივიდები გადაწყვეტილებათა რაციონალიზაციას, რას წარმოადგენს შეზღუდული რაციონალურობის გამოვლინებები და როდის იჩენს თავს სუსტი თვითკონტროლი [1].

რაციონალური ქცევიდან ერთ-ერთი გადახრაა ჯგუფური ქცევა - განუსაზღვრელობის პირობებში არჩევანის გაკეთებისას სხვა ინდივიდების მიბაძვა. ასეთი ქცევა განპირობებულია ორი მიზეზით - პირველი, ინდივიდი თვლის, რომ სხვები უკეთ არიან ინფორმირებული არსებული სიტუაციის შესახებ და მათი მიბაძვა დიდი ალბათობით სასურველ შედეგს გამოიღებს და, მეორე, ირგვლივ უმრავლესობა თუ ერთ არჩევანს აკეთებს, ჩნდება წნეხი ჯგუფისგან განსხვავებული ქცევის საწინააღმდეგოდ [3]. ჯგუფური ქცევის პოლიტიკის შემუშავებისთვის გამოყენების მაგალითია აშშ-ში გადასახადის გადამხდელთა კვლევა, რომელმაც აჩვენა, მოსახლეობის ინფორმირება, რომ მათი 90% გადასახადებს პირნათლად იხდიდა, უფრო წარმატებული აღმოჩნდა გადამხდელთა რაოდენობის ზრდისათვის, ვიდრე სხვა მეთოდები [17, 5]. ამგვარად, სოციალური დისტანციის დაცვის მაჩვენებლის გასაზრდელად მთავრობამ ხალხს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, როგორ იქცევიან ამ სიტუაციაში სხვები. ამ მხრივ, მაგალითის სახით კარგი იქნება პანდემიის გავრცელების ადრეულ პერიოდში სუპერმარკეტებში შექმნილი სიტუაციის გახსენება. გარკვეული დროის განმავლობაში მოსახლეობის ერთ ნაწილში პანიკა იყო გავრცელებული და უცნობი იყო, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა საგანგებო მდგომარეობა. ამ ვითარებაში მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა გადაწყვიტა საკვებისა და აუცილებელი საჭიროების ნივთების მარაგის შექმნა, რამაც გამოიწვია შიში, რომ ეს პროდუქტები დახლებიდან გაქრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შიში უსაფუძვლო იყო, სხვებიც ჩაებნენ ამ პროდუქტების მომარაგებაში და დეფიციტი ფაქტობრივად ხელოვნურად შეიქმნა. ეს სიტუაცია ძალიან ჰგავს საბანკო სექტორისთვის კარგად ნაცნობ მდგომარეობას, როცა ბანკის გაკოტრების შიშით ხალხი საკუთარი დეპოზიტების გამოსატანად გარბის და ხელოვნურად ქმნის ამ საფრთხეს. მსგავსი საშიშროების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ შეიძლება შექმნას ძირითადი პროდუქტების დამატებითი მარაგები, რითაც მოსახლეობის შიშს, რომ ისინი ვერ შეძლებენ ამ პროდუქტების შეძენას, გააქრობს და არასასურველი პანიკის ცეცხლს ჩააქრობს. გარდა ამისა, მარკეტების ხელმძღვანელობასაც შეუძლია გარკვეული ღონისძიებების გატარება. მაგალითად, ზოგმა მარკეტმა შეზღუდა მყიდველთა რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ ერთდროულად იმყოფებოდნენ შიგნით, ზოგმა შეზღუდა გარკვეული დასახელების პროდუქტების რაოდენობა, რაც ერთ ყიდვაზე შეიძლება წაიღონ, სხვებმა კი დაამატეს მიტანის სერვისი და შეამცირეს მყიდველებით მარკეტის გადატვირთვის რისკი [15]. ამრიგად, სწორი პოლიტიკის დახმარებით შესაძლებელია სასურველი ჯგუფური ქცევის გამოწვევა და არასასურველი ჯგუფური ქცევის ჩახშობა.

ადამიანები ხშირად დგანან დროთაშორისი არჩევანის წინაშე - მომენტალური დაბალი სარგებელი აირჩიონ თუ მომავალი მაღალი სარგებელი. დღევანდელი დღის მიმართ ტენდენციურობა, ანუ ჰიპერბოლური დისკონტირება, არის მრავალი ინდივიდისთვის დღევანდელი დაბალი სარგებლის არჩევის მიზეზი. ეს არჩევანი ხშირად დროში არათავსებადია, რადგან მომავლის დადგომასთან ერთად ინდივიდთა უპირატესობები იცვლება და ისინი არ არიან კმაყოფილი წარსულში გაკეთებული მომენტალური დაბალი სარგებლის არჩევანით. ეს ხშირად ვლინდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქცევაში. მაგალითად, covid-19-ის შეკავებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები მოიცავს შეძლებისდაგვარად სახლში დარჩენას, პირბადის ტარებას და ხელების ხშირად დაბანას, რაც არც ისე რთული შესასრულებელია, მაგრამ მაინც ხშირად არ სრულდება. ამის მიზეზი არის დღევანდელი დღის მიმართ ტენდენციურობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ირჩევენ მომენტალურ სარგებელს - წავიდნენ რესტორანში ან სხვა შეკრებებზე, ისუნთქონ თავისუფლად, პირბადის გარეშე, და ნაკლები დრო დახარჯონ ხელების დაბანაზე. რადგანაც დაინფიცირების ალბათობა დაბალია და კორონავირუსის შეყრის შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი შედეგი შორეულ მომავალშია, ადამიანები შე-

დარებით დაბალ წონას ანიჭებენ ამ რისკს [16]. მიუხედავად ამ უარყოფითი ეფექტისა, გარკვეულ პოლიტიკას შეუძლია, ადამიანებს უბიძგოს მეტად დროში თავსებადი ქცევისკენ. მაგალითად, სოციალური დისტანციის დაცვის ხარჯის შემცირება ან მისი დარღვევის ხარჯის გაზრდა გამოიწვევს ქცევის ცვლილებას [13]. მსგავსი ჩარევის ეფექტიანობაზე მეტყველებს მიღებული შედეგები ანტირეტროვირუსული მკურნალობის, მოწევის შეწყვეტის და წონის დაკლების პროგრამებში [12, 7, 9]. პანდემიის გავრცელების შესანელებლად სასარგებლო შედეგი შეიძლება გამოიღოს კომუნალური გადასახადების სუბსიდირებამ, სესხების დაფარვის გადავადებამ, მოწყვლადი ჯგუფებისთვის დახმარებების გაცემამ, რომ სოციალური დისტანციის დაცვა უფრო ადვილად შეძლონ მოქალაქეებმა. საქართველოს მთავრობამ ამ მხრივ სწორი ნაბიჯები გადადგა და შედეგიც აისახა ინფიცირებულთა რაოდენობაზე.

ადამიანებს ასევე ახასიათებთ მიკერძოებულობა სტატუს-კვოს მიმართ. ისინი ცვლილების შედეგად მიღებულ პოტენციურ სარგებელს უფრო ნაკლებად აღიქვამენ, ვიდრე მიღებულ პოტენციურ ზიანს. ამ ფსიქოლოგიური ფაქტორის გამოყენება შესაძლებელია ისეთი პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც ადამიანებს უბიძგებს ჯანმრთელობის მეტად გაფრთხილებისაკენ. როგორც რ. ტალერი ამბობს [17], არჩევანის არქიტექტურის შეცვლით შესაძლებელია ინდივიდებისთვის ჭკვიანური გადაწყვეტილების მიღების გამარტივება და სუბ-ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების გართულება. ამის ნათელი მაგალითია ორგანოების დონორების სისტემა, რომელიც, იმ ქვეყნებში, სადაც სტატუს-კვოს სახით ყველა მოქალაქე პოტენციური დონორია, თუ არ ამოეწერება სისტემიდან, ბევრად უფრო წარმატებულია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც მოქალაქე უნდა ჩაეწეროს, რომ პოტენციური დონორი გახდეს [10]. ანალოგიურად, სტატუს-კვოს ეფექტის დადებითი გამოყენება ნაჩვენებია ვაქცინაციისა და დიაბეტის მართვის პროგრამებშიც [4, 2]. ამრიგად, covid-19-ის პირობებში სტატუს-კვო თუ არის ხელების ხშირი დაბანა და პირბადის ტარება, შემდეგ ნაკლები ადამიანი დაარღვევს ამ პირობებს, საპირისპირო შემთხვევაში კი მათ უფრო იშვიათად დაიცავენ. ასევე, სახელმწიფო თუ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოითხოვს შენობების შესასვლელებში სადეზინფექციო ხსნარის განთავსებას, ის გახდება სტატუს-კვო, ასეთი ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში კი ორგანიზაციების მცირე ნაწილის მიერ დამოუკიდებლად ასეთი პოლიტიკის გატარება ვერ შექმნის მოსახლეობაში სტატუს-კვოს და ნაკლებად ეფექტიანი იქნება.

ინდივიდთა არჩევანი ხშირად დამოკიდებულია მათ წინაშე არსებული ალტერნატივების აღწერასა და ფორმულირებაზე. ფორმულირების ეფექტი მჭიდროდ უკავშირდება დანაკარგის არიდების თვისებას, რაც ყველა ადამიანს ახასიათებს. ადამიანები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ ინფორმაციაზე „კორონავირუსის შეყრის შემთხვევაში გამოჯანმრთელების შანსი არის 98.6%" და „კორონავირუსის შეყრის შემთხვევაში დაღუპვის შანსი არის 1.4%". ორივე წინადადება ერთსა და იმავე ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ ფორმულირება განაპირობებს განსხვავებულ რეაქციას, რის გამოც მისი წარმატებით გამოყენება შეიძლება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევის სწორად მიმართვის პოლიტიკის შემუშავებისათვის [11]. საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებისას შეიძლება ფორმულირება მოხდეს პრევენციული ღონისძიებების გატარების დადებით შედეგებზე ხაზგასმით ან შესაბამის ღონისძიებებზე უარის თქმის უარყოფით შედეგებზე ფოკუსირებით [6]. მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ დაავადებათა აღმოჩენის მიმართულებით უარყოფით შედეგებზე ხაზგასმა უფრო შედეგიანია, პრევენციის მიმართულებით კი - დადებით შედეგებზე ხაზგასმა [6]. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ სოციალური დისტანციის დაცვის წასახალისებლად სასარგებლოა დადებით შედეგებზე ორიენტირება ისეთი შეტყობინების სახით, როგორიცაა „ხალხმრავალ გარემოში სხვებისგან 2 მეტრის მანძილზე დგომა ამცირებს ვირუსის გადადების ალბათობას X პროცენტით". ანალოგიურად, პირბადისა და ხელის ხშირი დაბანის შესახებაც შეიძლება შემუშავდეს მიზნობრივი შეტყობინებები.

ადამიანები ხშირად გადამეტებულად აფასებენ საკუთარ მდგომარეობას და ჭარბი ოპტიმიზმით ხასიათდებიან. ისინი მომავალი დადებითი შედეგის შანსს - საშუალოზე მაღლა, უარყოფითისას კი საშუალოზე დაბლა აფასებენ [18, 19]. ამის გამო ისინი ხშირად დამატებით რისკავენ და ამით ზიანს აყენებენ საკუთარ ჯანმრთელობას. ადამიანები აცნობიერებენ covid-19-ით ინფიცირების რისკს და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების უგულებელყოფის საშიშროებას, მაგრამ მათ დიდ ნაწილს სჯერა, რომ საკუთარი დაინფიცირების შანსი ბევრად ნაკლებია, ვიდრე სხვა ადამიანების, თუნდაც ისინი ამ რეკომენდაციებს ითვალისწინებდნენ. ამ მხრივ, სასარგებლოა რისკების და შესადარისი ინდივიდების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება გადამეტებული თავდაჯერებულობის დასაძლევად [14]. ანალოგიურ მოვლენას აღწერს იდენტიფიცირებადი მსხვერპლის ეფექტი, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანებს რაღაც ნიშნით საკუთარ ჯგუფში მყოფი ინდივიდების მიმართ თავის შედარების გზით გამოაქვთ დასკვნები რისკების შესახებ [8]. მაგალითად, ნინველები უფრო აქტიურად დაიცავენ სოციალური დისტანცირებისა და პირბადის ტარების რეკომენდაციებს, თუ ისინი შეიტყობენ, რომ მათი ასაკის ცნობად სახეს დაუდასტურდა კორონავირუსი. ეს სავარაუდოდ იმიტომ ხდება, რომ ინდივიდი ვირუსის შეყრის შანსს რაღაც კუთხით მასთან ასოცირებულ ჯგუფში შემავალი სხვა ინდივიდების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღიქვამს [16]. იდენტიფიცირებადი მსხვერპლის ეფექტის გათვალისწინებით შესაძლებელია „პანდემიის გავრცელების მრუდის გაბრტყელებაზე" უკეთესი გზავნილი ყოფილიყო რესტორნებისა და კაფეების ხელმძღვანელების მოწოდება, რომ „დაეხურათ კარი მომხმარებლებისთვის საკუთარი ოჯახის წევრებისა და სხვების სიცოცხლის გადასარჩენად" [8]. ამ გზით გზავნილის ადრესატები უფრო კონკრეტულ ჯგუფად ჩამოყალიბდებოდა, რომელიც საკუთარი ინტერესიდან დაინახავდა რეკომენდაციების დაცვის პოზიტიურ მხარეს.

## დასკვნა

მოცემულ სტატიაში განვიხილეთ ქცევითი ეკონომიკის თეორიის გამოყენების პოტენციალი covid-19-თან ბრძოლის სხვადასხვა სახის პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით. ზოგჯერ უბრალოდ ინფორმაციის მიწოდება და რეკომენდაციების გაცემა საკმარისი არაა და ინდივიდთა კოგნიტური თუ ფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით უფრო ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებაა შესაძლებელი. ზემოთ განხილული ეფექტები - ჯგუფური ქცევა, დღევანდელი დღის მიმართ ტენდენციურობა, სტატუს-კვოს მიმართ მიკერძოებულობა, ფორმულირების ეფექტი, გადამეტებული ოპტიმიზმი და იდენტიფიცირებადი მსხვერპლის ეფექტი - მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდთა ქცევაზე, თუმცა არ წარმოადგენს ფაქტორთა ამომწურავ ჩამონათვალს. ამ მხრივ, შეჯამების სახით შემდეგი რეკომენდაციები შეიძლება გაიცეს:

- მოსახლეობის ყურადღების მიპყრობა იმ ჯგუფებისკენ, რომლებიც პირნათლად იცავენ ვირუსთან ბრძოლისთვის შემუშავებულ რეკომენდაციებს;
- პოტენციურად დეფიციტური პროდუქტების მარაგის შექმნა მოსახლეობაში პანიკის თავიდან ასაცილებლად;
- სოციალური დისტანცირების მომენტალური სარგებლის გაზრდის ან მომენტალური ზარალის შემცირების პოლიტიკის შემუშავება;
- ინდივიდთა არჩევანის არქიტექტურის შეცვლა ისე, რომ სტატუს-კვო სამედიცინო რეკომენდაციების დაცვისკენ გადაიხაროს;
- Covid-19-ის პრევენციასთან დაკავშირებული შეტყობინებების სარგებლის კუთხით ფორმულირება;
- გაუმართლებელი თავდაჯერებულობის შედეგად სოციალური დისტანციისა და პირბადის ტარების წესების დამრღვევთა რაოდენობის შემცირება საზოგადოების

**გარკვეული ჯგუფებიდან ინფიცირებული ინდივიდების შესახებ ინფორმაციის გავრცე-ლების გზით.**

**ეს არის ზოგადი თეორიის დახმარებით ჩამოყალიბებული რეკომენდაციები, ემპი-რიული კვლევების შედეგად კი შესაძლებელია პანდემიის გამოწვევების კონკრეტული მიმართულებით შესწავლა და შესაბამისი მიზანმიმართული რეკომენდაციების ჩამოყა-ლიბება.**

ლიტერატურა:


1. ჯულაყიძე, მ., არჩევანის თეორია ქცევით ეკონომიკაში, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 536-541.
2. Aysola, J., Tahirovic, E., Troxel, A. B., Asch, D. A., Gangemi, K., Hodlofski, A. T., Zhu, J., and Volpp, K., A randomized controlled trial of opt-in versus opt-out enrollment into a diabetes behavioral intervention, American Journal of Health Promotion, 2018; 32(3):745–52.
3. Bichia, Q., Effects of Social Learning on Individual Economic Decisions, Collection of Scientific Articles of YSU SSS 1.2 (25), Humanities and Social Sciences, (2018): 312-324.
4. Chapman, G. B., Li, M., Colby, H., and Yoon, H., Opting in vs opting out of influenza vaccination, JAMA, 2010; 304(1):43–4.
5. Coleman, S., The Minnesota income tax compliance experiment: replication of the social norms experiment, 2007. Available at SSRN 1393292.
6. Gallagher, K. M. and Updegraff, J. A., Health message framing effects on attitudes, intentions, and behavior: a meta-analytic review, Annals of Behavioral Medicine, 2012; 43(1):101–16.
7. Halpern, S. D., French, B., Small, D. S., Saulsgiver, K., Harhay, M. O., Audrain-McGovern, J., Loewenstein, G., Brennan, T. A., Asch, D. A., an Volpp, K. G., Randomized trial of four financial incentive programs for smoking cessation, The New England Journal of Medicine, 2015; 372:2108–17.
8. Halpern, S. D., Truog, R. D., and Miller, F. G., Cognitive Bias and Public Health Policy During the COVID-19 Pandemic, JAMA. 2020; 324(4): 337–338.
9. John, L. K., Loewenstein, G., Troxel, A. B., Norton, L., Fassbender, J. E., Volpp, K. G., Financial incentives for extended weight loss: a randomized, controlled trial. Journal of General Internal Medicine, 2011; 26(6):621–6.
10. Johnson, E. J. and Goldstein, D., Do defaults save lives?, American Association for the Advancement of Science; 2003.
11. Kahneman, D., Slovic, S. P., Slovic, P., and Tversky, A., Judgment under uncertainty: heuristics and biases, Cambridge: Cambridge University Press; 1982.
12. Linnemayr, S., Stecher, C., and Mukasa, B., Behavioral economic incentives to improve adherence to antiretroviral medication, AIDS (London, England). 2017; 31(5):719.
13. Loewenstein, G., Asch, D. A., Friedman, J. Y., Melichar, L. A., and Volpp, K. G., Can behavioural economics make us healthier?, BMJ. 2012; 344:e3482.
14. Matjasko, J. L., Cawley, J. H., Baker-Goering, M. M., and Yokum, D. V., Applying behavioral economics to public health policy: illustrative examples and promising directions, Am J Prev Med. 2016; 50(5):S13–S1919.
15. Nicola, M., Alsafi, Z., Sohrabi, C., Kerwan, A., Al-Jabir, A., Iosifidis, C., Agha, M., & Agha, R., The socio-economic implications of the coronavirus pandemic (COVID-19): A review, International journal of surgery (London, England), (2020), 78, 185–193.
16. Soof, M., Najaf, F., and Karami-Matin, B., Using Insights from Behavioral Economics to Mitigate the Spread of COVID-19, Applied Health Economics and Health Policy (2020), 18:345–350.
17. Thaler, R. H. and Sunstein, C. R., Nudge: improving decisions about health, wealth and happiness, New Haven: Yale University Press, 2008.
18. Weinstein, N. D., Unrealistic optimism about future life events, J Pers Soc Psychol. 1980; 39(5):806.
19. Weinstein, N. D., Unrealistic optimism about susceptibility to health problems: conclusions from a community-wide sample, J Behav Med. 1987; 10(5):481–500.

# Bounded Rationality Behavioral Shifts in Coronomics

**Quji Bichia,**
***Dr., Visiting Teacher***
***TSU and European University***

Summary

**Covid-19 pandemic is an economic and social challenge of historical significance, which can be overcome by applying the theory of behavioral economics in the development of public policy. Herd behavior, present bias, status quo bias, framing effect and excessive optimism are the effects that have a significant impact on human behavior and based on them it is possible to create the right policy that will nudge people towards following health recommendations.**

***Keywords: Pandemic, Behavioral Economics, Herd behavior.***

# ქართული ტრადიცია-ჩვეულებები და ეთნოეკონომიკის ზოგიერთი საკითხი
## (უახლესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)[1]

**გიორგი ღავთაძე,**
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

**დავით შავიანიძე,**
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.*
*ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*საქართველოში ეკონომიკური უზრუნველყოფის ერთგვარი მარეგულირებელი ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემო პირობებს შეხამებულ შრომასთან ერთად იყო ტრადიცია-ჩვეულებები, ქრისტიანული ქცევით, მორალით და რწმენით, ჩვეულებითი სამართლით განმტკიცებული წესები. ტრადიციულ წეს-ჩვეულებების ნორმათა მოდელში გათვალისწინებული იყო ყველაფერი ის, რასაც შესაძლოა, ხდებოდა ქართველთა ყოფაში.*

*საკითხს განვიხილავთ პირველწყარო, სათემო-საოჯახო და პიროვნული საჭიროების, ეკონომიკური ყოფის ამსახველი ტერმინების, შრომის შედეგის მაქსიმალურად მიღების გზა-საშუალებების შესახებ არსებული სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. აღვნიშნავთ, რომ ყველა აზრის, ქმედება-დამოკიდებულების განმსაზღვრელი იყო ქრისტიანულ ეთიკას დაფუძნებული ზნეობრიობა, ადამიანის ფენომენის ქრისტიანული გაგება/პასუხისმგებლობა და საზოგადოების გამაერთიანებელი თანადგომა.*

*განვიხილავთ: საკითხს ტრადიციული, რიტუალდართული ქმედებების შესახებ; „გარე სამუშაოებზე“ მუშაობის ეთნოეკონომიკური სპეციფიკის პრობლემებს; რიტუალური, ლოცვის დროს შეწირული თანხის მოხმარების წესს; „სამთელ-სამკვიდროთი“ (გადახდა ნატურით, ანუ მიწით და საქონლით. ფულით“ სისხლის აღების წესის „მოსპობის“) საკითხს; დიდი ოჯახის, როგორც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სუბიექტის, შესახებ; ინდივიდუალობით გაჩენილი „პირადი სახსრის“ და ტერმინ „სახსრის“ შესახებ მასალებს; მეხსიერებაში შემორჩენილ დანაშაულის საზღაურად დაწესებული გადასახადის სახეობებს: „მუწვრი“, „ლერქვაში“, ნაღვრიელი“.*

*ეთნოგრაფიული მასალებით აღწერილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების საფუძვლის, რელიგიური შემწყნარებლობის რწმენით გამართულ ქმედებებს ესადაგება ერთგვარი შრომა-მიგებითი რენტა, იმ სპეციფიკით, რომ გაცემული შრომა ასევე შრომით უბრუნდებოდა გამცემს უკან; „საშოვრისათვის ორი მიმართულებით (1. საქართველოს რეგიონებიდან დედაქალაქის, ზოგადად ქალაქების, მიმართულებით; 2. ქართული სინამდვილისათვის არატრადიციული, „საშოვარზე გადინება“ უცხოეთის მიმართულებით) წასვლის პროცესი იხსნება ქვეყნის განვითარების უთანაბრობით, რეგიონების მძიმე ვითარებით. სადაც არ იქმნება საკმარისი მატერიალური თუ ფულადი დოვლათი, ცალკეული პიროვნებები, ოჯახები იძულებული არიან, მიმართონ იმ ტერიტორიულ ერთეულებს (ძირითადად ქალაქებს), სადაც მეტია ფორმირებული მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. აქ მიღებული ეროვნული შემოსავლის ნაწილს ისინი აგზავნიან ოჯახში, რითაც ახდენენ ქვეყანაში ფორმირებული სიკეთის ერთგვარ ტერიტორიულ გადანაწილებას. იგივე ითქმის უცხოეთთან დაკავშირებითაც. ასეთი ვითარება, ერთი მხრივ, გარკვეული სოციალური გამოთანაბრების შესაძლებლობაა და დადებითი მომენ-*

[1] **კვლევა ეყრდნობა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის და ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ სხვადასხვა დროს საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულ სვანეთში ორგანიზებულ სტუდენტთა ეთნოგრაფიული ექსპედიციების შედეგად მოპოვებულ მასალებს.**

*ტია, თუმცა, მეორე მხრივ, კრიზისული ვითარების გამწვავების შემთხვევაში დამანგრეველი ძალის მქონე პრობლემად შეიძლება იქცეს. აღნიშნულში დაგვარწმუნა 2020 წლის პანდემიური ვითარებით გამოწვეულმა ეკონომიკურმა ვარდნამ. მსგავსი პრობლემის შემთხვევაში მატერიალური სიკეთის შექმნისა და ამ სიკეთის ნაწილის მითვისების მსურველთა მაღალი კონცენტრირება შედარებით მცირე გეოგრაფიულ არეალებში სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენებს როგორც ამ ტერიტორიულ ერთეულებს, ისე იმათ, საიდანაც მიგრირებულია მოსახლეობა.*

*რიტუალური, ლოცვის ქრონ შეწირული თანხის მობმარების წესი არის მმართველობის დეცენტრალიზაციის აუცილებლობის, ევროპული ქარტიებითა და დოკუმენტებით რეკომენდებული კარგი მაგალითი. ცხადია, რომ უფლებების განაწილების მსგავს შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის გასაღები უნდა იყოს რეგიონის, მოცემული თემის მკვიდრთა, იმათ ხელში, ვინც იცის, ყველაზე მეტადაა დაინტერესებლი პრობლემის მოგვარებაში.*

*„სამთელ-სამკვიდრო" –„გადახდა ნატურით, ანუ მიწით და საქონლით". ფულით თანამედროვე საპროცესო შეთანხმების ხასიათს ატარებს.*

*დიდი ოჯახი - ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სუბიექტი. სოლიდარული პასუხისმგებლობის და გადაწყვეტილების გამოტანის მსგავსი დემოკრატიული ფორმა ტრადიციული იყო ქართული სინამდვილისათვის.*

*ინდივიდუალობით გაჩენილი „პირადი სახსარის" რეალობა („ნადის") იდენტურია.*

*ეთნოეკონომიკის კვლევის საგანი აწმყოშიც თანამედროვე სოფლის კულტურულ-სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის, იმის შესწავლა უნდა იყოს, რამდენად მოახდინა გავლენა გლობალიზაციამ ქვეყნის ტრადიციულ და ქრისტიანული წესებით მართულ სამეურნეო-ყოფით ურთიერთობებზე.*

*საკვანძო სიტყვები: ქრისტიანობა, თემი, ტრადიცია, ოჯახი, რიტუალი, ლოცვა, რწმენა, ცნობიერება, რენტა, გადახდა, სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობა; ეთნოეკონომიკა; ეკონომიკური ყოფა; ტერიტორიული ერთეული; „სამთელ-სამკვიდრო"; „პირადი სახსარი"; იურიდიული მომსახურება; საზღაური.*

**საქართველოში ეკონომიკური უზრუნველყოფის ერთგვარი მარეგულირებელი ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემო პირობებს შეხამებულ შრომასთან ერთად იყო ტრადიცია--ჩვეულებები, ქრისტიანული ქცევით, მორალით და რწმენით, ჩვეულებითი სამართლით განმტკიცებული წესები. ტრადიციული წეს-ჩვეულებების ნორმათა მოდელში გათვალისწინებული იყო ყველაფერი ის, რასაც, შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა ქართველთა ყოფაში. საკითხს განვიხილავთ პირველწყარო, სათემო-საოჯახო და პიროვნული საჭიროების, ეკონომიკური ყოფის ამსახველი ტერმინების, შრომის შედეგის მაქსიმალურად მიღების გზა-საშუალებების შესახებ არსებული სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. აღვნიშნავთ, რომ ყველა აზრის, ქმედება-დამოკიდებულების განმსაზღვრელი იყო ქრისტიანულ ეთიკას დაფუძნებული ზნეობრიობა, სინამდვილე-საჭიროებისადმი ქრისტიანული მიდგომა, პასუხისმგებლობა და საზოგადოების გამაერთიანებელი თანადგომა.**

**ტრადიციული, რიტუალდართული ქმედებების შესახებ.**

**სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია სვანეთის მემინდვრეობაში გავრცელებული შრომის ორგანიზაციის სხვადასხვა, ანაზღაურების გარეშე და ანაზღაურებითი, ფორმები: „ლინებალი"; „ლიმარჯვი"; „ნადი[1]"(გ. ჯალაბაძე, 1990, გვ. 22-24). ეთნოგრაფიული მასალა: „ოჯახს გამოკვება უნდოდა, ამიტომ ამინდის ჭირვეულობისა და სიმკაცრის პირობებში საჭირო იყო გადარჩენილი მოსავლისთვის ზრუნვა,**

[1] ბოლნისის 2019 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს დავადასტურეთ „მამითადი"/- „ნადის" სინონიმური ტერმინი „ქომაგობა".

მისი დროულად აღება. ამიტომ სვანებმა ბოლო პერიოდამდე შემოინახეს ურთიერთ-დახმარების ფორმა „ნადი„/ნოდერ. ოჯახს ეხმარებოდნენ ანაზღაურების გარეშე, სამაგი-ერო დახმარების იმედით. სვანები იცნობდნენ „მამითადს„/ლინდი. იგი გამოიყენებოდა ქვის სახლებისა, უფრო ადრე კი კოშკების აშენების დროს" (მთხრობელი ვ. კვანჭიანი. ლატალი /ლახუშტი. 1998).

შეიძლება, ზემოაღნიშნული სხვადასხვა შედეგით გამოვლენილი, მეტი სიკეთის მომცემი, „რწმენიანი სიყვარულით გაჯერებული, ქრისტიანული წესით ცხოვრების შინაარსის მატარებელი“ შრომის ორგანიზაციის ფორმა „ნადი“ განვიხილოთ, როგორც ერთგვარი შრომამიგებითი რენტა, იმ სპეციფიკით, რომ გაცემული შრომა ასევე შრომით უბრუნდებოდა გამცემს უკან. მსგავსი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწირი შრომითი რესურსის პირობებში. ცალკე აღებული ოჯახის შეზღუდული შრომითი რესურსი მხოლოდ გარკვეული მოცულობის სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას იძლევა, დროის გარკვეულ მონაკვეთში. აღწერილი „შეწევნითი“ ურთიერთობებით საკუთარ რე-სურსზე დაყრდნობილი ოჯახი მეტ სხვადასხვა სახის (მაგ.: აგებული შენობა, დამუ-შავებული უფრო დიდი ზომის მიწის ნაკვეთი, აღებული და დაბინავებული მოსავალი და სხვ.) სიკეთეს იღებს.

რაც შეეხება ერთობლივი შრომის შედეგის დალოცვა-აღნიშნვას, ის შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე კუთხით: 1. მეზობლის, მოყვასის ოჯახის წარმატებით მიღებული სიხარულის გამოხატვა, დამხმარეთა მხრიდან; 2. ერთგვარი მოტივაცია მომავალი მსგავსი თანამშრომლობის კვლავ მისაღებად დახმარების მიმღებთა მხრიდან.

აქვე დავძენთ, იყო შემთხვევები, როდესაც დახმარების მიმღებს არ ჰქონდა შრო-მის დასრულების შემდეგ შრომის შედეგის „აუცილებელი დალოცვის“ შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, დამხმარე თვითონ ივალდებულებდა თავს, რომ საკუთარი შესაძ-ლებლობის ფარგლებში, ამ მხრივაც, „ქრისტიანულ-ქართულად შეწევნოდა მოყვასს ისე, რომ სანაცვლოდ არაფერს ელოდა“. „ნაშრომის დალოცვა ხან-ხან ქომაგობის წევრთა გაღებულით “იმართებოდა“.

მსგავსი ურთიერთობების არსებობა ზოგადად თემისათვის, ლოკალური საზოგა-დოებისათვის გამაერთიანებელი, გამამთლიანებელი, ძლიერი მუხტის მატარებელია, შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკურ მოტივაციებზე დაყრდნობილი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ერთობის მსგავსი გამოვლინება და-დებითი მაგალითის მიმცემი იყო სხვა თემებისათვისაც ყველა თვალსაზრისით.

„გარესამუშაოებზე“ მუშაობის ეთნოეკონომიკური სპეციფიკა.

სვანეთის ეთნოგრაფიული მასალები აღწერენ სამეურნეო ცხოვრების, ყოფითი-ეკონომიური პრობლემების ერთგვარ მომწესრიგებელ, მამაკაცთა „გარესამუშაოებზე“ მუშაობის შესახებ: „სვანები საკუთარი მეურნეობის სხვადასხვა სახის პროდუქტს იყე-ნებდნენ. რაც, რა თქმა უნდა, მთის მძიმე პირობების შესაბამისად, მწირი იყო. სვანი მიწას ამუშავებდა, ხეხილს აშენებდა, პურეული მოჰყავდა, გარე სამუშაოზე დადიოდა. ისინი მოწევნილს ყიდდნენ, ცვლიდნენ სხვა პროდუქტზე. და ეს ყველაფერი საკუთარი თავის და სხვათა გამოყენებაზე იყო გათვლილი. ცხოვრების პირობების გამოსწორების საშუალებად იყენებდნენ „გარე სამუშაოებს ოჯახის გამოკვებისთვის და სტუმარ-მასპინძლის პატივისთვის; შრომას სვანები რწმენით მართულ, რიტუალიან წესს ურ-თავდნენ. ღმერთიც ისმენდა და ხელს უმართავდა“ (მთხრობლები: ე. ონიანი. სოფელი ჩუკული; გ. ვაჩლიანი. უშგული. 2013).შდრ., ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭის-უბნის ეთნოგრაფიული მასალები: „რაჭაში მკვიდრობისას, ჩვენებიც, რაჭველების უმრა-ვლესობა, ოჯახი რომ ერჩინათ, დადიოდნენ „მოსაგებში, ანუ სამუშაოდ, საშოვარზე“ (მთხრობელი გ. ხმელიძე. ბოლნისი, სოფელი რაჭისუბანი 2019). „ქართული ენის განმარ-ტებითი ლექსიკონის მიხედვით“, ტერმინი აღნიშნავს მოსაგებ ფულს, ყველაფერ იმას, რაც უნდა მოიგონ, რაც მოგებას იძლევა.

ანალოგიურად ახლაც იქცევიან, იმ განსხვავებით, რომ „საშოვრისათვის გარე სამუშაოზე“ წასვლა ხდება ორი მიმართულებით: 1. საქართველოს რეგიონებიდან დედაქალაქის, ზოგადად ქალაქების, მიმართულებით; 2. ქართული სინამდვილისათვის არატრადიციული, „საშოვარზე გადინება“ უცხოეთის მიმართულებით.

პროცესის ახსნა რთული არ არის: ქვეყნის განვითარების უთანაბრობა, განსაკუთრებით მძიმე ვითარების არსებობა რეგიონებში, სადაც არ იქმნება საკმარისი მატერიალური თუ ფულადი დოვლათი, იძულებულს ხდის ცალკეულ პიროვნებას, ოჯახებს მიმართონ იმ ტერიტორიულ ერთეულებს (ძირითადად ქალაქებს), სადაც მეტია ფორმირებული მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. აქ მიღებული ეროვნული შემოსავლის ნაწილს ისინი აგზავნიან ოჯახში, რითაც ახდენენ ქვეყანაში ფორმირებული სიკეთის ერთგვარ ტერიტორიულ გადანაწილებას. იგივე ითქმის უცხოეთთან დაკავშირებითაც. ასეთი ვითარება, ერთი მხრივ, გარკვეული სოციალური გამოთანაბრების შესაძლებლობაა და დადებითი მომენტია, თუმცა, მეორე მხრივ, კრიზისული ვითარების გამწვავების შემთხვევაში დამანგრეველი ძალის მქონე პრობლემად შეიძლება იქცეს. აღნიშნულში დაგვარწმუნა 2020 წლის პანდემიური ვითარებით გამოწვეულმა ეკონომიკურმა ვარდნამ. მსგავსი პრობლემის შემთხვევაში მატერიალური სიკეთის შექმნისა და ამ სიკეთის ნაწილის მითვისების მსურველთა მაღალი კონცენტრირება შედარებით მცირე გეოგრაფიულ არეალებში სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენებს როგორც ამ ტერიტორიულ ერთეულებს, ისე იმათ, საიდანაც მიგრირებულია მოსახლეობა.

რიტუალური ლოცვის დროს შეწირული თანხის მოხმარების წესი.

„ლაშხეთში არსებობს სამკაციანი კომისია, რომელსაც აბარია რიტუალური მსახურებების დროს შემოსული თანხა და წყვეტს მის განკარგვას. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში„ხატისმსახური“, „მოლზონი“ მონაწილეობს მაშინ, თუ უფრო გამოცდილია, ვიდრე კომისიის სხვა წევრები. კომისიის გადაწყვეტილებით, თანხა განიკარგება: ოჯახების სოციალური, ეკონომიკური დაცვისთის, მიზეზთა გამო დაზარალებულებისთვის, რელიგიური-საწესო საქმიანობებისთვის, ჯანმრთელობის დაცვისთვის. „სათემო კომისია“ გადაწყვეტს ოფიციალური მთავრობის მიერ სოფლისთვის ჩარიცხულ თანხის განკარგვის წესსაც. თემმა კარგად იცის თავის საჭიროების შესახებ და თავის წესის მიხედვით ამსახურებს ყველას, გამოიყენებს კუთვნილ რესურსს“ (მთხრობელი თ. ლობჟანიძე, ჟახუნდერი, 2013).

აღწერილი ვითარება არის მმართველობის დეცენტრალიზაციის აუცილებლობის კარგი მაგალითი. უფლებების განაწილების მსგავს შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის გასაღები არის იმათ ხელში, ვინც ყველაზე მეტად იცის, დაინტერესებლია პრობლემის მოგვარებაში. მსგავსი მიდგომის აუცილებლობა დადასტურებულია ევროპულ დოკუმენტებში, ქარტიებში. სახელმწიფოებრივ მართვაში უფლებების და პასუხისმგებლობების ლოგიკურად და ოპტიმალურად განაწილება ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ჩვენც მიგვაჩნია ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების აუცილებელ პირობად. როდესაც ვსაუბრობთ პასუხისმგებლობაზე, ამას თან, ცხადია, უნდა სდევდეს ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ფინანსური რესურსების განკარგვის უფლებებით აღჭურვა. ზოგადად საკუთრივ შექმნილი დოვლათის განკარგვა-გამოყენების უფლება ადგილობრივი სამართლით ჰქონდა მინიჭებული თემს.

„სამთელ-სამკვიდრო“–„გადახდა ნატურით, ანუ მიწით და საქონლით. ფულით“.

სისხლით გადახდა დანაშაულის ხელახლა განმეორებას საფუძველს ვერ უშლიდა. ჩვეულებითი სამართლის მიღწევაა სისხლის აღების მოშლის წესი, რომლის ერთი „საშველიც“ სვანური ეთნოგრაფიული მასალებით იყო „სამთელ-სამკვიდრო“, ანუ „გადახდა ნატურით, მიწით და საქონლით. ფულით“: „სამთელ-სამკვიდროს გადახდის მერე დამნაშავეს აღარავინ დევნიდა, თუმცა ხდებოდა ისე, რომ შეიძლება მიწაც აღარ ჰქონოდა. ამის გამო კი შეიძლებოდა აყრილიყო კიდეც, თუ საბედნიეროდ სხვა თემი შეიფარებდა“ (მთხრობელი ც. წერედიანი, ლატალი. 2015)

ადგილობრივი სამართლის მიერ ნატურით და სამართლითვე განსაზღვრული თანხითაც სისხლის ანაზღაურების შესახებ გეტყვიან როგორც ენგურის, ისე ცხენის წლის ხეობების სვანეთში: „იყო შემთხვევები, როცა სისხლის ფასად ნატურ გადასახადს ემატებოდა ფულიც (მთხრობელი ნ. კვიციანი, თ. ლობჟანიძე, ბეჩო, ჟახუნდერი 2015, 2014).

აღწერილი შემთხვევა, თანამედროვე საპროცესო შეთანხმების ხასიათს ატარებს.

დიდი ოჯახი - ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სუბიექტი.

საარქივო და ქართული ჩვეულებითი სამართლის შესახებ არსებული მასალების თანახმად, „მთაში დიდი ოჯახი გვევლინება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სუბიექტად, სადაც ოჯახის ქონების გაყიდვისას ან ოჯახის საერთო სახსრებით რაიმეს ყიდვისას, როგორც წესი, ოჯახის წევრთა საერთო თანხმობა იყო საჭირო. ასეთივე წესებით ხელმძღვანელობდნენ საოჯახო ქონების გაცვლის, გაქირავების და გაჩუქების დროსაც" (http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/mariam_xoferia.pdf). ეთნოგრაფიული მასალები: „კომლის საკუთრებას შეადგენდა სახლ-კარი, ბოსელი და სხვა ნაგებობანი, ასევე, პირუტყვი, საოჯახო ნივთები, საბრძოლო და შრომის იარაღები. დიდ, გაუყრელ ოჯახში, ოჯახის უფროსი იტყოდა დანარჩენ წევრებთან შეთანხმებულ აზრს საოჯახო ქონების არათუ გაყიდვის, არამედ ოჯახის სახსრებით რაიმეს შეძენის შესახებ" (მთხრობელი ან. ონიანი. სასაში. 2013).

სოლიდარული პასუხისმგებლობის და გადაწყვეტილების გამოტანის მსგავსი დემოკრატიული ფორმა ტრადიციული იყო ქართული სინამდვილისათვის. აღნიშნული ოჯახის თითოეულ წევრს საკუთარი მნიშვნელობის განცდას და ოჯახის დანარჩენი წევრების აზრის გაზიარების მოტივაციას უღვივებდა.

ინდივიდუალობით გაჩენილი „პირადი სახსარი".

დანარჩენი საქართველოს მსგავსად, სვანურ ოჯახში ყველა დასაქმებული იყო ასაკის და სქესის დიფერენცირებით. ამით ხელი ეწყობოდა საკუთარი, პირადი შესაძლებლობების ჩადების აუცილებლობის რეალობად ქცევას ოჯახის, თემის ფიზიკური-სულიერი-ეკონომიკური გაძლიერების საქმეში. ყველას ერთობით საბოლოო შედეგად დგებოდა ეკონომიკურად ძლიერი ოჯახი. ოჯახში ქალი იყო შექმნილი ეკონომიკური კეთილდღეობის მეგასაღებე"; „დიდ მეურნეობას დიდი ძალა უნდოდა, და შემოსავალიც დიდი იყო. ექვსი ძმა ცხოვრობდა ამ სახლში გაყრამდე. ქალები ყველა საქმეს აკეთებდნენ თავის სქესის, მეუღლე ქალის შესაბამისს. სხვადასხვა გზით ფულის შოვნის საშუალებით მოტანილმა ინდივიდუალობამ შეცვალა ეკონომიკური მდგომარეობა. სახლები აშენდა, გაიყო, გათითოეულდა ოჯახები. პირადი ქონება გაჩნდა, ტრადიციებიც შეიცვალა" (მთხრობლები: გ. გვიჩიანი. თამარ [ცია] ივეჩიანი, ლატალი. იფხი. 2015; ნ. ონიანი-ტვილდიანი. ლენტეხის რაიონი. ჟახუნდერი. 2013).

აღნიშნული, ურთიერთდახმარების აღწერილი რეალობის („ნადის") იდენტურია.

ისტორიულად, ვაჟიშვილი (და, ზოგადად, შვილიერება) იყო ოჯახის ძლიერების ორმხრივი საფუძველი: როგორც შრომითი რესურსი და როგორც თავდაცვის ძალის მატარებელი. როდესაც სარჩოს მოპოვება დიდ ფიზიკურ დატვირთვასთან, მისი შენარჩუნება კი საკმაო რისკებთან იყო დაკავშირებული (მაგ., მტრისგან თავდასხმა), ოჯახის წევრებს ერთმანეთი სჭირდებოდათ და „ერთმანეთს ფასს მეტად ადებდნენ, ერთმანეთის ფასი იცოდნენ. კარგად ესმოდათ, რომ ინდივიდს, თანამდგომის გარეშე, გადარჩენა და თავის გატანა გაუჭირდებოდა. ამიტომ ოჯახები არ იყოფოდა. თემიც სხვადასხვა განაყოფების ოჯახებისგან შემდგარი მსხვილი სოციალური გაერთიანება იყო" (მთხრობელი ვლ. სუბელიანი და ლ. კვიციანი. ბეჩო. 2020).

მას შემდეგ, რაც მტრის შემოსევის საფრთხეებმა იკლო, გაჩნდა შემოსავლის მიღების ისეთი ალტერნატიული, იოლი წყაროები, რომლებიც დიდ ძალისხმევას აღარ საჭიროებდნენ, მოხდა საზოგადოების არსებული სტრუქტურის ცვლილება. შემოსავლის მიღების შესაძლებლობები კონცენტრირდა ქალაქებსა და უცხოეთში, სადაც ქალის

შრომაზე მეტი მოთხოვნაა. შესაბამისად, ქალი გახდა „დომინანტი" ოჯახის სარჩოს შოვნაში, რამაც ერთგვარად შეარყია მამაკაცის, როგორც „ოჯახის უფროსის", პოზიციები. გარდა ამისა, საზოგადოება გახდა არა საერთო მიზნის ირგვლივ გაერთიანებული ერთობლიობა, არამედ საშოვარზე გადაგებული, გათითოკაცებული პიროვნებების ნაკრები, რომელსაც დაკარგული აქვს გამამთლიანებელი იდეა, ფუნქცია, მიზანი, პრიორიტეტი, ორიენტირი თუ სხვა.

ეთნოგრაფიული მასალების კომპლექსური კვლევით დადასტურდა ტრადიციებით მოტანილი და დღეს იდეოლოგიური და სხვა მანქანებით „განელებული სწრაფვის" შესახებ: „ცოცხალი რწმენა იყო საფუძველი ღმერთისთვის ცხოვრების. დიდი ღმერთის, დიდება მის სახელს, ხედვა ქართველისთვის დამახასიათებელი ნიჭი იყო. ეს ნიჭი და სიყვარული აძლებინებდა ადამიანს ჩვენში იმას, რომ არ დაცემულიყო, და თუ რაღაც, უმალ რწმენით მოენანიებინა. დღევანდელი ცხოვრების წესი ვეღარაა მსგავსი. თუ ასე არა, აბა რას უნდა ნიშნავდეს ერთობის ჩანაცვლება გათითოკაცებით? გასაგებია, რომ დღეს ერთს შეუძლია ბევრის საქმე გააკეთოს, ბევრის ოდენად ჰქონდეს, მაგრამ საკუთარზე ზრუნვა სჭარბობს, იმავდროულად, და ეს ღვთიურია?! ქალის არატრადიციული ჯაფისთვის გამეტება ღმერთს მოეწონება? ქალს ხომ ქართველი ღვთის მსახურების საქმეში საჭიროს, თუმცა ელემენტარულს, ავალებდა? ქალს ხომ ქართველობა გარე, სხვადასხვა სამძიმო, მისთვის შეუსაბამო საქმით არ ტვირთავდა?!ნ) შესახებ. შდრ.: „ცოცხალი რწმენა არის ღმრთის ხედვა და ცნობა. ცოცხალი რწმენა არის ღმერთისთვის ცხოვრება და სოფლისთვის სიკვდილი. ცოცხალი რწმენა ღმრთის ნიჭია. სწორედ ამ უდიდესი ნიჭის მოცემას შესთხოვდნენ უფალს მოციქულები, როდესაც ეუბნებოდნენ: „შემძინე ჩვენ სარწმუნოებაი" (ლკ. 17, 5). მხოლოდ ცოცხალი რწმენის მეშვეობით ძალუძს ადამიანს, უარყოს თავისი დაცემული ბუნების მოჩვენებითი ღირსებები, გახდეს უფლის მოწაფე და მიმდევარი თავისი გონებითაც და საქმეებითაც, რომლებიც განახლებული ბუნების შესაფერისნი იქნებიან" (ეგნატე ბრიანჩანინოვი. http://sibrdzne.ge/index.php?-swavleba_id=17105&amonaridi=17871).

ტერმინ „სახსარის" შესახებ.

ტერმინ „სახსარის" სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებული ახსნა {ფულადი თანხა რაიმე საჭიროებისთვის; საშუალება, შესაძლებლობა, წყარო (ქეგლVI, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1960. გვ. 976) ემთხვევა ეთნოგრაფიული მასალებით გადმოცემულ შინაარსს. „მაღვრობა" ხატზე დაფიცებას ეწოდება. ერთ პერიოდში სოფელი ჩიხარეში ედავებოდა სოფელ ჟახუნდერს მთის სათიბებს, „ლაფურს". ისაკუთრებდნენ ჩიხარეშელებიც და ჟახუნდრელებიც. ისე დაიძაბა მდგომარეობა, რომ ჟახუნდერს ქვემოთ აღარ ვატარებდით გზაზე, „ხერგილები". არც ქალაქში, არც „ლაფურში", არსაით. საზამთროდ გაუჭირდათ ფქვილის, საკვებისა და წამლის მომარაგება. გარდა იმისა, რომ სირცხვილია, ყოფა გაჭირდებოდა, „სახსარს" ვეღარ ვიშოვნიდით. კარტოფილი ვერ მიგვქონდა, ყველი, ვერაფერი, ავადმყოფის სამკურნალო ფულს ვერ ვიშოვნიდით, ჩვენივე პროდუქტის გაყიდვა რომ გვაქვს. სამეურნეო საქმიანობა რად გინდა, გზა თუ არ აქვს და შემოსავალი, „სახსარი" არ მოაქვს? ბოლო-ბოლო შედგა ხატის წინ დადგომა მხერის საყდარში, წმინდა გიორგიში. ოჯახებმაც შეძლეს ცხოვრება. ღირსებაა მთავარი ჯერ და მერე ყოფის საშუალება. ამას აწესრიგებდა სამართალი" (მთხრობელი ს. ავალიანი. მელე. 2004. ჩამწერები: ლ. ავალიანი, დ. ფირცხელანი, ნ. ნაკანი).

უდავოა, რომ ეკონომიკურმა მოტივებმა გადაფარა პიროვნული დაპირისპირება, წინააღმდეგობა და მოხდა შეთანხმება ეკონომიკურ რესურსებზე წვდომისათვის, რაც მტკიცდებოდა ჩვეულებითი სამართლით და კანონის ძალა ჰქონდა.

მართალია, დღეს არ მოქმედებს, მაგრამ ახსოვთ დანაშაულის საზღაურად დაწესებული გადასახადის სახეობები: „მუწვრი" და „ლერქვაში". მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, რომ „ლერქვაში "სამი მანეთის ღირებულების ნივთი იყო, რომელსაც იღებდნენ განაჩენის დადგენის შემდეგ; „ნაღვრიელი" (არაყი, პური, ფული,

სხვადასხვა ავეჯეულობა. აღარ ახსოვთ ოდენობა-ღირებულების და მისი ზრდა-კლების შესახებ, თუმცა იციან, რომ „ნაღვრიელი“ ყოფილა არაყი, პური, ფული, სხვადასახვა ავეჯეულობა) ხატზე დაფიცებისთანავე გადაეცემოდათ მედიატორებს. სხვადასხვა დროს მკვლევართა მიერ ჩაწერილი მასალებით ირკვევა, რომ თავდაპირველად ის იყო სამი მანეთის ოდენობის, მოგვიანებით ხუთი, შემდეგ კი ათ მანეთამდე. მედიატორებისგან აღებული გასამრჯელო თავიანთი საქმიანობისთვის დადგენილი ნორმაა და „სასირცხვოდ“, მით უფრო დანაშაულად არ ითვლება; თუ კვირიკეს ეკლესიაში დაიფიცებდნენ, შეიძლება მედიატორებისთვის ოცი მანეთიც გადაეხადათ და „ათისთავი“ – „მორვალი“ გასამრჯელოდ იღებდა მთელი გადასახადის ათ პროცენტს (იხ: ეკ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, 1927).

აღვნიშნავთ, რომ ზემოთ ნახსენებ საზღაურს იხდიდა მხოლოდ გამტყუნებული. ასეა დღესაც, როდესაც სასამართლო მომსახურების საზღაურს ვიხდით, სახელმწიფოს მხრიდან გაწეული მომსახურებისათვის, გადახდილი თანხა აღინიშნება ზოგადი სახელით - „სახელმწიფო ბაჟი“.

ეთნოეკონომიკის კვლევის საგანი აწმყოშიც თანამედროვე სოფლის კულტურულ-სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის, იმის შესწავლა უნდა იყოს, რამდენად მოახდინა გავლენა გლობალიზაციამ ქვეყნის ტრადიციულ და ახალ სამეურნეო-ყოფით ურთიერთობებზე.

ლიტერატურა

1. გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველოში, 1990.
2. ქეგლVI, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1960.
3. ეკ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, 1927
4. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/mariam_xoferia.pdf
5. ეგნატე ბრიანჩანინოვი. http://sibrdzne.ge/index.php?swavleba_id=17105&amonaridi=17871

# SOME ISSUES RELATED TO ETHNO-ECONOMICS AND GEORGIAN TRADITIONS AND CUSTOMS
## (according to latest ethnographic materials)

**George Gavtadze,**
*Professor of AkakiTsereteli State University*

**Davit Shavianidze,**
*AssociateProfessor of Akaki Tsereteli State University.*
*Kutaisi University Associate Professor*

Summary

**Problems of subsistence and economic activity of Georgians are among the top issues of studying ethno-economics and modernity in general. In connection with the above, we will consider several issues related toSvanetianethnographic materials on ways and means of getting the maximum result of a work and (traditionalGeorgian forms of work organization, terms reflecting community-family and personal need, and economic life).**

**A more fruitful, "filled with love and trust" form of work organization with Christian content and form and identified by different results, "is identical to "*nadi*" (rent by paying in work) with the specifics that work given away comes back to giver also in the form of work. The main aspect of these relations derived from "solidarity and togetherness" bringing "prosperous life", is that generally, it was the carrier of a powerful unifying force for the local community and an important prerequisite for the development based on economic motivations of the appropriate territorial units.**

**The comprehensive study reveals that the form of decentralization of governance described in the recommendations of European documents and charters is acceptable today. It is necessary that the right to dispose the goods created in accordance with traditions prevalent in ancient Georgia, as well to manage and use money donated during prayers conducted with respect for "folk customs" and saturated with ritual, Christian elements, must go, in the present and for the future, to people who have a good knowledge of the aspects of management and are able to address the local needs.**

**The "*samtel-samkvidro*" (comminity's-inheritable) is often identical to a procedural agreement.**

**3. Existing information material on "*piradisakhsari*" (personal funds) created by individuality, clarify several issues of the contemporary world: 1. The current structure of society has changed on the basis of eliminating the threat of conquest by external forces, and the emergence of alternative, simple sources of income; 2. On the basis of a woman's greater demand for labor, her dominant role as a "head of the family" in dominating the family livelihood, these and other circumstances became the basis for the fact that societies that are the carriers of a unifying idea, functions, purpose, priority, and traditional relations, have become a group of psychologically modified, marginalized individual-consumers; 3. A comprehensive study of ethnographic materials confirmed that traditional willingness was diminished today by the ideological and other machines" ("Living faith was the basis of life for God. Praising the Lord was a characteristic feature of Georgians. This talent and love helped our people not to fall, and if anything, to repent immediately in faith.Today's way of life can no longer be like that.If not, what else would mean the replacement of unity by individual? It is clear that individual can do a lot today, and have a lot of things,but caring for one's own prevails at the same time, and is it divine**

**?! Will God like the sacrifice of a woman for a non-traditional activity? Georgian man had entrusted a woman with necessary, but elementary responsibilities in divine services. Georgianness had not burdened the women with inadequate responsibilities”). See for comparison: Egnate Brinachaninov. http://sibrdzne.ge/index.php?swavleba_id=17105&amo-naridi=17871.**

**From an ethno-economic study’s perspective, of special interest are the terms: *"Mutsvri*", *"Lerkvashi"* and *“Naghvrieli”* , which is a type of compensation paid for legal services provided by the State and has historically been used in Georgia.**

***Key words: community; tradition, family; ritual; prayer; faith; awareness; rent; payment; subsistence and economic activity; ethno-economics; economic life; territorial unit; “samtel-samkvidro” (comminity’s-inheritable); “piradi sakhsari” (personal funds); legal services; compensation***

# პანდემიური ეკონომიკური ცვლილებები და გამოწვევები

**თამარ ღამბაშიძე**
***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი***

*COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის მიერ ქვეყნის ეკონომიკასა და ადამიანების კეთილდღეობისთვის მიყენებული ზიანი ჯერ კიდევ არაპროგნოზირებადი და მზარდია. სახელმწიფოების მხრიდან ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის და პანდემიის გავრცელების პრევენციისთვის გატარებულმა ზომებმა - მათ შორის, საზღვრების ჩაკეტვამ, ქალაქებს შორის მოძრაობის აკრძალვამ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და სოციალური დისტანცირების მოტივით ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვამ, - მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, 2020 წელს გლობალური ეკონომიკა მკვეთრად შემცირდება, სულ მცირე -3%-ით მაინც, რაც 2008-2009 წლების გლობალურ კრიზისზე უფრო ცუდი მაჩვენებელია..*

*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პროგნოზი კურსის გამყარება, ანტი-კრიზისული გეგმა, ვირუსის კონტროლი, შრომის ბაზრის სტრუქტურა.*

**გლობალური ეკონომიკის მდგომარეობა მსოფლიო პანდემიამ კიდევ უფრო დაამძიმა. Covid-19-ის უარყოფითი გავლენა ეკონომიკურ აქტიურობაზე ფართო გავრცელების პირველივე დღეებიდან გამოვლინდა. პესიმისტური ეკონომიკური პროგნოზები საკმაოდ მომრავლდა, რადგან, ბოლო ინფორმაციებით, მსოფლიოს უმსხვილესი საფონდო ბირჟებისთვის ბოლო ათწლეულში ყველაზე დიდი ვარდნით დასრულდა. <u>გამოქვეყნდა Bloomberg-ის მიერ მომზადებული დასკვნაც</u>, რომლის მიხედვითაც ყველაზე ცუდ სცენარში გლობალური ეკონომიკის დანაკარგი 2,7 ტრილიონ დოლარს, ხოლო ეკონომიკური ზრდა 0-ს გაუტოლდება. შექმნილ ვითარებაში გამონაკლისი ვერ იქნება საქართველოც, რომელიც ღია ტიპის საბაზრო ეკონომიკაა და აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში. ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე გლობალურ ეკონომიკაში განვითარებული მოვლენები საქართველოს ეკონომიკისთვის შესაძლოა ბოლო წლების ყველაზე მწვავე გამოწვევად იქცეს. საბროკერო კომპანია Galt & Taggart საქართველოს ეკონომიკაზე ახალი კორონავირუსის პანდემიის გავლენის შესახებ სამ შესაძლო სცენარს აქვეყნებს - ოპტიმისტურს, შუალედურსა და პესიმისტურს.**

**პირველი - საქართველოს წლიური ეკონომიკური ზრდა მხოლოდ პირველ სცენარში უნარჩუნდება, რისი ალბათობაც მხოლოდ 10%-ია. ეს იმ დაშვებაზეა დაფუძნებული, რომ ვირუსის სრულ კონტროლს ქვეყანა აპრილ-მაისში მიაღწევს, ასევე იმაზე, რომ ეკონომიკური ვარდნა მარტი-მაისის პერიოდში შეჩერდება და ივნისიდან ეკონომიკური აქტივობა გამოცოცხლდება. ასეთ შემთხვევაში წლიური ეკონომიკური ზრდა შესაძლოა, 2.1% იყოს.**

**მეორე - შუალედური სცენარით, თუკი ვირუსის შეკავება აპრილ-მაისში მოხერხდა, თუმცა ოქტომბერში ხელახლა გავრცელდა, მარტი-მაისის პერიოდში ეკონომიკური ვარდნა იქნება, ივნის-სექტემბერში აქტივობა გამოცოცხლდება, თუმცა ოქტომბრიდან ისევ ვარდნა იქნება. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკა 2.7%-ით შემცირდება. მოვლენების ამ სცენარით განვითარების ალბათობად კომპანიას 50% აქვს განსაზღვრული.**

**მესამე - სცენარი ასეთია: ვირუსის გავრცელება 2020 წელს ვერ შეჩერდა, ეკონომიკური ვარდნა წლის ბოლომდე გრძელდება, რაც ჯამში ეკონომიკის 6%-იან შემცირებას მოიტანს. ამ სცენარის ალბათობა 40%-ია.**

**ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი საგარეო მოთხოვნა იყო. პანდემიის პირობებში კი სწორედ საგარეო მოთხოვნა დგას ყველაზე დიდი წნეხის ქვეშ. ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, ასევე,**

დაგეგმილია კომპანიებისთვის დასაბრუნებელი დღგ-ს გაორმაგება და მცირე და საშუალო ზომის სასტუმროებისთვის სესხის საპროცენტო განაკვეთის გადახდა. ყველა ტიპის სესხზე სამთვიანი საშეღავათო პერიოდი გამოაცხადა უმსხვილესმა ბანკებმა, მათ შორის თიბისიმ, საქართველომ და ვითიბიმ. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის მიმართ საქართველოს ეკონომიკის მაღალი მოწყვლადობა სხვადასხვა ფაქტორითაა გამოწვეული. უპირველეს ყოვლისა, ეს დაკავშირებულია მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურასთან, სადაც დარგობრივად ყველაზე დიდი წილი ისეთ ეკონომიკურ საქმიანობებზე მოდის, რომლებიც ყველაზე მეტად დაზიანდნენ კორონავირუსის პირობებში - ესენია საბითუმო და საცალო ვაჭრობა (13.9 %), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11.4 %), მშენებლობის სექტორი (8.3%) და საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობები (6.1%)[3]. ამასთან, ტურისტული სექტორის გაჩერებამ, რომელიც წლებია ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედად მოიაზრება, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა როგორც შრომით ბაზარს, ისე ლარის კურსის სტაბილურობას - ტურიზმიდან შემოსული ფინანსური კაპიტალი უცხოეთიდან შემოსულ ფულად გზავნილებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად ლარის კურსის გამყარების მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნიდა. კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც კორონავირუსის პირობებში მაღალი ეკონომიკური დესტაბილიზაცია განაპირობა, დაკავშირებულია შრომის ბაზრის სტრუქტურასთან, სადაც დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა არაფორმალურ სექტორში თვითდასაქმებულთა რაოდენობას უტოლდება, ხოლო თავად დაქირავებით დასაქმებულთა შორის მაღალია არასტაბილურ სამსახურებში დასაქმებულთა წილი. სოციოეკონომიკური ცვლილებების გარდა, კრიზისმა პოლიტიკური დღის წესრიგიც გარდაქმნა და მმართველობითი ძალაუფლების ცენტრში სახელმწიფოები და აღმასრულებელი მთავრობები დააბრუნა. შესაბამისად, საქართველოში პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე მნიშვნელოვანია, რა სახის სისტემური ჩავარდნები გამოავლინა კრიზისმა.

საქართველოს ეროვნულ შემოსავალში მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის უცხოეთიდან განხორციელებულ ფულად გზავნილებსა და ტურიზმის ინდუსტრიას. ამ სექტორების კომბინირებული წილი მშპ-ში დაახლოებით 15%-ია. გასულ წელს ამ დარგებიდან საქართველომ შემოსავლის სახით თითქმის 5 მილიარდი დოლარი მიიღო. ჩამოთვლილი საფრთხეების ფონზე ლარი უფასურდება, რამაც შესაძლოა, კიდევ უფრო გაზარდოს ისედაც მაღალი ინფლაცია. ეჭვგარეშეა, რომ შემცირდება ეროვნული შემოსავალი, განსაკუთრებით უცხოურ ვალუტაში. უკვე მოცემულობაა ისიც, რომ ვერ შესრულდება ეკონომიკური ზრდის 5%-იანი პროგნოზი. საქართველოს ეკონომიკისთვის ტურისტული ინდუსტრია ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ მშპ-ში ტურიზმის სექტორის წილით საქართველო მსოფლიოს მოწინავე პოზიციებზეა. დარგი გამოირჩევა მაღალი დასაქმებით. ადგილობრივი ეკონომიკისთვის ტურიზმი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, რომელიც სავაჭრო სალდოს შემცირებაში.

წლების მიხედვით ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი შემდეგნაირად გამოიყურება:

2015 წელი — $1,8 მილიარდი, წილი მშპ-ში — 6,7%;

2016 წელი — $2,1 მილიარდი, წილი მშპ-ში — 6,7%;

2017 წელი — $2,7 მილიარდი, წილი მშპ-ში — 6,9%;

2018 წელი — $3,2 მილიარდი, წილი მშპ-ში — 7,6%;

2019 წელი — $3,2 მილიარდი, წილი მშპ-ში — 7,2%;

მსოფლიოში Covid-19-ის ფართო გავრცელების გამო თებერვალში 15 უმსხვილესი ტურისტული მიმართულებებიდან ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობა ქვეყნების მესამედში შემცირდა: რუსეთიდან — 25%; სომხეთიდან — 18%; ირანიდან — 8,7%; ფილიპინებიდან — 11,1%; ყაზახეთიდან — 2,4%. დამძიმებულ სურათზე მეტყველებს მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებშიც. TAV Georgia-ის ინფორმაციით გასული წლის ივლისში

მხოლოდ რუსეთიდან და მხოლოდ საჰაერო მიმოსვლის შეჩერებით საქართველოს ეკონომიკამ 300 მილიონი დოლარი იზარალა.

ფულადი გზავნილების წინა წლების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

2015 წელი — $1,08 მილიარდი;

2016 წელი — $1,1 მილიარდი;

2017 წელი — $1,4 მილიარდი;

2018 წელი — $1,5 მილიარდი;

2019 წელი — $1,7 მილიარდი.

საქართველოს საზღვრებს გარეთ ყველაზე მეტი ქართველი რუსეთში ცხოვრობს, შესაბამისად, ყველაზე მეტი ფულადი გზავნილიც იქიდან ხორციელდება. საუბარია, ფულადი გზავნილების ჩამონათვალში ბოლო წლების განმავლობაში მეორე ადგილი იტალიას უკავია. ამ დრომდე იტალიიდან გზავნილები დინამიკურად იზრდებოდა. სავარაუდოდ ვითარება ამ მიმართულებითაც მკვეთრად უარესობისკენ შეიცვლება.

ნავთობის ინდუსტრიისთვის ავსტრიიდან გავრცელებული ინფორმაცია მეტად არასახარბიელოა. ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაციის [OPEC] სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ 2016 წელს რუსეთსა და საუდის არაბეთს შორის ჩამოყალიბებული ალიანსი ჩაშლილია. სწორედ ამ ალიანსის მეშვეობით კონტროლდებოდა ნავთობის ფასები ბოლო 4 წლის განმავლობაში. ალიანსის ჩაშლის შედეგად ნავთობის ფასი ერთი სავაჭრო დღის განმავლობაში 30%-ით შემცირდა. ნავთობის ფასების შემცირება, პირველ რიგში, ნედლეულის მწარმოებელ სახელმწიფოებს აზარალებს, თუმცა ირიბი დარტყმის ქვეშ ექცევიან ამ სახელმწიფოებთან აქტიური ეკონომიკური ურთიერთობების მქონე ქვეყნებიც. მათ რიგში აღმოჩნდა საქართველოც. Galt and Taggart-ის თანახმად, საქმე ისაა, რომ საქართველოს სამი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორიდან ორი [აზერბაიჯანი, რუსეთი] ნავთობის მწარმოებელი ეკონომიკაა. ამას ადასტურებს 2014-2016 წლებში შექმნილი მდგომარეობა - ამ შუალედში ნავთობის ფასები - 65%-ით, ხოლო საქართველოს წმინდა ჯამური ექსპორტი დაახლოებით 25%-ით შემცირდა. დაყოვნებული ნეგატიური ეფექტი, ორგანიზაციის თანახმად, გამოვლინდება საფინანსო, მშენებლობის, უძრავი ქონების, ვაჭრობის, წარმოებისა და განათლების სექტორებზე;

მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის მთლიანი შიგა პროდუქტის ოფიციალური მონაცემები ჯერ-ჯერობით არ არის ხელმისაწვდომი, ექსპერტული დაშვებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის 18 მილიარდი აშშ დოლარის ტოლი იქნება და ამ დაშვების ფონზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩინეთის წილი ქართულ ეკონომიკაში - ტურიზმის, ექსპორტის, უცხოური ინვესტიციებისა და ფულადი გზავნილების თვალსაზრისით ჯამურად 1.67%- ს არ აღემატება, რაც, ერთი მხრივ, არც თუ დიდ ეკონომიკურ კავშირებზე, ხოლო, მეორე მხრივ, უზარმაზარ პოტენციალზე მეტყველებს.

ბოლო წლებში საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები სისტემატურად მზარდია. 2018 წელს სავაჭრო ბრუნვამ, პირველად, მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ამასთან ერთად, მართალია, მოცემულ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება 2017 წლიდან მოქმედებს, თუმცა ქართული კომპანიებისთვის ჩინურ ბაზარზე შეღწევა საკმაოდ რთული პროცესი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ქართული ექსპორტი საკმაოდ სწრაფად იზრდება, თუმცა ეს ზრდა არა იმდენად ჩინეთზე მოდის, რამდენადაც ევროკავშირზე, სადაც ქართული პროდუქცია სულ უფრო აქტიურად იკიდებს ფეხს. უკანასკნელი მონაცემებით, ქართულ ექსპორტში 22% ევროკავშირს უჭირავს. მას მოსდევს აზერბაიჯანის ბაზარი 15-%- ით, რუსეთი - 13%-ით, სომხეთი - 8%-ით, თურქეთი - 7%-ით და შემდეგ უკვე ჩინეთი - 6%-ით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთთან საქართველოს აქვს გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, ვერ ხერხდება არსებული შესაძლებლობის სათანადოდ გამოყენება. ქართული ექსპორტის სტრუქტურა არადივერსიფიცირებულია და სპილენძის მადნებ-

სა და ღვინოზე მოდის ვაჭრობის 83%, რაც ქართული ექსპორტის მდგრადობას უქმნის საფრთხეს.

ქართული ექსპორტი ჩინურ ბაზარზე, 2019 წელს სპეციალური დაკვეთით ასე გამოიყურებოდა - სპილენძის მადნები და კონცენტრატები 73%, ღვინო 10%, სამედიცინო ხელსაწყოები 7% ,სანელებლები 2%, თხილი და კაკალი 2%, დიაგნოსტიკური რეაგენტები 1% ,დანარჩენი 5%. ექსპორტისაგან განსხვავებით, საქართველოში ჩინეთიდან შემოსული იმპორტი მნიშვნელოვნად არის დივერსიფიცირებული. ყველაზე მსხვილი პროდუქტის წილი მთლიან იმპორტში 3%- ს არ აღემატება, მაგალითად, კონდიციორენები, რეზინის საბურავები და სხვა.

ექსპორტის თვალსაზრისით საქართველოს ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებზე 2018 და 2019 წლების შედარებისას ვნახავთ, რომ ძირითადად ყველა მიმართულებით ზრდაა დაფიქსირებული, მათ შორის ჩინეთის მიმართულებითაც - 13%-ით. კლების ტენდენციაა: თურქეთის (- 13%) და აზერბაიჯანის (- 1%) მიმართულებით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - ჩინური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში პირველად 2002 წელს გამოჩნდა 2.5 მლნ აშშ დოლარით, რომელიც პერიოდულად გამოირჩეოდა მერყეობით, თუმცა ყველაზე მაღალ ნიშნულს 2014 წელს მიაღწია 220 მლნ აშშ დოლარს და მისმა წილმა მთლიანი ინვესტიციების 12% შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 იყო საქართველოს ისტორიაში რეკორდული წელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის - 1,83 მლრდ აშშ დოლარის საქართველოში ჩინეთის მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა წილი მთლიან ექსპორტში, არარეზიდენტის მონაწილეობით შექმნილი კაპიტალის მქონე საწარმოების წილი ექსპორტში. ბოლო პერიოდის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ჩინური ინვესტიციებისათვის საინტერესო სექტორებს წარმოადგენს: მშენებლობა, უძრავი ქონება და საფინანსო სექტორი. დანარჩენ სექტორებში კი ძირითადად მცირე მასშტაბებით არის წარმოდგენილი ჩინური კაპიტალი, ზოგ შემთხვევაში კი, პირიქით, მცირდება. COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის მიერ ქვეყნის ეკონომიკასა და ადამიანების კეთილდღეობაზე მიყენებული ზიანი ჯერ კიდევ არაპროგნოზირებადი და მზარდია. სახელმწიფოების მხრიდან ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის და პანდემიის გავრცელების პრევენციისთვის გატარებულმა ზომებმა - მათ შორის, საზღვრების ჩაკეტვამ, ქალაქებს შორის მოძრაობის აკრძალვამ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და სოციალური დისტანცირების მოტივით ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვამ, - მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, 2020 წელს გლობალური ეკონომიკა მკვეთრად შემცირდება, სულ მცირე -3%-ით მაინც, რაც 2008-2009 წლების გლობალურ კრიზისზე უფრო ცუდი მაჩვენებელია.

ლიტერატურა:

1. მონაცემები აღებულია: Bloomberg, იხ: https://bloom.bg/2IZkrdv Galt and Taggart-ანალიზი საქსტატი
2. Kuznets Dmitry. “Black Monday The ruble is nosediving thanks to a coronavirus-triggered oil price collapse. Is Russia spiraling into another economic crisis?” Meduza, 10 მარტი 2020.
3. https://bit.ly/33xg5DC Tack Sim. “Russia’s Economy Faces Stormy Seas Despite Moscow’s Optimistic Forecast”, Stratfor, 19 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/
4. Brown Chris. “Russia’s coronavirus count under scrutiny as Putin government denies hiding cases”, CBC, 18 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2xThfh3 39 Rankin Jennifer. “Russian media ‘spreading Covid-19 disinformation’”, The Guardian, 18 მარტი 2020.

# Pandemic Economics Changes and challenges

**Tamar Ghambashidze**
***Associate professor***
***Georgian technical university***

Summary

**COVID-19 has created additional problems for the national security sphere. Upon gaining independence and moving towards deeper Euro-Atlantic integration, Georgia has constantly been a target of the former regional hegemon. The geopolitical value of Georgia for the region South Kavkaz and for the Middle East is fully acknowledged by Moscow authorities. Losing influence over Georgia was not only a devastating blow, but also an unacceptable course of events for Kremlin. It is not viable to describe the impacts of such a struggle in detail here, so we shall limit ourselves to reporting the current state of affairs. The country has a sound macroeconomic framework, an attractive business environment, and robust public financial management arrangements. The country has a shared consensus on national priorities, including participation in Euro-Atlantic integration, more efficient government, stronger growth, and a better functioning welfare state. This has paved the way for the signing of an Association Agreement with the European Union (EU), including a Deep and Comprehensive Free Trade Area preferential trade regime.**

***Key words: economic forecast, exchange rate strengthening, anti-crisis plan, virus control, labor market structure.***

# საპენსიო სისტემა კორონაეკონომიკაში
# (საქართველოს მაგალითზე)

**მაკა ღანიაშვილი**
*თსუ-ის დოქტორანტი*

*მომდევნო ათწლეულების განმავლობაში შემცირებული შობადობა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეცვლის მოსახლეობის ასაკობრივი განაწილების სურათს. გამომდინარე იქიდან, რომ იზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და მცირდება შობადობა, უფრო მეტი ადამიანი გადის პენსიაზე, ვიდრე ემატება სამუშაო ძალას. დემოგრაფიული სურათის ცვლილება ძირეული საპენსიო რეფორმის აუცილებლობას იწვევს. პარალელურად, მსოფლიოს Covid-19-ის პანდემიით გამოწვეულ კრიზისთან უწევს გამკლავება. მომავალი ბუნდოვანია, როგორც სამედიცინო, ასევე ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ქვემოთ მოცემულ კვლევაში შევეცდებით, პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რა კონდიციებით ხვდება საქართველო რთულ და გარდამავალ პერიოდს და, ასევე, გავაანალიზოთ საქართველოში მიმდინარე საპენსიო რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რეფორმის დაწყებიდან დაახლოებით 18 თვის შემდეგ.*

*საკვანძო სიტყვები: საპენსიო რეფორმა, კაპიტალის ბაზარი, დანაზოგები.*

**ვითარება გლობალურ ბაზარზე**

**ძალიან ცოტა მოვლენას თუ მოუხდენია ისეთი მყისიერი და დრამატული გავლენა მსოფლიო ეკონომიკასა და ფინანსურ სიმყიფეზე, როგორც კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისს. სამედიცინო ნაბიჯების შემდეგ, მთავრობები მილიარდობით დოლარს ხარჯავენ ახლა უკვე ეკონომიკის გაჯანსაღებისა და ჩვეულ რელსებზე დასაბრუნებლად. მაგალითად, სარეიტინგო სააგენტო Moody's-ის პროგნოზის მიხედვით, აშშ-ს საჯარო საპენსიო სისტემის ზარალი 2020 ფისკალური წლისთვის 1 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი იქნება [2]. Moneyfacts UK Personal Pension Trends Treasury-ის მონაცემების მიხედვით კი, დიდ ბრიტანეთში 2020 წლის პირველ კვარტალში საპენსიო ფონდების მოცულობა 15.2%-ით შემცირდა, რაც ვარდნის ყველაზე დიდი მაჩვენებელია. ასეთი შემცირება 2008 წლის კრიზისის დროსაც კი არ ყოფილა[3]. ბევრ ქვეყანაში საფრთხეს ქმნის ისიც, რომ ნებადართულია საპენსიო ანარიცხების ვადაზე ადრე გატანა. მაშინ როცა მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკების საპენსიო სისტემა ამხელა გამოწვევების წინაშე, ბუნებრივია, მარტივი გზა არც საქართველოს ელის, მითუმეტეს კომპლექსური რეფორმის საწყის ეტაპზე.**

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით,დღეს არსებული ვითარების გათვალისწინებით, სახელმწიფო პენსიის წილი როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკების მშპ-ში 2050 წლისთვის 1-2.5%-ით გაიზრდება [1, გვ. 5-6]. გადასახადებისა და სხვა ხარჯების კორექტირების გარეშე, ეს ზრდა გამოიწვევს საჯარო დანაზოგების შემცირებას. ახალგაზრდებს მოუწევთ, გაცილებით მეტი დაზოგონ, რათა ისეთივე საპენსიო უზრუნველყოფა ჰქონდეთ, როგორიც პენსიონერებს დღეს აქვთ. კერძო დანაზოგების ზრდა საპენსიო ასაკისთვის და გრძელვადიანი ფისკალური სტაბილურობის უზრუნველყოფა მოითხოვს კომპლექსურ და კარგად დაგეგმილ-გაწერილ საპენსიო რეფორმას. ყველა სხვა ცვლადის ტოლობის შემთხვევაში, კერძო დანაზოგები უფრო მეტად იზრდება იმ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ საპენსიო სისტემის შერეული მოდელები, რომელიც ითვალისწინებს ბენეფიციარის კონტრიბუციასაც. პარალელურად, აუცილებელია ფინანსური და სამუშაო ბაზრის რეფორმა, რომელიც საპენსიო სისტემის რეფორმასთან ერთად კომპლექსურად უნდა განხორციელდეს.**

## საქართველოში მიმდინარე საპენსიო რეფორმა

**Covid-19-ით გამოწვეული კრიზისი საქართველოში უმნიშვნელოვანეს პროცესს დაემთხვა: ქვეყანაში აქტიურ ფაზაშია კაპიტალის ბაზრისა და საპენსიო სისტემის რეფორმა. ამ პროცესის კვალდაკვალ მოუწევს ქვეყანას კრიზისთან გამკლავება უახლოეს წლებში.**

**საქართველოში 2019 წლამდე არსებული თაობათა სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებული საპენსიო სისტემა პენსიონერებს ვერ უზრუნველყოფდა სათანადო პენსიით. ქვეყანაში რეფორმამდე არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტი 19.1%-ს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა სხვა ქვეყნებში არსებულ მაჩვენებელს. ჩანაცვლების კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი რეგიონში დაახლოებით 40%-ს შეადგენს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებში (OECD) - 63%-ს, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში - 78%-ს. ჩანაცვლების კოეფიციენტის 19.1%-ის ოდენობა ნიშნავს იმას, რომ საქართველოს საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქისათვის პენსიაზე გასვლის შემდეგ შემოსავლები 5-ჯერ მცირდება. აქედან ნათელია, რომ ჩანაცვლების დაბალი კოეფიციენტი წარმოადგენს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი უსამართლობის წყაროს. ამასთან, ისევე, როგორც ბევრ ქვეყანაში, პენსიონერთა რაოდენობა საქართველოშიც სტაბილურად მზარდია, რაც კიდევ უფრო დიდი წნეხი იქნება საპენსიო სისტემისთვის მომავალში (იხ. გრაფიკი 1 და გრაფიკი 2).**

**გრაფიკი 1.**




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [4]*

გრაფიკი 2. პენსიის მიმღები (ასაკით პენსიონერი), ათასი




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [5]*

დაგროვებითი საპენსიო სისტემა საქართველოში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა. ერთ-ერთი ძირითადი შეკითხვა, რომელიც მოსახლეობას სისტემასთან დაკავშირებით უჩნდება, ის არის, თუ რამდენად იქნება დაცული მათი საპენსიო შენატანები, ხომ არ დაბანდდება აქტივები არაკეთილსაიმედო ფინანსურ ინსტრუმენტებში და იქნებიან თუ არა სქემის მონაწილეები დაზღვეული დანაკარგისგან? საპენსიო ფონდში განმარტავენ, რომ რისკის შემცირების მიზნით, ინვესტიციები ჩაიდება დივერსიფიცირებულად, მხოლოდ კეთილსაიმედო ფინანსურ ინსტრუმენტებში. თუმცა რას ნიშნავს ეს, რეფორმის ამოქმედებიდან თითქმის წელიწადნახევრის შემდეგაც კი ბუნდოვანია. გაურკვევლობების დონეს კიდევ უფრო ზრდის გლობალურ ეკონომიკაში არსებული პანდემიით გამოწვეული რისკები.

უფრო მეტიც, საქართველოში საპენსიო რეფორმის ამოქმედების საწყის ეტაპზე საპენსიო ფონდს არათუ არ ჰქონდა ზუსტად გაწერილი საინვესტიციო დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც მოხდებოდა თანხების განკარგვა, ეს საკითხი ღიად რჩებოდა ერთი წლის განმავლობაში. 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში, სააგენტო არ ახორციელებდა საინვესტიციო საქმიანობას. საქართველოს საპენსიო სააგენტომ პირველი ინვესტიცია 2020 წლის თებერვალში განახორციელა.

2020 წლის 22 იანვარს, საინვესტიციო საბჭოს სხდომაზე დაამტკიცეს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი [6], რომლის საფუძველზეც 2020 წლის თებერვალში საპენსიო სააგენტომ 560 მილიონი ლარი კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატებში გადაიტანა. საპენსიო სააგენტოს განცხადებაში ნათქვამია, რომ მათი არჩევანი სადეპოზიტო სერტიფიკატზე შეჩერდა იმიტომ, რომ მას სხვა საფინანსო ინსტრუმენტებთან შედარებით, უფრო მაღალი - საშუალოდ 14.9%-იანი ამონაგები აქვს. თუმცა კვლავ ბევრი კითხვაა საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით.

ამ ეტაპისთვის დამტკიცებული საინვესტიციო დოკუმენტის მიხედვით, განსაზღვრულია აქტივების მხოლოდ სამი კატეგორია, რომელშიც საპენსიო სააგენტოს თანხა შეიძლება იყოს განთავსებული. ესენია:

- ვადიანი დეპოზიტები საქართველოს კომერციულ ბანკებში;
- მიმდინარე (Current) დეპოზიტები საქართველოს კომერციულ ბანკებში;
- საქართველოს კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატები.

ამასთანავე, საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრულია ის ლიმიტები, რაც ინვესტირების პროცესში უნდა იქნეს დაცული. კონკრეტულად კი, საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით, აკრძალულია ერთ კომერციულ ბანკში სადეპოზიტო სერტიფიკატების 40%-ზე მეტი იყოს განთავსებული. „ინვესტიციები სადეპოზიტო სერტიფიკატებში, გადამეტებული რისკების თავიდან აცილების მიზნით კომერციულ ბანკებს შორის უნდა იყოს განაწილებული ისე, რომ ერთ კომერციულ ბანკში სადეპოზიტო სერტიფიკატების 40%-ზე მეტი იყოს განთავსებული. ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში კონცენტრაციის რისკის თავიდან აცილების მიზნით, ბანკის კაპიტალის 20%-ზე უფრო მეტი ოდენობის თანხის სადეპოზიტო სერტიფიკატებში ინვესტირება არ არის დასაშვები. ინვესტიცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ საფინანსო ინსტრუმენტებში, რომელთა გამომშვები ორგანიზაციებიც შეფასებული არიან საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების - Standard&-Poors-ის, Moody's-ის, Fitch-ისადა Scope Ratings-ისმიერ. ამასთან, მინიმალური შეფასება უნდა იყოს CCC და უფრო მეტი“, - ნათქვამია საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტში.

## საპენსიო სისტემა და დანაზოგები

დანაზოგებსა და მისი განკარგვის საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისთვის. დაზოგვის ქცევები, როგორც წესი, ასაკთან ერთად იცვლება: ახალგაზრდა სესხულობს, აქტიურ სამუშაო ასაკში მყოფი ადამიანი ზოგავს, მოხუცი პენსიაზე გას-

ვლის შემდეგ მოიხმარს. შესაბამისად, მოსახლეობის დაბერების ტენდენცია ასევე შეამცირებს კერძო დანაზოგებს, რადგან ასაკიანი მოსახლეობის ფარდობითი წილი იზრდება. მაშინ როცა, სიცოცხლის გაზრდილი ხანგრძლივობა ნიშნავს, რომ ადამიანს უფრო მეტის დაზოგვა დასჭირდება საპენსიო ასაკისთვის.

ის, თუ რა გავლენას მოახდენს დემოგრაფიული ცვლილებები კერძო დანაზოგების ტენდენციებზე, სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია საპენსიო სისტემაზე. მაგალითად, ნაკლებად განვითარებულ საპენსიო სისტემას მივყავართ რეალობამდე, როცა შიდა მეურნეობები ნაკლებს ზოგავენ საპენსიო ასაკისთვის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ფინანსური ბაზარი არაა სათანადოდ განვითარებული და შიდა მეურნეობებს ვერ სთავაზობს სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტს დანაზოგის განსათავსებლად. მეორე მხრივ, ზედმეტად გულუხვმა საპენსიო სქემამ შეიძლება ხელი შეუწყოს პენსიაზე ნაადრევ გასვლას, რაც ასევე გავლნას მოახდენს მოსახლეობის დაზოგვით ქცევებზე.

ინდივიდუალურ დონეზე დანაზოგები საშუალებას აძლევს შიდა მეურნეობებს, შეამცირონ მოხმარება და დაგეგმონ მომავალი. მათთვის, ვინც ახლა უერთდება სამუშაო ძალას, პენსია არ იქნება იმხელა, როგორც აქვთ დღევანდელ პენსიონერებს. ბევრ ქვეყანაში, მთავრობების მცდელობამ, შეენარჩუნებინათ საპენსიო მდგრადობა საპენსიო დანახარჯების შემცირებით, ბევრი პენსიონერის სიღარიბეში ცხოვრება გამოიწვია. უფრო მეტიც, რადგან შიდა მეურნეობების დანაზოგების დიდი წილი მოდის ყველაზე მაღალშემოსავლიან დასაქმებულებზე, დანაზოგების ნაკლებობა მნიშვნელოვანი პრობლემაა ღარიბებისთვის. მაკრო დონეზე, დემოგრაფიული სურათისა და საპენსიო სისტემის მახასიათებლების გავლენის გაგება მომავალში დანაზოგებზე, მნიშვნელოვანია, რადგან ეროვნული დაზოგვა მნიშვნელოვანი წყაროა შიდა ინვესტიციების დასაფინანსებლად, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდასა და მდგრადობაზე. დანაზოგები ასევე განსაზღვრავენ, თუ რამდენად სწრაფად შეუძლია ქვეყანას აღიდგინოს ბუფერები ისტორიულად მაღალი გლობალური ვალის დროს. საპენსიო დანაზოგების მოტივები და საპენსიო სისტემის დიზაინი ასევე პირდაპირ ახდენს გავლენას ადამიანთა ქცევებზე დაზოგვების დროს, რითიც გავლენას ახდენს წმინდა უცხოური აქტივების პოზიციონირებაზე ქვეყნის და საინვესტიციო პორტფელის კომპოზიციაზე, რაც, თავის მხრივ, მოქმედებს საერთაშორისო კაპიტალის ნაკადებზე, საგარეო ბალანსსა და გლობალურ საპროცენტო განაკვეთებზე.

## დაგროვებით საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული რისკები

დაგროვებით საპენსიო სისტემას ახლავს საკუთარი რისკები. ქვემოთ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ვერ უარვყოფთ, რომ დაგროვების პრინციპზე დამყარებული საპენსიო სქემა ყველასათვის ვერ უზრუნველყოფს ღირსეულ პენსიას, რადგან სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილია დაქირავებით დასაქმებული. ეს ფაქტორი საქართველოსთვისაც ძალიან აქტუალურია. წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დასაქმების სტრუქტურის მთავარ გამოწვევას მთლიან დასაქმებაში თვითდასაქმებულთა მაღალი წილი წარმოადგენდა. 2018 წელს პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ოფიციალური მონაცემების მიხედვით, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობამ გადააჭარბა თვითდასაქმებულთა რაოდენობას და მისმა წილმა მთლიან დასაქმებაში 50.8% შეადგინა, ხოლო თვითდასაქმებულთა წილი 49.2%-ს გაუტოლდა. თუმცა, 2019 წლის მე-4 კვარტალის მონაცემების მიხედვით, თვითდასაქმებულებისა და დაქირავებით დასაქმებულების ურთიერთშეფარდებამ 50%-50%-ს შეადგინა[7, გვ. 7]. გამოდის, რომ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილზე გავრცელდება, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის.

დიაგრამა 3.

დასაქმების სტრუქტურა, I – IV კვ. 2019 წ. [8, გვ. 7]




*წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო [8].*

**ამასთან, დაგროვებითი საპენსიო სისტემა მოსახლეობაში სოციალური უთანასწორობის კიდევ უფრო გაზრდის საფრთხეს ქმნის. მომავალში სახელმწიფო დასაქმებულ და მაღალშემოსავლიან მოქალაქეებს თანხობრივად უფრო მეტ კონტრიბუციას გაუკეთებს, ვიდრე უმუშევრებს და დაბალშემოსავლიან მოსახლეობას. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, საპენსიო ასაკის მოსახლეობაში სოციალური უთანასწორობა გაიზრდება. ამ ფაქტორს ამძაფრებს დასაქმების გლობალურ ბაზარზე კორონავირუსით გამოწვეული ტენდენციებიც. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემების მიხედვით[9], მხოლოდ 2020 წლის მეორე კვარტალში გლობალურმა ეკონომიკამ სამუშაო საათების 6.7% დაკარგა (რაც 195 მილიონ, სრულ განაკვეთზე დასაქმებულ, სამუშაო ძალას ნიშნავს). ეს გაცილებით დიდი მაჩვენებელია 2008-09 წლების ფინანსური კრიზისის დროს გაუქმებულ სამუშაო ადგილებზე. გლობალური სამუშაო ძალის 38% დასაქმებულია საწარმოებში, სასტუმროებში, ტურიზმის სექტორში, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფეროში და იმ სერვისებში, რომელიც დღეს მოთხოვნისა და შემოსავლების მკვეთრ ვარდნას განიცდის და გაკოტრების პირასაა. იმავე ორგანიზაციის სპეციალისტთა პროგნოზის მიხედვით, უფრო მეტად დაზარალდებიან დაბალუნარიანი დასაქმებულები, რომელთა სამსახურიც, ძირითადად, ფიზიკურ მუშაობას გულისხმობს. შედარებით უსაფრთხოა უმაღლესი განათლების მქონე მუშაკთა შემოსავალი, რომელთა ანაზღაურებაც ისედაც უფრო მაღალია, მათთან შედარებით, ვისაც ფიზიკურად უწევს მუშაობა - ეს კიდევ უფრო გააღრმავებს გლობალური უთანასწორობის საკითხს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეკონომიკის გაჯანსაღება ნავარაუდევზე სწრაფი ტემპებით წარიმართა, საწყის რელსებზე დაბრუნება მარტივი არ იქნება, არსებული კრიზისი დასაქმების ბაზარზე დიდ ძვრებს გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, საპენსიო სისტემის მდგრადობაზე აისახება.**

## დასკვნა

**როგორც ვხედავთ, რისკები ბევრია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ თაობათა სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებული საპენსიო სისტემა მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას, თანაც ისე, რომ პენსიონერთა ღირსეულ სიბერეს ვერ უზრუნველყოფს. დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინებით კი, ვითარება წლიდან წლამდე უარესდება. საპენსიო რეფორმის აუცილებლობა ეჭვგარეშეა, თუმცა პარალელურად უნდა მოხდეს რისკების სათანადოდ შეფასება და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა სახელმწიფოების მხრიდან, რა-**

**შიც, პირველ რიგში, იგულისხმება საპენსიო დანაზოგებისათვის ჯეროვანი საინვესტი-ციო პოლიტიკის შემუშავება და ამოქმედება, ფინანსური ბაზრის განვითარების ხელ-შეწყობა და დასაქმების ბაზრის წახალისება იმისათვის, რომ გაიზრდოს დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, რათა დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვის საშუალება სულ უფრო მეტ ადამიანს ჰქონდეს.**


ლიტერატურა:

1. D. Amaglobeli, Hua Chai, E. Dabla-Norris, K. Dybczak, M. Soto, A. F. Tieman, IMF SDN/19/01, The Future of Saving: The Role of Pension System Design in an Aging World
2. https://www.marketwatch.com/story/market-rout-leaves-public-pension-funds-nursing-a-nearly-1-trillion-loss-for-fiscal-2020-moodys-2020-03-24
3. https://www.ftadviser.com/pensions/2020/04/30/pension-funds-suffer-record-losses-as-covid-19-hits/
4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba
5. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa
6. Investment Policy For Portfolio of Cash and Cash Equivalents, Approved with the Order N 38 of the Director of the Pension Agency dated 22 January 2020
7. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
8. http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=0161e06e-7ee6-409f-8648-74e680356631
9. ILO Monitor: COVID-19 and the world of work. Fifth edition Updated estimates and analysis; 30 June 2020


# Pension System during Covid Ecnomics (Case of Georgia )


**Maka Ghaniashvili**

***PhD Student, TSU***



S u m m a r y

**Pension systems are striving to deliver adequate retirement income while remaining financially sustainable. Population ageing driven by increasing longevity and low fertility rates poses a persistent challenge. Pension reform is part of the important agenda of countries around the world. Countries are looking for solutions to deal with increasing demographic pressures by putting pension financing on a financial sustainable track to maintain prosperity in ageing societies. In addition, the Covid-19 pandemic has paralyzed large parts of the global economy, sharply restricting economic activities and increasing uncertainties. The existing financial, demographic and economic challenges have determined the establishment of a new pension system in Georgia. The parliament of Georgia approved a law on an accumulative pension system in 2018 and started implementing the reform in 2019, 1st of January. In the following study, we will discuss the new pension system's development process in Georgia.**



**Keywords: Pension Reform; Capital Market; Savings.**

# სამკურნალო ტურიზმის განვითარების სტრატეგია

**ნაირა ღვედაშვილი,**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

*სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს და საკმაოდ პოპულარულია. სამკურნალო ტურიზმის განვითარების სტრატეგია დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, სულ უფრო მეტად ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის სამკურნალო ტურიზმის განვითარებისათვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, კომფორტულობა, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, მაღალკვალიფიციური პერსონალი, ინფორმირებულობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო სტანდარტების დონეზე კეთილმოწყობილი საკურორტო ქსელი კი უზრუნველყოფს თანამედროვე საკურორტო მკურნალობის კომპლექსური მეთოდების დანერგვას და გამოყენებას.*

*საკვანძო სიტყვები: სამკურნალო ტურიზმი, ველნეს ტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი, ინოვაციური ტექნოლოგიები, მაღალკვალიფიციური პერსონალი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული აქტივობები, სამედიცინო ტურისტები, სამედიცინო პროფილის კურორტები, რეკრეანტთა მიმართვიანობა, ეკონომიკის გაჯანსაღების ტაქტიკური საშუალება, დაავადების პრევენცია, სავალუტო შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო.*

**თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში სულ უფრო იკვეთება მზარდი ტენდენცია სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის, დასვენების, მოგზაურობის და ა. შ. კუთხით. სამკურნალო ტურიზმის მთავარი მიზანია სხვადასხვა დაავადების პრევენცია, რეაბილიტაცია, მკურნალობა და დასვენება. სამკურნალო ტურიზმი უფრო მეტად ხასიათდება მოგზაურობაზე ნაკლები დროის დახარჯვით, ნაკლები ქალაქების მონახულებით და ერთ ადგილზე (მაგ., საკურორტო ტერიტორიაზე განთავსებულ სამკურნალო დაწესებულებებში, პანსიონატებში, დასასვენებელ სახლებში, სპა ცენტრებში, საკურორტო პოლიკლინიკაში, სამედიცინო პლაჟებზე და ა. შ.) უფრო ხანგრძლივი დროის გატარებით. საერთაშორისო სტანდარტების დონეზე კეთილმოწყობილი საკურორტო ქსელი უზრუნველყოფს თანამედროვე საკურორტო მკურნალობის კომპლექსური მეთოდების გამოყენებას. საკურორტო ფაქტორებით კომპლექსური მკურნალობა რიგ სხვა გარემო ფაქტორებთან ერთად, არსებით გავლენას ახდენს ორგანიზმის მდგომარეობაზე, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება პათოლოგიური მოვლენების შემსუბუქებაზე ან საერთოდ ჩაქრობაზე და ადამიანის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.**

**კურორტი არის სპეციალურად დაცული ბუნებრივი ტერიტორია, ისეთი სამკურნალო ადგილი, სადაც შეიძლება სათანადო გარემო პირობებში ბუნების ძალებით მკურნალობა, დასვენება, სამედიცინო მომსახურება, დაავადებათა პროფილაქტიკა, რეაბილიტაცია და ა. შ. თანამედროვე გამოწვევების მიხედვით, საკმარისი არ არის, რომ კურორტს ჰქონდეს ესა თუ ის ბუნებრივი სამკურნალო კლიმატოთერაპიული (ჰავა) ან ბალნეოთერაპიული (მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახი) ფაქტორი. ის ასევე უნდა უზრუნველყოფდეს სხვა ხელშემწყობ პირობებსაც მკურნალობა-დასვენება-გაჯანსაღებისათვის.**

**როდესაც ვსაუბრობთ მოგზაურობაზე, რომელიც დაფუძნებულია ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობასთან, ხშირად გვხვდება ისეთი ცნებები, როგორიცაა: სამედიცინო ტურიზმი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი, ველნეს ტურიზმი და სპა ტურიზმი.**

**სამკურნალო-გამაჯანსაღებელი-სამედიცინო ტურიზმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს და საკმაოდ პოპულარულია. სამედიცინო ტუ-**

რიზმში იგულისხმება ქვეყნებში ან რეგიონებში წასვლა სამედიცინო (ქირურგიული, კარდიოლოგიური, სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური და ა. შ.) მომსახურებისათვის. დღეს სამედიცინო ტურიზმის მზარდ პოპულარობაზე მრავალმა ფაქტორმა იქონია გავლენა, კერძოდ, ინდუსტრიულ ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების ფასების ზრდა, საერთაშორისო მოგზაურობის გაადვილებამ და ასევე გაიაფებამ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სწრაფად გაუმჯობესებულმა ტექნოლოგიამ, სამედიცინო მომსახურების მაღალმა ხარისხმა, მომსახურების სტანდარტებმა და ა. შ.

სამედიცნო ტურისტები ძირითადად განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებიდან არიან და ქვეყნები, სადაც ისინი მოგზაურობენ, ნაკლებად განვითარებულია და შეღავათიანი ვალუტის გაცვლის კურსი აქვთ.

გამაჯანსაღებელი ტურიზმის პოპულარობამ განაპირობა რიგი სერვისისა და ეკონომიკის დარგების განვითარება, რომელც ეხმარება პაციენტებს ამგვარი მოგზაურობის დაგეგმვასა და რეალიზაციაში. ეს კომპანიები პარტნიორობენ გარკვეულ საავადმყოფოებთან ან კლინიკებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ, გაცილებით ნაკლებ ფასში მოემსახურონ მომხმარებლებს, ვიდრე ეს მათ ინდივიდუალურად დაუჯდებათ.

ექსპერტები ზოგადად თანხმდებიან, რომ სამედიცინო და ველნეს ტურიზმი განიხილება როგორც სამკურნალო ტურიზმის ქვეკატეგორია. ველნეს ტურიზმით დაინტერესებულნი არიან ის პირები, რომელთა მიზანია საკუთარი ჯანმრთელობის ხელშეწყობა ან შენარჩუნება, ხოლო სამედიცინო ტურიზმით დაინტერესებულია ის კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარებას.

მიუხედავად იმისა, რომ სამკურნალო ტურიზმის კონცეფცია ფართოდ არის გავრცელებული, მეცნიერების მიერ ერთიანი საყოველთაო განმარტება ჯერ არ არის განსაზღვრული.

სამკურნალო ტურიზმის განვითარებისათვის საქართველო, როგორც ამას უცხოელი ექსპერტები აღიარებენ, ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა ბუნებრივი ფაქტორებით, გეოპოლიტიკური მდებარეობით და ღირსშესანიშნაობებით, რაც სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების მიზანშეწონილობაზე და პრიორიტეტულობაზე მეტყველებს. საერთაშორისო დონეზე აღიარებულია საქართველოში მოქმედი სამედიცინო პროფილის სამკურნალო კურორტები, კერძოდ: თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი ნევროლოგიური, ართროლოგიური, გინეკოლოგიური მკურნალობის კუთხით, სანატორიუმი „საირმე" ცნობილი უროლოგიური მკურნალობით, წყალტუბოს სანატორიუმი-ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნევროლოგიური სახის მომსახურებით, სანატორიუმი „ბორჯომი-ლიკანი" სამედიცინო პროცედურებით გასტოენტეროლოგიური, ენდოკრინოლოგიური მკურნალობით, კურორტი „მენჯიკკ ართროლოგიური და ნევროლოგიური კუთხით, ასევე ენდოკრინოლოგიური კუთხით, სანატორიუმი „სურამიკკ პულმონოლოგიური, ალერგოლოგიური კუთხით, აბასთუმნის სანატორიუმი-ფთიზიატრიული მკურნალობით, სამკურნალო ტალახით ცნობილი გურჯაანის ახტალა. კურორტი 9 თვის განმავლობაში ფუნქციონირებს და გამოიყენება როგორც საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, ასევე პერიფერიული ნერვული სისტემის და გინეკოლოგური მკურნალობისათვის, არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე ისეთი კურორტი, როგორიცაა ბახმარო, რომელიც ბრონქებით და სასუნთქი გზებით დაავადებულების სამკურნალოდ უნიკალურია და ა. შ. რიგი სამკურნალო დაწესებულებებისა, სადაც ყოველწლიურად იზრდება როგორც საქართველოდან, ისე სხვა ქვეყნებიდან რეკრეანტთა მიმართვიანობა. თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ

სტუმრების განაწილება რეკრეაცია-დასვენების მიზნით საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან ასეთია (იხ. ცხრილი).

სტუმრების განაწილება ჩამოსვლის მიზნით




**როგორც ცხრილიდან ჩანს, წლების განმავლობაში საქართველოდან და ასევე სხვა ქვეყნებიდან იზრდება როგორც რეკრეანტთა, ისე დამსვენებელთა რაოდენობა. რიგი სასტუმროების (ბორჯომი, ბაკურიანი, საირმე, წყალტუბო და ა. შ.) ვიზიტორებს მაღალ დონეზე მომსახურებას სთავაზობს და მაქსიმალურად დატვირთულია, რაც, ცხადია, დადებით ტენდენციაზე მეტყველებს.**

**სამკურნალო ტურზმს კარგად განვითარების სტრატეგია აქვს ასევე, ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთში, ასევე, დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყანაში: იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი, გერმანია და სხვა ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ არა მარტო მრავალფეროვანი საკურორტო პირობები სამკურნალო ტურიზმის განვითარებისათვის, არამედ ისტორიულ-კულტურული და ბენებრივი ღირსშესანიშნაობებით მდიდარი ადგილებიც, რაც ხელს უწყობს ტურიზმის თითქმის ყველა სეგმენტის განვითარებას. სწორედ ამიტომ საკურორტო მომსახურება და ტურიზმი იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთში გადახლართული, რომ ევროპული სტატისტიკა არც კი ავლებს ზღვარს ტურისტსა და დამსვენებლებს შორის.**

**სამკურნალო ტურიზმის განვითარების სტრატეგია, დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, სულ უფრო მეტად ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის სამკურნალო ტურიზმის განვითარებისათვის სატრანსპორტი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, კომფორტულობა, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, მაღალკვალიფიციური პერსონალი, საკურორტო დაწესებულებების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება და მისი მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა საერთოდ და ზღვის სანაპირო საბანაო ადგილებში (პლაჟზე) ინფორმირებულობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. საქართველოში ასევე ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო უცხოური სიახლეების მოზიდვას, არამედ საკუთარი ტექნოლოგიური ბაზის განვითარებას. მოწინავე ტექნოლოგიების მოზიდვა აამაღლებს საკურორტო მომსახურების კონკურენტუნარიანობას, რაც საშუალებას მოგვცემს, დავაკმაყოფილოთ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილება, ასევე მაღალკვალიფიციური მომსახურება გავუწიოთ უცხოეთიდან ჩამოსულ პაციენტებს. სამედიცინო ტურიზმი მედიცინის განვითარებასთან მჭიდრო კავშირშია. ბევრი მაღალკვალიფიცური სამედიცინო პერსონალია საქართველოში, რომლებიც მეზობელი ქვეყნებიდან იღებენ პაციენტებს. არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ მსოფლიოში არსებული კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ქართველი ეპიდემიოლოგების და მთლიანად სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზმზე, რამაც მთელი მსოფლიოს დადებითი შეფასება დაიმსახურა. ყველა მიმართულებით თუ გვექნება წარმატება, ცხადია, ჩვენი ქვეყ-**

**ნის მოქალაქეებს არ მოუწევთ თურქეთში, გერმანიაში, ამერიკაში და სხვა ქვეყნებში სამედიცინო დახმარების მიღება (სადაც სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხი და თავისთავად მაღალი ფასებია) და ადგილზე ჩაუტარდებათ ყველა საჭირო პროცედურა ხარისხიან და ხელმისაწვდომ ფასად.**

**ამრიგად, სამკურნალო ტურიზმის განვითარება უნდა განვიხილოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ასევე ეკონომიკის გაჯანსაღების და სავალუტო შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ.**

ლიტერატურა:


1. Вемимнев А. М, Кусков А. С, Лечевный туризм. М., Форум. 2010
2. Александр Михайлович Ветитнев., Анна Владимировна Дзюбина,Анна Александровна Торгашева. Лечебно-оздоровителъный туризм: вопросы терминологии и типологии. Вестник СГУиКД, 2012 №2(20)
3. ჩოგოვაძე გ., საქართველოს პოტენციალი სამედიცინო ტურიზმში – რა სიახლეებს გეგმავს ტურიზმის ადმინისტრაცია? The Tbilisi Times. 2016.
4. ComprehensiveDevelopmentPlan:JermukasaDestinationSpa&WinterTourismCenter.// USAID, December, 2008. P. 18. Available on: http://www.caps.am/ UserFiles/FileJermuk%20LDF%20Vol1%20Core%20Strategy%20-%20Final.pdf.
5. საქართველოს სტატისტიური წელწდეული, 2019.
6. გაბუნია ი., საქართველოს რეკრეაცული მეურნეობა. თბ., 1996.


## Medical Treatment Tourism Development Strategy


**Naira Ghvedashvili,**
***Academic Doctor of Economics***



S u m m a r y

**Medical treatment-healthcare tourism is gaining strategic importance in different countries of the world and is quite popular. Medical tourism development strategy in accordance with the nowadays increased demand is taking into considerations the factors such as access to the transport infrastructure for the development of medical tourism, comfort, using of innovative technologies, highly trained personnel and awareness on both domestic and international levels. The well-equipped resort chain designed according to the international standards ensures the introduction and use of complex methods of modern spa treatments.**



***Keywords: Medical Tourism, Wellness Tourism, Medical Tourism, Innovative Technologies, Highly Qualified Staff, Health Activities, Medical Tourists, Medical Profile Resorts, Recreation Addresses, Tactical Means of Economic Recovery, Disease Prevention, Important Source of Foreign Exchange Income.***

# კოვიდ-19 პანდემიის კონკურენტიანობაზე ზეგავლენის ცალკეული ასპექტები

**ალექსანდრე შარაშენიძე**
***ეკონომიკის დოქტორი, თსუ-ს მოწვეული დექტორი***

*სტატიაში გლობალური კრიზისების დროს კოვიდ-19 მაგალითზე განხილულია კონკურენტუნარიანობის თავისებურებები, ახალი გამოწვევების კვალდაკვალ ერთგვარი შანსი - ყველა ბიზნესსუბიექტისათვის ახალი სასტარტო პირობებით მიაღწიონ წარმატებას, ასევე, სოციალური ეკონომიკის მნიშვნელობა კრიზისის დროს.*

*საკვანძო სიტყვები: გლობალური კრიზისი, კონკურენტუნარიანობა, ინოვაციები, სოციალური ეკონომიკა*

**ცხადია, კოვიდ-19 პანდემიის გავლენა ეკონომიკაზე, ეჭვს არ იწვევს, - კრიზისმა გავლენა მოახდინა ბიზნესსუბიექტებზე და იქცა ეკონომიკისა და შრომის ბაზრის შოკად(1). პანდემიის შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობასა და ავადმყოფობასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები უფრო მცირეა, ვიდრე თანმდევ კრიზისთან დაკავშირებული არაპირდაპირი ხარჯები(2). მსოფლიოს არსებული უარყოფითი ტენდენცია ცხადია, საქართველოში არსებულ მდგომარეობაზეც მოქმედებს. კოვიდ-19-ის ზეგავლენის შედეგად ყველა სექტორის ქართული კომპანიის ნახევარზე შეინიშნება მოთხოვნის შემცირება (3, გვ. 10), რაც თავისთავად იწვევს უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლების გაზრდას, ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, გარდა ამისა პანდემიის ეფექტი თავისთავად განსაკუთრებით აისახება ტურიზმზე, - საქართველოს ეკონომიკის ტრადიციულად პრიორიტეტულ დარგზე, რაც ცხადია ქვეყანაზე უარყოფით ზეგავლენას კიდევ უფრო ამძაფრებს.**

**კოვიდ-19 პანდემიის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება ცხადად ჩანს საქსტატის 2020 წლის I, II კვარტლის არსებული მონაცემების შედარებისას. ასე მაგალითად, ბრუნვა მილიარდ ლარებში I კვარტალში 26.0-ია, II კვარტალში კი 22.3, შემცირდა გამოშვებული პროდუქციას რაოდენობა I კვარტალში - 10.3, II კვარტალში კი 9.2 მილიარდ ლარი, შემცირდა დასაქმებულ პირთა რაოდენობაც I კვარტალში - 684.4 ათასი კაცი, II კვარტალში - 631.8 ათასი კაცი და დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება - I კვარტალში 1227.0 ლარი, II კვარტალში კი 1175.6 ლარი (4).**

**წარმოდგენილი მაჩვენებლები მიუთითებენ ბიზნესსუბიექტების მძიმე მდგომარეობაზე. ამასთან, არავინ იცის დაბეჯითებით, თუ სადამდე გაგრძელდება ეს. დაუღალავი მუშაობა, მოტივაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა, არსებული პროდუქტის გაუმჯობესება, წარმოების გაუმჯობესებელი მეთოდების დანერგვა და ახალი პროდუქტის შემუშავება წარმატების მიღწევის აუცილებელი კომპონენტებია. მაგრამ კრიზისის დროს, იქნება ეს ლოკალური თუ გლობალური მნიშვნელობის, თავს წამოყოფენ ახალი დაბრკოლებები, რომლის დროსაც უკვე წარმატების მიღწევის ჩამოთვლილი ტრადიციული გზებით მიღწევა საკმარისი არ არის. კრიზისის გლობალურობა, ერთი მხრივ, ყველა მომწოდებელს/მწარმოებელს მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში აყენებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისევ და ისევ კრიზისის გლობალურობის გამო, სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტში მყოფ მომხმარებელზე, ასევე თანაბრად აისახება უარყოფითი გავლენა, რაც თავისთავად მოქმედებს მოთხოვნაზე. ყველა სიტუაციაში უპრიანია, ვეძებოთ დადებითი მხარეები. კოვიდ-19-ის გლობალურობა, როგორც ითქვა, ბაზრის ყველა მოთამაშეს ერთნაირ პირობებში აყენებს, ეს კი მცირე, ახლად დაარსებულ ბიზნესსუბიექტებს, მსხვილი, ხანგრძლივი ტრადიციების მქონე ბიზნესსუბიექტებთან შედარებით, რომელთაც ბაზარზე წინასწარ დასახული მოქმედების - სტრატეგიის შესაცვლელად ტაქტიკური მანევრების შესასრულებლად, უფ-**

რო მეტი ენერგიის დახარჯვა/ხარჯების გაწევა უწევთ, სახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. ამასთანავე, არსებული პანდემიის შედეგად დამდგარი მდგომარეობის უჩვეულობა, რაც წინასწარ გადადგმული ზომების მიღებას თითქმის გამორიცხავს, თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს ხანგრძლივი ტრადიციებისა და ახლად დაარსებულ ბიზნესსუბიექტებს ბაზარზე დამკვიდრებული ტენდენციების შესაბამისად მიმართონ ინოვაციებს. ეს კი თავისთავად ახლად დამწყები ბიზნესისათვის ბიძგის მიმცემია. ცხადია, ახალი ბიზნესსუბიექტების გამოჩენა ეკონომიკისათვის დადებითი მოვლენაა, - ერთი მხრივ, მძაფრდება კონკურენცია, მომხმარებელს აქვს უფრო ფართო არჩევნის საშუალება, მეორე მხრივ კი, ახალი კონკურენტების გამოჩენა ბაზარზე უკვე დამკვიდრებულ კომპანიებს აიძულებს, ასევე მიმართონ ახალ ინოვაციებს.

მეორე ფაქტორი, რომელიც კოვიდ-19 პანდემიის, ისევე, როგორც ნებისმიერ კრიზისის დროს დგება, გახლავთ ეკონომიკის სოციალური კუთხის გაძლიერება. კრიზისული სიტუაციის დროს, მით უფრო თუ მას გლობალური ხასიათი აქვს, სავსებით ლოგიკურად შესაძლებელია კონკურენტუნარიანობის სხვა დონეებზეც გავავრცოთ ნობელიანტი ეკონომისტის, პოლ კრუგმანის მოსაზრება - მასშტაბურად უარყოფითი შედეგების გამო, ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანობის არამართებულობის შესახებ - ერთი ქვეყნის წარუმატებლობის ხარჯზე სხვა ქვეყნის წარმატების დაუშვებლობა (5, გვ. 35). როგორც აღინიშნა, კრიზისული პერიოდის დადგომისას აქტუალური ხდება სოციალური ეკონომიკა, რომლის მთავარი პრინციპი, მოგების მაქსიმიზაციის ნაცვლად, სოციალურ ფაქტორებისათვის პრიორიტეტის მინიჭებაა. სოციალური ფაქტორების, მათ შორის, სოლიდარობის პრინციპის დაცვა კრიზისული სიტუაციების დროს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, მდგრადი განვითარების ამოსავალი წერტილი, ხომ რესურსების მართლზომიერი გამოყენებაა, რესურსებში კი სხვა ადამიანური ფაქტორიც იგულისხმება. სწორად სოციალური ეკონომიკის პრინციპების დაცვა უწყობს ხელს სამომხმარებლო ჯაჭვის მთლიანობის შენარჩუნებას, რაც თავისთავად გრძელვადიანი კეთილდღეობის საწინდარია.

ამრიგად, კოვიდ-19 თუ სხვა გლობალური კრიზისების დროს კონკურენტუნარიანობასთან მიმართებით ვაწყდებით 2 დამოუკიდებელ ფაქტს, რომელთაც, თავის მხრივ, მივყავართ შედეგებისკენ, რომელთა გონივრული მართვის შედეგად შესაძლებელია გარკვეული კონკურენტული უპირატესობის მოპოვება:

1. გლობალური კრიზისული სიტუაციის დადგომისას არსებული სიტუაციის არაპროგნოზირობადობის და მისთვის მოუმზადებლობის გამო ბიზნესსუბიექტების შესაძლებლობები მეტნაკლებად თანაბრდება, რითიც ქრება ადრე არსებული უპირატესობა და ფაქტობრივად, ყალიბდება ახალი სასტარტო პირობები, რაც გონივრული მენეჯმენტის პირობებში წარმატების საფუძველი შეიძლება გახდეს. მიმწოდებლების საპირწონედ ბაზარზე არსებული ვითარება მომხმარებლისთვისაც ახალია, ძველი გამოცდილება მათთვისაც უსარგებლო ხდება, შესაბამისად, ახალი ინოვაციები კრიზისულ და პოსტკრიზისულ სიტუაციაში შესაძლებელია, ადვილად დანერგვადი და ძალზე წარმატებული აღმოჩნდეს, რაც თავისთავად დადებითად იმოქმედებს ინოვაციის მომწოდებელზე.

2. კრიზისული სიტუაციის დადგომისას წინ იწევს სოციალური ფაქტორი, რომლის გონივრულ წარმართვაზე, რაც სახელმწიფოს ჩართულობასაც გულისხმობს, დამოკიდებულია სამომხმარებლო ჯაჭვის მრავალფეროვნებისა და, რაც მთავარია, მთლიანობის შენარჩუნება. ეს საბოლოოდ კი ხელს უწყობს გრძელვადიან კეთილდღეობას.

კოვიდ-19-მა თავისი კვალი დააჩნია როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებს. ცხადია, პრობლემები განსაკუთრებით თავს იჩენს განვითარებად - დაბალი შემოსავლების ქვეყნებში, სადაც მწვავე სოციალურ ფონს ემატება ახალი გამოწვევები, მათ შორის, ეკონომიკური პროცესების ახალი წესების დაცვით წარმართვის აუცილებლობა. ეს ყველაფერი კი ისედაც შეზღუდული ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების გადანაწილებას კიდევ უფრო ართულებს. მთავარი პრობლემა ამ დროს გახლავთ სწორი კომპრომისის მოძებნა ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ეკონომი-

**კურ საკითხებს შორის (5). განვითარებად ქვეყნებში, რომელთა რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება, სამოქალაქო საზოგადოების და შესაბამისი ინსტიტუტების არასათანადოდ განვითარების გამო, მნიშვნელოვანია ხელისუფლების ჩართვა ეკონომიკური პროცესების, მათ შორის, გლობალურ კრიზისულ სიტუაციებში არსებულ კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებული ფაქტორების სწორი წარმართვისთვის, რაც იმოქმედებს როგორც ბიზნესსუბიექტების, საბოლოოდ კი გლობალურ ბაზარზე თავად ქვეყნის წარმატებაზე. კრიზისული სიტუაციების რეგულირება ხდება სწრაფი ჩარევის გზით, რაც თავის თავად მოიცავს რისკებს, ვინაიდან იწვევს ბიზნესგარემოს სხვადახვა ინტერესის მქონე სუბიექტისთვის, კრიზისის შედეგად ობიექტურად წარმოშობილი ახალი პირობების კვალდაკვალ გარკვეული სუბიექტური გარემოებების წარმოშობას - ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვას. საბოლოოდ სახელისუფლებო ინტერვენციის გრძელვადიანი ეფექტის შეფასებას, უკვე ზემოთ აღნიშნულის, - კოვიდ-19 პანდემიის შედეგების მოქმედების დროის განუსაზღვრელობის გათვალისწინებით, ხანგრძლივი დრო სჭირდება. ცხადია, სახელმწიფოს მხრიდან პანდემიასთან დაკავშირებული ზომები მხოლოდ შეზღუდვებთან არ არის დაკავშირებული, პირიქით ცალკეული სახელმწიფო სერვისების - კერძოდ, ელექტრონული მმართველობის მიღწევების დანერგვა შესაბამის მომხმარებელს არჩევნის შესაძლებლობების სპექტრს ზრდის და ამავე დროს შესაბამის საფრთხეებს ამცირებს. ინოვაციების დანარგვა კი ნებისმიერ შემთხვევაში დადებითი ეფექტის მომტანია.**

**ამრიგად, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის კოვიდ-19 პანდემიისას, ასევე, სხვა სახის კრიზისთან მიმართებაში, გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული ბიზნესსუბიქტების, ასევე სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის მარეგულირებლის შეთანხმებული მოქმედება.**

ლიტერატურა


1. https://www.ilo.org/empent/areas/covid-19/lang--en/index.htm
2. https://www.unido.org/stories/coronavirus-economic-impact-10-july-2020
3. Georgian Business in the face of the Covid-19 Pandemic,
4. https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia_Covid-19_survey_Report_Final_English_21.05.20.pdf
5. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/195/biznes-sektori
6. Krugman P., Competitiveness – A Dangerous Obsession, Foreign Affairs, volume 73, number 2, 1994, How microeconomics can help devise evidence-based policy responses to COVID-19,
7. Ahmed Mushfiq Mobarak, Professor of Economics at Yale University 6 May 2020, https://oecd-development-matters.org/2020/05/06/how-microeconomics-can-help-devise-evidence-based-policy-responses-to-covid-19/


# Some aspects of the impact of the Covid-19 pandemic on competitiveness


## Alexander Sharashenidze

***Doctor of Economics,***



S u m m e r y

**The article examines the features of competitiveness during global crises using the example of Covid-19, a kind of chance to succeed in a new business environment with a new startup, as well as the importance of the social economy during a crisis.**

***KEY WORDS: corona economy, global crisis, competitiveness, innovations, social economy.***

# ოკუპირებულ აფხაზეთში ბიზნესის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები


**თემურ შენგელია**

***ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი***



*უკანასკნელ წლებში რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში შემუშავებული და განხილულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა კონცეფცია და ბიზნესის განვითარების სტრატეგია, განსაზღვრულია დე ფაქტო მთავრობასა და ბიზნესსტრუქტურებს შორის ურთიერთობის პრაქტიკული ასპექტები. მიუხედავად ამ მცდელობებისა, ბიზნესსა და დე ფაქტო მთავრობას შორის ურთიერთქმედების ეკონომიკური და სოციალური შედეგები ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოლოდინს. ისინი არ უწყობენ ხელს ეკონომიკის რეალურ სექტორში ბიზნესის ეფექტიან განვითარებას, ხოლო სამეწარმეო სტრუქტურების საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები არსებით გავლენას ვერ ახდენენ მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასა და საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაჭრაზე.*



*საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ოკუპაცია, ეკონომიკის ტრანსფორმაცია, პირობები, არაეფექტიანი განვითარება, მონოპოლია, კრიმინალური ეკონომიკა.*


## შესავალი

**თანამედროვე ეტაპზე ოკუპირებულ აფხაზეთში არ არის შექმნილი ბიზნესის განვითარების პირობები, რომლებიც ხასიათდება მისი მოტივაციის ამაღლებითა და სტიმულირებით. ადგილობრივი ბიზნესსაზოგადოება არ იზიარებს სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის მოთხოვნებს.**

**თვითრეგულირების საბაზრო მექანიზმებს აფხაზეთში არ შეუძლიათ:**

- **უზრუნველყონ ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების ძირითადი პირობები;**
- **შექმნან ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი;**
- **ეფექტიანად დაიცვან კერძო საკუთრება;**
- **გაზარდონ კონკურენცია და შეზღუდონ მონოპოლიური საქმიანობა.**

**არსებულ რეალობაში ბიზნესის რეგულირების ისეთი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლისა და მომსახურების წარმოების სტიმულირებას როგორც საკუთარი კომერციული მიზნების, ისე საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად, შეუძლებელია. კრიმინოგენური ვითარების გამწვავების ფონზე ბიზნესსაზოგადოებას დღემდე არ შეუძლია, სამართლებრივად დაიცვას მისი კანონიერი ეკონომიკური ინტერესები, ხოლო სამოქალაქო სექტორის სუსტი განვითარების გამო შეზღუდულია ადგილობრივ ხელისუფლებაზე მისი ზეგავლენის შესაძლებლობები.**

**ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებით, სადაც დაგროვდა მდიდარი გამოცდილება საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების სფეროში, ოკუპირებულ აფხაზეთში ბიზნესსა და საზოგადოებას შორის ურთიერთქმედების პროცესი განვითარების სასტარტო ეტაპზეა.**

**აფხაზეთში ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია:**

- **კონკურენციისა და ეკონომიკური დაბალანსების აუცილებელი მექანიზმის შექმნა;**

- სამართლებრივი, ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების სტაბილურობას.

არსებობს რამდენიმე ზოგადი კანონზომიერება, რომლებიც დამახასიათებელია ოკუპირებული აფხაზეთის პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციული პერიოდისთვის, მათ შორისაა:

1) ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა;

2) ტრანსფორმაციული სტაგნაციის დასაძლევად ახალი ეფექტიანი მესაკუთრეებისა და მეწარმეების ფენის დეფიციტი;

3) საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური ეკონომიკური და ინსტიტუციური პირობების არარსებობა;

4) ეკონომიკის, როგორც ინტეგრირებული, ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურის, განუვითარებლობა, მისი ძირითადი რეპროდუქციული ელემენტების შეზღუდულობა;

5) განვითარების ალტერნატიული პროცესების არსებობა, რაც გამოიხატება მომავალი ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წინასწარ განსაზღვრულ მოდელებში, მათი ცვლილების პროგნოზირებაში ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით.

6) ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკური ავტარკია და იზოლაციონიზმი;

7) რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობის თავსმოხვეული დანარჩენ საქართველოსთან ეკონომიკური და პოლიტიკური დეზინტეგრაციის პროცესი.

გარდამავალი ეკონომიკის მოდელების შესწავლა აჩვენებს, რომ ეკონომიკური მართვისა და რეგულირების თვალსაზრისით ტრანსფორმაციული ეკონომიკა შეიძლება დაიყოს ორ მთავარ მიმართულებად:

- პირველ მიდგომას იზიარებს საქართველო და მას ახასიათებს რესურსების ცენტრალიზებული დაგეგმვის დემონტაჟი და საბაზრო მართვის სისტემის ფორმირება, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვს ბაზრის სუბიექტების, მათ შორის, ბიზნესმენების საქმიანობაზე.

- მეორე ტიპის ეკონომიკაში, რომელიც ჩინეთის, ბელორუსიის და ზოგიერთი სხვა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, იქმნება მოდელი, სადაც თვითრეგულირების საბაზრო მექანიზმები მოქმედებენ სახელმწიფო რეგულირების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

დეზინტეგრაციული, ოკუპირებული აფხაზეთის ზოგიერთი ეკონომისტის დაუსაბუთებელი მოსაზრებით [5,6], მეორე მოდელის პრაქტიკული გამოყენება უფრო მისაღებია აფხაზეთის სპეციფიკური პირობებისთვის.

## სამეწარმეო სექტორის ჩამოყალიბების თავისებურებანი ოკუპირებულ აფხაზეთში

ეკონომიკური რეფორმები აფხაზეთში და სამეწარმეო სექტორის ჩამოყალიბება ხორციელდება სახელმწიფო საკუთრების უსისტემო ტრანსფორმაციით, რომლის პირობებში წარმოიქმნება საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოები როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური (ძირითადად რუსული) კაპიტალის მონაწილეობით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაცია და მეწარმეობის ფორმირება ხორციელდება შემდეგ პირობებში:

- საბაზრო ტრანსფორმაცია დაიწყო ეროვნული ეკონომიკის პრაქტიკულად განადგურებულ მდგომარეობაში, რაც გამოწვეულია ეკონომიკური ინტეგრაციული კავშირების რღვევით, 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებით აფხაზეთის ტერიტორიაზე;

- ოკუპირებულ აფხაზეთს არ გააჩნია საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის გამოცდილება;
- ოკუპაციის პირობებში ვერ ჩამოყალიბდა ღია საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების და ბიზნესის თავისუფალი კონკურენციის პირობები;
- ბაზრის ტრანსფორმაცია ხორციელდება სპონტანურად, რეფორმირების მკაფიოდ ჩამოყალიბებული, პერსპექტივაზე ორიენტირებული პროგრამის, სამეწარმეო გარემოს ფორმირების გარეშე;
- კრიზისი დამახასიათებელია ეკონომიკის ყველა სექტორისთვის. ის აისახა მასობრივ უმუშევრობაზე, სამომხმარებლო ბაზრის დისბალანსზე, მოსახლეობის დაბალი შემოსავლების დონეზე, წარმოების დაცემაზე, სახელმწიფო რეკეტზე, კორუფციაზე, კრიმინალის ზრდასა და სხვა ნეგატიურ ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებზე;
- საკუთარი ფინანსური რესურსების უკმარისობა და წარმოების მოდერნიზაციის თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების არარსებობა არ იძლევა ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას.
- აფხაზეთის ეკონომიკური სისტემა მთლიანად არის მიბმული ოკუპანტის - რუსეთის ფედერაციის ეკონომიკურ სურვილზე, ის არაავტონომიური და არათვითკმარია.
- სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობა, კორუფცია, ნეპოტიზმი, კრიმინალი ნეგატიურად ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე.

ეს ობიექტური მიზეზები დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნის მიერ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში გამოცხადებულ ეკონომიკურ სანქციებთან ერთად იყო ეკონომიკური განვითარების წარუმატებელი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის, აფხაზეთის ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორები.

აფხაზეთში პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა სოციალური ჯგუფებს აქვთ განსხვავებული მოსაზრებები ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის შესახებ. ამასთან, ოკუპანტის პოლიტიკური ზეწოლით, დომინირებს მოსაზრება, რომ აფხაზეთის ეკონომიკა ვერ განვითარდება ეფექტიანად რუსეთის ეკონომიკური სისტემების ბიზნესსუბიექტების ფართომასშტაბიანი მონაწილეობის გარეშე. საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, რუსეთის მიერ აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებამ 2008 წელს, შექმნა ხელსაყრელი პირობები მისი ეკონომიკური ანექსიისთვის.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ოცდახუთი წლის პრაქტიკა მეტყველებს იმაზე, რომ ავტოკრატიულმა განვითარებამ არ მისცა მათ სტაბილური და ეფექტიანი განვითარების შესაძლებლობა. მეტიც, 2008-2009 და 2014-2015 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისები ცხადყოფს ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებას და მათი იზოლირებული განვითარების შეუძლებლობას. ამავე დროს, რუსი მეცნიერებისა და ექსპერტების აზრით [3], ეკონომიკური კრიზისი ახდენს პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციული პროცესების კაპიტალიზაციას.

## ოკუპანტი რუსეთის როლი აფხაზეთის ეკონომიკურ ანექსიაში

რუსეთის ზეწოლით, 2009-2018 წლებში ოკუპირებული აფხაზეთის მარიონეტულმა რეჟიმმა დადო 120-ზე მეტი შეთანხმება აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის, რითაც იურიდიულად გაფორმდა აფხაზეთის ანექსიისა და ოკუპაციის პროცესი, ის საბოლოოდ ამოვარდა საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებიდან.

აფხაზეთის ეკონომიკური საქმიანობა რუსეთთან ხორციელდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ა) საგარეო ვაჭრობა;

ბ) ინვესტიციების მოზიდვა და ერთობლივი საწარმო;

**გ) სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობა;**

**დ) ოკუპანტი რუსეთისა და მისი რეგიონების მონაწილეობა აფხაზეთში სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური პროექტების განხორციელებაში;**

**ე) ერთიანი მონეტარული და ფისკალური სივრცის ფორმირება.**

**კერძოდ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის წილი აფხაზეთთან საგარეო ვაჭრობაში შეადგენს: ექსპორტს-20% და იმპორტს-80%. რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქციის სტრუქტურაში დომინირებს: საკვები პროდუქტები - 33.7%, მინერალური პროდუქტები - 33.1%, ქიმიური პროდუქტები - 11.6%, ტექნიკა და მანქანები - 6.8%, ლითონები და ლითონის პროდუქტები - 5.4%. აფხაზეთიდან რუსეთში ექსპორტის სტრუქტურა არ არის დივერსიფიცირებული და წარმოდგენილია 2-3 ძირითადი სასაქონლო პოზიციით: ალკოჰოლური სასმელებს მთლიანი ექსპორტის 93% უკავია, ციტრუსებს 4% და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს დაახლოებით 2%. ოკუპანტი სახელმწიფო აქტიურად აბანდებს ინვესტიციებს აფხაზეთში. მხოლოდ 2018 წელს დარეგისტრირდა 237 საწარმო, რომლის შემადგენლობაში რუსეთის კაპიტალი 100%-ია, 240 აფხაზურ-რუსული ერთობლივი საწარმო. 2018 წელს რუსეთიდან აფხაზეთში ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 3.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა [4].**

## ბიზნესის განვითარების ტენდენციები ოკუპირებულ აფხაზეთში

**აფხაზეთის სახელმწიფო სტატისტიკის ოფისის ოფიციალური მონაცემების თანახმად, საწარმოთა ყველა სამართლებრივი ფორმებიდან 2015-2018 წლებში (იხ. ცხრილი N1), დომინანტური პოზიცია უჭირავს შეზღუდული და დამატებითი პასუხისმგებლობის მქონე კომპანიებს, რომელთა მთლიანი წილი 2018 წელს შეადგენდა 95.2% -ს.**

**ცხრილი N 1.**

საწარმოთა და ორგანიზაციების იურიდიული ფორმები 2015-2018 წწ.

| დასახელება/წელი | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | ზრდის ტემპი, %[1] |
|---|---|---|---|---|---|
| სულ საწარმოები მ.შ. | 3027 | 3714 | 4173 | 4352 | 143,8 |
| იურიდიული პირები, კომერციული ორგანიზაციები | 2257 | 2720 | 3056 | 3265 | 144,7 |
| სააქციო საზოგადოება | 33 | 34 | 37 | 39 | 118,2 |
| შპს | 2121 | 570 | 2891 | 3108 | 146,5 |
| საწარმოო კოოპერატივები | 2 | 2 | 2 | 1 | 50,0 |
| უნიტარული საწარმოები | 96 | 109 | 121 | 112 | 116,7 |
| არაკომერციული იურიდიული პირები | 747 | 963 | 1068 | 1031 | 138,0 |
| ორგანიზაციები იურიდიული პირის გარეშე | 22 | 30 | 48 | 55 | 250,0 |

*წყარო: „აფხაზეთი ციფრებში". აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი. სოხუმი, 2019. http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.phphttp://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php*
*[1] ზრდის ტემპი აქ და შემდეგ ცხრილებში გაანგარიშებულია 2018 წლის მაჩვენებლების 2015 წელთან შედარებით.*

**კერძო სექტორის განვითარებას ოკუპირებულ აფხაზეთში ახასიათებს ცხრილი N2–ში წარმოდგენილი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ ბაზრის ტრანსფორმაციაზე ეკონომიკის რეალურ სექტორში. 2015-2018 წლებში კერძო სექტორის წილი იზრდება**

**სამრეწველო წარმოებაში და შეადგენს 96.5%-ს, საცალო ვაჭრობაში - 99.6%-ს, მოსახლეობისთვის ფასიანი მომსახურების მთლიანი მოცულობაში - 77.1%-ს. ამავე დროს, დასაქმების წილი მცირდება 0.4 პროცენტით [1].**

*ცხრილი N 2*

ოკუპირებული აფხაზეთის სექტორების წილი მთლიან ეკონომიკაში
2015-2018 წლებში (%)

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|
| 1. *სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში:*<br>— სახელმწიფო სექტორი<br>— არასახელმწიფო სექტორი | 5,5<br>94,5 | 3,4<br>96,6 | 4,0<br>96,0 | 3,5<br>96,5 |
| 2. *საცალო საქონელბრუნვაში:*<br>— სახელმწიფო სექტორი<br>— არასახელმწიფო სექტორი | 0,7<br>99,3 | 0,6<br>99,4 | 0,5<br>99,5 | 0,4<br>99,6 |
| 3. *მოსახლეობის ფასიანი მომსახურება:*<br>— სახელმწიფო სექტორი<br>— არასახელმწიფო სექტორი | 20,6<br>79,4 | 20,3<br>79,7 | 22,8<br>77,2 | 22,9<br>77,1 |
| 4. *დასაქმებულთა წილი:*<br>— სახელმწიფო სექტორი<br>— არასახელმწიფო სექტორი<br>— სხვა ორგანიზაცები | 75,1<br>23,7<br>1,2 | 75,7<br>23,0<br>1,2 | 75,2<br>23,7<br>1,1 | 73,4<br>23,3<br>1,3 |

*წყარო: „აფხაზეთი ციფრებში". აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი. სოხუმი, 2019. http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.phphttp://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php*

**ამავე პერიოდის საშუალო თვიური ხელფასი ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოცემულია ცხრილ N3-ში და აჩვენებს მის არათანაბარ ზრდას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.**

*ცხრილი №3*

საშუალო თვიური ხელფასი ოკუპირებულ აფხაზეთში 2015-2018 წლებში
(ათასი რუბლი)

| ეკონომიკის სექტორები | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | ზრდის ტემპი, %[1] |
|---|---|---|---|---|---|
| სულ ეკონომიკაში | 9,1 | 10,1 | 10,3 | 10,8 | 118,7 |
| სახელმწიფო საწარმოები<br>არასახელმწიფო საწარმოები | 10,3<br>9,4 | 12,9<br>10,3 | 13,1<br>10,5 | 13,0<br>10,9 | 126,2<br>115,9 |
| სხვა ორგანიზაციები | 13,4 | 13,1 | 12,0 | 14,4 | 107,5 |

*წყარო: „აფხაზეთი ციფრებში". აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი. სოხუმი, 2019. http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.phphttp://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php*

**ამ მონაცემებიდან აშკარად ჩანს კერძო სექტორში ხელფასების დაბალი დონეა (10.9 ათასი რუბლი) საჯარო სექტორთან მიმართებაში (13.0 ათასი რუბლი), რაც მეტყველებს კერძო სექტორის განუვითარებლობაზე.**

**შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის ეკონომიკაში შეიქმნა მართვის ორსექტორიანი მოდელი, ე.ი. მიზანმიმართულად და სპონტანურად საქმიანობისა და პასუხისმგებლობის სფეროები იყოფა სახელმწიფო და სამეწარმეო სექტორებს შორის. ამ პირობებში, ხელისუფლების ხელში, პრაქტიკულად რჩება ყველა ძირითადი ტიპის საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების წარმოების პირობები, ანუ საბაზრო ტრანსფორმაცია ფაქტობრივად არ ხორციელდება.**

**ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება ყველაზე სრულად აისახება ფისკალური სისტემის საშუალებით მობილიზებულ იმ სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის საფუძვლებს (იხ. ცხრილი 4).**

*ცხრილი N 4.*

აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტის 2015-2018 წლების შესრულების პარამეტრები
(მილიარდი რუბლი)

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | ზრდის ტემპი, % |
|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 6,3 | 10,1 | 10,2 | 9,2 | 146,0 |
| გასავლები | 6,7 | 9,8 | 9,8 | 8,8 | 131,3 |
| დეფიციტი | -0,4 | — | — | — | — |
| პროფიციტი | — | +0,3 | +0,4 | +0,4 | — |

*წყარო: „აფხაზეთი ციფრებში". აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი. სოხუმი, 2019. http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.phphttp://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php*

**2016-2018 წლებში ოკუპანტი რუსეთის მხრიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსების ჯამურმა თანხამ შეადგინა - 15.2 მილიარდი რუბლი, რაც მიზნად ისახავდა აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ დაკაბალებას, მის ეკონომიკურ ანექსიას. ეკონომიკა ფაქტობრივად არსებობს არა ბიზნესის განვითარების, არამედ რუსეთის ფინანსური ინექციების ხარჯზე, რომელსაც უკანასკნელი საკუთარი პოლიტიკური მიზნების დასაკმაყოფილებლად იყენებს.**

**ერთ-ერთი მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონეს, არის მშპ, რომელიც 2015 წელს შეადგენდა 28.6 მილიარდ, ხოლო 2018 წელს - 31.9 მილიარდ რუბლს. ფულადი მიწოდების შედარება მშპ-სთან 2018 წლისთვის არის 90.6%. ამასთან, ოკუპირებულ აფხაზეთში ფულადი სახსრების დეფიციტია [3].**

**აფხაზეთის ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი ხასიათდება:**

**1. საწარმოო ძალების განვითარების დონის მიხედვით, ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკა შეიძლება მივაკუთვნოთ მეწარმეობის წინა ინდუსტრიულ ეტაპს, სადაც თანაარსებობს მეურნეობის სხვადასხვა ტიპები, დაწყებული ნატურალურით (სოფლის მეურნეობაში) და დამთავრებული სახელმწიფო მართვის სისტემით.**

**2. ეკონომიკის გახსნილობის ხარისხით, ოკუპირებული აფხაზეთი შეიძლება მივაკუთვნოთ ავტარკიულ ეკონომიკურ სისტემას, (ექსპორტის წილი ქვეყნის მშპ-ში 2019 წელს მხოლოდ 12.3%-ია);**

**3. განვითარების მიმართულებით, ოკუპირებულ აფხაზეთში ყალიბდება ანტისოციალური, კრიმინალური ეკონომიკა.**

**4. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის მიხედვით, ოკუპირებული აფხაზეთი მიეკუთვნება სუსტად განვითარებულ ეკონომიკურ სისტემას. 2018 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 130.1 ათასი რუბლის (დაახლოებით 2.1 ათასი დოლარის) მშპ.**

**ამ პირობებში, ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე, რომელიც განსაზღვრავს ყველა ბიზნესორგანიზაციის აქტიური, მრავალფეროვანი მხარდაჭერის სტრატეგიულ მიზანს, შეუძლებელია მთლიანად ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება, რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ აფხაზეთის დეოკუპაციის პირობებში, რის შემდგომ შესაძლებელი გახდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტიანი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს.**

## დასკვნა

**ეკონომიკური რეფორმები აფხაზეთში და ბიზნესის სექტორის ჩამოყალიბება ხორციელდება სახელმწიფო საკუთრების უსისტემო ტრანსფორმაციით, რომლის პირობებში წარმოიქმნება საკუთრების სხვადასხვა ტიპის საწარმოები, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური (ძირითადად რუსული) კაპიტალის მონაწილეობით.**

**საბაზრო ტრანსფორმაცია დაიწყო ეროვნული ეკონომიკის პრაქტიკულად განადგურებულ მდგომარეობაში, რაც გამოწვეულია ეკონომიკური კავშირების რღვევით, 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებით აფხაზეთის ტერიტორიაზე. ოკუპაციის პირობებში ვერ ჩამოყალიბდა ღია საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები და თავისუფალი კონკურენციის პირობები. ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკური სისტემა მთლიანად არის მიბმული რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სურვილზე, არაავტონომიური და არათვითკმარია.**

**მხოლოდ დეოკუპაციის შედეგად შესაძლებელია აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტიანი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც შეესაბამება საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს.**

ლიტერატურა:


1. „აფხაზეთი ციფრებში". აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი. სოხუმი, 2019. http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.phphttp://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php
2. აფხაზეთის მთავრობის აპარატის პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველოს მასალები. http://abkhazia.gov.ge/uploads/analytic/15543618941088799851.pdf
3. Стратегия социально-экономического развития Республики Абхазия до 2025 г. Сухуми, 2015. – С. 188-192. http://ru.abkhaziastrategic.org/wp-content/uploads/2015/12/Strategia-Abkhazia-2025.pdf http://iep-ana.org/2019/11/19/%D0%
4. Управление государственной статистики Республики Абхазия 2019. https://ugsra.org/ofitsialnaya-statistika.php?
5. Шалашаа З. Инвестиции — основа экономической интеграции Абхазии и России Вестник РУДН. Серия: Экономика 2018 Vol. 26 No. 3 429—438
6. Фейзба Я., Шамба О. Национальная экономика Абхазии. Сухум, 2002. 290 с. ЦИАГ, Ф. 1874. оп. 1, д. 4. лл 1-7 об.

# Business Development Trends and Prospects in Occupied Abkhazia

**Temur Shengelia**
***doctor of Economic Science,***
***Professor of Ivane Javachishvili Tbilisi State University***

Summary

**Economic reforms in Abkhazia and the establishment of the business sector are carried out through the unsystematic transformation of public property, under the conditions of which various types of legal entities are created, with the participation of both local and foreign (mainly Russian) capital.**

**The market transformation began in a practically devastated state of the national economy that is caused by the decay of economic ties by the results of the Russian-Georgian war of 1992-1993 on the territory of Abkhazia. Under the conditions of occupation, open, market economic relations and conditions of unrestricted competition could not be established. The economic system of occupied Abkhazia is entirely tied to the political and economic aspirations of the Russian Federation, it is non-autonomous and not self-sufficient.**

**It is possible to establish efficient model of social-economic development of Abkhazia only by de-occupation that is consistent with interests of each social class.**

***Keywords: Business, Occupation, transformation of economy, Conditions, Inefficient development, Monopoly, Criminal economy.***

# სინერგიული ეკონომიკური განვითარებისა და მართვის თემატიკა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებაში

**გიორგი შიხაშვილი**
*ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი.*

**ნიკოლოზ ბაკაშვილი**
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დირექტორი აუდიტორული ფირმისა „ბაკაშვილი და კომპანია“*

*სინერგიული ეკონომიკური განვითარებისა და მართვის თემატიკას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ბიბლიურ სიბრძნეში, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებაში და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებასა და პირად მოღვაწეობაში.*

*პატრიარქის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედება წარმოგვიდგება როგორც ქართული სახელმწიფოს ღვთივსულიერი, სინერგიული ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ეროვნული კონცეფციის, მოდელის, შესაბამისი სტრატეგიული გეგმისა და სათანადო პროგრამების საფუძველი.*

*საკვანძო სიტყვები: ბიბლიურ-ქრისტიანული სწავლება ეკონომიკისა და მართვის შესახებ. პატრიარქის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედება. სინერგიული ეკონომიკური განვითარებისა და მართვის საფუძვლები.*

### შესავალი

ღვთის წყალობით და პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მოგვეცა საშუალება კიდევ ერთხელ, ყურადღებით გავცნობოდით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მდიდარ საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებას, რათა გამოგვერჩია და საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა ისეთი საკითხები ამ შემოქმედებიდან, რომლებსაც დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევს მკითხველთა ფართო აუდიტორია.

საქმე ეხება ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის თემატიკას, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ბიბლიურ სიბრძნეში, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებაში და კათოლიკოს-პატრიარქის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებასა და პირად მოღვაწეობაში. პატრიარქის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებაში იგულისხმება მისი ეპისტოლეები, ქადაგებები, სიტყვები, მიმართვები, ლოცვა-კურთხევები, დალოცვები, პირადი საუბრები და სხვ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე თავის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებაში ასახავს მწყემსმთავრულ მიმართვებს, სწავლებას ეკლესიის, ცალკეული პიროვნების, საზოგადოების გარკვეული ჯგუფის, ქვეყნის ან მთელი კაცობრიობისადმი ცხოვრებისა და განვითარების აქტუალურ, სინერგიულ საკითხებთან დაკავშირებით. ასეთ მიმართვებში გადმოცემულ-განმარტებულია საღვთო ქრისტიანული მოძღვრება, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ცალკეული ადამიანისა და მთელი საზოგადოების ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მართვა.

### ქრისტიანული მოძღვრების უმთავრესი პარადიგმები სინერგიული ეკონომიკური განვითარებისა და მართვის სფეროში

ქვემოთ გადმოცემულია ბიბლიურ-ქრისტიანულ ეკონომიკურ-მმართველობით მოძღვრებაზე დაფუძნებული უმთავრესი პარადიგმები.

1. მე ვარ ნათელი ქვეყნისა; ვინც გამომყვება, არ ივლის ბნელში, არამედ ექნება სიცოცხლის ნათელი. [1. იოან. 8, 12. გვ. 1054].

2. უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება. [1. იგავ. 2, 6. გვ. 565].

3. ბედნიერია ის კაცი, ვინც ჰპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა! რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი - ხალას ოქროს. [1. იგავ. 3, 13, 14. გვ. 566 ].

4. უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი. [1. ფს. 23, 1-2. გვ. 506].

5. შენია უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად. სიმდიდრე და დიდება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელშია ყოველივეს განდიდება და განმტკიცება. [1. ნეშტ. 29, 11-12. გვ. 374].

6. შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს. [1. დაბ. 1, 27-28. გვ. 13].

7. აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად. [1. დაბ. 2, 15. გვ. 14].

8. გავა ადამიანი, რათა იშრომოს და იმუშაკოს მწუხრის ჟამამდე. [1. ფსალმ. 103, 23. გვ. 543].

9. თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს. [1. 2 თეს. 3, 10. გვ. 1177].

10. ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა. [1. ლუკ. 10, 7. გვ. 1024].

11. მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა. [1. მათ. 22, 21. გვ. 981].

12. ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდია სარგო. ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე ვერაფერი დამიმონებს. საჭმელი მუცლისათვის და მუცელი საჭმლისათვის, მაგრამ ღმერთი ერთსაც შემუსრავს და მეორესაც. სხეული კი არა სიძვისათვის, არამედ უფლისათვის, ხოლო უფალი – სხეულისათვის. [1. 1 კორ. 6, 12-13. გვ. 1137].

13. ნუ ზრუნავთ და შფოთავთ ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, არამედ ეძიეთ უპირველესად ღმრთის სასუფეველი და სიმართლე მისი და ყოველივე ეს მოგეცემათ თქვენ, ვინაიდან მამამ თქვენმა კეთილინება, რომ მოგეცეთ სასუფეველი [1. მათ. 6, 31-34; ლუკ. 12, 29-32. გვ. 964; 1028].

14. ღარიბს ნუ წაართმევ, რადგან ღარიბია იგი; ბეჩავს კარიბჭესთან ნუ დაჩაგრავ; რადგან უფალი გამოესარჩლება მათ და მის მძარცველთა სულს გასძარცვავს. [1. იგავ. 22, 22-23. გვ. 580].

15. ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან. [1. მათ. 5, 7. გვ. 962].

16. უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო. [1. საქმე. 20, 35. გვ. 1094].

17. ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარებაა. [1. 1 ტიმ. 6, 10. გვ. 1180].

18. ბოლო ჟამს, ანტიქრისტეს მოსვლის წინა პერიოდში იქნება დიდი ჭირი, რომლის მსგავსი არ ყოფილა ქვეყნის დასაბამიდან დღემდე, და არც იქნება. [1. მათ. 24, 21. გვ. 983].

19. განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე [1. ფს. 50, 4. გვ. 519 ].

20. წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე): ვინცა სჩივის და ჰღაღადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. [2. გვ. 342].

21. სამი საღვთისმეტყველო სათნოება: რწმენა, იმედი, სიყვარული [3. გვ. 374].

22. ჩვენი ბეღლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით. ცხვარნი ჩვენნი ათასობდნენ, ათიათასობდნენ ჩვენს საძოვრებზე. [1. ფსალმ. 143, 13. გვ. 561].

23.ღვთისმშობლის „ბარაქის“ ხატის დაუჯდომელი, კონდაკი 1: მოჰმადლე ნაყოფიერებაი მიწასა ჩვენსა; მასაზრდოებელო ჩვენო და ჩვენთა პურთა და ყანათათვის ბარაქის მომცემელო. [4. გვ. 3].

24.დიდი სჯულის კანონი: ეკონომოსი უნდა ჰყავდეს ყველა ეპისკოპოსს, მონასტერს და ეკლესიას. [5. გვ. 222].

25.დიდი სჯულის კანონი: სიმართლით შეძენილი და სიკეთისათვის დახარჯული სიმდიდრე არ უნდა დავამციროთ. [5. გვ. 194].

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სწავლებანი სინერგიული ეკონომიკური განვითარებისა და მართვის სფეროში

დღიდან აღსაყდრებისა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დიდი რუდუნებით იღვწის ეკლესიის მისიის განხორციელებისათვის, საზოგადოების ზნეობრივი განწმენდისა და ღვთივსულიერი, სინერგიული განვითარებისათვის. ეკლესიის უმთავრეს იარაღს სიტყვა წარმოადგენს. ჩვენი პატრიარქიც ღვთივგანბრძობილი ლოცვით, ეპისტოლეებით, ქადაგებით, შეგონებებით, პირადი მოღვაწეობით აღასრულებს მისთვის ღვთივბოძებულ მისიას.

1. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: ჩვენი უმთავრესი მიზანი, ამოცანა და მოვალეობა ცათა სასუფევლის მიღწევაა. [6.].
2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. [7. გვ. 67].
3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: ქართველნო, ერთად – ღვთისაკენ. [8. გვ. 5]
4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: საზოგადოებრივი და პიროვნული წინსვლა-განვითარებისთვის აუცილებელია ორი ძალის - ღვთაებრივისა და ადამიანურის გაერთიანება - სინერგია. [9. გვ. 383 ].
5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: ეკლესია ქრისტეს სხეული და კარიბჭეა მარადიულობისა. ქვეყნის შენების საქმეში ეკლესია და სახელმწიფო აუცილებლად უნდა თანამშრომლობდნენ და ეს ურთიერთობა შეიძლება შეედაროს ადამიანის სულისა და სხეულის კავშირს. [10].
6. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: რაც სულია სხეულისათვის, ეკლესია ისაა ერისათვის. როცა სული სხეულს შორდება, სხეული კვდება. ასევეა ერიც ეკლესიის გარეშე. [11. გვ. 26 ].
7. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას. [11. გვ. 4 ].
8. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: საქართველო თავისი განვითარებით, კულტურით ქრისტიანული ევროპის ნაწილია. ევროგაერთიანებამ, ევროპარლამენტმა უნდა გაითვალისწინონ ცალკეული ქვეყნების ტრადიციები და აზროვნების წესი. [12].
9. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით უნდა გადავწყვიტოთ, საჭიროა ეკონომიკური საქმიანობის და სათანადო განათლების მოწესრიგება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ამასთან, ეკონომიკა განვითარდება, თუ საქართველო შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს. [13. გვ. 6].
10. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. [13. გვ.6].
11. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: ჩვენში უამრავი მდინარეა. რამდენი თევზის საშენი შეიძლება გაკეთდეს აქ? [13. გვ.7].

12. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: კარგი იქნება, თუ ყველა ტაძართან მეურნეობა შეიქმნება. ტაძარს უნდა ჰქონდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მრევლი დაამუშავებს. ასევე შესაძლებელია პირუტყვის მოშენებაც. [13. გვ.6].

13. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: შრომა და განსაკუთრებით კი ერთად შრომა, მრევლში სულიერობასაც აამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია. [ 13. გვ.6].

14. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: აუცილებელია, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა. [13. გვ.6].

15. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: საშუალო ფენა არის სახელმწიფოს დასაყრდენი, ამიტომაც მეწარმეობის განვითარება დროის მოთხოვნა და ჩვენი გადარჩენის გარანტიაა. [13. გვ.6].

16. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: ახალი კორონავირუსის პანდემიამ დაგვანახა, რომ საქართველოსთვის პირველი რიგის ამოცანად იქცა ადგილობრივი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება. [14].

17. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: უფალი ახლოსაა ჩვენთან, მეორედ მოსვლა ახლოსაა ჩვენთან და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მოვემზადოთ ამისათვის. [15].

*ეკლესიის დამფუძნებელი და წინამძღოლი, საზოგადოების ღვთივსულიერი, ჰარმონიულ განვითარებაზე მუდმივად მზრუნველი უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გვასწავლის:* „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე; ვერავინ მივა მამასთან, თუ არა ჩემს მიერ“ [1. იოან. 14, 6. გვ. 1062 ]. ეს სწავლება არის საფუძველთა-საფუძველი (თანამედროვე ტერმინოლოგიით - კონცეფცია, პარადიგმა, მოდელი) მთელი კაცობრიობის მიზნისა და მისი განხორციელების ჭეშმარიტი გზისა. სწორედ და მხოლოდ ამ გზაზე დამდგარი საზოგადოება შეძლებს მიაღწიოს სულიერი და მატერიალური სიკეთეების ჰარმონიულ ურთიერთშეხამებას, ღვთაებრივი ნების და ადამიანური მისწრაფებების შეერთებას (სინერგიას), სიკვდილზე გამარჯვებას და საუკუნო სიცოცხლის მოპოვებას.

ამ სწავლების საფუძველზე ეკლესია მოუწოდებს ყოველ ადამიანს, საზოგადოებას, მთელ ერს, სრულიად კაცობრიობას საღვთო ზნეობრივი კანონის დაცვა-განხორციელებისაკენ საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროში (სოციოლოგია, ეკონომიკა, მართვა, სამართალი, ბიზნესი, ეკოლოგია, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ოჯახი, ჯანდაცვა, მედია და სხვ.).

ეკლესია იღვწის იმისათვის, რომ ყოველ ინდივიდს, ერს, სახელმწიფოსა და კაცობრიობას დაანახოს შეცდომების და პრობლემების რეალური მიზეზები და დაუსახოს ჭეშმარიტი, ღვთივსულიერი, სინერგიული, ჰარმონიული განვითარების გზები. სწორედ ამაში მდგომარეობს ისტორიის ღვთისმეტყველება. თეოლოგიურია (ღვთისმეტყველური) ყოველივე, რაც არის ღმერთისაგან, ღმერთისაკენ და ღმერთის შესახებ. ასეთივე უნდა იყოს ყოველი ადამიანის, ერის, სახელმწიფოს და კაცობრიობის ისტორია მათი არსებობა-განვითარების ნებისმიერ ადგილზე, გარემოებასა და პერიოდში.

ასეთ მიდგომას უნდა ემყარებოდეს ჭეშმარიტი მეცნიერება და განათლება, რომლის საფუძველზეც განვითარდება ყოვლისმომცველი, ღვთივსულიერი, სინერგიული საზოგადოებრივი კულტურა. *ამასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვმოძღვრავს:* „მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას“. [11. გვ. 4].

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, უამრავი ცოდვაა გაბატონებული, რაც კაცობრიობას დაღუპვისაკენ მიაქანებს; ცოდვა-დანაშაულობანი უხვადაა ადამიანის ამქვეყნიური საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროში მეცნიერებაში, ეკონომიკაში, განათლებაში, კულტურასა და ხელოვნებაშიც, ხსნა კი მხოლოდ უბიწო ცხოვრე-

ბასა და ცოდვებისაგან განწმენდაშია. ამიტომაც ჩვენი ეკლესია, მისი საჭეთმპყრობელი, ღვთისმსახურები, მრევლი, დაუღალავად ისწრაფვიან საზოგადოების სულიერი აღორძინებისაკენ. *ამასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვასწავლის:* „საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, თუნდაც მატერიალური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს". [11. გვ. 4].

პატრიარქის მთელი საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედება და პირადი მოღვაწეობა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი, სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად, დღენიადაგ იღვწიან ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ღვთივსულიერი, სინერგიული გააზრება-მოგვარებისათვის.

## მართლმადიდებლური სინერგიული ეკონომიკა და მართვა – ღვთისმეტყველური ხასიათის სამეცნიერო-პრაქტიკული დისციპლინა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II არის საფუძველჩამყრელი ეკონომიკური განვითარებისა და მართვის მართმადიდებლური სინერგიული გააზრებისა, რამაც წლების წინ, კერძოდ, 1994 წლიდან შთაგვაგონა დაგვეწყო მეცნიერული კვლევა ამ სფეროში და რაც აისახა ჩვენს ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „მართმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები" [13] და კვლავაც გრძელდება სათანადო ნაშრომების სისტემატური გამოქვეყნებით.

ეკონომიკა ამქვეყნიური ცხოვრების მატერიალური საფუძველი და უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის უფლისათვის სათნოდ წარმართვა უზრუნველყოფს ჩვენთვის მიწიერ სიხარულს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ზეციური ნეტარების მოპოვებას.

სინერგიული ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის საბოლოო მიზანს ადამიანის ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნა უნდა წარმოადგენდეს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც გამუდმებული სულიერი სრულყოფის მეშვეობით ცათა სასუფეველში ადამიანის შესვლას უზრუნველყოფს.

მართლმადიდებლური სინერგიული ეკონომიკა და მართვა ღვთისმეტყველური ხასიათის სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინაა. იგი იკვლევს ეკონომიკურ-მმართველობით პროცესებში ადამიანის და საზოგადოების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათის შექმნისა და გამოყენების სინერგიულ გზებს ღვთივდადგენილ იმ ზნეობრივ საფუძველზე, რომელიც ადამიანის და ერის საუკუნო ნეტარებას უზრუნველყოფს.

მართლმადიდებლური სინერგიული ეკონომიკა და მართვა არის ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის ღვთივდადგენილი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს ცალკეული ადამიანის, საზოგადოების, ერის, სახელმწიფოს და კაცობრიობის ღვთივსულიერ, სინერგიულ ჰარმონიულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

მართლმადიდებლური სინერგიული ეკონომიკისა და მართვის უმთავრესი პრინციპია – ფასეულობათა (მათ შორის - ფულის, ქონების, სიმდიდრის) სიმართლით (ღვთივდადგენილი ზნეობით) მოპოვება და სიკეთეში გამოყენება.

*საქართველოს ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის მიზნით სახელმწიფომ, ეკლესიამ, მეცნიერებმა და საზოგადოების ყველა დაინტერესებულმა მხარემ ერთობლივად უნდა შეიმუშაონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის თვისებრივ-პრინციპულად ახალი, ღვთივსულიერი, სინერგიული კონცეფცია, რომლის საფუძველზეც შეიქმნება სათანადო მოდელი, სტრატეგია, პროგრამები და განხორციელდება შესაბამისი შედეგიანი პროექტები.*

**ყოველმხრივ გააზრებული, ბიბლიურ-ქრისტიანულ სწავლებაზე დამყარებული ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ეროვნული კონცეფციის და შესაბამისი სახელმწიფოებრივი პროგრამის შემუშავება-განხორციელება შექმნის მყარ გარანტიას საქართველოს რეალური, ერთიანი საზოგადოებრივი პროგრესისათვის, გლობალურ სისტემაში ქვეყნის ჭეშმარიტი, ღვთივბოძებული მისიის გააზრებისა და სათანადო, ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის.**

***ქვეყნის მასშტაბით ამ საკითხებზე ერთობლივი სამეცნიერო მუშაობა დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ინიცირებულ და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გამართულ 9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე სახელწოდებით „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, აგრეთვე, ცალკე სექციაზე („რელიგია და ეკონომიკა გლობალიზაციის კონტექსტში“) ამავე ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ ბოლო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“.***

**დღეისათვის გამოცემულია აღნიშნული კონფერენციების მასალათა კრებულები, თეოლოგიური სინერგიული ეკონომიკისა და მართვის სფეროში მომუშავე მეცნიერთა მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და სტატიები. კვლევის ფუნდამენტურობისა და შედეგების გამოქვეყნების სისტემატურობის თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. გაგნიძის [16], ნ. ჩიხლაძის [17] და მ. ცეცხლაძის [18] ნაშრომები.**

**სტატიის ბოლოს, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასულიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული თვალსაზრისით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედება წარმოგვიდგება, როგორც ქართული სახელმწიფოს ღვთივსულიერი, სინერგიული, ჰარმონიული ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ეროვნული კონცეფციის, მოდელის, შესაბამისი სტრატეგიული გეგმისა და სათანადო სპეციალური პროგრამების საფუძველი.**

ლიტერატურა:


1. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბილისი, 1989, 1216 გვ.
2. ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა 1895 წლისა. თხზ., ტ. 5, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1955, 409 გვ.
3. ლოცვანი (სრული კრებული). თბილისი, 2013, 383 გვ.
4. ღვთისმშობლის „ბარაქის“ ხატის დაუჯდომელი. თბილისი, 2002, 9 გვ.
5. დიდი სჯულის კანონი. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბილისი, საპატრიარქოს გამომცემლობა, 1987, 598 გვ.
6. http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2018.htm
7. შიხაშვილი გ. ფუძემდებლური წყაროები სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობის სინერგიული გააზრებისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #2, 2019, გვ. 62-80.
8. შიხაშვილი გ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ (1977-2004). თბილისი, „გეოკერია“, 2004. 333 გვ.
9. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. წიგნი I. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბილისი, 1997, 422 გვ.
10. http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2019.htm
11. შიხაშვილი გ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ (1977-2004). თბილისი, „გეოკერია“, 2004, 236 გვ.
12. http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/sashobao2014.htm
13. შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მღვდელი ბასილ ახვლედიანი, მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბილისი, „მერიდიანი“, 2009, 367 გვ.
14. http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo2020.htm
15. http://www.ambioni.ge/patriarqis-qadageba-12-01-2020
16. გაგნიძე ი. მართლმადიდებლობა და ეკონომიკა. თბილისი, „უნივერსალი“, 2013, 69 გვ.

17. ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. ქუთაისი, აწსუ-ს გამომცემლობა, 2013, 250 გვ.
18. ცეცხლაძე მ. რელიგია და ეკონომიკა. ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", 2010, 264 გვ.

# Sinergistic Economic Development and Management Topics in the Theological-doctrinal Creativity of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II

**Giorgi Shikhashvili,**
***Doctor of Economics.***

**Nikoloz Bakashvili,**
***Doctor of Economic Sciences.***

S u m m a r y

***The Topics of synergistic economic development and management occupies an important place in biblical wisdom, in the teachings of the Orthodox Church and in the theological-doctrinal creativity and personal activities of the Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II.***

***The theological-doctrinal creativity of the Patriarch is presented to us as the basis of the God-inspired, synergistic national concept, model, relevant strategic plan and appropriate programs of the Georgian state.***

***Keywords: Biblical-Christian teaching on economics and management. Theological-doctrinal creativity of Patriarch. Fundamentals of synergistic economic development and management.***

# 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა და 2021 წლის პროგნოზი

**მიხეილ ჩიკვილაძე**

*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ახალი კორონავირუსის COVID-19-ის პანდემიამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, 2020 წელს მოსალოდნელია ეკონომიკის 4%-ით შემცირება, რაც, გავლენას მოახდენს ფისკალურ დეფიციტზე, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე, უმუშევრობაზე და სხვ. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაფუძნებულიყო შედარებით კონსერვატიულ პროგნოზებზე. არსებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზიდან გამომდინარე, 2020 წლის ნომინალური მშპ 49,9 მლრდ. ლარით განისაზღვრა, 2021 წლის ანალოგიური მაჩვენებელი - 54,5 მლრდ ლარით იქნება, ხოლო 2024 წლისათვის პროგნოზირებულია მისი ზრდა 69,0 მლრდ ლარამდე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სახელმწიფო ბიუჯეტი, ფისკალური რისკები, სახელმწიფო ვალი, ეკონომიკური პარამეტრები, ეკონომიკური ზრდა, დეფიციტი, ინფლაცია, იმპორტი, ექსპორტი.*

2019 წელს მსოფლიოში გამოჩენილმა ახალი ტიპის კორონავირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკურ ტენდენციებზე, მათ შორის საქართველოზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2020 წლის აპრილის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვის მიხედვით, 2020 წელს ქვეყნების 90 %-ს უარყოფითი ეკონომიკური ზრდა ექნება. მსოფლიოს ეკონომიკური ზრდა 2020 წლისათვის საერთო სავალუტო ფონდის მიხედვით 3,0 % შეადგენს. მნიშვნელოვანია, რომ სსფ-ის პროგნოზით, მოწინავე ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 6,1%, ხოლო განვითარებადი ქვეყნების (ჩინეთის გამორიცხვით) 2,2 %-ია მოსალოდნელი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2020 წლის პირველი 6 თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა კლებამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 5,8 %, ხოლო ამავე წლის მეორე კვარტალში კლებამ 12, 6 % შეადგინა.

ახალი კორონავირუსის COVID 19-ის პანდემია უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, 2020 წლისათვის მოსალოდნელია ეკონომიკის 4%-ით შემცირება, აღნიშნული კი, გავლენას მოახდენს ისეთ მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ და ფისკალურ პარამეტრებზე, როგორიცაა ფისკალური დეფიციტი, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, უმუშევრობა და სხვ.

საგულისხმოა ისიც, რომ ინფლაციის დონემ 2020 წლის ივნისში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 6,1 % შეადგინა, რაც ძალიან მაღალია. 2020 წლის ივნისში 2019 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 6, 5%-ით გაუარესდა და 3,05 ლარი შეადგინა 1 აშშ დოლარზე.

2020 წლის ივნისში წინა წლის დეკემბერთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი 0,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 61,2 %-ს გაუტოლდა, ამავე პერიოდში 1,4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი და 56,7% შეადგინა.

2020 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 5.053.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის საშუალო მაჩვენებელზე 18,2 %-ით ნაკლებია, აქედან ექსპორტი 1.503.4 მლნ აშშ დოლარია (16,0 %-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 3.550.5 მლნ აშშ დოლარს (19,1 %-ით ნაკლები).

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2020 წლის იანვარ-ივნისში 2, 047,0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ამავე წლის იანვარ-ივნისში წმინდა ფულადი გზავნილები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4, 9%-ით შემცირდა და 662,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (34,3 მლნ აშშ დოლარით ნაკლები), ამავე პერიოდში საქართველოს 1.447 ათასი საერთაშორისო მოგზაური და ვიზიტორი ეწვია (2019 წლის 6 თვის მონაცემებით ვიზიტორების რაოდენობა 3.862 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 62,5 %-ით ნაკლებია.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, წლების განმავლობაში საქართველოში ტურიზმი ძალიან მაღალი ტემპებით იზრდებოდა და მნიშვნელოვანი წვლილი შექონდა ეკონომიკურ ზრდაში, რის შედეგადაც, ტურიზმთან დაკავშირებით შექმნილი დამატებითი ღირებულების წილი მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2019 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 3.268 მლნ აშშ შეადგინა, ვინაიდან, ტურიზმი აღმოჩნდა სექტორი, რომელმაც პანდემიით გამოწვეული დეგლობალიზაციის პირველი დარტყმა მიიღო, 2020 წლის მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 4,0 %-ის დონეზე შეფასდა.

აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკური პროგნოზების ცვლილებაზე სამმა ძირითადმა ფაქტორმა მოახდინა გავლენა:

პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ე.წ. დიდი „ლოქდაუნი“, მთელს მსოფლიოში, რაც საზღვრების ჩაკეტვითა და სამუშაო ძალების მიწოდების შეზღუდვით გამოიხატა, აღნიშნულმა ფაქტორმა გავლენა მოახდინა, როგორც მოთხოვნის მიმართულებით - მომსახურების ექსპორტზე მოთხოვნის შემცირების სახით, ასევე მიწოდებაზე - რაც გამოწვეულია მიწოდების ჯაჭვების რღვევითა და სამუშაო ძალის მიწოდების შეზღუდვით.

მეორე ფაქტორი სავაჭრო პარტნიორის ეკონომიკური ზრდის შემცირებაა, რამაც გააძლიერა პანდემიის გამო საზღვრების ჩაკეტვის შედეგად შემცირებული საგარეო მოთხოვნა, საგარეო მოთხოვნის შემცირება აისახა როგორც ტურიზმის, ისე საქონლის ექსპორტზე.

მესამე მნიშვნელოვანი არხი ნავთობის ფასების შემცირებაა, რომელსაც საქართველოს ეკონომიკაზე ორმაგი გავლენა აქვს, ერთი მხრივ ის არის დადებითი მიწოდების შოკი, ხოლო მეორე მხრივ კი, უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს სავაჭრო პარტნიორ ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებზე, რაც უარყოფითი მოთხოვნის შოკს წარმოადგენს, გამომდინარე ფასებზე გავლენა მყისიერია და ფასებზე დაღმავალი ზეწოლით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სწრაფად მოხდება საზღვრების გახსნა, ტურიზმზე მოთხოვნის აღდგენას დიდი დრო დასჭირდება, ხოლო ტურიზმიდან შემოსავლები განახევრდება, შესაბამისად, მომსახურების სხვა დარგების ექსპორტი და რეექსპორტი მინიმუმ 10%-ით შემცირდება, ნიშანდობლივია, რომ ასეთ პირობებში საქონლის ადგილობრივი ექსპორტი ჯამში უცვლელი რჩება, წინა წელთან შედარებით, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ გლობალური პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი გავლენას ახდენს პრაქტიკულად მთელს ეკონომიკაზე, როგორც პირდაპირი ისე ირიბი გზებით, გარდა კრიზისის რეალური ეფექტებისა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ფისკალური ეფექტებიც. არსებობს რისკი იმისა, რომ მიუხედავად ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის 0,6 %-იანი ზრდისა, ფიქსირებული ხარჯების ბიზნესს არ დარჩება საკმარისი ლიკვიდობა გადასახადების გადასახდელად, ამის გათვალისწინებით მოსალოდნელია საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ მშპ-ზე ნელი ტემპით გაიზარდოს (ნომინალური მშპ იზრდება, ხოლო გადასახადები მცირდება) და საგადასახადო შემოსავლების მშპ-თან თანაფარდობა 2019 წლის 22,8 %-დან 2020 წელს 20,9 %-მდე შემცირდეს, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული თანაფარდობა ეტაპობრივად აღდგება და დაუბრუნდება გრძელვადიან მაჩვენებელს.

უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ 2020 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6,000,596,5 ათ. ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 6,075,358,9 ათ. ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101,2 %.

ამავე პერიოდში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი მობილიზებულია 74,530,0 ათასი ლარით საპროგნოზო მაჩვენებლის 106,7 %.

სხვა შემოსავლები საპროგნოზო პერიოდში მობილიზებულია 573,005,6 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლების 105,6 %.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი 4570,408,8 ათ. ლარი საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 4, 590,076,4 ათ. ლარი 100,4 %, ასეთ ვითარებაში 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისას შექმნილი პრობლემების დასაძლევად მთავრობის მიერ მიღებულია კონკრეტული გადაწყვეტილებები; დაწესდა საგადასახადო შეღავათები, კერძოდ:

გადასახადის გადამხდელთა იმ კატეგორიისათვის, რომლებიც საქმიანობენ ტურისტულ სექტორში, ასევე იმ ბიზნეს კატეგორიებისთვის, რომელთაც შეჩერებული აქვთ საქმიანობა შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აღნიშნულ კატეგორიებს ეძლევათ საშუალება ოთხი თვის ვადით მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე გადაივადონ დეკლარირებული გადასახადი, ვადაგადაცილებული საშემოსავლო და ქონების გადასახადის ნაწილში.

ავტოიმპორტიორებს 2020 წლის 1 მაისამდე შემოყვანილ ავტომობილებზე განბაჟებისთვის დაწესებული 90 დღიანი ვადა გადაუვადდათ 1 სექტემბრამდე.

2020 წელს პირველ ოქტომბრამდე დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლდა სამკურნალო და სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა დასახელების საქონლის მიწოდება, ან/და იმპორტი და სხვ.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის ანალიზის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა 2021 წლის ბიუჯეტი დაფუძნებულიყო შედარებით კონსერვატიულ პროგნოზებზე, საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 3.366.2 მლნ ლარით (ძირითადად ვალის აღების შემცირების ხარჯზე) და განისაზღვრა 14.759.1 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები შეადგენს 10.450.0 მლნ ლარს, რაც დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში გაზრდილია 1.470.6 მლნ ლარით.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით 2020 წელს მოსალოდნელია მშპ-ს შემცირება 4,9 %-ის ფარგლებში, ხოლო 2021 წლისათვის მოსალოდნელია მშპ-ის რეალური ზრდა 5,0%-ის ფარგლებში, რაც შეეხება ინფლაციის მაჩვენებელს 2020 წლისათვის 3,5%-ის ფარგლებში იქნება, ხოლო მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 2020 წლის ნომინალური მშპ 49,9 მლრდ ლარით განისაზღვრა, 2021 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა კი, 54,5 მლრდ ლარი იქნება, ხოლო 2024 წლისათვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 69,0 მლრდ ლარამდე.

2020 წელს ახალი კორონავირუსის პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე, შემცირებული საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი შეადგენს 10,510,0 მლნ ლარს, 2021 წლის განახლებული პროგნოზით კი, ნომინალურ გამოსახულებაში საგადასახადო შემოსავლები 12.200.0 მლნ ლარი იქნება, რაც 105 მლნ ლარით ნაკლებია 2020 წლის პირველად პროგნოზთან შედარებით.

საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადის სახეების მიხედვით შეადგენს:

- საშემოსავლო გადასახადის მაჩვენებელი - 3.383.0 მლნ ლარით;
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი - 935,0 მლნ ლარი;
- დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი - 5,367 მლნ ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 4,347, 3 მლნ ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტების 1,019,7 მლნ ლარს (დღგ მუნიციპალიტეტებზე 2021 წელს, წინა წელთან შედარებით იზრდება 139 მილიონი ლარით);
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი - 1,352,მლნ ლარი;
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი - 78,0 მლნ ლარი;
- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი - 447,0 მლნ ლარი;
- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი - 42,0 მლნ ლარი.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2021 წელს აქტიურად გაგრძელდება წარმოქმნილი ზედმეტად გადახდილი გადასახადების (ძირითადად დღგ) დაბრუნების პროცესი, 2020 წლის მიმდინარე პერიოდში დაბრუნებულია 600,0 მლნ ლარზე მეტი, ხოლო 2021 წელს დაბრუნდება 1 მლრდ ლარამდე.

2021 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის თანახმად, 2021 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალი 32.005.6 მლნ ლარი იქნება, საიდანაც უდიდესი ნაწილი 25,087,7 მლნ ლარის სახელმწიფო საგარეო - ხოლო 6,926, 0 მლნ ლარი საშინაო ვალია.

პანდემიის შედეგად შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის, დაგეგმილი სოციალური დახმარებების და საგადასახადო შეღავათების მასშტაბის გათვალისწინებით, საპროგნოზო საგადასახადო და ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები დამატებით გამჭვირვალებასა და დასაბუთებას მოითხოვს, რაც 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში უნდა აისახოს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება. თბილისი: გამომცემლობა „სიახლე", 2009.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე. თბილისი, 2007.
3. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი, 2011.
4. ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე რ., საჯარო ფინანსები. თბილისი, 2007.
5. პაპავა. ვ., არატრადიციული ეკონომიქსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა. თბილისი, თსუ 2020.
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო https:mof.ge, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები, საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი. 2010.
9. Chikviladze, M. (2018) The Share in Percentage of Taxes in GDP. Ecoforum Journal. Volume 7, Issue 1 (14).
10. Atanelishvili, T., Chikviladze, M., Silagadze, N. (2017). About State Financial Control. Ecoforum Journal. Volume 6, Issue 1 (10).
11. Kopaleishvili, T., Chikviladze, M. (2011). Taxes and Taxation. Tbilisi.
12. Silagadze, A., Atanelishvili, T., Silagadze, N. (2019). Economic Doctrines: The Origins. Published by Nova Science Publishers, Inc. New York.
13. Silagadze, A., Zuniashvili, T. (2016). Georgia`s Economy against the Background of the Associate Agreement with the European Union. International Journal of Business and Management Studies, 59, 2: 533-540. (USA).
14. Zubiashvili, T., Chikviladze, M., Silagadze, N. (2018). Some Aspects of state External Debt. Ecoforum Journal 7 (2).


## Implementation of the 2020 state budget and the forecast of 2021


**M. Chikviladze**

*Associate Professor of Faculty of Economics and Business of TSU*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*



S u m m e r y

The pandemic of the new coronavirus COVID-19 has had a negative impact on the economic development of Georgia, in 2020 the economy is expected to dicrease by 4%, which will affect the fiscal deficit, current account deficit, unemployment, etc. Accordingly, it was deemed appropriate for the 2021 state budget to be based on relatively conservative forecasts. Based on the analysis of existing macroeconomic indicators, the nominal GDP of 2020 is defined in 49.9 billion GEL, the similar figure for 2021 will be 54.5 billion GEL, and by 2024 it is predicted to increase up to 69.0 billion GEL.



***Key words:*** *state budget, fiscal risks, state debt, economic parameters, economic growth, deficit, inflation, imports, exports.*

# COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს ტურიზმზე

**ქეთევან ჩიტალაძე**
***ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,***
***ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი***

*ნაშრომში განხილულია, თუ რა გავლენა მოახდინა COVID-19-მა ტურიზმსა და, კერძოდ, საქართველოში ტურიზმის განვითარების აწმყოსა და მომავალზე. გაანალიზებულია პანდემიამდე და პანდემიის დროს შემომსვლელი და შიდა ტურიზმის სტატისტიკის მაჩვენებლები, მოცემულია დინამიკაში მათი შედარებითი ანალიზი, გამოკვეთილია ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები და შეძლებისდაგვარად შეთავაზებულია მათი გადაჭრის კონკრეტული გზები. ანალიზის შედეგად დინამიკაში გამოვლენილია ტურიზმის განვითარების ტენდენციები, გამოკვეთილია მისი გეოგრაფიული სტრუქტურა, გაანალიზებულია მასში მიმდინარე ცვლილებები, დახასიათებულია ტურიზმის აღორძინების მოლოდინები და დასმულია პანდემიის დროს გასათვალისწინებელი რეგულაციების დაცვით ტურიზმის, განსაკუთრებით საერთაშორისო ტურიზმის, „შეზღუდული შესაძლებლობებით აღორძინების მოლოდინების გზები.*

*საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ვიზიტორი, კორონავირუსი, სტატისტიკა, ანალიზი.*

**ტურისტული ინდუსტრიის განვითარება მსოფლიოს სხვა ტურისტულ ქვეყნებთან ერთად საქართველოსთვისაც XXI საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. შიდა და საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ზრდა განაპირობებს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ძირითად პოტენციალს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებაზე. საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტურიზმის სექტორის გაძლიერება. საქართველო თავისი ულამაზესი ბუნებით, მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობით და მრავალფეროვანი ტოპოგრაფიით არის ერთ – ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა ტურისტებისთვის [1]. საქართველოს ასევე აქვს მრავალი ბუნებრივი მემკვიდრეობის პროდუქტი, როგორიცაა მთის კურორტები, როგორიცაა ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, საირმე და ა.შ. ტურისტები ხშირად სტუმრობს ამ ადგილებს არა მხოლოდ უნიკალური ბუნების, არამედ განსაკუთრებული ჰაერისა და უნიკალური, სამკურნალო წყლის ხარისხის მიზნით [2]. მდიდარი ბუნებრივი რესურსები მნიშვნელოვანია რეგიონის ტურისტული კომპლექსის განვითარებისათვის, რადგან ტურიზმი პირდაპირ უკავშირდება გარემომცველი გარემოს როგორც შენარჩუნებას, ასევე მის მუდმივ გაუმჯობესებას [3]. ამიტომ წლიდან წლამდე საქართველოში ხდება უცხოელი ვიზიტორების ზრდა [4]. ფაქტია, რომ ტურიზმს სჭირდება მეტი მხარდაჭერა, რომ გამოიყენოს თავისი სრული პოტენციალი. ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება იყოს ტურიზმის მენეჯმენტის განვითარება, და დაინტერესებული მხარეების ურთიერთთანამშრომლობა. ამიტომ მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროში განვითარებული მოვლენების შეფასება, ტენდენციების დადგენა და სტატისტიკური წესების დადგენა. ამ მიზნით გვჭირდება ობიექტური ინფორმაცია, რომელიც მოითხოვს ტურიზმის სტატისტიკური აღრიცხვის საერთაშორისო ტექნიკის სრულყოფილ ადაპტირებას და ამ ტექნიკის ადგილზე პრაქტიკულ განხორციელებას [5].**

**უკანასკნელი წლების მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარების ტენდენცია ერთისმხრივ უკავშირდებოდა ევროკავშირიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების სისტემატურ ზრდას. მაშინ, როდესაც მეზობელი ქვეყნების ტურისტულ ნაკადებში არ შეინიშნებოდა ანალოგიური ზრდის ტემპები. ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს [6]. სასურველია შემდგომშიც გატარებული იქნეს ისეთი ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც მეზობელი ქვეყნების, ასევე ევროკავშირის ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების ზრდას.**

2020 წელი მსოფლიოსთვის, კორონავირუსის გავრცელებისა და პანდემიის ფონზე, უაღრესად დიდი გამოწვევების წელი აღმოჩნდა. შეიცვალა სამყაროს ცხოვრების წესი, ტრანსფორმირდა ადამიანების დამოკიდებულება საზოგადოებრივი აქტივობების მიმართ. გააქტიურდა ონლაინ კონტაქტები, რის გამოც საზოგადოება სხვადასხვა საკითხის მიმართ ახლებური მიდგომების აუცილებლობისა და ცხოვრების ღირებულებებისადმი დამოკიდებულების შეცვლილი ფორმების წინაშე აღმოჩნდა. ამან, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზეც. პანდემია განსაკუთრებით მწვავედ შეეხო ტურისტულ სექტორს. შეიძლება ითქვას, რომ განვითარების აქტიურ ფაზაში მყოფი როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი სტატისტიკური პარამეტრები უკიდურესად უარყოფითად შეიცვალა, ტრანსფორმირდა და ტურიზმიც გარკვეულწილად ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადავიდა. შექმნილმა სიტუაციამ ტურიზმისათვის მოლოდინების განსაზღვრა თითქმის შეუძლებელი გახადა.

არავისთვის სადავო არ უნდა იყოს, რომ ტურიზმი ერთ-ერთი იმ სექტორთაგანია, რომელმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო COVID-19-ისაგან როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით რთულია საერთაშორისო ტურიზმზე კორონავირუსის გავლენის შეფასება, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) შეფასებით, 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები შემცირდება 1-3%-ით, მანამდე ნავარაუდევი 3-4%-იანი ზრდის ნაცვლად [7]. რაც ნიშნავს საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯებიდან მიღებული თანხების 30-50 მილიარდი აშშ დოლარით შემცირებას.

Mobility Market Outlook on COVID-19-ის მიხედვით, 2020 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის გლობალური შემოსავალი იქნება სავარაუდოდ 568.6 მილიარდი აშშ დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 17%-ით ნაკლებია [8]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მონაცემი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება 2020 წლის საწყის პროგნოზს, რომელიც შეადგენდა დაახლოებით 712 მილიარდ აშშ დოლარს. ნავარაუდევია, რომ ქვეყნების მიხედვით ტურიზმის ინდუსტრიიდან მიღებული შემოსავლების ნაკლებობა ყველაზე მეტად შეეხება ჩინეთს [9].

**დიაგრამა 1**

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის შემოსავლის მოსალოდნელი ცვლილება კორონავირუსის პანდემიის ფონზე (მილიონი აშშ დოლარი) [10]




*წყარო: http://www.parliament.ge/ge/ajax*

UNWTO-ს თანახმად, ამ ეტაპისთვის COVID-19-ისგან ყველაზე მეტად დაზარალდა აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი, სადაც საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები შემცირდა 9-12% - ით, იანვარში ნავარაუდევი 5-6%-იანი ზრდის ნაცვლად. აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი ყველაზე მეტად დაზარალდა მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა კუთხითაც. Statista.com-ის მიხედვით, მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის ბაზარი 2020 წელს სავარაუდოდ, 75.2 მილიონ სამუშაო ადგილს დაკარგავს [11]. ამ

მხრივაც რეგიონი, რომელსაც COVID-19 – ის გამო ყველაზე დიდი ზარალი მიადგება, არის აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონები, სადაც 2020 წელს ნავარაუდევია, რომ იქნება 48.7 მილიონი სამუშაო ადგილით ნაკლები. ხოლო ევროპა, სამუშაო ადგილების დანაკარგის სიდიდის მიხედვით, იქნება რიგით მეორე რეგიონი, რომელიც აღნიშნულ ინდუსტრიაში დაკარგავს 10.1 მილიონ სამუშაო ადგილს [10].

UNWTO-ს თანახმად, მოსალოდნელია, რომ ყველაზე მეტად დაზარალდება მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. გასათვალისწინებელია, რომ მათი რიცხვი პანდემიამდე საკმაოდ დიდი და მზარდი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის საწარმოების წილი ტურიზმის სექტორში 80% შეადგენს. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კორონავირუსის გამო მსოფლიოში გამოცხადებულ პანდემიას განსაკუთრებული გავლენა მოეხდინა იმ ქვეყნებზე, რომელთა ეკონომიკური ზრდაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ტურიზმის სექტორზე, რადგან მათ ეკონომიკაში ტურიზმს მნიშვნელოვნად დიდი წილი უკავია.

კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო, 2020 წელი მსოფლიოს ისტორიაში შევა, როგორც ტურიზმის განვითარების ძირითადი პარამეტრების მნიშვნელობების მკვეთრად ვარდნის პერიოდი. მსოფლიო ტურიზმი განვითარებისა და აღმავლობის მოლოდინშია და შესაბამისად ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაც ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადავიდა. ცხადია, ამ მოვლენებს ვერც საქართველო ასცდა.

2020 წლის პირველი კვარტალის მეორე ნახევრიდან მთლიანად შეიზღუდა ტურისტული ნაკადების ქვეყანაში შემოსვლა, აიკრძალა შიდა ტურიზმი და ნებისმიერი სახის ტურისტული გადაადგილებები. შედეგად, ამ სექტორში მომუშავე ყველა სუბიექტი, ყველა საწარმო დაზარალდა, მათი ეკონომიკური საქმიანობა მთლიანად შეჩერდა და შესაბამისად, ამ საუკუნის ყველაზე დიდი გამოწვევაც ტურისტული სექტორისთვის, ალბათ, სწორედ ამ პანდემიით გამოწვეული რეცესია გახდება.

ტურიზმის სექტორის ოპტიმალურად სწრაფი ტემპით აღდგენისა და მისი მომავალი განვითარების სწორად დაგეგმარებისათვის აუცილებელია, თვალი გადავავლოთ განვლილი პერიოდის შედეგობრივ მონაცემებს. საიდანაც ირკვევა, რომ, 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში ტურისტთა რაოდენობის ტენდენცია საკმაოდ მზარდი იყო. უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოში განხორციელდა 9,4 მილიონი საერთაშორისო ვიზიტი, საიდანაც 5,1 მილიონი ტურისტული ვიზიტი იყო.

**დიაგრამა 2**

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა, ათასი [12]




*წყარო: https://www.geostat.ge/ka*

როგორც ვხედავთ, 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ საშუალოდ თვიურად განხორციელებულ იქნა 643,9 ათასი ვიზიტი, რაც 7,2%-ით მეტია 2018 წლის და 47%-ით 2015 წლის დონეზე. საინტერესოა, რომელი ასაკობრივი ჯგუფი სჭარბობდა ვიზიტორთა შორის.

**დიაგრამა 3**

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ათასი კაცი [12]




*წყარო: https://www.geostat.ge/ka*

**ინამიკაში ასაკობრივი ნიშნის მიხედვით ტურისტთა განაწილებისას არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა, ისევე როგორც განვლილ წლებში, 2019 წელსაც საქართველოს ყველაზე მეტი, 46%, 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფის ვიზიტორები ესტუმრნენ, შემდეგ ყველაზე აქტიურია 15-30 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი, დინამიკაში სულ მცირედით იზრდება 51-70 წლის ასაკობრივი ჯგუფის ვიზიტორთა რაოდენობა.**

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, ვიზიტების 73,8% განმეორებით ვიზიტს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ საჰაერო გზით განხორციელებული ვიზიტების 54,6% პირველ ვიზიტს წარმოადგენდა, ხოლო სახმელეთო საზღვრის გადმოკვეთისას ვიზიტების 83% განმეორებითი იყო, რაც იმითაა განპირობებული, რომ საქართველო კვლავ ყველაზე მეტად მიმზიდველია მეზობელი ქვეყნების რეზიდენტებისათვის. (იხ. ცხრილი 1)**

**ცხრილი 1**

საქართველოს ვიზიტის პრაქტიკა რეზიდენტობის მიხედვით [12]

| | აზერბ. | თურქ. | რუს. | სომხ. | ცენტრ. და აღმ. ევროპა | სხვა ევროპა | სხვა ქვეყნ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პირველი ვიზიტი | 5.4% | 27.8% | 28.2% | 0.8% | 54.3% | 57.4% | 71.1% |
| განმეორებით ი ვიზიტი | 94.6% | 72.2% | 71.8% | 99.2% | 45.7% | 42.6% | 28.9% |
| სულ | 100% | 100% | 100% | 100% | 100% | 100% | 100% |

*წყარო: https://www.geostat.ge/ka*

**ცხრილი 1-ის მიხედვით, მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორების უმრავლესობისთვის განმეორებით ვიზიტს წარმოადგენს მიმდინარე ვიზიტი, მაგალითად, სომხეთის რეზიდენტებისთვის ეს მაჩვენებელი 99,2 %-ია, აზერბაიჯანისთვის 94,6 %. პირველი ვიზიტი აზერბაიჯანიდან განახორციელა ვიზიტორების 5,4 %-მა, თურქეთიდან 27,8%-მა, რუსეთიდან -28,2%-მა, ხოლო სომხეთიდან 0,8 %-მა. რაც შეეხება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას, აქ მონაცემები სხვაგვარია, რეზიდენტების 54,3%-მა პირველად**

**იმოგზაურა საქართველოში, ხოლო 45,7 %-სთვის ეს ვიზიტი განმეორებითი იყო. დანარჩენი ევროპის ქვეყნებში პირველ ვიზიტზე 57,4% ვიზიტორებისა იმყოფებოდა, ხოლო განმეორებით - 42,6 %.**

**საქართველოში ტურისტები ძირითადად ჩამოდიან დასვენების მიზნით, რასაც მოწმობს მაღალი ხვედრითი წილი მთლიან ტურისტთა რაოდენობაში - 43,5 %, მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად 2019 წელს იმყოფებოდა ტურისტთა საერთო რაოდენობის 19%, პროფესიული და ეკონომიკური საქმიანობის მიზნით ქვეყანას ესტუმრა ვიზიტორების 11% (იხ. დიაგრამა 3).**

**დიაგრამა 4**

**საერთაშორისო ვიზიტორების პროცენტული განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით (2019 წ.)[12]**




*წყარო: https://www.geostat.ge/ka*

**საინტერესოა, რომელი რეგიონები წარმოადგენდა მიმზიდველს საერთაშორისო შემომსვლელი ტურისტებისათვის. როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემები ცხადყოფს, 2019 წელს ტურისტთა უმრავლესობამ, 54,6 %-მა, მოინახულა თბილისი, აჭარა 30,2%-მა, ქვემო ქართლი 17%-მა, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი შესაბამისად 6,6% და 6,5%-მა (იხ. დიაგრამა 5). თბილისის შემდეგ ყველაზე მეტი ტურისტი ეწვია ბათუმს, 28,9%, მარნეულს 11,4%, ყაზბეგს 8,3% , მცხეთას 6,8% , ქუთაისს 4,6%, გუდაურს 4,5% და ა.შ. (იხ. დიაგრამა 5).**

**დიაგრამა 5**

**მიმდინარე ვიზიტისას მონახულებული რეგიონები [12]**




*წყარო: https://www.geostat.ge/ka*

**უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს საერთოდ ტურისტული ხარჯების მოცულობამ შეადგინა 8 511 534 927 ლარი, ერთი ვიზიტორის მიერ გაწეული ხარჯი კი იყო 1102 ლარი, ტურისტებმა ყველაზე მეტი ხარჯი გაწიეს საკვებასა და სასმელზე, მისი წილი საერთო დანახარჯებში 27,5%-ია (იხ. ცხრილი 2).**

**ცხრილი 2.**

ტურისტული ხარჯები დანახარჯების კომპონენტების გათვალისწინებით 2019 წ. [12]

| დანახარჯების კომპონენტები | ჯამში ყველა ვიზიტორის მიერ გაწეული ტურისტული ხარჯი (მლრდ. ლარი) | წილი მთლიან დანახარჯში |
|---|---|---|
| საკვები და სასმელი | 2,343,421,279 | 27,5% |
| განთავსების საშუალებები | 2,021,228,953 | 23,7% |
| შოპინგი | 1,800,270,650 | 21,2% |
| რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები | 1,528,705,888 | 18% |
| ადგილობრივი ტრანსპორტი | 644,544,830 | 7,6% |
| სხვა დანახარჯები | 173,362,328 | 2% |

*წყარო: https://www.geostat.ge/ka*

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2019 წელს საქართველოში ტურიზმის სექტორიდან მიღებულმა შემოსავალმა 3 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ეს კი მთლიანი შიდა პროდუქტის 11,5 %-ია. ქვეყანაში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 9 მილიონს გადააჭარბა. ყველაზე მეტი ვიზიტორი ქვეყანას აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან და თურქეთიდან ეწვია. ასევე მაღალია ვიზიტის რაოდენობა ისრაელიდან, უკრაინიდან, ირანიდან და ყაზახეთიდან.**

**2019 წელთან შედარებით, იანვრიდან მარტის თვის ჩათვლით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების შემოსვლის დინამიკა მოცემულია დიაგრამა 6-ზე.**

**დიაგრამა 6**




*წყარო: https://www.geostat.ge/ka*

**დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ იანვრის თვეში ვიზიტორთა რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 104 523 ერთეულით, ანუ 19,8% -ით, თებერვალში ორივე წლისთვის იდენტური მაჩვენებელია დაფიქსირებული. მარტში ეს მაჩვენებელი შემცირებულია 385 846 ვიზიტორით, ანუ 62,3 %-ით, და აპრილ-ში - 612 273 ვიზიტორით (95,5%). აღსანიშნავია, რომ საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა 27 თებერვალს, ხოლო COVID-19-ის მასობრივად გავ-რცელების თავიდან აცილების მიზნით 18 მარტს, 00:00 საათიდან, უცხოელებისთვის მთლიანად ჩაიკეტა საქართველოს საზღვრები.**

**ცხრილი 3**

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები (ტოპ 15 ქვეყანა) [13]

| | ქვეყანა | 2019: აგვისტო | 2020: აგვისტო | ცვლილება | ცვლილება % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | თურქეთი | 154 834 | 16 316 | -138 518 | -89,5% |
| 2 | სომხეთი | 191 817 | 8 721 | -183 096 | -95,5% |
| 3 | საქართველო (არარეზიდენტი) | 53 561 | 4 722 | -48 839 | -91,2% |
| 4 | რუსეთი | 207 899 | 4 390 | -203 509 | -97,9% |
| 5 | აზერბაიჯანი | 226 133 | 3 757 | -222 376 | -98,3% |
| 6 | უკრაინა | 28 562 | 996 | -27 566 | -96,5% |
| 7 | ბელარუსი | 13 844 | 852 | -12 992 | -93,8% |
| 8 | უზბეკეთი | 1 805 | 829 | -976 | -54,1% |
| 9 | ყაზახეთი | 16 107 | 472 | -15 635 | -97,1% |
| 10 | გერმანია | 12 557 | 430 | -12 127 | -96,6% |
| 11 | ბულგარეთი | 1 252 | 267 | -985 | -78,7% |
| 12 | საფრანგეთი | 5 861 | 235 | -5 626 | -96,0% |
| 13 | ტაჯიკეთი | 379 | 227 | -152 | -40,1% |
| 14 | ლატვია | 2 121 | 193 | -1 928 | -90,9% |
| 15 | ყირგიზეთი | 1 114 | 138 | -976 | -87,6% |

*წყარო: https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/sainformatsio-analitikuri-departamenti*

**მართალია, დღევანდელი ასეთი დრამატული ცვლილება პანდემიით არის გამოწვე-ული, რაც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ გლობალურად აისახა მთელი მსოფლი-ოს ტურიზმის სექტორზე. თუმცა, ეს მონაცემები იმის საილუსტრაციოდაც გამოდგება, თუ რამდენად დიდია ტურიზმის წილი საქართველოს ეკონომიკაში, რამდენად დიდი მნიშ-ვნელობა აქვს ქვეყნისთვის ამ სფეროს ამოქმედებას და რამხელა გამოწვევების წინაშე დადგა ტურიზმის სექტორი კორონავირუსის შემდეგ. თუმცა, ტურიზმის ამოქმედებისას გასათვალისწინებელია როგორც საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია, ისე სხვა სა-ხელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც. ამ ამოცანის შესრულება განსა-კუთრებით რთულდება იმ ქვეყნების კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, საიდანაც ტურისტების ყველაზე დიდი ნაკადი შემოდიო-და გასულ წელს.**

**დღევანდელი მონაცემებით, რუსეთი მეორე ადგილზეა მსოფლიოში COVID-19-ის გავრცელებით, ირანი და თურქეთი ათეულში შედის, ხოლო ყველა დანარჩენ ქვეყანაში, სადაც საქართველო პოპულარულ ტურისტულ მიმართულებად განიხილება, დღესდღე-ობით ვირუსის გავრცელების გაცილებით მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე საქართველო-ში.**

**შიდა ტურიზმი ერთ-ერთი საშუალებაა კრიზისის შესამსუბუქებლად, მაგრამ სა-ქართველოში მისი წილი ძალიან დაბალია.**

**ცხრილი 4**

ადგილობრივ სტუმართა წილი სასტუმროებში 2019 წ.[14]

| უკრაინა | რუსეთი | რუმინეთი | გერმანია | საფრანგეთი | ისრაელი | იტალია | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 84 % | 81 % | 78 % | 76 % | 68 % | 62 % | 57 % | 26 % |

*წყარო:https://gnta.ge/ge/authors/%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96/*

**საქართველოში ამჟამად არ მიმდინარეობს შიდა ტურიზმის სტატისტიკური აღრიცხვა. მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ 24 საათზე მეტი დროით მოქალაქეთა გადაადგილებას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, უცხო გარემოში დასვენების, საქმიანი თუ სხვა მიზნით საქართველოში მასიური ხასიათი აქვს და იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქეები არ ექვემდებარებიან სათანადო რეგისტრაციას, ძნელდება მათი გამოვლენა და შიდა ტურისტებად აღრიცხვა. შიდა ტურისტების აღრიცხვა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია სასტუმროებში, დასასვენებელ სახლებში და სხვა ტიპის ტურისტული პროფილის დაწესებულებებში. ამასთან, ეს პროცესი განსაკუთრებით შეუძლებელია კერძო სახლებში დამსვენებლების მიხედვით.**

**ცხრილი 5**

სტუმართა რაოდენობა საქართველოს სასტუმროებში 2015-2019 წწ.[12].

| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|
| ქართველი სტუმრები | 0,7 | 0,9 | 1,0 | 1,1 | 1,2 |
| უცხოელი სტუმრები | 1,2 | 1,7 | 2,4 | 2,6 | 3,3 |
| ქართველი სტუმრების წილი, % | 37 % | 34 % | 30 % | 29 % | 26 % |

*წყარო: https://www.geostat.ge/ka*

**ცხრილიდან ჩანს, რომ ადგილობრივ სტუმართა რიცხვი მართალია იზრდება დინამიკაში, მაგრამ, იმავდროულად, ორმაგად იზრდება უცხოელ სტუმართა რიცხვი, რაც სასტუმროებს სულ უფრო და უფრო დამოკიდებულს ხდის უცხოელ სტუმრებზე.**

**კრიზისი გამოწვევებთან ერთად შესაძლებლობებსაც წარმოქმნის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალი COVID-19-ის გავრცელებასთან ერთად, საქართველოში ბევრმა ოჯახმა ქალაქიდან სოფელს შეაფარა თავი. ამან კი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში უფრო მეტი ადამიანის ჩართვას შეუწყო ხელი. ასეთმა მიგრაციამ, კი შესაძლებელია ტურიზმის ახალი მიმართულების აგროტურიზმის, გასტრონომიული და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების პერსპექტივებიც გაზარდოს, რომლებზეც მოთხოვნა ბოლო რამდენიმე წელია საგრძნობლად იზრდება და მიმზიდველი ხდება არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო მოგზაურებისთვისაც.**

**ტურიზმის ამოქმედებაში საქართველოს მთავრობას არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია უწევს დახმარებას. მათ შორის დიდი წილი USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამაზე მოდის, რომელიც არაერთ ფართომასშტაბიან დახმარებას სთავაზობს ტურიზმის სექტორს, რომლის მიზანია საქართველოში ტურიზმის სფეროს გაძლიერება, კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით ეხმარება მას სტრატეგიის შემუშავებაში, რათა შესაძლებელი გახდეს ტურიზმის 2025 წლის განახლებული სამოქმედო გეგმის განხორციელება. ინვესტირება და საგრანტო პროგრამები, მარკეტინგი, საერთაშორისო აუდიტორიისთვის მიმზიდველი მესიჯების შემუშავებაში მხარდაჭერა, ტურიზმის სფეროში დასაქმებულების უნარ-ჩვევების ამაღლება, ტურისტული პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება - ყველა ეს მიმართულება, ერთი მხრივ, COVID-19-ის შედეგად დაზარალებული ტურიზმის**

სექტორის აღდგენას, დამატებითი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის შექმნას, ასევე, საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის სწორად ოპერირებას შეუწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე შეუძლებელია დადებითი პროგნოზის გაკეთება, სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ 16-17 სექტემბერს თბილისში ჩატარდა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 112-ე სხდომა, რომელიც გაეროს 35 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. UNWTO აღმასრულებელი საბჭოს სხდომებს ესპანეთის ქალაქ მადრიდში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ატარებს, სადაც ორგანიზაციის სათავო ოფისი მდებარეობს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ 2020 წელს აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ჩატარების ადგილად, მადრიდის ნაცვლად, თბილისი შეარჩია, რითაც უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და საქართველომ მსგავს მსოფლიო მასშტაბის ფორუმს პირველად უმასპინძლა.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომის მთავარი თემა იყო მსოფლიოს ამ ურთულესი კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანის გზები. სხდომის ფარგლებში ტურიზმის მიმართულებით საინვესტიციო პანელიც გაიმართა, რომელში მონაწილეობითაც საქართველომ საერთაშორისო ტურიზმის ინდუსტრიას - საკუთარი ბიზნესხედვები, პოტენციურ პარტნიორებს კი მიმდინარე და სამომავლო პროექტები გააცნო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ტურისტული პოტენციალი საეჭვო არ არის, თუმცა, იგი მხოლოდ მის ძალიან მცირე ნაწილს იყენებს. იმისათვის, რომ განხორციელდეს რეალური ძვრები ამ პოტენციალის პერსპექტივის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, პირველ რიგში საჭიროა ტურიზმის ინტენსიური და ფართო განვითარებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი [15]. მნიშვნელოვან პრობლემად ქართული ტურიზმისათვის რჩება საკითხი, თუ როგორ მივაწოდოთ უცხოელ ტურისტებს კულტურული მემკვიდრეობა, განსაკუთრებით კი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა. ურბანული ექსპერტებისა და სოციოლოგიების მიერ 1970-იანი წლებიდან ჩატარებული თანმიმდევრული კვლევა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი კავშირი არსებობს კულტურულ მემკვიდრეობასა და კულტურული იდენტობის განვითარების დინამიურ პროცესებს შორის, რომელიც საზოგადოების ცხოვრების ხარისხის აღქმას უწყობს ხელს. სამწუხაროდ, ამ მხრივ ქართველი ტუროპერატორების მიერ ტურის შედგენის ტექნიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება უცხოელ ანალოგებს [16]. იმდენად, რამდენადაც ისტორიულად, სოფლის მეურნეობა ტრადიციული დარგია საქართველოსთვის და ქვეყანას აქვს თავისი ბუნებრივი განვითარების და ბუნებრივი რესურსების ხელსაყრელი პოტენციალი, მნიშვნელოვანია ასევე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე აქცენტების გაკეთება [17].

დღეისათვის ტურისტული პოტენციალის ასამაღლებლად სპეციფიკური ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. ძველ და აპრობირებულ მეთოდებთან ერთად აუცილებელია ახლებური მიდგომების დანერგვა და ტურიზმის სექტორის გადაწყობა მოცემულ სიტუაციასთან შესაბამისად. არსებული გამოწვევები კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ტურიზმის სექტორში მომუშავე თითოეულ ადამიანს, პოლიტიკის გამტარებლებს, მთლიანად საზოგადოებას, რათა ქვეყანამ უმოკლეს ვადებში დაიბრუნოს კონკურენტუნარიანობა, ტურისტებს შესთავაზოს მათთვის ხელსაყრელი გარემო და კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ საქართველო არის ტურისტულად მაღალი პოტენციალის მქონე ქვეყანა, სადაც ვიზიტორები თავს გრძნობენ კომფორტულად, დაცულად, და სადაც მათი ყველა მოთხოვნა იქნება დაკმაყოფილებული.

ლიტერატურა:


1. Paresashvilia Nino, (2014), Major Tasks of Ecotourism Management in Georgia, ICEM 2014, 23-25 April, Riga, pg.170;
2. Abesadze Nino, Kinkladze Rusudan, Paresashvili Nino, (2019), Increasing Trends Of Tourist Flows From The Europran Countries To Georgia, Rtu 60th International Scientific Conference On Economics And Entrepreneurship Scee'2019 Proceedings, pg.4;

3. Paresashvili, N., okruashvili, N., Chitaladze, K.,(2017), A Role of Natural Tourist Resources for Development of a Tourism Industry, Forsight-management: best world practice of development F 79 and integration of education, science and business: Materials I, pg.36
4. Abesadze, N., Mindorashvili, M., Paresashvili, N. (2017), Georgia Case: Tourism Expenses od International Visitors on the Basis of Growing Attractiveness,WASET International Journal Economics and Management Engineering, 11(11), 2633–2638;
5. Abesadze, N., Mindorashvili, M., Paresashvili, N., (2016). Statistical Data of Differentiation of Tourist Expenses, The Collection of scientific proceedings, Financial and credit activity: problems and prospect, 2(21), pg. 248– 257;
6. Abesadze Nino, Kinkladze Rusudan, Paresashvili Nino, (2019), Increasing Trends Of Tourist Flows From The Europran Countries To Georgia, Rtu 60th International Scientific Conference On Economics And Entrepreneurship Scee'2019 Proceedings, pg.4;
7. The World Tourism Organization, (2020), "Tourism and COVID-19", March 27,
8. https://www.statista.com/forecasts/1103426/covid-19-revenue-travel-tourism-industry-forecast
9. https://www.statista.com/statistics/1104835/coronavirus-travel-tourism-employment-loss/
10. http://www.parliament.ge/ge/ajax
11. საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. „თვალსაზრისი“
12. https://www.geostat.ge/ka
13. https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/sainformatsio-analitikuri-departamenti
14. https://gnta.ge/ge/authors/%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96/
15. Paresashvilia Nino, Chitaladze ketevan, (2019), Main Challenges Of Tourism Development Management In Georgia, 37th International Scientific Conference on Economic and Social Development – "Socio Economic Problems of Sustainable Development" – Baku, pg. 1432
16. კვარაცხელია ნიკო, დამენია ნინო, (2019), კულტურული ტურიზმის გამოწვევები გლობალიზაციის კონტექსტით, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: გლობალიზაციის გამოწვევევი ეკონომიკისა და ბიზნესში, თსუ, გვ.196
17. Gechbaia, B., Kharaishvili, E., Mushkudiani, Z., (2019), The Trends of Producing Agro-Food Products and Export Innovative Marketing Strategy in Georgia. Economics. Ecology. Socium, volume 3, pg. 2-3.

## Impact of the COVID-19 pandemic on Georgian tourism

**Ketevan Chitaladze,**
***Academic Doctor of Economics.***
***Ivane Javakhishvili Tbilisi State Universit***

S u m m a r y

**The paper discusses the impact of COVID-19 on the present and future of tourism and in particular the development of tourism in Georgia. Analyzes of pre-pandemic and pandemic-time and domestic tourism statistics are analyzed, their comparative analysis in dynamics is made, the factors hindering tourism development are identified, and specific ways of solving them are suggested as far as possible.**

**As a result of the analysis, the trends of tourism development are revealed in the dynamics, its geographical structure is outlined, the current changes in it are analyzed, the expectations of tourism revival are characterized and the restrictions on tourism, especially international tourism, are restricted in compliance with regulations.**

***Keywords: tourism, pandemy, analysis, methods, changes.***

# Food Security During Pandemic – The World and Georgia

**Nika Chitishvili**
***PhD Student***
***IvaneJavakhishvili Tbilisi State University***

*The article analyzes the existence of a food security problem during the pandemic and ways to solve it. Also, the risks and opportunities of food security are shown. Covid-19 had a significant impact on the world economy and in many cases, completely changed the behaviour of various market participants. The globalized world has instantly begun to take anti-globalization measures, which primarily affect the well-being and economic development of the population. Economic policymakers are unable to make crucial decisions for the economy as the economy has become dependent on the health sector.The pandemic period has well demonstrated the role of food security as one of the most important components of the state's economic security. In the post-industrial era, the share of agriculture in the total basket of production is not very high and countries, considering the comparative advantage, often choose to import food products, although the spread of Covid-19 showed that countries oriented to other sectors of the economy may face food shortages. Which is related not only to production but also to distribution. It is important that the world produces a sufficient amount of healthy food and that everyone has access to food. The article discusses the issues of food availability, accessibility and utilization, the protection of which is essential for the well-being of the population, as well as discusses the Food SustainabilityIndex, that shows which countries can overcome force majeure situations relatively easily and adequately provide food to the population. In addition, during the pandemic, food prices rose around the world, including in Georgia, which in itself has a negative impact on the economic situation and well-being of the population.*

Keywords: *Food security, Covid-19 influence, Development priorities, Economic crisis, Coronomics*

**The first half of 2020 turned out to be quite difficult for the world economy. Countries that have tried so hard to benefit from a globalized world have been faced with the choice to improve the postulates of international trade or to ensure the well-being of the population.Economics is the science for which people are most important and the study of how they make decisions to distribute limited resources.Therefore, it is important for the country to ensure economic security, which is primarily based on maintaining food security.At the beginning of the year, when the real threat of Covid-19 was not yet apparent, the economy was operating at its usual pace, however since the threat of the virus became apparent, the behaviour of consumers, businesses and the state has changed drastically. Despite ideological differences, in the production of economic policy, in parallel with the economic order and framework conditions, targeted policy actions are needed, which include short-term interventions to rehabilitate the economy and promote economic development.**

**Maintaining food security is based on three criteria: food availability, access to food and food utilization [5]. By analyzing these criteria, we can understand why a pandemic poses a threat to food security.**

**Food availabilitymeans that enough food will be produced worldwide that will be sufficient to satisfy the population. The spread of Covid-19 has had a particular impact on the production of food products that are labour-consuming, primarily due to the need for the protectionof social distance. Also, the imposition of quarantine and, in parallel with travel restrictions, reduced**

**mobility and movement of the workforce. That is, the reduction in the labor force caused by the spread of the virus is reflected in the production of food products.**

**Access to food is related to pricing policy as well as logistics and redistribution. The spread of Covid-19 posed a threat here as well. First of all, prices for food products have risen, which is due to the rapid growth of demand in its time and then the further deepening of the deficit by reducing production. As for redistribution, in addition to the fact that transportation from country to country has decreased, as well as at the level of each customer, if we look at it, we will see that the more affluent families managed to buy large stocks so that others did not have enough left.They also had to buy at a higher price later, which of course reduces food access.**

**Food utilization means that the food must be in such a condition that the person can take it safely. Utilization affects all social strata of the population. In this case, creating supplies is not enough - forinstance, milk and dairy products, which has a shelf life. If one consumer buys much milk, it means that he may not be able to use it at all, the product may spoil, and this time again we come to the effect that the other won't use it and will have to pay more in the future.**

**All three of the above components are directly related in any force majeure situation, be it a pandemic, a war, a natural cataclysm or so on. Since we are now facing one of the most massive pandemics in the world, of course, states must work in a coordinated manner to adhere to these 3 criteria to maintain food security for the world population, or moderate decline.**

**One of the most important problems of food security is food independence. Based on the analysis of the food sustainability index, we can say that the situation of countries with high food index rates during the pandemic period is simpler, as they can respond adequately in a force majeure situation and protect citizens from food shortages.**

**The Food Sustainability Index is based on three main categories [9]: Food Loss and Waste, Sustainable Agriculture and Nutritional Challenges. High scores are given to countries that successfully implement reforms to maintain sustainable food security in the country. Therefore, the list of the most successful countries looks like this:**

| N | Country | Overall Score |
|---|---|---|
| 1 | France | 76.10 |
| 2 | Netherlands | 75.60 |
| 3 | Canada | 75.30 |
| 4 | Finland | 74.10 |
| 5 | Japan | 73.80 |
| 6 | Denmark | 73.50 |
| 7 | Czech Republic | 73.50 |
| 8 | Sweden | 73.40 |
| 9 | Austria | 73.30 |
| 10 | Hungary | 72.50 |

**The most unsuccessful countries, according to the index, are Russia (56.10), Bulgaria (54.50) and the United Arab Emirates (52.30).Unfortunately, in the case of Georgia, due to lack of data, it is not possible to calculate the index, as well as our neighbouring countries – Azerbaijan and Armenia. Ukrainian data is also unknown. As for Turkey, it is not in a good position (60.10) and lags behind the successful countries[9].**

**During the pandemic, various countries began restricting/banning the export of certain food products to ensure food security. The Russian state set limits on grain exports in April and decided to address the domestic demand for grain products. Ukraine stopped exporting buckwheat until July 1 to protect the local market, as well as imposed restrictions on wheat exports to prevent the price of bread from rising in the local market [7]. Vietnam, the world's third-largest rice exporter, stopped exporting rice in March and signed new contracts, which**

**benefited Thailand, the world's second-largest rice producer, and instantly secured the world market [4]. Rice exports were restricted by India and Cambodia as well.**

**Food security is also affected by other environmental factors caused by the spill over effect, for example, rising unemployment. Upon entering the active phase of the pandemic, the quarantine establishment left the self-employed or people working in the private sector completely vulnerable.Because as soon as the business was in danger and the demand decreased, people immediately lost their jobs, especially in the service sector. Consider the restaurant business as a simple example. Restaurants closed and thousands of people around the world were left without income, making food no longer available to them. In the short term, and if the economy starts to recover, people working in the public sector are relatively safe because they have maintained their monthly incomes.High urbanization also increases food security risks in Georgia and around the world. According to experts, urbanization will reach 65% by 2050 [3], that will further reduce food security. Even in densely populated urban environments, we can hardly find economic activities that promote food production, such as urban gardening [2].**

**Restrictions on food supply have led to rising prices for consumer products, which, of course, has a negative impact on the world population. According to the Food and Agriculture Organization of the United Nations on September 3, in parallel with the pandemic, food prices have been rising systematically for the past three months [6]. On the example of Georgia, according to the National Statistics Office, it is evident that there is a significant increase in prices for primary food products compared to the same month last year [9].**

| Product/month | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Rice | 100.37 | 102.11 | 104.68 | 107.64 | 112.92 | 116.83 | 115.52 | 115.26 |
| Buckwheat | 158.85 | 163.27 | 163.12 | 174.24 | 177.97 | 222.81 | 222.71 | 207.79 |
| Wheat flour | 115.09 | 117.33 | 117.60 | 121.19 | 117.49 | 117.09 | 114.60 | 110.57 |
| Pasta and pasta products | 108.10 | 106.25 | 110.69 | 114.96 | 124.07 | 124.26 | 122.84 | 121.94 |
| Condensed milk and milk-containing products | 106.10 | 109.51 | 114.73 | 119.98 | 125.42 | 129.42 | 124.19 | 125.02 |
| Apples | 150.34 | 148.21 | 161.55 | 177.24 | 185.65 | 196.57 | 158.68 | 137.02 |
| sunflower oil | 106.86 | 108.45 | 109.25 | 111.30 | 113.72 | 112.13 | 112.80 | 110.78 |
| Dried beans | 102.99 | 107.85 | 113.39 | 121.38 | 127.84 | 126.79 | 129.78 | 129.13 |
| Salt | 135.61 | 126.67 | 123.83 | 128.69 | 127.87 | 126.17 | 122.21 | 119.63 |
| Mineral water (non-carbonated) | 113.43 | 113.26 | 114.70 | 110.28 | 107.28 | 106.82 | 103.41 | 100.51 |
| Imeretian cheese | 123.17 | 129.77 | 128.71 | 137.35 | 142.09 | 127.88 | 123.84 | 118.71 |

**When we talk about the protection of the economy and the implementation of appropriate interventions by the state, we must mention that the mainstay of the theory of interventions is that it is possible to act purposefully on an economic event [1]. Proper formation of economic order is necessary for the conduct of rational economic policy, however, at the present stage, it is difficult for the state to make purely economic decisions since the main factor in decision-making is related not to economic but to health. The influence of Covid-19 makes it impossible to make purely economic decisions. Nevertheless, the state should take care to ensure the promotion of industries under pressure that will minimize the country's food security risks. Based on the above, the state should make a long-term outcome-oriented decision, which is reflected in the promotion of investment in the real sector of the economy.**

**References:**


1. Gvelesiani R., Gogorishvili I., Compliance of Economic-Political Decisions WithBasic Public Values, Tbilisi 2012;
2. Chitishvili N, Opportunities for The Implementation of Economic Policy of Environmental Protection in Urban Space, “Ekonomisti” Vol XIV, N2, Tbilisi 2018;
3. Kharaishvili E., Natsvilshvili I., Food Safety Challenges in Georgia and Agricultural Development Priorities in The Post-Coronavirus Period, Proceedings of materials of international scientific conference dedicated to the 115th birth anniversary of academician PaataGugushvili, Tbilisi 2020;
4. Melanie K., Vietnam’s Export Ban on Rice Causes A Ripple Effect
5. https://www.tridge.com/stories/vietnams-export-ban-on-rice-causing-a-ripple-effect (accessed 12/09/2020);
6. Leadership during the pandemic: What your municipality can do. Food security and livelihood. Food security in a pandemic.
7. https://www.paho.org/disasters/index.php?option=com_docman&view=download&category_slug=tools&alias=533-pandinflu-leadershipduring-tool-7&Itemid=1179&lang=en (accessed 12/09/2020);
8. Food and Agriculture Organization of the United Nations, Food Price Index, monthly release (03/09/2020) http://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/ (accessed 12/09/2020);
9. Trade restrictions on food exports due to the coronavirus pandemic
10. https://www.reuters.com/article/us-health-coronavirus-trade-food-factbox/trade-restrictions-on-food-exports-due-to-the-coronavirus-pandemic-idUSKBN21L332(accessed 12/09/2020);
11. Barilla Center for Food and Nutrition, The food sustainable index
12. https://foodsustainability.eiu.com/country-ranking/(accessed 12/09/2020);
13. National Statistics Office of Georgia, Consumer price index over the same month of the previous year
14. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia (accessed 12/09/2020).


# სასურსათო უსაფრთხოება პანდემიის პერიოდში – მსოფლიო და საქართველო


**ნიკა ჩიტიშვილი**

*თსუ-ის დოქტორანტი*



რ ე ზ ი უ მ ე

***სტატიაში გაანალიზებულია პანდემიის პერიოდში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის არსებობა და გადაჭრის გზები. ასევე, ნაჩვენებია სურსათის უზრუნველყოფის რისკები და შესაძლებლობები. კოვიდ19-მა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ხშირ შემთხვევაში სრულად შეცვალა ბაზრის სხვადასხვა სუბიექტის ქცევა. გლობალიზებულმა სამყარომ მომენტალურად დაიწყო ანტიგლობალიზებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება, რაც, უპირველესად, აისახება მოსახლეობის კეთილდღეობასა და ეკონომიკურ განვითარებაზე. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები ვერ იღებენ ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, ვინაიდან ეკონომიკა დამოკიდებული გახდა ჯანდაცვის სექტორზე. პანდემიის პერიოდმა კარგად წარმოაჩინა სასურსათო უსაფრთხოების, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის როლი. პოსტინდუსტრიულ ერაში სოფლის მეურნეობის წილი წარმოების მთლიან კალათაში არც ისე მაღალია და ქვეყნები, შედარებითი უპირატესობის გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში, ირჩევენ სასურსათო პროდუქტების იმპორტს, თუმცა კოვიდ19-ის გავრცელებამ აჩვენა, რომ შესაძლოა ეკონომიკის სხვა სექტორზე ორიენტირებული სახელმწიფოები, მომენტალურად დადგნენ სასურსათო პროდუქტების დეფიციტის წინაშე, რაც არა მხოლოდ წარმოებასთან, არამედ განაწილებასთანაც არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანია, მსოფლიოში იწარმოებოდეს საკმარისი ოდენობის***

*ჯანსაღი საკვები პროდუქტი და ყველას ჰქონდეს წვდომა საკვებზე. სტატიაში ახსნილია საკვების არსებობის, ხელმისაწვდომობის და უტილიზაციის საკითხები, რომელთა დაცვაც აუცილებელია მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, ასევე, განხილულია სასურსათო მდგრადობის ინდექსი, რომელიც გვაჩვენებს, თუ რომელი სახელმწიფოებისთვის არის შესაძლებელი ფორს-მაჟორული სიტუაციების შედარებით იოლად გადალახვა და მოსახლეობის საკვები პროდუქტებით ადეკვატური უზრუნველყოფა. გარდა ამისა, პანდემიის პერიოდში, საკვებ პროდუქტებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაიზარდა ფასები, მათ შორის, საქართველოშიც, რაც თავისთავად, უარყოფითად აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე.*

*საკვანძო სიტყვები: სასურსათო უსაფრთხოება, Covid19-ის გავლენა, განვითარების პრიორიტეტები, ეკონომიკური კრიზისი, კორონომიკა*

# მონეტარული სისტემის მეტამორფოზა თანამედროვე პანდემიის ფონზე

**მალხაზ ჩიქობავა**
***ეკონომიკის დოქტორი,***
***მაკროეკონომიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი,***
***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი***

*სტატიაში გაანალიზებულია მონეტარული სისტემის მეტამორფოზა გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის და, განსაკუთრებით, ბოლოდროინდელი პანდემიის ფონზე.*

*ბოლო წლებში განსაკუთრებულ ნოვაციად იქცა ცენტრალური ბანკების პოლიტიკა სახელწოდებით „რაოდენობრივი შერბილება". აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა, იაპონიის ბანკმა და სხვა ცენტრალურმა ბანკებმა მოიპოვეს შეუზღუდავი შესაძლებლობები სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების შესაძენად და ფულადი სფეროს ტრილიონობით დოლარით, ევროთი და იენებით გასაჯერებლად, რომლებიც უკვე არ იფარგლებიან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვით და აქტივებს კორპორაციული ფასიანი ქაღალდების, მათ შორის, აქციების შესყიდვით აფართოებენ. აღნიშნული ნოვაციები გამიზნულია დეგრადირებადი ეკონომიკების გადასარჩენად, თუმცა ჯერჯერობით სასურველი შედეგები არ ჩანს. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: სანამდე გასტანს ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისი და რამდენად შეძლებს ახალი ყაიდის რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკა ამ კრიზისის დაძლევას? საბაზისო საპროცენტო განაკვეთების პერმანენტული შემცირება ხომ არ უქმნის საფრთხეს თანამედროვე საბანკო სისტემის არსებობას?*

*აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულში განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემა გადააწყდა უსერიოზულეს პრობლემებს: საპროცენტო განაკვეთები აქტიური და პასიური ოპერაციების მიხედვით უკიდურესად დაბალი გახდა. გართულდა მოგების მიღება საპროცენტო ოპერაციების ხარჯზე, სულ უფრო მეტ როლს იძენს შემოსავლები საკომისიოს სახით. ზოგიერთ ქვეყნებში ბანკებმა დაიწყეს უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების დაწესება დეპოზიტებზე. ამან საერთოდ შექმნა საბანკო სისტემის რღვევის რისკი, ვინაიდან დეპოზიტები ფუნდამენტია, რომელზეც იგება უნაღდო ფულის წარმოების მექანიზმი კომერციული ბანკების მიერ. დღეს ძალზე ბევრი ნიშანია იმისა, რომ კაპიტალიზმი თავის ბოლო დღეებს ითვლის. ბოლო ათწლეულის პერმანენტული საბანკო კრიზისიც სწორედ ამას მოწმობს. მსოფლიო შედის პოსტკაპიტალიზმის ეპოქაში.*

*საკვანძო ტერმინები: ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, საბაზისო საპროცენტო განაკვეთი, უარყოფითი საპროცენტო განაკვეთი, პანდემია, ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისი, რაოდენობრივი შერბილება, პერმანენტული საბანკო კრიზისი, დეპრესია, პოსტკაპიტალიზმი.*

**ფულისა და ფინანსების სამყაროში ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე არა ერთი „რევოლუციური" ცვლილება მოხდა. გასული საუკუნის 70-იან წლებში საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა ოქროს სტანდარტი, აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ საბოლოოდ მოიპოვა სასურველი ოდენობის დოლარის ემისიის შესაძლებლობა. საჭირო იყო მხოლოდ „მწვანე ქაღალდზე" მოთხოვნის მხარდაჭერა ფინანსური ბაზრების გაბერვით, ახალი ფინანსური ინსტრუმენტების (დერივატივების) დანერგვით, პრივატიზაციის განხორციელებით და ნებისმიერი აქტივების თავისუფლად შესყიდვის მიზნით კაპიტალის ტრანსსაზღვრით მოძრაობაზე ყოველგვარი შეზღუდვის მოხსნით.**

**ბოლო წლებში განსაკუთრებულ ნოვაციად იქცა ცენტრალური ბანკების პოლიტიკა სახელწოდებით „რაოდენობრივი შერბილება". აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა, იაპონიის ბანკმა და სხვა ცენტრალურმა ბანკებმა**

მოიპოვეს შეუზღუდავი შესაძლებლობები სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების შესაძენად და ფულადი სფეროს ტრილიონობით დოლარით, ევროთი და იენებით გასაჯერებლად. შვედეთის, დანიის, იაპონიისა და შვეიცარიის ცენტრალურმა ბანკებმა თავიანთი საბაზისო საპროცენტო განაკვეთები ნულს ქვემოთ დაიყვანეს (მოგვიანებით შვედეთის ცენტრალურმა ბანკმა აღნიშნული განაკვეთი ნულამდე ასწია). იაპონიისა და შვეიცარიის ცენტრალური ბანკები უკვე არ იფარგლებიან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვით და აქტივებს კორპორაციული ფასიანი ქაღალდების, მათ შორის, აქციების შესყიდვით აფართოებენ. აღნიშნული ნოვაციები გამიზნულია დეგრადირებადი ეკონომიკების გადასარჩენად, რაც ქრონიკული ნარკომანის მიერ ნარკოტიკების სულ უფრო მზარდი დოზებით მიღებას ემსგავსება.

ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ჩვენ თვალწინ ვითარდება, მონეტარულ ხელისუფლებებს (ქვეყნების ხაზინას და ცენტრალურ ბანკს) უბიძგებს ეძიონ ეკონომიკების გადარჩენის ახალი „რევოლუციური" მეთოდები. სრული პროგრამითაა განახლებული „რაოდენობრივი შერბილება". სავარაუდოდ, გაგრძელდება საბაზისო საპროცენტო განაკვეთების შემდგომი შემცირება, რაც ცენტრალური ბანკების მიერ მაღალი ალბათობით მინუსების ზონაში მასობრივად გადასვლას არ გამორიცხავს. განსაკუთრებით საინტერესოა აშშ-ის მონეტარული ხელისუფლების ნოვაციები.

ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში ლარი კუდლოუმ მიმდინარე წლის 24 მარტს პრესკონფერენციაზე დაასახელა დახმარების მთლიანი თანხა, რომელსაც აშშ-ის ხელისუფლება გამოჰყოფს კორონავირუსთან საბრძოლველად - 6 ტრლნ დოლარი: ორი ტრილიონი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი პირდაპირი დახმარებაა, ხოლო 4 ტრილიონი - ფედერალური სარეზერვო სისტემის კრედიტების ხარჯზე მიღებული დამხარება[1].

ექვსი ტრილიონი აშშ-ის წლიური GDP-ის დაახლოებით 30%-ია. ამერიკაში არასოდეს ყოფილა ასეთი მასშტაბური ფულადი ინექცია. გასული საუკუნის 70-იან წლებამდე აშშ-ში ადგილი არც შეიძლება ჰქონოდა „რაოდენობრივი შერბილების" რაიმე სახის პროგრამას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მაშინ არსებობდა ოქროს სტანდარტი, რომლის დროსაც ამერიკის ცენტრალური ბანკის ფულადი ემისია იზღუდებოდა ოფიციალური ოქროს რეზერვებით. საბიუჯეტო ფულის შეუკავებელი გაცემაც ვერ მოხდებოდა - ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სისტემა, რომლის დროსაც აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო (აშშ-ის ხაზინა) შეძლებდა განსაკუთრებული პრობლემების გარეშე ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებას სახაზინო ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ვალდებულებების, სახაზინო ბილეთებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით.

პანდემიასთან ბრძოლის საბიუჯეტო ფული - 2 ტრლნ დოლარი - კონგრესის მიერ მიმდინარე ფინანსური წლისათვის (რომელიც დაიწყო 2019 წლის 1 ოქტომბერს) ფედერალური ბიუჯეტის შესახებ მიღებული კანონის ფარგლებში ფულადი საშუალებების გადანაწილების შედეგი როდია. ეს დამატებითი ხარჯია, ანუ ამერიკის ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა. 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონით დეფიციტი თითქმის 1 ტრლნ დოლარს აღწევდა. ჯერ კიდევ 2020 წლის იანვარში ფინანსთა სამინისტრო ვარაუდობდა, რომ დეფიციტი 1 ტრლნ დოლარს გადააჭარბებდა. ბოლოს ასეთი დეფიციტი დაფიქსირდა 2012 წელს. რეკორდული კი ამერიკის ისტორიაში იყო ბიუჯეტის დეფიციტი ბოლო კრიზისის - 2009 წლის შუაგულში, რომელმაც 1,4 ტრლნ დოლარი შეადგინა. თუმცა, დეფიციტი მოსალოდნელზე ბევრად მეტი აღმოჩნდა და 2020 წლის სექტემბრის ბოლოსათვის დაფიქსირდა ახალი რეკორდი - ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი 4,2 ტრლნ დოლარის ოდენობით![8].

ამერიკის 2 ტრლნ დოლარის პირდაპირი (საბიუჯეტო) დახმარებიდან ნახევარი (1 ტრლნ დოლარი) მოსახლეობას პირდაპირ ურიგდება, საიდანაც ათასი დოლარი ეძლევა ყოველ სრულწლოვანს, ხოლო 500 დოლარი - ყოველ არასრულწლოვანს. ასეთი გასაცემლები მოწოდებულია შეასრულოს სოციალური (ამერიკელებისადმი დახმარება, განსა-

კუთრებით ღარიბებისადმი) და ეკონომიკური (მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ამაღლება) დახმარება. საბიუჯეტო ფულის მეორე ნახევარი ხმარდება მცირე ბიზნესის მხარდაჭერას და უმუშევრობაზე შემწეობების პროგრამის გაფართოებას.

ფინანსთა მინისტრის სტივენ მნუჩინის სიტყვებით, ბიზნესისადმი დახმარების პაკეტი მოიცავს ათასობით კომპანიას 500 კაცამდე მუშაკით. კომპანიები მას მიიღებენ იმის სანაცვლოდ, რომ ივალდებულებენ მუშაკების შენარჩუნებას ორი კვირის განმავლობაში. მინისტრმა განაცხადა, რომ ბიზნესისადმი დახმარება შეეხება ამერიკის ეკონომიკის დაახლოებით 50%-ს და მუშაკთა დაახლოებით 80 მილიონს (ყველა დასაქმებულთა დაახლოებით ნახევარს).

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა მარტში მოქმედებდა არანაკლებ ოპერატიულად, ვიდრე ფინანსთა სამინისტრო. ღია ბაზრის ოპერაციების კომიტეტის ორ საგანგებო სხდომაზე მან მიიღო გადაწყვეტილება ისედაც დაბალი საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (ფედერალური ფონდების განაკვეთის) მკვეთრად შემცირებაზე. შედეგად, განაკვეთი ჯერ 0.5, შემდეგ 1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და დღეისათვის შეადგენს 0-0.25%-ს. ფაქტობრივად, ფული, რომელიც გაიცემა კრედიტების სახით, უფასო სესხად გვევლინება.

გასული წლის ოქტომბერში ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ დაიწყო რაოდენობრივი შერბილების ახალი რაუნდი. მარტის ბოლოს ახალი რაუნდის ფარგლებში მან შეისყიდა სახაზინო ფასიანი ქაღალდები, სულ მცირე, 500 მლრდ დოლარის ოდენობით, აგრეთვე იპოთეკური ქაღალდები 200 მლრდ დოლარის ოდენობით. 2020 წლისათვის ნავარაუდევია ფედ-ის აქტივების ზრდა 4,3-დან 5 ტრლნ დოლარამდე.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ფასიანი ქაღალდების შესყიდვისა და აქტივების გაფართოების წლიური გეგმა უკვე აპრილის პირველ ნახევარში შეასრულა. მან 23 მარტიდან დაიწყო სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა 75 მლრდ დოლარის ოდენობით ერთ დღეში, ხოლო იპოთეკური ქაღალდებისა - 50 მლრდ დოლარის ოდენობით დღიურად. კვირის (ხუთი სამუშაო დღის) განმავლობაში ჯამური შესყიდვები შეადგენდა 625 მლრდ დოლარს. ეს თანხა შესადარია ფედერალური სარეზერვო სისტემის რეზერვების ყველა აქტივის სიდიდესთან, რომელიც არსებობდა 2000-იანი წლების დასაწყისში. ამერიკული ცენტრალური ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ყოველდღიური შესყიდვები აპრილის პირველ კვირას 30-ჯერ აღემატებოდა რაოდენობრივი შერბილების მეორე პროგრამის მოქმედების პერიოდში არსებული შესყიდვების მოცულობას, ხოლო გასული წლის ოქტომბერში ამოქმედებული პროგრამის ფარგლებში არსებულ შესყიდვებს - 42-ჯერ! ერთი სიტყვით, სინამდვილეში რაოდენობრივი შერბილების მასშტაბები ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ფედერალური სარეზერვო სისტემა აცხადებდა. სახაზინო და იპოთეკური ქაღალდების შესყიდვის გარდა, ფედრეზერვმა განახორციელა კომერციული ფასიანი ქაღალდების - კორპორაციული ობლიგაციებისა და ვექსელების შესყიდვაც.

არსებობს სხვა ინიციატივებიც, კერძოდ, მარტში ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, როგორც საბანკო რეგულატორმა, მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება: კომერციული ბანკების და რეზერვების ნორმა 10 პროცენტიდან ნულამდე შეამცირა. სავალდებულო სარეზერვო ნორმის განულება მკვეთრად ამაღლებს მასშტაბური საბანკო კრიზისის ალბათობას. ეს უფრო მასშტაბურიც კი შეიძლება იყოს, ვიდრე 1929-1933 წლების რეცესია, როცა მთელი ამერიკული ბანკების თითქმის ნახევარი გაკოტრდა.

თუ შევაჯამებთ „რაოდენობრივი შერბილების" ზემოთ ჩამოთვლილ პოზიციებს, მაშინ ვღებულობთ ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ დაახლოებით 4 ტრლნ დოლარის სენსაციურ საკრედიტო მხარდაჭერის თანხას. როგორც ჩანს, ამ მხარდაჭერის დიდი ნაწილი კვალიფიცირდება, როგორც „საგანგებო დახმარება", ის არ გაიწელება წლის დასრულებამდე. მაგრამ სად არის გარანტია იმისა, რომ ამერიკის ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული ინექციები საკმარისი იქნება? აკი, არც ჯერომი

პაუელმა, არც ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს წევრებმა არ იციან, თუ სანამდე გასტანს პანდემია. მათ არ გააჩნია ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ უნდა გამოვიდნენ პანდემიით პროვოცირებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისიდან. საკრედიტო მხარდაჭერაზე გამოყოფილი ტრილიონობით დოლარი ვერაფრით შეძლებს გავლენა მოახდინოს ვირუსული პანდემიის მიზეზებზე და იმ აჟიოტაჟზე, რომელიც მის ირგვლივ წარმოიშვა.

ტრილიონობით დოლარის აღნიშნული მხარდაჭერა შეიძლება ძალიან ძვირი დაჯდეს ინექციების უზარმაზარი დოზის (ტრილიონობით დოლარის საკრედიტო მხარდაჭერის) გამო. როგორც ჩანს, დონალდ ტრამპს ეს ესმის. მან 24 მარტს ტელეარხ Fox News-ის ეთერში განაცხადა: „ჩვენ ვრისკავთ ქვეყნის განადგურებით"[2].

ერთი სიტყვით, ფინანსური დახმარების შეფარდებითი მაჩვენებლით ამერიკასთან შესადარია მხოლოდ გერმანია. დასავლეთის სხვა ქვეყნების დახმარებათა შეფარდებითი დონე ნაკლებია: იტალიაში ეს შეადგენს GDP-ის 20%-ს, დიდი ბრიტანეთსა და ესპანეთში - 16-16%-ს, საფრანგეთში - 14%-ს. ამასთან, ევროპული ქვეყნების მიერ გამოცხადებული დახმარებების მნიშვნელოვანი წილი შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ გარანტიებსა და ლიმიტებს კრედიტებზე. ციფრები საბოლოო არ არის. ამრიგად, აშშ-ში მთლიანი ფინანსური დახმარების 6 ტრლნ დოლარიდან დაახლოებით 2 ტრლნ დოლარი მოდის ფინანსთა სამინისტროზე, ხოლო 4 ტრლნ დოლარი - ფედერალურ სარეზერვო სისტემაზე. ფინანსთა სამინისტროს ფული გათვალისწინებულია კანონით, რომელსაც ხელი მოეწერა პრეზიდენტ ტრამპის მიერ მიმდინარე წლის 27 მარტს (The Coronavirus Aid, Relief and Economic Security [CARES] Act - კანონი კორონავირუსის პანდემიის შედეგების შერბილების, დახმარებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ). აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა სტივენ მნუჩინმა და ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარემ ჯერომი პაუელმა განაცხადეს, რომ წლის ბოლომდე აუცილებლობის შემთხვევაში ისინი დამატებით თანხებს გამოყოფენ.

ამჯერად ყურადღება მივაქციოთ ამ საკითხის არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მხარეს. მითითებული ასტრონომიული ფულადი თანხის ასათვისებლად გათვალისწინებულია სპეციალური მექანიზმების, კერძოდ, აშშ-ის მონეტარული ხელისუფლების ორი ინსტიტუტის ურთიერთქმედების ახალი სქემის შექმნით. ადრე ურთიერთქმედება ხორციელდებოდა შემდეგნაირად: ფინანსთა სამინისტრო (ხაზინა) ახდენდა თავისი სავალო ვალდებულებების (ობლიგაციების) ემისიას, რომელსაც ყიდულობდა ფედერალური სარეზერვო სისტემა. ამ უკანასკნელისგან ღებულობდა დოლარს საჭირო რაოდენობით. ობლიგაციებისა და დოლარების გაცვლის მოცულობები არსებითად გაიზარდა 2008-2009 წლების კრიზისის შემდეგ „რაოდენობრივი შერბილების" პროგრამის რეალიზაციის შედეგად. გასული წლის ბოლოსათვის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელთ არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი 2,54 ტრლნ დოლარს შეადგენდა. აღნიშნულმა სქემამ გააგრძელა მოქმედება და ოპერაციების მასშტაბები მის ფარგლებში გაიზარდა. ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ 23 მარტიდან დაიწყო სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა დღიურად 75 მლრდ დოლარის ოდენობით (პლიუს იპოთეკური ქაღალდები - დღიურად 50 მლრდ დოლარის ოდენობით), ე.ი. ერთი კვირის (ხუთი სამუშაო დღის) მანძილზე ფედერალური სარეზერვო სისტემის სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი 375 მლრდ დოლარით გაიზარდა. რაოდენობრივი შერბილების მესამე პროგრამის მსვლელობისას ფედრეზერვის მიერ სახაზინო ქაღალდების შესყიდვამ თვეში 50 მლრდ დოლარს მიაღწია. გასულ წელს აშშ-ის ფედრეზერვის აქტივები 4 ტრლნ დოლარზე ნაკლები იყო, ხოლო მიმდინარე წლის აპრილში მან 6 ტრლნ დოლარს გადააჭარბა.

ამჟამად, სახაზინო და იპოთეკური ქაღალდების ჩვეულებრივი შესყიდვის გარდა, ფედერალური სარეზერვო სისტემა მხარდაჭერის მიზნით აგრძელებს სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვას, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ ფინანსთა სამინისტროს შუამავლობით. ამისათვის შემოღებულ იქნა ახალი სქემა, რომელიც მოიცავს შემდეგ მექანიზმებს:

პირველი მექანიზმი - პირველადი ბაზრის კორპორაციული საკრედიტო ხაზი (Primary Market Corporate Credit Facility, PMCCF) - მოწოდებულია ახალი კორპორაციული ქაღალდების შესასყიდად ბაზარზე მათი პირველადი განთავსების დროს [9];

მეორე - მეორადი ბაზრის კორპორაციული საკრედიტო ხაზი (Secondary Market Corporate Credit Facility, SMCCF) - იმ ქაღალდების მხარდასაჭერად, რომლებიც უკვე მიმოიქცევიან ბაზარზე [9];

მესამე - უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების ვადიანი საკრედიტო ფონდი (Term Asset-Backed Securities Loan Facility, TALF), რომლის დანიშნულებაა საბანკო კრედიტებით უზრუნველყოფილი ქაღალდების შესყიდვა (ასეთ ოპერაციას ეწოდება საბანკო კრედიტების სეკურიტიზაცია). ბანკების კრედიტებს კი, თავის მხრივ, უნდა ჰქონდეთ უზრუნველყოფა გარანტიის ან გირაოს სახით. პირველ რიგში, საუბარი ეხება მცირე და საშუალო ბიზნესის კომპანიების კრედიტებს, რომლებიც უზრუნველყოფილია მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის გარანტიებით (SBA)[9];

მეოთხე მექანიზმი ფულადი ბაზრის ურთიერთფონდების ლიკვიდურობის ფონდია (Money Market Mutual Fund Liquidity Facility, MMLF). ის მოწოდებულია მუნიციპალური ხელისუფლების ფინანსურად მხარდასაჭერად (ფონდის მიერ მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების შესყიდვით) [9];

მეხუთე მექანიზმი კომერციული ქაღალდების დაფინანსების პროგრამაა (Commercial Paper Funding Facility, CPFF). ამ მექანიზმის მეშვეობით შეისყიდება ის ქაღალდები, რომლებიც არ ხვდება პირველი ოთხის სტანდარტში [9].

ყველაზე მთავარი, რაც გვაუწყა ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ და აშშ-ის ხაზინამ, არის ის, რომ თითოეული მექანიზმის ფარგლებში შეიქმნება სპეციალური დანიშნულების კომპანია (Special Purpose Vehicle, SPV). ამ SPV-ის დამფუძნებლად გვევლინება მთავრობა, რომელიც ბიუჯეტიდან გამოყოფს თანხებს თავდაპირველი კაპიტალის ფორმირებისთვის. SPV მიიღებს კრედიტებს ფედერალური სარეზერვო სისტემისგან ბაზარზე თავისი პროფილის ფასიანი ქაღალდების შესასყიდად. გათვალისწინებულია, რომ საკრედიტო მხარი (ლევერიჯი) იქნება 1:10-ზე. ე.ი., SPV-ის საწესდებო კაპიტალის ყოველ დოლარზე ცენტრალური ბანკი მზად იქნება, გასცეს კრედიტი 10 დოლარის ოდენობით. ზემონახსენებ CARES-ის კანონში 454 მლრდ დოლარი გამიზნულია SPV-ს კაპიტალიზაციისათვის; შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კრედიტების მაქსიმალური მოცულობა, რომლის მიღებაც შეუძლიათ ახალ კომპანიებს, აჭარბებს 4,5 ტრლნ დოლარს. მიახლოებით ასეთი სიდიდით იზომებოდა აშშ-ის ფედ-ის ყველა აქტივი 2020 წლის დასაწყისში[3].

ექსპერტები უკვე ახდენენ მონეტარულ ხელისუფალთა „რევოლუციური" ნოვაციების კომენტირებას. ეს რაღაცნაირად გვაგონებს ნაწილობრივ საბანკო დარეზერვებას. მრავალი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ფინანსთა სამინისტროს ყოველ ერთ რეალურ დოლარზე შესაძლებელი იქნება შეიქმნას ათი არც ისე რეალური (ვირტუალურიც კი) დოლარი. სხვათა შორის, ზოგიერთები თვლიან, რომ ფინანსთა სამინისტროს ამოსავალი დოლარი, რომელიც დაბანდებულია SPV-ს კაპიტალში, ასევე ვირტუალური იქნება, შექმნილი ჰაერიდან. აკი სულ უფრო მეტი წილი დოლარებისა აშშ-ის ფედერალურ ბიუჯეტში ეს არა გადასახადები, არმედ ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხებია. მართლაც, საიდან შეიძლება მოიტანოს მთავრობამ გამოცხადებული 2 ტრილიონ დოლარზე მეტი ოდენობის ფული ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველად? გასული 2019 წლის ფინანსურ წელს ფედერალური ბიუჯეტი დაყვანილ იქნა დაახლოებით 1 ტრლნ დოლარის დეფიციტამდე. მიმდინარე ფინანსურ წელს, კრიზისი რომც არ ყოფილიყო, დეფიციტი 1 ტრლნ დოლარზე ნაკლები მაინც არ იქნებოდა. ცნობილია, რომ ტრამპის ადმინისტრაცია გადასახადებს არ ზრდის. უფრო მეტიც, ის მას ადრე ამცირებდა ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით, ხოლო კრიზისის პირობებში ცდილობს მის კიდევ უფრო შემცირებას. აქედან გამომდინარე, მთავრობის 2 ტრლნ დოლარზე მეტი ოდენობის დანახარჯი ბიუჯეტის დეფიციტს, მინიმუმ, ამავე

სიდიდით გაზრდის. ეს კი ნიშნავს, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა დამატებით შეისყიდის სახაზინო ფასიან ქაღალდებს 2 ტრლნ დოლარზე მეტი ოდენობით.

გამოდის, რომ 2 ტრლნ დოლარის საბიუჯეტო დახმარება ჰაერიდანაა შექმნილი. წარმოიქმნება დახურული კონტური, რომელშიც მიმოქცევაში იქნება თითქმის მხოლოდ ვირტუალური ფული. ფინანსური ანალიტიკოსი სტივ სევილი (Steve Saville) ასეთ კომენტარს აკეთებს ახალ სქემასთან დაკავშირებით: „ყველაზე გიჟური აქ ისაა, რომ დოლარები, რომელიც მთავრობის მიერაა გადასროლილი ფედერალური სარეზერვო სისტემის SPV-ში, ადრე შექმნილია არაფრისგან ფედრეზერვის მიერ ხაზინის ფასიანი ქაღალდების მონეტიზაციის დროს. ე.ი., ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულს ქმნის ჰაერიდან, შემდეგ ეს ფული მიემართება მთავრობის ხელში, მთავრობა კი ამ ფულს ათავსებს ახალ SPV-ში და ფედერალური სარეზერვო სისტემა „კაპიტალის" ამ ინექციის საფუძველზე ქმნის ბევრად მეტ ფულს არაფრისგან"[4].

აღსანიშნავია, რომ აქამდე ფედერალურ სარეზერვო სისტემას კორპორაციულ ვალთან შეხება არ ჰქონია, ამჟამად კი ამითაა დაკავებული. ჯამური კორპორაციული ვალი აშშ-ში ფასდება 9,5 ტრლნ დოლარის ოდენობით. მათ დიდ ნაწილს ამჟამად დაბალი საინვესტიციო რეიტინგი გააჩნია, ხოლო ნაწილი კი კვალიფიცირდება, როგორც ტოქსიკური. SPV-ს შესყიდვის საქმიანობის დაგეგმილი მასშტაბების დროს მას აუცილებლად მოუწევს, თავის ბალანსზე დააგროვოს ტოქსიკური ფასიანი ქაღალდები. ამერიკელი ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ უკვე უახლოეს დროს SPV შეისყიდის არა მხოლოდ კორპორაციულ სავალო ფასიან ქაღალდებს (მათ შორის, ტოქსიკურს), არამედ ამერიკული კომპანიების აქციებს (როგორც ამას უკვე აკეთებს იაპონიისა და შვეიცარიის ცენტრალური ბანკები).

თითქოს ჩანს, რომ ასეთი პოლიტიკის დროს SPV განწირულია ბანკროტობისთვის, მაგრამ მთავრობა ამას არ დაუშვებს, გადაუგდებს რა მაშველ რგოლს ახალი ათობით და ასობით მილიარდი დოლარის სახით, რომელსაც ხაზინა სესხად მიიღებს ფედერალური სარეზერვო სისტემისგან. წარმოიქმნება ფინანსურ-საკრედიტო „მუდმივი ძრავი". თუმცა, ცხადია, რომ ასეთი სასწაული მანქანით მოძრაობა ილუზორულია. ადრე თუ გვიან ილუზიის სამყაროდან გარდაუვალი იქნება რეალურ სამყაროში გადმოსვლა, მაგრამ ამ დროისთვის რეალური სამყარო (რეალური ეკონომიკა) საბოლოოდ დანგრეული შეიძლება აღმოჩნდეს.

ახალი სქემა ასევე მოწმობს აშშ-ის მონეტარული ხელისუფლების ორი ინსტიტუტის - ფედერალური სარეზერვო სისტემისა და ხაზინის ძლიერ დაახლოებას. იგივე სტივ სევილი აღნიშნავს: „ამერიკული მთავრობა და ფედერალური სარეზერვო სისტემა მიაბიჯებს სათავეში, ხოლო ყოველგვარი სავარაუდო გამიჯვნა ამ ორი სტრუქტურისა იბინდება ან ქრება". და იქვე დასძენს: „...უკვე არავინ ფიქრობს, რომ თითქოს ფედერალური სარეზერვო სისტემა დამოუკიდებელია მთავრობისგან". ზოგიერთმა ამ ნოვაციას უკვე უწოდა ფედერალური სარეზერვო სისტემის „ნაციონალიზაცია". თუმცა არსებობს მეორე თვალსაზრისიც: ახალი სქემა უფრო გვაგონებს ამერიკული ხაზინის „პრივატიზაციას" ფულის გამგებლების ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენი აზრით, მეორე უფრო მართებულია. გარდა ამისა, ახალ სქემაში, გარდა ორი დასახელებული მონაწილისა, არსებობს მესამეც. ესაა BlackRock - მსოფლიოში უმსხვილესი ფინანსური ჰოლდინგი, საინვესტიციო ფონდი, რომელსაც მართვაში გააჩნია 27 ტრლნ დოლარის ოდენობის აქტივი და საკუთარი კაპიტალით მონაწილეობს მრავალი საკვანძო მნიშვნელობის ბანკისა და კორპორაციების კაპიტალში. კერძოდ, მას აქვს წილი უოლსტრიტის მრავალი ბანკის კაპიტალში. არ გამოვრიცხავთ, რომ ახალ კონსტრუქციაში BlackRock-ი აღმოჩნდეს ამ სამიდან უმთავრესი. მას დავალებული აქვს განახორციელოს სპეციალური დანიშნულების კომპანიის აქტივების მიმდინარე მართვა და ამ საპატიო ადგილის დაკავება მზის ქვეშ მას უბოძა კორონავირუსის პანდემიამ. BlackRock-ი უკვე სათავეში ჩაუდგება COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლას [9].

ყველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ისმის კითხვა: სანამდე გასტანს ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისი და რამდენად შეძლებს ახალი ყაიდის რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკა ამ კრიზისის დაძლევას? საბაზისო საპროცენტო განაკვეთების პერმანენტული შემცირება ხომ არ უქმნის საფრთხეს თანამედროვე საბანკო სისტემის არსებობას?

გასული წლის ბოლოს ცნობილმა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიამ McKinsey გამოსცა საბანკო სამყაროს მორიგი ყოველწლიური მიმოხილვა 2019 წლისათვის მიმზიდველი სათაურით: „The last pit stop? Time for bold late-cycle moves" (ბოლო გაჩერება? დრო გაბედული საბოლოო მოქმედებისათვის) [5].

ამ დოკუმენტის შეფასება და პროგნოზები ძალიან მკაცრი და შოკის მომგვრელია. 2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან ათი წლის შემდეგ შეიმჩნეოდა ბანკების ურყევი დასუსტება მთელ მსოფლიოში: საბანკო მოგება შემცირდა და ზარალშიც კი გადავიდა, კაპიტალის რენტაბელობა მკვეთრად დაეცა, საკრედიტო პორტფელების ზრდის ტემპები ჩამორჩებოდა GDP-ის ზრდის მოკრძალებულ ტემპებსაც კი. 2018 წელს მსოფლიო GDP-ის ზრდა ნომინალურ გამოხატულებაში 5,9%-ს შეადგენდა, გაცემული კრედიტები კი მხოლოდ 4,4%-ით გაიზარდა [5].

2008-2009 წლების კრიზისმა არ მიგვიყვანა ეკონომიკასა და ფინანსებში დარღვეული პროპორციების აღდგენამდე. ეკონომიკა შევიდა დეპრესიის მდგომარეობის ახალ ათწლეულში. ყველა ელოდებოდა ჩვეულებრივ გამოცოცხლებას, მაგრამ ის ვერა და ვერ დადგა. ცენტრალური ბანკები დღემდე ცდილობენ ეკონომიკის გაჯანსაღებას საბაზისო საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, რაც გარკვეულწილად ავადმყოფის მიმართ მორფის ინექციის მსგავსია: რამდენიმე ინექცია შეიძლება, მაგრამ პაციენტის მუდმივად ნარკოტიკებით ინექცირება დაუშვებელია.

ჩვენ კი ვხედავთ, რომ ათწლეულის მანძილზე ცენტრალური ბანკები ინარჩუნებდნენ საბაზისო საპროცენტო განაკვეთებს უკიდურესად დაბალ დონეზე. ზოგიერთმა ცენტრალურმა ბანკმა (დანიაში, შვედეთში, შვეიცარიასა და იაპონიაში) ის საერთოდ ნულს ქვემოთ დასწია. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა კი საკვანძო განაკვეთს ინარჩუნებდა 0-025%-ის დონეზე 2008 წლის ბოლოდან 2015 წლის ბოლომდე. გარკვეული ზრდის შემდეგ ის კვლავ 0-0,25%-იან ნიშნულამდე დაეშვა. 2016 წლიდან ევროპის ცენტრალური ბანკის საბაზისო საპროცენტო განაკვეთი უცვლელად იმყოფება ნულოვან ნიშნულზე. ყველაფერი ეს კეთდება ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად, მაგრამ ვიმეორებთ, გამოცოცხლება მაინც არ არის სახეზე. სამაგიეროდ საბანკო სისტემა გადააწყდა უსერიოზულეს პრობლემებს: საპროცენტო განაკვეთები აქტიური (საკრედიტო) და პასიური (სადეპოზიტო) ოპერაციების მიხედვით უკიდურესად დაბალი გახდა. გართულდა მოგების მიღება საპროცენტო ოპერაციების ხარჯზე, სულ უფრო მეტ როლს იძენს შემოსავლები საკომისიოს სახით. ზოგიერთ ქვეყნებში (შვეიცარია, გერმანია, ნიდერლანდები, დანია) ბანკებმა დაიწყეს უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების დაწესება დეპოზიტებზე. ამან საერთოდ შექმნა საბანკო სისტემის რღვევის რისკი, ვინაიდან დეპოზიტები ფუნდამენტია, რომელზეც იგება უნაღდო (სადეპოზიტო) ფულის წარმოების მექანიზმი კომერციული ბანკების მიერ. Deursche Bank-ის შეფასებით, ევროზონის საკრედიტო ორგანიზაციები უარყოფითი განაკვეთების გამო კარგავენ წლიურად რვა მილიარდ დოლარს. „ფაქტობრივად, ბანკები ისჯებიან თავისუფალი ფულადი რესურსების ცენტრალურ ბანკში დეპოზიტებზე შენახვისათვის", - აღნიშნულია McKinsey-ში.

McKinsey-ის მიმოხილვის თითქმის პირველსავე გვერდზე გამოკვეთილია კვლევის მიმზიდველი რეზიუმე: მსოფლიოში საბანკო ორგანიზაციის მხოლოდ 40% ქმნის ღირებულებას, 60% კი მას ანადგურებს. ეს ფრაზა იმას ნიშნავს, რომ ყველა ბანკის მხოლოდ ორ მეხუთედს გააჩნია მოგება, სამი მეხუთედი კი ზარალიანია. ამ უკანასკნელთ სრულ ბანკროტობამდე რამდენიმე წლის განმავლობაში შეუძლიათ ზარალის დაგროვება, მრავალი კი თავს ინარჩუნებს სანირების, ე.ი., ცენტრალური ბანკის ან სახელმწიფოს მხრიდან

ფულადი ინექციების ხარჯზე. დანაკარგები ვლინდება სრული სახით მხოლოდ ბანკროტობის ფაზაში და საბოლოო ჯამში ეკისრება მთელ საზოგადოებას (გადასახადების, მზარდი ინფლაციის, ბანკი-ბანკროტების კლიენტების პირდაპირი დანაკარგების მეშვეობით და ა.შ.).

McKinsey-ს მიმოხილვის მონაცემები, რომლებიც მოწმობს ბანკების მიერ შემოსავლიანობის დანაკარგებს, არ წარმოადგენს რაღაც მოულოდნელს. ყოველ მეორე ბანკს, ევროპის ცენტრალური ბანკის მონაცემებით, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE) უფრო დაბალი აქვს სააქციო კაპიტალის მოზიდვის ღირებულებაზე (Cost of equity). ეს ნიშნავს, რომ ბანკებისათვის პრობლემურია კაპიტალის ზრდა როგორც აქციების გამოშვების, ისე მოგების ხარჯზე.

ბანკების მიკუთვნება პირველი ან მეორე ჯგუფისათვის (რომლებიც ქმნიან და ანადგურებენ ღირებულებას) დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, უპირველესად, ბანკების ამა თუ იმ ქვეყნის კუთვნილებაზე. მაგალითად, აშშ-ში საბანკო კაპიტალის რენტაბელობა (მაჩვენებელი ROTE - return on tangible equity) 10 პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე ევროპულ ბანკებში. მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორიც, როგორიცაა ბანკების ზომა. ბანკების პირველ ჯგუფში დაახლოებით ნახევარი (მსოფლიოში ბანკების საერთო რიცხვის 20%) გამოიმუშავებს საბანკო სამყაროს მთელი მოგების ლომის წილს და თითქმის ყველა განეკუთვნება მსხვილი და უმსხვილესი ბანკების თანრიგს. რაც უფრო მეტია კაპიტალი და აქტივები, მით უფრო დაბალია რენტაბელობა. ამასთან, მიმოხილვის ავტორები აქ ამერიკის აღმოჩენას ნამდვილად არ ახდენენ. მსგავსი დამოკიდებულება ყოველთვის იყო, ის უნივერსალურია. საერთოდ, კაპიტალისა და კერძოდ, საბანკო კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესებზე ჯერ კიდევ კარლ მარქსი წერდა „კაპიტალში". წერდა ასევე გერმანელი სოციალ-დემოკრატი რუდოლფ ჰილფერდინგი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ფინანსური კაპიტალი", რომელიც 1910 წელს გამოიცა. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ნაშრომი მარქსის „კაპიტალის" შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან მარქსისტულ ნაშრომად ითვლება.

შეიძლება McKinsey-ს მიმოხილვის ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირად მოვახდინოთ, მაგრამ ცხადია, რომ მსოფლიოში ყველა ბანკის მინიმუმ ნახევარი განწირულია. რას ნიშნავს ბანკის სიკვდილი? ეს ბანკის სრული ლიკვიდაციაა მისი ბანკროტობის შედეგად, ან მისი შთანთქმა უფრო მსხვილი და კონკურენტუნარიანი ბანკების მიერ. ბანკების კონკურენტებს დღეს წარმოადგენს უკვე high-tech კომპანიებიც, რომლებიც იმუშავებენ ციფრულ ვალუტებსა და სერვისებს სწრაფი გადახდების განსახორციელებლად. ისინი იტაცებენ ბაზრებზე მილიონობით კლიენტებს, რომლებიც აქამდე სარგებლობდნენ ტრადიციული საბანკო მომსახურებით. დღევანდელი ბანკების ნაწილი ცდილობს, კონკურენცია გაუწიოს high-tech კომპანიებს, სხვები ამჯობინებენ მათთან ხელშეკრულების დადებას თანამშრომლობაზე, ზოგჯერ კი სახეზეა შერწყმა.

მიმოხილვის ავტორები ბანკებს მიანიშნებენ, რომ გადამჭრელი ქმედებისათვის დრო მათ სულ უფრო და უფრო მცირე რჩებათ, ვინაიდან მსოფლიო ეკონომიკაში მომწიფებულია მასშტაბური კრიზისის ყველა ნიშანი. მოხსენება გამოქვეყნებულ იქნა სამი თვით ადრე ე.წ. კორონავირუსის პანდემიის დაწყებამდე, რომელიც არ ყოფილა კრიზისის ფუნდამენტური მიზეზი, მაგრამ გახდა მისი ტრიგერი, აგრეთვე, კვამლის ფარდა, რომელიც ფარავს კრიზისული სიტუაციის წარმოშობის ჭეშმარიტ მიზეზებს.

„გადამჭრელი ქმედებების" ქვეშ მიმოხილვის ავტორებს ესმით, უკიდურეს შემთხვევაში, მოქმედების სამი სახე. ყველაზე მთავარი ახალ ტექნოლოგიებზე უფრო გაბედულად გადასვლაა, უპირველესად, ციფრულზე. გარდა ამისა, ბანკები უნდა გამსხვილდეს შერწყმის გზით. McKinsey ხაზს უსვამს: „მომავალში ზომები, როგორც ჩანს, უფრო მეტი მნიშვნელობის იქნება, ვინაიდან ბანკები უახლოვდებიან ტექნოლოგიურ გამალებულ შეიარაღებას". საბოლოოდ, ბანკებმა არ უნდა დააყოვნონ აუტსორსინგის უფრო ფართოდ

გამოყენება, ე.ი., სხვა ფირმებზე უმნიშვნელო ამოცანების გადაკისრება დანახარჯების შემცირებით.

არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც საფრთხეს უქმნის ბანკების არსებობას და რომელიც არ არის გათვალისწინებული McKinsey-ის მიმოხილვაში, მაგრამ რომლის მნიშვნელობა გაიზრდება ახლო მომავალში. ცენტრალურმა ბანკებმა მიმდინარე წელს მკვეთრად გაააქტიურეს თავიანთი ძალისხმევა ოფიციალური ციფრული ვალუტების შემოსაღებად. აქ ლიდერებად გვევლინება ჩინეთის სახალხო ბანკი, შვედეთის, სამხრეთი კორეის, ტაილანდის ცენტრალური ბანკები. ამ წელს ციფრულ რბოლაში ჩაერთო აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემაც. ცენტრალური ბანკების მიერ საკუთარი ციფრული ვალუტების შემოღების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ამ ვალუტებით ნაღდი ფულის ჩანაცვლებაა. ამით ცენტრალური ბანკები შეეცდებიან საბანკო სისტემაში გამოკეტონ ფიზიკური პირები, რომლებმაც დაიწყეს ფულის გატანა საბანკო დეპოზიტებიდან.

სხვათა შორის, ნაღდ ფულზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა ბანკების მხრიდანაც, რომლებიც ცდილობენ, ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე განთავსებული თავიანთი ფული გადაარჩინონ საპროცენტო გაუფასურებისგან მათი განაღდებით. ბანკებს საკუთარი სეიფები არ ჰყოფნით, ისინი სარგებლობენ სპეციალური საცავების მომსახურებით. განსაკუთრებით აშკარად ეს პროცესი შეინიშნება გერმანიაში, სადაც უკვე არასაკმარისია სპეციალურად აღჭურვილი სასაწყობო სათავსოები საბანკო ქეშების შესანახად. მას შემდეგ, რაც 2016 წელს ნულამდე იქნა შემცირებული ეცბ-ის საპროცენტო განაკვეთი, გერმანიის ბანკების ნაღდი ფულის მარაგები მკვეთრად გაიზარდა, 2019 წლის ბოლოსათვის ისინი გასამმაგდა და მან ისტორიულ რეკორდს მიაღწია - 43,4 მლრდ ევროს, გვაუწყებს Bloomberg [7]. ფიზიკური გამოხატულებით ეს 442 ტონაა 100-ევროიანი კუპიურებით, 800 ტონა - 50=ევროიანი კუპიურებით და 1,7 ათასი ტონა, თუ გამოვიყენებთ 20-ევროიან ბანკნოტებს.

თითქოსდა ქეშის ციფრული ვალუტით შეცვლის ღონისძიება განკუთვნილია კომერციული ბანკების სისტემის დაწყებული ნგრევის შესაჩერებლად. თუმცა ირკვევა, რომ ასეთმა „სამაშველო ოპერაციამ" შეიძლება გაანადგუროს კომერციული ბანკები კიდევ უფრო სწრაფად, ვინაიდან ისინი დაკარგავენ ცენტრალურ ბანკებსა და ფიზიკურ პირებს შორის დღემდე არსებულ შუამავლის ტრადიციულ ფუნქციას. ციფრული ფულის გამოშვება ქაღალდის ნიშნების (ბანკნოტების) სანაცვლოდ გულისხმობს, რომ ფიზიკური პირებისათვის ცენტრალურ ბანკში გაიხსნება სადეპოზიტო ანგარიში მოთხოვნამდე. კომერციული ბანკები ამ სქემაში ზედმეტი რგოლია.

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფილადელფიის სარეზერვო ბანკის მოხსენების - „Central Bank Digital Currency: Central Banking for All" (ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა: ცენტრალური ბანკი ყველასათვის?) - ავტორები[6].

მოსახლეობის მომსახურება შეიძლება მთლიანად გადავიდეს ცენტრალურ ბანკებზე, რაც თანამედროვე ადამიანისათვის უჩვეულოდ გამოიყურება. ფიზიკური პირიდან თითქმის არავის უწევს პირდაპირი კონტაქტი ჰქონდეს ცენტრალურ ბანკთან, მაგრამ ოფიციალური ციფრული ვალუტების შემოღების შემთხვევაში მათ მოუწევთ ამის გაკეთება. სხვათა შორის, ოდესღაც, შორეულ წარსულში ასეც იყო. მაგალითად, უძველეს ცენტრალურ ბანკში - ინგლისის ბანკში (რომელიც დაფუძნდა 1694 წელს) მისი საქმიანობის დასაწყისში იხსნებოდა მნიშვნელოვანი და მდიდარი მოქალაქეების ანგარიშები. ამბობენ, რომ ასე იყო აშშ-ის პირველ და მეორე ბანკში (რომლებიც არსებობდა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის პირველ ათწლეულში, ისინი იყვნენ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის წინამორბედები). ფილადელფიის ფედერალური სარეზერვო ბანკის მოხსენებაში არსებობს მინიშნება იმაზე, რომ კომერციულმა ბანკებმა თავიანთი დრო მოჭამეს, ხოლო ციფრულ ეპოქაში ყველა საკითხი, რომლებიც უკავშირდება ფულის ემისიას და მოსახლეობისა და ბიზნესის მომსახურებას, შეიძლება თავის თავზე აიღოს ცენტრალურმა ბანკმა. ციფრული ტექნოლოგია მას სავსებით მისცემს შესაძ-

**ლებლობას, მართოს ფიზიკური და იურიდიული პირების მილიონობით ანგარიშები [6]. McKinsey-ის მიმოხილვაში საუბარია კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის გარდაუვალობაზე კერძო საბანკო სექტორში, ანუ კერძო ბანკების რიცხვის მკვეთრ შემცირებაზე, ხოლო ფილადელფიის ფედერალური სარეზერვო ბანკის მოხსენება გვაუწყებს კომერციული ბანკების სრული გაქრობის შესაძლებლობას. ვფიქრობთ, რომ პირველი სცენარი ახლო მომავლის საქმეა. რაც შეეხება მეორე სცენარს, მისი რეალიზება შეიძლება მოგვიანებით. [5].**

**XX საუკუნის დასაწყისში მარქსისტებს შორის მიმდინარეობდა ცხარე დისკუსია კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის საკითხებზე და ეკონომიკის სხვა-დასხვა სფეროში მონოპოლიების შექმნაზე, მათ შორის, საბანკოს ჩათვლით. კარლ კაუცკი ვარაუდობდა, რომ ეს პროცესი გაგრძელდებოდა მანამ, ვიდრე არ დარჩებოდა ერთა-დერთი ორგანიზაცია თავის სექტორში - ზემონოპოლია (ბროშურა „ულტრაიმპერია-ლიზმი“, 1914 წ.). გერმანელს მხედველობაში ჰქონდა აბსოლუტური მსოფლიო მონოპოლია. ლენინმა ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ (1916 წ.) მკვეთრად გააკრიტიკა კაუცკის ეს პოზიცია. მისი აზრით, ვიდრე მონოპოლიზაცია ავა თავის უკიდურეს წერტილამდე (აბსოლუტური მონოპოლიის შექმნამდე), კაპიტალიზმის წინააღმდეგობა მიაღწევს ისეთ სიმწვავეს, რომ ის გასკდება [10].**

**მოასწრებს თუ არა საბანკო კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი მიაღწიოს ისეთ სტადიას, როცა ყველა კომერციული ბანკი გაქრება და დარჩება მხოლოდ ერთი ბანკი, რომელსაც ცენტრალური ეწოდება? თანაც არა ერთი სახელ-მწიფოს ფარგლებში, არამედ გლობალური მასშტაბით („მსოფლიო ცენტრალური ბანკი“)? ან, იქნებ, ეს არ მოხდება იმ მიზეზის გამო, რომ კაპიტალიზმი ნამდვილად მოასწრებს გასკდომას? დღეს ძალზე ბევრი ნიშანია იმისა, რომ კაპიტალიზმი თავის ბოლო დღეებს ითვლის. ბოლო ათწლეულის პერმანენტული საბანკო კრიზისიც სწორედ ამას მოწმობს. მსოფლიო შედის პოსტკაპიტალიზმის ეპოქაში.**

ლიტერალურა:


1. https://www.nationalreview.com/news/coronavirus-relief-white-house-adviser-larry-kudlow-projects-aid-package-to-reach-roughly-6-trillion/
2. https://edition.cnn.com/2020/03/24/politics/trump-easter-economy-coronavirus/index.html
3. https://www.brookings.edu/research/explaining-the-new-fed-treasury-emergency-fund/
4. https://tsi-blog.com/2020/03/mmt-is-now-a-reality/
5. https://www.mckinsey.com/pl/~/media/McKinsey/Locations/Europe%20and%20Middle%20East/Polska/Raporty/Global%20Banking%20Annual%20Review%202019/McKinsey-Global-Banking-Annual-Review-2019.pdf
6. https://www.philadelphiafed.org/-/media/research-and-data/publications/working-papers/2020/wp20-19.pdf
7. https://www.bloomberg.com/news/articles/2020-01-31/german-banks-are-hoarding-so-many-euros-they-need-more-vaults
8. https://www.fondsk.ru/news/2020/03/26/denezhnye-vlasti-ssha-reshili-ustroit-pir-vo-vremja-chumy-50453.html
9. https://www.fondsk.ru/news/2020/04/18/novaja-shema-vzaimodejstvija-dvuh-institutov-denezhnoj-vlasti-ssha-50668.html
10. https://www.fondsk.ru/news/2020/07/15/grjaduschaja-smert-bankov-51373.html

# Metamorphoses of the monetary system against the background of a modern pandemic

**Malkhaz Chikobava –**
***PhD in Economics***
***Associate professor of***
***department of macroeconomics***
***Ivane Javakhishvili Tbilisi State University***

Summary

**The article analyzes the metamorphosis of the monetary system in the context of the global financial and economic crisis and especially against the background of the recent pandemic. In recent years, a particular innovation has been a central bank policy called quantitative easing. The US Federal Reserve, European Central Bank, Bank of Japan and other central banks have unlimited opportunities to buy government debt securities and saturate the monetary sphere with trillions of monetary units that are no longer limited to government securities. Including expansion through the purchase of shares. These innovations are aimed at rescuing degrading economies, although the desired results have not yet been observed. Hence the question: how long will the virus-economic crisis last and to what extent will the new quantitative easing policy be able to overcome this crisis? Does the constant decline in key interest rates threaten the existence of the modern banking system?**

**It is noteworthy that in the last decade, the banking system of developed countries has faced the most serious problems: interest rates on active and passive transactions have become extremely low. It has become more difficult to profit from interest-bearing transactions, and commission income is becoming more important. In some countries, banks have begun setting negative interest rates on deposits. As a rule, this created a risk of disruption to the banking system, since deposits are the foundation on which the mechanism for receiving non-cash money by commercial banks is built. There are so many signs today that capitalism is considering its last days. The permanent banking crisis of the last decade proves this.**

***Keywords:*** **Financial and economic crisis, base interest rate, negative interest rate, pandemic, viral-economic crisis, quantitative easing, permanent banking crisis, depression, post-capitalism.**

# წმინდა გრიგოლ ხანძთელი, როგორც მენეჯერი

**ნიკოლოზ ჩიხლაძე**
*ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი,*
*თეოლოგიის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი,*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

**პაატა კოღუაშვილი**
*ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება სხვადასხვა ეპოქაში მრავალმხრივ შეისწავლეს ქართველმა მეცნიერებმა. წარმოდგენილ ნაშრომში კვლევის ვექტორი მიმართულია წმინდანის მოღვაწეობაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, მის მენეჯერულ უნარ-ჩვევებს უკავშირდება. ნაშრომში განხილულია ღირსი მამის მიერ რესურსების (შრომა, მიწა, კაპიტალი) შერწყმის და ტრადიციულ მენეჯმენტში არსებული მართვის ხუთი ძირითადი ფუნქციის შესრულების უნარი. წმინდა გრიგოლ ხანძთელი წარმოგვიდგება როგორც დიდი მენეჯერი, შრომისა და ლოცვის შეთანამწყობი, ჩინებული ორგანიზატორი და ქრისტეს დიდი მხედარი.*

*საკვანძო სიტყვები:* მენეჯმენტი, ლოგისტიკა, მშენებლობა, კოორდინაცია, რესურსები.

**საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიას მრავალი წმინდანი ამშვენებს, რომელთა შორის ბრწყინვალე ადგილი უჭირავს წმინდა გრიგოლ ხანძთელს (759-861), რომელიც იყო „ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი“.**

**1845 წელს ლექსიკოგრაფმა ნ. ჩუბინაშვილმა პალესტინაში, ჯვრის მონასტერში მიაკვლია XII საუკუნით დათარიღებულ ხელნაწერს - გიორგი მერჩულეს ჰაგიოგრაფიულ თხზულებას „შრომა და მოღუაწეობა ღირსად-ცხოვრებისა გრიგოლისი არხიმანდრიტისა, ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლისა და მის თანა მრავალთა მამათა ნეტართა“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“), რომელიც დაწერილია 951 წელს. 1902 წელს ნიკო მარმა ეს ხელნაწერი აღწერა და მეცნიერულად გამოსცა [1].**

**ჯერ კიდევ VIII საუკუნის ნახევარში,?? ე.ი. სულ 10-20 წლის შემდეგ, როდესაც მურვან-ყრუს ლაშქარმა ცეცხლითა და მახვილით გაიარა შავშეთ-კლარჯეთში, კლარჯეთში დაარსებულა პირველი სამონასტრო კოლონია ძველ ქართულ ცენტრში - ოპიზაში. ამის შემდეგ, VIII საუკუნის 80-იან წლებში წმინდა გრიგოლმა და მისმა თანამოაზრეებმა დიდი შრომა გასწიეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნის აღორძინებისათვის დაწყებულ მუშაობაში [2, გვ.46]. მათი საქმიანობა განისაზღვრა ახალი მონასტრების დაარსებით და ძველების განახლებით. სწორედ ამ სავანეებიდან გამოსულმა დიდმა მოღვაწეებმა დააარსეს კულტურისა და სულიერების კერები ბიზანტიაში, პალესტინაში, სირიასა და ათონის მთაზე.**

**ნაწარმოებიც და წმინდანის ცხოვრებაც სხვადასხვა ეპოქაში მრავალმხრივ შეისწავლეს ქართველმა მეცნიერებმა. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ და კვლევის ვექტორს მივმართავთ წმინდანის მოღვაწეობაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, უკავშირდება მის მენეჯერულ უნარ-ჩვევებს.**

**სამეურნეო საქმიანობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს შრომა. შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო საქმიანობა, ფაქტობრივად, შრომითი საქმიანობაა. მართალია, სიცოცხლე ღვთსაგან ბოძებულია, მაგრამ მეურნეობაში მისი შენარჩუნება შრომით ხდება. წმინდანთა ცხოვრებისეული მაგალითები გვიჩვენებენ, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭე-**

ბენ ისინი ლოცვისა და შრომის შეთავსებას, შრომით მადლს. შრომა და ლოცვა გარდაუვალია სასუფევლის მოპოვების გზაზე [3, გვ. 76].

ღირსმა მამამ კარგად იცის, რომ სასუფევლის მოპოვება შეუძლებელია დაუღალავი შრომისა და ლოცვის გარეშე, რაც ბერ ხუედიოსთან საუბარშიც იკვეთება: „და შენ მოგცეს შრომათა შენთა წილ სასუფეველი ცათაჲ სიტყვისაებრ მოციქულისა, ვითარმედ: „სასყიდელი იგი მოქმედსა მას შეერაცხების არა თუ მადლით, არამედ თანანადებით“ [4, თ. 6].

წმინდა გრიგოლ ხანძთელი იზრდებოდა „ქართლის ერისმთავარ“ ნერსე მეორის (მერვე საუკუნის მეორე ნახევარი, ვიდრე 781 წლამდე) კარზე. ეს „კარი სამეუფო“ გარს იკრებდა იმდროინდელ ქართულ განათლებულ წრეებს [4, თ. 2]/ აქ წმინდანმა ბრწყინვალე განათლება მიიღო: „მსწრაფლ დაისწვლა დავითი და ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღვროჲ, ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაი და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწვართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილადნ [4, თ. 2]. ამდენად, ღირსმა მამამ შეიძინა როგორც სასულიერო, ისე საერო განათლების მარგალიტები.

წმინდა გრიგოლი ახალგაზრდობიდანვე შეუდგა ეკლესიათა და სავანეთა მშენებლობის საქმეს. მისი საქმიანობა თავიდანვე იყო ღვთისგან კურთხეული, რის გამოც, უფლის შეწევნით, შედარებით მცირე პერიოდში არნახული სამუშაოების ჩატარება შეძლო. გავიხსენოთ წმინდა გაბრიელ სალოსი, რომელსაც თვით უფალი ეხმარებოდა ეკლესიის მშენებლობაში: „დამხმარე რომ არავინ მყავდა, უფალმა თავად მოიღო მოწყალება და ვედროები თავისით მოძრაობდნენ, მე არაფერ შუაში ვარო”. [5, გვ. 19].

ღირსმა მამამ იტვირთა საძმოს მეთაურის, აღმშენებლობის პროცესთა მენეჯერის როლი, რაც, უპირველესად, გამოხატება ძირითადი რესურსების - შრომის, მიწის და კაპიტალის შერწყმის გასაოცარ უნარში. შესანიშნავად ესმოდა ღირს მამას წმინდა წერილის შეგონება, რომ „საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით, რადგან როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე, რწმენაც მკვდარია საქმეთა გარეშე” (იაკ. 2,24-26).

სამუშაო ძალა იყო საკმაო: „და დღითი დღე აღორძინდებოდეს ძმანი, რამეთუ შეეძინებოდეს უფალსა მუშაკნი მეათერთმეტისა ჟამისანი მოქმედად ჭეშმარიტსა მას ვენახსა და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა“ (4, თ. 7). თუმცა, ეკლესიათა აღმშენებლობის პროცესს ენთუზიაზმის გარდა, კვალიფიციური სამუშაო ძალაც ესაჭიროებოდა (ინჟინერი, ხურო, მჭედელი, მხატვარი და ა.შ.). ამიტომ ასეთი კვალიფიციური მუშახელიც იყო მოსაძებნი და მოსაზიდი. ამ ეპოქაში სამუშაო ძალის ბაზარი განუვითარებელია, თუმცა სამუშაო ძალა მოთხოვნა-მიწოდების საგნად არის ქცეული (არ ვგულისხმობთ ბერ-მონაზვნობას, რომლებიც საკუთარი სურვილით იყვნენ ჩართული აღმშენებლობის პროცესში). სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა საჭიროების შემთხვევაში მისი შეძენის შესაძლებლობა: „და ყოველი სასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი“ [4, თ. 28].

დამპყრობელი არაბები საქართველოში VIII საუკუნიდან თავის მონეტას ჭრიდნენ, რაც ფულზე მოთხოვნილებას ადასტურებს. VIII-X საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად, არაბული მონეტა იყო მიმოქცევაში, ხოლო დასავლეთ საქართველოში - ბიზანტიური. X საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიზანტიური სპილენძის მონეტები უკვე აღმოსავლეთ საქართველოშიც გვხვდება. ასევე ჩნდება დავით დიდი კურაპალატისა და ბაგრატ მესამის მონეტებიც [6, გვ. 273]. სხვადასხვა მონეტების ბრუნვა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას და ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობას ადასტურებს.

ამ პერიოდში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა საკმაოდ განვითარებული უნდა ყოფილიყო. ამიტომ სამონასტრო მშენებლობები და მათი თანმხლები საქმიანობა, შეიძლება ითქვას, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ნაწილი იყო. როგორც ნაწარმოებშია აღნიშნული, „ხოლო ხელმწიფენი კეთილად მსახურნი შრომასა მათსა თანა-

**მონაწილე იქმნებიან საფასეთა უხვად მიცემითა, ვითარცა ესე დღეს დიდებულებამან შენმან მეფობამან განამდიდრა სიგლახაკე ჩვენი ფრიადითა კეთილითა“ [4, თ.22].**

**კაპიტალი, ანუ შრომის იარაღები, იყო ძირითადად მექანიკური და მარტივი კონსტრუქციის. საჭიროების შესაბამისად, შესაძლებელი იყო მათი ადგილზე დამზადებაც: „რამეთუ არა აქვნდა მათ ცული და წერაქვი, არცა სხვაჲ ეგევითარი სახმარი, არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა ხელთა მათთა, და თანაშემწე იქმნნეს ყოვლითა სახმარითა და ხორცთა საღვაწითა“ [4, თ.7]. სამშენებლო მასალების გადაზიდვასაც ტიტანური ფიზიკური შრომა ჭირდებოდა და ხშირად ტექ-ნიკისა და პირუტყვის დახმარების გარეშე ეზიდებოდნენ: „ხოლო ქვაჲ და კირი ფრიად შორით მოაქვნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა“ [4, თ. 28].**

**მიწის რესურსი - ანუ საეკლესიო აღმშენებლობისა და საეკლესიო ცხოვრებისათვის განკუთვნილი ადგილები, ასევე ითვალისწინებს სახნავ-სათეს სავარგულებს და კელიების (სენაკებისათვის) საჭირო ადგილების შერჩევა-გამწესებას: „და ესრეთ ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ და ხევნებისა, და წყალთა მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა. და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქვეყანაჲ, არცა ყანაჲ სახნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისლვაჲ აქვს კარაულისა ზურგითა. და მცირედ ვენახნი ჭირით და ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები. ხოლო მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხვი“ [4, თ.22]. საეკლესიო ადგილები ნიადაგის მოსწორებას მოითხოვდა, რაც ასევე დამატებით მუხჩაუხრელ შრომას მოითხოვდა მიწის რესურსის სათანადო კონდიციამდე მისაყვანად: „და ერთობით ჯვარი დასწერეს ადგილსა მას და იწყეს საქმედ სენაკებისათვის ქვეყანისა დავაკებად, რამეთუ კლდეჲ იგი ხანძთისაჲ უფიცხლეს არს უფროჲს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა“ [4, თ.7].**

**სურათი 1**

კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარე [2, გვ.345].




**წმინდა გრიგოლისა და მისი საძმოს სამოღვაწეო ასპარეზი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა (იხ. სურ. 1). რთული გარემო პირობებიდან გამომდინარე მაღალი ხარჯების გამო მას დამატებითი სახსრების (რესურსების) მოძიებაც არაერთხელ მოუხდა.**

**ამ ეპოქაში შედარებით განვითარებული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გამო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეკლესიათა აღმშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესისათვის გარკვეული მარტივი ლოგისტიკური ჯაჭვი მაინც იარსებებდა.**

**ნახაზზე წარმოდგენილია ეკლესიათა აღმშენებლობის პროცესში არსებული, მატერიალურ ნაკადზე ორიენტირებული ლოგისტიკური ჯაჭვის მარტივი მოდელი (იხ.**

ნახ.1). იგი მოიცავს მზა პროდუქციის მწარმოებელს (ძირითადად, სამშენებლო მასალები, ლითონის ნაკეთობანი, კვების პროდუქტები), მომხმარებელს (მყიდველს) და ლოგისტიკურ შუამავალს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიზიდვას მომხმარებელთან.

**ნახაზი 1**

**მარტივი ლოგისტიკური ჯაჭვი**




ეს საქმიანობა მენეჯერისაგან მოითხოვს დიდ ცოდნას და უნარებს, სწორად შეაფასოს და დაგეგმოს პროცესები, კერძპოდ, ისეთი მნიშვნელოვანი ოპერაციების ცოდნა, როგორიცაა საჭირო საქონლისა და ნედლეულის მოცულობის დადგენა, შეკვეთის შესახებ ინფორმაციის მომზადება, მზა პროდუქციის მიღება, ანგარიშსწორება სხვადასხვა ოპერაციისათვის. ბუნებრივია, საეკლესიო აღმშენებლობის პროცესში, როცა ერთდროულად რამდენიმე სამონასტრო კომპლექსი შენდება, ამ ოპერაციების დაგეგმვასა და რეალიზებას განსაკუთრებული მენეჯერული მომზადება ჭირდება.

ტრადიციულ მენეჯმენტში გამოიყოფა მართვის 5 ძირითადი ფუნქცია: [7, გვ. 98]

- დაგეგმვა;
- შრომის ორგანიზება;
- განკარგულების გაცემა, როგორც ლიდერის ხელოვნება;
- კოორდინაცია;
- კონტროლი.

1. დაგეგმვა არსებითად მნიშვნელოვანი საფეხურია მენეჯმენტში. იგი შემდეგი მმართველობით საქმიანობებს მოიცავს: რესურსების განაწილება; გარემოსთან ადაპტაცია; შიდა კოორდინაცია და სტრატეგიის განსაზღვრა [8, გვ. 30]. წმინდა გრიგოლს უნდა დაეგეგმა რესურსების (შრომის, მიწის, კაპიტალის) განაწილება მის ქვედანაყოფებსა და განსახორციელებელ ქმედებებს შორის. ასევე, ლოგისტიკური არხები და მიწოდების იაფი საშუალებები. საძმოს ფინანსური რესურსი უაღრესად შეზღუდული იყო და ფულის ყველა ერთეულის ეფექტიანად ხარჯვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: „და ესრეთ კეთილად ცხონდებოდეს ისინი სულიერად, ხოლო ხორციელად დიდსა იწროებასა იყვნეს“ [4, თ. 8].

2. შრომის ორგანიზება უკავშირდებოდა ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: სამუშაო გარემო, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკა და სირთულე, ასევე, მუშაკთა გადანაწილება კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების მიხედვით, ლოცვითი და შრომითი კანონების შეთანაწყობა და ჰარმონიზება. არცთუ იშვიათად საჭირო იყო სამშენებლო მოედნის წესრიგში მოყვანა, დავაკება და სხვა დამატებითი სამუშაოები, რაც მწირი ტექნიკის პირობებში ტიტანურ შრომას უკავშირდებოდა: „ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიოჲ დაავაკა“ [4, თ. 10] ან კიდევ „რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქვითკირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს და ესრეთ შეჰრაცხეს შემზადებაჲ ადგილისაჲ მის, ვითარმცა სრულიად აღეშენა“ [4, თ.28].

ქრისტესთვის გულანთებული ადამიანების ნაკლებობა ნამდვილად არ იყო, რაც სამუშაო ძალის მიწოდებასაც განსაზღვრავდა: „მას ჟამსა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა, და ესრეთ განმრავლდეს მსახურნი წმიდისა სამებისანი და მარადის მადიდებელნი“ [4, თ. 10]. თუმცა კვალიფიციური მუშაკების (ხურო, მჭედელი, მხატვარი და სხვა) მოძიება, მათთან ზეპირი შეთანხმების (ხელშეკრულების) გაფორმება და განაწილება სხვადასხვა

ადგილზე ისე, რომ მოცდენა მინიმალური ყოფილიყო, ასევე დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. სავარაუდოდ, ღირსი მამა ადამიანებთან დამოკიდებულებას, მათ შეცნობას, შეიძლება ითქვას, საღვთო და საერო საქმეში კადრების შერჩევის თავისებურ სისტემად იყენებდა: „და რომელი პოვის სიტყვაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკვალი განაგდის“ [4, თ. 2].

3. განკარგულების გაცემა ერთგვარი ხელოვნებაა მმართველისათვის. კარგად აღზრდილი წმინდა გრიგოლი ამასაც მშვენივრად ახერხებდა, რამდენადაც „სიტყვაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა“ [4, თ. 2]. ადამიანთა სიმრავლის გამო, ვისთანაც საქმიანობაში უხდებოდა ურთიერთობა, რთულდებოდა თავიდანვე მათი შეცნობა. შეიძლება ითქვას, იგი გარკვეულ გამოსაცდელ ვადას უწესებდა საძმოში მოსულ ადამიანებს. ეს მათთვისაც ერთგვარად მისაღები და სამართლიანი ფორმა იყო: „ხოლო მამაჲ გრიგოლ არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა, არამედ პირველად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილსა საქმესა და, უკეთუ იპოვის გულითა უმანკოჲ, უზაკველი და უდრტვინველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეთილსა საქმესა, იგი შეიწყნარის სიხარულით. ამისთვისცა ყოველნი მოწაფენი მისნი კეთილ იყვნეს ფრიად და ღირსად შემწყნარებელ სათნოებათა მისთა წმიდათა“ [4, თ. 8]. ამავე დროს, ღირსი მამა ჩინებული ორატორია, შესანიშნავად აწარმოებს მოლაპარაკებებს მეფეებთან, მთავრებთან, სხვა სასულიერო და საერო პირებთან, სწრაფად აგვარებს კონფლიქტებს.

4. მამა გრიგოლი კოორდინირებას უწევს მასშტაბურ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში. ახდენს სამუშაოთა განაწილებას, ფინანსური საშუალებების მოძიებას (თხოვნით მიმართავს მეფეებსა და დიდგვაროვნებს, რასაც ისინი უმალვე აღასრულებენ), რესურსების გონივრულ, ეფექტურ შერწყმას. თანაც, ეს უკანასკნელი ზედმიწევნითი სიფაქიზით უნდა მოხდეს. როგორც გაბრიელ დაფანჩული ბრძანებს, სასიკეთოდ უნდა შეერწყას საერო და სასულიერო პირთა ღვაწლი - „ხორციელი კეთილი და სულიერი კეთილი“, რაც ყოველთვის არის სინერგიული ეფექტის მომცემი.

საქმიანობის პროცესში, დროისა და შესაძლებლობების შეზღუდულობის გამო, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უფლებამოსილებათა დელეგირებას, ანუ ამოცანებისა და დავალებების გადანაწილებას საერთო მიზნის მისაღწევად. ამ მხრივ, წმინდანს გამორჩეულად უდგანან გვერდში საბა, თეოდორე და ქრისტეფორე: „და ესევითარსა კეთილსა განზრახვასა და გზავნასა მისსა პოვნა მოყვასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტეს მადლისაჲთა: საბა, რომელსა ეწოდა საბან, დედის დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ებისკოპოსი მისი, და თევდორე, ნეძვისა მაშენებელი და მამაჲ, და ქრისტეფორე, კვირიკეთისა მაშენებელი და მამაჲ“ [4, თ.5]

ნეტარმა მამამ კარგად უწყოდა, რომ ამ უცხო და მიუვალ მხარეში ერთბაშად ვერ ააგებდა ქვიტკირის ეკლესიას. ამიტომ პირველად მან მოამზადა ნიადაგი დიდი მშენებლობისათვის. ღვთისმსახურებაში ხელი რომ არ შეშლოდათ და „მოუკლებლივ ელოცათ“, ხის ეკლესია ააგო და იზრუნა სულიერი ძმებისთვისაც, რომ სენაკები ჰქონოდათ: „ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ და შემდგომად საყუდელი თვისი და თითო სენაკები ძმათა მათთვის მცირეჲ და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი“ [4, თ. 7]

5. კონტროლი საქმიანობის აუცილებელი პირობაა. მწირი რესურსების პირობებში კონტროლი განსაკუთრებით საჭიროა არა იმიტომ, რომ ძმები რაიმეს გაფლანგავენ, არამედ ამ რესურსებისაგან მაქსიმალური უკუგების მისაღებად. წმინდანი ზრუნავს როგორც ეკლესიათა აღშენებისათვის, ასევე, სულიერი შვილებისთვისაც. იგი დიდ გზას გაივლის და კეთილი განზრახვით (სამონასტრო მშენებლობისათვის) აფხაზეთში წასულ თეოდორე და ქრისტეფორეს აბრუნებს.

ამრიგად, შევეცადეთ, წარმოგვედგინა ღვაწლით შემოსილი დიდი წმინდანის - გრიგოლ ხანძთელის მენეჯერული საქმიანობა. იგი სულიერ საძმოსთან და თანამოაზრეებთან ერთად ლოცვით შრომის კანონს აღასრულებდა. წმინდა გრიგოლ ხანძთელი წარმოგ-

ვიდგება როგორც დიდი მენეჯერი, შრომისა და ლოცვის შეთანამწყობი, ჩინებული ორგანიზატორი, ორატორი, მოლაპარაკებათა დიდოსტატი და, რაც მთავარია, ქრისტეს რჩეული მხედარი. ლოცვითი კანონის ზედმიწევნით აღსრულებასთან ერთად წმინდა გრიგოლს ჩინებული ურთიერთობა ჰქონდა მეფეებთან, მთავრებთან, ყველა ერისკაცთან. უფლის წყალობითა და დიდი შრომისმოყვარეობით წმინდა გრიგოლმა შეძლო გაუდაბურებული და დაუმკვიდრებელი ადგილი ერთ-ერთ მძლავრ სულიერ კერად და კულტურულ ცენტრად ექცია.

ლიტერატურა:


1. ხუციშვილი თ., და სხვ., შატბერდის მონასტრის ლოკალიზაციის პრობლემისათვის, URL: http://www.orthodoxy.ge/istoria/shatberdi.htm (წვდომა გადამოწმებულია 9.09.2020)
2. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1954, გვ. 888.
3. ჩიხლაძე ნ., შრომის გააზრების მართლმადიდებლური და ეკონომიკური საკითხები. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, გვ. 136.
4. მერჩულე გ., „შრომა და მოღუაწეობა ღირსად-ცხოვრებისა გრიგოლისი არხიმანდრიტისა, ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლისა და მის თანა მრავალთა მამათა ნეტართა“, („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).
5. URL: http://saunje.ge/index.php?id=1495&option=com_content&Itemid=22&lang=en (წვდომა გადამოწმებულია 9.09.2020).
6. თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა, ცხოვრება, სწავლანი და მოგონებანი ბერი გაბრიელისა, თბ., „პალიტრა L“, 2013,გვ. 240.
7. საქართველოს ისტორია (აკად. რ. მეტრეველის რედაქციით), ტ. 2, თბ., „პალიტრა L", 2012, გვ. 464.
8. მახარაშვილი და სხვ., მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემები, თბ., „უნივერსალი“, 2018, გვ. 504.
9. თევდორაძე მ., და სხვ., მენეჯმენტი (პირველი ნაწილი), თბ., სტუ, 2009,გვ. 142.
10. URL: http://www.bpa.ge/book/book17.pdf (წვდომა გადამოწმებულია 9.09.2020).


# Saint Grigol Khandzteli As A Manager


**Niko Chikhladze**
*Doctor of Economic Science, Doctor of Theology,*
*Professor of Kutaisi University,*
*Professor of Akaki Tsereteli State University*

**Paata Koguashvili**
*Doctor of Economic Science,*
*Professor of Georgian Technical University*



S u m m a r y

**The life of St. Grigol Khandzteli has been studied extensively in many ways by Georgian researchers throughout different epochs. The research vector in the presented paper focuses on the activities carried out by this saint, which we consider to be linked to his managerial capabilities. The paper discusses the ability of His Reverence to pool resources (labor, land, capital) and perform the five basic functions existing in traditional management. St. Grigol Khandzteli appears before us as a great manager, coordinator of labor and prayer, an excellent organizer and a great knight of Christ.**



***Key words: management; logistics; construction; coordination; resources.***

# ქვეყნის ეკონომიკაზე ქრისტიანული ეთიკის ზეგავლენის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

**მურმან ცეცხლაძე**
**ხათუნა თურმანიძე**

*ეს ანგარიში აანალიზებს ქრისტიანული ეთიკის გავლენის ზოგიერთ ასპექტს საქართველოს ეკონომიკაზე. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას განსაზღვრავს რელიგიური გარემო. რელიგია მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს მნიშვნელოვან ცვლილებებსა და განვითარებას ქვეყანაში და საერთაშორისო ასპარეზზე. მიგვაჩნია, რომ ქრისტიანული ღირებულებები ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ამჟამინდელი და სამომავლო განვითარებისათვის, რომლის მოსახლეობის 83,4% მართლმადიდებელია. ასევე არსებობს სხვადასხვა მაგალითები, რომლებიც ადასტურებს ჩვენი ანგარიშის მთავარ დასკვნას.*

***საკვანძო სიტყვები:*** *რელიგია, ეკონომიკა, ეკონომიკური განვითარება, ქრისტიანული ეთიკა, მოსახლეობა, ქვეყანა.*

***„მეცნიერება რელიგიის გარეშე ხეიბარია,***
***ხოლო რელიგია მეცნიერების გარეშე ბრმაა“.***
***ალბერტ აინშტაინი***

**რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების პრობლემებზე მრავალი ქართველი და უცხოელი ავტორი წერს, რომელთაგან აღსანიშნავია: ი. გაგნიძის, ნ. ჩიხლაძის, გ. შიხაშვილის, ნ. გრძელიშვილის, პ. კოღუაშვილის, ნ. პაპაჩაშვილის, ი. გოგორიშვილის, ზ. სურმანიძის და სხვათა ნაშრომები. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ კვლევები ამ მიმართულებით კვლავაც უნდა გაგრძელდეს.**

**საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში ორმა უდიდესმა ძალამ - რელიგიამ და ეკონომიკამ არსებითი როლი შეასრულა; რელიგია თავისთავად ადამიანის ქმედების აქტივიზაციის საშუალება და ზნეობრიობის რეალიზაციის ნოყიერი ნიადაგია, რაც აისახება ადამიანთა შრომით საქმიანობაში, ეკონომიკურ ქმედებებში. რელიგია უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოების მორალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ფონზე საინტერესოა, განვიხილოთ ეკონომიკის ძირითადი პრინციპებისა და რელიგიურობის, ამ შემთხვევაში, ქრისტიანული მორალის შეთანაწყობის საკითხი.**

**ცალკეული ადამინის, ხალხის, ქვეყნის მიერ ქრისტიანული რელიგიის მიღებამ გავლენა მოახდინა, არა მხოლოდ მათი ცხოვრების სულიერ, არამედ მატერიალურ მხარეზეც. ალფრედ მარშალმა, XIX საუკუნის ცნობილმა ეკონომისტმა, ისტორიული მასალების შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ თანამედროვე ფირმა, სადაც მეპატრონე და მომუშავე არ არიან ნათესავები, აღმოცენდა მხოლოდ ქრისტიანობის ფართოდ გავრცელების შემდეგ, IV-V საუკუნეების მიჯნაზე. ა. მარშალის აზრით, მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებისა და ადამიანებს შორის ურთიერთობების გარდაქმნის შედეგად ნდობა, რომელიც მანამდე ვრცელდებოდა მხოლოდ ოჯახის წევრებს შორის, ახლა უცხოების მიმართაც გაუჩნდათ ადამიანებს; სწორედ ამ მომენტიდან იწყება თანამედროვე ეკონომიკის განვითარება.**

**ქრისტიანული სამყარო საოცრად უნარიანი აღმოჩნდა, ეპოვა გზები განვითარებისათვის, შემოქმედებითი აღმავლობისათვის, სისტემური კრიზისებიდან თავის დაღწევისათვის, შეძლო, გაეთავისებინა შეცდომები და გარდაექმნილიყო. მანუფაქტურულ რევოლუციას მოჰყვა სამეწარმეო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საინფორმაციო რევოლუ-**

ციები. უკვე რამდენიმე ასული წელია ქრისტიანული სამყარო ვითარდება და წინ მიიწევს. თანამედროვეობის საინტერესო მაგალითია სამხრეთ კორეის განვითარება. ანალიტიკოსთა საკმაოდ დიდი ჯგუფის აზრით, სწორედ ქრისტიანობის მიღებით, საკუთარი შეცდომების აღიარებითა და ახლებურად გააზრებით, განვითარებული ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური და მმართველობითი მიღწევების ათვისებით სამხრეთ კორეამ შეძლო უპრეცედენტო ეკონომიკური აღმავლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ალფრედ მარშალთან ერთად ქრისტიანები იყვნენ ადამ სმითი, დეივიდ რიკარდო, ჟან-ბატისტ სეი, ფრედერიკ ბასტია, უილიამ ჯევონსი, იოზეფ შუმპეტერი და სხვა მრავალი. ინგლისელი მღვდელი იყო ეკონომისტი თომას რობერტ მალთუსი. მართლმადიდებელ მღვდლად ეკურთხა ეკონომისტი სერგი ბულგაკოვი (Гаджинская, 2006).

ეკონომიკას, ადამიანის ქრისტიანული ხატიდან გამომდინარე, ქრისტიანული ორიენტაცია სჭირდება, ზოგადად „მთელი ეკონომიკის მიზეზი, ცენტრი და მიზანი ადამიანია". ეკონომიკის დანიშნულება ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო საქონლისა და მომსახურების წარმოებაა. მისი მიზანი არა მარტო ნედლეულის, ენერგიის, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ახალი ტექნოლოგიების შეზღუდულ რესურსთა შეძლებისდაგვარად ოპტიმალური გამოყენება, არამედ პიროვნების ღირსეული განვითარებისათვის მატერიალური წანამძღვრების უზრუნველყოფაცაა. ამგვარად, ეკონომიკა კულტურის მონაპოვარიცაა, და არამხოლოდ ამა თუ იმ ეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთობლიობა. (თოდუა,2016: 66).

რაც უფრო შორია დროის ჰორიზონტი, მით უფრო ზნეობრივი ხდება ადამიანთა ქცევა. თუ ჩვენ ვფიქრობთ მხოლოდ წუთიერ სარგებელზე, მაშინ ყველაფერი დასაშვებია ჩვენთვის. მაგრამ თუ ვფიქრობთ, როგორ ვიცხოვროთ წარმატებულად მთელი ცხოვრება, ჩვენ ვცდილობთ, უკიდურეს შემთხვევაში, გავითვალისწინოთ სხვა ადამიანთა ინტერესებიც. და მით უფრო ზნეობრივია ადამიანთა ქცევა, რაც უფრო მეტად ფიქრობს სულის ხსნაზე. ზუსტად ასეა ეკონომიკაშიც. რაც უფრო შორს გამიზნული გეგმები აქვს ადამიანს, მით უფრო მცირეა მისი ეგოისტური საქციელი.

### როგორია „ქრისტიანული ეკონომიკა"?

რომ გავიგოთ როგორია „ქრისტიანული ეკონომიკა", აუცილებელია სწორად გავიაზროთ მისი მიზანი. ეს მიზანი, თავის მხრივ, ეფუძნება, უპირველესად, ადამიანის ღმერთისადმი, სულის ხსნისადმი მისწრაფებას. და რაც ემსახურება ამ მიზნის მიღწევას, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქრისტიანული. ასე რომ, ეკონომიკა შეიძლება ჩაითვალოს ქრისტიანულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელს შეუწყობს ხსნას (Сомин, 2014).

შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული ეკონომიკა ერთგვარი ეტალონია, იდეალია, რომელთან დაკავშირებითაც უნდა განიხილებოდეს ყველა სხვა ეკონომიკური მოდელები, ხოლო მისი ეკონომიკური კანონები - ზნეობრიობის ნაყოფია. მათი განმსაზღვრელია ის ზნეობრივი დოგმები, რომლებიც დამკვიდრებული და მიღებულია ამა თუ იმ საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაში.

ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიური მცნებების დაცვას: სრულიად ნათელია, რომ ბიბლიური მცნებების დარღვევა უარყოფითად აისახება საზოგადოების განვითარებაზე. ერთი რამ კი ცხადია, „ბიბლიური მცნებების დარღვევით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს ეკონომიკაში ნამდვილად აქვს ადგილი და ეს ნეგატიური შედეგი დღევანდელ დღეს ძალიან თვალში საცემია" (Плясовских, 201).

უწინ ეკონომიკა ყველა სხვა მეცნიერებაზე მეტად იყო ხოლმე თავდასხმის ობიექტი „ამორალურობის" გამო; ფილოსოფოსები მას უწოდებდნენ „შავბნელ" მეცნიერებას, ან საერთოდაც არ თვლიდნენ მეცნიერებად; სწორედ ამ ფაქტორმა უბიძგა ეკონომისტებს, ეძებნათ მეცნიერების ეთიკური და ზნეობრივი ბაზისი. ცნობილი რუსი სასულიერო მოღვაწისა და ეკონომისტის, სერგი ბულგაკოვის, თქმით, „ეკონომიკური მეცნიერება

დაიბადა, როგორც თანამედროვე ცნობიერების სინდისისა და სიმართლის ძიების ნაყოფი“. დარვინის ბიოლოგიისა თუ ფროიდის ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით, ეკონომიკა არასოდეს ეფუძნებოდა ანტირელიგიურ მოსაზრებებს (თოდუა, 2016: 66).

„მეწარმე-მართლმადიდებლისათვის რწმენისა და ბიზნესის სინთეზი აუცილებელი პირობაა. ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა არარელიგიურობა ან ნაკლები ღვთისმოშიშობა შეიძლება ბაზრის ეფექტიანობის რღვევის სერიოზულ მიზეზად იქცეს. აღნიშნულს შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური ციკლების ვარდნისა და დეპრესიის სტადიების გააქტიურება, კრიზისული სიტუაციები, რაც, თავის მხრივ, იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას, უმუშევრობის ზრდას, პირადი შემოსავლების მკვეთრ დიფერენციაციას, ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობას“ (ჩიხლაძე, 2013: 187)

ქრისტიანული მოძღვრება აცნობიერებს, რომ ეკონომიკური წესრიგის მიღწევა მხოლოდ წესრიგის პრინციპების მეშვეობით შეუძლებელია, რწმენასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის ცოდნას, პროფესიულ კომპეტენტურობას. ამიტომაც ეკონომიკაში დასაქმებულმა ყოველმა ქრისტიანმა უნდა გამოიჩინოს დიდი პროფესიული აქტიურობა, ცოდნისაკენ მისწრაფება და თავის საქმეს მოეკიდოს, ისე, რომ შეძლოს გამოავლინოს თავისი რწმენა ღთისადმი. ამასთან, ეკონომიკა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას.

ცნობილი ეკონომისტების, რობერტ ბაროსა და რეიჩელ ემკკლერის, ბოლო კვლევები გვიჩვენებს, რომ ძლიერ რელიგიურ რწმენას პოზიტიური ზეგავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე. ისინი XX საუკუნის ბოლო მეოთხედში აკვირდებოდნენ რელიგიური რწმენისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს მსოფლიოს 59 ქვეყანაში და დაასკვნეს, რომ ღრმა რელიგიური რწმენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას აძლევს სტიმულს (Barro..., 2003:5–6).

## როგორია ამ მხრივ ქართული სინამდვილე?

საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები თავისი ფესვებით მჭიდროდ უკავშირდება ქრისტიანულ ტრადიციებს. ეკლესია მუდამ ახდენდა გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე, როგორც ყოფითი ურთიერთობების კულტურის ჩამოყალიბებაზე, ისე ლიტერატურაზე, განათლებაზე, ხელოვნებასა და ეკონომიკაზე. სრულიად ნათელია, რომ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 83,4 % ქრისტიანული მრწამსისაა[1] (პაპაჩაშვილი 2016:126), მართლმადიდებლური ღირებულებები უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე. თუ ისტორიულ კონტექსტსაც გავითვალისწინებთ, რელიგიური ღირებულებები არის ის ფაქტორი, რომელიც მომავალშიც დიდ ზეგავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკაზე. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ამაზე. კერძოდ, თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში იგი ამბობს: „შეუძლებელია ამა თუ იმ განვითარებული სახელმწიფოს ცხოვრების წესი მხოლოდ მისი

[1] მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 83,4 %-ს მართლმადიდებლები შეადგენენ, მუსლიმური სარწმუნოების მატარებელია მოსახლეობის 10,7%, ხოლო სომხური-სამოციქულო აღმსარებლობის მიმდევარია 2,9%. (მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, 28.04.2016, სტატისტიკის ეროვნული სამსახური); 2002 წლის საყოველთაო აღწერით, პირველად დადგინდა საქართველოს მოსახლეობის კონფესიური (აღმსარებლობითი) სტრუქტურა. აღწერის შედეგებით, ქვეყნის მოსახლეობის 88,6 % ქრისტიანული მრწამსისაა, მათშორის, 3 666 233 კაცი, ანუ 83,9 %, მართლმადიდებელია. მაჰმადიანური სარწმუნოების მატარებელია 433 784 კაცი, ანუ 9,9 %. (საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტომი I, გვ. 42, სარედაქციო კოლეგია: თეიმურაზ ბერიძე (მთავარი რედაქტორი) იოსებ არჩვაძე, ომარ შურღაია, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2003).

პოლიტიკურ-ეკონომიკური წინსვლის გამოვლინებად მივიჩნიოთ და იგი ვაქციოთ მისაბაძად, რადგან სინამდვილეში იქაური ყოფა-ცხოვრება მნიშვნელოვანწილად არის შედეგი ამ ქვეყნის კულტურის, რელიგიისა და ტრადიციისა. სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის საზოგადოებებს განსხვავებული ცხოვრების წესი აქვთ. ამისი დადასტურებაა იაპონიის, ისრაელის, სამხრეთ კორეის, ნორვეგიის და სხვათა მაგალითი. ვფიქრობთ, ჩვენთვის ბევრის სწავლა შეიძლება ისრაელის სახელმწიფოს მაგალითზე, რომელმაც უმოკლეს დროში მოახერხა პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროში მიეღწია დიდი წინსვლისათვის და ამასთან აეშენებინა ტრადიციული და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სახელმწიფო" (საქართველოს..., 2004:18).

აღსანიშნავია, რომ თავის სააღდგომო და საშობაო ეპისტოლეებში საქართველოს პატრიარქი ტრადიციულად დიდ ყურადღებას უთმობს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს: ეკონომიკურ პრობლემებს, შრომის, წარმოებისა და სიმდიდრის ურთიერთდამოკიდებულებისა და განპირობებულობის საკითხებს, მათ მიმართებას სულიერებასა და რწმენასთან.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იყვნენ გამორჩეული ადამიანები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობის პერიოდში სიტყვით და საქმით ცდილობდნენ ქრისტიანული ფასეულობების დანერგვას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ეკონომიკაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ქართველი წმინდანები: წმ. მეფე დავით აღმაშენებელი, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე).

წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი, იმ პერიოდის საქართველოს სწორუპოვარი მმართველი, ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი იყო, რაც აისახებოდა მის მიერ ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებში. მისი მმართველობის პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვნად აღორძინდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, რაც სწორედ მის მიერ იმ პერიოდისთვის მეტად უჩვეულო და პროგრესული რეფორმების დამსახურება იყო.

ეკონომიკის ქრისტიანული გააზრების საქმეში განუზომელია წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის წვლილი. იგი აღნიშნავდა, რომ მთავარი არაა მხოლოდ მოგების დათვლა წლის ბოლოს. ადამიანმა, გარდა თავისი ბიზნესსაქმიანობისა განვლილ წელს, თვალი უნდა გადაავლოს თავისი საქმიანობის ზნეობრივ მხარეს. წმინდანის აზრით, ადამიანი, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას წარმართავს პატიოსნად, ქრისტიანული ფასეულობების დაცვით, გაცილებით დიდი სარგებლის მომტანია საზოგადოებისთვის, ვიდრე ის, ვინც უგულებელყოფს ამ პრინციპებს. ქრისტიანული პრინციპების განუხრელი დაცვით ადამიანი უფრო და უფრო უკეთესი ხდება და საკუთარ სიმდიდრეს არა მხოლოდ პირადი, არამედ საზოგადოების კეთილდღეობისთვისაც იყენებს.

საქართველოს ეკონომიკის აქტუალური საკითხების კვლევაში უზარმაზარი წვლილი მიუძღვის წმ. ილია მართალს (ჭავჭავაძეს).

ილიას აზრით, საუკეთესო შემთხვევაში ერის სულიერი და ეკონომიკური წინსვლა და განვითარება ერთდროულად უნდა მიმდინარეობდეს. სწორედ მათ ჰარმონიულ თანაარსებობაშია ერის ჭეშმარიტი პროგრესი. მართლაც, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანია ერის ეკონომიკური წინსვლა, მნიშვნელოვანია სულიერი წინსვლაც, რათა ქვეყანაში დაგროვილი დოვლათი სწორად და სამართლიანად იქნეს გამოყენებული და სულიერად გაძლიერებულმა საზოგადოებამ სწორი მიმართულება მისცეს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. ეს არის აუცილებელი პირობა, რათა ეკონომიკური საქმიანობა არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღებაზე ნებისმიერ ფასად და ქვეყანაში შექმნილი დოვლათი ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების ყველა ფენისთვის.

საქართველოში ბოლო ათწლეულების გამოცდილებამ აჩვენა, რომ საბაზრო პრინციპების დამკვიდრებისა და სულიერი ტრადიციების შერწყმის საჭიროებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

## დასკვნა

**ქრისტიანულ რელიგია ოდითგანვე მნიშვნელოვანი როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების საქმეში, რასაც დღესაც არ კარგავს და გვევლინება დემოკრატიის, პოლიტიკური განვითარების, ეკონომიკური სტაბილურობის, ქვეყნის ინტერესებისა და იდენტობის შენარჩუნების საფუძვლად. სწორედ ქრისტიანული პრინციპების საფუძველზე შეიძლება განვითარდეს ბიზნესგარემო საქართველოში და არამარტო საქართველოში, ამაღლდეს ხალხის კეთილდღეობა. როცა საზოგადოების რელიგიური სიმწიფე რეალურად ხელშესახებია, მაშინ მისი ეკონომიკური ცხოვრების ფორმირებაც ადეკვატურად მოტივირებული, ცხოველმყოფელი და წარმატებულია.**

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ნათლად მიანიშნებს ეკონომიკური ცხოვრების წესსა და ეკონომიკურ წყობაში ფუნდამენტური მართლმადიდებლური ღირებულებების როლზე. „საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, მატერიალური აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს... ...საჭიროა, რომ ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით გადავწყვიტოთ. ეკონომიკა განვითარდება თუ ერი შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს“ (შიხაშვილი, 2004:18).**


ლიტერატურა:

1. გოგორიშვილი, ი. „მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის იდეა“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 35-40 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
2. გოგორიშვილი, ი. „მდგრადი მოხმარება როგორც ქრისტიანული ფასეულობა და მისი დამკვიდრების აუცილებლობა საქართველოში“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ. 36-39 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
3. გრძელიშვილი, ნ. „პილიგრიმული ტურიზმი - "წმინდა ანდრიას გზა"- სულიერი, სოციალური, ეკონომიკური ასპექტები“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016გვ. 59-64 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
4. გრძელიშვილი, ნ. „რელიგიური ტურიზმი, როგორც მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის ფაქტორი“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013 გვ. 41-48 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
5. თაქთაქიშვილი თ., კორძაძე ქ., ქრისტიანობა და თანამედროვე ეკონომიკა: ქართველი წმინდანების სამეურნეო-მმართველობითი შეხედულებები, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, ბათუმი, 2015, გვ.50-53. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf (წვდომის თარიღი 10.10.2020).
6. თოდუა ხ., ქრისტიანობის გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, ქუთაისი, 2016, გვ.65-66. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf (წვდომის თარიღი 10.10.2020).
7. პაპაჩაშვილი ნ., მართლმადიდებლურ-ეკონომიკური პარადიგმები თანამედროვე საქართველოში, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, ქუთაისი, 2016, გვ.124-1316. URL:https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf (წვდომის თარიღი 10.10.2020).
8. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ №2 (355), 2006 წ. URL: https://patriarchate.ge/news/1451 (წვდომა: 01.04.2019).

9. სულაბერიძე ს., მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები საქართველოს მაგალითზე, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, ქუთაისი, 2016, გვ.144.
10. სურმანიძე ზ. „ინტერნეტეკონომიკა და ქრისტიანობა“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 გვ. 148-151 URL:https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
11. ტყემალაძე ი., ქრისტიანული ეთიკის ზეგავლენა დასაქმებაზე, VII სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, გორი, 2013, გვ. 98-101.URL:https://-www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf(წვდომის თარიღი 10.10.2020).
12. შიხაშვილი გ. კათოლიკოს პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისი, „ჯეოკერია“, 2004, გვ.18.
13. შიხაშვილი გ. სვანიძე ი. „ბიბლიური მოძღვრება, როგორც მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ეროვნული კონცეფციის საფუძველი“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015, გვ. 129-134 URL:http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_-Ekonomika_2015.pdf
14. ჩიხლაძე ნ. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2013 წ., გვ. 187.
15. ჩიხლაძე ნ., კოღუაშვილი პ., „აგროპროდუქცია, როგორც ძღვენი, საზრდელი და გადასახადი წმინდა წერილში“ VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკის“ შრომების კრებული, თბილისი-გორი, 2013, გვ. 58-64URL:https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty-/konf13.pdf
16. ცეცხლაძე მ. შაინიძე ჟ. „რელიგიის, ეთიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი“ „ქრისტიანობა და ეკონომიკა“. VII სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი 2013. . ISBN 978-9941-13-321-3. გვ. 138-143;URL:
17. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
18. ცეცხლაძე მ. „ქრისტიანული თავისუფლება და ბაზრის უხილავი ხელი“ IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, 2016 გვ. 176-181 URL:https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/-konf16.pdf
19. ჯორბენაძე ზ., ლომინაშვილი შ., რელიგიური ფაქტორი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში, აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2015. URL:http://ejournals.atsu.ge/-BLSS2015/eJournal/Papers/JorbenadzeZurab.pdf (წვდომის თარიღი 10.10.2018).
20. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის საერთო რაოდენობა. URL: https://www.geostat.ge/-media/13667/Demografiuli-Vitareba-SaqartveloSi-Krebuli-2016.pdf
21. (ხელმისაწვდომი: 01.04.2019).
22. Gagnidze. I. (2019) Principles of economics related to human interaction from the perspective of orthodox teaching. The 4th International Scientific Conference Challenges of Globalization in Economics and Business. Proceedings. TSU. Tb. Georgia. pp. 36-39. URL: https://dspace.tsu.ge/-handle/123456789/488?locale-attribute=en
23. Gagnidze, I.(2013) Orthodoxy and Economy. Publishing House “Universali”. Tb. Georgia. (in Georgian) URL: http://eprints.tsu.ge/580/
24. Гаджинская С., Ульянов А. Экономика и христианство. № 9 (41) сентябрь 2006. URL:https://foma.ru/ekonomikai-xristianstvo.html. URL: https://foma.ru/ekonomika-i-xristianstvo.html
25. Несправа Н. Влияние религии на состояние и рост экономики. №1(2). –С. 265–270. 2012. URL: http://duep.edu/uploads/vidavnitstvo-15-16/13573.pdf (ხელმისაწვდომი: 01.04.2019).
26. Плясовских А. Влияние христианства на экономическое развитие стран или на национальную идею для России, Раздел II. URL:http://nideya.narod.ru/razdel2.htm (ხელმისაწვდომი: 01.04.2019).
27. Сомин Н. В. Законы экономики с точки зрения христианской этики. 2003. URL: http://chrisoc.narod.ru/zakon_ec.htm (ხელმისაწვდომი: 01.04.2019).
28. СоминН. В. Христианская экономика: постановка проблемы (Сообщениена XXIII Научной Конференции ПСТГУ). 2014. URL: http://reosh.ru/xristianskaya-ekonomika-postanovka-problemy-soobshhenie-na-xxiii-nauchnoj-konferencii-pstgu.html (ხელმისაწვდომი: 01.04.2019).

29. Barro, Robert, J. and McCleary, Rachel, M. Religion – economic growth. National Bureau of Economic Research. Harvard University. 2003. URL: https://scholar.harvard.edu/files/barro/files/religion_and_economic_growth_2003.pdf
30. (ხელმისაწვდომი: 01.04.2019).

## Some aspects of the influence of christian ethics on the country's economy annotation

**Murman Tsetskhladze**
***Candidate of Economic Sciences, Assoc. Professor of the Batumi State University named after Shota Rustaveli, Head of the Economics Department Faculty of Economy and Business***

**Khatuna Turmanidze**
***Fourth-year student of the Batumi State University Shota Rustaveli, Faculty of Economics and Business***

S u m m a r y

**This report analyzes some aspects of the influence of Christian ethics on the economy of Georgia. The economic development of the country is determined by the religious environment. Religion is an important factor that contributes to an important change and development in the country and in the international arena. The author believes that Christian values are very important for the current and future development of Georgia, 83.4% of whose population is Orthodox. There are also various examples confirming the main conclusion of our report.**
***Keywords: religion, economy, economic development, Christian ethics, population, country.***

# COVID-19 და საქართველოს საგარეო სექტორის მოკლე სტატისტიკური რეტროსპექტივა

**ლია ძებისაური**
***ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე,***
***საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)***

*COVID-19 და მისგან გამოწვეული მსოფლიო პანდემია, რომელმაც 200-ზე მეტი ქვეყანა მოაქცია უხილავი მტრის ტყვეობაში, ადამიანების ჯანმრთელობის გარდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე. საქართველო, როგორც მსოფლიო ეკონომიკის მცირე ნაწილი, მაგრამ ბოლო პერიოდში გლობალიზაციის პროცესებში აქტიურად ჩართული ქვეყანა, ასევე აღმოჩნდა სერიოზული ეკონომიკური კრიზისის საფრთხის წინაშე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო სექტორში ჩამოყალიბებული მზარდი ტენდენცია 2020 წელს კლებით შეიცვალა, რაც, ძირითადად, 2019 წლის ბოლოს ჩინეთში დაფიქსირებულ და მსოფლიო მასშტაბით სწრაფად გავრცელებად ვირუსს უკავშირდება. დღეს, ისე, როგორც არასდროს, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის დასტაბილურება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მსოფლიო ჯანდაცვის სისტემის მდგრადობასა და თანმიმდევრული ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *COVID-19, ექსპორტი, იმპორტი, ტურიზმი, ფულადი გზავნილი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სტატისტიკა.*

**აქტიური გლობალიზაციის პირობებში საქართველოსთვის, როგორც საექსპორტო და ტურისტულ შემოსავლებზე, უცხოურ ინვესტიციებსა და უცხოეთიდან გზავნილებზე დამოკიდებული მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობების განვითარებას და გაღრმავებას. აქედან გამომდინარე, თანამედროვე რთულ პერიოდში, ხელისუფლების და ექსპერტების განსაკუთრებული ყურადღება სწორედ საგარეო სექტორის სტაბილიზაციისკენ არის მიმართული.**

**საქართველოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეზობელი ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში არსებული მდგომარეობა, რაც, შესაბამისად, განსაზღვრავს კიდეც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის პოზიციებს როგორც რეგიონში, ისე მსოფლიო არენაზე.**

**საქართველოს საგარეო სექტორზე COVID-19-ის გავლენის შესაფასებლად და უფრო ზუსტი სურათის შესაქმნელად, პანდემიის მოქმედების და წინა შესადარის პერიოდებში განვიხილოთ საგარეო სექტორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლები და შევაფასოთ, სხვა თანაბარ პირობებში, საგარეო სექტორის რომელ სეგმენტზე და რა დოზით მოახდინა გავლენა მსოფლიო პანდემიამ.**

**საქართველოს საგარეო სექტორის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული სფერო - საგარეო ვაჭრობა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ხარისხობრივი გაუმჯობესებით ხასიათდებოდა. საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, დივერსიფიკაციისკენ მიმართული პოლიტიკა, ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გამოყენების ხელშეწყობა ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტებია.**

**2020 წლის იანვარ-აგვისტოში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოს ექსპორტი 14.7%-ით შემცირდა და 2.1 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტში 17.5%-იანი კლება დაფიქსირდა და მისი სიდიდე 4.9 მლრდ. აშშ დოლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2.8 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა.**

**დადებითი ტენდენციები, რაც უკავშირდებოდა ექსპორტის ზრდას და, ამავე დროს, უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შემცირებას, კარგად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (დიაგრამა #1).**

**დიაგრამა #1**




*წინასწარი მონაცემები

**ექსპორტი, რომელიც უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყარო და, შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორია, ბოლო წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. თუმცა, 2019 წლის ბოლოს, ჩინეთში დაფიქსირებულმა და მსოფლიო მასშტაბით სწრაფად გავრცელებულმა კორონა ვირუსმა, გლობალური კატასტროფის წინაშე დააყენა მთელი მსოფლიო და, მათ შორის, საქართველოც. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გაიზარდა არა მხოლოდ ადგილობრივი ექსპორტის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში, არამედ, როგორც ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზეც (დიაგრამა #2) ნათლად ჩანს, პანდემიის პირობებში ადგილობრივი ექსპორტი გაცილებით დაბალი ტემპებით შემცირდა (-2.7%), ვიდრე მთლიანი ექსპორტი და იმპორტი. ეს აშკარად მიუთითებს მსოფლიო ბაზარზე ქართული წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე და მაღალ მოთხოვნაზე.**

**დიაგრამა #2**




*წინასწარი მონაცემები.

**საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძარღვი ტურისტული პოტენციალია. ქვეყანაში შემოსული უცხოელი ვიზიტორების გაზრდილი ნაკადი განსაკუთრებით პოზიტიურ გავლენას ახდენს უძრავი ქონებით ოპერაციებზე, სასტუმროებსა და რესტორნებზე, ასევე, სატრანსპორტო სექტორზე. 2019 წელს ქვეყანაში შემოსული საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 9 მილიონს გადააჭარბა და ტურიზმიდან შემოსავალმა 3.3 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის (9.5 მლრდ. აშშ დოლარი) 34%-ია.**

**თუმცა, მსოფლიოში შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო, 2020 წლის დასაწყისიდან მთავრობამ მყისიერი ზომები გაატარა და აკრძალა ფრენები იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც დაფიქსირდა ვირუსის სწრაფი გავრცელების ტენდენცია. 2020 წლის 29 იანვრიდან (შეწყდა პირდაპირი ავიამიმოსვლა საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის) 21 მარტის (საქართველოში აიკრძალა უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლა, ეტაპობრივად შეიზღუდა სახმელეთო მიმოსვლაც) ჩათვლით პერიოდში ეტაპობრივად მიმდინარეობდა ავია და სახმელეთო მიმოსვლის აკრძალვა/შეზღუდვა, რამაც, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობაზე (დიაგრამა #3) და მთლიანობაში საქართველოს ეკონომიკაზეც.**

**2020 წლის მარტიდან დაწესებული შეზღუდვების გამო, საქართველოში მკვეთრად შემცირდა უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა. შესაბამისად, 2020 წლის იანვარ-აგვისტოში უცხოელი ვიზიტორების ჯამურმა რაოდენობამ 1359 ათასი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 78%-ით ნაკლებია. ვიზიტორთა მოქალაქეობის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციულად რუსეთის ფედერაცია ლიდერობდა. თუმცა 2020 წელს საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვის გამო, პირველ ადგილზე აზერბაიჯანმა გადაინაცვლა. რეგიონის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტორების კლება რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან გამოირჩეოდა.**

**საერთაშორისო რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განხორციელებაზე დაწესებული შეზღუდვები მოქმედებს 2020 წლის 30 სექტემბრამდე. აღნიშნული შეზღუდვების მოხსნის ან შემსუბუქების მიუხედავად, მსოფლიოში არსებული პანიკის გათვალისწინებით, საქართველოში შემოსულ უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას არ უნდა ველოდოთ და, შესაბამისად, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების დანაკარგებიც გაიზრდება.**

**დიაგრამა #3**




**საერთაშორისო ფულადი გზავნილები არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში უცხოური ვალუტის მიღების და იმპორტის დაფი-**

**ნანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ფულადი ჩარიცხვები დიდ გავლენას ახდენს დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების კეთილდღეობასა და მსყიდველობითუნარიანობაზე, ბიზნესსექტორის და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.**

**საქართველოში ფულადი გზავნილების (ჩარიცხვები) მოცულობა მუდმივად მზარდია. 2020 წლის იანვარ-აგვისტოში ქვეყანაში ჩამორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობამ 1142 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის პირობებში ზრდის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია და, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მხოლოდ 3.2%-ს შეადგენს (ცხრილი #1).**

**ცხრილი#1**

ფულადი გზავნილები საქართველოში 2016-2020 წლებში

| | 2016 იანვარი-აგვისტო | 2017 იანვარი-აგვისტო | 2018 იანვარი-აგვისტო | 2019 იანვარი-აგვისტო | 2020 იანვარი-აგვისტო |
|---|---|---|---|---|---|
| მლნ. აშშ დოლარი | 731.9 | 876.7 | 1,026.7 | 1,107.0 | 1,141.9 |
| ცვლილება წინა წელთან შედარებით (%) | 2.5 | 19.8 | 17.1 | 7.8 | 3.2 |

**საინტერესოა საქართველოში ჩამორიცხული ფულადი გზავნილების განაწილება ქვეყნების მიხედვით. გასაკვირი არ არის, რომ პირველ ადგილს ამ შემთხვევაშიც რუსეთი იკავებს 19.4%-იანი წილით. უმსხვილეს ხუთეულში შედის ასევე იტალია 16.1%-ით, აშშ - 11.6%-ით, საბერძნეთი - 12.0 %-ით და ისრაელი - 8.7%-ით. ძირითად ხუთეულზე მოდის მთლიანი ფულადი გზავნილების 67.8%.**

**დიაგრამა #4**




**აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის პირობებში ფულადი გზავნილების მოცულობა გაზრდილია იტალიიდან (19.8%-ით), აშშ-დან (13.5%-ით) და საბერძნეთიდან (9.6%-ით), ხოლო, მიუხედავად რუსეთის ლიდერი პოზიციისა, ამ ქვეყნიდან ფულადი გზავნილების მოცულობა შემცირებულია 19.0%-ით. 2020 წლის იანვარ-აგვისტოში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფულადი გზავნილების მოცულობა თითქმის გაორმაგებუ-**

ლია უკრაინიდან და შეადგენს 44.3 მლნ. აშშ დოლარს, აზერბაიჯანიდან (29.8 მლნ. აშშ დოლარი), გერმანიიდან გაზრდილია 11.7 მლნ. აშშ დოლარით.

და ბოლოს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, საინვესტიციო მიმზიდველობისა და სამომავლო პერსპექტივის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ ფულადი გზავნილების ნაკადები უფრო სტაბილურია, ვიდრე საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა, რომელიც, თავის მხრივ, გარე და შიდა შოკებისადმი მაღალი მგრძნობელობით ხასიათდება.

2020 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მოცულობამ 409.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 25.6%-ით ნაკლებია. 2019 წლის მაჩვენებელმა 1.3 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0.3 %-ით მეტია 2018 წელთან შედარებით.

ბოლო 3 წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობით საფინანსო სფერო ლიდერობს. 2020 წლის ორი კვარტალის განმავლობაში ამ სფეროში განხორციელებული პუი-ს მოცულობამ 173.2 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი პუი-ს 42.3% შეადგინა. მეორე ადგილზე უძრავი ქონების სექტორია 41.9 მლნ. აშშ დოლარით. 2018 წლის ბოლოს მაგისტრალური გაზსადენის პროექტის დასრულებამ მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია ტრანსპორტის სექტორში. საფინანსო სექტორთან ერთად, საქართველოში განსაკუთრებული მიმზიდველობით გამოირჩევა ენერგეტიკის სექტორი, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ტრადიციულად მაღალ ნიშნულზეა.

მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არა მხოლოდ მოცულობის, არამედ სტრუქტურის გაანალიზებაც კომპონენტების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო სისტემაში ესტონური მოდელის დანერგვამ, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის იანვრიდან, ითვალისწინებდა რეინვესტიციის შესაძლებლობების ხელშეწყობის საფუძველზე ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. რეფორმამ გაამართლა და ამის თვალსაჩინო შედეგი პუი-ს რეინვესტიციის მოცულობაზეც აისახა. კერძოდ, 2016 წელს რეინვესტიციის წილი მთლიან პუი-ში მხოლოდ 18.8%-ს შეადგენდა. 2017 წელს ეს მაჩვენებელი 31.2%-ს გაუტოლდა და ყოველწლიური ზრდის შედეგად, 2020 წლის ორი კვარტალის მონაცემებით, 68.0%-ს მიაღწია (დიაგრამა#5).

დივერსიფიკაციის მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დღევანდელი განაწილება ინვესტორი ქვეყნების მიხედვით მკვეთრად კონცენტრირებულია და უმსხვილეს სამეულზე მთლიანი პუი-ს 60.5% მოდის.

მაგრამ რეინვესტიცია პუის მხოლოდ ერთი კომპონენტია და გრძელვადიან პერსპექტივაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არა მხოლოდ მოგების გადასახადის რეფორმირება, არამედ რეფორმების მთელი კასკადის განხორციელება.

**დიაგრამა #5**



**დღეს, ისე, როგორც არასდროს, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის დასტაბილურება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მსოფლიო ჯანდაცვის სისტემის სტაბილურობასა და თანმიმდევრული ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე. ჩამოშლილი ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგარეო სექტორის სწრაფ რეაბილიტაციას და მისი მომავალი განვითარებისთვის მაქსიმალურ ხელშეწყობას.**

ლიტერატურა:


1. მიმდინარე მაკროეკონომიკური მიმოხილვა, საქართველოს ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/analytical_reports/2020/current_macroeconomic_review_geo.pdf, თბილისი, 2020 წ. სექტემბერი, გვ. 26.
2. COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, საქართველოს მთავრობა, http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf, თბ., 2020 წ., გვ. 81.
3. www.geostat.ge
4. www.nbg.gov.ge
5. www.economy.ge
6. www.mfa.gov.ge


## COVID-19and brief statistical retrospective of Georgian external sector


**Lia Dzebisauri**

***PhD, Deputy Executive Director***

***National Statistics Office of Georgia (Geostat)***



S u m m a r y

**COVID-19 as an "invisible enemy" of today's world plaguedmore than 200 countries. Global pandemicin addition to human health, has a significant impact on the world economy. Georgia, as a small part of the world, but actively involved in the globalization process, is also facing the threat of a serious economic crisis. The growing trend in the foreign sector of Georgia over the last few years substantiallyhas changed in 2020, mostly due to the virus observed in China at the end of 2019 and spreading rapidly worldwide. Today, as never before, stabilization of the economic situation in our country to a large extent depends on the sustainability of the world health system and the pursuit of coherent economic policies.**



***Keywords: COVID-19, exports, imports, tourism, remittances, foreign direct investments (FDI), statistics.***

# ინდივიდის არჩევანი სულიერსა და მატერიალურს შორის მზადყოფნის ეკონომიკის პრიზმაში

**იზოლდა ქილაძე**
*ეკ. დოქტორი, ასოც.პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*წინამდებარე ნაშრომში განხილულია ინდივიდისა და საზოგადოების სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების წონასწორობის საკითხები და მისი მნიშვნელობა მზადყოფნის ეკონომიკის ფორმირებისთვის. მსჯელობა წარმართულია კაცობრიობის ამქვეყნიური ეკონომიკურ საქმიანობაში მორალური (სულიერი) ვალდებულებების დაცულობის აუცილებლობის დასაბუთების გზით.*

*საკვანძო სიტყვები: ინდივიდის არჩევანი, მორალური პასუხისმგებლობა, მზადყოფნის ეკონომიკა,*

**1800-იან წლებამდე რელიგიის საკითხებს ყველა დარგში იკვლევდნენ გარდა ეკონომიკისა. ადამ სმითმა რეალურად საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის რელიგიურობას ორასზე მეტი წლის წინ. მან წამოაყენა „უხილავი ხელის" თეორია ეკონომიკაში. „ყოველი ინდივიდი ცდილობს, ისე აამოქმედოს საკუთარი კაპიტალი, რომ მან მაქსიმალური მოგება მოუტანოს. ჩვეულებრივ მას განზრახვა არა აქვს, ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივ ინტერესებზე და არც იცის, რამდენად ზემოქმედებს იგი მათზე. ინდივიდი მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების და სარგებლობისკენ მიისწრაფვის და მას უხილავი ხელი წარმართავს, რათა ბოლოს და ბოლოს იმაზე მოახდინოს ზეგავლენა, რასაც იგი არ იზრახავდა. საკუთარი ინტერესების დაცვით იგი ხშირ შემთხვევაში საზოგადოების აყვავებას დიდად უწყობს ხელს, ვიდრე იმ შემთხვევაში, ვიდრე ამას შეგნებულად შეეცდებოდა" [5. გვ.54].**

**სმითის „უხილავი ხელის" თეორიას მრავალი კრიტიკოსი ჰყავს. ნაწილი მას წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით განიხილავს, ნაწილი კი ღმერთს უკავშირებს.**

**ჯეიკობ ვაინერი, თავის ნაშრომში „ღვთის ნამოქმედარის როლი საზოგადოებრივ წყობილებაში, წერს: „მე ვალდებული ვარ ის ვამტკიცო, რომ ადამ სმითის იდეების სისტემა, მისი ეკონომიკური თეორიის ჩათვლეით, არ შეიძლება სწორად იქნას გაგებული, თუ ჩვენ მასში თეოლოგიურ ელემენტებს და უხილავ ხელს ვუგულვებელვყოფთ". აგრეთვე, ალეს მაკფი, თავის ნაშრომში „უხილავი ხელი ზნეობრივი გრძნობების თეორიაში" წერს: „უხილავი ხელი სხვა არაფერია თუ არა ზნეობრივი გრძნობების თეორიაში გამოყენებული ღმერთის ერთ-ერთი სახელი". ჰარისონი, შრომაში „ადამ სმითი და უხილავი ხელის ისტორია", გამოთქვამს ვარაუდს, რომ ადამ სმითის ეკონომიკური თეორია, ღვთის ნამოქმედარის შესახებ დოქტრინის გადატანას წარმოადგენს ისტორიიდან ეკონომიკაში [ 5. გვ.55]. ჩვენ ამ შეხედულებებს ვეთანხმებით.**

**დღეს ეკონომისტები მიდიან რელიგიის შესწავლის ახალი პარადიგმისკენ, რომელიც მნიშვნელოვნად ემყარება რაციონალური არჩევანისა და რელიგიური ეკონომიკური ბაზრის წონასწორობის დაშვებებს. დღეს მსოფლიოს ეკონომიკა ღმერთის საპირისპიროა. „მსოფლიო აძლევს მათ, ვინც შოულობს. მაგრამ, ჩვენი ზეციერი მამა უხვად იძლევა და სრულიად განსხვავებული ღირებულებების სისტემით. წერს ერთ-ერთი ამერიკელი ქრისტიანი პედაგოგი ჯეინ ბროგდენი. მსოფლიოს აქვს ფლობის პრეტენზია, მაგრამ ეს ჭეშმარიტად ღმერთის საკუთრებაა. კაცობრიობას დედამიწის ყველა სიკეთე (რესურსი) უფასოდ აქვს მიღებული, ქრისტეს კი ეს - „ყველაფერი" დაუჯდა. ეს არის ხსნის ღვთიური საჩუქარი მათთვის, ვინც ირწმუნა იესო ქრისტე და მოინანია ცოდვები. გადარჩენისთვის ჩვენ უნდა გადავიხადოთ, მაგრამ იესო თვით იხდის საფასურს. ჩვენ**

მზად ვართ ვიყიდოთ ძვირად ღირებული ნივთი და ამისთვის სალაროში ვიხდით. იესო კი მოვიდა და ყველაფრით გადაიხადა. ეს ყოველივეს აღემატება“[12. გვ. 2]. წმინდა წერილში ნათქვამია, რომ ქრისტემ ჩვენი გამოსასყიდი გადაიხადა.„მან მისცა თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად“ [მარკოზი.10.45]. ეს არის ღვთიური ეკონომიკის გზა, მაგრამ მსოფლიოს გზა სამწუხაროდ, საპირისპიროდ მიდის.

იგივე ჯეინ ბროგდენი [12. გვ. 3] ამბობს: თუ ჩვენ გვინდა მიწიერი დიდება, ღმერთს ვპარავთ მას. ეს საშიშია ჩვენთვის. ამიტომ, მოდით განვიხილოთ სამი ძირითადი დაშვება და ვიკითხოთ, გვჯერა ეს?

დაშვება პირველი: „ყველაფერი ჩემია“. მაგალითად, შვილები, სახლი, რომელშიც თავს „უსაფრთხოდ“ მიიჩნევენ. კაცობრიობა მოიხმარს რამდენიც სურს - მაშინაც კი, როდესაც ფული შეზღუდულია. ცოდნის მიღება, კონკურენციაში უპირატესობა, გზები, ხიდები, შენობები და ა.შ. ბიზნესი ამაყობს ეს ჩემი უპირატესობებია და კაცობრიობა ამბობს: ”ყველაფერი ჩემია”. ჩვენ გავაქვს ცოდვილი მიდრეკილებები: ყველაფერი მივითვისოთ. ქრისტაინები კი ყველაფერს მიიჩნევენ ღმერთისგან ბოძებულ საჩუქრად. „ყოველი კარგი და სრულყოფილი საჩუქარი ზემოდან მოდის, უზენაესი მამისგან, რომელთანაც ცვლილება არ ხდება. მან თავისი ნებით გამოგვიყვანა ჭეშმარიტების სიტყვით, რომ მისი ქმნილებების ერთგვარი პირველი ნაყოფი ვიყოთ [იაკობი 1. 17-18].

დაშვება მეორე: მსოფლიო ამბობს: „მე ეს ნიჭი და საჩუქრები დავიმსახურე“. ეძებენ საუკეთესო განათლებას, სპორტულ პროგრამებს, სამსახურებრივ კარიერას ღმერთის მცირედი მახსოვრობით. ადამიანები ნიჭსა და უნარებს ვიღებთ როგორც ღმერთის ძვირფას საჩუქარს და მადლობელი უნდა ვიყოთ მისი. ამიტომ ღმერთი იღებს დიდებას და არა ადამიანი (კოლოსელთა. 3.23). რა გაქვს, რაც არ მიგიღია? თუ მიიღეთ,მაშინ რატომ იქადნით, თითქოს არ მიგიღიათ? [1 კორინთელთა. 4. 7].

დაშვება მესამე: „მომეცი მეტი, ვიდრე მე მოგცემ“. კაცობრიობა ამბობს: ”მომეცი მეტი, ვიდრე მე მოგცემ.” ეს ხაზს უსვამს, რომ მიღებულისგან გათავისუფლება უფრო რთულია. ადამიანები გრძნობენ თავიანთ ქონებას, დროს, ენერგიას, შრომას, საჩუქრებსა და ურთიერთობებს. მაგრამ, ქრისტიანი ცდილობს იმაზე მეტის გაცემას, ვიდრე მიიღო. ”რადგან ქრისტემ ყველაფერი მოგვცა, არაფერი გვაკლია, ამიტომ სხვებს ვაძლევთ, ვინაიდან ვიცით, რომ გაცემა უფრო ნეტარია, ვიდრე მიღება” (საქმეები. 20.35). „რაც ჩვენ გვეკუთვნის ან გვაქვს, არ მოდის ჩვენი ნებისგან, არამედ ღმერთის ნებისგან. ამიტომ, ნუ ვაგროვებთ ამქვეყნიურ სარგებელს და უხვად მივცეთ მათ, ვინც ამას არ იმსახურებს, რადგან ჩვენც არ ვიმსახურებთ ქრისტეს კურთხევას“, წერს ჯეინ ბროგდენი.

ქრისტიანობისა და ეკონომიკის ურთიერთობების შესახებ აგრეთვე მრავალი ქართველი ეკონომისტი მუშაობს (ბ.მღებრიშვილი, ი.გაგნიძე, ი. ჭილაძე, ი.გოგორიშვილი, გ. შიხაშვილი და სხვები), რომელთაც მიაჩნიათ, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანობა არის ამქვეყნიური სოციალური და ეკონომიკური საქმიანობის ფუძემდებლური ფილოსოფია ყველასთვის [3. 6. 8.9].

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ დედამიწაზე პოლიტიკურ დაძაბულობას და მთელ რიგ მოვლენებს წინ უსწრებს მასშტაბური ბუნებრივი კატაკლიზმები - მიწისძვრის, ცუნამის, ხანძრების თუ პანდემიის სახით.

კაცობრიობის მიმართ პირველი ღვთიური ანუ კოსმიური სასჯელი იყო ადამისა და ევას გაძევება ედემიდან. მეორე სასჯელი იყო ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება 120 წლამდე. მესამე - წარღვნა, რომლის მიზეზი დედამიწაზე ადამიანების ზნეობრივი დეგრადაცია იყო. მეოთხედ, კოსმიური ღმერთი განკაცდა და სრულიად უცოდველი, ადამის მოდგმის ცოდვების გამო, თავად „ჯვარს ეცვა“, მაგრამ გააფრთხილა კაცობრიობა: მეორედ მოსვლისას მოვალ არა მიტევებისათვის, არამედ განკითხვისათვისო. ყოველი ორიდან გავარჩევ ერთს. მაგრამ, მეორედ მოსვლამდე, ღმერთი სწორედ სხვადასხვა ბუნებრივი კატაკლიზმებით აფრთხილებს კაცობრიობას.

დედამიწაზე ბუნებრივი კატასტროფების რიცხვი მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. ითვლებოდა რომ მსოფლიოში ბოლო 139 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი კატასტროფა 2018 წელს დაფიქსირდა. მაგრამ, 2019 წელს მომხდარმა მოვლენებმა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ზაფხულის დასაწყისში, ისლანდიაში ყველაზე დიდი მყინვარი დადნა; გრენლანდიამ ივნისის თვეში ორი მილიარდი ტონა ყინული დაკარგა. უდიდესი ხანძრები გავრცელდა კანარის კუნძულებზე, საბერძნეთში, პორტუგალიაში, ალჟირში, აშშ-ს რამდენიმე შტატში (კალიფორნია, ორეგონი, ვაშინგტონი, კოლუმბია, მონტანა). გაუსაძლისმა სიცხეებმა მოიცვა იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, შვეიცარია, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ბოსნია, ხორვატია, კალიფორნია და სერბეთი. სან-ფრანცისკოში ტემპერატურამ 40 გრადუსს მიაღწია და მომავალში მოსალოდნელია 50 გრადუსამდე გაზრდა [12].

შესაბამისი ორგანიზაციების ცნობით, დედამიწაზე დაფიქსირდა 2300 ბიძგი, 6-8 ბალიანი მიწისძვრები ცუნამთან ერთად. ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ქარიშხალი ჰარვი, ირმა, ხოსე და კატია ატლანტიკას დაატყდა თავს. აგრეთვე, იმავე 2019 წლის 8 აგვისტოს რუსეთში, არხანგელსკის ოლქში ატომური წყალქვეშა ნავებისთვის განკუთვნილი ბალისტიკური რაკეტების გამოსაცდელ პოლიგონზე მოხდა აფეთქება, რის გამოც რადიაციულმა ფონმა 20-ჯერ მოიმატა. ამასთან, გაჩნდა ეჭვი, რომ რუსეთი სინამდვილეს მალავს და 1986 წელს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე აფეთქების სცენარი შეიძლება გაიმეოროს. მართალია ეს ბუნებრივ კატასტროფას არ წარმოადგენს, მაგრამ სერიოზული ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს დედამიწის ეკოლოგიურ გარემოზე. ჩრდილოეთის ზღვის უდიდესი ნაწილი რადიაციითაა დაბინძურებული, რის გამოც ყველა ხომალდი და ნავი, მათ შორის სათევზაოც, ტერიტორიიდან გაყვანილია. იმავე 2019 წლის ზაფხულს, ციმბირის ტყეებში უდიდესი ხანძარი გაჩნდა. დაიწვა 10 მლნ ჰა ფართობი. ციმბირის ტყეები ერთ-ერთი ყველაზე დიდი მასივია. მსოფლიოში მერქნის წარმოების 70% მასზე მოდის. ჯერ დადგენილი არაა, რა ზარალი შეიძლება მოუტანოს ამან მსოფლიოს. თუმცა, კლიმატური ცვლილებები უკვე დაფიქსირდა [12]. ასევე, უზარმაზარი ხანძარი გაჩნდა ამაზონის ტროპიკულ ტყეებში, რომელსაც „დედამიწის ფილტვებს“ უწოდებენ. დაფიქსირდა 73000-მდე ხანძარი. რეალურად, ამაზონის ტროპიკული ტყე ხანძრებისაგან სულ უფრო დაუცველი ხდება, რაც ხშირი გვალვების, კლიმატური ცვლილებების და ადამიანთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგია.

კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ როგორც ციმბირის, ასევე ამაზონის ტყეების ხანძარი ადამიაინის დივერსიულ ქმედებას უკავშირდება. „ციმბირის ტყეებში ხანძარი მიზნად ისახავდა ოქროს მოპოვების სამუშაოების ჩატარებას და მეზობელი ჩინეთიდან მოსახლეობის ჩასახლებას. ასევე, ამაზონის ტყეებში გაჩენილი ხანძრის მიზეზად სახელდება ერთ-ერთი კომპანია, რომელსაც იქ ნავთობის მოპოვება სურს“ [12].

შეიძება დავასკვნათ, რომ აუცილებელი გახდა კაცობრიობა როგორც მორალურად, ასევე ეკონომიკურად მოემზადოს, რათა შეარბილოს მოსალოდნელი კატასტროფების რისკები. ამისათვის, ჩვეი აზრით, ყველა სახელმწიფოში უნდა შეიქმნას ე.წ. „მზადყოფნის ეკონომიკა“.

მზადყოფნის ეკონომიკას ვუწოდებთ მოსალოდნელი ბუნებრივი კატაკლიზმების დამანგრეველი შედეგების შერბილების უნარის მქონე ეკონომიკას.

თანამედროვე ეპოქა გლობალიზაციის მაღალი ხარისხით ხასიათდება, როგორც სამეცნიერო-ტექნიკური, ისე ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების მიმართულებით, ვიდრე წინა საუკუნეში. შესაბამისად, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები ყველგან ერთგვაროვანია. ადამიანები და ქვეყნები სულ უფრო მეტად ხდებიან ერთმანეთზე დამოკიდებული. ეკონომიკური, ეკოლოგიური და ეპიდემიური კატაკლიზმები ყველგან დიდი საფრთხის შემცველი გახდა. რომელიმე სახელმწიფოში წარმოშობილი ეკონომიკური არასტაბილურობა, მეზობელ ქვეყნებში სწრაფად ვრცელდება.

ბუნებრივი კატასტროფების შედეგად კი წყდება კავშირები სახელმწიფოებს შორის. ამის კარგი გამოცდილებაა კორონავირუსის პანდემია, როცა სახელმწიფოები იძულებული გახდნენ საზღვრები ჩაეკეტათ. მეცნიერები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ დედამიწაზე მოსალოდნელია დიდი კატასტროფები. ვარაუდობენ, რომ დაახლოებით 50 წელიწადში ევროპა შესაძლოა წყლის ქვეშ მოექცეს. მსგავსი მოვლენები განყვეტს სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს ქვეყნებს შორის. მაშასადამე, ეს იმაზეც მიანიშნებს, რომ აუცილებელია ყოველ სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი გააჩნდეს. ეს განსაკუთრებით ეხება კვების პროდუქტებსა და სხვა პირველადი მოხმარების საგნებს. არსებული კვლევებით, ნებისმიერი სახელმწიფო კვების პროდუქტებით მხოლოდ 20%-ით შეიძლება იყოს სხვა ქვეყნებზე დამოკიდებული. ასევე, ქვეყნები დამოუკიდებლები უნდა იყვნენ ენერგეტიკის სფეროში. უნდა შემცირდეს და დარეგულირდეს მოსახლეობის მიგრაციები ქვეყნებს შორის.

საქართველოში დღეს შემაშფოთებლი მდგომარეობაა. პანდემიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა დარგზე. ყველაზე მეტად დაზარალდა ტურიზმი, ტრანსპორტი, მცირე და საშუალო ბიზნესი [1.გვ. 21]. ასევე დაზარალდა საქართველოზე გამავალი ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფანი [2. გვ. 124].

საქართველოში დაბალია სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი. იგი 2019 წელს 20%-ს შეადგენდა. „აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების არსებული პარამეტრებით ვერ მიიღწევა ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების უსაფრთხო დონე" [5. გვ.124]. საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება ტრადიციული სფეროა. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით მძიმე ფონს ქმნის სასურსათო საფრთხეებისაგან დაცვის დაბალი მაჩვენებლები, სურსათზე ფასების ზრდა, ინფლაცია, აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და სხვა. 2003 წელს საქართველოში 1.9 მილიარდი ლარის პროდუქცია იწარმოებოდა, 2017 წელს ამ მაჩვენებელმა 1.8 მილიარდი ლარი შეადგინა. 2019 წელს საკუთარი ხორბლით ქვეყნის უზრუნველყოფის დონე მხოლოდ 15%-ს შეადგენდა, ხორცით - 52%-ს [7. გვ.126].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე საგანგაშოა. აუცილებელია სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება და ეკოლოგიური გარემოს აღდგენა. „ქრისტიანულ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით უნდა შეიქმნას ისეთი ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი, რომელიც მოემსახურება არა ღმერთის უარყოფას და მამონას გაკერპებას, არამედ უზრუნველყოფს ადამიანის მოხვედრას ცათა სასუფეველში" [8.გვ.24]. ეს მოითხოვს ისეთი პროგრამების შექმნას და განხორციელებას, რომლის კონცეპტუალური საფუძველი იქნება ინდივიდების როგორც ეკონომიკური, ისე უმაღლესი მორალური პასუხისმგებლობები. „ბიზნესის სტაბილურობის ფუნდამენტი არის და უნდა იყოს ადამიანების მაღალი კულტურა. მილიონობით ადამიანისაგან შემდგარ საერთაშორისო ბაზარზე წარმატებული და კონკურენტუნარიანი რომ იყო, მნიშვნელოვანია ადამიანებმა შეიცნონ სულიერი განვითარების პროცესები" (9.გვ:483). საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური ურთიერთობების ხარისხი ისეთი დონეზე უნდა იქნეს აყვანილი, რომ არ არსებობდეს არასტაბილურობის შიში.

ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია ეკონომიკური ურთიერთობები და საქმიანობის წესები იყოს იმგვარი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების მშვიდ ცხოვრებას ამქვეყნად და მათ მოხვედრას ცათა სასუფეველში. ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენი აზრით, საჭიროა საქართველოს მომავალი განვითარების პროგრამებში შეტანილ იქნეს ადეკვატური ღონისძიებები. კერძოდ:

ა) აღდგენილ იქნეს ეკოლოგიური გარემო;

ბ) მოხუცებულობის პენსია გაიზარდოს, რათა საკმარისი იყოს ღირსეული ცხოვრებისათვის.

**გ) შეიქმნას სასურსათო და სხვა პირველადი მოხმარების საგნების რეზერვები;**

**დ) მნიშვნელოვნად გაიზარდოს ხორბლის მოსავლიანობა საქართველოში;**

**ე) თითოეული სახელმწიფოს (მათ შორის საქართველოს) და მასში მოქმედ საწარმოთა ძირითადი საქმიანობისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ეროვნულ და რამდენიმე უცხოურ ენაზე, დაიბეჭდოს ისეთი ნივთიერებით დამზადებულ ფურცლებზე, რომელიც გაუძლებს მიწას, წყალს, ცეცხლსა და ჟანგს.**

ლიტერატურა:


1. აბესაძე რ. პანდემიის ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ასპექტები მსოფლიოსა და საქართველოში. თსუ და პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები. 2020. გვ. 12-22. file:///C:/Users/G%20comp%20service/Desktop/2020%20%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%94%20(1).pdf
2. გარაყანიძე ზ., პავლიაშვილი ს., პანდემიის გავლენა საქართველოზე გამავალ ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფანზე. თსუ და პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები. 2020. გვ. 154-161.
3. გოგორიშვილი ი. „მდგრადი მოხმარება როგორც ქრისტიანული ფასეულობა და მისი დამკვიდრების აუცილებლობა საქართველოში“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, 2015. გვ. 36-39.
4. ლორთქიფანიძე. COVID-19-ის გაკვეთილებისა და საქართველოს ეკონომიკური პრიორიტეტების შესახებ. გვ. 242-244.
5. მაზანაშვილი გ. ადამ სმითის „უხილავი ხელის“ თეორია და მისი მოქმედების თავისებურებები საქართველოს თანამედროვე ეკონომიკაში. თსუ. 2019. https://openscience.ge/bitstream/1/773/1/samagistro%20mazanishvili%20giorgi.pdf
6. მღებრიშვილი ბ. „ვაზი, საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანული კულტურა“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, 2013. გვ. 76-79.
7. ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი. სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევები საქართველოში და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები პოსტკორონავირუსულ პერიოდში. 2020. გვ. 121-128.
8. შიხაშვილი გ. ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი. მონოგრაფია. თბ. 1996
9. ქილაძე ი., „ბიზნესის სტაბილურობა და ქრისტიანული მსოფლმხედველობა“. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თსუ, 1-2 ნოემბერი, 2019, გვ: 483. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf
10. Gagnidze. I. (2019) Principles of economics related to human interaction from the perspective of orthodox teaching. The 4th International Scientific Conference Challenges of Globalization in Economics and Business. Proceedings. TSU. Tb. Georgia. pp. 36-39. https://dspace.tsu.ge/handle/123456789/488?locale-attribute=en
11. Jen Brogdon, (2017). God,s economy is different than the world,s. https://unlockingthebible.org/2017/10/gods-economy-is-different-than-the-worlds/
12. ინტერნეტმასალები: https://www.isoconsulting.ge/single- https://www.faith.ge/?p=223; https://www.faith.ge/?p=1670;
13. https://openscience.ge/bitstream/1/419/1/samagistro%20gogitize.pdf

# Natural Disasters, Pandemics, Readiness Economics and God

**Izolda Chiladze**
***TSU Asoc. Proff.***

S u m m a r y

**The present paper discusses the issues of the balance of the spiritual and material needs of the individual and society and its importance for the formation of an economy of readiness. The reasoning is pagan by substantiating the necessity of the observance of moral (spiritual) obligations in the worldly economic activity of mankind.**

**The work concludes that the past and present reality of mankind is clear evidence that various natural disasters are a warning and a reward from God caused by the disorder of the moral and material life of mankind.**

**The paper makes suggestions that will help to harmonize the spiritual and material life on earth, buch as: maintenance and restoration of the ecological environment; All citizens from birth to 33 years are given a Christmas gift in cash; Creating stocks of food and other basic necessities; Information about the key activities and personnel of each state and the enterprises operating in it is stored in several states.**

***Keywords: Individual choice, moral responsibility, economics of readiness.***

# გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების გავლენა სასურსათო ბაზრის განვითარებაზე

**ეთერ ხარაიშვილი**
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი*

*ნაშრომში გაანალიზებულია გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევები, დასაბუთებულია გლობალიზაციის პირობებში სასურსათო ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებლობა.*

*სტატიაში შეფასებულია პანდემიით გამოწვეული მნიშვნელოვანი ლოჯისტიკური პრობლემები, გამოვლენილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სურსათით მომარაგების ჯაჭვის რღვევის საშიშროება, ასევე, მოცემულია უახლოეს პერიოდში ქვეყნების მიერ ექსპორტის შეზღუდვის მოსალოდნელი შედეგები.*

*სტატიაში შეფასებულია გლობალურ სასურსათო ბაზრებზე არსებული სირთულეები და გამოწვევები როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. გლობალური სასურსათო ბაზარი განხილულია, როგორც ინკლუზიური ზრდის ახალი ფაქტორი. გაანალიზებულია ბაზრების ფუნქციონირებაზე მოქმედი ფაქტორები.*

*სასურსათო ბაზრების განვითარება შეფასებულია, როგორც სასურსათო უსაფრთხოების მიღწევის შესაძლებლობა, მოკლევადიან პერიოდში პრიორიტეტულად არის მიჩნეული ლოკალური ბაზრების განვითარება. შესაბამისად, წარმოდგენილია რეკომენდაციები სასურსათო ბაზრების განვითარების მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობის შესახებ ეროვნულ, სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეებზე.*

*საკვანძო სიტყვები:* *სასურსათო ბაზარი, გლობალიზაციის გამოწვევები, განვითარების ტენდენცია, ეკონომიკური პოლიტიკა.*

**მსოფლიოში მიმდინარე გლობალური გამოწვევები ქვეყნებს მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს, რომელთაგან მთავარია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და სასურსათო ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.**

**დღეს სასურსათო ბაზრებზე, განსაკუთრებით ლოკალურ ბაზრებზე, გადაწყვეტილებები ასიმეტრიული ინფორმაციის პირობებში მიიღება, მნიშვნელოვანი პრობლემებია აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების დივერსიფიკაციის, ფასწარმოქმნის, სურსათის მიწოდების ჯაჭვის სტრუქტურული ცვლილებებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ მოსახლეობისათვის სასურსათო ბაზრები ფუნქციონირებდეს შეუფერხებლად და სურსათზე ხელმისაწვდომობა რეალური იყოს შესაბამისი დროის პერიოდების მიხედვით. „გლობალურ დონეზე აუცილებელია კოორდინირებული და თანმიმდევრული რეაგირება, რათა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისმა არ გამოიწვიოს სურსათის კრიზისი, როცა ადამიანები ვერ იშოვიან ან არ ექნებათ საკვების შეძენის ფინანსური საშუალება [1].“**

**COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი ლოჯისტიკური პრობლემები შექმნა და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა სურსათით მომარაგების ჯაჭვის რღვევის საშიშროების წინაშე დააყენა. სურსათის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად და ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დასაცავად საჭირო გახდება ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი პარადიგმების შემუშავება, რაც, უპირველესად, მიმართული უნდა იყოს შიგა და საერთაშორისო სასურსათო ბაზრებზე პოზიციების მოსაპოვებლად.**

**გასათვალისწინებელია, რომ უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია საექსპორტო ქვეყნების მიერ სურსათზე ექსპორტის შეზღუდვა, შესაბამისად, აუცილებელი იქნება სურსათზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ლოკალური ბაზრების დონეზე. ასევე, გლობალური სასურსათო კრიზისის გამო ზრდადი მოთხოვნა იქნება აგროსასურსათო პროდუქტებ-**

ზე როგორც შიგა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. სავარაუდოდ, ბაზარზე ახალი მიმწოდებლები გაჩნდებიან, შესაბამისად, სურსათის მწარმოებლებს შორის კონკურენცია და პროდუქტის კონკურენტუნარიანობა კვლავ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ბაზრის სტრუქტურის ფორმირებასა და საბაზრო ძალაუფლების პირობებზე. ბაზარი უფრო გახსნილი გახდება ახალი კონკურენტებისათვის და კონკურენცია გამოიწვევს ეკონომიკური ზრდას სექტორულ და აგრერირებულ დონეზე.

სასურსათო ბაზრები გლობალიზაციის პირობებში მაღალ კონკურენტულ პირობებში ფუნქციონირებენ. მეტიც, ბოლო პერიოდში აღმოცენდა კონკურენციის ახალი სახეობა - ჰიპერკონკურენცია, რომელიც გლობალური ბაზრის პირობებში წინმსწრები დომინანტური ინოვაციებითა და ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ-ქსელური ინტეგრაციით ხასიათდება [2, გვ. 15].

კვლევებით დადასტურებულია, რომ კონკურენციის გაწევა ყველაზე მეტად რთულია აგროსასურსათო სექტორში [3, გვ. 81]. კონკურენციის დონეს კიდევ უფრო გაამწვავებს ახალი კორონავირუსით გამოწვეული შედეგები, რადგან სურსათის წარმოების პროცესისათვის საჭირო რესურსულ პოტენციალზე წვდომა მნიშვნელოვნად შეიზღუდება. საქართველოში ფერმერთა ასოციაციის კვლევის შედეგების მიხედვით, COVID-19-მა უარყოფითი გავლენა უკვე იქონია საწარმოო რესურსების ხელმისაწვდომობაზე. გამოკითხულ ფერმერთა 61%-ს მიაჩნია, რომ იმპორტირებული აგროსაშუალებების ფასი ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო გაიზარდა, ხოლო, ფერმერთა 42%-ის აზრით, ისეთ საწარმოო რესურსებზე, როგორებიცაა სამშენებლო მასალები, მექანიზაცია და სხვა, წვდომა შეზღუდულია [4].

FAO-ს მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით დღეს 113 მილიონი ადამიანი შიმშილობს. სურსათის მიწოდების ჯაჭვში ნებისმიერი წყვეტა მნიშვნელოვნად გაამძაფრებს შიმშილის აღმოფხვრის გამოწვევას. ამ თვალსაზრისით გლობალურ სასურსათო ბაზრებს კრიტიკული როლი აკისრიათ მიწოდება-მოთხოვნის შოკის შესამცირებლად.

COVID-19-ის გამო ცვლილებები მოხდება კონკურენტულ ძალებს შორის, შეიცვლება გაყიდვების არხები, მიწოდების ჯაჭვი, მწარმოებლებს მოუწევთ აგსოსასურსათო პროდუქტების გაყიდვები როგორც არსებული, ისე ახალი არხების საშუალებით

სოფლის მეურნეობის დარგის წარმომადგენელთა 55% მიიჩნევს, რომ პანდემიის გამო გართულდება კონკურენციის სფეროში არსებული გამოწვევები, კერძოდ, პროგნოზის არარსებობის გამო ეფექტიანად ვერ განხორციელდება ბიზნესსაქმიანობის დაგეგმვა, გამოცდილების ნაკლებობა შეაფერხებს გაყიდვების ციფრულ არხებზე გადასვლას, გაძნელდება ქსელური გაყიდვების ქსელებთან მოლაპარაკებები, შეიზღუდება სამუშაო ძალის გადაადგილება, გაიზრდება სექტორში შემნახველ მეურნეობებზე დეფიციტი[4].

კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის ასეთი მოთხოვნების პირობებში აუცილებელი ხდება გლობალიზაციის გამოწვევების გამოვლენა და მათი გავლენის კვლევა სასურსათო ბაზრების განვითარებაზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია სასურსათო ბაზრებზე გლობალიზაციის გავლენის თანამედროვე გამოწვევების დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება ბაზრის განვითარების სამომავლო ტენდენციებზე.

გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია, შესაბამისად, აუცილებელია თითოეული სახელმწიფოს მიერ ამ პროცესის წარმართვა ნებისმიერი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. გლობალიზაციის შედეგად ყველა ქვეყანამ უნდა ისარგებლოს სხვა ქვეყნის სიკეთით ისე, რომ შენარჩუნდეს ეროვნული თვითმყოფადობა (ენა, ტრადიციები, სარწმუნოება, ტერიტორია და ა.შ.). გლობალიზაცია, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოზე, მის ეკონომიკაზე [5]. გლობალიზაცია გავლენას ახდენს სასურსათო ბაზრებზეც. გლობალური სასურსათო ბაზრების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებუ-

ლი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციას ფასების, წარმოების, მოხმარებისა და სასურსათო მარაგების შესახებ. პანდემიის პირობებში კიდევ უფრო ღირებული გახდა სასურსათო ბაზრების ეფექტიანი მუშაობა, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება და გაურკვევლობის მინიმუმამდე შემცირება. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) მსოფლიოს ქვეყნებს აფრთხილებს, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს სასურსათო კრიზისიც ისეთივე მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს, როგორსაც თავად ეპიდემიური აფეთქება. საჭიროა, მინიმუმამდე შემცირდეს სურსათის მომარაგების ჯაჭვის რღვევა [1].

სასურსათო პროდუქტებზე ფასების არასტაბილურობის პრობლემა გლობალიზაციის პირობებში მწვავე ხასიათს იძენს [6]. სურსათზე ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, იგი განსაკუთრებით არასტაბილური 2007 წლიდან გახდა და ფასების მკვეთრი ცვლილება შეუქცევადი პროცესია და თითქმის ყველა სახეობის პროდუქტი მოიცვა [7, გვ. 9]. ფასების არასტაბილურობის პრობლემა უშუალოდ არის დაკავშირებული სასურსათო უსაფრთხოებასთან. გლობალიზაციის პირობებში ადგილობრივ სასურსათო ბაზრებზე საჭიროა ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ფასების სტაბილურობის მიღწევას, მეორე მხრივ, მოსახლეობის შემოსავლებსა და მსყიდველობით უნარზე ფასების არასტაბილურობის გავლენის შემცირებას.

გლობალურ სასურსათო ბაზრებზე ზოგადად დიდ სირთულეებს აწყდებიან განვითარებადი ქვეყნები, რადგან ამ ქვეყნებში დიდი წილი უჭირავს მცირე მეურნეობებს და მათი უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს საჯარო ან კერძო სტანდარტებს განვითარებული ქვეყნების ბაზრების მოთხოვნებს. მეტიც, მაგალითად, ევროკავშირი იცავს თავის ხილისა და ბოსტნეულის ბაზრებს „ბაზარზე შესვლის მინიმალური ფასის" გამოყენებით. სურსათის ექსპორტიორები იძულებულნი არიან, ბაზარზე პროდუქცია შეიტანონ მინიმალურ ტარიფზე მაღალი ფასით, მაშინ, როდესაც იმპორტის ფასები წინასწარ განსაზღვრულ ფასებზე დაბალია. ეს ევროკავშირის ბაზარზე სერიოზულ ბარიერს უქმნის დაბალი ფასების მქონე ქვეყნებს, მაგალითად, როგორიცა საქართველო, რომელსაც პროდუქტი მოსავლის სეზონურობის შესაბამისად შეაქვს [8, გვ. 8]. გარდა აღნიშნული ბარიერებისა, განიხილება ტექნიკური სავაჭრო ბარიერებიც (TBT), როგორებიცაა ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტები, გეოგრაფიული აღნიშვნები და სერტიფიცირების პროცედურები. ეს ბარიერები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და ნაკლებად გამჭვირვალე და თვალსაჩინოა სატარიფო ბარიერებთან შედარებით [9,გვ.7], რაც საქართველოს მსგავსი ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკაზე ამ ბარიერების გავლენა შეისწავლება სხვადასხვა ეკონომიკური მოდელის გამოყენებით და სიმულაციის ჩატარებით რაოდენობრივად ფასდება მოსალოდნელი შედეგები [10, გვ.7].

გლობალიზაციის გავლენა სასურსათო ბაზრებზე განსაკუთრებით ვლინდება გრძელვადიან პერიოდში, როდესაც დინამიკური საინვესტიციო ეფექტი იწყებს მოქმედებას. ამასთან, გრძელვადიან პერიოდში მოკლევადიან პერიოდთან შედარებით უფრო თვალსაჩინოა ექსპორტის ზრდა.

როგორც გამოიკვეთა, სასურსათო ბაზრების განვითარებაზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა და მათი თანაფარდობის ტენდენციები [11].

გლობალიზაციას უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის სასურსათო ბაზარზე უარყოფითი სავაჭრო ბალანსის არსებობის დროს. საქართველოში საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების წილი ბრუნვაში 2015-2020 წლებში თითქმის უცვლელია და წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კვლავ შენარჩუნებულია (იხ. დიაგრამა 1 და დიაგრამა 2).

დიაგრამა 1. საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების წილი ბრუნვაში
2015-2020 წწ. იანვარ-აპრილში[12], (%)




დიაგრამა 2. ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა 2018-2020 წლებში [12],
(მლნ აშშ დოლარი)




**უარყოფითი სავაჭრო ბალანსის პირობებში მცირე ფერმებში წარმოების მრავალფეროვნების გაზრდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში ახალი სახეობების დანერგვით ხელს შეუწყობს სასურსათო ბაზრების განვითარებას, საკვებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. ფერმების დივერსიფიკაციის სტრატეგიით შესაძლებელი გახდება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და გაუმჯობესება [13].**

**გლობალურ სასურსათო ბაზარზე ფასების ცვლილება არის მოსახლეობისათვის სურსათის უწყვეტი ჯაჭვის სახით მიწოდების მთავარი გამოწვევა. შესაბამისად აუცილებელი ხდება საარსებო მინიმუმს, ინფლაციასა და სურსათის ფასებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა [14]. სასურსათო ბაზრებზე პროდუქტის მოთხოვნა-მიწოდებაზე დიდ გავლენას ახდენს შემოსავლები. შემოსავლის ზრდის შესაბამისად დაბალშემოსავლიანი მომხმარებლები პროპორციულად უფრო მეტად ზრდიან სურსათზე ხარჯებს, ვიდრე მაღალშემოსავლიანი მომხმარებლები. სურსათზე მოთხოვნა სწრაფი ტემპებით იზრდება განვითარებადი და მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში [15].**

**ამრიგად, სასურსათო ბაზრების განვითარება გლობალიზაციის პირობებში იქნება სასურსათო უსაფრთხოების მიღწევისა და მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა. სასურსათო ბაზრები არის ნებისმიერი ქვეყნისა და ქალაქის იმიჯი და მნიშვნელოვანი სოციალურ-კულტურული ნაწილი, შესა-**

**ბამისად აუცილებელია მისი მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება ეროვნულ, სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეებზე.**

**ლიტერატურა:**


1. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, კუ დონჟუს, ღია წერილი „ნუ დავუშვებთ, პანდემია გახდეს შიმშილის თამაში!" https://bm.ge/ka/article/quotnu-davushvebt-rom-covid19-gaxdes-shimshilis-tamashiquot---fao-s-gia-werili/52932
2. აბლოთია კ., თანამედროვე ეკონომიკა და კონკურენცია, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 2017, გვ. 15.
3. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 81.
4. მღებრიშვილი ვ., რა გამოწვევების წინაშე დააყენა ქართველი ფერმერები COVID-19-მა - კვლევა https://bm.ge/ka/article/ra-gamowvevebis-winashe-daayena-qartveli-fermerebi-covid-19-ma---kvleva/53613
5. აბესაძე რ., გლობალიზაცია და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე https://www.researchgate.net/publication/330602325_globalizatsia_da_misi_gavlena_erovnul_ekonomikaze [ნანახია 11 მაისი, 2020].
6. Price Volatility and Food Security, Committee on World Food Security High Level Panel of Experts on Food Security and Nutrition Rome, 2011.
7. Food prices have become significantly higher and more volatile since 2007. A first price spike occurred across almost all commodities in 2007/2008.p 9.
8. Research on DCFTA Impact on Small-Holder Farmers in Georgia, Thomas Lines, Oxfam GB, Tbilisi, February, 2017. p.8.
9. European Union's Agreement on Deep and Comprehensive Free Trade Area and Georgia, Economic Policy Research Center, 2014. p.7.
10. Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova, Ecorys, 27 October, 2012.
11. ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი., ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა, ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი", #8, 2019.
12. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2020 წ. იანვარი-აპრილი (წინასწარი).
13. Rural food security, subsistence agriculture, and seasonality, Kibrom T. Sibhatu, Matin Qaim, PLOS Journal, October 19, 2017 https://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371/journal.pone.0186406
14. Kharaishvili E., Challenges for sustainable food security in Georgia, XV EAAE Congress in Parma: Towards Sustainable Agri-Food Systems: Balancing between Markets and Society, Parma, Italy, 29 August – 1 September 2017.
15. Regmi, A., Takeshima, H., Unnevehr, L. (2008). Convergence in Global Food Demand and Delivery. USDA, Electronic Report from the Economic Research Service, Economic Research Report Number 56. 7 International Food Policy Research Institute (IFPRI). (2009). World food and agriculture in review.

# The Impact of Modern Challenges of Globalization on the Food Market Development

**Eteri Kharaisvili**
***Department of Microeconomics***
***Faculty of Economics and Business***
***Ivane Javakhishvili Tbilisi State University***
***Tbilisi, Georgia***

S u m m a r y

**The paper analyzes the modern challenges of globalization, justifies the needs for efficient functioning of food markets in the context of globalization.**

**The article assesses the significant logistical problems caused by the pandemic, identifies the danger of food chain disruption in many countries around the world, and also gives the expected results of export restrictions by countries in the near future.**

**The article assesses the difficulties and challenges in global food markets, both in developed and developing countries. The global food market is considered as a new factor in inclusive growth. Analyzes factors affecting the functioning of markets.**

**The development of food markets has been assessed as an opportunity to achieve food security, with local markets being considered as a priority in the short term. Accordingly, recommendations are made on the need to develop economic policies to support the development of food markets at the national, state and municipal levels.**

***Keywords: food market, globalization challenges, development trend, economic policy.***

# პანდემიის ეკონომიკური შოკები და ანტიკრიზისული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი

**რაისა ხაჩატურიანი**
***ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,***
***სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის***
***ასოცირებული პროფესორი***

*წინამდებარე სტატიაში განხილულია თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის მიზეზის - კორონავირუსის პანდემიის - ძირითადი საფრთხეები და შედეგები, რომლებმაც ზეგავლენა იქონიეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის და რეგიონის მაკროეკონომიკურ სიტუაციაზე. ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ეკონომიკურ რადიკალურ ცვლილებებზე, რომლებმაც გამოიწვიეს მოთხოვნისა და მიწოდების შოკები და ამით კრიზისის სტრუქტურული ხასიათი განაპირობეს. გაანალიზებულია პანდემიის უარყოფითი შედეგები ქვეყნების ეკონომიკების სხვადასხვა სექტორში და ჩამოთვლილია ზოგადი ტენდენციები, რომლებიც უკავშირდება საგარეო ვაჭრობას, პროტექციონიზმს, სამუშაო ადგილებს, ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას და სხვა.*

*აღწერილია საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა და მოყვანილია მაგალითები, რომლებიც უკავშირდება ბიზნესში დაწესებულ საგადასახადო შეღავათებს.*

*ბოლოს, დასკვნაში ხაზგასმულია, რომ პოსტკრიზისული ეკონომიკური გეგმის პრიორიტეტი უნდა გახდეს ქვეყნის წარმატებული პოზიციონირება პანდემიის დასრულების შემდეგ, ასევე ისეთი მაკროეკონომიკური პრობლემების დაძლევა, როგორებიცაა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი, უმუშევრობა და სიღარიბე, ეკონომიკის სწრაფი ზრდა და კონკურენტუნარიანობა და სხვა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პანდემია, ეკონომიკური შოკი, მოთხოვნის შოკი, მიწოდების შოკი, კრიზისი, მთავრობის გადაწყვეტილება*

**კორონავირუსის პანდემია იქცა თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის ძირითად მიზეზად, რომლის სიღრმე და სიმკაცრე ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გაცნობიერებული. უპირველეს ყოვლისა, ეს არასასიამოვნო მოვლენა არის რთული გამოწვევა მსოფლიო ჯანდაცვისათვის, მაგრამ, იმავდროულად, წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს გლობალური ეკონომიკისთვის. საქმეს ისიც ართულებს, რომ ერთდროულად რამდენიმე პროცესი ერთმანეთს ერწყმის. მსოფლიო მთლიანად მოექცა კრიზისის ზონაში. ერთი შეხედვით, ეს თითქოსდა ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი 300 წლის განმავლობაში გლობალური ეკონომიკური კრიზისი არ იყო პროვოცირებული სამედიცინო პრობლემებით.**

**პანდემიამ, უპირველეს ყოვლისა, გამოიწვია ეკონომიკური კავშირების გარღვევა, საზღვრების ჩაკეტვა, მასობრივი ღონისძიებების აკრძალვა. ყოველივე ამის შედეგად წარმოიქმნა მიწოდების ნეგატიური შოკი. ზოგადად, მიწოდების შოკი ეკონომიკაში ისეთ მოშლილობას წარმოადგენს, რომლის პირველი ზემოქმედება დანახარჯთა ერთი ან რამდენიმე ელემენტების ღირებულების ზრდის შედეგად იწვევს ერთობლივი მიწოდების შემცირებას. მსოფლიოში ბოლოს მსგავსი ვითარება შეიქმნა 1970-იან წლებში, როდესაც არაბული სამყაროს ქვეყნებმა ნავთობზე ემბარგო დააწესეს [1,გვ.35]. თავის მხრივ, ამჟამინდელი ეკონომიკური შოკი გამოწვეულია კაპიტალის და შრომითი რესურსების მკვეთრი შემცირებით, რამაც საწარმოების, ცალკეული რეგიონის და მთლიანად ქვეყნების დახურვა განაპირობა. გარდა ამისა, სატრანსპორტო კავშირგაბმულობის და ლოგისტიკური ჯაჭვის ფუნქციონირების შეზღუდვების შედეგად ერთობლივი ფაქტორული ნაყოფიერებაც შემცირდა.**

უნდა აღინიშნოს, რომ მიწოდების შოკის პარალელურად ადგილი აქვს მოთხოვნის შოკსაც. საერთაშორისო ეკონომიკური პოზიციიდან ეს ვლინდება მოთხოვნის შემცირებით საექსპორტო საქონელზე ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნებისთვის. შესაბამისად, მცირდება მოთხოვნა იმპორტზე სხვა ქვეყნების მხრიდან. გარდა ამისა, შეინიშნება შიდა მოთხოვნის შეკვეცა, რაც ძირითადად გამოწვეულია ფულადი ერთეულების დევალვაციით და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის შემცირებით. მაგალითად, საქართველოში 2020 წლის მარტში ლარმა არნახულ ნიშნულს მიაღწია - 1$=3,48 ლარს, თუმცა სიტუაცია შედარებით დარეგულირდა და ეროვნული ვალუტა დოლარის მიმართ ბოლო თვეების (ივნისი-აგვისტო) განმავლობაში 3,00-3,07 ნიშნულის ფარგლებში რჩება [2].

მოთხოვნისა და მიწოდების შოკების შერწყმა წარმოადგენს გლობალური კრიზისის უმთავრეს ნიშან-თვისებას და წინასწარ განსაზღვრავს მის სტრუქტურულ ხასიათს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასეთი კრიზისები არც თუ ისე ხშირად წარმოიშობა. მათ საფუძვლად უდევს ტექნოლოგიური წინსვლა, რომელიც იწვევს ცხოვრების ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, ინტელექტუალური და იდეოლოგიური პირობების სერიოზულ განახლებას. კორონავირუსით გამოწვეული ახალი სტრუქტურული კრიზისი რადიკალურად ცვლის საზოგადოებრივი ცხოვრების პარადიგმას. ჩვეულებრივ, ეკონომიკურ სამყაროში სიტუაცია ყოველდღიურად იცვლება. ამიტომ ანტიკრიზისული დღის წესრიგის შემუშავებისას ყურადსაღებია როგორც კორონავირუსის გავრცელების დამანგრეველი შედეგების ნეიტრალიზაციის ექსტრემალური ამოცანები, ისე საშუალოვადიანი სტრუქტურული გამოწვევები, რომლებიც ახალი სოციალურ-ეკონომიკური რეალიების კონტურებს ქმნიან. რაც შეეხება გრძელვადიან ტრენდებს, ისინი მოითხოვენ ცალკე ანალიზს. ამჟამად კი ყველაზე მნიშვნელოვანი ანტიკრიზისული ზომების მიღება და მათი განხორციელებაა, რაზეც ყველა ქვეყნის მთავრობა და ექსპერტები მუშაობენ, რათა ერთობლივი ძალებით შეებრძოლონ ორმაგ დარტყმას - პანდემიას და ეკონომიკურ კრიზისს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მთავრობების მიერ შექმნილი ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრება, სამედიცინო საფრთხეების და ჰუმანიტარული ამოცანების მართვა, შეზღუდული რესურსების პირობებში ეკონომიკური შეღავათების და სტიმულირების პაკეტების ინიცირება, კრიზისის ვადების განსაზღვრა, ელექტრონული მმართველობის მიმართულებით რეფორმების დაჩქარება, არსებული პლატფორმების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის ზრდა, და ზოგადად, ფინანსური დახმარების გაწევა ადამიანებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ მოთხოვნის ფორმირებაში და ამით მხარს უჭერენ მწარმოებლებს. მეორეს მხრივ, აუცილებელია საერთაშორისო პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გააზრება ეკონომიკური კრიზისის მართვის მიმართულებით, ბიზნესზე ადმინისტრაციული ზეწოლის შემსუბუქება, გადამეტებული კონტროლის გაუქმება. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აღვნიშნოთ საქართველოს მთავრობის დროული და მნიშვნელოვანი რეაგირება, რომელიც უკავშირდება მიმდინარე წლის აპრილში მიღებულ გადაწყვეტილებას სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის მიწოდება ან/და იმპორტის დღგ-სგან გათავისუფლებას. ფინანსთა მინისტრის და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, 2020 წლის 1 ოქტომბრამდე დღგ-სგან გათავისუფლდა შემდეგი საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი: დამცავი ფარები, ბახილები, ხელთათმანები, საიზოლაციო კომბინიზონები, სამედიცინო ხალათები, სამედიცინო ხალათების, ქუდების და ბახილების კომპლექტები, პლასტმასის დამცავი სათვალეები, პირბადეები და ნიღბები, უკონტაქტო თერმომეტრები [3]. აღნიშნული გადაწყვეტილება, გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სექტორს შეუფერხებლად შეებრძოლოს პანდემიას, ზრდის მოთხოვნას საქონლის ამ კატეგორიაზე. ასევე ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელდა ღონისძიებების მთელი რიგი - სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებაში შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმები, რომელთა შორის მაკროეკონომიკური პოზიციიდან აღსანიშნავია ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა. ამ გეგმის თა-

ნახმად, ბრძოლა პანდემიასთან წარიმართა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობის, სიცოცხლის გადასარჩენად და საქართველოს ეკონომიკის გადასარჩენად. გეგმის პირველ ეტაპზე გადაუდებელი დახმარება გაეწია მოქალაქეებს და მეწარმეებს, გადასახადი გადაუვადდა 4500 ბიზნესს, ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის განხორციელდა სამშენებლო მასალების ფასის ზრდის დაზღვევა და ა.შ. თუმცა პანდემიამ მაინც მოახდინა ნეგატიური გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც გამოიხატა ეკონომიკური ზრდის 4%-ით, ბიუჯეტის შემოსავლების 1.8 მილიარდი ლარით და მიმდინარე ხარჯების 300 მილიონი ლარით შემცირებაში [4].

კორონავირუსის პირობებში ევროზონის ეკონომიკა ასევე აღმოჩნდა ერთდროულად მოთხოვნის და მიწოდების შოკის წინაშე. გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვი, რომელშიც ჩინეთი წამყვან როლს ასრულებდა, პანდემიის პირობებში მკვეთრად დაზარალდა, რამაც ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს ქვეყნების მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე. ჩინეთის ეკონომიკის გამოშვება მნიშვნელოვნად შემცირდა, შედეგად სამომხმარებლო საქონლისა და საწარმოო ნედლეულის იმპორტი შეფერხდა, რის გამოც ევროპული ბიზნესის მიწოდების ჯაჭვმა პირდაპირ თუ ირიბად წყვეტა განიცადა. ამასთანავე შემცირდა ერთობლივი მოთხოვნაც. ჩინეთის ჩაკეტვამ და ეკონომიკის შენელებამ მისი მხრიდან განაპირობა მოთხოვნის შემცირება ევროპულ საქონელსა თუ კაპიტალზე. გარდა ამისა, შემცირდა შიდა მოთხოვნაც არაპირველადი მოხმარების საგნებზე [5].

პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია წამყვანი ქვეყნების ეკონომიკების მრავალ სექტორზე: გადამამუშავებელი მრეწველობა, საფინანსო სექტორი, ტურიზმი, საცალო ვაჭრობა, დასვენება და გართობა. განსაკუთრებული ზარალი განიცადეს ავტომობილების და ელექტროტექნიკის მწარმოებლებმა, საფონდო ბირჟებმა და ფინანსურმა ბაზრებმა. შესაბამისად, შემცირდა მოთხოვნა ხანგრძლივვადიანი და არაპირველადი მოხმარების საგნებზე. რაც შეეხება მომსახურების ისეთ სფეროებს, როგორებიცაა სასტუმრო, რესტორანი, კინო, თეატრი, ისინი სოციალური დისტანცირების პირობებში ყველაზე ადრე და მტკივნეულად აღმოჩნდნენ მოთხოვნის მხრიდან შოკურ მდგომარეობაში. საცალო ვაჭრობის სფეროში მოთხოვნა შემცირდა ტანსაცმელზე, აქსესუარებსა და გაიზარდა ისეთ ყოველდღიურ სამომხმარებლო ნივთებზე, როგორებიცაა სურსათი, დასუფთავების საშუალებები, წამლები. თუმცა ყველაზე დიდი დარტყმა კორონავირუსისგან მიიღო ტურიზმის და ტრანსპორტირების სექტორმა. აქ ერთდროულად ადგილი ჰქონდა როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების შოკს. დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით რთულია ზუსტი შეფასებების, იმავე დანაკარგების განმარტება, ამიტომ კვლევის ამ ეტაპზე სტატისტიკური მონაცემებისგან თავს შევიკავებთ. რაც შეეხება საქართველოს, მან, მიუხედავად მიღებული შეღავათებისა ტურიზმის სფეროში (და ზოგადად საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში)[1],ასევე განიცადა დიდი ზარალი მოცემულ სექტორში. რადგან საქართველოს ეკონომიკაში ამ სექტორს დიდი წილი უკავია და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდაც მეტწილად ტურიზმის სფეროდან გამომდინარეობს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის მდგომარეობა მაკრომაჩვენებლების კუთხით გარკვეული პერიოდის განმავლობაში არასახარბიელო იქნება.

პანდემიის ეკონომიკური შოკების შედეგები განსხვავებულად აისახა ცალკეულ რეგიონებსა და კონკრეტულ ქვეყნებზე, თუმცა შეიძლება გამოვყოთ ზოგადი ტენდენციები, რომლებიც გამოიკვეთება უახლოეს მომავალში:

მეცნიერებატევადი დარგები და თანამედროვე ტექნოლოგიური გარღვევის ლიდერები - ფარმაცევტიკა, ჯანდაცვის აღჭურვილობა, ბიო- და ინფორმაციული ტექნოლოგიები

[1] საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, პირებს, რომლებიც საქმიანობენ ტურისტულ სექტორში, ასევე იმ ბიზნესსუბიექტებს, რომელთაც შეჩერებული აქვთ საქმიანობა შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებლობა ეძლევათ, 4 თვის ვადით, მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, გადაივადონ დეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებები საშემოსავლო და ქონების გადასახადის ნაწილში. ob.rs.ge

გლობალური კრიზისის პერიოდში შეიძლება იქცნენ მთავარ მოსარგებლედ. ვაქცინა და მედიკამენტები, ახალი მოწყობილობები მშენებარე საავადმყოფოებისთვის, ეპიდემიური კონტროლისათვის საჭირო ახალი ტექნოლოგიები უმსხვილესი პლატფორმაა პროფილური და მომიჯნავე ბიზნესისათვის. აღნიშნულ დარგებში პანდემიის დროს შესაძლებელია პროტექციონიზმის გაძლიერება, ვინაიდან შექმნილ ვითარებაში ფარმაცევტული უშიშროება შეიძლება სამხედროზე მნიშვნელოვანიც კი იყოს. ამიტომ ქვეყნები ეცდებიან, იმპორტდამოკიდებულება შეამცირონ და საკუთარი მეცნიერება და წარმოება განავითარონ და წაახალისონ.

— თავისუფალ საგარეო ვაჭრობას და გლობალიზაციას, რაც საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითად მიმართულებად იქცა 2001 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩინეთის შესვლის შემდეგ, ჩაანაცვლებს პროტექციონიზმი. მსოფლიო მასშტაბით შემცირდება საწარმოო აქტივობა და სამუშაო ადგილები, რაც ქვეყნების დამოუკიდებლობას და თვითუზრუნველყოფას შეუწყობს ხელს, თუმცა ადგილი ექნება თანმხლებ დაბალეფექტიანობას. შესაძლოა, პროტექციონიზმმა გამოიწვიოს სამუშაო ადგილების და მაშასადამე შემოსავლების ზრდა ქვეყნების შიგნით, თუმცა 1930-იანი წლების რეალიებმა აჩვენა, რომ სავაჭრო ბარიერები ამცირებენ ეკონომიკურ ზრდას და განაპირობებენ დეფლაციას.

— მომხმარებლის დამოკიდებულება ზოგიერთი სახეობა საქონლის და მომსახურების ყიდვის და გამოყენების მიმართ, რომლის გარეშეც შეუძლებელია ცხოვრება, კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ეს კი, თავის მხრივ, აისახება სამომხმარებლო ხარჯებსა და, შესაბამისად, საცალო გაყიდვებზე. გარდა ამისა, გაძლიერდება ფისკალური სტიმულები, ვინაიდან მონეტარული პოლიტიკა უძლური აღმოჩნდება.

— ტოტალური პროტექციონიზმის გამორიცხვით, მსოფლიოში ერთობლივი მიწოდება ბევრად გადააჭარბებს ერთობლივ მოთხოვნას. ამის შედეგად, დანაზოგების სიჭარბე გამოიწვევს ინფლაციის და საპროცენტო განაკვეთების შემცირებას. ინფლაციის დაბალი ტემპები და ფასების დაწევა შეასუსტებს მოსახლეობის სურვილებს, უფრო მეტი შეისყიდონ, რაც უფრო შეაფერხებს ეკონომიკის აღორძინების პროცესს.

— Bloomberg-ის შეფასებით, მსოფლიო ეკონომიკა კორონავირუსის პანდემიის გამო დაკარგავს 5 ტრილიონ დოლარზე მეტს ორი წლის განმავლობაში, რაც, შედარებისთვის, უდრის იაპონიის წარმოების წლიურ მოცულობას. აქვე აღინიშნება, რომ 1930-იანი წლებიდან მსოფლიო მშვიდობიან დროს განიცდის ყველაზე ღრმა რეცესიას, რადგან ვირუსის გავრცელებამ აიძულა ქვეყნები, დაეხურა საწარმოთა უდიდესი ნაწილი. Bloomberg-ის პროგნოზის თანახმად, იმისდა მიუხედავად, რომ ვარდნა იქნება მოკლევადიანი, ეკონომიკებს დასჭირდებათ საკმაოდ დიდი დრო დაკარგულის აღსადგენად. მონეტარული და ფისკალური სტიმულების უპრეცედენტო დონის პირობებშიც კი მთლიანი შიდა პროდუქტი 2022 წლამდე ვერ დაუბრუნდება თავის კრიზისამდელ მაჩვენებელს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ექსპერტების პროგნოზის თანახმად, მიმდინარე წელს მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის ვარდნამ შესაძლოა 30%-ზე მეტი შეადგინოს [6]. შესაბამისად, ყოველივე ეს მიუთითებს, რომ მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების შოკებს ჯერ კიდევ დიდხანს ექნება ადგილი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს მაკროეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკა მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს. სხვადასხვა ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკები გულისხმობს ანტიკრიზისული ზომების სხვადასხვა ნაკრებს. მაგალითად, ზოგადად ცნობილია, რომ ფინანსური ინექციები იწვევენ მოთხოვნის ზრდას, თუმცა, იმავდროულად, მიწოდების შოკის პირობებში უარყოფითად ზემოქმედებენ და ქმნიან სტაგფლაციის პირობებს. მსგავსი სცენარის თავიდან ასაცილებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, კონკრეტული სახელმწიფო სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა შემუშავდეს ახალი - კორონავირუსის გავრცელების

**არეალის გათვალისწინებით - ეკონომიკური გარემოს შესაბამისი გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა. საქართველოს მთავრობამ მაღალი დონის ექსპერტებისგან დაკომპლექტებულ საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად უკვე დაიწყო აქტიური მუშაობა ეკონომიკის კრიზისიდან სწრაფად გამოსვლის გეგმაზე. აღნიშნული პოსტკრიზისული ეკონომიკური გეგმის პრიორიტეტებია: ქვეყნის წარმატებული პოზიციონირება მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე პანდემიის დასრულების შემდეგ; ისეთი მაკროეკონომიკური პრობლემების დაძლევა, როგორებიცაა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი, უმუშევრობა და სიღარიბე, ეკონომიკის სწრაფი ზრდა და კონკურენტუნარიანობა და სხვა. ჩამოთვლილი პრიორიტეტების წარმატებით განხორციელება საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, კარდინალურად შეცვალოს სიტუაცია და აიმაღლოს ნდობის დონე. რადგან სწორედ ნდობაა ის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორია, რომლის დეფიციტის გამოც წარმოიშობა უამრავი მაკროეკონომიკური პრობლემა, მათ შორის შოკები მოთხოვნასა და მიწოდებაში.**

ლიტერატურა:


1. ხაჩატურიანი რ., საერთო ეკონომიკური წონასწორობა გარდამავალ პერიოდში, თბ., გამომცემლობა „ბასიანი“, 2009, 214 გვ.
2. https://www.nbg.gov.ge
3. rs.ge
4. stopcov.ge
5. http://www.parliament.ge/ge/kvleviti-centri
6. https://www.rbc.ru/economics/09/04/2020


## Economic shocks of the pandemic and some aspects of anti-crisis policy


**Raisa Khachaturian**

***Academic Doctor of Economics***

***Samtskhe-Javakheti State University***

***Associate Professor***



S u m m a r y

**In this article, it is discussed the main threats and consequences of the cause of the modern economic crisis - the coronavirus pandemic - that have affected the macroeconomic situation in different countries and regions of the world. The focus is on the radical international economic changes that have caused supply and demand shocks, which have conditioned the structural nature of the crisis. The negative consequences of the pandemic in different sectors of the world are analyzed and general tendencies related to foreign trade, protectionism, employment, fiscal, monetary and other policies are listed.**

**It describes the anti-crisis economic plan developed by the Georgian government and provides examples related to corporate tax shelters.**

**Finally, the conclusion stresses that the priority of the post-crisis economic plan should be to position the country well after the end of the pandemic, as well as to overcome macroeconomic problems such as current account deficits, public debt, unemployment and poverty, rapid economic growth, competitiveness and etc.**



***Key words: pandemic, economic shock, demand shock, supply shock, crisis, government decision***

# POST-PANDEMIC PERSPECTIVES ON SUSTAINABLE DEVELOPMENT OF INTERNATIONAL TOURISM IN GEORGIA

**Ioseb Khelashvili**
*Professor, Head of the Department,*
*Tourism and Hospitality Management*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Tourism is the leading sector of the Georgian economy and is most affected by the ongoing COVID-19 pandemic. The country experienced a relatively safe first wave of the epidemic spread, which, during the second outbreak, escalated into a full-scale crisis, causing a decline in key macroeconomic indicators, as analyzed in the article. Further, the study reviews the government measures supporting tourism and mitigating the negative impact triggered by the industry's fall. As a result, the article identifies the main challenges and opportunities for tourism recovery. The outcomes are classified as the proposed vision, mission, and selected priority strategies for post-pandemic perspectives in Georgia. It is concluded that the tourism industry in the country is one of the most effective alternative for the soonest recovery of the economy in the earliest post-pandemic period and the effective sector for the rational diversification of the country's economy during the whole post-pandemic period.*

*Keywords:* *international tourism, Georgia, post-pandemic, strategy, challenges*

## 1. INTRODUCTION

Tourism is an important industry globally and it plays a special role in Georgia's economy. According to 2019 data, its total contribution to the country's GDP reached 26.3% versus 10.2% on a global scale. Most importantly, this sector directly and indirectly employs 26.6% of local labor market, and generates the foreign currency income equal to 39% of the country's export, while the same global indicators are 10.0% and 6.8%, respectively [8].

The emerged COVID-19 hit tourism hardest both in the world and in Georgia and has been the most devastating crisis to tourism since World War II. Over the last 6 decades, the world has been periodically facing different type of crises, including oil crisis in early '70s, debt crises in '80s, social collapse and European Money System crisis in early '90s, the so called 9/11 and SARS crises in early 2000s and global economic crises in 2008-2009. All of the abovementioned events obviously had negative impact on tourism, causing decrease in international arrivals globally by a few percentages. However, the most devastating crisis appears to be the on-going COVID-19. After worldwide spread of this epidemic, according to UNWTO, "... international tourist arrivals were down 65 percent globally for the first half of 2020 compared to the same period of 2019" [10].

Georgian government adopted preventive and protective measures against the spread of the virus in the country, including putting restrictions on international flights, which obviously led to a drastic decline in international arrivals.

## 2. TOURISM INDUSTRY IN GEORGIA – EXISTING AND EXPECTED CHALLENGES

The spread of the pandemic in Georgia has a more exponential shape, in contrast to the asymmetric, two-wave dynamics in the world. The first global wave had a minor expansion in the country up until mid-September 2020. It raised some expectations that the country may avoid the crises and recover tourism by the end of 2020 or early 2021. However, during the second global

wave, COVID-19 has escalated into a full-scale crisis, causing a decline in key macroeconomic indicators, as mentioned above. As a result, the growth rate of international tourist arrivals in Georgia, which has significantly exceeded the global one over the last two decades, has now approached global and European rates of decrease during 2Q-2020 (see Fig. 1).[10, 11, 12]

**Figure 1**




The biggest year-over-year gaps were exposed during the peak tourism season, both globally and in Georgia (see Fig. 2) [11].

**Figure 2**



The negative impacts of tourism on the economy, according to preliminary data released by the National Statistics Office on September 2020, are as follows:

- Georgia's real GDP contracted by 12.3% during the second quarter of 2020;
- Georgia's foreign trade turnover in the first nine months of 2020 decreased by 14.9% (released on October 19);
- Exports from Georgia decreased by 12.1% year-over-year and imports were down by 15.9% in January-September, with trade deficit standing at USD 3.31 billion [6];
- The sum of the FDI during the first two quarters of 2020 saw over 25% decrease as compared to Q1+Q2 in 2019 [7, 10].

The Georgian government adopted a number of measures to support tourism, including:

- Deferring/cancelling taxes;
- Granting easier accesses to loans / credit guarantees;
- Financing loan interest expenses;
- Rescheduling loans;
- Subsidizing salaries;
- Subsidizing laid off employees;
- Providing gift vouchers/internal tourism promoting programs;
- Training/re-qualifying tourism employees;
- Granting booking cost vouchers to retain tourists.

The adopted measures have mitigated the impact, are increasing the recovery rate of infected people, and give hope for the tourism recovery along with the pandemic's fall. However, the beginning of the recovery does not depend on economic decisions, rather it fully relies on the mitigation of the pandemic globally and in the country. Currently, it's only possible to make rough estimations of number of international visitors under different scenario, introduced in Fig.3.

**Figure 3**



## 3. CHALLENGES AND STRATEGIES FOR RECOVERY OF TOURISM INDUSTRY IN GEORGIA

Under the existing, less diversified emerging economy, the country is experiencing and expects to face the following basic challenges, which have direct and indirect relations with the tourism industry:

- limited export opportunities, reduced foreign currency inflows, increased foreign debt and other related macroeconomic contractions;
- insufficient domestic market potential to compensate for the drop in exports;
- insufficient resources for the self-recovery due to limited scale of economy and sources of investments;
- increase in unemployment, caused by the economic contractions, and yet unadjusted human resources for the immediate development of innovative, modern and internationally competitive industries.

Based on the analysis and understanding of the provided conditions, existing and expected challenges, we propose the following strategies of recovery and rejuvenation of the tourism sector in Georgia.

**Vision:** strategically we see the tourism industry as a sustainable and high value-added sector of the country's economy, promoting rational diversification of the local supply chain and economy in general.

**Mission:** to recover the tourism industry for its further rejuvenation through accessing new market segments and developing relevant innovative, higher quality services, based on the local natural and cultural attractions, as well as through using advantages of the country's geographical location, business environment and investment climate.

**The proposed selected strategies are:**

1. At the initial stage – *to recover the tourism industry by attracting the loyal market segments*, based on the survived accommodations, tour-operating companies and related infrastructure.

The tourism industry in general, including Georgia's case, provides wide opportunities for a variety of easily accessible jobs with direct, indirect and induced involvement in the services and in the related local supply chain. This will significantly reduce the highly increased unemployment and mitigate other negative social and economic outcomes, caused by the pandemic.

2. *Rejuvenate health tourism* (medical tourism, wellness tourism, and spa tourism);

Georgia possesses notable natural and human resources for the development of the relatively high value-added health-related tourism. These resources are:

- Healthy sea/mountain climate, hundreds of mineral springs and spas applicable for the health service activities;
- Multi-decade traditions of providing health-related services in local resorts;
- Already developed competitive health services, attracting foreign visitors in selected medical areas, such as plastic surgery, stomatology, cardiology, etc. (the competitive advantages include adequate quality of treatments, competitive prices, easy access, etc.).

3. *Promote agro-tourism* through developing an innovative experiential tourism services.

Foreign tourists create the so called "invisible export" opportunities for local products and services. It provides a number of advantages for the suppliers. In part:

This so-called "invisible export" market of foreign visitors is much smaller than regular whole-sale one, but it perfectly fits the adequately limited production capacities of local agro-

business, which in Georgia is mostly represented by small and medium size enterprises (SMEs) (note: **SMEs** account for more than 67% of employment and 61.5% of gross value added, and it also includes significant volume of informal economy) [3, 5, 10, 11]:

• the "invisible export" frees local suppliers from the expenses on long-way transportation, cross-border and other export-related procedures and expenses, which is a great relief for local SMEs – which lack experience in export-related activities;

• the tangible and intangible cultural heritage, associated with the local F&B is the most demanded attraction for many foreign visitors. Agro-tourism is the best way to provide such tours, including innovative experiential services, which implies tourists' participation in their own services to the best of their interests and curiosities.

4. *Initiate innovative tour services* which will be adjusted to the post-pandemic environment of transitional stage, aiming to increase the country's attractiveness and visibility in new market segments as well as in existing ones.

The examples of such services are/may be:

• "Green zone" tour packages in resort areas, offering re-creation and health recovery opportunities in post-pandemic period;

• "Hybrid" MICE (Meeting, Incentives, Conferencing and Exhibitions) tour services that implies the visits of key participants on site and involvement of other interested parties distantly;

• "Office-hotel" services for the remotely managed businesses, willing to recover and/or maintain the management from a comfortable location.

5. *Develop a specialized investment fund* encouraging the increase of income-outcome multiplier within the country's economy and putting the tourism industry in service of rational diversification of the country's economy.

After recovery and rejuvenation of the tourism industry, the fund should encourage the rational re-distribution of income generated by tourism, along with the other sources of investments, to promote the strategically important businesses, including:

• the most perspective tourism subsectors and its supply chain within the country to increase the tourism In-Country Value (ICV);

• the businesses caring high potential for both - export and "invisible export" markets ;

• other, strategically important for the country businesses;

• the inter-industrial cooperation within the country to increase In-Country Value (ICV), in general. [1, 2, 4].

## CONCLUSION

The Georgian tourism industry, under the existing economic and social challenges, should be considered as:

➢ one of the most effective alternative for the soonest recovery in the earliest post-pandemic period; and

➢ the effective sector for rational diversification of intra- and inter-industrial economics during the whole post-pandemic period.

**Referens:**

1. Andrius Grybauskas A., Vaida Pilinkienė (2019) V.A Comparative Analysis of R.E.I.T.s, R.E.O.C.s and P.R.E.O.C.s Using a Stochastic Frontier Approach. Journal Economic Research-Ekonomska Istraživanja. https://www.tandfonline.com/author/Grybauskas%2C;

2. Coletta Massimo C., Busato F., (2019): U.S. REITs: A Financial Economics Review as of 2018. https://content.sciendo.com/configurable/contentpage/journals$002fremav$.xml;
3. Khelashvili I. (2020): The Impact of Tourism on the Country Sectoral Economy in Georgia (By the example of food and beverage industry). Economics and Business. Referential and Reviewed International Scientific-Analytical Journal of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. #2, 2020. ISSN 1987-5789; ESSN 2587-5426. http://eb.tsu.ge/?leng=eng;
4. ხელაშვილი ი. (2020) საქართველოში ტურიზმის ზეგავლენა ქვეყნის დარგობრივ ეკონომიკაზე (კვებისა და სასმელების ინდუსტრიის მაგალითზე). „ეკონომიკა და ბიზნესი" . თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. #2, http://eb.tsu.ge/?leng=ge;
5. Khelashvili I. (2015) – Real Estate Investment Trust: importance to Georgia. Economics and Business. The Journal of Ivane Javakhishvili Tbilisis State University, Faculty of Economics and Business. III, Tbilisi 2015 (in Georgian);
6. ი.ხელაშვილი(2015) - უძრავი ქონების საინვესტიციო ტრასტი: აქტუალობა საქართველოსთვის. ეკონომიკა და ბიზნესი. თსუ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჟურნალი. ტომი III, თბილისი 2015;
7. Smith W., (2006): "Experiential Tourism around the World and at Home: Definitions and Standards". International Journal of Services and Standards; https://www.researchgate.net/publication/220278933-_Experiential_tourism_around_the_world_and_at_home_Definitions_and_standards;
8. **https://civil.ge/archives/376043; https://civil.ge/archives/366049.**
9. https://www.geostat.ge/en;
10. https://wttc.org/Research/Economic-Impact;
11. https://www.oecd-ilibrary.org/sites/4a217b07-n/index.html?itemId=/content/component/ 4a217b07-en#:~:text=SMEs%20are%20an%20important%20source,in%20Georgia%20; (4)
12. https://www.statista.com/chart/22691/effect-of-the-pandemic-on-international-tourist-arrivals/);
13. https://www.unwto.org/international-tourism-and-covid-19;
14. Sources:https://webunwto.s3.eu-west-1.amazonaws.com/s3fs-public/2020-03/UNWTO-Impact-Assessment-COVID19.pdf.

# გლობალიზაციის პირობებში საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების აქტუალური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები

**ლალი ხიხაძე**
***თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ასოცირებული პროფესორი***

*XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის სექტორის სრულფასოვანი ინტეგრაცია, რაც უპირატესად მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩართვასა და საგარეო--სავაჭრო ურთიერთობების რაციონალურ რეგულირებას, რადგანაც საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების სტიქიურობა და უკონტროლობა საფრთხეს უქმნის ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და ბიზნესის უსაფრთხოების პრობლემების ზრდას. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას და ბიზნესის უსაფრთხოების მდგრადობას არსებითად განსაზღვრავს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, ეროვნული ინდუსტრიის განვითარების დონე, ვალუტის სიმტკიცე, ინფლაციის დონე, საგარეო ვაჭრობის მოცულობა (ექსპორტ-იმპორტის სავაჭრო ბრუნვა), საინვესტიციო ნაკადების მოცულობა და კაპიტალდაბანდების პრიორიტეტული სფეროები, რაც ერთობლივად გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის თანამედროვე მდგომარეობაზე და ქვეყნის სამომავლო განვითარებაზეც.*

***საკვანძო სიტყვები:*** *საგარეო ვაჭრობა, სახელმწიფოებრივი რეგულირების აქტუალობა, ბიზნესის უსაფრთხოება, გლობალური ბიზნესი, მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიები, კონკურენტუნარიანობა, საექსპორტო პოტენციალი და ნომენკლატურა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, დემპინგური და სუბსიდირებული იმპორტი.*

**შესავალი. თანამედროვე მსოფლიოში ქვეყანათა სავაჭრო კავშირურთიერთობები მნიშვნელოვნადაა ინტეგრირებული და ურთიერთდამოკიდებული, რადგანაც პოსტინდუსტრიული და მაღალტექნოლოგიური მწარმოებელი ქვეყნები პროდუქციას აწარმოებენ არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო ბაზრებისათვის. ამდენად, რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა, მით უფრო აქტუალურია მისთვის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების აუცილებლობა. განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნები კი ხასიათდება მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების, მატერიალური რესურსების შეზღუდული რაოდენობითა და ვიწრო შიდა ბაზრით. ასეთ ქვეყნებში შეუძლებელია ეროვნული ბაზრის სამრეწველო და სამომხმარებლო მოხმარებისათვის აუცილებელი ყველა საქონლის წარმოება, შესაბამისად, საერთაშორისო ვაჭრობა განვითარებადი სამყაროსათვის სასურველი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოხმარებისა და მეტი კეთილდღეობის მიღწევის საშუალებას იძლევა, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკითა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმებით გატაცებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პრიორიტეტული დარგების განვითარებაზე და ბიზნესის უსაფრთხოების დამცავ მექანიზმებზე, რადგანაც დემპინგური და სუბსიდირებული იმპორტი, ეროვნულ ბაზარზე იმპორტის მოზღვავება და უცხოური კომპანიების მიზანდასახული ექსპანსია ზარალის წარმოშობისა და ეროვნული წარმოების გაკოტრების საფუძველი შეიძლება გახდეს. სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და ხელისუფლების ქმედითუნარიანობის გარეშე ქვეყანა უფრო მძიმე მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს და ვერ მოხერხდეს ვმო-ში გაწევრიანებითა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებით მინიჭებული პრიორიტეტების რეალიზაცია.**

**ძირითადი კვლევა და ანალიზი.** გლობალურ ბიზნესში საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა და აქტუალობა განპირობებულია შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებითა და მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ობიექტური პროცესებით. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას განსაკუთრებული სტიმულები შესძინა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებებმა და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის დამკვიდრებამ. საქართველო 2000 წლის 14 ივნისიდან ვმო-ს 137-ე წევრი სახელმწიფოა და, აღებული ვალდებულების სანაცვლოდ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, რაც გამოიხატა ექსპორტ-იმპორტის კვოტირების გაუქმებით, ასევე, გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირება და საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა. იმპორტზე დაწესდა დიფერენცირებული საბაჟო-სატარიფო გადასახადი 5%-ისა და 12%-ის დონეზე. გაუქმდა საბაჟო ტარიფი ექსპორტზე და ასევე დაწესდა შეღავათიანი საბაჟო ტარიფი საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე (ნედლეულზე, მანქანა-მოწყობილობებზე, ტექნოლოგიებზე, და სხვა). საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია გახდა ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მნიშვნელოვანი საფუძველი, მიუხედავად ამისა, საქართველოში მწვავე პრობლემად რჩება იმპორტის მკვეთრად გამოხატული წინგამსწრები ტემპი ექსპორტთან შედარებით, საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობისა და დინამიკის საილუსტრაციოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი N1.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2013-2019 წლებში
(მოქმედ ფასებში: მლნ აშშ დოლარი)[1]

| წელი | სავაჭრო ბრუნვა | ექსპორტი | იმპორტი | სავაჭრო სალდო |
|---|---|---|---|---|
| 2013 | 10933 | 2910 | 8023 | -5113,3 |
| 2014 | 11463 | 2861 | 8602 | -5741,7 |
| 2015 | 9504,4 | 2204,2 | 7300,2 | -5096,0 |
| 2016 | 9407,0 | 2133,0 | 7294,0 | -5180,9 |
| 2017 | 10679,1 | 2735,8 | 7943,3 | -5807,0 |
| 2018 | 12492,1 | 3355,7 | 9136,7 | -5781,0 |
| 2019 | 12831,0 | 3765,4 | 9065,4 | -5300,1 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის შეფასების მთავარი მახასიათებელი არის სავაჭრო ბალანსი. ის მნიშვნელოვნად ასახავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და მის დამოკიდებულების ხარისხს საგარეო ბაზრებთან. საქართველოს საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებული პრობლემები მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული საგარეო ვაჭრობაში არსებულ არასახარბიელო ტენდენციებზე, რასაც ადასტურებს საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2013-2019 წლებში (იხ. ცხრილი 1). ეს სავაჭრო ბალანსის პერმანენტულ და მდგრად დეფიციტზე მიუთითებს, რაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის ნეგატიურ ტენდენციად არის მიჩნეული. განსაკუთრებით გამოკვეთილია სირთულე საქართველოში 2020 წლის მიმდინარე პერიოდისათვის, როდესაც covid-19-ის გლობალურმა პანდემიამ დააპაუზა სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო და საინვესტიციო ნაკადები, რაც, შესაბამისად, მძიმე ტვირთად აისახება ექსპორტის მოცულობასა და ქვეყნის სგადასახდელო ბალანსზე, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ფინანსურ სტაბილიზაციაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოკვეთილია სამომხმარებლო და ინსტიტუციურ ბაზარზე მკვეთრი სასაქონლო დეფიციტი, მაღალი ფასები, ინფლაციის დონის ზრდა, ეროვნული ვალუტის დევალვაციის პროცესი, საგარეო ვალის მატება და სხვა აქტუალური პრობლემები. აქედან გამომდინარე, ეკონომიკასა და ბიზნესსექტორში არსებული კრიზისული მდგომარეობის გამო, საქართველო მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საერთაშორისო ბაზარზე და

[1] www.geostat.ge. ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე.

საიმპორტო პროდუქციის მოხმარებაზე (80%-ზე მეტი). კერძოდ, სავაჭრო ბალანსის დეფიციტური მდგრადი ხასიათი (ყოველწლიურად უარყოფითი სავაჭრო სალდო - 5 მლრდ. აშშ. დოლარს აღემატება), რაც მკვეთრად აუარესებს ქვეყნის საგადასახდელო ბალანსს და ფინანსურ მდგომარეობას, ზრდის საგარეო ვალის მოცულობასა და დამოკიდებულებას, რაც, შესაბამისად, ამცირებს საინვესტიციო კაპიტალს, აფერხებს საგარეო ვალის მომსახურებასა და მთლიანობაში უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და ბიზნესის უსაფრთხოებაზე.

ქვეყანაში ადგილობრივი ეროვნული წარმოება ვერ აკმაყოფილებს ასევე საშინაო ბაზრის მოთხოვნებს, ამიტომ მოსახლეობა მაქსიმალურად დამოკიდებულია იმპორტზე. ამასთან, არასახარბიელოა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც, რომელშიც ჭარბობს ბუნებრივი რესურსები და ნედლეული, ხოლო ტრადიციული საქონელი, რომლის საწარმოებლად ქვეყანას გააჩნია აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობები, შემოდის უცხოეთიდან და ერთობლივი მოთხოვნის უდიდესი ნაწილი იმპორტული პროდუქციით კმაყოფილდება. ხარისხის მხრივ, სერიოზულ კონკურენციას ქმნის ევროკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების პროდუქცია, ხოლო დემპინგური ფასებით ხასიათდება დსთ-ს ქვეყნებიდან, თურქეთიდან, ირანიდან და სხვა განვითარებადი ქვეყნებიდან შემოტანილი საქონელი.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების
ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების დინამიკა 2018[1]

| ქვეყნები | ექსპორტი | წილი% | იმპორტი | წილი% | სავაჭრო ბრუნვა | წილი% |
|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიანად | 3355,7 | 100 | 9136,7 | 100 | 12492 | 100 |
| მათ შორის | | | | | | |
| თურქეთი | 233,5 | 17,0 | 1473, 0 | 16,1 | 1706,5 | 13,7 |
| რუსეთი | 436,6 | 13,0 | 934,9 | 10,2 | 1371,5 | 11,0 |
| აზერბაიჯანი | 502,2 | 15,0 | 593,0 | 6,5 | 1095,1 | 8,8 |
| ჩინეთი | 198,0 | 5,9 | 833,9 | 9,1 | 1031,9 | 8,3 |
| უკრაინა | 175,0 | 5,2 | 514,8 | 5,6 | 689,8 | 5,5 |
| სომხეთი | 278,7 | 8,3 | 395,3 | 5,7 | 614,0 | 4,9 |
| აშშ | 160,0 | 4,8 | 359,5 | 3,9 | 519,5 | 4,2 |
| გერმანია | 51,5 | 1,5 | 431,5 | 4,7 | 483 2 | 3,9 |
| ბულგარეთი | 258,9 | 7,7 | 181,6 | 2,0 | 440,5 | 3,5 |
| საფრანგეთი | 114,7 | 1,3 | 262,6 | 2,9 | 307,3 | 2,5 |
| სხვა ქვეყნები | 1016,6 | 30,3 | 3216,7 | 35,2 | 4233,3 | 33,9 |

თანამედროვე ეტაპზე გლობალური პროცესების გაღრმავებით მკვეთრად გაფართოვდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი და სტრუქტურა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რადიკალური გარდატეხა არ გამოუწვევია სავაჭრო ბალანსის დეფიციტის დაძლევაში ( იხ. ცხრილი 2).

2014 წლიდან პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან (უკრაინასთან, ბელორუსთან, აზერბაიჯანთან და, განსაკუთრებით, რუსეთთან) სავაჭრო ურთიერთობების მაღალი ხვედრითი წონა განპირობებულია არა მხოლოდ გეოგრაფიული სიახლოვითა და ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობების აღდგენით, არამედ ეროვნულ წარმოებაში მოძველებული ტექნოლოგიებისა და მანქანა-მოწყობილობების გამოყენებით, რომლის შედეგად შეუძლებელია მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, რაც არ იძლევა მაღალგანვითარებული ქვეყნების კონკურენტულ ბაზრებზე შეღწევის ფართო შესაძლებლობას. ადგილობრივი პროდუქციისათვის უფრო ხელმისაწვდომი და ჰომოგენურია დსთ-ს ქვეყნების ბაზარი, ვიდრე განვითარებული ქვეყნებისა. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და რაციონალური გამოყენება კი მაღალხარისხიანი ეროვნული პროდუქ-

[1] www.geostat. ge. ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე.

ციის წარმოებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის საფუძველია, რადგანაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს პროდუქციის ხარისხს, როგორც ექსპორტის გაფართოების გარანტს, პროპაგანდა უნდა გაეწიოს ქართული პროდუქციის ხარისხს და ეკოლოგიურ სისუფთავეს, რაც საექსპორტო პროდუქტის გასაღების მნიშვნელოვანი პირობაა და, ამასთან, საერთაშორისო ბაზრების მომხმარებლის პოტენციურ მოთხოვნას წარმოადგენს. საგარეო სავაჭრო ბრუნვის უარყოფითი სალდოს დაბალანსებისათვის ასევე აქტიურად უნდა გამოვიყენოთ იმპორტჩამნაცვლებელი სტრატეგია, რადგანაც საქართველოში საიმპორტო პროდუქციის ნომენკლატურის უდიდესი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და კვების ნაწარმზე მოდის, რომლის წარმოება ადგილობრივადაც შესაძლებელია უფრო უკეთესი ხარისხითა და მეტად სასარგებლო ჯანმრთელობისათვის. იმპორტჩამნაცვლებელი სავაჭრო პოლიტიკა ეროვნული წარმოების პრიორიტეტად უნდა იქცეს, რათა შემცირდეს იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი ხვედრითი წილი და დანახარჯები. რაციონალური და დარეგულირებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიღწევის შემთხვევაში საქართველოს გააჩნია ფართო შესაძლებლობები, კონკურენციული პირობების დაცვით აქტიურად ჩაერთოს გლობალურ ბიზნესში და მსოფლიო თანამეგობრობაში.

2014-2019 წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია გასაღების ბაზრების ათვისებისა და დივერსიფიკაციის გაფართოების მიზნით, რაც ექსპორტის პოტენციალისა და ადგილობრივი წარმოების მასშტაბების გაზრდის საშუალებაა, რაც ქვეყანას აძლევს საქონლისა და მომსახურების გასაღების ფართო პერსპექტივას, ხოლო იმპორტით რეკომენდებულია, შემოვიტანოთ ის პროდუქცია, რომლის წარმოება სხვა ქვეყნებს გაცილებით იაფი უჯდებათ ჩვენთან შეფარდებით.

დსთ-ს ქვეყნები საქართველოსათვის საგარეო ვაჭრობის ტრადიციული ქვეყნებია და მხარეებს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები 1994 წლიდან მომდინარეობს. თუ ბოლო 10 წლის პერიოდის სავაჭრო ბრუნვის შედეგებით ვიმსჯელებთ, 2009 წელს დსთ-დან საქართველოში 1288 მლრდ. აშშ დოლარის პროდუქცია იქნა იმპორტირებული, ხოლო 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა და 2 690 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ამავე პერიოდში საქართველოდან დსთ-ში ექსპორტირებულია 1 670 მლრდ. აშშ დოლარის პროდუქცია.

ასევე, დიდი ხნის ისტორია გააჩნია საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებს და გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება 2008 წლიდან მოქმედებს. 2008 წელს თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა 940 მლნ. დოლარს შეადგენდა, ხოლო 2018 წლის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი 1475 მლრდ. დოლარს შეადგენს, რაც აშკარად მიუთითებს, რომ რეგიონში გამორჩეული სავაჭრო მოთამაშე საქართველოსთან მიმართებით ასიმეტრიულ უპირატესობას ფლობს და მკვეთრად მომგებიან პოზიციაში იმყოფება.

2014 წლის პირველი სექტემბრიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის (28ქვეყანა) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა (DCFTA). 2018 წელს, საქსტატის მონაცემებით, ევროკავშირიდან იმპორტმა 3 363 მლრდ. დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან ექსპორტის მოცულობა, წინა პერიოდთან შედარებით, 15% გაიზარდა და 730, 7 მლნ. დოლარი შეადგინა, რაც თითქმის 4.5-ჯერ ნაკლებია ევროკავშირიდან იმპორტის მოცულობაზე.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან (2017 წლის 13 მაისიდან და ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან). ასევე, საქართველოს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები აკავშირებს EFTA-ის ქვეყნებთან (ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია) 2018 წლის მაისიდან და ჰონკონგთან 2019 წლის თებერვლიდან. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების სიმრავლე მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან უდავოდ პროგრესული პროცესია საქართველოსათვის, მაგრამ დასაბუთებულია, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულე-

ბების ცივილური პირობებით აღმატებით უპირატესობას მიიღებს ის სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა (მხარე), რომელთაც მძლავრი საექსპორტო პოტენციალი და მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ფართო შესაძლებლობები გააჩნია. საქართველომ სავაჭრო პარტნიორებთან ასიმეტრიული პოზიცია რომ დაძლიოს, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მაღალხარისხიანი საექსპორტო პროდუქციის წარმოებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, შეფუთვისა და მარკირების საერთაშორისო სტანდარტების ათვისებასა და ეკოლოგიური ნორმების დაცვას, ამასთან, ექსპორტიორმა კომპანიებმა უნდა გააძლიერონ (რეკლამით, პროპაგანდით, PR ტექნოლოგიებით) ქართული საექსპორტო პროდუქციის სანდოობის პოპულარიზაცია, ეკოლოგიური სისუფთავე და ლოგისტიკური მიწოდებათა ჯაჭვის უწყვეტობის მიღწევა.

დასკვნა. საქართველოში ბიზნესის უსაფრთხოების ამაღლება და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების კოორდინაცია თანამედროვე ეპოქის მოთხოვნაა. ზემოთ აღნიშნულ საგარეო სავაჭრო პოლიტიკის აქტუალური პრობლემების ფონზე, უდავოა, რომ საქართველოში მოქმედებს საგარეო ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების არაეფექტიანი სისტემა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში ბიზნესის უსაფრთხოების მთელ სისტემაზე. აღსანიშნავია, რომ ვმო-ს შეთანხმებებისა და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის საფუძველზე ლიკვიდირებულია არასატარიფო ზომები და ბარიერები, რაც ვმო-ს იმპერატიულ ნორმას წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების მიმართ, მაგრამ საქართველოში იმპორტის რეგულირების ერთადერთი მექანიზმი ეროვნული ბაზრის დაცვის მიზნით, პრაქტიკულად, არ გამოიყენება, კერძოდ, მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული ანტიდემპინგური პოლიტიკა და საკომპენსაციო ბაჟები, ასევე, იმპორტის არასატარიფო შეზღუდვები (ფიტოსანიტარული, ვეტერინარული ნორმები, ტექნიკური სტანდარტები და სხვა), რომლის გამოყენების გარეშე საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სისტემა კარგავს არა მარტო ბიზნესის კატალიზატორის როლს, არამედ მისი ეფექტიანი განვითარების შესაძლებლობები დგება საფრთხის წინაშე. სახელმწიფოს მხრიდან ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკითა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმებით გატაცებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კონკურირებადი და პრიორიტეტული დარგების განვითარებაზე, რადგანაც დემპინგური და სუბსიდირებული იმპორტი, იმპორტის მოზღვავება და ეროვნული ბაზრის ექსპანსია შეიძლება ზარალის წარმოშობისა და ეროვნული წარმოების გაკოტრების საფუძველი გახდეს. ბიზნესის უსაფრთხოების დამცავი მექანიზმებისა და ხელისუფლების ქმედითუნარიანობის გარეშე ქვეყანა უფრო მძიმე მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს და ვერ მოხერხდეს ვმო--ში გაწევრიანებითა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებით მინიჭებული პრიორიტეტების რეალიზაცია და პოზიტიური შედეგების მიღწევის პერსპექტივა.

ლიტერატურა:


1. L.Khikhadze, Modern Trends of International Trade Regulation Globally and in Georgia, RS Global, "International Trends in Science and Technology". RS Global, 2018
2. L.Khikhadze, The world trading organization's mission in the conditions of globalization and its influence on the transitional economical countries, World Economy and International Economic Relations International Scientific Collection, kiev, Tbilisi, chainau, 2018
3. L.Khikhadze, Modern Aspects of Governmental Regulation of International Trade. International Scientific Conference (Tendencies of Development of Economy and Business in Georgia) Tbilisi, 2012, p. 220;
4. Internet resources:
5. www.wto.org
6. www.economy.ge
7. www. geostat.ge
8. www. mfa.gov.ge
9. www.ictplgeorgia.ge

# Current problems of regulating Georgia's foreign trade policy in the conditions of globalization and the ways to solve it

**Lali Khikhade**
***Associated professor at the Department of International Business***
***at the Faculty of Economics and Business,***
***Tbilisi State University***

S u m m a r y

**Complete integration of the Georgian economy into the global community is particularly important in the first twenties of XXI century that requires active involvement of the state authority and rational regulation of foreign trade relationships as spontaneousand uncontrolled international business relations pose a danger to maintenance of country's independence and increase of problems in view of business safety. In any country globally, the sustainable foreign economic policy and business safety is essentially determined by the status of balance of payment, development level of the national industry, steady currency, rate of inflation, foreign trade volume (commercial turnover of export and import), size of investment inflows and priority areas of capital investment that collectively affect current status of the country's economic growth as well as further development of the country.**

***Keywords: foreign trade, importance of state regulation, business safety, global business, technologies, competitiveness, export potential and nomenclature, free trade regime, dumping and compensatory duty.***

# დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში და სტუდენტთა დემოგრაფიული ორიენტაციები

**მერაბ ხმალაძე**
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ,*
*ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის*
*ასოცირებული პროფესორი*

*ნაშრომში განხილულია დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 1990-იანი წლებიდან დღემდე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა 1994 წლის შემდეგ მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმზე მოკვდაობის გავლენის შესუსტებას, ხოლო 2011-2019 წლებში საერთოდ გაქრობას, რაც უპრეცედენტო მოვლენაა. კვლევის სტატისტიკური მეთოდოლოგია გამდიდრებულია 2019 წელს ჩატარებული სტუდენტთა დემოგრაფიული განწყობის შერჩევითი გამოკვლევით, რომელიც შესრულდა თსუ ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის თანამშრომლების მიერ საფაკულტეტო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში. რიგ პრობლემასთან ერთად დადგენდა საქართველოში შობადობის პერსპექტივასთან დაკავშირებული სტუდენტთა შეხედულებები, რომლებიც გაანალიზებულია შობადობაზე მოქმედ რიგ ფაქტორთან ერთად.*

***საკვანძო სიტყვები:*** *დემოგრაფიული სიტუაცია, სტუდენტთა დემოგრაფიული ორიენტაციები, ბავშვების სასურველი რიცხვი, ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი.*

**მეოცე საუკუნის 60-იანი წლები საქართველოსთვის „დემოგრაფიული ოქროს ხანა“ იყო. 1961 წელს დაიბადა საქართველოს ისტორიაში ყველაზე მეტი ბავშვი - 104,4 ათასი, მანამდეც და მას შემდეგაც, 1990-იან წლებამდე, შობადობის და მოკვდაობის თანაფარდობა ყოველთვის უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების რეჟიმს. შვილების თაობა რაოდენობრივად ყოველთვის აღემატებოდა მშობლების თაობას.**

**1990-იანი წლების საყოველთაო და, მათ შორის, დემოგრაფიულმა კრიზისმა შესაბამისი ნეგატიური შედეგები გამოიწვია. 1994 წლიდან სახეზეა მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმი. მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის შეფასება ხდება ნეტო-კოეფიციენტით, რომელიც გვიჩვენებს, დაბადებული გოგონებიდან რამდენი მიაღწევს დედის იმ ასაკს, რა ასაკშიც იყო დედა მათი დაბადებისას. 1994-2006 წლებში მაჩვენებელი 0,7-ს აღწევდა. ეს ნიშნავს, რომ მოცემულ პერიოდში დედების თაობის შეცვლა გოგონების თაობით ხდებოდა მხოლოდ 70,0%-ით. 2007-2008 წლებში მაჩვენებელმა 0,8-ს მიაღწია, 2009-2013 წლებში - 0,9-ს, 2014-2016 წლებში - 1,1-ს, ხოლო 2017-2019 წლებში კიდევ შემცირდა 1-მდე, ე.ი. მარტივი აღწარმოების დონემდე.**

**1990-იანი წლების დემოგრაფიული კრიზისის შემდეგ წარმოიშვა საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიაში უპრეცედენტო მდგომარეობა. საჭიროდ მიგვაჩნია გარკვეული განმარტებების გაკეთება. მოსახლეობის აღწარმოება გაიზომება ქალთა თაობის აღწარმოებით, რომელსაც ორი მაჩვენებლით ვახასიათებთ: აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტით. ბრუტო კოეფიციენტი გვიჩვენებს გოგონების იმ რიცხვს, რომელიც ქალს საშუალოდ ეყოლებოდა მთელი მისი რეპროდუქციული (15-49 წელი) პერიოდის მანძილზე შობადობის მოცემული წლის დონის შენარჩუნების პირობებში. ნეტო კოეფიციენტი კი გვიჩვენებს, დაბადებული გოგონებიდან რამდენი მიაღწევს დედის იმ ასაკს, რა ასაკშიც იყო დედა მათი დაბადებისას. მოკვდაობის გარკვეული დონის პირობებში დაბადებული გოგონებიდან ყველა ვერ აღწევდა დედის ასაკს და ნეტო კოეფიციენტი ყოველთვის დაბალი იყო ბრუტო კოეფიციენტზე.**

**კერძოდ, უპრეცენდენტო მდგომარეობა ისაა, რომ 1990-იანი წლების შემდეგ ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები ერთმანეთს ემთხვევა 1994-1995, 1997, 1999, 2001-2004, 2007, 2011-**

2019 წლებში, ე.ი. 1994-2019 წლებში, ერთი დემოგრაფიული თაობის, 25 წლის განმავლობაში, ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები ერთმანეთს 17-ჯერ ემთხვევა. მან მყარი ხასიათი მიიღო 2011-2019 წლებში. შესაბამისად, კოფიციენტების ტოლობის წლებში მოკვდაობა საქართველოს მოსახლეობის აღწარმოებაზე უარყოფით გავლენას ვეღარ ახდენს და ესაა სწორედ საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიაში არსებული უპრეცედენტო პერიოდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, (ახალი ტერმინით) მოსახლეობის აღწარმოება „დანაკარგების გარეშე“. პროცესი უფრო მისასალმებელი იქნებოდა, ის რომ მიმდინარეობდეს მოსახლეობის თუნდაც მცირედ გაფართოებული აღწარმოების პირობებში.

უნდა შევჩერდეთ საქართველოს პოსტკრიზისული დემოგრაფიული სიტუაციის კიდევ ერთ მძიმე შედეგზე, მოსახლეობის რიცხოვნობის კატასტროფულ შემცირებაზე. საქართველოს მოსახლეობამ თავისი სტატისტიკური ისტორიის მანძილზე მაქსიმალურ რიცხოვნობას, 5,5 მლნ-ს მიაღწია 1992 წელს. 1990 წლის მოსახლეობის აღწარმოების შენარჩუნების პირობებში, საქართველოს მოსახლეობას 25 წლის, ე.ი. ერთი დემოგრაფიული თაობის შემდეგ, 2015 წელს უნდა მიეღწია 6,76 მლნ-სთვის. [1, გვ.514]

რეალობა გაცილებით მკაცრი აღმოჩნდა. საქართველოს მოსახლეობა მიმდინარე სტატისტიკით 2014 წელს 4,4 მლნ-ს შეადგენდა, მაგრამ მოსახლეობის 2014 წლის აღწერამ უარესი სურათი აჩვენა. აღწერით აღმოჩნდა, რომ რეალურად საქართველოს მოსახლეობა 2014 წელს 3, 7 მლნ-ს შეადგენდა და არა 4,4 მლნ-ს, ე.ი. 700 ათასით ნაკლებს. 2002 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა 4,4 მლნ-ს შეადგენდა. შესაბამისად, 2002-2014 წლების მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში საქართველოს მოსახლეობა, ფაქტობრივად, შემცირდა 700 ათასით. რომ არა ამავე პერიოდში მოსახლეობის ბუნებრივი მატება 200 ათასი კაცის ოდენობით, საქართველოს მოსახლეობის კლება 900 ათასი კაცი იქნებოდა. მოსახლეობის შემცირების აღნიშნული ფაქტი მიჩქმალული იყო მაშინდელი ხელისუფლების მიერ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ საზოგადოებას აღნიშნულთან დაკავშირებთ რაიმე მკაცრი რეაგირება არ მოუხდენია.

1990-იანი წლების შემდეგ შობადობის მკვეთრმა შემცირებამ ასევე მკვეთრად შეამცირა მოსახლეობის ბუნებრივი მატება და რიგ წლებში (2002-2004) ფაქტობრივად ნულამდე დაიყვანა (ამ წლებს ვთვლით დემოგრაფიულად ფუჭ წლებად), მაგრამ ბუნებრივი მატება უარყოფითი არც ერთ წელს არ ყოფილა. შესაბამისად, ის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების მიზეზი ვერ გახდებოდა. [2,გვ.201]

1990-იანი წლების შემდეგ საქართველოს მოსახლეობა მთლიანად შემცირდა ემიგრაციის ხარჯზე. 900 ათასი კაცის ოდენობის უარყოფითი მიგრაცია 2002-2014 წლებში იმ ფონზე, როდესაც საქართველოს მოსახლეობა 1992-2002 წლებში 5,5 მლნ-დან 4,4 მლნ-მდე, ე.ი. 1,1 მლნ-ით შემცირდა, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო. ვფიქრობდით, რომ საქართველომ ამით ამოწურა თავისი მიგრაციული პოტენციალი, მაგრამ, როგორც ჩანს ვცდებოდით.

2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, რამდენადაც აღწერა ითვლება დემოგრაფიული სტატისტიკის ყველაზე ზუსტ წყაროდ, მოხდა აღწერამდე გამოქვეყნებული ყველა წლის მოსახლეობის რიცხოვნობის და დემოგრაფიული მაჩვენებლების გადათვლა. შედეგად მივიღეთ, რომ 1996 წლიდან მოყოლებული 2014 წლამდე ყოველწლიურად საქართველოს მოსახლეობა აღმოჩნდა გადათვლამდე დეკლარირებულზე საშუალოდ 55,2 ათასით ნაკლები. შეიცვალა ყველა დემოგრაფიული მაჩვენებელი. ასევე მცდარია სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური სტატისტიკის ყველა მაჩვენებელი, რომელთა გამოთვლაც ეყრდნობა დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემებს 2014 წლამდე. ამავდროულად, ყველა სამეცნიერო პუბლიკაციაში გაკეთებული დასკვნები, რომლებიც ეყრდნობა ზემოთ მოტანილი წლების დემოგრაფიულ სტატისტიკას, ასევე მცდარია. ესაა დანაშაული მეცნიერების და არა მხოლოდ მეცნიერების წინაშე. აღნიშნულ ფაქტში ვერ დავადანაშაულებთ საქსტატს, რადგან ის იძულებული იყო, დამორ-

**ჩილებოდა მაშინდელ ხელისუფლებას. ამ უკანასკნელს კი არჩევნებისთვის სჭირდებოდა ამომრჩეველთა რიცხვის გაზრდა. ასეთი რამ სტატისტიკის ისტორიაში არ მომხდარა.**

**დღეისთვის სახეზეა ასეთი შედეგი: 2020 წლის პირველი იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 3716,9 ათასს შეადგენდა. ამ რაოდენობის მოსახლეობა საქართველოს ჰყავდა 80 წლის წინ, 1941 წელს [3], [4, გვ.12], შესაბამისად, მოსახლეობის რიცხოვნობის საკითხში საქართველომ 80 წლით უკან დაიხია.**

**შობადობის დონემ 2019 წლისათვის 13 პრომილე შეადგინა. 2019 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის - 73, 99 წელი, პირობებში, მოსახლეობის მარტივი აღწარმოების უზრუნველსაყოფად, საჭიროა, შობადობის დონე (ზოგადი კოეფიციენტი) აღწევდეს 13,5 პრომილეს (ცოცხალდაბადებული 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით). შეიძლება ჩავთვალოთ, რომ შობადობის დღევანდელი დონე საქართველოში აკმაყოფილებს მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მოთხოვნებს, მაგრამ საქართველოს რეგიონების მიხედვით ჩვენ მიერ გამოთვლილი შობადობის ზოგადი კოეფიციენტები 2019 წლისათვის გვიჩვენებს შობადობის მკვეთრ დიფერენციაციას.**

შობადობის ზოგადი კოეფიციენტები საქართველოს რეგიონების მიხედვით 2019 წელს
(რანჟირებულია კლებადობის მიხედვით)

| | | | |
|---|---|---|---|
| აჭარა | 16,3 | შიდა ქართლი | 11,8 |
| თბილისი | 13,7 | სამეგრელო- ზემო სვანეთი | 11,0 |
| ქვემო ქართლი | 13, 5 | გურია | 10,7 |
| კახეთი | 12,4 | მცხეთა-მთიანეთი | 10,1 |
| სამცხე- ჯავახეთი | 12,4 | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 9,6 |
| იმერეთი | 12,1 | | |

**მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება 2019 წელს გვაქვს აჭარაში და თბილისში, ხოლო ქვემო ქართლში - მარტივი. შესაბამისად, მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას საქართველოში უზრუნველყოფს აღნიშნული სამი რეგიონი. დანარჩენ რეგიონებში სახეზეა მოსახლეობის მარტივი აღწარმოება.**

**შობადობის შედარებით მაღალი დონე თბილისში შეიძლება ავხსნათ თბილისის მოსახლეობის ახალგაზრდა ასაკობრივი სტუქტურით, რომელიც ხელს უწყობს შობადობის ზრდას. საკმარისია, ვაჩვენოთ, რომ ყველაზე მაღალი შობადობის დონის მქონე, 20-34 წლის მოსახლეობა, 2014 წლის აღწერით საქართველოში შეადგენს 21,7%-ს, თბილისში - 24,4%-ს, აჭარაში - 24,2%-ს, ქვემო ქართლში - 23,7%-ს, ხოლო შობადობის ყველაზე დაბალ დონის მქონე რაჭა-ლეჩხუმში - 12,1%-ს.**

**სრული უფლება გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ შობადობის დონის არსებულ რეგიონულ დიფერენციაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორი. მხედველობაში გვაქვს შობადობის შედარებით მაღალი დონე აჭარასა და ქვემო ქართლში, სადაც მუსლიმური რელიგიის მიმდევარი მოსახლეობა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ისლამის მიმდევარი მოსახლეობა ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა შობადობის მაღალი დონით. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერით, აჭარის 334 ათასი მცხოვრებიდან 182, 2 ათასი, ე.ი. 38,9% აღიარებს მუსლიმურ რელიგიას, ხოლო ქვემო ქართლის 424 ათასი მცხოვრებიდან - 182,2 ათასი, ე.ი. 43,0%. ანალოგიური შედეგი მიიღო მ. ტუხაშვილმა - „ქვემო ქართლში მცხოვრები 424 ათასი კაციდან 177 ათასი, ე.ი. 41,8% აზერბაიჯანელია", რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ყველა აზერბაიჯანელი ისლამის მიმდევარია. როგორც ჩანს, ქვემო ქართლის 182,2 ათასი მუსლიმანი მოსახლეობიდან 177 ათასი აზერბაიჯანელია, ხოლო 5,2 ათასი - სხვა ეროვნების (182,2-177=5,2) [5, გვ.145-146]. რელიგიური კუთვნილება გამოვლინდა, თუმცა შედარებით ნაკლებად, სტუდენტთა რეპროდუქციულ ორიენტაციებშიც.**

**2019 წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრამ ჩაატარა კვლევა „საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა“. რიგ საკითხთან ერთად შევისწავლეთ სტუდენტთა დემოგრაფიული ორიენტაციები და მასზე მოქმედი ფაქტორები.**

**როგორც აღვნიშნეთ, შობადობის დონეზე საქართველოში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რელიგიურ-ეთნიკური ფაქტორი. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, კვლევამ მოგვცა შემდეგი შედეგები: სტუდენტთა 78,7% თავს თვლის რელიგიურად, 21,3 % - არა; ქალებს შორის, კაცებთან შედარებით, 15,0%-ით მეტი მორწმუნეა. რელიგიურობასთან ერთად, კვლევით მივიღეთ უნიკალური ინფორმაცია საქართველოს სტუდენტების ეროვნული შემადგენლობის შესახებ, რომელსაც სახელმწიფო სტატისტიკა არ იძლევა. მოსახლეობის აღწერები იძლევა მონაცემებს მხოლოდ მთელი მოსახლეობის შესახებ. ერთმანეთს შედარებული საქართველოს მთელი მოსახლეობის და ჩვენი კვლევით მიღებული სტუდენტთა ეროვნული შემადგენლობის მონაცემები შეტანილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.**

***ცხრილი 1***

საქართველოს მოსახლეობის და სტუდენტების ეროვნული შემადგენლობა

| ეროვნება | მოსახლეობის 2014 აღწერით | | 2019 წლის კვლევით | |
|---|---|---|---|---|
| | მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი) | სტრუქტურა % | სტუდენტების რიცხოვნობა | სტრუქტურა % |
| ქართველი | 3225,0 | 86,8 | 2277 | 92,9 |
| სომეხი | 168,1 | 4,5 | 140 | 5,7 |
| აზერბაიჯანელი | 233,0 | 6,3 | 15 | 0,6 |
| რუსი | 26,5 | 0,7 | 5 | 0,2 |
| იეზიდი | 12,2 | 0,3 | 5 | 0,2 |
| დანარჩენი | 49,2 | 1,4 | 10 | 0,4 |
| სულ | 3714,0 | 100,0 | 2452 | 100,0 |

**აღმოჩნდა, რომ ქართველი სტუდენტების ხვედრი წილი მნიშვნელოვნად, ხოლო სომეხი სტუდენტების ხვედრი წილი მცირედით აღემატება მათ ხვედრ წილს მთელ მოსახლეობაში. აზერბაიჯანელი, რუსი და იეზიდი სტუდენტების ხვედრი წილი კი, პირიქით, ნაკლებია მათ ხვედრ წილზე მთელ მოსახლეობაში, განსაკუთრებით, აზერბაიჯანელებში. როგორც ჩანს, აღნიშნულ მდგომარეობას განაპირობებს ქართული ენის არასათანადო ცოდნა.**

**თუ კვლევის შედეგებს სტუდენტთა ეროვნული შემადგენლობის შესახებ გავავრცელებთ სტუდენტთა გენერალურ ერთობლიობაზე, აღმოჩნდება, რომ 2019 წელს 150 ათასი სტუდენტიდან ქართველია 139350, სომეხი - 8550, აზერბაიჯანელი - 900, რუსი - 300, იეზიდი - 300, დანარჩენი - 600.**

**სტუდენტთა რეპროდუქციული განწყობა რელიგიურ ფაქტორთან კავშირში მოტანილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში [6, გვ.88].**

***ცხრილი 2***

ბავშვების საშუალო რიცხვი რელიგიურობის მიხედვით

| | საშუალო რიცხვი | მოსალოდნელი რიცხვი | პროცენტულად სასურველი მოსალოდნელთან |
|---|---|---|---|
| რელიგიური | 3,01 | 2,87 | 104,9 |
| არარელიგიური | 2,77 | 2,61 | 106,1 |
| სულ | 2,97 | 2,83 | 104,9 |

**ცალსახად ჩანს, რომ ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი აღემატება მოსალოდნელს როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ რესპონდენტებს შორის, განსაკუთ-**

**რებით - უკანასკნელში, მაგრამ უფრო დიდი სხვაობაა რეპროდუქციულ განწყობაში რესპონდენტების რელიგიურობის მიხედვით. კერძოდ, რელიგიური სტუდენტების ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი, არარელიგიურებთან შედარებით, მეტია 8,7%-ით, ხოლო საშუალო მოსალოდნელი რიცხვი - 10,0%-ით [6, გვ.74].**

*ცხრილი 3*

ბავშვების საშუალო რიცხვი ეროვნების მიხედვით

| | სასურველი რიცხვი | მოსალოდნელი რიცხვი | პროცენტულად სასურველი მოსალოდნელთან |
|---|---|---|---|
| სომხები | 2,97 | 2,86 | 103,8 |
| ქართველები | 2,97 | 2,83 | 104,9 |
| სულ | 2,97 | 2,83 | 104,9 |

**ეროვნებების მიხედვითაც ბავშვების სასურველი რიცხვი აღემატება მოსალოდნელს, თვითონ სასურველი რიცხვი ეროვნებების მიხედვით იდენტურია, ხოლო მოსალოდნელი - უმნიშვნელოდ, 1,1%-ით აღემატებოდა სომეხ რესპონდენტებში ქართველების შესაბამის მაჩვენებელს, რაც საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ სომეხი და ქართველი სტუდენტების რეპროდუქციული განწყობა ერთგვაროვანია. ორი აზრი არ არის იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანელ სტუდენტებში რეპროდუქციული განწყობა შვილოსნობის უფრო მაღალ მაჩვენებელში გამოისახებოდა, რომ არა მათი მცირერიცხოვნობა ანკეტების შევსებისას. ანკეტები შეავსო და გამოაგზავნა მხოლოდ 15-მა აზერბაიჯანელმა სტუდენტმა, რაც არანაირი განზოგადების საშუალებას არ იძლევა.**

**ყველა რელიგიური, ეროვნული თუ სოციალური ჯგუფის შვილიანობაზე საყოველთაოდ მოქმედი ფაქტორია მატერიალური მდგომარეობა, რომელიც კვლევაში დავახასიათეთ ოჯახის შემოსავლით. მიღებული შედეგები მოთავსებულია ქვემოთ მოტანილი ცხრილში [6, გვ.75-76].**

*ცხრილი 4*

ბავშვების სასურველი რიცხვის განაწილება რესპონდენტების შემოსავლის მიხედვით (პროცენტებში)

| | ბავშვების სასურველი რიცხვი | | | | | სულ | ბავშვების საშუალო რიცხვი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5+ | | |
| დაბალშემოსავლიანი | 5,7 | 23,6 | 45,3 | 18,9 | 6,5 | 100,0 | 2,98 |
| საშუალოშემოსავლიანი | 3,7 | 27,4 | 42,9 | 18,9 | 7,1 | 100,0 | 2,98 |
| მაღალშემოსავლიანი | 20,0 | 20,0 | 50,9 | 10,0 | 0 | 100,0 | 2,5 |
| სულ | 4,5 | 26,4 | 43,6 | 18,7 | 6,8 | 100,0 | 2,97 |

ბავშვების მოსალოდნელი რიცხვის განაწილება რესპონდენტების შემოსავლის მიხედვით (პროცენტებში)

| | ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი | | | | | სულ | ბავშვების საშუალო რიცხვი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5+ | | |
| დაბალშემოსავლიანი | 7,8 | 31,1 | 43,9 | 16,5 | 0,7 | 100,0 | 2,71 |
| საშუალოშემოსავლიანი | 4,6 | 32,4 | 41,0 | 15,6 | 6,4 | 100,0 | 2,87 |
| მაღალშემოსავლიანი | 10,0 | 30,0 | 50,0 | 10,0 | 0 | 100,0 | 2,5 |
| სულ | 5,5 | 32,0 | 41,8 | 15,7 | 5,0 | 100,0 | 2,83 |

**ცხრილი 4-ის ანალიზამდე საჭიროდ ჩავთვალეთ, მოვიტანოთ დამატებითი ინფორმაცია მატერიალური მდგომარეობის და შობადობის დონეებს შორის კავშირის შესახებ, რომელიც დემოგრაფიაში ერთ-ერთ წინააღმდეგობრივ საკითხს წარმოადგენს. აღნიშნული კავშირი X1X საუკუნის მიწურულს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აღმოაჩი-**

ნა ცნობილმა ფრანგმა სტატისტიკოსმა და დემოგრაფმა ჟაკ ბერტილონმა (მეცნიერულ ბრუნვაში ტერმინ „დემოგრაფიის" შემომტანის - აშილ გიიარის შვილიშვილი). მან პარიზის, ბერლინის და ვენის კვარტალები დააჯგუფა ცხოვრების დონის მიხედვით და გამოთვალა მათში შობადობის კოეფიციენტები 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით. ბერტილონმა მიიღო შემდეგი შედეგები: [7, გვ. 292]

*ცხრილი 5*

***შობადობა ცხოვრების დონესთან კავშირში***

| კვარტალები / ქალაქები | ძალიან ღარიბი | ღარიბი | შეძლებული | ძალიან შეძლებული | მდიდარი | ძალიან მდიდარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარიზი, 1886-1898 | 14,0 | 12,9 | 11,1 | 9,9 | 9,4 | 6,9 |
| ბერლინი 1886-1895 | 22,5 | 20,6 | 19,5 | 17,8 | 14,6 | 12,2 |
| ვენა 1891-1897 | 20,0 | 16,4 | 15,5 | 15,3 | 10,7 | 7,1 |

ასე აღმოაჩინა ჟაკ ბერტილონმა უკუკავშირი ცხოვრების დონეს და შობადობის დონეს შორის. კერძოდ, ცხოვრების დონის ზრდის პარალელურად მცირდება შობადობის დონე, რაც უცვლელია ყველა დროში და ყველა ქვეყანაში. მოცემული საკითხი წინააღმდეგობრივი იმიტომაა, რომ არაფრით არ შეიძლება ვამტკიცოთ, თუ რატომ უნდა შემცირდეს შობადობა ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად.

ჩვენი კვლევის შედეგები გადაიხარა საყოველთაოდ არსებული კანონზომიერებისგან. კერძოდ, შემოსავლების ზრდის კვალობაზე პარალელურად არ მცირდება ბავშვების არც სასურველი, არც მოსალოდნელი რიცხვი. ერთადერთი კანონზმიერება ისა, რომ შვილიანობის მაჩვენებლები ყველაზე დაბალი აღმოჩნდა მაღალშემოსავლიან სტუდენტებში.

ჩვენმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქმე გვაქვს ახალ რეალობასთან [6, გვ.77], კერძოდ, ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი ერთი და იგივეა დაბალი და საშუალოშემოსავლიანი სტუდენტებისთვის, ხოლო ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი შემოსავლის ზრდასთან ერთად არა თუ მცირდება, არამედ იზრდება. კონკრეტულად, ბავშვების საშუალო მოსალოდნელი რიცხვი საშუალოშემოსავლიან სტუდენტებში არა თუ ნაკლები, არამედ მეტიცაა დაბალშემოსავლიანი სტუდენტების ანალოგიურ მაჩვენებელზე 6,0%-ით (2,87 : 2,71 = 106,0%), რაც შვილიანობასა და შემოსავლებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ სრულიად ნოვაციური შედეგია.

სტუდენტთა ორიენტაციები შვილიანონის მიმართ საკმაოდ ოპტიმისტურია. მათი შეხედულებით, ბავშვების საშუალო სასურველმა რიცხვმა 2,97 შეადგინა, ხოლო მოსალოდნელმა - 2,83. ორივე აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს, თუმცა როგორც რეალური ცხოვრება გვიჩვენებს, ფაქტობრივად, დაბადებული ბავშვების რიცხვი ნაკლებია როგორც მოსალოდნელ, ისე რეალურ რიცხვზე. საქართველოს 2019 წლის მონაცემებით, ბავშვების ფაქტობრივი რიცხვი საქართველოში, ერთ ქალზე გაანგარიშებით, შეადგენს 2,1-ს, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის მხოლოდ მარტივ აღწარმოებას.

რესპონდენტების რეპროდუქციული განწყობის ფორმირებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ოჯახი, შემდეგ მოდის მედიის გავლენა, მოძღვარი, დემოგრაფიული პოლიტიკა და მეგობრის აზრი. რესპონდენტების 66,0%-მა მხარი დაუჭირა ბავშვის გაჩენას რეგისტრირებული ქორწინებით შექმნილ ოჯახში. ჯვარდაწერილი ან სხვა რელიგიური წესით დაკავშირებული წყვილების ოჯახში ბავშვის დაბადებას მხარი დაუჭირა 27,0%-მა, ხოლო ქორწინების გარეშე დაბადებას - 7,0%-მა. როგორც ჩანს, სტუდენტები თავის რეპროდუქციულ განწყობას ქორწინების გარეშე დაბადების შემთხვევაში საკმაო თავისუფლებას აძლევენ, რამდენადაც ქორწინების გარეშე ბავშვის დაბადებას მხარს უჭერს 7,0%. სინამდვილეში, საქართველოში, საქსტატის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი 2012-2018 წლებში საშუალოდ შეადგენს 2,5%-ს [3], რაც ზემოთ მოტანილ მაჩვენებელზე 2,8-ჯერ ნაკლებია.

შობადობის დონე, თუ საზოგადოებაში მნიშვნელოვან კატაკლიზმებს არ აქვს ადგილი, თაობიდან თაობამდე კანონზომიერებაც მცირდება. [6,გვ.81]

*ცხრილი 6*

შვილების რიცხვი რესპონდენტების მშობლების და პაპა-ბებიების ოჯახებში

| | ბავშვების რიცხვი რესპონდენტთა: % | | | საშუალო პაპა-ბებიების ოჯახში |
|---|---|---|---|---|
| | მშობლების ოჯახში | პაპა-ბებიების ოჯახში დედის მხრიდან | პაპა-ბებიების ოჯახში მამის მხრიდან | |
| ორი | 10,0 | 5,1 | 3,9 | 4,5 |
| სამი | 54,7 | 32,4 | 34,3 | 33,4 |
| ოთხი | 28,8 | 36,3 | 34,1 | 35,2 |
| ხუთი და მეტი | 5,7 | 24,8 | 26,6 | 25,7 |
| სულ | 99,2 | 98,6 | 98,8 | 98,7 |
| პასუხის გარეშე | 0,8 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| სულ | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| ბავშვების საშუალო რიცხვი, 100 ოჯახზე | 330 | 382 | 385 | 383 |

სამი შვილი ჰყავდა რესპონდენტების მშობლების ოჯახების 54,7%-ს, ხოლო პაპა-ბებიების ოჯახების - 33,4%-ს, სამაგიეროდ, ოთხი შვილი ჰყავდა პაპა-ბებიების ოჯახების 35,2%-ს (საშუალოდ დედის და მამის მხრიდან), ხოლო მშობლების ოჯახების მხოლოდ 28,8%-ს. ცხადია, რომ პაპა-ბებიების თაობა გაცილებით მრავალშვილიანი იყო შვილების თაობასთან შედარებით. ეს გაცილებით უკეთ ჩანს 100 ოჯახზე შვილების საშუალო რიცხვის შედარებისას. პაპა-ბებიების 100 ოჯახში დედის მხრიდან ჰყავდათ 382 ბავშვი, მამის მხრიდან - 385. პაპა-ბებიების და მათი შვილების ე.ი. რესპონდენტების მშობლების შვილიანობაში დიდი განსხვავებაა. პაპა-ბებიებს ყოველ 100 ოჯახში 55 ბავშვით მეტი ჰყავდათ (385-330), ვიდრე მათ შვილებს.

რაც შეეხება მესამე თაობას, გამოკითხულ სტუდენტებს, მოსალოდნელი, ე.ი. დაგეგმილი ბავშვების რიცხვი შეადგენს 100 გამოკითხულზე 300-ს, რაც 30 ბავშვით ნაკლებია მათი მშობლების ბავშვების ფაქტობრივ რიცხვზე (330-300). ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავალში, როგორც რეალობა და პრაქტიკა გვაჩვენებს, ბავშვების ფაქტობრივი რიცხვი მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება მოსალოდნელ (დაგეგმილ) ბავშვების რიცხვზე.

## დასკვნა

- დღეისათვის შობადობის დონე საქართველოში შეესაბამება მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების მოთხოვნებს. 1990-იანი წლებიდან, რიგი წლების მიხედვით, მოკვდაობის დონე უარყოფით გავლენას ვერ ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე და ასეთი რამ პირველად ხდება საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიაში.
- შობადობის დონე მკვეთრადაა დიფერენცირებული რეგიონების მიხედვით. მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას საქართველოში უზრუნველყოფს აჭარა, თბილისი და ქვემო ქართლი. დანარჩენ რეგიონებში გვაქვს მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება.
- 1990-იანი წლების შემდეგ კატასტროფულად შემცირდა მოსახლეობის რიცხოვნობა. 2020 წლის მოსახლეობის რიცხოვნობა 1941 წლის მოსახლეობის რიცხოვნობის ტო-

ლია. 1992-2020 წლებში საქართველოს მოსახლეობა 5,5 მილიონიდან 3,7 მილიონამდე, ე.ი. 1,8 მილიონით შემცირდა, რაც მთლიანად მოსახლეობის ემიგრაციის შედეგია.

- სტუდენტთა დემოგრაფიული ორიენტაციების კვლევამ შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლებით დაადასტურა შვილიანობის მკვეთრი შემცირება თაობების მიხედვით. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ სტუდენტების პაპა-ბებიების 100 ოჯახს 383 შვილი ჰყავდა, მშობლებისას - 330, ხოლო შვილებში (სტუდენტებში) მოსალოდნელია 283.
- სტუდენტთა დემოგრაფიული ორიენტაციები საკმაოდ ოპტიმისტურია. მათ მიერ დასახელებული როგორც საშუალო სასურველი (2,97), ისე მოსალოდნელი (2,83) რიცხვი აღემატება მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს და მათი რეალიზაცია, თუნდაც 2,2-2,3 ბავშვით ერთ სტუდენტზე, საქართველოს დემოგრაფიულ მომავალს მყარი ოპტიმიზმის საფუძველს შეუქმნიდა.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული სიტუაცია, სტუდენტთა დემოგრაფიული ორიენტაციები, ბავშვების სასურველი რიცხვი, ბავშვების მოსალოდნელი რიცხვი.

ლიტერატურა:


1. ხმალაძე მ., მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა პოსტსაბჭოთა საქართველოში, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, შრომების კრებული, თბ., 2018.
2. ხმალაძე მ., დემოგრაფია თბ., 2009.
3. Geostat.ge
4. Численность, состав и движение населения Грузинской ССР, 1981,
5. ტუხაშვილი მ., ქვემო ქართლის მოსახლეობა: პოლიეთნიკურობიდან მონოეთნიკურობისკენ, იხ. მიგრაცია 8, თბ., 2017.
6. საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა, თბ., 2020.
7. Курс демографии, М., 1985.


## Demographic situation in Georgia and demographic orientations of students


**Merab Khmaladze**

*Doctor of Economic Sciences, Associate Professor,*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*



S u m m a r y

**Since the 1990s, by number of years, the mortality rate can no longer have a negative impact on population reproduction, and this is the first time in the demographic history of Georgia.**

- **At present, the birth rate in Georgia meets the requirements of reduced reproduction of the population. Since the 1990s, by number of years, the mortality rate can no longer have a negative impact on reproduction of the population and, this is the first time in the demographic history of Georgia.**
- **The birth rate is sharply differentiated by regions. Simple reproduction of the population in Georgia is provided by Adjara, Tbilisi and Kvemo Kartli, while in other regions a reduced reproduction of the population is reported.**

- **The population has dropped dramatically since the 1990s. As of 2020, the population number is equal to the one fixed in 1941. In 1992-2020, the population of Georgia reduced from 5.5 million to 3.7 million, i.e. by 1.8 million, which is a result of emigration of the population.**
- **A study of the demographic orientations of students confirmed with relevant statistics a sharp decline in childbearing from generation to generation. In particular, it turned out that there were 383 children in 100 families of students' grandparents, 330 children in 100 families of students' parents, and 283 are expected in case of them (students).**
- **The demographic orientations of students are quite optimistic. Both the average desired (2.97) and expected (2.83) numbers named by them exceed the population's extended reproduction requirements and, their realization even with 2.2 - 2.3 children per student, would create a basis for solid optimism for the demographic future of Georgia.**

***Key words: Demographic situation; Demographic orientations of students; Desired number of children; Expected number of children***

# ბანკების ფინანსური მდგომარეობის და შედეგების ანალიზის სრულყოფის საკითხები

**მარინე ხუბუა**
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია ბანკების ფინანსური მდგომარეობის და შედეგების ანალიზის პრაქტიკული ჩატარების მეთოდოლოგია და მეთოდიკა, ხაზგასმულია, რომ დღეს ბანკებს, როგორც არასოდეს გააჩნიათ უმდიდრესი საინფორმაციო ბაზა ამ ანალიზის ჩასატარებლად, აგრეთვე აუცილებელი ტექნიკური საშუალებები. მაგრამ მიუხედავად ანალიზის აქტუალობისა, ბევრ კომერციულ ბანკებში ეს პრაქტიკულად ან არ ტარდება, ან თუ ტარდება-ეპიზოდურად, ხოლო შემოსავლების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ოფიციალურ ანგარიშგებაში არა თუ არ შეისწავლება, არამედ უამრავი მიზეზების გამო მიუწვდომელია საბანკო მენეჯერების დიდი ნაწილისათვის, რომლებიც თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე უშუალოდ უნდა იყვნენ დაინტერესებული.*

*საკვანძო სიტყვები: ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები, კაპიტალის ანალიზი, შემოსავლების ანალიზი, რისკის მაჩვენებლები, ფინანსური შედეგების მაჩვენებლები.*

**საბანკო დაწესებულებებში ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასება უაღრესად რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის მისი საქმიანობის კომპლექსური მახასიათებლის მაჩვენებლებს. ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების რიცხვს მიეკუთვნება:კაპიტალის საკმარისობის, აქტივების ხარისხის, რენტაბელობის, ლიკვიდურობის, რისკის დონის მაჩვენებელები (იხ. სქემა 1.) ყველა ჩამოთვლილ მაჩვენებლებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი.**

**ბანკის დაარსებისას კაპიტალის დანიშნულებაა მატერიალური ბაზის შექმნა, რომელიც სჭირდება საკრედიტო დაწესებულებას თავისი საქმიანობის დაწყებისათვის. შემდგომ კი მისი გაფართოებისა და მოდერნიზაციისათვის. შემდეგში ეს ფუნქცია მეორეხარისხოვნად იქცევა და პირველ რიგზე გამოდის მისი დამცველობითი (მეანაბრეთა ინტერესების დაცვა, თუ ბანკი ლიკვიდირებული იქნა შესაძლო დანაკარგების ნეიტრალიზაცია) და მარეგულირებელი ფუნქცია (ბანკის წარმატებული საქმიანობისათვის საბანკო სისტემის საერთო დონის მხარდაჭერა).**

**სამართლიანია მლ. ჯ. სინკის მტკიცება, რომელსაც მიაჩნია, რომ `არცერთი ჭკვიანი კრედიტორი არ მიიჩნევს პოტენციური მევალის ცუდი ვალების დასაფარ სარეზერვო ფონდს, როგორც ფირმის კაპიტალის ნაწილს და მეორეხარისხოვან ვალს (უფრო დაბალი სტატუსის ობლიგაციები, რომლებიც ბანკის გაკოტრების შემთხვევაში მეორე რიგში ანაზღაურდება) არ ჩათვლის სააქციო კაპიტალის ეკვივალენტურად~. [1, გვ. 775]**

**ეს ეხება თვით ბანკის კაპიტალსაც. მათი რეზერვები მხოლოდ გარკვეულწილად შეიძლება ჩაითვალოს კაპიტალის შემადგენელ ელემენტად. მათი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც რჩება გადავადებული სესხების ანაზღაურების შემდეგ და მიმართულია სააქციო კაპიტალის გასაზრდელად, შეიძლება ჩაითვალოს მის რეალურ შემადგენლად.**

**საერთოდ, ბანკის საკუთარ სახსრებზე რეზერვის გავლენა რთული და მრავალგვარია. მათი ფორმირების მომენტში რეზერვები ზოგჯერ მნიშვნელოვნად ამცირებენ ბანკის კაპიტალის სიდიდეს.**

სქემა. 1. ბანკის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემა.




**შეფარდებითი მაჩვენებლების სისტემის გამოყენება კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესწავლისა და შეფასების შესაძლებლობას აფართოებს, კერძოდ, მისი საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლის. კაპიტალის საკმარისობის (ადეკვატურობის) ცნება თავის მხრივ აკუმულირებას უკეთებს მის ისეთ თვისებებს, როგორიც არის საიმედობა, ბანკის მდგრადობა, არაკეთილსასურველი ფაქტორებისადმი გამძლეობა, შესაძლებლობა დააღწიოს თავი ზარალიდან მიყენებულ ზიანს, ამასთან, ბანკისათვის საკმარისი კაპიტალის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რას უდარებენ მას- შენატანების საერთო თანხას, მთელ აქტივებს, მაღალი რისკის აქტივებს, სესხებს და ინვესტიციებს, დეპოზიტებს თუ სხვა მაჩვენებლებს.**

**ყველაზე მეტად მიღებული აზრი, რომ კაპიტალის საკმარისობა პირდაპირ არის დამოკიდებული რისკის ჯამზე და პროფილზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი კაპიტალის სიდიდეზე სხვადასხვა სახის გავლენის დადგენის ხერხი.**

**შეფასება რისკის გათვალისწინებით მდგომარეობს იმაში, რომ ბანკის მიერ სარისკო სახის საბალანსო და ბალანსგარეშე საქმიანობისათვის აუცილებელი რეზერვების ფორმირების მოთხოვნების წინ წამოწევაში. ამასთან აქტივების შეფასება მათი რისკის ხარისხის გათვალისწინებით ხორციელდება სტანდარტული ნორმატივების საფუძველზე.**

**საქართველოს კომერციული ბანკების კაპიტალის ბაზის საერთო დონე მსოფლიო მნიშვნელობებთან შედარებით საკმაოდ დაბალია. კაპიტალის საკმარისობის ნორმატივი შეიძლება განისაზღვროს გ. შერბაკოვას მიერ შემოთავაზებული ფორმულით.: [2, გვ. 74]**

$$HL=K/(AP+KPB+KPC-P_{ц}-P_{к}-P_{d}) . 100\%$$

**სადაც, AP - აქტივების ჯამი ბანკის შეწონილი რისკის გათვალისწინებით;**

KPB - საკრედიტო რისკის სიდიდის ინსტრუმენტები, რომლებიც ასახულია ბალანსგარეშე ბუღალტრულ ანგარიშებში;
KPC -სწრაფი გარიგებების საკრედიტო რისკის სიდიდე;
$P_ц$ - ფასიანი ქაღალდების გაუფასურების მიხედვით შექმნილი რეზერვის საერთო სიდიდე;
$P_k$ - სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, რომელიც შექმნილია სარისკო კატეგორიის სესხებისათვის;
$P_d$ – შექმნილი რეზერვის სიდიდე სხვა დანაკარგებისათვის სწრაფი აქტივების და დებიტორებთან ანგარიშსწორებისათვის;
HL-ის დაშვებული ნორმატივის მინიმალური მნიშვნელობა დგინდება ბანკის კაპიტალის 7%-იან სიდიდესთან დამოკიდებულებით.

კაპიტალის საკმარისი სიდიდის განსაზღვრის საშუალებები, რომლებსაც აწესებენ მარეგულირებელი ორგანოები წარმოადგენენ მის საბუღალტრო შეფასებას. მათ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ბანკის სავალო ვალდებულებების სიდიდისა და მისი აქტივების შესაბამისობის ოპტიმიზაცია. სააღრიცხვო პროცედურების ნაკლოვანებებს მიეკუთვნება კაპიტალის რეალური მოცულობის სისტემატური შეუფასებლობა.

კომერციული ბანკების ფინანსური შედეგების ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიღებული შემოსავლების მოცულობისა და ხარისხის შესწავლას, რამდენადაც ისინი თავის მხრივ საკრედიტო ორგანიზაციების მოგების ფორმირების მთავარ ფაქტორს წარმოადგენენ. მეორე მხრივ, შემოსავლების შემცირება, როგორც წესი, თავისთავად წარმოადგენენ ბანკის გარდაუვალი ფინანსური სიძნელეების ობიექტურ ინდიკატორს. ზემოთ აღნიშნული გარემოებები განაპირობებენ ფინანსური შედეგების შესწავლაში მთლიანი შემოსავლების ანალიზის მნიშვნელობას.

ბანკის შემოსავლების ანალიზის საკითხების მთელი კომპლექსის ყოველმხრივი გაშუქებისათვის საჭიროა სპეციალური გამოკვლევის ჩატარება. ამჟამად ბანკებს გააჩნიათ საკმაო მოცულობის საინფორმაციო ბაზა ანალიზისათვის, რომლის ჩატარების საშუალებად შეგვიძლია გამოვიყენოთ მისი მეთოდების მთელი არსენალი, პირველ რიგში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემოსავლების ანალიზის საერთო მეთოდოლოგიურ შემუშავებაზე, მისი ამოცანების დეტალიზაციაზე, მთლიანი შემოსავლების სიდიდის ფორმირების ძირითადი ფაქტორების დადგენაზე.

ბანკის შემოსავლების ანალიზის პრიორიტეტულ ამოცანათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ: შემოსავლების მოცულობის სტრუქტურის განსაზღვრა და შეფასება, დინამიკის შესწავლა, შემოსავლების სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების დადგენა, შემოსავლების გაზრდის რეზერვების გამოვლენა.

შემოსავლების სტრუქტურის ანალიზის დროს შემოსავლები იყოფა პროცენტულად და არაპროცენტულად.

როგორც წესი ბანკებისათვის უფრო მნიშვნელოვანს წარმოადგენს პროცენტული შემოსავლები.

ბანკის პროცენტული შემოსავლების ანალიზის პროცესში აუცილებელია დავადგინოთ პროცენტული შემოსავლების მომტანი აქტივების საერთო და სტრუქტურული ცვლილებების სიდიდე, მოვახდინოთ მათი შემოსავლების გამოყენების ზრდის (კლების) ტემპთან შედარება, გამოვავლინოთ ბანკის მიერ ჩატარებული აქტიური ოპერაციების პროცენტული განაკვეთების საერთო დონის ცვლილებები, განვსაზღვროთ სასესხო პროცენტზე, სასესხო კაპიტალის ბაზარზე კრედიტების მოთხოვნის და წინადადებების თანაფარდობების, აგრეთვე გაცემული სესხის მოცულობის და პირობების ზეგავლენა, კერძოდ: მათი დაფარვის ვადა, მათთვის დამახასიათებელი რისკი, საკრედიტო უზრუნველყოფა და სხვა.

ანალიზის შემდეგ ეტაპზე უნდა შეფასდეს ოპერაციების სახეების მიხედვით საშუალო სახელშეკრულებო პროცენტების ფორმირების საფუძვლიანობა, პროცენტული მარჟის სიდიდის საკმარისობის თვალსაზრისით. აგრეთვე, პროცენტული განაკვეთების დიფერენციაციის შკალის მაჩვენებლებთან შესაბამისობა, მიეცეს შეფასება გაცემულ სესხებზე უზრუნველყოფადობის სიდიდეს, ხარისხს, ლიკვიდურობას, ხელმისაწვდომობას, გამოვლინდეს წინა პერიოდში გაცემული სესხების მიხედვით გადავადებული დავალიანებების სტრუქტურისა და მოცულობის დინამიკა, განვიხილოთ პროცენტული შემოსავლების სიდიდეზე დაუფარავი ვალების ჩამოწერის ზეგავლენა, განვსაზღვროთ და შევაფასოთ ნაზარდი პროცენტების სიდიდის წილი მიღებული შემოსავლების საერთო მოცულობაში.

ნაზარდ პროცენტად ითვლება ბანკის პროცენტული ოპერაციების შემოსავლები და ხარჯები, რომელიც მიეკუთვნება საანგარიშგებო პერიოდს, მაგრამ ამ პერიოდის ბოლოსათვის ჯერ არ არის მიღებული ან გადახდილი. მათი მოცულობა შეიძლება განვსაზღვროთ ფორმულით:

$$h = \frac{(\text{კრედიტის საერთო თანხა (ანაბარი)}) \times (\text{წლიური პროცენტული განაკვეთი} \times P)}{365\ (\text{დღეთა რიცხვი})}$$

სადაც H- ნაზარდი შემოსავლები;
P - ზრდის პერიოდი დღეებში.

ნაზარდი პროცენტების სიდიდე არ არის რეალური შემოსავალი ან ხარჯი, არამედ შემოსავლის მიღების უფლება, ან სხვა პირის სასარგებლოდ სახსრების გადახდის ვალდებულება და ნიშნავს, რომ პროცენტული შემოსავლების ზრდა ნაზარდი პროცენტული შემოსავლების ხარჯზე არ შეიძლება შეფასდეს დადებითად. ამასთანავე ნაზარდი პროცენტული შემოსავლების ანალიზის პროცესში უნდა დადგინდეს, ხომ არ ერიცხება პროცენტები კრედიტებს, რომელთა დაბრუნების ალბათობა მნიშვნელოვანწილად დაბალია, რასაც მივყავართ პროცენტული შემოსავლების და მოგების, საბოლოოდ კი გადასახადისა და დივიდენდების ხელოვნური ზრდისაკენ.

შემოსავლების ანალიზის პროცესში გარკვეული სპეციფიკა აქვთ ვადაგადაცილებული კრედიტებისაგან მიღებულ პროცენტებს. მისი შესწავლისას გაცემული კრედიტების პროცენტული განაკვეთის საფუძვლიანობის საკითხებთან ერთად, უნდა განვიხილოთ კრედიტების უზრუნველყოფის სხვა ტრადიციული ამოცანები, შევაფასოთ გაცემული სესხების რისკი ამა თუ იმ ჯგუფზე, ბანკის ანგარიშგებაში მისი ასახვის სისწორე, საკრედიტო რისკით გამოწვეული დანაკარგების დასაფარავად შექმნილი რეზერვის საკმარისობა, მისი შესაბამისობა ფაქტიურად გაანგარიშებულ თანხასთან.

არაპროცენტული შემოსავლების ანალიზის ჩატარების დროს აუცილებელია განვსაზღვროთ მათი ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში, გამოვავლინოთ ყველაზე უფრო შემოსავლიანი მომსახურების სახეობა, შევაფასოთ გაწეული მომსახურების თითოეული ჯგუფისათვის ბანკის მიერ საკომისიოების ფორმირებისას გამოყენებული მეთოდები, შევისწავლოთ გაწეული მომსახურების ფაქტიური თვითღირებულება, მეთოდური უზრუნველყოფის ხარისხი, რომელიც გათვალისწინებულია ცალკეული არასაკრედიტო მომსახურების თვითღირებულების განსაზღვრისათვის, გაირკვეს პერსონალისათვის არსებული მასტიმულირებელი სისტემის ეფექტიანობა, გაწეული მომსახურების ხარისხის და ღირებულების დონე.

ამრიგად, ბანკების საქმიანობის შესწავლისადმი კომპლექსური მიდგომა საშუალებას მოგცემს, შევაფასოთ ბანკის ურთიერთდაკავშირებული მიზნების ერთობლიობის რეალიზაციის ეფექტურობა და მისი განვითარების პერსპექტივების დონე.

**ლიტერატურა:**

1. Синк М, Финансовый менеджмент: Учебное пособие- М. Изд. АО «Консалтбанкир», 1996 г. с. 775.
2. Шербакова Г Н Финансовыи Анализ в Коммерческом Банке М 1999 с 74
3. SBI bulleitin publication 2012
4. ICICI Bank bulleitin publikation 2012

# Issues of Improvement of Analysis of Banks' Financial Conditions and Results

**Marine Khubua**

***PhD in Economics***

S u m m a r y

**The article discusses the methodology of conducting the analysis of banks' financial conditions and results. It emphasizes the fact that today banks, as never before, have the richest information basis and they also have necessary technical means for conducting the very analysis. But despite the importance of the analysis, in many commercial banks it is practically not conducted but if it is conducted it has been done partly. The information about income which is given in the official report has not been studied and it is even inaccessible due to many reasons to a large number of bank managers. Though bank managers must be interested in it due to their duties.**

***Key words: indicators of financial condition, capital analysis, revenue analysis, risk indicators, indicators of financial results***

# COVID-19 - დეგლობალიზაციის თუ გლობალიზაციის ახალი ტალღის განვითარების მიზეზი?


**მარიამ ხურციძე**
*თსუ-ის დოქტორანტი*



*ნაშრომში განხილულია თუ როგორ გავლენას ახდენს COVID-19-ის კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაზე. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების განხილვის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ მსოფლიო დგას გლობალიზაციის კრიზისის წინაშე და მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელია დეგლობალიზაციის გაძლიერება. წარმოდგენილი მასალის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა და გამოთქმულია მოსაზრებები, თუ როგორი საპასუხო პოლიტიკაა საჭირო უფრო განვჭვრეტადი და შოკებისადმი მდგრადი მომავლის შესაქმნელად.*



*საკვანძო სიტყვები: სახელმწიფოს როლი, სიღარიბე, უთანასწორობა, სასურსათო უსაფრთხოება.*


**COVID-19-ის კრიზისმა ზიანი მიაყენა მსოფლიოს ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკურ, სოციალურ და გეოპოლიტიკურ სფეროებს. შედეგად კი ვნახეთ, თუ რამდენად არამყარი და უთანასწოროა ინსტიტუციები, რომლებიც ამ სფეროებს მართავენ. კრიზისის შედეგად გაუარესდა გლობალიზაციის ისედაც შემცირებული მხარდაჭერა, საჭირო გახდა სოციალური ღირებულებების გადახედვა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის და თავისუფალი ბაზრის მოდელის ეფექტურობა.**

**ის, რაც თებერვალში სიმართლე იყო, ახლაც სიმართლეა: ეკონომიკაზე კვლავ შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვა ეკონომიკურმა, ფინანსურმა, გეოპოლიტიკურმა თუ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებმა, რომელთა უმეტესი ნაწილი მდგრადია და მიმდინარე კრიზისის შედეგად კიდევ უფრო მწვავე გახდა. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ წლის ბოლომდე ერთი ან რამდენიმე „თეთრი გედი" (გარდაუვალი მოვლენა) კვლავ გამოჩნდება, რომლებიც გავლენას მოახდენენ გლობალურ ეკონომიკაზე. [10]**

**აღსანიშნავია, რომ მთავრობების მიერ გამოყენებული პოლიტიკის ინტერვენციები და მხარდაჭერის პაკეტები საკმაოდ ეფექტური და დროული იყო ეკონომიკური კრიზისის პიკის დროს. თუმცა პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ საჭიროა, ეკონომიკური აღდგენა კი, სავარაუდოდ, ხანგრძლივი პროცესი იქნება. საჭიროა გააზრებული გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაგრძელდება ეკონომიკური კრიზისის დაძლევა, რომელიც უფრო ხანგრძლივი იქნება, ვიდრე ველოდით.**

**გარდა ამისა, COVID-19-ის პანდემიამ მთელი სამყარო და თითოეული ჩვენგანი დააყენა ყველაზე რთული გამოწვევების წინაშე. მაგალითად, ისეთი მოვლენები, როგორებიცაა უმუშევრობის მკვეთრი და დრამატული ზრდა (ეკონომიკური რისკი), შავკანიანების გლობალური პროტესტი (საზოგადოებრივი საკითხი), ჩინეთსა და აშშ-ის შორის დაძაბულობის ზრდა (გეოპოლიტიკური რისკი) არ მოხდებოდა პანდემიის გარეშე, ან უბრალოდ პანდემიამ გაამწვავა ეს საკითხები.**

**მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია ობიექტური პროცესია, COVID-19-ის გლობალურმა კრიზისმა დეგლობალიზაციის განვითარების ალბათობა გაზარდა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დეგლობალიზაციის პირობებში ახლებურად გავიაზროთ ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სახელმწიფოს როლი, უმუშევრობა და სიღარიბე, უთანასწორობა, გლობალური ვაჭრობა და მიწოდების ჯაჭვები, სასურსათო უსაფრთხოება, მდგრადი განვითარების მიზნები და სხვა.**

***სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერება.*** **COVID-19-ის შესახებ გამართული დისკუსიების მიუხედავად, ერთი რამ საყოველთაოდ აღიარებულია: პანდემია მოხდა იმ ეპოქაში, როდესაც**

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა უფრო გაძლიერებულია. რას ნიშნავს ეს მომავლისთვის? ეკონომიკური ცხოვრების რომელ სფეროებში უნდა ან შეუძლია სახელმწიფოს მეტის გაკეთება?

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავრობებმა უნდა მართონ უთანასწორობა და გადაანაწილონ მეტი შემოსავალი, ან ისინი უფრო აგრესიულად უნდა ებრძოდნენ კლიმატის ცვლილებას. ამასთან, არც ერთ კერძო ორგანიზაციას არ შეუძლია, ერთდროულად უზრუნველყოს და დააფინანსოს აუცილებელი საზოგადოებრივი ჯანდაცვა, გადაიხადოს დროებით განთავისუფლებული მუშაკების ხელფასები, შეინარჩუნოს სამუშაო ადგილები მცირე ფინანსების მქონე ფირმების დაკრედიტებით და ფინანსურად დაეხმაროს დაუცველ ოჯახებს. ამ ყველაფრის გაკეთება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლიათ. შესაბამისად, COVID-19-ის შემდეგ მილტონ ფრიდმანის მიმდევრების ნაცვლად სავარაუდოდ უფრო მეტად კეინზის მიმდევრები გავხდებით და როგორც ნიქსონი ამბობდა: „ახლა ჩვენ ყველანი კეინზიანელები ვართ“. [9]

*უმუშევრობის და სიღარიბის ზრდა.* კრიზისი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო მოსახლეობის ღარიბ და დაუცველ ნაწილზე, საფრთხეს უქმნის ათწლეულების განმავლობაში განვითარებაში მიღწეულ წარმატებას. მსოფლიო ბანკის პროგნოზით [12], მნიშვნელოვნად მოიმატებს გლობალური სიღარიბე კორონავირუსის პანდემიის გამო, მსოფლიოში 60 მილიონ ადამიანს ექსტრემალური სიღარიბე ემუქრება; შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია კი მიიჩნევს [8], რომ COVID-19-ის შედეგად მთელ მსოფლიოში 25 მილიონამდე სამუშაო ადგილი დაიკარგება.

ამ გაურკვეველი პერიოდის დროს მთავრობებისა და ფირმების მოქმედება და მათ მიერ შოკებისა და აღდგენის მართვა გვიჩვენებს, არსებობს თუ არა ძლიერი ეკონომიკური საფუძველი, რომელმაც უნდა აღადგინოს დასაქმება, გრძელვადიანი ზრდა და გლობალური განვითარების მცდელობები. ახლა, როდესაც პანდემია აჩქარებს ცვლილებებს, თუ როგორ ვიმუშაოთ, მოვიხმაროთ და კომუნიკაცია დავამყაროთ, ბევრ კომპანიას ერთადერთი არჩევანი რჩება - შეცვალოს თავისი ბიზნესმოდელი და შემოქმედებითად მიუდგეს მოულოდნელობას. მაგალითად, ბაზრიდან გასვლის ნაცვლად, აშშ-ში ალკოჰოლის მწარმოებელმა ზოგიერთმა კომპანიამ დაიწყო სადეზინფექციო ხსნარების წარმოება ხელმისაწვდომ ფასად. შესაბამისად, ახალი შესაძლებლობები და ბიზნესმოდელები ხელმისაწვდომია მათთვის, ვინც ამისთვის მზადაა.

COVID-19-ის პანდემიის უარყოფითი ეფექტი შრომის გლობალურ სამყაროზე, სავარაუდოდ, ხანგრძლივი იქნება, რაც ისევ მილიონობით ადამიანის უმუშევრობას და სიღარიბეს გამოიწვევს. შესაბამისად, ახალი დღის წესრიგი მოითხოვს: შრომის ბაზრის პოლიტიკის განახლებას, მთავრობების პასიური და აქტიური საბაზრო პოლიტიკის გადასინჯვას; სოციალური დაცვის, განსაკუთრებით კი სოციალური დახმარების გაფართოებას და სხვა.

*უთანასწორობის ზრდა.* გლობალიზაციით ისარგებლა მილიარდობით ადამიანმა და მრავალმა ქვეყანამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა არა ყველა ქვეყანამ და ყველა ადამიანმა. გლობალიზაციამ კეთილდღეობასთან ერთად გამოიწვია უთანასწორობის ზრდაც. უმუშევრობის მიზეზით კი ჩვენ ვრისკავთ ქვეყნებში უთანასწორობის გაზრდას, რაც მოსახლეობის ყველაზე სუსტ ფენას ყველაზე მეტად დააზარალებს. ამასთან ერთად, არსებობს ქვეყნებს შორის უთანასწორობის განვითარების რისკები. მიუხედავად დიდი წინსვლისა, განვითარებადი ქვეყნები შეიძლება, უფრო მეტად დაზარალდნენ COVID-19-ით, ვიდრე განვითარებული მსოფლიო. მოგვიანებით, ვაქცინებზე წვდომა ამ პრობლემას სავარაუდოდ კიდევ უფრო გაამძაფრებს. [11]

უთანასწორობის შესამცირებლად და მოსახლეობისთვის ცხოვრების უკეთესი პირობების შესაქმნელად მთავრობებმა უნდა გააძლიერონ განათლების სისტემა, უკეთესად მოამზადონ მუშაკები მომავალი სამუშაოებისთვის. ამასთან, მთავრობას შეუძლია, დაეხმაროს კრიზისის შედეგად დაზარალებულ ოჯახებსა და დასაქმებულებს,

სოციალური დაზღვევის და უსაფრთხოების ქსელების გაფართოებით, რაც მათ დაიცავს სამუშაოს და შემოსავლის დაკარგვისგან.

პანდემიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები დასაქმებაში აჩქარებს ინდუსტრიულიდან ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლას. კერძოდ, კრიზისმა აჩვენა, რომ ინტერნეტის წვდომა გადამწყვეტი იყო პანდემიის პირობებში მუშაობის გასაგრძელებლად. ეს ნიშნავს, რომ ციფრული უნარების სწავლება აუცილებელი იქნება მომავალში უმეტესი სამუშაოებისთვის. შესაბამისად, ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირების გაზრდა საშუალებას მისცემს მოსახლეობის დაუცველ ჯგუფებს, მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღონ მომავლის ეკონომიკაში.

*გლობალური მიწოდების ჯაჭვების შეფერხება და საერთაშორისო ვაჭრობის შემცირება.* პანდემია დაემატა საერთაშორისო ვაჭრობაში არსებულ გაურკვევლობას, რომელიც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა სავაჭრო დავები და ტექნოლოგიის სტანდარტებთან დაკავშირებული სირთულეები. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის დროს საქონლის ვაჭრობაში შემცირება შეიძლება დროებითი იყოს, განვითარებადი ეკონომიკები დაზარალდებიან, თუ ქვეყნები შეინარჩუნებენ გარკვეული პროდუქციის ექსპორტზე დაწესებულ შეზღუდვებს.

ქვეყნებმა შესაძლოა აირჩიონ თვითუზრუნველყოფის სტრატეგიები, რათა ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული სხვა ქვეყნებზე. ამასთან, პანდემიით გამოწვეულმა გაურკვევლობამ, გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა შესაძლოა გამოიწვიოს მიწოდების ჯაჭვის უფრო მეტად შეფერხება. [5] გარდა ამისა, მომავალი გლობალური რისკების შემსუბუქების მიზნით შესაძლოა, ქვეყნებმა ადგილობრივი და რეგიონული მიწოდების ჯაჭვების განვითარება დაიწყონ.

ჩვენი აზრით, თავისუფალ ვაჭრობას ალტერნატივა არ აქვს და როგორც მონტესკიე და ადამ სმიტი მეთვრამეტე საუკუნეში აღნიშნავდნენ, ვაჭრობა და მშვიდობა ერთმანეთს აძლიერებს. განვითარებად ქვეყნებთან ვაჭრობის ხელშეწყობამ შეიძლება მოწინავე ეკონომიკები არ გახადოს უფრო ეფექტური, მაგრამ ეს ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

*სასურსათო უსაფრთხოება.* სულ რაღაც რამდენიმე თვეში COVID-19-მა ჩაკეტა დედამიწის ნახევარი. ადგილი ჰქონდა პანიკურ შესყიდვებს, სურსათის თაროები დაცარიელდა და სალაროებთან დადგა გრძელი რიგები. ამ ყველაფერმა მოულოდნელად შეგვახსენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კვების სისტემები ჩვენს ცხოვრებაში და რამდენად დისბალანსური გახდა ისინი.

პანდემიით გამოწვეული სურსათის პრობლემები, არ არის საგანგებო სიტუაციების დროს ადამიანის ქცევის შედეგი. ეს იმის მტკიცებულებაა, რომ სურსათის მიწოდების გლობალური ქსელი, რომელიც ძალიან ცენტრალიზებულია, სუსტი აღმოჩნდა შოკების წინაშე. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში შეუძლებელი გახდა მოსავლის მიღება ან დაფასოება, რადგან მომუშავეებს საზღვრები ჩაეკეტათ ან დაავადდნენ. სხვა ქვეყნებში ჭარბი მარაგები შეიქმნა, რადგან რესტორნები და ბარები დაკეტილი იყო.

COVID-19-ის კრიზისის შემდეგ ეკონომიკის აღდგენა გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, გარდავქმნათ გლობალური კვების სისტემა და მიწოდების ქსელები, გავხადოთ უფრო მოქნილი მომავალი შოკების მიმართ, ასევე, ეკოლოგიურად უფრო მდგრადი და ჯანსაღი. [2]

*კაპიტალიზმის ცვლილება.* საჭიროა მოკლევადიანი და მოგების მომტანი საკითხებიდან ყურადღების გადატანა გრძელვადიან, ადამიანებისა და პლანეტისთვის ღირებულების შემქმნელ პერსპექტივებზე. რეცესიის პირობებში, მიმზიდველია მოკლევადიანი მოგება და ინვესტიციების გადავადება. ეს ეხება როგორც ქვეყნებს, ისე კომპანიებს.

უკეთეს მომავალში ინვესტიციის მიზნით გონივრული იქნება, თუ ქვეყნები თანხას დახარჯავენ ეკონომიკის აღდგენისა და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირების მიზნით, რათა მოახდინონ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის სტიმულირება. ამასთან, გრძელ-

ვადიანმა ეკონომიკურმა სტრატეგიამ ძველებურად უნდა გაითვალისწინოს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs). [11]

*დასკვნა*. რამდენიმე კვირაში კორონავირუსმა შეძლო საფრთხე შეექმნა ჩვენი ჯანდაცვის სისტემებისთვის, ეკონომიკების, საზოგადოებებისა და სიცოცხლისთვის. მან გავლენა მოახდინა თითქმის ყველასა და ყველაფერზე მსოფლიოს მასშტაბით. ეს კრიზისია, რომელიც ყველასაგან განსხვავდება და ასევე ყველასაგან განსხვავებულ რეაგირებას მოითხოვს. შესაბამისად, საჭიროა დაბალანსებული და ინკლუზიური საპასუხო პოლიტიკა, რაც მომავალს უფრო განჭვრეტადს გახდის და ჩვენს ეკონომიკებსა და საზოგადოებებს მოამზადებს მომავალი შოკებისთვის.

COVID-19-ის პანდემიის საპასუხოდ მთავრობებმა გამოიყენეს უპრეცედენტო ზომის ფისკალური პოლიტიკა. თუმცა, ვირუსით ინფიცირებულთა დადასტურებული შემთხვევები და გარდაცვლილთა რაოდენობა ჯერ კიდევ სწრაფად იზრდება, რის გამოც პოლიტიკის შემქმნელებმა საზოგადოებრივი ჯანდაცვის საპასუხო პოლიტიკა მთავარ პრიორიტეტად უნდა შეინარჩუნონ. გარდა ამისა, უნდა გამოიყენონ მოქნილი ფისკალური პოლიტიკა და მოემზადონ ტრანსფორმაციული ეკონომიკური ცვლილებებისთვის.

დაბოლოს, გლობალიზაცია არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი იყოს ყველა ქვეყნისა თუ ადამიანისთვის. თუმცა, იგი გვთავაზობს შესაძლებლობებს, რომელთა კარგად თუ ცუდად გამოყენება ისევ ცალკეული სახელმწიფოების და ინდივიდების საქმეა. COVID-19-ის კრიზისი კი სავარაუდოდ გამოიწვევს გლობალიზაციის ახალ, უფრო ძლიერ ტალღას და შესაძლებლობას მოგვცემს, შევქმნათ უკეთესი სამყარო, რომელიც იქნება უფრო სამართლიანი და თანასწორი; უფრო მდგრადი და გამწვანებული; უფრო ჭკვიანი და, რაც მთავარია, უფრო მოქნილი.

ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად და უფრო დიდი გამძლეობის მისაღწევად საჭიროა: ინვესტიცია ადამიანებში, განათლებაში, ჯანდაცვაში, სოციალურ დაცვაში და უთანასწორობის მკვეთრი ზრდის თავიდან აცილებაში; მდგრადი კლიმატური პირობების მქონე ზრდის ხელშეწყობა; ციფრული ტრანსფორმაციის უპირატესობის გამოყენება.

ლიტერატურა:


1. პაპავა ვ., “საქართველოს ევროპული გზა პანდემიური დეგლობალიზაციის პირობებში”, 06.08.2020, <papava.info/publications/Papava_Europe_Georgia_Ge.pdf>.
2. BatiniN., Lomax J., and Mehra D., “Why Sustainable Food Systems are Needed in a post-COVID World”, IMF, JULY 14, 2020, <https://blogs.imf.org/2020/07/14/why-sustainable-food-systems-are-needed-in-a-post-covid-world/>.
3. Bris A., “Deglobalization is a short-term trend, we will get back to our old numbers”, June 2020, <https://www.imd.org/research-knowledge/videos/deglobalization-a-short-term-trend/>.
4. El-Erian M. A., “Navigating Deglobalization”, Project Syndicate, May 11, 2020,<https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-deglobalization-two-priorities-bymohamed-a-el-erian-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>
5. Elliott D., “This is what chief economists think about the global economy right now”, World Economic Forum, 17 Jul 2020, <https://www.weforum.org/agenda/2020/07/covid-19-economic-outlook-reset-recovery/>.
6. Georgieva K., “The Next Phase of the Crisis: Further Action Needed for a Resilient Recovery”, IMF, JULY 15, 2020, <https://blogs.imf.org/2020/07/15/the-next-phase-of-the-crisis-further-action-needed-for-a-resilient-recovery/>.
7. Haass R. N., “Deglobalization and Its Discontents”, Project Syndicate, May 12, 2020,<https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalizaton-discontents-by-richard-nhaass-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

8. International Labour Organisation, 2020,<https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_738742/lang-en/index.htm>.
9. Roubini N., “Revisiting the White Swans of 2020”, Project Syndicate, Jul 29, 2020, <https://www.project-syndicate.org/commentary/global-tail-risks-remain-a-threat-in-2020-by-nouriel-roubini-2020-07?barrier=accesspaylog>.
10. Sijbesma F., “We need multilateral cooperation and a reset to recover better”, World Economic Forum, 21 Jul 2020, <https://www.weforum.org/agenda/2020/07/multilateral-cooperation-reset-recover-better/>.
11. Velasco A., “Are We All Keynesians Again?”,Project Syndicate, Aug 25, 2020, <https://www.project-syndicate.org/commentary/states-must-be-insurer-of-last-resort-against-aggregate-risks-by-andres-velasco-2020-08>.
12. World Bank, 2020,<https://www.worldbank.org/en/news/press-release/2020/05/19/world-bank-group-100-countries-get-support-in-response-to-covid-19-coronavirus>.

# COVID-19 an accelerant for deglobalization or a new wave of globalization?

**Mariam Khurtsidze,**
***PhD student, TSU, Faculty of Economics and Business Administration***

S u m m a r y

**The COVID-19 crisis has damaged the interconnected economic, social and geopolitical spheres of the world. As a result, the already reduced support for globalization has deteriorated; the effectiveness of the minimal government intervention and the free market model has been called into question; furthermore, rising inequality, unemployment and poverty; etc. Based on the analysis of these factors, the paper shows that the world is facing a crisis of globalization and in the short term it is expected to intensify the deglobalization and its disconnects.**

***Key words: government's role, poverty,inequality,food security.***

# პანდემიის გავლენები ელექტრონულ ბიზნესზე

**დიმიტრი ჯავახაძე**
***ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი***
***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი***

*თანამედროვე საზოგადოებისთვის უცხო არაა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სამუშაო და პირად ცხოვრებაში, სხვადასხვა გარიგებებსა და ონლაინ ტრანზაქციებში სახელმწიფოსთან და ბიზნესთან, თუმცა პანდემიის მიმდინარე პერიოდში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა ელექტრონული ბიზნესის პლატფორმების დანერგვამ და პრაქტიკულად ალტერნატივო გამოყენებამ გლობალური მასშტაბით, როგორც საკუთარი ინტერესით, ასევე გარკვეული რეგულაციებიდან გამომდინარე მთავრობას, ბიზნესსა და ჩვეულებრივ მომხმარებლებს შორის სულ უფრო მეტი მოთხოვნა გაჩნდა ონლაინ სერვისებზე. სტატიაში განხილულია პანდემიით გამოწვეული უარყოფითი და დადებითი გავლენები ელექტრონული ბიზნესზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე.*

*საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული კომერცია, ელექტრონული სერვისები.*

**ლოქდაუნის პერიოდში, სოციალურმა დისტანცირებამ, სხვადასხვა შეზღუდვებმა და პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების დაცვამ, მომხმარებლები აიძულა მიემართად ონლაინ შოპინგისთვის, გამოეყენებინათ სოციალური მედია, ინტერნეტ-ტელეფონი და სხვა, შესაბამისად შეუიარაღებული თვალითაც გამოჩნდა, რომ ამან გამოიწვია ბიზნესიდან მომხმარებლებამდე (B2C), ბიზნესიდან ბიზნესამდე (B2B) და ბიზნესიდან სახელმწიფომდე (B2G) და პირიქით გაყიდვებისა და ტრანზაქციების ზრდა. განსაკუთრებით აშკარაა სამედიცინო მასალების, საყოფაცხოვრებო საგნების და კვების პროდუქტების ონლაინ გაყიდვები, ასევე გაიზარდა მოთხოვნა ინტერნეტისა და მობილური ინტერნეტის სერვისებზე. საჭირო გახდა ქსელის სიმძლავრის გაზრდა, რადგან სპექტრი, რომელიც ონლაინ აქტივობებზე გადადის, სასწრაფოდ უნდა მოერგებულიყო ელექტრონულ სერვისებზე გაზრდილ მოთხოვნილებებს,თუმცა იგივე კოვიდ ფაქტორებმა უარყოფითი შედეგები აჩვენეს ტურისტული მომსახურების ონლაინ კომპონენტში და ასევე ელექტრონული კომერციის გარკვეულ პლატფორმებზე სადაც საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობამ აქტუალურობა დაკარაგა პანდემიის გამო( მაგ: გაიზრდილი ფასები, პროდუქტის უსაფრთხოდ მიწოდების ვადები, კიბერუსაფრთხოების და ქსელის გამტარიანობის პრობლემები, ცრუ შეკვეთები, მეორადი მოთხოვნის პროდუქტები და სხვა მიზეზები) და მთლიანად მოირღვა მოთხოვნა მიწოდების ჯაჭვი, რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. გამომდინარე აქედან პანდემიამ ნათლად დაგვანახა ციფრული დეფიციტის აღმოფხვრის საჭიროება და შეძლებისდაგვარად მეტი ციფრული ხიდების განვითარებისა ბიზნესში, როგორც ადგილობრივ ისე გლობალურ დონეზე, რომელიც შესაძლებლობა იქნებოდა ალტერნატიული გზებისა არატრადიციული ფორმით ვაჭრობისთვის პანდემიისა და სხვა მსგავსი გლობალური კრიზისების დროს.[1]**

**განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში მრავალი დაბრკოლება გამოიკვეთა, მცირე მწარმოებლების, გამყიდველებისა და მომხმარებლების შემთხვევაში, რომლებსაც მცდელობა ქონდათ ჩაბმულიყვნენ ელექტრონული კომერციაში, რადგან ელემენტარულად არ გააჩნდათ ეფექტური და ხელმისაწვდომი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომსახურება, როგორიცაა სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და სხვა IT მომსახურება.**

**მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა მთავრობებმა და კერძო სექტორმაც მიიღეს ახალი ზომები, რათა პანდემიაზე რეაგირებისთვის გამოეყენებინათ ელექტრონული კომერციის პლატფორმები, რაც ხელს შეუწყობდა ზოგიერთი გამოწვევის შემსუბუქებას და**

უზრუნველყოფდა ციფრული უთნასწორობის შემცირებას, ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი საერთო სურათის შესაცვლელად, რომელიც გვეუბნება, რომ პანდემიის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება გაძლიერდეს გავლენა ელექტრონულ კომერციაზე და შესაბამისად აუცილებელია, როგორც ტექნოლოგიური ისე პოლიტიკური მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე. ელექტრონული კომერცია, როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა შეიძლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და საუკეთესო გამოსავალი იყოს მომხმარებლისთვის, ასევე მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად და კონკურენციისთვის.

კიდევ უფრო დეტალურად რომ განვიხილოთ საცალო და საბითუმო სადისტრიბუციო მომსახურება პრაქტიკულად მთლიანად გადახდა ონლაინ B2B და B2C გაყიდვებზე დამოკიდებული და შესაბამისად საქონლის მიწოდების ლოგისტიკამ გარკვეული დარტყმა მიიღო შემოღებული რეგულაციების პროპორციულად, სერიოზულად ჩაიშალა საერთაშორისო სატრანსპორტო ტვირთების მიმოქცევა, საკარანტინო და სადეზინფექციო აუცილებელი რეგულაციების გამო, ხოლო უამრავი მცირე საწარმო უბრალოდ სრულიად გაჩერდა, რის გამოც შემცირდა მათ პროდუქტებზე და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა და შეიქმნა წარმოებისა და შრომის დეფიციტი.[1][2][3]

ელექტრონული კომერციის წახალისების მიზნით ვიხილეთ ზოგიერთი მთავრობების მხრიდან გარკვეული ქმედებები, რაც ქსელების გაძლიერებაში, ონლაინ ტრანზაქციების გადასახადებისგან გათავისუფლებაში, ალტერნატიული სამთავრობო სერვისების შეთავაზებაში გამოიხატა. განსაკუთრებით აქტიური იყო, ისეთი ქვეყნები სადაც პირისპირ გარიგებები აქამდე ნორმად რჩებოდა. მაგალითად, აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის აუცილებელი საკვები პროდუქტების ონლაინ შეძენის მიზნით მთავრობამ შექმნა და გაავრცელა ტელეფონი, სოციალური მედიისა და სხვა საშუალებებით ასევე სხვადასხვა კვების პროდუქტის კოორდინატორების კონტაქტები განსხვავებულ ბაზრებზე, რათა მომხმარებლებს შეძლებოდათ დარეკვა და სურსათის შეკვეთა. შემდეგ მომხმარებლები იხდიდნენ მობილური ფულით, მათივე მობილური ტელეფონების საშუალებით და მიწოდებას ველოსიპედისა და მოტოციკლის ტაქსებით, ახორციელებდნენ. მსგავსი ტიპის მიტანის სერვისი არც საქართველოსთვისაა უცხო. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა პროვაიდერმა უფასო გახადა ინტერნეტ მომსახურება ან ძალიან მინიმალური ტარიფი დააწესა, რაც ერთგვარი სოციალური პასუხისმგებლობა იყო მათი მხრიდან და მეტიც ამ ნაბიჯით იმავდროულად მოხდა მომხმარებლის რაოდენობრივი ზრდა მათ სერვისებზე და გარკვეული ლოიალურობის მოპოვება, რაც შემდგომი განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან მომხმარებლები სულ უფრო ეჩვევიან ინტერნეტს და იცვლიან წესსა და ჩვევას ონლაინ შესყიდვების სასარგებლოდ და გარკვეულ ერთგვაროვან კულტურას აყალიბებენ გლობალური მასშტაბით.ცნობილია, რომ თანამედროვე ბიზნესი მულტიკულტურული პრობლემების ფართო განხილვისა და გააზრების გარეშე წარმოუდგენელია,ის დიდი ხანია გავიდა ეროვნული საზღვრებიდან და გააერთიანა განსხვავებული კულტურული მსოფხედველობის ადამიანები[4] შესაბამისად თითქოსდა მოკლევადიანი ფენომენი, რომელსაც გაგრძელება არ უწერია პოსტკრიზისულ პერიოდში კითხვის ნიშნიშ ქვეშ დგება, ისედაც ციფრულ ეპოქაში, სადაც გარდაუვალი იყო ბიზნესის პრაქტიკულად სრულად ციფრული ტრანსფორმაცია, პანდემიამ მხოლოდ კატალიზატორად შეიძლება განვიხილოდ და ვაღიაროთ, რომ მომხმარებელთა ჩვევების ცვლილება უფრო გრძელვადიანი პერსპექტივის მატარებელი გახდა, ისინი შეეჩვივნენ ელექტრონული სერვისების მოხმარებას, როგორც სამუშაო ასე პირად ცხოვრებაში, სულ უფრო მეტად დაიწყეს სახელმწიფო სერვისების ონლაინ გამოყენება და იგემეს ზოგადად ელექტრონული ბიზნესის არატრადიციული ბენეფიტები. სწორედ ამაზე მიუთითებს ბოლო სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ელექტრონულ ბიზნესში მოხდა.

ელექტრონული ბიზნესში მონაწილეობა საქართველო 2018-2020 წლებში




*წყარო:[10]*

**მაგალითად, მედია სერვისი. Facebook იუწყება, რომ მისი ონლაინ შეტყობინებები, ხმოვანი და ვიდეო ზარების მომსახურება 50 პროცენტზე მეტითაა გაზრდილი, აქედან მხოლოდ იტალიაში მთლიანობაში 70 პროცენტით და ჯგუფური ზარები (ვიდეო კონფე-რენციები) 1000 პროცენტით. ესპანეთის Telefonica-ს მონაცემებით IP–ისა და მობილური მონაცემების ტრაფიკი 40 პროცენტითაა გაზრდილი. ტაილანდი იტყობინება ZOOM ვიდეო კომუნიკაციებიდან მონაცემების ტრაფიკის 828 პროცენტით და Skype–ზე 215 პროცენტიან ზრდას. შესაბამისად ამ ციფრულ სერვისებზე მოთხოვნის მნიშვნელოვანმა ზრდამ, გამოიწვია მონაცემთა მოცულობის ექვივალენტური ზრდა, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში დატვირთა ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურა და შეაფერხა მომსახუ-რების უწყვეტობის უზრუნველსაყოფა, ქსელის ხარისხზე გავლენის შესამსუბუქებლად მაგალითად: Netflix- მა და YouTube- მა შეამცირეს ვიდეო ტრაფიკების რაოდენობა. ასევე საგულისხმოა, რომ ფინასურ სექტორში ბევრმა ეროვნულმა ბანკმა მოხსნა შეზღუდვები ნაღდი ფულის განაღდებაზე, მათ შორის საქართველოშიც და ელექტრონული სისტემე-ბის მიმართ გამოყენებულ მოთხოვნებზე, განსაკუთრებით აფრიკაში, სადაც სხვადასხვა ქვეყნები დაეთანხმენენ მცირე თანხის განაღდებაზე და გადარიცხვებზე, საკომისო გა-დასახადების შემცირებას და ზოგიერთ შემთხვევაში განულებასაც კი.მას შემდეგ, რაც კრიზისმა საჭირო გახადა ბიზნესისა და სკოლების დახურვა, აქტუალურობა შეიძინა მათ-მა ონლაინ თანამშრომლობამ და შესაბამისი ინსტრუმენტები და სასწავლო პლატფორ-მები მკვეთრად გაიზარდა. როგორიცაა Amazon, ZOOM, Webex, Cisco და სხვა, ზოგიერთმა მადგანმა უმოკლეს დროში უფასოდ შესთავაზა მომხმარებელს საწავლო ონლაინპლატ-ფორმები, რაც ასევე სავარაუდოა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში გარკვეულ ცვლი-ლებებს შეიტანს სასწავლო პროცესში და ამ ბიზნესთან დაკავშირებულ სხვა სექტორში, როგორიცაა უძრავი ქონების გაყიდვა/გაქირავება სასწავლო ინფრასტრუქტურასთან ახ-ლოს და თავად ინფრასტრუქტურის სხვა ფუნქციით გამოყენების თვალსაზრისით.[5][6][7]**

**მაშინ როცა სურვილების დონეზე იყო საუბარი ტელემედიცინის განვითარებაზე, რომელსაც მომხმარებელთა უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებდა და ექიმებთან პირისპირ კომუნიკაციას ამჯობინებდა COVID-19-ის კრიზისმა ხელი შეუწყო ტელემედიცინის სერვისების ზრდას და ონლაინ მედიკამენტების გავრცელებას. მაგალითად ჩინეთში ონლაინ სამედიცინო პლატფორმები არსებითად დაჩქარდა. ზოგიერთ მათგან სამნიშნა ზრდაც კი აქვს, ერთში კი 2019 წლის დეკემბრიდან 2020 წლის იანვრამდე პერიოდში 900 პროცენტიანი ზრდაა მოსალოდნელი.**

**ტელემედიცინის პლატფორმებმა წაახალისეს საზღვარგარეთიდან სამედიცინო კონსულტაციები და შესაბამისად პროვაიდერებმა გააფართოვეს თავიანთი საქმიანობა, ზოგი მთავრობა კი განიხილავს კანონებისა და რეგულაციების გაადვილებას აღნიშნული სერვისების მისაღებად. გარდა ამისა მთავრობების უმეტესობამ მომხმარებლებთან ურთიერთობაში ციფრული მთავრობის სტრატეგიას მიმართეს და უამრავი ინოვაციური პროექტი შესთავზეს მოსახლეობას, მათ შორის კოვიდის დეტექტორები.[7][8][9]**

**ქვეყნების უმეტესობის მთავრობები იყენებენ ციფრული მთავრობის სტრატეგიებს, რომელთაგან ბევრი ინოვაციური ინიციატივით გამოირჩევა, მაგრამ გაეროს ელექტრონული მთავრობის 2020 წლის გამოცემის თანახმად, ხალხის დიდ რაოდენობას ჯერ კიდევ არ აქვს წვდომა ონლაინ სერვისებზე. გაეროს ეკონომიკური დეპარტამენტის კვლევების მიხედვით 193 წევრი ქვეყნების 2020 წლის რეიტინგში ციფრული მმართველობის თვალსაზრისით,რომელიც მოიცავს ონლაინ სერვისების მოცულობას და ხარისხს, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის სტატუსს და არსებულ ადამიანურ რესურსების შეფასებას, ლიდერობს დანია, კორეის რესპუბლიკა და ესტონეთი, შემდეგ მოდიან ფინეთი, ავსტრალია, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, ახალი ზელანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, ნიდერლანდები, სინგაპური, ისლანდია, ნორვეგია და იაპონია. გასული წლების კვლევების მიხედვით ესტონეთი, რომელიც ათეულს მიღმა იყო სერიოზული ნახტომი აქვს გაკეთებული და სამხრეთ კორესთან ერთად ერთ-ერთ ინოვატორად ითვლება სერვისების განვითარების თვალსაზრისით, ხოლო ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის ციფრული მთავრობის განვითარებაში, ბუტანი, ბანგლადეში და კამბოჯა ლიდერობენ. საერთო ჯამში, წევრი სახელმწიფოების 65 პროცენტი ელმმართველობის განვითარების ინდექსში მაღალ ან ძალიან მაღალ დონეზეა. პანდემიამ განაახლა ციფრული მთავრობის როლი, როგორც ციფრული მომსახურების ჩვეულებრივად მიწოდების, ასევე ახალი ინოვაციური ძალისხმევის კუთხით კრიზისის მართვაში.[9]**

**ჯანდაცვის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით, მთავრობებმა წარმოადგინეს ახალი ინსტრუმენტები, როგორიცაა COVID-19 საინფორმაციო პორტალები, ჰაკათონები, სამედიცინო საქონლის მიწოდების ელექტრონული სერვისები, ვირტუალური სამედიცინო რეცეპტები, თვითდიაგნოსტიკის პროგრამები და ელექტრონული ნებართვები კომენდანტის საათებისთვის. ბევრმა ქვეყანამ სწრაფად მოაწყო ნავიგაციისა და მიკვლევის პროგრამები და პროგრამები სახლიდან მუშაობისა და სწავლისთვის. მაგალითად: ინოვაციური ციფრული მთავრობის რეაგირება COVID-19– ზე მოიცავს ონლაინ დაფებს კანადასა და ავსტრალიაში ინფორმაციის გასაზიარებლად და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების თვალსაზრისით. ჩინეთში ჩატბოტებს იყენებენ პაციენტების ინფიცირების რისკის შესაფასებლად.**

**ესტონეთში საზოგადოების ჩართულობის აპლიკაცია საშუალებას აძლევდა ადგილობრივ მთავრობებს უშუალო ურთიერთობა ჰქონდეთ მათ ამომრჩეველთან, მათ შორის COVID-19 ინფორმაციის გაზიარებით, ფოტოების და ვიდეოების განთავსებით და ვირტუალური ღონისძიებების ორგანიზებითაც კი. ლონდონში, კამერების, სენსორების და ხელოვნური ინტელექტის (AI) ალგორითმების გამოყენებით, რომლებიც ჩვეულებრივ მოძრაობის კონტროლს ითვალისწინებს, ზომავენ მანძილს ფეხით მოსიარულეთა შორის სოციალური დისტანციის გასაკონტროლებლად.**

ციფრული მსოფლიო 2016-2020 წლებში




*წყარო:[10]*

**ელექტრონული მთავრობის, როგორც განვითარების ინსტრუმენტის, კვლევა სწავლობს ქვეყნების ძლიერ მხარეებს, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. 2020 წლის კვლევით დგინდება, რომ მიღწეულია პროგრესი ყველა რეგიონში, თუნდაც ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ქვეყნების 22 პროცენტზე მეტმა მაღალ დონეზე შეეწყო ხელი ელექტრონული მმართველობის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული მმართველობების რანჟირება კორელაციაშია ქვეყნის შემოსავლის დონესთან, ფინანსური რესურსები არ არის ერთადერთი კრიტიკული ფაქტორი ციფრული მმართველობის განვითარებაში. მრავალი ქვეყნის მიერ ელექტრონულ მმართველობაში მიღწევებისა და მსხვილი ინვესტიციების მიუხედავად, ციფრული განხეთქილება გრძელდება.**

**დაბალი ქულის მქონე რვა ქვეყნიდან შვიდი აფრიკაშია და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. აფრიკის ქვეყნების რეგიონული საშუალო ინდექსის ქულები თითქმის მესამედით დაბალია (0.3914), ვიდრე მსოფლიოში საშუალო განვითარების ინდექსისა ( 0.60). ამ ტენდენციების პარალელურად, COVID-19 პანდემიამ არა მხოლოდ აღადგინა ციფრული მთავრობის როლი მის მიერ ჩვეულებრივი მომსახურების მიწოდების პროცესში და ბიზნესის პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, არამედ კრიზისის მართვის ინოვაციური გზები შემოიტანა, როგორიცაა კონტაქტის ძებნა, ელექტრონული ჯანმრთელობა, ონლაინ სწავლა და დისტანციური მუშაობა.[9]**

**გაეროს კვლევა მხარს უჭერს ქვეყნების მცდელობებს უზრუნველყონ ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ციფრული სერვისები ყველასთვის და გადალახონ ციფრული განხეთქილება და არავინ დატოვონ უკან.**

ციფრული საქართველო 2016-2020 წლებში




*წყარო :[10]*

**როგორც გრაფიკებიდან ჩანს მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ციფრული სერვისების ათვისება და მოხმარება, როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოში და მიუთითებს სამომავლო გამოყენების მზარდ დინამიკაზე.[10]**

**ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა კოვიდის გავრცელებამ გლობალურ დონეზე და შედეგები შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, გამომდინარე აქედან ელექტრონული კომერცია საქონელსა და სერვისების ონლაინ ვაჭრობამ უნდა გააგრძელოს ადაპტირება ახალ გარემოში. ელექტრონული ბიზნესი თავისი მრავალფეროვნებით იძლევა სესაძლებლობას გაცილებით ადვილად დასძლიოს კაცობრიობამ პანდემიით გამოწვეული პრობლემები და გამოწვევები ბიზნესში. B2B და B2C ელექტრონული კომერციის პლატფორმების უპირატესობა ჯერკიდევ 2002-03 წლებში SARS–ის ეპიდმიის დროს დაფიქსირდა, როცა ელექტრონული ცომერციის პლატფორმები , როგორიცაა ალიბაბა და ტაობაო გარკვეული გაურკვევლობისგან გამოვიდა და განვითარდა, სწორედ მსგავისი მოვლენაა მოსალოდნელი ამ პანდემიის შემთხვევაში გლობალური დიგიტალიზაციის თვალსაზრისით. პანდემიამ ასევე ხაზი გაუსვა ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და მასიური გამოყენების აუცილებლობას, როგორ სამთავრობო ასევ კერძო სექტორში, აჩვენა რა უალტერნატივო უპირატესობა ტრადიციულ გარიგებებთან შედარებით და კრიზისის პირობებში, მეტიც უკვე არსებული ელექტრონული სერვისები გარკვეული მზადყოფნა აღმოჩნდა კრიზისისთან შესახვედრად, მათი არაარსებობა კი დაუძლეველ ბარიერებს შექმნიდა ბიზნესი ტრადიციული ფორმით გაგრძელებისთვის.**

**შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის დრამატულმა გავრცელებამ დაარღვია ცხოვრება, საარსებო წყარო, საზოგადოებები და ბიზნესი მსოფლიოში. ყველა დაინტერესებული მხარე, განსაკუთრებით გლობალური ბიზნესი, სასწრაფოდ უნდა გაერთიანდეს, რათა შეამციროს მისი გავლენა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე და შეზღუდოს მისი პოტენციალი სიცოცხ-**

**ლისა და ეკონომიკის შემდგომი დარღვევების გასანეიტრალებლად. მხოლოდ ბიზნესის კოორდინირებულ მოქმედებას, გლობალურ, საფინანსო ორგანიზაციების თანამშრომლობასთან ერთად, განსაკუთრებული მასშტაბითა და სიჩქარით, შეუძლია შეამსუბუქოს ამ უპრეცედენტო კრიზისის რისკი და გავლენა.**


ლიტერატურა:

1. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რეპორტი 2020 წლის ივლისი. https://www.wto.org/english/tratop_e/covid19_e/covid19_business_e.htm
2. კრის დონკინი ინტერნეტ ჟურნალი „mobileworldlive" .https://www.mobileworldlive.com/featured-content/money-home-banner/consumers-urged-toturn-away-from-cash-in-virus-fight/ 19.03.2020
3. https://twitter.com/stanbicug/status/1240972920379277312?s=08
4. თემურ შენგელია. მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი, თბილისი, უნივერსალი 2016 წელი.
5. https://www.mobileworldlive.com/featuredcontent/money-home-banner/kenya-pushes-mobile-money-in-pandemic-fight
6. https://pctechmag.com/2020/03/mtn-no-charge-on-sending-mobile-money
7. http://news.upu.int/no_cache/nd/upu-and-iata-cooperateto-keep-cargo-moving
8. https://www.emarketer.com/content/podcast-covid-19-has-ground-tourism-to-a-halt-now-what. https://www.emarketer.com/content/some-consumers-are-pausing-purchases-during-covid19?ecid=NL1014
9. გაეროს სოციალურ-ეკონომიკური დეპარტამენტის კვლევა 2020 https://publicadministration.un.org/en/Research/UN-e-Government-Surveys
10. სიმონ კემპი. დიგიტალ-2016,2017,2018,2019,2020 მსოფლიოს გლობალური მიმოხილვა, ინტერნეტ ჟურნალი 'we are social" **https://wearesocial.com/digital-2020. https://datareportal.com/reports/digital-2019-global-digital-overview**


## Impacts of pandemic on e-business


**Dimitri Javakhadze**

***Academic Doctor of Bisiness Administration***



S u m m a r y

**The pandemic is rapidly changing our behavior toward online channels, while many companies are challenged to survive in the short-term, the crisis changed the nature of their businesses and were successful in creating new jobs as consumers shifted towards online offerings. Moreover, E-Commerce helped economies in preserving jobs during crisis. Online businesses strived to maintain the basic revenue stream which helped them to get their businesses afloat through the crisis. Thousands of traditional style businesses and companies were severely affected and lot of them even went bankrupt. also presents opportunity; bold companies that invest ambitiously and timely in their online business are likely to emerge as market leaders.**

**The statistics show that e-commerce shops can achieve sales growth due to the coronavirus if they sell products that are more geared towards people's basic needs. This is because the population avoids going to the supermarket, etc. and prefers to have the products delivered in order to minimize the risk of infection. Accordingly, online shops selling baby products, for example, have seen increased website traffic in recent days. Online retailers who sell pet food and accessories can also look forward to more orders in the coming weeks. Logistics is a critical success factor for online retailers and at the same time an area that is particularly sensitive in times like these. Most parcel services have pandemic plans that are designed to keep the service going despite restrictions as the virus spreads.**



***Key words: E-Business, E-Commerce, E-Services.***

# An Updated Approach for the Value Chain in Times of Digital Transformation

**Prof. Dr. Günter Hofbauer**
***Technische Hochschule Ingolstadt/Germany***

*The purpose of this article is to introduce a new configuration of the value chain in view of the digital transformation. The value chain is a very important management concept. In times of digitalization this concept has to be adjusted in terms of composition and interaction of different components. The scientific approach is conceptual and analytical. To start with, the activities of value creation will be examined and rearranged. Second, the logical connection and interaction will be verified as the basis for digitalization. The scientific aim is to contribute a contemporary approach of the value chain in combination with the digital transformation to academic discussion. The substantiation for the rearrangement of activities is well based on theoretical and statistical examination.*

*In summary, one major conclusion can be drawn: not only activities should be analyzed for value creation, but much more the linking process. The product management process for example is considered for examination. Defined processes are prerequisites for the digitalization. The digital twin as a typical tool of the digital support is shown in its application.*

Key words: *value chain, digital transformation, activities, innovation, technology*

## 1. Initial situation

**Competitive advantage is an essential prerequisite for companies to survive in competitive markets. Porter introduced the value chain in 1985 as a tool to analyze business activities of a company in order to identify competitive advantages. He differentiates the business activities of a company into primary and secondary activities. Primary activities are supposed to create value. Secondary activities are supporting activities to enable primary activities.**

**Technological progress and the digital transformation (Hofbauer/Sangl/Engelhardt 2019) changed business operations heavily. The digitalization changed nearly all areas of activities in execution and performance. This is the reason and motivation to revise the concept of the value chain. All assumptions, prerequisites and consequences will be analyzed.**

**In chapter 2 the basic concept of the value chain will be explained and the primary and secondary activities will be introduced. The first question of research is whether these activities are still correctly assigned and all activities are properly integrated into the corresponding activities. The second question is about processes as a prerequisite for digitalization.**

**The benefit of this paper is the presentation of an updated conceptual framework of the value chain and the proof of preparedness of the value chain for digital transformation. This is the first consistent revision of the value chain under contemporary conditions in the age of digitalisation. This revised version may become subject of scientific discussion as well as application for industrial implementation.**

## 2. Problem formulation and question of research

**Porter's value chain (Porter 1985; 2004) supports the analysis of all activities of a company. Competitive companies have to perform all these activities perfectly in order to create value. Primary activities directly refer to the physical creation of a product and thus are considered to**

create value. Support activities are necessarily required to enable primary activities. The mentioned value chain (Figure 1) is a composition of business activities and differentiates primary activities and support activities.




Figure 1: Porter's value chain (Porter 2004)

The basic idea of this concept is, that the entire cost position is divided into different activities. Primary activities are supposed to directly create value. The whole area within the picture in figure 1 represents total sales of a company. The margin is calculated as total sales minus total cost of all activities. Innovative products with high value to the customer will push sales figures. The management has to perform all activities in an effective and efficient way at a minimum of cost. Hence the margin and value to the company will raise.

Porter (2004) characterized inbound logistics, operations, outbound logistics, marketing & sales as well as service as primary activities. This approach served as a management tool for 35 years now. The working hypothesis is that there is a need to revise of the value chain under current conditions.

The value chain should include all mandatory steps of value creation of a product in a structured process of activities. These activities refer to each other and they require resources. To be characterized as a primary activity, an activity has to be involved in the physical creation of the product (Porter 2004). Primary activities are characterized to create value which is higher than the cost of these activities. According to this logic the support activities consume resources without creating value. But they are necessary supporters of the primary activities.

The basic motivation of this paper is to examine the composition of the value chain and to verify, whether this tool is still applicable or it has to be adjusted due to changes in technology and transactions in business processes. Depending on the findings it will be considered how to rearrange the value chain. Especially the primary activities are under revision and will be rearranged after careful considerations. The secondary activities will be reviewed and updated, if necessary. The succeeding step includes the digitalization issues.

The first question of research of this paper can be formulated as follows:

Are all the activities of the value chain still correctly assigned and properly integrated? Based on previous work (Hofbauer/Sangl 2018 and Hofbauer/Sangl 2019) the following theses have already been answered:

Thesis no. 1: If it is verified that a value creating activity is missing, then this activity has to be allocated into the value chain at the appropriate position.

Thesis no. 2: If it is proven that a secondary activity is considered to create value, it has accordingly to be integrated into the primary activities.

Thesis no. 3: If it is shown that a primary activity is not creating value, then it has to be placed as a secondary activity.

The second question of research of this paper can be formulated as follows: How can all value creating activities be aligned in an adequate process as a requirement for digital transformation? This question leads to the following theses:

Thesis no. 4: If there is string of value creating activities identified, these activities should be arranged in a logical and well-structured process.

Thesis no. 5: If there is an underlying process, this process can be digitalized.

3. Literature review and findings for recommendation

In this chapter the theses 1, 2 and 3 will be treated first. The completeness of value creating activities and the classification of selected activities will be argued. The argumentation is presented briefly, because those activities have already been discussed in detail (Hofbauer/Sangl 2018a, 2019). Then the theses 4 and 5 will be processed.

### 3.1 Reasoning to include a new activity into primary activities

In this chapter the question will be answered, why a so far missing activity will be integrated due to thesis no. 1. The reason is that innovation management is one of the most important entrepreneurial functions. The importance of innovation activities can be argued in terms of facts and figures on a quantitative basis. Large budgets are invested in the search of innovations and there is a huge impact of new products on the competitiveness and profitability of a company. The outcome in terms of new products or applications are inevitable requirements for prosperous enterprises. An innovative enterprise may be characterized by means of: introducing new products, entering new markets, development of additional benefits, increase of market share as well as enlargement of sales and profit (Hofbauer/Sangl 2018, pp. 71-76).

Innovations substantiate competitive advantage (Hofbauer et al. 2009). Innovation management in turn is driven by R&D activities. The outcome of R&D activities are goods, products and services, which provide a specific benefit for the customers. If the benefit is high, the customer is willing to pay a higher price. Hence all activities refer to the value of the enterprise, which is based on the value for the customer. The internal R&D mostly focuses on exploitation, whereas the exploration is more and more done by external sources (Hofbauer/Hofbauer 2016). Companies know that they have to exploit their existing knowledge and resources to achieve competitiveness. In addition to that open innovation (Brening/Hofbauer, 2017) is a major opportunity to get beneficial innovations done within a shorter time frame and with a lower budget. Innovation activities are vital for successful companies and prerequisites for establishing competitive advantage and value added. The empirical data show that innovation activities and corresponding budgets on the input side as well as the outcome of innovation on the sales side have a huge impact on companies and economies. Innovations in terms of products and services are essential to create value for the company and for the customer (Hofbauer/Gandhi, 2016).

In collaboration with advanced procurement and with suppliers the most important issue is to detect and utilize innovations and innovative potential for the company. Once suppliers are identified, they should be closely involved into the research and development process of the company (Engelhardt/Hofbauer 2017). The utilization of open innovation processes provides additional creative potentials and provides a significant strategic advantage. The most important advantages are reduction of time-to-market and cost-to-market and an enhancement of fit-to-market and new-to-market. The first two issues concerning time and cost are related to advanced access to information about solutions of problems (Reichwald/Piller 2009, p. 172ff). The argumentation in this chapter is a strong indication that innovation should be included as a primary activity.

### 3.2 Reasoning to allocate a secondary activity as a primary activity

This chapter will answer the question, why a secondary activity should be classified as a primary activity according to thesis no. 2. The reason is that there evolved a strategic shift from simply purchasing to contemporary procurement. Initially Porter argued that procurement is one of the so-called support activities in the value chain. The argumentation of Porter's statement was that procurement is just the operational execution of an order, without adding any value. Porter recognizes a small value contribution of procurement departments for companies, but he argues that the cost proportion of procurement activities is quite low or even an insignificant share in total costs (Porter 2004). But since the late 1980s, when the competitive potential of procurement was emerging, the substance and impact of procurement is increasing. Meanwhile the procurement activities have a huge impact on the company's strategic position regarding benefit, overall costs, quality, innovativeness and its differentiation. So contemporary purchasing and procurement activities can strongly improve the cost and value proposition.

The significance of procurement was increasing over time. In the beginning of industrialization the purchasing department had to buy goods at the lowest price. The main task was effectivity and cost optimization. In the following step of evolution the buying process had to be executed in the most efficient way by introducing a structured process. Thereafter the process optimization focused on suppliers. The intention was to synergize the own supply chain with the value chains of the suppliers. Thus the performance of suppliers can be raised and discontinuities in the supply chains can be avoided. The latest step was about integration management. So suppliers can be integrated in a vertical and horizontal way (Hofbauer/Sangl 2016).

In contemporary practice procurement is involved right from the very early beginning of the product development. This involvement ranges from advising the internal development department to supplier selection for utilization of external potentials (Hecht/Goldbach 2017). By doing this, the modern procurement contributes to a product's concept and so to its physical creation and value generation. These activities include frontloading, innovation management, and selection of (development) suppliers, production materials as well as manufacturing equipment and processes. In doing that, procurement operates as the link between the company and the relevant sourcing markets. Qualitative issues may arise from the shift towards strategic tasks like forward sourcing and frontloading. All these topics contribute to the value added. The importance and the impact of contemporary procurement was already shown and argued in detail in other publications (Hofbauer/Sangl 2017).

The scope of procurement is directly related to corporate objectives (Hofbauer 2017, Hofbauer/Hecht 2017, Hofbauer et al. 2016). Important objectives refer to assurance of quality, capability of suppliers and flexibility. These objectives are important to ensure continuous production, reliable supply with raw material and other bought-in parts, modules and systems. The increasing flexibility is a procurement objective as well, because this helps the OEM to react adequately on external influences. There is no doubt that procurement is nowadays a decisive activity and contributes a noticeable portion to the value added within the value chain of a company (Hofbauer/Sangl 2017). This becomes obvious as we take a deeper look into a typical cost structure. The value of the sourced material (including trading goods) ranges between 50 and 70% of the gross production value.

Different market forces put pressure on companies and competitors and caused the change from traditional purchasing towards a value creating character of procurement management (Hofbauer 2017). Many companies consider the leverage effect of procurement to be very important. A survey among nearly 400 companies of the Swiss Mechanical and Electrical Engineering Industries certifies the high importance of procurement: 60% of them indicate, that

the optimization of the procurement activities will have a crucial importance to enhance sourcing efficiency and achieve noticeable cost reduction (Deloitte 2015).

In combination with the forward sourcing task of procurement there is a strong inter-relation between R&D and procurement (Hofbauer/Wilhelm 2015). Both have to deal with R&D duties and challenges, both have to deal with innovations. Internal innovations have to be integrated into specifications for goods to be sourced from outside. Furthermore the procurement activity has to look for external potentials and innovations to be applied for utilization in new products.

The arguments outlined in 3.1 und 3.2 strongly suggest to introduce a new activity in the beginning of the updated value chain. This compound activity consists of procurement in strong collaboration with innovation management. As explained above, both activities have an impact on the following value creating activities.

### 3.3 Reasoning of characterizing a primary activity as secondary activity

This chapter answers the question, why a primary activity after revision should be recognized as a secondary activity due to thesis no. 3. The reason is that for the classification as a primary activity it is essential, whether there is a value added or not. If not, this activity should be reclassified as secondary activity. The examination of logistic activities validates a reclassify-cation, because of a lack of value creation.

The logistic activities are twofold: *Inbound logistic*s cover receiving and storing of goods, these activities include the internal distribution of inputs, such as material handling, warehousing, vehicle disposition, inventory control and returns to suppliers. The *outbound logistics* put the relation to customers, retailers and wholesalers in execution. The company's offer has to be delivered, these activities contain order processing, storage, scheduling, warehousing, picking and physical distribution to customers as well as delivery vehicle operations.

Technological progress in terms of automatization as well as immediate accomplishment of activities changed the whole supply chain. These processes are highly automated nowadays and changed the configuration and workflow of the supply chain. The significance of logistic activities decreases in times of digitalization with automated supporting processes and sensor controlled internal supply as well as external supply chains across companies and modes of transport. In the near future these activities will be executed by autonomous systems. This is why added value to the product can hardly be observed anymore. Inbound logistics like receiving goods, storage, transportation and distribution of input factors are needful, but an increase in value added is not observable. The same argumentation can be provided for outbound activities. Consignment, stockpiling, collection, intra-plant logistics and distribution is quite needful as well, but value added in these activities is hardly to find, too. In consideration of these tremendous changes in technology and circumstances it is advisable to have a closer look on the logistic activities. There are qualitative and quantitative reasons to be mentioned:

The basic *qualitative* argumentation is based on the work of Taiichi Ohno, former head of production at Toyota (Ohno 1988). He evaluated activities with regard to the additional value of respective activities. In doing this, he identified efficient principles in production technology. The ambition was to identify the activities, which facilitate effectiveness, meaningfulness, usefulness and feasibility. Ohno also introduced the term MUDA, which was the denomination for unnecessary effort or needless operating expense (Ohno 1988). His intention was to identify and eliminate unnecessary efforts in order to increase profitability. Coming from this perspective, it is major to understand that unnecessary means useless for value creation. It may be necessary to execute a specific activity, but in terms of value creation it can be considered as waste. It is a matter of fact that for the value of a product it makes no distinction by whom, where, how often

**and by what vehicle a specific item has been transported, stapled, collected or stored. Added value cannot be perceived.**

**Ohno identified seven types of unnecessary activities: transportation, inventory, overproduction, waiting, over-processing, defects and motion. The first three of them directly relate to the value chain. Beyond doubt these activities are requested to perform operations, but they are useless for value creation. In times of sensor controlled, connected and process optimized conditions within Internet of Things, there will be a huge potential to optimize logistic activities on a huge scale. By means of digitalization in the fourth industrial revolution operations can be executed and entire processes can be realized in an optimized way. Especially transportation, inventory and overproduction can be reduced to the minimum.**

**The *quantitative* reasoning refers to the percentage of logistic costs on total cost. There is only few statistical data, but one figure shows that the portion came down from 15% in 1990 to about 7% in 2008 (Handelsblatt 2009). In innovative industries like car manufacturing, electronics and precision engineering the portion already realized a level of 4.5% in 2012 (Hofmann et al. 2012). In the long run, the portion of logistic cost is estimated to reach a level of 3% (Fraunhofer 2017). So the absolute basis for cost savings through automation is very low and almost exploited. Thus it can be stated that the share of logistic costs is declining and with it the significance of logistic. 28% of surveyed industrial companies did not even know their logistic costs in detail. This finding emphasizes that the management attention on creating value has clearly shifted away from logistic activities. The costs of logistic activities are primarily driven by increasing cost of energy, fuel and transport prices as well as rising personnel expenses.**

**On the basis of the *qualitative* and *quantitative* argumentation, the statement can be evolved that logistic activities have negligible impact on value creation. Because of these reasons it is evident to shift the logistic activities from the primary activities to the secondary activities.**

### 3.4 Process-oriented activities in innovation management

**The innovation management process will be shown exemplarily as a string of activities in this chapter. According to thesis no. 4, a string of value creating activities can be clearly identified in literature. These activities should be arranged in a logical and well-structured process. With the help of a systematic and process-oriented innovation activity promising ideas shall be detected by purpose rather than by chance.**

**Figure 2 gives an overview of the multitude of innovation process models found in literature.**

| Authors | Phase Organization | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| Hofbauer/Sangl (2006) | Strategic Orientation | Idea Management, Innovation | Conception, Transformation | Product Development | Market Testing | Market Development | Product Lifecycle Management |
| Hauschildt (1997) | Idea | Detection/ Observation | Research | Development | Invention | Implementation | Exploitation |
| Reeder/Brierty/ Reeder (1987) | Idea Generation | Screening | Idea Evaluation | Preliminary Business Plan | Product Development and Testing | Formal Business Plan | Market Launch |
| Geschka/ Laudel (1992) | Strategic Orientation | Idea Finding | Selection of Proposals | Task Elaboration | Task Specification | Realization | |
| Brockhoff (1992) | Project Idea | Research & Development | Invention | Investment | Implementation | | |
| Cooper/ Kleinschmidt (1991) | Idea | Idea Selection | Development | Testing and Validation | Production and Market Launch | | |
| Trommsdorff/ Schneider (1990) | Problem Recognition | Idea Generation | Screening and Analyzation | Development | Testing and Validation | | |
| Thom (1992) | Idea Generation | Idea Acceptance | Idea Realization | | | | |
| Müller/ Deschamps (1986) | Invention | Incubation | Implementation | | | | |

Figure 2: Selected innovation processes in academic literature
(Hofbauer/Wilhelm 2015, p. 10)

The underlying idea and thus the creative element of innovation is the key component across all considered processes. The final stage is mostly characterized by the implementation into the market. An upstream positioned strategic orientation, however, is only the starting point for few authors. But nonetheless it is an important requirement to lead the activities into the right direction of value creation. The Integrated Product Management Process (IPMP) by Hofbauer/Sangl (2018) is considered best suited for this research article in order to cover the widest range of innovation management. This process starts with the activity strategic orientation and ends up with lifecycle management.

There is a commonality between above-average successful enterprises, which differentiates them strikingly from those less successful: no matter what situation they are in, they are never content with just sticking with the company's present success (Bailom et al. 2013). This continuing willingness to implement changes is considered by the authors as the most important property of particularly successful companies. Thereby all related activities have to be executed in the most effective and efficient way to create competitive advantage and to earn profits. Value can be created by executing these activities better, faster, and with lower cost expenditure than competitors. The execution is based on clearly defined value creating activities, which are connected continuously without any interruption (Hofbauer/Sangl, 2018, pp. 309-321).

According to a well-proven IPMP model, different process steps can be identified beginning with the product concept up to life cycle management (Hofbauer/Sangl, 2018, p. 341). Figure 3 displays more detailed process phases of value creation, which have to be executed and processed.




Figure 3: Activities in technical product management (own work)

Technical Product Management (TPM) is also referred to as Product Lifecycle Management (PLM) which is defined as the activity of managing a company's innovation from womb to tomb, in the most effective way.

### 3.5 Digitalization of the value chain

As demonstrated in 3.4, there is an underlying process with distinguishable activities. Thus the necessary requirement for digitization is fulfilled and this process can be digitally transformed. In this chapter it will be demonstrated that the concept of the digital twin meets perfectly all requirements to be applied in order to connect all value creating activities and even foster the value generation.

For simplicity reasons similar activities are combined and reduced to a four step model:

Design covers the first three activities of figure 3. In this early stage of the innovation process efforts are especially required from innovation (internal as well as open innovation) and procurement (external). This is why this initial activity is a combination of innovation management and procurement. Operation includes the activities 4 and 5 of figure 3. Utilization represents the activity 6 from the customer's point of view. This means the sales activity in the value chain from the company's point of view. And, last but not least there is the after sales and service phase as the activity no. 7.




Figure 4: Simplified version of TPM value chain (own work)

**Given this version in figure 4, the question of the valuable integration of digital twins into the TPM process arises. As already outlined, the TPM contains all required value-creating activities of a product from the beginning to the end of the product life (Hofbauer/Sangl, 2018). Figure 5 shows the procedural interlinkage of all activities necessary for the value stream. This means that data are not only processed forward to be used for optimization, but also processed in a feedback loop with all advantages big data can provide.**




Figure 5: Interlinkage of activities in TPM value chain (own work)

**The data interlinkage can be effected for example by the digital twin. There are four different types of digital twins to be differentiated: Digital twin prototype (DTP), this type comprises all relavant information, which is necessary to create and specify a physical version. This virtual twin is created before there is a physical product. Digital twin instance (DTI), this type is related to a defined corresponding real-existing product. It represents this physical object throughout the whole lifecycle under all conditions and they can communicate to each other. Digital twin aggregate (DTA), this type is the aggregation of more than one corresponding DTIs. This twin has access to all related physical twins and thus generates a more significant database. In addition, there is the intelligent digital twin (IDT), this one is the most sophisticated one and works on the basis of artificial intelligence. The character is proactive and prescriptive. Figure 6 displays the four phases of the TPM model and the corresponding types of digital twins for perfect application (Hofbauer/Sangl/Engelhardt 2019).**




Figure 6: Activities in TPM and corresponding application of digital twins (own work)

## 4. Solution statement and proposal for digital transformation

**Summarizing all outlined arguments and observing all aspects a new proposal is made for the reviewed value chain. The principle of Porter's original value chain is not changed, some activities are newly arranged according to the outcome of chapter 3. Figure 7 shows the composition of the primary activities, where the support activities are stated below as a supporting platform where the primary activities are based on.**




Figure 7: New proposal of the reviewed value chain prepared for digital transformation (own work)

**Besides the primary activities there are secondary activities that all businesses must include to some extent. These supporting activities are mandatory prerequisites for the fulfillment of the primary activities and the completion of the value chain process. These activities are described in detail in Hofbauer/Sangl (2019).**

**Support activities assist the execution of all primary activities and the realization of each other by providing resources in terms of employees (HR) or money (finance), transport inside and outside the firm (logistic and SCM) or providing the basic infrastructure of the company. The support activities facilitate the primary functions and comprise the following: logistics and supply chain management, quality management, human resources, finance and controlling as well as organization, infrastructure, process management, support and IT. Especially the IT is responsible to manage the data interchange and to make it happen in feed forward and feedback loops, as well as to apply artificial intelligence to collected data. As displayed in figure 7 the interconnection combines primary activities with each other and on request and for support primary activities with the supporting secondary activities (exemplarily shown for sales activity) as well.**

## 5. Summary and Conclusion

**The concept of the value chain is a reasonable tool to assess competitive advantage. As time changes, methods and tools have to be changed, because business processes and related activities are adapting and enhancing rapidly. The corresponding impact on the competitive advantage and relevancy on value creation is changing, too. Especially in the age of digital transformation and Internet of Things it is important to review all influencing factors. Competitive advantage is driven by the right execution of the primary activities.**

**Following this, the first issue of research is about the determining activities. It can be summarized that innovation management and procurement are contributing remarkably to competitive advantage by introducing new products, reducing cost, shortening time to market, reducing risks, raising performance and quality as well as increasing customer satisfaction and loyalty. The first conclusion is to consider innovation management and procurement as a**

**combined primary activity. The second conclusion is that the logistic activities are nowadays not contributing any more to value creation and thus should be reclassified as a secondary activity.**

**The second issue of research was about the process-oriented combination of value creating activities and their arrangement to be prepared for digitization. The literature research confirms that there is a braod variety of activities combined to an integral process. Based on this finding, one innovation process was chosen for further explanation. Using this example, the general preparedness for digitization in general and the application of the digital twin in particular was outlined.**

## References


1. Bailom, F., Matzler, K., Tschemernjak, D. (2013). Was Top Unternehmen anders machen, Wien.
2. Brening, A., Hofbauer, G., 2017. Open Innovation, Berlin: uni-edition.
3. Deloitte, BAK Basel Economics, 2015. Welche Strategien zur Effizienzsteigerung und Kostenreduktion werden für Sie in den nächsten 12 Monaten im Vordergrund stehen?. In: Statista - Das Statistik-Portal. Retrieved from http://de.statista.com/statistik/daten/studie/485844/umfrage/strategien-zur-effizienzsteigerung-und-kostenreduktion-schweizer-mem-unternehmen/
4. Engelhardt, S., Hofbauer, G., 2017. Vertikale Kooperationen zur Nutzung von Innovationen, Berlin: uni-edition.
5. Fraunhofer, 2017. Aufteilung der Logistikkosten in Europa im Jahr 2016 nach Kostenstellen. Statista. https://de.statista.com/statistik/daten/studie/72704/umfrage/verteilung-der-logistikkosten-in-europa/
6. Handelsblatt, 2009. Anteil der Logistikkosten an den Gesamtkosten. Industrie und Handel von 1990 bis 2008 (89), A1. Retrieved from https://de.statista.com/statistik/daten/studie/6346/umfrage/anteil-der-logistikkosten-an-den-gesamtkosten.
7. Hecht, D., Goldbach, J., 2017. Modernes Beschaffungsmanagement in Lehre und Praxis. In: Hofbauer, G. (2017) Technische Beschaffung, pp. 211-234, Berlin: uni-edition.
8. Hofbauer, G., Gandhi, S.J., 2016. Understanding the Entrapreneurial Mindset as a Key to Innovation for Business, in: Management of organization in real and virtual environment: opportunities and challenges, Politechnika Opolska, Opole/Poland.
9. Hofbauer, G., Hofbauer, K., 2016. Introducing the Innovation-Alignment-Portfolio to Balance Exploitation and Exploration of Innovations, in: China-USA Business Review, Sep. 2016, Vol. 15, No. 9, pp. 417-424.
10. Hofbauer, G., Körner, R., Nikolaus, U., Poost, A., 2009. Marketing von Innovationen – Strategien und Mechanismen zur Durchsetzung von Innovationen, Kohlhammer, Stuttgart.
11. Hofbauer, G., Mashhour, T., Fischer, M., 2016. Lieferantenmanagement. Die wertorientierte Gestaltung der Lieferbeziehung, 3rd edition, München. Oldenbourg.
12. Hofbauer, G., Sangl, A. (2019): A proposition for an updated Configuration of the Value Chain, in: International Journal of Advanced Engineering and Management Research, vol. 4. No. 05, pp. 115-134.
13. Hofbauer, G., Sangl, A., 2018. Professionelles Produktmanagement – Der prozessorientierte Ansatz, Rahmenbedingungen und Strategien, 4th edition, Publicis, Erlangen.
14. Hofbauer, G., Sangl, A., 2018a. Considerations to Rearrange the Value Chain, in: Archives of Business Research, Society for Science and Education/UK, Vol. 6, No. 4, pp. 104-114.
15. Hofbauer, G., Sangl, A., 2017. Effective Procurement and Integration Management as a Basis for Value Creation, in: Hofbauer, G. (2017) Technische Beschaffung, pp. 253-262, Berlin: uni-edition.
16. Hofbauer, G., Sangl, A., 2016. The Role of Procurement in Creating Value, in: Iveta Simberova, Ondej Zizlavsky, Frantisek Milichovsky (Ed.): Smart and Efficient Economy: Preparation for the Future Innovative Economy, Proceedings of Selected Papers ICEM International Scientific Conference Economics and Management, Brno/Czech Republic, pp. 550-556.
17. Hofbauer, G., Sangl, A., Engelhardt, S. (2019): The Digital Transformation of the Product management Process: conception of digital Twin Impacts for Different stages, in: International Journal of Innovation and Economic Development, vol. 5, issue 2, June 2019, pp. 74-86.
18. Hofbauer, G., Wilhelm, A., 2015. Innovationsprozesse erfolgreich managen – Ein Praxisabgleich für die frühe Phase des Innovationsmanagements, Arbeitsberichte – Working Papers, Technische Hochschule Ingolstadt, Heft Nr. 35, Ingolstadt.

19. Hofmann, E., Lampe, K., Allemann, K.: Branchenspezifische Logistikkosten, in: Logistik und Fördertechnik Nr. 10 – 12., Oktober 2012
20. Ohno, T., 1988. TOYOTA Production System, Beyond Large-Scale Production, CRC Press.
21. Porter, M.E., 1985. Competitive Advantage, Free Press, New York.
22. Porter, M. E., 2004. Competitive Advantage: Creating and sustaining superior performance (1. Free Press export Ed.). New York, NY: Free Press.
23. Reichwald, R., Piller, F., 2009. Interaktive Wertschöpfung: Open Innovation, Individualisierung und neue Formen der Arbeitsteilung, 2nd Edition, Gabler, Wiesbaden.

ქართული ტექსტების რედაქტორები:

ქეთევან ქურდოვანიძე და რუსუდან მიქენაია

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნათია დვალი და ხათუნა ბადრიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა

2020

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
www.press.tsu.edu.ge

